

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის
მასალების კრებული

ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების
ბანკოთარების აქტუალური პრობლემები
(27-28 ივნისი, 2014)

**Proceedings of Materials
of International Scientific-Practical Conference
Dedicated to the 70th Anniversary of the Foundation of the Institute**

**ACTUAL PROBLEMS OF DEVELOPMENT OF
ECONOMY AND ECONOMIC SCIENCE
(27-28 June, 2014)**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

**PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**

თბილისი Tbilisi

2014

1

UDC (უბკ) 338(47+57)33(479.22)(063)

პ – 645

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში 2014 წელს გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2014

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), ნ. არევაძე, თ. არნანია-კეპულაძე, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), შ. გოგიაშვილი, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ა. კრედისოვი, ალ. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, ს. პავლიაშვილი, ვლ. პაპავა, ა. სილაგაძე, დ. სოროკინი, ქ. ქველაძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, ლ. ჩიქავა, თ. ჩხეიძე

Scientific-editorial Board: R. Abesadze (Editor-in-Chief), N. Arevadze, T. Arnanian-Kepuladze, N. Bibilashvili (Executive Secretary), L. Chikava, T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erko-maishvili, Sh. Gogiashvili, E. Kakulia, K. Kveladze, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kredi-sov, Al. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, V. Papava, S. Pavli-ashvili, A. Silagadze, D. Sorokin

რეცენზენტები: ემდ ვ. ბურდული
ემდ გ. ბერულავა

**Reviewers: Doctor of Economic Sciences V. Burduli
Doctor of Economic Sciences G. Berulava**

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:
თ. გოგოხია (ხელმძღვანელი), ნ. კედია, ე. ჯაბანაშვილი

**Organizing Group of the Conference:
T. Gogokhia (Head), N. Kedia, E. Jabanashvili**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

© PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

2014

ISBN 978-9941-9361-2-8

ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი

ინოვაცია (ინგლისურად *innovation*) ლათინური "novatio"-დან წარმოდგება, რაც "განახლებას" ნიშნავს. "In" წინსართი კი ლათინურად ითარგმნება, როგორც "მიმართულებით". მაშასადამე, სიტყვა სიტყვით "Innovatio" ნიშნავს – "განახლების მიმართულებით". მართლაც, ინოვაციის მთავარი არსი მდგომარეობს განახლებაში, უფრო პროგრესულის დანერგვაში. ეკონომიკაში ტერმინი ინოვაცია პირველად ავსტრიელმა ეკონომისტმა ჯოზეფ შუმპეტერმა შემოიტანა, თუმცა, არსობრივად, სხვა ტერმინით იგი მანამდეც გამოიყენებოდა. ადამ სმიტი მიუთითებდა, რომ კაპიტალიზმის ორგანიზაციული მექანიზმის როლს ასრულებს არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკა, არამედ კონკურენცია, რომელიც აიძულებს მეწარმეს აამაღლოს ეფექტიანობა ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლით¹, ანუ ახლანდელი ტერმინოლოგიით - ინოვაციების მეშვეობით.

ნ. კონდრატევიმა თავის თეორიაში კონიუნქტურის დიდი ციკლების შესახებ დაასაბუთა დიდი ციკლების არსებობა 50-60 წლიანი ხანგრძლივობით. მისი აზრით, დიდი ციკლის აღმავალი ტალღის დაწყების წინ ხდება ღრმა თვისებრივი ცვლილებები საზოგადოების სამეურნეო საქმიანობაში, რომელიც გამოიხატება ტექნიკასა და ტექნოლოგიებში მომხდარი არსებითი სიახლეებით, როგორც წარმოების, ისე გაცვლის სფეროში². რასაკვირველია, ამ ცვლილებებში იგულისხმება ინოვაციების განხორციელება ეკონომიკაში.

კონდრატევის ციკლი მოიცავს 4 ფაზას – გამოცოცხლება და აღმავლობა (აღმავალი სტადია), დაცემა და დეპრესია (დაღმავალი სტადია). გერმანელმა მკვლევარმა ერჰარდ მენშმა უჩვენა, რომ ინოვაციური პროცესი იწყება სწორედ კონდრატევის ციკლის დეპრესიის ფაზაში³. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან აღმავლობის ფაზაში ახალი ინოვაციები ჯერ მხოლოდ ახლა იკრებს ძალას, დეპრესიის ფაზაში ისინი მოქველდებიან არიან და საჭიროა მათი ახლით შეცვლა, რასაც ნათლად გრძნობს ბიზნესიც და სახელმწიფოც.

მიგვაჩნია, რომ გრძელი ტალღების არსებობა უდავოა, მაგრამ მისი პერიოდულობა შეიძლება დაარდვიოს დიდმა აღმოჩენებმა ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებაში. მაგალითად, ახლა მიიჩნევა, რომ მსოფლიო ეკონომიკა იმყოფება დაღმავლობის სტადიაში⁴, მაგრამ თუ ათვისებული იქნება თერმობირთვული რეაქცია მშენებლობის მიზნით ან ლითონის ზეგამტარობის თვისების გამოყენება ეკონომიკურად შესაძლებელი გახდება, დაღმავლობის სტადია შემცირდება. საერთოდ, ინოვაციების სასიცოცხლო ციკლი თანდათან მცირდება სამრეწველო რევოლუციის შემდეგ 90 წელიწადიდან 25 წლამდე დღეისათვის. ინოვაციების დიფუზიის პერიოდი დღეისათვის გრძელდება 25-30 წელი⁵. ამასთან, ინოვაციების გავრცელება (დიფუზია) არ ხდება სწორხაზობრივად, თავდაპირველად დიფუზია მიმდინარეობს მზარდი სიჩქარით, ხოლო შემდეგ იწყება სიჩქარის შემცირება და სრულდება ბაზრების გაჯერება ინოვაციებით⁶.

გარდა კონდრატევის გრძელი ტალღებისა, არსებობს ს. კუზნეცის "საშუალო ტალღები" (18-25 წელი)⁷, კ. შუგლიარის ასევე საშუალოადიანი ციკლი (7-11 წელი)⁸ და ჯ. კიტჩინის მოკლე ციკლები⁹ (2-3 წელი).

ს. კუზნეცი "საშუალო ტალღებს" უკავშირებდა დემოგრაფიულ ცვლილებებს, მაგრამ ამ შეხედულებას არ იზიარებენ და თვლიან, რომ ის არის ტექნოლოგიური ციკლი, რომლის დროსაც მიმდინარეობს ძირითადი ტექნოლოგიის მასიური განახლება¹⁰. მაშასადამე, მას იქვს ინოვაციური ხასიათი, ამიტომ იგი კარგად ემთხვევა კონდრატევის ციკლებს.

კ. შუგლიარის ციკლი დაკავშირებულია როგორც ძირითადი საწარმოო სიმძლავრეების, ასევე ძირითად კაპიტალში ინვესტიციების რხევებთან.

ჯ. კიტჩინის მოკლე ციკლები არ არის დაკავშირებული ინოვაციებთან და იგი გამოწვეულია დროის ლაგის, ინფორმაციის მიწოდების შეფერხების გამო ფირმებისათვის.

სოციოკულტურულ სფეროში ინოვაციური განვითარების საფუძვლები შექმნა პ. სოროკინმა. მისი აზრით, კულტურის რომელიმე ტიპის გაბატონება განსაზღვრავს ყოველი საზოგადოების დამახასიათებელ ნიშნებს, სტრუქტურის თავისებურებებს, დინამიკას¹¹.

როგორც აღვნიშნეთ, პირველად ტერმინი "ინოვაცია" ეკონომიკურ ლიტერატურაში შემოიტანა ჯოზეფ შუმპეტერმა, რომელმაც განავითარა ნ. კონდრატევის თეორია ინოვაციების შესახებ. იგი განიხილავს 5 ახალ კომბინაციას, რომელსაც უნდა ახორციელებდეს საწარმო. ეს კომბინაციებია: 1. მომხმარებლისათვის ჯერ კიდევ უცნობი სიმდიდრის დამზადება ან რომელიმე ახალი ხარისხის მქონე სიმდიდრის შექმნა; 2. წარმოების ახალი, ჯერ კიდევ უცნობი მეთოდის დანერგვა; 3. გასაღების ახალი ბაზრების ათვისება, მიუხედავად იმისა,

¹ Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов. — М.: Эксмо, 2007.
² Кондратьев Н. Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения. М.: Экономика, 2002.
³ Mensch G. Stalemate in Technology- Innovations Overcame the Depression – New York: Ballinger Publishing Company, 1979.
⁴ Яковец Ю.В. Эпохальные инновации XXI века. – М.: «Экономика», 2004.
⁵ Hiroka M. Innovation Dynamism and Economic Growth. A Nonlinear Perspective. – Cheltenham, UK – Northampton, MA, USA^ Edward Elgar, 2006.
⁶ Мэнсфилд Э. Экономика научно-технического прогресса. – М.: «Прогресс», 1970.
⁷ Kuznets S. Secular Movements in Production and Prices. Their Nature and their Bearing upon Cyclical Fluctuations. Boston: Houghton Mifflin, 1930.
⁸ Des Crises commerciales et leur retour periodique en France, en Angleterre, et aux Etats-Unis Paris: Guillaumin, 1862
⁹ Kitchin, Joseph. «Cycles and Trends in Economic Factors». *Review of Economics and Statistics* 5 (1): 10–16, 1923.
¹⁰ Forrester J. W. New Perspectives on Economic Growth. *Alternatives to Growth — A Search for Sustainable Futures* / Ed. by D. L. Meadows. Cambridge, MA: Ballinger, 1977. P. 107—121.
¹¹ Сорокин П. С. Социальная и культурная динамика. 2000.

არსებობდა თუ არა ეს ბაზარი; 4. ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატების ახალი წყაროების ათვისება, დამოუკიდებლად იმისა, არსებობდა ის მანამდე, თუ არა; 5. შესაბამისი რეორგანიზაციის განხორციელება¹². მან ინოვაციების განხორციელება მეწარმის საქმიანობას დაუკავშირა. შუმპეტერის მიერ მეწარმეობის (და მეწარმის) არსის გახსნის შემდეგ მეწარმეობრივი უნარი აღიარებული იქნა წარმოების მეტოხე ფაქტორად, მოგება კი მეწარმის და არა კაპიტალის შემოსავლად, როგორც ეს კ. ბ. სეის სამფაქტორიან მოდელში ითვლებოდა.

შუმპეტერი მეწარმეებს უწოდებდა სწორედ იმ სამეურნეო სუბიექტებს, რომელთა ფუნქციაა ახალი კომბინაციების (ანუ ინოვაციების) განხორციელება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან ი. შუმპეტერის შემდეგ ეკონომიკურმა თეორიამ და პრაქტიკამ დიდი ცვლილებები განიცადა, მის „ახალ კომბინაციებს“ უნდა დაემატოს შემდეგი კომბინაციები: 6. ინსტიტუციების სრულყოფა (მიკროდონეზე); 7. ადამიანისეული კაპიტალის სრულყოფა; 8. მაღალი ტექნოლოგიების შექმნა (ან ათვისება); 9. ინფორმაციის სრულყოფა.

მნიშვნელოვანი წვლილი ინოვაციის თეორიის განვითარებაში ეკუთვნის ინგლისელ მეცნიერს ჯონ ბერნალს. იგი მიუთითებს, რომ მეცნიერებაში აყვავების პერიოდები ემთხვევა ეკონომიკური აქტივობის ზრდას და ტექნიკურ პროგრესს, როგორც ინოვაციების გამოყენების შედეგი¹³.

განავითარა რა ჯ. შუმპეტერისა და ჯ. ბერნალის იდეები, ნობელის პრემიის ლაურეატმა სეიმონ კუზნეცმა კიდევ უფრო გააამღიძრა ინოვაციების თეორია. მან შემოიტანა ეპოქალური ინოვაციების ცნება, რომ სწორედ მათი მეშვეობით ხდება ერთი ისტორიული ეპოქიდან მეორეზე გადასვლა და რომ ეკონომიკური ზრდის ახალი წყარო გახდა მეცნიერების დაჩქარებული განვითარება¹⁴.

ბ. ტეისი მიუთითებს ინოვაციური საქმიანობის შემოქმედებით ხასიათზე, როდესაც გამოგონება და სამეცნიერო იდეა იძენენ ეკონომიკურ შინაარსს¹⁵. საინტერესოა აკადემიკოს ა. ანნიშინის მოსაზრებები, რომელსაც მიაჩნია, რომ უნდა გამოიყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სამი ეპოქალური გადატრიალება (სამი სამრეწველო რევოლუცია): პირველი – XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასასრულის; მეორე XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედისა და XX საუკუნის დასასრულის; მესამე, რომელიც დაიწყო XX საუკუნის მეორე ნახევრიდან¹⁶.

ინოვაციების არსის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ კლასიფიკაციას. XX საუკუნის 30-იან წლებში ა. პიგუს, ჯ. შუმპეტერისა და კ. ვიკსელის მიერ გამოყოფილი იქნა შრომისდამზოგი, კაპიტალდამზოგი და ნეიტრალური ინოვაციები. შემდგომში მათ დაემატა ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, ეკონომიკური, ეპოქალური, ბაზური, მიკრო, ფსევდო, ანტიინოვაციები და სხვ¹⁷.

ინოვაციების თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ასევე ადამ იაფემ, ჯ. ლარნერმა, ს. შტერნიმ, ა. გამბარელამ, ა. არორამ, კ. მაკონელმა, ლ. ბრიუმ, მ. გიარატანამ, ა. პაგანომ, მ. ტოდარომ, ბ. კუზიკმა, ი. იაკოვეცმა და სხვებმა¹⁸.

ინოვაცია არ არის რაღაც დამოუკიდებელი ქმედება. მის განხორციელებას ემსახურება საბაზრო მექანიზმი და სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა, ქვეყანაში არსებული მთელი ინოვაციური სისტემა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ინოვაციები მეცნიერთა, გამოგონებელთა, მეწარმეთა, ნოვატორთა, სახელმწიფო მოხელეთა დაუღალავი შრომის შედეგია. თუმცა მამოძრავებელი ძალა არის კონკურენცია და ადამიანთა ღტოლვა უკეთესი მერმისისათვის.

საზოგადოების პროგრესი განუყრელადაა დაკავშირებული ინოვაციებთან. ინოვაციები არსებობდა ნებისმიერი ფორმაციის დროს და მან განაპირობა არნახული პროგრესი ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროსა და ეოფაცხოვრებაში. სწორედ ინოვაციების მეშვეობით ხორციელდება ტექნოლოგიური პროგრესი, რომელსაც მივყავართ მწარმოებლურობის ამღლებასთან, ადამიანის როლისა და ფუნქციების შეცვლასთან წარმოების პროცესში, ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა ზრდასთან და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი, ეს არის ინოვაციათა განხორციელების პროცესი, როგორც ფიზიკურ კაპიტალში, ასევე წარმოების რეორგანიზაციის ფორმებში, ადამიანისეულ კაპიტალში, ტექნოლოგიებში, ინსტიტუციებში, ადამიანთა ცოდნაში, უნარ-ჩვევებში, ტრადიციებში, სამართლებრივ და კულტურულ ნორმებში და ა. შ.

ინოვაციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში არის კონკურენციაში გამარჯვების იარაღი. მაგრამ მან თანამედროვე ეტაპზე გაცილებით უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა. იგი არის გლობალური პრობლემების (ეკოლოგიური, სიღარიბის, სასურსათო და სხვ.) გადაჭრის უმთავრესი საშუალება.

ინოვაციებს ადგილი აქვს ნებისმიერი წყობილების დროს, მაგრამ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარკვეულ ეტაპზე, როდესაც ინოვაციები ღებულობენ უწყვეტ ხასიათს და ხდებიან განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეს პროცესები მსოფლიოში დაიწყო გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან და განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში. ამიტომ, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკის

¹² Шумпетер Й. А. Теория экономического развития. М.: Прогресс, 1982

¹³ Бернал Дж. Наука в истории общества. М.: ИЛ – 1956.

¹⁴ Simon Kuznetz, «Modern economic growth: Findings and reflections», Nobel lecture delivered in Stockholm, Sweden, December 1971 and published in the American Economic Review 63 (September 1973).

¹⁵ Твисс Б. Управление научно-техническими нововведениями. М.: Экономика, 1989.

¹⁶ Анчишкин А.И. Наука-Техника-Экономика. М.: Экономика - 1986

¹⁷ Блауг М. Экономическая мысль в ретроспективе. Пер. с англ., 4-е изд. – М.: «Дело Лтд», 1994.

¹⁸ მაგალითად: Innovation Policy and the Economy, Volume 5, National Bureau of Economic Research, Adam B. Jaffe, Josh Lerner, and Scott Stern: The MIT Press, Cambridge, Massachusetts – 2005; Arora A. and Gambardella A.: “ Bridging the Gap”. In A. Aurora and A. Gambardella, eds., From Underdogs to Tigers: The Rise and Growth of the Software Industry in Some Emerging Economies. Oxford, UK: Oxford University Press. – 2005; Макконнелл К.Р., Брю С.Л. Экономикс: Принципы, проблемы и политика. В 2т.: Пер. с англ. – М. 1997 Т.2; Giarratana M., Torrissi S., and Alessandro Pagano: “The Role of MNCs in the Evolution of the Software Industry in India, Ireland and Israel”. In A. Aurora and A. Кузык Б.Н., Яковец Ю.В. Россия – 2050: стратегия инновационного прорыва. – М.: ЗАО «Издательство Экономика», 2004.

ნომიკას ინოვაციურ ეკონომიკას უწოდებენ.

ინოვაციური ეკონომიკა ეფუძნება ცოდნას, ინოვაციების ნაკადს, ტექნოლოგიების, ინფორმაციის, ინსტიტუციების, ადამიანისეული კაპიტალის, წარმოების ორგანიზაციის, პროდუქციისა და ა.შ. გამუდმებულ სრულყოფას, მეცნიერთა და ნოვატორთა ინტელექტუალურ შრომას და არა უბრალოდ კაპიტალს. მეცნიერება, გამოგონება, ინოვაცია ასეთ ეკონომიკაში განვითარების ერთიან ორგანულ ფაქტორს წარმოადგენს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინოვაციებს ტექნოლოგიებში. ტექნოლოგია არის ის წესი და საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხდება ამოსავალი მასალების გარდაქმნა საჭირო საქონლად ან მომსახურებად. უფრო ზუსტად, ტექნოლოგია, ეს არის შერწყმა კვალიფიციური ჩვევების, მოწყობილობების, ინფრასტრუქტურის, ინსტრუმენტებისა და შესაბამისი ტექნიკური ცოდნის, რათა განხორციელდეს სასურველი გარდაქმნები მასალებში, ინფორმაციებსა ან ადამიანებში¹⁹. მისი კომპონენტებია: მანქანები, მოწყობილობები და ნედლეული, მაგრამ მთავარია ის წესი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ეს გარდაქმნები.

ტექნოლოგიური ცოდნა ნიშნავს საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად საუკეთესო ტექნოლოგიების შერჩევას. იგი იმაზე მეტყველებს, თუ როგორ ერკვევიან ადამიანები მსოფლიო ტექნოლოგიურ მიღწევებში. ტექნოლოგიური პროგრესი ხორციელდება ინოვაციების მეშვეობით. ასეთი დიდი ინოვაციები კაცობრიობის ისტორიაში იყო **სამრეწველო რევოლუცია, სტანდარტიზაცია, მექანიზაცია, კონვეიერული ხაზები**. მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდა უწყვეტი, მოქნილი საწარმოო ტექნოლოგიის სრულყოფა, რასაც მივყავართ მწარმოებელურობის ამაღლებამდე, წარმოების პროცესში ადამიანის როლისა და ფუნქციების შეცვლამდე, ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა ზრდამდე. პროცესების განხორციელება ავტომატური მოწყობილობების გამოყენების საფუძველზე, თავის მხრივ, ეფუძნება წარმოების **ელექტრონიზაციას, კომპიუტერიზაციასა და რობოტიზაციას**. თანამედროვე პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს **ეკოლოგიური უნარჩენო ტექნოლოგიების შექმნა**, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების საქმეში.

განსაკუთრებულ ცვლილებებს იწვევს მაღალი ტექნოლოგიების (*hi-tech*) გამოყენება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში. მათი გამოყენება ეკონომიკაში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი განვითარების ტენდენციებს როგორც ლოკალური, ისე გლობალური მასშტაბით, ასევე ეროვნული ეკონომიკის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში, ზრდის რა ქვეყნის კონკურენტუნარიანობასა და კეთილდღეობის დონეს. მათ საფუძველზე წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, საქონლისა და მომსახურების ახალ სახეობათა შექმნის შედეგად, მცირდება ტრანსაქციური და ტრანსფორმაციული დანახარჯები, იზრდება რესურსების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობები. იცვლება წარმოების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანის ადგილი და როლი როგორც წარმოებაში, ისე ყოფა-ცხოვრებაში. იცვლება თვით საზოგადოების ორგანიზაციის არსი, ფორმები და მეთოდები. ამაში არც არაფერია გასაკვირი. თუ გადავავლებთ თვალს კაცობრიობის ისტორიას, საზოგადოების პროგრესი, მისი გადასვლა ახალ თვისებრიობაში ყოველთვის დაკავშირებული იყო ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან წარმოებასა და ადამიანთა საქმიანობის სხვა სფეროში, რამდენადაც ტექნოლოგიები და იდეოლოგია აუცილებლად უნდა იყოს შესაბამისობაში.

მაღალი ტექნოლოგიები ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორია, ვინაიდან იგი იწვევს ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტის განვითარებასა და სრულყოფას.

მაღალი ტექნოლოგიები შესაბამის ლიტერატურაში ძირითადად განიმარტება, როგორც სულ უფრო ახალი და პროგრესული ტექნოლოგიები თანამედროვე ეტაპზე. მიგვაჩნია, რომ მაღალი ტექნოლოგიების აღნიშნული განმარტება დასაზუსტებელია, ვინაიდან ზოგიერთი ტექნოლოგია შესაძლებელია, ახალი და პროგრესული იყოს, მაგრამ არ თამაშობდეს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის (მით უმეტეს, მსოფლიო მასშტაბით), უპირველეს ყოვლისა, მისი ეკონომიკის განვითარებაში. მაგალითად, დაეუშვათ, აღმოჩენილი იქნა პურის წარმოების ახალი, უფრო პროგრესული ტექნოლოგია ან შეიქმნა ახალი სახეობის ტანსაცმელი. რასაკვირველია, ორივე შემთხვევაში საქმე გვექნება ახალ და პროგრესულ ტექნოლოგიებთან, მაგრამ არა მაღალ ტექნოლოგიებთან, რადგანაც ისინი ვერ შეიტანენ რაიმე შესამჩნევ ვედილს საზოგადოების განვითარებაში. ამდენად, მაღალი ტექნოლოგიები, ჩვენი აზრით, შესაძლებელია განიმარტოს შემდეგნაირად:

მაღალი ტექნოლოგიები წარმოადგენს სულ უფრო ახალ და პროგრესულ ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენება მიმდინარე ეტაპზე აჩქარებს საზოგადოების, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური განვითარების პროცესს.

მაღალი ტექნოლოგიები, ბუნებრივია, გარკვეული დროის შემდეგ (და ეს დრო თანდათან მცირდება) კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას და ადგილს უთმობენ ახალ მაღალ ტექნოლოგიებს.

თანამედროვე ეტაპზე უმაღლესი ტექნოლოგიების დარგებიდან გამოირჩევა **ელექტრონიკა**, განსაკუთრებით კი მისი ქვედარგი – **მიკროელექტრონიკა**. სწორედ ელექტრონიკის განვითარებამ გახადა შესაძლებელი, შექმნილიყო გამოთვლითი ტექნიკა, საინფორმაციო-გამზომი სისტემები, ინტეგრალური სქემები, ციფრული ინტეგრალური მიკროსქემები, მიკროპროცესორები, რეზისტორები, კონდენსატორები, დიოდები, ტრან-

¹⁹ Мескон М.Х., Альберт М., Хедоурн Ф. Менеджмент. М., «Дело», 1992.

ზისტორები, რადიო, ტელევიზორი, რობოტები, კომპიუტერი და ა.შ., რომელთა გამოყენების გარეშე თანამედროვე ეტაპზე ვერ იარსებებდა ეკონომიკის ვერც ერთი დარგი და ადამიანთა საქმიანობის ვერც ერთი სფერო, რის გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა ინფორმაციის მოპოვების, გადაამუშავების, გადაცემისა და გამოყენების თანამედროვე დონე.

მაღალ ტექნოლოგიებს მიეკუთვნება ასევე **ხელოვნური ინტელექტი**, ანუ ისეთი მანქანების შექმნა, რომელსაც გააჩნია ცოცხალი ორგანიზმის (მათ შორის ადამიანის) ნიშნები (მსჯელობა, აღქმა, მოძრაობა და ა.შ.). დღეისათვის საუბარი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ხელოვნურ ინტელექტზე, არამედ “მოაზროვნე” მანქანებზე, რომელთაც აქვთ ადამიანის ტვინის მსგავსად “მოაზროვნე” მოწყობილობები. საუბარია ხელოვნურ გონზე. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მოაზროვნე მანქანა ან მანქანათა ჯგუფი მიუახლოვდება და ბევრ შემთხვევაში გადააჭარბებს კიდევაც ადამიანის გონს, რა გონებრივი შესაძლებლობების მანქანაც (ან მანქანათა სისტემა) არ უნდა შეიქმნას, იგი ადამიანის ხელში მაინც ისეთივე იარაღი იქნება, როგორც, დავუშვათ, საჭრისი ან ნებისმიერი სხვა იარაღი.

მაღალი ტექნოლოგიების დარგად ითვლება აგრეთვე **ბიოტექნოლოგია** (რომელიც თავისთავად ეფუძნება **გენეტიკას, მიკრობიოლოგიას, მოლეკულურ და უჯრედულ ბიოლოგიას, ბიოქიმიას, ემბრიოლოგიას და ა.შ.**), **კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, ნანოტექნოლოგიები, რობოტოტექნიკა, ტელეკომუნიკაციები, საავიაციო-კოსმოსური ტექნოლოგიები, ფოტონიკა, ატომური ფიზიკა.**

მაღალი ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების მიხედვით, ბუნებრივია, ქვეყნები მნიშვნელოვად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ მხრივ მოწინავე პოზიციები განვითარებულ ქვეყნებს უჭირავთ, განსაკუთრებით გამოირჩევა ევროპა²⁰.

თანამედროვე ეტაპზე **ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები** განაპირობებს ეკონომიკაში ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელიც მოიცავს ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს.

მაღალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ დღეისთვის განვითარებულ ქვეყნებში, ჩვენი აზრით, “ინფორმატიზაციის ეპოქა” დამთავრდა და დაიწყო **“მოაზროვნე ტექნოსფეროს ეპოქა” (Era Thinking Technosphere)**. ტექნოსფერო, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ტერმინს თანამედროვე ცივილიზაციის აღსაწერად, რომელიც ხასიათდება ტექნოლოგიისა და მეცნიერული მეთოდების ფართო გამოყენებით სინამდვილის გარდასაქმნელად და რომელიც ახლა წარმოადგენს საზოგადოების განვითარების მთავარ ფაქტორს. იგი შექმნილია ადამიანების მიერ. თანამედროვე ეტაპზე ტექნოსფეროში მთავარ როლს ასრულებს ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები, “მოაზროვნე ტექნოსფეროს” დროს მათთან ერთად მთავარი როლი დაეკისრება მოაზროვნე ტექნოლოგიებს. მოაზროვნე ტექნოსფერო ისარგებლებს გაცილებით დიდი შესაძლებლობებით, ვიდრე ცალკეული ინტელექტუალური თუ მოაზროვნე მანქანა, ვინაიდან იგი იქნება ასეთი მანქანების მოწესრიგებული ერთიანობა საერთო ხელოვნური გონის გარეშე [169]. ასეთ პირობებში მნიშვნელოვნად შეიცვლება ადამიანთა მდგომარეობა, ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ უკვე საქმე ექნებათ მოაზროვნე ხელოვნურ ინტელექტუალურ მანქანებთან, რომელთაც შეეძლებათ საუბარი გარკვეულ თემებზე და გადაწყვეტილებების მიღება სიტუაციიდან გამომდინარე.

ძირეულად შეიცვლება წარმოების ორგანიზაციისა და სახელმწიფო მართვის ფორმები და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ ჩამოყალიბდება სრულიად ახალი საზოგადოება სრულიად ახალი ეკონომიკური სისტემით. ამ საზოგადოების ზოგიერთი ნიშანი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. ადამიანთა მასობრივი გათავისუფლება როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომისაგან.
2. ადამიანთა მასობრივი გადასვლა შემოქმედებით სფეროში (მწერლობა, მუსიკა, მხატვრობა, თეატრი, კინო, სპორტი და ა.შ.).
3. ადამიანთა უშუალო კავშირი ინტელექტუალურ, მოაზროვნე მანქანებთან, რომელნიც ფლობენ ადამიანისათვის დამახასიათებელ თვისებებს (მოძრაობას, საუბარს, მწუხარებისა და სიხარულის განცდასაც კი და სხვ.) და რომლებთანაც ურთიერთობა მოითხოვს შესაბამის ახალ ცოდნას და ჩვევებს.
4. სახელმწიფოსა და ეკონომიკის მართვაში მოაზროვნე მანქანების გამოყენება შეამცირებს ნეგატიური პროცესების წარმოშობას.
5. გაიზრდება პროგრამების როლი, რაც გაზრდის დაგეგმვის მნიშვნელობას ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში.
6. გაიზრდება ადამიანის თავისუფალი დრო და სულიერი დაკმაყოფილების დონე და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა მოითხოვს განვითარების სრულიად ახალი გზის არჩევას. განსაკუთრებით ძლიერ განუვითარებელი და არაეფექტიანია ქვეყნის საინოვაციო სისტემა, კერძოდ:

1. სავალალო მდგომარეობაშია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი: შეუდარებლად მცირეა მეცნიერთა ხელფასი, საგანგაშოდ კლებულობს მათი რაოდენობა, მოშლილია მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მსოფლიოში თითქმის ყველაზე დაბალია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერების დაფინანსების ხვედრითი წილი მთლიან შიგა პროდუქტში და ა.შ.

²⁰ <http://www.globalinnovationindex.org/gii/>

2. სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს უმაღლესი, პროფესიული მომზადებისა და უწყვეტი განთლების სისტემა. იგი ჯერ კიდევ სრულად არ არის ორიენტირებული ცოდნასა და ეკონომიკის მოთხოვნაზე. განათლების მიღება ვერ გახდა მომავალში შემოსავლის ზრდის გარანტირებული საშუალება. განუვითარებელი და არაეფექტურია კადრების გადამზადების სისტემა და სხვ.

3. დაბალგანვითარებულია სამეცნიერო კვლევების მომსახურების სისტემა (სოფლად ჯიშთა გამოცდისა და საკონსულტაციო სადგურები, საკონსულტაციო ცენტრები, ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური, გეოდეზიური, მეტროლოგიური, სეისმოლოგიური, სამოდლო, ხარისხის მართვის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, სტანდარტიზაციისა და სხვ. სამსახურები).

4. თითქმის არ არსებობს კვლევის შედეგების წარმოებაში გადაცემის სისტემა (ბიზნესინკუბატორები, ტექნოპარკები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები და სხვ.).

5. არ არსებობს ტექნოლოგიების დიფუზიის ხელშემწყობი მექანიზმები - მაღალტექნოლოგიური ეკონომიკური ზონები და სხვ.

6. დაბალია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე, არ არსებობს მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა და ინოვაციური მცირე საწარმოები. არ არსებობს მკვეთრად გამოკვეთილი საინოვაციო პოლიტიკა - შესაბამისი სტრატეგია და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი; არ არსებობს შესაბამისი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და ინოვაციების განვითარების მასტიმულირებელი სისტემა, წამახალისებელი საფინანსო, საგადასახადო და სხვა მექანიზმები.

7. განსაკუთრებით უგულვებელყოფილია რეგიონული საინოვაციო საქმიანობა.

8. არ ხდება დონორების მიერ პროექტების განხორციელების შემდგომი მხარდაჭერა, რასაც ნულამდე დაყავს დონორთა საქმიანობა.

9. განუვითარებელია საგრანტო სისტემა და დაბალია მისი მენეჯმენტი.

10. თითქმის არ არსებობს კავშირი მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის.

11. თითქმის არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან შეკვეთები სამეცნიერო კვლევებზე.

12. თითქმის არ ხორციელდება საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციები. ინოვაციების იმპორტი შედარებით ხორციელდება მხოლოდ კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, რასაც განაპირობებს ის, რომ არსებობს ახალი ტექნოლოგიების შემოტანის დამამუხრუჭებელი მრავალი ფაქტორი - ცოდნის უქონლობა, პოლიტიკური ნებისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის არარსებობა, ფინანსური რესურსების სიმწირე, პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა და სხვ.

ამიტომ, რომ საქართველოს საინოვაციო პოტენციალისა და ტექნოლოგიების ათვისების უნარის რეიტინგებში დაბალი შეფასებები აქვს.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ძველი მთავრობისაგან განსხვავებით, ახალი მთავრობა აღიარებს საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების აუცილებლობას.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გამო, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკა ჯერჯერობით ვითარდება არაინოვაციური გზით. წინა ხელისუფლება ამას ხსნიდა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის უპირატესობით, რომ, თითქმის, მხოლოდ საბაზრო მექანიზმმა უნდა მოაწესრიგოს ეკონომიკის ყველა სფერო. ჯერ ერთი, ჩვენს ქვეყანაში ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა არ არსებობდა, ვინაიდან მასში უხეშად ერეოდა სახელმწიფო და, მეორეც, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა სრულიად არ გამორიცხავს სახელმწიფოს აქტიურ ეფექტიან ჩარევას ეკონომიკაში. პირიქით, სწორედ სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები ეკონომიკის სწორი მიმართულებით განვითარებისა – მან უნდა უზრუნველყოს საბაზრო პრინციპების მაქსიმალური დახმარებები; მაქსიმალური ძალისხმევა გამოავლინოს მეცნიერების განვითარებისა და მისი შედეგების წარმოებაში დასანერგვად, ინოვაციების განხორციელების გზით და ა.შ. სწორედ სახელმწიფოს სწორმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს პატერნალიზმის, ეტატიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა უარყოფითი გამოვლინების აღმოფხვრა. სწორედ მან უნდა განახორციელოს ეროვნული წარმოების ხელშემწყობი პოლიტიკა, რის შედეგადაც სამამულო პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდება იაფ, მაგრამ დაბალხარისხოვან იმპორტულ საქონელთან შედარებით და ა. შ.

მომავალში საქართველოს ეკონომიკაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და სწორ გზაზე გასვლა ვერ მოხერხდება თვითღინებით. მთავარი ყურადღება ეკონომიკურ განვითარებაზე, ანუ ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფაზე უნდა იქნეს გადატანილი. ეს კი განხორციელდება ქვეყანაში ახალი ანუ ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის გზით.

Ramaz Abesadze

INNOVATIONS – THE MAIN FACTOR OF ECONOMIC DEVELOPMENT

Annotation

In the article there are discussed some issues of innovative theory given in the works of well-known scientists such as Adam Smith, Joseph Alois Schumpeter, Nikolai Kondratiev, Pitirim Sorokin, Simon Kuznets, John Desmond Bernal, A. Anchishkin, Iakovets, and others. Are studied the situation existed in Georgian innovative policy and system, are offered corresponding propositions.

როზეტა ასათიანი

საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების წარუმატებლობის ებზობენური და ენდოგენური მიზეზები

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების 22 წლის შემდეგაც არ ცხრება ვნებათა დღევა, ქვეყანა არ დაადგა იმ გზას, რომელიც დასახულ მიზანმდე მიგვიყვანდა. ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების პერსპექტივა ნაკლებად ჩანს. გაჭიანურებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ახალი ნიშან-თვისებები შეიძი-

ნა, კარგა ხანია სისტემური ხასიათი მიიღო, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესზე. ამიტომ ამ მეტად საპასუხისმგებლო ეტაპზე აუცილებელია ობიექტურად შეფასდეს რეალური სინამდვილე. ჩვენთვის, როგორც ამ მოვლენების თვითმხილველებისათვის, არა ლიტერატურიდან ამოკრეფილი მასალით გაანალიზდეს განვლილი წლები, არამედ ჩვენი დაკვირვების საფუძველზე კეთილსინდისიერად შეფასდეს ეკონომიკის წარმატებლობის მიზეზები, გაკეთდეს სათანადო დასკვნები და დაისახოს ამ მიმე მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანის გზები.

ეროვნული ეკონომიკის წარმატებლობის მიზეზები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: **ჩვენგან დამოუკიდებელი, გარედან თავს მოხვეული (ეგზოგენური) და ჩვენზე დამოკიდებული, ჩვენგან გამომდინარე (ენდოგენური).** დავიწყოთ პირველით:

ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის წინა პერიოდის სირთულეები საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომ მათზე არ შეგნერდებით. საქართველოსთვის უკიდურესად არასახარბიელო აღმოჩნდა სასტარტო პერიოდში. ცნობილია, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია დიდად არის დამოკიდებული იმ მოდელზე, რომელიც ქვეყანამ სისტემური გარდაქმნის, ეკონომიკის კონვერსიის საწყის ეტაპზე უნდა აირჩიოს. ეს არჩევანი გაკეთდა საქართველოში ეკონომიკის რეფორმირების **I ეტაპზე (1991-1995)**, ოღონდ იგი ძალზე არაოპტიმალური და არაეფექტიანი აღმოჩნდა ჩვენს ქვეყნისთვის.

როგორც ცნობილია, მსოფლიო პრაქტიკაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორი გზა, ორი მოდელი ცნობილი: „შოკური თერაპია“ და გრადუალიზმი.²¹ რადიკალიზმის უაღრესად მაღალი დონითა და „დიდი აფეთქების“ სახელწოდებით ცნობილი ვაშინგტონში შემუშავებული „შოკური თერაპიის“ მოდელი საფუძველად დაედო საქართველოში (ისევე, როგორც ჩვენს მდგომარეობაში მყოფ სხვა ქვეყნებში) საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. რა შედეგიც მივიღეთ ეკონომიკის „შოკირებით“, რომელსაც თერაპია არ მოჰყოლია, კარგადაა ცნობილი. ეკონომიკის რეფორმირების ორ ათეულ წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგაც კი ვერ შევძელით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა (იგი ხომ, პირველ ყოვლისა, სოციალური გარანტიებითაა განმტკიცებული) და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პირველ წლებში ეკონომიკის შოკირებით შევძლებდით? პირიქით, არსებული, საზოგადოების მიერ ათეული წლების მანძილზე დიდი ძალისხმევით შექმნილიც კი დავანგარივთ. იძარცვებოდა, ნადგურდებოდა საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წარმოებრივი პოტენციალი. ვაშინგტონის რეცეპტით ახალი ათვლის წერტილი ნულიდან უნდა დაწყებულიყო. ინსტიტუციური ცვლილებებით – ფასების ლიბერალიზაციითა და მოუფიქრებელი, თავაშვებული პრივატიზაციით მხოლოდ საბჭოური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი (მაგრამ არა ცივილიზებული ფორმით) განხორციელდა, მაგრამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა რომ ასე მარტივად არ მოხდებოდა, ეს ცხადი იყო. თვით პოსტვაშინგტონის კონსენსუსმაც კი უარყოფითად შეაფასა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მის მიერვე შემოთავაზებული მოდელი. ამის საწინააღმდეგოდ რა წარმატებებსაც მიაღწია ჩინეთმა გრადუალიზტური მოდელის გამოყენებით, კარგად არის ცნობილი.²² „ჩინური სასწაულის“ ათვლის წერტილი, შეიძლება ითქვას, სწორედ აქედან დაიწყო (თუმცა, ჩინეთი გაცილებით ადრე შეუდგა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, ვიდრე პოსტსაბჭოთა ქვეყნები). თანდათანობით, ევოლუციური გზით გარდაქმნა არა წარმოებრივი პოტენციალის განადგურებას ითვალისწინებდა, არამედ, პირიქით, გათვლილი იყო მის განვითარებაზე. ეკონომიკის მოდერნალიზაციასა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების საწყის ეტაპზე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემოთავაზებული სქემა ითვალისწინებდა, პრივატიზაციის გზით კერძო საკუთრების ჩამოყალიბებასთან ერთად, კონკურენციის განვითარებასაც. მაგრამ საქართველოს მთავრობა დაკმაყოფილდა მხოლოდ პრივატიზაციით, თანაც კერძო სექტორს სახელმწიფოს აქტივები გადასცა ყოველგვარი მარეგულირებელი პროცესების გარეშე, პრივატიზაციისას აქცენტს არ გააკეთა კორპორაციულ მართვაზე, რის გამოც ქვეყანაში ვერ შეიქმნა შესაბამისი გარემო კონკურენციის განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა კერძო საკუთრებაში, ვერ ჩამოყალიბდა საკუთრების პლურალიზმი (საკუთრების თითოეული ფორმის თანაბარი უფლება). ნაჩქარემა, მოუფიქრებელმა, არაკანონიერმა პრივატიზაციამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. იგი ნაკლებად გამჭვირვალე პროცესად და შემოვლითი გზით კორუფციის წყაროდ იქცა. ამ შიდა, ენდოგენურმა მიზეზმა, ეგზოგენურთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის უპრეცედენტო დაცემა, პიპერინფლაცია და უმუშევრობის კატასტროფული ზრდა გამოიწვია. ამის პარალელურად ნეგატიურმა ფაქტორებმა – სამოქალაქო დაპირისპირებამ, საომარმა მოქმედებებმა აფხაზეთსა და სამხაბლოში, ტრადიციული ბაზრების დაკარგვამ და ეკონომიკური კავშირების მოშლამ, უაღრესად დაძაბული კრიზისოვანი გარემო შექმნა და ეკონომიკურ რეფორმას სპონტანური ხასიათი მიანიჭა.

საქართველოს მომავალს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა რთული და უაღტერნაციო პროცესის – ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციისა და ახალ თვისებრიობაში გადასვლის ტემპი და ხარისხი, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებული იყო სასტარტო გარემოზე, ეკონომიკური პროცესების რეგულირების მექანიზმზე. ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად, ეკონომიკის რეფორმირების უაღრესად საპასუხისმგებლო სასტარტო პერიოდში კოორდინაცია გაეწია ამ მოულოდნელი პროცესებისათვის, შემუშავებინა მართვის ბერკეტები და დაეცვა ქვეყანა გარედან თავსმოხვეული დოგმებისაგან. პირიქით, ასეთ რთულ სიტუაციაში, რადიკალური ლიბერალიზმის დოქტრინაზე დაყრდნობით, ეკონომიკური პროცესები თვითდინებაზე მიუშვა, რის გამოც გარდამავალი პერიოდის სტრატეგია საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. სწორედ ამაში მდგომარეობდა საქართველოს ეკონომიკის წარმატებლობის ჩვენზე დამოკიდებული პირველი ენდოგენური მიზეზი.

ასე რომ, საქართველოში XX საუკუნის პირველ დიდ წარმატებულ ექსპერიმენტს – 70-წლიან „საბჭოურ-სოციალისტურ“ ექსპერიმენტს მოჰყვა მეორე წარმატებული ექსპერიმენტი – საბაზრო ეკონომიკაზე გა-

²¹ ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014, გვ. 48.

²² ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014.

დასვლის „შოკური“ გზა*. ქვეყნის ეკონომიკის ნგრევის, გარედან თავსმოხვეული ეგზოგენური მიზეზებიდან გაშინგტონის კონსენსუსის მიერ შემოთავაზებულმა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის, „შოკური თერაპიის“ სახელწოდებით ცნობილმა, სინამდვილეში კი შოკისმომგვრელმა მოდელმა საქართველოში გაცილებით მეტი პრობლემა წარმოქმნა, ვიდრე გადაჭრა.

საქართველოს ეკონომიკის ვარდნის მეორე მთავარი, ეგზოგენური მიზეზი უკავშირდება **მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსულ მოდელს**, რომელიც ისევ გაშინგტონში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე აისახა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში რეფორმირების **II ეტაპზე** – 1996-2003 წლებში. იგი ძირითადად ითვალისწინებდა როგორც საბიუჯეტო-საგადასახადო, ისე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებას, რაც გამოიხატა სახელმწიფო ხარჯების, პირველ რიგში, სოციალური დაცვის ხარჯების, სახელმწიფო ტრანსფერების, სუბსიდიებისა და ა.შ. შემცირებასა და გადასახადების გაღებებაში, ასევე, ფულის მიწოდების შეზღუდვაში (რამაც, თავის მხრივ, მწვავე ფულადი შიმშილი გამოიწვია), საპროცენტო განაკვეთების ამადლებაში, ერთობლივი მოთხოვნის შემცირებაში, გადაუხდელობის კრიზისის გაღრმავებაში, სამამულო წარმოების პროდუქციის წილის დაცემაზე და საგადასახადო ბაზის შეკვეცაში, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირებასა და ა.შ.

მაკროეკონომიკური „სტაბილიზაციის“(!) ეს თავს მოხვეული მოდელი „ძვირი ფულის“ პოლიტიკის სახელწოდებითაა ცნობილი. მაგრამ რატომ აღიქმება იგი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოდელად? სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის მოდელისაგან განსხვავებით, ამ ამერიკულმა მოდელმა ეკონომიკის დესტაბილიზაცია უფრო გამოიწვია, ვიდრე მისი სტაბილიზაცია, მაშინ, როდესაც სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის მოდელის გამოყენებით (რაც ითვალისწინებს ერთობლივი მიწოდების ზრდას, პარალელურად ერთობლივი მოთხოვნის ამადლებასაც, ადგილობრივი პროდუქციით ბაზრის გაჯერებას, ეროვნული ეკონომიკის „სანედლეულო დანამატად“ გარდაქმნის არდაშვებას, საქონლის ხარისხის ამადლების საფუძველზე სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამადლებასა და ა.შ.) უდიდეს წარმატებას მიაღწია იაპონიამ, ჩინეთმა, ასევე, რიგმა სხვა ქვეყნებმა. საქართველოში რატომ შემოგვთავაზეს ორთოდოქსული მოდელი და მისთან დაკავშირებული „ძვირი ფულის“ პოლიტიკა? ეს პერიოდი ხომ მწარედ დაამახსოვრდა საქართველოს მოსახლეობას: 14-ლარიანი, თანაც გაყინული პენსიები, ასევე, გაყინული მიზერული ხელფასები, გაჩერებული წარმოებები და სწრაფად მზარდი უმუშევრობა, პარალიზებული ტრანსპორტი, საქმიანი აქტიურობისა და ეკონომიკის ინვესტირების უაღრესად დაბალი დონე (იმ პერიოდში უმუშევრო საწარმოთა რიცხვმა 80%-ს მიაღწია). არაფერს ვამბობთ მწვავე ენერგეტიკულ კრიზისზე, თავაშვებულ კორუფციაზე, განსაკუთრებით სახელისუფლებო სტრუქტურებში, გაუმჭვირვალე პრივატიზაციაზე, არასამართლიან მცირე პრივატიზაციაზე, რომელმაც მძიმე მდგომარეობაში განსაკუთრებით ინტელიგენცია ჩააყენა²³ და ა.შ. ბუნებრივია, ყოველივე ეს აისახა საბიუჯეტო შემოსავლების მკვეთრ შემცირებასა და საგადასახადო ბალანსის გაუარესებაში. ამ პერიოდში მთლიან შიდა პროდუქტში ექსპორტის წილმა მხოლოდ 3% შეადგინა.

ამრიგად, ორთოდოქსულ მოდელზე დაფუძნებულმა „ძვირი ფულის“ პოლიტიკამ, მართალია, ჰიპერინფლაციის შემდეგ „ხანძრის ჩაქრობის“ ეფექტი შექმნა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. მან ვერ გაამართლა საქართველოში. გარედან თავსმოხვეულმა, ქვეყნის ეკონომიკის ნგრევის მეორე ეგზოგენურმა მიზეზმა უკიდურესად გაამძაფრა ეკონომიკური პრობლემები და კიდევ უფრო დასცა ცხოვრების დონე²⁴. თუმცა საქართველოში შეიქმნა ახალი ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციური საფუძვლები, რამაც მოახდინა ეკონომიკური ზრდის სტიმულირება 90-იანი წლების II ნახევრის დასაწყისში, მაგრამ 90-იანი წლების ბოლოს იგი მკვეთრად შევერხდა.

საგულისხმოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: როცა მთავრობამ ჰიპერინფლაციის დაძლევის შემდეგ შეინარჩუნა ინფლაციის დათრგუნვის კურსი, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად ძირითადად აქცენტი საგარეო ვალზე გააკეთა. საგარეო ვალის გაზრდამ საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებული გახადა მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციებზე და, საერთოდ, მსოფლიო საფინანსო ბაზრების კონიუნქტურაზე, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო ხარჯების არარაციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ყოველივე აღნიშნულმა კიდევ უფრო დასცა ერთობლივი მოთხოვნა და მეწარმეობის განვითარება. კაპიტალმა, ეროვნული წარმოების ამოქმედების ნაცვლად გეზი საზღვარგარეთისაკენ აიღო, ვინაიდან ადგილობრივი წარმოება არ აღმოჩნდა საიმედო. მაღალი იყო სამეწარმეო რისკი, პარალიზებული – უნადლო ანგარიშსწორება. სამავიეროდ, არნახულ მასშტაბებს მიაღწია ფარულმა ეკონომიკამ, რომელმაც 60%-ს გადააჭარბა, თუმცა, ზოგიერთ დარგში (მაგალითად, ჯანდაცვაში) – 75-85%-საც კი მიაღწია. ქართულ ეკონომიკურ პოლიტიკაში თავი იჩინა დაგვიანების ეფექტმა. განხდა ლაგი. ქვეყანამ მიზნობრივად ვერ გამოიყენა ის შედეგათიანი კრედიტები და გრანტები, რომლებიც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა საქართველოში. დახმარების თვალსაზრისით დიდი ძალისხმევა იყო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მაგრამ ვინაიდან არ იყო პოლიტიკური ნება, საქმე ვერ წავიდა წინ. ამიტომ სოციალური სამართლიანობის ღოზუნგზე აგებული საბჭოური მონოპოლია შეიცვალა კლანურ ინტერესებზე აგებული კაპიტალისტური მონოპოლიით. კატასტროფულად დაეცა სახელისუფლებო სტრუქტურების პასუხისმგებლობა. სახელმწიფოს ინტერესები დაექვემდებარა ერთეულთა ინტერესებს. ეროვნულმა ეკონომიკამ დაკარგა სოციალური ორიენტაცია, რის გარეშეც ფორმირების პროცესში მყოფი ახალი ეკონომიკური სისტემა პოლიტიკურად ნაკლებსიცოცხლისუნარიანი გახდა.

დაშვებული უხეში შეცდომების შედეგად ჩამოყალიბდა ქონებრივად მკვეთრად დიფერენცირებული სა-

* რომელსაც, სამწუხაროდ, შემდგომ პერიოდში საქართველოში მოჰყვა „ექსპერიმენტების“ სერია.

²³ **ასათიანი რ.** პრივატიზაციის ქართული ვარიანტი: მითი თუ სინამდვილე. „მანისი“, 16.VIII, 1994; **ასათიანი რ.** „ძვირი ფულის“ პოლიტიკა ძვირად დაგვიჯდა. „საქართველოს ეკონომიკა“, 7.VII, 2000; **ასათიანი რ.** პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი, გამომცემლობა „სახელე“, 2005 და სხვ.

²⁴ **ასათიანი რ.** ეკონომიკური რეფორმები საქართველოში: ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2000, №8.

ზოგადოება, მოსახლეობის 55% სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა

ასე რომ, XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც მსოფლიო ალაპარაკდა ინოვაციური ეკონომიკის პრიორიტეტზე, უმძიმესი იყო საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე, საინვესტიციო გარემოც. 2003 წელს მშპ-ის მოცულობამ 1990 წლის დონის მხოლოდ 46,2% შეადგინა, ხოლო ინვესტიციების წილმა ძირითად კაპიტალში – მხოლოდ 9,6%²⁵. მოკლედ, არ გაამართლა არც უცხოურმა რეცეპტებმა და არც „ეროვნულმა ხელისუფლებამ“. ენდოგენურმა მიზეზებმა, ეგზოგენურთან ერთად, ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ ნგრევას, რამაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მიძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. საქართველო ისევე ახალი ექსპერიმენტის მსხვერპლი გახდა.

საქართველოს ეკონომიკის წარუმატებლობის, გარედან თავსმოხვეული მესამე მიზეზი უკავშირდება რეფორმირების III ეტაპს – 2004-2012 წლებს, როდესაც ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად დაედო მონეტარულ დოქტრინაზე აგებული ნეოლიბერალური ეკონომიკური თეორია, თუმცა, ამ მოდელში ჭეშმარიტ ლიბერალურ ფასეულობებზე მსჯელობა ზედმეტია. იგი ის ულტრალიბერალური კაპიტალიზმის მოდელია, რომლის კრახი 2008 წლის ოქტომბერში ოფიციალურად დააფიქსირა ევროკავშირის სამიტზე იმდროინდელმა საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზმა²⁶. ამის შესახებ სერიოზული მსჯელობა იყო 2010 წლის დავოსის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზეც, სადაც ლიდერი ქვეყნების წარმომადგენლებმა მკაცრად გააკრიტიკეს მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში, განსაკუთრებით, ფულად-საკრედიტო სისტემაში შექმნილი რთული ვითარება²⁷. ამ მოდელმა აშშ-სა და, საერთოდ, განვითარებულ სამყაროში არ გაამართლა და სხვა ქვეყნებში – განვითარებად და ტრანზიტულ, „არასწორი გზით განვითარებულ“ ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, გაამართლებდა?

მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლიდან, ახალი საგადასახადო კოდექსის საფუძველზე საგადასახადო ტვირთი მნიშვნელოვნად შემცირდა, ბიზნესის წამოწყების პროცესები არსებითად გამარტივდა, ახალმა შრომითმა კანონმდებლობამ დაქირავებულთან ურთიერთობებში დამქირავებლებს სრული თავისუფლება მიანიჭა და ყოველივე ამით საქართველომ ნეოლიბერალური რეფორმების გამტარებელი ქვეყნის იმიჯი დაიმსახურა, ამავდროულად საკუთრების უფლების შელახვის უამრავი ფაქტი დაფიქსირდა. მსხვილი ბიზნესი მთლიანად მთავრობის მიერ კონტროლირებადი გახდა. 2006 წელს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გაუქმებამ ეკონომიკის ძლიერი მონოპოლიზაცია გამოიწვია, ხოლო მასობრივი კორუფციის აღკვეთას ელიტარული კორუფციის შემაშვოთებელი მასშტაბები მოჰყვა. საეხებით სწორად და მოხდენილად შენიშნავს ცნობილი ქართველი მეცნიერი ვალადიმერ პაპავა, როდესაც წერს, რომ „თავისი ხასიათით ეს დარღვევები ნეობოლშევიზმის სადარია, რის შედეგადაც თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა ნეოლიბერალიზმისა და ნეობოლშევიზმის სიმბიოზს წარმოადგენს“²⁸.

მოკლედ, კვაზიდემოკრატია აფერხებს ეკონომიკურ განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. ვერ მოხერხდა ტრანსფორმაციული პროცესების ეთიკის ნორმებში წარმართვა, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება, საზოგადოებრივი სექტორის განვითარება და ა.შ. უკიდურესად დაბალი მოთხოვნის პირობებში მწვავეა სოციალური სტრატეფიკაცია, ღრმავდება სოციალური პოლარიზაცია. არსებული პენსია საარსებო მინიმუმს ვერ ფარავს, რომელიც თავისთავად არარეალურია. ამჟამად სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის პროპორცია 1:100-ზე და მეტია. 1990 წელთან შედარებით დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 3,7-ჯერ შემცირდა. უმუშევრობის ოფიციალურმა დონემ 15%-ს გადააჭარბა, თუმცა, მოსახლეობის 70% უმუშევრად მიიჩნევა თავს. ეს აიხსნება იმით, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი დასაქმებულად ვერ აღიქვამს თავს. ამასთან, აქედან, 80% აგრარულ სექტორშია თვითდასაქმებული. 2012 წლის მონაცემებით, ქვეყნის რეალურმა მშპ-მა 1990 წლის დონის 89,3% შეადგინა, მაშინ, როდესაც ეს ბარიერი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაძლია. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყნის საგარეო ვალმა 13,5 მლნ დოლარს მიაღწია, მისი მომსახურების წლიურმა ღირებულებამ კი – 900 მლნ დოლარს. საქართველოში მწვავე პრობლემად იქცა საგარეო ვაჭრობის პერმანენტული დეფიციტი. 2012 წლის ოფიციალური მონაცემებით, სამომხმარებლო ბაზრის 70% იმპორტულ საქონელზე მოდის და ექსპორტით იმპორტის დაფარვამ მხოლოდ 31% შეადგინა. გარდა იმისა, რომ 1990 წელთან შედარებით, საქართველოს მშპ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი 30-დან 8%-მდე დაეცა და წარმოიქმნა სასოფლო-სამეურნეო ღარი (გარღვევა წარმოების ფაქტობრივ და პოტენციურ მოცულობებს შორის), გაძლიერდა სოფლის მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია ქალაქად, ტყეების მასობრივი ჩეხვა და მიწების უცხოელებზე გასხვისება (რაც უადრესად გაუმჯობესებდა პროცესს). ეს და სხვა ნეგატიური პროცესები უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებს ქართულ სოფელს და შოკისმოგერელ შედეგებს წარმოიქმნის.

საქართველო, ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის (ტექნიკურ მიღწევათა ინდექსის) მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია მოქცეული. ურთულესი პრობლემების წინაშე განათლების სისტემა. დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა ორგანულად უკავშირდება გლობალურ ცვლილებებთან ადაპტაციის უნარის მქონე საზოგადოების არსებობას, რისთვისაც საჭიროა ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციური ეკონომიკის განვითარება. განათლების სისტემის რეფორმამ საქართველოში განათლების ხარისხი ვერ გააუმჯობესა, მეტიც, გარკვეული თვალსაზრისით, გააუარესა კიდევ. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო „ტვირთების გადინების“ პროცესს.

ასე რომ, საქართველო რთულად იკაფავს გზას თანამედროვე, ცივილიზებული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. მტკივნეულად მიმდინარეობს ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება და განმტკიცება, რაც

²⁵ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები.

²⁶ „The Economist“, 11 October, 2008.

²⁷ <http://ictsd.org/i/news/bridgesrussiandigest/69878/>

²⁸ პაპავა ვ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება საშუალოვადიან პერსპექტივაში. იხ.: საქართველო საშუალოვადიან პერსპექტივაში: სახელმწიფო, პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება. თბილისი, „მწიგნობარი“, 2013, გვ. 37.

უკავშირდება როგორც ენდოგენურ, ისე ეგზოგენურ ფაქტორებს²⁹.

2012 წელს საქართველოში მოსახლეობის 1 სულზე მშპ-მა 3523,4 დოლარი, ანუ 5818 ლარი შეადგინა. გარდა იმისა, რომ ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროკავშირში შესვლისათვის იგი უნდა იყოს არანაკლებ 4900 ევროსი. რაოდენ უცნაურიც უნდა ჩანდეს, საქართველოში მოსახლეობის საშუალო ფენა მხოლოდ 9%-ია. ქვეყნის მოსახლეობის 15% ლატაკი (პაუპერია), 21% სიღარიბის ზღვარს მიღმაა, 50%-ის შემოსავალი ფარავს საარსებო მინიმუმს (რომელიც ხელოვნურად ამცირებს სიღარიბის დონეს), მაგრამ ეს უკანასკნელი იმდენად მიზეზულია, რომ არ არის საკმარისი არა მხოლოდ ადამიანის განვითარებისათვის, არამედ ბიოლოგიური არსებობისთვისაც. მდიდრები 5%-ია, აქედან, შეძლებული – 3,5%.³⁰

სსფ-ის მისიის მიერ საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად კომერციული ბანკები თანდათან ეროვნული ბანკის კონტროლიდან გამოვიდნენ. საგრძობლად იკლო საკრედიტო ბაზარზე ბანკების საინვესტიციო აქტიურობამ. მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელის ცნობილ დონორთა კონფერენციაზე საქართველოს საბანკო სექტორის მხარდასაჭერად, სესხებისა და გრანტების სახით 850 მლნ დოლარი გამოიყო, 2009 წლის იანვარში კომერციული ბანკების აქტივები, წინა წლებთან შედარებით, 319 მლნ ლარით შემცირდა³¹.

ყოველივე ეს ნეგატიურად აისახა ქვეყნის რეალურ სექტორზე და განაპირობა საქართველოს საექსპორტო პოტენციალის საბანკო დაფინანსების გარეშე დატოვება³².

ნაკლებად ჩანს არსებული შესაძლებლობების (მათ შორის კვალიფიციური კადრებისაც) გონივრულად გამოყენების პერსპექტივა. თუნდაც ის 4,55 მლრდ დოლარი, რომელიც 2010 წლის ჩათვლით შემოვიდა საქართველოში გრანტისა (2 მლრდ) და დანარჩენი იაფასიანი კრედიტის სახით, მიზანმიმართულად და გამჭვირვალედ უნდა მოხმარებოდა ქვეყანას³³. ამას ხელს უშლიდა მთავრობის არაკომპეტენტური პოლიტიკა, თუმცა, სწორედ ამ დახმარების წყალობით საქართველოს ეკონომიკამ ნაკლებად მტკივნეულად გადაიტანა გლობალური ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა.

საქართველოში ეკონომიკის რეფორმირების **IV ეტაპი** დაიწყო 2013 წლიდან და გრძელდება დღესაც. ლიდერი ქვეყნების „საბეტონბლოკი“ დარწმუნდნენ იმაში, რომ ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა შეუძლებელი იქნებოდა **მაკროეკონომიკური რეგულირების კეინზიანური მოდელის ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყენების გარეშე**. მაგრამ რას გეთავაზობდნენ დღეს? დიდი ხანი არ არის რაც გამოვიდა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – პროექტი 2020 წლამდე“. მის შექმნაში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა ექსპერტებმაც. აღნიშნულ დოკუმენტს წითელ ზოლად გასდევს ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის მოწესრიგების აუცილებლობა, მოსახლეობის სოციალური დაცვა არა ერთჯერადი დახმარებებით, არამედ ახალი სამუშაო ადგილების შექმნითა და მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობით ეკონომიკური განვითარების პროცესში, ანუ წინა პლანზე წამოიწია **ინკლუზიურმა ეკონომიკურმა ზრდამ**, რომლის საყრდენი სწორედ კეინზიანური მოდელია. მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელი ამერიკა (იგულისხმება შეერთებული შტატები) დარწმუნდა იმაში, რომ ბაზრის გარეშე არ არსებობს წინსვლა ეკონომიკაში, ხოლო ჯანსაღ ბაზარს ქმნის გადახდისუნარიანი მოსახლეობა. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის“ პროექტში ვკითხულობთ: „ქვეყანა რადიკალური და სწრაფი ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგა. საქართველოში გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. ამასთან, განხორციელებული რეფორმები ხშირ შემთხვევაში არათანმიმდევრული და სპონტანური იყო. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბის და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს, მისმა სიკეთემ მოსახლეობის დიდ ნაწილამდე ვერ მიაღწია. ჩვენი მთავარი მიზანია ეკონომიკური ზრდის მიერ მოტანილი სიკეთით ისარგებლოს საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ინკლუზიური ანუ საყოველთაო ეკონომიკური ზრდის საფუძველზე (ხაზგასმა ჩვენია – რ.ა.)³⁴.

ასე რომ, საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებითი ცვლილებებია მოსალოდნელი. ვიმედოვნებთ, ეგზოგენური მიზეზები ხელს ვეღარ შეუშლის საქართველოს ეკონომიკის წინსვლასა და განვითარებას, თუ, რა თქმა უნდა, ქვეყანაში ამისათვის იქნება პოლიტიკური ნება.

Rozeta Asatiani

EXOGENOUS AND ENDOGENOUS REASONS FOR THE FAILURE OF REFORMS IN GEORGIA'S ECONOMY

Annotation

The reasons why the reforms failed in Georgia's economy can be divided in two groups: exogenous dictated from the outside and endogenous originating inside. The model of "shock therapy" which was employed in Washington and came to be known with high rate of radicalism laid the foundation to I stage of the transition to market economy which encompassed the years 1991-1995. In Georgia the shock therapy was not followed by therapy. On the contrary, Georgia's production potential was robbed and destructed.

²⁹ **Asatiani R.** Caucasus and Georgian Economy: Post, Present, Prospects. "The Caucasus Region Economic and Political Developments: Bradley C. Ryan Editor. New York, "Nova Science Publishers Inc", 2011.

³⁰ **არჩვაძე ი.** საშუალო ფენა საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური როლი და მნიშვნელობა. „საქართველოს ეკონომიკა“, 2012, №7.

³¹ www.mbg.ge/uploads/depositarycorporeshenqartulad/assets_liabilities_of_commercial_banks_totalgeo.xls

³² საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა კოალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში. თბილისი, თებერვალი, 2009.

³³ www.mof.ge

³⁴ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020 (პროექტი). საქართველოს მთავრობა. ნოემბერი, 2013. გვ. 2.

Ведь, порой, и чернорабочие хорошо трудятся, но, при безусловном уважении к их труду, они ведь не являются учеными и/или вообще творческими деятелями.

Кроме того, важно обратить внимание также на то, что хорошее знание преподаваемого предмета тоже не является показателем научного творчества и не может быть основанием для избрания лица на должность Full профессора. *«Суфлер, – как справедливо пишет известный болгарский ученый, дважды доктор наук Стефан Робев, – лучше всех знает роли в пьесе, но это еще не искусство. Ученый должен проделывать путь там, где еще никто не проходил»* [7, с.154].

Далее он пишет: *«Ученый будь он со степенью или без, ценится единственно по творческой работе, которую выполняет, а не по административно узаконенному месту, которое занимает»* [7, с.154].

И действительно, ибо истинный ученый – это не «попугай» в науке и даже не просто добросовестный работник науки, а, как неоднократно отмечалось мной: Мыслитель – генератор творческих идей и движущая сила прогресса.

Литература

1. Конституция Грузии от 24 Августа 1995 г.
http://firussia.webege.com/countries/georgia/constitution/Georgia_constitution_2.html
2. Закон Грузии «О высшем образовании».
<http://tma.edu.ge/files/files/kanono%20umaglesi%20ganaTlebis%20Sexaxe.pdf>
3. Кураташвили Альфред А. Глубинные проблемы общественных наук в свете мирового экономического кризиса начала XXI века. *Актуальные проблемы общественных наук. Материалы Международной научной конференции* (21-22.12.2009). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2009.
4. Кураташвили Альфред А. *Философско-Политэкономические миниатюры*. Материалы Республиканской научной конференции: «Актуальные проблемы теории» (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: «Мецниереба», 1980.
5. Кураташвили Альфред А. *Проблемы научного творчества* (Размышления по кардинальным проблемам творческого развития общественных наук). Материалы научной конференции: «Наука и общество» (13-14 декабря 1984 г.). Тбилиси: «Мецниереба», 1984.
6. Кураташвили Альфред А. *Революционные пути и механизмы преодоления проблем научного творчества. Актуальные проблемы научного творчества. Материалы Международной научной конференции* (11-12.03.2009). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2009.
7. Робев Стефан. *Цена открытия*. Журнал «ЭКО» Сибирского отделения АН СССР, 1983, № 10.

**CREATIVE DEVELOPMENT OF SCIENCE IS NECESSARY INTELLECTUAL BASIS OF
SOCIAL-ECONOMIC PROGRESS**

Annotation

In scientific work the problem of creative development of science is examined and the walkthrough of present problems is given in the field of social sciences.

Besides, creative development of science is examined as necessary intellectual basis of social-economic progress.

იაშა (იაკობ) მესხია

საქართველოს საბარეო ვაჭრობის ახალი ვექტორის ფორმირება

ქვეყნის საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ფორმირება და განხორციელება მოითხოვს შიდასახელმწიფო-ებრივი და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებისა და პირობების გათვალისწინებას. დღეისათვის განსაკუთრებით ძნელად დასაპროგნოზებელია საგარეო ხასიათის ფაქტორები მათი მაღალი ალბათური ხასიათის გამო. ამას ემატება ისიც, რომ ქვეყანათა ჯგუფები გაწევრიანებულია სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებში, ნაწილი ევროკავშირში, დიდი ნაწილი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში და სხვაგან, რის გამოც არცთუ იშვიათად წარმოიშობა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურების შეჯახება, რაც ართულებს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევას და მათი სტაბილურობის უზრუნველყოფას.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა დიდად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად ვექტორს, რაც განპირობებულია ეროვნული ეკონომიკის დაბალი სასტარტო დონით, ტექნიკურ-ტექნოლოგიური ჩამორჩენილობით და ინვესტიციური რესურსების უკმარისობით.

მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია საგარეო ვაჭრობის ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული რეჟიმი – პროტექციონიზმი და ფრიტრედერიზმი [1]. აქედან საქართველომ უპირატესობა მიანიჭა მეორეს, ანუ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს, რის შედეგადაც დღეისათვის მას გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა [2].

საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკისათვის დამახასიათებელია პრეფერენციული საგარეო-სავაჭრო რეჟიმები. სატარიფო სისტემისა და საბაჟო კავშირების ტექნიკური რეგულირების რეფორმის შედეგად შესაძლებელი გახდა საგარეო ვაჭრობის რეჟიმისა და საბაჟო პროცედურების გამარტივება, საიმპორტო ტარიფების შემცირება და არასატარიფო რეგულირების მინიმუმამდე დაყვანა. საქართველოში 2006 წლიდან მოქმედი 16 საიმპორტო სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0,5 და 12%), ხოლო მთლიანად გაუქმდა ტარიფი საიმპორტო საქონლის თითქმის 85%-ზე. მოიხსნა აგრეთვე სეზონური ტარიფები. საიმპორტო საქონელზე ტარიფი რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით. რაც შეეხება ექსპორტს და რეექსპორტს, ისინი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. რამდენადაც საქართველო 1997 წლიდან ახდენს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი საქართველოდან ამ გადასახადით არ იბეგრება. მოქმედი კანონმდებლობით ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები თანაბარია. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ქვეყნებთან და თურქეთთან, რომლის თანახმად, ვაჭრობა ამ ქვეყნებთან გათავისუფლებულია საბაჟო-საიმპორტო გადასახადებიდან. ამასთან, რუსეთის ფედერაციასა და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, სხვა ქვეყნებიდან განსხვავებით, ითვალისწინებს ამ რეჟიმიდან გარკვეული სახის საქონლის ამოღებას. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებთან მოქმედებს „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი“ (Most-Favored-Nation-MFN). ევროკავშირთან, აშშ-თან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასა და ნორვეგიასთან მოქმედებს პრეფერენციების განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences - GSP), რაც იძლევა ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტზე ტარიფის შემცირებულ განაკვეთის დაწესების საშუალებას [3].

1995 წლიდან საქართველოს მიეცა ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP) სარგებლობის უფლება, ხოლო 1996 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (PCA) და მისი რეალიზაციის მიზნით შეიქმნა შესაბამისი ინსტიტუტები. 2004 წელს საქართველო ჩაერთო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში, ხოლო 2006 წელს მიღებული იქნა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა და მის შესრულებაზე დაწესდა მუდმივი მონიტორინგი. 2005 წლიდან ევროკავშირთან ამუშავდა პრეფერენციების განზოგადებული სისტემის ახალი GSP+ რეჟიმი, რომელიც ვრცელდება 7200 სახეობის პროდუქციაზე და ითვალისწინებს საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებას და ტარიფების ცალმხრივად შემცირებას [3]. 2013 წლის ნოემბერში ვილინგტონში გაფორმდა მემორანდუმი საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოციაციების შესახებ შეთანხმებაზე“ (AA) 2014 წელს ხელმოწერის პერსპექტივით [4]. ამ დოკუმენტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია შეთანხმება „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ“ (DC FTA) [5], რომლის მიზანია ევროკავშირის ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის გამარტივება, სავაჭრო და ეკონომიკური ზრდისადმი ხელის შეწყობა საბაჟო ტარიფებისა და კვტებს მოხსნით, ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა კანონების, ნორმებისა და რეგულაციების ევროკავშირის მოთხოვნებთან დაახლოება და საბოლოოდ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა.

საქართველოს მსოფლიოს 33 ქვეყანასთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, ხოლო 32 ქვეყანასთან ინვესტიციების ურთიერთდაცვისა და წახალისების თაობაზე. ემო-ს წევრ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება “უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის” (MFN) საფუძველზე. საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი: ევროკავშირი, აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია. ემო-ს წევრ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება “უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის” (MFN) საფუძველზე [3].

საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირების განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებსა და პროგრამებში. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება აგრეთვე შავი ზღვის თანამშრომლობის ფორმატში მოქმედ რეგიონულ ორგანიზაციებს: შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (Black Sea Economic Cooperation- BSEC – ბისეკი); სუამი (GUAM)-სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია; დსთ (CIS). 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და მათი დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ, 2009 წელს საქართველომ დატოვა დსთ გაერთიანება, რასაც ხელი არ შეუშლია მასში შემავალ ქვეყნებთან ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებისათვის. ეს უკანასკნელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2013 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ს ქვეყნების წილი (35%) უფრო მაღალი იყო ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით (27%) [6].

უკანასკნელ წლებში რუსეთის ფედერაციის მიერ წამოყენებულ ვერაზიული ეკონომიკური კავშირის შექმნის იდეას მხარი დაუჭირა ბელარუსმა და ყაზახეთმა. ამ სამეულის მონაწილეობით შეიქმნა საბაჟო კავშირი, რომელიც უახლოესი მომავლისათვის მის ეკონომიკურ კავშირად გარდაქმნას ითვალისწინებს, ხოლო უფრო შორეული პერსპექტივისათვის ნავარაუდევია ამ კავშირში შემავალი ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო ინტეგრაცია [7]. საქართველომ და მოლდოვამ მტკიცე უარი უთხრეს ვერაზიის საბაჟო კავშირში გაერთიანებას და ცალსახად გააკეთეს არჩევანი ევროკავშირში ასოცირებული წევრობის სასარგებლოდ. რაც შეეხება სომხეთს, იგი ევრაზიის საბაჟო კავშირში გაწევრიანების მოსამზადებელ რეჟიმშია. მისი სურვილი, ერთდროულად ყოფილიყო ევროკავშირში ასოცირებული და ვერაზიული კავშირის წევრი, უპერსპექტივოა იმ მიზეზით, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება ასეთ ფორმატს დაუშვებლად მიიჩნევა. ამავე დროს სომხეთს ევრაზიის საბაჟო კავშირთან ურთიერთობა მხოლოდ საქართველოს გავლით შეუძლია [8], რაც გარკვეულად ზრდის რუსულ საფრთხეს ჩვენი ქვეყნის მიმართ.

ასევე მძიმე არჩევანის წინაშე დადგა უკრაინა, ხელისუფლების ორიენტაციამ ვერაზიული საბაჟო კავშირისაკენ ქვეყანაში ურთულესი პოლიტიკური პრობლემები შექმნა. არ არის გამორიცხული რუსეთის მხრიდან საფრთხეების შექმნა საქართველოს მიმართაც, თუმცა ევროკავშირის გააქტიურება და ასოცირების შესახებ საქართველოსთან ხელმოწერის დროში დაჩქარება, ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რუმინეთისა და ბულგარეთის მიმართ, სტაბილურობის გარკვეულ გარანტიას იძლევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში სამოქალაქო დაპირისპირებულობის გაღრმავება და დროში გაწვევა სერიოზულ ნეგატიურ გავლენას მოახდენს უკრაინა-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე. საქართველოს სტრატეგიის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წლის მარტში ქვეყნის ექსპორტი უკრაინაში 55 პროცენტით შემცირდა წინა თვესთან შედარებით, ხოლო 2013 წლის ნოემბერთან შედარებით – 71%-ით. უკრაინაში მიმდინარე ნეგატიურმა პროცესებმა გავლენა იქონია უკრაინიდან საქართველოში საქონლის იმპორტზე. მომდევნო თვეებში მოსალოდნელია უკრაინასთან საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირება.

ბოლო წლებში მკაფიოდ იკვეთება საქართველოს საგარეო-სავაჭრო კავშირების გაღრმავება მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით აზერბაიჯანთან, თურქეთთან, სომხეთთან, უკრაინასთან და 2013 წლიდან რუსეთთან. რეგიონში არსებული პოლიტიკური დაპირისპირებულობის მიუხედავად, საქართველო ინარჩუნებს აზერბაიჯანთან და სომხეთთან ისტორიულად ჩამოყალიბებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, რაც დადებითად აისახება ორმხრივი ეკონომიკური კავშირების განვითარებაზე. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს აზერბაიჯანთან ენერგეტიკული უსაფრთხოების, ამიერკავკასიის სატრანსპორტო დერეფნის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისა და ახალი პროექტების განხორციელების მიმართულებით. ყოველწლიურად იზრდება საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მოცულობა საქართველო-სომხეთს შორის. გარდამავალ ეტაპზე დინამიურად იზრდება და ღრმავდება ეკონომიკური, სავაჭრო, სატრანსპორტო და ენერგეტიკული კავშირი თურქეთთან. ასეთივე ზრდის ტენდენცია აქვს საქართველო უკრაინას შორის სტრატეგიულ თანამშრომლობას რეგიონულ სავაჭრო-ეკონომიკურ და ენერგეტიკულ სფეროებში (გამონაკლისია 2014 წლის პირველი კვარტალი).

2013 წლიდან სრულიად ახალი ორიენტირი იკვეთება რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო ურთიერთობის კუთხით. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და სსრკ დაშლის შემდეგ რუსეთთან ეკონომიკური კავშირი არ გაწყვეტილა, მაგრამ 2006 წელს ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობების დაძაბვის შედეგად, რუსეთმა საქართველოდან აგრარული პროდუქტების და მათ შორის ღვინის იმპორტზე ემბარგო გამოაცხადა. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შორის შეიარაღებული კონფლიქტისა და რუსული აგრესიის შედეგად ქართული ტერიტორიების დაკარგვამ და რუსეთთან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტამ მთლიანად შეაჩერა ეკონომიკური ურთიერთობები ამ ორ სახელმწიფოს შორის. 2013 წელს საქართველოში მოსული ახალმა ხელისუფლებამ აიღო კურსი რუსეთთან სავაჭრო კავშირის აღდგენის მიმართულებით, რის შედეგადაც 2013 წლიდან დაიწყო აგრარული პროდუქტის (ღვინის, თხილის, ყურძნის, მსხლის, კომშის, ციტრუსებისა და სხვა) ექსპორტი რუსეთში. ღვინის ექსპორტი 2013 წელს გაორმაგდა ძირითადად რუსული ბაზრის გახსნის შედეგად, ხოლო მინერალური წყლის ექსპორტი 80.1%-ით გაიზარდა და 2013 წელს 106.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა [6].

საყურადღებოა, რომ 2013 წლიდან იკვეთება საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ახალი ორიენტირები, რაც, ერთი მხრივ, ვლინდება ქვეყნის 5 უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნის ადგილის რიგითობის ცვლილებაში, ხოლო მეორე მხრივ, იმპორტთან შედარებით ექსპორტის უფრო მაღალი ტემპებით ზრდაში. 2013 წელს ექსპორტი წინა წელთან შედარებით 22%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი – 0,4%-ით. საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა პირველ ხუთეულში კვლავ ლიდერობს თურქეთი, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი, მესამე ადგილზეა უკრაინა, ხოლო მეოთხე და მეხუთე ადგილზე პირველად გადმონაცვლეს შესაბამისად რუსეთმა და ჩინეთმა. მსხვილ პარტნიორებთან საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი გააჩნია, გამოწვევისა მხოლოდ აზერბაიჯანი მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის ხარჯზე. უკრაინაში ექსპორტი გაიზარდა 15,4%-ით, იმპორტი – 1%-ზე ნაკლებად. საგარეო სავაჭრო ბრუნვა რუსეთთან, გაიზარდა 33%-ით, ძირითადად ექსპორტის 4-ჯერ ზრდის ხარჯზე, იმპორტი კი გაიზარდა 24%-ით [6].

2013 წელს შეიცვალა საქსპორტო სასაქონლო ჯგუფის სტრუქტურა. პირველი ადგილი დაიკავა მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტმა, შემდეგ მოდის ფეროშენადნობი, თხილი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, აზოტოვანი სასუქები, ღვინო, მინერალური წყალი, არადენატურიებული ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები, ოქრო დაუქუშავებელი ან ნახევრადდაუქუშავებული და ა. შ.

მსხვილ საიმპორტო სასაქონლო ჯგუფში წინა წლებთან შედარებით 2013 წელს ცვლილებები არ მომხდარა. პირველ ადგილზე ისევ ნავთობი და ნავთობპროდუქტები დარჩა (12,1%), შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები (9%), ნახშირწყალბადები (3,8%), სამკურნალო საშუალებები (3,6%), ხორბალი (2,3%), სატელეფონო აპარატები ფიჭური ან სხვა უსადენო ქსელებისთვის (1,9%), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (1,4%), სიგარეტი (1,2%); გამოთვლელი მანქანები და მათი ბლოკები (1,1%), სატვირთო ავტომობილები (1%) [6].

2013 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობაში საკმაოდ პოზიტიური სურათი გამოიკვეთა. კერძოდ, განსხვავებით წინა წლებისაგან, როდესაც იმპორტი გაცილებით უფრო სწრაფად იზრდებოდა ვიდრე ექსპორტი [14], 2013 წელს საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში გაიზარდა 72 პროცენტით, ხოლო იმპორტი მხოლოდ 7 პროცენტით. ამის შედეგად, ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო დეფიციტი 2012 წლის 38%-დან 2013 წელს შემცირდა 33%-მდე [6], რაც მნიშვნელოვანი პოზიტიური მაჩვენებელია. საქართველოს საქსპორტო პროდუქციის მოცულობის ზრდის ტენდენციის ჩამოყალიბება და შენარჩუნება უნდა გახდეს საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულების შედეგიანობის ამაღლები მნიშვნელოვანი გარანტი.

საგარეო-ეკონომიკურ კავშირებზე ხელშეკრულებების ოფიციალური გაფორმება თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ მათი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით გამოყენება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამის ცუდ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მოუშვებლად გაწვევრიანება, რამაც არსებითი სარგებელი არ მოუტანა საქართველოს ეკონომიკას, პირიქით, ხელი შეუწყო აგრარული სექტორის დაქვეითებას და მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყნის სავაჭრო ბალანსის დეფიციტი. გამომდინარე აქედან, საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმის პროგნოზირებაზე, თუ რა გავლენას მოახდენს ახალი საგარეო-სავაჭრო ინიციატივები მომავალში ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე. საჭიროდ მიგვაჩნია ხელისუფლების ძალისხმევით გააძლიერება ორი მიმართულებით: პირველი, ხელისუფლებამ ბიზნესთან ერთად უნდა შეიმუშაოს მოსახლეობის სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების ადილობრივი რესურსებით წარმოების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რათა იმპორტირებულ პროდუქტს ჩაენაცვლოს ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანი საქონლი და მომსახურება. მეორე, ასევე ხელისუფლებამ ბიზნესთან ერთად შეიმუშაოს საქსპორტო საქონლისა და მომსახურების წარმოების განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა, რაც უზრუნველყოფს სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირებას. შესაძლებელია ამ ორივე პროგრამის ერთ კომპლექსად წარმოდგენაც. ამ კუთხით ახალმა ხელისუფლებამ გარკვეული პოზიტიური ღონისძიებები გაატარა (სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, თანაინვესტირების ფონდი, მეღვინეობისა და მეცენტრუსეობის მხარდაჭერა, იაფი სესხების პროგრამა, კანონის მიღება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ და სხვა), მაგრამ მათი უმეტესი ნაწილი ეპიზოდური ხასიათისაა და ეფექტიანობა ნაკლებად იგრძნობა, რაც ნათლად ჩანს უმუშევრობის არსებული მაღალი დონის შენარჩუნებაში. როგორც ჩანს, ამ კუთხით საჭიროა აგრესიული, თამამი და არაორდინარული პოლიტიკის გატარება. საჭიროა ისეთი რეფორმების გატარება, რომელიც ორიენტირებული იქნება მუდვიო სამუშაო ადგილების შექმნაზე და არა ერთჯერად დახმარებებზე ან კიდევ არაეკონომიკური დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე. ამ მიზნით სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ეკონომიკური ბერკეტები: საგადასახადო შეღავათები, საბიუჯეტო იაფი სესხები, სახელმწიფო ინვესტირება, მეთოდურ-ტექნიკური დახმარებები და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა ვლ. არატრადიციული ეკონომიკის, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
2. საგარეო ვაჭრობა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
<http://www.economy.ge/ge/economic-sectors/trade>
4. პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში.
http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/political_relations/index_ka.htm
5. GEORGIA: MOVING TOWARDS DCFTA.
http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/trade_relation/agreements/index_ka.htm
6. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2013 წელს, <http://www.geostat.ge/?action=wnews&lang=geo&npid=280>

7. Dragea R., Wolczuk K., Russia, the Eurasian Customs Union and the EU: Cooperation, Stagnation or Rivalry? Chatham House. Briefing Paper. 2012. <http://www.chathamhouse.org/publications/papers/view/185165>

8. Minasyan S., 2013. Armenia and Georgia: A New Pivotal Relationship in the South Caucasus? PONARS Eurasia Policy Memo No. 292.

Iasha (Jacob) Meskhia

FORMATION OF A NEW VECTOR IN FOREIGN TRADE OF GEORGIA Annotation

The volume of foreign trade turnover of Georgia is growing every year, although the trade balance is significantly deficient. Since 2013, foreign trade has been a new vector where the key factors are signing an association agreement between Georgia and the European Union, the restoration of trade relations with Russia and the transfer of trade intensity on the neighboring countries of Georgia. Created in the world difficult economic situation poses the problem of increasing economic security of Georgia. To do this, we need to strengthen public support for the business, which produces export goods and the products of the consumer basket. Overcoming the trade deficit and employment should be a major landmark foreign policy of Georgia.

ელეგუჯა მექიაშვილი

ეკონომიკური განვითარების კრიოტიკული პოსტკრიზისულ პერიოდში

მესუთე წელია გრძელდება გლობალური ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის რთული, წინააღმდეგობრივი, ნელი პროცესი და სახეზეა პირველი პოზიტიური ტენდენციები. პოსტკრიზისული პერიოდის სირთულეები უმთავრესად განპირობებული იყო ევროს პრობლემებით და რეცესიით, რომელიც მიმდინარეობდა ევროპის ქვეყნებში: საბერძნეთში, იტალიაში, ირლანდიაში, ესპანეთსა და პორტუგალიაში. გლობალური კრიზისის შედეგების დაძლევა ხელს უშლიდა ჩინეთში ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება. სამაგიეროდ, პროგნოზირებულზე მაღალი იყო ზრდის ტემპი აშშ-ში, რომელიც კრიზისიდან გლობალური ეკონომიკის გამოყვანის „ლოკომოტივად“ მოგვევლინა. ეს გარემოებები პარადოქსულად შეიძლება ჩაითვალოს იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ აშშ-ს იოთექსურ ბაზარზე განვითარებულმა კრიზისმა დაუდო სათავე 2007-2008 წლების გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს. აშშ-ში დაფიქსირებულ ეკონომიკურ ზრდას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველი, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გზით ენერჯის უფრო იაფი წყაროების მოხმარებაზე გადასვლა; მეორე, კრიზისის პერიოდში ხელფასების შეზღუდვის ეფექტის მოქმედება; მესამე, ფედის მიერ მასტიმულირებული მონეტარული პოლიტიკის გატარება. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური ეკონომიკის პოსტკრიზისული ზრდის ტემპი რამდენადმე ჩამორჩება კრიზისის წინა პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. კერძოდ: მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპი 2005-2008 წლებში საშუალოდ შეადგენდა 4,5%, 2010-2013 წლებში კი – 3,8%; განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში შესაბამისად: 2,3% და 1,8%, ევროკავშირში – 2,5% და 0,9%; იაპონიაში ადგილი ჰქონდა ზრდას 1,3%-დან 2,1%-მდე, აშშ-ში – 1,9%-დან 2,2%-მდე, ჩინეთში ზრდის ტემპი შემცირდა 11,4%-დან 8,7%-მდე; ინდოეთში – 8,0%-დან 5,9%-მდე; ბრაზილიაში – 4,6%-დან 4,4%-მდე (გაანგარიშებულია ჩვენ მიერ IMF-ის და WB-ის მონაცემების საფუძველზე).

ასევე უნდა აღინიშნოს, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი საინტერესო მომენტი: პოსტკრიზისული ეკონომიკური განვითარება ჯერჯერობით მიმდინარეობს ახალი პარადიგმის ჩამოყალიბების გარეშე, რითაც დღევანდელი სიტუაცია განსხვავდება მეოცე საუკუნის 1930-ანი და 1970-1980-ანი წლების რეალობისაგან. მაშინ აუცილებელი გახდა პარადიგმის, ანუ ეკონომიკური განვითარების მთავარი თეორიული მოდელის არსებითი შეცვლა და მის ჩარჩოებში შემდგომი პროცესების წარმართვა.

შეინიშნება პოსტკრიზისული მსოფლიოს ახალი კონტურებიც, რაც გამოიხატება ახალი გეოეკონომიკური, გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული ბალანსების, ტექნოლოგიური პრიორიტეტების, ეკონომიკური რეგულირების ახალი დოქტრინის, ფორმებისა და მეთოდების ჩამოყალიბების პერსპექტივაში. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ადგილი აქვს მრეწველობის როლის გააქტიურებას, რომელსაც „რეინდუსტრიალიზაციას“ უწოდებენ [1; 7]. აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ძველ ინდუსტრიულ სისტემაზე დაბრუნებას. იგი მოასწავებს ახალი დარგების აღმოცენებას, რომლებსაც ახასიათებს წარმოების დანახარჯებში შრომის ხვედრითი წილის შემცირება და ისეთი ფაქტორების როლის ამაღლება, როგორცაა: წარმოების სიახლოვე საკვლევ ბაზებთან და წარმოებული პროდუქციის ძირითად მომხმარებელ რეგიონებთან; ენერჯის გაიაფება, რომელიც დაკავშირებულია მისი მოპოვებისა და ტრანსპორტირების საშუალებათა სრულყოფასთან; რეგულირების როლის ამაღლება, რომელიც პირველ რიგში ეხება ფინანსურ სექტორს როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე. ეს უკანასკნელი გარემოება ჩვენ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის გათვალისწინებით, რომ გლობალიზაციის ეპოქის კრიზისები უპირატესად ფინანსური ხასიათისაა. დღესაც არსებობს არა მხოლოდ მოლოდინი, არამედ გამოხატული ნიშნები იმისა, რომ გრძელდება რეალური სექტორიდან ფინანსურ სექტორში უზარმაზარი რესურსების „გადაქანა“ და ვიგანტური ფინანსური ბუშტების გაბერვა. ზემოთხსენებულ მსოფლიო ეკონომიკაში ისევ დაეხეტება „ცხელი“, ანუ სპეკულაციური ფულის კოლოსალური მასა. კერძო ბიზნესი კვლავ ამჟღავნებს ცალმხრივ და ანგარებიან დამოკიდებულებას მოგება-ზარალის კატეგორიების მიმართ: „მოგება – კერძო ბიზნესს, ზარალი – სახელმწიფოს“. ამით იკვება ვიგანტური გარემო, რომელშიც კრიზისიდან დაზარალებული ყოველთვის გადასახადების რიგითი გადაამსდელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში უადრესად აქტუალურია შემდეგი კითხვა – სახელმწიფოს ეკონომიკური როლის სარგებობი გაძლიერება, რასაც გლობალური ფინანსურ-

ეკონომიკური კრიზისის დროს ჰქონდა ადგილი, ესტრემალური გარემოებებით ნაკარნახევი აუცილებლობა იყო თუ იგი გრძელვადიანი პოსტკრიზისული ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებაა? მიგვანჩნია, რომ ახალი პარადიგმა, რომლის ჩარჩოში უნდა წარიმართოს ეკონომიკური პროცესები არა მხოლოდ პოსტკრიზისულ, არამედ უფრო გრძელვადიან პერიოდშიაც, ერთ-ერთ პრიორიტეტად გულისხმობს სწორედ სახელმწიფოს მიერ აქტიური ეკონომიკური როლის შესრულებას. ამის საფუძველზე იქნება შესაძლებელი როგორც მოსალოდნელი კრიზისების პროგნოზირება და პრევენცია, ისე კრიზისის დადგომის შემთხვევაში მისგან მინიმალური დანაკარგებით გამოსვლა.

ახალი პარადიგმის მთავარი არსი, ჩვენი აზრით, უნდა მდგომარეობდეს თანამედროვე მსოფლიო (გლობალური) ეკონომიკის **ენტროპიული** (განვითარება წინააღმდეგობათა დაგროვებისა და კრიზისების გზით) მოდელიდან **სინერგიულ** მოდელზე გადასვლაში. ეს უკანასკნელი უნდა დაეფუძნოს შემდეგ თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრინციპებს (პოსტულატებს):

- დიქტომია-მონეტარიზმი თუ კეინზიანელობა? დერეგულირება თუ ღირიჟიზმი? უნდა შეიცვალოს მათი სინთეზით;

- უნდა ჩამოყალიბდეს ეკონომიკის მეგა, მაკრო და მიკრო დონეზე რეგულირების ახალი იდეოლოგია, მექანიზმი მოდულები და ფორმები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იქნება დისპროპორციების აღმოფხვრისაკენ;

ა) ფინანსურ (უპირატესად ვირტუალურ) და რეალურ ეკონომიკას შორის;

ბ) ფინანსურ ინოვაციებსა და მათი კონტროლის მექანიზმებს შორის;

გ) დანაზოგებსა და მოხმარებას შორის;

ამ ბოლო თვალსაზრისით, განსაკუთრებით აშშ-ს მოქალაქეები გამოირჩევიან, რომელთა ხვედრითი წილი გლობალურ მოხმარებაში დაახლოებით 25%-ს შეადგენს. ისინი სამჯერ მეტს მოიხმარენ, ვიდრე ჩინელები და ინდოელები და საკუთარი წმინდა შემოსავლის 15%-მდე მეტს ხარჯავენ მხოლოდ კრედიტზე დარიცხული პროცენტების გადახდაზე, რაც ასევე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. დანაზოგებთან დაკავშირებით კი ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი გრ. მენქიუ ერთგვარი სინანულით შენიშნავს, რომ ამერიკელები გაცილებით ნაკლებს ზოგავენ გერმანელებთან, ფრანგებთან ან იაპონელებთან შედარებით [2; 535].

დ) მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებსა და ქვეყნებში მოსახლეობის შემოსავლების დონეთა შორის;

- ფინანსური ოლიგარქიის ამჟამინდელი საყოველთაო და განუყოფელი ბატონობა უნდა შეიცვალოს „სამეწარმეო კაპიტალიზმის“ პრიორიტეტით. კაპიტალიზმის ფინანსური და სამეწარმეო მოდულების დიქტომია იმ ისტორიულ დაპირისპირების გაგრძელებაა თანამედროვე პირობებში, რომელიც არსებობდა ვენეციურ სავაჭრო ფინანსურ კაპიტალსა და ფრანგულ-ინგლისურ ანტიკარენიორულ (სამეწარმეო) კაპიტალს შორის. ბანკები და მთლიანად ფინანსური სისტემა უნდა ემსახურებოდეს ინოვაციური ტიპის მეწარმეობის განვითარების ინტესურებს;

- სხვადასხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების (დერივატივები, სვოპები, ვარანტები, ფიუჩერსები და ა.შ.) გამოყენებაზე ფართოდ დამყარებული „მომავლის ექსპლუატაციის“ ეკონომიკა უნდა შეცვალოს თაობათა შორის ინტერესთა დაბალანსებისა და ჰარმონიის უზრუნველყოფელმა ეკონომიკამ;

- ეკონომიკური განვითარების სოციალური ორიენტაცია უნდა გაძლიერდეს და მომზადდეს საფუძველი პოსტეკონომიკური ფასეულობების პრიორიტეტებზე დამყარებული სისტემის შესაქმნელად.

პოსტკრიზისული და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ახალი პარადიგმა გულისხმობს პრინციპული ხასიათის ცვლილებებს მიკროეკონომიკურ დონეზეც, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია **თანამედროვე ტექნოლოგიურ გამოწვევებთან**. ცნობილია, რომ 1930-იანი წლების „დიდ დეპრესიას“ შედეგად მოჰყვა მანქანური ინდუსტრიის ფართო გაერცვლება. 1970-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელსაც დასაბამი მისცა ენერგეტიკულმა კრიზისმა, განაპირობა რესურსდამზოვი ტექნოლოგიების, მიკროელექტრონიკის, კომპიუტერული სისტემების პირველი თაობის და ა.შ. პრაქტიკაში დამკვიდრება. 2007-2008 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, ვფიქრობთ, გახდება მეხუთე ტექნოლოგიური წყობიდან მეექვსეზე გადასვლის ძლიერი კატალიზატორი.

პოსტკრიზისული და მომდევნო პერიოდების ეკონომიკური განვითარება გულისხმობს არა მხოლოდ ახალი, უფრო პროგრესული და ეფექტიანი ბიზნესის ფორმების დამკვიდრებას, არამედ ასპარეზიდან ძველი, ჩამორჩენილი და ნაკლებად ეფექტიანი ბიზნესის გაქრობასაც. თუკი ეს უკანასკნელი სახელმწიფოდან მიიღებს დახმარებას (სუბსიდიებს, დოტაციებს და ა.შ.), ამით იგი ხელოვნურად გაიხანგრძლივებს სიცოცხლეს და შეაფერხებს ეკონომიკურ-საზოგადოებრივ პროგრესს. აღნიშნული უმნიშვნელოვანესი კანონზომიერება საფუძველიანად არის შესწავლილი აკად. ვ. პაპავას მიერ [3; 5-26]. რესურსებზე ფირმების მოთხოვნა პირდაპირ უნდა „მიებას“ მათი ტექნიკური გადაიარაღების უპირობო ვალდებულებას. საქართველოს ეკონომიკაში ტექნოლოგიური გადაიარაღებისა და ინოვაციებისადმი მისწრაფებას ამჟამად აფერხებს ზოგიერთი სახის ბიზნესის მონოპოლიური მდგომარეობა და ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებთან მათი სიახლოვე, რაც წარმოადგენს მათი მონოპოლიური ძალაუფლების წყაროს. აუცილებელია კონკურენტული გარემოს, როგორც ინოვაციური აქტიურობის ხელშემწყობი ფაქტორის უზრუნველყოფა.

პრინციპულადაა შესაცვლელი ფირმების (კომპანიების) მენეჯერთა სტიმულირების მოქმედი წესი, რომელიც წინა პლანზე აყენებს მესაკუთრე-აქციონერთა ინტერესებით ნაკარნახევ კაპიტალიზაციის ზრდის ამოცანებს და ნაკლებ ყურადღებას აქცევს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, შრომის მწარმოებლურობის ზრდის გრძელვადიან მიზნებს. აღნიშნულ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული დისკუსია ტრამპეჯერთა ბონუსებთან დაკავშირებით. ანაზღაურებისა და სტიმულირების ახალმა მექანიზმმა (წესმა) უნდა უზრუნველყოს მენეჯერთა საქმიანობის პირდაპირი და უშუალო ორიენტირება სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაზე.

ბუნებრივია, ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელის რეალიზება ბევრ სირთულეებსა და წინააღმდეგობებთან იქნება დაკავშირებული, კერძოდ:

- ტექნოლოგიური გადაიარაღება და სტრუქტურული მოდერნიზაცია წარმოშობს ალტერნატივას უმუშევრობის დონის შესაძლო გაზრდასა და სტრუქტურულ-ტექნოლოგიურ ცვლილებებს შორის;

– საბიუჯეტო ექსპანსიის გაძლიერება, რომელიც ყოველთვის წარმოიშობა კრიზისის შემდეგ. ამ აქტიურობის ნაადრევმა შეწყვეტამ შესაძლებელია გამოიწვიოს რეცესია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1930-იან წლებში. ამასთანავე, ეკონომიკაში ჭარბი რაოდენობით ფულის შედინება სტაგფლაციის შესაძლებლობას ქმნის, რაც 1970-იანი წლების ეკონომიკური სიტუაციისთვის იყო ნიშანდობლივი;

– ეკონომისტთა გარკვეული ჯგუფი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებაში „დიდი სახელმწიფოს“ იდოლოგიის აღორძინების საფრთხეს ხედავს: „სახელმწიფო რეგულირება თავად არის სისტემური რისკების მატარებელი“ – აღნიშნავს მკვლევარი ჯ. ტეილორი [4; 29].

ზემოაღნიშნული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები, რა თქმა უნდა, არსებობს და მათი იგნორირება დაუშვებელია. მათი ერთობლიობა ხაფანგის სახით შეიძლება განვიხილოთ ეკონომიკური განვითარების პრინციპულად ახალი მოდელის იმპლემენტაციის გზაზე. თუმცა აღნიშნული არაერთარ შემთხვევაში არ გამორიცხავს პოსტკრიზისულ და უფრო გრძელ პერიოდში ახალი პარადიგმის სასიცოცხლო აუცილებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. В. Мау. В ожидании новой модели роста: социально-экономическое развитие России в 2013 годы. // Вопросы Экономии, N2, 2014.
2. გრ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბ., „ლიოგენე“, 2008.
3. ვლადიმერ (ლადო) პაპავა. ნეკროეკონომიკის ზომბირება. თბ., 2010.
4. Taylor J. Exploding Debt Threatens America – The Financial Times. May 27, 2009.

Elguja Mekvabishvili

ECONOMIC DEVELOPMENT PRIORITIES IN THE POST-CRISIS PERIOD

Annotation

The article has analyzed the five-year period after the deep financial crisis of 2007-2008. Noted, that overcoming the crisis relapse was going difficult and slow. To outcome from the crisis was contributing some recovery of the U.S. economy, but preventing the problems of the euro zone.

Along with short-term anti-crisis measures, in the article is questioned the need to ensure long-term stable development of contemporary world economy, based on a fundamentally new paradigm and are offered some of its characteristic features.

*სოლომონ პავლიაშვილი
დავით გუბელაძე*

საქართველოში აბრტუზიზმის დაბრუნება მდგრადი განვითარების კონტინენტში

ტურიზმის ინდუსტრია ქმნის სამუშაო ადგილებს, ზრდის შემოსავლებს და შემონატანებს უცხოურ ვალუტაში, ახდენს კაპიტალდაბანდების სტიმულირებას, ქმნის მცირე და მსხვილი საწარმოების განვითარების შესაძლებლობებს. ხელს უწყობს ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარებას.

საქართველოში ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება უნდა მოხდეს მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით:

- ეკოლოგიური მდგრადობა უზრუნველყოფს საბაზო ეკოლოგიური პროცესების, ბიომრავალფეროვნების და ბიოლოგიური რესურსების ერთობრივ განვითარებას;

- სოციალური და კულტურული მდგრადობა უზრუნველყოფს ისეთ მდგრადობას, რომლის დროსაც ადამიანების ცხოვრება, მათი ერთობრივი კულტურა და ღირებულებები ყოველმხრივ დაცულია და როცა კულტურული თვითმყოფადობა კიდევ უფრო მტკიცდება;

- ეკონომიკური მდგრადობა უზრუნველყოფს განვითარების ეკონომიკურ ეფექტურობას, როცა რესურსების გამოყენების არჩეული მეთოდი იძლევა ამ რესურსების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნების გარანტიას.

- მდგრადი ტურიზმი ხელს უწყობს ტურიზმის ბუნებაზე, კულტურასა და სოციალურ სფეროზე გავლენის გზების უკეთ გაგებას.

- მდგრადი ტურიზმი უზრუნველყოფს შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიან განაწილებას. ტურიზმი ქმნის სამუშაო ადგილებს როგორც ადგილობრივ ტურიზმის სექტორში, ისე მომიჯნავე სექტორებშიც.

- ტურიზმი იწვევს მომგებიანი შიდა დარგების: სასტუმროებისა და განთავსების სხვა საშუალებების, რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სატრანსპორტო სისტემების, ხალხური რეწვის და საექსკურსიო- ინფორმაციული საქმის სტიმულირებას.

- ტურიზმი ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის მოზიდვას, უზრუნველყოფს კაპიტალდაბანდებებს ადგილობრივ ეკონომიკაში, ახდენს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას;

- მდგრადი ტურიზმი ითვალისწინებს დაგეგმვას და ზონირებას, რაც უზრუნველყოფს ეკოსისტემიდან გამომდინარე ტურისტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას.

- ტურიზმი ახდენს ადგილობრივი საბაზო ინფრასტრუქტურის: ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციების და სხვა საბაზო სისტემების სტიმულირებას.

- ტურიზმი ქმნის რეკრეაციულ ობიექტებს, რომლითაც სარგებლობენ ადგილობრივი მოსახლეობა, აგრეთვე შიდა და საერთაშორისო ტურისტები. ტურიზმისთვის ხდება ადგილობრივი კულტურის ძეგლების, არქეოლოგიური გათხრების, ისტორიული ნაგებობების დაცვის ფინანსირება.

- ეკოლოგიური ტურიზმი ხელს უწყობს არასასოფლო-სამეურნეო მიწების პროდუქტიულად გამოყენებას, რაც, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა დიდ ფართობებზე იქნეს შენარჩუნებული ბუნებრივი ფლორა და ფაუნა.
- კულტურული ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის თვითშეგნების გაღრმავებას და იძლევა საფუძველს, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ადამიანი მეტად უკეთ უგებენ ერთმანეთს ტურიზმის მეშვეობით დამყარებული მჭიდრო კონტაქტების გამო.
- ეკოლოგიურად მდგრადი ტურიზმი წარმოაჩენს ბუნებრივი და კულტურული რესურსების უდიდეს მნიშვნელობას საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში და ხელს უწყობს მათ დაცვას.

- მდგრადი ტურიზმის ფარგლებში ადგილი აქვს ტურიზმის განვითარების კონტროლს, ანალიზს და პროცესების გეგმიურ მართვას, პრაქტიკაში ინერგება გარემოს მდგომარეობის მკონტროლებელი საიმედო მეთოდები და მიიღება სწრაფი ზომები არსებული ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად.

ტურიზმის ინდუსტრია ქმნის სამუშაო ადგილებს, ზრდის შემოსავლებს და შემონატანებს უცხოურ ვალუტაში, ახდენს კაპიტალდაბანდების სტიმულირებას, ქმნის მცირე და მსხვილი საწარმოების განვითარების შესაძლებლობებს. იგი ხელს უწყობს ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარებას. საერთაშორისო ტურიზმი, ანუ ადამიანების მოგზაურობა უცხო ქვეყნებში არის მსოფლიო ვაჭრობაში არსებული სამი ძირითადი მიმართულებიდან ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. შიდა ტურიზმი, ანუ მოქალაქეთა ერთი ქვეყნის ფარგლებში მოგზაურობა, საერთაშორისო ტურიზმის მოცულობას 10-ჯერ აღემატება, სამაგიეროდ, ადგილობრივი ტურისტების მიერ მოგზაურობისას დახარჯული თანხები საერთაშორისო ტურისტების დანახარჯებს მხოლოდ 7-ჯერ. ტურიზმი წარმოადგენს კომპლექსურ სისტემას და იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთკავშირი. მოთხოვნა თავის თავში მოიცავს შიდა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებს. მიწოდება შედგება ტურისტული ობიექტებისაგან, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და იქ გაწეული მომსახურებისაგან, სატრანსპორტო საშუალებებისაგან, ღირსშესანიშნაობებისა და დასვენების ფორმებისაგან, აგრეთვე სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობისაგან. ხშირად იმავე მომსახურებით, ინფრასტრუქტურით, ღირსშესანიშნაობებით სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობა. საერთაშორისო ტურისტული მოგზაურობების სამი მეოთხედი მოდის მეზობელ ქვეყნებზე, ანუ ადამიანები არჩევენ სამოგზაურო ქვეყნებს გეოგრაფიული სიახლოვის მიხედვით. დაახლოებით 60% საერთაშორისო ტურისტებისა მოგზაურობენ დასვენების მიზნით, 30%- საქმიანი (ბიზნეს) მიზნებით, დანარჩენებს კი სხვადასხვა მიზნები გააჩნიათ.

ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა ყველა პირობას უქმნის სტუმარს სასიამოვნო ოჯახური დასვენებისათვის სოფლად. თანამედროვე ცივილიზაციის ხმაურს გარიდებულ დამსვენებელს ელის ხელშეუხებელი ბუნება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, მრავალფეროვანი ლანდშაფტები, ტრადიციული აგრომეურნეობები და თბილი ოჯახური ატმოსფერო. სოფლად დასვენებისას სტუმრები ეცნობიან ადგილობრივი მოსახლეობის ყოფას, საუკუნოვან ტრადიციებსა და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს; აგემოვნებენ ორგანულ საკვებსა და ოჯახურ კერძებს.

სასტუმრო სახლები და აგროტურისტული მეურნეობები მდებარეობს საქართველოს შვიდ რეგიონში, კერძოდ: კახეთში, თუშეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურიაში, აჭარასა და რაჭა-ლეჩხუმში და ყოველი მათგანი დატანილია რეგიონის ტურისტულ რუკაზე.

დასკვნები

აგროტურისტული პროდუქტი საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე უნდა გაიტანონ უპირატესად ტურისტულმა ფირმებმა, რადგან სოფლის მოსახლეობას ჯერჯერობით არა აქვს პირდაპირი მარკეტინგის, უცხოეთში რეკლამის დაფინანსების ან ინტერნეტით პროდუქტის გაყიდვის საშუალება.

1. აუცილებელია აგროტურისტული პროფილის ტუროპერატორის არსებობა. თანახმად არსებული პრაქტიკისა, ქართული ტურისტული ფირმების უმრავლესობა უნივერსალურობისაკენ მიისწრაფვის. მათ არ გააჩნიათ სურვილი ერთი რომელიმე სეგმენტის სპეციალისტად იწოდებოდნენ, რაც ხელს უშლის პროფესიონალიზმს და შესაბამისად ტურისტული პროდუქტი საერთაშორისო ბაზარზე მოუზადებელი გადის. მოუზადებლობაში ვეულისხმობთ უცხოელი ტურისტის მოთხოვნილებების არასრულყოფილად ცოდნას, რის გამოც მიწოდებული პროდუქტი არ შეიცავს მოსალოდნელ მომსახურებას.

2. აგროტურისტული პროდუქტი უნდა იყოს იაფი, რადგან ძირითადი მოტივაცია სოფლის ტურიზმისა არის იაფად, ნაკლები კომფორტით, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა და სასიამოვნო გარემოში დასვენება. ეს გარემოება განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს პირობებში, რადგან დამწვები ბიზნესმენები გატაცებულინი არიან მაღალპროცენტიანი მოგების მიღებით.

3. აგროტურიზმისათვის შერჩეულ სოფლებში უნდა ჩატარდეს საინფორმაციო-სააგიტაციო სამუშაოები ტურიზმის როლისა და ადგილის შესახებ ადგილობრივ დონეზე. უნდა მოხდეს სოფლის მოსახლეობის და მმართველობითი რგოლის მომზადება ტურისტების მისაღებად.

4. აგროტურიზმისათვის სოფლებისა და სოფლებში კონკრეტული მასპინძლის შერჩევისათვის ტურისტულ ფირმებს უნდა ჰქონდეთ აუცილებელი პირობების ჩამონათვალი, რომელთა დაკმაყოფილების შემდეგ კონკრეტული სახლი შევა განთავსების საშუალებათა ნუსხაში. ეს პირობებია: ადგილის უსაფრთხოება, ლამაზი ბუნება და ლანდშაფტი: ტყის, მდინარის, ტბის ან სამკურნალო წყლის არსებობა; სასურველია გლეხის კარმიდამოს გააჩნდეს ეროვნული სახე და ინფრასტრუქტურის შემდეგი ელემენტები: ცალკე საძინებელი, საშხაპე და ტუალეტი. მასპინძლის ოჯახში კვების საშუალება, უცხოელი ტურისტები დიდ ყურადღებას აქცევენ სოფლებში ისტორიული ძეგლებისა და სხვა ღირსშესანიშნაობის არსებობას, საცხოვრებლის სიახლოვეს რესტორნის, ტავერნის ან ეროვნული კერძების სამზარეულოს არსებობას.

5. გამოცდილების უქონლობის გამო სირთულეს წარმოადგენს აგროტურისტებისათვის სპეციალური პროგრამის შედგენა, რომელშიც გასათვალისწინებელია შემდეგი: სოფელში დამსვენებლები ძირითადად 2-4

კაციანი უცხოელთა ოჯახებია. მათთვის დასვენების ორგანიზაციებისათვის გასათვალისწინებელია შეთავაზებები ოჯახის თითოეული წევრისათვის ცალ-ცალკე: მამაკაცისათვის ეს შეიძლება იყოს ნადირობა, თევზაობა, ცხენით ჯირითი, თიბვა ქართველ მასპინძელთან ერთად. დიასახლისისათვის ქსოვა, ქარგვა, კერძების მომზადება. სასურველია ბავშვებიანი ოჯახის ჩამოსვლის შემთხვევაში მასპინძელ ოჯახში იყოს დაახლოებით იმავე ასაკის ბავშვები. უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასპინძლების მიერ საკომუნიკაციოდ აუცილებელი უცხო ენის ცოდნას.

6. საინფორმაციო-სარეკლამო მასალების დამზადება უნდა მოხდეს საზღვარგარეთული ანალოგების გათვალისწინებით (კვიპროსი, ბულგარეთი და სხვ.), როგორც წესი, სოფლის ტურიზმის სარეკლამო მასალები უხვად არის ილუსტრირებული გლეხის კარ-მიდამოს ამსახველი ფერადი ფოტოებით, მიმღები რაიონის შესახებ ვრცელი ინფორმაციით, განსაკუთრებით, ადამ-წესებისა და ტრადიციების შესახებ, აგროტურისტული პროდუქტის გასაღების ერთ-ერთი საშუალებაა სპეციალიზებული ბაზრობები, აგრეთვე ის ბაზრობები, სადაც მომხმარებლები ჭარბობენ პროფესიონალებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. მეტრეველი, "ტურიზმი", 2003.
2. ვ. შუბლაძე, „ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში“, ჟურნალი „ფინანსები“, 2004, კვლევითი დეპარტამენტი.
3. Ecotourism A Sustainable Option? Erlet Cater, Univeristy of Reading, UK 1994 .
4. Ceballos Lascurain, H., 1992, Tourists for conservation, People and the Planet.
5. Butler, R., 1980, The concept of a tourism area cycle of evolution, Canadian Geographer.
6. Steele, P., 1993, The economics of eco-tourism, In Focus.
7. Drake, S. P., 1991, Local participation in ecotourism projects, in Whelan, T. (ed.) Nature Tourism, Island Press, Washington.

*Solomon Pavliashvili
David Gubeladze*

PLANNING OF AGRO TOURISM IN GEORGIA IN THE CONTEXT OF SUSTAINABLE DEVELOPMENT Annotation

Extract of the article the sustainable tourism provides fair distribution of incomes and expenses.

Products of agro tourism should be exported to international market mainly by tour agencies because the population can not afford direct marketing, financing the advertisement abroad or purchasing products on the internet. The existence of tour operator is necessary.

Agro tourist product should be affordable because main motivation of rural tourism is a relaxation with less comfort but environmentally clean and nice atmosphere.

In order to select villages and hosts for agro tourism tour agencies should have a list of necessary conditions after satisfying of which the specific house will be included in the list of accommodations means. These means include: place safety, beautiful nature, landscape. It is desirable that the house and yard of the peasant had a national image and the following elements of infrastructure: separate sleeping-room, a shower and a toilet. Foreign tourist pay a great attention to the existence of historical building and other sightseeing in the village.

Informational- advertisement material should be prepared by taking consideration of foreign analogues.

ნუგ ზარ პაიჭაძე

ზოგიერთი მოსახრება ორგანიზაციების მართვაში მომუშავეთა ჩაბმისა და მონაწილეობის თაობაზე

დღეს ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მის მართვაში მომუშავეთა ჩაბმა და მონაწილეობა. იგი გულისხმობს, რომ მომუშავეებს საშუალება ეძლევათ, ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ მათ უშუალო საქმიანობასა და ორგანიზაციის განვითარების სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვაში და ამით, საბოლოო ანგარიშით, გავლენა მოახდინონ მენეჯერთა მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე.

ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა ჩაბმისა და მონაწილეობის მიზნებია: 1) მენეჯერთა საქმიანობისადმი ცალკეული მომუშავეის ან მომუშავეთა ჯგუფის მხრიდან უკმაყოფილების გამოვლენა; 2) ინდივიდუალური ან კოლექტიური აზრის გამოთქმა საქმიანობის ამა თუ იმ საკითხზე; 3) მენეჯერთა გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენა.

ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა ჩაბმას და მონაწილეობას ადგილი აქვს როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ცალკეული ინდივიდის, ხოლო მეორე შემთხვევაში – პროფკავშირების ან მომუშავეთა სხვა წარმომადგენლების (ჯგუფების) შესაბამის საქმიანობასთან. მოცემული პრობლემა პირდაპირ კავშირშია ისეთ ცნებებთან, როგორცაა: **საჩივრების განხილვის პროცედურები და ტრადიციული კოლექტიური მოლაპარაკებები.**

მიხნეულია, რომ ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა ჩაბმისა და მონაწილეობის ხარისხი დიდადაა განპირობებული პროფკავშირებისადმი ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის დამოკიდებულებაზე. იგი, როგორც წესი, ძლიერ ვარირებას განიცდის. მასზე ძირითადად გავლენას ახდენენ ხელმძღვანელები და მომუშავეები (პროფკავშირები). მოცემულ შემთხვევაში შეიძლება საქმე გვქონდეს ორ უკიდურესობასთან. პირველ შემთხვევაში ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს წევრებს ხელმძღვანელობა და მომუშავეები

მასში საერთოდ არ მონაწილეობენ, ხოლო მეორე შემთხვევაში – მომუშავეებს აქვთ სრული თვითმმართველობა და კონტროლის უფლება, რაც პრაქტიკაში იშვიათად ხდება. რეალურ სინამდვილეში გეხვედება ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა ჩაბმისა და მონაწილეობის შემდეგი საფეხურები: ა) ორგანიზაციის მართვაში **უმნიშვნელო** ჩაბმა და მონაწილეობა, რაც გამოიხატება მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებაში; ბ) ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა **დაბავალი** ჩაბმა და მონაწილეობა, როცა მომუშავეებს უფლება აქვთ ხელმძღვანელებს აცნობონ თავიანთი აზრი; გ) ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა **ნაწილობრივი** ჩაბმა და მონაწილეობა, როცა მომუშავეებს აქვთ ხელმძღვანელობაში წინადადებათა შეტანის შესაძლებლობა; დ) ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა **ორმხრივი** ჩაბმა და მონაწილეობა, რაც გულისხმობს მომუშავეებთან კონსულტაციებს გადაწყვეტილებათა მიღებისას; ე) ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა **“ორმხრივი ჩართვა პლუსით”**, რომელშიც იგულისხმება მომუშავეებთან კონსულტაციები გადაწყვეტილებათა მიღებისა და განხორციელების ყველა სტადიაზე; ე) საბოლოო შედეგზე გავლენის უფლებამოსილება – მიღებულ გადაწყვეტილებაზე **ვეტოს დადების უფლება**; ზ) ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა **არსებითი ჩართვა** და მონაწილეობა, რაც გულისხმობს გადაწყვეტილებათა მიღებაში თანაბარ უფლებიან მონაწილეობას.

ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა ჩაბმისა და მონაწილეობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. მათ შორისაა: 1) ხელმძღვანელთა სურვილი, აუმაღლონ ცოდნა მომუშავეებს ბიზნესის მიმართებაში და დაარწმუნონ ისინი მმართველთა მოქმედებების ლოგიკურობაში; 2) მომუშავეთა საერთო და პროფესიული განათლებისა და პროფკავშირული მოძრაობის არსებული დონე; 3) ხელმძღვანელთა დაინტერესება მომუშავეთა განწყობისა და იდეების ძიებაზე და მათ (ძიების შედეგების) გამოყენებაზე ორგანიზაციის მუშაობის მანქანებელთა გაუმჯობესებისათვის; 4) ზრუნვა ორგანიზაციაში კონფლიქტების მართვისა და სტაბილურობისათვის; 5) მომავალ სასურველ მოქმედებათა განსაზღვრის მიზნით, ხელმძღვანელობის მიერ მომუშავეთა უკმაყოფილების მიზეზების განსაზღვრის სურვილი და სხვ.

ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა ჩაბმისა და მონაწილეობის მეთოდები იყოფა ორ ჯგუფად: 1) **მომუშავეთა წარმომადგენლობაში მონაწილეობა** (და 2) **პრობლემების გადაწყვეტა აღმავალი ხაზით**. პირველ ჯგუფში შედის **ერთობლივი კონსულტაციები**, რომლის დროსაც მენეჯერები მომუშავეთა წარმომადგენლებთან ატარებენ კონსულტაციებს საერთო ინტერესების მქონე საკითხებზე. ამავე ჯგუფში შედის ე.წ. **პარტნიორობის სქემები**. მოცემულ შემთხვევაში აქცენტი კეთდება პრობლემის გადაწყვეტაზე კოოპერაციის სულისკვეთებით. ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა ჩაბმისა და მონაწილეობის მეთოდების აღნიშნული ჯგუფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოება, რომელსაც ძირითადად ახორციელებენ პროფკავშირები და ცალკეული მომუშავეს ან მომუშავეთა ჯგუფის ინტერესების დამცველები. ამავე ჯგუფში შედის მომუშავეთა საჩივრების განხილვის პროცედურები.

რაც შეეხება ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა ჩაბმისა და მონაწილეობის მეორე ჯგუფს (პრობლემების გადაწყვეტა აღმავალი ხაზით), მასში შედის: 1) **ორმხრივი კომუნიკაცია**, რომელშიაც იგულისხმება მენეჯერების შეხვედრა პერსონალთან და მომუშავეთა ჯგუფების ინსტრუქტაჟი; 2) **კოლექტიური (ჯგუფური) მოსაზრებების განსაზღვრა**, რომლის დროსაც ხდება პერსონალის მოსაზრებების გარკვევა გამოსაკითხი ფურცლების დახმარებით; 3) **მომუშავეთა წახალისება რაციონალიზატორული წინადადებების შეტანაში**; 4) **საპროექტო ჯგუფების შექმნა**, როცა მომუშავეთა ჯგუფები ხაზობრივ მენეჯერებთან ერთად ამუშავენ ახალ იდეებს ან წყვეტენ მნიშვნელოვან პრობლემებს.

ერთობლივი კონსულტაციები მოწოდებულია დაეხმაროს მენეჯერებსა და მომუშავეთა წარმომადგენლებს – ჩაატარონ რეგულარული შეხვედრები თვალსაზრისთა ურთიერთგაცვლის მიზნით, მაქსიმალურად გამოიყენონ შეხვედრის მონაწილეთა ცოდნა და გამოცდილება და გადაწყვიტონ საკითხები, რომელთაც აქვთ ორმხრივი ინტერესი და არ არიან კოლექტიური ხელშეკრულების საგანი. იმისათვის, რომ ერთობლივმა კონსულტაციებმა ითამაშოს სათანადო როლი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, სათანადო განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე განისაზღვროს მისი მიზნები. ისინი დაკავშირებული უნდა იყოს გაზომვად და ჩართვის მნიშვნელოვან ელემენტებთან. აუცილებელია მენეჯერებს სწამდეთ ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა ჩაბმისა და მონაწილეობის სიკეთე. თავის მხრივ, პროფკავშირებიც ვალდებულია აგრეთვე, სწამდეთ, რომ მისი აღნიშნულ კონსულტაციებში მონაწილეობა არის ის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს მომუშავეთა მონაწილეობას ორგანიზაციის მართვაში და პასუხობს მუშაკთა ინტერესებს.

ერთობლივი კონსულტაციების მექანიზმი უნდა შეესაბამებოდეს მოლაპარაკებების წარმოების ცივილურ ფორმებს. მენეჯერები უნდა ცდილობდნენ პროფკავშირების უფლებების დაცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი წარუმატებლები იქნებიან. მათი და პროფკავშირების ერთობლივი კონსულტაციები უნდა განიხილოს როგორც მოლაპარაკებების მაინტრიგებელი საშუალება, რომელსაც ორგანიზაციისა და მომუშავეთათვის მოჰყვება დადებითი შედეგი.

ორგანიზაციის მართვაში მომუშავეთა აქტიური მონაწილეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ე. წ. კოლექტიური დასკვნების განსაზღვრას. იგი მომუშავეთა თვალსაზრისის გარკვევის საუკეთესო საშუალებაა. მან შეიძლება მოგვცეს ინფორმაცია მომუშავეთა სხვადასხვა რჩევებზე, გაფრთხილებები სხვადასხვა პოტენციურ პრობლემურ ზონებზე და მათ მიზეზებზე. ორგანიზაციის სხვადასხვა ნაწილში მომუშავეთა მორალურ მდგომარეობაზე და ა. შ.

არსებობს კოლექტიური (ჯგუფური) დასკვნების განსაზღვრის შემდეგი **მეთოდები**: 1) **სტრუქტურირებული ანკეტების გამოყენება**. ასეთი ანკეტები შეიძლება იყოს სტანდარტული ან ისინი შეიძლება შემუშავდეს სპეციალურად მოცემული კონკრეტული ორგანიზაციისათვის. სტანდარტული ანკეტების გამოყენების უპირატესობა ისაა, რომ მათ გაიარეს გულმოდგინე ტესტირება და, ხშირ შემთხვევაში, არსებობს ნორმები, რომლებსაც უდარებენ მიღებულ შედეგებს. კითხვების სტანდარტულ სიას შეიძლება დაემატოს მოცემული ორგანიზაციისათვის განსაკუთრებით აქტუალური, საკითხები. კონკრეტული პრობლემების გამოსავლენად შეიძლება ინდივიდუალურად შემუშავებული ანკეტების გამოყენება. მათი შედეგისას, სასურველია, დახმარებისთვის მიმართონ პროფესიონალ ფსიქოლოგს, რომელსაც შეუძლია აწარმოოს კვალიფიციური მუშაობა ანკეტის პროექტ

ტის შესადგენად, მისი საპილოტო ტესტირებისა და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისათვის. ასეთი ანკეტების გამოყენების უპირატესობა ისაა, რომ ანკეტების წარმოება და მისი შედეგების ანალიზი მნიშვნელოვნად იაფია, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ანკეტების დიდ რაოდენობას; 2) **ინტერვიუს გამოყენება.** ინტერვიუში შეიძლება დაისვას კითხვები “ღია პასუხით” ან ეს შეიძლება იყოს ღრმა ინტერვიუ, რომლის დროსაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ. მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება გამოსაკითხი ფურცელი განსახილველი პუნქტების მითითებით. ინტერვიუს ჩატარებისას დიდი მნიშვნელობა აქვს საუბრის თავისუფალი მსვლელობის უზრუნველყოფას, რომ გამოსაკითხმა პატიოსნად და ღიად გამოთქვას თავისი თვალსაზრისი. ალტერნატიულ შემთხვევაში ინტერვიუ შეიძლება იყოს მკაცრად სტრუქტურირებული, როცა იგი ფაქტობრივად დაიყვანება ზეპირ ვერსიამდე. უკეთესია ინდივიდუალური ინტერვიუ, რამდენადაც მისგან მიიღება მნიშვნელოვნად მეტი ინფორმაცია. ამასთან, იგი უფრო ძვირია, მოითხოვს დიდ დროს და მისი შედეგების ანალიზი უფრო რთულია. მიმართავენ, აგრეთვე, ჯგუფურ გამოკითხვას, რომელიც საშუალებს იძლევა, მოიცვას ადამიანთა გაცილებით მეტი რაოდენობა. მისი უარყოფითი მხარე ისაა, რომ ინტერვიუს შედეგები ძნელად ექვემდებარება რაოდენობრივ დამუშავებას და, ამასთან ერთად, ცალკეულ ადამიანს უძნელდება საჯაროდ გამოთქვას თავისი შეხედულებები; 3) **ანკეტებისა და ინტერვიუს შეხამება.** იგი მიჩნეულია ყველაზე საუკეთესოდ, რამდენადაც თავის თავში განასახიერებს ანკეტების რაოდენობრივი მონაცემებისა და ინტერვიუს მსვლელობისას მიღებული ხარისხობრივი მანკვევებლების სინთეზს; 4) **ფოკუს-ჯგუფების გამოყენება.** ფოკუს-ჯგუფი მომუშავეთა რეპრეზენტატიული ჯგუფია, რომელთანაც არკვევენ მის შეხედულებებს ორგანიზაციისა და მასში მომუშავეთა მუშაობის თაობაზე. ფოკუს-ჯგუფების ძირითადი თავისებურებებია ის, რომ ისინი სტრუქტურირებულიები, ინფორმირებულიები, კონსტრუქციულიები და კონფიდენციალურიები არიან.

მომუშავეთა ანკეტებისა და გამოკითხვის საფუძველზე ახდენენ ორგანიზაციაში მათი მუშაობით დაკმაყოფილებულობის გაზომვას. მას ახლავს სერიოზული სიძნელეები. საქმე ისაა, რომ, როცა ადამიანები ღიად პასუხობენ, კმაყოფილები არიან თუ არა ისინი სამუშაოთი, უმეტესობა აღნიშნავს, რომ კი. ხშირად ასე ხდება მაშინაც, როცა მათ მნიშვნელოვან ნაწილს საპირისპირო შეხედულება აქვს. თუ ამ უკანასკნელთ წინადადება მიეცემათ გაასახიერონ ეს, ისინი ამას არ აკეთებენ. ამ მოვლენის მთავარი მიზეზია სამუშაოს დაკარგვის შიში, რის გამოც ზემოაღნიშნულ კითხვაზე გულახდილად პასუხობენ მხოლოდ მაშინ, როცა აპირებენ დაკავებული სამუშაოს დაუყოვნებლივ დატოვებას. ამიტომაც, რომ ბევრი მომუშავე ურიგდება თავის სამუშაოს, თუნდაც არ მოსწონდეთ ის ან მისი რომელიმე მხარე. ამრიგად, მომუშავეთა დაკმაყოფილებულობის გაზომვას ყოველთვის არ შეუძლია გამოავლინოს დასაკმებულთა რაიმე მნიშვნელოვანი საინტერესო შეხედულებანი. მოცემულ შემთხვევაში მომუშავეთა ანკეტება და ინტერვიუ აჩვენებს მხოლოდ ზოგად მიმართულებებს, რომელშიც უნდა იმოძრაო. ამ დროს უპირატესობა აქვს მომუშავეებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს ან ე. წ. ფოკუს-ჯგუფებში აღნიშნული პრობლემის განხილვას, რომელიც საკითხის არსში ღრმად ჩაწვდომის საშუალებას იძლევა.

განსახილველ წინადადებათა შეტანისა და მათი შემდგომი მსვლელობის წარმატებულობა დიდადაა განპირობებული იდეათა შეტანისა და შეფასების დადგენილი პროცედურით. დიდი სიფრთხილის გამოჩენა საჭირო შემოსულ წინადადებათა დახარისხებისა და განხილვის პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომუშავეთათვის მათი იდეების მიუღებლობის გამომწვევი მიზეზების ახსნის ეფექტური სისტემის შექმნას, ისე, რომ ამ უკანასკნელთ არ ჩაუკლან მომავალში ახალი იდეების წამოყენების სურვილი.

განსახილველ ახალ იდეათა შემოტანის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა ამ მიზნისათვის განკუთვნილი, სპეციალური ყუთის გამოყენება. არსებობს სხვა მეთოდებიც. მაგალითად, კონკრეტული ადამიანის ან ორგანოს (ბიუროს, კომიტეტის და ა.შ.) გამოყოფა, სადაც შეიძლება ახალი იდეების შეტანა განსახილველად. აუცილებელია, სხვადასხვა დონის ხელმძღვანელებმა წახალისონ თავიანთი დაქვემდებარებულები, რათა მათ განსახილველად შემოიტანონ რაციონალიზატორული წინადადები. სასურველია, მოცემული იდეის მხარდასაჭერად გამოიყენონ რეკლამა.

ადამიანური რესურსების მართვის პრობლემაზე მომუშავე მკვლევრები, სავსებით სამართლიანად მიუთითებენ, რომ სასურველია, ორგანიზაციებში არსებობდეს ახალ იდეათა განმხილველი კომიტეტები (ორგანიზაციები და სხვ.), რომლებშიც შეეღწეონ ხელმძღვანელობისა და მომუშავეთა წარმომადგენლები და რომლებიც განიხილავს ახალ იდეებს იმ სპეციალიზებული განყოფილებების ან ცალკეული სპეციალისტის კრიტიკული შენიშვნების საფუძველზე, რომლებიც მათ აფასებდნენ. ამ კომიტეტებს უნდა მიეცეთ შემოსულ იდეათა მიღების ან უარყოფის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა, გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, ან დასკვნისათვის მიმართოს სპეციალისტს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ორგანიზაციების მართვაში მომუშავეთა ჩაბმისა და მონაწილეობის ფორმებისა და მეთოდების არჩევა დამოკიდებულია კონკრეტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ფასეულობებსა და წამოდგენებზე, ხოლო იქ, სადაც არსებობს პროფკავშირები – მათსა და მომუშავეებს შორის ურთიერთობის სფეროში არსებულ კლიმატზეც. მათი (აღნიშნული ფორმებისა და მეთოდების) დაგეგმვა უნდა ემყარებოდეს დაინტერესებულ მხარეთა (მენეჯერების, მომუშავეების და პროფკავშირების) მოსაზრებებს.

ორგანიზაციათა მართვაში მომუშავეთა ჩაბმისა და მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება აქვს მაღალგანვითარებულ საზღვარგარეთულ ქვეყნებს. ევროკავშირის ქვეყნებში, სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად, იქმნება ე. წ. “ევროპულ მუშათა საბჭოები”, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ორგანიზაციათა მართვაში. მომუშავეთა შემოქმედებითი აქტიურობის ამაღლებას, განსაკუთრებით რაციონალიზატორთა წრეების ჩამოყალიბებასა და მათ ფუნქციონირებას დიდი ყურადღება ექცევა იაპონიაში. აქ რაციონალიზატორთა წრეებში გაერთიანებულია როგორც მუშები, ისე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. XXI საუკუნის მიჯნაზე იაპონიაში რეგისტრირებული იყო ასეთი დაახლოებით 300 ათასი წრე. კიდევ უფრო მეტი იყო არარეგისტრირებული (დაახლოებით 1 მილიონამდე). განსაკუთრებით ბევრია გაერთიანებული ხარისხზე მომუშავე წრეებში.

ზოგიერთი გაანგარიშებით, ასეთია დაახლოებით დაქირავებულთა მეოთხედი. ასეთი თითოეული წრე აერთიანებს 10-12 კაცს. მათი მიზანია, წარმოებრივი პროცესების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე რაციონალური წინადადებების დამუშავება და მათი წარმოებაში დანერგვა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ წუნის შემცირებას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, წარმოების დანახარჯების შემცირებას. კორპორაციათა მმართველი აპარატი მაქსიმალურად უწყობს ხელს მსგავსი რაციონალიზატორული მოძრაობის განვითარებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მისი მატერიალური და მორალური სტიმულირებით. დიდი ყურადღება აქცევა ასეთ წრეებში მიღწეული წარმატებების პროპაგანდას.

საქართველოში ფუნქციონირებადი ორგანიზაციების მართვაში მომუშავეთა ჩაბმისა და მონაწილეობის ხარისხი, სამწუხაროდ, მეტად დაბალია. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში მდგომარეობა ამ მხრივ არათუ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა კიდევ. მიზეზი მრავალია. მათ შორისაა: 1) წინა საუკუნის 90-იან წლებში ქვეყნის ეკონომიკის, განსაკუთრებით მისი ინდუსტრიული დარგების ნგრევა, რისი შედეგიც იყო ამ დარგებში ფუნქციონირებად დიდ საწარმოთა უმეტესობის ლიკვიდაცია, რომლებშიც მეტ-ნაკლებად ადგილი ჰქონდა ორგანიზაციათა მართვაში მომუშავეთა მონაწილეობის ელემენტებს; 2) ორგანიზაციათა უმეტესობაში პროფკავშირების არარსებობა; 3) საწარმოთა პრივატიზაციისას დაშვებული შეცდომები, რასაც, ხშირ შემთხვევაში მოჰყვა მშრომელთა დიდი კოლექტივების დაშლა და ა.შ.

მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია ორგანიზაციებმა სათანადო ყურადღება დაუთმონ საწარმოთა მართვაში მომუშავეთა მონაწილეობაში არსებული ზემოსხენებული ხარვეზების გამოსწორებას. საჭიროა და აუცილებელიც სახელმწიფომ ქვეყანაში შექმნას ისეთი გარემო, რომელიც წახალისებს ორგანიზაციებში პროფკავშირულ მოძრაობასა და მისი როლის ამაღლებას საწარმოთა მართვაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რაციონალიზატორული წრეების შექმნასა და მათ ფუნქციონირებას. ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა ყოველმხრივ უნდა წახალისონ (მატერიალურადაც და მორალურადაც) ასეთი წრეების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანია წარმოებრივი პროცესების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ახალი იდეების შემუშავება და მათი წარმოებაში დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაიჭაძე ნ. პერსონალის მართვა, თბ., 2003.
2. М. Армстронг. Практика управления человеческими ресурсами. Перевод с английского. М., 2012.
3. Егоршин А. Основы управления персоналом. М., 2001.
4. Веснин В. Стратегическое управление. М., 2005.

Nugzar Paichadze

SOME ISSUES ON INVOLVEMENT AND PARTICIPATION OF THE EMPLOYEES IN ORGANIZATION MANAGEMENT

Annotation

This article is focused on the current stage of society development, about the workers involvement and participation, their aims and importance in organization management. Here are also considered the forms, methods, stages and basic concepts in relation to it. Basically attention is paid to rational proposals and implementation of new ideas from the workers to be considered among the leaders of the organization, their consideration and assessment, about involvement of the workers in organizational jobs and foreign experiences of participation. Brief analysis of the workers involvement and participation in management of organization functioning in Georgia and there are given some thoughts of improvement of organization management.

ვლადიმერ პაპავა

საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარებითი ანალიზი

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველო-რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემისა [1] და ამ ურთიერთობების ევოლუციის [2] შესწავლისას, განსაკუთრებით – რუსეთ-საქართველოს შორის ბოლო დროს წარმოქმნილი კონფლიქტის ფონზე [3], დიდ მნიშვნელობას იძენს ამ ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარებითი ანალიზი.

ცნობილია, რომ ეკონომიკური ზრდის გაზომვისას ერთ-ერთი პრობლემაა ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება. პრობლემის არსი ისაა, რომ კაპიტალის კლებადი უკუგების გამო, სხვა თანაბარ პირობებში, შედარებით დაბალი დონის ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებისათვის უფრო ადვილია ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევა, ვიდრე შედარებით განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ამ მოვლენას ეკონომიკურ მეცნიერებაში ეწოდება „მკვეთრი ზრდის ეფექტი“ [4, გვ. 532-531] (ინგლისურად – “Catch-Up Effect” [5, pp. 546-547]). ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებში მხოლოდ მკვეთრი ზრდის ეფექტის ნიველირება მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ამ მაჩვენებლების შედარება ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების დონისაგან დამოუკიდებლად მოხდეს.

მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზის საფუძველზე ჩვენ შევიმუშავეთ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდიკა მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინებით [6-8]. მოცემული ჰიპოთეზა ემყარება ვარაუდს, რომ თუ ერთი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე n -ჯერ აღემატება მეორე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს, მაშინ ერთნაირი ეკონომიკური ზრდის მიღწევა პირველ ქვეყანაში n -ჯერ უფრო რთული იქნება, ვიდრე მეორე ქვეყანაში. ამასთან, ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლად აღებულია მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მსოფლიო ბანკის მონაცემები 1992-2012 წწ-ში საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური ზრდისა⁴³ [9] და ეკონომიკური განვითარების [10] შესახებ.

ცხრილი 1

საქართველოს და რუსეთის ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები 1992-2012 წწ.

წლები	ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები		მთლიანი შიგა პროდუქტი (აშშ დოლარში) მოსახლეობის ერთ სულზე		საქართველოს ეკონომიკური ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებლების შეფარდება რუსეთის ანალოგიურ მაჩვენებლებთან	მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტი (მოსახლეობის ერთ სულზე რუსეთის მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებლების შეფარდება საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებთან)	საქართველოში ჰიპოთეტური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები	საქართველოში ჰიპოთეტური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების შეფარდება რუსეთში ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებთან
	საქართველო	რუსეთი	საქართველო	რუსეთი				
1992	-44,9	-14,5	757	3095	3,10	4,09	-10,98	0,76
1993	-29,3	-8,7	550	2929	3,37	5,33	-5,50	0,63
1994	-10,4	-12,6	517	2663	0,83	5,15	-2,02	0,16
1995	2,6	-4,1	569	2670	-0,63	4,69	0,55	-0,14
1996	11,2	-3,6	670	2651	-3,11	3,96	2,83	-0,79
1997	10,5	1,4	775	2749	7,50	3,55	2,96	2,11
1998	3,1	-5,3	805	1844	-0,58	2,29	1,35	-0,26
1999	2,9	6,4	629	1339	0,45	2,13	1,36	0,21
2000	1,8	10	692	1775	0,18	2,57	0,70	0,07
2001	4,8	5,1	734	2101	0,94	2,86	1,68	0,33
2002	5,5	4,7	779	2375	1,17	3,05	1,80	0,38
2003	11,1	7,3	922	2976	1,52	3,23	3,44	0,47
2004	5,9	7,2	1187	4109	0,82	3,46	1,70	0,24
2005	9,6	6,4	1470	5337	1,50	3,63	2,64	0,41
2006	9,4	8,2	1765	6947	1,15	3,94	2,39	0,29
2007	12,3	8,5	2318	9146	1,45	3,95	3,12	0,37
2008	2,3	5,2	2920	11700	0,44	4,01	0,57	0,11
2009	-3,8	-7,8	2441	8616	0,49	3,53	-1,08	0,14
2010	6,3	4,5	2614	10710	1,40	4,10	1,54	0,34
2011	7	4,3	3220	13284	1,63	4,13	1,70	0,39
2012	6	3,4	3508	14037	1,76	4,00	1,50	0,44

საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების მიხედვით, პოსტსაბჭოთა განვითარების ოცწლიანი პერიოდის მანძილზე, უმეტეს შემთხვევაში, ვითარება საქართველოში უკეთესი იყო (ანუ ზრდა იყო მეტი, ხოლო ვარდნა – ნაკლები), ვიდრე რუსეთში. კერძოდ, რუსეთში საქართველოზე უკეთესი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ოცი წლიდან მხოლოდ შვიდ წელს (1992, 1993, 1999, 2000, 2001, 2004 და 2008 წელი) გამოვლინდა. ამასთან, რუსეთში მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ამ ოცწლიან პერიოდში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში (რუსეთის ეს მაჩვენებელი საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს მინიმალურად, 2,13-ჯერ აღემატებოდა 1999 წელს, ხოლო მაქსიმალურად, 5,33-ჯერ – 1993 წელს).

ამრიგად, მკვეთრი ზრდის ეფექტის გამო ეკონომიკური ზრდის საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევა საქართველოში უფრო ადვილად მოხდა, ვიდრე რუსეთში.

ცხრილში მოცემულია საქართველოში ჰიპოთეტური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, გამოთვლილი მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზის საფუძველზე. ამ მაჩვენებლების რუსეთის ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებთან შედარებისას გამოდის, რომ მოცემული ოცწლიანი პოსტსაბჭოთა პერიოდის განმავლობაში შემთხვევათა უმეტესობაში ეკონომიკური ვითარება საქართველოში

⁴³ როგორც ცნობილია, ეკონომიკური ზრდის გაზომვის პრაქტიკაში, როგორც წესი, გამოიყენება რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ნაზრდის ტემპი.

რუსეთისაზე უარესი იყო (ანუ ზრდა იყო ნაკლები). კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პირველ წლებში (1992-1998) და, ასევე, 2009 წელს, საქართველოს ეკონომიკური ზრდის ჰიპოთეტური მანევრებლები რუსეთის ეკონომიკური ზრდის ფაქტობრივ მანევრებლებზე უკეთესია. ამ პერიოდის შემდეგ რუსეთის ეკონომიკური ზრდის ფაქტობრივი მანევრებლები მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს ჰიპოთეტური ეკონომიკური ზრდის მანევრებლებს⁴⁴ და მხოლოდ 2009 წელს, ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში, საქართველოს ეკონომიკური ვარდნა, როგორც ფაქტობრივ, ისე ჰიპოთეტურ დონეზე, ნაკლები იყო, ვიდრე რუსეთში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მთლიანობაში საქართველოს ეკონომიკა 1992-1998 წწ-ში უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე რუსეთის ეკონომიკა, ხოლო 1999 წლიდან (კრიზისული 2009 წლის გამოკლებით) რუსეთის ეკონომიკის ზრდა მნიშვნელოვნად აღემატებოდა საქართველოს ეკონომიკის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Папава В. «Постсоветские экономические взаимоотношения между Грузией и Россией: реальность и возможности развития». В сб. *Россия и Грузия: пути выхода из кризиса*. Под ред. Г. Хуцишвили, Т. Гогелиани. Тбилиси. Международный центр по конфликтам и переговорам, 2010.
2. Папава В. «Эволюция экономических взаимоотношений между Грузией и Россией в постсоветском периоде: пройденный путь и перспективы». В сб. *Россия и Грузия: в поисках выхода*. Тбилиси. Грузинский фонд стратегических и международных исследований, 2011, на сайте http://gfsis.org/media/download/library/articles/RUSSIA_AND_GEORGIA_SEARCHING_THE_WAY_OUT_Russian_Publication.pdf.
3. Папава В. «Экономическая составляющая российско-грузинского конфликта». *Кавказ и Глобализация*, 2012, Том 6, Вып. 1.
4. მენქიუ გ. *ეკონომიკის პრინციპები*. თბილისი. დიოგენე, 2007.
5. Mankiw, N. Gregory. *Principles of Economics*. Mason: Thomson South-Western, 2004.
6. პაპავა ვ. ეკონომიკური ზრდის მანევრებლების სივრცობრივი შედარება მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინებით. წიგნი: *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის, ტომი V. ეძღვნება აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან მე-100 წლისთავს*. თბილისი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.
7. Папава В. Экономический рост в странах Центральной Кавказии в условиях нивелирования эффекта “быстрого старта”. *Центральная Азия и Кавказ*, 2012, Том 15, № 4.
8. Папава В. Проблема эффекта быстрого старта и пространственное сравнение показателей экономического роста (на примере стран восточного партнерства). *Экономика Украины*, 2013, № 1.
9. GDP growth (annual %), *The World Bank*, 2013, online at <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG>.
10. GDP per capita (current US\$), *The World Bank*, 2013, online at <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD>.
11. Аганбегян А. О месте экономики России в мире (по новым данным о международном сравнении валового внутреннего продукта). *Вопросы экономики*, 2011, № 5.

Vladimer Papava

COMPARATIVE ANALYSIS OF THE ECONOMIC GROWTH RATES OF GEORGIA AND RUSSIA Annotation

Taking into account the catch-up effect, the paper shows adjusted economic growth indicators of these countries during the post-Soviet period. It can be concluded that overall, the economy in Georgia grew faster during the period of 1992-1998 than the economy of Russia and beginning in 1999 (with the exception of recessionary 2009), Russian economic growth has been significantly superior to the economic growth in Georgia.

ავთანდილ ხილაგაძე
თამარ ათანელიშვილი

ვეროკავშირის მთავარი ეკონომიკური ინდიკატორები და საქართველო

მიმდინარე ეტაპზე საქართველო ვეროკავშირთან ახალი ფორმით თანამშრომლობას იწყებს, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის პოტენციალის განვითარებას. ცხადია, საქართველო ახალი მოთხოვნების წინაშე დგას: ვეროკავშირის წევრმა ქვეყანამ რიგი ეკონომიკური კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს. „მასტრიხტის ხელშეკრულების“ (1992) და ამსტერდამის ვეროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული სტაბილურობის პაკტის (1997) მიხედვით [6-9], ვეროკავშირში გასაწევრიანებლად ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მთავარი ეკონომიკური ინდიკატორები – „კონვერგენციული კრიტერიუმები“: მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის 10-12 ათ. აშშ დოლარი; სახელმწიფო ვალი არაუმეტეს მშპ-ის 60%-სა; უმუშევრობის დონე 10%-ის ფარგლებში; ერთი მხნა ინფლაციის დონე; სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მაქსიმუმ მშპ-ის 3%-სა. ზემოაღნიშნული „კრიტერიუმები“ მჭიდროდ უკავშირდება სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს პრეტენდენტ-სახელმწიფოებში: საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება მონოპოლიების აკრძალვის, თავისუფალი კონკურენ-

⁴⁴ რუსეთის ეკონომიკური ზრდის რეტროსპექტული ანალიზის შესახებ იხ. [11].

ციისა და ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის პირობებში; ევროკავშირის სათანადო ორგანოებსა და შესაბამის წარმომადგენლობებთან მჭიდრო თანამშრომლობით კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

სამწესობაროდ, საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ (2003) შემდეგ, ფაქტობრივად ქმედითი ანტიმონოპოლიური სამსახურის არარსებობის გამო, საბანკო, სადაზღვევო სექტორებში, ენერჯეტიკაში, კავშირგაბმულობაში, სავაჭრო და ფარმაცევტული წამლების მომარაგებაში... მოქმედი კომპანიები, კარტელური გარიგებების შედეგად, აღწევდნენ მოგების მაქსიმიზებას. ეს პრობლემები ჯერჯერობით ისევ მოუგვარებელია. იმედია, ახალი ხელისუფლების პირობებში მიღებული კანონმდებლობა ზემოაღნიშნულ ნეგატიურ მოვლენებს დროულად დაარეგულირებს. [1-5]. საქართველო ახალი გამოწვევების წინაშეა: 2013 წლის 28-29 ნოემბერს ვილნიუსში აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოთა მეთაურების სამიტზე მოხდა ევროკავშირის საქართველოსთან შეთანხმების ინიცირება პარაფირების სახით [8]. გათვალისწინებულია: თავისუფალი ვაჭრობის, ენერჯეტიკის განვითარება, მარეგულირებელი დისციპლინის დამკვიდრება; საქონლის ხარისხისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფა; ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ადაპტაცია; საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება... საქართველოს შესაძლებლობა ეძლევა ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხიდან სამი თავისუფალი კომონენტი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. ამასთან, ჩვეულებრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან განსხვავებით, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე გულისხმობს, როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრის (მაგ., სურსათის უვნებლობა, პროდუქტის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები...) დარეგულირებას. ცხადია, ზემოაღნიშნული შეთანხმება წაახალისებს საქართველოს ეკონომიკის ზრდას და განვითარებას. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ ქვეყანამ ეკონომიკური ურთიერთობები გააღრმავოს სხვა, მათ შორის, მეზობელ ქვეყნებთანაც. როდის მიადგევს საქართველო ევროკავშირის წვერი ქვეყნისათვის დადგენილ ეკონომიკური ინდიკატორების (კრიტერიუმების) დონეს და რა მდგომარეობაა ამჟამად? ექსპერტული გაანგარიშებებით, საქართველო, სავაჭრო ვალდებულების ზრდის გარეშე, საშუალო ევროპულ მაჩვენებლებს მიადგევს 15-20 წელიწადში, თუკი ეფექტიანად გამოიყენებს ადგილობრივ რესურსებს [2-3;5]. ასეთ შემთხვევაში, ქვეყანა შეძლებს უზრუნველყოს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 20,0 ათ. მიმდინარე აშშ დოლარის ფარგლებში (2013 წელს = 3597 \$) [10]. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ახალი მთავრობის პროგნოზი უფრო მოკრძალებულია და ითვალისწინებს, რომ 2020 წელს ეს მაჩვენებელი მიადგევს დაახლოებით 8 ათას აშშ დოლარს. [საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო - 2020 (პროექტი), 2014 წ.] აქედან გამომდინარე, „კონვერგენციულ კრიტერიუმს“ (მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 10-12 ათ. აშშ დოლარი) საქართველო ვერ დააკმაყოფილებს საშუალოვადიან პერიოდში, მაშინ, როდესაც ასეთი დონის მიღწევა პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან, ბალტიის ქვეყნების (ლატვია, ლიტვა, ესტონეთი) გარდა, მხოლოდ რუსეთმა შეძლო [2; 6].

„ვარდების რევოლუციის“ (2003) შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ვალი 4-5 ჯერ გაიზარდა (2012). საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2013 წელს მთავრობის და ეროვნული ბანკის საგარეო ვალეები 30%-ის ფარგლებში მერყეობს [11]. მთავრობის სტრატეგიული (პროექტი) გეგმის მიხედვით, 2020 წელს სახელმწიფო საგარეო ვალი იქნება მშპ-ის 40%-ის ფარგლებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ „კონვერგენციის კრიტერიუმებით“ სახელმწიფო საგარეო ვალი არ უნდა იყოს მშპ-ის 60%-ზე მეტი, საქართველო შეძლებს ამ პირობის დაკმაყოფილებას. ბოლო წლებში, უმუშევრობის დონე სისტემატურად იზრდებოდა, ამჟამად 15.0 %-ის ფარგლებშია, 2020 წელს კი, მთავრობის სტრატეგიის მიხედვით, 12% იქნება. გამოდის რომ, 7 წლის შემდეგ, ასეთი მაჩვენებლით შესაბამისი „კონვერგენციის კრიტერიუმში“ ვერ დაკმაყოფილდება. ექსპერტული გაანგარიშებით, საშუალო-ევროპული მაჩვენებლის მიღწევა საქართველოს შეუძლია 15-20 წლის შემდეგ [5;10]. ასევე, საქართველოში, 2020 წლისათვის ინფლაციის დონე ერთიწინა – 4% იქნება, რაც შესაბამისად დააკმაყოფილებს „კონვერგენციის კრიტერიუმს“. ამავე „კრიტერიუმის“ მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 3%-ს, რის მიღწევაც შესაძლებელია ახალი მთავრობის „სტრატეგიიდან“ გამომდინარე, რამდენადაც ფისკალური დეფიციტი 3%-ს არ გადააჭარბებს. მთლიანობაში, მთავრობის სტრატეგიის მიხედვით, საქართველო საშუალოვადიან პერიოდში, ევროკავშირის წვერი ქვეყნისათვის დაწესებული კონვერგენციის ხუთი მთავარი ეკონომიკური „კრიტერიუმიდან“ მხოლოდ სამს დააკმაყოფილებს, ორი მნიშვნელოვანი (მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, უმუშევრობის დონე) საშუალო-ევროპული მაჩვენებლის მიღწევას კი ვერ შეძლებს და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ტრადიციულად დარჩება ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Papava, V.(2013). Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. New York: Nova Science Publishers.
2. Silagadze, A. (2013). Priorities for the Economy of Post-Communist Georgia in the Context of the World Financial Crisis. J. Problems of Economic Transition (USA). Issue: Volume 56, Number 8 / December. Pages: 3 – 16.
3. Silagadze, A. (2013). The External Aspects of the Georgian Economy in Modern Times. Moldavian Journal of International Law and International Relations. No. 4 (30), pp.143-149.
4. Silagadse, A., Tokmazishvili, M. (2009). Challenges of the Post-Communist Financial-Currency Policy. Nova publisher. New-York.
5. Tvalchrelidze, A., Silagadze, A., Keshelashvili, G., Gegia D. (2011). Georgia's Social Economic Development Program. «Nekeri», Tbilisi, 312 p.
[Http://www.ifsdeurope.com/prezation.html](http://www.ifsdeurope.com/prezation.html)

6. <http://data.worldbank.org/indicator>
 7. <http://www.historiasiglo20.org/europe/maastricht.htm>
 8. EU-Georgia Association Agreement:
http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/assoagreement-2013_en.htm
 9. http://europa.eu/legislation_summaries/economic_and_monetary_affairs/stability_and_growth_pact/125021_en.htm
 10. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=1144&lang=geo
 11. <http://www.nbg.gov.ge/?m=306>

*Avtandil Silagadze
 Tamar Atanelishvili*

MAIN ECONOMIC INDICATORS OF EU AND GEORGIA
Annotation

Is discussed present situation of Georgian economy in middle-run period and potential possibilities on the background of forming the association agreement with EU.

According to the authors' conclusion Georgia shall satisfy only three criteria out of the most important fire economic "criteria" of convergence obligatory to EU member country. The most important two (GDP per capita unemployment rate) will not be able to reach the average European index and the creation of new working places will traditionally be one of the main problems.

*ავთანდილ სულაბერიძე
 ელადიმერ სულაბერიძე
 ნინო გომელაური*

მომხმარებელურიდან მწარმოებლურ ოჯახზე გადასვლის პრობლემები საქართველოში

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა, მათ შორის საქართველომ, ერთბაშად მონიდომეს მთელი გამოტოვებული ეპოქის გავლა. განვლილი 20 წლის მანძილზე საქართველო, განსხვავებით აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიისპირეთის ქვეყნებისგან, ჯერ კიდევ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. აღნიშნული, გლობალურ ფუნდამენტურ ფაქტორებთან ერთად, ლოკალური ხასიათის სპეციფიკურმა (სამოქალაქო ომი, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური პროგრამების არასწორი მენეჯმენტი და სხვ.) პრობლემებმა განაპირობა. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ისევ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს განიცდის და ქვეყანაში უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონეა. ამ ფონზე, სახელმწიფოსგან განსხვავებით, ოჯახი გარკვეულწილად მოერგო საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, მეტ-ნაკლებად უმკლავდება სიღატაკეს, მაგრამ ჯერ კიდევ მათი უმრავლესობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.

გარდამავალი ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა და, მასთან ერთად, პასიური სოციალური პოლიტიკიდან, რეფორმის მხარდამჭერ აქტიურ სოციალურ პოლიტიკაზე გადასვლა. ეს უწინარესად გულისხმობს საოჯახო ბიზნესის პროგრამების განხორციელებით ოჯახის ეკონომიკურ გააქტიურებას, რასაც, თავის მხრივ, მომხმარებელურიდან მწარმოებლურ ოჯახზე გადასვლა უნდა მოჰყვეს.

ამ თვალსაზრისით, საქართველოში, განსხვავებით აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური და ბალტიისპირეთის ქვეყნებისა, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე არც ერთ ხელისუფლებას არ შეუქმნია ოჯახის ეკონომიკური რეფორმისთვის აუცილებელი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური წინაპირობები და გარემო.

როგორც აკადემიკოსი ე. პაპავა აღნიშნავს, რეფორმის პროცესში უგულვებელყოფილ იქნა, რომ საზოგადოებაში არსებული „homo soveticus“-ის მენტალიტეტის შეცვლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია. აუცილებელი იყო საზოგადოების და ინდივიდის ფსიქოლოგიური მომზადება, რათა წარმატებით განხორციელებულიყო „Homo soveticus“-ის „homo economicus“-ად ტრანსფორმაცია, რასაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განაპირობებს შუალედური „homo transformaticus“-ის ფორმირების ტემპი [1]. რამდენადაც „Homo soveticus“ ოჯახის წევრებია, მისი „homo economicus“-ად დროული და წარმატებული ტრანსფორმაცია, ბევრად განსაზღვრავს ოჯახის ეკონომიკურ ტრანსფორმაციას ფორმულით – family soveticus → family transformaticus → family economicus, რაც ცალკეულ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად განხორციელდა [2].

მომხმარებელურის მწარმოებლურ ოჯახად ტრანსფორმაციის პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახის ცხოვრების დონეს, რაც, სხვა ფაქტორებთან (შიგაოჯახური ტრადიციები, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სხვ.) ერთად, განსაზღვრავს family transformaticus-ის ფორმირებას [2]. რეფორმა კი სხვაგვარად წარიმართა და შედეგიც სხვა მივიღეთ. ნაცვლად ოჯახის ცხოვრების დონის თუნდაც არსებულ დონეზე შენარჩუნებისა, რეფორმა მკაცრი “შოკური თერაპიის” ფონზე, საოჯახო პოლიტიკის გათვალისწინების გარეშე წარიმართა, რაც ოჯახისთვის ერთობ რთულად გადასატანი აღმოჩნდა. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც რეფორმის მოსამზადებელი პერიოდი ჯერ კიდევ 80-იანი წლებში დაიწყო და რეფორმებით შედარებით მშვიდ გარემოცვაში მიმდინარეობდა, მკაცრი მინეტარული პოლიტიკის ფონზე, 1995 წლისათვის რაიმე განსაკუთრებული შედეგები ვერ მოიტანა [3].

რეფორმის პროცესში, ოჯახის ცხოვრების დონის თვალსაზრისით სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან შედარებით ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა ჩეხეთს. მაგალითად, 1993 წ. ჩეხეთში სიღარიბის ზღვარზე იმყოფებოდა ოჯახების 18,2%. ბავშვების 38,3%, შრომისუნარიანი მოსახლეობის 22,6%, მოხუცებულთა 9,6% და

მთლიანად საერთო მოსახლეობის 25,3%. იმ დროს როცა „შოკური თერაპიის“ სამშობლოში, პოლონეთში, იმავე პერიოდის ანალოგიური მანქანებიანი გაცილებით მაღალი იყო და შეადგენდა შესაბამისად 35,7; 61,8; 40,1; 29,5 და 43,7%. ამასთან ჩეხეთში უკიდურეს სიღარიბეში ოჯახთა 1,6% ცხოვრობდა, ბავშვების 1,1%, შრომისუნარიანთა 1,8%, მოხუცებულთა 0,4%, ხოლო პოლონეთში შესაბამისად 10,4; 25,9; 13,4 და 5,2%. აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში რუსეთში სიღარიბეში ცხოვრობდა მოსახლეობის 61,3%, უკიდურეს სიღარიბეში კი 23,2% [4]. გაცილებით უარესი მანქანები იყო საქართველოში.

საქართველოში საოჯახო პოლიტიკის უგულვებელყოფის გამო, ეკონომიკური რეფორმა სოციალური მხარდაჭერის გარეშე წარმოართა და ოჯახის ცხოვრების დონე მის ერთ-ერთ ხელის შემშლელ ფაქტორად მოგვევლინა. ამის დადასტურებაა ის, რომ ოჯახის ბიუჯეტში მცირე იყო საკუთარი ბიზნესიდან მიღებული შემოსავლები და შემოსავლების ძირითად წყაროს ხელფასი და პენსია შეადგენდა, რაც დღემდე გრძელდება.

მასშტაბურმა ჩრდილოვანმა ეკონომიკამ და კორუფციამ კი ხელფასს, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიას, მნიშვნელობა დაუკარგა რადგან ვერ ასახავდა სამუშაო ძალის საბაზრო ღირებულებას. ამის მაგალითია ის, რომ 1998 წელს მინიმალური ხელფასი (დაახლოებით 12 აშშ დოლარი) საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის 18-20%-ს შეადგენდა და შესაბამისად მოსახლეობის 70%-მდე ოფიციალურად აღმოჩნდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ხოლო დატაკთა რაოდენობა 40%-მდე გაიზარდა.

ის, რომ საქართველოს ოჯახების ფულადი შემოსავლების სტრუქტურაში ხელფასი და პენსია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, დადასტურა ჩვენ მიერ 1999 წელს ჩატარებულმა სოციოლოგიური გამოკვლევის მასალებმა (ხელფასის წილი – 33%, პენსია – 26%) [5]. იმ ეტაპზე სიღატაკის დაძლევისათვის, ოჯახში მცირე და საშუალო ბიზნესის არარსებობის პირობებში, მის ზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. თითქმის ყველა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ შეძლო საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა საშუალო ხელფასის 35-50%-ის ფარგლებში, რომელშიც სასურსათო კალათის წილი 50-60%-ს შეადგენდა. მაგალითად, 1998 წელს, სლოვაკეთსა და ჩეხეთში საარსებო მინიმუმად მიჩნეულ იქნა საშუალო ხელფასის 35%, უნგრეთში – 40%, პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, რუსეთსა და უკრაინაში 45% [6].

ამ ფონზე საქართველოში პარადოქსული სიტუაცია აღინიშნა – 1995 წელს საშუალო ხელფასი საარსებო მინიმუმის 37-40%-ს შეადგენდა. ამ ქვეყნებისგან განსხვავებით, 2000 წლისათვის საქართველოში ვითარება არ შეცვლილა და ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა დაახლოებით 37-38, ხოლო საბიუჯეტო სფეროში – 29-30 აშშ დოლარს, რაც შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის 66,5%-ის და საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის 75,8%-ის ტოლი იყო. საბიუჯეტო სფეროში კი შესაბამისად 51,4 და 58,6% [7]. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში საარსებო მინიმუმის ღირებულება რეალურ ვითარებას არ შეესაბამებოდა, რაც დღესაც გრძელდება.

რადგანაც ხელფასი წარმოადგენდა ოჯახის შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს და თანაც იგი დაბალი იყო, მან ვერ შეასრულა საბაზრო მექანიზმის ფუნქცია. ოჯახის შემოსავლების სფეროში შექმნილი არახელსაყრელი მდგომარეობის შესაცვლელად, აუცილებელი იყო ოჯახის შემოსავლების გამრავალფეროვნების მიზნით გარკვეული ღონისძიებების გატარება. 1998 წელს ფულადი შემოსავლები წინა წლებთან შედარებით გაიზარდა 3 აშშ დოლარით, ხოლო ხარჯები შემცირდა 5,1 3 აშშ დოლარით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოჯახის ბიუჯეტი ერთ სულზე გათვლით მაინც დეფიციტური იყო, თუმცა ოჯახის მთლიან ფულად შემოსავლებში საგრძნობლად შემცირდა ხელფასის წილი და გაიზარდა სოციალური ტრანსფერტები, განსაკუთრებით სხვა სახის შემოსავლები (ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავლები და უცხოეთიდან გზავნილები).

ოჯახის ბიუჯეტში ხარჯების მეტობა შემოსავლებზე ამტკიცებს, რომ, აღნიშნულის გარდა ოჯახში არსებობდა სხვა ფარული შემოსავლები, რომლებმაც 1998 წლისათვის 75,0% შეადგინა. ი. არჩვადის გათვლებით, 1996 წ. ოჯახის მთლიან ფულად შემოსავლებში ხელფასის წილზე მოდიოდა 1/3 და 2/3-ს შეადგენდა „ფარული“ შემოსავლები [8].

1999 წელს ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ [6] გვიჩვენა, რომ ოჯახის შემოსავლების ძირითად წყაროდ ისევ რჩებოდა ხელფასი (33,4%) და პენსია (26,8%), ხოლო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლები უზრუნველყოფდა მხოლოდ გამოკითხულთა 14,8%-ს. ასევე დაბალი იყო მათი წილი, ვისი შემოსავლებიც ემყარებოდა საკუთარი ბიზნესიდან მიღებულ შემოსავლებს (9,5%). ოჯახთა უმრავლესობა (60,9%) ვერ ახერხებდა ვერანაირ ქმედებებს მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 19,8% დამოკიდებული იყო დროებით სამუშაოზე, 12,7% ცხოვრობდა საკუთარი ძვირფასეულობისა თუ ქონების (ბინა, მანქანა და სხვ.) გაყიდვით. ამასთან, ოჯახების 36,5%-სათვის შემოსავალი საკმარისი იყო მხოლოდ კვებისათვის, 44,8%-ს არ ჰყოფნიდა საკვებად და მხოლოდ 17,4%-ის შემოსავლები აკმაყოფილებდა ძირითად საჭიროებებს.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დასაქმების სფეროში ეიჯიზმის პოლიტიკამ მნიშვნელოვნად გაამწვავა ქვეყანაში თაობათაშორისი ურთიერთობები. როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურაში. უპირატესობა მიენიჭა ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში არ გააჩნდათ შესაბამისი განათლება, კვალიფიკაცია, უნარ-ჩვევები და თანამდებობებზე ინიშნებოდნენ მხოლოდ პარტიული ნიშნით. თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო ასაკობრივმა დისკრიმინაციამ, რაც ძირითადად 40 წლის და უფროსი ასაკის ადამიანებს შეეხო. სხვადასხვა შეფასებებით უმუშევართა დონემ მიაღწია 60-70%-ს, რაც არ ასახულია ოფიციალურ სტატისტიკაში. ამერიკის საერთაშორისო ეროვნულ-დემოკრატიული (NDI) გამოკვლევებით მოსახლეობის 70%-ზე მეტი თავს დასაქმებულად არ მიიჩნევდა, ხოლო საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევის თანახმად უმუშევრობის დონემ ქვეყანაში 67%-ს მიაღწია.

უმუშევრობის ზრდამ შესაბამისი გავლენა მოახდინა ოჯახის შემოსავლებსა და საერთოდ მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, კიდევ უფრო გაუარესდა ქვეყანაში და ოჯახში ისედაც დაძაბული სოციალური ვითარება. მ. სააკაშვილის ხელისუფლების დროს ღარიბთა ფენა კიდევ უფრო გაიზარდა, უფრო მეტიც გამოკითხულთა

თითქმის ნახევარი (48,9%) მთავარ პრობლემად თვლიდა მაკროეკონომიკურ გაჭირვებას, ხოლო 20,3% – უმუშევრობას.

2004-2011 წლებში საარსებო მინიმუმი გაიზარდა 22,4%-ით და შეადგინა 58 აშშ დოლარი. მიუხედავად ამისა, საშუალოდ ერთ ოჯახზე ცალკეული სახის შემოსავლები საარსებო მინიმუმზე ნაკლები იყო. მაგალითად, 2011 წლისათვის ოჯახის საშუალო შემოსავალი დაქირავებული შრომიდან (ხელფასი – 65 აშშ დოლარი), ჩამორჩებოდა საარსებო მინიმუმს (100 აშშ დოლარი).

2012 წელს ხელისუფლების სათავეში მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო დაპირებების შესრულება, თუმცა საარსებო მინიმუმი გაიზარდა 90 აშშ დოლარამდე, რაც ისევ არასაკმარისია ინდივიდის მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

2013 წელს ჩვენ გამოვიკვლიეთ საქართველოს ქალაქების ოჯახის ტრანსფორმაციის პროცესის გამოკვლევა, სადაც ასევე გათვალისწინებული იყო ოჯახის ცხოვრების დონის შესწავლა [9]. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქალაქად ოჯახის საშუალო შემოსავალი შეადგენს 520 აშშ დოლარს, მათ შორის დიდ ქალაქში – 640, საშუალო ქალაქში – 397, ხოლო მცირე ქალაქში – 403 აშშ დოლარს. ამასთან, მცირე ქალაქის ოჯახების შემოსავლების მეტობა საშუალო ქალაქის ოჯახების შემოსავალზე განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციითა და მოხმარებით.

ოჯახის შემოსავლების წყაროების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ოჯახის შემოსავლების ძირითად წყაროდ ისევ რჩება ხელფასი (68,7% და პენსია (32,3%); შემდეგ მოდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციით შემოსავლები და მოხმარება (29,1%); ამ ფონზე ერთობ მცირეა ოჯახის შემოსავლები საკუთარი ბიზნესიდან (17,1%), ამასთან, დიდ ქალაქში (თბილისი) იგი შეადგენს 19,4%, ხოლო საშუალო (ქუთაისი) და მცირე (კასპი) ქალაქებში – 14,8%, ფულადმა გზავნილებმა უცხოეთიდან 14,0% შეადგინა.

ოჯახის შემოსავლებით დაკმაყოფილების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ოჯახის მოთხოვნებს ფულადი შემოსავლების სახით ვერ უზრუნველყოფს 305 აშშ დოლარი; მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს – 508, საკმარისად უზრუნველყოფს 947, ხოლო სრულად უზრუნველყოფს 1176 აშშ დოლარი. ჩვენი მონაცემების შედარებამ საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ 2013 წლის სექტემბერში გაანგარიშებულ 4-სულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმთან (153 აშშ დოლარი), ცხადყო, რომ ჯერ კიდევ ბევრი ოჯახი ცხოვრობს სიღარიბეში, რადგან 153 აშშ დოლარი თითქმის 4-ჯერ ჩამორჩება იმ შემოსავლის დონეს, რომელიც მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს ოჯახის მოთხოვნილებებს და 6-ჯერ ჩამორჩება სრულად უზრუნველყოფის დონეს.

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ოჯახის ერთ სულზე საშუალო შემოსავალი შეადგენს 142 აშშ დოლარს (ხოლო მისი მედიანა 100 აშშ დოლარს), რაც თითქმის ორჯერ აღემატება ერთ სულზე ქვეყნის დონეზე არსებულ საარსებო მინიმუმს – 77 აშშ დოლარს.

გამოკითხულთა შეფასებით, შემოსავალი ოჯახის ერთ სულზე (82 აშშ დოლარი) ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნილებებს; მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს 160, საკმარისად – 266 და მთლიანად აკმაყოფილებს 302 აშშ დოლარი. აღნიშნული მიუთითებს, რომ დადგენილი საარსებო მინიმუმის ღირებულება ატარებს უფრო პოლიტიკურ ხასიათს, ვიდრე ასახავს ეკონომიკურ რეალობას, რამდენადაც იგი, ოჯახის ერთი სულის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო რაოდენობის არაადეკვატურია. ამიტომ, საჭიროა, მისი გაანგარიშების მეთოდის შეცვლა, რომ მან რეალურად ასახოს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის შემოსავლებში ხელფასი წარმოადგენს ძირითად წყაროს, იგი მაინც ვერ აკმაყოფილებს ოჯახის წევრთა მინიმალურ მოთხოვნილებებს. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ოჯახმა შეიმუშავა სიღატაკის დაძლევის საკუთარი მეთოდები, თუმცა შეიძლება არაკანონიერიც. ოჯახის წევრებისგან ეს იძულებითი ნაბიჯი გარკვეულწილად მეტყველებს, ერთი მხრივ, ოჯახის წევრების homo soveticus-ის homo economicus-ად, მეორე მხრივ, მომხმარებელიდან მწარმოებელურ ოჯახად, მახინჯი ფორმით თვითტრანსფორმაციის პროცესზე.

არსებული სიღატაკის მაღალი დონის პირობებში, თუ ამ პროცესში სახელმწიფო დროულად არ ჩაერთო, ის შეიძლება არასასურველი მიმართულებით განვითარდეს და გამოუსწორებელი შედეგები მოიტანოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Папава В. Некроэкономика формирования коммунистического переходного периода. ж. «Общество и экономика» №5, 2001. с. 22-30; V.Papava. The Georgian Economy: From Shock Therapy' to Social Promotion' *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 8, #2, 1999.
2. Сулаберидзе А. Особенности ценностной ориентации руководителей предприятий Грузии в условиях экономической реформы. Общество и экономика. -1998. -N 4-5. - С. 117-131.
3. ვ. პაპავა. ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან“ სოციალურ სტიმულირებამდე. თბილისი, 1995.
4. Нищета, дети и социальная политика. Путь в более светлое будущее. Региональный мониторинговый доклад. UNICEF. - 1995. - N 3.
5. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის სოციოლოგიური გამოკვლევის მასალები (1999)
6. Бюллетень центра стратегических исследований и развития. – 1999. №25. с. 12.
7. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მასალები.
8. ი. არჩვაძე. ეკონომიკა და დრო. - თბილისი, 2000.
9. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის სოციოლოგიური კვლევის მასალები (2013).

PROBLEMS OF TRANSITION FROM CONSUMER TO PRODUCER FAMILIES IN GEORGIA
Annotation

In the given article there is discussion about the problems of transition from consumer to producer families. On the basis of sociological research the authors consider the low level of living standards as one of the hindering factors of the formation of producer families. According to their opinion insufficient share of salaries (68,7%) and high share of pensions (32,3%) in family incomes as compared with the incomes received from business cannot create socio-economic environment for the formation from consumer to producer families. In this process it is necessary government's political will and the active pursuance of purposeful family policy.

თემატიკაზე შენგელია

ბიზნესის ატიჰიზობია და მისი დაძლევის პირობები საქართველოში

შიში და ემოცია უხსოვარი დროიდან წარმოადგენს მეცნიერთა ინტერესის საგანს. ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები და ფიზიოლოგები თავისებურად ხსნიან ამ ფენომენს. ბოლო წლებში ამ პრობლემამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ეკონომიკური ხასიათის კვლევებში. ფილოსოფოსები შიშსა და ემოციაში ეგზისტენციალურ ძალას ხედავენ, რომელიც ადამიანის სულიერ ევოლუციას განსაზღვრავს. სოციოლოგები და პოლიტოლოგები ემოციებს ადამიანთა მასებში მანიპულირების საშუალებად აღიქვამენ. ფსიქოლოგები მათში დამცავ ფუნქციას ეძებენ, რომელიც ინდივიდს ექსტრემალურ სიტუაციაში გადარჩენის საშუალებას აძლევს. ფსიქიატრების აზრით, შიში ერთგვარი დაავადებაა, რომლისგანაც აუცილებელია პაციენტის განკურნება. ფიზიოლოგებისთვის კი განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ის ფიზიოლოგიური ძვრები, რომლებიც შიშისა და ემოციის აღმოცენებისას მიმდინარეობს ორგანიზმში. ბოლო წლებში შიშის ფაქტორის ზეგავლენა ბიზნესზე ეკონომისტების კვლევის საგანი გახდა.

შიში არის სოციალური მოვლენა რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ ბიოლოგიურ რეაქციას, საფთხის წარმოშობის პირობებში იწვევს ადამიანის ორგანიზმის მობილიზებას [1, p. 12-30]. კულტურული შიში განსაზღვრავს, რომ ის წარმოიქმნება საზოგადოებაში სოციალური რისკის ან გაურკვევლობის ფენომენის წარმოქმნასთან ერთად. შიში, როგორც სოციალური მოვლენა, დაკავშირებულია საზოგადოებრივი ცვლილებების პროცესებსა და ისტორიული მოვლენების ცალკეულ ეტაპებთან. შიში საკაცობრიო კულტურაში წარმოიქმნა ჯერ კიდევ არქაულ ეპოქაში. ამასთან, თანამედროვე და არქაული ადამიანის შიშები განსხვავებულია. ასე მაგალითად, ცნობილი მეცნიერი მ. ელიადე განმარტავს, რომ „არქაულ კულტურაში ადამიანი უკვდავია, მისი სიკვდილი დაკავშირებულია ბოროტი ძალების შიშთან“ [2, c. 105]. მითოლოგიურ კულტურაში შიში არის ძირითადი ელემენტი. ო. შპეგლერი განსხვავებს მითოლოგიის ორ ძირითად ტიპს: სიყვარულის და შიშის მითოლოგიას. ამასთან, შიშის მითოლოგია ო. შპეგლერის მიხედვით პირველადია. მეცნიერს მიაჩნია, რომ შიშის მითოლოგიამ წარმოქმნა ღმერთების კულტი [3, c. 275]. ბუნებრივია, შიშის პრობლემა მითოლოგიიდან ინაცვლებს რელიგიაში „შიში არის პირველი ემოცია, რომელიც, ბიბლიის თანახმად, განიცადა ადამიანმა და ეს ხდება მაშინ, როდესაც ადამმა მოსინჯა ედემის ბაღის გემო“ [4, p.626].

შიშის თემა აქტუალურია ქრისტიანობაში. გაეხსენოთ თუნდაც ბიბლიური თქმულება: (Came, came dominus videt) „ფრთხილად, ფრთხილად ღმერთი ხედავს“, რომლის მიხედვითაც ქრისტე სიმბოლურად წარმოადგება იმ უკანასკნელი ინსტანციის მსახურად, რომელსაც გააჩნია ადამიანის ცოდვებში მხილების უფლება. შიში არ არის უცხო ისლამისათვის. ყურანის მიხედვით, „ცოდვილნი მოხედებიან ჯოჯოხეთში და განწირულნი იქნებიან მუდმივი ტანჯვისათვის“ [4, p.612].

შიშის თემა ცენტრალურია ფილოსოფიურ მეცნიერებაში. მ. ჰაიდეგერი წერდა, რომ „შიშის თემა ცენტრალურია ჭეშმარიტი ფილოსოფიისთვის. ფილოსოფია წარმოიქმნება ადამიანის თავისი ბედით და წარმოშობით დაურწმუნებლობის და შიშის გამო“ [5, c. 36].

ფსიქონალიზის პარადიგმაში, რომლის ფუძემდებელი ზ. ფროიდი, ადამიანის ფსიქიკის ძირითადი ელემენტებია: პირადი „მე“ (ფსიქიკის კომონენტი, რომელიც პასუხს აგებს ადამიანის მიერ გადაწყვეტილებათა მიღებაზე) და „ხემე“ (საზოგადოებრივი ნორმების ინტერნალიზებული მოდელი). მათ შორის შეუსაბამობა იწვევს შიშსა და ნევროზებს. ზ. ფროიდის მიხედვით, „შიში წარმოიქმნება საბავშვო ასაკში, განსაკუთრებით იმ ბავშვებში, რომლებსაც მკაცრი აღზრდის პროცესში ეუფლებათ შიშის განცდა და ის თავს იჩენს მოზრდილ ასაკში მათ ნევროზებში“ [6].

ფსიქოლოგიური თეორიების ნაწილი შიშს განიხილავს, როგორც სოციალური და ისტორიული პროცესების შექმნის ფაქტორი. 30-იანი წლების ფაშისტური გერმანიის იდეოლოგიაში აქტიურად გამოიყენებოდა ე.წ. „ორგანიზმული შეშფოთების“ თეორია, რომელის მიხედვითაც, ბავშვური სექსუალობის ჩახშობის საფუძველზე შესაძლებელი ხდებოდა ავტორიტეტის წინაშე ბავშვური შიშის აღმოცენება, რაც ხდებოდა მორჩილი პიროვნების აღმოცენების საფუძველი [7, c.14]. იუნგის და ფროიდის იდეები ასახვას პოეზიის სამეწარმეო (ბიზნეს-შიშების) ბუნების ასხნასა და მათი მართვის პროცესში. შიში თამაშობს უნივერსალურ როლს ბიზნესის თეორიასა და პრაქტიკაში და თუ კაცობრიობა ისწავლის შიშის მართვას, ის ამავდროულად შეცვლის თავის დამოკიდებულებას ბიზნესშიშების მართვის ბუნებისადმი.

ცნობილია, რომ მეწარმეობასა და ბიზნესის ბუნების ასხნის საფუძველები უნდა ვეძებოთ რომის სამართალში. ჯერ კიდევ რ. კანტილიონმა შენიშნა, რომ მეწარმე არის ადამიანი, რომელიც რაიმე ახალს ქმნის, ამდენად, ის იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს ცვალებად გარემოში, ხოლო სამეწარმეო მოგება, რ.

კანტილიონის მიხედვით, არის იმ შიშის გადასახადი, რომელიც ახლავს რისკს. მ. ვებერს მიაჩნდა, რომ სამეწარმეო საქმიანობა ევროპაში იყო მიზანრაციონალური სოციალური საქმიანობა, რომელიც გამოძინარეობდა პროტესტანტული შრომითი ეთიკიდან [8, c. 5]. ჯ. შუმპეტერი წერდა, რომ სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი თავისებურება ვლინდება ინოვაციებში. მას მიაჩნდა, რომ სამეწარმეო სტატუსი არამდგრადია და დაკავშირებული წარუმატებლობის შიშთან [9, C. 227]. მეოცე საუკუნეში მეცნიერების ჯ. კეინზის, პ. დრაკერის პარადიგმებში მეწარმე წარმოჩნდა, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპი, რომელიც ცდილობს გამოიყენოს მოგების მიღების ნებისმიერი შესაძლებლობა [8, c. 5].

როდესაც ადამიანს მოუწია საკუთარ უსაფრთხოებაზე ფიქრი, (ა. მასლოუს მიხედვით თუნდაც ბიზნესის უსაფრთხოებაზე), მაშინ განხდა შიშის განცდა, როგორც მისი ბუნებრივი თვითგადარჩენის საუკეთესო საშუალება, რადგან სიცოცხლის სიყვარული და საკუთარი პიროვნული თავისუფლება ადამიანის ეგზისტენციური საზრისია. შიში არის შექმნილი ემოციური რეაქცია საფრთხეზე, რომელიც ადამიანის სისტემაში შეიმუშავა თანამედროვე მეწარმეობაში საკუთარი ბიზნესის შესანარჩუნებლად.

ბიზნესის თეორიის ფუძემდებლებს კარგად ესმოდათ მისი არამდგრადი მდგომარეობა საბაზრო სფეროში. ამასთან, მეცნიერთა ნაწილს მიაჩნდა, რომ ატიქიფობია (წარუმატებლობის შიში) [10] ბიზნესისთვის უცხოა. მაგალითად, პერეტოს მიაჩნდა, რომ „ერთხილი და ატიქიფობიას დაქვემდებარებული ადამიანები ბიზნესმენები არ ხდებიან“ [8]. მიუხედავად ამისა, უკვე მ. ვებერის და ბ. ზომბარტის შრომებში ხაზგასმულია, რომ მეწარმე არის ჩვეულებრივი მშრომელი და არა ავანტიურისტი, რომელიც ექვემდებარება რისკს [11, c. 47].

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ბიზნესისათვის დამახასიათებელი ხელისუფლების, საგადასახადო სისტემის, კონკურენციის ფობიები გახდა ტიპური. მცირე ბიზნესის შიში გარე და შიდასაფირმო ფაქტორებთან მიმართებით აზიანებს კომპანიის ინტერესებს, იწვევს კომპანიაზე კონტროლის დაკარგვის საფრთხის ზრდას [12 p.9-12].

ქართველი ბიზნესმენების ატიქიფობიის კვლევისათვის შესაძლებელია მრავალი მეთოდის გამოყენება. ამასთან, უპირატესობა მივიჩნევთ დასაბუთებული თეორიის მეთოდს, რომლის ავტორი ცნობილი მეცნიერი ა. სტრაუსია [13]. მეთოდის მიზანია მიუკერძოებელი კონცეფციის ფორმირება მონაცემთა შეგროვების, მათი ანალიზისა და შედეგების განზოგადების საფუძველზე. ამდენად, მონაცემთა შეგროვება და დამუშავება იძლევა ჯერ ჰიპოთეზის ჩამოყალიბების, შემდეგ თეორიული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. მეთოდის მთავარი არსი დაიყვანება მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში ინდივიდის (ბიზნესმენის) ქცევის ასხნაში. კვლევის შედეგად ჩვენ შეგვიძლია ლოგიკური კატეგორიების ჩამოყალიბება, რომლებიც გამოიყენება ბიზნესის სფეროში არსებული სოციოკულტურული რეალობის ასახსნელად. კვლევის პროცესში გამოიკითხა ქ. თბილისის 40-მდე კომპანიის 120-მდე მენეჯერი. 12 შემთხვევაში ისინი იყვნენ ქალები, დანარჩენი მამაკაცები. წარმოების პროფილი მოიცავდა საქმიანობის განსხვავებულ სფეროებს, დაწვეულს წვრილი აუდიტორული ფორმებით, დამთავრებულს მსხვილი ნავთობიმპორტიორი კომპანიებო. კვლევის პროცესში გამოიყო სამი ტიპის ატიქიფობია: სახელმწიფოს ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკასთან, კონკურენტების სტრატეგიასა და ზრდის პერსპექტივასთან დაკავშირებული შიშები.

საქართველოში, ხელისუფლების, როგორც დინამიური (საარჩევნო სისტემით), ასევე რევოლუციური ცვლა, უპირველეს ყოვლისა, აისახება ბიზნესზე, როგორც „რეპრესიული“, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. საქართველოში, ისევე, როგორც სხვა სფეროებში, ბიზნესის პოლიტიზების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, გარდა ამისა, პოლიტიკური ინსტიტუტების ფინანსურ სეგმენტში ბიზნესის მონაწილეობა განსაზღვრავს მათი საარჩევნო (ელექტორალური) წარმატების შანსებს. ამით არის მოტივირებული ის, რომ ქართული პოლიტიკა და ბიზნესი ასიმბალირებულია, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ბიზნესის სტაბილურობაზე პოსტსაარჩევნო პერიოდში, „რა იქნება არჩევნების შემდეგ“ არის ის ძირითადი ფობია, რომელიც ახასიათებს ქართულ ბიზნესს.

ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს ბიზნესზე, რამდენადაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. მაფრი გლობალური კონკურენციიდან და დინამიური ეკონომიკური განვითარების პროცესებიდან გამოძინარე, ბიზნესის მოთხოვნები სწრაფად იცვლება. შესაბამისად, სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო წარმოადგენს ბიზნესის მეტად მნიშვნელოვან ატიქიფობიას.

სამეწარმეო გარემოს ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობა დამაფიქრებელია და ბიზნესში იწვევს ატიქიფობიის განცდას. ქვეყანაში ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმების ტალღა 2004 წლიდან დაიწყო. აღნიშნული რეფორმების შედეგად აღმოფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები და შემცირდა საგადასახადო ტვირთი. მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშის (Doing Business 2014) მიხედვით, საქართველო ბოლო წლებში ერთ-ერთ მოწინავე რეფორმატორ ქვეყანადა აღიარებული. ამჟამად, ქვეყანა ბიზნესის კეთების სიმარტივის მაჩვენებლით 185 ქვეყანას შორის მე-8 ადგილს იკავებს [14]. მიუხედავად ამისა, რჩება პრინციპული ხასიათის პრობლემები ბიზნესის ცალკეულ სფეროში, რაც ხელს უშლის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. დღეისათვის კვლავ პრობლემად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა. ასევე, გამოწვევად რჩება გადახდისუნარიანობასთან, კომერციული დავების გადაჭრასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები. არსებული სირთულეები, საერთო ჯამში, აუარესებს სამეწარმეო გარემოს, ამცირებს ინვესტორთა ნდობას და ნაკლებეფექტიანს ხდის ადგილობრივ ბიზნესს. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშში (Doing Business 2014) საქართველოს უკავია პირველი ადგილი მსოფლიოში ქონების რეგისტრაციის სიმარტივის მიხედვით, ამასთან, ბიზნესმენთა შეფასებით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეგისტრაცია, არამედ ბიზნესის შენარჩუნება. ბიზნესმენთა აზრით, ქვეყანაში საკუთრების უფლება არ არის სათანადოდ დაცული. ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის მნიშვნელოვანია სასამართლოების კომპეტენციისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება.

სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს კუთხით არსებულ პრობლემებზე ასევე მიუთითებს სხვადასხვა საერთაშორისო შეფასება და ანგარიში. კერძოდ, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2013-2014 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები: საკუთრების უფლებების დაცვა – 120-ე ადგილი; დავების გადაჭრის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა – 92-ე; ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა – 138-ე; ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა – 123-ე; ბაზარზე დომინირების მასშტაბები – 119-ე [14].

მიუხედავად იმისა, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქცია ადამიანის ჯანმრთელობისთვის არცთუ მცირე საფრთხის შემცველია, მისი წარმოება და რეალიზაცია თითქმის ყველგან ელვისებურად და ფართო მასშტაბით ვრცელდება. საკმარისია ითქვას, რომ მისი ისტორიის სულ ორიოდე ათეული წლით შემოფარგვლის მიუხედავად, მთელ მსოფლიოში წარმოებული სასურსათო პროდუქციის დაახლოებით 2/3 გენმოდიფიცირებულია [7]. მათ შორის რძისა და რძის ნაწარმის შესაბამისი მაჩვენებელი თითქმის 90%-ია, ხოლო სოიოს წარმოებისა 70%-იან ნიშნულზეა ასული.

რით შეიძლება აიხსნას ასეთი პარადოქსი? – იგი შეიძლება აიხსნას:

– გენეტიკურად მოდიფიცირებული ნაწარმის შედარებითი სიიარაღითა და მომხმარებლისთვის (მ. შ. ნაკლებად შეძლებული მყიდველისთვის) ხელმისაწვდომობით;

– სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი ამაღლებითა და სიმყარით;

– შორეულ მანძილზე უვნებლად ტრანსპორტირების უნარიანობის გაზრდით. ეს პრობლემა მოხსნილია ისეთი მალფუჭებადი პროდუქტების მიმართაც, როგორცაა პომიდორი, ქლიავი, ატამი, ყურძენი, მანდარინი და სხვ.;

– მცენარეთა თვითდაცვითი უნარიანობის ამაღლებით გენეტიკურად მოდიფიცირებულ მცენარეს ვერ ეკარება კოლორადოს ხოჭო, ვერც მღრღნელები;

– ყინვაგამძლეობის უნარიანობის გაზრდით, სხვადასხვა დაავადების მიმართ მდგრადობის ამაღლებით, შენახვის ვადების გაზრდით;

– სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ინტენსიურად გამოყენების შესაძლებლობის გაფართოებით; სასურსათო პროდუქტების წარმოებისთვის განკუთვნილი ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოთავისუფლებით;

– და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმით, რომ მომხმარებელს სრულად და საფუძვლიანად ჯერ კიდევ არა აქვს გარკვეული და გაცნობიერებული, გენმოდიფიცირებული პროდუქტები ვნებს ადამიანის ორგანიზმს თუ არა, ან მათი რა დოზით მიღება შეიძლება იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში. სხვათა შორის, ამ პრობლემატურ და სრულიად არაორდინარულ საკითხზე მეცნიერულად დასაბუთებული პასუხის გაცემა იმიტომაც ჭიანურდება, რომ ამ მიმართულებით კვლევა-ძიებას ძირითადად სწორედ ის კომპანიები აფინანსებენ, რომლებსაც, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელს არ აძლევთ ამ „საიდუმლოების ამოხსნა“.

არის უკიდურესად რადიკალური შეხედულებაც, რომელიც საერთოდ შეცდომად თვლის ამ მეცნიერულ აღმოჩენას და მოითხოვს ხელოვნური პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების შეწყვეტას. ასეთი კონსერვატიული და უსაფუძვლო შეხედულება, რა თქმა უნდა, კატეგორიულად მიუღებელია. გენმოდიფიცირება, როგორც ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის დამკვიდრების მიმართულებით გადადგმული დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი, ფრიად პროგრესული მოვლენაა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, მისი შედეგების კაცობრიობის სამსახურში მაქსიმალურად ჩასაყენებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. უწინარეს ყოვლისა, ის, რომ მყისიერად და გამჭვირვალედ უნდა დადგინდეს გენმოდიფიცირებული პროდუქტებიდან რომელია ადამიანის ორგანიზმისთვის მავნე, რათა ისინი დაუყოვნებლივ იქნეს ამოღებული სასურსათო ნაწარმის ნომენკლატურიდან. ეს უაღრესად შრომატევადი, მაგრამ გადაუდებელი ამოცანაა. რაც შეეხება კვებისთვის რეკომენდებულ ახალი პროდუქციის სახეობებს, მომხმარებელს, ზედმიწევნით სიზუსტით ნაჭარბული შემოწმების შედეგების საფუძველზე მიღებული დასკვნების გათვალისწინებით, მაქსიმალურად უნდა გაეუადვილოთ იმაში გარკვევა, თუ რა ნივთიერებებს შეიცავენ ისინი და როგორია ადამიანის ორგანიზმზე მათი უარყოფითი გავლენის შესაძლო შედეგები. ამასთან, ინტენსიურად უნდა გაგრძელდეს კვლევა-ძიებითი საქმიანობა, რომელიც მიმართული იქნება გენმოდიფიცირებული პროდუქტების სასარგებლო თვისებების გაზრდისკენ. თუმცა, ყველაზე საშურ ღონისძიებად მაინც საქართველოს სასურსათო ნაწარმის ბაზარზე დღეისთვის დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრა მიიჩნევა. მხედველობაში მაქვს ის, რომ თავისუფლად იყიდება გენმოდიფიცირებული ნაწარმი, მ. შ. ბავშვების კვების პროდუქტები, რომლებსაც არანაირი მინიშნებაც კი არა აქვთ გენმოდიფიცირებული ინგრედიენტების შემცველობაზე.

და კიდევ ერთი. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ იმ მოთხოვნათა შორის, რომლებსაც საქართველო ევროკავშირში ინტეგრირებისთვის უნდა აკმაყოფილებდეს, სურსათის უვნებლობა და ბაზრის კონტროლიცაა.

ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის, კვების ხარისხიანი პროდუქტების საჭირო ოდენობით წარმოებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს მათი მოხმარების ზომიერებასაც. კითხვაზე, თუ როდის უნდა მიერთვას ადამიანმა სადილი, ხშირად ნახევრად ხუმრობით ასეთ პასუხს გაიგონებთ: „თუ მდიდარია, როცა სურს, ხოლო თუ ღარიბია, როცა აქვს“. მაგრამ სურვილი და მიზანშეწონილება ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, მომხმარებელს შეიძლება სურდეს გვიან ღამით ვახშობა ან ალკოჰოლური სასმელების ჭარბად მიღება, მაგრამ ჯანმრთელობისთვის არც ერთი მარგებელი და არც მეორე. ასეთ შემთხვევაში მთავარია თავშეკავება და ზომიერების დაცვა. თითოეულმა მოქალაქემ, ანალიზების საფუძველზე და მეურნალი ექიმის დასკვნით, უნდა იცოდეს, მისი ორგანიზმი რომელ ნივთიერებებს შეიცავს ჭარბად და რომელს არასაკმარისად, რა ვნებს და რა რგებს და კვების პროდუქტები ამის გათვალისწინებით უნდა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ხელს შეუწყობს დაავადებათა გართულებას და აღსასრულის მოახლოებას.

სახლვარგარეთ მივლინებით ყოფნისას ჩემი ყურადღება მიიპყრო ასეთმა გარემოებამ. დაწესებულებების სასადილოებში გამოკრული იყო სარეალიზაციოდ შემოტანილი კერძების ჩამონათვალი, რომელიც მომხმარებელს აუწყებდა არა მარტო იმას, თუ რა ღირდა, არამედ იმასაც, თუ რამდენ კილოკალორიას შეიცავდა თითოეული მათგანი. ამიტომ მომხმარებელი თავდაპირველად თუ მაღალკალორიან კერძს აიღებდა, შემდეგ ცდილობდა სადილის კომპლექტი შეეგოს დაბალკალორიანი კერძებით ისე, რომ კილოკალორიების საერთო რაოდენობა არ გამოსულიყო დასაშვებ ნორმაზე მეტი. ალბათ, ამის შედეგია, რომ იქ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის იშვიათად შეიმჩნევა ჭარბწონიანი მოქალაქეები.

კვების კულტურის სრულყოფის თვალსაზრისით ბევრი რამაა დასახვეწი და გასაუმჯობესებელი საქართველოშიც. მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, კვების რეჟიმის დარღვევა. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანი საჭმლის მიღების დღიური განაწესის დარღვევასთან დაკავშირებით წერდა: „არიან კაცები პირუტყვისებრნი, რომელნიც ჭამენ ოთხ და ხუთჯის“. არარაციონალური კვების ძირითად მიზეზად ქართული კერძების ასორტიმენტის მრავალფეროვნება და დამზადების ორიგინალური ხელოვნება სახელდება, მაგრამ გამოსასწორებელი ხარვეზიც ბევრი გვაქვს, რაც სრულებით არაა მეორეხარისხოვანი.

ასეთია მოკლედ ჩემი მოკრძალებული მოსაზრებები მოკვდაობასა და გენმოდირიცრებული პროდუქტებით კვებას შორის არსებულ კავშირთან მიმართებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Population Reference Bureau – 2013 World population data Sheet. www.prb.org, 2013.
2. გ. წულაძე, ნ. მაღლაფელიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული, თბილისი, საქართველო, 2013.
3. გაზ. „საკ. რესპუბლიკა“, 25.12. 2013.
4. ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი, 1997.
5. ი. არჩვაძე, ი. არჩვაძე, მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი ქართულ ლარსა და საბჭოთა მანეთს შორის. თბილისი, 2010.
6. გაზ. „კვირის პალიტრა“, № 16, 14.04. 2014.
7. www.bfm.ge/banks/6424 _ genmodpicirebuli.html #.U1k131V_580.

Leo Chikava

FOOD RATIO AND MORTALITY OF POPULATION IN GEORGIA Annotation

The article discusses the problems of necessary component of population reproduction – mortality together the birth rate and the ways of their overcoming.

There is also highlighted the dependence of food ratio of population with respect to mortality and is given the author's opinion about the main problems existing between mortality and nutrition with genmodified products.

*Ирина Вениаминовна Фролова
Наталья Юрьевна Лебедева
Ираклий Кипишидзе*

ЦЕЛЕВЫЕ ПАРАМЕТРЫ, ЗАДАЧИ И ЭТАПЫ ОРГАНИЗАЦИИ СИСТЕМЫ ВНУТРЕННЕГО КОНТРОЛЯ ПРЕДПРИЯТИЯ

Внутренний контроль является важнейшей частью современной системы управления, позволяющей достичь поставленных целей с минимальными затратами, основанный на механизмах контроля соответствия принимаемых на предприятии управленческих решений по реализации избранной стратегии предприятия.⁴⁶

Под системой внутреннего контроля понимается совокупность организационной структуры, методик и процедур, принятых руководством организации в качестве средств для ведения эффективной хозяйственной деятельности организации для поддержания адекватности целей и управленческих задач в зависимости от различной направленности стратегического, тактического и оперативного управления хозяйственными рисками предприятия с учетом возможных конфликтов интересов

⁴⁶ Ершов Д.М., Качалов Р.М. Системы поддержки принятия решений в процедурах формирования комплексной стратегии предприятия / Препринт # WP/2013/299. – М.:ЦЭМИ РАН, 2013. – 60 с.

различных участников корпоративного управления – топ-менеджеров, членов совета директоров, акционеров и заинтересованных сторон (стейкхолдерами).⁴⁷ В этой связи представляет особую актуальность рассмотрение целевых параметров, задач и этапов организации системы внутреннего контроля предприятия.

Формы организации внутреннего контроля могут быть структурированы по этапам осуществления операций или времени их проведения. По этому классификационному признаку внутренний контроль подразделяется на следующие формы: предварительный, текущий и последующий, или заключительный контроль.

Многие авторы указывают на важность разделения контроля по времени его проведения. Так, Т.А. Пожидаева считает, что на стадии планирования и прогнозирования предварительный контроль служит предпосылкой для принятия оптимальных управленческих решений⁴⁸. По мнению И. Дураковой текущий контроль позволяет исключить отклонения от запланированных этапов проведения работ, сопровождающих их выполнение инструкций⁴⁹. Т. Сильвестрова указывает, что предварительный контроль направлен на предупреждение неэффективного, нецелевого и незаконного расходования средств⁵⁰. С. Булаев полагает, что методикой разделения контроля по времени его проведения можно воспользоваться при разделении между сотрудниками обязанностей в системе внутреннего контроля. Например, с целью снижения риска ошибки и возможных злоупотреблений в положении о внутреннем контроле можно прописать норму о недопустимости совмещения одним лицом функций по санкционированию, исполнению и контролю за совершением хозяйственных операций. Поименованные обязанности целесообразно распределить между несколькими исполнителями, что позволит обеспечить двойной контроль за осуществляемыми учреждением операциями⁵¹.

Б.Н. Соколов внутренний контроль относит к системе управления предприятием, позволяющей достичь целей, поставленных собственниками с минимальными затратами⁵². Ф.Б. Риполь-Сарагоси и В.Ю. Реутов относят контроль к функции управления. Поэтому назначение контроля соответствует целям управления, которые определяются экономическими и политическими закономерностями определенной формации. Контроль – это система наблюдения и проверки на соответствия процесса функционирования объекта управления принятым управленческим решениям, установление результатов управленческого влияния на управляемый объект путем выявления отклонений, допущенных в ходе выполнения этих решений. Контроль как функция управления – это средство обратной связи между объектом и системой управления, он информирует о действительном состоянии управляемого объекта, фактическим выполнении управленческого решения⁵³.

Система внутреннего контроля предприятия имеет пять основных элементов: во-первых, контрольная среда, во-вторых, оценка рисков; в-третьих, информационная среда; в-четвертых, контрольные процедуры; в-пятых, мониторинг контроля. Разделение системы внутреннего контроля на пять элементов предоставляет внешним и внутренним аудиторам аргументированный подход для оценки эффективности контроля.

Качество информации влияет на способность руководства принимать надлежащие управленческие решения и осуществлять контроль за деятельностью, а также на возможность подготовки достоверной учетно-бухгалтерской отчетности

Функционирование информационных систем обеспечивается методами и способами учета, которые выполняют следующие функции:

- идентифицируют и регистрируют все правомерные операции;
- своевременно и достаточно подробно фиксируют операции, что позволяет надлежащим образом классифицировать операции для дальнейшего включения в бухгалтерскую отчетность;
- осуществляют оценку объектов учета так, чтобы соответствующая информация могла быть включена в бухгалтерскую отчетность в надлежащем суммовом выражении;
- определяют период времени, в котором имели место операции, что позволяет отнести их в учете к соответствующему отчетному периоду;
- представляют надлежащим образом операции и относящиеся к ним случаи раскрытия информации в бухгалтерской отчетности.

В.М. Родионова считает, что целью внутреннего контроля является помощь руководству хозяйствующего субъекта или органу управления эффективно выполнять свои функции⁵⁴. А.А. Ситнов под системой внутреннего контроля понимает политику или определенные процедуры (средства внутреннего контроля), которые руководство экономического субъекта применяет для целей наиболее эффективного ведения финансово-хозяйственной деятельности, обеспечения сохранности активов, предотвращения и обнаружения фактов мошенничества и ошибок, соблюдения точности и полноты бухгалтерских записей, формирования достоверной бухгалтерской отчетности⁵⁵.

По мнению Д.Р. Жиганшиной существует несколько основных целей внутреннего контроля:

- надежность, достоверность и полнота информации;
- соответствие политике, планам, процедурам, законодательству;
- обеспечение сохранности активов;

⁴⁷ Вахрушина М.А., Сидорова М.И., Борисова Л.И. Стратегический управленческий учет. М.: Рид Групп, 2011.

⁴⁸ Пожидаева Т.А. Сравнительная характеристика внешнего (финансового) и внутрихозяйственного контроля за деятельностью организации // Международный бухгалтерский учет. - 2012. - № 15. - С. 47.

⁴⁹ Дуракова И. Экономический контроль и аудит маркетинга персонала // Кадровик. Кадровый менеджмент (управление персоналом). - 2012. - № 4. - С. 95.

⁵⁰ Сильвестрова Т. Контроль, осуществляемый органами Федерального казначейства // Бюджетные учреждения: ревизии и проверки финансово-хозяйственной деятельности. - 2009. - № 12. - С. 34 - 46.

⁵¹ Булаев С. Положение о внутреннем контроле: разрабатываем, утверждаем, применяем // Бюджетные учреждения: ревизии и проверки финансово-хозяйственной деятельности. - 2009. - № 6.

⁵² Соколов Б.Н. Внутренний контроль и аудит на российских предприятиях // Аудит и налогообложение. - 2008. - № 11. - С. 25.

⁵³ Риполь-Сарагоси Ф.Б., Реутов В.Ю. Внутренний аудит: организация и планирование. - Ростов-на-Дону. Феникс, 2006. - С. 13.

⁵⁴ Родионова В.М. Финансовый контроль. Учебник – М.: ИД ФБК – ПРЕСС, 2002. - С. 25.

⁵⁵ Ситнов А.А. Международные стандарты аудита. Учебно-практическое пособие. – М.: ИД ФБК – ПРЕСС, 2004. – С. 60.

- эффективное использование ресурсов;
- достижение целей и задач компании⁵⁶.

Е.Г. Любовцева к целям системы внутреннего контроля относит своевременное предотвращение нерациональных или неправильных действий, а также ошибок при обработке информации⁵⁷. Б.Т. Жарылгасова считает, что средства внутреннего контроля способствуют достижению таких целей, как:

- осуществление операций по общему или специальному разрешению руководства;
- своевременный учет всех операций и прочих событий в точных суммах, на соответствующих счетах и в должные отчетные периоды, с тем чтобы сделать возможной подготовку финансовой отчетности согласно установленным правилам составления финансовой отчетности;
- сопоставление учтенных активов с активами, имеющимися в наличии, через равные промежутки времени и принятие соответствующих мер в отношении любых расхождений⁵⁸.

По мнению Т.Ю. Базарова внутренний контроль представляет собой независимую проверку деятельности подразделений с целью:

- определить, что необходимо сделать, чтобы контролируемое подразделение эффективно выполняло свои задачи;
- понять, насколько существующая структура организации пригодна для успешного и экономичного ведения деятельности;
- убедиться, что количество, градации и уровни ответственности служащих строго связаны с требованиями работы;
- оказать помощь управлению в совершенствовании организации и методов работы советами, основанными на опыте, полученном в процессе проведения контрольных мероприятий⁵⁹.

А.И. Троян считает, что создаваемая в организации система внутреннего контроля должна позволять собственникам и совету директоров осуществлять надлежащий контроль за происходящими в организации процессами, в том числе бухгалтерским учетом и подготовкой финансовой отчетности⁶⁰. Привезенцев В.А. считает, что контроль рассматривается как форма обратной связи, посредством которой управляющая система получает необходимую информацию о действительном состоянии управляемого объекта и степени реализации управленческих решений (законов, постановлений, планов, целевых программ, норм, стандартов, правил, приказов и т.п.)⁶¹.

И. Юдина считает, что от эффективности внутреннего контроля зависит эффективность функционирования хозяйствующих субъектов. Грамотно организованный контроль не только призван выявить недостатки и нарушения, но и предупредить их, а также способствовать их своевременному устранению⁶².

М.П. Каширина предлагает при определении этапов создания системы внутреннего контроля выделять цели, основные функции, структуру, регламенты службы внутреннего контроля. М.П. Каширина выделяет следующие этапы формирования системы внутреннего контроля:

- формулирование целей системы внутреннего контроля;
- определение основных функций системы внутреннего контроля, необходимых для достижения поставленных целей;
- формирование структуры системы внутреннего контроля;
- разработка положений, внутренних стандартов и методик, направленных на выполнение контрольных функций;
- создание схемы взаимодействия службы внутреннего контроля со звеньями системы управления компанией.

По нашему мнению служба внутреннего контроля может быть создана в организации в виде отдела как самостоятельной организационной единицы входящей в состав системы управления и наделенной функцией контроля фактов финансово-хозяйственной жизни экономического субъекта. Создание системы внутреннего контроля может состоять из следующих этапов:

- первый этап - исследование спектра целей и задач стратегического характера, для достижения которых создается отдел внутреннего контроля;
- второй этап - проведение всестороннего анализа деятельности организации, ее структуры, фактических контрольных процедур;
- третий этап - определение места внутреннего контроля и степени его интеграции с другими отделами организации;
- четвертый этап - разработка нормативных документов внутреннего контроля;
- пятый этап - формирование штата отдела внутреннего контроля.

Таким образом, исследование мнений экономистов свидетельствуют о том, что к целям внутреннего контроля относятся: во-первых, обоснование управленческих решений и стратегий организации для эффективного ведения финансово-хозяйственной деятельности предприятия; во-вторых, обеспечение сохранности финансовых активов и имущественных интересов предприятия; в-третьих, совершенствование методов управленческих решений на основе предотвращения и обнаружения фактов мошенничества и ошибок, в-четвертых, развитие информационных систем управления предприятия, позволяющих принимать стратегические решения с учетом как количественных данных, так и качественных оценок управленческих решений «на лету», что дает возможность анализировать данные из различных

⁵⁶ Жиганшина Д.Р. Внутренний аудит в системе внутреннего контроля организации // Бухгалтер и закон. – 2007. - № 10.

⁵⁷ Любовцева Е.Г. Место и роль внутреннего контроля в процессе управления организацией // Экономический анализ: теория и практика. – 2007. - № 7.

⁵⁸ Жарылгасова Б.Т. Система внутреннего контроля и оценка рисков // Аудиторские ведомости. – 2007. - №2.

⁵⁹ Базаров Т.Ю. Анкетирование персонала как инструмент внутреннего контроля // Внутренний контроль в кредитной организации. - 2011. - № 2. - С. 79.

⁶⁰ Троян А.И. Подходы к оценке эффективности системы внутреннего контроля в соответствии со стандартами аудита // Внутренний контроль в кредитной организации. - 2011. - № 3. - С. 20.

⁶¹ Привезенцев В.А. Контроль и ревизия: учебное пособие. – М: ТК Велби - Издательство Проспект, 2008. – С. 19.

⁶² Юдина И. Внутренний контроль: проблемы, критерии эффективности и значение в управлении компанией // Рынок ценных бумаг. - 2005. - № 4. - С. 45.

источников, в том числе и неструктурированных; в-пятых, развитие процессов стандартизации управления и системы внутреннего контроля предприятия.

*Irina Frolova
Nataliya Lebedeva
Irakli Kipshidze*

**TARGET PARAMETERS, GOALS AND MILESTONES OF THE ORGANIZATION OF
ENTITY'S INTERNAL CONTROL
Annotation**

The article examines the current trends in the development of internal control of the enterprise, explores the views of the scientific community regarding the goals, objectives and the phases of the internal control system of the enterprise. The article summarizes the position of researchers, reflecting the target parameters of the system of internal control structure substantiated entity's internal control that allows you to specify the internal control functions in the system of corporate governance.

რევაზ ჯავახიშვილი

**საქონლის კონკურენტუნარიანობა:
კირითაღი განმსაზღვრელი პარამეტრები და მაჩვენებლები**

საქონლის კონკურენტუნარიანობა საბაზრო ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რომელზედაც არსებითადაა დამოკიდებული ქვეყნის წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ბაზარზე კომპანიებს შორის კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების მიღწევა უშუალოდ უკავშირდება იმას, თუ რომელი მათგანი შეძლებს, გამოუშვას მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქცია და უკეთ დააკმაყოფილოს საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნა.

კონკურენტული გარემოს შექმნა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფირმებისა და კომპანიებისათვის, როდესაც ისინი მაქსიმალურ მოგებას იღებენ, არამედ მომხმარებლებისთვისაც, რომლებიც ასეთ ვითარებაში ფართო ასორტიმენტის მაღალხარისხოვან პროდუქციასა და მომსახურებას ღებულობენ. მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებასთან ერთად, კონკურენცია დიდად უწყობს ხელს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზრდას, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს პროდუქციის წარმოების დანახარჯების შემცირების გზით წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლებას.

საქონელმწარმოებლები ყოველწლიურად უამრავ ახალ საქონელს სთავაზობენ ბაზარს. თუმცა, ყველა მათგანი წარმატებით არ იყიდება და მკვიდრდება ბაზარზე. მისი ერთი ნაწილი სწრაფად რეალიზდება და სათანადო მოგება მოაქვს მისი მწარმოებლისთვის, მეორე ნაწილს კი არა აქვს დიდი აღიარება და სათანადოდ ვერ იმსახურებს მომხმარებელთა ყურადღებას. ყოველივე ამას განაპირობებს ცალკეული სახის საქონლის კონკურენტუნარიანობის დონეთა შორის დიდი განსხვავება.

საქონლის კონკურენტუნარიანობის სრულყოფილი ანალიზისა და შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი ცნების სწორად განსაზღვრას. ქართულ ეკონომიკურ ლექსიკონში საქონლის კონკურენტუნარიანობა განმარტებულია, როგორც „საქონლის უნარი, უკასუხოს კონკურენციული ბაზრის მოთხოვნებს, მყიდველთა სურვილებს ბაზარზე წარმოდგენილ სხვა ანალოგიურ საქონელთან შედარებით. კონკურენტუნარიანობა, ერთი მხრივ, საქონლის ხარისხით, მისი ტექნიკური დონით, სამომხმარებლო თვისებებითა და, მეორე მხრივ, საქონლის გამყიდველების მიერ დაწესებული ფასებით განისაზღვრება, გარდა ამისა, კონკურენტუნარიანობაზე მოქმედებს მოდა, რეკლამა, მწარმოებლის ავტორიტეტი, სიტუაცია ბაზარზე, მოთხოვნის მერყეობა“ [1, გვ.253] ცხადია, ეს ყველაფერი სწორია მაგრამ უფრო მოკლე და ლაკონურად საქონლის კონკურენტუნარიანობა შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: „საქონლის კონკურენტუნარიანობა არის მისი სამომხმარებლო თვისებებისა და ღირებულებითი მახასიათებლების ერთობლიობა, რითაც განისაზღვრება მოცემული საქონლის პოზიცია გასაღების ბაზარზე და მისი უპირატესობა საქონელ-კონკურენტებთან შედარებით“. როგორც ვხედავთ, ამ განმარტებაში ხაზი გასმულია ორ ასპექტზე – საქონლის სამომხმარებლო თვისებებისა და მის ღირებულებით მახასიათებლებზე. შესყიდვის პროცესში მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს იმ საქონელს, რომლის სასარგებლო ეფექტსა და მის შეძენასა და ექსპლუატაციაზე გაწეულ დანახარჯებს შორის თანაფარდობა არის მაქსიმალური ანალოგიურ საქონელ-კონკურენტებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, საქონლის კონკურენტუნარიანობა შეიძლება გამოიხატოს ფორმულით;

$$K = \frac{P}{C} \rightarrow \max$$

სადაც: **K** – არის საქონლის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი;

P – საქონლის მოხმარების პროცესში მიღებული სასარგებლო ეფექტი;

C – საქონლის შეძენასა და ექსპლუატაციაზე გაწეული დანახარჯები.

საქონლის კონკურენტუნარიანობის გასაზომად საჭიროა გარკვეული ინფორმაცია, რომელიც გვიხსიათებს საქონლის ექსპლუატაციის პროცესში მიღებულ სასარგებლო ეფექტს (P). იგი წარმოადგენს საქონლის ხარისხის კერძო მაჩვენებელთა სისტემას და, იმავდროულად, კონკრეტული მოთხოვნის დაკმაყოფილების ინტეგრირებულ მაჩვენებელს. სხვა სიტყვებით, სასარგებლო ეფექტი საქონლის სამომხმარებლო თვისებების ერთობლიობაა, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული მომხმარებლის მიერ კონკრეტული მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის. საქონლის ხარისხი კი წარმოადგენს პოტენციურ სასარგებლო ეფექტს მომხმარებელთა რამდენ-

ნიმე ჯგუფისათვის. როგორც წესი, კონკრეტული მომხმარებლის მიერ საქონლის გამოყენების სასარგებლო ეფექტი მისი ხარისხის ინტეგრირებულ მანევრებელზე ნაკლებია, მათ შორის განსხვავება გვიხასიათებს საქონლის პოტენციურ შესაძლებლობათა გამოყენებლობის დონეს. პრაქტიკაში მიზანშეწონილია საქონლის დაპროექტება კონკრეტული პირობებისათვის სასარგებლო ეფექტით, რაც ხარისხის 0,7-0,8 ინტეგრირებული მანევრების ტოლია [4, გვ.60]

რაც შეეხება მოხმარების ხარჯებს (C), იგი ორი ნაწილისგან შედგება: საქონლის შექმნის (საქონლის საცალო ფასი) და მისი ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან (საქონლის ტრანსპორტირება, მონტაჟი, შემოწმება, სათადარიგო ნაწილების შექმნა, რემონტი და სხვ.). ორივე ერთად აღებული დანახარჯი კი არის **მოხმარების ფასი**.

მოხმარების ფასი, როგორც წესი, საგრძობლად აღემატება საქონლის გაყიდვის (საცალო) ფასს. მაგალითად, აშშ-ში სატვირთო ავტომობილის გასაყიდი ფასი მთლიანი მოხმარების ფასში შეადგენს 15%, თვითმფრინავებისა – 11%, საოჯახო მაცივრისა – 19%. ისმის კითხვა, რომელი საქონელია უფრო კონკურენტუნარიანი? რა თქმა უნდა, არა ის, რომელ საქონელსაც ბაზარზე აქვს მინიმალური გასაყიდი ფასი, არამედ, გასაგები მიზეზების გამო, ის, რომელსაც ექსპლუატაციის მთელ მანძილზე აქვს მინიმალური მოხმარების ფასი.

საქონლის კონკურენტუნარიანობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ფირმები ამჟამად ცდილობენ ბაზარზე, გაყიდონ არა ცალკეული საქონელი, არამედ, მასთან ერთად, მისი მომსახურების მთელი კომპლექსი. გარდა ამისა, კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ დანახარჯები ახალი საქონლის დაპროექტებაზე გაცილებით უფრო ნაკლებია მოწყობილობების, დანადგარების, ახალი ტექნოლოგიების შექმნასა და გასაღების ქსელის ორგანიზაციის ღირებულებასთან შედარებით. არაკონკურენტუნარიანი საქონლის გამოშვებას ფირმისთვის მოაქვს დიდი ზიანი და, საბოლოო ჯამში, იწვევს მის გაკოტრებას. ფირმის სასაქონლო სტრატეგიის დამუშავებისას დიდი ყურადღება ეთმობა საქონლის კონკურენტუნარიანობის ანალიზსა და შესწავლას, რაც ცალკეული პარამეტრებისა და მანევრებლების მიხედვით ხორციელდება, რომელთაგან აღსანიშნავია ტექნიკური, ნორმატიული, ეკონომიკური, ესთეტიკური და ეკონომიკური პარამეტრები.

ტექნიკური პარამეტრები მიეკუთვნება საკლასიფიკაციო პარამეტრებს, რომელთა საფუძველზე განისაზღვრება ნაწარმის ამა თუ იმ კლასისადმი მიეკუთვნება. უნდა შედარდეს ერთი და იმავე კლასის პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. მაგალითად: 65 – 75-მდე ცხენისძალიანი ტრაქტორები ან ავტომობილები, 55 – 70-მდე მგზავრტევადობის თვითმფრინავები და ა.შ. ტექნიკური პარამეტრებს მიეკუთვნება, აგრეთვე, კონსტრუქციული პარამეტრები, რომლებიც ასახავენ ნაწარმის ტექნიკურ, კონსტრუქციულ გადაწყვეტას.

ნორმატიული პარამეტრები გვიჩვენებს ნაწარმის შესაბამისობას სტანდარტებისა და ნორმებისადმი, რომლებიც საერთაშორისო, სახელმწიფო, რეგიონულ თუ სხვა დონეზე არეგულირებენ მათი მოქმედების საზღვრებს. თუმცა, საერთაშორისო ნორმებისადმი შესაბამისობა სრულდებით არ ნიშნავს ნაციონალური ნორმებისადმი მათ შესატყვისობას. მაგალითად, საერთაშორისო ნორმების მიხედვით ტრაქტორის სამუხრუჭე სისტემის მოქმედება გათვალისწინებულია 15⁰-იანი დახრილობისთვის, ამერიკული სტანდარტების მიხედვით კი – 20⁰-იანი დახრილობისთვის. ნორმატიულ პარამეტრებს მიეკუთვნება აგრეთვე, ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების საპატენტო ნორმები, რომელთა დაუცველობა პირდაპირ გავლენას ახდენს კონკურენტუნარიანობაზე, ვინაიდან იგი საშუალებას აძლევს ქვეყანას, არ დაუშვას ბაზარზე საქონელი, თუ ის არ შეესაბამება საპატენტო ნორმებს.

ეკონომიკური პარამეტრები – ესენია პიგიენური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა მახასიათებლები, რომლებიც გვიჩვენებენ ადამიანის ორგანიზმის თვისებებს, მის ფსიქიკასთან საქონლის შესაბამისობას და განსაზღვრავენ მუშაობის მოხერხებულობას, დადლილობის სისწრაფეს, ადამიანის მანქანასთან შეთანხმების, შეგუების ხარისხსა და „ადამიანი-მანქანა“ კომპლექსის ფუნქციონირების საიმედოობას.

ესთეტიკური პარამეტრები გამოხატავენ საგნის შინაარსისა და ფორმის ერთიანობას, იწვევენ დადებით ან უარყოფით ემოციებს და ზოგჯერ გადაწყვეტ როლს ასრულებენ მომხმარებელთა მიერ საქონლის შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათი როლი განუსაზღვრელია კონკურენტუნარიანობაში, ვინაიდან საქონლის დიზაინი და სხვ. ესთეტიკური პარამეტრები არაიშვიათად გადაწყვეტ როლს ასრულებენ საქონლის შექმნის დროს.

ეკონომიკური პარამეტრებიდან გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოხმარების ფასს, რომელიც ყალიბდება შემდეგი ელემენტების საფუძველზე: საცალო ფასი, დანახარჯები საქონლის ტრანსპორტირებაზე, მონტაჟსა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანაზე, აგრეთვე, სათბობისა და ენერჯის, ნაწარმის დაზღვევის, გასაღების, უტილიზაციისა და სხვა ხარჯები.

საქონლის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება მიიღწევა მისი დეტალური ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე, რომელიც განუწყვეტლივ და სისტემატურად უნდა ხორციელდებოდეს, რაც საშუალებას იძლევა კონკურენტუნარიანობის შემცირების დაწყების მომენტის დაფიქსირებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისათვის. კერძოდ, მოიხსნას საქონლი წარმოებიდან, მოხდეს მისი მოდერნიზაცია თუ გადატანილი იქნეს იგი სხვა ბაზარზე. ეს იმიტომაცაა აუცილებელი, რომ ბაზარზე ახალი საქონლის გატანა მანამ, სანამ ძველს არ ამოუწურავს თავისი კონკურენტუნარიანობის ყველა შესაძლებლობა, ეკონომიკურად მიზანშეწონილია.

საქონლის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი მანევრებლებია: საქონლის დონე, მისი ხარისხი, საქონლის შესახებ ინფორმაციის გავრცელების საშუალებები, კონკრეტულ ბაზარზე საქონლის ადაპტაცია და ა.შ. საქონლის კონკურენტუნარიანობა ყალიბდება, აგრეთვე, ისეთი ფაქტორების ხარჯზე, როგორცაა ეკონომიკის განვითარების დინამიზმი და წარმოების ეფექტიანობა, საბაზრო დინამიზმი, მარკეტინგული კომპლექსი და ა.შ.

გარდა ამისა, საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი შეფუთვა, საქონლის მარკა, ბაზარზე საქონლის მიწოდება, საქონლის გაყიდვის პროგრესული მეთოდები და ხერხები, საფასო პოლიტიკა, რეკლამა და გასაღების სტიმულირება, საქონლის გაყიდვისა და გაყიდვის შემდგომი სერვისი, ექსპლუატაციასა და რემონტზე გაწეული დანახარჯები და ა.შ. როგორც შიდა ბაზრებზე, ისე საერთაშორისო ბაზრებზე მწვავე კონკურენტულ ბრძოლაში იმარჯვებენ ის ფირმები და კომპანიები, რომელთაც აქვთ კონკურენტუნარიანობის საწარმოო და საბაზრო საქმიანობის ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები.

სამწუხაროდ, ამჟამად ქართული პროდუქცია, როგორც ქვეყნის შიდა, ისე, განსაკუთრებით, საგარეო ბაზარზე, ხასიათდება კონკურენტუნარიანობის დაბალი დონით, რის გამოც ქვეყანა იჭულეებულია, მოხმარების ბევრ საგნებზე მოთხოვნა დააბალანსოს იმპორტის ხარჯზე. საჭიროა, ქვეყანაში სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით მაქსიმალურად შეეწყოს ხელი არა მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და მისი პროდუქტების გადამამუშავების ტრადიციული დარგების, არამედ, აგრეთვე, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების დარგებშიც კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას. სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი გრძელვადიან პერიოდში კონკურენტუნარიანობის ზრდა, შრომითი რესურსების მაქსიმალური დასაქმება, მათი რეალური შემოსავლების გადიდება და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკური ლექსიკონი. თბ., 2001.
2. დათაშვილი ვ. და სხვ. განვითარებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორები. // ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, თბ., 2009.
3. ფოფხაძე გ., კაკაურიძე ნ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა გლობალიზაციის პირობებში, // ჟურნ. „ეკონომისტი“, N 6, 2013.
4. შუბლაძე გ. საქონლის კონკურენტუნარიანობა და მენეჯმენტი, // ჟურნ. „კომერსანტი“, N 1, 2008.
5. Котлер Ф., Келлер К.. Маркетинг-Менеджмент. (гл. 11. “Проблемы конкуренции”). М., 2014.
6. Фахутдинов Р. Конкурентоспособность: Экономика, стратегия, управление, М., 2000.
7. ინტერნეტრესურსები.

Revaz Javakhishvili

COMPETITIVENESS OF GOODS: BASIC PARAMETERS AND CHARACTERISTICS

Annotation

Competitiveness is the value of properties and characteristics of its consumer goods, which is determined by its position in key markets and the benefits of the product – compared with its competitors. Competitiveness is determined by its individual parameters from which are important technical, regulatory, ergonomic, aesthetic and economic settings. The main determinants of the competitiveness index are: item novelty, quality, reliability, durability, and the dissemination of information about products, the market for its adaptation. In addition, they raise significant effect on the level of economic development, production efficiency, market dynamism, marketing complex etc.

ეკონომიკური თეორიის სექცია

ანზორ აბრალავა

ახალი ეკონომიკური თეორია – ახალი ეკონომიკური რეალობის მოთხოვნა

საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში მუდამ ხდებოდა ცვლილებები. ცვლილებები ხდება დღესაც და ისინი მომავალშიც მოხდება, – ეს უწყვეტი პროცესია, – მაგრამ ის, რაც დღევანდელ მსოფლიო ეკონომიკაში ხდება, კარდინალური ხასიათისაა. მეცნიერულ წრეებში გავრცელებული აზრის თანახმად, ეკონომიკური თეორია ვეღარ ეწევა ამ ცვლილებებს, სრულად და ადეკვატურად ვერ ასახავს რეალურ პროცესებს. ეკონომიკური სისტემების ტრანსფორმაცია, ცოდნასა და განათლებაზე დაფუძნებული პოსტინდუსტრიული, ნეოინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება, გლობალიზაცია, კომპიუტერიზაცია თუ ტექნოლოგიური ავთოქების პროცესები ჯერ კიდევ საკმარისად არა არის ასახული და გაშუქებული ეკონომიკურ თეორიაში.

ეკონომიკური აზრის ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი ნეგატივია თანამედროვე უმწვავესი ეკოლოგიური პრობლემები. გასაგები მიზეზების გამო არც სმითსა და რიკარდოს, არც კეინსსა და მარშალს სათანადო მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ ეკონომიკურ განვითარებაში ეკოლოგიური შეზღუდვებისთვის. მხოლოდ 1970-იან წლებში მკვეთრად გამწვავებულმა ეკოლოგიურმა პრობლემებმა დააყენა ეკონომიკური მეცნიერების წინაშე ეკოლოგიურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციების გააზრებისა და პრინციპულად ახალი კონცეფციების შემუშავების ამოცანა.

ეკონომიკური განვითარების დღევანდელი ტექნოლოგიური ტიპი შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც მეტისმეტად ბუნებატევადი (უფრო სწორედ – ბუნებადამანგრეველი), რომელიც ეკოლოგიური შეზღუდვების გარეშე დამზადებული წარმოების ხელშეწყობის საშუალებების გამოყენებას ეყრდნობა. იგი დაუზოგავად და ხშირად დაუნდობლად ეყრდნობა განახლებად და არაგანახლებად რესურსებს, არნახული მასშტაბებით ტოვებს ნარჩენებს და აბინძურებს გარემოს. დღეს ამას „ფორნტალურ ეკონომიკას“ უწოდებენ, ამერიკელი მეცნიერის ბოულდინგის ტერმინოლოგიით კი – „კოვბოურ ეკონომიკას“. მისი მიზნობრივი ფუნქცია კარგად ჯდება ერთ დროს ჩვენთვის საამაყო მოწოდებაში: „ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნებისგან, ჩვენი მიზანია წავართვათ იგი მას!“.

ნიშანდობლივია, რომ საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონის პირობებში ამგვარი ვითარება პროტესტს არ იწვევდა, რადგან ბიოსფეროს ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი თვითრეგულირების შესაძლებლობები და გლობალური ეკოლოგიური კატასტროფები არ ხდებოდა. ამჟამად ეკოსისტემას განუზომლად დიდი დატვირთვები დააწვა, ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთობა კი თვისებრივად შეიცვალა.

ეკონომიკური თეორიის ფუნქციებს შორის, ჩემი აზრით, გაუმართლებლად მცირე ყურადღებას უთმობენ მის კრიტიკულ ფუნქციას. არადა, ამ ფუნქციას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს გაბატონებული ეკონომიკური სისტემის ნაკლოვანებათა აღმოსაჩენად და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მისი უფრო სრულყოფილი სისტემის დასამკვიდრებლად და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, თვით ამ თეორიის მუდმივად დასახეველად.

არსებობს მოსაზრება, რომ თანამედროვე ეკონომიკის მანკიერების თავი და თავი ისაა, რომ ეს გაუცხოების ეკონომიკაა: ადამიანი გაუცხოებულია საკუთარი თავისგან, სხვა ადამიანებისგან, საერთოდ – ადამიანთა საზოგადოებისგან, ადამიანი და საზოგადოება ერთად კი – ბუნებისგან. მათ სერიოზულ შეშფოთებასა და წუხილს იწვევს სწორედ ის, რომ თანამედროვე ეკონომიკური თეორიების ფუძემდებლური დებულებები ამ კატასტროფული შედეგის აღმოფხვრისაკენ კი არა, მისი გაძლიერება-გაღრმავებისკენაა მიმართული. მოვიშველიოთ ცნობილი დასაგლეჯი მეცნიერების ე. ვაიცხუკერის, ე. და ლ. ლოვინების აზრი:

„ ... დღეს ეკონომიკა სახელმწიფო რელიგიის რანგშია აყვანილი, რომელზეც სწორებას იღებენ პოლიტიკოსები, რომელსაც ჰიმნებს უმღერიან და დღენიდაც მსხვერპლად კურობენ სწირავენ, თუმცა, წინასწარმეტყველების ძველრომაული მეთოდები მოდიდანაა გამოსული. ეკონომიკური თეორიის საყოველთაოდ დასაბუთებულობას ჩვენ ეჭვის (არა, ეჭვების გროვის) ქვეშ რომ ვაყენებთ, სულაც არ გვსურს იმ აზრის ჩაგონება, რომ იგი უსარგებლოა. ჩვენ მხოლოდ ყველას ვაფრთხილებთ, რომ მას ისევე წინდახედულად, გამჭრიახად და ჯანსაღი სკეპტიციზმით უნდა ვიყენებდეთ, როგორც ნებისმიერ სხვა თეორიას“.

ისე გამოდის, რომ ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებაზე ზრუნვა და მისი თეორიული დასაბუთება გარემოს ექსპლუატაციის გაძლიერებისკენაა მიმართული, ეკონომიკური თეორია კი თავის დოგმებსა და პოსტულატებშია ჩაკეტილი. იგი უნდა გამოვიყვანოთ ამ მანკიერი წრიდან და შევქმნათ ისეთი ახალი თეორიული სისტემა, რომლის მთავარი საგანი და პრობლემა, მიზანი და საფუძველი ადამიანის სასიცოცხლო გარემო იქნება. ამას დასჭირდება ყველა მაკრო- და მიკროეკონომიკური კატეგორიების გადახედვა, ეკონომიკური პროცესების ახალი კანონზომიერებების გამოვლენა, ახალ პრინციპებზე დაყრდნობა, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და ა.შ.

ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის გარდაქმნაში გამორჩეული მნიშვნელობა უნდა მივიანიჭოთ ადამიანის ადგილს ეკონომიკურ სისტემაში. როგორც რუსი მეცნიერი ბ. პრიკინი წერს, ადამიანი მარტო ეკონომიკური არსება არაა და მისი ხუთი ფუნქციონალიდან (ბიოლოგიური, სულიერი, კომუნიკაბელური, გონიერი, მწარმოებელი) სულიერი ფუნქციონალი თითქმის სულ მთლად უმოქმედოდაა დარჩენილი, განსაკუთრებით – ბუნებასთან მისი ურთიერთობის სფეროში. აშკარაა, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელია თანამედროვე მერყევი სამყაროს გარდასახვა მდგრად სამყაროდ. რაც შეიძლება სწრაფად უნდა მივადწიოთ იმას, რომ ეკონომიკას (მეცნიერებას საოჯახო მეურნეობის შესახებ) დაუბრუნდეს თავისი ჭეშმარიტი შინაარსი – იგი მართლა უნდა იქცეს იმ ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შემსწავლელ მეცნიერებად, რომელიც ოჯახად აღიქვამს ჩვენს საერთო პლანეტას – დედამიწას.

დღეს უცხო არაა პოლემიკა და დიკუსიები ეკონომიკური თეორიის კრიზისის თემაზე. მაგალითად, პ. კრუგმანი ფიქრობს, რომ კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმ ეკონომისტთა სიჭარბე, რომლებიც კეინზელობას უარყოფენ. მისი აზრით, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის დედააზრში აქსიომად გვევლინება

როგორც საქონლისა და მომსახურების, ისე ფინანსთა ბაზრების სრულყოფილება. ამას ზურგს უმაგრებს ის ლამაზი განტოლებები, რომლებიც ფარავენ ინდივიდთა არარაციონალურ ქცევებს, ორგანიზაციებში განხორციელებულ ისეთ ქცევებს, რომლებიც მათი მართვის მოშლას იწვევს, აგრეთვე ბაზრის მიერ თვითრეგულირების უნარისა და სახელმწიფოს მიერ რეგულირების (მინიმალური ჩარევის პირობებში) განხორციელების უნარის დაკარგვას.

მარკ ბლაუგს კრიზისის რამდენიმე მიზეზი მოჰყავს: „მზარდი ფორმალისმი, უშინაარსო მათემატიზაცია, პრაქტიკისაგან და ეკონომიკური პოლიტიკის საჭიროებებისგან მოწყვეტა“. რეალური პრობლემის ნაცვლად, მისი აზრით, სტუდენტებს მხოლოდ ფორმალურ ეკონომიკურ ანალიზს ასწავლიან, რაც ინტერესს უკარგავს ეკონომიკურ თეორიას. ამას ემატება ისიც, რომ სახელმძღვანელო ავტორები არ წერენ და არ აქვეყნებენ იმას, რაც ეკონომიკური თეორიის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ბლაუგის ამ მოსაზრებებს ეთანხმება უილიამ ბაუმოლიც.

ზედმეტ მათემატიზაციას და მასთან დაკავშირებულ დედუქტივიზმსა და მოდელირებას ღიად აკრიტიკებს ტონი ლოუსონიც. მისი კრიტიკის სამიზნეა ნეოკლასიკური თეორია, რომელიც სრულყოფილ ინფორმაციულ სიმეტრიასა და რაციონალურ ადამიანს ეყრდნობა. ლოუსონიც ყველაფერს ურთიერთკავშირში განიხილავს. როგორც ფსიქოლოგმა კანემანმა დაამტკიცა, რაციონალურობა იმთავითვე არ დაჰყვება თან ადამიანს, რაშიც მან ნობელის პრემია მიიღო. 2002 წ. ა. ტვერსკისთან ერთად მან აჩვენა, რომ თუკი ადამიანთა ქცევები მოწესრიგებულია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი აუცილებლად რაციონალურები არიან. რაც შეეხება რეალობას, იგი ღია სისტემაა და იმდენად ბევრ მოვლენას მოიცავს, რომ შეუძლებელია მისი კვლევა ნეოკლასიკური თეორიის ფარგლებში. უფრო მეტიც, დღეს არსებულ არც ერთ ეკონომიკურ მოდელს არ შეუძლია რეალობის ასხნა და პროგნოზირება, რის გამოც ახალი მოდელის მოფიქრებაა საჭირო. აი, ეს იქნებოდა თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების უდიდესი მიღწევა.

საინტერესოა ვ. პოლტეროვიჩის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ „ეკონომიკური სინამდვილე მეტისმეტად მრავალვარიანტულია და მისი ცვლილების ტემპი წინ უსწრებს მისივე შესწავლის ტემპს“.

აქ საჭიროა ისიც ითქვას, რომ ეკონომიკურ აზრს დიდი წვლილი აქვს შეტანილი სამეურნეო განვითარების ფუნდამენტური კანონზომიერებების კვლევებსა და ასხნაში, ამასთან, მან ვერ შეძლო ეწინააღმდეგებებინა ისეთი ეკონომიკური კატაკლიზმები, როგორიცაა დიდი დეპრესია, პოსტსოციალისტური ეკონომიკური კატასტროფა და ბოლო წლების ეკონომიკური კრიზისი. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკური თეორიის განვითარებას შორის არსებულ ნაპრალებს.

„სინერგეტიკული ეკონომიკის“ ავტორი, ჩინელი მეცნიერი ვ.-ბ. ზანგი ამავე სახელწოდების წიგნში ზოგად წარმოდგენას გვიქმნის ეკონომიკაში სინერგეტიკული მიდგომის შესაძლებლობებზე. ანალიტიკური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპს იგი „მეხუთე ბიჯს“ უწოდებს, რომელიც არაწრფივ და არამდგრად ეკონომიკურ სისტემებში ევოლუციასა და ცვლილებებს ეხება, და მის ამოცანად შედარებითი დინამიკის თეორიის შექმნას წარმოგვიდგენს. თანამედროვე მეცნიერ-ეკონომისტებში ავითარებენ ამ იდეას და აქტუალურ პრობლემად მიიჩნევენ ევოლუციურ-ინსტიტუციური და ნეოკლასიკური თეორიების სინთეზს. მათ იმედი აქვთ, რომ ეს მაქსიმალურად დაამოკლებს ეკონომიკურ პრაქტიკასა და თეორიას შორის წარმოქმნილ ჩამორჩენას.

ამდენად, მიმდინარე მოვლენების და მათი შედეგების სერიოზულობა გვაიძულებს, ახლებურად დავინახოთ ჩვენი გარემომცველი სამყარო, ხელახლა გავიაზროთ ისეთი კატეგორიები, როგორიცაა ბაზარი, მიწოდება და მოთხოვნა, ფული, ფინანსები და ფასები, ტექნოლოგიური პროგრესი და ეკონომიკური ზრდა, მოგება და ა.შ. ვფიქრობ, კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს ისე მწვავედ არ დამდგარა ისეთი ახალი ეკონომიკური თეორიის ფორმირების დრო, რომელსაც ჭეშმარიტად „ახალი ეკონომიკური თეორია“ შეგვეძლება ვუწოდოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბ., 2005.
2. Бальшева О.М. Дискуссия о кризисе в экономической теории. ж. Проблемы современной экономики. №1(41), 2012.
3. Барлыбаев Х.А. К критике экономической теории. Проблемы современной экономической теории. Уфа, 2012.
4. Блауг М. Тревожные процессы в современной экономической теории. ИМЭМО, 2002.
5. Баумоль У. Чего не знал А. Маршал. // Вопросы экономики. № 2, 2001.
6. Лоусон Т. Современная «Экономическая теория» в свете реализма. // Вопросы экономики, № 2, 2006.
7. Ваицеккер Э., Ловинс Э., Ловинс Л. Фактор четыре. Затрат-половина, отдача-двойная. М., 2000.
8. Полтерович В.М. Кризис экономической науки. Доклад на научном семинаре РАН «Неизвестная экономика».
9. Krugman, Paul. How did economists get it so wrong?

<http://www.nytimes.com/2009/09/06/magazine/06Economic-t.html>

Anzor Abzalava

THE NEW ECONOMIC THEORY – THE DEMAND FOR THE ECONOMIC REALITY Annotation

According to the widely spread idea within scientific circles, economic theory doesn't reflect thoroughly and adequately, the real economic processes. The backward of the economic idea creates the acute ecological and economic problems, which in its turn represents the objectives to comprehend the tendency of ecological-economic development and to work out the principally new concepts.

The world's current processes and the seriousness of its problems compel us to look at the environment in a new way and comprehend the categories such are: market, prices, economic increasing, profit etc. I think that it's high time to form the modern economics which we can call "the new economic theory" indeed.

**სტრატეგიული მართვა თანამედროვე საქმიანობის
სოციალურ-ეკონომიკური ბანკითარების პირობებში**

მეურნეობათა უთანაბრო განვითარება და საერთაშორისო ეკონომიკაში მათი ინტეგრირების გაღრმავება მკვეთრად ზრდის ეროვნულ მეურნეობათა და მათი კორპორაციული წარმონაქმნების მიერ დაკავებული კონკურენტული პოზიციების როლს. ამის გათვალისწინებით წინა პლანზე გამოდის ისეთი წამყვანი საკითხები, რომელთა შესწავლისა და მოგვარების გარეშე შეუძლებელი ხდება ხსენებული პოზიციების დაკავება და გაძლიერება. მათგან ჩვენთვის დღეს მთავარია:

- თანამედროვე ეკონომიკური ეპოქის ისტორიულ-სამეურნეო თავისებურებათა გააზრება, მათი შესაბამისი პარადიგმისა და განვითარების პროგნოზების შემუშავება;

- ახალ სამეურნეო მოდელზე გადასვლის კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავება კვლავწარმოების ახალი ტექნოლოგიური წყობის შესაბამისად და

- მართვის თანამედროვე მოდელის შემოღება დასავლური სამრეწველო მენეჯმენტის ანალოგიით. ამასთან, ეს მოდელი უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის ისტორიულ, სოციოკულტურულ, ეროვნულ-სამეურნეო და გეოეკონომიკურ თავისებურებებს ნეონდუსტრიულ ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლის პირობებში.

ბიზნესის გლობალიზაცია აღნიშნავს ქვეყნისა და მისი მეურნე სუბიექტების ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკაში. ამჟამად აშშ-ის უმსხვილესი კორპორაციების შემოსავლების ნახევარზე მეტი საზღვარგარეთ ყალიბდება: უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა საგარეო ვაჭრობისა და საზღვარგარეთული ინვესტირების განვითარების პროცესმა. თავის მხრივ, აშშ-იც იღებს ყველაზე მოწინავე უცხოურ საინვესტიციო საქონელს და ტექნოლოგიებს, ქვეყანაში კი მრავლადაა ევროპისა და იაპონიის ფირმების ფილიალები და შვილობილი კომპანიები, საგრძნობლად გააქტიურდა მართვის მოწინავე გამოცდილების გაცვლა [1, გვ. 167].

თანამედროვე მენეჯმენტის ეროვნულ მოდელში ობიექტურად შეგვიძლია გამოვყოთ მისი შექმნა-განვითარების სამი დონე:

1. ოპერატიულ-ტაქტიკური;
2. სტრატეგიული;
3. მაკროეკონომიკური.

სამეურნეო ორგანიზაციების მართვის თეორიასა და პრაქტიკაში ეს დონეები საერთო (ოპერატიულ), სტრატეგიულ (უპირველეს ყოვლისა, კორპორაციულ) და მაკროეკონომიკურ (ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების) მენეჯმენტად გვევლინებიან. როგორც ცნობილია, „სტრატეგიული მენეჯმენტის (მართვის)“ ტერმინის ავტორების არიან შენდელი და ჰატენი, რომლებმაც ეს ტერმინი 1972 წ. შემოიღეს [2, c. 4].

კორპორაციული ორგანიზაციების კომპლექსური სტრატეგიული მართვის ტრადიციული მიმართულებები თანდათანობით ხდება სასაქონლო-საბაზრო, სარესურსო-საბაზრო, საწარმო-ტექნოლოგიური, საფინანსო-საინვესტიციო, სარეორგანიზაციო-ინტეგრაციული, სოციალურ-საკადრო და ინოვაციურ-მმართველობითი სტრატეგიები. ამის პარალელურად ჩამოყალიბებას იწყებს სტრატეგიული მართვის ზოგად-სისტემური პარადიგმა, რომელიც შემდეგ საბაზო მიმართულებებს მოიცავს:

- ე.წ. „ობიექტური“ სტრატეგიული მართვა, ანუ კორპორაციული ინტეგრირებული სტრუქტურის ქვესისტემების (მისი ხაზობრივი და ფუნქციური ქვესისტემების) მართვა;

- „გარემოს“ სტრატეგიული მენეჯმენტი, ანუ ორგანიზაციის შიდა და გარემომცველი გარემოს მართვა;

- „პროცესული“ სტრატეგიული მართვა ანუ ორგანიზაციის პროცესების, პირველ რიგში კი მისი ბიზნეს-პროცესების მართვა;

- „საპროექტო“ სტრატეგიული მართვა, ანუ, უპირველეს ყოვლისა, მისი ინოვაციურ-ინვესტიციური პროექტებისა და მიზნობრივი პროგრამების მართვა [2, c. 4].

მეურნეობრიობის საბაზრო მოდელზე გადასვლა ობიექტურად განაპირობებს ცენტრალიზებული სისტემის შეცვლას მეცნიერული მენეჯმენტის იმ თეორიებითა და მექანიზმებით, რომლებიც მთელი XX ს. განმავლობაში იქმნებოდა და გროვდებოდა აშშ-ის, იაპონიისა და ევროპის განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში, თუმცა, ეს დაყვანილი არ უნდა იყოს მხოლოდ (უპირატესად) ოპერატიული მენეჯმენტის სისტემებისა და კონცეფციის ათვისებაზე.

აღსანიშნავია, რომ 1998 წ. დეფოლტმა პირველად მიაქცევინა ასე აქტიურად მენეჯმენტს ყურადღება სწორედ სტრატეგიული მენეჯმენტის მნიშვნელობაზე სწრაფად ცვალებადი და გლობალურად ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკის თანამედროვე პირობებში. ამ მომენტიდან თითქმის ყველგან გააქტიურდა სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობის პრაქტიკაში სტრატეგიული მენეჯმენტის რეალიზების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და მისი ტექნოლოგიური ინსტრუმენტების დამუშავება და შექმნა. ამ პროცესში დიდი ყურადღება ეთმობოდა ეროვნული და რეგიონული სტრატეგიების ფორმირების პრობლემებს.

სტრატეგიულმა მენეჯმენტმა, თავის მხრივ, მოითხოვა საჭირო კონცეფციების ფორმირება და პროგნოზირების სათანადო ინსტრუმენტები მისი რეალიზების სისტემებში. ამით იყო ნაკარნახევი ის დიდი

მნიშვნელობა, რომელიც სტრატეგიული მენეჯმენტის ჩამოყალიბებისას გამოყენებულ ისეთ მიდგომებს მიანიჭეს, რომლებიც თანამედროვე დინამიკური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გლობალურ ხედვაზე იქნებოდა დაფუძნებული.

ცნობილია, რომ XX ს. II ნახევრიდან მოყოლებული, მსოფლიო ეკონომიკური და სოციალური განვითარება მეურნეობრიობის ინდუსტრიულიდან ნეოინდუსტრიულ მოდელზე გადასვლის მიმართულებით წარმართა ჯერ განვითარებულ, შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც [4, c. 3–27]. მოვლიან, რომ ეს პროცესი მთელი ჩვენი საუკუნის მანძილზე გაგრძელდება და მისი თანხმლები მოვლენები იქნება:

- საზოგადოების სტრუქტურული სოციალურ-სამეურნეო გარდაქმნა, რაც პროდუქციის კვლავწარმოებით, საწარმო-ტექნოლოგიურ და სოციალურ-დემოგრაფიულ ძვრებს გამოიწვევს ეროვნულ მეურნეობებსა და რეგიონულ ეკონომიკებში;

- შესაბამისი სივრცობრივი განვითარება, რაც უკვე ახლა ვლინდება მსოფლიო სამეურნეო კავშირთაერთობებისა და ნეოინდუსტრიული სამეურნეო პროგრესის ეროვნული ეპიცენტრების კონფიგურაციის ცვლილებებში.

წარმოების ტექნოლოგიების მხრივ თანამედროვე ეკონომიკური განვითარება სულ უფრო ინტენსიურად მიისწრაფვის მეხუთე ტექნოლოგიური წყობის ათვისებისა და მეექვსე წყობაზე თანდათანობით გადასვლის მიმართულებით; დარგობრივი ეკონომიკის კონფიგურაციის სფეროში შესამჩნევი ხდება ორსექტორული მოდელის (მრეწველობა და სოფლის მეურნეობა) შეცვლა სამსექტორულით (რესურსების მოპოვება, ეკონომიკის გადამამუშავებელი და სერვისულ-საინფორმაციო დონეები).

ეროვნულ მეურნეობათა კვლავწარმოებით სტრუქტურებში მოსალოდნელია ეკონომიკური განვითარების ინდუსტრიულ-საინფორმაციო მოდელის დამკვიდრება; თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებების სოციალურ-დემოგრაფიულ სტრუქტურაში დანქარებულად ყალიბდება საშუალო კლასი, რომელიც ძირითადად მომსახურების სფეროში საქმიანობს და შესაბამისი სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილ მაღალხარისხიან მოხმარებაზეა ორიენტირებული; ინსტიტუციების სფეროში სწრაფად ვითარდება ის ინსტიტუტები, რომლებმაც სახელმწიფოს, ბიზნესისა და საზოგადოების ნაყოფიერი თანამშრომლობა უნდა უზრუნველყონ მეცნიერებისა და ინოვაციების როლის არნახულად ამაღლების პირობებში; კორპორაციული წარმონაქმნების განვითარების დარგში წამყვან მიმართულებად გვევლინება კორპორაციული სტრუქტურების ვერტიკალური ინტეგრაცია [4, c. 3-27].

ჩამოთვლილ პროცესებზე დაკვირვება შემდეგ ძირითად თავისებურებებს გვიჩვენებს:

- გამოკვეთილია თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო გენერალური ტენდენცია;
- სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში ეს ტენდენცია არათანაბრად ვითარდება – ან ძლიერდება, ან სუსტდება მთელი რიგი ფაქტორების გავლენით.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

1) **საქონლის კონკურენტუნარიანობას** განსაზღვრავს მისი ფუნქციური და ფასისმიერი პარამეტრები და მათი გაუმჯობესების ინოვაციური შესაძლებლობები;

2) **კორპორაციათა კონკურენტუნარიანობას** განსაზღვრავს მათი სტრატეგიული მენეჯმენტის ინოვაციური ეფექტიანობა;

3) **ეროვნული და რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას** განსაზღვრავს მათი ინოვაციური სტრუქტურული (ტექნოლოგიური, საწარმო-დარგობრივი და ინსტიტუციური) განვითარების მდგომარეობა და ტენდენციები, რომლებიც აყალიბებენ კორპორაციების ფუნქციონირების მაკროეკონომიკურ გარემოს და მათი სამწარმოო საქმიანობის რენტაბელურობის პერსპექტივებს [5].

სწორედ მათი ერთობლიობა აყალიბებს **ეროვნული კონკურენტუნარიანობის** პირველ, ე.წ. „საბაზო“ დონეს. რაც შეეხება მეორე – ე.წ. „ფაქტორულ“ დონეს, მათ აყალიბებს დაბალი (ბუნებრივი) და მაღალი (შექნილი) ფაქტორების ჯგუფები. ბუნებრივი ფაქტორებია: ეროვნული/რეგიონული ეკონომიკის გეოეკონომიკური მდგომარეობა და შედარებით იაფი ბუნებრივი და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის დონე; შექნილი ფაქტორებია: ტექნოლოგიები, განათლება, მაკროეკონომიკური გარემო, საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და მენეჯმენტის განვითარების დონე. დასახელებული ფაქტორებიდან პირველობა, ცხადია, დღეს ტექნოლოგიებს და ინოვაციური განვითარების უნარს ეკუთვნის, მაგრამ **ადამიანური რესურსების შემოქმედებითი პოტენციალის როლის გაძლიერების პირობებში** სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება მენეჯმენტის, როგორც ყველაზე უფრო ანგარიშგასაწევი ფაქტორის, როლი. საუბარია, სახელდობრ, სტრატეგიულ მენეჯმენტზე, რაკი მხოლოდ მას შესწევს უნარი, ეფექტიანად შეუხამოს ერთმანეთს ორგანიზაციების კონიუნქტურული ოპერატიულ-ტაქტიკური მართვა და მაკროეკონომიკური რეგულირება ეროვნული სამრეწველო პოლიტიკის სტრატეგიების კალაპოტში.

სავსებით აშკარაა, რომ გლობალური ტენდენციების ჩარჩოებში კვლავწარმოების ახალი მოდელის დამკვიდრებას როგორც მისი შესაბამისი სტრუქტურულ-საწარმოო, ისე სტრუქტურულ-სივრცობრივი პარამეტრები ექნება. სტრატეგიული მართვის სტრუქტურულ-საწარმოო მიმართულების უპირველესი ამოცანაა ორგანიზაციების დაბალანსებული ტექნოლოგიურ-საწარმოო-ინსტიტუციური გარდაქმნა-განვითარებისა და მათი მენეჯმენტის სრულყოფა.

სტრატეგიული მენეჯმენტის სტრუქტურულ-სივრცობრივი მიმართულების მთავარი ამოცანაა სივრცეში ტრანსფორმირების უთანაბრობის დაძლევა და ეკონომიკის განვითარების ცენტრისკენული და ცენტრიდანული ტენდენციების დაბალანსება. ცხადია, ეს ვერ მოხდება საბაზრო ეკონომიკის ციკლური განვითარების სპეციფიკისა და ნეოინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლის ციკლური თავისებურებების გაუთვალისწინებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. აბრალავა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. ინოვაცია. თბ., 2005.
2. Корнаи Я. Системная парадигма // Вопр. экономики. № 4, 2002.
3. Глазьев С. Перспективы социально-экономического развития России // Экономист. № 1, 2009.
4. Губанов С. Неиндустриализация плюс вертикальная интеграция (о формуле развития России). // Экономист. №9, 2008.
5. <http://cyberleninka.ru/article/n/razvitiye-strategicheskogo-upravleniyah-ucloviyah-narastaniya-globalizatsii-i-neravnomernosti-sovremennogo#ixzz2sF781ChX> neoindustrialnoy-

*Anzor Abralava
Ketevan Kutateladze
Rusudan Kutateladze*

STRATEGIC MANAGEMENT IN THE MODERN-DAY SPECIFIC SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT CIRCUMSTANCES

Annotation

Shift of the economy to a market model objectively determines a change in the centralized economy with those theories and mechanisms of the scientific management that had been created and accumulated throughout the 20th century in the U.S., those of Japan and Europe's developed industrial countries. However, it must not only be brought down to the operational management systems and learning of the concept.

It is noteworthy that in 1998 Default for the first time urged the management to actively pay attention to the importance of strategic management in the rapidly changing and globally interdependent economy in the present conditions. From that moment almost everywhere intensified, in the practice of socio - economic organizations, implementation of theoretical-methodological basis and its technological tool treatment and creation of the strategic management sale. In this process, great attention was paid to the problems related to the formation of national and regional strategies.

Strategic Management, in turn, required formation of the necessary concepts and prediction of the proper tools needed in its sale systems. It aggravated that vast importance assigned to the tactics used during the strategic management formation that would have been based on a global vision of the modern dynamic socio - economic development.

თამილა არნანია-კეპულაძე

კონტროლირებადი ექსპერიმენტები ეკონომიკაში: ზოგადთეორიული მიდგომა

გასული საუკუნის ბოლო მეოთხედამდე ითვლებოდა, რომ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების შესწავლა და ეკონომიკური დოქტრინების შემოწმება შეუძლებელია ლაბორატორიულ პირობებში. ამის შესახებ ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ავტორიტეტის მქონე ისტორიკოსი, ინგლისსა და ამერიკაში მოღვაწე ეკონომისტი მარკ ბლაუგი (M. Blaug) 1984 წელს აღნიშნავდა, რომ შეუძლებელია ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული თეორიების სისწორის (ჭეშმარიტების) შემოწმება კონტროლირებადი ექსპერიმენტების მეშვეობით [1, გვ. 6]. სამუელსონი (P. Samuelson) და ნორდჰაუსი (W. Nordhaus) ანალოგიურ შეხედულებებს გამოთქამდნენ და წერდნენ, რომ, ბიოლოგებისა და ქიმიკოსებისგან განსხვავებით, ეკონომისტებს არ შეუძლიათ კონტროლირებადი ექსპერიმენტების განხორციელება და მათ, ასტრონომებისა თუ მეტეოროლოგების მსგავსად, კვლევის პროცესში ძირითადად დაკვირვების მეთოდის გამოყენება უწევთ [3, გვ. 8]. კონტროლირებადი ექსპერიმენტების განხორციელების შეუძლებლობაზე საუბრობდნენ აგრეთვე მ. ფრიდმენი [8, გვ. 26] და სხვ.

მაგრამ ბოლო 40-50 წლის განმავლობაში ეკონომიკურ მეცნიერებაში მიმდინარე ცვლილებების და, პირველ რიგში, ინტერდისციპლინარული მიდგომის ჩამოყალიბება-გამდიერებისა და ფსიქოლოგიაში დანიელ კანემანისა და ამოს ტვერსკის მიერ განხორციელებული ექსპერიმენტების წყალობით, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო გამოცალკეებული ეკონომიკური მეცნიერული მიმართულების – ექსპერიმენტული ეკონომიკის – და კვლევის ინოვაციური მეთოდის – კონტროლირებადი ექსპერიმენტის – ინტენსიური განვითარება.

ექსპერიმენტული ეკონომიკა (Experimental Economics) წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ახალ და დინამიურად განვითარებად მიმართულებას, რომლის მეთოდოლოგია ეფუძნება კონტროლირებად ეკონომიკური ექსპერიმენტების ჩატარებას და რომელსაც ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა სკოლაში სულ უფრო მეტი მხარდამჭერი უჩნდება. ექსპერიმენტული ეკონომიკა ახორციელებს ეკონომიკური მოვლენების შესწავლას რეალურ ეკონომიკურ ობიექტებზე კონტროლირებადი ექსპერიმენტების ჩატარების საფუძველზე და ასეთი კვლევებისთვის სპეციფიკური მეთოდებისა და ინსტრუმენტარის შემუშავებას.

ეკონომიკური ექსპერიმენტების ისტორიიდან

ზოგადად, უშუალოდ ეკონომიკაში ჩატარებულ ექსპერიმენტებს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. საკმარისია გავისვენოთ სოციალისტ-კომუნისტთა – რობერტ ოუენისა და შარლ ფურიეს მიერ მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში მიკრო დონეზე განხორციელებული და მარცხით დასრულებული ექსპერიმენტები, ან 1849 წელს პიერ ჟ. პრედონის „სამართლიან გაცვლაზე“ დაფუძნებული წარუმატებელი „სახალხო ბანკის“ ექსპერიმენტი. სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ექსპერიმენტებთან დაკავშირებით ხშირად იხსენებენ იმ „დიად ექსპერიმენტებს“ [2, გვ. 8], რომლებსაც მაკროეკონომიკურ დონეზე ახორციელებდა ყოფილი საბჭოთა კავშირი თავისი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პირველივე წლებში. მომდევნო პერიოდში აღსანიშნავია გ.მ. მაღლენკოვის 1953-1955 წლების რეფორმა, ან ნ. ხრუშჩოვის მიერ 1957 წელს განხორციელებული სახალხო მეურნეობის მართვის მექანიზმის შეცვლისა და დარგობრივი მართვიდან ტერიტორიულ მართვაზე გადაყვანის მცდელობა. სხვა მაგალითია 1967 წელს განხორციელებული ე.წ. შოკინის ექსპერიმენტი, რომელიც ჩატარდა

ტულის ოლქის ქ. შოკინის ქიმკომბინატში და რომელიც ითვალისწინებდა ამ საწარმოსათვის სტაბილური სახელფასო ფონდის დაწესებას, როცა შრომის მწარმოებლურობისა და კომბინატში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებით მიღებული ეკონომია შრომითი კოლექტივის განკარგულებაში რჩებოდა. ან მსხვილმასშტაბიანი გორბაჩოვის „პერესტროიკა“ და მრავალი სხვა.

მაკროეკონომიკურ დონეზე შემუშავებულ ან/და განხორციელებულ ექსპერიმენტებს შორის შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე ჯ.მ. კეინის მიერ შემოთავაზებული სავალუტო ექსპერიმენტი, რომელსაც მან „სტერლინგის სავალუტო სტანდარტი“ უწოდა და რომელიც უნდა განხორციელებულიყო ვალუტის კონვერტაციის მართვის მეშვეობით [7], ან 1979-1982 წლების აშშ-ის ფულადი მასის ტარგეტირების პოლიტიკა, ანუ ე.წ. „მონეტარისტული ექსპერიმენტი“, რომლის შედეგად მკვეთრად გაიზარდა საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობა, ხოლო ფულადი მასის ზრდის ტემპის სტაბილურობა მიუღწეველი დარჩა, რასაც დაემატა წარმოების დონის შემცირება. ფულადი მასის პირდაპირი ტარგეტირების მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა აგრეთვე დიდ ბრიტანეთში.

სხვა სახის ექსპერიმენტები ტარდებოდა უშუალოდ წარმოების პროცესში. ამ სახის ექსპერიმენტებს მიეკუთვნება ფრედერიკ თეილორის⁶³ მიერ წარმატებით განხორციელებული შრომის, წარმოებისა და მართვის მეცნიერულ ორგანიზაციასთან დაკავშირებული ექსპერიმენტები, რომელმაც სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დროს მისცა ბოძი მსგავსი ექსპერიმენტების ჩატარებისათვის ჰენრი ფორდის⁶⁴, ელტონ მეიოს⁶⁵, თომას ბატას⁶⁶ და სხვებს.

კონტროლირებადი ექსპერიმენტები ეკონომიკაში

ეკონომიკური ექსპერიმენტების მიზანია განსხვავებულ პირობებში სხვადასხვა ეკონომიკური აგენტების (ბაზრების, სამეურნეო ერთეულების, ინდივიდებისა და სხვ.) ქცევისა და ამ პირობების ცვლილებებზე მათი რეაქციის თავისებურებათა შესწავლა-შემოწმება შესაბამისი დასკვნების მიღების მიზნით. ეკონომიკური ექსპერიმენტების მეშვეობით მიღებულ დასკვნებს გააჩნია არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა და დანიშნულება.

ეკონომიკური ექსპერიმენტი შეიძლება განხორციელდეს როგორც რეალურ გარემოში, ასევე ლაბორატორიაში, ანუ შეიძლება გამოიყოს ეკონომიკური ექსპერიმენტების ორი ტიპი: 1. ექსპერიმენტები უშუალოდ ეკონომიკაში – ე.წ. საველე ექსპერიმენტები და 2. ეკონომიკური ექსპერიმენტები ლაბორატორიაში, ანუ იმიტაციური ექსპერიმენტები.

ექსპერიმენტალური ეკონომიკის, როგორც საველე, ისე იმიტაციურის, მეთოდოლოგია ეფუძნება ადამიანთა ჯგუფებთან ეკონომიკური ექსპერიმენტების ჩატარებას მკაცრად განსაზღვრულ და კონტროლირებად პირობებში. ეკონომიკური ექსპერიმენტები ტარდება ფუნდამენტური ეკონომიკური კონცეფციების შემოწმების, საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების გაგებისა თუ ეკონომიკური აგენტების ტიპური ქცევის, ინდივიდების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების შესწავლის, სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების წინასწარ შეფასებისა და ა.შ. მიზნით.

საველე ექსპერიმენტები ეფუძნება ბუნებრივ პირობებში მოქმედ მონაწილეთა შემთხვევით შერჩევას. ამასთან, საველე ექსპერიმენტის მონაწილეები შეიძლება არც იყვნენ ინფორმირებულნი, რომ ექსპერიმენტში მონაწილეობენ და ეს ექსპერიმენტის შედეგებს უფრო სანდოს და იმედიანს ქმნის.

საველე ექსპერიმენტები ფართოდ გამოიყენება სოციალურ მეცნიერებებში სხვადასხვა პირობებში ადამიანთა ქცევის შესწავლისათვის. ამ სახის ექსპერიმენტები მნიშვნელოვნად ითვლება განვითარების ეკონომიკაში (Development economics) სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებების შედეგების შეფასებისათვის.

⁶³ **ფრედერიკ თეილორი** (Frederick Winslow Taylor, 1856-1915) - ამერიკელი ინჟინერი, მენეჯმენტისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფუძემდებელი, რომელმაც შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლის მიზნით წარმოების პროცესში პირველმა განახორციელა ექსპერიმენტების მთელი რიგი. ექსპერიმენტების პირველი სერია ფ. თეილორის მიერ ჩატარებული იყო ქალაქ ბეტლემის ფოლადსადნობ კომპანიაში 1898-1901 წლებში. თეილორის მიერ განხორციელებული ექსპერიმენტების არსი იმაში გამოიხატებოდა, რომ წამშობის მეშვეობით მან შეისწავლა საწარმოში მომუშავე ყველაზე სწრაფი მუშების მიერ ცალკეული დეტალების დამზადების სიჩქარე. თეილორმა დაყო საწარმოო ოპერაციები ცალკეული ელემენტებად და განსაზღვრა თითოეული მათგანის სახარკეო ღირებულება. ამით მან დაადგინა საწარმოო ოპერაციის ცალკეული ელემენტის შესრულების საშუალო ნორმები, რომლებიც ყველა მუშისათვის აუცილებლად შესასრულებელი გახდა. ასეთ ქმედებებს შედეგად მოჰყვა შრომის ნაყოფიერების 3-4 ჯერადი ზრდა, ხოლო ხელფასის ზრდამ შეადგინა 60%. შრომის ნაყოფიერების ამგვარი ზრდა მიღებული იყო არა შრომის ინტენსიურობის, არამედ მისი რაციონალიზაციის საფუძველზე. გარდა ამისა, თეილორმა ჩაატარა რამდენიმე ათეული ათასი ექსპერიმენტი ლითონის დეტალების დაჭრის სიჩქარისა და დაზგაზე მათი დაყენების ოპტიმალური ხერხების დასადგენად. ამ ექსპერიმენტის შედეგად თეილორმა დაადგინა თორმეტი დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც მოქმედებდა ლითონის დეტალების დაჭრის შედეგებზე.

⁶⁴ **ჰენრი ფორდი** (Henry Ford, 1863 — 1947.) - ავტომშენებლობის ერთ-ერთი ინიციატორი და Ford Motor Company-ს ფუძემდებელი, მრავალი პროექტის ავტორი, რომელთა შორის აღსანიშნავია 1914 — 1920 წლების სოციალური პროგრამა. ეს პროგრამა ითვალისწინებდა მრეწველობის სფეროში მომუშავეთათვის მაღალი ხელფასის დაწესებას მათ მიერ გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ, სოფლებში მცირე საწარმოების გახსნას და სხვ.

⁶⁵ **ელტონ მეიო** (Elton Mayo, 1880-1949) - ამერიკელი ფსიქოლოგი, სოციოლოგი და ეკონომისტი, რომელიც იკვლევდა ორგანიზაციული ქცევისა და მართვის პრობლემებს. სხვა მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ჰოტორნის ერთ-ერთ საწარმოში ჩატარებულ ექსპერიმენტში შრომის მწარმოებლურობაზე სხვადასხვა ფიზიკური ფაქტორების (განათება, შრომის ანაზღაურება, შესვენებები) გავლენის დასადგენად. ე.წ. „ჰოტორნის ექსპერიმენტის“ შედეგად მიღებული იყო ე.წ. „ჰოტორნის ეფექტი“. „ჰოტორნის ეფექტი“-ს თანახმად, იმ შემთხვევაში, როცა ორგანიზაცია ეფექტურად ფუნქციონირებს, ფიზიკურ პირობებთან შედარებით შრომის მწარმოებლურობაზე უფრო დიდ გავლენას შრომის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები ახდენენ.

⁶⁶ **თომას ბატა** (Tomás Batá, 1876-1932) - ფესაცემელების ფირმის BATÁ-ს ფუძემდებელი და თავისი დროის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოე, რომელმაც მის კუთვნილებაში მყოფ საწარმოებში შემოიღო წარმოებისა და გაყიდვებისადმი ახალი მეთოდები და შემოიღო მართვის იმ დროისათვის რევოლუციური ტექნოლოგიები და მეთოდები.

საველე ექსპერიმენტები იკავებენ შუალედურ მდგომარეობას ბუნებრივ პირობებში მიღებულ შედეგებსა და ლაბორატორიაში განხორციელებულ ექსპერიმენტებს შორის.

ეკონომიკური ექსპერიმენტები ლაბორატორიაში – ეს არის ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესწავლა ხელფუნურად შექმნილ გარემოში. ქიმაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჩატარებულ ექსპერიმენტების მსგავსად, ეკონომიკური ექსპერიმენტის ჩატარება შესაძლებელია ლაბორატორიულ პირობებში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ეკონომიკურ ექსპერიმენტებში მონაწილეობას იღებენ ადამიანები და სწორედ ცალკეული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ეკონომიკური ქცევისა და მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების შესწავლა წარმოადგენს ლაბორატორიული ექსპერიმენტის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს.

ლაბორატორიის პირობებში ეკონომიკური კვლევის ექსპერიმენტული მეთოდი არ იყვობდა მეცნიერ-ეკონომისტების სათანადო ყურადღებას მანამ, სანამ გასული საუკუნის 60-იან წლებში არ განვითარდა და არ გავრცელდა საერთო წონასწორობისა და თამაშთა თეორიები, თუმცა ხელფუნურად შექმნილ პირობებში ინდივიდუალური ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების ექსპერიმენტული კვლევის პირველი მცდელობა დათარიღებულია 1738 წლით და დაკავშირებულია შვეიცარიელი მათემატიკოსის დანიელ ბერნულის⁶⁷ (და მისი ძმისშვილის ნიკოლასის⁶⁸) სახელთან და ცნობილია, როგორც „სანქტ-პეტერბურგის პარადოქსი“. ინდივიდუალური არჩევანთან დაკავშირებული პირველი ფორმალური ექსპერიმენტები განხორციელებულია ლ. ტურსტონის (L.L. Thurstone) მიერ მე-20 საუკუნის 30-ან წლებში. ეს ექსპერიმენტი მიზნად ისახავდა ინდივიდუალულობის (განურჩევლობის) მრუდების ექსპერიმენტული გზით შემოწმების შესაძლებლობის შესწავლას. ლ. ტურსტონის შემდეგ ინდივიდუალულობის მრუდების ექსპერიმენტული კვლევა ვ. ალენისა და მ. ფრიდმენის შენიშვნების გათვალისწინებით 1941 წელს ჩატარეს ს. როუსისმა (Rousseas St.) და ა. ჰარტმა (A.G. Hart). 1950-იან წლებში ა. ჰოგატის (A.Hogatt), პ. საუერმანისა და რ. სელტენის (H. Sauermann, R. Selten) და სხვების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები ეფუძნებოდა თამაშთა თეორიას.

მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიის პირობებში ცალკეული ეკონომიკური ექსპერიმენტის ჩატარებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, მათ არ გააჩნდათ სისტემატური ხასიათი და ისინი მოკლებულნი იყვნენ სერიოზულ მეთოდოლოგიურ საფუძველს.

ექსპერიმენტული ეკონომიკის ფუძემდებლად ითვლება 2002 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ვერნონ სმიტი (Vernon Smith). ვ. სმიტის შეხედულებით, თეორიის ემპირიული შემოწმება ყოველთვის მოითხოვს ტესტირების დაკვირვებების ინტერპრეტაციისათვის აუცილებელი დამხმარე ჰიპოთეზების შემოღებას. ამასთან, დამხმარე ჰიპოთეზებში ვ. სმიტი გულისხმობდა იმ ვარაუდებს, რომლებიც გაერთიანებული არიან დაშვებაში „სხვა თანაბარ პირობებში“ [4, გვ. 127]. ვ. სმიტი აყალიბებს ექსპერიმენტების ჩატარების აუცილებლობის შვიდ მიზეზს: თეორიის არასრულყოფილების მიზეზების დადგენა; თეორიის შემოწმება და სხვა თეორიებთან მისი შეფასებითი შედარება; ემპირიული კანონზომიერების დადგენა ახალი თეორიების ჩამოყალიბებისათვის; თეორიების თავდაპირველი დაშვებების შედარებისათვის; ინსტიტუტების (ანუ, სმიტის გაგებით, გაცვლის წესებისა და ნორმების) შედარებისათვის; ეკონომიკური პოლიტიკის რეკომენდაციების შეფასებისათვის; ახალი ინსტიტუციური დიზაინის შესწავლისათვის [4, გვ. 113-116].

ექსპერიმენტები ლაბორატორიაში ტარდება ისეთი ტექნიკების მეშვეობით, როგორცაა ექსპერიმენტები ჩვეულებრივი ანკეტირების საფუძველზე. კომპიუტერიზებული ექსპერიმენტები და ექსპერიმენტები მონაწილეთა ტვინის მუშაობის სკანირებით (რომელსაც ფართოდ იყენებს ახალ დისციპლინათაშორის მიმართულებაში – ნეიროეკონომიკა).

კონტროლირებადი ლაბორატორიული ექსპერიმენტები ტარდება სპეციალურად მოწყობილ, z-Tree პროგრამით აღჭურვილ კომპიუტერიზებულ ლაბორატორიაში, სადაც მონაწილეები არიან ერთმანეთისაგან იზოლირებული და ინფორმაციული ქსელის მეშვეობით ურთიერთქმედებენ.

მეცნიერთა უმრავლესობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ექსპერიმენტების ჩატარება უნდა ეფუძნებოდეს ოთხ პრინციპს, კერძოდ: ექსპერიმენტის აღწარმოებულობა, ანუ მისი განმეორებადობის შესაძლებლობა; ექსპერიმენტის მონაწილეთა ანონიმურობა; ექსპერიმენტის მონაწილეთა ფულადი დაჯილდოება მათ მიერ მიღებული შედეგების მიხედვით; ექსპერიმენტის მონაწილეთა მოტყუების დაუშვებლობა.

ლაბორატორიული ეკონომიკური ექსპერიმენტების მეშვეობით მოპოვებული მონაცემები გამოიყენება ეკონომიკური თეორიების გადამოწმებისათვის, საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების უკეთ გაგებისათვის, სხვადასხვა სახის ქმედებების ეფექტურობის ხარისხის (Effect size) გაზომვისათვის.

უკანასკნელი ხუთი ათწლეულის განმავლობაში ექსპერიმენტული ეკონომიკის მეთოდები გადაიქცნენ სამეცნიერო მონაცემების მიღებისა და შეფასების ადრე არსებული ან ახლად ჩამოყალიბებული თეორიების შემოწმებისა და გადასინჯვის, თეორიული წინადადებების / შემოთავაზებების შემუშავებისა და პრაქტიკაში მათი გამოყენების შესაძლებლობათა შემოწმების და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Blaug Mark. 1985, Economic Theory in Retrospect, ISBN 0 521 30354.

⁶⁷ ზოგჯერ ამ პარადოქსის აღმოჩენას აკავშირებენ შვეიცარიელი წარმოშობის ეროვნებით გერმანელ მათემატიკოსს ლეონარდ ეულერს (LeonhardEuler, 1707-1783), რომელიც 1727-1742 და 1766-1783 წლებში ცხოვრობდა სანქტ-პეტერბურგში და მოღვაწეობდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში. იგი დიდი ხნის მანძილზე სანქტ-პეტერბურგის აკადემიის აკადემიკოსი იყო. მის მიერ დაწერილ 850-ზე მეტი ნაშრომიდან დაახლოებით ნახევარი სწორედ სანქტ-პეტერბურგში მეთოდურ ჩამოსვლისას იყო დაწერილი.

⁶⁸ დანიელ ბერნულის მიერ ს.-პეტერბურგის პარადოქსის „სანქტ-პეტერბურგის აკადემიის კომენტარებში“ გამოქვეყნებამდე ამ ექსპერიმენტის იდეა აღწერილი იყო ნიკოლას ბერნულის მიერ მის წერილში ფრანგ მათემატიკოს პიერ მონმორისთან.

2. Keynes J. M. National Self-Sufficiency. www.polarchy.org/enough/anthology/texts/keynes.1933.html
3. Samuelson P., Nordhaus W. 1985, Economics, 12thed. New York: McCraw Hill Inc.
4. Smith V. L. Economics in the laboratory // Journal of Economic Perspectives. 1994. Vol. 8, No 1.
5. Schliesser E. Galilean Reflections on Milton Friedman's «Methodology of Positive Economics», with Thoughts on Vernon Smith's «Economics in the Laboratory» // Philosophy of the Social Sciences. 2005. Vol. 35, No 1. P. 50—74.
6. The Handbook of Experimental Economics. Ed. John H. Kagel and Alvin E. Roth. Princeton University Press. Princeton. New York. ISBN 0-691-04290-X. 1995.
7. Барнетт В. Л. Кейнс и Россия: в долгосрочной перспективе экономическая теория всегда находится в состоянии перехода. Вестник Санкт-Петербургского Университета, Сер. 5. Вып. 1, 2007, 11-20.
8. Фридмен М. Методология позитивной экономической науки. // THESIS. 1994. Вып. 4. С. 20—52.

Tamila Arnania-Kepuladze

CONTROLLING EXPERIMENTS IN THE ECONOMICS: A GENERAL THEORETICAL APPROACH

Annotation

The article considers one of the new and rapidly developing areas of modern economics - the experimental economics – and the experimental methods of investigations. The paper depicts a brief history of economic experiments, gives an explanation of purposes and types of economic experiments, and characterizes the specifics of controlling laboratory experiments in economics.

Виталий Дмитриевич Архангельский

ГАЛЛОПИРУЮЩИЕ МНОГОСТОРОННИЕ ЭКОНОМИЧЕСКИЕ САНКЦИИ В ОТНОШЕНИИ ПОЛИТИЧЕСКОЙ ХУНТЫ В РОССИИ — МЕТОДИКА ВЫЖИВАНИЯ ДЛЯ БИЗНЕСА

На протяжении второй половины прошлого века западные демократии постепенно, в т.ч. и под влиянием развития современных информационных и телекоммуникационных технологий, выработали механизмы введения, применения и контроля экономических санкций, как против отдельных компаний или индивидуумов, так и против целых государств [1]. Действие санкций было неоднократно и масштабно проверено, и эффективность установлена. Западные компании научились страховать риски введения подобных санкций и их минимизации за счет различного рода страховых и финансовых продуктов, лицензий (на уклонение от санкций) и межправительственных соглашений. В ряде стран существуют и механизмы государственного или обязательного страхования подобного рода рисков, в т.ч. и обязательное (обязательное как по закону, так и на базе практики делового и коммерческого оборота) коммерческое страхование политических рисков. Отечественные компании чаще используют самострахование подобного рода рисков - создание внутренних фондов или резервов, а также рисковый менеджмент (например, завышение рентабельности это та же форма самострахования, при которой идет потеря продаж, но гарантируется прибыльность даже при возникновении страховых случаев) [2].

Экономические и политические реалии последнего полугодия свидетельствуют о появлении новой тенденции: «Галлопирующих многосторонних санкций, имеющих отличающиеся источники возникновения и разных или варьирующих фигурантов, неопределенность их длительности и невозможности отследить реальные фактические последствия их введения в краткосрочной перспективе». Учитывая, что санкции возникли неожиданно и имели источником своего происхождения внешние факторы, то очевидно можно сделать вывод об отсутствии в России механизма страхования подобного рода рисков национальными предприятиями. Более того, есть основания полагать, что и для иностранных предприятий в России это также стало неожиданностью и у них так же слабо прослеживается методика по минимизации потерь в условиях усугубляющегося в настоящий момент экономического кризиса и рецессии. Тем не менее стоит отметить, что за последнее десятилетие отечественные компании выработали полный спектр методик защиты от внутренних санкций глобально- общеполитических или локально-феодалных [3]. Для большинства компаний это GR (Government Relations), а для маленьких — оплата коррупционных платежей в разной форме — от прямых взяток до скрытых (в т.ч. трудоустройство жен, детей, тещ), спонсорская помощь в различные фонды (в т.ч. церковные), а также перевод бизнеса в серую или даже черную сферу (нет визуального бизнеса, нет его рекламы — нет и проблемы возможных санкций).

Первым ответом на международные санкции стал механизм государственной поддержки, а фактически страхования за бюджетный счет компаний, наиболее пострадавших от введения санкций. Отследить возможные расходы на такое страхование достаточно сложно, а также не особо поддается оценке и косвенное воздействие государственного ресурса на понижение эффективности экономики в связи с перенаправкой и перераспределением ресурсов в связи с экономическими санкциями. В российской действительности мы, например, наблюдаем требование к госкомпаниям перевода средств в банки, пострадавшие от санкций. Учитывая, что в подобной ситуации финансовые механизмы страхования рисков (особенно биржевые и валютные) наиболее уязвимы и малоэффективны, то речь идет о необходимости усиления рискового менеджмента на бытовом уровне, а если точнее на уровне дифференциации и диверсификации рынков, валют и рыночных сегментов в т.ч. даже и для малых предприятий [4]. Дальнейшее усиление самострахования и уделения ему большего внимания (возможно и в ущерб производственному процессу) будет способствовать улучшению финансового результата на фоне неизбежного спада производства. Безусловно в такой ситуации в наиболее защищенной позиции находятся торговые компании и компании не обремененные капитальными затратами, а тем более банковскими кредитами.

Фактически, абсолютно незащищенными (т.е. в ситуации наиболее высокой тяжести риска) оказались компании, имеющие кредиты. И если наиболее продвинутые в рисковом менеджменте смогли зафиксировать или минимизировать риск изменения валютного курса, то риск изменения процентных ставок по кредитам в российских банках страхованию не поддается в связи с высокой волатильностью банковского рынка [5].

Очевидно и усиление значения юридического страхования рисков экономической деятельности за счет корпоративного планирования и структурирования, что безусловно повлечет резкий рост расходов по данной статье и потребует значительного времени на адаптацию к уже имеющимся и прогнозируемым санкциям. Учитывая, что придется не только создавать зарубежные юридические структуры, но и проводить массовые регистрационно-перерегистрационные действия, то такие транзакционные издержки будут измеряться в десятках процентов.

ლიტერატურა

1. Aslanishvili David, Kristine Omadze. The influence of global economic crisis on world economy, its reasons and overcome steps. Caucasus Univeristy publishing house. ISSN 1987-8869. Tbilisi 2013. Page 35-45. www.cu.edu.ge.
2. Кузнецова Н.П., Архангельский В.Д., Страховой рынок России и малое предпринимательство. Санкт-Петербург: Изд. С.-Петербургского Университета. 1995.
3. Архангельский В.Д. Обязательное страхование в рыночной экономике: понятие, механизм функционирования. Вестник Санкт-Петербургского Университета. 1997. Сер. 5. Экон. Вып. 4. С. 116-120.
4. Arhangelsky, V.D. *Russian insurance: comparison, tendencies, ways to develop*. Working papers. TOH-serien. Hogskolen i Sor-Trondelag, Avdeling for okonomisk-Administrativ Utdanning. Trondheim, Norway. 1996. N 3.
5. Arhangelsky, V., D. Francisco Galiza. Mercado Segurador Russo e a Internet. SEGUROS & RISCOS. Abril/1996. Ano X- N 97. Brazil. (In Portuguese).

ინვა ბალარჯიშვილი

ინსტიტუტები როგორც საზოგადოებრივი და „კლუბური“ დოვლათი: ელიტური ტრანსფორმაციის გაკვეთილები საქართველოში

ეკონომიკისთვის სასარგებლო ინსტიტუტები ამცირებენ ტრანსაქციურ ხარჯებს და უზრუნველყოფენ ინდივიდებს განსაზღვრული ინფორმაციით. ამიტომ ისინი ამა თუ იმ ზომით ფლობენ წმინდა საზოგადოებრივი დოვლათის თვისებებს. კ. მენგერის ტერმინოლოგიით, ისინი უფრო მაღალი რიგის საზოგადოებრივი დოვლათია. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის დოვლათი, რომელიც გამოიყენება ურთიერთქმედების ორგანიზაციისათვის ერთობლივად ყველა ეკონომიკური აგენტის მიერ, მიუხედავად იმისა, იღებენ თუ არა ისინი მონაწილეობას მათი კორექტირების და ინტერპრეტაციის პროცესში. შესაბამისად, ინსტიტუტებისათვის დამახასიათებელია რამდენიმე თვისება: პირველი – არაკონკურენტულობა მოხმარებაში. ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ ნორმების გამოყენება არ იწვევს (ყოველ შემთხვევაში, უშუალოდ) მეორის სარგებლიანობის შემცირებას. პირიქით, რაც უფრო ფართოდაა გავრცელებული ნორმა, მით მეტია მისი გამოყენების სასარგებლო ეფექტი. რამდენადაც განუსაზღვრელობის და შეზღუდული რაციონალურობის პირობებში გადაწყვეტილების მიღება დაკავშირებულია ხარჯებთან, ინსტიტუტების (საყოველთაოდ მიღებული ნორმების) არჩევა ამცირებს განუსაზღვრელობას ურთიერთქმედებაში.

მეორე თვისებაა მოხმარებიდან გამორიცხვის მეტისმეტად მაღალ ხარჯები (მოხმარებაში გამონაკლისობის არარსებობის თვისება). ერთი ადამიანის მიერ გარკვეული ნორმის გამოყენება არ ამცირებს მის ხელმისაწვდომობას დანარჩენათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ მოცემული საზოგადოებრივი დოვლათი წარმოებულა, მაშინ მისი მითვისება ხორციელდება თავისუფალი ხელმისაწვდომობის რეჟიმით. ვერც ერთ ადამიანს ვერ ავუკრძალავთ ინსტიტუტის გამოყენებას, მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა იგი მონაწილეობას მის შექმნაში ან კორექტირებაში. აღნიშნული თვისება „უბილეთო მგზავრის“ პრობლემის წარმოშობის პირობაა. უპირატესობათა შესახებ ინფორმაციის განაწილების ასიმეტრიულობის გამოყენებით ყველას შეუძლია შეამციროს თავისი მონაწილეობის ხარისხი საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ეფექტიანი ინსტიტუტები ეკონომიკაში არსებული რესურსების საუკეთესოდ გამოყენების საშუალებას იძლევა, ინსტიტუტების გაუმჯობესებიდან მიღებული მოგება იშვიათად ნაწილდება თანაბრად. ზოგიერთმა ჯგუფმა ეკონომიკასა და საზოგადოებაში შეიძლება განიცადოს დანაკარგები და პროგრესული რეფორმების ოპოზიციასა აღმოჩნდეს. ცხადია, თეორიულად შესაძლებელია წაგებულთა კომპენსაცია მათ სასარგებლოდ ერთობლივი მოგების ნაწილის გადანაწილების გზით, მაგრამ ამგვარი შესაძლებლობა, ქოუზის თეორემის მიხედვით, სხვადასხვა ინფორმაციული და ტექნიკური დაბრკოლებების გამო, გამოუყენებელი რჩება. პოლიტიკური „ქოუზის თეორემის“ რეალიზაციას აბრკოლებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის უნდობლობაც [8]. კერძოდ, თუ რეფორმა საფრთხეს უქმნის ელიტების უშუალო ინტერესებს, ისინი არ ელიან, რომ მასები მათ თავისი მოგების ნაწილს გაუყოფენ. ამგვარად, ინსტიტუტების ბედი განისაზღვრება მათ მიმართ გავლენიანი საზოგადოებრივი ჯგუფების, განსაკუთრებით, ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულებით.

ელიტების როლი ეკონომიკასა და განვითარებაში უკვე მრავალი წელია იქცევა ეკონომისტთა ყურადღებას (ვ. პარეტოს კლასიკური ნაშრომიდან დაწყებული), მაგრამ ამ პრობლემისადმი ინტერესი განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში გაძლიერდა [9, 17]. ელიტების მიერ ინსტიტუტების „მიტაცების“ ფენომენის კვლევები ნათელ წარმოადგენს ქმნის იმ შედეგებზე, რასაც იწვევს საზოგადოების მიერ კონტროლის დაკარგვა ეკონომიკური „თამაშის წესებზე“. ელიტების, როგორც „საზოგადოების ორგანიზაციაზე კონტროლის და პრივილეგირებული სტატუსის მქონე საზოგადოებაში გამორჩეული ჯგუფის“ [14, გვ. 4], გავლენა აიხსნება არა მარტო მათი სიმდიდრით და მდგომარეობით პოლიტიკასა და ეკონომიკაში, არამედ მათი მცირერიცხოვნობითაც, რაც ამარტივებს კოლექტიური მოქმედებების პრობლემის გადაწყვეტას და პრივილეგირებულ კლასს საშუალებას აძლევს, კონსოლიდირებულად დაიცვას თავისი ინტერესები [19]. თუ მასებს არ შეუძლიათ, დაუპირისპირონ ელიტებს თავისი გავლენა და ინსტიტუტების არჩევის ტოვებენ მხოლოდ ელიტების ნება-სურვილზე, ეს უკანასკნელნი ქმნიან „დომინირებად კოალიციას“ „შეზღუდული

ხელმისაწვდომობის წესით“ [17], რომელიც აცალიბებს ინსტიტუტებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ასეთი ინსტიტუტების საზოგადოების მოთხოვნილებებთან შესაბამისობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდია „მანიძლი“ ფართო საზოგადოების ინტერესებსა და ელიტების უპირატესობებს შორის.

ისტორიაში საზოგადოებისა და ელიტების ინტერესებს შორის კონფლიქტის პრევალირება ადვილი ასახსნელია. საზოგადოება, მთლიანად, დაინტერესებულია ღია ხელმისაწვდომობით ინსტიტუტებისადმი როგორც საზოგადოებრივი დოვლათისადმი (კანონის უზენაესობა, საკუთრების უფლებების დაცვა, პოლიტიკური და ეკონომიკური კონკურენცია, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სოციალური მომსახურება და ა.შ.). ღია ხელმისაწვდომობის წესის შენარჩუნების შანსები მით უფრო დიდია, რაც უფრო ფართოა ინსტიტუციური არჩევანის მაკონტროლებელი კოალიცია, ვინაიდან ამგვარი კოალიციის ზრდასთან ერთად იზრდება მის მიერ საზოგადოებრივი დოვლათის ეკონომიკური ღირებულების შეფასება და ნაკლებად მიმზიდველი ხდება „გადამანაწილებელი“ ინსტიტუტები, რომელთა დახმარებითაც ერთი ჯგუფი წარმატებას სხვა დანარჩენთა ხარჯზე მოიპოვებს.

ამის საპირისპიროდ, ელიტები ამჯობინებენ ინსტიტუტებს – „კლუბურ დოვლათს“, რომლებიც ხელმისაწვდომია მხოლოდ პრივილეგირებული ჯგუფებისთვის. ასეთი „კლუბური“ დოვლათის ეკონომიკური საფუძველია „რენტის ძიება“, ანუ ელიტების მიერ ეკონომიკური რესურსების თავის სასარგებლოდ გადაანაწილება. ამ შემთხვევაში მისები ზარალდებიან არა მარტო ელიტების სასარგებლოდ ექსპროპრიაციის შედეგად, არამედ იმიტომაც, რომ საზოგადოებრივად არაეფექტიანი (მაგრამ ელიტებისთვის ხელსაყრელი) ინსტიტუტები იჭვევს დაუბრუნებელ დანახარჯებს, მწარმოებლური საქმიანობის სტიმულების ჩახშობას, საბაზრო სიგნალების დამახინჯებას და სხვ.

ქართული ინსტიტუტების სერიოზული დეფექტები დიდწილად დაკავშირებულია იმასთან, რომ 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე ინსტიტუციური გარდაქმნების პროცესი იმყოფებოდა ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტის მეტისმეტი გავლენის ქვეშ, ხოლო საზოგადოება არ იყო ამ პროცესის რამდენადმე აქტიური სუბიექტი და მონაწილე. თითქმის მთელი პოსტკომუნისტური ისტორიის მანძილზე შენარჩუნებულმა ინტერესთა კონფლიქტმა საზოგადოებასა და ელიტებს შორის გამიოწვია ინსტიტუტების – „საზოგადოებრივი დოვლათის“ დეფიციტი, რომელიც ემსახურება მთელ საზოგადოებას და არა მარტო მის პრივილეგირებულ ნაწილს.

ჯერ კიდევ 1990-იან წლებში საბაზრო რეფორმების დემოკრატიული სცენარით განხორციელება, ისევე, როგორც საზოგადოებისგან რეფორმების ადეკვატური მხარდაჭერის მიღება ex ante, ანუ მათ განხორციელებაზე, ნაკლებად სავარაუდო იყო. ამიტომ ერთადერთ გამოსავლად რჩებოდა რეფორმების გატარება „ზემოდან“, საზოგადოებრივი კონტროლისაგან პოლიტიკური გადაწყვეტილებების მაქსიმალური იზოლაციის გზით. ეს მართლდებოდა იმიტომაც, რომ ადამიანებს, როგორც ამტკიცებდნენ, არასაკმარისად ესმოდათ მისი არსი, მიზეზები და შედეგები [21]. დამკვიდრდა მოსაზრება, რომ საზოგადოება მთლიანობაში ეწინააღმდეგება საბაზრო რეფორმებს და პოლიტიკური მანიპულაციების მეშვეობით ამ წინააღმდეგობის გადალახვა ჩამოაყალიბებს საბაზრო ინსტიტუტებს, რომლებიც თავის ეფექტიანობას „პოსტ-ფაქტუმ“ დაამტკიცებენ. ასეთი მიდგომა არგუმენტირებული იყო ეკონომიკის სტაბილიზაციის აუცილებლობით და პოლიტიკური „შესაძლებლობების ფანჯრის“ გამოყენებით, როდესაც ხელისუფლების ოპონენტები დეზორგანიზებული არიან და რაღაც დროის განმავლობაში არ შეუძლიათ მთავრობის მოქმედებისადმი ეფექტიანი წინააღმდეგობა. საზოგადოებას ასეთ მოდელში მიენიჭა რეფორმების ობიექტის და არა სუბიექტის როლი.

ამგვარი პრაქტიკით დისკრედიტებული აღმოჩნდა არა მარტო ეკონომიკური, არამედ დემოკრატიის პოლიტიკური ინსტიტუტებიც. მასების მოთხოვნა დემოკრატიაზე, რომელიც წარმოიშვა ინსტიტუციური ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე, ძირითადად, უტილიტარული ბუნების იყო: დემოკრატია განიხილებოდა არა როგორც დამოუკიდებელი ფასეულობა, არამედ როგორც ცხოვრების დონის ამაღლების საშუალება, ხოლო დემოკრატია, რომელიც მოკლებულია ფასეულობით ფუნდამენტს, არამყარია და საზოგადოება ზურგს აქცევს მას, როდესაც რწმუნდება, რომ დემოკრატიული გარდაქმნები მოსალოდნელ ეკონომიკურ შედეგებს არ იძლევა [15]. რეალური შემოსავლების მკვეთრმა შემცირებამ და „გადარჩენის ფასეულობების“ პრევალირებამ ადვილი არ დაუტოვა სამოქალაქო კულტურას, რომლის საფუძველიც თანამონაწილეობის განცდა და საზოგადოებაში არსებული ვითარებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობაა. ხელისუფლებამ მიიღო საზოგადოებაში არაპოპულარული რეფორმების გატარების თავისუფლება, რაც, „ზემოდან რეფორმირების“ მომხრეთა აზრით, წარმატების შანსებს ამაღლებდა. მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობდა, რომ რეფორმატორები არ უნდა ცდილობდნენ ფართო საზოგადოებრივი კოალიციის შექმნას. თუ რეფორმები წარმატებული აღმოჩნდა, აუცილებელი კონსენსუსი თავისთავად აღმოცენდება.

ისტორიაში ცნობილია სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლებების იურიდიული გაფორმების და მისი შემდგომი დაცვის მაგალითები, ხოლო ეფექტიანი ინსტიტუტების სპონტანური წარმოშობის კონცეფცია დასაბუთებულია ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსების მიერ. ამასთან, ასეთი სცენარის რეალიზაცია შესაძლებელია დაიბლოკოს სპეციალურ ინტერესთა ჯგუფების (პირველ რიგში, ელიტური ჯგუფების) მიერ, რომლებსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „რენტის ამოღების ინსტიტუტები“ ურჩევნიათ.

ქართული პრივატიზაციის მთელი ისტორია (დაწყებული 1992 წლიდან მცირე და საშუალო საწარმოების, ხოლო 1997 წლიდან – უკვე მსხვილი საწარმოების პრივატიზების და ამ პროცესში მთელი მოსახლეობის ჩართვით, დამთავრებული 2004 წლის შემდეგ განსაკუთრებით აგრესიული „ვარდისფერი“ პრივატიზაციით, (რომლის დროსაც არ არსებობდა არანაირი შეზღუდვები), რომელმაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ჯგუფების პროტესტი გამოიწვია, ნათლად გვიჩვენებს საზოგადოების მხრიდან თანხმობის და კონსენსუსის მიღებასთან შედარებით, წინამორბედი პოლიტიკური და ბიზნესელიტების „განიტრალეობისთვის“ უპირატესობის მინიჭებას.

პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდელების უმრავლესობაში ივარაუდება, რომ სახელმწიფო რესურსები ნაწილდება საზოგადოებრივი დოვლათის (მათ შორის, ინსტიტუტების) ფინანსირებასა და რენტას შორის, რომელსაც ითვისებს მმართველი კლასი [20]. სრულყოფილი დემოკრატიის შემთხვევაში რენტის მითვისების მასშტაბები შეზღუდულია. ავტორიტარული რეჟიმისთვის კი რენტა თვითმიზანია, ხოლო საზოგადოებრივი დოვლათი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ფასეულობას და, საუკეთესო შემთხვევაში, განიხილება როგორც რენტის შექმნის წყარო. თუმცა თვით ავტორიტარული შემთხვევაშიც საზოგადოების და მმართველი კლასის ინტერესთა კონფლიქტი არაანტაგონისტურია – რაღაც საერთო ინტერესები მაინც არსებობს, ვინაიდან ინსტიტუტები სასარგებლოა ელიტისთვისაც, როგორც „საგადასახადო ბაზის“ გაფართოების პირობა და, მაშასადამე, ელიტის გამდიდრების შესაძლებლობა. ამიტომ ავტორიტარული რეჟიმი სახელმწიფო რესურსების ნაწილს მიმართავს საზოგადოებრივი დოვლათის შექმნისკენ და ამცირებს გადასახადებს, რათა არ აღმოჩნდეს „ლაფერის მრუდის“ დადამავალ მონაკვეთზე. მაგრამ ინტერესთა ეს ჰარმონია სწრაფად მთავრდება, ვინაიდან თავისუფალი ხელმისაწვდომობის ინსტიტუტების, როგორც საზოგადოებრივი დოვლათის, შეფასება ხელისუფლების და საზოგადოების მიერ არაერთნაირია.

ქართული ინსტიტუტების დინამიკა, განსაკუთრებით საკუთრების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, პოლიტიკონომიური თეორიის ამ დასკვნას ადასტურებს. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველოს 144 ქვეყანას შორის საკუთრების უფლებების დაცვის თვალსაზრისით 2011-2012წწ. 120-ე, ხოლო 2012 - 2013წწ. 131-ე ადგილი უკავია[22]. Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველოს საკუთრების დაცვის კუთხით ასევე ძალზე დაბალი მაჩვენებელი აქვს: 2002-2007 წლებში იგი სტაბილურად დაბალი იყო – 30, 2008-2009 წლებში გაიზარდა 35-მდე და 2010-2011 წლებში – 40-მდე [23]. თომას დე ვალის აზრით, ასეთი დაბალი რეიტინგები „საკუთრების უფლებებთან, უმცირესობაში მყოფი აქციონერების ინტერესების დაცვასთან და სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, მიგვანიშნებს, რომ ხელისუფლება იმაზე მკაცრად ურევდა ხელს ბიზნესში, ვიდრე ეს ლიბერალური ეკონომიკის მიმდევარი რეპუტაციის ქვეყანას ეკადრება“ [3, გვ. 30].

არსებობს მოსაზრება, რომ დემოკრატიის სუროგატი შეიძლება გახდეს მმართველი კლასის მიერ საბაზრო აქტივების წილის ფლობა. ელიტა ამ დროს გადაიქცევა არა წმინდა „პოლიტიკურ“, არამედ „ბიზნესელიტად“ [13] და ამის გამო მგრძობიარე ხდება ინსტიტუტების ხარისხისადმი. მმართველი კლასის არსებობა კერძო სექტორში ასტიმულირებს გადასახადების შემცირებასა და ინსტიტუტების გაუმჯობესებას არა იმიტომ, რომ ეს რეჟიმის დემოკრატიულ მხარდაჭერას აამაღლებს, არამედ იმიტომ, რომ მმართველ კლასს, ამ შემთხვევაში, საკუთარი აქტივებისგან მეტი უპუგების მიღება შეუძლია [16].

საქართველოში „უხილავი პოლიტიკური ხელის“ ეს იმედი, რომ ოლიგარქია ხელს შეუწყობდა საკუთრების უფლებების დაცვას საკუთარი პირდაპირი საბაზრო ინტერესის გამო, როგორც 1990-იან წლებში, ისე 2003 წლის შემდგომ პერიოდში, სამწუხაროდ, არ გამართლდა. ინსტიტუტების ფორმირების პროცესის „გადაბარებამ“ ელიტებისთვის საზოგადოებრივი ზეწოლის არარსებობის პირობებში გამოიწვია არა თავისუფალი ხელმისაწვდომობის წესის დამკვიდრება, არამედ ელიტების მიერ საკუთარი ბიზნესისთვის ექსკლუზიური პირობების შექმნა პრინციპით: „მეგობრებს - წყალობა, დანარჩენებს – კანონი“ (ლათინურიდან: Bonitas in suos, justitia in omnes: “Bonitas” – სიკეთე, კეთილგანწყობა, წყალობა, შებრალება; justitia – სამართლიანობა, კანონიერება).

ინსტიტუციური ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტს „ძალაუფლების პოლიტიკა“ წარმოადგენს. ეკონომიკაში ინსტიტუტების ფუნქცია მდგომარეობს არამარტო განუსაზღვრელობისა და ტრანსაქციური ხარჯების შემცირებაში. ინსტიტუტები იქმნება, აგრეთვე, როგორც ძალაუფლების რეალიზაციის ან როგორც მისი შეზღუდვის საშუალება [6]. დ. ნორთი შენიშნავს, რომ „ინსტიტუტების ფორმირებისას სოციალური ეფექტიანობის ფაქტორი არა აუცილებლად და არც ისე ხშირად თამაშობს გადაამწყვეტ როლს; ინსტიტუტები, ყოველ შემთხვევაში, ფორმალური წესები მაინც, იქმნება უფრო იმათი ინტერესებისთვის, ვინც ფლობს ძალაუფლებას, რათა მოახდინოს თავისთვის სასარგებლო ახალი წესების გენერირება“ [18, გვ. 360]. სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობების კონფიგურაცია პოსტსაბჭოთა საქართველოს ელიტური ტრანსფორმაციის კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ძალაუფლების „ტრიადის“ სახით: სახელმწიფოს წარმომადგენლები (ტრიადის პირველი მონაწილე) თავის პოლიტიკურ ძალაუფლებას იყენებდნენ ინსტიტუციურ სივრცეში ბაზრის საზღვრების დადგენისათვის. ამით ბაზარი, რომელიც ნეოკლასიკურ თეორიაში აღიწერება როგორც საზღვრების არმქონე, გადაიქცევა ურთიერთქმედების ჩაკეტილ სივრცედ. ამ სივრცის შიგნით მოხვედრა შეეძლო მხოლოდ იმ ეკონომიკურ სუბიექტს, (ტრიადის მეორე მონაწილე), ვინც დათანხმდება სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ დადგენილ პირობებს: როგორც ბაზარზე შესვლის ერთჯერად საფასურს, ასევე დამატებითი გადასახადებს [1, გვ. 152] – სახელმწიფოს წარმომადგენელთა პატრონაჟით განხორციელებული სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტებიდან დაწყებული (რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში მათი პოპულარობის ზრდას) – ქონების ნებაყოფლობითი თუ იძულებითი ჩუქებით დამთავრებული (2011 წლის დასაწყისისთვის საქართველოს მასშტაბით დაფიქსირდა სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების მიტოვების 1563, ხოლო 2004-2012 წლებში – ქონების ჩუქების 9860 შემთხვევა, ხოლო „ნაჩუქარი“ ქონების ღირებულებამ 163 175 118,86 ლარი, 11 568 836,73 დოლარი და 10 100 ევრო შეადგინა). ასეთი მოდელით პოლიტიკურმა ელიტამ მიითვისა საკუთრების უფლებების კონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილება – შემოსავალზე უფლება. პოლიტიკური ძალაუფლება კი კონვერტირდა ეკონომიკურში. კონკურენციის შეზღუდვის გამო უპირატესობაწარმოებული ბიზნესი (ტრიადის მესამე მონაწილე), რომელიც ასევე ფლობდა გარკვეულ ძალაუფლებას (მყიდველების მიმართ), თუმცა მისი არჩევანის აღწერა არ შეიძლება არც მოგების მაქსიმიზაციის და არც დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევის ტერმინებით. ამგვარ მოდელში „ძალაუფლების ტრიადის“ ყველა მონაწილეთაგან მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლები ახდენენ როგორც პოლიტიკური (ბაზარზე წესრიგის შესანარჩუნებლად ფიზიკური ძალის გამოყენებაზე მონოპოლიის გამო), ასევე ეკონომიკური ძალაუფლების მაქსიმიზაციას (ადმინისტრაციული

რენტის მიტაცების და თავის სასარგებლოდ გადანაწილების გამო). უპირატესობის მქონე ბიზნესის არჩევანი, ისევე, როგორც უპირატესობაწარმოებული ბიზნესისა, მხოლოდ ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების მინიმუმაციაა.

ცნობილია, რომ შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმების უკმარისობა ახშობს სახელისუფლო ელიტის მიერ საზოგადოებისთვის სასარგებლო სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების სტიმულებს, კანონის უზენაესობის დაცვის ჩათვლით [11]. თუმცა, საკუთრების უფლებების დაცვა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს სხვა ელემენტები შეიძლება აღმოცენდეს კანონის უზენაესობის არარსებობის დროსაც. „საკუთრების ენდოგენური უფლებების“ თეორიის მიხედვით, ეს უფლებები წარმოიშობა იმიტომ, რომ რეჟიმისთვის ხელსაყრელია მათი დაცვა, ხოლო ამისათვის აუცილებელია ხელისუფლებაში ყოფნის გრძელვადიანი პერიოდი: ინვესტორთა უფლებების პატივისცემით და მათი ექსპროპრიაციისგან თავის შეკავებით რეჟიმი ახორციელებს ინვესტირებას თავის რეპუტაციაში, რომელიც ფასეული რესურსი მხოლოდ საკმაოდ გრძელვადიან პერსპექტივაშია [10]. ამგვარად, ხელისუფლების უცვლელობა შეიძლება გახდეს საკუთრების უფლებების დე-ფაქტო დაცვის საიმედო გარანტია, მაშინაც კი, თუ ეს უფლებები დე-იურე სუსტადაა დაცული. ამ არგუმენტით, სტაბილური ხელისუფლება თითქოსდა აახლოვებს პოლიტიკური ელიტის ინსტიტუციურ უპირატესობებს საზოგადოების ინტერესებთან.

სამწუხაროდ, უკანასკნელი ათწლეულის ქართული ეკონომიკის რეალობა თეორიის ამ წინასწარმეტყველებას არ ადასტურებს. განუსაზღვრელი დროით ხელისუფლებაში ყოფნის იმედით, ქართული ელიტა, რეფორმატორული იმიჯის მიუხედავად (რაც მას ახალი საგადასახადო კოდექსის შემოღებამ, ბიზნესის დაწყების პროცედურების გამარტივებამ და სხვ. ცვლილებებმა შეუქმნა), უფრო მეტად ინსტიტუტების ნგრევით იყო დაკავებული [4], ვიდრე საკუთრების უფლებების, კონკურენციის დაცვის და სხვა ფუნდამენტური ინსტიტუტების ხარისხის გაუმჯობესებით. როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, „თვით გადაწყვეტილება ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების და საპარლამენტო არჩევნების გადატანის შესახებ მოწმობდა არა იმდენად მმართველი ელიტის იშულებით გადასვლას კომპრომისის სტრატეგიაზე, რამდენადაც მის დარწმუნებულობას საკუთარ ძალებში. გამარჯვების აბსოლუტურმა ხასიათმა ახალ მმართველ ელიტას ინსტიტუტების საკუთარი შეხედულებებისამებრ შენარჩუნების და მოდიფიცირების საშუალება მისცა [5]. მათი არამიზნობრივი გამოყენების მრავალფეროვანი ფორმებით [8, გვ. 29] – ინსტიტუტების „დაქვემდებარება“, მათით მანიპულირება, ინსტიტუტების „მიტაცება“ და სხვ. (ინსტიტუტებით მანიპულირების და მისი „კლუბურ“ დოვლათად გადაქცევის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია საპროცესო შეთანხმების შესახებ კანონის ბოროტად გამოყენება. ოფიციალური მონაცემებით, 2009-2012 წლებში საქართველოს ბიუჯეტში ამ გზით 140 მილიონ ლარზე მეტი გადაიხარჯა). სავარაუდოდ, პირიქით – ნამდვილად პროგრესული ინსტიტუციური რეფორმების კატალიზატორი სწორედ ხელისუფლების დაკარგვის რეალური პერსპექტივა ხდება [12].

ახალი ინსტიტუტების დაბალი ეფექტიანობა საქართველოში განაპირობა ელიტის მიერ არჩეულმა ტრანსფორმაციის სტრატეგიამაც – „ნორმატიულმა ფენიშიზმმა“, ანუ დარწმუნებულობამ იმაში, რომ სოციალური წესრიგის ეფექტიანად გამოსწორება შეიძლება ახალი ფორმალური ნორმების მიღებით. ჯერ კიდევ „ვაშინგტონის კონსენსუსის“ იდეოლოგია ითვალისწინებდა კანონების უბრალო იმპორტს განვითარებული დემოკრატიის ქვეყნიებიდან, სადაც ისინი ევოლუციური გზით წარმოიშვნენ და არეგულირებდნენ პორიზონტალურ სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. მაგრამ არაფორმალური ნორმები, ადამიანთა მენტალობა ინერციულია [2, გვ 59-60] და, ამიტომ, უპირატესად ვერტიკალური რჩებოდა. შედეგად, აღმოცენდა „გარდევვა“ პორიზონტალური ურთიერთობების მარეგულირებელ ახალ ნორმებსა და ძველ, ვერტიკალურ აზროვნებას, ხელისუფლების ვერტიკალურ (პატრონ-კლიენტურ) ურთიერთობებს, სასამართლოების და პროკურატურის ვერტიკალურ პრაქტიკას შორის. ეს გარდევვა შეავსო საყოველთაო კორუფციამ, ხოლო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ – მისმა კონცენტრაციამ სახელმწიფო ელიტაში.

როგორც ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ოცვლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, ინსტიტუტების ბოროტად გამოყენების ალბათობა ტრანზიტულ ეკონომიკაში საკმაოდ მაღალია. ამიტომ ახალი მმართველი ელიტის მიერ ქართული ინსტიტუტების მომავალი მოდერნიზაციის პერსპექტივა უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოებისა და ელიტის ინტერესების დაახლოებას, საზოგადოების აქტიურ ჩართულობას ინსტიტუციური გარდაქმნების პროცესში, როგორც ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბალარჯიშვილი ი. დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა: თეორიული მემკვიდრეობა და თანამედროვე პრობლემები. „ინოვაცია“, თბილისი, 2010.
2. ბალარჯიშვილი ი. ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ბარიერული ხასიათი: ტრანსპლანტაცია თუ ევოლუცია. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1, 2008.
3. დე ვაალი თ. საქართველოს არჩევანი. მომავლის დაგეგმვა გაურკვევლობის პერიოდში. Carnegie Endowment for International Peace. 2011.
4. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ექტორის შესახებ. საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2013. <http://www.papava.info/PapavaGeo.html>.
5. Гилев А. В. Политические трансформации на постсоветском пространстве: имеют ли значение «цветные революции»? «Полития», №2 (57), 2010.
6. Дементьев В.В. Институты, поведение, власть. Донецк: ДонНТУ, 2012.
7. Олейник А. Политэкономика власти. Вопросы экономики, № 5, Май, 2011.
8. Полищук Л. Нецелевое использование институтов: причины и следствия. "Вопросы экономики", №8, 2008.

9. Acemoglu D., Robinson J. Persistence of Power. Elites, and Institutions // American Economic Review. Vol. 98, No 1. 2008.
10. Besley T., Ghatak M. Property Rights and Economic Development // Handbook of Development Economics. Vol. 5 / Rodrik D., Rosenzweig M. (eds.). N. Y.: North-Holland. P. 4525-4595. 2010.
11. Besley T., Persson T. Pillars of Prosperity. The Political Economics of Development Clusters. Princeton: Princeton University Press. 2011.
12. Besley T., Persson T., Reynal-Querol M. Political Instability and Institutional Reform: Theory and Evidence. Mimeo. 2012.
13. Bourguignon F., Verdier Th. The Simple Analysis of Elite Behavior Under Limited State Capacity / Amsden A., DiCaprio A., Robinson J. (eds.). Oxford: Oxford University Press. P. 251-280. 2012.
14. DiCaprio A. Introduction : The Role of Elites in Economic Development // The Role of Elites in Economic Development / Amsden A., DiCaprio A., Robinson J. (eds.). Oxford: Oxford University Press. 2012.
15. Inglehart R., Welzel Ch. Modernization, Cultural Change, and Democracy: The Human Development Sequence. N.Y.: Cambridge University Press. 2005.
16. McGuire M., Olson M. The Economics of Autocracy and Majority Rule: The Invisible Hand the Use of Force // Journal of Economic Literature, Vol. 34, No 1. P. 72-96; 1996.
17. North D., Wallis J., Weingast B. Violence and Social Orders: A Conceptual Framework for Interpreting Recorded Human History. Cambridge, MA: Cambridge University Press, 2009.
18. North D. Economic Performance through Time. – American Economic Review, vol. 84, #3, June, 1994.
19. Olson M. The Rise and Decline of Nations: Economic Growth, Stagnation, and Social Rigidities. New Haven: Yale University Press. 1982.
20. Persson T., Tabellini G. Political Economics. Cambridge, MA: MIT Press. 2000.
21. Sachs J. Life in the Economics Emergency Room // The Political Economy of Policy Reform / Williamson J. (ed.). Washington, DC: Institute for International Economics. P. 501—524. 1994.
22. World Economic Forum. The Global Competitiveness Report 2011-2012, 2012-2013. <http://www.weforum.org/issues/global-competitiveness>.
23. <http://www.heritage.org/index/visualize>.

Inga Balarjshvili

INSTITUTIONS, AS PUBLIC AND “CLUB” GOODS: THE LESSONS OF ELITE TRANSFORMATION IN GEORGIA
Annotation

Institutions, as fundamental rules regulating human relations, have the characteristics that are typical for pure public goods, such as no competition in consumption and free access for all the economic entities (absence of exceptions in consumption).

The process of institutional transformation in Georgia was largely influenced by economic and political elites, which was characterized by “normative fetishism”, ignorance of social interests, inadequate formal and informal norms and so on. All the above-mentioned factors resulted in lack of protection of property rights, elite corruption, the dominance of “power politics” in relationship between politics and business, and finally, institutional deficit and their transformation into “club goods”, aiming at “rent seeking”.

Future perspectives of modernization and improvement of Georgian institutions should be aimed at bringing the interests of the society and the elite closer and active involvement of the society in the process of institutional transformation, which is an essential precondition for economic development.

*ვახტანგ გოგისვაანიძე
იზოლდა გაბადაძე
ინეზა წერეთელი*

**ბანათლების როლი მატერიალური დოვლათის შექმნასა და
პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში**

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგები გვერდით, ერთგვარი გამორჩეული ადგილი დაიკავა ბანათლების სფერომ, რომლის წარმატებულ ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საზოგადოებრივი პროგრესი, ქვეყნის გამოყვანა ეკონომიკური კრიზისიდან და ცივილიზებულ ურთიერთობათა დამკვიდრება.

სხვა ასპექტია ადგილობრივი კულტურის გაცნობა-პოპულარიზაცია, მხარისა და კუთხის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რაც კიდევ უფრო ღირებულსა და სასარგებლოს ხდის სასოფლო ტურიზმს. აქ ნაკლებად იყენებენ სასტუმროების მომსახურებას და დასვენების ორგანიზებაში ცენტრალურ ფიგურად ოჯახი გვევლინება. ამ შემთხვევაში ოჯახი თავის ჩვეულ პირად გლვხურ მეურნეობას მისდევს, რაც მისი ძირითადი საქმიანობაა, ამის გვერდით კი ამავე მეურნეობის ქონებას ტურისტული მომსახურებისთვისაც იყენებს. აქვე შედის საცხოვრებელი და საკვებით უზრუნველყოფა, ადგილობრივი კულტურის, ტრადიციებისა და ყოფის გაცნობა.

სასოფლო ტურიზმს დასვენების პასიურ ფორმას მიაკუთვნებენ, მიზნის მიხედვით კი იგი სოციალური უფროა, ვიდრე კომერციული. საფრანგეთში, მაგალითად, აგროტურიზმის განვითარებამ დიდად განაპირობა უპერსპექტივო სოფელი ადგილებიდან მოსახლეობის მასობრივად წასვლის პრობლემები.

აგროტურიზმი ევროპაში ამ ბოლო 40-45 წლის მანძილზე განვითარდა, განსაკუთრებით კი საფრანგეთში, ესპანეთსა და იტალიაში. იგი დღეს ძალიან პოპულარული ხდება პოლონეთში, ხორვატიასა და კვიპროსზე. აქ დიდ როლს თამაშობს ის გარემოება, რომ ტურიზმის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, აგროტურიზმი არც დიდ სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს და არც დიდი ტურისტული ფირმების შექმნას. ამიტომ მისი ფართოდ დანერგვა და განვითარება ჩვენს პირობებშიც სასარგებლო იქნება.

დღეს ქვეყნები განსხვავებულად წყვეტენ თავიანთ ეკონომიკურ პრობლემებს. სოფლად საკუთრებითი ურთიერთობების, მენეჯმენტის, რენტის, მეურნეობის ოპტიმალური ზომის და სხვა საკითხები საზოგადოების სულ უფრო გაცხოველებული მსჯელობის და კამათის საგანი ხდება. აშკარაა, რომ სოფლის მეურნეობის სფერო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ფერმების და უმუშევრობის მაღალი დონის ქვეყნისთვის. თუ სოფლის მეურნეობის განვითარებით მიღებული სარგებელი სიღარიბის დაძლევის პოლიტიკის შედეგი იქნება, მაშინ ამ დარგს მხოლოდ პასიური როლი დაეკისრება, ხოლო თუ სახელმწიფოს თანამონაწილეობით კომერციულ მნიშვნელობასაც შეიძენს, მაშინ იგი ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა გახდება.

საქართველოს ახლანდელმა მმართველმა ძალამ აგროსექტორის განვითარების ძირითად ამოცანად დასახა დარგის პოტენციალის სრულად ათვისება, კონკურენტუნარიანი წარმოების მოწყობა, იმპორტის ჩანაცვლებაზე ზრუნვა, აგროსასურსათო სექტორის საექსპორტო პოტენციალის გადიდება, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა, აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება და სხვა. მისი დაპირების მიხედვით, სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის რეალურ პრიორიტეტად იქცევა და მკაფიოდ განსაზღვრული აგრარული და რეგიონული პოლიტიკის საფუძველზე განვითარდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაპანაძე მ საერთაშორისო აგროტურიზმი: პერსპექტივები საქართველოსთვის. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გვ. 346. 8.06.2013. ბათუმი.

2. კაპანაძე მ. სოფლის მეურნეობის განვითარება – რეალური პრიორიტეტი. პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. გვ. 476. 28.06.2013, თბ.
3. ბუხლერი გ. რას მოაქვს წარმატება? მდგრადი ეკონომიკური 8 გაკვეთილი. www.liberali.ge/ge/liberali/articles/115578/
4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020. ბანკები და ფინანსები, 20.09.2013.
5. Бирюков А.В. Инклюзивное развитие в контексте глобальных революций. Ж. Экономические стратегии, №12, 2001, с. 83-87.
6. Новое глобальное партнёрство: Искоренение бедности и преобразование экономик посредством устойчивого развития. ООН, 2013. – post 2015 hlp.org.pqf.

*Maia Kapanadze
Merab Kvantaliani*

INCLUSIVE DEVELOPMENT BRINGS THE SUCCESS
Annotation

Over the past decade, we could not ensure the implementation of economic policies on poverty reduction, economic growth is not reflected in the welfare of the population. Therefore, the main objective of the strategy is inclusive (comprehensive) maintenance of economic growth to all citizens benefit from the positive results achieved and, at the same time, make it possible for the public involvement in the process of economic growth.

We fully share the view that the concept of equitable and inclusive development is the most successful development concept. It clearly demonstrated the importance of economic growth - the development process, the center of the human being installed.

Important role in the inclusive development of Georgia can play green tourism. It should be considered a powerful tool for diversifying the sources of income of people living in rural areas, component of the complex development of rural areas and rural infrastructure and in the areas of poverty reduction strategies.

გიორგი კვინიაძე

ეკონომიკური ზრდა და მისი გეოპოლიტიკური ღირებულება

ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობამ, მძლავრი ტრანსნაციონალური კომპანიებისა და მათ მიერ წარმოებული საქონლის გლობალურმა მოხმარებამ სულ უფრო დაახლოვა მსოფლიო მოსახლეობა. შედეგად, ვცხოვრობთ გლობალურ სამყაროში, რომელიც ტრანსფორმაციას განიცდის და მოითხოვს მიმდინარე პროცესების მეცნიერულ ახსნას, ანალიზს და ახალი დეფინიციების დამკვიდრებას აღნიშნული მოცემულობის ფიქსაციისათვის.

ამ მიმართულებით მეოცე საუკუნეში არაერთი სტატია თუ წიგნი დაწერა ამერიკელმა მეცნიერმა – ეკონომისტმა, პოლიტიკოსმა და სტრატეგმა ბ-მა ედვარდ ლუტვაკმა. მან საფუძველი ჩაუყარა ახალგაზრდა დისციპლინა გეოეკონომიკას. თუმცა ეს ავტორი ქართველ მეცნიერთა მხოლოდ ვიწრო წრისათვის თუა ცნობილი (მას უფრო ანტიკური ხანის შემსწავლელი სპეციალისტები იცნობენ) და არა ფართო საზოგადოებისათვის. არადა მსოფლიოში მას მოიხსენიებენ ისეთი ცნობილი ინტელექტუალების გვერდით, როგორებიც არიან ბ-ნი ზბიგნევი ბუჟინსკი, ბ-ნი ნოამ ჩომსკი, ბ-ნი მაიკლ უოლცერი, ბ-ნი ფარიდ ზაქარია და ა.შ. ამიტომ, ორიოდვე სიტყვით მოკლედ შევეხები მის ბიოგრაფიას და შემდეგ გადავად სტატიის ძირითად საკითხებზე.

პროფესორი ედვარდ ლუტვაკი დაიბადა ებრაულ ოჯახში ქალაქ არდემში (რუმინეთი) 1942 წელს. დაწყებითი სკოლა დაამთავრა პალერმოში (სიცილია), სწავლობდა ლონდონის ეკონომიკის სკოლაში 1964 წლამდე. ლონდონში, პარიზსა და იერუსალიმში მუშაობის შემდეგ, 1972 წელს გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და სწავლა განაგრძო ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში, სადაც 1975 წელს მიიღო მეცნიერების დოქტორის ხარისხი. თავისი მეცნიერული კარიერის მანძილზე ის იყო ისეთი ავტორიტეტული გამოცემების სარედაქციო საბჭოს წევრი, როგორებიცაა: “Geopolitiqu”, “The Journal of Strategic Studies”, “The European Journal of International Affairs” და “The Washington Quarterly”. წლების მანძილზე მუშაობდა აშშ თავდაცვის სამინისტროს, ეროვნული უშიშროების საბჭოს, სახელმწიფო დეპარტამენტის, აშშ ფლოტის შტაბის, აშშ არმიისა და საჰაერო ძალების კონსულტანტად. იყო ნატოს ქვეყნების თავდაცვის სამინისტროების მრჩეველი. იყო აშშ თავდაცვის სამინისტროს “ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი ჯგუფის” წევრი. თანამშრომლობდა (კონსულტანტის რანგში) იაპონიის ფინანსთა სამინისტროს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინსტიტუტთან. მუშაობდა პრეზიდენტ რონალდ რეიგანის მრჩეველად. სრულყოფილად ფლობს ივრითს, ინგლისურ, იტალიურ, ფრანგულ და ესპანურ ენებს. საზოგადოებრივ მეცნიერებაში მისი დამსახურება განისაზღვრება არაერთი სტატიითა და წიგნით. მათ შორის გამოყოფილი: “რომის იმპერიის დიდი სტრატეგიები” (Luttwak:1976), “ტერბოკაპიტალიზმი: გამარჯვებულები და დამარცხებულები გლობალურ ეკონომიკაში” (Luttwak:1999), “ამერიკის ოცნება საფრთხეშია” (Luttwak:1993), “სტრატეგია ომისა და მშვიდობის ლოგიკა” (Luttwak:2001). დასახელებული წიგნები ითარგმნა ჩინურ, ფრანგულ, გერმანულ, ებრაულ, იტალიურ, ესტონურ, თურქულ და მათ შორის ქართულ ენაზეც. ბ-ნი ლუტვაკის კარიერულ აღმასვლას ხელი შეუწყო მისმა პირველმა წიგნმა, რომელიც მან გამოსცა 26 წლის ასაკში, როცა მას ახალი დამთავრებული ჰქონდა ლონდონის ეკონომიკის სკოლა. წიგნს ჰქვია “სახელმწიფო გადატრიალება: პრაქტიკული სახელმძღვანელო” (Luttwak:1968). იმ პერიოდში ეს წიგნი მრავალ ენაზე ითარგმნა და ბევრჯერ გამოიცა (სხვათა შორის კანადელმა კინემატოგრაფისტებმა წიგნის მიხედვით მხატვრული ფილმიც კი გადაიღეს). წიგნის დირსება იმაშია, რომ მასში დიდი სურათოზოგადობით და სიღრმისეულადაა გამოკვლეული სახელმწიფო გადატრიალების სტრატეგიის, დაგეგმვის და განხორციელების

პროცესები, რაც ახალი კურსდამთავრებული სტუდენტისაგან სრულიად მოულოდნელი რამ იყო. ამასთან, წიგნი გამოვიდა 1968 წელს, როცა მსოფლიოში, ემანუელ ვალერშტაინის სიტყვებით რომ ვთქვათ, “მიმდინარეობდა მსოფლიო რევოლუცია”. ბ-ნი ლუტვაკი ავტორია ნეოლოგიზმისა-“ტურბოკაპიტალიზმი”.

1990 წლის ზაფხულში ჟურნალ „National Interests“-ში მან გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ. კონფლიქტების ლოგიკა, ვაჭრობის გრამატიკა“ (Luttwak:1990). აღნიშნულ ნაშრომში ბ-ნი ლუტვაკი შეეცადა, ადეკვატურად აღეწერა ის მოვლენები, რომელიც მეოცე საუკუნის ბოლოს მიმდინარეობდა. შემოგვთავაზა ძალთა გადანაწილების და ბალანსის სრულიად ახალი ხედვა საერთაშორისო არენაზე. მიუთითა ახალ ტენდენციებზე გლობალურ ეკონომიკაში. სტატია გამოქვეყნდა იმ პერიოდში, როცა მსოფლიო გადანაწილებული ჰქონდათ კბილებამდე შეიარაღებულ მსოფლიოს ორ ზესახელმწიფოს, რომლებიც ქადაგებდნენ დიამეტრალურად განსხვავებულ იდეოლოგიას. ამის მიუხედავად, რამდენიმე წელიწადში მსოფლიო უკვე შეარყია გეოეკონომიკური ხასიათის კოლიზიებმა, რომლის გაგრძელების თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენდა სავალუტო და სავაჭრო ომები. ეს ბრძოლები მიმდინარეობდა არა საომარი მოქმედების თანხლებით, არამედ წინარ კაბინეტებში და ომში მონაწილე ქვეყნებს ბირთვულ დაბომბვაზე გაცილებით მომაკვდინებელ დარტყმებს აყენებდა.

უნდა შევნიშნო, რომ სამეცნიერო წრეებში გავრცელებულია მცდარი მოსაზრება იმის შესახებ თუ ვინ იხმარა პირველად ტერმინი „გეოეკონომიკა“ და ხშირად მას ბ-ნი ლუტვაკს მიაწერენ. დავაზუსტებ, ნეოლოგიზმი „გეოეკონომიკა“ პირველად ამერიკელმა მეცნიერმა (გეოგრაფმა) ჯორჯ რენერმა გამოიყენა 1942 წელს (რომელიც შემდგომ კარგა ხანს არავის გახსენებია). ბ-მა ლუტვაკმა კი ამ ცნების არსი და მნიშვნელობა გახსნა ზემოთ აღნიშნულ სტატიაში, რითაც მან საბოლოოდ დაამკვიდრა აღნიშნული ტერმინი. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ამ ნეოლოგიზმის სხვა განსაზღვრებები (ე.წ. შემცველებები) ისეთები, როგორცაა: „გეოპოლიტიკური ეკონომიკა“, „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა“, „პოლიტიკურ-ეკონომიკური გეოგრაფია“. ფეიქრობ, ვერცერთი მათგანი, ვარდა ტერმინ „გეოეკონომიკის“, სრულად ვერ აღწერს იმ მოცემულობას, რომელშიც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური სისტემა ფუნქციონირებს. (კვინიკაძე:2008:2014)

თავისი არსით, გეოეკონომიკა გულისხმობს კომერციული მეთოდებით კონფლიქტის ლოგიკის გაერთიანებას. ის, რომ „ომის ლოგიკა ვაჭრობის გრამატიკაა“ კარლ ფონ კლაუზევიჩი გაცილებით ადრე მიუთითებდა (კლაუზევიჩი:2007).

ტერმინ „გეოეკონომიკის“ დამკვიდრებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ცივი ომის განმავლობაში სავაჭრო კონფლიქტები აშშ-ს, ევროპასა და იაპონიას შორის ადივლად გადაიღობა, რადგან ეს უკანასკნელები საბჭოთა კავშირის აგრესიიდან გამომდინარე საჭიროებდნენ ამერიკის სტრატეგიულ პარტნიორობას. ამის საფუძველზე ყოველგვარი დაპირისპირება გამოირიცხა მათ შორის. ბ-ნი ლუტვაკის თქმით, ხდება კონფლიქტის გადატანა ნახევრადპერიფერიულ და უფრო მეტად პერიფერიული ჯგუფის ქვეყნებში. ეს ჯგუფები ერთმანეთს უპირისპირდებიან, რათა მეტი სარგებელი მიიღონ განვითარებული ქვეყნებისგან. დაპირისპირების ცენტრი სამხედრო-პოლიტიკურიდან ეკონომიკურში ინაცვლებს, უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება მაღალ ტექნოლოგიებს. სავაჭრო მეთოდები უგულვებელყოფენ სამხედრო შეიარაღების პრინციპებს, ანუ ჩვენ შევდივართ გეოეკონომიკის ერაში.

მსოფლიო პოლიტიკის არენაზე, სადაც აშშ, ევროპა და იაპონია თანამშრომლობენ, დაპირისპირება შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ეკონომიკურ კონტექსტში. გეოეკონომიკაში ქიშპობის მიზეზი და საშუალებებიც მხოლოდ ეკონომიკურია. ასე რომ, დაპირისპირება სახელმწიფოთა შორის არ გამქრალა, უბრალოდ ტრანსფორმირდა სამხედრო სტრატეგიულიდან ეკონომიკურ სფეროში. სახელმწიფოთა იერარქია საერთაშორისო არენაზე უფრო და უფრო განისაზღვრება ეკონომიკური ფაქტორებით. შესაბამისად, გეოეკონომიკა ანაცვლებს გეოპოლიტიკას. ამასთან, გეოეკონომიკა სახელმწიფოთა დაპირისპირების ახალ აქტორებს წარმოაჩენს. მაგალითად, კაპიტალი, რომელიც წარმოებაში იღება, ეკვივალენტურია სამხედრო იარაღის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება (კონკურენტუნარიანობა) იარაღის გაუმჯობესების ტოლფასია და ა.შ. მაშინაც კი, თუ საერთაშორისო არენიდან გაქრება სამხედრო ძალაუფლება, ეკონომიკური სუბიექტების სავაჭრო ლოგიკა მწვავე მეტოქობამდე მივა: ერთი მხრივ, სახელმწიფოების და მეორე მხრივ, ტრანსნაციონალური აქტორების მონაწილეობით. ამ შემთხვევაშიც უგულვებელყოფილი იქნება სახელმწიფო საზღვრები. თუმცა, რეალობა ასეთი მარტივი არაა. სამხედრო ძალაუფლება ჯერ არ გამქრალა. საერთაშორისო არენა დაკავებული აქვთ სახელმწიფოებსა და მათ გართიანებებს. სახელმწიფო ტერიტორიული წარმონაქმნია, ამიტომ დეტერმინირებულია ტერიტორიით და არა ფუნქციით. შესაბამისად, ის ფეხს ვერ აუწყობს ეკონომიკურ ლოგიკას, რომელიც უარყოფს ქვეყნის საზღვრებს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: მაშინ რა ლოგიკას მიჰყვება?!

ყველა სახელმწიფოს გააჩნია საკუთარი ეკონომიკური მიზანი. თითოეული მათგანი იღწვის წარმატებების მიღწევისაკენ, ცდილობს საკუთარი საზღვრების ფარგლებში მიაღწიოს ეკონომიკურ აღმავლობას. ანუ მოქმედებენ სხვა ქვეყნის ინტერესების გაუთვალისწინებლად და სწორედ ამ დროს აქ ჩნდება კონფლიქტის ლოგიკა.

ამრიგად, რეალობა ასეთია – მსოფლიო პოლიტიკა ჯერ მზად არაა ადგილი დაუთმოს გლობალურ ეკონომიკას ეი თავისაუფალ ვაჭრობას, რომელიც ხორციელდება საზღვრის გარეშე ლოგიკით. გეოეკონომიკის მიზანი არა არის ცხოვრების ხარისხის უმაღლესი სტანდარტების საყოველთაო დამკვიდრება. მიუხედავად ომის დაუშვებლობისა, წამყვანი ქვეყნების სტრუქტურა არ გამორიცხავს საომარ მიზნებს გეოეკონომიკის ფარგლებში. კერძოდ, ერთი მხრივ, გეოეკონომიკურ მეტოქობაში გამარჯვებულები იკავებენ ხელსაყრელ პოზიციებს გლობალურ და რეგიონულ დონეებზე, ეუფლებიან (ან უკვე ფლობენ) უპირატესობას სატრანსპორტო დერეფნების, პროდუქციის გასადგების ბაზრის გაკონტროლებით. რაც შეეხება დამარცხებულებს, მათი გეოეკონომიკური ბრძოლა განსხვავებულ ლოგიკას ექვემდებარება, თუმცა ბრძოლის მიზანი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა. მეორე მხრივ, სახელმწიფოსაგან განსხვავებით, ეკონომიკური სუბიექტების მიზანი ყოველთვის კომერციულია. კერძო ეკონომიკური სუბიექტები ყოველდღიურად ცდილობენ ინვესტიციების მოზიდვას, ბაზარზე შეღწევისათვის ატარებენ მარკეტინგულ კვლევებს – ეს წმინდა კომერციული მიზანია. სახელმწიფოს

მიერ გატარებული იგივე ღონისძიებები კი სუფთა ეკონომიკური მოტივებით არ არის განპირობებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკური სუბიექტების მიერ გასაღების ბაზრის გაფართოებას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, პროდუქციის დახვეწას მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური მოტივაცია უდევს საფუძვლად. თუმცა სახელმწიფოს შემთხვევაში გასათვალისწინებელია მისი არსი – პოლიტიკური ბუნება. ვინაიდან სახელმწიფოს დანიშნულება კლასიკურ პოლიტიკურ კონტექსტში ეკონომიკის მართვის წესების განსაზღვრა და მათი რეალიზაციის ხელშეწყობაა. ეს რეგულაციები კი საერთოა ქვეყნის შიდა სივრცეში მოქმედი ყველა ეკონომიკური აქტორისათვის. აი სწორედ ამ მოცემულობაში ვითარდება კონფლიქტი. მესამე მხრივ, მსოფლიო ეკონომიკის არენის საზღვრები გაფართოვდა და სახელმწიფოების რიგებს დაემატა ტრანსნაციონალური კაპიტალი, რომლის ეკონომიკური ინტერესები შეიძლება არ დაემთხვეს ერის გეოეკონომიკურ ამოცანებს, რაც კიდევ ერთი კონფლიქტის მაპროვოცირებელი ხდება. ამ პრობლემის “შერბილებისათვის” ევროკავშირი ამკვიდრებს ზეეროვნული ეკონომიკის ხელშეწყობ პოლიტიკას, ვაჭრობას ტერიტორიული საზღვრების იგნორირებით. თუკი სახელმწიფო ფეხს აუწეობს ამ მსვლელობას, ის ავტომატურად გახდება “საერთო საქმის მონაწილე”. გეოეკონომიკაში ეკონომიკური აქტორები გლობალურ ბაზარზე მოღვაწეობენ. იდეალური სახელმწიფო ეკონომიკურ პოზიციებს იმყარებს ქვეყნის შიდა ბაზარზე და ეროვნული პროდუქტი გლობალურ ბაზარზე გააქვს. მოკლედ რომ ვთქვათ, გეოეკონომიკა სახელმწიფო საზღვრების გარეთ არსებული კონკურენცია უფროა, ვიდრე ქვეყნის შიგნით.

ცნობილია, რომ გეოპოლიტიკა სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც სწავლობს ტერიტორიულ-პოლიტიკურ წარმონაქმნებს, სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებს. გეოეკონომიკა – დაპირისპირებას ეკონომიკური სივრცის დაუფლების მიზნით. ასე რომ, თუ გეოპოლიტიკის მიზანია ტერიტორიების სამხედრო-პოლიტიკური დაპყრობა და მისი კონტროლის ქვეშ მოქცევა, გეოეკონომიკის მიზანი კონკრეტულ ტერიტორიაზე ჰეგემონობა კი არა, არამედ მასზე ეკონომიკურ-ტექნოლოგიური დომინანტობაა. ამ მოცემულობაში გეოპოლიტიკა ეყრდნობა სამხედრო ძალაუფლებას, გეოეკონომიკა კი გეოეკონომიკურ ტექნოლოგიებს (ემბარგო, ბლოკადა და ა.შ.). ამ მოცემულობაში სრულიად მისაღებია ბ-ნ ლუტვაკის თეზისი იმის შესახებ, რომ ეკონომიკური კონფლიქტები განვითარებულ ქვეყნებში ყოველგვარი შეიარაღებული დაპირისპირების გარეშე ვითარდება. თუმცა, ბ-ნი ლუტვაკი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გეოეკონომიკის როლი გლობალური ეკონომიკის განვითარებაში ჯერჯერობით უფრო მცირეა, ვიდრე გეოპოლიტიკისა მსოფლიო პოლიტიკაში: „სახელმწიფოები ნაკლებად მოქმედებენ გეოეკონომიკური გადმოსახედიდან, ვიდრე გეოპოლიტიკურიდან” (Luttwak:1990).

ბ-ნი ლუტვაკი ომის ლოგიკის ცვალებადობას ბირთვული იარაღის არსებობას უკავშირებს. შესაძლებელია დაპირისპირებული მხარეები უხვად იყენენ აღჭურვილნი ასეთი იარაღით, მაგრამ მხოლოდ დასაშინებლად. რეალურად კი პოლიტიკური მიზნები ეს გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიაა. ბ-ნი ლუტვაკის ლოგიკის შესაბამისად, ძლიერების განმსაზღვრელი ფაქტორები უკვე ეკონომიკური და ფინანსური აქტორებია. მათ რიგებში კი არა მარტო სახელმწიფოები, არამედ მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიებიც შედიან (წლიური შემოსავლების მიხედვით დალაგებულ სიაში პირველ ასეულში 51 ტრანსნაციონალური კომპანია და 49 სახელმწიფო მოხვდა). როგორც ვხედავთ, სულ უფრო და უფრო იზრდება ამ უკანასკნელთა რაოდენობა და როლი გლობალურ ეკონომიკაში. სახელმწიფოებისაგან (ტერიტორიული სუბიექტებისაგან) განსხვავებით, ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის არ არსებობს ბარიერი „საზღვრის” ტრადიციული მნიშვნელობით.

ცივი ომის შემდგომ პერიოდში აშშ-მ სწორი სტრატეგია შეარჩია. მისი ჩანაფიქრი, რომ ეკონომიკური სიძლიერე ჰეგემონობას მოუტანდა მსოფლიოში, ზუსტი აღმოჩნდა (ამ სტრატეგიის ფორმირებაში განუზომლად დიდია ბ-ნ ლუტვაკის წვლილი – გ.კ.). თუკი აქამდე ორი ხესახელმწიფო ურთიერთქმედებით ცდილობდა პირველობის მოპოვებას, დღეს ეს ტენდენცია შეცვლილია. განვითარებული ქვეყნები ერთმანეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობას ამჯობინებენ – პოტენციური მტრები მოკავშირეებად იქცნენ. ასეთ შემთხვევაში მათთვის საფრთხეს განვითარებადი ქვეყნების ჯგუფი წარმოადგენს. ზუსტად ამ იდეას ეხმაურება ბ-ნი ლუტვაკი, როდესაც აშშ-ს, ევროპასა და იაპონიას შორის გამორიცხავს ომს იმის გამო, რომ დაპირისპირება ეკონომიკურად დაბალგანვითარებული პერიფერიებისაკენ ინაცვლებს. ყოველივე ამის ფონზე მიმდინარეობს სივრცის ტრანსფორმაცია, იშლება ზღვარი საშინაოსა და საგარეოს შორის. იქმნება ერთიანი გლობალურ-ეკონომიკური სისტემა, სადაც სივრცის ცვალებადობა მოთხოვნილებებისა და მათი მიწოდების დინამიკაზე დამოკიდებულია. აქ იკვეთება სხვაობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საზღვრებს შორის. პირველი ამ მხრივ სტაბილურია (სახელმწიფო საზღვრები არსებობს), მეორე – უსაზღვროა. მსოფლიო ეკონომიკური სივრცის ფორმაც ტრანსფორმირდება, მრავალპოლარული ხდება.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ედვარდ ლუტვაკის დამსახურება გეოეკონომიკის დისციპლინად ჩამოყალიბების პროცესში ძალიან დიდია, რაც გამოიხატება: პირველი – მან გამოიხატა გეოეკონომიკა გეოპოლიტიკისაგან. მეორე – განსაზღვრა გეოეკონომიკის კვლევის საგანი და მეთოდები. მესამე – ჩამოაყალიბა სახელმწიფოს გეოეკონომიკური სტრატეგიის და ტაქტიკის ზოგადი კონცეფცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კარლ ფონ კლაუზევიჩი. 1806. თბ., ბაკურ სულაქაურის გამომცემლობა, 2007.
2. გიორგი კვინიკაძე. გეოეკონომიკა. სახელმძღვანელო. თბ., გამომცემლობა უნივერსალი, 2008.
3. გიორგი კვინიკაძე. გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები. თბ., თსუ გამომცემლობა, 2014.
4. Luttwak E. Coup d'État. A Practical Handbook. Harvard University Press. Cambridge, Massachusetts, London. 1968.
5. Luttwak E. The Grand Strategy of the Roman Empire. The Jons Hopkins University Press, 1976.
4. Luttwak E. From Geopolitics to Geo-Economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce, The National Interest, Summer, 1990.
5. Luttwak E. Turbo capitalism: winners and losers in the global economy. Harper and Collins, New York, 1999.

7. Luttwak E. The Endangered American Dream. New York: Simon and Schuster, 1993.
8. Luttwak E. The Logic of War and Peace. Harvard, 2001.

George Kvinikadze

EDWARD LUTTWAK AND ITS GEO-ECONOMIC LOGIC

Annotation

World politicians do not give way to the business world, i.e. such an order when commerce will be allowed to live solely by his logic, not obeying the territorial interests of the states. Instead aspirations to universal harmony and transnational interests, we are witnessing a kind of transformation of the Activities of States in the process which appears "Geo-economics". This is a neologism to describe the formation of a special logical cocktail consisting of logic conflict alloy receptions commerce.

It is emphasized in conclusion that the international community has launched an unprecedented geo-economic division of the world, which leads to the formation of a new world order.

*ქეთევან მდინარაძე
ეთერ კაკული*

ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების ისტორია, ბანკოთმშენებლის პირითადად მიმართულება და აქტუალური პრობლემები

ინფორმაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული შემეცნების განვითარებასთან, ადამიანის გარე გარემოსთან ურთიერთდამოკიდებულებასა და ისეთი მეტასტრუქტურის ჩამოყალიბებასთან, როგორცაა საზოგადოება. ცივილიზაციის ისტორიაში ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის რადიკალური ცვლილებები არსებითად ცვლიდნენ საზოგადოების მატერიალურ-ტექნოლოგიურ ბაზისს და გარდაქმნიდნენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ადგილი ჰქონდა რამდენიმე ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ რევოლუციას, რომლებიც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

პირველი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია, რომელიც იწყება დაახლოებით 5 მლნ წლის წინ, უკავშირდება ადამიანის მიერ უდიდეს გამოგონებას – სალაპარაკო ენის შექმნას. ენა პირველ უდიდეს საინფორმაციო გამოგონებას წარმოადგენს.

მეორე ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია ჩამორჩება პირველს რამდენიმე ათასი წლით. ის დაკავშირებულია დამწერლობის შექმნასთან, რაც დიდი რაოდენობით ინფორმაციის შენახვის, გადაცემის და შეთვისების შესაძლებლობას იძლეოდა. მან ფაქტობრივად დაძლია სივრცობრივი და დროითი საზღვრები.

მესამე ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია ეფუძნება გუტენბერგის მიერ მე-15 საუკუნეში წიგნის ბეჭდვის ტექნოლოგიის შექმნას, რამაც ინფორმაცია მასობრივი მოხმარების საშუალებად აქცია და შექმნა განათლების სისტემის აუცილებელი მატერიალური ბაზა.

მეოთხე ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია დაკავშირებულია ტელეგრაფის, რადიოს, ტელეფონის და ტელევიზორის შექმნასთან. მეოთხე რევოლუციის მთავარი შედეგი გახდა სივრცის გადალახვა. იდეების გაცვლამ გლობალური ხასიათი შეიძინა და საოცრად დაჩქარდა.

მესამე ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუციას, რომელიც გასული საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო, შეიძლება ვუწოდოთ კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური. იგი თავის თავში მოიცავს ელექტროგამომთვლელი მანქანის გამოგონებასა და ფართო გამოყენებას. ტელეკომუნიკაციის სისტემებმა მოიცვა მთელი სამყარო და გლობალური ხასიათი მიიღო.

მეექვსე ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუციის დასაწყისი დაკავშირებულია ინტენსიურ ინფორმაციზაციასთან, რომელიც გულისხმობს გლობალური გამოთვლელი ქსელისა და მსოფლიო ვირტუალური სივრცის გამოყენებას, ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლას. ტრადიციულად, ეკონომიკურ მეცნიერებაში ითვლებოდა, რომ ეკონომიკის ზრდა დამოკიდებულია სამ ძირითად – ბუნებრივ, ადამიანურ და კაპიტალურ – რესურსზე. თანამედროვე პირობებში მათ დამატება ახალი, მეოთხე ფაქტორი – საინფორმაციო რესურსი. ეკონომიკის ზრდა, გადამწყვეტი ხარისხით, ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენებაზეა დამოკიდებული, განსაზღვრავს რა ინოვაციურ განვითარებას და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

მეშვიდე გლობალური ბიოკვანტურ-საველე ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია, როგორც ჩანს, დაიწყება ახლო მომავალში და დაკავშირებული იქნება ინფორმაციის წარმოების და გადაცემის არამატერიალური კვანტურ-საველე ტექნოლოგიების შექმნასთან (მაგალითად, ბიოკვანტურ კომპიუტერებთან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იქნებიან პერსონიფიცირებული მატარებლებით და გაერთიანებული იქნებიან გლობალური ბიოკვანტურ-საველე ქსელით). ეს ტექნოლოგიები საზოგადოებაში მიმდინარე ინფორმაციული პროცესების გლობალური კონტროლისა და განსაზღვრული ზომით ინდივიდების გლობალური მართვის შესაძლებლობას შექმნის. აღნიშნულის რეალურ დადასტურებას წარმოადგენს არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკულად შექმნილი ოპტიკური კომპიუტერები, ბიოკომპიუტერები, ბიოგენეტიკური ჩიპები, მოლეკულური და კვანტური კომპიუტერები.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ინფორმაციის და ინფორმაციული რესურსების, როგორც დამოუკიდებელი ფაქტორის, როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. უფრო მეტიც, მათ შეიძინეს მატერიალური წარმოების განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორის სტატუსი. საზოგადოებაზე ინფორმაციისა და ინფორმაციული პროცესების გავლენის შეფასებამ წარმოშვა ახალი ინფორმაციული საზოგადოების კონცეფცია, რომელშიც ინფორმაციის დომინანტური პოზიცია უკავია. ტერმინი „ინფორმაციული საზოგადოება“ მიეწერება ტოკიოს ტექნოლოგიების ინსტიტუტის პროფესორს უ. ხაიაშს. ინფორმაციული საზოგადოებისადმი მიძღვნილ ხაიაშის ნაშრომებში „ინფორმაციული საზოგადოება“ წარმოდგენილია როგორც ორგანიზმი, სადაც კომპიუტერიზაციის პროცესი ადამიანებს მისცემს ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას სანდო წყაროდან, თავიდან ააცილებს რუტინულ შრომას, უზრუნველყოფს წარმოების პროცესის ავტომატიზაციის მაღალ დონეს. ამით შეიცვლება თვით წარ-

მოება, პროდუქტი გახდება „ინფორმაციატეკნიკა“, რაც გულისხმობს მის თვითღირებულებაში ინოვაციის, დიზაინისა და მარკეტინგის წილის ზრდას. სწორედ ამ დროს პირველად იქნა ფორმულირებული საყოველთაოდ აღიარებული იდეა იმის შესახებ, რომ „ინფორმაციული პროდუქტის წარმოება და არა მატერიალური პროდუქტის წარმოება იქნება საზოგადოების განათლებისა და განვითარების მამოძრავებელი ძალა“. შემდგომში ინფორმაციული საზოგადოების კონცეფციის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია უ. მარტინის (W. Martin), ე. ტოფლერის (E. Toffler), მ. კასტელის (M. Castells), მ. მაკლუჰანის (M. McLuhan), ი. მასუდას (Y. Masuda) და სხვა მკვლევარების ნაშრომებმა.

თავის ნაშრომებში ე.ტოფლერი გამოყოფს კაცობრიობის განვითარების სამ სტადიას, რომელსაც ინოვაციის სამი ტალღა უწოდა. ესენია: პირველი – სასოფლო-სამეურნეო რევოლუცია, მეორე – სამრეწველო რევოლუცია და მესამე – ინფორმაციული რევოლუცია, რომელიც აყალიბებს ცხოვრების ახალ წესს.

უ. მარტინი აღნიშნავს, რომ ინფორმაციული საზოგადოება ორიენტირებულია მომავალზე, ასეთ საზოგადოებაში ცხოვრების სტანდარტები, შრომის ორგანიზაცია, განათლების სისტემა და ბაზარი დამოკიდებულია ცოდნასა და საინფორმაციო სფეროში მიღებულ მიღწევებზე.

ინფორმაციული საზოგადოების იდეის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მ.კასტელის ნაშრომებმა, რომელიც ეხება თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციის როლს. მან შემოიტანა ტერმინი „ინფორმაციული ეპოქა“ და „ინფორმაციონალიზმი“, რომელსაც განმარტავს, როგორც ცოდნის გავლენა ცოდნაზე, როგორც მწარმოებლურობის ძირითადი წყარო“.

რუსი მეცნიერი რაკიტოვი 1980-იან წლებში თავის ნაშრომებში აღნიშნავდა, რომ ინფორმაციული საზოგადოების საქმიანობის მნიშვნელოვან პროდუქტს წარმოადგენს ცოდნისა და მომსახურების წარმოება და ექსპლუატაცია. ჰუმანიტი ინფორმაციული საზოგადოება უნდა ქმნიდეს სოციალურ და სამართლებრივ გარანტიებს იმისა, რომ ნებისმიერ დროს ნებისმიერ ადამიანს უნდა შეეძლოს მიიღოს ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს მის შრომისუნარიანობას. ინფორმაციული საზოგადოება არის საზოგადოება, სადაც ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველა საშუალება კომპიუტერები, ინტეგრირებული სისტემები, საკაბელო, თანამგზავრული თუ სხვა კავშირები, ვიდეომოწყობილობები, სამეცნიერო მიღწევები მიმართული იქნება იქით, რომ ინფორმაცია გახდეს ყველასათვის ხელმისაწვდომი და წარმოებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ გამოყენებული.

ინფორმაციული საზოგადოების კონცეფცია „ცოდნის საზოგადოება“ მხარდაჭერილ იქნა „იუნესკოს“ მიერ, სადაც აქცენტი ეთმობა ჰუმანიტურ პრინციპებზე. საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს სამეცნიერო ცოდნა. კაპიტალის ეკონომიკური და სოციალური ფუნქცია გადადის ინფორმაციაზე, ძირითად სოციალურ ინსტიტუტს წარმოადგენს უნივერსიტეტი, როგორც ცოდნის წარმოების, გარდაქმნისა და დაგროვების ცენტრი. ცოდნის დონე და არა საკუთრება წარმოადგენს სოციალური დიფერენციაციის ძირითად ფაქტორს. საზოგადოება ის, რომ „ცოდნის საზოგადოებაში“ პრიორიტეტული იქნება განათლების ხარისხი, აზრის გამოსატყვის თავისუფლება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველასათვის და კულტურათა და ენობრივი მრავალფეროვნების პატივსაცემა.

სხვადასხვა მკვლევარების შეხედულებების მრავალფეროვნების მიუხედავად, შესაძლებელია გამოვეყოთ ინფორმაციული საზოგადოების ზოგადი ფუნდამენტური მახასიათებლები:

- რადიო-ტელევიზიის, ტელეფონის, ინტერნეტის ქსელის, ასევე ტრადიციული და ელექტრონული მასმედის გამოყენებით საზოგადოების მზარდი ინფორმაციზაცია;
- ინფორმაციული ინდუსტრიის გარდაქმნა წარმოების უფრო დინამიურ, მომგებიან და პრესტიჟულ სფეროდ;

- განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება;
- საზოგადოების ცხოვრებაში ინფორმაციისა და ცოდნის როლის ცვლილება, რომელიც გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ თუ საქმიანობის სხვა სფეროებში ინფორმაციის მოცულობის უპრეცედენტო ზრდით და, ამავდროულად, ინფორმაციისა და ცოდნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს რესურსად გარდაქმნით.

- გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანებს შორის ეფექტურ ურთიერთქმედებას, მათ ხელმისაწვდომობას მსოფლიო ინფორმაციულ რესურსებთან, აკმაყოფილებს ადამიანთა ინფორმაციული პროდუქტებისა და მომსახურების საჭიროებას;

- საფუძვლიანი ცვლილებები საქმიანობის ორგანიზაციის ფორმებში, რაც გამოიხატა საზოგადოების ყველა სფეროში ცენტრალიზებული იერარქიული სტრუქტურის მოქნილი ქსელური ფორმის ჩანაცვლებით, რომელიც ადაპტირებულია სწრაფ ცვლილებებსა და ინოვაციურ განვითარებაზე.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და გავრცელება იწვევს საინფორმაციო სფეროში კარდინალურ ცვლილებებს გლობალურ დონეზე. მისი რევოლუციური ზემოქმედება აისახება ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების, ეკონომიკური და სოციალური სფეროს, მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ადამიანთა ცხოვრების წესზე. გლობალური ინფორმაციული საზოგადოების შესახებ 2000 წლის 22 ივნისს დიდი რვიანის ქვეყნების ლიდერების მიერ მიღებული გლობალური ინფორმაციული საზოგადოების ოკინავას ქარტიაში, რომელიც განსაზღვრავს გლობალური ინფორმაციული საზოგადოების განვითარების მიზნებსა და პერსპექტივებს, აღნიშნულია, რომ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ხდება მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი სტიმული. იგი ხდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის, ცოდნის, კაპიტალისა და შრომის მსოფლიო ბაზრის ფუნქციონირებას. ასეთ ვითარებაში ცნობილი ფრაზა „ვინც ფლობს ინფორმაციას – ფლობს მსოფლიოს“ – იქნეს ახალ მნიშვნელობას და ხდება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ოდესმე.

ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ შეასრულოს საზოგადოების წევრთა საქმიანობის კოორდინატორის ფუნქცია და მიზანმიმართული პოლიტიკით

ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ინტეგრაციას გლობალურ ინფორმაციულ საზოგადოებაში. ბოლო წლებში ბევრი სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაცია პრიორიტეტულ ამოცანად გამოყოფს ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლის პროგრამების რეალიზაციას. ამასთან, გათვალისწინებულია როგორც სახელმწიფო ინტერესი (მსოფლიო თანამეგობრობაში ლიდერობა), ასევე ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლება.

პირობითად განსაზღვრულია ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ორი მოდელი: დასავლური და აღმოსავლური. დასავლური მოდელის ფარგლებში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ევროპულ და ამერიკულ გზას. აღმოსავლური მოდელის ფარგლებში ამ კუთხით აღსანიშნავია ჩინეთი.

ევროპული ქვეყნების პოლიტიკის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებელია სახელმწიფოს და საბაზრო ძალთა ბალანსი იმის გათვალისწინებით, რომ ჩამოყალიბებული ვითარებიდან გამომდინარე, მათი როლი შეიძლება შეიცვალოს. სერიოზულ შემოფოტებას იწვევს ინფორმაციულ საზოგადოებაში უთანასწორობის პრობლემა. გასათვალისწინებელია ეროვნული და კულტურული მახასიათებლებიც.

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების ამერიკული გზა ეფუძნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგად მოდელს, როელშიც სახელმწიფოს ფუნქციები შემცირებულია მინიმუმამდე, ხოლო კერძო სუბიექტების გავრდილია მაქსიმუმამდე. ამ მოდელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყველაფერი დარჩენილიყო კერძო სექტორისა და საბაზრო ძალების ხელში, სრული ლიბერალიზაცია საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზარს.

პროფესორმა ფრადერმახერმა ჩამოაყალიბა რამდენიმე პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ევროპულ მოდელს:

- ევროპის ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი სატელეკომუნიკაციო მომსახურება სტანდარტების მკაცრი დაცვით;
- ინფორმაციული საზოგადოების განვითარების საბაზრო პროცესების აქტიური კორექტირება სახელმწიფოს მხრიდან;
- მუდმივი ყურადღება სოციალური მდგრადობის ისეთი ასპექტების მიმართ, როგორიცაა: სამართლიანობა, ინფორმაციული საზოგადოებაში საყოველთაო ჩართულობა;
- უარი სოციალურ გათიშულობას;
- სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურებს შორის პარტნიორული ურთიერთობა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საერთაშორისო პროექტებში ინვესტირება, პროფესიული მომზადებისა და განათლების ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ასაკის მოქალაქისათვის; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნება, მოქალაქეთა უფლებების დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, პერსონალური მონაცემების დაცვა, ელექტრონულ კომერციაში ინვესტირება და უსაფრთხოება, კორდინაციის საერთაშორისო მექანიზმების განვითარება ტექნიკურ, კომერციულ და სამართლებრივ სფეროებში.

ინფორმაციული საზოგადოების განვითარების პერსპექტიულ მიმართულებად გამოყოფენ ინტელექტუალიზაციას, რაც გულისხმობს ახალი სოციალური ტექნოლოგიების შექმნასა და დანერგვას, რომელიც დაფუძნებული იქნება საზოგადოების მთავარი სტრატეგიული რესურსის – ცოდნის ეფექტიან გამოყენებაზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ინფორმაციული საზოგადოების განვითარების პერსპექტივები ძალზე არაერთგვაროვანია. საზოგადოებაში ინფორმაციის როლი, კომუნიკაციის ახალი მექანიზმები, ინფორმაციის ტრანსფორმაცია კომერციულ პროდუქტად, ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა ეკონომიკაში, პოლიტიკაში, კულტურაში, სოციალურ ურთიერთობებში და ინფორმაციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სხვა ელემენტები არსებობს და ვითარდება, თუმცა ზემოაღნიშნული ინფორმაციული საზოგადოება, რომელიც გულისხმობდა მაღალი ინტელექტუალურ დემოკრატიულ საზოგადოებას, თითოეულისათვის განათლებისა და ცოდნის მიღების თანაბარ შესაძლებლობებს, თანამედროვე ეტაპზე არ შედგა და მისი ჩამოყალიბება ახლო მომავალშიც ეჭვს იწვევს.

სახელმწიფოს მთავრობებმა და სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ ინფორმაციული საზოგადოების განვითარებისათვის, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების რეფორმირებისათვის. მიუხედავად ამისა, ინფორმაციული საზოგადოების განვითარებით ცხოვრების დონის ამაღლების იდეის განვითარება ნაადრევია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინფორმაციული საზოგადოების თეორიები, ელექტრონული რესურსი, <http://www.socium.ge/downloads/info-saz-teoriebi>
2. ინფორმაციული საზოგადოება, როგორც პოსტინდუსტრიალიზმი /ელექტრონული რესურსი / http://www.socium.ge/sam/info_era.pdf
3. Рейман, Л.Д. Информационное общество и роль телекоммуникаций в его становлении [Текст]/ Л.Д.Рейман// Вопросы философии.- 2007. № 3.
4. Кастельс, М. Информационная эпоха: экономика, общество и культура/ М.: Наука, 2006.

*Ketevan Mdinardze
Eter Kakulia*

INFORMATION SOCIETY: HISTORY, MAIN DIRECTIONS OF THE DEVELOPMENT, ACTUAL PROBLEMS Annotation

In this work the main aspects of ideas of information society are considered. The concept essence is opened, historical prerequisites of its origin are analysed. On the basis of studying of works of E. Toffler, M. Kastels, M. Maklyuen and other researchers the

main theoretical concepts are shown. Some current trends, problems and prospects of development of information society are considered.

From the results of research it is possible to draw inconsistent conclusions. If to consider the process of formation of information society from the technocratic point of view, it is possible to say that now it is actively formed and somewhat already exists in the certain developed countries.

Despite efforts of government bodies and various organizations for development of ideas of information society and reforming of public institutions to speak about any considerable shifts in this question from the point of view of improvement of quality of life of all population is premature.

*მზია მოისწრაფიშვილი
თამარ ქამბაძე*

თავისუფალი ბაზარი მმ-20 საშუაზნის გოლოს

საქართველო შეუერთდა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროგრესულ პროცესებს, რითაც დაიწყო ახალი ეპოქა მის განვითარებაში, კერძოდ, საქართველოში დაიწყო 70-წლიანი ექსპერიმენტის შედეგების ნგრევა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ურთულესი და უალტერნატივო პროცესი. ეს იყო სრულიად მოუძახადებლად, ერთი ხელის მოსმით ძველი ეკონომიკური სისტემის ნგრევის პროცესი. მას ბევრი არახელსაყრელი პირობები გააჩნდა, ამიტომ უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკური გარდაქმნის საბოლოო შედეგებზე.

ბაზარი ეკონომიკის განსაკუთრებული ფორმაა, სადაც ადამიანები ფულის საშუალებით ახორციელებენ თავიანთი შრომის შედეგების ერთმანეთში გაცვლას. პირდაპირი გავებით, ბაზარი არის ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან საქონელის გამყიდველი და მყიდველი. თანამედროვე პირობებში სავაჭრო შეთანხმებისათვის ფიზიკური შეხვედრა აუცილებელი არ არის, რადგან კავშირის თანამედროვე საშუალებებით იგი შეიძლება განხორციელდეს შორ მანძილზეც, სხვადასხვა სახის ბაზრების და საბირჟო მაკლერების საშუალებით.

თავისუფალი ბაზარი ფუნქციონირებს ადმინისტრაციული და, მით უფრო, იდეოლოგიური დაწოლის გარეშე. სახელმწიფო ყოველმხრივ მხარს უნდა უჭერდეს და ხელს უწყობდეს მას, მაგრამ ეკონომიკური მეთოდებით, ღობაცით, საგადახადო სისტემით, ინვესტიციური და სტრუქტურული პოლიტიკით. თავისუფალია ბაზარი, რომლის მოქმედებაში სახელმწიფო უშუალოდ არ ერევა.

საბაზრო მექანიზმის ეფექტიანი მოქმედებისათვის საჭიროა აუცილებელი პირობების შექმნა და არა მარტო მთავრობის ნებართვა და მით უფრო იდეოლოგიური ზეწოლა.

საბაზრო ეკონომიკაში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია თავისუფალი ფასწარმოქმნის მექანიზმი. საბაზრო წონასწორობის ფასი წარმოადგენს წარმოებასა და მოხმარებას შორის დაბალანსებული დამოკიდებულების საფუძველს და სწორედ ფასი ასრულებს აქ თვითღირებულების როლს.

საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კონკურენციის აქტიურ ფორმებს, ბაზარი თავისუფალი უნდა იყოს ყველა მწარმოებლისათვის, მაგრამ იმარჯვებს ის, ვინც უკეთესად დააკმაყოფილებს მომხმარებელს.

საბაზრო მექანიზმის ეფექტიანობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად სრულადაა მოცული ეკონომიკა საბაზრო ურთიერთობით. თავისუფალი ბაზარი ეკონომიკური თავისუფლებისათვის აუცილებელია, იგი სასურველ ინფორმაციას აძლევს არა მარტო ინვესტორებს, არამედ თვით მთავრობებსაც. აქ იხატება სურათი, რა მიმართულებით სჭირდება ინვესტორსა თუ ქვეყანას ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება. ეკონომიკური თავისუფლების გაუმჯობესება ისეთი მცირე ზომის და დაბალშემოსავლიანი ეკონომიკის ქვეყნისთვის, როგორცაა საქართველო, ყველაზე რეალური და განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება იყოს. კარგი იქნება თუ საქართველო მიბაძავს ეკონომიკური თავისუფლების მქონე ქვეყნებსა და ქალაქებს: სინგაპურს, ჰონკონგს, აშშ, ავსტრალიას და ა.შ. ეკონომიკური თავისუფლება მხოლოდ საშუალებაა და არა ადამიანების მყიდველი გამდიდრება.

გავიცნოთ სინგაპური:

2011 წლის მონაცემებით, სინგაპური Doing Business ინდექსის მიხედვით პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ქვეყნის ხელისუფლება მონდომებულია, რომ მცირე და საშუალო საწარმოები მსოფლიოში კონკურენტუნარიანი გახადოს. სინგაპური მსოფლიოში მეორე ადგილზე ყველაზე მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობის მიხედვით.

სინგაპურის ეკონომიკის უპირატესობაა: საინვესტიციო გარემოსათვის სასურველი პირობები, მაღალკონკურენტული პირობები, ეკონომიკურ რეიტინგებში წამყვანი ადგილები, მაღალგანვითარებული და დისციპლინირებული მოსახლეობა, სწრაფად გაზრდილი კეთილდღეობის დონე, კორუფციის არარსებობა. სუსტი ადგილები სინგაპურის ეკონომიკაში: დამოკიდებულება მაღალიზიდან შემოტანილ წყალზე, თითქმის ყველანაირი საკვების და ენერჯების იმპორტი, სპეციალისტებისა და ტერმინორის დეფიციტი.

ეკონომისტები თვლიან, რომ სინგაპური იდეალური ადგილია ბიზნესის წარმოებისათვის. ეს ქვეყანა ფლობს უნიკალურ საფინანსო ინფრასტრუქტურას, პოლიტიკურ სტაბილურობას და მსოფლიო დონის სამართლებრივ სისტემას.

დღეისათვის საქართველოში მიმდინარე რეფორმები, ჩვენი აზრით, ანალოგიურია თავის დროზე სინგაპურში განვითარებული ცვლილებებისა. განსხვავებული მიდგომებია პოლენეთში, სადაც თავისუფალი ეკონომიკური ზონა 20 წელიწადზე მეტია რაც ფუნქციონირებს. იდეა, რომელმაც მათი დაფუძნება განაპირობა, იყო ცალკეული ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონების დახმარება, რათა ისინი განვითარებულიყვნენ. ამ ზონებში მუშაობის დაწყებას ფირმებს, ძირითადად, გადასახადებისაგან გათავისუფლება უბიძგებდა.

ამჟამად პოლონეთში 14 თავისუფალი ეკონომიკური ზონა მოქმედებს, რომელთა განკარგულებაშიცაა 15 ათასი ჰა მიწა. ამ ზონებში ინვესტიციების განხორციელების უმთავრეს პირობას წარმოადგენს ეკონომიკის სამინისტროს ნებართვა, რომელიც აკონტროლებს მათ საქმიანობას. ნებართვის გარდა, ინვესტორმა, რომელიც ზონაში საქმიანობის დაწყებას აპირებს, უნდა დააბანდოს არანაკლებ 100 ათ. ევრო. სამაგიეროდ, მას ექნება ხელშეწყობა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, რაც გადასახადების მაქსიმალურად შემცირებაშიც გამოიხატება. მეწარმეები თავისუფლებიან უძრავი ქონების გადასახადისაგან. სამაგიეროდ, ფირმა, თუ ის დიდა, ვალდებულია იღებს მინიმუმ 5 წლის განმავლობაში საქმიანობის გაგრძელებაზე, ხოლო მცირე ფირმა ან საშუალო ზომის – 3 წლით მაინც.

ყველაზე ცნობილი ფირმა, რომელიც ასეთ ზონაში საქმიანობს, არის კორეული ფირმა „ელ-ჯი“, რომელიც პოლონეთში ელექტროსაქონელს აწარმოებს. იქ დაახლოებით 2500 ადამიანია დასაქმებული, რამაც რეგიონში შეამცირა უმუშევრობა.

განსაკუთრებით დიდი თავისუფალი ეკონომიკური ზონებია შექმნილი სილეზიაში, კერძოდ, ვალბუჟში. ადრე აქ დიდი რაოდენობით იყო ქვანახშირის მადაროები, რომელიც დაბალეფექტურობის გამო დახურეს და ხალხი უმუშევარი დარჩა. სწორედ მისი ლიკვიდაციის გამო შეიქმნა ამ რეგიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონები.

ახალ რეგიონში 160 უცხოური ფირმა ან მისი წარმომადგენლობა საქმიანობს და 32 ათას ადამიანზე მეტს ასაქმებს.

ავტორების აზრით, რადგან თავისუფალ ბაზარზე გარიგებები ნებაყოფლობითია, სადაც თითოეული მხარე მოგებულია, რესურსების გადანაწილების მექანიზმი ყველაზე ოპტიმალურია ყველა შესაძლო ალტერნატივებს შორის. თავისუფალი ბაზრისაგან განსხვავებით, თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში გადაწყვეტილების მიღების პროცესი ეფუძნება უმრავლესობის პრინციპს, რაც თეორიულად გულისხმობს იმას, რომ მოქალაქეების უმრავლესობა, რომელიც მხარს უჭერენ გარკვეული ტიპის პოლიტიკას, ელოდებიან სარგებელს, ხოლო უმცირესობა, რომელიც ეწინააღმდეგება არჩეულ პოლიტიკას, ელოდება მდგომარეობის გაუარესებას. ავტორები მიიჩნევენ, იქ, სადაც საზოგადოების ერთი ნაწილი სარგებლობს, ხოლო მეორე ნაწილი ზარალობს, შეუძლებელია საუბარი რესურსების ოპტიმალურ განაწილებაზე. ამდენად, ნაშრომის მიზანია, რესურსების განაწილების მიმართულებით საზოგადოებრივი სექტორი თავისუფალი ბაზრის ეკვივალენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, თუ საზოგადოებრივი გადაწყვეტილებები დაფუძნება ერთსულოვნების პრინციპს.

თავისუფალი ბაზარი უპირველესად ნიშნავს ბაზრის ყველა ფაქტორის თავისუფლებას, მათ შორის ექსპლუატაციისაგან თავისუფლებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. ძნელაძე, საბაზროეკონომიკა, თბილისი, 1991 გვ. 110.
2. ა. სისვაძე, ეკონომიკური თეორია, თბილისი, 2010, გვ. 376.
3. გ. ჯანდიერი, ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში, ჟ. ტაბულა, №40, 2011.
4. <http://search.tb.ack.com/>

*Mzia Moistsrapishvili
Tamar Kamkhadze*

FREE MARKET Annotation

The work presents functioning of the free market, which is essential for economic freedom. It provides preferred information not only for investors, but for the government as well. It is establishing the direction, which is useful for investors as well as the country's economical decision-making.

In the work, it is discussed implementation of economic advantages in one of the most successful country, in Singapore and the authors suggest that if Georgia takes this way, it will be successful. The work also presents different approaches of Singapore, which took place in Poland.

According to authors' opinion, trades are voluntary on free market. It is impossible to talk about optimal redistribution of resources, where one part of society is getting benefits and other part is inflicting loss.

The aim of the work is to demonstrate free market as freedom of all factors of market.

Игорь Витальевич Охрименко

ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ И МОДЕЛИ ПОДГОТОВКИ ПРОГНОЗА РЕЗУЛЬТАТОВ ДЕЯТЕЛЬНОСТИ АГРАРНЫХ ПРЕДПРИЯТИЙ РЕГИОНА

Стабильная высокоэффективная экономика страны невозможна без взвешенного научно обоснованного управления. Оно призвано обеспечить координацию внутренних экономических процессов и согласовать их с особенностями внешней экономической среды. Особенно сложным является управление рыночными системами, в которых сочетается рыночное саморегулирование и государственное вмешательство в рыночные ситуации. Среди инструментов, которые используются для осуществления такого управления, важное место принадлежит прогнозированию, которое позволяет предсказать уровень основных макроэкономических показателей, а на их основе принять обоснованное и эффективное управленческое решение. В полной мере это относится как к аграрному сектору Украины в целом, так и сельскохозяйственных предприятий ее отдельных регионов.

Важная роль прогнозирования обусловлена прежде всего характером рыночной среды. Динамизм рыночных ситуаций, присущий странам с рыночной экономикой, требует постоянной готовности своевременно и надлежащим образом отреагировать на то или иное изменение. Для этого необходимо знать какие последствия для хозяйственного объекта (территории) будет иметь каждый возможный вариант развития событий. Решение этой задачи достигается посредством разработки прогнозов, которые позволяют предсказать состояние системы при том или ином состоянии исходных условий и характера конкретных управленческих решений. Таким образом, между прогнозированием и управлением существует прямая связь, а выбор управленческого решения напрямую зависит от результатов прогнозирования, поскольку в основе каждого должным образом обоснованного решения лежит прогноз. Поэтому прогнозирования важно, прежде всего, для процессов управления.

В неустойчивых экономических системах с повышенным динамизмом, к которым можно отнести аграрный сектор экономики Украины, количество факторов влияния и амплитуда их колебаний значительно увеличиваются. В сочетании с их частой сменой во времени это приводит к росту частоты принятия особо значимых управленческих решений. Учитывая зависимость обоснованности таких решений от своевременной разработки прогнозов, периодичность и достоверность прогнозирования также должна повыситься. То есть, в условиях частой смены рыночных ситуаций возрастает роль оперативного прогнозирования. Оперативные прогнозы позволяют пользоваться расчетной информацией в краткосрочном периоде, а потому дают возможность максимально полно предвидеть результаты использования определенных рычагов и средств, своевременно повлиять на них, скорректировав направления своих действий.

Таким образом, целью прогнозирования является создание представления о возможных вариантах развития экономической системы при тех или иных предположениях (сценарных условиях) и разработки альтернативных проектов управленческих решений, адекватных тому или иному результату прогноза. Охарактеризованные задачи и цель прогнозирования порождают принципиального значения методологический вывод о том, что экономические прогнозы должны иметь вариантную природу. Это значит, что прогнозирование состояния экономических систем должно предусмотреть разработку сразу нескольких вариантов прогнозов в зависимости от возможных комплексов условий. Для каждого из них необходимо готовить соответствующее управленческое решение, которое потребует реализации только в тех условиях, для которых разрабатывался данный прогноз. Поэтому очевидно, что постановка задачи о выполнении одного прогноза с высокой степенью достоверности будет методологически некорректной, а разработка прогноза в единственном варианте - экономически неэффективной.

Итак, основным приемом прогнозирования экономических процессов в аграрном регионе будут выступать вариантные расчеты, а процесс прогнозирования, в упрощенном виде, выглядеть следующим образом. Служба или подразделение, занимающиеся прогнозированием, разрабатывают определенное количество вариантов наиболее вероятного сочетания исходных факторов влияния на хозяйственную систему, определяют возможные результаты и передают полученную информацию специалистам, которые готовят проекты управленческих решений, в соответствии с тем или иным результатом.

На практике предусмотреть все возможные комплексы условий, разработать для каждого из них прогноз и подготовить соответствующее управленческое решение является очень сложной задачей. Даже при использовании электронно-вычислительной техники, с помощью которой с легкостью выполняются все цифровые расчеты, правильно сориентироваться во всем многообразии полученных вариантов не всегда возможно. Экономические процессы в течение своего протекания имеют много так называемых точек бифуркации (ветвления), когда количество вариантов может увеличиваться в несколько раз. Точка бифуркации означает появление нескольких новых направлений развития событий.

Например, в зависимости от вариантов уровня цен, что сложатся на рынке энергоресурсов, а также объемов производства определенной продукции, прогнозируют два варианта ее себестоимости. При рыночном формировании цен на продукцию можно предположить, скажем, три их уровня. Итак, прогнозируемая прибыль будет иметь уже шесть значений. Моменты разветвления себестоимости и цены на два и три варианта соответственно называют точками бифуркации. Составление прогноза с высокой степенью достоверности будет возможным только на промежутке между такими точками, когда сценарные условия будут иметь один вариант, который практически не поддается изменениям. Влиять же на результаты прогнозируемого процесса наиболее целесообразно именно в таких точках.

Сельскохозяйственное производство отдельного региона с экономической точки зрения является очень сложным, поскольку порождает много точек бифуркации. Такая ситуация создает большое количество возможных вариантов, разработать прогнозы и подготовить решение для которых бывает не всегда возможно и экономически целесообразно. Поэтому при практическом использовании прогнозирования в управлении можно ограничиться несколькими наиболее вероятными наборами условий, определяемых на основе метода экспертных оценок. В целом, в прогнозировании используется значительная часть экономических методов, основными из которых являются: экстраполяции тренда, математической статистики, индукции, факторного анализа, регрессионно-корреляционной зависимости и др.

Определение термина "прогнозирование" указывает на то, что его объектом может быть любой процесс или явление, которые имеют изменения в динамике. Однако, среди всего разнообразия экономических прогнозов, как правило, наиболее широко используемыми являются прогнозы основных экономических результатов хозяйственной деятельности. Именно они позволяют определить и оценить тот экономический эффект, ради которого осуществлялась эта деятельность.

Предметом данных тезисов является прогнозирование на региональном уровне, поскольку, как показало изучение этого вопроса, региональный уровень управления характеризуется серьезной недостаточностью и бедностью методических разработок по проблемам прогнозирования. В то же время прогнозирования включено в прямые обязанности управлений сельского хозяйства и продовольствия областных и районных государственных администраций. То есть понимание необходимости в прогнозировании в государственных органах управления есть, а значит должны быть соответствующие инструменты квалифицированного его выполнения.

Прогнозирование основных экономических результатов аграрных предприятий на региональном уровне может осуществляться с помощью двух способов. Первый предполагает использование метода экспертной экстраполяции. Его суть заключается в том, что, используя фактическую информацию за предыдущие годы работник соответствующего подразделения сельскохозяйственного управления выявляет тенденции динамики того или иного показателя. Рассчитав

примерные ежегодные изменения за последние несколько лет, он корректирует на их величину прошлогодние показатели, таким образом определяя прогнозное их значение. Механическая экстраполяция не всегда дает необходимый результат из-за влияния на прогнозные показатели нецифровых факторов, поэтому этот метод неизбежно сочетается с методом экспертных оценок, то есть выявлением и использованием в процессе прогнозирования мнений опытных специалистов-экспертов. Преимуществом данной методики является ее простота и универсальность. Для ее использования достаточно иметь информацию за предыдущие годы, а в качестве экспертов могут выступать сами разработчики прогноза. К недостаткам каждого из них относится возможность эффективного применения только в системах с высоким уровнем статичности. Поэтому в аграрных регионах и при нестабильном рыночной среде, а именно такая она на ресурсных рынках и аграрном рынке Украины, степень достоверности разработанных прогнозов будет достаточно низкой, что снижает их практическую ценность.

Второй способ - это метод индукции, который базируется на использовании частичной информации, обобщение которой дает возможность сделать общий вывод о будущем состоянии процесса, явления, системы. В данном случае это означает, что прогнозирование происходит "снизу": в регионе сначала выделяются субрегионы (по природным признакам), а затем для каждого из них отбирается одно или несколько предприятий, которые являются типичными по природно-климатическим, экономическим и другим параметрам для всего субрегиона. Далее, на основе данных за предыдущие годы, определяется удельный вес субрегионов в общих показателях по региону в разрезе соответствующих продуктов. Значение прогнозируемых показателей рассчитывается в субрегионах и с учетом их удельного веса переносится на регион. Предлагаемый подход к прогнозированию в Украине является новым, хотя на других участках он применялся и ранее, в частности для обоснования нормативов фондооснащенности, рентабельности и т.д. За пределами прогнозирования использование метода типичных предприятий-представителей подтвердило его эффективность. Не случайно во многих развитых странах весьма успешно практикуется ведение бухгалтерского учета на основе типичных предприятий. В Украине в связи со значительным ухудшением учета и отчетности, которое наблюдается в последнее время, все чаще предлагается улучшить их путем введения использования информации отдельных предприятий. К недостаткам предлагаемого метода можно отнести больший объем и сложность расчетов по сравнению с первым методом. Несомненным преимуществом второго метода является максимальное приближение к низовому звену управления на котором непосредственно формируются прогнозные показатели, а широкое использование количественных методов, обеспечивает разработку достаточно достоверных оперативных прогнозов.

Прогнозирование результатов производственно-сбытовой деятельности аграрных предприятий локализуется пределами сельскохозяйственных экономических территорий, в роли которых выступают административные территориальные единицы - области, районы. Подготовка такого прогноза является сложным и длительным процессом, основное содержание и методы осуществления которого могут быть переданы с помощью моделирования. Модель - это упрощенная физическая или описательная копия оригинала, сохраняющая его основные свойства, а моделирование - это разработка и использование модели для изучения поведения оригинала в определенных условиях. Наиболее сложными являются модели экономических объектов, поскольку их поведение имеет вероятностный характер. Относительно процесса прогнозирования результатов функционирования агробизнесовых структур сельскохозяйственных территорий целесообразно построение нескольких моделей: территориально-продуктовой, информационной, вычислительной, организационной.

В рамках сельскохозяйственной территории, прежде всего, оценивают степень ее однородности с точки зрения пригодности для ведения сельскохозяйственного производства, наличия и уровня развития сельскохозяйственных предприятий, затем выделяют однородные субтерритории единственными массивами и определяют перечень видов продукции, а затем на каждой из субтерриторий выбирают сельскохозяйственные предприятия-представители, которые могут адекватно передавать природно-экономические особенности конкретной субтерритории. Главная задача предприятий-представителей - подготовка ресурсных расходных нормативов для определения себестоимости единицы сельскохозяйственной продукции. При ее исчислении используют ценовые элементы сценарных условий, а также учитывают обусловленную этими же условиями прогнозную динамику объемов производства и сбыта. В рамках субтерриторий разрабатывают также целостный прогноз результатов и объединяют их в прогноз для территории.

Процесс прогнозирования строится как процесс выявления, накопления, хранения, обработки и передачи информации. Для прогнозирования будущих результатов хозяйствования используются три основные массивы экономической информации: 1) фактическая; 2) внутренняя входящая; 3) внешняя входящая. Первый представлен ретроспективными показателями объемов и эффективности производства и сбыта сельскохозяйственной продукции в разрезе субтерриторий и используется для определения удельного веса субтерриторий в общих объемах реализации товарных и производства нетоварных видов продукции в пределах территории, анализа структуры производства и сбыта сельскохозяйственной продукции, выбора объектов прогнозирования. Второй массив (внутренняя входящая информация) формируется предприятиями-представителями субтерриторий и имеет своим содержанием ресурсные нормативы расходов, на основе которых определяют прогнозную себестоимость единицы сельскохозяйственной продукции. Третий массив (внешняя входящая информация) представляет собой показатели сценарных условий функционирования структур агробизнеса в прогнозируемом периоде.

Сложность и большой объем входящей информации требует ее рациональной организации и использования в процессе выполнения прогнозных расчетов. Вычислительная модель прогнозирования предусматривает два подхода к классификации данных, непосредственно используемых в прогнозных вычислениях. Первый подход выделяется по признаку временной стабильности или варьирования входной информации. Стабильная информация представлена ресурсными нормативами затрат и генерируется она в низовом звене - предприятиях-представителях. Циклически обновляемая информация - это производственная программа субтерриторий, то есть посевные площади, численность продуктивного поголовья животных, объемы производства и сбыта продукции, количество технологических материалов и т.д. Оперативной является ценовая информация о ценах на производственные ресурсы и продукцию. Второй подход базируется на функционально-технологической структуризации расходов, которая позволяет предоставить собственно вычислительным моделям максимальную гибкость и обеспечить достоверность прогнозных данных при любых вариациях

показателей производственной программы, при условии сохранения субтерриториями направления специализации при незначительных дополнительных расчетах. Программное обеспечение прогнозных расчетов ориентировано именно на этот вид классификации расходов.

Три массивы входящей информации (фактическая, внутренняя, внешняя) и три уровня или звена выполнения прогнозных расчетов (территория - субтерритория - предприятие-представитель) порождают девять возможных вариантов организации прогнозирования.

Имеется в виду, что фактическая информация может использоваться на уровне территории, субтерритории и предприятия-представителя. Так же и другие массивы безотносительно к месту их генерирования. Однако уже на примере фактической информации видно, что два из трех вариантов (территория и предприятие) являются проблемными, то есть в значительной мере нецелесообразными. Ведь именно субтерриториям удобнее определить и проанализировать свои объемы производства и сбыта продукции. Поэтому из трех теоретически возможных организационных моделей прогнозирования результатов деятельности сельскохозяйственных предприятий (централизованной, децентрализованной, комбинированной) следует предпочесть комбинированную, которая предусматривает закрепление обработки и анализа отдельных специальных подмассивов информации за отдельными звеньями и передачу ее другим звеньям общей системы прогнозирования.

Основной объем прогнозирования результатов деятельности сельскохозяйственных предприятий сосредотачивается на уровне субтерриторий. Они формируются территорией и получают от нее сценарные условия прогнозного периода в начале прогнозирования и развернутый прогноз как результат ее завершения. Субтерритория определяет состав предприятий-представителей и перечень видов товарной и нетоварной продукции, получает от предприятий-представителей ресурсные нормативы и другую необходимую компьютерную информацию, разрабатывает прогноз объемов производства и сбыта, рассчитывает себестоимость, прогнозирует цены на ресурсы и продукцию, рассчитывает прибыль, рентабельность и границы безубыточности, передает субтерриториальный прогноз на уровень территории. Предприятие-представитель разрабатывает ресурсные нормативы расходов и передает их субтерритории, а также сообщает ей другую конъюнктурной информации о локальных особенностях формирования себестоимости сельскохозяйственной продукции.

На начальном этапе прогнозирования результатов деятельности сельскохозяйственных предприятий целесообразно экспериментально применить централизованный вариант организации выполнения этой работы. В этом случае рабочей группой специалистов выполняются все ее составляющие: районирование территории, отбор товарных и нетоварных видов продукции, разработка типичных технологий производства продукции для субтерриторий и ресурсных нормативов затрат, вариантов сценарных условий, определения удельного веса субтерриторий, прогнозы объемов производства и сбыта и т.д. В процессе централизованной подготовки прогноза субтерритории могут выступать консультантами из ключевых вопросов формирования исходной информации или осуществлять экспертную оценку отдельных завершающих этапов работы.

Таким образом, подводя итог, можно сформулировать следующие принципиальные положения: 1) прогнозирование является обязательной предпосылкой эффективного управления; 2) в основе прогнозирования лежит многовариантность; 3) прогнозирование на региональном уровне целесообразно осуществлять методом индукции на основе информации по субрегионам и типичных предприятиях-представителям.

Igor Okhrimenko

THEORETICAL BASIS OF PREPARATION AND MODELS FORECAST PERFORMANCE OF AGRICULTURAL ENTERPRISES AREA

Annotation

This publication presented approaches for providing scientific and methodological assistance to managers and specialists economic services local authorities and industry to agricultural production in the assembly, use, and operational adjustments forecasts annual economic results of business activities of agricultural enterprises.

*ლამარა ქოქიაური
ლონდა ვილიშვილი*

ინტელექტუალური კაპიტალის განსაზღვრისათვის

ინტელექტუალური კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს, როგორც არა ყველა ფულადი და არამატერიალური რესურსი, რომელიც მოტივანად ანდა ნაწილობრივ კონტროლდება ორგანიზაციის მიერ და მონაწილეობს ფასეულობათა შექმნაში. ანდა, სხვა სიტყვებით, კრებსითი დასახელების „ინტელექტუალური კაპიტალის“ ქვეშ იგულისხმება ინტელექტუალური კაპიტალის რესურსები, რომლებიც ადიდებენ ორგანიზაციის პოტენციურ შესაძლებლობებს ფასეულობათა შექმნისას. თუმცა არსებობს ინტელექტუალური კაპიტალის სხვადასხვა კლასიფიკაცია, ავტორები ძირითადად უპირატესობას ანიჭებენ ინტელექტუალური კაპიტალის სამ კატეგორიად დაყოფას **მათ ეკონომიკურ ქცევაზე დაყრდნობით**. ესენია:

1) ურთიერთობითი კაპიტალი. აქ შედის ყველა ის ურთიერთობა, რომელსაც ორგანიზაცია ამყარებს კლიენტებთან, მომხმარებლებთან, შუამავლებთან, მომწოდებლებთან, წარმომდგენლებთან, პარტნიორებთან, მფლობელებთან, კრედიტორებთან და ა.შ.

2) ორგანიზაციული კაპიტალი. ამ კატეგორიის ინტელექტუალური განმარტება ყველაზე უკეთ ჩამოყალიბდა ლეიფ ედვინსონმა: „ყველა ის ნივთი, რომელიც რჩება ორგანიზაციაში, როცა თანამშრომლები ტოვებენ შენობას, მაგრამ, რასაც თქვენ ვერ იპოვით საბალანსო ანგარიშგებაში“. აქ შედის ისეთი რესურსები, როგორებიცაა ბრუნდები, ინტელექტუალური საკუთრება, პროცესები, სისტემები, ორგანიზაციული სტრუქტურები, ინფორმაცია (ქაღალდზე და მონაცემთა ბაზაში) და ა.შ.

3) ადამიანური კაპიტალი. ყველა ის თვისება, რომელიც ახასიათებს ინდივიდუუმებს, როგორც კომპანიისათვის რესურსებს იმ პირობით, რომ ეს თვისებები არ შეიძლება შეცვალოს მანქანებმა ანდა ჩაიწიროს ქალაქის ფურცელზე. ამ კატეგორიაში შედის ისეთი რესურსები, როგორცაა: კომპენტენცია, დამოკიდებულება სამუშაოსადმი, უნარი, არაცხადი ცოდნა, პირადი კავშირები და ა.შ. ინტელექტუალური კაპიტალის ერთად აღებული ეს რესურსები აყალიბებს პოტენციური კონკურენტული უპირატესობის საფუძველს, მაგრამ მათგან ცოტა თუ ხვდება ოფიციალურ დოკუმენტებში.

შემოწმებას დაქვემდებარებული ფორმით, ბრენდი ზოგჯერ ხვდება საბალანსო ანგარიშში, მაგრამ მისთვის მიწერილი ფასეულობა დროის ყოველ კონკრეტულ მომენტში არანაირად არ განეკუთვნება რეალიზებულ საბაზრო ფასეულობას.

„ინტელექტუალური კაპიტალის“ განმარტებისათვის. როგორც აღინიშნა, უცხოურ ლიტერატურაში შედარებით ხშირად გამოიყენება ტერმინი „ინტელექტუალური კაპიტალი“ [1; 366]. ინტელექტუალური კაპიტალის სხვადასხვა განმარტებას განიხილავენ. აღქმის, მისი არსობრივი მახასიათებლების კონკრეტიზაციის მიზნით გვთავაზობენ გამოიყენონ შემდეგი განმარტება: **ტერმინ „ინტელექტუალური კაპიტალის“ ქვეშ მოიაზრება კონკრეტული მეცნიერებატევადი საწარმოს ჩარჩოებში ინტელექტუალური აქტივებისა და შრომითი რესურსების ერთობლიობა [2; 124].**

შრომით რესურსებს მიეკუთვნება კონკრეტული პიროვნების, ინდივიდუალური, ინტელექტუალური შესაძლებლობები, პროფესიული ცოდნა და გამოცდილება (მათ შორის განათლებისა და კვალიფიკაციის დონე), ინოვაციური აქტივობის დონე და საწარმოს საკადრო შემადგენლობის საფუძვლის – კონკრეტული პიროვნებების ინტელექტუალური საქმიანობის ხანგრძლივი პროცესის სხვა შედეგები (რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება). ეს შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწარმოს მუშაკებისაგან გამოცალკევებულად. მათ არა აქვთ რაოდენობრივი გამოხატულება და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მრავალი საწარმოო ციკლის განმავლობაში, მათი უწყვეტი სრულყოფის პირობებში.

განხილული რესურსების გარდაქმნის შედეგად იქმნება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების ერთობლიობა, რომელსაც განსაკუთრებული, კომერციული, მნიშვნელობა აქვს. ინტელექტუალური საქმიანობის შედეგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ იქნეს გასხვისებული კონკრეტული ინდივიდუუმების მიერ და შეიძლება დამოუკიდებელი ობიექტების სახით იქნეს გამოყენებული სამეურნეო საქმიანობის პროცესში. ისინი საწარმოს ინტელექტუალური აქტივების საფუძველს წარმოადგენენ.

ინტელექტუალური აქტივების ქვეშ მოიაზრება ინფორმაციულ-ინტელექტუალური რესურსებისა და ინფორმაციულ-ინტელექტუალური პროდუქტების ერთობლიობა, რომლებიც შეიძლება გაასხვისონ მათ და აქვთ რეალური კომერციული ფასეულობა საწარმოსა და მისი კონტრაგენტებისათვის.

საინფორმაციო-ინტელექტუალური რესურსები – ესაა სამეცნიერო საწარმოო, ფინანსური, მარკეტინგული, ორგანიზაციულ-მმართველობითი, საკადრო, საინფორმაციო-ტექნოლოგიური, იურიდიული და სხვა იდეების, მეთოდების, ინსტრუმენტების, ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის არსებობის სხვადასხვა ფორმების ერთობლიობა, რომელიც მიიღება ორგანიზაციის, მუშაკთა ინტელექტუალური შრომის შედეგად და რომლებიც განაპირობებენ მის კონკურენტული უპირატესობებს. ასეთი რესურსები შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გასხვისდეს მათ მიერ.

საინფორმაციო-ინტელექტუალური პროდუქტები საინფორმაციო-ინტელექტუალური რესურსების გარდაქმნის შედეგია, მათთვის დამახასიათებელია გასხვისების სრული ხარისხი მათი შემქმნელების მხრიდან და შეიძლება სხვადასხვა გარემოების ობიექტი გახდნენ გარე გარემოში, სამართლებრივი დაცვის პროცედურების სრული დაცვის პირობებში.

ასე რომ, კატეგორია „ინტელექტუალური აქტივები“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „ინტელექტუალური საკუთრება“. ინტელექტუალური აქტივები ნაწილობრივ შეიძლება ჩაირთოს საწარმოს არამატერიალური აქტივების შემადგენლობაში. ამისათვის ბუღალტრულ აღირცხვაში გამოიყენება მუხლი „არამატერიალური აქტივების აღრიცხვა“. ინტელექტუალური კაპიტალის რესურსების სამი ფორმის (საურთიერთობო, ორგანიზაციული და ადამიანური) აღიარებიდან გამომდინარე, რომ ყოველი მათგანი წარმოადგენს საკუთრების, ქცევის ანდა კონტროლის სხვადასხვა სახეს; ეკონომიკური რესურსების ორი ტრადიციული (ფულადი და ფიზიკური) ფორმიდან ინტელექტუალური კაპიტალის სამი ფორმა დემონსტრირებას უკეთებს შემოსავალსა და მასშტაბს შორის არაწრფივ დამოკიდებულებას, ისინი არ ემთხვევა კლებადი უკუგების მოდელს და სულ არ არის სავალდებულო, წარმოადგენდეს ფირმის საკუთრებას და იყოს მისი კონტროლის ქვეშ. ბუღალტრულ მიდგომაზე აგებული აქტივების ტრადიციული ეკონომიკური კლასიფიკაცია, პრინციპში ასახავს ფირმის მიერ მობილიზებული აქტივების მხოლოდ მცირე ნაწილს. ამრიგად, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ინტელექტუალური რესურსების მართვისათვის საჭირო ჩვევები პრინციპულად განსხვავდება ჩვეულებრივი აქტივების მართვისათვის აუცილებელი ჩვევებისაგან.

რესურსების კლასიფიკაციის ახალი სისტემების შემუშავებას უკვე არსებული კონცეფციების გამოყენებით გარკვეული უპირატესობები აქვს. ჯერ ერთი, ნებისმიერი რესურსი შეიძლება შესაბამისობაში მოვიდეს მის ფორმასა და ბუღალტრულ განსაზღვრებებთან. მეორეც, ფუნქციონალური მართვა დაემყარება რესურსებს, რომელიც ერთ ფორმას აღემატება. ადამიანური კაპიტალის რესურსები უპირატესად არამატერიალურია. ჩვენ ასევე ვხედავთ სხვა ფენომენსაც: ადამიანური კაპიტალის კოდირაცია გადააქცევს მას ორგანიზაციულ მატერიალურ რესურსად. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვა, როგორც ფუნქცია, ეხება რესურსების რამდენიმე ფორმას.

ინტელექტუალური კაპიტალის რესურსების ქცევა განსხვავდება ფულადი ანდა მატერიალური რესურსების ქცევისაგან და შესაბამისად მისი მართვაც უნდა განხორციელდეს სხვანაირად. ფულადი და მატერიალური რესურსები, მაგალითისათვის, არიან აღტიურები, ე.ი. მათი გამოყენების შედეგად მათგან რჩება სულ უფრო მცირე, ხოლო მათში ინვესტირებისას – სულ უფრო მეტი. ორივე ამ სახის რესურსისათვის სამართლიანია კლებითი უკუგების კანონი, ორივე ეკუთვნის ორგანიზაციას ანდა კონტროლდება მის მიერ,

ორივე აისახება საბალანსო ანგარიშგებაში. რაც შეეხება ინტელექტუალური კაპიტალის რესურსებს, ისინი თავიანთი ბუნებით ადტიურები არ არიან. – მათი ოდენობა არ მცირდება გამოყენებისას, ისინი არ გახდებიან უფრო მეტი იმიტომ, რომ მათში მოახდინეს ინვესტირება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობითი და ორგანიზაციული რესურსები არსებობს ქსელური ეკონომიკის კანონების მიხედვით, ე.ი. პირველსაწყისი ინვესტიციები, როგორც წესი, იძლევა ძალზე მცირე უკუგებას და საჭიროა მნიშვნელოვანი კრებისითი ინვესტიციები მანამ, სანამ შემოსავალი არ მიაღწევს სასურველ დონეს. დაბანდების განხორციელებიდან რაღაც გარკვეული დროის შემდეგ, ინვესტიციებიდან მიღებული ზღვრული უკუგება ამ რესურსებში გაიზრდება მანამ, სანამ არ მიაღწევს გადახრის წერტილს, რის შედეგადაც შემდგომი ზღვრული ინვესტიციები სულ უფრო მეტად მოიტანენ კლებაზე ზღვრულ უკუგებას. მსგავსი პროცესები შეიძლება აისხნას ფაქსიმილური აპარატების რეალიზაციის მაგალითზე. პირველი ინვესტორი, რომელმაც შეიძინა ფაქსიმილური აპარატი, ვერ ღებულობს თავისი ინვესტიციიდან რაიმე სარგებელს იმიტომ, რომ არააინ იყო ისეთი, ვისთვისაც უნდა გაეგზავნათ ფაქსი. შედეგად, ყოველი ახალი ინვესტორი ფაქსიმილურ აპარატში ახდენს ფასეულობის გენერირებას ამ აპარატების ყველა არსებული მოსარგებლისათვის, რამდენადაც მოსარგებლეთა ბაზა გაფართოვდა. ჩვენს მაგალითში ყოველი მომდევნო ინვესტორი იძლევა უფრო მაღალ ზღვრულ უკუგებას უკვე არსებულ მოსარგებლეთათვის წინამორბედებთან შედარებით.

საქმის ასეთი ვითარება იარსებებს მანამ, სანამ გამოყენების პროცესში ფაქსიმილური აპარატები არ გახდება იმდენად ბევრი, რომ შეტყობინების გატარება გაძნელებდა. განსაზღვრული მომენტის შემდეგ ყოველი მომდევნო ინვესტორი ხელს შეუწყობს ფასეულობათა სულ უფრო მეტად შემცირებას წინამორბედთან შედარებით, და ბოლოს და ბოლოს უკანასკნელი ინვესტორი დაამატებს ნულოვან ფასეულობას ფაქსიმილური აპარატის უკვე სახეზე არსებულ მოსარგებლებებს. ეს მაგალითი არის ქსელური ეკონომიკის მუშაობის შედეგი, რომელიც შეიძლება დაფიქსირდეს ნებისმიერი შეფარდებითი რესურსების გამოყენებისას (მაგალითისათვის ურთიერთობა მომხმარებლებთან) და ნებისმიერი ორგანიზაციული რესურსების შემთხვევაში (მაგალითად, ბრენდები).

აღამიანური რესურსები, როგორც წესი, არსებობენ მზარდი ზღვრული უკუგების კანონის შესაბამისად. არსებობს ასეთი მტკიცება: „რაც უფრო მეტი იცი რაღაცის შესახებ, მით უფრო მეტად ერკვევი, რა ცოტა იცი იმასთან შედარებით, რაც შეიძლებოდა გცოდნოდა“. ეს იმას ნიშნავს, რომ საუბარი ორ ინდივიდს შორის, რომლებიც ფლობენ დიდ, მაგრამ სხვადასხვა ოდენობის ცოდნას, ორივე შეიმეცნებს რაღაც ახალს, მაგრამ დისტანცია ორივე მათგანის ცოდნის სიდიდეს შორის გაიზრდება. ურთიერთობითი რესურსები არ თავსდება არც საკუთრებით და არც ორგანიზაციის კონტროლირებად ჩარჩოებში, უკეთეს შემთხვევაში მან შეიძლება გავლენა მოახდინოს ურთიერთობებზე. ურთიერთობები ყოველი მხარის თვალსაზრისით არის მეორე მხარის კონტროლის ქვეშ. ვერანაირი კონტრაქტი ვერ შეუშლის ხელს მხარეს, რომელიც ფორმალურად აგრძელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, გამოეთიშოს გარგებას აზრობრივად გონებაში, მით უმეტეს არ მისცეს მას წარმატების დაგვირგვინების შანსი.

ორგანიზაციული რესურსები, პირიქით, ეკუთვნის ორგანიზაციას და კონტროლდება მის მიერ. არსებითად, იგი არის ერთადერთი ინტელექტუალური კაპიტალის რესურსებიდან, რომელიც ეკუთვნის ორგანიზაციას და კონტროლდება მის მიერ. ეს რესურსები შეიძლება გაიყიდოს, თუნდაც არაეფექტიან ბაზრებზე. ბევრი ორგანიზაციული რესურსებიდან არის ურთიერთშემავსებელი საურთიერთობო რესურსებთან ანდა აღამიანურ რესურსებთან მიმართებაში და ქმნიან კონკურენტული უპირატესობების საფუძველს ორგანიზაციათა უმეტესობისათვის.

აღამიანური რესურსები არავის არ ეკუთვნის, მაგრამ კონტროლდება თვით აღამიანის მიერ. ის, რომ აღამიანი უბრალოდ მოდის სამსახურში, არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს ხელი მიუწვდება მის ცოდნასა და უნარზე. აღამიანის კომპენეტციასა და იმ ორგანიზაციას შორის, რომელსაც სურს ამ რესურსის გამოყენება, დგას თვით აღამიანი. ფულადი და მატერიალური რესურსები არის კონკურენტული რესურსები. ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება მათი ერთდროულად გამოყენება სხვადასხვა მიზნით. თვითმფრინავი, რომელიც მიფრინავს სინგაპურიდან სიდნეიში, არ შეიძლება ამავდროულად მიფრინავდეს ლოს-ანჯელესიდან ლონდონში. ინტელექტუალური კაპიტალის რესურსები არ არის კონკურენტული ხასიათის, მათი გამოყენება შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ამოცანის შესასრულებლად.

მოვიყვანო სამ მარტივ მაგალითს, რომელიც განეკუთვნება ინტელექტუალური კაპიტალის შემადგენელი სამი ტიპის რესურსს.

– ურთიერთობები მომხმარებლებთან შეიძლება ამავდროულად გამოყენებული იქნეს ფულის გამოსამუშაველად და ბრენდის შესაქმნელადაც (ურთიერთობითი რესურსი).

– ბილეთებისა დაჯავშნის სისტემას შეუძლია ერთდროულად დაჯავშნოს ბილეთები, როგორც სინგაპურისა და სიდნეის რეისზე, ასევე ლოს-ანჯელესისა და ლონდონის რეისზე (ორგანიზაციული რესურსი).

– აღამიანი, შესაბამისი უნარით, შეიძლება ერთდროულად ფიქრობდეს სამუშაოზე და მიჰყავდეს მანქანა აეროპორტის გზაზე, რათა გაფრინდეს სინგაპურში (აღამიანური რესურსი).

ფულადი და მატერიალური რესურსები ხასიათდება სრული განსაკუთრებულობით. სხვა სიტყვებით შეიძლება იურიდიულად დაცული იქნეს იმისაგან, რომ სხვამ არ გამოიყენოს ეს რესურსები. ამასთან ერთად, ინტელექტუალური კაპიტალის რესურსები ხასიათდება მხოლოდ ნაწილობრივი განსაკუთრებულობით, ანუ იურიდიულად ძალზე ძნელადაა დაცული იმისაგან, რომ სხვები ფლობდნენ მას და მათგან ღებულობენ ეკონომიკურ სარგებელს. ურთიერთობები შეიძლება უზურპირებული იყოს, ბრენდის კოპირებაც შესაძლებელია, ხოლო ინფორმაციის საფუძველზე ორიგინალური პატენტებიდან შეიძლება შეიქმნას მისი მოდიფიკაცია, ამის გარდა, ინტელექტუალური კაპიტალის ყველა რესურსი შინაგანად მოიცავს შესაძლებლობას, „უბილეთობის“ პრობლემის წარმოშობისათვის.

მატერიალური და ფულადი რესურსებისაგან განსხვავებით, ინტელექტუალური კაპიტალის რესურსები ავლენენ ჩვეულებრივზე უფრო მაღალ ინფორმაციულ ასიმეტრიებს: ჯერ ერთი, ამ რესურსებთან მიმართებაში, როგორც სიდიდის, ისე ხარისხის მიხედვით არსებობს განუსაზღვრელობა მყიდველის მხრიდან; მეორეც, არ არსებობს ნამდვილად ეფექტიანი ბაზრები ამ რესურსებით ვაჭრობისათვის.

ორგანიზაციის ინოვაციური საქმიანობის საფუძველია მისი ინტელექტუალური კაპიტალი. ინტელექტუალური კაპიტალის დონე და მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი განსაზღვრავს ორგანიზაციის წარმატებულ ფუნქციონირებას საქონლისა და მომსახურების თანამედროვე ბაზარზე. ამასთან, **ტერმინის „ინტელექტუალური კაპიტალი“ ქვეშ მოიაზრება ორგანიზაციის შემოქმედებითი შესაძლებლობები, შექმნას და რეალიზაცია გაუკეთოს ინტელექტუალურ და ინოვაციურ პროდუქციას, რაც განისაზღვრება სამი მდგენელით: 1. საკადრო კაპიტალი; 2. ინტელექტუალური კაპიტალი; 3. მარკეტინგული აქტივები.**

ადამიანური აქტივების ქვეშ მოიაზრება კოლექტიური ცოდნა, გამოცდილება (ჩვევები), ორგანიზაციაში მომუშავე თითოეული სპეციალისტის პროფესიონალური თვისებები [6; 17]. აქვე შეიძლება იქნას ჩართული ფსიქომეტრიული ცნებები და მონაცემები ცალკეული პიროვნების სხვადასხვა სიტუაციაში ქცევის შესახებ. მაგალითად, სტრესულ სიტუაციებში და სამუშაოს ჯგუფური ორგანიზაციისას. კარგი მმართველის ამოცანა მდგომარეობს იმ მექანიზმის შემუშავებაში, რომელიც თითოეულ თანამშრომელს მისცემს თავისი პოტენციალის სრულად რეალიზაციის საშუალებას არსებული ორგანიზაციის ჩარჩოებში, საბაზრო, ინფრასტრუქტურული და ინტელექტუალური აქტივებისაგან განსხვავებით, ადამიანური აქტივები არ ეკუთვნის საწარმოს. აქედან გამომდინარე, მათ მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ მეწარმეებს.

ადამიანური აქტივები ასრულებენ პირველხარისხოვან როლს ინტელექტუალური კაპიტალის შექმნის საქმეში. ორგანიზაციის თანამშრომელთა ცოდნა და ჩვევები, მათი პროფესიული თვისებები არის ის ინსტრუმენტი, რომელთა მეშვეობითაც იქმნება **ინტელექტუალური პროდუქცია**, ყალიბდება ორგანიზაციის არამატერიალური აქტივები. **სტრუქტურული აქტივები** წარმოადგენს ორგანიზაციის თანამშრომელთა კოლექტივის შემოქმედებითი აქტივობის იმ პოტენციალს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანური აქტივების ეფექტურ გამოყენებას, შესაძლებელს ხდის მიღებული იქნეს უფრო მეტი, ვიდრე ორგანიზაციის ცალკეულ წევრთა მთლიანი ძალისხმევა. საკადრო პოტენციალის (კაპიტალის) აღნიშნული შემადგენელი ელემენტი განისაზღვრება კოლექტივში საერთო ზემოქმედების კულტურით, ანუ კორპორატიული კულტურით. კოლექტივში ურთიერთობათა კულტურა ხელს უწყობს ცოდნის დაგროვებას, ახალი ჩვევების შექმნას, გამოცდილების გამდიდრებას და პროფესიული ჩვევების სრულყოფას.

კორპორატიული კულტურა განმსაზღვრავს სტრუქტურულ როლს თამაშობს აქტივების სხვა მდგენელთა სრულყოფის საქმეშიც, კერძოდ, კოლექტიური მუშაობის ტექნოლოგიების განვითარებაში; კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების (მოტივაცია, სპეციალისტების შერჩევა, სხვადასხვა ამოცანების შესრულებისათვის ბრძანებათა ფორმირება და ა.შ.) დაცვაში; სპეციალისტების სწავლების სისტემების (მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.) შექმნაში. საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ორგანიზაციის სტრატეგიის განმსაზღვრავლ ბიზნესტექნოლოგიების ჩამოყალიბებაში.

ინტელექტუალური საკუთრება იქმნება ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ, მათი ცოდნისა და გამოცდილების ბაზაზე და ავსებს მათ არამატერიალურ აქტივებს. ინტელექტუალური საკუთრება საქონლის სახეს დებულობს ინტელექტუალური პროდუქციის ბაზარზე და შეიძლება შექმნიდ იქნეს სხვა ორგანიზაციის საკუთრებაში. ამასთან, აქ ხდება ინტელექტუალური საკუთრების სარგებლობაზე უფლების შექმნაც. ინტელექტუალური საკუთრების სამი შედარებით მნიშვნელოვანი ჯგუფებია: სამრეწველო საკუთრების ობიექტები; საავტორო უფლებების ობიექტები; ნოუ-ჰაუ.

ინტელექტუალური კაპიტალის მესამე მდგენელია **მარკეტინგული აქტივები**, რომლებიც მოიცავენ ფირმის იმიჯს, მისი სავაჭრო მარკის ცნობადობას, მოცემული ფირმის საქონლის ხარისხის ავტორიტეტს და ამის შესაბამის კლიენტთა ბაზას. მარკეტინგული აქტივები განისაზღვრება ასევე ორგანიზაციის მიერ დამყარებული და წარმატებით ფუნქციონირებადი კავშირებით ეროვნული, ინოვაციური, სისტემის ფარგლებში და მათი საერთაშორისო კავშირებით, აგრეთვე, ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე კოტირებით. ინტელექტუალური კაპიტალის სამი მდგენელი ელემენტის მნიშვნელობა ორგანიზაციის ინტელექტუალური კაპიტალის შექმნისა და გადიდების პროცესის არსის გასააზრებლად განაპირობებს მათი დეტალური განხილვის აუცილებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქოქიაური ლ. ინტელექტუალური კაპიტალი (მეორე გამოცემა). თბ., სტუ, 2013. გვ. 398.
2. Sullivan Patrick H. Profiting From Intellectual Capital: Extacting Value From Innovation. John Willey & Cors.Inc. 1996. p.366.
3. Sveiby K. E. Intellectual Capital And Knowledge Management. [Http://www.sveiby.com.au/Intellectualcapital.html](http://www.sveiby.com.au/Intellectualcapital.html).
4. Deece David J. Managing Intellectual Capital: Organizacional, Strategic And Policy Dimensions. Oxford University Press. 2000. p.300 da a.S.
5. Брукинг Э.И. Интеллектуальный капитал. СПб., Питер, 2001. с. 17.

*Lamara Kokiauri
Londa Pilishvili*

TO DEFINE INTELLECTUALL CAPITAL Annotation

Intellectual capital: this is intellectual material participating in the process of creating valuables, which consists of knowledge, experience, information and intellectual property.

This is collective mental energy. It is difficult to discover and detect it, and it is more difficult to be managed.

That is why especially acute problem related with the effectiveness of inter company management of intellectual capital as wells as the necessity of processing special management instruments and methods arises; also the issue of creating effective organization-economical mechanisms of accumulating and increasing intellectual capital by the knowledge-intensive enterprises.

Thus, systemic research of the processes of formation, accumulation and effective utilization of intellectual capital for the science-intensive enterprises and economical reforms in general, are of great actuality under the modern conditions.

*დევი შონია
გიორგი ყაზიშვილი*

ახალი ეკონომიკური რეალობა და ფასეულობებზე დამყარებული ბრენდინგი

გლობალიზაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საუკუნისათვის დამახასიათებელია მსოფლიო ეკონომიკის გარდაქმნა, სადაც მთავარ როლს ისეთი ფაქტორები ასრულებენ, როგორცაა გლობალიზაცია, ტექნოლოგიები, გარემოს დაცვა და ფასეულობები. თანამედროვე საზოგადოება გლობალიზაციისა და სწრაფი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში ცხოვრობს, რაც თვალში საცემს ხდის ძველ და ახალ ეკონომიკებს შორის განსხვავებას. ძველი ეკონომიკის საფუძველს სამრეწველო რევოლუცია წარმოადგენდა, ახალი ეკონომიკა კი ციფრულ რევოლუციას და ინფორმაციულ მართვას ემყარება.

ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებმა, განსაკუთრებით კი საინფორმაციო ტექნოლოგიურმა რევოლუციამ, გავლენა მოახდინა მეცნიერების არაერთი დარგის განვითარებაზე. ამ მხრივ გამონაკლისი ვერც მარკეტინგი და, შესაბამისად, მისი მთავარი მიმართულება - ბრენდინგი ვერ იქნებოდა.

მეცნიერი ჯონ გრანტი ბრენდინგის განვითარებაში გამოყოფს სამ ეპოქას [5] პირველი სავაჭრო მარკეტინგის ეპოქაა, რომელიც მოიცავს XX საუკუნის დასაწყისს. მეორე, ეს არის იდეალების ეპოქა, რომელიც 1930-იან წლებში დაიწყო. მისი განვითარება უკავშირდება 1950-იან წლებში ტელევიზიის გამოჩენას. ჯონ გრანტის თვალსაზრისით - „**დღეს ჩვენ შევდივართ ბრენდის მესამე ეპოქაში. ამ ეპოქაში ბრენდები საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ. ისინი გადაიქცნენ დამოუკიდებელ იდეებად, რომლებიც მოიცავენ მასებს და გავრცელებულნი არიან ერთმანეთისაგან განსხვავებულ ადამიანებს შორის**“[5].

ბრენდების მესამე, თანამედროვე ეპოქა, უნიკალური იდეების ბატონობის ეპოქაა, სადაც იდეები ორიენტირებულია ისეთ ფასეულობებზე, რომლებიც მისაღებია განსხვავებული ადამიანებისა და საზოგადოების ფართო მასებისათვის.

მსოფლიოში ცნობილი მარკეტოლოგი ფილიპ კოტლერი აღნიშნავს: „ყველაზე მთავარი ცნება თანამედროვე მარკეტინგში – ბრენდის ცნებაა. თუ თქვენ ბრენდი არა ხართ – თქვენ არ არსებობთ. მაშ ვინ ხართ თქვენ? – თქვენ ხართ ჩვეულებრივი საქონელი“[1].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე კომპანიების მარკეტინგში ყველაზე აქტუალური გამოწვევა სწორედ ბრენდის შექმნა და ეფექტური კომუნიკაციების დამყარებაა, რადგანაც ბრენდი ყველაზე მნიშვნელოვანი მარკეტინგული არამატერიალური აქტივია, რომელიც ყველაზე დადებითად მოქმედებს თანამედროვე კომპანიის მომგებიანობაზე.

ბრენდი ეფუძნება კლიენტების ლოიალურობას. მომხმარებელთა ლოიალურობა და ბრენდინგი მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია. ლოიალურობის მარკეტინგის მთავარ ამოცანას მომხმარებელთან გონივრული ურთიერთობების დამყარება წარმოადგენს, რაც ქმნის პირობებს ეფექტური ბრენდინგისათვის.



ინვესტიციების მომგებიანობის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს ბრენდში თანამედროვე ეტაპზე უნდა მივაკუთვნოთ:

- მომხმარებლებისათვის მისაღები, ფასეული პროდუქტების შეთავაზებით მათგან ლოიალურობის მოპოვება და გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარების უზრუნველყოფა;
- ცნობილი და მისაღები მარკეტინგის შექმნის მიზნით ფასების ის დანამატი, რომლის გადასახდელად მზად არიან მომხმარებლები;
- ბრენდირებული საქონლის გაყიდვებისა და ბაზრის წილის ზრდა დაბალი სამარკო პრემიის პოლიტიკის გატარების შედეგად;
- ოპერაციული ხარჯების (მათ შორის გაყიდვებზე) შემცირების შედეგად მოგებისა და უკუგების ზრდა;
- მაღალი ეფექტის მქონე წარმოებისა და მომხმარების მიღწევის საფუძველზე ძირითადი და საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ზრდა.

ბრენდინგის წარმატება ინვესტიციების სწორი წარმართვით და მისი ეფექტიანობის მაღალი დონის მეცნიერული შეფასებითაა მხოლოდ შესაძლებელი. ინვესტიციური ანალიზის მთავარ ამოცანას ბრენდის, როგორც კომპანიის მთავარი არამატერიალური აქტივის ღირებულების შეფასება და ბრენდში ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრა წარმოადგენს.

ბრენდში ინვესტიციების შეფასების სხვადასხვა მეთოდს იყენებენ. ფირმა „ინტერბრანდ“ [2] –ის მიერ შემუშავებული ბრენდის ღირებულების შეფასების მეთოდის მიხედვით, ბრენდისაგან მოგების ნორმის გასაანგარიშებლად შეიძლება გამოიყოს რენტაბელურობის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორცაა:

- **ინვესტიციები ბრენდში** (დანახარჯები მარკეტინგულ კომუნიკაციებზე, დანახარჯები მარკეტინგის სპეციალისტებზე, ინვესტიციები ბრენდის იდენტურობაზე, ინვესტიციები მარკეტინგულ კვლევებზე, ინვესტიციები ბრენდის დაცვაზე და ა. შ.);
- **შემოსავლები ბრენდისაგან** (შემოსავლების გამოყოფით სხვა არამატერიალური აქტივებისაგან მიღებული შემოსავლებისაგან);
- **დისკონტის ნორმა** ბრენდისაგან შემოსავლების დისკონტირებისათვის.

სხვა მეთოდს გვთავაზობს ა. დევისი [3]. თავის მოხსენებაში - „I Vალუე ლეპორტ 2004“. ის ეყრდნობა მჩვენებლების ნაკრებს: ტენდენციებს გაყიდვებისა და მოგების დინამიკაში, კონტროლირებადი ბაზრის მოცულობასა და წილს, დისტრიბუციის სისტემას, ფასების პოლიტიკას, მომხმარებელთა რაოდენობას, მომხმარებლის ღირებულებას, მომხმარებელში დამახსოვრებადობას, მომხმარებლის წასვლას, შეფარდებით დაკმაყოფილებას, საშუალო ნავაჭრს ერთი მომხმარებლისაგან.


მნიშვნელოვანია ბრენდში ინვესტიციების შეფასებისადმი სხვა მიდგომებიც. მაგალითად, ამბლერი [4]. გამოყოფს ბრენდის კაპიტალის შემდეგ ძირითად საზომებს (იხ. ცხრილი 1).

მომხმარებლისათვის ფასეულის შექმნა კომპანიას აძლევს მნიშვნელოვან შესაძლებლობებს, რომ ისარგებლოს ისეთი საფასო პრემიით, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს მის საბაზრო წილზე.

ცხრილი 1

ბრენდის კაპიტალის ძირითადი საზომები ამბლერის მიხედვით	
მომხმარებლის საზომი	საზომი
შეფარდებითი კმაყოფილება	
მიბმულობა	
შეფარდებითი აღქმის ხარისხი	
შეფარდებითი ფასი	
ხელმისაწვდომობა	

ბრენდის განვითარებაში ინვესტიციების ჩადებით თანამედროვე კომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა, შეაჩინონ მათთვის მისაღები ფასების პოლიტიკა და, შესაბამისად, პრემიების ოპტიმალური ვარიანტი. სტრატეგიის საზღვრები შეიძლება მოექცეს მაქსიმალურად შესაძლებელი **საფასო პრემიის დადგენასა** (ბაზრის არსებული დონის შენარჩუნების მიზნით) და **საფასო პრემიაზე უარის თქმას** შორის (ბაზრის წილის გაზრდის მიზნით) (იხ. ნახ. 1).




ნახ. 1. მომხმარებლის მზადყოფნა გადახდაზე და საფასო პოლიტიკა ბრენდინგში

რა წარმოადგენს ფასეულს თანამედროვე მომხმარებლებისათვის? რას ეძებენ ისინი ბრენდში? როგორ შეიძლება ისინი გავხადოთ ლოიალურები კომპანიის პროდუქტების მიმართ? – ეს არის ის მთავარი კითხვები, რომლებზეც პასუხი უნდა გავსცენ თანამედროვე კომპანიებმა.

დღეს მომხმარებლები იმდენად არიან ინფორმირებულები და ყველაფერი იციან ბრენდებზე, რომ ძნელია ისინი რაიმეთი გააკვიროვო გამოძინარე არსებული ერთფეროვნებიდან. ისინი ყველა საქონელს განიხილავენ თითქმის როგორც მასობრივს და ადრინდელივით განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევენ. არსებულ ეკონომიკურ გარემოში, მიმდინარე ცვლილებებიდან გამომდინარე, თანამედროვე მომხმარებლები ბრენდში ეძებენ:

- შთაბეჭდილებებს, რომლებიც შეძრავს მათ სულიერ მხარეს;
- ბიზნესმოდელებს ფასეულობების საფუძველზე;
- ფსიქოლოგიურ და სულიერ უპირატესობებს;
- სანდო პროდუქტებს, რომლებიც მათ ცხოვრებაში დაიკავენს გააზრებულ და უნიკალურ ადგილს.


ამ ვითარებაში, თანამედროვე ფორმები, როგორც არასდროს, უნდა გახდნენ შემოქმედნი და გამოსავალი უნდა იპოვონ განსაკუთრებულ სერვისში, მომხმარებლებისათვის დაუვიწყარი შთაბეჭდილების შექმნაში, კონკურენტებისაგან გამორჩეული შეთავაზებების წარმოებაში. ეს ვითარება გრაფიკულად შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ (იხ. ნახ. 2).



ნახ. 2. თანამედროვე მომხმარებლებისა და შემოქმედი ფორმის ურთიერთდამოკიდებულება

შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მომხმარებლები გარკვეულწილად დაბნეულები კი არიან ბრენდების აღქმის პროცესში. ამიტომაც კომპანიების მთავარ ამოცანას მომხმარებლების მხრიდან ბრენდის სწორად გაგების მიღწევა უნდა წარმოადგენდეს. როგორც გლობალური, ასევე ეროვნული კომპანიებისათვის ამ მიმართულებით გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი სტრატეგიების შერჩევასა და დამუშავებას, რომლებიც გამოავლენენ და დააკმაყოფილებენ თანამედროვე კლიენტებისათვის მნიშვნელოვან მოთხოვნებს და გაზრდის მათი ლოიალურობის ხარისხს.

როგორც გლობალური, ასევე ლოკალური კომპანიებისათვის მეტად რთული ამოცანაა ბრენდის სწორად გაგების მიღწევა. ეს პროცესი დამოკიდებულია არა მარტო სარეკლამო კამპანიის წარმართვაზე, არამედ: იმ ქვეყნისა თუ რეგიონის კულტურის ცოდნის და ასახვის თავისებურებებზე, სადაც პროდუქტი იქნა წარმოებული; იმ მომხმარებელთა შეკვეთების გათვალისწინებაზე, ვისთვისაც არის პროდუქტი განკუთვნილი, ბაზრის ეკონომიკური განსაკუთრებულობების გათვალისწინებაზე, სადაც იყიდება ეს პროდუქტი. (იხ. ნახ 3).



ნახ. 3. გლობალური და ნაციონალური კომპანიების სტრატეგიები ბრენდის გაგებაზე

2013 წელს კომპანია „კოკა-კოლა“ საქართველოში პროდუქციის ვარიეტეტებზე ქართული ეროვნული სახელები დაამატა: „გიორგის“, „ნინოს“, „დათოს“, „გაუზიარე მეგობარს“, „გაუზიარე დედას“, „გაუზიარე მამას“ და ა.შ., რითაც კომპანია ცდილობდა ეროვნული ბაზრის მომხმარებლებთან დაახლოებას. თუმცა 2014 წელს მან ეს შეწყვიტა. უაღკოპოლო სასმელების ქართულ ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად ეროვნული კომპანიები სულ უფრო მეტ ყურადღებას ეროვნულ ფასეულობებზე ამახვილებენ და ეროვნული თავისებურებების წარმონიით კულტ-სტატუსის მოპოვებას ცდილობენ. გარდა ამისა, ისინი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა სოციალურ პროექტებში წარმონიებას.

მომხმარებლებისათვის პროდუქციის შერჩევისა და ბრენდის ფასეულობის შეფასების დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომსახურების დონეს და ხარისხს, რომელიც მისი შემადგენელი ნაწილია. ამ მიმართულებით ბევრი ქართული კომპანია სულ უფრო მეტად ცდილობს სერვისის გაუმჯობესებას – კლიენტებისადმი გუ-

ლისხმიერ და პროფესიულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს კომპანიისადმი კეთილგანწყობას. ამ მიმართულებით საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა არსებობს. მომხმარებლები ასევე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ კომპანიის დამოკიდებულებას საკუთარი თანამშრომლებისადმი, რითაც ისინი თავიანთ დასკვნებს აკეთებენ კომპანიის რეპუტაციისა და იმიჯის მიმართულებით.

ძლიერი ბრენდები მომხმარებლებს მეტ ნდობას შთააგონებენ, პირდებიან უფრო მეტ კომფორტს, ქმნიან საუკეთესო შთაბეჭდილებებს, ვიდრე ნაკლებად ცნობილი მარკები. ადამიანები მზად არიან გადაიხადონ ცნობილ ბრენდებში უფრო მეტი, მაგრამ აუცილებელია იმის გაცნობიერებაც, რომ მხოლოდ რეკლამისა და წინ წაწევის ხარჯები როდი იწვევს ბრენდების გაძლიერებას მომხმარებლებში. ბრენდის ძალა განისაზღვრება საქონლის მახასიათებლებითა და ხარისხით და არა ბაზარზე დაწინაურებით. ამის ნათელი მაგალითია კომპანია „შტარბუცკს“ [6] რომელმაც წარმატებას რეკლამის გარეშე მიაღწია. მართალია, ბრენდები რეკლამის წყალობით იზადებიან, მაგრამ მათი გადარჩენა პროდუქტის მახასიათებლების შემწეობით ხდება.

ნებისმიერი ძლიერი ბრენდი მომხმარებლისათვის ფასეულობების დაპირებაა. ბრენდი უნდა იქცეს კომპანიის მიერ წარმოებული მთელი საქმიანობის მარკად და იწვევდეს კონცეფციად.

ბოლო პერიოდში საქართველოში მოღვაწე კომპანიები საკუთარ ვებ-გვერდებზე უთითებენ კომპანიის მისიას, ფასეულობებსა და ხედვას. მაგალითად, კომპანია „ნატასტარს“ [7] მისიაა: „ჩვენ ვეხმარებით ადამიანებს უფრო მეტად დატკბენ ცხოვრებით ჩვენი პროდუქტების გონივრული გამოყენების გზით“. კომპანიის ფასეულობების შესახებ კი აღნიშნულია: „კომპანია ნატასტარი აცნობიერებს და აღიარებს ბიზნესისადმი პასუხისმგებლობით მიდგომის მნიშვნელობას საკუთარი საქმიანობის წარმართვისას“ [8] კომპანია „ვისოლის“ [9] ხედვაა: „მზად ვიყოთ ცვლილებებისათვის; მაღალი ხარისხის შენარჩუნებით მოვიპოვოთ მომხმარებლის ლოიალურობა; ვიყოთ ყველა ოჯახის საყვარელი ბრენდი“. კომპანია „ვისოლ ჯგუფის“ 5 ძირითად ფასეულობას წარმოადგენს: „1. ხარისხზე ორიენტირებულობა; 2. მუდმივი ზრუნვა განვითარებაზე; 3. სოციალური პასუხისმგებლობები; 4. სამართლიანობა; 5. ეროვნულობა.“ [10] ფარმაცევტული კომპანიის „ნ“-ის [11] მისიაა: „საზოგადოების ჩართვა ჯანმრთელობის გაუმჯობესების პროცესში მისი კეთილდღეობის მისაღწევად“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე კომპანიებისათვის ბრენდინგში უმნიშვნელოვანესია: მიმდინარე ცვლილებებისა და მომხმარებლების ძალაუფლების ზრდის შეცნობა და სწორი შეფასება, ბიზნესის მაქსიმალური ადაპტირება მომხმარებლების მოთხოვნილებებთან და სურვილებთან; მათი ბრენდინგი უნდა ეფუძნებოდეს ფასეულობებს და, შესაბამისად, მომხმარებლის სუბიექტურ სამყაროს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Котлер Ф., 300 ключевых вопросов маркетинга: отвечает Филип Котлер/Пер. с англ. — М.: ЗАО „Олимп—Бизнес“, 2006.
2. „The value of the brand. Fundamentals of an economic evaluation“. „interbrand“. P.68.89.101.
3. Adrian Davis and Lucinda Spicer An intrnational perspective on brand valuation and manajement. / IP Value 2004. Published by Globe White Page, publishers of Intellectual Asset Manajement Magazine www.buildingipvalue.com./04index.html.
4. Амблер Т. Маркетинг и Финансовый результат: новые метрики богатства корпорации. М: финансы и статистика. 2003.
5. Грант Дж., 12 тем. Маркетинг 21 века, http://www.e-reading.ws/bookreader.php/68555/Grant_-_12_tem._Marketing_21_veka.html
6. <http://www.bpn.ge/chven-shesakheb/2438-miliardebi-yavis-aromatith.html?lang=ka-GE>
7. http://natakhtari.ge/?action=page&page_id=33&pageon=33&lang=geo
8. http://natakhtari.ge/?action=page&page_id=97&pageon=97&lang=geo
9. <http://www.wissol.ge/index.php?geo&cat=7&type=1>
10. <http://www.wissol.ge/index.php?geo&cat=9&type=1>
11. <http://gpc.ge/?menuid=13&lang=1>

*Devi Shonia
Giorgi Kazishvili*

NEW ECONOMIC REALITY AND BRANDING BASED ON VALUES Annotation

The transformation of the world economy, which is connected to Globalisation and information technology development, requires marketing modernisation that is conditioned by the influence of many factors. This process makes the branding problem actual for modern companies. The main marketing assets – brand is based on the customers’ loyalty, which is directly connected to the level of their satisfaction. Marketing transformation highlighted the question of the brand individuality, its image, honesty (Marketing 3.0) and other characteristics.

An actual problem for modern companies is to reveal and ascertain important factors of profit in branding. Customers in any kind of brand look for those values which are close to their spiritual world. Companies can reach closer to the customers only when they get to know the exact values for them. Creating values gives the opportunity to the brand to make a positive influence on the company business and the market share.

Rising competition and weakening differencies between brands complicates their opportunity to make an important impression on highly informed customers, which will change their spiritual side. The companies face the problem of not understanding the brand on a modern level. They look for those values which are understandable, acceptable and close to their spiritual world.

Both, for the global and national companies it is very important: to recognise the differencies and weakening of their influence on customers; acknowledgement of a brand as the most positive assets on the market share of a company; realising and considering changes made on the cutomers and different factors making influence on complications; affirmation of the importance of

values in modern branding as a result of the marketing transformation; attitude and consideration of the cultural values for the national market customer.

So, leading effective branding is possible by understanding and analysis of ongoing processes in customers, precise leading of investments and high level scientific evaluations.

ლია ჩარეკიშვილი

პარადიგმაში მცენიერებაში და ცოლის ეკონომიკა

ცოდნა, როგორც ადამიანისა და ადამიანთა ჯგუფის აზროვნების პროდუქტი [4, გვ. 242-245], განაპირობებს რა საზოგადოებრივ პროგრესს, გავლენას ახდენს მეცნიერებისა და რელიგიის პარადიგმების ურთიერთ-შემავსებელ შესაძლებლობებზე.

მეცნიერების ეფექტიანობა ვლინდება შესაბამისი ხედვის ცალკეული ელემენტებით და განვითარებით. პარადიგმა⁶⁹ მკვიდრდება ქვეყანაში, რომელიც ეკონომიკის წინსვლის დამაკავალიანებელი უნარის მქონე მოდელით ან სქემით წარმართება. ცოდნის ეკონომიკის განვითარების ამსახველ პრობლემებში და წინააღმდეგობების განსამუხტავად, მაშინ, როცა პარადიგმის მოთხოვნაზე ცოდნის ეკონომიკის გავლენა დაფიქსირდება, ხოლო თუკი იგი ამ მხრივ სუსტი აღმოჩნდება, მაშინ მას საჭიროებისამებრ ახალი პარადიგმა დაემატება და ა. შ., რომლის ავტორები „ახალი ყაიღის“ მაღალი დონის აზროვნების მეცნიერები აღმოჩნდებიან. მათი ჯგუფის მიერ აზრობრივი ხედვით მრავალჯერ შემოწმებული და დაკვირვებით დაკონკრეტებული მიზანმიმართული კვლევა მკვიდრდება მოსახლეობაში, რაც მაგალითებზე დაყრდნობილი წესების სისტემაა, რომელიც თაობებს მრავალჯერ შემოწმებული და დაზუსტებული გადაცემა, როგორც მომავლის საიმედო ხედვა.

განსათვალისწინებელია, „მეცნიერები სულ უფრო მეტად აღიარებენ მათზე ბევრად მაღალი საწყისის არსებობას, რომ ისინი კიდევ უფრო აზუსტებენ სამყაროს ფუნდამენტურ საფუძველს. უმაღლესი დონეებრივი ძალების არსებობას მეცნიერები სხვადასხვა პოზიციიდან და სფეროდან უყურებენ, პირველ რიგში კი მართვისა და თვითორგანიზაციის ძალთა თანაფარდობის დადგენის შემთხვევებში, რამდენადაც ობიექტურად შეეჯახებიან ამ ძალას [3, გვ. 13].

ყურადსაღებია ისიც, რომ ადამ სმიტის შემოქმედებას გაცნობილი და უხილავი ხელის მოქმედების არსში გარკვეული ეკონომისტი, ამასთან, როგორც მენეჯერი, ხილული ხელით მოქმედებს ისე, რომ შეუძლია ქვეყნის ეკონომიკის ცვლილებათა ცალკეულ ვარიანტებზე შემოქმედება მოახდინოს, ხოლო თუკი ამას ემატება ჯონ მებარდ კეინის მიხედვით საბაზრო ეკონომიკაზე ხედვა და მთლიანობაში ქვეყნის სასიკეთო გარდაქმნის პროცესი რეალური ხდება, მაშინ მისი შემოქმედებითობის გამოვლენის მასშტაბები ფართოვდება, რაც რეალიზდება ცოდნის ეკონომიკის შესაძლებლობის გაძლიერების გავლენით, ამასთან, პარადიგმების სრულყოფით, მოსახლეობის კეთილდღობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ-გლობალიზაციის პირობებში.

პარადიგმა ზოგჯერ ახლოსაა მოსახლეობაში წესრიგის დაცვის კანონებთან, მაგრამ მისგან ძირითადი განსხვავება იმაშია, რომ პარადიგმის დამკვიდრებას ქვეყანაში ხანგრძლივი დრო დასჭირდება. მოქალაქე არ შეძლება არ ისჯებოდეს კანონის შეუსრულებლობაზე, ხოლო კანონების ლიბერალიზაცია მოსალოდნელია, სახიფათო აღმოჩნდეს.

განვიხილოთ საორიენტაციო მაგალითი: ადამიანის სიმდიდრე იმისთვის სჭირდება, რომ სხვასაც კეთილი საქმის შესრულებაში დაეხმაროს (ღარიბებზე ზრუნვაც იგულისხმება), მაგრამ ამის შეუსრულებლობისთვის იგი სამოქალაქო კანონებით უშუალოდ არ ისჯება.

რელიგიას კი მრევლის დასაკავალიანებლად მრავალმხრივი გამოცდილება გააჩნია, მათ შორისაა უანგარო დახმარებები, რომელსაც მდიდრები გაიღებენ ღარიბებისთვის.

ამ მხრივ ყურადსაღებია წინადადება, კეთილსინდისიერი მოსახლეობის საშუალო ფენის გაძლიერებასთან დაკავშირებით ისე, რომ მათ, მდიდარი ფენის თანადგომასთან ერთად, შეეძლებათ შედეგიანად იზრუნონ მაგალითად, მოსახლეობის ღარიბი ფენების რიცხოვნობის შემცირებაზე პოსტსაბჭოთა საქართველოში.

თანამედროვე კაპიტალიზმი იმდენად ძლიერი ხდება, რომ იგი მეცნიერ მკვლევარს პარადიგმების შემოქმედებითად დახვეწის პირობებს უქმნის და საჭიროებისამებრ სრულყოფაშიც ეხმარება. პარადიგმების დროული გამოვლენით კაპიტალიზმი იხვეწება და საზოგადოებისთვის კიდევ უფრო მომგებიანი ხდება, მოსახლეობის ფართო მასებთან ურთიერთობით ორგანიზებული კეთილსინდისიერი დახმარებით.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ კაპიტალიზმის საწყისებზე აღმოცენებული სოციალიზმი სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ფუქსავატობით გაკოტრებული „ძველი მდიდრების მიერ“ მოსახლეობის გადატაკებისაკენ არის მიმართული.

მეცნიერების და რელიგიის ურთიერთობას ქვეყანაში პარადიგმების შემოქმედებითად აღქმისა და გაძლიერების შესაძლებლობები გააჩნია. „მეცნიერება დღეს არ უნდა იხეიბდეს ისეთი რელიგიური მცნებების გაგებას, სადაც გონს შედევვა არ შეუძლია“ [3, გვ. 12]. სულ სხვაა სოციალიზმის დოგმები. ისინი მონურ

⁶⁹ მისი ფუძემდებელია თომას კუნი, არსებობს აზროვნების გარკვეული მოდელი, რომელსაც შეიძლება პკონდეს მეცნიერული თეორიის ან მსოფლმხედველობის სახე. აზროვნების ასეთ მოდელს კუნმა პარადიგმა უწოდა. პარადიგმა შეიძლება იყოს მეცნიერული თეორიაც, მაგრამ, არა ნებისმიერი, არამედ ისეთი, რომელიც მეცნიერული აზროვნების მოდელს წარმოადგენს. ყოველი ახალი პარადიგმა სამყაროს ახალი ხედვაა, კაცობრიობის მიერ მოპოვებული ცოდნის ახლებური გააზრებაა. პარადიგმა ერთგვარი ნორმაა, რომლის მიხედვით წარმოებს მეცნიერული კვლევა. მეცნიერული რეველუციები მხოლოდ პარადიგმების ცვალებადობასთან არის დაკავშირებული და ყოველი ახალი პარადიგმა სობს ძველს. არ არსებობს შემკვიდრება პარადიგმების ცვალებადობაში. აინშტაინის რელატივიზმის თეორია არა მარტო არ გამოიყვანება კლასიკური მექანიკიდან (ან პირიქით), არამედ ისინი პრინციპულად გამორიცხავენ ერთმანეთს. რელატივიზმის თეორიამ მთლიანად უარყო კლასიკური მექანიკის წარმოდგენები სივრცესა და დროზე და მათ შორის რაიმე შემკვიდრებაზე საუბარი შეუძლებელია. ამაში მდგომარეობს პარადიგმების შეუთავსებლობა და მათი რეველუციური მნიშვნელობა [2, გვ. 139-142].

მდგომარეობაში მყოფ ადამიანებში დაგროვილი სიმდიდრის ერთობლივად „განიაგების პროცესებს ამკვიდრებენ, სადაც სიღარიბის გამოთანაბრების პარადიგმა „გაბატონებული“. ამ მდგომარეობიდან გამოსავალს კაპიტალიზმი იძლევა სიმდიდრის შექმნით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოყენებით ცოდნის ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში. სოციალიზმს კი კომუნიზმის ფიქტიური წარმოსახვიდან მოსახლეობის მონურ მდგომარეობაზე გადაყვანის „პერსპექტივა“ გააჩნია, რაც დიდი ალბათობით, მაშინაა მოსალოდნელი, როდესაც პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკა ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ათეული წლები) თვითდინებაზეა მიშვებული.

კაპიტალიზმს მრავალმხრივი წინააღმდეგობები გააჩნია, მაგრამ „გონიერების საზღვრებში“ მათი მოთხოვნის შესაძლებლობები მაინც ექმნება, რაც მას შეუძლია საჭიროებისამებრ გამოიყენოს. ამ მხრივ უპირატესობა პირველ რიგში უმაღლეს დონეზე განვითარებულ სახელმწიფოს – აშშ-ს ენიჭება, ასევე დამამიძღვებელი შესაძლებლობები ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებსაც გააჩნიათ. ისინი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ახალი მიღწევებით არა მარტო მსოფლიოს ამდიდრებენ, ამასთან ერთად მაგისტრალური განვითარების გზაზე გაჰყავთ.

ამის ნათელი მაგალითებია გლობალიზაციის მაღალი დონე და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დახმარება; საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება; კომპიუტერიზაცია; შრომის მწარმოებლურობის ზრდის საფუძველზე მდიდარი და საშუალო ფენების ერთდროული გაძლიერების პირობების შექმნა და ა. შ.

უინსტონ ჩერჩილის გონიერული შენიშვნის თანახმად, კაპიტალიზმის მთავარი ნაკლი სიკეთის უთანაბრო, ხოლო სოციალიზმის მთავარი უპირატესობა გაჭირვების თანაბარ განაწილებას წარმოადგენდა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ზემოდან ძალისმიერი მბრძანებლური მეთოდებით იმართებოდა, რასაც გაჭირვების გამოთანაბრების პოლიტიკით „გაბრიყვებული მოსახლეობა“ იძულებული ხდებოდა შეგუებოდა. ცივ ომში დამარცხების შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო აშკარა გახდა ის, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში გაჭირვებით შექმნილი პროდუქციის დიდ ნაწილს პარტოკრატები ითვისებდნენ, ხოლო მისგან დარჩენილი მცირე ნაწილი დაბალ მსყიდველობით მოსახლეობაზე შეძლებისდაგვარად თანაბრად და როგორც დეფიციტი ისე ნაწილდებოდა.

ამჟამად პოსტკომუნისტურ საქართველოში სახიფათო გახდა არა მარტო უმუშევრობა, არამედ მოსახლეობის უსაქმურობაც.

გასათვალისწინებელია, რომ

1. ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების შინაგანი ლოგიკა არ ექვემდებარება საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებებს, არც მათი დაგეგმვა არის მოხერხებული მეცნიერების შემდგომი განვითარების ეფექტიანობის ასამაღლებლად. მეცნიერების დაფინანსება მთლიანად სამთავრობო სტრუქტურებზე დამოკიდებული და მეცნიერთა თანამშრომლობა იმ დონის არ არის, რომ იგი პოსტსაბჭოთა საქართველოში კერძო სექტორით დაფინანსდეს;

2. განვითარებულმა სახელმწიფოებმა ერთგვარ გამოსავალს მიაგნეს იმით, რომ ისინი პირდაპირ აფინანსებდნენ ფუნდამენტურ მეცნიერებას მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 3,0%-ის ფარგლებში. საქართველოში ეს მაჩვენებელი 90-იან წლებში 0,12 %-ს აღწევდა, შემდგომ კიდევ უფრო შემცირდა [1, გვ. 26];

3. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მეცნიერების ეკონომიკა შესაბამის გარდაქმნებს მოითხოვდა. შესაბამისად საქართველოში მეცნიერების რეფორმებზე და ცოდნის ეკონომიკის პარადიგმებზე გაკვლევის დასაკვალიანებლად უნდა ემუშავათ ამ საქმის პროფესიონალებს, მათი გამოცდილებისა და კომპეტენტურობის გათვალისწინებით;

4. პოსტკომუნისტური ქვეყნების მოსახლეობას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საიმედო სურვილი შეექმნათ განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების, განსაკუთრებით აშშ-ს ცხოვრების მაღალი დონისადმი. ეს პროცესიც თვითდინებაზე იქნა მიშვებული და არ იქნა ყურადღება გამახვილებული იმაზე, რომ ყოველივე ამას შესაბამისი პარადიგმები სჭირდებოდა – ძველი პარადიგმების ახლით ჩანაცვლება დროის მოკლე პერიოდში, როგორცაა საზოგადოებრივი საკუთრების მიმართ მოქალაქეთა ქურდული ფსიქოლოგიის ნაცვლად კერძო საკუთრებისადმი სამართლიანი (პატერნიზაციული) დამოკიდებულების დამკვიდრება;

5. დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მეცნიერებისა და რელიგიის „ერთიანობის შექმნა“ მეცნიერ-მკვლევარის შემოქმედებას, როდესაც იგი სინერგიული დონის პარადიგმებით ცდილობს ქვეყანაში შექმნას სიკეთის დამკვიდრების შესაძლებლობები, როგორცაა მაგალითად, კეთილსინდისიერი ადამიანის მიზანი, რომ მას სიმდიდრე იმისთვის სჭირდება, რათა თავის გარშემო ცხოვრების პირობები საშუალო დონეზე მოაწყოს და იგი სხვების დასახმარებლად სასიკეთოდ გამოიყენოს.

ასეთ და მის მსგავს პარადიგმებს ახლებური მოდიფიცირება სჭირდება და დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიაში.

ამჟამინდელ მსოფლიოში გლობალიზაცია ცდილობს საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტას, რაც ეხება სიღარიბის დაძლევას, მოსახლეობის დასაქმებას და ა.შ. ამაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცოდნის ეკონომიკას, რომელსაც დამაკვალიანებელი უნარი გააჩნია ქვეყანაში კეთილსინდისიერი პარადიგმების პირობების შესაქმნელად, რაც წარიმართება ისევე ცოდნის ეკონომიკის სრულყოფითა და შესაძლებლობების გაძლიერებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სარჩიმელია რ., ჩარეკიშვილი ლ. ცოდნის ეკონომიკა, როგორც მეცნიერების, განათლებისა და ტექნიკური პროგრესის გამაერთიანებელი. ჟ. ეკონომისტი, 2010, 6, გვ. 22-30.
2. ფილოსოფია და მეცნიერება, მეცნიერების ფილოსოფიის ნარკვევები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, გამომცემლობა „მეცნიერება“, გვ. 139-142.

3. ფრანგიშვილი ი., მეცნიერებისა და რელიგიის, ცოდნისა და რწმენის სისტემური ურთიერთმიმართულებანი. პირველი საერთაშორისო კონფერენცია „მეცნიერება და რელიგია“, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2005, გვ. 11-17.
4. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა, საგამომცემლო ფორმა „სიახლე“, თბილისი, 2006, გვ. 242-245.

Lia Charekishvili

PARADIGMS IN SCIENCE AND THE ECONOMY OF KNOWLEDGE

Annotation

The work reviews knowledge as the product of thinking. Characterization of science and religious paradigms is given as well. The similarity of paradigms with keeping order, helping the poor and strengthening the middle class is designated. The displaying peculiarities of paradigms of capitalism and socialism are characterized. Given are new paradigms that are still unfixed cells with high levels of globalization.

ვახილ ხიზანიშვილი

ეკონომიკური ანთროპოლოგიის ეთიკური და პოლიტიკური ასპექტები

დასავლეთში დიდი ხნის წინ დაწყებული ეკონომიკის ეთიკასა და პოლიტიკასთან დამოკიდებულების დებატები კონცენტრირდება ეკონომიკური ანთროპოლოგიის ხედვას ცალკეული პიროვნების მოქმედების მოტივაციასთან. ეკონომიკურ აქტიორთა თვითინტერესის, ანუ ეგოიზმის იდეის საყოველთაო კრიტიკა მიანიშნებს, რომ ადამიანი არის და უნდა იყოს არა სარგებლიანობის ეგოისტური მაქსიმიზატორი, არამედ იგი ეკუთვნის საზოგადოებას და სოციალურ კულტურებს, საიდანაც საერთო სიკეთისადმი დამოკიდებულება არ შეიძლება გამოირიცხებოდეს ეკონომიკურ მოქმედებათა მოტივაციების გააზრებისაგან¹. უფრო მეტიც, ეკონომიკურ ქცევათა იდეალური სიტუაციების ნეოკლასიკური დაშვებები და ვარაუდები ძალზე დაცილებულია ამგვარი ქმედებების პირობათაგან, ეკონომიკური ცხოვრების კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში.

ეკონომიკური ქცევების ფართო ეთიკური საფუძვლების არგუმენტები ადასტურებს, რომ ეკონომიკური ანთროპოლოგია ხასიათდება ეგოიზმსა და ალტრუიზმს შორის არსებული დაძაბულობით. ე.წ. კომუნტარიანული თეორიის ავტორები ამტკიცებენ, რომ კეთილგონიერული ეკონომიკური ქმედება გულისხმობს სხვა ადამიანებთან ურთიერთობასა და მათზე ზრუნავს². მაშასადამე, ეგოიზმი არასოდეს არის მოტივაცია მხოლოდ ეკონომიკისათვის. ეკონომიკური ქცევების შესახებ ამგვარი სოციალური ხედვის საპირწონედ, მეცნიერ-ეკონომისტთა ნაწილი, პროფ. გარი ბეკერის მსგავსად, იცავენ ალტრუიზმს, როგორც მაქსიმიზაციის ინდივიდუალური სარგებლიანობის მოწინავე ფორმას. ბეკერი ავითარებს ე.წ. „საბრალო ბავშვის თეორემას“ და აცხადებს, რომ ადამიანები ალტრუისტულად მოქმედებენ იმისთვის, რათა სრულყოფილი და გააუმჯობესონ საკუთარი ეგოიზმი, მსგავსად ბავშვისა, რომელიც იქცევა კარგად იმისათვის, რომ მიიღოს დიდი ჯილდო მშობლებისაგან³. ამ თვალსაზრისით, კოოპერაციისა და სიმპათიის სტრატეგიები არის მხოლოდ თვითინტერესის მოწინავე ფორმები, მაღარბეული სიმართლის თქმის, პირობის შესრულების და კონტრაქტის დაცვის მნიშვნელობისა მომავალი კოლაბორაციისა და ეკონომიკური გაცვლა-გამოცვლისათვის. ეს არგუმენტი სრულად განავითარა პროფ. აქსელროდმა, რომელიც თავის წიგნში „კოოპერაციის ევოლუცია“ ამტკიცებდა, რომ კოოპერაციული ქცევა შეიძლება დაეფუძნოს სარგებლიანობის ინდივიდუალურ მაქსიმიზაციას, რადგან კოოპერაციული სტრატეგიები გრძელვადიან პერსპექტივაში ინდივიდებისათვის უფრო მეტად იქნება სარგებლობის მომგანი, ვიდრე ოპორტუნისტული სტრატეგიები⁴.

როდესაც ჯონ როულსი საწყის წერტილს იღებს თვითინტერესიდან და რაციონალურ თეორიას ათავსებს უნივერსალური ნორმების კანტისეული კონსტრუქციის ფარგლებში, თავის ცნობილ წიგნში „სამართლიანობის თეორია“, „უმეცრების საფარველს“ განხილვისას ის, შეიძლება ითქვას, აყალიბებს ეკონომიკის რაციონალურ საფუძველს ეთიკასა და პოლიტიკას შორის⁵. „უმეცრების საფარველში“ ის გულისხმობს იმგვარ მდგომარეობას, როდესაც ინდივიდებს არ აქვთ განსაზღვრული საკუთარი პერსონალური პოზიციები მომავალ საზოგადოებაში და, მაშასადამე, გაცილებით უფრო რაციონალურია სამართლიანობის იმ ერთგვარი ძირითადი პირობების არჩევა, რომლებიც მისაღები იქნება ყველასათვის მომავალ საზოგადოებაში. ამ კონსტრუქციაში როულსი არ უარყოფს პიროვნების რაციონალურ არჩევანს, ისევე, როგორც არ მიიხნევს მას რაციონალური მოქმედების ერთადერთ საფუძველად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანტიანურ კონსტრუქციისთვის არ ძალუძს გამორიცხოს სამართლიანობისათვის ზრუნვა პოლიტიკურ საზოგადოებასა და საერთო სიკეთეში მაშინ, როდესაც როულსი ამტკიცებს, რომ პიროვნებები ვალდებული არიან „უმეცრების საფარველში“ აირჩიონ სამართლიანობის პრინციპები მომავალი საზოგადოებისათვის, რომელიც გამოსადეგი იქნება ყველასათვის⁶. გარდა ამისა, საზოგადოების ეს კონცეფტი უშვებს თვით ადამიანის ფართო კონცეფციას, ვიდრე კონცეფცია, რომელიც ნეოკლასიკური ეკონომიკის მიერაა შემოთავაზებული. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პოლიტიკური რაციონალურობა ნიშნავს სოციალურ ურთიერთობასა და ვალდებულებას ერთიან პოლიტიკურ საზოგადოებასა თუ სივრცეში. ამ კონტექსტით ბეკერისა და აქსელროდის კონცეფტები ანგარიშს არ უწევს იმას, რასაც ალტრუიზმი სინამდვილეში წარმოადგენს. ისინი ალტრუიზმს განიხილავენ განვითარებული ეგოიზმის თვალსაზრისით.

ლევინასი ცდილობს განავრცოს ქ. როულსის სამართლიანობის ეთიკური საფუძვლები პოლიტიკურ საზოგადოებაში. იგი გვთავაზობს ერთი ადამიანის მეორე ადამიანთან შეხვედრის ფენომენოლოგიას, როგორც

ადამიანური მოტივაციის საფუძველს⁷, და რაშიც ვლინდება ზნეობის უმაღლესი კატეგორიების, პასუხისმგებლობისა და თავგანწირვის უსაზღვრო მოთხოვნილება. პიროვნებათა შორის ამგვარი დამოკიდებულება არის სოციალური ურთიერთობების საფუძველი, რომელიც არ უნდა განისაზღვროს, როგორც „ალტერ ეგო“-ს დამოკიდებულება, არამედ მისგან ფუნდამენტურად განსხვავებული რამ. ლევინასის ხედვით, ფუნდამენტური პატივისცემა სხვების მიმართ არის ეთიკური ურთიერთობების საფუძველი და ეს დამოკიდებულება წინ უძღვის ეკონომიკურ ურთიერთობათა ეგოისტურ გაცვლით ურთიერთობებს.

იმისათვის, რომ ადგილი მიეჩინოს ეკონომიკას ეთიკასა და პოლიტიკას შორის, ჩვენ შეგვიძლია შევაჯამოთ ეკონომიკური ანთროპოლოგის ჩვენგული ხედვა. „ეკონომიკური ადამიანის“ ტრადიციული ხედვა სცილდება ჯონ როულსის კანტიანური კონსტრუქტივიზმის ჩარჩოებს, რომელიც წარმოდგენილია ეგოისტური და იზოლირებული ლიბერალი ინდივიდის საზოგადოებრივი კრიტიკით, ინდივიდის, რომელიც ეძიებს საერთო სიკეთეს სხვა ადამიანთა შორის საზოგადოებაში. პოლიტიკური პერსპექტივა მხარდაჭერილია ლევინასის ეთიკური ანთროპოლოგიით, რომელიც ეკონომიკურ მოქმედებას განიხილავს მეორეხარისხოვნად ფუნდამენტურ ჰუმანურ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში, როგორც ჰუმანურ მოქმედებათა ფარული განზრახვების გამოქვამებას. ეს განზრახვები ნიშნავს, რომ ეკონომიკური მოქმედება დანერგილია ფართო სოციალურ სტრუქტურაში და შეუძლებელია ეკონომიკური რაციონალურობის ეთიკური და პოლიტიკური რაციონალურობისგან განცალკევება.

პოლიტიკური სამართლიანობის ეს პერსპექტივა საზოგადოებაში და ეთიკური საზრუნავი ადამიანისთვის, როგორც პიროვნების არსებობის ყველაზე უფრო ფუნდამენტური პირობა, უნდა ასახავდეს იდეას, რომელიც ეკონომიკას წარმოაჩენს, როგორც პოლიტიკასა და ეთიკაზე დამოკიდებულს. ეკონომიკის ონტოლოგია შეუძლებელია გაგებულ იქნეს, როგორც სრული და ყოვლისმომცველი, მიუხედავად ამისა, ეკონომიკური რაციონალურობა არის მეორეხარისხოვანი პოლიტიკურ და ეთიკურ ურთიერთობებთან მიმართებაში. ამ თვალსაზრისით, ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღება უნდა ხასიათდებოდეს გარე რესტრიქციებით პოლიტიკური სამართლიანობის წესებში და ეთიკური პრინციპებით, რომლებიც დაეფუძნება ადამიანის არსებობის ფუნდამენტურ პრინციპებს. ეკონომიკური საფუძველი წარმოდგენილია უნივერსალური მორალური წესების, ეთიკური იდეების, სამართლიანობის ძიებით პოლიტიკურ ერთობასა და კეთილდღეობაში.

ლევინასის ფილოსოფიაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის პასუხისმგებლობა აპირობებს ეკონომიკური მოქმედების ლეგიტიმურობას. გარდა ამისა, პოლიტიკური ერთობის იდეალთაგან მიმოხილული პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ ფარული ურთიერთობა სხვასთან, არამედ დროსა და სივრცეში ის ასევე უნდა იყოს განვრცობილი, როგორც საზოგადოების ერთი მთლიანობა. ეს გერმანელი ფილოსოფოსის ჰანს იონასის არგუმენტია, რომელიც ასაბუთებს, რომ პასუხისმგებლობა შეეხება არა მხოლოდ ახლანდელ ადამიანურ მოქმედებას, ჰუმანურ აქტივობებს, არამედ ის გლობალურად, ყოვლისმომცველად უნდა იქნეს განვრცობილი დროსა და სივრცეში და მოიცავდეს კაცობრიობის მომავალსაც⁸.

ეთიკისა და პოლიტიკის ამგვარი ინტეგრაცია ეკონომიკურ რაციონალურობაში არ არის ფასის გარეშე, რადგან ძირითადი ეკონომიკური აზრი განიხილება როგორც რელატიური ეთიკურ პრინციპებთან⁹. ეფექტიანობის, უტილიტარობის, წარმოების, მოთხოვნის, მოხმარების, საქონლისა და საკუთრების დაგროვების ცნებები მიიჩნევა არა მხოლოდ შინაგან, არამედ ძალაში მყოფ ფასეულობებზე იქამდე, ვიდრე ისინი არ არღვევენ ძირითად ეთიკურ პრინციპებს და ვიდრე შესწევთ უნარი, წვლილი შეიტანონ პოლიტიკური ერთობის საერთო სიკეთეში. ეკონომიკურ მოქმედებათა ეთიკური და პოლიტიკური ლიმიტაციები გვთავაზობს წესებისა და უფლებების სისტემას, როგორც ეკონომიკური მოქმედების სოციალური რეგულაციის საფუძველს.

ჩვენ შეგვიძლია მხარდაჭერაც კი ვპოვოთ ეკონომიკურ მოქმედებათა ამგვარი კრიტიკული შეზღუდვების მხრივ ინსტიტუციური კონცეფციის ფარგლებში, რაც ეჭვქვეშ აყენებს ნეოკლასიკური ეკონომიკური აზრის რამდენიმე ცენტრალურ პრინციპს¹⁰. კერძოდ, ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ბიპეიერისტული პარადიგმა სვამს კითხვას ეკონომიკური რაციონალურობის ნეოკლასიკური კონცეფციის სანდოობის შესახებ. ორგანიზაციის თეორიის ეს მიდგომები ამტკიცებს, რომ ეკონომიკური ადამიანის იდეალი, როგორც რაციონალური, ეგოისტი მაქსიმიზატორი აქტიორი, არ შეესაბამება კორპორაციული მოქმედებისა თუ ფირმის იდეის რეალობას. სიმონი და მერნი 1958 წელს აცხადებდნენ, რომ მოგების მაქსიმიზაციის კონცეპტით შეუძლებელია აიხსნას თუ როგორ იმოქმედებენ ინდივიდები ყოველდღიურ ეკონომიკურ ყოფაში. მათი აზრით, ეკონომიკური აქტიორები არიან არა რაციონალური საკუთარ ქმედებებში, არამედ მათი მოქმედება დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვა პირთა ინტერესებზე, უპირატესობებსა და საკუთრების უფლებებზე. ფირმა არ წარმოადგენს წარმოების რაციონალურ იერარქიულ მანქანას, არამედ ის განხილული უნდა იქნეს, როგორც ინტერაქციულ ინდივიდთა ღია პოლიტიკური სისტემა კომპლექსურ გარემოში¹¹.

ეკონომიკური მოქმედების ამ ხედვას უსათუოდ როდი შემოაქვს ეთიკასა და პოლიტიკაში ეკონომიკის საფუძველების ნორმატიული თეორია, არამედ ის გულისხმობს, რომ ეკონომიკური სისტემები შეუძლებელია განიხილოს, როგორც რაციონალურობის ეფექტიანობის დახურული სისტემები. ორგანიზაცია გაცილებით უფრო რთული ინსტიტუციაა, რადგან ის წარმოადგენს სოციალურ სისტემას ორმხრივად ურთიერთდამოკიდებულ აქტიორებთან მიმართებაში, რომლებიც მოქმედებენ ორგანიზაციის მიზნების თანახმად, მოტივაციის სტრუქტურის საფუძველზე.

ორგანიზაციების, როგორც „პოლიტიკური კოალიციების“, მხედველობაში მიღებით მერნმა და კიერტმა 1962 წელს განავითარეს ეკონომიკური ბაზრების და ფირმების, როგორც „შავი ყუთების“ ნეოკლასიკური კონცეფციის კრიტიკა, განსაზღვრული სრულყოფილი ეკონომიკური რაციონალურობით¹², რომელთა აზრით, ფირმაში არსებულ არასრულყოფილ ცოდნასა და აშკარა სირთულეებზე აქცენტრება ორგანიზაციებს სრულად ამყოფებს წინააღმდეგობაში რაციონალურ სისტემებთან, როგორც ადაპტურ რაციონალურ სისტემებთან, სადაც იდეალური ეკონომიკური რაციონალურობა განიხილება განსაკუთრებულ გადაწყვეტილებებსა და გადაწყვეტილების მიღების მასშტაბებზე დამოკიდებულად.

ორგანიზაციული თეორიის ეს ხედვა მოგვიანებით აღწერა ჰერბერტ სიმონმა „პროცედურული რაციონალურობის“ სახით, რომელიც ფაქტობრივი გადაწყვეტილების მიღებას მიიხსენივდა „დასაზღვრულ რაციონალურობაზე“ დამოკიდებულად იმ აზრით, რომ ალტერნატივები არის შეზღუდული, აბსოლუტური ცოდნა ზოგადად და პიროვნების მომავალ პრეფერენციებზე კონკრეტულად – შეუძლებელი¹³. ჯეიმს მერნი ამტკიცებს, რომ ნეოკლასიკური „შედგენის ლოგიკა“ უნდა შეიცვალოს „მიზანშეწონილობის ლოგიკით“, როგორც ეკონომიკური მოქმედების წინაპირობა. დასაზღვრული რაციონალურობა ნიშნავს, რომ შეუძლებელია ფუნქციონირება ეკონომიკის ეგზოგენური და ინდიგენური ასპექტების მკაცრი სეპარაციისას. შიდა ეკონომიკური რაციონალურობა გავლენას განიცდის გარე სოციალური ფასეულობებითა და პირობებით.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ორგანიზაციის თეორიის ევოლუცია მხარს უჭერს ეკონომიკური რაციონალურობის გარე ეთიკურ და პოლიტიკურ შეზღუდვათა იდეას, როცა სიმონი ამტკიცებს, რომ ნეოკლასიკური ეკონომიკური რაციონალურობის სუბსტანცია იცვლება „ორგანიზაციებში პროცედურული რაციონალურობით“, როგორც „ადაპტური, პოლიტიკური კოალიციები“. ეს აჩვენებს თუ როგორ არ შეუძლია ეთიკასა და სხვა ფასეულობებს ვიდრე ეკონომიკურ ფასეულობებს, ორგანიზაციული გადაწყვეტილების მიღების გავლენის თავიდან აცილება. ამგვარად, ორგანიზაციული თეორია და ინსტიტუციური პარადიგმა ეკონომიკაში დესკრიფციული არგუმენტების შეთავაზებით ხელს უწყობს ეთიკასა და ეკონომიკის შორის მჭიდრო ურთიერთობის არსებობას¹⁴. ამ აზრით, ეკონომიკური სტაბილურობა და კონკურენტული წონასწორობა დამოკიდებულია ინსტიტუციებსა და ინსტიტუციურ ზომებზე. ეს ზომები არ შეიძლება გამორიცხავდეს ეთიკურ ფასეულობებსა და პოლიტიკურ საფუძვლებს, რომლებიც პოლიტიკური კოალიციის ფორმით ხდებიან დასაზღვრული და პროცედურული რაციონალურობის ნაწილი ფირმებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. François-Regis Mahieu, *Ethique économique, fondements anthropologiques*, Paris, p.299, 2001
2. Amartya Etzioni, *The Moral Dimension. Towards a New Economics*, New York: Collier Macmillan, 1988.
3. იხ. წყარო 1. p.164
4. Axelrod, R. *The Evolution of Cooperation*, New York: Basic Books, 1984.
5. John Rawls, *A Theory of Justice*, Cambridge, MA: Oxford University Press, 1971.
6. Michael Sandel, *Liberalism and the Limits of Justice*, Cambridge, MA: Oxford University Press, 1982.
7. Emmanuel Lévinas, *Totalité et infini, Essai sur l'extériorité*, martinusnijhoff publishers: The Hague, The Netherlands. 1961
8. Hans Jonas, *Das Prinzip Verantwortung*, Frankfurt am Main: Insel Verlag, 1979
9. იხ. წყარო 1, p. 168
10. Walter W. Powell and Paul J. DiMaggio, *The New Institutionalism in Organizational Analysis*, Chicago, IL: The University of Chicago Press. 1991
11. March, J.G. and Simon, H.A., *Organizations*. New York: Wiley. 1958, p.118
12. Cyert, R.B. and March, J.G., *A Behavioral Theory of the Firm*. Prentice-Hall International Series in Management and Behavioral Sciences in Business Series. Englewood Cliffs, NJ: prentice-Hall. New Jersey, 1963, p. 124.
13. Herbert Simon, *Organizations and Markets*, *Journal of Public Administration Research and Theory* Published by: Oxford University Press: J-PART, Vol.5. No.3 (Jul, 1995), pp.159, 273-294.
14. Powell and DiMaggio, *The New Institutionalism in Organizational Analysis*, University of Chicago Press, 1991.

Vasil Khizanishvili

ETHICAL AND POLITICAL ASPECTS OF THE ECONOMICAL ANTHROPOLOGY

Annotation

The key moment of the economical anthropology represents the tension existing between the two poles – egoism and altruism of a human as of a social-economic representative, where ethical and political aspects have the most important role in terms of determination of conduct, because of, human's economic activity is introduced in wide social structure and is unavailable separation of economics rationality from ethical and political rationality. Moreover, the ethical and political limitation of economic activities offer us the rules and systems of the rights, as the social regulation basics of economic activities.

მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სექცია

რატი აბულაძე

ციფრული პოლიტიკის მსოფლიო პრაქტიკა

თანამედროვე მსოფლიოში უკანასკნელმა კრიზისებმა და გამოწვევებმა წარმოაჩინა საფინანსო, გლობალური სასურსათო და ენერგეტიკული სექტორის სისუსტეები. ასევე არაეფექტური და სუსტი მმართველობა, სოციალური ჯგუფების დაცვისა და მოსახლეობის არახელსაყრელ პირობებში ყოფნის ხარისხი.

კომპლექსური სოციალური პრობლემები (უთანასწორობა, დაბერება, ტელეკომუნიკაციის ხელმისაწვდომობა, გენდერული უთანასწორობა, კულტურული ცვლილებები, აღზრდისა და განათლების სისტემა), ახალგაზრდებისათვის მართებული სამუშაო ადგილების არარსებობა, პერმანენტული განვითარების პირობების არქონა, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევები აჩვენებს კომპლექსური, მდგრადი განვითარების სფეროს საჭიროებას.

ზემოაღნიშნული გამოწვევებისა და ბარიერების ფონზე სახელმწიფო სექტორებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა მომსახურების წარდგენის ეფექტური გზების ძიება. ამ გამოწვევების პასუხს წარმოადგენს ციფროვიზაციის პროცესი, მდგრადი განვითარების სფერო, სახელმწიფო მომსახურების წარდგენის ეფექტური და მოქმედი გზა.

90-იანი წლების შემდგომ მსოფლიომ აითვისა განვითარების კომპლექსური და ყოველმხრივი მდგრადი ტექნოლოგიები, კერძოდ ICT-ისა და ფართოზოლოვანი ტექნოლოგიები, რომლის საფუძველზეც ბოლო ათწლეულში დაიწყო პროცესების ციფროვიზაცია.

ტექნოლოგიური მიღწევების ფონზე ციფროვიზაციის პროცესმა აამაღლა ცხოვრების პირობები, გაზარდა დამოუკიდებლობის ხარისხი, რადიკალურად შეცვალა კომუნიკაციის არხები, გამოიწვია ახალი შესაძლებლობების აქტივიზება, გახდა სოციალური მომსახურების მიღებისა და ცხოვრების მართვის ეფექტური ინსტრუმენტი.

ციფროვიზებული გარემო შეიძლება განვიხილოთ მსოფლიოს მდგრადობის ხელშეწყობი საშუალება. პროგრესის, პოლიტიკისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პლატფორმა [1].

უმრავლეს სახელმწიფოში ციფროვიზაციის პროცესი და ციფრული კომუნიკაციის ინფრასტრუქტურის განთავსება სახელმწიფოსთან ერთად რეალიზდა კერძო სექტორის მეშვეობით. სახელმწიფოს წამყვანი როლი წარმოდგენილია სტაბილური ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზით, ინვესტიციების სტიმულირებით, ბაზარზე სხვადასხვა სუბიექტებს შორის თანაბარი პირობების შექმნით, ადეკვატური სპექტრის პოლიტიკის შექმნით, გრძელვადიანი და მდგრადი კონკურენციის უზრუნველყოფით, ე-მთავრობის პროგრამებით, ციფრული წიგნიერების ინიციატივებით, მოქალაქეების მიერ საჯარო მართვაში ჩართულობის პირობების შექმნით.

დღეს სახელმწიფოები ციფრული განვითარების სტრატეგიის პოლიტიკის შემუშავებით ცდილობენ დააჩქარონ ადმინისტრაციული მართვის, ჯანდაცვის, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სფეროების ტრანსფორმაციის პროცესი.

ციფროვიზაციის პროცესის სტრატეგიული დაგეგმვის ორიენტირია ელექტრონული მთავრობის მზადყოფნისათვის საჭირო კომპონენტების, კრიტერიუმების დაკმაყოფილება, გამჭვირვალება, დემოკრატიული, ანგარიშგაღებულიანი ელექტრონული მართვის სისტემის ჩამოყალიბება და შექმნა.

განვითარებულ ქვეყნებში ციფროვიზაციის სტრატეგია მიმართულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური და პოლიტიკური პირობების გაუმჯობესებისკენ. ძირითადად, სტრატეგიული დაგეგმვის პოლიტიკის პრიორიტეტები მოიცავს ადვილად მოხმარებად და ხელმისაწვდომ სახელმწიფო ელექტრონულ მომსახურებას, ინფრასტრუქტურის შექმნასა და წვდომას; მოსახლეობის კომპიუტერიზაციასა და ინტერნეტიზაციას, აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების სიმარტივეს; განცალკევებულ კონტექსტსა და ინფორმაციასთან შეუზღუდავ დაშვებას; კონფიდენციალობასა და უსაფრთხოებას.

ციფროვიზაციის პროცესი სტრატეგიულად აძლიერებს მაკროეკონომიკურ გარემოს, ადგილობრივ მწარმოებელთა ჯგუფებისა და ფირმების ქცევას ქვეყნის ნაციონალური კონკურენტუნარიანობის პირობებში [1].

ციფრული ეკონომიკა იზრდება 7-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე რომელიმე მიმართულება. ამიტომ, ევროპის ციფრული პროგრამა (The Digital Agenda for Europe - DAE), როგორც ევროკავშირის სწრაფი მდგრადობისა და ინკლუზიური განვითარების სტრატეგია, ეხმარება ევროპის მოქალაქეებსა და ბიზნესორგანიზაციებს მაქსიმალური სარგებლის მიღებაში [1].

მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის (Digital Agenda Observatory of the Milan Polytechnical University) ლაბორატორიის კვლევები ადასტურებს, რომ ციფროვიზაციის პროცესებით მიიღწევა 20 მლრდ ევროს ეკონომია და 5 მლრდ დოლარის დამატებითი შემოსავალი). ამავე კვლევის თანახმად, სახელმწიფოს ციფროვიზაციის პროცესით პოტენციური ეკონომია აღწევს 7.5 მლრდ ევროს წელიწადში (ძირითადი პოსტულატია: მომსახურების ყველა პროცესის ციფროვიზაცია, რაციონალიზაცია, მონაცემთა ბაზების თავსებადობა, ონლაინში მომსახურების წარდგენა) [1].

I-Comp ინსტიტუტის კვლევის თანახმად, სამომხმარებლო მომსახურების ეკონომია ფასდება 4-დან 14 მლრდ ევრომდე. ცვლილების დიაპაზონი განპირობებულია არსებული თუ არაეფექტური რეორგანიზაციით, რომელიც სამთავრობო პროცესების ციფროვიზების თანმდევი [4].

მაშინ, როდესაც ქვეყანას არ აქვს პროგრესის მიღწევის გეგმა, ციფროვიზაციის პროცესი შეიძლება იყოს რთული ან ნელი ამოცანა. ქვეყნები, რომლებიც ციფრული განვითარების გეგმით მოქმედებენ, 2,5%-ით მეტ სარგებელს იღებენ, ვიდრე გეგმების არმქონე ქვეყნები [1].

ზემოაღნიშნული ქვეყნებისათვის ციფრული ქვეყნის ეროვნული სტრატეგია არის ნაციონალური ელექტრონული განვითარების სტრატეგია, ელექტრონული მართვის სისტემის რეალიზებისა და მისი ინფრასტრუქტურის ხელშეწყობის გეგმა. აღნიშნული სტრატეგიით იზრდება ციფროვიზაციის პროცესების მკაფიო აღქმა, შესაძლებლობები, კონტრასტი და ქმედებები. ასევე, მას განიხილავენ, როგორც მიზნობრივი მიმართულებით შემუშავებულ საგეგმო დოკუმენტს, სასიცოცხლო მნიშვნელობის სახელმძღვანელო პოლიტიკასა და განვითარებული ქვეყნების პრიორიტეტულ მიმართულებას [2].

ზოგადად, თანამედროვე სამყაროში აქტიურად მიმდინარე დემოკრატიზაციის, მდგრადი განვითარებისა და ძალაუფლების გადანაწილების პროცესი აქტიურად ხორციელდება ნაციონალური ციფრული განვითარების სტრატეგიის ფონზე.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უმრავლესი ქვეყნების ნაციონალური სტრატეგიის ფლაგმანს წარმოადგენს ციფრული განვითარების სტრატეგია.

ჯერ კიდევ 2006 წლამდე ქვეყნების მიერ წარდგენილი სტრატეგიული გეგმების უმრავლესობა ფოკუსირებული იყო ინფორმაციული საზოგადოების საკითხებზე, ხოლო 2008 წლიდან წინა პლანზე გამოვიდა ფართოზოლოვანი კომუნიკაცია. ბოლო წლებში ადგილი აქვს ციფროვიზაციის პოლიტიკის პოპულარობასა და ციფრულ სტრატეგიაზე გადასვლას. 2013 წელს 134 ქვეყნის 69,4%-ს ჰქონდა ციფროვიზაციის პროცესის წინსვლის მოქმედი ნაციონალური სტრატეგია (ან გეგმა ან პოლიტიკა), 12 ქვეყანა (6,2%) გეგმავდა სტრატეგიული დაგეგმვის პოლიტიკის გატარებას, ხოლო 47 ქვეყანა (24,4%) არ ფლობდა და არც გეგმავდა დაგეგმვასა და გათვლას [5].

ცხრილი

ნაციონალური ციფრული განვითარებისა და ფართოზოლოვანი სტრატეგიის მქონე ქვეყნები

ქვეყანა / ორგანიზაცია	პოლიტიკის მიღების წელი	სათაური/ დეტალები
სომხეთი	2008	სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის ბრძანება №35 ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სექტორის განვითარების კონცეპტუალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.
ავსტრალია	2010	ნაციონალური ფართოზოლოვანი ქსელი
ავსტრია	2010	ფართოზოლოვანი ავსტრია - Breitband strategie 2020
ბელარუსი	2011	ICT-ის ნაციონალური სტრატეგია
ბელგია	2009	ბელგია: ევროპის ციფრული გული
ბრაზილია	2010	ნაციონალური ფართოზოლოვანი გეგმა (Plano Nacional de Banda Larga -PNBL)
ბულგარეთი	2009	ბულგარეთის რესპუბლიკის ფართოზოლოვანი კომუნიკაციის განვითარების ნაციონალური სტრატეგია
ჰონკონგი, ჩინეთი	2008	ციფრული სტრატეგია 2008
დანია	2010	მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის სამინისტროს ციფრული მოქმედების გეგმა
ფინეთი	2005	ფართოზოლოვანის 2015 პროექტი, Kainuu-ს ინფორმაციული საზოგადოების სტრატეგია 2007-2015
საფრანგეთი	2010	ნაციონალური სწრაფსინქრონიზაციის ფართოზოლოვანის გეგმა
გერმანია	2009	ფედერალური მთავრობის ფართოზოლოვანი სტრატეგია
საბერძნეთი	2006	ციფრული სტრატეგია 2006-2013
უნგრეთი	2010	ციფრული აღორძინების მოქმედების გეგმა
ისლანდია	2005	ტელეკომის პოლიტიკური გეგმა 2005-2010
ინდოეთი	2011	ნაციონალური ოპტიკურბოჭკოვანი ქსელი
ისრაელი	2012	საკომუნიკაციო ინიციატივა: ბოჭკოვანზე დაფუძნებული ნაციონალური ფართოზოლოვანი ქსელი
იტალია	2010	ციფრული იტალიის გეგმა „Italia Digitale“
იაპონია	2010	ახალი ფართოზოლოვანი სუპერმაგისტრალი (Haraguchi vision II)
ლატვია	2005	ფართოზოლოვანი განვითარების სტრატეგია 2006-2012
ლიტვა	2005	ლიტვის ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია 2005-2010
მოდლოვა	2010	ფართოზოლოვანი ინტერნეტწვდომის განვითარების დადგენილება 2010-2013 წწ.
ნიდერლანდები	2010	ციფრული პროგრამა
ახალი ზელანდია	2010	ულტრასწრაფი ფართოზოლოვანი ინიციატივა, სწრაფი ფართოზოლოვანი კომუნიკაციისათვის ხუთპუნქტიანი მოქმედების გეგმა
პოლონეთი	2010	სატელეკომუნიკაციო მომსახურებისა და ქსელების განვითარების მხარდაჭერი აქტი
პორტუგალია	2010	ციფრული პროგრამა 2015 (2010-2015)
რუმინეთი	2007	რუმინეთის ელექტრონული კომუნიკაციის სექტორის რეგულირების სტრატეგია 2007-2010
რუსეთის ფედერაცია	2010	ინფორმაციული საზოგადოების სტრატეგია/ინფორმაციული საზოგადოების პროგრამა
ესპანეთი	2010	გეგმა Avanza, 2005. დამტკიცდა 16.07.2010

თურქეთი	2006	ინფორმაციული საზოგადოების სტრატეგია 2006-2010, განვითარების გეგმა 2007-2013
დიდი ბრიტანეთი	2010	ბრიტანეთის ზესწრაფი ფართოზოლოვანი მომავალი, ბრიტანეთის ფართოზოლოვანით უზრუნველყოფა
ამერიკის შეერთებული შტატები	2010	ამერიკასთან დაკავშირება: ნაციონალური ფართოზოლოვანი გეგმა

წყარო: <http://www.unesco.org>

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (International Telecommunication Union - ITU) წევრი სახელმწიფოებიდან, 2010 წლის აპრილში, 163 ქვეყანას (85.3%) რაღაც დონეზე ჰქონდა შემუშავებული ნაციონალური ელექტრონული სტრატეგია, 13 ქვეყანა (6.8%-ს) სტრატეგიის შემუშავებისა და ათვისების სტადიაზე იყო, 6 ქვეყანას (3.2%) სტრატეგია არ ჰქონდა, ხოლო 9 ქვეყნის (4.7%) სტატუსი ინფორმაციული დაფუძინების გამო გაურკვეველია, კერძოდ [1]:

▪ **ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების** ICT-ს სფეროს სტრატეგია მიმართულია ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე. სტრატეგია მოიცავს ელექტრონული ბიზნესის კანონმდებლობას (როგორცაა ელექტრონული ანგარიშსწორება და აუტენტიფიკაცია). მაშინ, როცა დასავლეთ ევროპისა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის მცირდება ციფრული უთანასწორობა, ფართოვდება ფართოზოლოვანი უთანასწორობა. უთანასწორობის შემცირებისათვის ზოგიერთი ქვეყნის სტრატეგიის რეკომენდაციას წარმოადგენს უმრავლესი მომხმარებლისათვის ფართოზოლოვანი ინტერნეტისა და მობილური ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა. ასევე, ბევრი ქვეყნისათვის შიდა ციფრული უთანასწორობის დაძლევისათვის მნიშვნელოვანია ციფრული ცოდნის პრობლემის გადაჭრა.

▪ **აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის** ეკონომიკების აქცენტი ICT-ის სფეროში კეთდება რეგულირების სისტემის პოლიტიკაზე, ICT-ის ინფრასტრუქტურის ხელშეწყობაზე, კიბერუსაფრთხოებასა და ლოკალური კონტენტის შექმნასა და კონტროლზე. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის უმრავლესი ქვეყნის ICT-ს პოლიტიკაში ფორმულირებულია გარემოს გახსნილი რეგულირება დამოუკიდებელი ორგანოების მეშვეობით, უნივერსალური მომსახურების პოლიტიკა, კიბერსიფრის რეგულირების წესები (როგორცაა ციფრული უფლებების მართვა, სპამის კონტროლი), ასევე, ICT-ს სფეროს ლიბერალიზაციისა და პრივატიზაციის ხელშეწყობა.

▪ **ლათინური ამერიკისა და კარიბის ქვეყნების** (მათ შორის ბრაზილია და მექსიკა) მიერ შემუშავებულია ICT-ს სფეროს პოლიტიკა. პროცესი სტიმულირდა „ლათინური ამერიკისა და კარიბის რეგიონში ინფორმაციული საზოგადოების რეგიონული მოქმედების გეგმით (the Regional Action Plan for the Information Society in Latin America and the Caribbean (eLAC)), რომელმაც სტარტი აიღო 2005 წელს ECLAC-ის (ECLAC - Economic Commission for Latin America and the Caribbean) კომისიის კოორდინაციით. ICT-ს სფეროს სტრატეგია მოიცავდა ინფრასტრუქტურას, ე-მთავრობასა და განათლებას;

▪ **კარიბის რეგიონს** შეუძლია გახდეს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომსახურების პოსტინდუსტრიის, აუტოსორსინგისა და მიწოდების ცენტრი“ ჩრდილოეთ, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკისათვის.

▪ **აფრიკა წარმოადგენს** კონტინენტს, სადაც დაბალია ICT-ის შეღწევის დონე და ICT-ის სფეროს სტრატეგიის შემუშავების ტემპები. 2003 წელს აფრიკის რეგიონის მხოლოდ 17 ქვეყანას ჰქონდა ICT-ის სტრატეგია. ახლა აფრიკული ქვეყნების 90%, ICT-ს მიიხედავს ნაციონალურ პრიორიტეტად. ICT-ის სფეროს არსებული პოლიტიკა ხასიათდება ინფრასტრუქტურის არარსებობის პრობლემების გადაჭრით, ცუდი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის არსებობითა და დაფინანსების მექანიზმების არარსებობით. აფრიკის უმრავლესი ქვეყანა ხელს უწყობს პრივატიზაციას, ხოლო თავის პოლიტიკით მიმართულია დასაქმების ზრდით სიღარიბის შემცირებისაკენ.

▪ **არაბული ქვეყნები** აჩვენებს ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ევოლუციის სხვადასხვა ეტაპს. მაშინ, როცა ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე გაატარა საზოგადოების ტრანსფორმაციის ღონისძიებები, სხვებმა ახლა გადადგეს პირველი ნაბიჯები ან კვლავინდებურად ინფრასტრუქტურის არარსებობის პრობლემების წინაშე არიან. თუმცა, ყველა არაბულ ქვეყანას აქვს შემუშავებული ICT-ს სფეროს სტრატეგია ან მზად არიან, შეიმუშაონ შესაბამისი პროექტები;

▪ საქართველო ერთ-ერთი უთანასწორო სახელმწიფოა. ქვეყანაში მოსახლეობის 35.6%-ის სიღარიბის მაჩვენებელი დღიურად 2 დოლარს შეადგენს (2010). უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს ბავშვების 9.4%, მოსახლეობის 40%-ს სურს საარსებო შემწეობის (60 ლარის) მიღება, მათგან ფაქტობრივად იღებს 10 % (2013). პენსიონერების რაოდენობა 15%-ს შეადგენს, ხოლო საპენსიო ხარჯები – დაახლოებით 1 მილიარდ ლარს. ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობის დონე 15%-ია, საერთაშორისო კვლევით 27.7% (Economist Intelligence Unit-სა და Johns Hopkins University-ის კვლევა), სადაც დასაქმებულთა 2/3 თვითდასაქმებულია (1.724 ათასი კაცი), ძირითადად სოფლის მეურნეობაში [1].

90-იანი წლების ბოლოდან ქვეყანაში ნელი და დაბალი ბიუჯეტირების ფონზე ხდება ციფროვიზაციის პროცესების დანერგვა, ელექტრონული მთავრობის სისტემისა და იმპლემენტაციის ხელშეწყობი გარემოს ფორმირება.

ქვეყანაში ციფროვიზაციის ტემპების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ გვაქვს ნაციონალური ციფრული განვითარების სტრატეგია. 2012 წლის შემდგომ ქვეყანაში შემუშავდა სხვადასხვა სტრატეგიული გეგმები, თუმცა ისინი წარმოდგენილია, როგორც ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის დამატება.

საქართველოში, ელექტრონული მთავრობის პროცესების შესწავლის მიზნით, 2014 წლის 24 თებერვლიდან – 20 მარტის ჩათვლით ჩატარდა მარკეტინგული კვლევა. გამოკითხულ იქნა თბილისის, იმერეთის, აჭარის, კახეთის რეგიონის მიზნობრივი ჯგუფის 1600 რესპონდენტი. გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის პირისპირ ინტერვიუს მეთოდი და ინტერნეტგამოკითხვა სპეციალური ინტერნეტპროგრამით – “Google Drive”. სამიზნე აუდიტორია იყო 18 წელზე ზევით ასაკის ინტერნეტ-მომხმარებელი.

კითხვარის მეშვეობით შესწავლილ იქნა: ელექტრონული მთავრობის მომსახურებისადმი მოქალაქეების სანდოობის დონე, სისტემის ხელმისაწვდომობა, გამოყენების მოტივები, სარგებელი, მოლოდინი; სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები; მოქალაქეთა ინტერნეტკულტურა, ინტერესები და გათვითცნობიერების დონე; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის განვითარების, დანერგვისა და გავრცელების გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; ციფრული უთანასწორობის დონე.

კვლევისას გამოვლინდა, რომ მოსახლეობის ნახევარი – 50.1% დადებითად აფასებს საქართველოს პრეზიდენტის ვებ-საიტის მომსახურების დონეს, 51.4% ენდობა საქართველოს მთავრობის ვებ-საიტის მომსახურებას, საკანონმდებლო ორგანოს web-საიტის მომსახურებისადმი ნდობა აქვს რესპონდენტთა 49.9%-ს. შედარებით დაბალია ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების ვებ-საიტების მომსახურებისადმი ნდობა (40%-ზე დაბლა).

ინტერნეტმომხმარებელთა მესამედმა (30%-მდე) აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონებს შორის ციფრულ უთანასწორობას განაპირობებს განათლება და ინტერნეტ-წიგნიერება, სოციალურ-ეკონომიკური ფონი და ინტერნეტის ხარისხი (სინქარე).

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილეთა პირთა ნახევარი (48.5%) ვერ აფასებს ელექტრონული მთავრობის დანერგვის ძირითად სამოქმედო გეგმებს, სტრატეგიასა და პოლიტიკას. ეს კი განპირობებულია იმით, რომ ზოგადად საზოგადოება არ იცნობს ქართული სტრატეგიების პრაქტიკას, მიუხედავად კონკრეტული მიმართულებების (დარგის) ზრდისა და განვითარების გეგმების, განვითარების ფაზების ცოდნას. ქართული რეალობისათვის შორსაა ქვეყნის პრიორიტეტული სფეროების განვითარების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გატარება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული საზოგადოება ციფრული, **ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ლოკალიზებისა და პერმეტულობისათვის ითხოვს პოლიტიკურ და სტრატეგიულ მიდგომებს, ციფრული ეკონომიკის განვითარების პროგრამებს, ელექტრონული მთავრობის განვითარების კომპლექსურ მიდგომას.**

კვლევები ადასტურებს, რომ ქვეყანას ნაციონალური ციფრული გარემოს განვითარების ფონზე სჭირდება ელექტრონული განვითარების მარკეტინგული სტრატეგია, ელექტრონული მთავრობისადმი ყოვლისმომცველი და კომპლექსური მიდგომა, ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, სოციალური თანასწორობის სტიმულირება და ისეთ სტრატეგიულ მიმართულებებზე ფოკუსირება, რომელსაც გლობალური მასშტაბით კონკურენციის შესაძლებლობა ექნება.

საქართველოს ნაციონალური ციფრული გარემოს განვითარების ძირითადი მიზანი განვითარებული ელექტრონული მთავრობის ჩამოყალიბება უნდა იყოს, ხოლო მისი ფუნდამენტური პრინციპები უნდა მოიცავდეს: უნივერსალურობას (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, შემოსავლების და განათლების დონის მიუხედავად, ყველა მოქალაქისათვის ელექტრონული მთავრობის მომსახურების თანაბრად მისაწვდომობას), პარმონიზაციას, თანამშრომლობას, ერთიანობას; ანგარიშგაღებულებას, პასუხისმგებლობას; გამჭვირვალობასა და მართვაში ჩართულობას.

საქართველოს ციფრული განვითარების სტრატეგია უნდა შედგებოდეს შემდეგი ძირითადი ფაზებისაგან:

- **პირველი ფაზა:** მოსახლეობის სრული კომპიუტერიზაცია, ინტერნეტიზაცია და ცოდნის დონის ამაღლება;

- **მეორე ფაზა:** საქართველოს ერთიანი გლობალური პლატფორმის შემუშავება, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონის, ადამიანურულ და საკანონმდებლო ორგანოების, მოქალაქეების, ბიზნესსექტორის, სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყების ერთიან სივრცეს მოიცავს.

- **მესამე ფაზა:** სახელმწიფოს ელექტრონული მომსახურების უნივერსალური მისაწვდომობა. კიბერუსაფრთხოებისა და განვითარების სწორი ვექტორის განსაზღვრისათვის ინტერნეტგარემოს საზოგადოებრივი (კორპორაციულ და სახელმწიფო სექტორთან თანამშრომლობით) მონიტორინგი;

- **მეოთხე ფაზა:** განვითარებული ელექტრონული მთავრობა (ერთიანი, ინტეგრირებული მთავრობა). ქვეყანაში იწერება სტრატეგიები, რომელიც მუშავდება უცხოელების მიერ, ეს სტრატეგიები მიზანშეწონილია შემუშავდეს ქართველ მეცნიერ-მკვლევართა მიერ, რათა ფოკუსირებული გახდეს ის ადგილობრივ შესაძლებლობებზე, რესურსებზე, მოთხოვნებსა და წეს-ჩვეულებებზე. ამით თავიდან იქნება აცილებული სტრატეგიის აპრიორული ცოდნის მიდგომა და ექნება აპოსტერიორი მტკიცებულება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Broadband Commission. Broadband and Sustainable Development. Why Broadband Should be Prioritized in the POST-2015 AGENDA. Report on the Special Session of the UN Broadband Commission for Digital Development. At the Annual Meeting of The World Economic Forum, Davos, 24 January 2014.

2. აბულაძე რ. ელექტრონული მთავრობა. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013.

3. <http://ec.europa.eu/digital-agenda/digital-agenda-europe>
4. Pasquale Ferro, Carlo Maria Arpaia, Raffaele Doronzo. Questioni di Economia e Finanza (Occasional papers). Innovation and government payments in the Italian digital agenda. Printed by the Printing and Publishing Division of the Bank of Italy . Number 169 – June 2013. www.bancaditalia.it
5. Broadband Commission for Digital Development. A Report by the Broadband Commission. The State of Broadband 2013: Universalizing Broadband. Printed in Switzerland, Geneva, September 2013. www.broadbandcommission.org
6. National e-Strategies for Development Global Status and Perspectives 2010. International Telecommunication Union (ITU), Geneva. 2011. www.itu.int/ITU-D/cyb/app/docs/National_estrategies_for_development_2010.pdf
7. საქართველოს მთავრობა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020. პროექტი. ნოემბერი, 2013

Rati Abuladze

**WORLD PRACTICE OF DIGITAL POLICY
Annotation**

In the article there is mentioned the process of digitalization and the world practice of digital development.

There are reviewed the strategic directions of the regions and world policy, priority trends of national electronic development. There is shown the value of strategy of digitalization for the purpose of improving the social and economy, technological and political conditions of the country.

On the basis of conducted research, there is analyzed the process of digitalization of Georgia, as well as the attitude of the Georgian respondents towards the processes of E-government of Georgia.

There is shown the necessity of marketing strategy for complex attitude of the development of E-government.

In face of conclusion there are formed the principal attitudes of digital development of Georgia.

*ნუნუ აჩუაშვილი
ინგა ფრანგიშვილი*

ეკონომიკის გლობალური პრობლემები და მისი გავლენა საქართველოს შრომის ბაზარზე

გლობალური ეკონომიკური პრობლემები გავლენას ახდენს ცხოვრების ყველა სფეროზე განურჩევლად მსოფლიოს ქვეყნებისა. მისი შედეგები, რომელშიც შედის კრიზისული გამოვლინებები როგორც ეკონომიკაში, ასევე ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროში, შეიძლება იყოს უკიდურესად კატასტროფული. ყველა გლობალური პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და გავლენას ახდენს ეკონომიკაზე.

ეკონომიკის ძირითადი პრობლემები იმყოფება აბსოლუტურად შეუსაბამობაში ჩვენს სურვილებთან, მოთხოვნებსა და შესაძლებლობებთან. ეს სიტუაცია აბსოლუტურად იდენტურია როგორც ცარიელი ჯიბის მქონე სტუდენტებისათვის, ასევე ოლიგარქებისა და მთლიანი მასისათვის. იგი ეხება მცირე ფირმებსაც, რომლებიც კრიზისის გამო იმყოფებიან გაკოტრების ზღვარზე და ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომელთა შემოსავალი სცილდება ყველა ზღვარს. ასევე ყველა ქვეყნის ეკონომიკას, მდიდარს თუ ღარიბს.

ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ყველას აქვს სხვადასხვა მოთხოვნები და შესაძლებლობები და პირველი უფრო მეტია ვიდრე მეორე. სურვილები და მოთხოვნები უსაზღვროა, რასაც ვერ ვიტყვით შესაძლებლობებზე. ცხოვრებაში ჩვენი მრავალრიცხოვანი შესაძლებლობებიდან ყოველთვის არ გვეოფნის ხან დრო, ხან ფული და ხან სხვადასხვა რესურსი.

პრობლემური სიტუაციიდან გამოსვლის სწორი გზის მოძებნისათვის აუცილებელია ზუსტად გაანალიზდეს მთელი სისტემა, გამოირკვეს პრობლემის წარმოშობის მიზეზები, რა ადგილს იკავებენ ისინი პრობლემის ევოლუციურ სისტემაში, რომელი მიმართულებით ხდება მათი განვითარება და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეირჩეს პრობლემის სწორი გადაწყვეტის სტრატეგია და იმავდროულად მოხდეს მსოფლიო ეკონომიკის გადაყვანა ახალ ევოლუციურ დონეზე. ამ მიზნის მიღწევა მოითხოვს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

- გაანალიზდეს კაცობრიობის წინაშე მდგარი ძირითადი ეკონომიკური პრობლემები;
- შესწავლილ იქნეს მსოფლიო ეკონომიკის გლობალური პრობლემები;
- პრობლემური სიტუაციის განვითარების პროგნოზი და მისგან თავის დაღწევის ოპტიმალური გზის გამონახვა.

სისტემური და ციკლური გლობალური ეკონომიკური პრობლემების კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჩვენს დროში მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს. მისი განვითარებისა და მისგან გამოსავალის ძიებისას გამოიყო ზოგადსაკაცობრიო და ეკონომიკის გლობალური პრობლემები.

ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს მიეკუთვნება: დემოგრაფიული პრობლემა და სურსათის პრობლემა; ეკოლოგია და ბუნებრივი რესურსების მოპოვება; ენერგეტიკული პრობლემა; შეიარაღებული კონფლიქტები, გამაღებელი შეიარაღება და დემოკრატიის პრობლემა.

დემოგრაფიული პრობლემა – ჩვენი ერის დასაწყისში დედამიწაზე იყო 230 მილიონი ადამიანი. 2009 წლის 1 ივნისის მონაცემებით დედამიწის მოსახლეობამ შეადგინა 6768167712 ადამიანი, ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც სწრაფ გადაწყვეტას მოითხოვს, სურსათის უკმარისობაა. სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკით, მოშიშმიღეთა რიცხვი პლანეტაზე დღეისათვის შეადგენს 500 მილიონ კაცს. შიმშილის პრობლემა ჩვენს დროში მწვავედ დგას და თუ არ იქნება გატარებული რეკონსტრუქციული ღონისძიებები, პრობლემა მხოლოდ გაიძვრება.

ნისიძეები სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის მიმართულებით, მოსახლეობისათვის ის მოიტანს კატასტროფულ შედეგს.

ეკოლოგია და ბუნებრივი რესურსების მოპოვება – ბოლო 2–3 საუკუნეა მიმდინარეობს სასარგებლო წიაღისეულის ინტენსიური მოპოვება და დამუშავება. ირდევია გეოსფეროს ბალანსი. ტოტალური დაბინძურების და გარემოს ქიმიზაციის შედეგად გაიზარდა მიძიე დაავადებების რიცხვი. ეკოლოგიური ფაქტორებისაგან გარდაცვლილთა რიცხვი შეადგენს 40%. ამის გარდა მიმდინარეობს გენეტიკური კოდის მასიური დარღვევა და მუტაციის რიცხვის ამაღლება.

ამ მიმართულებით კაცობრიობამ უნდა განახორციელოს ახალი ტექნოლოგიური კულტურის ფორმირების ამოცანა, რომელიც უნდა იყოს ეკოლოგიური. ახლა უკვე გამოკვეთილია მიმართულებები, რომლითაც აუცილებლად უნდა ვიმოდროთ ახალ ტექნოლოგიურ მომავალში, ესენია:

- უდანაკარგო წარმოების განვითარება;
- ბიოლოგიური ტექნოლოგიების და გენური ინჟინერიის განვითარება;
- მოწინავე ტექნოლოგიების განვითარება.

ენერგეტიკული პრობლემა – მრავალი გლობალური პრობლემა, როგორც ზოგადსაკაცობრიო და ასევე ეკონომიკური, მჭიდროდ დაკავშირებულია ენერგეტიკასთან. ესაა ენერგომატარებლების ამოწურვა და ეკოლოგიაზე დატვირთვა. აგრეთვე ეკონომიკის ზოგიერთი ინოვაციური დარგის ენერგოტექნოლოგია. უკანასკნელი 30–40 წლის განმავლობაში მუდმივად მუხიარებს ინფორმაცია მარაგების მალე ამოწურვაზე. ნავთობის მსოფლიო მოპოვება ჩვენს დროში შეადგენს 30 მილიარდ ბარელს წელიწადში. საზოგადოებას აუცილებლად სჭირდება ენერჯის ახალი წყაროები. ამ მიმართულებით ხდება მუშაობის გაძლიერება ყველა განვითარებულ ქვეყანაში და უნდა ვივარაუდოთ, რომ, მისი სიმწვავის მიუხედავად, იგი არ გადავა კატასტროფულ სიტუაციაში.

შეიარაღებული კონფლიქტები, გამაღებელი შეიარაღება და დემოკრატიზაციის პრობლემა – ყველა გლობალური პრობლემის გადაწყვეტა უნდა მოხდეს განსაზღვრულ პოლიტიკურ პირობებში იმიტომ, რომ ის შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიან თანაარსებობაში. მეორე უარყოფით ფაქტორად გვევლინება არა მარტო შეიარაღება, არამედ “ცივი ომის” მდგომარეობა. საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობა და გამაღებელი შეიარაღება მოითხოვს რესურსებს, რომლის გამოყენება შესაძლებელია მრავალი მწვევე პრობლემის გადასაჭრელად. კაცობრიობის წინაშე მდგარი გლობალური პრობლემის გადაწყვეტისას მსოფლიო თანამეგობრობამ უნდა განაგრძოს სვლა დემოკრატიული განვითარებისაკენ, რასაც მოჰყვება საერთაშორისო ინტეგრაციის გამჭვირვალობა, შემწვანარებლობა, სახელმწიფო-ფოთაშორისი და ეთნიკური დაძაბულობის შემცირება.

ეკონომიკის გლობალური პრობლემები მიეკუთვნება: სისტემური პრობლემები და ციკლური პრობლემები.

სისტემური პრობლემები – თუ გადავხედავთ მსოფლიო ეკონომიკას, როგორც რთულ სისტემას, რომელშიც შედის ნედლეულის ბაზრები, სამუშაო ძალა, ფინანსები, კომუნიკაციური და ინფორმაციული რესურსები, საქონელი და მომსახურება, ნებისმიერ დასკვნაში ასახული იქნება ამ სისტემის შემადგენლობაში უთანასწორო მდგომარეობა და ეს აღიქმება, როგორც პრობლემა.

გლობალური ეკონომიკური სივრცის ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერად განვითარდა გასული საუკუნის 70-იან წლებში. თავისუფალი ბაზრის განსაკუთრებით ბევრი შეზღუდვის მოხსნამ ნედლეულის დამუშავებაზე, კაპიტალის და შრომის ნაკადებზე ეს რესურსები გაზარდა. ეს ხდება მთელს მსოფლიოში. ბუნებრივია, ხარჯების შემცირებისაკენ სწრაფვამ მკვეთრად გაზარდა ინვესტიციები იმ სუსტად განვითარებული ქვეყნების მრეწველობაში და ასევე ინფრასტრუქტურაში, სადაც არის ჭარბი ნედლეული და იაფი მუშახელი. ამან გამოიწვია მთელ რვ ქვეყნებში ეკონომიკის ზრდა ფეთქებადი ტემპით. ეს ეხება მსოფლიოს ბევრ რეგიონს, მაგრამ ყველაზე მკვეთრად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას.

მეორე მხრივ ძირითადი სამომხმარებლო ბაზრები აქამდე იყო პოსტინ-დუსტრიულ განვითარებულ ქვეყნებში – აშშ დასავლეთ ევროპა, იაპონია. აქვე იყო მსხვილი ფინანსური ცენტრები, უფრო მეტიც, ეს ქვეყნები უშვებდნენ ძირითად მსოფლიო ვალუტებს და ამით აკონტროლებდნენ ფულად მასას მსოფლიო მასშტაბით.

ეკონომიკა ახლად განვითარებულ ქვეყნებში ძირითადად ორიენტირებული იყო ექსპორტზე, მისი შიდა ბაზრები მოსახლეობის დაბალი შემოსავლების გამო იყო უკიდურესად მცირედ განვითარებული, ამავდროულად მიმდინარეობდა რთული პროცესები, ფინანსურ სფეროში გაძლიერდა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების როლი.

ციკლური პრობლემები – ეკონომიკური ციკლის და კრიზისების თეორია წარმოიშვა მე-19 საუკუნის დასაწყისში, როდესაც მოხდა ინდუსტრიულ-კაპიტალისტური ეკონომიკის საფუძვლების შექმნა. ობიექტურად გამოჩნდა პერიოდული კრიზისები, რამაც მისცა იმპულსები ამ მიმართულების თეორიულ განვითარებას. კრიზისული სიტუაცია სისტემისათვის ყოველთვის შოკია, ღრმა დეპრესიული მდგომარეობიდან გამოსვლა ყოველთვის სარისკოა და მეტად აქტუალურია მისი დროული პროგნოზირება.

კრიზისის პროგნოზირება საშუალებას იძლევა, მიღებულ იქნეს ადეკვატური ზომები სახელმწიფოს ანტიკრიზისული პოლიტიკის ფარგლებში. თუ კრიზისის მოახლოება ადრე დადგინდება, შესაძლებელი გახდება დეტალურად გაგანალიზოთ მისი სავარაუდო სტრუქტურა და შესაბამისად გამოვაკლინოთ ეკონომიკაზე კრიზისის ზემოქმედების ძირითადი მიმართულება. აქედან გამომდინარე, იქნება შესაძლებელი იმ ეკონომიკური საზღვრების პრევენციისა, რომელშიც მოსალოდნელია კრიზისული დარტყმის ძირითადი გამოვლენა. არსებობს ფაქტორების დიდი რაოდენობა, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკური სისტემის კრიზისული პოტენციალის ფორმირებაზე, მაგრამ რამდენადაც მათი დინამიკა რეფლექსურად ურთიერთდაკავშირებულია, მისი თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.

კრიზისის თავიდან აცილებისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები მიმართავენ ანტიკრიზისულ მოქმედებებს. დღეისათვის არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა შოკში ჩააგდო მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტა. დაავადების სიმპტომები გამოვლინდა აშშ-ში ჯერ კიდევ 2007 წელს ფინანსურ-საბანკო სექტორში. წამყვანი მაკროეკონომიკური მიზეზი არის ჭარბი ლიკვიდურობა ამერიკის ეკონომიკაში, რომელიც

განსაზღვრა სხვადასხვა ფაქტორებმა. განვითარებადი ქვეყნების მთავრობები ყურადღებას ამახვილებენ ორი ჯგუფის პრობლემებზე:

1. არ დაუშვან საკრედიტო სისტემის კოლაფსი;
2. თავიდან აიცილონ ან შეამცირონ რეცესია, რათა შეაჩერონ წარმოების დრმა ვარდნა. ხელისუფლების ანტიკრიზისულ პოლიტიკაში შეიძლება გამოიყოს მოქმედების 4 სფერო:
 - საბანკო სისტემის გადარჩენა;
 - ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ღონისძიებები;
 - რეალური სექტორის მხარდაჭერა;
 - მოსახლეობის მხარდაჭერა.

რა თქმა უნდა, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები თავის ასახვას პოეებს საქართველოს ეკონომიკაზე როგორც ცალკეული სფეროების მიხედვით, ასევე მთლიანად. ყურადღების განსაკუთრებულ გამახვილებას საჭიროებს შრომის ბაზარი, სადაც წარმოდგენილია შრომაზე მოთხოვნა და მიწოდება. შრომაზე მოთხოვნა მის ფასზე დამოკიდებულია, რაც უფრო მაღალია ხელფასი, მით უფრო მცირეა მოთხოვნა, ოღონდ მოთხოვნა მცირდება გარკვეულ ზღვრამდე შემდეგ კი წყდება. ეს ხდება მაშინ, როცა შრომის ზღვრული პროდუქტის ღირებულება 0-ს უტოლდება.

საქართველოს შრომის ბაზარზე შექმნილ სიტუაციას კარგად ასახავს ცხრილი 1, სადაც მოცემულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მდგომარეობა 2007-2012 წლებში.

ცხრილი 1

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა

წლები	2007	2008	2009	2010	2011	2012
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	1965.3	1917.8	1991.8	1944.9	1959.3	2029.1
მ/შ დასაქმებულები	1704.3	1601.9	1656.1	1628.1	1664.2	1724.0
აქედან დაქირავებულები	625.4	572.4	596.0	618.6	632.0	662.6
თვითდასაქმებულები	1078.8	1028.5	1059.0	1007.1	1025.4	1054.0
არაიდენტიფიცირებულები	0.1	1.1	1.2	2.4	6.8	7.4
უმუშევრები	261.0	315.8	335.6	316.9	295.1	305.1

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, უმუშევრობის დონე 2012 წელს არის 15% და ეს მაჩვენებელი 2007 წელთან შედარებით გაზრდილია 1.7 პუნქტით.

რეალური ხელფასის დაცემა ამცირებს შრომის მიწოდებას და ამადლება კი ადიდებს მას, მაგრამ თუ ხელფასის დონემ საზოგადოებაში საერთოდ დაიწია განმსაზღვრულ ზღვარს ქვევით, ეს პროცესი ადიდებს შრომის მიწოდებას იმ მიზნით, რომ შეინარჩუნონ ადამიანებმა ცხოვრების პირობები. ბევრი ადამიანი სწირავს თავის თავისუფალ დროს და იწყებს ორ განაკვეთზე და მეტ ადგილზე მუშაობას. ეს პროცესი ნიშანდობლივია დღევანდელი საქართველოსთვის.

ასეთი მდგომარეობა არაა ნორმალური და ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ძალის ნორმალურ კვლავწარმოებას. ხანგრძლივი უწყვეტი მუშაობა ჩვეულებრივი რიტმით და ინტენსივობით შეუძლებელია, ამცირებს შრომის ნაყოფიერებას და ფიტავს ადამიანს, საჭიროა დასვენება და უნარის განვითარება, რათა იგი შეესაბამებოდეს წარმოების თანამედროვე მოთხოვნებს. ხელფასის უკიდურესი შემცირება უაზროს ხდის შრომას, მათხვრობა, პაუპერიზმი, უსაქმურობის ყველა მახინჯი გამოვლენით უფრო ხელსაყრელი ხდება და ესეც ნიშანდობლივია დღევანდელი საქართველოსთვის. ქვეყნიდან სამუშაო ძალის გადინებაც ამცირებს საქართველოში შრომის მიწოდებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.tb.ru/article/37672osnovnyie-problemyi-ekonomiki
2. www.bestreferat.ru/referati/110948/html
3. www.Geostat.ge
4. მ. გველესიანი, ეკონომიკის, “კომენტრი” თბილისი, 2000.

*Nunu Achuashvili
Inga Prangishvili*

**GLOBAL PROBLEMS OF ECONOMICS AND ITS INFLUENCE ON GEORGIAN LABOR MARKET
Annotation**

The economic and global problems are discussed in the article. It is set how to solve the problems and shown the ways of solving. The economic crisis factors are explained and shown the ways how to solve them. Are characterized Georgian economically active population and the situation on the labor market.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების სამართაშორისო გამოცდილება

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში გაძლიერდა ინტეგრაციის პროცესები, რომლებიც მოითხოვენ ეროვნული ეკონომიკების ლიბერალიზაციას, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნების აქტიურ მონაწილეობას, ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებას, სადაც მნიშვნელოვან ელემენტად მიჩნეულია თავისუფალი ეკონომიკური ზონები. თეორიულ ნაშრომებში იგი განმარტებულია, როგორც ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბების სელექციური შემცირების მექანიზმი, რაც დაკავშირებულია მეურნეობის წარმართვის პრეფერენციულ რეჟიმთან. ამასთან, საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება კიოტოს 1973 წლის კონვენციის მე-7 დანართში მოყვანილი განმარტება, რომლის მიხედვითაც, „თავისუფალი ზონის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც, სამშორტო გადასახდელებისა და გადასახადების მიზნით ნებისმიერი შემოტანილი საქონელი განიხილება, როგორც საბაჟო ტერიტორიის გარეთმოყოფი და საბაჟო კონტროლის პროცედურებს დაუქვემდებარებელი საქონელი“.

თეზის ჩამოყალიბება სპეციალური ეკონომიკური მექანიზმის შექმნის გზით იძლევა მეცნიერულ-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების უფრო წარმატებით გადაწყვეტის საშუალებას. მეცნიერულ-ტექნიკურს მიეკუთვნება მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის მოძიება, სამეცნიერო-ტექნიკური კადრებისა და საშუალებების კონცენტრაცია პრიორიტეტულ მიმართულებებში, მიღებული შედეგების წარმოებაში დანერგვა, კონკრეტულ მეცნიერულ მიმართულებაში ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე გადასვლა.

კაცობრიობის ისტორია გვიჩვენებს რომ თეზი-სათავეს იღებს ძველ საბერძნეთში, განსაკუთრებული რაიონების შექმნით, სადაც უცხოური გემებისათვის უზრუნველყოფილი იყო უსაფრთხო შესვლა. ეს პორტები შეიძლება ჩაითვალოს თეზი-ის ყველაზე ადრეულ ფორმად. 1228 წელს, მარსელის მეწარმეთა ჯგუფმა შექმნა თავისუფალი სავაჭრო ზონა საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში. XIII საუკუნის დასასრულს, გერმანიის ჩრდილოეთ ნაწილში რამოდენიმე ღია ქალაქში ჩამოყალიბდა თავისუფალი ვაჭრობის კავშირი, რომელმაც გამოყო ორი ქალაქი – ჰამბურგი და ბრემენი თავისუფალი ვაჭრობისთვის, რაც თავისუფალი სავაჭრო ზონის ფორმად შეიძლება ჩაითვალოს.

1557 წელს, იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში, გენუის ყურეში დაფუძნდა თავისუფალი პორტი ლივორნო. აღნიშნული პრობლემის მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ამ პორტმა მიიღო მსოფლიოს პირველი ღია პორტის ოფიციალური სახელწოდება. მას შემდეგ თავისუფალი პორტები და თავისუფალი ვაჭრობის ზონები იქმნებოდა დასავლეთ ევროპაში (იტალია, დანია, საფრანგეთი, პორტუგალია და სხვა). ამ ზონების შექმნის მიზანს მათი გეოგრაფიული მდებარეობისა და ხელსაყრელი პირობების უფრო სრული გამოყენება წარმოადგენდა. მე-19 საუკუნეში თეზ-ები ხმელთაშუა ზღვის აუზიდან გავრცელდა მსოფლიოს დანარჩენ ნაწილებში. საზღვაო გზით ვაჭრობის გაფართოებას თან ახლდა თავისუფალი პორტებისა და თავისუფლად ვაჭრობის ზონების წარმოშობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონებში. ამერიკის კონტინენტზე თავისუფალი ვაჭრობის ზონები მოგვიანებით გამოჩნდა.

თეზ-ების გავრცელება და განვითარება მათი აღმოცენების შემდგომ არაერთგვაროვნად ხდებოდა. მეორე მსოფლიო ომამდე მათი რაოდენობა არ იყო მრავალრიცხოვანი. მოიცავდნენ შეზღუდული რაოდენობის რაიონებს და მათი ეკონომიკური საქმიანობა ატარებდა ერთგვარ ხასიათს – ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო საგარეო და სატრანზიტო ვაჭრობის გაფართოებაზე.

თეზ-ების შექმნის ყველაზე აქტიური პროცესი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო (თუმცა მარტივი ანალოგიები უფრო ადრეულ საუკუნეებში იყო ცნობილი) და გამოწვეული იყო მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკური სისუსტით, ფინანსური შესაძლებლობების სიმცირით, რაც ეკონომიკაში რადიკალური ძვრების განხორციელებას ართულებდა. წორედ ამ პერიოდში დაარსდა ევროპაში საერთაშორისო ტიპის ზონები, როგორიცაა ბენილუქსი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა ზეგავლენა მოახდინა სეზ-ების განვითარებაზე. ერთი მხრივ, დასავლეთის ქვეყნებში მიმდინარეობდა ომისგან მიყენებული ზარალის აღდგენა, ამასთან, მათ შორის კონკურენცია იზრდებოდა და აუცილებელი იყო ბაზრების გაფართოება. მეორე მხრივ, ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნები ცდილობდნენ ეკონომიკის განვითარებას, ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას ჭარბი სამუშაო ძალის, ტექნიკისა და სახსრების უკმარისობის პირობებში. ამგვარი ურთიერთგადამკვეთი ინტერესების ვითარებაში მრავალ ქვეყანასა და რეგიონში შეიქმნა ახალი სპეციალური ზონები ე. წ. „საექსპორტო საქონლის გადამამუშავებელი ზონები“, რომელთაც განსაკუთრებული ფუნქცია უნდა შეესრულებინათ ექსპორტზე ორიენტაციის სტრატეგიაში.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა მსხვილი კოლონიური იმპერიების ნგრევის პროცესით იყო განპირობებული. საყურადღებოა, რომ იმ პერიოდში აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში შექმნილი ზონები გაცილებით ნაკლები წარმატებით ხასიათდებოდა, ვიდრე ევროპაში შექმნილი. ამის მიზეზად შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ ამ ქვეყნებში საწყისი წარმოებრივი და ტექნოლოგიური ბაზა, შესაბამისი გამოცდილება და სათანადო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა. ეს სერიოზულ ბარიერს წარმოადგენდა, თუმცა, განვითარებულ ქვეყნებში ზონების შექმნის დადებითი მაგალითებიც არსებობს, კერძოდ, ბრაზილიის ზონა „მანაუსი“, არგენტინის „ცეცხლოვანი მიწა“, ფილიპინებისა და სამხრეთ კორეის რამდენიმე ზონა და სხვ.

XX საუკუნის 80-იანი წლებისათვის თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის იდეა სოციალისტურმა ქვეყნებმაც აიტაცეს. ამ პერიოდისათვის აღმინისტრაციულ-მბრძანებლური, ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემის კრიზისის საწყისი გამოვლინებები უკვე სახეზე იყო და ზოგიერთ ქვეყანაში გახსნილი ზონები (ჩინეთში, საბ-

ჭოთაკავშირში) ეკონომიკური თავისუფლების კუნძულებად აღიქმებოდა. ჩინეთში ზონების შექმნის პროცესი კარგად წარიმართა, რადგან ძირითადი აქცენტი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკურ ზონებზე გაკეთდა.

მსოფლიო გამოცდილების დეტალური შესწავლა გვინფორმებს, რომ:

- თეზის შექმნა ქვეყნის საბაზრო ურთიერთობებში ინტეგრირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს.

- განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნასა და ფუნქციონირებაში არის როგორც ბევრი საერთო, ისე განსხვავებული ნიშნები, მაგრამ ყველა მათგანს აერთიანებს ერთი მიზანი, ერთი ამოცანა – ტერიტორიული წარმოების ეფექტიანობის ამაღლება უცხოური კაპიტალის მოზიდვის საშუალებით, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ექსპორტის განვითარება, ზონების როგორც საწარმოო, ისე სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნის შესახებ არსებობს ბევრი წინააღმდეგობრივი აზრი, რომელიც განპირობებულია სახელმწიფო მართვის სისტემების და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნისა და ფორმირების კონცეფციით. რიგ ქვეყნებში განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები წარმოადგენს მსოფლიო საბაზრო სისტემაში ინტეგრირების მძლავრ საშუალებას.

- ისტორიული მიმოხილვა ცხადყოფს, რომ თეზის შექმნის მიზანს ქვეყნების განვითარების დონის მიხედვით აქვს გარკვეული სპეციფიკა, მაგალითად, ინდუსტრიულად განვითარებულ და დიდი ტერიტორიის მქონე ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი) პრიორიტეტი ენიჭება საგარეო ვაჭრობის ურთიერთობათა სწრაფ განვითარებას, ლიბერალური საბაჟო რეჟიმის შემოღებას, ადგილობრივი მეწარმეების საგარეო ბაზარზე გასვლის გაიოლებას, რეგიონული პოლიტიკის რეალიზაციას, მიმართულს (დეპრესიულ რაიონებში) მცირე და საშუალო ბიზნესის გამოცოცხლებაზე, განვითარების თვალსაზრისით ჩამორჩენილი რეგიონების წინ წამოწევას. ხოლო განვითარებად, და ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ძირითადად ყურადღება ეთმობა უცხოური კაპიტალის მოზიდვას, ღია ეკონომიკის პრინციპების დანერგვას, ზოგჯერ ქვეყანას ხშირად არ სურს თავისი ეკონომიკის სრული გახსნა უცხოური კაპიტალის ნაკადისათვის და ამიტომ იგი სპეცონის სახით ლოკალურ გახსნას ახდენს. ამას ჩინეთის მაგალითი ადასტურებს, სადაც ზონების შექმნის პროცესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და პრაქტიკულად საბაზრო ურთიერთობების გამოყენების ექსპერიმენტს წარმოადგენდა. აქ მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული ზონებია განთავსებული.

- ეკონომიკური განვითარების მოთხოვნის შეცვლასთან დაკავშირებით თეზის დამფუძნებელი სახელმწიფოების ან რეგიონების მხრიდან, აგრეთვე საერთაშორისო ეკონომიკისა და ვაჭრობის გამო, შეიძლება თეზის თავდაპირველი მიზნის და მასშტაბის კორექტირება.

- თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის მოტივები და მიზნები უმეტესად დიამეტრულად განსხვავებულია, ერთი მხრივ, იმ ქვეყნისათვის, რომელიც თავის ტერიტორიაზე ქმნის “ზონას” და მეორე მხრივ – უცხოელი ინვესტორისათვის, რომელიც კაპიტალს აბანდებს ამ ზონაში. პირველი ცდილობს უცხოეთის კაპიტალის მოზიდვით მიადწიოს თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვასა და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის ექსპორტს, ამის საფუძველზე კი კონვერტირებული ვალუტის მიღებას; უმუშევრობის ლიკვიდაციას; წარმოების მართვის თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების დაუფლებით ენიხერტა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას; “ზონაში” შემავალ საწარმოებსა და ქვეყნის ძირითად ეკონომიკას შორის მჭიდრო კავშირის დამყარებას; მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლას და საბოლოოდ განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის საშუალებით საერთაშორისო საბაზრო სისტემაში ქვეყნის მოქცევის ტერიტორიის ჩართვას.

- მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პრაქტიკაში თეზების ტიპოლოგია, მათი შექმნის მიზეზები და ამოცანები განსხვავებულია, ისინი ფუნქციონირებენ როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად და პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში და ხელს უწყობენ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ფართო კომპლექსის გადაწყვეტას.

- თეზის შექმნის მიზნები, ფუნქციები და მისი დახმარებით გადასაწყვეტი ამოცანები მრავალფეროვანია და დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის განვითარების დონესა და პრიორიტეტებზე.

- თავისუფალი ეკონომიკური ზონები სარგებლობენ მთავრობის მხარდაჭერით.

- განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, ზონების ევოლუციის ობიექტურად მიმდინარე პროცესებმა მათი ტიპების გართულება გამოიწვია. ამ ტიპის ქვეყნებში ზონები გამოიყენება მაღალტექნოლოგიურ, მეცნიერებადტევად წარმოებათა განვითარებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს.

- ზონები განვითარებულ ქვეყნებში რეგიონული პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტად გვევლინებიან, ხელს უწყობენ ცალკეული ტერიტორიების განვითარებას და ეროვნული მეწარმეების მსოფლიო ბაზარზე გასვლას.

- განვითარებად ქვეყნებში ზონების შექმნის ძირითადი მიზანია ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების განვითარება და ამის ნიადაგზე სავალუტო შემოსავლების მიღება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

- ყოფილი სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებში თეზის შექმნის, ფუნქციონირებისა და განვითარების პოლიტიკა ჯერ ბოლომდე არ არის განსაზღვრული, რის გამოც პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ძნელია თეზის განსაზღვრულ სახეობაზე მკვეთრი ორიენტაციის აღება. ზონების შექმნა ამ ქვეყნებში საწყის ეტაპზე იმყოფება.

FREE ECONOMIC ZONES: INTERNATIONAL EXPERIENCE

Annotation

The process of joining the world market structure by the economy of this or that country has created the necessity to look for new modern economic levers. One of such levers is the creation of free economic zones and their development on the territory of Georgia.

Nowadays, several free economic zones have been created in Georgia. However, they cannot be reckoned as the prospect of development of the country's economy so far. Investors restrain themselves from making any kind of investments in Georgia, as our country is a place of great risks because of the occupied territories and this hinders investments inflows into the country.

It is not clear what may happen in the nearest future but the fact is that the current policy regarding the industrial zones needs to be reviewed. The functioning of the free economic zones will be profitable if:

- Close economic relations are established between the territory of the country and the territory of an economic zone and the national capital is strengthened;
- The national capital establishes its place in the "zone" and is able to purchase joint ventures and foreign firms;
- A "zone" is specialized in manufacturing of high technology goods;
- A "zone" does not support the import of prohibited goods in Georgia (weapons, drugs, explosives, etc.) for realization in the country or re-export.
- Unfortunately, the current legislative base does not include the mechanism of protecting the country from the above - mentioned economic perils at all.

ხათუნა ბერიშვილი

ეკონომიკის ლიბერალიზაცია და საბაჟო სავაჭრო პოტენციალის ათვისების შესაძლებლობანი საქართველოში

საქართველოსთვის საერთაშორისო ვაჭრობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. წინასწორული სავაჭრო ბალანსის მიღწევა და შენარჩუნება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ბოლო წლებში საგარეო ვაჭრობის განვითარებისა და სავაჭრო პროცესების გამარტივების მიზნით საქართველოში საფუძვლიანი რეფორმა გატარდა, რამაც ის ერთ-ერთ ლიბერალურ ქვეყნად აქცია.

საგარეო ვაჭრობა ხელს უწყობს არა მხოლოდ კეთილდღეობის ზრდის ეკონომიკური მიზნების განხორციელებას, არამედ მას შეუძლია თავისი წვლილი გარე ეკონომიკური მიზნების მიღწევაშიც შეიტანოს. საგარეო ვაჭრობის მიზანი უნდა იყოს მსოფლიო ეკონომიკის ისეთი მოწესრიგება, რომ მასში მონაწილე ქვეყნების ან საერთაშორისო რეგიონული გაერთიანების წევრთა კეთილდღეობა გაზარდოს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო დიდი ეკონომიკური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით შეძლო მოეხდინა საგარეო ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ლიბერალიზაცია. 2000 წელს საქართველო გახდა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წევრი, რის შედეგადაც მან გააუქმა ექსპორტ-იმპორტის კვლავი. WTO-ს ფარგლებში ქვეყანა შეუერთდა მრავალმხრივ შეთანხმებებს, როგორცაა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სამოქალაქო ავიაციის შესახებ, ასევე სხვა მრავალ სექტორულ ინიციატივას.

ბოლო წლებში საქართველოს მთავრობის მიერ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნითა და რეკომენდაციებით განხორციელდა როგორც სატარიფო პოლიტიკის, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც ქვეყანას დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალი საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

ქვეყანაში მოქმედებს შემდეგი სავაჭრო რეჟიმები: უპირატესი ხელშეწყობის (Most-Favored-Nation) – საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის (WTO) წევრი და შესაბამისად, WTO-ს წევრ ქვეყნებთან (159 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" (MFN) საფუძველზე; პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences – GSP) – ამ სისტემის (GSP) ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი: ევროკავშირი, აშშ, იაპონია, შვეიცარია და ნორვეგია; თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რომელიც გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან და თურქეთთან.

იმისათვის, რომ ქვეყანაში არ შეიზღუდოს ბიზნესის განვითარება, მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა და ცვლილებები მოხდა სატარიფო პოლიტიკის სფეროში, რაც შემდეგში გამოიხატა: დაწესდა დაბალი საიმპორტო ტარიფები: 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3-მდე; საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე; აღარ არსებობს სეზონური ტარიფები. კანონმდებლობის შესაბამისად ექსპორტი და რეექსპორტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. ექსპორტი საქართველოდან დღე-თი არ იბეგრება. საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დამატებითი ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე თანაბარია.

„ლიცენზირებისა და ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად ლიცენზიები შემცირდა 98%-ით, გაუქმდა 756 ლიცენზია, ლიცენზიის გაცემის ვადა კი შემცირდა 30, ხოლო ნებართვების გაცემის ვადა 20 დღემდე.

ქვეყნის მთავარ მიზანს ევროინტეგრაცია წარმოადგენს, ამიტომ მნიშვნელოვანია ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება, ამ მიზნით საქართველო მონაწილეობს ევროკავშირის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა შეთანხმებაში. მათ შორის მნიშვნელოვანია „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს ტარიფების, კვოტების და სხვა არასატარიფო ბარიერების მოშლას, ასევე ხარისხის სტანდარტების დანერგვას მთელ რიგ საკითხებში ევროკავშირის სტანდარტებთან დასაახლოებლად და ვაჭრობის გასაუმჯობესებლად.

ამჟამად საქართველოს გააჩნია „წახალისების სპეციალური სისტემა მდგრადი განვითარებისა და კარგი მმართველობისთვის“, ე.წ. „GSP+“, რომელიც იძლევა უფლებას, განვითარებადი ქვეყნებისათვის შეღავათიანი პირობებით ევროკავშირში შეტანილ იქნეს 7200 სახეობის სხვადასხვა პროდუქცია, შესაბამისი სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების დაცვის შემთხვევაში. თუმცა საქართველოსათვის სტრატეგიული სავაჭრო საქონელი დვინო, აგრეთვე მინერალური პროდუქტები არ შედის „GSP+“-ის ჩამონათვალში და ის ევროკავშირის ბაზარზე შეტანისას იბეგრება სრული განაკვეთით. მიუხედავად ასეთი შეღავათიანი პირობებისა, საქართველოდან მცირე რაოდენობის პროდუქცია გადის ევროკავშირის ბაზარზე, რომელთაგან შეღავათიან რეჟიმს მხოლოდ 34 ექვემდებარება.

„GSP+“-საგან განსხვავებით, შეთანხმება „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“, საქართველოს მისცემს საშუალებას, ევროკავშირთან ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე ივაჭროს.

ასოცირების შესახებ შეთანხმებას ოფიციალურად საფუძველი ჩაეყარა 2010 წელს, მან ოფიციალურად ჩაანაცვლა მისი წინამორბედი „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“ (PCA) და ამით ხაზი გაესვა, რომ ევროკავშირი მომავალშიც ითანამშრომლებს საქართველოსთან. სწორედ ამის გამოხატულებაა 2013 წელს ვილნიუსში საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის, 2003 წლიდან მოყოლებული, გამოირჩევა თურქეთი, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვა სტაბილურად მდგომარეობს. 2007 წლამდე წამყვანი ადგილი საქართველოსთან ვაჭრობაში რუსეთს ეკავა, რომლის ბაზარზეც იყო ორიენტირებული საქართველოს პროდუქციის უდიდესი ნაწილი. რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ძალზე საინტერესოა. იმ დროს, როდესაც პოლიტიკური ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის პრაქტიკულად არ არსებობს, სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები არ შეწყვეტილა და დღემდე რუსეთი საქართველოს 10 უმსხვილეს პარტნიორს შორისაა. მართალია რუსეთ-საქართველოს ომამდე ეს ქვეყანა საქართველოს პირველი სავაჭრო პარტნიორი იყო, მაგრამ დღეს ის სავაჭრო ბრუნვის მოცულობით უსწრებს მხოლოდ ბულგარეთს, სომხეთსა და არაბთა გაერთიანებულ ემირატებს. რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები 2013 წლამდე მხოლოდ საქართველოში იმპორტით შემოიფარგლებოდა. 2008 წლიდან საქართველოს პირველი სავაჭრო პარტნიორი თურქეთია, სადაც ექსპორტირებული საქონლის ყველაზე დიდი წილი შავი ლითონის ნარჩენებსზე, ჯართსა და ფეროშენადნობებსზე მოდის.


საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს 2006-2013 წლების ექსპორტ-იმპორტის მონაცემებით შედგენილი ცხრილი:

ცხრილი 1

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2006-2013

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	4611.2	6444.3	7796.9	5499.7	6678.8	9247	10220	8591
ექსპორტი	936.4	1232.1	1495.3	1133.6	1583.3	2189	2377	2306
იმპორტი	3674.8	5212.2	6301.5	4366.1	5095.5	7058	7842	6285
სავაჭრო საღდო	-2738.5	-3980.0	-4806.2	-3232.5	-3512.1	-4869	-5465	-3979

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების რიცხვში შედიან: თურქეთი (592 მლნ. დოლარი – 6,9%), ჩინეთი (497 მლნ დოლარი – 5,8%), გერმანია (421,1 მლნ დოლარი – 4,9%), სომხეთი (392,5 მლნ დოლარი – 4,6%), აშშ (დაახლოებით 332,3 მლნ დოლარი –3,9%), ბულგარეთი (286,2 მლნ დოლარი – 3,3%), რუმინეთი (258 მლნ დოლარი – 3%).




დიაგრამა 1
უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში

2013 წლის იანვარ-ოქტომბრის ექსპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, აშშ, ბულგარეთი, ყაზახეთი, კანადა, იტალია და ა.შ.

საქართველოს ექსპორტი რუსეთში სამჯერ გაიზარდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 103.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 17.4%-ით გაიზარდა და 398 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (დიაგრამა 2).

2013 წლის იანვარ-ოქტომბრის იმპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია: თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, ჩინეთი, რუსეთი, გერმანია, რუმინეთი, იაპონია, აშშ, იტალია და ა.შ.

საქართველოსთვის საერთაშორისო ვაჭრობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. წონასწორული სავაჭრო ბალანსის მიღწევა და შენარჩუნება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. არსებობს მისი გადაწყვეტის ორი ძირითადი ალტერნატიული მიმართულება: გატარდეს პროტექციონისტული პოლიტიკა იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის წახალისებით ან მოხდეს ყოველგვარი სავაჭრო ბარიერის მოხსნა და ეკონომიკური პროცესების ლიბერალიზაცია.



დიაგრამა 2
უმსხვილესი საიმპორტო პროდუქციის წილი მთლიან იმპორტში

მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმებისა და სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციისა, საქართველოს არც ერთი წელი არ დაუმთავრებია არათუ დადებითი, დაბალანსებული სავაჭრო ბალანსითაც კი. ამის მთავარი მიზეზი კი არის ის, რომ იმპორტი მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტს და იმპორტის ზრდის ტემპიც ბევრად მაღალია ექსპორტის ზრდის ტემპზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს ვაჭრობა ექსპორტის ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც წარმოადგენს სიღარიბის დაძლევის, წარმოების განვითარების, სპეციალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების და შედეგად ეკონომიკური ზრდის საუკეთესო საშუალებას.

ქვეყნის ექსპორტის ზრდის მიზნით საჭიროა მისი ფინანსური მხარდაჭერა. კერძოდ, უნდა ჩამოყალიბდეს საექსპორტო წარმოების, საექსპორტო ოპერაციების დაზღვევისა და დაკრედიტების სისტემა. ამასთან, დასავლეთის ბაზარზე დამკვიდრებისათვის, საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის, საექსპორტო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს. ასევე, აუცილებელია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების, მანქანა-დანადგარების დანერგვაზე იქნება მიმართული. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ექსპორტში

გაიზარდოს განვითარებული ქვეყნების წილი, რაც აამაღლებს საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭრო თანამშრომლობის გაზრდა არა მარტო ადგილობრივი წარმოების განვითარების, არამედ ინვესტიციების მოზიდვის საფუძველია. მონეტარული პოლიტიკის გატარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ლარის კურსის გავლენა ექსპორტ-იმპორტზე, ვინაიდან ლარის გამყარება ზრდის იმპორტს და ამცირებს ექსპორტს.

საქართველოში კონკურენციული უპირატესობა განსხვავებულია დარგების მიხედვით. ისევე, როგორც სხვა განვითარებულ ქვეყნებში, საქართველოშიც უნდა მიაღწიოს კონკურენტულ უპირატესობას არა მხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ მაღალტექნოლოგიურ სფეროებშიც. ამ გზით ქვეყანა მიაღწევს გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას, გაზრდის შემოსავლებს, ხელფასსა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შენგელია თ. გლობალური ბიზნესი. თბ., 2010.
2. გველეხიანი მ. რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., 2008.
3. www.geostat.ge
4. მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის როლი საერთაშორისო ეკონომიკაში. www.mfa.gov.ge
5. თარალაშვილი თ. საგარეო ვაჭრობა – ძველი და ახალი ტენდენციები. www.bfm.ge
6. საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. www.economy.ge
7. ასათიანი ს., რ. იოზვიაკი. მინც რას წარმოადგენს ასოციირების ხელშეკრულება.

www.radiotavisupleba.ge

8. კუპატაძე პ. რა სარგებლობა მოაქვს ასოციირების ხელშეკრულებას? – ცოტა რამ ისტორიული დოკუმენტის შესახებ. www.sazogadoeba.ge

Khatuna Berishvili

LIBERALIZATION OF ECONOMY AND POSSIBILITIES OF DEVELOPMENT OF FOREIGN TRADE POTENTIAL IN GEORGIA Annotacion

Growth of international trade is very important for Georgia, because it is one of the factors that determine the economic growth. To reach and preserve the steady trade balance is one of the main tasks of the state economic policy. With the aim to develop the foreign trade and to simplify the trade processes in recent years the fundamental reforms were conducted in Georgia, which made it one of the liberal countries. Despite the recently conducted reforms and trade policy liberalization Georgia has finished not a single year even with positive steady trade balance. The main reason of this is that import considerably exceeds export and the rate of import growth rate is much higher than that of export. Proceeding from this trade of Georgia should be oriented to growth in export, which is the best way to overcome the poverty, to develop the production, to increase the competitiveness and, in result, to get economic growth.

ჯანდრი ზარანდია.

საქართველო თანამშრომლობის მსოფლიოში გლობალიზაციის და ინტეგრაციის კონტექსტში

მსოფლიო საზოგადოება და მათ შორის ქართველი ერი, ამჟამად იმყოფება პოსტინდუსტრიული განვითარების ეტაპზე, რომელიც ხასიათდება მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკის გლობალური ინტეგრაციით. თანამედროვე პირობებში ძნელია ვიპოვოთ ისეთი ეროვნული მეურნეობა, რომელიც არ იყოს ჩართული მსოფლიო მეურნეობის სისტემაში. გლობალიზაცია-ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შეუქცევადი ტენდენციაა, რომელიც ხასიათდება ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების ზრდის მაღალი ხარისხით. ეს ურთიერთობები არის გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბების და განვითარების საფუძველი.

მე-XX საუკუნის 90-იან წლებში ყოფილი სსრ კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოები ინტენსიურად ჩაერთვნენ მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში; არც ამიერკავკასია დარჩა ამ მოვლენებისაგან განცალკევებულად. მიმდინარეობს ამიერკავკასიის სამი სახელმწიფოს მსოფლიო თანამშრომლობაში ინტეგრაციის პროცესი. ისინი ჩართულნი არიან სახელმწიფოთა ინტეგრირებული თანამშრომლობის შექმნის რეალიზაციაში. კავკასიის რეგიონი განვითარებადი ბაზარია, რომელსაც ეკონომიკური ზრდის მაღალი პოტენციალი, ენერგეტიკული და სატრანსპორტო ფუნქცია გააჩნია, რის გამოც ევროპისა და სხვა ქვეყნების დიდ ინტერესს იწვევს.

ინტეგრაციის პროცესში კავკასია აღმოჩნდა მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთის გზაჯვარედინზე. ერთი მხრივ „ნატოს“ წევრი ქვეყნები და ევროკავშირი, მეორე მხრივ – რუსეთი, ირანი და ჩინეთი. დღეს საკმაოდ მკვეთრად გამოიკვეთა ორი გეოპოლიტიკური ღერძი: ანკარა-თბილისი-ბაქო, როგორც მიმართულება დასავლეთი – აღმოსავლეთი; და მეორე ღერძი, მოსკოვი-ერევანი-თეირანი, როგორც მიმართულება ჩრდილოეთი – სამხრეთი. ამ ღერძების ურთიერთდაპირისპირება იწვევს მზარდ დაძაბულობას და ამიერკავკასია დგას ამ ღერძების საშუალო თანაკვეთაზე [1].

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით ამიერკავკასიის ქვეყნები განვითარების დონით არ არიან იმ სიმაღლეზე, რომ თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან განახორციელონ პარტნიორულ საწყისებზე. აქ უპირატესად მიმდინარეობს დახმარების პროცესი. ამასთან, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები არჩევენ მოლოდინის პოზიციას და თვალყურს ადევნებენ მოვლენების განვითარებას.

რებას კავკასიაში. მათი აზრით, კავკასია – ეს „ცხელი წერტილია“, რომელიც პოლიტიკურად ნაკლებად სტაბილურია იმისათვის, რომ მან ფართოდ და აქტიურად მოიხილოს მსხვილი ეკონომიკური პარტნიორები.

ცნობილია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა პირდაპირ უკავშირდება მის გეოპოლიტიკურ დამოუკიდებლობას. საქართველო პატარა ქვეყანაა და ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს კავკასიის რეგიონში, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების პროცესში. დღევანდელი საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შავი ზღვისპირა მდებარეობას. ამ მხრივ საქართველოს მრავალი უპირატესობა გააჩნია ამიერკავკასიის და შუა აზიის სახელმწიფოებთან შედარებით, რადგან უშუალოდ გადის საერთაშორისო სანაოსნო გზებზე და არა მარტო თვითონ ამყარებს კავშირურთიერთობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან, არამედ ტრანზიტით შეუძლია გაატაროს ბევრი სხვა სახელმწიფოს ტვირთები.

ამიერკავკასიის რეგიონში იქმნება საიმედო და ეფექტიანი ტვირთგამტარი სისტემის აუცილებლობა, რომელმაც უნდა გააერთიანოს სასაწყობო, გადაამამუშავებელი მეურნეობა და შესაბამისი საჭირო ინფრასტრუქტურა. ამ სისტემას საქართველოს მონაკვეთში განსაკუთრებული ადგილი შავი ზღვის პორტებს – ფოთსა და ბათუმს უკავია, რომლებშიც სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელება მთელი წლის მანძილზე შესაძლებელია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს როლისა და ადგილის გარკვევა მსოფლიო თანამეგობრობაში იმ გეოპოლიტიკური ძალების ცვლილების კონტექსტში, რომელიც ბოლო წლებში განხორციელდა.

როცა ვსაუბრობთ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოზე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ახდენს როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას. დადებითი ეფექტი, უპირველეს ყოვლისა, გასაღების ბაზრის გაფართოებაში მდგომარეობს. ბაზარი შეიძლება გააფართოვოთ მრავალი საშუალებით, მაგრამ თუ მას გააფართოვებთ მხოლოდ შიდა ბაზრის დახმარებით, შედეგები საკმაოდ მოკრძალებული იქნება. გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ჩვენს ქვეყანას აძლევს დიდ შესაძლებლობებს, გააფართოვოს შიდა და გარე ბაზარი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების გამოყენებით. ბაზრის გაფართოება გადამწყვეტ როლს თამაშობს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. საბაზრო ეკონომიკაში ინვესტიციები შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს პროდუქციის გასაღების ბაზარი. თუკი საქართველოს ბაზარი გაფართოვდება გლობალიზაციისა და ინტეგრაციის შედეგად, ეს მოიხიდავს უცხოელ ინვესტორებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში დააბნადებენ ინვესტიციებს და შემოიტანენ ახალ ტექნოლოგიას, გამოიყენებენ საქართველოს, შედარებით იაფ შრომით და ბუნებრივ რესურსებს პროდუქციის საწარმოებლად. წარმოებული პროდუქცია კი გატანილი იქნება რეგიონულ და მსოფლიო ბაზრებზე, რაც მნიშვნელოვან შემოსავლებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. გლობალიზაციითა და ინტეგრაციით შექმნილი ხელსაყრელი პირობები შესატყვისი იქნება უცხოური ინვესტიციების ზრდისა, რაც, ამავე დროს, ხელს შეუწყობს საქართველოს შიდა ინვესტიციური რესურსების ეფექტიან მიმოქცევას. როგორც მრავალ პატარა ქვეყანას, ისე საქართველოსაც არა აქვს საკმარისი საკუთარი სახსრები, მოახდინოს დიდი რაოდენობის ინვესტირება წარმოებისა თუ მომსახურების სფეროში, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი კი ამის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა.

როცა ვსაუბრობთ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესის უარყოფით გავლენაზე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ საქვეყნოდ ცნობილი ამერიკული მეცნიერი ჯოზეფ სტიგლიცი, რომელიც, თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“ – აღნიშნავს: „გლობალიზაცია უზარმაზარი ძალაა, რომელმაც ადამიანთა ნაწილის ცხოვრება საგრძნობლად შეცვალა. იმის გამო, რომ ეს პროცესი არასწორად იყო მართული, მილიონობით ადამიანისთვის ვერ მოიტანა დადებითი შედეგი, მილიონობით ადამიანისათვის კი ცხოვრება უარესობისაკენ შეიცვალა. დღეს ჩვენ წინაშე გლობალიზაციის ისეთი სახით რეფორმირების საკითხი დგას, რომ მან სიკეთე მოუტანოს არა მარტო მდიდარ ადამიანებსა და განვითარებულ ქვეყნებს, არამედ ღარიბ და განვითარებულ ქვეყნებსაც.“ ცნობილია, რომ უკვე განვითარებულ ქვეყნებშიც ეს მით, რომ გლობალიზაციას თან უამრავი პრობლემა ახლავს. განვითარებადი ქვეყნები კი უკვე დიდი ხანია ამ პრობლემებს ებრძვიან, ბევრი მათგანი თავად დახარადა არასტაბილური ვითარების გამო. მეცნიერების გარკვეულ წრეებშიც კი აღიარებენ ამ მოსაზრებას და მზადყოფნას გამოთქვამენ იმუშაონ უთანასწორობის აღმოფხვრაზე [2].

ყველაზე სერიოზული საშიშროება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს გლობალიზაციისა და ინტეგრაციის უარყოფითმა ზემოქმედებამ, იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებით, ჩვენ ეტაპოვრებულ უნდა შევამციროთ საბაჟო გადასახადი. ე.ი. გავაუქმოთ სავაჭრო ბარიერები, ამის შედეგად უცხოური საქონელი გააეცებს საქართველოს ბაზარს და ჩაახშობს ეროვნული საწარმოების საწარმოო და სამეურნეო საქმიანობას. ჩვენი ქვეყნის საწარმოები ჯერ კიდევ არ არის ადკურული უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, რის გამოც დაბალია შრომის ნაყოფიერება, აქედან გამომდინარე, დაბალია პროდუქციის ხარისხი და მაღალია თვითღირებულება. ყოველივე ეს ართულებს უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციას. გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესის ზემოქმედება, მაღალი თუ დაბალი ხარისხით, ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკაზე.

გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესში, საქართველოთი დიდი სახელმწიფოების დაინტერესება გაიზრდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს საქართველოს მთლიანობის და უსაფრთხოების ავტომატურ უზრუნველყოფას, რისი ილუზიაც შეიძლება წარმოიშვას. საქართველომ თვითონ, საკუთარ სიძლიერეზე დაყრდნობით, უნდა უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება და არ უნდა იყოს მხოლოდ სხვა ძლიერი სახელმწიფოს დახმარების იმედით, რომელმაც შეიძლება ვერ დაიცვას საქართველო თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც მოხდა კიდევ 2008 წელს.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, არ შეიძლება არ იქნეს გამოყენებული ქვეყნის მსოფლიო მნიშვნელობის გეოპოლიტიკური მდებარეობის რესურსები. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, ის ძირითადი სატრანსპორტო არტერიებია, რომლებითაც საქართველო უკავშირდება შავი ზღვისპირეთის ნავსადგურებს, ჩრდილოეთკავკასიას, აზერბაიჯანს, მთელ მსოფლიოს დასავლეთით, ჩრდი-

ლოებით და სამხრეთით. ეს სატრანსპორტო დერეფანი უდიდეს პერსპექტივებს სახავს საქართველოსა და მთელი კავკასიის, ცენტრალური აზიის, აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში [3].

ყურადღებას იქცევს ტრასეკას მერიდიანული სატრანსპორტო გზების პროექტები. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია, მაგალითად, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი, ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი არის ახალი სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც გააერთიანებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო ხაზებს. პროექტის განხორციელების შედეგად, თურქეთის გავლით, გაიხსნება სარკინიგზო დერეფანი კასპიის ზღვიდან ევროპისკენ, ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტით შესაძლებელი იქნება დერეფნის გახსნა, რომელიც რუსეთს თურქეთთან დააკავშირებს. ამ ხაზით მოხდება როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო გადაყვანები და ის მოიაზრება როგორც ალტერნატიული სატვირთო ტრანსპორტირების გზა ირანთან მომავალი არსებული სატრანზიტო გზების ნაცვლად. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელება 2007 წელს დაიწყო, მშენებლობა კი 2008 წელს და იგი ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას და ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე. მენეჯმენტის აზრით, თურქეთსა და ცენტრალურ აზიას შორის გაზრდილი ვაჭრობა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან შემოსავლებსა და ვაჭრობის ნაკადის მოსაპოვებლად, კერძოდ ცენტრალური აზიიდან თურქეთში იმპორტირებული ნედლეულისა და თურქეთიდან ექპორტირებული პროდუქციის. თურქულ-რუსული ვაჭრობის გათვალისწინებით, მენეჯმენტის აზრით, არსებობს დამატებითი მოცულობის მოპოვების შესაძლებლობა, კერძოდ მშრალი ტვირთის, რომლის გადაზიდვაც ამჟამად ირანის ან შავი ზღვის გზით ხდება [4].

2013 წლის 1 მარტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მონაწილეობა მიიღო მინისტრიალში, რომელიც ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის მიმდინარეობას შეეხებოდა. შეხვედრის დასასრულს საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის მინისტრებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელშიც განისაზღვრა პროექტის განვითარების ცალკეული საკითხები. მათ შორის, სამშენებლო, ინფრასტრუქტურული, ფინანსური და სხვ. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის საქართველოს მონაკვეთის მშენებლობა 775 მილიონი აშშ დოლარი დაჯდება. ამ ეტაპზე, სამუშაოები, საერთო ჯამში, მესამედით არის შესრულებული. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შედეგად, რომელიც გათვალისწინებულია 2015 წლისათვის, ექსპლუატაციაში შესული სარკინიგზო მარშრუტი ევროპასა და ჩინეთს შორის დღეს არსებულ სხვა სატრანზიტო გზებთან შედარებით უმოკლესი იქნება. პროექტს გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური, ისე პოლიტიკურ-სტრატეგიული. ეს არის უნიკალური პროექტი, რადგან იგი დადებითად იმოქმედებს არა მხოლოდ აღნიშნული სატრანსპორტო დერეფნის განვითარებაზე, არამედ რკინიგზის მიმდებარედ მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ სამივე ქვეყნის – საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებს კარგად ესმთ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ამოქმედების მნიშვნელობა და ხელს შეუწყობენ აღნიშნული სარკინიგზო გადასასვლელის მშენებლობის დროულად დასრულებას [5]. ამის დასტურია სამი ქვეყნის – საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრა 2014 წლის მაისში ქ. თბილისში, სადაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განხილულ იქნა, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დროულად დასრულების საკითხი.

ამრიგად, ტრასეკას მერიდიანული სატრანსპორტო გზები და ახალი აბრეშუმის გზა აზიისა და ევროპის მრავალი ქვეყნის დიდ ინტერესს იწვევს. იგი ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ინტეგრირებას ევროპულ სტრუქტურებში, მათი ეკონომიკური და ბუნებრივი რესურსების მჭიდროდ დაკავშირებას დასავლეთის არეალთან, ევროპისა და მსოფლიო ბაზრის სტრუქტურებთან. პრაქტიკულად დასტურდება, რომ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი მრავალდარგოვანი და მრავალფუნქციური სატრანსპორტო კომუნიკაციაა, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრალური აზიის, კასპიის ზღვის აუზის, ყაზახეთის, ამიერკავკასიის, აგრეთვე რუსეთის მდიდარი ბუნებრივი რესურსების ათვისებას, მათ მსოფლიო ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვას.

ტრასეკა მოითხოვს საქართველოს მთელი სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზაციას. კერძოდ, საჭიროა საზღვაო ფლოტისა და ნავსადგურების, ტერმინალების განვითარება, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების, რკინიგზის, აეროპორტების ტექნიკური გადაიარაღება, მათი მოდერნიზაცია, სტრუქტურული რეკონსტრუქცია, მართვის ორგანიზაციის გარდაქმნა და სრულყოფა საერთაშორისო მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამ ამოცანის რეალიზაციას უხმანება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება – ანაკლიაში საზღვაო პორტის პროექტირებისა და მშენებლობის შესახებ. ყოველივე ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს საერთაშორისო ინტეგრაციაში მონაწილეობის მუდმივი ფუნქციის შექმნას, გეოგრაფიული მდებარეობის, უნიკალური ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის, აბრეშუმის გზისა და ტრასეკას გამოყენებით. ტრასეკა ევრო-აზიის ვრცელი რეგიონის ინტეგრაციის, დაბალანსებული განვითარებისა და სოციალურ-პოლიტიკური სტაბილიზაციის ფაქტორად გვევლინება.

საქართველოს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში ინტეგრაციის ხარისხზე ასევე კარგად მეტყველებს ქვეყნის ურთიერთობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან და მსოფლიო წამყვან საფინანსო ინსტიტუტებთან (საერთაშორისო სავალუტო ბანკი, მსოფლიო ბანკი და სხვ.).

შევიცარიულმა ეკონომიკის ინსტიტუტმა 2011 წლის მსოფლიო გლობალიზაციის ინდექსი გამოაქვეყნა, სადაც საქართველო 156 ქვეყანას შორის 74-ე პოზიციას იკავებს. რეგიონის ქვეყნებიდან საქართველოზე წინ მოდღოვა (63), თურქეთი (59), უკრაინა (53) და რუსეთი (52) არიან. რეიტინგის სათავეში ევროპული ქვეყნები – ბელგია, ავსტრია და ნიდერლანდები უდგანან, აუტსაიდერებში კი ტრადიციულად აფრიკული და ოკეანის ქვეყნები იმყოფებიან.

გლობალიზაციის ინდექსი სამი მთავარი კომპონენტისგან შედგება: ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაცია. ყველაზე კარგი მაჩვენებლები საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაციის კომ-


პონენტში აქვს, სადაც 33-ე პოზიციაზე იმყოფება და რეგიონის ქვეყნებს შორის პირველია. ამ კომპონენტის ლიდერები არიან სინგაპური და ლუქსემბურგი. **სოციალური** გლობალიზაციის მიმართულებით საქართველო 98-ე, ხოლო **პოლიტიკური** გლობალიზაციის მიმართულებით კი 139-ე პოზიციაზეა.

მსოფლიო ეკონომიკურ-ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს ეკონომიკის მონაწილეობის დონის (ხარისხის) შეფასებისათვის მიზანშეწონილია განვიხილოთ საერთაშორისო ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი მაჩვენებლები, კერძოდ ის, თუ როგორი ტენდენციებით ხასიათდება საგარეო სავაჭრო ბრუნვა ექსპორტ-იმპორტი. როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ცხადყოფს, საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 2004 წლის მაჩვენებლებით 6 444. 3 მლნ დოლარიდან გაიზარდა 9 246. 9 მლნ დოლარამდე, ანუ 143.4 %-ით. დროის ამავე პერიოდში, პროდუქციის რეგისტრირებული ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 1 232.1 მლნ აშშ დოლარიდან, 2 189. 0 მლნ აშშ დოლარამდე, ანუ 177.7 %-ით, ხოლო რეგისტრირებული იმპორტის მოცულობა 5 122. 2 მლნ აშშ დოლარიდან 7 057. 8 მლნ აშშ დოლარამდე, შესაბამისად 137.8 %-ით [6].

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ამჟამად ჩამოყალიბებული დონე ადასტურებს, რომ ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების პროცესი უშუალოდ უკავშირდება ინტეგრაციული კავშირების გადრმა-ვებას და ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ფაქტორთა ამოქმედებას. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია გლობალიზაციისა და ინტეგრაციის მიმდინარე პროცესებში საქართველოს ეკონომიკის როლისა და ადგილის ობიექტურად შეფასება და ქვეყნის ინტერესების შესაბამისად ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა.


საქართველოს მსოფლიო სივრცეში ინტეგრირების ხარისხის შესაფასებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ **გლობალიზაციის ინდექსი**, რომელიც არის აგრეგირებული მაჩვენებელი და მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს, ხოლო ამ სამი ინდექსის შეწონვის შედეგად გამოანგარიშებულია ერთიანი გლობალიზაციის ინდექსი. ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსს ერთიანი ინდექსში აქვს 36%-ული წილი, სოციალური გლობალიზაციის ინდექსს – 37%-ული წილი, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსს 26%-ული წილი.

ჩვენთვის საინტერესო იქნება საქართველო განვიხილოთ **ეკონომიკური და ერთიანი გლობალიზაციის** კუთხით. ონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ იზრდებოდა ორივე ინდექსი, თუმცა ეკონომიკური გლობალიზაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ერთიანი გლობალიზაციის ინდექსს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაციის კუთხით ნაკლები აქტიურობით გამოვიჩნევით.



ერთიანი და ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი (2010) [7]

ერთიანი გლობალიზაციის ინდექსში განხილულია 187 ქვეყანა, რომელთა შორის საქართველო 69-ე ადგილზე იმყოფება.



ერთიანი გლობალიზაციის ინდექსი (2009წ) [8]

ეს ორი მაჩვენებელი გაანგარიშებულია სხვადასხვა მოცულობის ქვეყნებისათვის და მათი შემადგენელი კომპონენტებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ერთიანი გლობალიზაციის ინდექსი საშუალო მაჩვენებელიდან და მედიანიდან გადახრილია 0.34, მაქსიმუმიდან – 1.9, ხოლო მინიმუმიდან – 2.2 სტანდარტული გადახრით. რაც შეეხება ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსს, იგი საშუალო მაჩვენებელიდან და მედიანიდან გადახრილი 0.9, მაქსიმუმიდან – 1.3, ხოლო მინიმუმიდან – 3.1 სტანდარტული გადახრით. ეს ანალიზი კიდევ უფრო ამტკიცებს თავდაპირველ მოსაზრებას, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით, საქართველო მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის საერთო გლობალიზაციის დონეს.

როდესაც ვსაზღვრავთ საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებს, მის ადგილს თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის და ინტეგრაციის კონსტექტში, ჩვენი აზრით, საჭიროა გამოვიყენოთ საქართველოზე ორი დონის, ორი სახის შეხედულება. პირველი, ეს არის საქართველო, როგორც გლობალური, მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მონაწილე და მეორე, საქართველო, როგორც გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ სივრცეში განლაგებული ქვეყანა.

ასეთი ორი სახის, ორი დონის მიდგომა თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ადგილის მიმართ, საშუალებას გვაძლევს სწორად დავინახოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობები დასავლეთთან – ევროპისა და აზიის რეგიონების ქვეყნებთან. საქართველოს განვითარების სოციალურ-ეკონომიკური კონცეფცია, ევროპულის და ამერიკულის პარალელურად, უნდა ითვალისწინებდეს რუსეთის ფაქტორსაც. ამდენად, საქართველოს, სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში სჭირდება ისეთი ეკონომიკური ურთიერთობებისა და მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის ინტერესების გლობალურ ხედვას მსოფლიოს მოცემულ რეგიონში. ხედვის არსი იმაში გამოიხატება, რომ გლობალური და რეგიონული ინტერესები ერთმანეთს კი არ უნდა უპირისპირდებოდნენ, არამედ ერთმანეთს შეთანხმებულად უნდა ავსებდნენ. საქართველომ თავისი განვითარებით ხელი უნდა შეუწყოს ევროპას და აზიას შორის ყოველმხრივი ურთიერთობისა და დიალოგის განვითარებას, მათ შორის პოლიტიკური და უშიშროების სფეროში და პერსპექტივაში უნდა უზრუნველყოს აზიის რეგიონის ეკონომიკასთან კავშირის მკვეთრად გაძლიერება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვეშაბიძე შ., ლეკაშვილი ე., გრიშკაშვილი ა., ასლამაზაშვილი ნ., მსოფლიო ეკონომიკა. თბ., 2008.
2. სტიგლიცი ჯ., გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბ., 2012.
3. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა., რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა.
4. http://www.railway.ge/?web=0&action=page&p_id=289&lang=geo
5. <http://www.economy.ge/ge/media/news/stambolis-ministerialze-baqo-tbilisi-yarsis-rkinigzis-mseneblobis-droulad-dasrulebaze-setanxmdnen>
6. www.statistics.ge
7. <http://chalaepc.wordpress.com/2013/04/18/saqarTvelo-da-msofli/>
8. <http://chalaepc.wordpress.com/2013/04/18/saqarTvelo-da-msofli/>

Jandri Zarandia

GEORGIA IN CONTEMPORARY WORLD IN THE GLOBALIZATION AND INTEGRATION CONTEXT
Annotation

Currently, world community, including Georgian nation, is at the post-industrial development stage characterized with global integration of the highly developed countries and strive towards unified global economic system. In the globalization and integration process, Caucasus occurred to be at the crosspoint of world-significance strategic interests: NATO member countries and European Union on one hand and Russia, Iran and China – on the other.

Regarding geopolitical position of Georgia, country's resources originating of the geopolitical location of world significance could not be left unused. Determining Georgia's economic relations, its place in the contemporary world, within the globalization and integration context, in our opinion, it is necessary to apply the two levels, two types of views of Georgia. One of them is Georgia, as a participant of global, world's economic and political processes and the second – Georgia, as a country located within the geoeconomic and geopolitical space. Such two-type, two-level approach to Georgia's place in the contemporary world allows us to properly see the economic relations of our country with the western world – countries of Europe and Asia regions.

Thus, in the process of development and implementation of the strategy, Georgia needs to elaborate the economic relations and mechanisms ensuring global vision of the interests of Georgia in given region of the world. Georgia, by its development, should contribute to improvement of the relations and dialogue in all spheres between Europe and Asia and in the long run, ensure drastic improvement of the longs with the economy of Asia region.

მარიამ ზუბიაშვილი
თამარ კილაძე

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია და სახელმწიფოს როლი

XX–XXI საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია პროგრესირებადი გლობალიზაცია, რაც გამოიხატება შემდეგ პროცესებში:

- წარმოების ინტერნაციონალიზაცია;
- კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება;
- საწარმოო ძალთა გლობალიზაცია;

- გლობალური მატერიალური, ინფორმაციული, ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ფორმირება;

- სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბების გაზრდა.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის თანმდევი პროცესია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება. მან თავისი განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა და მსოფლიო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში დიდი ცვლილებები შემოიტანა. გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპი (XX საუკუნის პირველი ნახევარი – XXI საუკუნის დასაწყისი) [4.17] დაკავშირებულია დრმა წინააღმდეგობებთან და არაერთმნიშვნელოვანი შედეგების მატარებელია: მიმდინარეობს ბრძოლა რესურსებისათვის, გავლენის სფეროებისათვის, გასაღების ბაზრებისათვის, ინტელექტუალური რესურსებისათვის, რაც პრაქტიკულად ყველა ქვეყნის ინტერესებს ეხება. გლობალიზაციის ახალ მიდგომებთან კაცობრიობის ადაპტაცია დღის წესრიგში აყენებს მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ცვლილებების სწორად შეფასების აუცილებლობას, ეროვნული სახელმწიფოები კი განვითარების ოპტიმალური სტრატეგიის გზებს ეძებენ იმისათვის, რათა ეს პროცესი გამოიყენონ თავიანთი ეროვნული პრობლემების გადასაჭრელად. გარდა ამისა, გლობალიზაციის პროცესები ერწმინან ეროვნული იდენტურობის პროცესებს. ეროვნული თვითგამოვლენისაკენ სწრაფვას ხშირად თან ერთვის საზოგადოების დამცავი რეაქციები გლობალიზაციის დამანგრეველი ძალების საწინააღმდეგოდ (უმუშევრობა, ტრადიციული კავშირების რღვევა და ა.შ.).

სწავლული ეკონომისტების რ.ო.ბრაიენის [10], ი.ოსადიჩის [8], ა.ელიანოვას [19], მათ შორის ქართველი ეკონომისტების ნ.ჭითანავას [1], თ.ჩიკვაძის, ს.სილაგაძის, თ.ბასილიას [2] და სხვათა შრომებში მოცემულია გლობალიზაციასთან დაკავშირებული ეროვნულ სახელმწიფოთა საქმიანობაში ახალი მიდგომები, მსოფლიო განვითარების მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრისათვის სახელმწიფოს, ბაზარსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ძალთა განლაგებისა და შესაბამისობის ახალი ხედვები.

ბ-ნი ნ. ჭითანავა გლობალიზაციის პირობებში საქართველოსთან მიმართებაში შეეცადა საზოგადოების ყურადღება გაემახვილებინა სახელმწიფოს განვითარების ოპტიმალური სტრატეგიების ძიებასა და სახელმწიფოს ახალ ფუნქციასზე. მან თავის ნაშრომში “გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები” წარმოადგინა გლობალიზაციასთან დაკავშირებული მომენტები, ახალი ხედვები, სახელმწიფოს ახალი ფუნქციები. ამასთან ერთად, ფინანსურმა კრიზისმა გააძვავა წინააღმდეგობები და აუცილებელი გახდა როგორც სახელმწიფოს დონეზე, ასევე მსოფლიოს მასშტაბით, იმ ძალების, საშუალებების და სტრუქტურების მოძიება, რომლებიც ხელს შეუწყობენ წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრას.

გამოკვლევებმა უჩვენა, რომ მსოფლიო საფინანსო ბაზარზე დღეს სიტუაციას განსაზღვრავენ არა ეროვნული მთავრობები, არამედ კერძო კაპიტალი. აშშ 3 ტრილიონი დოლარი ფინანსური სახსრებიდან, რომელიც მოძრაობს ქვეყნიდან ქვეყანაში ერთ თვეში, 2 ტრილიონზე მეტი არ კონტროლდება სახელმწიფოს მიერ [5.12].

პერსპექტივაში მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტემპების დაჩქარებას მეცნიერები უკავშირებენ ინოვაციურ საქმიანობას. მას წარმატებით ეუფლებიან ტრანსეკონომიკური კორპორაციები (ტეკ), რომლებიც გამოიყენებენ როგორც თავიანთ რესურსებს, ასევე მთელი მსოფლიოს მეცნიერულ სიხლეტებს, მსოფლიო მასშტაბით ინვესტიციების მართვის გამოცდილებას. ტეკ-ის როლის ზრდა, რომელთა შორის 500 აკონტროლებს მსოფლიო ვაჭრობის 70%, ხოლო 400 – ყველა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნახევარს, ადასტურებს, რომ გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალაა ტეკ და ბანკები [1.75]. თუმცა, რიგი გარემოებების გამო ყველაზე მძლავრი ტეკ ბოლომდე ვერ არეგულირებს მსოფლიო ბაზრის სტიქიურ პროცესებს და იძულებულია მიმართოს სახელმწიფო დახმარებას. ამ მიმართებაში ბ-ნი ნ.ჭითანავა სწორად აღნიშნავს - “გლობალიზაციის რთულ პროცესში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს ქვეყნის შიგნით. ამიტომ, ბუნებრივია, სახელმწიფოს როლი, მისი ეკონომიკური ფუნქციები კონკრეტული სიტუაციის მიხედვით უნდა განისაზღვროს. . . . სახელმწიფო, როგორც სოციალური სტაბილურობის გარანტი გლობალიზაციის პროცესში იძენს ეროვნული ინტერესების დაცვის ახალ ფუნქციას” [1.49].

განსაკუთრებით შესაძინეია კრიზისის პირობებში მთავრობების და ცენტრალური ბანკების ქმედებები სავალუტო-საკრედიტო და საერთო ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის სფეროებში. გლობალური პროცესის გარკვეულ კოორდინაციას ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაციები: გაერო, მსო, მსფ, მსოფლიო ბანკის ჯგუფი, ლონდონის და პარიზის კლუბის კრედიტორები, რეგიონული ინტეგრირებული გაერთიანებები, “დიდი შვიდეული”, “ჯგუფი 20”.

უკანასკნელი წლების მოვლენებმა გვიჩვენა, რომ მსოფლიო ბაზრის რეგულირების არსებული სტრუქტურები და ინსტრუმენტები აშკარად არასაკმარისია. უფრო მეტიც, ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა მსოფლიო მეურნეობის რეგულირების საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის სუსტი მხარეები და გაძლიერდა მათი კრიტიკა. გლობალიზაციის ეპოქის ერთ-ერთი მთავარი საერთაშორისო კონფლიქტი არის გლობალიზაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის კონფლიქტი. როგორ მკვლევრები აღნიშნავენ, “წინააღმდეგობა მწვავედ აღიქმება პლანეტის მოსახლეობის იმ ნაწილებს შორის, რომლებიც ჩართულნი არიან გლობალიზაციაში და სარგებლობენ მისი სიკეთებით და, რომლებიც გამოირიცხულნი არიან გლობალური ეკონომიკისაგან და მოკვებითი არიან მოხმარების უფრო მაღალი დონიდან [4.20].

აღსანიშნავია, რომ დღეს არ არსებობს ერთიანი აზრი გლობალიზაციის გავლენის შესახებ ეკონომიკურ ზრდაზე და ჩამორჩენილობის დაძლევაზე. მაგრამ 2000-იან წლებში დედამიწის 20%-ზე მეტი მოსახლეობის დღიური პირადი ბიუჯეტი შეადგენდა 1 აშშ დოლარს (ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით). მსოფლიო ბანკის პროგნოზებით 2020-იანი წლების ნახევარში მსოფლიო მოსახლეობის ერთ სულზე მშპ საშუალო წლიური ზრდის ტემპი არ გადააჭარბებს 2%-ს და გლობალური უთანასწორობა გარკვეულად შემცირდება [6.22]. მაგრამ, ყველა ქვეყანას არ შეუძლია გლობალიზაციის შესაძლებლობებით სარგებლობა. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება განვითარებად ქვეყნებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია ფინანსური სისტემის და მთლიანად ეკონომიკის მოუმწიფებლობა.

საერთაშორისო ზეეროვნული ორგანოების შექმნით, რომელთა დანიშნულებაა მსოფლიო ბაზრის რეგულირება, სახელმწიფო დელეგირებს მათზე თავისი უფლებამოსილების ნაწილს, მიზნად ისახავს უზრუნველყოს საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის სტაბილურობა და სუსტები დაიცვას ძლიერებისაგან. ერთი მხრივ, ხდება კონფლიქტების შერბილება და საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის სტაბილიზაცია, მეორე მხრივ – საერთაშორისო ორგანოებს გამოიყენებენ წამყვანი ქვეყნები, რათა ზეწოლა მოახდინონ უფრო სუსტ პარტნიორებზე. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია მარეგულირებელი სტრუქტურების მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია, ან გლობალიზაციის თანამედროვე დონის შესაბამისი ახალი, ალტერნატიული ორგანოების შექმნა. ეს ნიშნავს, რომ ეროვნულ სახელმწიფოებს მოუხდებათ თავიანთი მარეგულირებელი ფუნქციები გადასცენ ზეეროვნულ გლობალურ ინსტიტუტებს.

უფლებამოსილების დელეგირებისა და ზესახელმწიფოებრივი ახალი სტრუქტურების შექმნის საფუძველზე ზოგიერთი პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მოხდება სახელმწიფოს როლის დასუსტება და მისი მოსპობაც კი. ეს მაშინ, როცა, დღეისათვის მთელ ძალაუფლებას ფლობს მხოლოდ სახელმწიფო. ამის საწინააღმდეგოდ ზოგიერთი ეკონომისტი დასძენს, რომ საერთაშორისო ზეეროვნულ ორგანიზაციებზე სუვერენიტეტის ნაწილის გადაცემა არსებითად არაფერს არ ცვლის, რადგანაც “დელეგირებული უფლებამოსილების უკან გამოწვევა შეიძლება, ხოლო გაერთიანებული სუვერენიტეტი შეიძლება იყოს არა უფრო სუსტი, არამედ ცალკე ეროვნულზე უფრო ძლიერი [9.14].

ამასთან ერთად, გლობალიზაციისა და მისი თანმდევი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესების გავლენით სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონირებაში გარკვეული ცვლილებები ხდება ეროვნულ დონეზე. უწინარეს ყოვლისა, გართულდა საერთოეროვნული ინტერესების გამოვლენა და მისი დაცვა საერთაშორისო დონეზე. საერთოეროვნული კურსის შემუშავების დროს მთავრობას უხდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებისა ცი. საუბარია საკუთრების სხვადასხვა ფორმების სუბიექტებზე და საქმიანობის სფეროებზე: მწარმოებლებზე და მომხმარებლებზე, ექსპორტიორებზე და იმპორტიორებზე, სახელმწიფოს თანამდებობრივ პირებზე, ჩინოვნიკებზე და ა.შ.

ინტერესები, რომლებსაც იცავს კონკრეტული მთავრობა დროის გარკვეული მომენტში, ყოველთვის სულაც არ არის საერთოეროვნული. ყოველ სამეურნეო სუბიექტს შეუძლია ამტკიცოს, რომ სწორედ მისი პოზიცია გამოხატავს საერთო, საერთოეროვნულ პრიორიტეტებს. სინამდვილეში კი განსახლება იმისა, თუ რომელი ჯგუფის ინტერესები და რა ზომით შეესაბამება იგი ქვეყნის ინტერესებს, მარტივი არ არის. ეს ეხება სახელმწიფო აპარატს, რომლის წარმომადგენელს სამსახურებრივი მოვალეობით ეველება გამოავლინოს და წარმოადგინოს ეროვნული ინტერესები. არსებობს ასევე ინტერესების ლობირება და მცდელობა, რათა წარმოადგინონ “თავიანთი” გავლენის ჯგუფების სურვილები, როგორც ეროვნული. ასეთებად ზოგჯერ ცხადდება დომინირებული ჯგუფების ინტერესები, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფო აპარატს.

გლობალიზაციის პროცესის დაჩქარება, ეროვნულ სახელმწიფოთა ურთიერთობებში მრავალი პრობლემისა და ახალი ტენდენციების გაჩენა, მსოფლიო ეკონომიკის გლობალური პრობლემების გადაწყვეტა აიძულებს მათ ახლებურად შეხედონ ურთიერთსაწინააღმდეგო შიდა და გარე ეკონომიკურ ინტერესებს. საგარეო ეკონომიკური სფეროს მნიშვნელობის მეფთრად ზრდამ განახორციელა საგარეო და შიდა ეკონომიკური პოლიტიკის ინტერესების დაახლოება. პოლიტიკის საგარეო ეკონომიკური ვექტორი სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, იძლევა გადაწყვეტილებების ახალ შესაძლებლობებს და შიდა ეკონომიკურ ამოცანებს.

ამგვარად, სახელმწიფოს როლი, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის სტრუქტურულ-მომქმნელი ელემენტისა, ნარჩუნდება და იზრდება კიდევ, მაგრამ ეს არ ცვლის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებაში საბაზრო მექანიზმის ფუძემდებლურ როლს. არ არის ნავარაუდები სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში ეროვნულ დონეზე. 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს “ჯგუფი 20”-ის წარმომადგენლებმა დაადასტურეს საბაზრო პრინციპებთან თავიანთი ერთგულება.

მიუხედავად იმისა, რომ კრიზისის პერიოდში საფინანსო ბაზრის რეგულირება გახდა მიზეზი იმისა, რომ რიგ ქვეყნებში გაიზარდა სახელმწიფოს ჩართულობა ეროვნული ეკონომიკის რეალურ სექტორში, დღემდე მაინც გრძელდება კამათი ამ ჩართულობის ეფექტურობის შეფასების შესახებ [7.21]. სტრატეგიული თვალსაზრისით საკითხი მდგომარეობს მსოფლიო ეკონომიკის ახალი სახით ინსტიტუციური სისტემის შექმნაში, რომელიც გააძლიერებს საერთაშორისო ორგანოებისა და ორგანიზაციების როლს, მაგრამ, ამავე დროს, არ ასუსტებს სახელმწიფოს უფლებებს. საუბარია ერთობლივად შექმნილ ორგანოებზე მხოლოდ იმ ფუნქციების გადაცემაზე, “რომელთა დამოუკიდებლად განხორციელება ან შეუძლებელია, ან არაეფექტურია” [7.31].

ამგვარად, მიმდინარეობს უფრო ეფექტური მარეგულირებელი მექანიზმების ძიება, რომლითაც სახელმწიფოს მიენიჭება თავისი, უფრო ეფექტური როლი, და ამავდროულად შესუსტდება ეკონომიკაში მისი ჩართულობა.

გლობალური ურთიერთდამოკიდებული მსოფლიოს ნაირსახეობის გათვალისწინებით, სწავლულები და პოლიტიკური მოღვაწეები გეთავაზობენ მსოფლიო ეკონომიკის გარკვეულ სფეროებში სამეურნეო პოლიტიკის შეთანხმებულობის გაძლიერებას. გაეროს ექსპერტები ფიქრობენ, რომ დროულია უკვე დღეს, გლობალური ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის დროს შემუშავდეს სახელმწიფოსა და კერძო კაპიტალს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთქმედების სტრატეგია [7.29].

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში გამოვლენილი კანონზომიერებები და წინააღმდეგობები, მათი გადაჭრის შესაძლო გზები საშუალებას იძლევა, ყურადღება გამახვილდეს საქართველოს საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაზე. საკვებით ნათელია, რომ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საქართველოს აქტიური მონაწილეობა მსოფლიო ბაზრის რეგულირების საქმეში ქვეყნების პოზიციების შეთანხმებით, რაც გულისხმობს სპეციალისტების, სწავლულების, ეკონომისტების მომზადების გაძლიერებას, რომელთაც ექნებათ უნარყ, დაიცვან თავიანთი ქვეყნის პოზიციები და ამავე დროს აქტიურად მოახდინონ გავლენა შეთანხმებული გადაწყვეტილებების ფორმირებაზე. მნიშვნელოვანია იმის გათვითცნობიერება, რომ ქვეყნის სუვერენიტეტის ნაწილის

საერთაშორისო დონეზე გადაცემამ შესაძლოა დადებითი ეფექტი მოუტანოს მეურნეობრიობის ყველა სუბიექტს და არ წარმოადგენდეს საშიშროებას ქვეყნის თვითიდენტიფიკაციისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი, თბ. 2001. 420 ბმ.
2. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე. პოსტსოციალისტური ტრანსპორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001. 544 გვ.
3. Евстигнеев В. Финансовая глобализация – явление и методологический инструмент. // МЭиМО. 2001. №3 с.74-76;
4. Загашвили В. На пороге нового этапа экономической глобализации. // МЭиМО. 2001. №3. с.15-23;
5. Иванов Н. Глобализация и проблемы оптимальной стратегии развития. // МЭиМО. 2001. №3. с.12-18;
6. Инновационное развитие – основа модернизации экономики. М.: 2008.
7. Клинова М. «Возвращение» государства: «скорая помощь» в кризисе или устойчивая тенденция? // МЭиМО. 2010. №5. с.18-31.
8. Осадчая И.М. Глобализация и государство: новое в регулировании экономики развитых стран. // МЭиМО. 2002. №1. с.3-15.
9. Эльянов А.Д. Глобализация и догоняющее развитие. // МЭиМО. 2004. №1. с.7-10.
10. O'Brien.R. Global Financial Integration. The end of Geography/R.o'Brien. L., 1992.

*Mariam Zubiashvili
Tamar Kiladze*

**THE GLOBALIZATION OF THE WORLD ECONOMY AND THE ROLE OF GOVERNMENT
Annotation**

The article describes the process of globalization of the world economy. Positions and methods of Georgian and foreign scientists are covered around the issues. It's shown that transnational corporation is driving force of globalization, however they can't regulate natural process of world market, which forces them to ask for help to the government. Based on works of the Georgian and foreign scientist the authors of article think to transfer part of country's sovereignty at the international level can bring positive effect all aspects of economy and it's not danger for self-identification of country.

მურმან კვარაცხელია

მშობრაციის მიზნები და მუშაობის მშობრაცია

თანამედროვე საქართველოსათვის სიღარიბე ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და ძირითადი შიდა საფრთხეა. სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმწვავე იზრდება ოჯახში კმაყოფილება მყოფ პირთა რაოდენობის ზრდის პარალელურად. სიღარიბის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორებია უმუშევრობა და დასაქმებიდან მიღებული მცირე შემოსავალი. შესაბამისად, ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა არსებითად დამოკიდებულია დასაქმების ხელშეწყობის მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებაზე, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებაზე. ყოველივე ეს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე აისახება.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონე 62-65%-ის ფარგლებშია (ცხრილი 1). იგი 7-8 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ პარამეტრებს, მაგრამ საქართველოს ტიპის ქვეყნისათვის დაბალი არ არის. სამაგიეროდ, ძალიან დაბალია 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელი და მაღალია უმუშევრობის დონე (16,3%). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა (განსაკუთრებით, დაქირავებით დასაქმებულების) წლიდან წლამდე მცირდება, რაც თვალნათლივ ადასტურებს დასაქმების სფეროში ვითარების გაუარესების ტენდენციას.

ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის დონე 1998-2011 წლებში, %

წლები	ეკონომიკური აქტიურობის დონე	დასაქმების დონე	უმუშევრობის დონე
1998	65,2	55,7	14,5
1999	66,0	56,9	13,8
2000	65,2	58,4	10,3
2001	66,2	58,8	11,1
2002	65,0	56,8	12,6
2003	66,2	58,6	11,5
2004	64,9	56,7	12,6
2005	64,0	55,2	13,8

2006	62,2	53,8	13,6
2007	63,3	54,9	13,3
2008	63,1	54,6	13,6
2009	64,2	55,1	16,5
2010	64,6	55,8	16,9
2011	64,0	55,5	16,3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.

სწორედ დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობა და შრომის ანაზღაურების დაბალი დონე უბიძგებს საქართველოს მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს, დატოვოს სამშობლო და არსებობის წყარო ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებოს. სპეციალური კვლევები ადასტურებს, რომ შრომით ემიგრანტთა 80-85% ქვეყანას ეკონომიკური მიზეზებით (უმუშევრობა, დაბალი ხელფასი) ტოვებს. ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებისათვის, ბიზნესგარემოს გაუმჯობესების გარდა, აუცილებელია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების პირობების შექმნა, რაც გულისხმობს შესაბამისი საკანონმდებლო, ორგანიზაციული და ფინანსური ბერკეტების შემუშავებასა და გამოყენებას.

გამოკვლევებით დასტურდება, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური შრომის ბაზარი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია. ამჟამად მისი ფუნქციონირება ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რომელთაგან ძირითადია:

დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები (სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობა), რაც განპირობებულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით.

1990-იანი წლების ეკონომიკური კოლაფსის შედეგად საქართველოში 1990-2000 წლებში წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა 4-ჯერ და მეტად შემცირდა [1].

1999-2003 წლებში მშპ-ს წარმოების ზრდის ტემპმა წელიწადში საშუალოდ 3-4% შეადგინა, რაც განაპირობებული ეკონომიკის აღორძინებისათვის საკმარისი არ იყო. „გარდების რევილუციის“ შემდგომ პერიოდში (2004-2007) განხორციელებული რეფორმების, ეკონომიკური გარემოს გაჯანსაღების მიზნით გატარებული ღონისძიებების (საგადასახადო კოდექსის სრულყოფა, გადასახადების შემცირება, ბიზნესის დაწვევისათვის პირობების სრულყოფა, კორუფციასთან ბრძოლა, პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება და ა.შ.) შედეგად მნიშვნელოვნად დაჩქარდა მშპ-ს წარმოების ზრდის ტემპი (საშუალოდ 9,3%) [2, გვ.13]. თუმცა, მშპ-ს დარგობრივი სტრუქტურა თვალნათლივ წარმოაჩენს ქვეყნის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობას. კერძოდ, ის ფაქტი, რომ 2007 წელს წარმოებული მშპ-ის 52,6% მომსახურების სფეროში შეიქმნა, ხოლო სოფლის მეურნეობასა და თევზჭერაში 16,9%, მრეწველობაში, ელექტროენერჯიას, გაზსა და წყალმომარაგებაში 18,4%, მშენებლობაში 8,9% და ა.შ. ადასტურებს ქვეყანაში მწარმოებლური დარგების განვითარებლობას. გარდა ამისა, საქართველოში იმპორტის მოცულობა თითქმის 4-ჯერ აღემატება ექსპორტის სიდიდეს და უარყოფითი სალდო სულ უფრო იზრდება. 2011 წლისათვის იმპორტ-ექსპორტის შორის უარყოფითმა სალდომ თითქმის 4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტის ზრდა და ექსპორტის შემცირება პირდაპირ ასახავს ქვეყანაში სამუშაო ადგილების კლების ტენდენციას.

გამოკვლევებით დასტურდება, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არა მარტო რაოდენობრივი, არამედ სერიოზული სტრუქტურული (პროფესიების მიხედვით) და ხარისხობრივი (კვალიფიკაციის მიხედვით) დისბალანსია. პროფესიული განათლების სისტემაში მომზადებულთა სტრუქტურა არ შეესაბამება კონკრეტული პროფესიის კადრებზე დამსაქმებელთა მოთხოვნებს. იმის გარდა, რომ მთელი რიგი პროფესიის (მაგალითად, ჟურნალისტები, ეკონომისტები, ფინანსისტები, იურისტები, ექიმები და სხვ.) კადრების მომზადება ხდება ჭარბი რაოდენობით, არსებობს პროფესიათა ფართო სპექტრი, რომლებზეც მოთხოვნა ქვეყანაში დაუკმაყოფილებელია და მათი მომზადება საქართველოში არ ხდება. გარდა ამისა, დამსაქმებელთა ნახევარზე მეტი უკმაყოფილოა საკუთარი მომუშავეების კვალიფიკაციით, რაც მიანიშნებს პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადების ეფექტიანი სისტემის ფორმირების აუცილებლობასა და მომზადების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებაზე. შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება წარმოუდგენელია მისი ელასტიკურობისა და ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების გარეშე. შესაბამისად, უნდა არსებობდეს ინფორმაცია ეკონომიკასა და დასაქმების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ და უნდა იყოს სპეციალური სტრუქტურა, რომელიც დაგეგმავდა და განახორციელებდა შრომის ბაზრის მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნებზე რეაგირების ღონისძიებებს. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არამცთუ ხანგრძლივი, არამედ ერთწლიანი გეგმა-პროგნოზიცი კი, არ არის ჩამოყალიბებული შრომის ბაზრის კვლევის სახელმწიფო სისტემა. შესაბამისად, არ არსებობს წინაპირობები იმისათვის, რომ საქართველოს შრომის ბაზარი უფრო ელასტიკური იყოს.

საქართველოსა და სხვა დაბალგანვითარებული ქვეყნების შრომის ბაზრის ერთ-ერთი თავისებურებაა არაფორმალური დასაქმების დიდი წილი. როგორც ცნობილია, ოფიციალური სტატისტიკა არაფორმალური დასაქმების შესახებ არ არსებობს. არაფორმალური დასაქმების მასშტაბების შეფასება შესაძლებელია სპეციალური გამოკვლევებით ან ირიბად ისეთი სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, როგორცაა, დაუკვირვებადი (აღურიცხავი) ეკონომიკის მოცულობა, დასაქმებულთა სტრუქტურა, თვითდასაქმებულთა რაოდენობა და ა.შ.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკაში დაუკვირვებადი (აღურიცხავი) გამოშვების წილი 30-33%-ია, სამეწარმეო სექტორში კი ეს მაჩვენებელი 51-56%-ს შეადგენს [3]. ცხადია, დაუკვირვებადი (აღურიცხავი) ეკონომიკის მოცულობაში აისახება არაფორმალური დასაქმების სიდიდეც. ევროპის განათლების ფონდის მიერ 2005 წელს ორგანიზებული სპეციალური გამოკვლევის მიხედვით, ქ. თბილისში

დაქირავებულია თითქმის 40% მუშაობდა შრომითი კონტრაქტის გარეშე. თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ეწევა არაფორმალურ, დაურეგისტრირებელ საქმიანობას. დიდი მასშტაბის არაფორმალური დასაქმება საქართველოში განპირობებულია იმ რთული სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით, რომელიც ქვეყანაში გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარდა. არაფორმალური დასაქმების ზრდა რეალურად მოსახლეობის რეაქციაა დასაქმების პირობების გაუარესებაზე, უმუშევრობის ზრდაზე, ცხოვრების დონის დაცემაზე და ა.შ.

დამოუკიდებელი საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

ა) დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს მასობრივი, მუდმივი ემიგრაციის პროცესი. საწყის ეტაპზე უფრო ინტენსიური იყო არაქართველი მოსახლეობის გასვლა საზღვარგარეთ, შემდგომ კი თანდათან ქართველთა მიგრაციული ინტენსივობაც გაიზარდა;

ბ) ეთნოკონფლიქტებისა და ეთნოწმენდის გამო იძულებითმა მიგრაციამ მოიცვა დიდი ტერიტორია და მოსახლეობა ძალდატანებით გადაადგილდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გაიფანტა სხვა ქვეყნებში;

გ) განვითარდა დიდი ინტენსიურობის შრომითი ემიგრაცია;

დ) შეფერხდა ურბანიზაციის პროცესი, წარმოიშვა ანტიურბანიზაციული მოვლენები, განსახლების სისტემა კრიზისმა მოიცვა;

ე) მინიმუმამდე შემცირდა შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია;

ვ) შეიცვალა ე.წ. სასწავლო მიგრაციის ინტენსიურობა და მიმართულებები;

ზ) პრაქტიკულად შეწყდა შიგა ორგანიზებული მიგრაციები, იმავდროულად, ორჯერ გაიზარდა დეპორტირებული «თურქი-მესხების» საქართველოში ორგანიზებულად ჩამოსახლების პოტენციალი.

თუ მოსახლეობის ბოლო აღწერების შედეგების მიხედვით გავიანგარიშებთ, საქართველოს მოსახლეობის უარყოფითი მიგრაციული საღლო აღწერათაშორის პერიოდში დაახლოებით ერთი მლნ კაცით განიხილავს. მიგრაციის საღლოს გაანგარიშებისას მოსახლეობის აღურიცხავი ნაწილი მთლიანად მიგრაციის საღლოს მიეწერება და მოსახლეობის რიცხოვნობისათვის დასაშვები აბსოლუტური ცდომილება მიგრაციის საღლოსთვის დასაშვებს სცილდება.

1989-2011 წლებში საქართველო მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა, მათ შორის დაახლოებით 800 ათასი შრომითი მიგრანტი იყო. საქართველოში მიგრაციის დონე, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად, 2011 წლისათვის საქართველოდან უცხოეთში 1,1 მილიონი მოქალაქე გასულია [1], რაც ქვეყნის მოსახლეობის 20%-ს შეადგენს (სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2007 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში 4401300 ადამიანი ცხოვრობს). მოსახლეობის მიგრაციის რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა, მისი არამდგრადი და სწრაფად ცვალებადი ბუნების გამო, საკმაოდ რთულია. მიგრაციის მნიშვნელოვანი ხარვეზებით აღრიცხვა ხშირად უზუსტობასა და შეუსაბამობას იწვევს მიგრანტთა საერთო რაოდენობასა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის. დღევანდელი საქართველო მოსახლეობის მიგრაციული ვითარების თვალსაზრისით მკვეთრად გამოხატულ ქვეყანა-დონორს წარმოადგენს, რომლის ძირითად რეციპიენტ ქვეყნებად გვევლინება რუსეთი, თურქეთი, საბერძნეთი, გერმანია და აშშ. 1989 წლის აღწერის შედეგად საქართველოში მუდმივი მოსახლეობის რაოდენობამ შეადგინა 5400 ათასი ადამიანი, 2002 წლის აღწერამ მხოლოდ 4372 ათასი ადამიანი დააფიქსირა, ამ 13 წლის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობა 1029 ათასი ადამიანით შემცირდა. 1989 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის ყოველწლიური საშუალო ზრდის ტემპი შეადგენდა 40,8 ათას კაცს, ანუ უხეში გაანგარიშებით, საქართველოს მოსახლეობა 13 წლის განმავლობაში უნდა გაზრდილიყო 530 ათასი კაცით, მაშინ 2002 წლისათვის საერთო რაოდენობა იქნებოდა 5 930 ათასი კაცი და არა 4372 ათასი; პიპოთეტიკური გათვლებით, საქართველოს მოსახლეობა შემცირდა არა 1029 ათასი, არამედ 1559 ათასი ადამიანით, ანუ 1989-2002 წლებში საქართველოს მოსახლეობის ყოველწლიური დემოგრაფიული დანაკარგი 120 ათასი კაცი იყო [1]. რადგანაც 1989-2002 წლებში საქართველოში დაეცა შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (16,8 -დან 10,7 -მდე), გაიზარდა მოკვდაობის კოეფიციენტი (9,2 -დან 10,7 -მდე) და გარე მიგრაციულ ნაკადთა ინტენსივობა, ამან საგრძობლად შეამცირა მოსახლეობის ყოველწლიური საშუალო ზრდის ტემპი. 2002 წელს შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტების სხვაობის შედეგად მიღებული ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა 0 შეადგინა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს მოსახლეობა აღარ იზრდება და მიმდინარეობს დეპოპულაციის პროცესი, ამას ემატება გარე მიგრაციის უარყოფითი საღლოც.

ბუნებრივია, ჩვენს ქვეყანას საკუთარი წვლილი შეაქვს მსოფლიოში გარე მიგრანტთა ფორმირების საქმეში, თუმცა აბსოლუტური რაოდენობის თვალსაზრისით ეს „წვლილი“ საკმაოდ მოკრძალებულია და დაახლოებით 1% შეადგენს [4, გვ.49]. დასაქმების მიზნით მიგრაცია სერიოზული გლობალური პრობლემაა, რომელიც ამჟამად მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობას ეხება, მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავეთ იგი თავს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში იჩენს ხოლმე. საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის არსებით მხარედ იქცა შრომითი ემიგრაცია. 1990-იანი წლების საყოველთაო კრიზისამდე იგი ძირითადად სამხრეთ საქართველოს არაქართველი მოსახლეობისათვის იყო დამახასიათებელი, კრიზისის დროს კი მან მთელი საქართველო მოიცვა ფართო ეთნიკური სპექტრით. ერთ-ერთი არსებითი ნიშანი, რომელიც თანამედროვე მიგრაციულ პროცესებს ახასიათებს, არის მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად გადასახლების პროცესის ინტენსივობის უკიდურესი შემცირება და სრული შეუსაბამობა თანამედროვე ურბანიზებულიების დონესთან. დაირღვა სოფელსა და ქალაქს შორის მოსახლეობის გადანაწილების სტაბილური პროცესი. ამჟამად ქალაქსა და სოფელს შორის მოსახლეობის განაწილება სრულიად შეუსაბამოა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონისა. მოსახლეობის განაწილება ინდუსტრიული საზოგადოების აღეკატურია, ხოლო სამუშაო ადგილთა სექტორულ-დარგობრივი განაწილება – ავარულად ინდუსტრიულზე გარდამავალი პერიოდისა. განსახლების კრიზისის დაძლევა და ქვეყნის შიგა ტერიტორიული მოძრაობის ნორმალიზაცია ურთულესი ამოცანაა, ღრმა მეცნიერულ კვლევას მოითხოვს, რაც საქართველოში თითქმის არ მიმდინარეობს [7]. საჭიროა სხვადასხვა დარგის ურბანისტ მკვლევართა გაერთიანება და განსახლების სისტემის ახალი სქემების დამუშავება, რო-

მელსაც საქართველოს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სქემები და პროგრამები დაედება საფუძვლად.

მიგრაციის გაფართოება შრომის ბაზარზე მოქმედი ორი ძირითადი ფაქტორითაა განპირობებული:

- შრომისუნარიანი ასაკის ადამიანთა უმრავლესობა ან ვერ შოულობს სამსახურს საკუთარ ქვეყანაში;
- ან ვერ შოულობს შესაფერ სამსახურს ოჯახის არსებობის უზრუნველსაყოფად

მაშინ, როცა ზოგიერთ ქვეყანაში ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში არსებული ვაკანსიების შესავსებად მუშახელის დეფიციტია;

ასევე არსებობს სხვა ფაქტორებიც:

- დემოგრაფიული ცვლილებები;
- სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისები;
- შრომის ანაზღაურების დონეებს შორის მზარდი სხვაობა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში.

ამის შედეგად იზრდება დასაქმების მიზნით საზღვრის გადამკვეთთა რიცხვი, ამასთან საგრძნობლად იმატა სამუშაოს მაძიებელი ქალების დამოუკიდებლად მიგრაციამ და მათი რიცხვი ყველა შრომითი მიგრანტის საერთო რაოდენობის ნახევარს შეადგენს [5].

მსოფლიოში მიგრაციული პროცესების განვითარება თავისთავად აისახება საქართველოდან მიგრანტთა რაოდენობასა და ადგილობრივი შრომის ბაზრის ფორმირების პროცესზე.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოდან მიგრაციის უმთავრესი გამომწვევე მიზეზებია:

ცხრილი 2

ემიგრანტების მიერ დასახელებული ემიგრაციის უმთავრესი მიზეზები

მიზეზები	საშუალო	ქალი	კაცი
უმუშევრობა	13.0	14.0	12.0
მეტი შემოსავლის მიღების იმედი	27.5	27.2	27.8
ოჯახისთვის დახმარების გაწევა	19.7	19.1	20.4
სამუშაოდ მიწვევა უცხოეთში	1.7	1.5	1.9
სწავლა	10.3	13.2	7.4
ოჯახის წევრებთან შეერთება	2.1	1.5	2.8
უცხოეთში მყოფი მეგობრების აგიტაცია	3.7	1.5	1.9
ჯანმრთელობის გაუარესება	0.8	0.7	0.9
უცხო ქვეყნის გარემოში დროებითი ცხოვრების სურვილი	8.6	8.8	8.3
უკეთესი სამუშაოს პოვნის იმედი	12.3	12.5	12.0
სულ	100	100	100

www.geostat.ge

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.geostat.ge
2. კვლევითი რესურსებისა და სტატისტიკის ეროვნული ცენტრი. სამუშაო ძალის მიგრაციის გამოკვლევის შედეგები. თბ., 2008.
3. მიგრაციის სტატისტიკა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2009, 2010, 2011 წლის გამოცემები.
4. მიგრაციის მსოფლიო ორგანიზაცია. კვლევა მიგრანტთა შესახებ. 2011.
5. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია-„კვლევა მიგრაციაზე“-2011.
6. Nataliya Oliynyk. 2009. STATE REGULATION IN THE FIELD OF LABOUR EMIGRATION. 2008-2009.

Murman Kvaratskhelia

CAUSES OF EMIGRATION AND PERMANENT EMIGRATION

Annotation

The article investigates migration in Georgia. Over the past years highlights the peculiarities of labor migration in Georgia. Analyzes the characteristics of migration. In addition, it analyzes the characteristics, migration led to the expansion of Georgia. Particularly studied the main reasons of emigration.

*იზა ნათელაური
თამარ თავლაძე*

ევროკავშირი-საქართველო: ეკონომიკური თანამშრომლობის პარამონიზაციისა და ინტეგრის თანხმობის პრობლემა

ევროკავშირი მაღალი საერთაშორისო რეგიონის რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანებაა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით. მასში შემავალი ქვეყნები, დანარჩენ სამყაროსთან მიმართებაში, გამოირჩევიან ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების მაჩვენებლებით, განათლებისა და ჯანდაცვის დონით, პოლიტიკური სტაბილურობით, პერსპექტიულობით და „მიმზიდველობით“. ევროკავშირი აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს უამრავ ქვეყანასთან, ტერიტორიულად დიდ და ტერიტორიულად პატარა ქვეყნებ-

თან, ახლო მეზობლებთან და შორეულ მეზობლებთან, როგორც მდიდარ და ძლიერ ქვეყნებთან, ისე ღარიბ და სუსტ ქვეყნებთან; შემუშავებული აქვს სამეზობლო პოლიტიკა და ეკონომიკური თანამშრომლობის სტრატეგია. მზად არის ურთიერთხელსაყრელ პირობებში, მისი სამოქმედო გეგმის მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და დაცვის შემთხვევაში, წევრად მიიღოს ახალი ქვეყნები და ამ გზით გაფართოვდეს.

ევროკავშირის პოტენციურ პარტნიორებს შორის, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა (ENP) და ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის (ENP AP) ფარგლებში მოიაზრება საქართველოც. ერთი მხრივ გვაქვს ევროკავშირი - უზარმაზარი ტერიტორიით (3892 ათასი კვ. კმ), 455 მლნ. მოსახლეობით და ყველაზე გიგანტური ეკონომიკით მთელ მსოფლიოში, მეორე მხრივ, საქართველო - ტერიტორიულად პატარა (69700 კვ.კმ), 4,497 მლნ მოსახლეობით, ბუნებრივი რესურსებით ღარიბი და ეკონომიკურად სუსტი ქვეყანა. მიუხედავად ამ, ძალიან დიდი, განსხვავებისა, საქართველოს, ისევე, როგორც ევროპის სხვა ნებისმიერი ქვეყანას, თუკი იგი შეძლებს აღიაროს კანონის უზენაესობა, დაიცვას საკუთარი მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებები, შექმნას გამართული და კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა და გაიზიაროს ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები, აქვს თეორიული შანსი, გახდეს ევროკავშირის წევრი [2].

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების გზის ობიექტური გააზრებისთვის საკმარისია წარმოვიდგინოთ ევროკავშირი ციფრების ენაზე და მისი ეკონომიკური (უპირატესად სავაჭრო) კავშირები საქართველოსთან:

ევროკავშირი. 2012 წლის მონაცემებით, ევროკავშირზე მოდის მსოფლიო მშპ-ს 23,2%, მაშინ, როცა აშშ-სთვის ეს მაჩვენებელი ტოლია 21,9%-ის, ჩინეთისთვის - 11,5%, იაპონიისთვის - 8,3%, რუსეთისთვის - 2,8%. აბსოლუტურ მონაცემებში ევროკავშირის მშპ შეადგენს 12928,398 მლრდ ევროს, აშშ-ს 12207,391 მლრდ-ს, ჩინეთის 6403,362 მლრდ-ს, იაპონიის 4641,944 მლრდ-ს, რუსეთის 1573, 755 მლრდ-ს. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში მშპ შეადგენს 25500 ევროს, ევროზონაში 28500 ევროს. იგი მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკების პირველ ხუთეულში მოიხსე ნი ება. ქვეყნების მიხედვით, მშპ ერთ სულ მოსახლეზე, გერმანიაში ტოლია 32299 ევროსი, საფრანგეთში - 31100-ის, იტალიაში - 25700-ის, კანადაში 40654-ის, აშშ-ში 38856-ის, იაპონიაში - 36376-ის, რუსეთში-11089 ევროსი; შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვთ არგენტინას - 9010 ევრო, ბრაზილიას - 9401, ინდოეთს - 1161, ინდონეზიას 2796, მექსიკას - 7976, თურქეთს - 8257 ევრო [2].

2012 წელს ევროკავშირისთვის სახელმწიფო ვალი შეადგენდა მშპ-ს 85%-ს, გაცილებით ნაკლებს ვიდრე ანალოგიური მაჩვენებელი აშშ-სთვის (მშპ-ს 106,5%) და იაპონიისთვის (მშპ-ს 237,9%). ამავე წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ევროკავშირში შეადგენდა მშპ-ს -4%-ს, აშშ-ში -8,5%-ს, იაპონიაში -10,2%-ს.

ევროკავშირი სათანადოდ ზრუნავს დასაქმებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდების დასაქმებაზე, „გარანტიები ახალგაზრდებისათვის“ პროგრამის ფარგლებში. პროგრამის დაფინანსება შეადგენს 6 მლრდ ევროს. დაგეგმილია მისი გაზრდა 8 მლრდ ევრომდე ორი ფონდიდან: ევროპის სოციალური ფონდიდან და ახალგაზრდების დასაქმების საინიციატივო ფონდიდან. ახალგაზრდების დასაქმების ფონდი ასტიმულირებს სამუშაო ადგილების შექმნას ახალ დარგებში: „მწვანე ეკონომიკა“, ჯანდაცვა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. 2007-2011 წწ. მომზადება გაიარა 12,5 მლნ ადამიანმა, მათგან 2,4 მლნ-მა იშოვა სამსახური მომზადებიდან 6 თვის განმავლობაში.

ევროკავშირი ბევრს მუშაობს საფინანსო ზედამხედველობისა და საგადასახადო სისტემის რეფორმირების ხაზით. მსოფლიოში მან პირველმა აამუშავა საგადასახადო ინფორმაციის ავტომატური გაცვლის სისტემა. დიდი პროგრესი აქვთ საბანკო კავშირის შექმნის ხაზითა და სისტემური რისკების მართვის მიმართულებითაც.

ევროკავშირი ინტენსიურად თანამშრომლობს მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანასთან. მისი მსხვილი სავაჭრო პარტნიორები არიან: აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, ბრაზილია და სხვა ქვეყნები. ევროკავშირის ყოველწლიური ექსპორტი აჭარბებს 1,7 ტრილიონ ევროს, იმპორტი კი 1,8 ტრილიონს. მსოფლიო ექსპორტის საერთო მოცულობაში ევროკავშირზე მოდის 12%, ჩინეთზე 11%, აშშ-ზე 8%, იაპონიაზე 4%, რუსეთზე 3%, ინდოეთზე 2%, ბრაზილიაზე 1%, დანარჩენ ქვეყნებზე 58%. საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის გარდა, ევროკავშირი გამოირჩევა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობითაც. 2010 წელს შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 3 ტრ. ევრო (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსოფლიო მოცულობის 19,7%), გასულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა კი 4,2 ტრ. ევრო (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსოფლიო მოცულობის 26,4%). მსოფლიოში გამორჩეულია ევროკავშირის ციფრული ეკონომიკა (ტელეკომუნიკაციები), კულტურა და ხელოვნება, განათლება და მეცნიერება.

2010-2012 წლები გამორჩეული წლებია განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების თვალსაზრისით. მათ დასახმარებლად ევროკავშირმა დახარჯა 55,2 მლრდ ევრო, მთლიანი ეროვნული შემოსავლის 0,43%. ევროკავშირი თავისი სავაჭრო პრეფერენციებითაც მთელ მსოფლიოშია გამორჩეული, წარმოადგენს ნაკლებად განვითარებული ქვეყნების საქონლის უმსხვილეს იმპორტიორს. მასზე მოდის მათი საერთო ექსპორტის 36%. 2000-2009 წლებში გაორმაგდა ევროკავშირ-აფრიკის სავაჭრო კავშირები. განვითარებადი ქვეყნები ევროკავშირის ბაზარზე დაშვებული არიან ნულოვანი ან ძალიან მცირე ტარიფებით. მათი იმპორტი ევროკავშირში უფრო მეტია, ვიდრე იმპორტი აშშ-ში, იაპონიაში, კანადაში, ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში ერთად. განვითარებადი ქვეყნებზე მოდის ევროკავშირში სოფლის მეურნეობის პროდუქციის 70%-ზე მეტი.

ევროკავშირის სავაჭრო კავშირები საქართველოსთან. ევროკავშირის ინტერესი პატარა და ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისადმი უკავშირდება მათ რესურსულ პოტენციალსა და შედარებით იაფ სამუშაო ძალას. საქართველოსთან მიმართებაში ყოველივეს ემატება ქვეყნის მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა და გეოეკონომიკური უპირატესობები რეგიონში, განსაკუთრებით სატრანსპორტო კომუნიკაციების სფეროში [3,4].

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში 2006 წელს დამტკიცდა ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმა (EAP AP) 2006-2011 წლების პერიოდისთვის. ამ გეგმის ეკონომიკური კომპონენტები ა) მდგრადი ეკონომიკური განვითარება და სტრუქტურული რეფორმები, ბ) სავაჭრო ურთიერთობების განვითარება პრეფერენციულ რეჟიმში და გ) ევროპის ენერგეტიკულ და სატრანსპორტო ქსელებში ინტეგრირება [7, გვ. 7-8].

მიმდინარე პერიოდში, გარდა ცალკე აღებული ქვეყნებისა, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს

ევროკავშირთან, შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებთან, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებთან – სავაჭრო კავშირების გაფართოების სახით, დსთ-ს ქვეყნებთან – სავაჭრო კავშირების გადახედვის კუთხით. ქვეყნების ოთხივე ჯგუფის მიხედვით, საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები მზარდი აქვს. სტატისტიკა მეტყველებს საქართველოს სავაჭრო თანამშრომლობის ევროპულ ორიენტაციაზე; ექსპორტისა და იმპორტის აბსოლუტური და ხვედრითი წილის მაჩვენებლებით გამოირჩევიან ევროკავშირის ქვეყნები, განსაკუთრებით, გერმანია იტალია, ნიდერლანდები, რუმინეთი და საფრანგეთი; გერმანია, რუმინეთი და იტალია საქართველოს მსხვილი პარტნიორი ქვეყნების ათეულში შედიან.

საქართველოს ექსპორტის საერთო მოცულობაში ევროკავშირზე მოდის 20,9 % 2013 წელს, 15,3% 2012 წელს, 19,3% 2011 წელს და 18,5% 2010 წელს; 2010–2013 წლების პერიოდისთვის 18,5% საშუალოდ. ექსპორტირდება ძირითადად თხილი და ყურძნის ნატურალური ღვინო. რაც შეეხება იმპორტს ევროკავშირიდან, სტატისტიკა ასე გამოიყურება; 28,9% 2013 წელს, 30,9% 2012 წელს, 29,1% 2011 წელს და 27,9% 2010 წელს; 2010-2013 წლების პერიოდისათვის საშუალოდ 29,2%. იმპორტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სასაქონლო ჯგუფებია ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, სატელეფონო აპარატები ფიჭური და სხვა უსადენო ქსელებისთვის, გამოთვლელი მანქანები და მათი ბლოკები, სიგარეტები და სხვ. ევროკავშირ-საქართველოს სავაჭრო ვაჭრობის ბალანსი მკაცრად დეფიციტურია საქართველოსთვის და დეფიციტი წლიდან წლამდე მზარდია. 2013 წლის დეფიციტმა შეადგინა -1662626,0 ათასი აშშ დოლარი.

საქართველო ცდილობს, დაუახლოვდეს ევროპულ ღირებულებებს და ისარგებლოს საერთო ბაზარზე შესვლის შედეგით რეჟიმით. ახალი ბაზარი მას ექსპორტის დივერსიფიკაციის აუცილებლობის წინაშე აყენებს როგორც სასაქონლო, ისე რეგიონულ ჭრილში. უნდა ითქვას ისიც, რომ რეგიონული რეორიენტაციის პროცესი რუსულმა ემბარგომაც დააჩქარა. სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა და გაჭიანურებულმა რეფორმირებამ კი ხელი შეუწყო ე.წ. „გაჭირვების“ ექსპორტს (მაგალითისთვის, ჯართის ექსპორტს).

ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებში, ისევე, როგორც ყველა მსგავს შემთხვევაში, მხარეებისთვის მთავარია ინტერესთა პარმონიზაცია და თავსებადობა. ქართული მხარე ვალდებულია, დაიცვას ტექნიკური ნორმები და სტანდარტები, სანიტარული და ფიტოსანიტარული წესები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები; ჩვენმა ქვეყანამ უნდა შეძლოს საწარმოთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, თანამშრომლობა კვლევით საქმიანობაში, საქონლის წარმოშობის წესების და ვაჭრობის ხელშემწყობი საბაჟო ადმინისტრირება, კარგი მმართველობა დაბეგვის სფეროში; გარდა ამისა, უნდა მივაღწიოთ სრულ პარმონიზაციას ისეთ სფეროებში, როგორცაა კონკურენციის პოლიტიკა, ინოვაციები და სამრეწველო პოლიტიკა და ფინანსური პოლიტიკა [7]. კამათს არ იწვევს ის გარემოება, რომ ჩამოთვლილი ვალდებულებები გრძელვადიან პერიოდზეა გათვლილი. თუ ისინი თანმიმდევრულად ვერ შესრულდება, მინიმუმ საიმედო პროგრესი მაინც უნდა იქნეს მიღწეული. წინააღმდეგ შემთხვევაში პარმონიზაციის ვადები გახანგრძლივდება.

ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის მოდელი, იმედია, იქნება სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შემამსუბუქებელი საქართველოში. ჩვენი ქვეყანა შეძლებს ა) სავაჭრო ეკონომიკური კავშირების დივერსიფიკაციას, ბ) ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში პრეფერენციებით თანამშრომლობას ევროკავშირის ქვეყნებთან, გ) საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ე) ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის სრულყოფას; სამომხმარებლო საქონელს ჩაენაცვლება საინვესტიციო საქონელი და სავაჭრო ბალანსის დეფიციტსაც გამართლება ექნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სავაჭრო ვაჭრობა 2013 წელს. <http://geostat.ge>
2. <http://ceas.europa.eu>
3. ნათელაური ი. საერთაშორისო ეკონომიკისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თანამედროვე პრობლემები მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებში (თეორია და პრაქტიკა). თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინტიტუტის გამომცემლობა, 2013.
4. ნათელაური ი., თაფლაძე თ. სავაჭრო ვაჭრობის განვითარების კანონზომიერებები და მისი გაუმჯობესების გზები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. 4, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინტიტუტის გამომცემლობა, 2011წ., 430-436 გვ.
5. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. 2006, 2007, 2008 წწ.

*Iza Natelauri
Tamar Tapladze*

EURO-GEORGIA: THE PROBLEM OF HARMONIZATION OF ECONOMIC COOPERATION AND MATCHING OF INTERESTS

Annotation

Within the framework of European neighborhood policy and the EU-Georgia action plan is evaluated the perspective of establishment, enhancement and development of trade relations of Georgia with EU countries.

Agnieszka Rzepka

GLOBALISATION – PROCESS OR STATE IN THE XXI CENTURY?

Introduction

Often, however, it is not clear, what globalisation actually means. It is an interdisciplinary concept understood differently in

different fields of science. From the point of view of economists, globalisation is an economic expansion that contributed to economic growth and independence of nations and which intensified integration among them. In politics, globalisation strengthens international contacts. In culture, it is perceived as global communication and standardization of cultural patterns, covering the entire world, leading to a widely-understood standardisation. In this sense, we have to deal with, among others, the phenomena of Coca-colonisation and McDonaldisation. Sociologists consider social globalisation as a process in which geographic barriers, as a result of social and cultural arrangements, lose their importance with the simultaneous increase of public awareness.

Process or state?

The process of globalisation takes place synchronously in the fields of economy, culture and politics. Globalisation processes are closely related in all above mentioned spheres. However, it seems that the economic changes over the centuries gave the impulse to the development of this phenomenon.

Globalisation, as an economic process, raises growing interest among theoreticians and practitioners, but more and more often, it affects the lives of particular groups and individuals in society. If we treat globalisation as a process of internationalization of economic relations and, consequently, popularization of free movement of goods, services, capital and labor on the transnational scale, then, there is nothing specific and new in it. Therefore, an urgent need appears for a scientific analysis of the phenomenon known as globalisation, resulting not only from a pure academic nature, but also from an attempt to solve the socio - economic problems of the world of today. The starting point for such a scientific exploration is an assumption that the socio - economic reality is not a chaos and that the development of the world is subject to certain regularities. These regularities may be distinguished from the apparent chaos in the form of an operating model. This model, if properly quantitatively and qualitatively constructed, should give the possibility to program different development options. In the era of a state interventionism the economic policy, without such a tool, cannot be reasonably implemented. It may even bring irreparable losses.

On the occasion of organizing knowledge on globalisation which characterizes modernity, it is worth to pay attention that globalisation is a process, not a state. I think that both ways of perception are correct. If we treat it as a mechanism that allows us to cross borders and space, it shall be understood as a process. If, however, we want to evaluate its effects, then we shall treat it as a specific condition. It is worth to note that the majority of the theory of globalisation founders pay attention to the effects of this phenomenon, therefore, they do not perceive it as a process, but a state.

The birth of the word 'globalisation', as well as globalism and globality

The word 'globalisation' was initially used in an economic context. Malcolm Waters states that its first use in a text came about in 1959 in *The Economist*. It was about the 'growth of the globalised quantities of imported cars'. Two years later, in 1961, the word was included in *Webster's Dictionary*. On the other hand, when talking about the beginnings of the use of this term, Marshall McLuhan, the writer who formulated the concept of the 'global village' as opposed to the 'tribal village'⁷⁰, comes to mind. However, the spread of the use of the term 'globalisation' first occurred within the sphere of the social sciences and sociology⁷¹.

While carrying out a conceptual analysis of globalisation, it is worth looking at terms that are very similar in meaning, that is to say, globalism and globality⁷². It is accepted that globalism is a state of international relations and that globality is a characteristic of bonds and interactions in international relations. One can also come across the view that globalism is the policy of building a 'McWorld', achieved in effect through the creation of a flow towards globalisation by the richest, who, in doing so, have intended to reinforce their positions and 'use the coupons' related to the benefits that their advantageous position has given them.

The concept of globalisation coincides with two other notions: globalism and world-wideness. I have assumed that globalism means a situation, in which the world market eliminates or supports political – economic action. This is a reduction of globalisation to only one - economic - dimension. Globalism is defined as the state of the world, in which new multi continental branches split and develop. New branches represent a combination of capital and goods, information and ideas, and also environmental and biological substances. Globalisation and de-globalisation refers to the increase and decrease of globalism. Globalisation is the process of enhancing, expanding globalism. De-globalisation is the resistance of the people against globalisation, crystallized in a variety of anti-globalisation movements. I assume that world-wideness is the feeling that we live in a world-wide society. One cannot speak of it as limited to a certain area, such a belief may be just an illusion. These concepts are used by experts in this field interchangeably with the term globalisation.

Analyse of globalisation

Globalization being a dynamic process includes many contradictory tendencies, undetermined directions and impacts on a social macro – and micro-scale. Talking about globalization, I mean both processes (especially economic, social, political and

⁷⁰Whereas the flow of information during the era of the 'tribal village' happened in a limited space and through the use of the spoken word, in the era of the 'global village', this flow happens in an infinite space. The instruments enabling this communication are television, radio and other electronic media. Therefore, here globalism has meant an increase in possibilities as regards sending and receiving information using electronic media. The way in which information is circulated via these media has changed in nature, both with regard to time, which has become faster than before, and space (information can now reach places which were not accessible earlier).

⁷¹ For instance, M.F. Guillen indicates that the first articles on this subject had already started to appear at the beginning of the 1970s. One of them was a publication by Immanuel Wallerstein on the world-system theory. Even though Wallerstein does not use the term 'globalisation' in it, this text is seen as being within the sphere of literature dealing with globalisation (M.F. Guillen, 2001:240). However, thinking about the world in these terms established itself for good in the 1980s. Roland Robertson is seen as having brought this situation about (for example, M. Waters, 1995). He was the first person to begin discussing the world in terms of globalisation.

⁷² The question of the demarcation of these phenomena is raised by Ulrich Beck (2000; K. Gilarek, 1999/2000). According to him, globalism refers to a situation where the global market eliminates or displaces political action. At the same time, it is a reduction of globalisation to one sole (economic) dimension (U. Beck, 2000: 9). However, globality refers to the feeling that we are living in a global society. We cannot describe it as being limited to a certain space. Conceiving of it in this way can only be an illusion. Contacts within the sphere of this type of society are not integrated or determined by nation states' policies (U.Beck, 2000:10). Globality means that whatever happens is not limited to the area in which it happens. It affects the whole world.

cultural) and their effects. Exploring the essence of this process is the basis for the preparation of strategy of action under the conditions of globalization or simply affecting occurring under it economic, political, social and cultural changes. From the deliberations presented in the paper we can conclude that globalization is a process, rather than a stable condition. In addition, the phenomenon of globalization includes sequences of events belonging to many diverse social life dimensions. The process of globalization takes place with comparable intensity in the economy (and analyzing it economics), social life (and sociology), culture, politics and in many other spheres.

Globalization changes the image of the world. It transforms trade, finance, employment, technologies, means of communication, ways of life, culture, as well as ways of governing. It forces companies to compete across the whole world. Many cause and effect relationships typical of it are feedbacks. The result of these processes is reduction in production and transport costs and increase in efficiency and income. However, sometimes the price for progressing dependence on abroad is growing uncertainty, fluctuations in the level of employment and deepening social inequalities. The process of globalization involves participation of various entities, among which the most important are : states, transnational corporations and international institutions and organizations.

The contemporary globalization is influenced substantially by nation states whose history shows significant development unevennesses. In the period of external hazards, the role of the state was growing, undergoing periodical fluctuations in importance in the periods of relative peace. The 19th century featured a relatively short period of liberal capitalism, when the role of the state in the economy decreased significantly, however, two 20th-century totalisms: Nazi, with the great role of the state at the cartel economy, and real socialism with liquidation of private property and omnipresent dominance of the state not only in the economy, strengthened nation states in substantial areas of Europe, Asia and other continents.

Currently, since the 1980s, the role of nation states has been decreasing. The state gradually ceases to fulfill operational functions (interference or direct participation in business activities) and more and more often fulfills system functions which, in the present conditions, include execution of long-term, globally and strategically oriented economic and social tasks. Apart from traditional activity (legislative, stabilization, ensuring safety, etc.), the state is getting involved also in the implementation of strategies or programs aiming at increasing the national economy's international competitiveness, in its course and funding adapted to global competitiveness, introduction of new institutional solutions, promotion of the development of the information and knowledge-based economy .

The analysis of the course of globalization proves clearly that this process would not have the today's shape and would not reach the contemporary intensity without technological revolutions that, first, resulted in radically increased production scale and then enabled transferring goods and consumers at growing distances, and, finally, contributed to the assimilation of behaviors and tastes of buyers. Subsequent industrial revolutions are a condition of economic success of particular economies and causative factor of changes in the world economy. Technical progress determines development and fall of particular spheres of economic operations, nature of employment and social development directions.

The conducted in the paper analysis of the process of globalization and its definitions included in the world literature on the subject have confirmed fully the thesis presented by me that the definitions do not take into account all the most important features of the present globalization processes and, because of that, are adequate to a limited degree to the description of a set of phenomena determined as globalization. The research has proved that technical progress is one of the most important, though often insufficiently exhibited, components of the contemporary globalization.

Contemporary globalization, though unique for many reasons, is not a single experience of humanity. We can consider as the first globalization phase phenomena accompanying great geographic discoveries in the 16th century. The most developed states of the then world created a network of economic contacts, especially trade contacts. The second phase of globalization was initiated in the second half of the 19th century as a result of the industrial revolution. At that time, a long lasting process began of creation of colonial powers, with the leading British Empire, which, in the early 20th century, covered 20% of the surface of Earth. The third phase started after the end of War World II. First, the world took a bipolar shape with the dominance of the USA and the USSR and globalization processes focused mainly around the most economically developed states and their economic partners. Subsequent acceleration and extension of the process of globalization took place after the fall of the communist system. This is the time of liberalization of financial markets, Internet revolution and important political and system transformations (beyond system transformation of communist states, the unification of Germany, the breakup of Yugoslavia, etc.).

As I have already mentioned, globalization is not a phenomena occurring only in recent years. It is a direct consequence of the European dominance in the world, colonization, technical innovations or development of the market economy whose sources can be sought in the past centuries. A symptom of the contemporary globalization phase is, among others, increasing international economic dependence and integration, which involves the worldwide processes of democratization and cultural homogenization.

It is not ease to define and describe the process of globalization because of complexity and multi - sidedness of composing phenomena, and, as a consequence, complicated and heterogeneous matter. It is shown strongly by definitions presented in the paper. The definitions are diverse not only depending on the approach of researchers and the moment when they were formulated, but also because of differences of the degree of generality/particularization. The conducted analysis confirms that globalization process involves many contradictory tendencies, directions of consequences and impacts on a macro- and micro-scale. Changes occur vigorously and often it is difficult to indicate a factor that is determining for its presence and intensity. However, it is necessary to explore the essence of globalization and describe it precisely, as it may be an introduction to preparing a strategy of rational shaping its further course and affecting its component parts.

Determinations made in this paper entitle to present the author's definition of globalization:

Globalization is a process relating to the description of basic trends in the world economics, politics, demographics, social life and culture, consisting in the propagation of phenomena and processes (regardless of the geographical context and the degree of economic and political progress of a given region of the globe), leading to the unification of the world made up of interrelated elements, thanks to technical progress.

A feature of this definition is its universality and dynamic character. The present definitions of globalization do not always enable their application in the process of explaining specified regularities, occurring in the contemporary global economy. The dynamics of development of globalization processes affects modification of the content of the notion of globalization.

Summary

To sum up the complex subject matter of defining the essence of globalization, it is worth emphasizing that it would be very difficult to interpret globalization unambiguously. Globalization is an objective and system process, characterized by extending network of relations and economic, political and cultural interdependencies of states and societies which were relatively separated in the previous periods. Globalization processes where a dynamizing factor covers great corporations with worldwide range lead to marking significant divisions on a global scale into centers and peripheries. Large actors on the global stage that determine the awareness of people are mass media and electronic forms of communication. In the period of late modernity, when globalization processes are intensified, nation states lose some their functions for international and global structures.

Researchers who have undertaken analyses of past deliberations concerning general theory of globalization, indicate several diverse reasons for the existing state of affairs. First of all, it should be stated that globalization is a *in statu nascendi* process; even the most extensive general theory of globalization is unable to cover constantly extending objective scope of globalization. The diversity of approaches, lack of local specific nature of defining globalization in major centers of the world social thought can be considered perversely as consequences of globalization. The approach of scientists does not change depending on the place when they presently function.

The presented above scientific centers show that the representatives of particular centers work and deal with similar subject matter. It turns out that their views are universal and do not depend on the center from which they come. Therefore, from the analysis of centers, it results that we can refer to scientific globalization, as we cannot see clear differences in the definitions of globalization. I confirm that we can reach a peculiar globalization of scientific research and globalization of knowledge. Scientific research undertaking the subject matter of globalization has been developing for a few dozen years, and will be conducted in the years to come.

References

1. Antonelli, C 1998, 'Localized Technological Change, New Information Technology and the Knowledge-Based Economy: The European Evidence', *Journal of Evolutionary Economics*, Vol.8, Issue 2.
2. Antras, P, Garciano, L, Rossi-Hansberg, EA 2005, *Offshoring in a Knowledge Economy*, Harvard Institute of Economic Research Discussion Paper, No 2067.
3. Baldi, P & Brunak, S 2001 (ed.), *Bioinformatics. The Machine Learning Approach*, Massachusetts Institute of Technology, Cambridge-London.
4. Bhagwati, J 2004, *In Defence of Globalization*, Oxford University Press, New York.
5. Castells, M (2000), *The Rise of Network Society*, Blackwell Publishing, Malden, Oxford – Carlton.
6. Clark, I 1999, *Globalization and International Relations Theory*, Oxford.
7. Ciborowski, R, Grabowiecki, J 2004, 'Innovation and Technological Competitiveness of Central and East European Countries', in K Piech (ed.), *The Knowledge-Based Economy in Transition Countries: Selected Issues*, University College London - School of Slavonic and East European Studies, London.
8. Cooper, RN 2005, *A Half-Century of Development*, Center of International Development at Harvard University, Working Paper No. 118, March 2005.
9. Dicken, P 1998, *Global Shift: Transforming the World Economy*, The Guilford Press, New York, London.
10. Gilarek, K 2003, *Państwonorodowe a globalizacja – dynamikapowstawanianowegoładu [Nation States and Globalisation - Dynamics of the Appearance of a New Order]*, Toruń.
11. Goldberg, I 2004, *Polska a gospodarka oparta na wiedzy. W kierunku konkurencyjności Polski w Unii Europejskiej*, The World Bank, Washington D.C., 2004.
12. Laurie, B & Rondle, M 2006, *Identity Management as a Cybersecurity Case Study*, The Berkman Center for Internet & Society at Harvard Law School, Research Publication No. 01.
13. Miczyńska-Kowalska, M 2003, 'Wirtualne organizacje handlowe w teorii i praktyce' in M Morawski(ed.), *Zarządzanie wiedzą i informacją w społeczeństwie sieciowym. Tom II*, Wyd. Wałbrzyskiej Wyższej Szkoły Zarządzania i Przedsiębiorczości, Wałbrzych.
14. Misa, T 2003, 'The Compelling Tangle of Modernity and Technology' in T. Misa, P Brey, A Feenberg (ed.), *Modernity and Technology*, MIT Press, Cambridge.
15. Pietraś, M 2002, 'Istota i zakres procesów globalizacji', *Sprawy Międzynarodowe*, nr 2.
16. Rzepka A., *Globalizacja w teorii i praktyce*, Wyd. Silva Rerum, Poznań 2013.
17. Rzepka A. *Globalisation and global economy in theory and practise*, LAP LAMBERT Academic Publication, Saarbrücken 2013.
18. Scholte, JA 2001, 'The Globalization of World Politics', in J Baylis & S Smith (ed.), *The Globalization of World Politics: An Introduction to International Relations*, New York.
19. Sobczak, J in *Europejski ład komunikacyjny w procesie globalizacji and Dylematy społeczeństwa informacyjnego* {currently being published}.
20. Stammers, N 1999, 'Social Movements and the Challenge to Power', in M Shaw (ed.), *Politics in a Globalized World*, London, p.73.
21. Stiglitz, JE 2004, *Globalizacja*, Wydawnictwo Naukowe PWN, Warsaw.
22. Toffler, A 1999, *Budowanowejcywilizacji [The Building of a New Civilisation]*, Zyski S-ka, Warsaw.
23. *Globalization: Prospects for a Paradigm Shift*, in M Shaw (ed.), *Politics in a Globalized World*, London, p.9

Agnieszka Rzepka

GLOBALISATION – PROCESS OR STATE IN THE XXI CENTURY?

Annotation

Globalisation, as a social phenomenon has been the subject of research of social sciences for the last several dozen years. The best way to present their results is a scientific theory which becomes an interpretation of the phenomena occurring in the world. We

are able to define what a scientific theory is and what conditions it has to meet in order to be recognized. We cannot force social scientists to meet these requirements while describing social phenomena, including globalisation. Whether we like it or not, we are obliged to qualify other theories to the scientific theory of globalisation despite the fact that they really have little in common with it and do not fulfil all the theoretical requirements.

*გოდერძი ტყეშელაშვილი
ვახტანგ ტყეშელაშვილი*

საქართველოს პორტები გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით მსოფლიოს ყველა სახელმწიფო ძალაუნებურად ერთვება ეკონომიკურ გლობალიზაციაში, გამოწვევის არც საქართველო წარმოადგენს, მიუხედავად მისი მწირი ეკონომიკისა. გლობალიზაციაში ჩართულობას ხელს უწყობს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობაც, რამდენადაც ქვეყანა ევროპა-აზიის გზასაყარზე იმყოფება და წარმოადგენს სატრანზიტო გზას აკავკასიის და ნაწილობრივ შუა აზიის სახელმწიფოებისათვის.

საქართველოს შავ ზღვასთან მდებარეობა და ის გარემოება, რომ საქართველო საზღვაო კარიბჭეა ამიერკავკასიისათვის, განაპირობებს მის გეოპოლიტიკურ უპირატესობას, რასაც სათანადო დაფასება და გამოყენება სჭირდება. საქართველოს, გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, შეუძლია გახდეს კავკასიის სატრანსპორტო-ლოგისტიკური ცენტრი, ნაწილობრივ იგი აღნიშნულ ფუნქციას დღესაც ასრულებს, მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არნახული ტემპების და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-მოხმარების ზრდის გამო, განსაკუთრებით ნახშირბადშემცველი ნედლეულის მოხმარების ზრდის გამო, საქართველოს საზღვაო პორტების მნიშვნელობა განუხრევლად იზრდება არა მარტო კავკასიის რეგიონისათვის, არამედ შუა აზიის სახელმწიფოებისთვისაც. ეს უკანასკნელი გამოირჩევიან ნავთობის დიდი მარაგებით, ამავე დროს ამ ქვეყნებში მოჰყავთ ბამბა – საუკეთესო ნედლეული მსუბუქი მრეწველობისათვის, აწარმოებენ მატყელს, ხორცს და ა.შ. ამავე დროს, ეს სახელმწიფოები გამოირჩევიან შემოსავლების სტაბილური ზრდით, რასაც თან სდევს მოსახლეობის მოთხოვნების ამაღლება მაღალტექნოლოგიურ საქონელზე, რომლის მიწოდებაც დასავლეთიდან ხორციელდება და ზემოაღნიშნული ტვირთბრუნვისათვის ყველაზე ბუნებრივად მოკლე გზა საქართველოს ტერიტორიაზე გადის. ხორციელდება ქვეყნის საკვანძო სატრანზიტო რეგიონად ჩამოყალიბების პროცესი.

შუა აზიის ქვეყნებისათვის ტვირთბრუნვას ჯერჯერობით უმეტესად რუსეთი ახორციელებს, რასაც მრავალი ხელოვნური, და არა ბუნებრივი, ფაქტორი განაპირობებს. ასეთია უპირველესად: მილსადენი და სარკინიგზო ტრანსპორტის კარგად განვითარებული ქსელი შუა აზიის ქვეყნებსა და რუსეთს შორის; რუსეთის გამგებლობაში არსებული შავი ზღვის პორტები კარგადაა განვითარებული და აღჭურვილი. რუსეთის პორტების მომსახურება-ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები გაცილებით იაფია და უკეთაა მოწესრიგებული, ვიდრე საქართველოს პორტებში. რუსეთის რკინიგზით ტრანზიტის გზის სიგრძე მეტია, ვიდრე საქართველოს გავლით, მაგრამ იგი კომპენსირდება სარკინიგზო გადაზიდვების დაბალი ტარიფით და სხვ.

ბუნებრივი მდებარეობა საქართველოსი და ამიერკავკასიაზე გამავალი სატრანზიტო გზების სიგრძე ბუნებრივი უპირატესობებია შუა აზიის სატრანსპორტო დერეფნისათვის, რასაც მნიშვნელოვნად – ტრანსპორტის სხვა სახეობებთან კომპლექსში, საზღვაო პორტების განვითარება განაპირობებს. ამასთან, დასავლეთი და ზოგადად მსოფლიოს ეკონომიკა, დაინტერესებულია სატრანზიტო გზის დივერსიფიკაციით – ალტერნატიული რამდენიმე სატრანზიტო გზების არსებობით იმ მიზნით, რომ ყოველთვის იყოს თავისუფალი კონკურენცია. ამასთან, პოლიტიკური კლიმატის ცვლილებამ მნიშვნელოვნად არ იმოქმედოს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. აღნიშნული მიზეზითაც აქტუალურია საქართველოს შავი ზღვის პორტების განვითარების საკითხი.

კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით და ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით მსოფლიოს უნიკალური რეგიონია. სწორედ ამიტომ ამ რეგიონის დიდი როლი ენიჭება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე ამიერკავკასიის ქვეყნებთან ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება-გაფართოების მიზნით. უკანასკნელ პერიოდში კავკასიური ფაქტორი მსოფლიო არენაზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა და კავკასია მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უმსხვილესი საერთაშორისო, ტრანსეპროფუნული კომპანიების აქტიური ყურადღების ცენტრში მოექცა, ხოლო საქართველო, რომელიც ერთიან ევრაზიულ სივრცეში ფორმირებისაკენ ისწრაფვის, დედამიწის ორი ნაწილის – ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი არეალის თავისებურ ცენტრად მოგვევლინა.

კავკასიის რეგიონისადმი დაინტერესების კონკრეტული გამოხატულებაა ევროკავშირის ცნობილი ტრასეკას პროექტი, რომელიც ერთმანეთს დააკავშირებს ცენტრალური აზიის და მდინარე დუნაის აუზის ქვეყნებს. ევროპა-აზიის ეს სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფანი თავისი მრავალი განშტოების ერთ-ერთი ხაზით ჩვენს ქვეყანაზე გაივლის, რაც სტაბილურობისა და ეკონომიკური აღმავლობის გარანტი იქნება. ამიტომ სამომავლო პერსპექტივაც საიმედოდ ისახება.

ტრასეკას პროექტი საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების ისეთ ფაქტორადაა მიჩნეული, რომელმაც არსებითად უნდა განსაზღვროს ქვეყნის მეურნეობრივი განვითარების სტრატეგიული მიმართულებები. პროექტით პრაქტიკულად საუბარია ისტორიული „აბრეშუმის დიდი გზის“ საქართველოს განშტოების მოდერნიზებულ ვარიანტზე. ამ მაგისტრალით მოხდება ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ტვირთების გადაზიდვა, როგორცაა: ნავთობი, ბამბა, მინერალური ნედლეული და ა.შ.

საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა წარმოუდგენელია საზღვაო პორტების განვითარების გარეშე. ეს ითქმის განსაკუთრებით ბათუმისა და ფოთის საზღვაო პორტებზე, მათ აკისრიათ ძირითადი როლი

საზღვაო ტვირთების მომსახურების საქმეში. ამავე დროს, პორტების განვითარება პროპორციულად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას. მიმდინარეობს კიდევაც ინტენსიური მუშაობა საქართველოს საავტომობილო გზის აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალზე მისი გამტარუნარიანობის მკვეთრი ამაღლებისათვის, ანალოგიური სამუშაოები ხორციელდება საქართველოს რეინიგზაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის შემუშავება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს თემის აქტუალურობაზე.

საქართველოს ეკონომიკა ჯერ კიდევ „განვითარებად“ პოზიციაშია. აქ ჯერ კიდევ ძალიან დაბალია შიდა პროდუქტის მოცულობის ხვედრითი წილი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მაგრამ საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მოსახლეობის განათლება და პროფესიონალიზმი, ქვეყნის მისწრაფება – ჩაერთოს მსოფლიოს ეკონომიკურ პროცესებში, განაპირობებს სამომავლოდ მისი ეკონომიკის სწრაფ განვითარებას. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში გაიზრდება მოთხოვნილება სატრანსპორტო გადაზიდვებზე ქვეყნის ეკონომიკის მხრიდან, მათ შორის უპირველესად საზღვაო გადაზიდვებზე. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოცემული საკითხის აქტუალურობისათვის.

საქართველო ეკონომიკურად რომ განვითარებად სახელმწიფოთა რიგს მიეკუთვნება მოწმობს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მაჩვენებლებიც. მსოფლიო სავალუტო ფონდის მონაცემებით, გასულ 2012 წელს საქართველო იმყოფებოდა მსოფლიოს სახელმწიფოთა ჩამონათვალში 113-ე ადგილზე, მისი მშპ ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 3,558 \$-ია, მაშინ, როცა ჩამონათვალის პირველი ათეული ასე გამოიყურება: ლუქსემბურგი-106,406\$, ყატარი-104756\$, ნორვეგია-991,70\$, შვეიცარია-78,881\$, ავსტრალია-67,304\$, დანია-56,426\$, შვედეთი-54,815\$, კანადა-52.300\$, სინგაპური-52.052\$, აშშ-51704\$,⁷³ ამ მონაცემებიდან ცხადია საქართველოს ეკონომიკის დაკნინებული მდგომარეობა. არადა საქართველოს დამოუკიდებლობამდე იგი, ეკონომიკის პოტენციური საწარმოო სიმძლავრეების მიხედვით, მსოფლიოს ზემოჩამოთვლილ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს ტოლს არ უდებდა.

გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში საქართველოს არასახარბიელო მდგომარეობა აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონესა და შემოსავლებზე. საქართველოს ოფიციალური სტატისტიკით ჩვენთან უმუშევრობის დონე მხოლოდ 15.1%-ია (201 წელს).⁷⁴ ამავე მონაცემებით მოსახლეობა სულ 4497.6 ათასი კაცია, ხოლო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა – 1959.3 ათასი კაცი (2011 წ.). ეს ბოლო ციფრი იმის მაჩვენებელია, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა ქვეყნიდან ემიგრირებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენთანაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მისი საერთო რიცხოვნობის 50%-ს უნდა აჭარბებდეს, ისე, როგორც დანარჩენ მსოფლიოსა და ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებშია. ამავე სტატისტიკით, ჩვენთან დაქირავებული შრომით დასაქმებულია მხოლოდ 632.0 ათასი კაცი. რეალურად თუ მივუდგებით, მოსახლეობის აქტიური ნაწილის ყველა დანარჩენი უნდა ჩაითვალოს უმუშევრად, მაშინ უმუშევართა რიცხვი გაცილებით მაღალი – 68%-ზე მეტი გამოვა, რაც რეალობასთან ახლოსაა.

ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამოსვლის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება მისი ტრანსპორტის განვითარებაა, თუმცა ისიც დღეისათვის არადაამაკამყოფილებლად გამოიყურება გასული საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით, რასაც ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემებიც მოწმობს.

ცხრილი 1

ტვირთის გადატანა საერთო სარგებლობის ტრანსპორტის სახეების მიხედვით (ათასი ტონა)⁷⁵

წლები	სულ	სარკინიგზო	საავტომობილო	საზღვაო	საჰაერო
1990	253074,9	76860,9	167070,0	9127,0	17,0
1995	14985,1	4656,4	8690,0	1636,6	2,1
2000	30060,0	11496,1	18500,0	62,6	1,3
2001	33241,3	13209,6	20000,0	30,5	1,2
2002	37488,3	14951,5	22500,0	35,5	1,3
2003	41081,4	16558,7	24500,0	21,4	1,3
2004	41149,8	15424,4	25700,0	23,9	1,5
2005	45971,5	18986,7	26959,3	23,9	1,6
2006	49946,6	22643,3	27261,3	40,4	1,6
2007	49830,2	22230,0	27561,2	37,9	1,1
2008	49058,2	21181,2	27864,4	11,9	0,7
2009	45275,3	17104,0	28170,9	-	0,4
2010	48411,4	19930,1	28480,9	-	0,5
2011	48926,8	20123,4	28794,1	8,1	1,2
2012	49190,8	20076,0	29110,8	3,6	0,4

როგორც აღნიშნული ოფიციალური სტატისტიკის ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, 1990 წელს სულ ტვირთების გადაზიდვის მოცულობა 253074.9 ათასი ტონა იყო, საიდანაც უმეტესი ნაწილი – 76860.9 ათასი ტონა სარკინიგზო ტრანსპორტზე მოდიოდა, ანუ 77.4 პროცენტი, საზღვაო ტრანსპორტზე კი მხოლოდ 9127.0 ათასი ტონა, ანუ – 3.6%, მხოლოდ დანარჩენ 17%-ს ინაწილებდა ტრანსპორტის სხვა სახეობები.

⁷³ List of countries by GDP (nominal) per capita. From Wikipedia, the free encyclopedia.

[http://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_\(nominal\)_per_capita](http://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_(nominal)_per_capita). გადამოწმებულია 14.12.2013.

⁷⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2012. თბ., 2013. გვ. 42.

⁷⁵ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკურ წელწადი 2013. თბ. 2014. გვ.191.

მანამდე ცოტა ხნით ადრე – 1987 წელს კი გადაზიდვების საერთო მოცულობამ საქართველოში შეადგინა 487178,3 ათასი ტონა, საიდანაც საზღვაო ტრანსპორტზე მოდიოდა 5803 ათასი ტონა, ანუ 11.9%. ტვირთბრუნვის მოცულობის მიხედვით კი საერთო სიდიდე იყო 79697.2 მლნ ტ-კმ, საიდანაც საზღვაოზე მოდიოდა 60423.4 მლნ ტ-კმ (75.8%)⁷⁶.

1990 წლიდან მოყოლებული, ტვირთების გადაზიდვის მოცულობა თანდათან მცირდება. სულ ტვირთბრუნვის მოცულობა შემცირდა 1987 წ-ის 79937.6 მლნ ტ-კმ-დან 6690.0 მლნ ტ-კმ-მდე 2011 წლისათვის აღნიშნულ 21 წელიწადში იგი შემცირდა 100-დან 8.3%-მდე. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა საზღვაო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის მხრივ. იგი 1990 წლის 9127 ათასი ტონიდან შემცირდა 8.1 ათას ტონამდე 2011 წლისათვის, რაც 1990 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 0.08 %-ია. ასეთი სიტუაცია გამოიწვია საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის განადგურებამ.

ტვირთების გადაზიდვის შემცირება იმ დონით, რაც განიცადა საზღვაო ტრანსპორტმა, სხვა არც ერთი სახეობის ტრანსპორტზე არ მომხდარა, ასე მაგალითად, რკინიგზით გადაზიდული ტვირთების მოცულობა 1990 წლის 76860,9 ათასი ტონიდან შემცირდა 2011 წლისათვის 20123.4 ათას ტონამდე (შეადგენს 28%-ს), საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთები დროის იმავე პერიოდისათვის 167070,0 ათასი ტონიდან შემცირდა 27864,4 ათას ტონამდე (26.18%), საჰაერო ტრანსპორტზე კი 17,0 ათასი ტონიდან – 1.2 ათას ტონამდე (5.88%), აქედან გამომდინარე, საქართველოსათვის პრიორიტეტული უნდა იყოს საზღვაო პორტების განვითარება, რომ უცხოური გემებისა და ტანკერების მომსახურება მაინც შევქლოთ.

საქართველო საზღვაო ქვეყანაა, რაც მისი დიდი უპირატესობაა ა/კავკასიაში, მაგრამ ჩვენს საზღვაო ინფრასტრუქტურას არ შემორჩა არც ერთი საზღვაო ლაინერი თუ ტანკერი (მნიშვნელოვანი წყალწყვის ხომალდი, როცა წარსულში ჩვენი საოკეანო ფლოტის რიცხვი 80-ს აღემატებოდა), ამ მიმართებითაც აუცილებელია მუშაობათა გააქტიურება, კერძოდ:

ა) შექმნას შესაბამისი ლიბერალური საინვესტიციო გარემო უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ქართული ფლოტის შესაქმნელად. ეს კი მიიღწევა: საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციით და მისი დიფერენცირებული განაკვეთებით საზღვაო ფლოტისათვის; სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფით და სამეურნეო ადმინისტრირების წნეხის შემცირებით; საბაზრო ინფრასტრუქტურის გაფართოებით; საბანკო-საკრედიტო სისტემის მოწესრიგებით. ერთი სიტყვით – მაკროეკონომიკური ფაქტორების ლიბერალიზაციით.

ბ) საქართველომ, როგორც საზღვაო სახელმწიფომ, საკუთარი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში შეიძლება შექმნას საზღვაო ფლოტის ნაწილი მაინც. შეიძინოს რამდენიმე საოკეანო გემი საზღვაო ადმინისტრაციის განკარგვის ვეგით.

საჭიროა საზღვაო ინფრასტრუქტურის მენეჯმენტის სტანდარტების დანერგვა საერთაშორისო წესებისა და კონვენციების შესაბამისად. ამასთან, მენეჯმენტის წარმართვა, როგორც ინფორმაციული უზრუნველყოფით, ასევე ტექნიკური საშუალებებით, მეთოდებითა და ხერხებით საჭიროა მოვიდეს მსოფლიოს წამყვანი პორტების მენეჯმენტის შესაბამისობაში – შეიზღუდოს დოკუმენტაციის რაოდენობა, გაიზარდოს მისი ინფორმაციული მომცველობა, გადაწყვეტილებათა მიღების დროის შემცირება და მათი ხარისხის ამაღლება.

დაინერგოს მსოფლიოს წამყვან საზღვაო პორტებში აპრობირებული, მართვის ავტომატიზებული სისტემები საქართველოს თავისებურებების გათვალისწინებით.

ვეფიქრობთ, ამ ღონისძიებათა გატარება მნისშელოვნად აამაღლებს საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურის სრულყოფას, მის მენეჯმენტს და უზრუნველყოფს როგორც მაკროეკონომიკური, ისე მიკროეკონომიკური და სოციალური ეფექტის მიღებას და უზრუნველყოფს საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მისი მთელი ეკონომიკის ღირსეულ ჩართვას მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ პროცესებში.

*Goderdzi Tkeshelashvili
Vakhtang Tkeshelashvili*

GLOBAL ECONOMIC PROCESSES AND GEORGIAN PORTS Annotation

For involvement in economic globalization of the world it is essential to accelerate economic development and effective use of geo-political location, in which an important role can play the development of marine infrastructure, including sea ports. For this purpose it is necessary to improve the investment climate: liberalization of the taxes, ensuring economic justice, promoting fair competition and creation of conditions for making the navy.

*ნარგიზა ქარქაშაძე
სოფო მიქაბაძე*

საქართველო-ამერიკის ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე

მანამ, სანამ განვიხილავდეთ საქართველო-ამერიკის ურთიერთობებს მარკეტინგული თვალსაზრისით, მოვიყვანოთ რამდენიმე განმარტება ურთიერთობის შესახებ: „ადამიანი – ესაა კავშირების კვანძი“ – წერდა ეგზიუპერი. ურთიერთობა უზრუნველყოფს ადამიანის სოციალურ ურთიერთობაში ხდება ინდივიდის ფსიქიკური განვითარება და თვითრეალიზაცია. ადამიანის ყველა ფსიქიკური თვისება ყალიბდება და ვლინდება ადამიანებთან მის ურთიერთობაში.

⁷⁶ Народное хозяйство СССР в 1987 г. ТБ., 1988. с.165-166.

ურთიერთობა, ესაა გარკვეული სოციუმის, მყარი სოციალური პოპულაციის ადამიანების ურთიერთქმედება. ის ყოველთვის ინტერნაციონალურია – გააჩნია გარკვეული მიმართულება, პროგრამულობა, ნორმატიულობა და შედეგების კონტროლირებადობა. ურთიერთობა გულისხმობს ურთიერთქმედებას – ინტერაქციას.

ადამიანის ადამიანთან ურთიერთობაში ყალიბდება მისი სამყაროსთან ურთიერთქმედების საორიენტაციო საფუძველი. ურთიერთობის მოთხოვნილება – ესაა ადამიანების სულიერი კონტაქტის სურვილის, თვითშემეცნებისა და თვითდაპყვიდრების მოთხოვნილების გამოვლენა. ურთიერთობის ნებისმიერი პროცესი განიცდის სოციალური, სოციალურ-როლური და სოციალურ-ჯგუფური ფაქტორების ზეგავლენას.

ურთიერთობის ძირითადი ფუნქციებია:

- საინფორმაციო-კომუნიკაციური (ინფორმაციის მიღება და გადაცემა);
- რეგულაციურ-კომუნიკაციური (ადამიანების ურთიერთქმედების ორგანიზება მათ ერთობლივ საქმიანობაში) [1].

ახლა განვმარტოთ ურთიერთობა მარკეტინგული თვალსაზრისით: ურთიერთობების მარკეტინგი – ესაა მომხმარებელთან ან სხვა დაინტერესებულ პირებთან ურთიერთსასარგებლო დამოკიდებულების შექმნის, მხარდაჭერის და გაფართოების პროცესი [2].

ურთიერთობების მარკეტინგი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი და მიზნად ისახავს მომხმარებლისათვის სამომხმარებლო ფასეულობების მიწოდებას ხანგრძლივი პერიოდისათვის. ამის მიღწევა შესაძლებელია ქვეყნის, საწარმოს და მისი საქონლის მიმართ ერთგულების გრძნობის განვითარებით [3]. სწორედ ამ კუთხით არის მნიშვნელოვანი საქართველო-ამერიკის ურთიერთობების განხილვა.

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დამყარდა 1992 წლის 23 აპრილს. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყო კენტ ბრაუნი (1992-1995), ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყო ზურაბ ჩხეიძე (1993-1994), ხოლო 1994 წლის ივნისიდან 2002 წლის მარტამდე – თედო ჯაფარიძე [4].

მაგრამ, ცხადია, ამერიკა-საქართველოს კულტურული კავშირები გაცილებით დიდი ხნისაა, ვიდრე ქვეყნებს შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობა. პირველი ქართველები ამერიკაში მე-19 საუკუნეში ტრანსამერიკული რკინიგზის მშენებლობაზე ჩავიდნენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ქართველი ჩავიდა 1862 წელს – ალექსანდრე ერისთავი, რომელიც სამოქალაქო ომში ჩრდილოეთის მხარეზე იბრძოდა. ასე რომ, აშშ და საქართველოს ურთიერთობის ისტორია 20 წლის წინ არ დაწყებულა.

ცნობილია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ბევრმა ქართველმა მიაშურა ამერიკას, თუმცა ამერიკულმა კულტურამ არანაკლები გავლენა იქონია საბჭოთა კავშირში დარჩენილი ქართველების მსოფლმხედველობაზე. გელა ჩარკვიანი აღნიშნავს, რომ „50-იან წლებში ქართველები იყვნენ პირველები, ვინც ჯახის პოლიფონიას ვიგებდით, და ისე ვმღეროდით, გურულების საჯირითოდ წასვლის 120 წლისთავი აღვნიშნეთ“ [5].

საქართველოს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან ოფიციალური ვაშინგტონის მიერ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების დღიდან აშშ-მა საქართველოს დიდი პოლიტიკური, სამხედრო, ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარება გაუწია. აშშ არის საქართველოს სუვერენიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი საერთაშორისო გარანტი. ამას მოწმობს ის სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც დაიდო საქართველოსა და აშშ-ს შორის და, რომელიც ეხება როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაუმჯობესებას. ასეთი დოკუმენტების ნუსხა ძალიან ბევრია, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე მათგანი:

- შეთანხმება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და აშშ-ის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ (1996 წლის 11 დეკემბერი);
- ხელშეკრულება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და აშშ-ის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობის შესახებ“ (1992 წელი, 27.06);
- ხელშეკრულება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და აშშ-ის მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკურ-ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე“ (1996.31.07);
- ჩარჩო-შეთანხმება „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ“ (2007.20.06) და სხვა, რომლებიც მოწმობენ აშშ-ის აქტიურ მხარდაჭერას საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი [6].

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობის გარდა მნიშვნელოვანია ეკონომიკური თანამშრომლობა. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სავაჭრო ბრუნვა საქართველოსა და ამერიკას შორის (იხ. ცხრილი 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს ექსპორტის მოცულობა ზრდის ტემპით ხასიათდება, მხოლოდ 2008-2009 წლებში განიცადა კლება, რაც უკავშირდება ომის პერიოდს რუსეთ-საქართველოს შორის, მაგრამ შემდგომ წლებში ისევ ზრდა ფიქსირდება. იგივე შეიძლება ითქვას იმპორტზე, ოღონდ კლება იყო 2009-2010 წლებში.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ექსპორტირებულ გარკვეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ვრცელდება პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის (GSP) სავაჭრო რეჟიმი, რაც შეერთებულ შტატებში ქართული პროდუქციის შეღავათიანი საბაჟო განაკვეთით ექსპორტის საშუალებას იძლევა.

ცხრილი 1

სავაჭრო ბრუნვა 2000-2012 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

წელი	ექსპორტი	იმპორტი
2000	7,1	69,6
2001	8,8	64,1
2002	13,5	68,8

2003	15,4	90,7
2004	21,2	110,9
2005	26,7	146,9
2006	58,9	129,6
2007	149	203,8
2008	102,1	358
2009	36,9	226,7
2010	180,5	173,4
2011	143,5	245,8
2012	2377	7842
2013 იანვარ- თებერვალი	358	975

2004-2009 წლებში აშშ-ს მხრიდან საქართველოში განხორციელდა 445 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, რაც ქვეყანაში არსებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო რაოდენობის 6,9% შეადგენდა. აშშ-დან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ 2010 წელს 135,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2011 წლის 6 თვის პერიოდში კი 18,1 მლნ [6. ეკონომიკური თანამშრომლობა].

2009 წლის 9 იანვარს ვაშინგტონში ხელი მოეწერა საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია. ქარტია წარმოადგენს უსაფრთხოებისა და თავდაცვის, ეკონომიკისა და ვაჭრობის, ენერჯეტიკის, კულტურისა და განათლების სფეროებში თანამშრომლობის გაფართოების და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისა და ხალხთა შორის ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება ორ სახელმწიფოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის პრინციპებს, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის მხარდაჭერას, დემოკრატიისა და სტაბილურობის განმტკიცებას [6. თანამშრომლობის სფეროები].

რა შეიცვალა ქარტიის გაფორმების შემდეგ აშშ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და როგორ ვითარდება ის? თუ აშშ საქართველოსათვის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ პარტნიორად ითვლება. ასე არ არის ეკონომიკის სფეროში. ამერიკა საქართველოს მსხვილ სავაჭრო პარტნიორთა ჩამონათვალშია, მაგრამ მეხუთე-მეექვსე ადგილზე, და მას ჯერ კიდევ წინ უსწრებს რუსეთი. პოლიტიკური თანამშრომლობის მაღალი ხარისხის მიუხედავად, მოკრძალებულია აშშ-დან საქართველოში განხორციელებული კერძო ინვესტიციები. 2008 წელს მათი საერთო მოცულობა დაახლოებით 120 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. საქართველოში ამერიკული ინვესტიციების ნაკლებობის მიზეზს ეკონომიკის ექსპერტი გიორგი ისაკაძე საქართველოს არასტაბილურობაში ხედავს. მაგრამ ეს ვითარება შეიძლება შეიცვალოს აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედების შემდეგ, რომელიც საშუალებას მისცემს ამერიკელ ბიზნესმენებს, გამოიჩინონ დამატებითი ინტერესები საქართველოს რეგიონებში დამატებითი წარმოებისათვის. ის ხელს შეუწყობს ბევრი ფისკალური და ბიუროკრატიული ბარიერის გაუქმებას. თუმცა ჯერჯერობით ეს ინიციატივა რეალობად არ ქცეულა. მაგრამ ამისგან განსხვავებული მანქანებელი აქვს საქართველოს მიმართ აშშ-ის მიერ განხორციელებულ ფინანსურ დახმარებას [7].

2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც გადაამწყვეტი აღმოჩნდა ამერიკის მხარდაჭერა. როგორც ცნობილია, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აშშ-მა საქართველოსათვის 1 მილიარდი დოლარის დახმარების გამოყოფა გადაწყვიტა, რომელიც მოხმარდა დევნილთა პრობლემების მოგვარებას, ეკონომიკის გაჯანსაღებას და ენერჯეტიკის განვითარებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე წელია ტარდება ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „შევრთებული შტატები და საქართველო: გუშინ, დღეს, ხვალ“. სწორედ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 20 წლისთავს მიეძღვნა 2012 წლის მაისის კონფერენცია. საინტერესოა რა კვალი დაამჩნია საქართველოს განვითარებას ამერიკასთან მრავალწლიანმა ურთიერთობამ. განვილიმა წლებმა აჩვენა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში ოკეანისგალმელი პარტნიორის როლი განსაკუთრებულია. მარტო ასობით მილიონი დოლარის პირდაპირი ამერიკული ინვესტიცია და 3 მილიარდი დოლარის ფინანსური მხარდაჭერა რად ღირს, მაგრამ როგორც პროფესორი ვასილ კაჭარავა ამბობს, მთავარი ინვესტიცია საქართველოს უსაფრთხოებაა [8].

აშშ-საქართველოს ქარტიაში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ პრეამბულის III ნაწილში: ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერჯეტიკის სფეროში თანამშრომლობა ნათქვამია, რომ აშშ და საქართველოს განზრახული აქვთ გააფართოვონ თანამშრომლობა სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდის წახალისებისათვის, საბაზრო-ეკონომიკური რეფორმის და ლიბერალიზაციის მხარდასაჭერად, ბიზნესგარემოს შემდგომი გაუმჯობესებისა და ბაზარზე საქონლისა და მომსახურების ხელშესაწყობად. აშშ ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში და შესაბამის საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ შესწავლილი იქნეს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადების შესაძლებლობა. ასევე აღნიშნულია, რომ აშშ-სა და საქართველოს განზრახული აქვთ, უზრუნველყონ გაძლიერებული თანამშრომლობა უმაღლესი განათლების, ბიზნესისა და სამეცნიერო კვლევის სფეროში. აშშ გეგმავენ ასევე გაამართონ ვიზის მოთხოვნის პროცესი ამერიკის კანონმდებლობის და კონცეფციების შესაბამისად ისე, რომ კულტურის, განათლების, ბიზნესის და სამეცნიერო საქმიანობაში კვალიფიციურ პირებს მიეცეთ მონაწილეობის შესაძლებლობა. ასევე აღადგინონ დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ომის შემდგომ გარემოში [9].

თინა ქვიდენაუ – თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა აშშ-ში განაცხადა, რომ ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში ქვაკუთხედი გახდა საქართველოს დემოკრატიული განვითარება. აქ ივულისხმება საქართველოში ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა, ჩამოყალიბება და გაჯანსაღება. ამის განსახორციელებლად აშშ გამოყოფს 30 მილიონ აშშ დოლარს [10].

აშშ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ დებორა მაკარტიმ, რომელმაც დადებითად შეაფასა საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივა და აღნიშნა, რომ ეს პროცესი ხელს არ შეუშლის საქართველო ამერიკის წარმატებულ ურთიერთობებს. მისივე განცხადებით, აშშ-ს სურს, რომ საქართველო ნატოს დაუახლოვდეს და, ამავე დროს, რუსეთთან ურთიერთობები გაიუმჯობესოს [11].

ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანია ორი ძირითადი ელემენტი, პირველი, ქარტიის განხორციელება და მეორე – საქართველოს ახალ კონტექსტში ჩასმა და ამ მიმართულებით ურთიერთობების განვითარება. რა თქმა უნდა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას [12].

აშშ-საქართველოს ქარტიაში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ პრეამბულის V ნაწილში: „ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავება და კულტურული გაცვლის გაფართოება“ ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გამოხატავენ სურვილს, მოხდეს ორი ქვეყნის ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავება და კულტურული, საგანმანათლებლო და პროფესიული გაცვლის პროგრამების გაფართოება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს დემოკრატიისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და გაზრდის ურთიერთგაგებას. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს განზრახული აქვთ, უზრუნველყონ გაძლიერებული თანამშრომლობა უმაღლესი განათლების, ბიზნესისა და სამეცნიერო კვლევის სფეროში [9].

ამკარაა, რომ ზემოთ მოყვანილი ფაქტები ნათელი დადასტურებაა საქართველო-აშშ ურთიერთობების მკვეთრი განვითარების და, იმედია, ასე გაგრძელდება მომავალშიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სოლომონ (ბიჭი) თეხელიშვილი, ფსიქოლოგიური ენციკლოპედია. თბილისი, 2007, გვ. 68.
2. Филип Котлер, Гфри Армсронг, Джон Сондерс, Вероника Вонги. Основы маркетинга: Пер.с англ. – 2-е европ.издан.-М.:СПб.; издательский дом «Вильямс», 2004-994 с.: ил. –Парал.тит. англ. с. 39.
3. ნ. თოდუა, მარკეტინგის საფუძვლები. გვ. 23.
4. დიპლომატიურ ურთიერთობათა ქრონოლოგია usa.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id
5. ირაკლი მახარაძე. 26 აპრილს ამერიკასა და ევროპაში გურულების საჯირითოდ წასვლის 120 წლისთავი აღნიშნეთ. <http://www.radiotavisupleba.ge/content/usa-georgia/24585142.html>
6. სამართლებრივი ბაზა usa.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id
7. ეკონომიკა – როგორ ვითარდება აშშ-სა და საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები. ავტორი კახა მჭედლიძე 23.07.2009. <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1783137.html>
8. ჯიმშერ რეხვიაშვილი – აშშ-საქართველო – ღირებულებებზე დაფუძნებული ურთიერთობა. 19.05.2012. <http://www.radiotavisupleba.ge/content/usa-georgia/24585142.html>
9. აშშ-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ <http://www.civil.ge/geo/article.php?id=20340>
10. <http://www.ambebi.ge/politika/25606-irakli-alasania-saqarthvelo-amerikis-urthierthobebis-qvakuthkhedi-qveynis-demokratiuli-ganvitharebaa.html>
11. http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=12672:2012-12-13-11-25-31&catid=100:sazogadoeba&Itemid=396#ixzz2Lzuwk45l
12. ინტერვიუ თემურ იაკობაშვილთან: ახალი რეალობა ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში. 2.12. 2012

*Nargiza Karkashadze
Sopo Mikabadze*

GEORGIA-AMERICA RELATIONS AT THE PRESENT STAGE Annotation

The article provides important definitions concerning the relations. Also, it gives the historical overview of the US-Georgia relations. The article discusses the role of America to make Georgia a democratic country. There is given an analysis of the US-Georgia external trade data covering the timeframe from the year 2000 to January-February, 2013 which, in turn, illustrates a gradual development of economic cooperation. Besides, the presented work includes the discussion about the US-Georgia Strategic Partnership Charter- the basis for creating, deepening and strengthening the relationships between the above mentioned countries in various directions.

ციცინო ძოჭენიძე

საქართველო და ევროპა

საქართველოს ევროპისკენ და ზოგადად, დასავლეთისკენ სვლა XX საუკუნის მიწურულს არ დაწყებულა და ამ გზის გაკვალვა ჩვენმა წინაპრებმა გაცილებით ადრე დაიწყეს.

“დასავლეთი” არის, პირველ რიგში, არა გეოგრაფიული სივრცე, რომელიც მოიცავს ძირითადად ევროპის კონტინენტის დასავლეთ ნაწილს, არამედ ფასეულობათა სისტემა (დემოკრატია, კანონის უზენაესობა,

ტოლერანტობა, მყარი ინსტიტუტები, რასაც ეფუძნება სახელმწიფო და სხვ.) და ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, რომელიც ახასიათებს ევროპას და ჩრდილოეთ ამერიკას (ამ კონტექსტში უნდა ვიგულისხმოდეთ ასევე ავსტრალია, იაპონია, სამხრეთ კორეა და ისრაელი). ის, რაც დღეს დასავლეთს წამყვან როლს ანიჭებს პროცესების წარმართვისას, კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა სახელმწიფოებისა და ხალხების ხელში იყო კონცენტრირებული.

საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის მდებარე გზაჯვარედინს, მუდმივად ჰქონდა მინიმუმ ორი ან რამდენიმე არჩევანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რომლის დროსაც იგი ძირითადად ამ უკანასკნელს ირჩევდა. ამ არჩევანს, პოლიტიკურ კონიუნქტურასთან ერთად, დასავლეთთან ღრმა კულტურული და სულიერი კავშირები განსაზღვრავდა.

ქართულ-ევროპულ (დასავლურ) გზათა პირველი მნიშვნელოვანი გადაკვეთა უკავშირდება მითს არგონავტების შესახებ. ამ გადმოცემაში მრავლადაა სინამდვილის ელემენტები. ჩანს დასავლურ-ქართული ერთობის – კოლხეთის ურთიერთობა მაშინდელი მსოფლიოს წამყვან ხალხთან – ელინებთან, რომლებიც ამრეხით უყურებდნენ არაბერძენ ხალხებს და თავი სამყაროს ცენტრად მიაჩნდათ. კოლხეთი ახლობელია მათთვის. აიეტი მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილია, ე.ი. ის ამ სამყაროში ინტეგრირებულად უნდა მივიჩნიოთ. ასევე აიეტი ფლობს ტექნოლოგიურ ნოვაციას – ოქროს საწმისს, რომელიც ბერძნების ცხოველი ინტერესის სფერო იყო. მითი ასევე ასახავს კარგად განვითარებულ მეტალურგიას, კარტოგრაფიას, ზღვაოსნობას (კირბები) და მედიცინის მაღალ დონეს.

ბერძნული კულტურის დომინაცია, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, კარგად ჩანს ჩვ.წ-მდე VI საუკუნეში. იგი აქტიურადაა ჩართული ელინურ სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში, რომელსაც ბერძნულმა კოლონიზაციამ დაულო სათავე. ის მოიცავდა ახლო აღმოსავლეთს, ეგვიპტესა და აფრიკის სანაპიროს, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპას და, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, შავი ზღვისპირეთს [6, გვ. 162].

დასავლეთ საქართველოსთან ერთად იბერია მკვეთრი ორიენტაციული არჩევანის წინაშე ძვ.წ-ის I საუკუნის 60-იან წლებში დადგა, როდესაც რომი აღმოსავლეთში აგრესიულ პოლიტიკას წარმართავდა და ცდილობდა პონტოს სამეფოს ხარჯზე მოეხდინა საკუთარი მიზნების განხორციელება. იბერიისგან განსხვავებით, კოლხეთი პონტოს სამეფოს უშუალო გამგებლობაში შედიოდა და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების საშუალება არ ჰქონდა.

გამოიკვეთა იბერიის სამეფოს ფუნქცია საერთაშორისო პოლიტიკაში, რაც გულისხმობდა კავკასიონის გადმოსასვლელების კონტროლს და იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების ამ მონაკვეთის დაცვით, იმდროინდელი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

ქართულ-რომაულ ურთიერთობებს, უფრო მაღალ ხარისხში, ადგილი ჰქონდა II საუკუნის 40-იან წლებში ქართლის მეფე ფარსმან II-ის დროს, რომელიც კარგად იყენებდა მის ხელთ არსებულ ბერკეტებს მომთაბარე ტომების სახით და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობდა. მისი ფიგურის მნიშვნელობაზე მეტყველებს ვიზიტი “მარადიულ ქალაქში” და მარსის მოედანზე მისივე ცხენოსანი ქანდაკების აღმართვა.

საქართველოს დასავლეთთან მიმართებაში საკვანძო მომენტად მიჩნეულია IV საუკუნე, ქრისტიანობის განმტკიცების ხანა. ამ რელიგიამ მთლიანად შეცვალა ევროპის ბედი. ასე მოხდა საქართველოშიც. ის შემოვიდა ყველგან: კულტურაში, ხელოვნებაში, ცხოვრების წესსა და საზოგადოებრივ სისტემაში.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ, ერთი მხრივ, ორიენტაციასთან დაკავშირებულ საკითხს სრულად გასცა პასუხი, ხოლო მეორე მხრივ, წითელი ხაზი გაავლო აღმოსავლეთთან და გაემიჯნა ჯერ მაზდეანობას, შემდეგ კი ისლამს. ამის ნათელი დადასტურებაა ვახტანგ გორგასალის პოლიტიკა, რომელიც, მიუხედავად სიძნელეებისა, აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) პოლიტიკურ ორბიტაში ცდილობდა დამკვიდრებას. მეფე სპარსეთის დახმარებით ემუშავებოდა თავისი ძალაუფლების გაზრდას და ქვეყნის ტერიტორიის გაფართოება-ცენტრალიზაციას, მაგრამ ეს სტრატეგიული მიზნისაკენ მიმავალ ტაქტიკურ ნაბიჯად მიაჩნდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ბიზანტიური სივრცის ნაწილად ექცია ქვეყანა.

ძალზე საგულისხმოა VI საუკუნეში ეგრისში მიმდინარე “დიდი ომიანობა”. აღმოსავლურ-დასავლური მსხვილი მოთამაშეების, ირანისა და ბიზანტიის ინტერესები, გარდა სხვა ადგილებისა, დასავლეთ საქართველოშიც გადაიკვეთა. თავის მხრივ, ცუდსა და უარესს შორის არჩევანის პრინციპით მოქმედი ეგრისელები ხან ბიზანტიელებს მოუხმობდნენ ქვეყანაში, ხან კი ირანელებს. თუმცა, მიუხედავად ბიზანტიელთა მიერ გუბაზ მეფის მკვლელობისა, როდესაც ეგრისელთა მიერ შეყრილ აგორაზე ქვეყნის ორიენტაციის საკითხი დადგა, მათ დიდი მსჯელობის შემდეგმ დასავლეთს (ბიზანტიას) მიანიჭეს უპირატესობა და აქ განმსაზღვრელი ფაქტორი ქრისტიანობა აღმოჩნდა.

VIII საუკუნეში, ქართლში განსაკუთრებით გაძლიერდა არაბთა ბატონობა. ამ ვითარებას კარგად აღწერს იოანე საბანისძე და ყურადღებას ამახვილებს ქართლის ადგილსა და ფუნქციაზე რეგიონში, რითაც ხაზს უსვამს მის განუყოფლობას ბიზანტიისგან, დაზუსტებით კი ქრისტიანული სამყაროსაგან. “რომელნი ესე ვართ ყურესა ამას ქვეყნისასა . . . არა ხოლო ბერძენთა სარწმუნოებაი ესე ღმრთისა მიერი მოიპოვების, არამედ ჩუენცა შორიელთა ამათ მკვიდრთა”. X-XI საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც დღის წესრიგში დგება საქართველოს გაერთიანების საკითხი, ეს ურთიერთობები თვისებრივად ახალ ფაზაში გადადის. გაერთიანებული ქართული ფეოდალური მონარქია, რომელსაც კავკასიური იმპერიის ამბიციები აქვს, ცდილობს ნელ-ნელა წინააღმდეგობა გაუწიოს ბიზანტიას და შემდეგ მის საპირწონედ იქცეს. ეს პროცესი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ერთი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა. იგი აისახა ჯვაროსნებთან ურთიერთობაში (I, IV და V ჯვაროსნული ლაშქრობები) და რომის წმინდა საყდართან მიმოწერაში. XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან განსაკუთრებით გახშირდა კავშირები კათოლიკურ სასულიერო ორდენებთან, კერძოდ დომინიკანელებთან და ფრანცისკანელებთან, ხოლო XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალის ზეობისას ეს ურთიერთობები ახალ საფეხურზე ავიდა. ამის მიზეზი იყო ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერება, რამაც კათოლიკეებს უბიძგა სმირნადან საეპისკოპოსო კათედრა თბილისში გადმოეტანათ, ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებები საერთაშორისო და რეგიონულ პოლიტიკაში. ვენეციისა და გენუის მიერ საერთაშორისო

ვაჭრობაში უმთავრესი კონკურენტის – ბიზანტიის დასუსტება-ჩამოშორებამ შავი ზღვის ფუნქციის გაზრდა გამოიწვია. იგი იტალიური ქალაქ-სახელმწიფოების მიერ ჩამოყალიბებულ სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში ჩაერთო. ამას მოჰყვა გენუელების მიერ სავაჭრო ფაქტორიების დაარსება შავი ზღვის სანაპიროს ქართულ ნაწილში (ბათუმი – ლო ვატი, ფოთი – ფასო, სოხუმი – სებასტოპოლისი).

ევროპასთან ურთიერთობისას საბუდისწერო მომენტი დადგა 1453 წელს, როდესაც დაეცა კონსტანტინოპოლი. ბიზანტიის იმპერიის დამხობით ჩაიკეტა პირდაპირი გზა დასავლეთისაკენ და ქვეყანა აგრესიული მუსულმანური ქვეყნების რკალში მოექცა: “ეს ის ხანა იყო, როცა ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები ცენტრალიზაციისა და სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებისაკენ მიიღწეოდნენ. ინგლისში ვარდების ომის შემდეგ 1485 წელს ტიუდორთა ტრუიმფალური აღზევება მოხდა. საფრანგეთში ლუდოვიკო XI უღმობლად მოსპო ფეოდალური თვითნებობის ნაშთები. დიდი მთავრები ივანე დიდი და ვასილი ერთიმეორეს მიყოლებით ნოქავენენ მოსკოვის დამოუკიდებელ სამთავროებსა და თავისუფალ ქალაქებს და ახალ რუსეთს უყრიდნენ საძირკველს. ბოსფორზე თურქი სულთნები ახალ იმპერიას აშენებდნენ, რომელიც მრისხანედ იდგა ცალი ფეხით აღმოსავლეთში და მეორეთი დასავლეთში. სპარსეთში შაჰ-ისმაილ საფავიმ ახალ ეროვნულ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი და გზა მისცა თავისი ხალხის რელიგიურ და პატრიოტულ აღტკინებას. მაგრამ რენესანსული ცივილიზაციისაგან მოწყვეტილ და ქანცგამოლეულ საქართველოში საათის ისრები უკან მიდიოდა და არა წინ”.

მიუხედავად ამ სავალალო კონტრასტისა, ქართველი მეფე-მთავრები იმედის თვალთ შეჰყურებდნენ ევროპას, მაგრამ ამაოდ. იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მათ მიერ გაწეული დახმარება მხოლოდ მორალური ხასიათისა იყო. ეს დაადასტურა სიმონ I-ის მიმოწერამ პაპ კლიმენტი VIII და ესპანეთის მეფე ფილიპე II-თან და განსაკუთრებით კი სულხან-საბას ელჩობამ საფრანგეთსა და იტალიაში.

თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდეგ სახელმწიფოს დაქუცმაცება-დეზინტეგრაციის პროცესი შეუქცევადად გრძელდებოდა სამი საუკუნის მანძილზე. საგარეო ასპარეზზე ქართული სამეფო-სამთავროების არცთუ წარმატებულ თამაშს ირანსა და ოსმალეთს შორის არამდგრადი შიდაპოლიტიკური პროცესები განაპირობებდა. რეფორმას საჭიროებდა მთელი სისტემა, რასაც უნდა გამოეწვია ეკონომიკის აღმავლობა, სახელმწიფო აპარატის ახლებურად გარდაქმნა, ჯარის რეფორმირება, “ტყვის სყიდვის” შეჩერება და ამით დემოგრაფიული სურათის გაჯანსაღება და სხვ. ეს მიზნები ჰქონდა ერეკლე II-საც როდესაც რუსეთთან დაკავშირება გადაწყვიტა. საქართველოში განვითარებულმა სამსაუკუნოვანმა პროცესმა, რომელსაც ზემოთ შევხვით, განაპირობა ერეკლეს არჩევანი რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ.

ისეთ გამოცდილ დიპლომატს, როგორც ერეკლე იყო, კარგად ესმოდა ევროპის მნიშვნელობაც და საერთაშორისო პოლიტიკაც. მისი რეფორმები, რაც გულისხმობდა “მორიგე ჯარის” შექმნას, სახელმწიფო აპარატის გარდაქმნას, ჯარის თანამედროვე იარაღით აღჭურვას ევროპეიზაციისაკენ გადადგმული ნაბიჯები იყო, მაგრამ ეს მხოლოდ პროცესის ერთი მხარე გახლდათ. მეორე მხარეს კი იდგა სამი რეგიონული “ვეშაპი” და მათთან ერთად მოთამაშე მსხვილი ევროპული სახელმწიფოები, რომელთა შორისაც ხდებოდა ლაგობა. თვითონ რუსეთიც ევროპეიზაციის გზაზე იდგა. თავი რომ დავანებოთ რუსეთის სამეფო კარის ვიზუალურ მხარეს, რომელსაც დასავლური “სურნელი” დაჰკრავდა, უნდა გამოვყოთ ევროპული (გერმანულ-პრუსიული) მოდელის დანერგვის პროცესი არმიაში, განათლების სისტემაში, ეკონომიკაში და ა.შ.

“ქართლ-კახეთის სამეფოს პროდასავლური ორიენტაცია იმდენად სერიოზული იყო, რომ რუსეთის მთავრობის რეზიდენტმა სერგეი ბურნაშოვმა საქმის კურსში ჩააყენა რუსეთის საიმპერატორო კარი.” ერეკლეს სურვილს, ევროპულად მოეწყო ქვეყანა, ადასტურებდა 1784 წელს პავლე პოტიომკინის მიერ შეგროვილი ცნობებიც. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს ჩანაფიქრი არ გამართლდა და საქართველო რუსეთმა დაიპყრო, უარყოფითის გარდა ამას ზოგიერთი დადებითი მოვლენაც მოჰყვა. რუსეთის გავლით აქამდეც მოაღწია ევროპულმა ცხოვრების წესმა, განათლებამ და კულტურამ.

დასავლეთის უპირატესობაზე, მხოლოდ ნაკლებად პოლიტიკურ ჭრილში, აქტიურად წერდნენ ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ამერიკული განათლების სისტემით იყო აღფრთოვანებული), ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე, და სხვები. ისინი მხარს უბამდნენ ყველა პროგრესულ დასავლურ წამოწყებას, შეეხებოდა ეს პოლიტიკას (თვითმმართველობის სახით), ეკონომიკას, განათლებას, სოფლის მეურნეობას თუ სხვა სფეროს, მხოლოდ ერთი პირობით: უნდა მომხდარიყო ევროპული სიახლეების მორგება ქართულ სინამდვილესთან, რათა ამ სინთეზის შედეგად მიღებული ნაყოფი სიცოცხლისუნარიანი ყოფილიყო.

6. ნიკოლაძეს საქართველოსთვის ევროპული განვითარების კურსი მიაჩნდა იდეალურ ვარიანტად, რასაც ასე ხსნიდა: “ორიენტაცია შთაგონებით არ ხერხდება, ხალხი, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, თავისთავად მუდამ იქეთ იქცევის პირს, საიდანაც მზე სხივს ჰფენს და ღვივის. საქართველო წარსულში ორიენტაციას ყოველთვის იქეთ მიმართავდა ხოლმე, საიდანაც სინათლე და მოძრაობა მოდიოდა. შემცდარია, ვინც ფიქრობს, ვითომც რომელიმე მეფეს, წოდებას ან თაობას თავის ნებაზე შეძლებოდა საქართველოს აქეთ და იქეთ მიბრუნება. სანამ განათლება და ცხოვრება ბიზანტიაში ენთო, საქართველოსაც მზესუმზირასავით თვალი იქეთ ეკავა, როცა სპარსეთი აყვავდა ინდოეთის კულტურაზე დაწაფებით, ჩვენი აღორძინებაც მისკენ მიიმართა, აზრი მისკენ გვექონდა, პეტრე დილისა და ეკატერინე მეორის ამავმა რუსეთი რომ გააჩაღა, საქართველოც ძალაუხერბოდა მან წარბეჭდა ფიზიკის კანონი. როცა სხვადასხვა ძალა ერთ და იმავე საგანს თავისკენ უქაჩავებს, ამ საგნის მდებარეობას სწვევებს მებრძოლი ძალების უძლიერესობა, საგანს, უნდა თუ არ უნდა, ყოველთვის მომრევი გადითრევს.” 6. ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ვაჭრობა ალებ-მიცემობის განვითარების პროპაგანდას ეწეოდა. ვაჭრობა იმ ბერეკტად მიაჩნდა, რასაც უნდა შემოებრუნებინა მრეწველობა, განვითარებინა ადგილობრივი სოფლის მეურნეობა, წინ წაეწია საზოგადოება და გაეძლიერებინა ეკონომიკა. დიდ ნიკოს ყველაფრისადმი მეცნიერული მიდგომა ჰქონდა და ქვეყნის პრიორიტეტად მეცნიერების გამოცხადება მიაჩნდა. ქართველ მოაზროვნეთაგან იგი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც წინა პლანზე წამოსწია პრაქტიკული საკითხები, ერის განვითარებაში საკუთარი წარმოების

აღორძინების აუცილებლობა, ეროვნული ვაჭრობისა და ეროვნული მრეწველობის განვითარება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა, მეზობელ ქვეყნებთან კავშირის გაუმჯობესება, საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტ ფაქტორად ნ. ნიკოლაძე სამამულო მძაღლ განვითარებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას ასახელებს. “ამ გასაჭირში, როცა არ ვგაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი, წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა, უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოეთს ვთხოვდეთ საყიდ საქონელს”.

ნიკო ნიკოლაძეს აწუხებდა ის აზრი, რომ “ახალი თაობა” არ ცნობდა ხალხის პრაქტიკულ საჭიროებას, არ იცოდა და ვერც ეჩვენა ერთად, შეერთებულ შრომას, ერთ რაზმში მხარდამხარ დგომას. სწორედ მან, “თერგდალეულთა” “უკანასკნელმა მოპიკანმა,” მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს გათავისუფლებასა და თავისუფალი რესპუბლიკის დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, როგორც დეპუტატმა, როგორც დიპლომატმა, როგორც ფინანსისტმა და ეკონომისტმა, როგორც მებრძოლმა ჟურნალისტმა, როგორც მეწარმემ და როგორც ახალი, დიდი და მასშტაბური პროექტების ავტორმა და შემოქმედმა.

ნიკო ნიკოლაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა თურქეთთან და გერმანიასთან მოლაპარაკებაში, რასაც მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება დემოკრატიულ რესპუბლიკად და ამ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება.

ნიკოლაძე წარმოდგენილი იყო საქართველოს მაშინდელ პარლამენტში. იგი ხმალოდებული იბრძოდა ქვეყნის გადარჩენისათვის. ამისთვის მას თავისი ხედვა და გეგმა ჰქონდა. ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ სოციალისტური წყობა, რომელიც დემაგოგიურ პრინციპებს ეფუძნებოდა, განწირული იყო დასალუპად. დიდი მოაზროვნე ამტკიცებდა, რომ “ყოველ დროს თავისი საქმე და საჭიროება აქვს, ნაადრევი ყველაფერი დღენაკლულია!.. სანამ არ შეიქმნება დემოკრატიის ეკონომიკური და პოლიტიკური წინამძღვრები, მანამ მდგომარეობა არ შეიცვლება და არ გაუმჯობესდება”.

ნიკო ნიკოლაძე ეჭვქვეშ აყენებდა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობის ჩამოყალიბების შესაძლებლობებს. მისთვის მიუღებელი და არარეალური, ქვეყნისათვის დამღუპველიც კი იყო “სოციალ-დემოკრატების ყველაზე თამაში და დღემდე არსად არ განხორციელებული იდეალი სიმდიდრის კოლექტიური წარმოება, როგორც კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართული საშუალება” მას მიაჩნდა, რომ “საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა, ხალხის პოლიტიკური კულტურის დონის ამაღლებით, მისი ზნეობრივი და გონებრივი განვითარების წყალობით უნდა მოხდეს”.

დიდ რეფორმატორს საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა და გაძლიერება მიაჩნდა უპირველეს პრიორიტეტად.

ნ. ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ ქვეყნის გაძლიერებისათვის აუცილებელია ბაქო-ბათუმისა და გროზნო-ფოთის ნავთობსადენის მშენებლობა ისე, რომ ორივე ნავთობსადენმა აუცილებლად გაიაროს საქართველოს ტერიტორიაზე. მისი სიტყვით: “ჩვენ უნდა გავაკეთოთ მილი გროზნომდის იმისთვის, რომ ბაქოს სათამაშონი არ გავხდეთ, როგორც დღეს ვართ”.

საფუძვლიანი გამოდგა ნიკო ნიკოლაძის შიში. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა იარაღით დაიპყრო საქართველო, მოახდინა მისი ხელახალი ოკუპაცია და ანექსია.

რუსეთის იმპერიის ნგრევის შედეგად 1918 წელს აღმოცენებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დასავლური ორიენტაციისა იყო. მათ მიერ გატარებული რეფორმებიც ამას ადასტურებდა. აღარაფერს ვამბობთ იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ სანამუშო კონსტიტუციაზე.

საქმეში ისევე, ჩვენნაირი პატარა და ჩამოყალიბებული სახელმწიფოსთვის, ნაკლებად ანგარიშგამწვევი ფაქტორი – საერთაშორისო პოლიტიკა ჩაერთო, რომელმაც დემოკრატიული ღირებულებების დამცველი საქართველო რუსეთის გავლენის სფეროდ გამოაცხადა. ეს კი ევროპული კარების კიდევ ერთხელ მიხურვას და გაწოთლებული რუსული იმპერიის ნაწილად ქცევას ნიშნავდა.

XX საუკუნის ბოლოს “ცივი ომის” დასრულებას მსოფლიოში ახალი წესრიგის ჩამოყალიბება მოჰყვა. ამ პროცესმა პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოები გააჩინა, რომელთა შორის საქართველოც აღმოჩნდა. ახალი გეოპოლიტიკური ერის დასაწყისში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ ზუსტად განისაზღვრა გეოპოლიტიკური მოძრაობის დაწყების მეთოდოლოგია და საშუალებები. ამის ნათელი დადასტურებაა დღევანდელი საქართველოს გეოპოლიტიკური წინსვლა და პრაქტიკულად იგივე პრობლემები, რასაც პირველი პრეზიდენტი წააწყდა. თუმცა, დღევანდელი მდგომარეობა გაცილებით იმედისმომცემია, ვიდრე იმ დროს, ვინაიდან საქართველო 1990-იანი წლების დასაწყისში აბსოლუტურად მარტო აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ახლა საქართველო დასავლეთის დემოკრატიული სამყაროს დიდი მხარდაჭერით სარგებლობს და, შეიძლება ითქვას, განისაზღვრა ჩვენი ადგილი და როლი არსებულ გლობალურ გეოპოლიტიკაში. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა სტრუქტურირებული ხდება ახალ მსოფლიო წესრიგში. ზვიად გამსახურდიას მიერ იმპერიის წინააღმდეგ მოთხოვნების დინამიკას თუ მიყვებით, აღმოვაჩნეთ, რომ იმ პერიოდში დასავლეთი მხად არ იყო განესაზღვრა საბჭოთა რესპუბლიკების ბედი და დაინტერესებულიყო ამ რესპუბლიკების გეოპოლიტიკური მოძრაობებით. ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ დაწყებული მოძრაობები დაფიქსირებულიყო როგორც სამხრეთ კავკასიაში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ მოქმედებების სიმძიმე საქართველომ და მისმა ლიდერმა საკუთარ თავზე აიღო. დასავლეთი ამ შემთხვევაში განზე გადგა. სამხრეთ კავკასიაში ამის მედროშულ საქართველო და მისი ლიდერი ზვიად გამსახურდია გამოვიდა, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში – ჩენჩეთის რესპუბლიკა. ამ ყველაფრის მოთავე თავად პირველი პრეზიდენტი იყო. ვერ ვიტყვით, რომ ეს ყველაფერი იმ დღის პოლიტიკას ემსახურებოდა მხოლოდ. ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით ყველა ის საკითხი, რომელიც ზ. გამსახურდიას მიერ წინა პლანზე იყო წამოწეული, ასევე აქტუალურია დღესაც. ახლადმოხილი ქართული სახელმწიფო მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ეს პრობლემები გამოიხატა 1991-1992 წლებში კანონიერი ხელისუფლების დამხობით, ორი ეთნოკონფლიქტის გაჩაღებით, რასაც მოჰყვა საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 20%-ის ფაქტობრივი ანექსია რუსეთის მიერ, ეკონომიკური პრობლემები, კორუფციის არნახული მასშტაბები და სხვა პრობლემები.

ცხადია, ამ სიძნელეების ერთ-ერთი ძირითადი “შემოქმედი” რუსეთი იყო, რომელიც ვერ ეგუებოდა ტრადიციული გავლენის სფეროების შემცირებას. აი, ამ ფონზე, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება დასავლეთთან აქტიური ურთიერთობები. თანამშრომლობა ნატოსთან, ევროკავშირსა და ეუთოსთან.

ამ პერიოდშივე ყალიბდება საქართველოს ფუნქციის კონტურები XXI საუკუნეში, რომელიც შემდგომ გარდაისახა სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბის პროექტებში, იყო ეს ბაქო-სუფსა-ჯეიჰანის ნავთობსადენი თუ ბაქო-თბილისი-ერზუმი გაზსადენი. ამას თან დაერთო აშშ-თან სტრატეგიული თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში, ხოლო 90-იანი წლების პროდასავლური ორიენტაციის სიმბოლურ დაგვირგვინებად შეიძლება მივიჩნიოდ 1999 წელს საქართველოს ევროსაბჭოში მიღება. ეს იყო ჩვენი ქვეყნის არაერთი თაობის სურვილი და ოცნება ევროპასთან, დასავლეთთან კავშირისა.

„საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს დრმა და ყოველმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. ასოცირების ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ შესაძლებელი იქნება, რომ საქართველო ევროპულ სივრცეში ეკონომიკურად და პოლიტიკურად საბოლოოდ ინტეგრირებულად ჩაითვალოს.

Tsitsino Dzotsenidze

GEORGIA AND EUROPE Annotation

The movement of Georgia towards Europe did not begin at the end of the XX century. Our ancestors started this much earlier. "West" is, first and foremost, not a geographical space, but also the value system (democracy, rule of law, tolerance, solid institutions, and others) and high level of technical - economic development that characterizes Europe.

It is important Partnership and Cooperation Agreement (PCA), concluded between the EU and the three countries of South Caucasus, which entered into force in 1999.

Political dialogue, democracy, market economy, trade and investment promotion and sustainable development of the restoration of ties between the EU and the countries of the region are the most important parts of this agreement. It is also important for South Caucasus countries "Generalized System of Preferences" (GSP) provided by the European Union. However, The Partnership and Cooperation Agreement it is not yet Association Agreement, and it does not include countries accession in the EU, which may have been a motivation for the South Caucasus countries and have had a positive impact on their development.

"The Association Agreement between the EU" is ambitious and innovative, the so-called "New generation" agreement, in contrast to the similar agreements, comprises a deep and comprehensive Free Trade Area component (Deep and Comprehensive Free Trade Area - DC FTA) and provides a specific mechanism for convergence with the EU. "Eastern Partnership" as the format of cooperation of Eastern European neighboring countries (Azerbaijan, Belarus, Moldova, Georgia, Armenia, and Ukraine) is the initiative of Poland and Sweden. Its main purpose is implementation The European Neighborhood Policy (ENP) and an amplification it's Eastern Dimension. "Georgia - EU Association Agreement" will replace "Partnership and Cooperation Agreement" signed in 1996 and will create new legal framework for cooperation between EU and Georgia.

ლალი ხარბელია

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების გეოპოლიტიკური კონცეფციები

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა კვლავ აქტუალური გახადა გეოპოლიტიკური კონცეფციები. უკრაინაში შექმნილი ვითარების შემდეგ პოლიტიკოსები “ცივი ომის” საფრთხეზეც აღაპარაკდნენ. დასავლეთს ამჟამად არა აღმოსავლეთი, ევროპასთან მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართული რუსეთი დაუპირისპირდა თავისი გეოპოლიტიკური ამბიციებით. „სოციალისტური ბანაკის“ დაშლისა და „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ბევრი მკვლევარი გეოპოლიტიკის მნიშვნელობის შესუსტებაზე მიუთითებდა და ახალი მიმართულების – გეოეკონომიკის განვითარებაზე ამხვილებდა ყურადღებას. მათ შორის იყო ამერიკელი მკვლევარი ედვარდ ლუტვაკი, ფრანგი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ჟაკ ატალი, იტალიელი სწავლულები კარლო ჟანი და პაოლო სავონა, რუსი მეცნიერი ე. კონეცოვი და სხვ. მაგრამ გეოეკონომიკამ ვერ ჩაანაცვლა გეოპოლიტიკა და ის ჩამოყალიბდა, როგორც გეოპოლიტიკის ერთ-ერთი მიმდინარეობა, რომელიც პრიორიტეტად განიხილავს სივრცესთან ეკონომიკური რეალობის ურთიერთობას.

ჩვენ განვიხილავთ იმ გეოპოლიტიკურ კონცეფციებს, რომელიც ბოლო ათწლეულების მანძილზე ქმნიდა თეორიულ ფონს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციებისათვის. ამ კონცეფციებს მიეკუთვნება: მონდიალიზმი, მოდერნიზმი, ერთიანი ცივილიზაციის, ცივილიზაციათა შეჯახების თეორიები, მსოფლიო მეურნეობის განვითარების გეოეკონომიკური კონცეფცია და სხვ. ამ თეორიათა შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა XXI საუკუნის დასაწყისში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „მონდიალიზმის“ კონცეფცია წარმოიშვა დიდი ხნით ადრე, ვიდრე დასავლეთი ცივ ომში საბოლოო გამარჯვებას მიაღწევდა. მონდიალიზმი წარმოდგება ფრანგული სიტყვისაგან – „მონდე“, რაც მსოფლიოს ნიშნავს. ეს არის თეორიული კონცეფცია, რომელიც ყველა სახელმწიფოსა და ხალხების ერთ მსოფლიო წარმონაქმნში შერწყმას გულისხმობს მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებით, რომელსაც თან ახლავს ეროვნული, რასობრივი, რელიგიური და კულტურული საზღვრების განადგურება. მონდიალისტური კონცეფცია განვითარდა ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში, როდესაც მსოფლიო გლობალიზაციის პირველმა ტალღამ მოიცვა. არსებობდა მონდიალისტური ორგანიზაციებიც, რომელთა საქმიანობას საფუძვლად ედო წმინდა ეკონომიკური მისწრაფებანი. მათ ქმნიდნენ მსოფლიო ბიზნესის მსხვილი წარმომადგენლები. ერთ-ერთი ასეთი იყო სესილ როუდილის მიერ ორგანიზებული ჯგუფი – „მრგვალი მაგიდა“, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო მთელ

მსოფლიოში დაუბრკოლებელი სავაჭრო სისტემის დამყარებისა და ერთიანი მსოფლიო მთავრობის შექმნისათვის.

მსოფლიო განვითარების გააზრების პროცესში XX ს-ის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა მონდიალიზმის ერთ-ერთი პირველი მიმართულება – მოდერნიზმი. იგი დასავლეთში 60-იან წლებში დომინირებდა. მისი წარმომადგენლები იყვნენ: ტ. პარსონსი, კ. კერი, უ. როსტოუ, ლ. ლერნერი, დ. აბტერი და სხვ. მათი აზრით, მსოფლიო ერთიანი სისტემაა, რომელიც ისწრაფვის საერთო მომავლისაკენ. ისინი მსოფლიო განვითარების მიმოდრავებელ ძალად მიიხსენებდნენ ტრადიციულ და მოდერნიზებულ სახელმწიფოებს, ისტორიული განვითარების მაგისტრალურ ხაზად კი ფიქრობდნენ გადასვლას ტრადიციონალიზმიდან მოდერნიზმზე და თვლიდნენ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს საკმარისი პოტენციალი მომავალში მოდერნიზტულზე გადასასვლელად მსოფლიო ეკონომიკაში ჩართვისათვის.

მაგრამ პრაქტიკამ ცხადყო, რომ სწორხაზოვანი „პროგრესული მოდერნიზაცია“ განუხორციელებელი აღმოჩნდა და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებმა ვერაფერით შეძლეს გზის გაკვლევა პროგრესისაკენ. ოპტიმისტური რწმენა ეკოლოგიური და ერთიანი ცივილიზებული განვითარების შესახებ შეარყია დაბალგანვითარებულმა ქვეყნებმა. აშკარა გახდა, რომ მხოლოდ დასავლურ ფასეულობათა აღიარება არ არის საკმარისი, აუცილებელია კულტურულ თავისებურებათა და მატერიალური განვითარების პრობლემათა გადაწყვეტის არადასავლური წესების გათვალისწინება. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ თვით დასავლეთში დაექვედნენ მსოფლიო მოდერნიზაციის შესაძლებლობაზე, თუ არ იქნებოდა გათვალისწინებული ისტორიული, კულტურული და რელიგიური განვითარების თავისებურებანი და მენტალიტეტი. ასე დაუპირისპირდა მოდერნიზმს ანტი-მოდერნიზმი (1965-1975) – სამეცნიერო პარადიგმა, რომელმაც მეტი ყურადღება დაუთმო იმ ქვეყნებისა და ხალხთა პრობლემებს, რომელთა გასვლა პროგრესის გზაზე დაკავშირებული აღმოჩნდა „საკუთარი თავის დაძლევათა“ ანტიმოდერნიზმის წარმომადგენლები არიან: დ. აბტერი, ნ. სელსონი, ჯ. ნეტლი, რ. რობერტსონი, დ. გოროვიცი, ა. ლევი და სხვ. ისინი დასავლურ უკვე აღარ განიხილავდნენ როგორც მსოფლიო რაციონალურობის მატარებელს, რუსეთს კი როგორც აგრესიის გამოხატულებას.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე მსოფლიო განვითარების გააზრებასთან მიმართებით განვითარდა მესამე მიმდინარეობა - პოსტმოდერნიზმი. ამ სოციალურ-ეკონომიკური ინტერპრეტაციისათვის არ იყო დამახასიათებელი რადიკალიზმი. პოსტინდუსტრიალიზმის ბელადები ეკონომიკურ თეორიაში იყვნენ: ს. ლევი და დ. პარვი. ისინი არ ყოფდნენ სამყაროს „თანამედროვე“ და „არქაულ“ ნაწილებად, არ უპირისპირდებოდნენ მოდერნიზმსა და ტრადიციონალიზმს. მათი მტკიცებით, არსებობს უნივერსალური ფასეულობანი, მაგრამ არა წმინდა დასავლური, არამედ ზოგადსაკაცობრიო, ანუ წამოაყენეს მსოფლიოს უნივერსალურობის პრინციპი. ამ პოსტულატმა თითქოს გააქარწყლა განსხვავება დასავლურ და არადასავლურ სამყაროს შორის. პოსტმოდერნიზმმა მთელი ყურადღება გადაიტანა პიროვნებაზე, ინდივიდზე. მათ საჭიროდ ჩათვალეს, რომ არ გატაცებულყვნენ გეოპოლიტიკით, დაინტერესებულყვნენ არა რეგიონული სახელმწიფო დაჯგუფებებით, არამედ ინდივიდითა და პიროვნების ბედით. მაგრამ პოსტმოდერნიზმმა ვერ შეძლო მოვლენების სწრაფი გაანალიზება, რამდენადაც 1989-91 წლებში მსოფლიო ეპოქალური მასშტაბის ცვლილებებმა მოიცვა და განხორციელდა უდიდესი რევიოლუციური გადატრიალება. კვლავ შეიცვალა მსოფლიო განვითარების ასხნის ინტერპრეტაცია და ასე ჩამოყალიბდა ნეომოდერნიზმი. ეპოქალური ცვლილებების საბოლოო შედეგი ის იყო, რომ გლობალური მასშტაბით გაიმარჯვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა დასავლურმა ფორმამ. სსრკ-ის დაშლისა და დასავლეთის გამარჯვების შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა მონდიალისტური პროექტების მნიშვნელობა. პოსტსაბჭოურ ეპოქაში ახალ მონდიალისტურ ვერსიად იქცა ფრენსის ფუკუიამას დოქტრინა. მისი საპროგრამო სტატია – „ისტორიის აღსასრული“ – ნეომონდიალიზმის ერთიანი ცივილიზაციის თეორიის იდეურ ბაზად განიხილება, რომლის არსი ისაა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოძრაობს ერთიანი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური წყობილებისაკენ – ლიბერალური დემოკრატიისაკენ. ასეთი წყობილება უკვე არსებობს დასავლეთში, ხოლო როცა მას მიაღწევენ დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნები, მაშინ მსოფლიო გადაიქცევა ერთიან საზოგადოებად და, ფ. ფუკუიამას სიტყვებით რომ ვთქვათ, დადგება „ისტორიის აღსასრული“⁷⁷.

რამდენადაც თავისუფალ ბაზარსა და დემოკრატიასთან დაბრუნება მოხდა მსოფლიო მასშტაბით, ამდენად დემოკრატიისა და ბაზრის კატეგორიები წარმოადგენენ აბსტრაქტულ და საყოველთაო ფასეულობებს, ხოლო უნივერსალიზმი კვლავ გახდა სოციალურ-ეკონომიკურ თეორიათა იდეური წყარო. ბაზარი განიხილება როგორც პროგრესის ძირითადი საშუალება, მსოფლიო ძალების გამაერთიანებელი და აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა განვითარების რაციონალური ინსტრუმენტი. მსოფლიოს გეოპოლიტიკური სურათი ასეთია: მატერიალური პროგრესის სათავეში დგანან ის ევროპული, ამერიკული და აზიური ქვეყნები, რომელთა ურთიერთობა შეიკრა ერთიან გლობალურ სისტემად. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გლობალიზაცია გაბატონებული თეორიული სქემაა და თანამედროვე აზროვნების ჰორიზონტში დღემდე ბატონობს, მიუხედავად 2001 წლის სექტემბრის მოვლენებისა, რომელიც საფუძვლად დაედო ცივილიზაციათა დაპირისპირებას. ეს თითქოს მოულოდნელიც არ უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ჯერ კიდევ 1993 წელს პარვარდის უნივერსიტეტთან არსებული სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა სამუელ ჰანტინგტონმა ჩამოაყალიბა ცივილიზაციათა შეჯახების თეორია ნაშრომში - „ცივილიზაციათა შეჯახება“⁷⁸. აღნიშნული თეორიის მიხედვით, კონტინენტური ძალების უკანასკნელი საყრდენი – სსრკ-ის დაშლის შემდეგ, მთელ მსოფლიოში ატლანტიზმის თვალსაჩინო გეოპოლიტიკური გამარჯვება სინამდვილის მხოლოდ ზედაპირული მხარეა. ნატო – ს სტრატეგიული წარმატება თანმხლები იდეოლოგიური გაფორმებით – მთავარ, დაპირისპირებულ კომუნისტურ იდეოლოგიაზე უარის თქმა – არ ესება ღრმა ცივილიზაციურ შრეებს. ჰანტინგტონი ამტკიცებს, რომ სტრატეგიული გამარჯვება არ ნიშნავს ცივილიზაციურ გამარჯვებას; დასავლური იდეოლოგია – ლიბერალური დემოკრატია, ბაზარი და ა.შ. უაღტერნატივოა მხოლოდ დროებით, ვინაიდან ძალიან მალე არადასავლურ ქვეყანათა ხალხები გამოავლენენ

⁷⁷ Фукуяма Ф., Конец Истории?, «Вопросы философии», 1990, №3, с. 22.

⁷⁸ Хантингтон С., Столкновение цивилизаций, Полис, 1994, №1, с. 34.

თავიანთ ცივილიზაციურ და გეოპოლიტიკურ თავისებურებებს. გეოპოლიტიკამ დააფიქსირა უკანასკნელ საუკუნეში დასავლეთისა და აღმოსავლეთის რეგიონების სახელმწიფოებრივ, კულტურულ და ინდუსტრიულ განვითარებას შორის პრინციპული განსხვავება, რომელსაც ასეთი სახე აქვს: დასავლეთი არის „ტექნოლოგიური“ და „მატერიალური“ განვითარების ცენტრი. კულტურულ-იდეოლოგიურ დონეზე მასში ჭარბობს ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპები, ინდივიდუალური და ჰუმანისტური მსოფლმხედველობა; ეკონომიკურ დონეზე პრიორიტეტი ენიჭება ვაჭრობასა და ტექნიკურ მოდერნიზაციას; სოციალურ დონეზე – იძულებამ წმინდა ეკონომიკური ხასიათი შეიძინა, იდეისა და ძალის კანონი ფულის კანონმა შეცვალა. „ადამიანის უფლებათა იდეოლოგია“ მსოფლიოს დასავლეთი რეგიონებისათვის უმთავრეს პრინციპად იქცა. ინდუსტრიულ დონეზე ამ იდეოლოგიას შეესაბამება „განვითარებული ქვეყნის“ იდეა, ხოლო ეკონომიკურ დონეზე – თავისუფალი ბაზრის, ეკონომიკური ლიბერალიზმის კონცეფცია. ამ მახასიათებელთა ერთობლიობა განსაზღვრავს თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის სახეს.

გეოპოლიტიკურ დასავლეთს უპირისპირდება გეოპოლიტიკური აღმოსავლეთი: ეკონომიკური მოდერნიზაციის ნაცვლად აქ ჭარბობს კოოპერაციული, საამქროს ტიპის ტრადიციული საწარმოს ფორმები; ეკონომიკური იძულების ნაცვლად სახელმწიფო იყენებს იდეისა და ძალის კანონს; დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ნაცვლად აღმოსავლეთი მიიღებს განსხვავებული სოციალური რეჟიმისაკენ, რომელსაც აერთიანებთ ის, რომ მათი სისტემის ცენტრში დგას არა „ინდივიდი“, ადამიანი თავისი უფლებებითა და ინდივიდუალური ფასეულობებით, არამედ ზეინდივიდუალური საზოგადოება – ერი, ხალხი, იდეა, რელიგია. ამასთან, უნდა ითქვას, რომ გეოპოლიტიკაში ცივილიზაციური დაპირისპირება არსებობდა ყოველთვის და არასოდეს შეუწყვეტია არსებობა, მხოლოდ გამოვლენის ფორმები და ხარისხი იყო სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული. ამჟამად ნათელია, რომ დასავლურმა ცივილიზაციამ უნდა აღიაროს თანასწორობა ახალი აღმოსავლური ცივილიზაციისა თავისი ფასეულობებით. ჩვენი აზრით, ცივილიზაციათა დაპირისპირება დროებითი იქნება და მსოფლიო შეძლებს პლანეტარული ჰუმანური იდეოლოგიის პოვნას, რომელიც შეასუსტებს ეთნოცივილიზაციურ დაპირისპირებას. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიმართულებას ნეოეკონომიკური კონცეფცია.

ნეოეკონომიკა ცივილიზაციური განვითარების პოსტინდუსტრიული ეტაპის შემდგომი საფეხურია - ფასეულობათა ახალი ნაკრების სა-ფუძველზე ჩამოყალიბებული გლობალური სისტემის პროგრესული მოდელი, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიური და არასისტემური ფაქტორების (ეთნოეროვნული, კულტურული, მორალურ-ეთიკური, ეკოლოგიური და ა.შ. პარამონიულ სიმბიოზს ცხოვრების დონის კვლავწარმოებისათვის⁷⁹. პროგრესული განვითარების ნეოეკონომიკური მოდელი გულისხმობს მსოფლიო განვითარების ახალ კანონზომიერებათა ჩამოყალიბებას, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ახალი პრინციპების შემუშავებას. აღსანიშნავია, რომ არსებითად იცვლება თვით ადამიანის როლი ახალ მოდელში. უნდა ჩამოყალიბდეს განვითარების ახალი სუბიექტი და შესაბამისად ახალი ორგანიზაციულ-ფუნქციური სტრუქტურები.

დღევანდელ მსოფლიოში შეიძლება გამოვლინებულ იქნას რამდენიმე არეალი, რომლებიც მიეკუთვნებიან ცივილიზაციური განვითარების ამა თუ იმ მოდელს. პირველი - ეს არის პოსტინდუსტრიალიზმის ზონა, რომელიც აერთიანებს მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებს, ძირითადად ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს, რომლებიც ჩართულია ერთიანი გლობალური ინტერნაციონალიზებული კვლავწარმოების ციკლში. ამ ჯგუფში შედიან აგრეთვე ის განვითარებადი ქვეყნები, სადაც მსოფლიო პოსტინდუსტრიული მოდელი აყალიბებს პოსტინდუსტრიალიზმის კერებს თავისი კანონებით. ღია ეკონომიკა და ღია საზოგადოება ქმნის პირობებს ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო კვლავწარმოების ციკლში მოსაქცევად და თავს ახვევს მას განვითარების დაჩქარებულ რიტმსა და ტემპებს. ეროვნულ ეკონომიკაში აღინიშნება არსებითი სტრუქტურული ძვრები, რომელიც უპასუხებენ მსოფლიო კვლავწარმოების ციკლის მოთხოვნებს. შედეგად ეს ქვეყნები დებულბენ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო შემოსავლების ფორმირებასა და განაწილებაში, რაც ნიშნავს, რომ ეს ქვეყნები, მათი რესურსები აღიარებულია მსოფლიო კვლავწარმოების პროცესის მონაწილეებად.

მეორე არეალი არის ეთნოეროვნული განვითარების ზონა. ამ ჯგუფს მიეკუთვნება აღმოსავლეთის დესპოტიზმი. აქ ეთნოეროვნული სისტემები განიხილება როგორც პოსტინდუსტრიალიზმისაგან თავდასაცავად იმუნური სისტემა. ამ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი კეთდება გეოეკონომიკურ მეთოდებზე, მაგრამ არ არის გამორიცხული სამხედრო ფაქტორის გამოყენებაც. ამის მაგალითია კუვეიტისა და ერაყის კრიზისი, ავღანეთში განვითარებული მოვლენები. პოსტინდუსტრიალიზმი მსოფლიო ისტორიაში პირველად ამბობს უარს ფარული მეთოდების გამოყენებაზე და ღია სამარ მთქმედებას იწყებს ეთნოეროვნული სისტემების წინააღმდეგ, რითაც იცავს თავის გეოეკონომიკურ და შესაბამისად, გეოპოლიტიკურ, გეოსტრატეგიულ ინტერესებს;

და ბოლოს, მსოფლიო გეოეკონომიკურ სივრცეში შეიძლება გამოიყოს მესამე ზონა – ეთნოეკონომიკური სისტემების არეალი, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია. ამ ზონის ფორმირება იწყება მაშინ, როცა კვლავწარმოების ციკლები გადალახავს ეროვნულ საზღვრებს. მსოფლიო ამ პროცესთა აქტივიზაციის ზღურბლზე იმყოფება, რამდენადაც მომავალი ეკუთვნის არა ტექნოეკონომიკურ, არამედ ეთნოეკონომიკურ ტრანსნაციონალიზაციას. მეცნიერები უკვე საუბრობენ ისეთი ეკონომიკური სისტემების არსებობაზე, რომლებიც შეიძლება იქცნენ ნეოეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბების წინაპირობად. მათ შორისაა: იაპონია, ტაივანი, ჩინეთი, ვიეტნამი, პოსტსაბჭოური სივრცე მთლიანად და ა.შ. ისინი განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან, მაგრამ მათ აერთიანებთ სურვილი მსოფლიო განვითარების გლობალურ ტენდენციებთან ადაპტირებისა. მათი რესურსული პოტენციალი განსაზღვრავს ამ ქვეყნების გეოეკონომიკურ ინტერესებსა და გეოეკონომიკურ სივრცეში ადგილსა და როლს. რეალობა ასეთი სისტემის ჩამოყალიბება პოსტსაბჭოურ სივრცეშიც, სადაც გამოკვეთილია ეთნოეროვნული მრავალფეროვნება, არის ეკონომიკის მოდერნიზაციის დიდი სურვილიც, რასაც ადასტურებს ქვეყნების აქტიური მონაწილეობა გლობალურ მსოფლიო პროექტებსა და პროგრამებში, ღია ეკონომიკისა და

⁷⁹ Кочетов Е.А., Геоэкономика, Издательство БЕК, М. 1999, с. 203.

დია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, რომელიც მზადაა, მიიღოს გლობალური განვითარების ტენდენციები.

მსოფლიო მეურნეობის მომავლის თავისებულ ვერსიას გეთავაზობს ფრანგი მეცნიერი ჟაკ ატალი. ის თვლის, რომ ახალი ერა უკვე დაუდგა მსოფლიოს. მისი აზრით, ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგია და საბაზრო სისტემა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მიგვიყვანს იმასთან, რომ მსოფლიო გახდება ერთიანი და ერთგვარი. მსოფლიო მიიღებს ახალ გეოპოლიტიკურ სტრუქტურალიზაციას, რომელიც “გეოეკონომიკის” პრინციპებზე იქნება დაფუძნებული. ჟაკ ატალის მოსაზრებას განამტკიცებს ამერიკელი მკვლევარის ედვარდ ლუტვაკის შეფასება უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ის აღნიშნავს: ახალი “ცივი ომის” დაწყება იქნებოდა მორალურად გამართლებული, მაგრამ დიდი დანახარჯის მატარებელი ევროპასთან უთანხმოებისთვისაა, რადგანაც დაპირისპირება მოსკოვთან მიუღებელი იქნება გერმანიისთვის, რომლის სტრატეგიის ძირითადი შემადგენელი ეკონომიკაა⁸⁰.

ამრიგად, ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ყალიბდება ახალი ეკონომიკური სივრცეები (ამერიკული სივრცე, ევროპული სივრცე და წყნაროკეანური რეგიონი), რომელთა შორის, მკვლევართა აზრით, არ იარსებებს არავითარი განსაკუთრებული განსხვავება, რადგან ეკონომიკური და იდეოლოგიური ტიპი ყველა შემთხვევაში იქნება მკაცრად იდენტური. ერთადერთი განსხვავება იქნება მეტ-ნაკლებად განვითარებული ცენტრების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, რომლებიც ნაკლებად განვითარებული რეგიონების ირგვლივ იქნებიან განლაგებულნი. ჟაკ ატალის აზრით, მხოლოდ ასეთ კონცეპტუალურ სტრუქტურალიზაციას შეუძლია განახორციელოს “ისტორიის დასასრული”. მაგრამ ამ მოდელში არ არის გათვალისწინებული ადგილი ევრაზიული კავშირისათვის, რომლის ეკონომიკურ სივრცედ ფორმირების ამბიციური იდეა გააჩნია რუსეთს. კვლავ დიად რჩება საკითხი: როგორი იქნება მსოფლიო მეურნეობის სტრუქტურალიზაცია დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ამბიციების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Люттвак, Эдвард Н. Стратегия: Логика войны и мира. - Русский Фонд Содействия Образованию и Науке, Унив. Дм. Пожарского 2012. ISBN: 978-5-91244-022-9
2. Люттвак, Эдвард Н. Государственный переворот. Практическое пособие. - Русский Фонд Содействия Образованию и Науке, Унив. Дм. Пожарского. 2012. ISBN: 978-5-91244-021-2
3. Сборник Карло Жана, Паоло Савона "Геоэкономика". М.: Ad Marginem, 1997 г. 208 с.
4. Эдвард Люттвак (Le Point.fr, 05.03.2014)
5. <http://forum.garant.ru/read.php?2,1449644,1449676>
6. <http://dergachev.ru/book-8/01.html>
7. <http://uchebnik-besplatno.com/uchebnik-geopolitika/geoekonomika-jaka-attali.html>

Lali Kharbedia

GEOPOLITICAL CONCEPTS OF WORLD ECONOMIC DEVELOPMENT Annotation

The report discusses geo-political approaches that have created a theoretical background for world economic development in recent decades. Thus, the processes that take place in the modern world have made the study of geopolitics and geo-economics important all over again. We have paid particular attention to analyze the opinions of many researchers, such as the American *Edward Luttwak*, the Frenchman *Jak Attali*, the Italian scholars *K. Zhan* and *P. Savona*, and the Russian scientist *E. Kochetov*. We have concluded that geo-economics could not replace geo-politics, as the latter was established as one of the areas of geo-economics that discusses the relationship of economical reality with the world. However, for powerful countries geopolitics has become a strong weapon in its impact on different countries.

⁸⁰ Эдвард Люттвак (LePoint.fr, 05.03.2014)

მაკროეკონომიკის სექცია

გივი ბელიანაშვილი

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ბანკითარება, ინსტიტუტები და სისტემური ინსტიტუციონალიზაცია

აღბათ, ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ უმრავლესი პოსტკომუნისტური ქვეყნების მიერ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, გატარებული რეფორმების არასასურველი შედეგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია არაეფექტიანი ინსტიტუციონალიზაცია. უფრო მეტიც, ცალკეული კვლევები გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს ქვეყნებს შორის გრძელვადიან ისტორიულ პერიოდზე განვითარების განსხვავებული დონის ჩამოყალიბებაში უპირატესად სწორედ ის ფაქტორები მონაწილეობენ, რომლებიც შესაძლებელია ადეკვატურად დახასიათდეს მხოლოდ ინსტიტუციონალიზმის პრიზმაში. მიუხედავად პრობლემატიკის, ერთი შეხედვით, ცხადი აქტუალობისა, რიგი საკითხები წარმოდგენილ კონტექსტში, ჩვენი აზრით, არასაკმარისადაა თეორიულად გამოკვლეული, ხოლო პრაქტიკაში, მაგალითად, ხშირად ადგილი აქვს ერთი და იმავე ცნების განსხვავებულ აღქმას ან არსობრივად განსხვავებული კატეგორიის გაიგივებას. ეს გარემოება ბუნებრივად გვიბიძგებს, წარმოდგენილ ნაშრომში განსახილველი თემა დავიწყოთ ზოგიერთი მთავარი ცნების დაზუსტებით.

ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თავდაპირველად ინსტიტუციონალიზმის ფარგლებში ინსტიტუციისა და ინსტიტუტის ცნებების განხილვა, რადგან არცთუ ისე იშვიათად, ეკონომიკურ, სოციალურ თუ იურისპრუდენციის მეცნიერულ ნაშრომებში გვხვდება ამ ცნებების პარალელური გამოყენება.

ეტიმოლოგიურად, ინსტიტუცია (ლათ. Institutio) ნიშნავს მოწოდებას, ჩვეულებას, მოდერებას, მითითებას, წესებს, ნორმას, ხოლო ინსტიტუტი (ლათ. Institutum) წარმოსდგება, როგორც დაწესებულება ან ორგანიზაცია, მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხდება ინსტიტუციის (წესის, ნორმის) რეალიზება. ინსტიტუციონალიზმის ამ ორი კატეგორიის პრინციპულად გამიჯვნას და განსხვავებული შესაბამისი შინაარსით განხილვას ზოგიერთი ავტორი ანიჭებს, ვფიქრობთ, გაზვიადებულად დიდ მნიშვნელობას [1]. ჩვენი აზრით, უბრალოდ საჭიროა გათვალისწინებული იყოს შემოადინებული გარემოება და ის, რომ მეცნიერული კვლევების კონტექსტში და პრაქტიკაშიც კი ხშირად გამოიყენება თვით ინსტიტუტის ცნება არა ცალსახა მნიშვნელობით, არამედ ფართო (ინსტიტუციის და შესაბამისი ორგანიზაციის ნაერთი მთლიანობა) ან ვიწრო (იხ. ზემოთ) გაგებით.

ამრიგად, დასკვნის სახით ტერმინოლოგიის კონტექსტში შევნიშნავთ, რომ როდესაც ვიყენებთ, მაგალითად, გამოთქმას ახალი „ინსტიტუციონალიზმი“ ან „ინსტიტუციური“ ეკონომიკა, რა თქმა უნდა არ იგულისხმება, რომ ეს უკანასკნელი იკვლევს მხოლოდ ე.წ. ინსტიტუციებს. ამდენად, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს საკამათო მეცნიერული ტერმინოლოგიური სიცხადისათვის სხვადასხვა კონტექსტში „ინსტიტუციონალური“-ს ხმარებაც (მაგალითად, „ინსტიტუციონალიზმი“-ს გარდა, „ინსტიტუციონალიზაცია“ და სხვ.).

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით ინსტიტუტის ცნება შეიძლება განისაზღვროს არსით მსგავსი, მაგრამ არაერთი ცალსახა ფორმით [2, 3]. მაგალითად, ინსტიტუტის ლოგიკური სტრუქტურა შეიძლება ჩამოყალიბდეს ისეთი ელემენტების სახით, როგორცაა: ნორმის შინაარსი, ნორმის გამოყენების პირობები, ნორმის სუბიექტი, ნორმის ხასიათი (არსი), სანქციების ჩამონათვალი, ნორმის გარანტი. ინსტიტუტი შეიძლება ასევე აღიწეროს ზოგადი არაცხადი სახით, მაგალითად, ისე, როგორც კონკრეტული ინსტიტუტის დასახელების, მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო რაოდენობრივი დანახარჯებისა და შესაბამისი (შესაბამისი ინსტიტუტის საქმიანობით მიღებული) სარგებელის რაოდენობრივი მაჩვენებლების ერთობლიობა. ხოლო თამაშთა თეორიის ენაზე კი ინსტიტუტი წარმოდგება (განიხილება) მოთამაშის მოქმედების სხვა სტრატეგიებთან ერთად, ერთ-ერთი სტრატეგიის სახით, რომელიც გულისხმობს „მოქმედებას წესების გარეშე“. ახალ ინსტიტუციონალურ ეკონომიკურ თეორიაში უმთავრესად არსებობს და გარკვეულად კონკურირებს ერთმანეთთან ინსტიტუტის ორგანიზაციის არსობრივი გაგება (კონცეფცია): ინსტიტუტი, როგორც წინასწორობა გარკვეულ თამაშში და ინსტიტუტი, როგორც წესები, მათი შესრულების იძულების მექანიზმებით.

ინსტიტუტების შექმნის პროცესი, ინსტიტუციონალიზაცია შედეგად გულისხმობს სპონტანური და ექსპერიმენტული ქცევის შეცვლას რეგულირებული, მოსალოდნელი და პროგნოზირებადი ქცევით. ამასთან, ამ პროცესში ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირების პოზიციებიდან გამომდინარე, გამოიყოფა (თეორიულად უნდა იგულისხმებოდეს) რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ეტაპი, როგორცაა: მოთხოვნილების წარმოშობა (გამოვლენა), რომელთა დაკმაყოფილებაც მოითხოვს ადამიანთა ერთობლივ ორგანიზებულ მოქმედებას; სტიქიური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთმოქმედების პროცესში ნორმებისა და წესების გაჩენა, ამ ნორმებისა და მათი ხელშეწყობისათვის დადგენილი სანქციების გამოყენება; ინსტიტუტის ყველა წევრის მიმართ შესაბამისი სტატუსებისა და როლების ჩამოყალიბება; ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც დაარეგულირებენ ინსტიტუტის ფუნქციონირებას. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციონალიზაციის შემთხვევაში წარმოებს ინსტიტუტების (პირველ რიგში ეკონომიკური ინსტიტუტების, მაგრამ არა მარტო) ადგილზე „გამოზრდა“ და არა გარედან შემოტანა (იმპორტი) ე.წ. „ტრანსპლანტაცია“ (ეკონომიკური ინსტიტუტების ტრანსპლანტაციის შესახებ იხ., მაგალითად, [4]). როგორც პოსტკომუნისტური პერიოდის ტრანსფორმაციის პრაქტიკა გვიჩვენებს, ინსტიტუტების სხვადასხვა ქვეყნებში იმპორტი, როდესაც იმპორტირებული ინსტიტუტი ყალიბდებოდა მრავალი წლის განმავლობაში და ეფექტიანად ფუნქციონირებდა „იმპორტიორი“ ქვეყნისაგან თვისებრივად განსხვავებულ გარემოში, ხშირ შემთხვევებში ვერ იძლევა სასურველ შედეგებს, რაც დაკავშირებულია მთელ რიგ მიზეზებთან (აღნიშნული მიზეზების კომპლექსური ანალიზი მოცემულია, მაგალითად, ვლ. პაპავას ნაშრომში [5], ხოლო ეკონომიკის ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გამოკვლეულია, მაგალითად, ვლ. პაპავა და ნ. ხადურის ნაშრომში [6], ამ მიმართებით საინტერესოა აგრეთვე რ. ასათიანის [7] და მ. თოქმაზიშვილის [8] ნაშრომები).

ინსტიტუციონალიზაციის პრობლემატიკაში ფრიად მნიშვნელოვნად გვესახება ინსტიტუციონალური სტრუქტურის (ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და დინამიკის კომპლექსურობის უზრუნველყოფის მთავარი სტრუქტურული კომპონენტის [9]) განვითარების დონის ადეკვატური გაზომვა ინსტიტუტების ფორმირებისა და ფუნქციონირების ეფექტიანობის მონიტორინგის თვალსაზრისით, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში კონკრეტული ქვეყნის მემარჯობის განსაზღვრისათვის (ბენჩმარკინგისთვის). ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სპეციალური ინდიკატორი. ერთ-ერთი მათგანია, მაგალითად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რომელიც მუშავდება (გამოითვლება) გაზეთ Wall Street Journal და კვლევითი ცენტრის Heritage Foundation მიერ 1995 წლიდან ყოველწლიურად მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების ჭრილში [10]. ინდექსები ქვეყნდება წელიწადში ერთხელ და 2014 წლის მონაცემებით მოიცავს 186 ქვეყანას (სანდო სტატისტიკური მანუალებების არქონის გამო არასრულია ან საერთოდ არ არის მონაცემები ისეთი ქვეყნებისათვის, როგორცაა ავღანეთი, კოსოვო, ლიბია, ერაყი, ლიხტენშტაინი, სირია, სომალი და სუდანი).

აღსანიშნავია, რომ ამ ინდექსის რეგულარული შემუშავების ინიციატივით პირველად 1985 წელს გამოვიდა ამერიკელი ეკონომისტი, 1976 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი მილტონ ფრიდმანი, ხოლო მისი გათვლების საერთო მეთოდოლოგია ეფუძნება ადამ სმიტის ცნობილ ზოგად პრინციპებს (რომლებიც ეხება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობას, შრომის განაწილებას, ბაზრის ფუნქციებს, თავისუფალი ვაჭრობის საერთაშორისო მნიშვნელობას), გადმოცემულ მისივე XVIII საუკუნის (1776) ასევე კარგად ცნობილ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (შემოკლებით „კარგების სიმდიდრე“ [11]).


ეკონომიკურ თავისუფლებათა ინდექსი მოწოდებულია ასახოს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური მახასიათებლები. ეს ინდიკატორი მოიცავს რამდენიმე ათეულ მანუალებს, თავის მხრივ კიდევ გაერთიანებულს შემდეგ 10 ჯგუფში: 1. ბიზნესის თავისუფლება (business freedom); 2. ვაჭრობის თავისუფლება (trade freedom); 3. გადასახადების თავისუფლება (fiscal freedom); 4. თავისუფლება ხელისუფლებისაგან (government spending); 5. ფულადი თავისუფლება (monetary freedom); 6. ინვესტიციური თავისუფლება (investment freedom); 7. ფინანსური თავისუფლება (financial freedom); 8. საკუთრების უფლებათა დაცვა (property rights); 9. თავისუფლება კორუფციისაგან (freedom from corruption); 10. შრომითი ურთიერთობების თავისუფლება (labor freedom). აღნიშნული მანუალებები წარმოდგენილია 4 გამსხვილებულ ჯგუფად: **მართლწესრიგი** (8;9), **ხელისუფლების შეზღუდულობა** (3; 4), **რეგულირების ეფექტიანობა** (1; 5; 10), **ბაზრის გახსნილობა** (2; 6; 7). ყოველი ზემოთ აღნიშნული ინდექსი თავის მხრივ იზომება 0-დან 100-მდე - სკალაში. ამასთან, მნიშვნელობა 100 შეესაბამება მაქსიმალურ თავისუფლებას, ხოლო 0 - მინიმალურს. ზემო აღნიშნული ათიდან ყოველი ფაქტორი შედის თანაბარი წონით ინტეგრალურ ინდიკატორში (ეკონომიკურ თავისუფლებათა ინდექსში), რომელიც გაიანგარიშება როგორც მათი საშუალო არითმეტიკული.

ინტეგრალური ინდიკატორის რაოდენობრივი მნიშვნელობების მიხედვით მსოფლიოს ქვეყნები ეკონომიკური თავისუფლების დონით იყოფა ხუთ შესაბამის ჯგუფად: თავისუფალი (free), დიაპაზონით 80-100; ძირითადად თავისუფალი (mostly free), დიაპაზონით 70-79.9; ზომიერად თავისუფალი (moderately free), დიაპაზონით 60-69.9; ძირითადად არათავისუფალი (mostly unfree), დიაპაზონით 50-59.9 და დესპოტური (repressed), დიაპაზონით 0-49.9.

მიმდინარე 2014 წლის მონაცემების თანახმად, საქართველო მიეკუთვნება ძირითადად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფს, რეიტინგით 22-ე ადგილზე მსოფლიოში, ხოლო ევროპის 43 ქვეყანას შორის მას უკავია მე-12 ადგილი. ინტეგრალური ინდიკატორის (Overall Score, Economic Freedom Score) მნიშვნელობით (72.6) კი იგი დგას ისეთი ქვეყნების გვერდით, როგორცაა ტაივანი (73.9), ფინეთი და გერმანია (73.4), შვედეთი (73.1), ლიტვა (73.0), ავსტრია, ისლანდია და იაპონია (72.4). მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების რეიტინგია 12, ხოლო შესაბამისი ინდიკატორის მნიშვნელობა კი 75.5. რაც შეეხება პირველ ხუთეულ ქვეყნებს, მათ მიეკუთვნება: ჰონკონგი (90.1), სინგაპური (89.4), ავსტრალია (82.0), შვეიცარია (81.6) და ახალი ზელანდია (81.2). გასათვალისწინებელია, რომ ინდიკატორის საშუალო მსოფლიო (World Average) მნიშვნელობაა 60.3 (რაც შეესაბამება ზომიერად თავისუფალი ქვეყნის დონის მანუალებს), ხოლო საშუალო რეგიონული (ევროპული) კი 67.1 (ასევე ზომიერად თავისუფალი ქვეყნის დონეა საშუალო მსოფლიო დონეზე უფრო მაღალი თავისუფლების ხარისხით). ამრიგად, საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინტეგრალური მანუალებლის მიხედვით საკმაოდ მაღალ დონეზეა თავის რეგიონში (ევროპაში) და მსოფლიოში.

საქართველოს განვითარების დონის შედარებითი ანალიზისათვის და მისი მიზნობრივი ორიენტაციის განსაზღვრისთვის მისი უშუალო მეზობლების აზერბაიჯანის (Azerbaijan), სომხეთის (Armenia), რუსეთის (Russia) და თურქეთის (Turkey) გარდა, გამოვიყენოთ პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან ესტონეთს (Estonia), ხოლო ევროპის განვითარებული ქვეყნებიდან შვეიცარიას (Switzerland), ასევე თეორიულად საშუალო ევროპულ დონეს (Average in Europe).


თუ როგორია საქართველოსთვის ეკონომიკური თავისუფლების ინტეგრალური ინდიკატორის დინამიკა და გამოყოფილი ქვეყნების ანალოგიურ მანუალებლებთან თანაფარდობა, ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა შესაბამისი გრაფიკები (ციფრობრივი მონაცემები გამოყენებულია მასალებიდან [12]):




გრაფიკიდან ჩანს ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელი შესამჩნევად იზრდებოდა 2005-2007 წწ. და 2012-2013 წწ. პერიოდებში, რის ახსნაც ლოგიკურად შეიძლება ამ წლებში ქვეყნის ინსტიტუციური განვითარების თავისებურებებიდან და ქვეყანაში განხორციელებული შესაბამისი სამუშაოებიდან გამოვინარე.

განასაკუთრებით უნდა გამოიყოს ბიზნესის თავისუფლების მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც, საქართველო საგრძნობლად უსწრებს ბოლო წლების განმავლობაში განსახილველ ქვეყნებს.

ინსტიტუციონალიზაციის სისტემურობის მიმართებით საქართველოში წლების განმავლობაში შეიმჩნეოდა არასასურველად დაბალი დონე, თუმცა ინსტიტუტების ცალკეული ქვესისტემები ვითარდებოდნენ საკმაოდ მაღალი ტემპებით.



ამასთან, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საშუალო ევროპულ და მიზნობრივად სარიენტაციო ევროპის ქვეყნებთან (ესტონეთთან და შვეიცარიასთან) შედარებით, 2014 წელს მომზადებული მონაცემების მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა საკმაოდ პოზიტიურია, თუმცა კი შესამჩნევად ჩამორჩება მათ როგორც ბაზრის გახსნილობის (ინვესტიციური თავისუფლების - investment freedom და ფინანსური თავისუფლების - financial freedom), ასევე მართლწესრიგის ინსტიტუტის (საკუთრების უფლებათა დაცვა - property rights და თავისუფლება კორუფციისაგან - freedom from corruption) განვითარებით.



ჩვენი აზრით, აღნიშნული ჩამორჩენის ეტაპობრივი დაძლევა უნდა წარმოადგენდეს ჩვენი ქვეყნისთვის უახლოეს წლებში სისტემური ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას. სწორედ ეს მოგვცემს საშუალებას, უფრო სრულად გამოვიყენოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის თანამედროვე ევროპული ტიპის ინსტიტუციური სტრუქტურის პოტენციალი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Иншаков О. В. Институты и институции в современной экономической теории. Вестник ВолГУ. Серия 3. Вып. 11. 2007, С. 6-21.
2. Тамбовцев В. Л. О разнообразии форм описания институтов «Общественные науки и современность». 2004. № 2. С.107-118.

3. Тамбовцев В. Л. Институты-как-равновесия vs институты-как-правила // Журнал экономической теории. 2013. №4. С.111-122.
4. Полтерович В. М. Трансплантация экономических институтов. «Экономическая наука современной России», 2001, No. 3. С.24 -50.
5. პაპავა ვლ. არატრადიციული ეკონომიკისი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2011.
6. Papava V., Khaduri N. On the Political Economy of the Post-Communist Transformation. An Institutional Analysis Problems of Economic Transition. Vol. 40. No 6.
7. ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი, სიახლე, 2014. გვ. 78-112.
8. თოქმაზიშვილი მ. სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები: მოკლე მაკროეკონომიკური და ინსტიტუციონალური ანალიზი. კავკასიის ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, თბილისი, 1997.
9. Bedianashvili G. State, Power Structure and Socio-Economic Reforming of Society. P. Gugushvili Institute of Economics of the Georgian Academy of Sciences. Tbilisi: Metsniereba, 1995. p. 5.
10. <http://www.heritage.org/index/>
11. სმიტი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1938. ტ.1.
12. <http://www.heritage.org/index/explore>

Givi Bedianashvili

THE SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT, INSTITUTIONS AND SYSTEM INSTITUTIONALIZATION
Annotation

The paper discusses with point of view of the socio-economic development, a systems institutionalization, the essence and basic stages of it. Attention is paid to the institutional structure of the levels of development of adequate measurement issues. Proposed for this purpose, as a variant, is used the Index of Economic Freedom. Based on this index it is shown the successes and retardation for Georgia. Overcoming them, are considered necessary to ensure the systems institutionalization.

შალვა გოგიაშვილი
სლავა ფეტელავა

კონკურენციის დაცვა საკონკურსო ვაჭრობებში

საკონკურსო წესით ვაჭრობის გამართვისას ჯანსაღი კონკურენციული გარემოს მხარდაჭერა და უზრუნველყოფა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რადგან იგი პრაქტიკულად წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ოპტიმალურ მეთოდს; ამასთან, ვინაიდან საკონკურსო ვაჭრობების პროცესში შეიძლება დაირღვეს კონკურენციის პრინციპი, ამ ნეგატიური მოვლენის აღსაკვეთად და მავნე შედეგების შესარბილებლად მიმართავენ ხოლმე სპეციალური პრევენციული ზომების შემუშავებასა და პრაქტიკაში მათ დანერგვა-გამოყენებას.

ნაშრომში აღწერილია საკონკურსო ვაჭრობის ტიპური პროცედურა და წარმოდგენილია რეკომენდაციები მისი სრულყოფის მიმართულებით, რომელთა მიზანია ხელისუფლებისა და საერთოდ, საზოგადოების დაცვა განაცხადების გაყალბებისა და სხვა სახის თაღლითობებისაგან. საკონკურსო წესით ვაჭრობა სხვა არაფერია, თუ არა ჯანსაღ კონკურენციულ გარემოში კონტრაქტის პატიოსნად და კეთილსინდისიერად გადაცემის საშუალება, რომელიც გამორიცხავს ფავორიტიზმს, არაპატიოსან გარიგებებსა და კორუფციას.

რა საფრთხეები ემუქრება ხოლმე საკონკურსო ვაჭრობის პროცედურას?

განაცხადების გაყალბება – როცა ვაჭრობის მონაწილეები ახერხებენ შეთანხმებას და უარს აცხადებენ რა კონკურენციაზე, ატყუებენ სატენდერო კომისიას;

კორუფცია – ვაჭრობის ერთ-ერთი მონაწილე და რომელიმე ჩინოვნიკი (კომისიის წევრი) თანხმდებიან, რათა ყველაფერი ისე მოაწონ, რომ ჯანსაღი კონკურენცისა და გამარჯვებულის პატიოსნად გამოვლენის ნაცვლად, კონტრაქტი მიიღოს სწორედ მათმა ფავორიტმა მონაწილემ.

საკონკურსო წესით ვაჭრობის გამართვისას უნდა გვახსოვდეს, რომ განაცხადის გაყალბება შეიძლება მრავალი ფორმით განხორციელდეს, მაგრამ ყველა მათგანი ერთი და იმავე ძირითადი სქემიდან გამომდინარეობს: თუ მონაწილეები შეძლებენ და შეთანხმდებიან, რომ არ გაუწიონ ერთმანეთს კონკურენცია საკონკურსო ვაჭრობისას, მაშინ ისინი შეძლებენ შესთავაზონ კომისიას უფრო მაღალი ფასი თავიანთი მომსახურებისათვის. არსებითად, ამ შემთხვევაში განმცხადებლები ახდენენ კარტელური ტიპის გარიგებას და თანხმდებიან, რომ იმოქმედონ მონოპოლიის სახით.

ზოგადად, საკონკურსო ვაჭრობის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში მიეთითება კონკურსის მონაწილეთა მიმართ წაყენებული ამოცანები. ეს ამოცანები აღწერილია საკმაოდ დეტალურად, რათა ყველა პოტენციურ მონაწილეს ნათელი წარმოადგენა შეექმნას, თუ რა მოთხოვნები იქნება წაყენებული გამარჯვებულის მიმართ. საჯარო განაცხადებაში ასევე მიეთითება განმცხადებლების მიმართ წაყენებული ყველა მოთხოვნა და საკვალიფიკაციო პირობა. ყველა ფორმისაგან მოითხოვება, რომ მათ განაცხადში შეიტანონ წერილობითი რწმუნება (დადასტურება), რომ შეუძლიათ დააკმაყოფილონ წაყენებული მოთხოვნები ან წარმოადგინონ დოკუმენტები, თუ რა გზით აპირებენ ასეთი მოთხოვნების შესრულებას (ისეთი ფორმებისაგან თავის დაცვის მიზნით, რომლებიც არასანდო ინფორმაციას აწოდებენ თავიანთი შესაძლებლობის შესახებ საკონკურსოდ გამო-

ტანილ კონტრაქტთან დაკავშირებით, შესაბამისი სააგენტო ხშირად თხოულობს, რომ გამარჯვებულმა შეიტანოს მნიშვნელოვანი ოდენობის ფულადი სახსრები – ე.წ. „განაცხადის დეპოზიტი“. თუ აღმოჩნდა, რომ გამარჯვებულმა კომპანიამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა სააგენტოს (კომისიას) მოცემულ კონტრაქტთან მიმართებაში, მაშინ დეპოზიტი მას უკან აღარ დაუბრუნდება).

მნიშვნელოვანია, რომ სავალდებულო მოთხოვნების რაოდენობა იყოს მინიმალური. ძალზე მაღალი მოთხოვნების შემთხვევაში, წარდგენილი განაცხადების რაოდენობა შესაძლოა არასაკმარისი აღმოჩნდეს კონკურენციული პირობების უზრუნველსაყოფად.

განაცხადების წარდგენა ხდება დალუქულ კონვერტებში, დადგენილი ვადის ამოწურვამდე. შემდეგ, განაცხადები საჯაროდ იხსნება და ცხადდება თითოეული განმცხადებლის ვინაობა, აგრეთვე ის, აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი წაყენებულ მოთხოვნებს (ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე ცხადდება განაცხადში მითითებული ფასი. მაგრამ, ბევრი მიიჩნევს, რომ ეს ინფორმაცია უნდა გამოცხადდეს გარკვეული დროის შემდეგ, რათა გართულდეს შეთანხმებების დადება განმცხადებლებს შორის). განაცხადები, რომლებიც აკმაყოფილებენ წაყენებულ მოთხოვნებს, განიხილება და ხდება გამარჯვებულის გამოვლენა, ანუ შეირჩევა ის განაცხადი, სადაც მითითებულია საუკეთესო, ყველაზე უფრო მისაღები ფასი.

იმისათვის, რომ განაცხადების გაყალბება წარმატებით დასრულდეს, გამყალბებლებმა გარკვეული პრობლემები უნდა გადაჭრან. ამ პრობლემების ცოდნა კონტრაქტების გამცემებს ეხმარება, რომ თავიდან აიცილონ განაცხადების გაყალბება, ხოლო ანტიმონოპოლური კანონმდებლობის დამცველებმა – გამოავლინონ ასეთი გაყალბებები. განაცხადების გაყალბებათა მიზანია, რომ განმცხადებელმა (განაცხადის შემტანმა) მიიღოს კონტრაქტი ისეთ ფასად, რომელიც უფრო მაღალია, ვიდრე კონკურენციის პირობებში იქნებოდა („კონკურენციული ფასი“). ამ მიზნის მისაღწევად უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი პირობების არსებობა:

1 – გამყალბებლებმა შეთქმულებაში უნდა ჩაითრიონ ყველა სოლიდური განმცხადებელი; თუ ერთი სერიოზული განმცხადებელი მაინც არ მიიღებს მონაწილეობს გარიგებაში, მაშინ სწორედ მას შეუძლია მოიგოს ვაჭრობა კონკურენტული ფასით და გამყალბებლების ყველა მცდელობა ამო აღმოჩნდება.

2 – გამყალბებლები უნდა შეთანხმდნენ მოგების განაწილებაზე. თუ თითოეული მონაწილე არ მიიღებს თავის წილს, მაშინ მისთვის აზრი აღარ ექნება ამ გარიგებაში მონაწილეობას.

3 – გამყალბებლებმა თავიდან უნდა აიცილონ გარიგების დარღვევა. ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ შეთქმულების არც ერთი მონაწილე არ დაარღვევს პირობას და არ წარადგენს კონკურენციულ განაცხადს.

არის შემთხვევები, როდესაც გაყალბების შეთანხმება ეხება ერთადერთ კონტრაქტს. უფრო ხშირია გრძელვადიანი კარტელები, რომლებიც შემსყიდველი სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონტრაქტების მთელ სერიაზე მუშაობენ. გაყალბების შესახებ შეთანხმებების ხანგრძლივობა გავლენას ახდენს იმ პირობებზე, რომლებიც დაცული უნდა იქნეს წარმატების მისაღწევად. ეს ზეგავლენას ახდენს აგრეთვე გამყალბებლების ტაქტიკაზე და განსაზღვრავს იმ ზომებსაც, რომლებიც კონტრაქტების გამცემებმა და კონკურენციული კანონმდებლობის აღმასრულებელმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ მსგავსი კარტელების შექმნის თავიდან ასაცილებლად.

არსებობს განაცხადების გაყალბების რამდენიმე ძირითადი სქემა:

1. განაცხადების როტაცია – ყველა მონაწილე თანხმდება, რომ რიგრიგობით გახდებიან გამარჯვებულები. დანარჩენი მონაწილეები წარადგენენ განაცხადებს, რომელთა ფასები, შეთანხმების შესაბამისად, ძალზე მაღალია წარმატების მოსაპოვებლად (შემავესებელი განაცხადები);

2. ბაზრის დაყოფა – განაცხადები შეიძლება დაიყოს გამყალბებლებს შორის გეოგრაფიული ან სხვა კრიტერიუმებით;

3. გადახდები – განაცხადების როტაციის ან ბაზრის დაყოფის სქემების გამოყენების შემთხვევაში (ან თუ ეს სქემები არაა ადეკვატური მოგების გასანაწილებლად), გამყალბებლებს შეუძლიათ მიმართონ გადახდების სისტემას. ასეთ დროს, გამყალბებლების მიერ შეირჩევა ერთ-ერთი მონაწილე, რომელმაც ვაჭრობა უნდა მოიგოს. სხვა მონაწილეები კი, ან საერთოდ არ წარადგენენ, ან წარადგენენ შემავესებელ განაცხადებს. გამარჯვებული დანარჩენ გამყალბებლებს უხდის შესაბამის თანხებს. გადახდა წარმოებს გაყალბების შედეგად მიღებული დამატებითი მოგებიდან. გადახდებმა ასევე შეიძლება მიიღოს გამყალბებლებს შორის ადრევე შეთანხმებული ქვეკონტრაქტების ფორმა;

4. განაცხადების წარდგენის დაყოფა – რამდენიმე განმცხადებელი თანხმდება, რომ არ წარადგინონ განაცხადები. ეს საშუალებას აძლევს ერთ-ერთ მათგანს, რომ მოგვიანებით წარადგინოს განაცხადი და მოიგოს ვაჭრობა, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ შეთავაზებული ფასი უფრო მაღალია, ვიდრე კონკურენციის შემთხვევაში იქნებოდა;

5. შემავესებელი განაცხადები - რამდენიმე კონკურენტი თანხმდება, რომ წარადგინონ განაცხადები მომატებული ფასებით. მათ იციან, რომ მოგებას ვერ შეძლებენ, და რომ ვაჭრობაში გაიმარჯვებს გამყალბებლებს შორის შეთანხმებული ფორმა, შეთანხმებული ფასით. ეს ფასი კონკურენციულზე უფრო მაღალია. მიზეზი კი, რომლის გამოც ისინი წარადგენენ შემავესებელ განაცხადებს, არის ის, რომ დააჯერონ კონტრაქტის გამცემები, რომ მათ ისარგებლეს კონკურენციის უპირატესობებით;

6. მუქარა – ზოგჯერ კონკურენტების მიმართ, რომლებსაც კარტელში არ სურთ გაერთიანება, ხორციელდება მუქარა. როგორც წესი, ის ეკონომიკური ხასიათისაა. თუმცა, ადგილი აქვს ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარასაც.

მოცემული რეკომენდაციები წარმოადგენს გაყალბების საწინააღმდეგო საშუალებას და გარანტიას, რომ ხელისუფლება შეძლებს ისარგებლოს კონკურენციის უპირატესობებით საკონკურსო ვაჭრობის პროცედურებში. არსებობს დამცავი ზომების სამი ძირითადი ტიპი: **პირველი**, ყველა მონაწილის საერთო ინსტრუქტაჟი, რათა თითოეულმა მათგანმა გაიაზროს, რომ განაცხადების გაყალბება კონკურენციული კანონმდებლობის დარღვევაა, და გაეცნონ მოსალოდნელ პრობლემებს; **მეორე**, არსებობს მექანიზმები რომლებიც იძლევა ჩარევის შე-

სადღებლობას, რათა პრევენციულად აღკვეთოს გამყალბებელთა კარტელის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა. ეს განსაკუთრებით ეხება გრძელვადიან კარტელებს, რომლებიც კონტრაქტების მიუღწევად მუშაობენ; **მესამე**, არსებობს გამყალბებელთა კარტელის გამოვლენის საშუალებები, რომლებიც შესაძლოა იმავდროულად გამოვიყენოთ როგორც პროფილაქტიკური საშუალება: ნაკლები ხალხი გადაკვეთს ქუჩას წითელ შუქზე, თუ გზაჯვარედინზე პოლიციელს ხედავს. ანალოგიურად, გამოვლენის დიდი რისკი თავის შეკავებისაკენ უბიძგებს გამყალბებლებს.

სასურველია, რომ საკონკურსო ვაჭრობა იყოს ღია, ანუ ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველ თითოეულ კერძო თუ იურიდიულ პირს ჰქონდეს განაცხადის წარდგენის უფლება და საშუალება. როდესაც ვხვდებით მონაწილეთა რაოდენობას, ეს ზრდის მონაწილეთა შორის შეთანხმების რისკს. კერძოდ, თუ გამოცხადდება საკონკურსოდ „დაშვებული“ გამცხადებლების სია, მათ უფრო გაუადვილებათ ერთმანეთთან შეთანხმება, რადგან ეცდებიანთ ყველა მონაწილეს, რომელთანაც უნდა დადონ გარიგება. სქემამ რომ იმუშაოს, თუ ასეთი სიის შედგენა აუცილებელია, მაშინ იგი არ უნდა გამოცხადდეს. ეს გაურკვევლობას შეუქმნის განმცხადებლებს და გაურთულებს მათ უკანონო შეთანხმების მიღწევას. რაც მეტი იქნება განმცხადებელთა რიცხვი, მით უფრო გართულებულია განაცხადების გაყალბებაზე შეთანხმება იმ უბრალო მიზეზით, რომ დიდ ჯგუფში შეთანხმება უფრო ძნელია, ვიდრე შედარებით მცირეში.

სასურველია, რომ საჯარო განაცხადება საკონკურსო ვაჭრობის შესახებ, შეიცავდეს შემდეგს:

თითოეული განაცხადი წარდგენილ უნდა იქნეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად; ვაჭრობის სხვა შესაძლო მონაწილეებთან შეთანხმებები ან განხილვები არ დაიშვება. ვაჭრობის მონაწილეთა შორის რაიმე სახის შეპირება ან შეთანხმება არის კონკურენციული კანონმდებლობის დარღვევა, რასაც შეიძლება მოჰყვეს მკაცრი სასჯელი, ასევე დისკვალიფიკაცია მიმდინარე და მომავალი ვაჭრობებიდან. ვაჭრობის თითოეული მონაწილე ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ განაცხადი წარდგენილია სხვებისაგან დამოუკიდებლად და რომ იგი არ ყოფილა განხილული და შეთანხმებული ვაჭრობის სხვა მონაწილეებთან. განაცხადი ხელმოწერილი უნდა იყოს ყველა აუცილებელი ფორმალბობის დაცვით. აშშ-ში მიღებული პრაქტიკით, მსგავსი ხასიათის ყალბი განაცხადების გაკეთება ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით, როგორც თაღლითობა.

სასარგებლოა, რომ განაცხადი შეიცავდეს ინფორმაციას ქვეკონტრაქტებისა და მსგავსი შეთანხმებების შესახებ. ადრე დათქმული ქვეკონტრაქტები კონკურენტებს შორის, ზოგჯერ გადახდების სახეს ღებულობს გამყალბებელთა კარტელებში. ქვეკონტრაქტები ასევე გამოიყენება კორუმპირებული მოხელეების მოსყიდვის მიზნით. ნებისმიერ შემთხვევაში, საკონკურსო კომისია უნდა ფლობდეს ინფორმაციას მსგავსი ქვეკონტრაქტების შესახებ, როცა აფასებს განაცხადებს კონტრაქტის გასაცემად.

თუ საკონკურსო ვაჭრობაზე ერთდროულად ან დროის გარკვეულ პერიოდში გამოტანილია ერთი და იმავე ტიპის დაახლოებით ტოლი სიდიდის კონტრაქტების დიდი რაოდენობა, მაშინ გამყალბებლები ძალზე მარტივად შეიძლება მათ დანაწილებას ერთმანეთს შორის და რიგ-რიგობით „დანიშნავენ“ გამარჯვებულს (განაცხადების როტაცია). ხოლო, თუ კონტრაქტების რაოდენობა მცირეა და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიდიდით, მაშინ გამყალბებლებს გაუჭირდებათ მათი დანაწილება ერთმანეთს შორის. თუ კონტრაქტი დიდი ზომისაა, მაშინ კარტელის მონაწილესაც კი შეიძლება სძლიოს ცდუნებამ, რომ დაარღვიოს კარტელური შეთანხმება და წარადგინოს კონკურენტული განაცხადი. ამგვარად, ცვლილებები შეთავაზებული კონტრაქტების ზომებში შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს კონკურენციული პირობების შექმნის ან შენარჩუნებისათვის.

გონივრულია, რომ განაცხადებში დეტალურად იყოს წარმოდგენილი ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული პირობები, თუკი ეს დასაშვებია კონკრეტული პროდუქტის ან მომსახურების ტიპიდან გამომდინარე. ასეთი შეთავაზების არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამყალბებლების კარტელისათვის ბევრად უფრო ადვილია მარტივი შეთანხმებების მიღწევა, ვიდრე რთული შეთანხმებისა. ერთ ფასზე შეთანხმება უფრო ადვილია, ვიდრე ათ ფასზე. ამასთან, განაცხადის პირობების დაწვრილებით წარმოდგენის მოთხოვნა ზოგჯერ ხელს უწყობს კარტელების გამოვლენას. იდენტური ფასები ერთსა და იმავე პროდუქტზე შეიძლება შემთხვევითობას მივაწეროთ, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ შემთხვევითი იყოს იდენტური ფასების შეთავაზება ათ სხვადასხვა პროდუქტზე.

ცხადია, გამარჯვებული კომპანიის შერჩევისას უპირატესობა ენიჭება განაცხადს, რომელიც გეთავაზობს საუკეთესო ფასს და აკმაყოფილებს ყველა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

ყოველთვის უმჯობესია, რომ თავიდან იქნეს აცილებული კონტრაქტის გაცემა გაურკვეველი, არამკაფიო კრიტერიუმების საფუძველზე, როგორცაა მაგალითად განმცხადებლის „თვისებები“. მსგავსმა კრიტერიუმებმა შეიძლება რთულ ან გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდოს საკონკურსო კომისიის თანამშრომლები, რადგან მათ მოუწევთ გადაწყვეტილების მიღება ისეთი ფაქტორის მიხედვით, რომელიც ძნელად ექვემდებარება ცვლილებას და, ამასთანავე, მისი დაბალანსება ფასის ფაქტორთან. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ასევე ახდენს ფავორიტიზმისა და კორუფციის პროვოცირებას. ზოგჯერ, ორ (ან მეტ) მონაწილეს იდენტური განაცხადები შეაქვთ საკონკურსო ვაჭრობაზე. ეს შეიძლება იყოს შემთხვევითი, თუმცა ეს ასევე შეიძლება იყოს რაიმე შეთანხმების შედეგი. შემსყიდველი სააგენტო, ასეთი განაცხადების მიღებისას, უბრალოდ ყოფს კონტრაქტს ორ ტოლ ნაწილად და აძლევს ორივე განმცხადებელს. ასეთმა გადაწყვეტამ შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგი მოგვიტანოს, რადგან ამან შეიძლება ამოცანა გაუადვილოს გამყალბებლებს, რომლებიც ერთმანეთის ტოლფას განაცხადებს წარადგენენ. ამიტომ, უმჯობესია კონტრაქტის მინიჭება მოხდეს თუნდაც კენჭისყრით, ანუ მონეტის აგდებით, რაც იდენტური ფასების წარდგენის სტიმულს დაუკარგავს გამყალბებლებს.

წარმატების მისაღწევად გამყალბებელთა კარტელს ესაჭიროება გარკვეული ინფორმაცია. ეს განსაკუთრებით ეხება გრძელვადიან კარტელს, რომლისთვისაც აუცილებელია იმის ცოდნა, თუ ვინ არიან ვაჭრობის პოტენციური მონაწილეები, ვინ წარადგინა განაცხადები მიმდინარე კონტრაქტებზე, როგორია ასეთი განაცხადების პირობები. თუ შემსყიდველი ორგანო შეძლებს, რომ დროის გარკვეულ პერიოდში საიდუმლოდ შეინახოს ასეთი ინფორმაციის ნაწილი, ეს შესაბამისად გაართულებს კარტელის მცდელობებს ამ მიმართულებით.

როგორც წესი, სიფრთხილის ზომები ფავორიტიზმისა და კორუფციის წინააღმდეგ, საჭიროებს საჯაროობას გამოცხადებული საკონკურსო ვაჭრობების პროცედურებში. სწორედ ამიტომ, ბევრი შემსყიდველი სააგენტო ღიად ხსნის განაცხადებს, რათა ვაჭრობის მონაწილეები და ორგანიზატორები დარწმუნდნენ, რომ ყველა განაცხადი იყო დალუქული, და რომ ყველა მონაწილის მიმართ დამოკიდებულება ერთნაირია. კორუფციის წინააღმდეგ, ისევე, როგორც განაცხადების გაყალბების წინააღმდეგ ზომების მიღების თვალსაზრისით, საუკეთესო კომპრომისს წარმოადგენს მთელი ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადება.

ასევე სასარგებლო იქნება, თუ საკონკურსო კომისიის თანამშრომლები გაივილიან ინსტრუქტაჟს განაცხადების გაყალბების საფრთხეების შესახებ, რათა შეძლონ ამ ქმედების საწინააღმდეგო აუცილებელი ზომების მიღება და საქმის კურსში ჩააყენონ კონკურენციის ორგანო განაცხადების გაყალბების ნიშნების შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვებისა და საზოგადოდ, საკონკურსო წესით ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონების, კანონქვემდებარე აქტების და ცალკეული ნორმატივების მიღება-გადასინჯვისას აუცილებელია კონკურენციის ორგანოს პოზიციის გათვალისწინება, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას ჰქონდეს კონკურენციის უპირატესობებით სარგებლობის გარანტიები, და ასევე შესაძლებლობა, რომ გამოავლინოს და თავიდან აიცილოს გაყალბებული განაცხადები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგიაშვილი შ., საქართველოს კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ქრონოლოგია. ჟურნ. "ეკონომისტი", № 2, 2013 (გვ. 17-29).
2. გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, გამ-ბა "ინოვაცია", თბ., 2009.
3. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ნეგატიური ასპექტები. ჟურნ. "ეკონომიკა და ბიზნესი", №4, 2012 (გვ. 27-42).
4. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის მიმართულე ბები. – ჟურნ. "ეკონომიკა და ბიზნესი", №1, 2013 (გვ. 31-44).
5. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკა, გამ-ბა "ახალი საქართველო". თბ., 2013 (გვ. 127-142).
6. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., ეკონომიკური კონკურენცია (ბაზრის კონკურენციულობის ანალიზის მეთოდური საკითხები), გამ-ბა "ლოი". თბ., 2012.
7. საქართველოს კანონი "კონკურენციის შესახებ". თბ., 21.03.2014.

*Shalva Gogiashvili
Slava Fetelava*

COMPETITION PROTECTION IN COMPETITIVE TRADE

Annotation

Competition protection and support during competitive trade is extremely important task for governmental institutions because this is the method of protecting public interests. Also, because of the fact that competition principles can be violated during commerce competition, in order to prevent or neutralize this negative event, it's considerable to work out appropriate procedures and practically use them as special, preventive measures.

In this article there is described typical procedure of competitive trade and recommendations about its improvement. The purpose is state organ and society protection from statement falsification and other swindles.

მეგი გორგასლიძე

შრომის ბაზრის ფორმირების თანამედროვე თავისებურებაანი

ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია ქვეყანაში არსებული რესურსების რაციონალურ კომბინაციაზე, მათ ეფექტურ შეთანაწყობაზე. ფასები რესურსებზე განსაზღვრავს მიწის, შრომის, კაპიტალისა და სამეწარმეო უნარის იმ მოცულობას, რომელიც გამოიყენება წარმოების პროცესში.

შრომის ბაზარზე იყიდება სპეციფიკური საქონელი – შრომა. შრომით რესურსებში მთიაზრება მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში, რომელსაც „რესურსების“ ასპექტში სამი პარამეტრით განიხილავენ: სოციალურ-დემოგრაფიული, პროგრესულ-კვალიფიციური და კულტურულ-საგანმანათლებლო მონაცემებით.

შრომის ბაზრის თავისებურება დაკავშირებულია ისეთი ფაქტორის, როგორცაა შრომის, შრომითი რესურსების პიროვნულ ხასიათთან, მისი კვლავწარმოებისა და გაყიდვის სპეციფიკასთან. ამასთან, XVII – XIX სს. კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, სამუშაო ძალა (შრომა) განიხილება, როგორც კაპიტალის დაბანდების წყარო. სულ უფრო ქრება პრინციპული განსხვავება შრომასა და კაპიტალს შორის. შრომა, მიწა და წარმოების საშუალებები შეიძლება განიხილულ იქნეს, როგორც კაპიტალის სხვადასხვა ფორმები.

შრომის ბაზრის ფუნქცია განსაზღვროს შრომის როლი საზოგადოების ცხოვრებაში, რომელიც ძირითადად ორი სახისაა: სოციალური ფუნქცია, რომელიც მდგომარეობს უზრუნველყოფის საზოგადოება ნორმალური შემოსავლებით და ეკონომიკური ფუნქცია, რომელიც გულისხმობს შრომითი რესურსების რაციონალურ განაწილებას, რეგულირებას და შრომის ეფექტიან გამოყენებას.

შრომის ბაზარი არის თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება. აქ იღებს შეფასებას სამუშაო ძალის ღირებულება, განისაზღვრება მისი დაქირავების პირობები, დასაქმების გარანტია, განათლების მიღების შესაძლებლობები, პროფესიული ზრდა და სხვა.

შრომა განსაკუთრებული ადამიანისეული რესურსია, რომლის ფასს წარმოადგენს ხელფასი, რომელიც საბაზრო ფასის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ხელფასის ზრდა იწვევს შრომაზე მოთხოვნის შემცირებას,

ხოლო ხელფასის მატება კი – შრომაზე მოთხოვნის ზრდას. ამის საპირისპიროდ, შრომის მიწოდება იზრდება ხელფასის ზრდისას, ხოლო ხელფასის შემცირება იწვევს შრომის მიწოდების შემცირებას. შრომის მიწოდება დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე ქვეყანაში, მუშაკთა კვალიფიკაციაზე და ა.შ.

შრომის ბაზრის ძირითადი მარეგულირებელი ბერკეტი არის შრომის ბირჟა. თუმცა ნეოკლასიკოსების თანამედროვე შეხედულებებით, შრომის ბირჟამ, მთავრობისეული თუ სხვა მარეგულირებელი სუბიექტების მიერ მისი „მასშტაბური“ რეგულირების გამო დაკარგა მობილურობა და მოექცა ქრონიკულ უწონასწორობაში. ეს გამოწვეულია პოსტინდუსტრიული ტიპის წარმოების მიერ ახალი მოთხოვნებით სამუშაო ძალისადმი, რაც დამოკიდებულია არა მარტო რეგიონულ, არამედ საერთაშორისო მობილურობის მქონე მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე [1].

ძირითადი თავისებურება თანამედროვე შრომის ბაზრისა არის მისი მობილურობის გაძლიერება, ანუ ფლექსიბილიზაცია, სადაც მნიშვნელოვანია ხელფასის (შრომის ანაზღაურების) ინდივიდუალიზმის პრინციპის მაქსიმალური ამოქმედება, როცა გამოთიკვებება პიროვნების კომპეტენტურობა, პოტენციური შესაძლებლობა წარმოების ეფექტიანობის ზრდის მიზნით.

რეალურ ცხოვრებაში, შრომის ბაზრის დინამიკაზე გავლენას ახდენს რიგი ფაქტორებისა, გარდა შრომის მიწოდებისა და შრომაზე მოთხოვნის დამოკიდებულებისა, სახეზეა დემოგრაფიული ფაქტორებიც – შობადობის დონე, შრომისუნარიანი მოსახლეობის ზრდა და ასაკობრივი სტრუქტურა, რაც პირდაპირ ზემოქმედებს შრომის მიწოდებაზე.

დემოგრაფიული ფაქტორის გვერდით, შრომის ბაზრის დინამიკაზე გავლენას ახდენს აგრეთვე: იმიგრაციული პროცესები, რაც ზრდის სამუშაო ძალის მიწოდებას და კონკურენციას; შრომითი რესურსების სტრუქტურული ცვლილებები, კერძოდ, მცირდება დასაქმებულთა რაოდენობა სოფლის მეურნეობაში და იზრდება მომსახურების სფეროში და მეცნიერება ტექნოლოგიურ დარგებში მუშაკთა რაოდენობა, იცვლება პროფესიული კვალიფიციური სტრუქტურა.

XX საუკუნის ბოლოსათვის ინდუსტრიალურად განვითარებულ სახელმწიფოებში გამოიკვეთა შრომის ბაზარზე ახალი ტენდენციები. აშშ-ში წარმოების დაქვეითებას მოჰყვა უმუშევრობის ზრდა, მაშინ, როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შეიმჩნეოდა სამუშაო ძალის გამოყენების მაჩვენებლების გაუმჯობესება. იაპონიაში აღინიშნა უმუშევრობის მინიმალური დონე, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის

ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ უმუშევრობის ზრდასთან ერთად, სოციალური პრობლემების გამწვავება გამოწვია [2].

გასული საუკუნის 90-იანი წლები საერთაშორისო შრომის ბაზარზე იმითაც აღინიშნა, რომ შემცირდა სამუშაო ძალის მიწოდება, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილებებთან, მოსახლეობის ბუნებრივი კლების პრობლემებთან. ერის დაბერების პრობლემამ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აქტუალური, რაც დიდ კორექტირებას იწვევს შრომის ბაზრის ფორმირებაში.

შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდების შენელება გარკვეულ პერიოდში იწვევს უმუშევრობის შემცირებას, მაგრამ ამას სხვა პრობლემები მოჰყვება. ეკონომიკური განვითარების შენელება პირდაპირ არის დაკავშირებული მაღალი განათლების მქონე შრომისუნარიანი ახალგაზრდა ადამიანების რიცხოვნობის შემცირებასთან. ამის საპირისპიროდ მნიშვნელოვანია სამუშაო ძალის სტრუქტურის განახლება, ანუ კადრების გადამზადება, რაც დიდ ფულად რესურსებთან არის დაკავშირებული.

სამუშაო ძალის დეფიციტის პირობებში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ნაწილობრივი დასაქმების გავრცელებას. იგი შრომით საქმიანობაში მოსწავლეების, დიასახლისების და პენსიონერების ჩართვის შესაძლებლობას იძლევა.

განვითარებულ ქვეყნებში დემოგრაფიული სიტუაციის გამწვავება და ამ ქვეყნებში კვალიფიციური სამუშაო ძალის უკმარისობა იწვევს უცხოური სამუშაო ძალის ფართოდ მოზიდვას. შეიმჩნევა ლიბერალიზაციის ზრდა მიგრაციულ პოლიტიკაში, რასაც შედეგად მოჰყვება სამხრეთის ქვეყნებიდან სამუშაო ძალის მასობრივი გადასვლა ინდუსტრიულად უფრო განვითარებულ ქვეყნებში. სამუშაო ძალის მობილურობის გაძლიერებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური გარანტიების დონეების თანდათანობით დაახლოების პროცესს, განსაკუთრებით შრომითი კანონმდებლობის პროცესში.

საქართველოს შრომის ბაზრის განვითარება XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე რიგი თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ, საკომანდო ადმინისტრაციული სისტემის დროს, დასაქმების პრობლემა სხვაგვარად გვარდებოდა. სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფილი იყო ყველა პირი 16 წლის ასაკიდან, „უმუშევრების“ წინააღმდეგ მოქმედებდა კანონი იძულებითი დასაქმების შესახებ. საბაზრო ეკონომიკა ათავისუფლებს ადამიანს ასეთი ძალდატანებისაგან. ასეთი დამოკიდებულება იწვევდა ზოგიერთ დარგში კვალიფიციური მუშახელის სიჭარბეს ან დეფიციტს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ერთმანეთის მიყოლებით შეიკვეცა სამუშაო ადგილები, რამაც ჩვენი ქვეყანა პირველად დააყენა ისეთი მოვლენის წინაშე, როგორცაა უმუშევრობა. დღეს ძნელია სამუშაო ადგილის პოვნა სამშობლოში, დაიძაბა სოციალური ფონი, მუდმივად ხდება მოსახლეობის მიგრაცია საზღვარგარეთ, „ტენიების გაღინება“ შეუქცევადი პროცესი გახდა, რასაც შედეგად მოჰყვა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრული გამოყენება და სოლიდური დანაკლისი მთლიანი პროდუქტის წარმოებაში.

ასეთი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, დღის წესრიგში დგას სახელმწიფოს მიერ აქტიური ღონისძიებების გატარების აუცილებლობა შრომის ბაზრის მობილური რესურსების შეფასების, რეგულირებისა და ეფექტიანი გამოყენების გზით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკური თეორია, სახელმძღვანელო გადვიშვლისა და რასათიანის რედაქციით, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბილისი, 1999. 2.

2. ჯ. კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა, სახელმძღვანელო, I ნაწილი, საგამომცემლო ფორმა „სიახლე“, თბილისი, 1996.
3. ი. მესხია, შრომის ბაზარი: დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შრომები, ტ.6. საგამომცემლო ფორმა „სიახლე“, თბილისი, 2008.
4. ლ. ჩიქავა, დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები. საქართველოს ეკონომიკა, რედაქტორი რ. ასათიანი, საგამომცემლო ფორმა „სიახლე“, თბილისი, 2012.
5. www.geostat.ge

Megi Gorgashidze

MODERN PECULIARITIES OF THE LABOUR MARKET FORMATION
Annotation

The basic regulation basis of the labour market is the labour exchange. Though, at the modern stage of development there are highlighted originalities of formation of the labor market that is connected with reinforcement of its mobility and means maximum motion of salary (wage) individualism principle, underlining competence of the person, his potential ability for increasing efficiency of production.

The labor market dynamics is also affected by demographic factors- level of birth-rate, capacity for work, increasing of population and age structure that directly makes influence on delivering of the labor.

Together with demographic factor the labor market dynamics is also affected by immigration processes that increases delivering of the labor force and competition.

Татьяна Валериевна Гринько
Марина Александровна Власенко

СОВРЕМЕННЫЕ ТЕНДЕНЦИИ НАЛОГООБЛОЖЕНИЯ ОПЕРАЦИЙ С КАПИТАЛОМ
В СТРАНАХ ЕВРОПЕЙСКОГО СОЮЗА

Основными приоритетами политики налоговой гармонизации в Европейском Союзе (далее – ЕС) являются ликвидация неэффективных элементов налоговых систем и отказ от налогового суверенитета стран ЕС, разработка мероприятий, направленных на избежание или минимизацию последствий налоговой конкуренции. Но, несмотря на попытки гармонизации налогового законодательства с целью устранения возможностей для налогового арбитража внутри ЕС, ставки налогов и условия для их взыскания в результате операций с капиталом существенно отличаются. На сегодняшний день институты ЕС не имеют права устанавливать нормы налогообложения без предварительного согласования с другими странами - членами. Суть проблемы заключается в том, что обязательность начисления и уплаты налогов в соответствии с различными требованиями стран ЕС, существование не связанных между собой налоговых формальностей повышают расходы европейского бизнеса и не дают в полном объеме использовать преимущества общего рынка и единой валюты.

В большинстве стран ЕС общий уровень налогов сократился в период с 1995 по 2011 год, средний уровень налогообложения за тот же период составлял 36% ВВП, но разница между странами сохранилась довольно значительной: от 26 % ВВП в Латвии до 47,7 % ВВП в Дании (по состоянию на конец 2011 г.). Причем поступления в бюджет страны от корпоративного налога и налогообложения прибыли от капитала составляли в среднем 5 % ВВП за 2000-2011 гг. (рис. 1), наибольшее значение составляло 8,1 % ВВП (Кипр), а меньше всего – 1,5 % ВВП (Латвия) [1].




Рис. 1. Уровень поступлений в бюджет от уплаты корпоративного налога и налогообложения дохода на капитал

Источник: рассчитано и построено автором по [1].

Средняя неявная ставка налога на операции с капиталом (далее – НСН) за этот же период составила почти 25% ВВП всех стран ЕС (рис. 2, нд – нет данных).

В 2011 г. наименьшее значение составляло 5,5 % (Латвия), а наибольшее — 44,4 % (Франция) [1].



Рис. 2. Уровень неявных ставок налога на операции с капиталом, 2011 г.

Источник: рассчитано и построено автором по [1].

Изменения в НСН также могут отражать структурные изменения, в частности в составе доходов. Учитывая увеличение капитализации фондового рынка, начиная с 1995 г., вполне вероятно, что значительные доходы от прироста капитала были достигнуты как компаниями, так и домашними хозяйствами, что привело к увеличению финансовых доходов. Такое изменение в составе доходов не явно заметно в национальных счетах, а выплачиваемые проценты исключаются из налоговой базы [2]. Дополнительные налоговые поступления, связанные с такого рода доходами, могут вызвать рост НСН на доход от капитала, что приводит к переоценке эффективной налоговой нагрузки на доходы от капитала в частном секторе.

Общей чертой систем налогообложения корпораций является предпочтение заемным средствам выпуска акций по отношению к финансированию новых инвестиций. Но если развитие финансовых рынков приведет к росту объема инвестиций по паевым финансовыми инструментами, то база налогообложения будет расти, что выгодно для бюджета любой страны. Общим результатом высших налоговых поступлений будет увеличение НСН, отражая более высокое эффективное налоговое бремя, что обусловлено последствиями налогового законодательства.

Тем не менее, в странах с наиболее развитым финансовым сектором НСН выше среднего по ЕС, что дает повод считать, что не всегда снижение налоговой нагрузки является решающим фактором для развития финансовых рынков и экономического развития стран в целом. При исследовании соотношения уровня налоговой нагрузки и ВВП на душу населения в ЕС были выявлены страны как с прямой, так и с обратной зависимостью, что позволило разделить их на 4 подгруппы (табл. 1).

Сильная обратная	R	Слабая обратная	R	Слабая прямая	R	Сильная прямая	R
Греция	-0.84	Чехия	-0.36	Румыния	0.06	Кипр	0.51
Люксембург	-0.82	Португалия	-0.34	Италия	0.18	Германия	0.55
Нидерланды	-0.73	Бельгия	-0.31	Ирландия	0.22	Эстония	0.57
Финляндия	-0.63	Франция	-0.28	Швеция	0.24	Латвия	0.60
Словакия	-0.59	Болгария	-0.25	Дания	0.29	Польша	0.63
Австрия	-0.41	Венгрия	-0.18	Великобрит.	0.29	Словения	0.64
		Испания	-0.13	Литва	0.30	Мальта	0.94

R – коэффициент корреляции.

Источник: рассчитано автором по [1; 2].

Если рассматривать данные не на уровне отдельных стран-членов, а на уровне ЕС (рис. 3), то просматривается достаточно тесная зависимость между повышением НСН и экономическим ростом (при анализе данных за период 1996-2011 гг. получен коэффициент корреляции $R=0,84$).

Налоговый компромисс может быть найден во внедрении альтернативных систем налогообложения, согласовании интересов государственного бюджета стран и бизнеса путем оптимизации налоговой нагрузки на бизнес, а также упорядочения налогообложения финансового сектора, как ответственного за последствия финансового кризиса.




Рис. 3. Влияние НСН на экономический рост в странах ЕС

Источник: рассчитано и построено автором по [1; 2].

Для реализации эффективной налоговой политики специалисты разрабатывают альтернативные системы налогообложения.

Налоговые скидки для корпоративного акционерного капитала – (Allowance for corporate equity – ACE) – это льготы, при которых компании могут исключать из базы налогообложения корпоративным налогом условно начисленный доход на

акционерный капитал, параллельно вычитая проценты по задолженности [3]. Система ACE введение только в нескольких странах Евросоюза, таких как Австрия, Италия и Бельгия.

1. В период 2000-2004 гг. в Австрии применялась сниженная ставка корпоративного налога в размере 25 % (вместо обычных 34 %), от условной рентабельности собственного капитала. Такая рентабельность определяется балансовой стоимостью акций в дореформенный период, умноженной на среднюю доходность по государственным облигациям плюс 0,8 %. Апробация системы была завершена в конце 2005 г., когда в Австрии были сокращены ставки корпоративного налога для всех видов прибыли.

2. Бельгия ввела ACE в 2006 г. Условная рентабельность при среднемесячной ставке доходности по государственным облигациям (зафиксирована на уровне 6,5 %, и на 0,5 % выше для малых и средних предприятий) применяется к балансовой стоимости собственного капитала, и подлежит вычету из базы налога на прибыль. Специалисты ОЭСР оценили бюджетные последствия введения системы ACE в Бельгии на уровне около 10 % от налоговых поступлений по налогу на прибыль корпораций.

3. В период 1997-2003 гг. Италия применяла систему двойного налогообложения доходов (Dual Income tax – DIT), которая представляет собой ограниченную версию ACE. В частности, снижена ставка по налогу на прибыль (19 % вместо 37 %) применялась к выплатам по обыкновенным акциям постреформенного периода. Таким образом, установленная условная рентабельность капитала не попадала под действие льготного тарифа, который смягчил краткосрочные бюджетные потери от внедрения DIT. В 2001 г. условная ставка была снижена с 7 до 6 %, а в 2004 г. Италия вообще отменила DIT и уменьшила ставку корпоративного налога с 37 до 34 %. Введение системы DIT стимулировало развитие рынка ценных бумаг, особенно с участием крупных и прибыльных фирм. Новая система ACE, реализованная в Италии с 2012 г., уменьшает, но не устраняет финансовые деформации из-за вычета процентов из налогооблагаемой базы [4].

4. В странах Северной Европы также введен DIT в различных вариантах (Дания, Швеция, Финляндия) [5]. Система DIT предусматривает использование пропорциональной ставки налога на все доходы от капитала, в т.ч. доходы корпораций, и применение прогрессивного налога на индивидуальные доходы. «Чистая» система DIT предусматривает, что ставка налога в наиболее низкой части шкалы для трудового дохода совпадает со ставкой налога на доходы от капитала.

Вариантом системы DIT является система скидок на акционерный капитал (Allowance for shareholder equity – ASE). Скидка рассчитывается как произведение базы ASE и безрисковой процентной ставки после уплаты налогов, что позволяет избежать двойного налогообложения дохода на акционерный капитал, предоставляя льготы на уровне индивидуального акционера.

Несмотря на налоговые преимущества и постепенное внедрения, система ACE и ее разновидности прежде всего призваны значительно снизить левередж, уменьшая риск дефолта и системный риск [4].

Комплексная система налогообложения прибыли (Comprehensive business income tax – CBIT) впервые была применена в 1992 г. по рекомендации Казначейства США. CBIT сопровождается отменой личных налогов на капитал что позволяет избежать двойного налогообложения некоторых видов доходов от капитала (например, дивидендов) и расширяет базу для освобождения от налогообложения таких видов доходов на капитал, как, например, доход институциональных инвесторов. Главным недостатком CBIT является то, что она повышает стоимость привлечения капитала посредством долговых источников финансирования инвестиций [3]. Данная система пока что не применяется ни в одной стране мира.

Каждая из предложенных альтернативных систем налогообложения имеет специфические условия и последствия применения (табл. 1), из-за чего даже не все страны ЕС отвечают необходимым требованиям, что объясняет пока незначительную распространенность предложенных систем.

Таблица 1

Условия и последствия применения альтернативных систем налогообложения операций с капиталом

Система	Условия применения	Последствия
ACE	Нет специальных условий	Надежность налоговых поступлений в бюджет; поддержка непродуктивных инвесторов за счет продуктивных
CBIT	Достаточная капитализация или благоприятный инвестиционный и налоговый климат	Рост объемов иностранных инвестиций; отсутствие налогообложения процентных платежей
DIT-ASE	Прозрачность налогового администрирования; наличие большого количества мощных индивидуальных акционеров	Пропорциональный налог на доходы от капитала; установление одинаковой нормы доходности на инвестиции; дальнейший рост иностранных инвестиций

Источник : построено автором по [7].

Сегодня с точки зрения налоговой политики перед органами наднационального регулирования ЕС стоят два важных задания: 1) изыскание возможностей для безболезненного повышения налогов и фискальная консолидация, а также 2) разработка налоговой структуры, не сдерживающей экономической рост.

Некоторые страны-члены ЕС, такие как Испания, Мальта и Словения, имеют потребности в фискальной консолидации и располагают лагом для повышения налогов. Теоретическое обоснование для выявления вышеуказанных возможностей дает «кривая Лаффера», на практике специалисты Еврокомиссии используют методику оценки, разработанную согласно Лиссабонской стратегии, а также методику бюджетной устойчивости согласно индикаторам «налогового пространства» [1]

Вопрос повышения или снижения налоговых ставок является противоречивым и требует сбалансированного подхода: снижение уровня налоговых поступлений от капитала перераспределяет налоговое бремя от капитала к труду. Перед европейскими странами сейчас стоит сложная задача: увеличить налоговые поступления в бюджеты, но при этом не приостановить экономическое развитие и не повлечь отток капитала. Оптимизирую структуру налогообложения, следует в первую очередь поднимать сместить налоговое бремя с трудовых и корпоративных налогов в такие сферы, как потребление,

окружающая среда и налоги на недвижимое имущество. Такой сдвиг в структуре налогообложения призван сделать налоговую систему более эффективной с точки зрения ее воздействия на экономический рост.

В ответ на финансовый кризис конца 2000-х гг., в разгаре которой за счет бюджетных средств были спасены европейские банки, Еврокомиссия предложила введение специфических налогов, направленных на увеличение налоговых поступлений от финансового сектора – налог на финансовые транзакции (Financial Transaction Tax – FTT) и налог на финансовую деятельность (Financial Activities Tax – FAT). Идея транзакционного налога уже внедрялась по инициативе Дж. Тобина в 1970-х гг., как инструмент более справедливого перераспределения средств, но вызвала проблемы с оттоком капитала, поэтому эта идея не получила развития, начиная с 1990-х гг. В 2010 г. Еврокомиссия вновь обратилась к странам-членам с предложением о введении FTT, аргументируя это 1) содействием стабильности финансового сектора путем его отказа от ведения определенных рискованных видов деятельности; 2) ответственностью за негативное воздействие на уровень государственного долга; 3) пополнением бюджета для реализации стратегии «Европа 2020»; 4) установлением налоговой справедливости (финансовые услуги в ЕС не облагаются налогом на добавленную стоимость). Сбор по операциям с акциями и облигациями будет составлять 0,1 %, сбор по операциям с производными инструментами – 0,01 %. В результате предполагается получить 30-35 млрд. евро в год [8].

Еще одним «банковским налогом», направленным на уменьшение влияния возможных негативных внешних факторов в финансовом секторе, является налог на финансовую деятельность (Financial Activities Tax – FAT), предложенный Международным валютным фондом в 2010 г. [9]. В отличие от FTT, в результате чего каждый участник рынка платит налоги в соответствии с объемами проведенных операций, FAT – это налог для корпораций, который можно интерпретировать как налог на общую добавленную стоимость, созданную компанией финансового сектора.

Несмотря на общее согласие стран-членов по поводу введения вышеприведенных налогов для финансовых институтов, на практике этот процесс сдерживается. На конец 2013 г. налог на финансовые транзакции готовы ввести 11 стран Еврозоны. Этот налог должен вступить в силу 1 января 2014 г. Однако с реальным внедрением возникли трудности, поэтому дата внедрения перемещена на 2015 г. [10].

Меры по оптимизации структуры налогообложения должны базироваться на принципах системности, комплексности, эластичности и адаптивности, стабильности, единства, справедливости и оптимальности, так как чрезмерное и неэффективное государственное регулирование налогообложения операций с капиталом может вызвать нежелательный отток инвестиций из стран ЕС.

Литература

1. Taxation trends in the European Union: data from the EU members, Iceland and Norway (Eurostat Statistical books). – Luxembourg: Publications Office of the European Union, 2013. – 316 p.
2. Eurostat database [Электронный ресурс]. – Режим доступа: http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/statistics/search_database.
3. De Mooij R.A. Alternative systems of business tax in Europe. An applied analysis of ACE and CBIT reforms [Электронный ресурс] / R.A. de Mooij, M. P. Devereux. – Режим доступа: http://ec.europa.eu/taxation_customs/resources/documents/common/publications/studies/acecbit_study.pdf.
4. Panteghini P. Italy's ACE tax and its effect on a firm's leverage [Электронный ресурс] / P. Panteghini, M. L. Parisi, F. Pighetti. – Режим доступа: <http://www.economics-ejournal.org/economics/discussionpapers/2012-31>.
5. Fundamental reform of corporate income tax // OECD Tax policy studies. – OECD, 2007. – 175 p.
6. Panteghini P. Italy's ACE tax and its effect on a firm's leverage [Электронный ресурс] / P. Panteghini, M. L. Parisi, F. Pighetti. – Режим доступа: <http://www.economics-ejournal.org/economics/discussionpapers/2012-31>.
7. Соколовская Е.В. Совершенствование института налогообложения доходов от капитала с учетом концепции нейтральности / Е.В. Соколовская, Д.Б. Соколовский // Journal of institutional studies (Журнал институциональных исследований). – 2013. – Том 5., №1. – С. 42-54.
8. Taxation of the financial sector (Legislation) [Электронный ресурс]. – European Commission. Brussels, 7.10.2010, COM(2010), 549 final. – Режим доступа: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2010:0549:FIN:EN:PDF>.
9. Financial sector taxation. The IMF's report to the G-20 and background material [Электронный ресурс] / [edited by S. Claessens, M. Keen, C. Pazarbasioglu]. – IMF, 2010. – 191 p. – <http://www.imf.org/external/np/seminars/eng/2010/paris/pdf/090110.pdf>.
10. Taxation of the financial sector [Электронный ресурс] / European Commission. – Режим доступа: http://ec.europa.eu/taxation_customs/taxation/other_taxes/financial_sector/index_en.htm.

*Tatiana Gryn'ko
Marina Vlasenko*

MODERN TRENDS OF CAPITAL TRANSACTIONS' TAXATION IN COUNTRIES OF THE EUROPEAN UNION

Annotation

The modern trends of capital transactions' taxation in the European Union, the implementation of alternative tax systems and the prospects for taxation of financial transactions and financial activity in the financial sector have been examined in the article.

ინფლაციის თარგმთირების ეხმეტიანობა მართვაში სავალუტო ბაცვლითი კურსის პირობაში *ლია გლიაგა*

ინფლაციის თარგმთირება მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც გულისხმობს წინასწარ გაცხადებული ინფლაციის დონის შენარჩუნებას დროის გარკვეულ მონაკვეთში. ფასების სტაბილურობა წარმოადგენს გრძელვადიან მიზანს, რომლის მისაღწევად გამოიყენება ფულად-

საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები. დანარჩენი ეკონომიკური მიზნები, როგორცაა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, დასაქმების და გაცვლითი კურსის შედარებითი სტაბილურობის უზრუნველყოფა, ასევე მნიშვნელოვანია, თუმცა მათი რეალიზება ბევრადაა დამოკიდებული ინფლაციური პროცესების მართვაზე. მიხედავად, რომ როდესაც ხელისუფლება მოქმედებს დასახული მიზნების შესაბამისად, ინფლაციის თარგეთირება ამცირებს ინფლაციურ მოლოდინს.

საქართველო ინფლაციის თარგეთირებაზე გადავიდა 2009 წელს გარკვეული წინასწარი მეთოდოლოგიურ-მეთოდური სამუშაოების ჩატარების შემდგომ. ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებლად (თარგეთად) განისაზღვრა მისი 6%-იანი დონე, რაც უცვლელად დარჩა დღემდე. თუმცა, 2015 წლისათვის ეროვნული ბანკი აპროგნოზებს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის 5%-მდე შემცირებას.

მიუხედავად ინფლაციის თარგეთირების 5 წლიანი გამოცდილებისა, გარკვეული პრობლემები შეიქმნა ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევაში. ამ პერიოდის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა ვერ უზრუნველყო ინფლაციის 6%-იანი დონის შენარჩუნება. მას ჰქონდა ზიგზაგისებური ტრაქტორია, რაც გამოიხატებოდა ზრდისა (14.5%-მდე 2011 წ.) და კლების (-3.5%-მდე 2012 წ.) მონაცვლეობაში.

1 ცხრილში საქართველოს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შედარებულია რამდენიმე ქვეყნის ინფლაციის თარგეთირების მახასიათებლებთან.

ცხრილი 1

ცენტრალური ბანკების მიერ ინფლაციის თარგეთირება 2014 წლის თებერვლის მდგომარეობით⁸¹

ქვეყანა	ცენტრალური ბანკი	ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი	წლიური ინფლაცია	სხვაობა (პროც. პუნქტ.)
ბრაზილია	Central Bank of Brazil	4.5% +/-0.2%	5.680 %	1
კანადა	Bank of Canada	2.0% +/-1.0%	1.141 %	0
ჩილე	Central Bank of Chile	3.00% +/-1.0%	3.395 %	0
ჩინეთი	People's Bank of China	4.00%	1.899 %	-2
ჩეხეთის რესპუბლიკა	Czech National Bank	2.00% +/-1.0%	0.244 %	-1.7
საქართველო	National Bank of Georgia	6.00%	3.461%	-2.5
უნგრეთი	Central Bank of Hungary	3.00%	0.270 %	-2.5
ისლანდია	Central Bank of Iceland	2.50%	2.195 %	0
ინდონეზია	Bank Indonesia	4.5% +/-1.0%	6.653 %	1.5
ისრაელი	Bank of Israel	1.00% - 3.00%	1.196 %	0
იაპონია	Bank of Japan	2.00%	1.512 %	-0.5
მექსიკა	Bank of Mexico	3.00% +/-1.0%	4.234 %	0
ნორვეგია	Norges Bank	2.50%	2.105 %	0
პოლონეთი	National Bank of Poland	2.5% +/-1.0%	0.811 %	0
რუსეთი	Bank of Russia	5.00%	6.200 %	1
სამხრეთ აფრიკა	South African Reserve Bank	3.0% - 6.0%	5.929 %	0
სამხრეთ კორეა	Bank of Korea	2.5% - 3.5%	1.480 %	-1
შვეიცარია	Swiss National Bank	<2.00%	0.003 %	0
თურქეთი	Central Bank of Republic of Turkey	5.00% +/-1.0%	7.889 %	2
აშშ	Federal Reserve	2.00%	1.126 %	-1

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქვეყნების ამ ჩამონათვალში საქართველოს გააჩნია ყველაზე სერიოზული პრობლემები ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევაში. რა თქმა უნდა, ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს.

სხვადასხვა ქვეყანაში ინფლაციის თარგეთირების მექანიზმი განსხვავებულია ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურისა და მიზნებიდან გამომდინარე, თუმცა არსებობს ამ მექანიზმის საერთო ნიშნებიც. მთავრობებს მკაფიოდ აქვთ ჩამოყალიბებული მონეტარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა – ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა გრძელვადიანი პერიოდისთვის. საქართველოს ეროვნულ ბანკს ცალსახად აქვს დეკლარირებული, რომ “2009 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება. აღნიშნული რეჟიმის დროს წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც უნდა იქნეს შენარჩუნებული საშუალოვადიან პერიოდში”.⁸²

ინფლაციის თარგეთირება წარმოადგენს მონეტარული ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პოლიტიკას. ინფლაციის მიზანი არის ინდიკატორი, რომელიც ეკონომიკას უგზავნის ცხად სიგნალს იმის შესახებ, თუ რა სახის ქმედებებია მოსალოდნელი მონეტარული ხელისუფლებისაგან დროის გარკვეულ მონაკვეთში.

მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის უპირატესობები აშკარად გამოიკვეთა მრავალ ქვეყანაში, მაინც არ არის ცხადი, შესაძლებელია თუ არა ამ პოლიტიკის გატარება თანამედროვე ეტაპის საქართველოში. ასეთი ეჭვის საფუძველს იძლევა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

⁸¹ წყარო: <http://www.centralbanknews.info/p/inflation-targets.html>, <http://www.global-rates.com/economic-indicators/inflation/inflation.aspx>
 სხვაობა ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელსა და წლიურ ინფლაციას შორის ჩვენ მიერ მოცემულია მიახლოებითი გამოსახულებით ინფორმაციის ადვილად აღქმადობის მიზნებიდან გამომდინარე.

⁸² <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=538>

რეტროსპექტულ პერიოდში ინფლაციის თარგეთირების გარკვეული ნიშნულის მიუღწევლობა და გადახრების საკმაოდ დიდი დიაპაზონი.

ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის წარმატებული განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია განვითარებული ფინანსური სისტემა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესში იმყოფება. საბანკო სექტორი არის მოწვევადი და სეგმენტირებული, რაც ინფლაციის თარგეთირებისათვის საფრთხის შემცველია იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს პრობლემური ბანკების გადარჩენის პოლიტიკის გატარებას. ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე დიდი მოცულობით გაცემული რეფინანსირების სესხები საბანკო სექტორის ლიკვიდურობის მხარდაჭერისათვის ეწინააღმდეგება ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის ფუნდამენტურ პრინციპებს.

იმავედროულად, ინფლაციის წარმოქმნისა და გაღრმავების რისკი განპირობებულია საქართველოს ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის განუვითარებლობით, რაც განაპირობებს ეროვნული ბანკის მასში ჩართულობას. ეს უკანასკნელი ინფლაციაზე დამატებითი წნეხის წარმოქმნელი ფაქტორია. გარდა ამისა, ლიკვიდური ბანკთაშორისი ბაზარი ხელს უწყობს მონეტარული პოლიტიკის გატარებას, ვინაიდან აჩქარებს ამ პოლიტიკის იმპულსების გატარებას მთელ საბანკო სისტემაში და მათ გავლენას მთლიანად ეკონომიკაზე – ტრანსაქციები ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკს შორის მყისიერად აისახება ფულის ღირებულებაზე მთელს საბანკო სისტემაში. განუვითარებელი ფინანსური ბაზრის პირობებში კი ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებები გავლენას ახდენს მხოლოდ ცალკეული კომერციული ბანკის საბალანსო წონასწორობაზე და ნაკლებად აისახება მთლიან საკრედიტო ბაზარზე.

დღეისათვის საქართველოს ბანკთაშორისი ბაზარი არალიკვიდური, არაპროგნოზირებადი და მნიშვნელოვნად სეგმენტირებულია, ხოლო საბანკო სექტორი მთლიანობაში სუსტადაა განვითარებული. საბანკო სისტემის განვითარებულობის სტანდარტული ინდიკატორია მთლიანი საბანკო აქტივების წილი მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებაში. ეს უკანასკნელი დღეისათვის საქართველოში შეადგენს 64%, ევროკავშირის ქვეყნებში 250%, აშშ-ში 285%-ზე მეტს. უფრო მეტიც, საქართველოს საბანკო სისტემა არ არის დივერსიფიცირებული, რაც აფერხებს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას. ცნობილია, რომ საქართველოს მთლიანი საბანკო აქტივების დაახლოებით 60% აკონტროლებს 2 ბანკი, რაც მთელი საბანკო სექტორის (21 ბანკი) 10 პროცენტს შეადგენს.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის წარმატებულობას განაპირობებს მონეტარული ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ნდობის მაღალი ხარისხი. გამომდინარე აქედან, საქართველოს ეროვნული ბანკის ძალიან მკაცრად უნდა წარმართოს ეკონომიკური სუბიექტებისა და მთლიანად მოსახლეობის მოლოდინების რეალიზებაზე, რაც მიიღწევა მისი მიზნებისა და ამოცანების გამჭვირვალობისა და გასაჯაროების გზით.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკი აცხადებს ინფლაციის მიზნობრივ მანვენებელს და ცდილობს მის მიღწევას, ეკონომიკის სუბიექტებს შეიძლება ჰქონდეთ მისგან განსხვავებული მაღალი ან დაბალი ინფლაციის მოლოდინი, რის გამოც ისინი გაზრდიან ან შეამცირებენ ფასებს. ფასების ცვლილებების განეიტრალება ეროვნული ბანკისაგან მოითხოვს ფულის მასის კიდევ უფრო აგრესიულ მართვას შემცირების ან ზრდის მიმართულებით. ფასების ასეთი აქტიური მართვის შედეგად ეკონომიკური ზრდის ტემპები მცირდება, ლარი კი ზედმეტად მყარდება. თუ გაუარესებულმა ეკონომიკურმა სიტუაციამ ეროვნულ ბანკს უბიძგა შეწყვიტოს ფულის მასის რეგულირება, ამას შეეწირება ინფლაციის მართვის მიზნები, ან, შესაძლოა, ეროვნულმა ბანკმა თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა ეკონომიკური ზრდის შენელებაზე. ორივე სცენარი ნაკლებად სავარაუდოა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინფლაციის თარგეთირებაზე გადასვლა მიზანშეწონილია მოხდეს მაშინ, როდესაც ეროვნული ბანკი მკაფიოდ დაადასტურებს ინფლაციური მიზნების მიღწევას უნარს.

რეტროსპექტული მანვენებლების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ინფლაციური მიზნების პრაქტიკული რეალიზება (იხ. ცხრილი 2). ყოველივე ეს ამცირებს გატარებული პოლიტიკისადმი ნდობას. ამის შედეგად, ფაქტობრივად ფორმირდება იმაზე უფრო მაღალი ინფლაციის მოლოდინი, ვიდრე ეს ოფიციალური პროგნოზებითაა განსაზღვრული, რაც შესაბამისად ამცირებს ინფლაციის თარგეთირების ეფექტიანობას.

ცხრილი 2

საშუალო წლიური ინფლაციის დონე საქართველოში 2009-2014 წლებში⁸³ (%-ში)

	2009	2010	2011	2012	2013	2014 I კვ.
ინფლაციის დაგეგმილი დონე	6	6	6	6	6	6
ინფლაციის ფაქტობრივი დონე	4.7	3.8	9.9	2.0	-0.9	0.3
ცდომილება	-1.3	-2.2	3.9	-4	-6.9	-5.7

ეროვნული ბანკის მიერ ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის შემაფერხებელ მრავალრიცხოვან ფაქტორებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ინფლაციის ძლიერი დამოკიდებულება სავალუტო კურსის რყევებზე. იგი განსაკუთრებით ძლიერად ვლინდება განვითარებად ქვეყნებში, განსხვავებით მრეწველურად განვითარებული ქვეყნებისაგან, რომლებიც იშვიათად მიმართავენ სავალუტო კურსის რეგულირებას.

ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო კურსის სშირი და სისტემატური რეგულირების აუცილებლობას განაპირობებს ქვეყნის საფინანსო და ეკონომიკური სისტემის არამდგრადობა, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია ინფლაცია. ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური სისტემის არამდგრადობა

⁸³ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. www.nbg.gov.ge

განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენილობით, საფინანსო სისტემის სისუსტით და მისი შეუღწევადობით მსოფლიო სავალუტო სისტემაში. შესაბამისად, საქართველო ვერ უზრუნველყოფს საკუთარი სავალუტო სისტემის უსაფრთხოებას, სავალუტო კურსების რყევას და სავალუტო ბაზრებზე ნეგატიური პროცესების თავიდან აცილებას. სავალუტო კურსის რყევები წარმოშობს ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების დისბალანსს, მსოფლიო სავალუტო ცენტრებში განთავსებული ოფიციალური საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობის მნიშვნელოვან რყევებს.

სავალუტო გაცვლითი კურსისა და ინფლაციის მანქანებელს შორის დამოკიდებულება უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება ტერმინით “exchange rate pass-through”, რომელიც გულისხმობს სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტის გადატანას ინფლაციის მანქანებელზე, ანუ, იგივე შიგა ფასებზე. ჩვენს ქვეყანაში სავალუტო კურსის ცვლილება არა მარტო პირდაპირ აისახება ფასების ცვლილებაზე, არამედ ირიბადაც – ერთობლივ მოთხოვნასა და ფასების დონეზე. ასეთი ურთიერთქმედების ფარგლებში სავალუტო გაცვლითი კურსისა და ინფლაციის მანქანებლის რყევა ამწვავებს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, ამცირებს ნდობას ეროვნული ბანკის მიმართ, ზრდის ინფლაციურ მოლოდინებს.

სავალუტო კურსის მოკლევადიანი ცვლილება ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდაზე. ინფლაციის თარგეთირების მთავარი მიზანია სავალუტო გაცვლითი კურსისა და ინფლაციური რყევების განეიტრალება. ამგვარი რეჟიმი საშუალებას აძლევს ეროვნულ ბანკს, უმტკივნეულად გამოიყენოს სავალუტო ინტერვენციები სავალუტო კურსის სტაბილიზებისათვის. პრაქტიკულად, ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება ხორციელდება სავალუტო გაცვლითი კურსის რეგულირების მეშვეობით, რისთვისაც გამოიყენება საგარეო ნასესხობები უცხოურ ვალუტაში. ამიტომაც შესაძლებელია შეიქმნას ისეთი სიტუაცია, როდესაც ლარის გაცვლითი კურსის ვარდნის პირობებში წარმოიქმნა დისბალანსი სახელმწიფო საგარეო ვალსა და ოფიციალურ საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობას შორის, რაც, თავის მხრივ, გაზრდის გადახდისუნარიანობის რისკს. ასეთივე რისკის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ ბანკები, ფირმები და შინამეურნეობები.

ლარის გაცვლითი კურსის რეგულირების აუცილებლობას განაპირობებს აგრეთვე ეკონომიკის დოლარიზაციის პრობლემა. ფაქტობრივად, ეკონომიკური აგენტები უპირატესობას ანიჭებენ უცხოურ ვალუტას ფულის მიწოდებაზე ხელისუფლების სუსტი კონტროლის პირობებში. ჭარბი დოლარიზაციის შედეგად წარმოიქმნება ბანკების სავალუტო და საკრედიტო რისკი იმ კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გაიცა უცხოურ ვალუტაში. ეკონომიკის მაღალი დოლარიზაცია გახდა ეროვნული ბანკის აქტიური სავალუტო პოლიტიკის საფუძველი, რაც დამახასიათებელია იმ განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელიც არ ეწევიან ინფლაციის თარგეთირებას.

დოლარიზაციის პირობებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა დამოკიდებული გახდა მასში შემავალი უცხოური კაპიტალის ნაკადებზე, რომლის შემოსვლის სტაბილურობა არ შეიძლება ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მართვის გარეშე იქნეს უზრუნველყოფილი უცხოური კაპიტალი, ერთი მხრივ, ასტიმულირებს კრედიტორუნებს და ერთობლივი მოთხოვნის ზრდას, ხოლო, მეორე მხრივ, ზრდის ლარის გაცვლით კურსს და საგადასახდლო ბალანსის დეფიციტს. ამასთან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სავალუტო ინტერვენციების დაბალანსებულობა, რომლებიც, უზრუნველყოფენ რა ქვეყნის მიმზიდველობას უცხოური კაპიტალისათვის ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობის მხარდაჭერის ხარჯზე, გახდა ვალუტის გადაფასების მიზეზი, რაც პერიოდულად იწვევს უცხოური კაპიტალის გადინებასა და ლარის გაცვლითი კურსის ვარდნას.

საქართველოში ლარის გაცვლითი კურსის რეგულირებაზე მოქმედ ფაქტორებს შორის ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური ბაზრების განვითარებულობა და იმ საფინანსო ინსტრუმენტების სიმწირე და სისუსტე, რომლებსაც შეუძლია სავალუტო რისკების დაზღვევა, რითაც მცირდება სავალუტო კურსის რყევები ბუნებრივი გზით, და არა ეროვნული ბანკის ინტერვენციებით. იმავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მრავალფეროვნება და ინფორმაციის ასიმეტრიულობა მათი რისკიანობის შესახებ იწვევს ფინანსური ბაზრის უმართაობას და ბაზრის მონაწილეების მოტივაციის დამახინჯებას. შედეგად მკვეთრად მცირდება მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობა, მცირდება ეკონომიკის რეაქცია ინფლაციის დონის რეგულირების საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გააკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ დღეისათვის ინფლაციის თარგეთირება საქართველოში პრაქტიკულად სასურველ შედეგს არ იძლევა. რეგულირებადი სავალუტო გაცვლითი კურსის პირობებში სავალუტო კურსის როლი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე თავისუფალი მცურავი სავალუტო კურსის მქონე ქვეყნებში. გამომდინარე აქედან, თავისუფალი მცურავი სავალუტო კურსი არის ქვეყნის ინფლაციის თარგეთირებისათვის მზადყოფნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა. მიუხედავად ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე გადასვლისა, სავალუტო კურსის რეგულირებაში არსებული სერიოზული პრობლემების მანქანებელია ოფიციალური საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მაღალი დონე, რომლის მოცულობა პერიოდულად იცვლება ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების შედეგად. გარდა ამისა, ეკონომიკურ აგენტებს არ გააჩნიათ ნდობა მონეტარული ხელისუფლების მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის სტრატეგია, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=628>
2. Takhtamanova Y., Understanding Changes in Exchange Rate Pass-Through, Federal Reserve Bank of San Francisco, Working Paper 2008-13, <http://www.frbsf.org/publications/economics/papers/2008/wp08-13bk.pdf>
3. Mishkin F. S., Monetary Policy Strategy: Lessons From The Crisis, NBER Working Paper 16755, 2011, <http://www.nber.org/papers/w16755>

**EFFECTIVENESS OF INFLATION TARGETING IN THE CONDITIONS OF
MANAGED EXCHANGE RATE REGIME**

Annotation

Georgia passed on inflation targeting regime in 2009. From this period, the inflation target has consistently remained at 6%. However, for many years has not been achieved the target level of inflation. The reason for this is unstable and managed exchange rates. Consequently, today the inflation targeting regime in Georgia does not give the desired result.

ციცინო თეთრაული

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მემანოზმი

კაცობრიობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ადამიანთა მოთხოვნილებები პრაქტიკულად უსაზღვროა. ყოველი დაკმაყოფილებული მოთხოვნილება ახალ, კიდევ უფრო დიდ მოთხოვნილებებს ბადებს. მუდმივად დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები ხოლო მეორე მხრივ, რესურსების შეზღუდულობა, საზოგადოებას ოდითგანვე აიძულებდა, თავისი მატერიალური ყოფის გაუმჯობესების გზებსა და მეთოდებზე ეფიქრა. დიდმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ სიტყვა ეკონომიიდან შემოიღო ტერმინი „ეკონომიკა“, რომელიც დღემდე იხმარება. მან ზედმიწევნით შეისწავლა ძირითადი ეკონომიკური მოვლენები, და ამ დარგის ნათლიადაა მიჩნეული. ეკონომიკურმა მეცნიერებამ განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი განვლო, რომელიც შემდეგ ეტაპებსა და შესაბამის თეორიულ მიმდინარეობებს მოიცავს: მეცნიერებადგელი ეპოქის ეკონომიკური შეხედულებები; მერკანტილიზმი; ფიზიოკრატია; კლასიკური პოლიტიკური ეკონომია; მარქსიზმი; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე მიმართულებები. სახელმწიფო და მისი მმართველები უსოვარი დროიდან ერეოდნენ მოქალაქეთა ცხოვრებაში, ჩარევის ფორმები მრავალფეროვანი იყო. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა დაკავშირებულია პირველყოფილი საზოგადოების დაშლის პერიოდთან, სახელმწიფოს წარმოშობის უმნიშვნელოანეს თეორიათა შორის შეიძლება დასახელდეს: პატრიარქალური, თეოლოგიური, ხელშეკრულების, მატერიალისტური, ძალადობის თეორიები და სხვა. ერთი და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში არსებულ სახელმწიფოებს გააჩნიათ საერთო დამახასიათებელი ნიშნები, რითაც ისინი განსხვავდებიან სხვა ფორმაციებში არსებული სახელმწიფოებისაგან. ეს საერთო ნიშნებია: საერთო ეკონომიკური საფუძველი; საკუთრების ერთი გარკვეული ტიპი, რომელიც საფუძვლად უდევს ეკონომიკური ფორმაციისათვის დამახასიათებელ წარმოებით ურთიერთობებს; გარდა ამისა, თითოეულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში არსებული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია ერთი და იგივე შინაარსი, ე. ი. წარმოდგენს ერთი და იმავე კლასის ან ფენის ბატონობის უზრუნველყოფის საშუალებას, საზოგადოების ხელმძღვანელობის ორგანიზაციას.

ამრიგად, სახელმწიფო – ეს არის ერთიანი პოლიტიკური ძალაუფლების ორგანიზაცია საზოგადოებაში, რომელიც ვრცელდება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე და მის მოსახლეობაზე, აქვს რა მართვის და იძულების სპეციალური აპარატი, გამოსცემს ყველასათვის სავალდებულო ბრძანებებს და გააჩნია სუვერენიტეტი. სახელმწიფო ვერ იარსებებს ისე, უბრალოდ, თავის თავისთვის, იგი საზოგადოებისთვის არსებობს. იგი ადამიანებს აერთიანებს ერთიანი ძალაუფლების ქვეშ, ათანასწორებს და აკმაყოფილებს საზოგადოების ინტერესებს. მერკანტილიზმის წარმომადგენლები თვლიდნენ (XVI-XVIII სს.) რომ სახელმწიფო მართვა ის საშუალებაა, რომელსაც შეუძლია სოციალური სამართლიანობის დაცვა, მათ მიანდათ, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ წარმოებას, წაახადოს საქონლის ექსპორტი და შეზღუდოს იმპორტი, რათა ქვეყანაში ოქრო დაგროვდეს. ე. ი. მან „პროტექციონიზმი“ პოლიტიკა უნდა განახორციელოს. თანამედროვეთა შეფასებით, მერკანტილისთა ბევრი დასკვნა მცდარი იყო, ზოგიერთი შეხედულება კი დღესაც წარმატებით გამოიყენება, როგორცაა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა და პროტექციონიზმი.

ჯ. კეინზი წერდა – „სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვრულ ფარგლებში დაეხმაროს ეკონომიკას, ხოლო მისი შესაძლებლობა – ზიანი მიაყენოს მას, განუსაზღვრელია“. XX საუკუნის ოცდაათიანი წლების ეკონომიკური კრიზისი ისეთი დრმა და ხანგრძლივი აღმოჩნდა, მსოფლიო საგონებელში ჩააგდო. ამ რთულ და კრიტიკულ პერიოდში საბაზრო ეკონომიკას მხსნელად მოვევლინა ინგლისელი ეკონომისტი ჯონ კეინზი (1883-1946), რომელიც კატეგორიულად დაუბრუნებდა კლასიკოსთა და ნეოკლასიკოსთა შეხედულებებს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ და დაასაბუთა, რომ ახალი მოცემულობის პირობებში საბაზრო ეკონომიკას სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ეკონომიკური კრიზისიდან დამოუკიდებლად თავის დაღწევის უნარი არ ჰქონდა. ჯ. კეინზის აზრით, XX საუკუნის დასაწყისიდან მონოპოლიები მთლიანად გაბატონდნენ ეკონომიკაში, რამაც შეზღუდა თავისუფალი კონკურენცია. ამ ფაქტორმა კი ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმი იმდენად მოშალა რომ კრიზისიდან თავის დაღწევა მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური ჩარევითაა შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკის სრული კრაზი გარდუვალია. ჯ. კეინზმა დაასაბუთა, რომ კრიზისი წარმოიშობა, როდესაც საქონლის ერთობლივი მიწოდება ერთობლივ მოთხოვნას გადააჭარბებს, ანუ იწარმოება იმაზე მეტი, რისი შეძენაც მოსახლეობას შეუძლია. ამიტომ სახელმწიფომ კრიზისის პერიოდში, ერთობლივი მოთხოვნის გადიდების მიზნით უნდა გააფართოოს საკუთარი და წაახადოს კერძო სექტორის ინვესტიციები. ეს გამოიწვევს მოსახლეობის დასაქმებას, მათი შემოსავლების და ერთობლივი მოთხოვნის გაზრდას, რაც ერთობლივ მოთხოვნას და ერთობლივ მიწოდებას შესაბამისობაში მოიყვანს. ინვესტიციების სტიმულირება კი ფირმებზე შედგაითიანი გადასახადების დაწესებით და იაფი კრედიტის გაცემითაა შესაძლებელი. ჯ. კეინზის თეორიის იდეები ფართოდ იქნა გამოყენებული აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. რამაც მათ მისცა არა მარტო კრიზისის დაძლევის საშუალება, არამედ მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში წამყვანი პოზიციები დააკავეს. კეინზის თეორიით, ეკონომიკა განხილულ იქნა, როგორც ერთიანი მაკროეკონომიკური სისტემა და დამუშავდა მისი კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგია. დამუშავებულ იქნა წონასწორული ეკონომიკური ზრდის ნეოკეინზური თეორია. პოსტკეინზიანთა მიერ დასაბუთებულ იქნა, რომ ეკონომიკურ

ზრდას განსაზღვრავს არა მარტო ინვესტიციების მოცულობა და მისი მატება, არამედ მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურა და მისი განაწილება ხელფასად და მოგებად. ამრიგად ჯ. კეინზმა საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თეორიას, რომლის ძირითადი იდეები ფართოდ გამოიყენება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში. ამ თეორიის განვითარება და სრულყოფა დღემდე გრძელდება და აქტუალურია.

მონეტარიზმის ფუძემდებელი ნობელის პრემიის ლაურეატი მ. ფრიდმენი თვლიდა, რომ საბაზრო ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა ფულია და, ამდენად, მისი რეგულირება ფულის საერთო მასისა და ნაკადების მართვითაა შესაძლებელი. მონეტარიზმი, როგორც ნეოკლასიკური თეორიის თანამედროვე მიმართულება, თვლის რომ საბაზრო ეკონომიკა მდგრადი თვითრეგულირებადი სისტემაა, რომელიც განვითარების სტაბილურ ტემპებსა და ეფექტიანობის მაღალ დონეს უზრუნველყოფს, თუმცა მასში სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელი და გარდაუვალია. თუმცა ასეთი ჩარევა უნდა განხორციელდეს არა საბაზრო მექანიზმის შეცვლის გზით, არამედ რაციონალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საფუძველზე კონკურენციული გარემოს გაძლიერებით, რაც საბაზრო მექანიზმის შეუფერხებელ მუშაობას უზრუნველყოფს, ასეთი პოლიტიკა უნდა განხორციელოს ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა, რომელმაც, ამასთანავე, ფულად-საკრედიტო სისტემის სტაბილურობა უნდა დაიცავს. მონეტარიზმის საფუძველზე XX საუკუნის ოთხმოციან წლებში აშშ-სა და ინგლისში დამუშავდა ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამები, რომლის განხორციელებით ამ ქვეყნებმა მთლიანად დაძლიეს წარმოქმნილი კრიზისული მოვლენები და კვლავ შეინარჩუნეს ეკონომიკური ლიდერების პოზიციები.

ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესახებ არის ორი ძირითადი კონცეპტუალური მიდგომა: ანტისახელმწიფოებრივი, ე. ი. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მოწინააღმდეგე და პროსახელმწიფოებრივი ე. ი. სახელმწიფოს ჩარევის დამცველები. პირველი მიდგომით სახელმწიფო გამოსცემს კანონებს, ახორციელებს სამეურნეო ინტერესების კოორდინაციას და ფაქტობრივად გამოდის, როგორც გარე ძალა ეკონომიკური პროცესების მიმართ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო და ეკონომიკა თითქოს ცალ-ცალკეა; პირველი თამაშის წესებს განსაზღვრავს, მეორე თვითრეგულირებით ვითარდება.

მეორე მიდგომის თანახმად, სახელმწიფო მესაკუთრეა, უშუალოდ ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას და გამოდის ბაზრის სუბიექტის როლში. ამასთან, იგი სხვა სუბიექტების მიმართ იცავს საბაზრო ურთიერთობების ფუძემდებლურ პრინციპებს. ასეთ შემთხვევაშიც ჩარევის ხარისხი სხვადასხვა ზომით განისაზღვრება.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ობიექტური აუცილებლობაა და არა ვინმეს ნება-სურვილი, მაგრამ ისმის კითხვა: რა ზომით, და რა ფარგლებში უნდა ჩაერიოს სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკაში? ამ მხრივ თანაბრად საზიანოა ორი უკიდურესობა 1. ეკონომიკაში ჩარევის ზომის გადამეტება, „ცხვირის ჩაყოფა“ ისეთ სფეროებში, რომლებსაც წარმატებით არეგულირებს თვითონ საბაზრო მექანიზმი. 2. მხოლოდ საბაზრო მექანიზმის იმეზე ყოფნა იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის პირობებში, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა უშუალოდ უსაზღვრო. მთავრობა ერევა ყველაფერში. აქ მოქმედებს პრინციპი: „აკრძალულია ყველაფერი, რაც კანონით ნებადართული არაა“. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეურნეო საქმიანობაში მთავრობის ჩარევის მასშტაბები შეიძლება განისაზღვროს როგორც „მინიმალურად აუცილებელი“, ამ შემთხვევაში ამოსავალი პრინციპია: „ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით აკრძალული არაა“. გერმანელი ეკონომისტი ლ. ერჰარდი ერთმანეთს უდარებდა სახელმწიფოს როლს და ფეხბურთის მსაჯის როლს: „ისევე როგორც მსაჯს ევალება თამაშის წესების დაცვა და უფლება არა აქვს თვითონ ჩაერიოს თამაშში, ასევე სახელმწიფო უნდა იცავდეს სამეურნეო თამაშის წესებს, ე. ი. დადგინდ კანონებს და თვითონ არ უნდა ერეოდეს საქმიანობაში.

თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს დემოკრატიულ სახელმწიფოებს დიდი ფუნქციები აკისრიათ. აქედან გამოიყოფა სახელმწიფოს სამი გლობალური ეკონომიკური ფუნქცია, ესენია: 1. ეფექტიანობა, 2. სამართლიანობა, 3. სტაბილურობა.

განვიხილოთ თითოეული:

1. საბაზრო კონიუნქტურის განსაზღვრისას დაშვებული შეცდომების გამო, თანამედროვე ეკონომიკაში ხშირად ადგილი აქვს წარმოების დაბალეფექტიანობას. ამ მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის საჭიროა იმოქმედოს სახელმწიფომ და შექმნას ოპტიმალური პირობები წარმოების მაღალეფექტიანი განვითარებისათვის. მხედველობაში გვაქვს ანტიმონოპოლიურ ღონისძიებათა განხორციელება, ინფრასტრუქტურის რაციონალური ფუნქციონირება, კონკურენციის აქტივიზაცია, რუსურსების განაწილების კორექტირება, საბაზრო მექანიზმის სრულყოფა და ა. შ. ეკონომიკის ასეთი იდეალური ფუნქციონირება მხოლოდ სრულყოფილი კონკურენციის პირობებშია შესაძლებელი, რეალურ ეკონომიკაში კი ასეთი პირობები პრაქტიკულად მიუღწეველია, რადგან უამრავი ისეთი ფაქტორი არსებობს, რომლებიც სრულყოფილი კონკურენციის ჩამოყალიბებას აფერხებენ. სახელმწიფოს ეფექტიანობის ფუნქციის ქვაკუთხედად თავისუფალი კონკურენციის დაცვა მიიჩნევა.

2. სამართლიანობის ფუნქციის განხორციელების აუცილებლობა გამოწვეულია საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი, შემოსავლების უადრესად არათანაბარი განაწილებით. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე, სამართლიანია შემოსავლების არათანაბარი განაწილება კონკურენციულ ბრძოლაში მონაწილეობის შედეგების მიხედვით. მაგრამ ის, რაც სამართლიანია საბაზრო ეკონომიკის წესებით, უსამართლოა ზნეობრივი თვალსაზრისით. ამიტომ სახელმწიფო თავის თავზე იღებს მოსახლეობის შეძლებული ფუნქციებიდან ღირს და სოციალურად დაუცველ ფენებზე, შემოსავლების გადანაწილების ფუნქციას, ესენი არიან პენსიონერები, ინვალიდები, უმუშევრები და სხვა. საბაზრო ეკონომიკა არ გულისხმობს მოქმედების, საქმიანობის შეუზღუდავ თავისუფლებას. არავის არ აქვს უფლება, საქმეს ხელი მოჰკიდოს ოფიციალური ნებართვის, რეგისტრაციის გარეშე. ნებისმიერი საქმიანობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მიღებულია ლიცენზია სათანადო ორგანოებიდან. სახელმწიფო სათანადო კანონების საფუძველზე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აიძულებს, გადაიხადონ გადასახადი. სახელმწიფო განსაზღვრავს დამქირავებლისა და დაქირავებულის უფლება-მოვალეობებს.

3. ეფექტიანობასა და სამართლიანობასთან ერთად, სახელმწიფოს სხვა ეკონომიკური ფუნქციაც აკისრია, როგორცაა სტაბილურობა, მან უნდა დაიცვას ეკონომიკური სტაბილურობა, სტაბილურობაში იგულისხმება სახელმწიფოს მხრივ სისტემატური ზრუნვა ქვეყანაში მყარი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისა და ვალუტის მტკიცე კურსის შესანარჩუნებლად, რისთვისაც აუცილებელია ანტიინფლაციური პოლიტიკის განხორციელება. სტაბილურობის ფუნქციის განხორციელების აუცილებლობა საბაზრო ეკონომიკის ციკლური განვითარებითაა გამოწვეული, რაც ბაზრის თანამდგომი გარდაუვალი და კანონზომიერი მოვლენაა, როდესაც ეკონომიკური აღმავლობისა და დაცემის პროცესები ერთმანეთს ენაცვლებიან.

სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა კონკურენციის დაცვა. კონკურენცია „უხილავი ხელი“, რომელიც არეგულირებს საბაზრო ეკონომიკას, არ არის დაცული მონოპოლიისგან, დრამა იმაშია, რომ კონკურენცია თვითონ წარმოშობს თავის ანტიპოდს – მონოპოლიას, „პირმშოს“, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს „მშრომელი“ თუ სახელმწიფო არ დაეხმარა. მონოპოლისტი თვითონ კარნახობს ფასს, რაც საშუალებას აძლევს მაღალი მოგება მიიღოს არა ტექნოლოგიის სრულყოფით, არამედ იოლი გზით – ფასის მომატებით. კონკურენციის დაცვის მეთოდია ანტიმონოპოლიური ღონისძიებები და კანონმდებლობა. ისეთი კანონები, რომლებიც ან საერთოდ კრძალავენ მონოპოლიების არსებობას (ზოგიერთ დარგში), ან ზღუდავენ მონოპოლიების ისეთ საქმიანობას, რომელიც ზიანს აყენებს კონკურენციას და პროგრესს. საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სტრატეგიის ძირითადი პრინციპებია:

ა. სახელმწიფოს მიერ ისეთი ფინანსური საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც ყოველმხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ სტაბილურობას.

ბ. კერძო ბიზნესის მიმართ ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც კი არ შეავიწროვებს და გამოდევნის, არამედ ხელს შეუწყობს მის ფუნქციონირებას.

გ. სახელმწიფოს მიერ, სხვა თანაბარ პირობებში, გარკვეული უპირატესობების მინიჭება და სუბსიდიების გამოყოფა იმ დარგების განვითარებისათვის, რომლებსაც არ „სწყალობს“ კერძო ბიზნესი მათი „პროდუქციის“ მოხმარების სპეციფიკურობისა და დაბალმომგებიანობის გამო.

დ. არაორდინალურ პირობებში, როგორცაა: ომები, ეპიდემიები, სტიქიური უბედურებები, ეკოლოგიური კატასტროფები და ა. შ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირების საგანგებო ღონისძიებათა შემუშავება და რეალიზაცია.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მრავალრიცხოვან ობიექტებს შორის გამოყოფენ მთავარ ობიექტებს: ეკონომიკური ციკლი, კაპიტალის დაგროვება, ფულის მიმოქცევა, სამეურნეო კონსტრუქტურა, დასაქმება, კონკურენციის პირობები, ფასები, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, კადრების მომზადება, საგადასახადელო ბალანსი და ეროვნული კონკურენტუნარიანობა, გარემოს დაცვა და ა. შ.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში – ესაა ერთობლიობა საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და საკონტროლო ხასიათის ღონისძიებებისა, რომლებიც ხორციელდება უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ არსებული სოციალ-ეკონომიკური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფისა და ცვალებად პირობებთან მისი ადაპტირების მიზნით. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ინსტრუმენტები იყოფა ორ ჯგუფად. 1. ადმინისტრაციული ინსტრუმენტები და 2. ეკონომიკური ინსტრუმენტები. ეკონომიკის რეგულირების ადმინისტრაციული ინსტრუმენტები ემყარება სახელმწიფო ხელისუფლების ძალას და მოიცავს ნებართვას, აკრძალვასა და იძულების ზომებს. სახელმწიფოებრივი რეგულირების ეკონომიკური ინსტრუმენტებია: სახელმწიფო ბიუჯეტი, გადასახადები, ფასები, ფულისა და ფასიანი ქაღალდების ემისია, სარეგისტრაციო გამოკვეთის შეცვლა. სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებში იგულისხმება ის დანიშნულება, რასაც იგი ერთიან მაკროეკონომიკურ სისტემაში მისი ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით ასრულებს.

ეკონომიკის კერძო და სახელმწიფო სექტორთა შორის ძირეული განსხვავებაა, რაც ვლინდება იმით, რომ კერძო მეწარმეობა ნებაყოფლობითია, ხოლო სახელმწიფო მეწარმეობა სავალდებულო. კერძო სექტორის ხარჯების დონე შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს იმისათვის, რომ უზრუნველყოს რესურსების სრული გამოყენება. ამ შემთხვევაში სახელმწიფო გაიღებს ხარჯებს, რაც დაემატება კერძო სექტორის ხარჯებს, რათა კერძო და სახელმწიფო ხარჯების საერთო ჯამი საკმარისი აღმოჩნდეს რესურსების სრული გამოყენებისათვის. ამას სახელმწიფო აკეთებს ორი გზით, აღიღებს ბიუჯეტის ასიგნებებს საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებაზე და ამცირებს გადასახადებს კერძო სექტორზე, რათა ამ უკანასკნელმა გააიღოს საინვესტიციო ხარჯები. ეს ღონისძიებები უმუშევრობის შემცირებისაკენაა მიმართული. განსხვავებული სიტუაციაა, როცა საზოგადოება ხარჯავს იმაზე მეტს, ვიდრე ამის საშუალებას იძლევა ეკონომიკა. ეს იწვევს ფასების ზრდას და ინფლაციას. სახელმწიფო უნდა შეეცადოს, რომ ბოლო მოუღოს გადამეტებულ ხარჯებს. ამ მიზნით მან უნდა შეამციროს ბიუჯეტის ხარჯები და გააიღოს გადასახადები, რათა კერძო სექტორმაც შეკვეცოს თავისი საინვესტიციო ხარჯები.

ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი, ამა თუ იმ ზომით, საბაზრო ეკონომიკის ყველა ქვეყანაში არსებობს და იგი მთელი საზოგადოებრივი წარმოების ნორმალური ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესია გარანტია. სახელმწიფო საკუთრების ობიექტებს განეკუთვნება, უწინარეს ყოვლისა, ისეთი საწარმოები, რომლებიც კერძო ბიზნესისათვის ნაკლებად მიზიდველია ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, მაგრამ ქვეყნის საერთო ინტერესებს შეესაბამება. ასევე ძირითადად სახელმწიფოს ხელშია ეკონომიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის დარგთა საწარმოები, როგორცაა ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, საჰაერო, რკინიგზისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტი, სამხედრო მრეწველობა, აგრეთვე, მათი სპეციფიკურობის გამო, როგორც წესი, სახელმწიფოს ეკუთვნის ქუჩის განათება, გზების მშენებლობა, ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური სამსახური და სხვ.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებას გარდამავალ პერიოდში აკისრია არამარტო ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფუნქცია, არამედ სისტემაშექმნილი ფაქტორის როლიც. უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის პროცესი უშუალოდ ზემოქმედებს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. თანამე-

დროვე მსოფლიო ეკონომიკაში, ეროვნული ეკონომიკის განვითარების დროს ამაღლება წარმოდგენილია გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გარეშე, რაც მოიცავს როგორც შესაძლებლობებს და პერსპექტივებს, ასევე გარკვეულ საფრთხეებს. გლობალიზაცია წარმოადგენს ყველა ქვეყნის და რეგიონის განვითარების იმანანტურ პროცესს. გლობალიზაციამ მნიშვნელოვნად განაპირობა საბაზრო მექანიზმზე დამყარებული ეკონომიკური და მეტ-ნაკლებად დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. გლობალიზაციის პირობებში ახალი ტექნოლოგიები ვრცელდება ისევე სწრაფად, როგორც კაპიტალი, გლობალიზაციის პირობებში კონკურენციის გაძლიერება და ერთობლივი ძალებით უმსხვილესი სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების განხორციელება კიდევ უფრო აჩქარებს ტექნოლოგიის სრულყოფას და ინოვაციების გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით, რაც, უპირველეს ყოვლისა, სასარგებლოა მომხმარებლისათვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციამ შეასუსტა რა სახელმწიფო რეგულირების სფერო, ამასთანავე, არ ჩამოყალიბებულა მისი შემცველი საერთაშორისო რეგულირების ქმედითი ორგანოები, აგრეთვე გლობალიზაციის დროს ადგილი აქვს მოსახლეობის მიგრაციის ზრდას განვითარებულ ქვეყნებში, განვითარებადი ქვეყნების საზიანოდ. საქართველო, ისევე, როგორც სხვა ქვეყნები, გლობალიზაციის წრედშია მოქცეული და მან როგორც სახელმწიფოებრივ, ისე ბიზნეს-სუბიექტების დონეზე, მის მოთხოვნებს უნდა უპასუხოს. გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის აღორძინება ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების მთავარი ატრიბუტია, საქართველომ „ღია ეკონომიკის“ პირობებში უნდა მოქმედოს ის „ოქროს შუალედი“, რომელიც მას არც გლობალიზაციის ფერხულიდან ამოაგდებს და თავის ეროვნულ თვითმყოფალობას შეუნარჩუნებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ზუსტი საერთო რეცეპტები, რომელიც ყველა ქვეყნისათვის მისაღები იქნება, არ არსებობს. ამიტომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კონკრეტული მექანიზმი, მათ შორის საქართველოსთვისაც, ამ ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს და გატარდეს. კ. ვიქსელი ამბობდა: „ეკონომიკური მეცნიერება საინტერესოა იმიტომ, რომ მისი რომელიმე კონცეფციის წარმოშობა უმალ გამოიწვევს საპირისპირო თვალსაზრისის გაჩენას“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეთრაული ც. გლობალიზაციის გავლენა ინფლაციურ პროცესებზე. პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ტ. 2. ი. ჯავახიშვილის სახელობის თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2012.
2. აბესაძე რ. გლობალიზაცია და მისი ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენის ზოგიერთი ასპექტი. პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ტ. 1. ი. ჯავახიშვილის სახელობის თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2012.
3. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკის, თბილისი. 2011.
4. ივანოვი ა. ა. დარბაიძე ნ. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბილისი. 2009.
5. ვანიშვილი მ. მექანიზმი ი. ეკონომიკის საფუძვლები. თბილისი. 2007.
6. ფიშერი ს. დორნბუში რ. შმალენზი რ. ეკონომიკა, ტ. IV. თბილისი. 1998.

Tsitsino Tetrauli

THE MECHANISM OF STATE REGULATION OF THE ECONOMY

Annotation

The paper deals with the state's economic functions, its meaning and essence, analyzed the mechanisms of state regulation of the economy, the ways and methods of implementation.

ნაზირა კაკულია

თანამედროვე ეკონომიკური სისტემების მდგრადობის პრობლემატიკა – ეკონომიკის ციკლურობა

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი მისი ციკლურობაა, ანუ ეკონომიკური აქტიურობის პერიოდული რყევები, რომელიც გამოიხატება წარმოების დაცემისა და აღმავლობის მეტ-ნაკლებად პერიოდული გამეორებით.

ეკონომიკური ციკლურობა განეკუთვნება ყველაზე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პრობლემების რიცხვს, ის პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებს საბაზრო ეკონომიკის ყველა სუბიექტზე: საოჯახო მეურნეობებზე, ბიზნესსა და სახელმწიფოზე. ეს პრობლემა, თავისი სირთულით და მრავალმხრივი ასპექტებით, მიუხედავად საუკუნუნახევარზე მეტი შესწავლისა, მაინც დისკუსიის საგანად რჩება.

ტერმინი – „ციკლი“ გამოიყენება ბიოლოგიაში და სხვა მეცნიერებებში მოვლენების ისეთი თანმიმდევრობების აღსანიშნავად, რაც მუდმივად მეორდება, მაგრამ არა აუცილებლად ერთნაირი ხარისხით ან დროის ერთნაირი ხანგრძლივობით.

ეკონომიკური ციკლურობა – ეს საბაზრო ეკონომიკის განვითარების ობიექტური ფორმაა. ის წარმოადგენს ეკონომიკური კონიუნქტურის (საქმიანი აქტიურობების) ტალღოვან მოძრაობას დაცემისა და აღმავლობის რეგულარული მონაცვლეობით (კრიზისიდან კრიზისამდე). სწორედ ციკლურობაა მაკროეკონომიკური წონასწორობის რღვევის ერთ-ერთი მთავარი ფორმა.

თუ ბაზრის მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ნიშნად ციკლურობას ჩავთვლით, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ციკლურობა, რომელიც პერიოდულად განმეორებადი პროცესია, არა მარტო ეკონომიკის წონასწორულ მდგომარეობას არღვევს, არამედ შემდგომ მის ბუნებრივ აღდგენასაც უწყობს ხელს. ეკონომი-

კური შეფერხებების (კრიზისების) გარეშე საბაზრო ეკონომიკა ვერ განვითარდება. ნებისმიერი განვითარებადი სისტემისთვის (ლაპარაკია ბუნებაზე, საზოგადოებაზე, ადამიანის ორგანიზმსა თუ ეკონომიკაზე) ობიექტურად დამახასიათებელია განსაზღვრული ციკლურობა.

ყველაზე თანამიმდევრულად ციკლების პრობლემა წარმოდგენილია ელვინ ჰანსენის წიგნში – „ეკონომიკური ციკლები და ეროვნული შემოსავალი“ (1951)⁸⁴. ჰანსენი ეკონომიკურ ციკლს განსაზღვრავს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი მაკროსიდიდების რყევებს, კერძოდ, დასაქმების, წარმოების მოცულობისა და ფასების დონის ცვლილებას. აგრეთვე, ჰანსენის თვალსაზრისიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, „რომ მრეწველობისა და საერთოდ საქმიანი აქტიურობის მოძრაობა მიმდინარეობს ციკლების ფორმით, რომლის არსია ცვლილებების განმეორებითი (თუმცა, არა მკაცრად განსაზღვრული ერთნაირი პერიოდებით) თანამიმდევრობა“⁸⁵. იმავედროულად, ჰანსენმა ხაზი გაუსვა რყევების მოწესრიგებულობას, კვლავწარმოების მუდმივობას და ეკონომიკური ციკლების ფაზების ცვლილებებს.

საბაზრო ეკონომიკის ციკლური განვითარების საწყის წერტილად, ზოგიერთი პირობის გათვალისწინებით, მიიჩნევენ 1825 წელს, როდესაც ინგლისში წარმოების პირველმა კრიზისმა იფეთქა. მან საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური კონიუნქტურის პერიოდულ რყევებს, რაც საკმაოდ რეგულარულად მეორდებოდა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, საშუალოდ 8–10 წლიანი ინტერვალით. ნელ-ნელა ციკლურობაში ჩაერთვნენ სხვა კაპიტალისტური ქვეყნებიც. მე-19 საუკუნეში ყველაზე დრმა და გრძელვადიან მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს ჰქონდა ადგილი 1873–1878 წლებში, ხოლო XX საუკუნეში – 1929–1933 წლების მსოფლიო კრიზისს – „დიდ დეპრესიას“. ამის შემდეგ, ეკონომიკური ციკლები განსაკუთრებული შესწავლის ობიექტია.

ბუნებრივია, საინტერესოა რა უდევს საფუძვლად ეკონომიკურ ციკლურობას, რა მიზეზები იწვევს საბაზრო ეკონომიკის ტალღოვან განვითარებას. ციკლურობა, თავის მხრივ, მრავალფაქტორიანი პროცესია და მისი მიზეზების გამოკვლევა აუცილებლად იწვევს თეორიული კონცეფციების სიმრავლეს. არსებობს 200-ზე მეტი განსხვავებული ფაქტორი, რომლებიც იწვევს კრიზისებს. ჩვენ გამოვკვითავთ ყველაზე მნიშვნელოვან თეორიულ პოზიციებს, რომლებზეც დაფუძნებულია ციკლური განვითარებისა და კრიზისების მიზეზების შესწავლა. განვიხილოთ სამი მთავარი მიმართულება: 1. ციკლურობა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, 2. ციკლურობა და ფულად-საკრედიტო ფაქტორები და 3. ბაზრის ციკლურობა და ბაზოლარული სტრუქტურა.

პირველი მიმართულება ეკონომიკურ ციკლურობას აკავშირებს მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესთან, მეცნიერულ ტექნოლოგიური რევოლუციის ეტაპებთან. ამ მიმართულებაში მეტ-ნაკლებად ვლინდება წარმოების ძირითადი ფაქტორების ევოლუცია, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგია.

სხვადასხვა ციკლების ცვლილებების რეგულარულობა გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით და ისინი განაპირობებს ციკლის სხვადასხვა ხანგრძლივობას. ხანგრძლივობის მიხედვით ციკლები შეიძლება იყოს:

- მოკლე ციკლები, რომელთა ხანგრძლივობა მოიცავს 3-დან 5 წლამდე პერიოდებს, საშუალოდ, დაახლოებით 50 თვეს;
- საშუალოვადიანი ციკლები, რომლებიც გრძელდება 7-დან 10–12 წლამდე;
- ორი სახეობის გრძელი ტალღები: გრძელი ციკლები, რომელთა ხანგრძლივობა 25–30 წელს აღწევს; კვლავწარმოების გრძელი ტალღები, რომელთა ხანგრძლივობა 47–60 წელია.

მოკლე ციკლებს სხვანაირად კიტიჩის ციკლებს⁸⁶ უწოდებენ. ისინი წარმოიქმნება საბრუნავი საშუალებების ცვლილებების შედეგად. საბაზრო კონიუნქტურის შედეგად წარმოიქმნება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსი. მეწარმეები ეკონომიკური ზრდის მოლოდინში ქმნიან მარაგებს უმეტესწილად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიწოდებაზე იმაზე მეტად, ვიდრე მათ ეს ფაქტობრივად სჭირდებათ. ამიტომ, გარკვეულ ეტაპზე წარმოიქმნება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნამეტი, დისბალანსი. როდესაც ეკონომიკური ზრდის მიმართ სასურველი იმედები ქრება, საწარმოები დაგროვებული მარაგებისგან გათავისუფლების პრობლემების წინაშე დგებიან, რაც იწვევს ქვეყანაში ფასების ვარდნას და მცირეოდენ ეკონომიკურ დაცემას. ამგვარად, ეკონომიკა მოკლე ციკლის რეჟიმით ფუნქციონირების განმავლობაში ფუნქციონირებს. ამასთან, მოკლე ციკლის პრობლემა ფაქტობრივად უკავშირდება მეწარმეთა არასწორ მოლოდინებს.

არსებითი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, მომხმარებელთა ფსიქოლოგიას. რაც შეეხება საშუალოვადიან ციკლებს, მათ დასავლეთში უწოდებენ ჟუგლარის ციკლებს⁸⁷. აღნიშნული ციკლები განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

- ძირითადი კაპიტალის აქტიურ ელემენტებში – შრომის საშუალებებსა და იარაღებში კაპიტალდაბანდების შემცირებით;
- ერთი დარგიდან მეორეში კაპიტალის გადაინებით, დარგთაშორისი კონკურენციის გავლენით;
- ფულად-საკრედიტო ფაქტორების ცვლილებებით.

აღნიშნული მიმდინარეობის ფარგლებში ინტერესს იწვევს თეორია – „ეკონომიკური აქტიურობის გრძელი ტალღები“, რომელიც შემუშავებულია რუსი ეკონომისტის კონდრატევის მიერ. ეს თეორია ეფუძნება ისეთ შრომებს, როგორცაა „მსოფლიო მეურნეობა და მისი კონიუნქტურა ომის პერიოდსა და მის შემდეგ“ (1922)⁸⁸. „მსოფლიო მეურნეობისა და კრიზისის სადავო კითხვები“ (1923) და „კონიუნქტურის დიდი ციკლები“ (1925).

ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ის ეკონომიკური განვითარების შესწავლით, კონდრატევიმ შეძლო მსოფლიო ეკონომიკის განვითარება სამ დიდ ციკლად დაეყო: პირველი – 1787 წლიდან 1814 წლამდე (აღმავ-

⁸⁴ Alvin Hansen, Fiscal Policy and Business Cycles., 1941.

⁸⁵ Alvin Hansen on Economic Progress and Declining Population Growth., in Population and Development Review, Vol. 30, 2004.

⁸⁶ Kitchin, Joseph (1923). «Cycles and Trends in Economic Factors». Review of Economics and Statistics 5 (1): 10–16.

⁸⁷ Kuznets Swings, Juglar and Kitchin Cycles in Global Economic Development, and the 2008—2009 Economic Crisis Structure and Dynamics. 2010. Vol.4. #1. P.3-57.

⁸⁸ Коротаев А. В., Цирель С. В. Кондратьевские волны в мировой экономической динамике., Системный мониторинг. Глобальное и региональное развитие., М.: 2009. С. 189-229.

ლი ტალღა) და 1814 წლიდან 1851 წლამდე (დადამავალი ტალღა); მეორე – 1844 წლიდან 1875 წლამდე (აღმავლობა) და 1870 წლიდან 1896 წლამდე (დაცემა); მესამე – 1896 წლიდან 1920 წლამდე (ახალი აღმავალი ტალღა).

„კონდრატევის ციკლების“ საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 50–60 წელს, ხოლო მათ საფუძველად აგებონა განიხილა სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის წვეტილი ხასიათი, ტექნიკასა და წარმოების ტექნოლოგიაში პერიოდული რევოლუციები. „გრძელი ტალღების“ აღმოცენება დაკავშირებულია იმასთან, რომ დიდი გამოგონებები (მაგალითად, შიგაწვის ძრავების გამოგონება) ეკონომიკურ აქტიურობას ბიძგს აძლევს რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, სანამ მისი გავლენა თანდათან არ გაქრება. თუმცა, კონდრატევის ეკონომიკური შეხედულებები, რომლითაც ცდილობს ობიექტური ანალიზი გაუკეთოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების რეალურ დინამიკას, არ შეესაბამებოდა კომუნისტურ იდეოლოგიას.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს შემპეტერმა წარმოადგინა ციკლების მთლიანი თეორია, რომელიც სხვადასხვა ხანგრძლივობის ციკლებს მოიცავდა, რაც ასევე განაპირობებდა მაკროეკონომიკური რყევების განსაზღვრულ ამპლიტუდას. ეს თეორიაც ასევე ეყრდნობოდა ეკონომიკური პროგრესის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ფაქტორებს. თავის ცნობილ წიგნში – „საქმიანი ციკლები. კაპიტალისტური პროცესის თეორიული, ისტორიული და სტატისტიკური ანალიზი“⁸⁹ (1939), შემპეტერმა წარმოადგინა ეკონომიკური დინამიკის ე.წ. „სამცვიკლიანი სქემის“ კონცეფცია, რომლის ფარგლებშიც კონდრატევის 50-წლიანი ციკლები, ჟუგლარის ათწლიანი ციკლები და კიტჩინის ორწლიანი ციკლები იყო გაერთიანებული. მათი ურთიერთკავშირის აღწერისას მან გააკეთა დასკვნა, რომ ხანგრძლივი ციკლები აუცილებლად მოიცავს მოკლევადიანი განვითარების პერიოდებს, რომლის შედეგადაც „თითოეული ხანგრძლივი ტალღის მასშტაბი უფრო აახლოებს ტალღებთან, რომლებიც შემდგომ წონასწორობას იწვევს“⁹⁰. ციკლურობის მთავარი მამოძრავებელი ძალაა მეწარმეების ინოვაციური საქმიანობა, მასობრივი ინვესტიციები ძირითად კაპიტალში. ეს გამოიხატება ახალი ტექნოლოგიების დანერგვით და წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმებით. შედეგად – ახალი პორდუქციის წარმოღვევნით და ახალი ბაზრების გახსნით. ინოვაციების მასობრივი დანერგვა იწვევს წარმოების ზრდას, ხოლო შემდგომ დაცემას, დეპრესიას, როგორც ერთგვარი ადაპტაცია შეცვლილი ეკონომიკური პირობებისადმი, რომელიც ეკონომიკური ბუმიტაა განპირობებული.

ბაზრის ციკლურობის მიზეზების ამხსნელი მეორე მიმართულება იყენებს ციკლების ფულად-საკრედიტო თეორიას. აქ შეიძლება მოვიყვანოთ ამერიკელი ეკონომისტის ირვინ ფიშერის კონცეფცია⁹¹, რომელიც განიხილავდა კრიზისს, როგორც ფულზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევის შედეგს, ხოლო საბაზრო ეკონომიკის რყევებზე ზემოქმედებისთვის მთავარ მექანიზმად ფულადი ურთიერთობების თვითრეგულირებას მიიხსენებდა. ფულად-საკრედიტო ფაქტორები იყო ჰაიეკის მიერ შემუშავებული ციკლების მონეტარული პოლიტიკის ყურადღების ცენტრშიც. მის თეორიაში ეკონომიკური დაცემის ამხსნელ მიზეზად გვევლინება ფულად-საკრედიტო ექსპანსია, რომელიც საბანკო სისტემის მიერ ხორციელდება და შესაბამისად გულისხმობს უარის თქმას კრედიტების შემდგომ გაფართოებაზე. ჰაიეკის აზრით⁹², ნებისმიერ დამატებით ფულადი ინექცია საინვესტიციო პროექტებში მხოლოდ ანგარიშსწორების გადაადგებას მოახდენს.

XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან ფართოდ გავრცელდა ამერიკელი ეკონომისტის მილტონ ფრიდმენის ციკლების ფულადი კონცეფცია. ამ კონცეფციის შესაბამისად, ციკლის დინამიკაში მთავარ როლს თამაშობს ფულის მიწოდების არასტაბილურობა, რაშიც მთავარი დამნაშავე თვითონ სახელმწიფოა. სახელმწიფოს ანტიციკლური პოლიტიკის ნაცვლად, რომელიც ფულის მიწოდებაში მკვეთრ ცვლილებას იწვევს, შემოთავაზებულია მისი მკაცრი რეგულირება დასაშვები 3-4%-იანი ზრდით წელიწადში. XX საუკუნის ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ფულადი შოკების ანალიზი. მსგავსი ანალიზის ერთ-ერთი დამახასიათებელი მაგალითია ეკონომიკის თანამედროვე ციკლურობის ახსნა ე.წ. „მოულოდნელი ფულადი შოკებით“⁹³, რომელიც წარმოადგინა 1995წ. ნობელის პრემიის ლაურეატმა ამერიკელმა ეკონომისტმა ლუკასმა. მის თეორიაში, საკმაოდ გონივრულად, წინ წამოწეულია ეკონომიკური სუბიექტების აქტიური ქცევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვაგვარი შოკური სიტუაცია, კრიზისები, რაც ეწინააღმდეგება რაციონალურ მოლოდინებს, რომელიც მთავრობას ეკონომიკაზე გავლენის შედეგად გააჩნია.

საჭიროა ასევე აღვნიშნოთ, რომ ზუსტად შოკური ფაქტორები (შემთხვევითები ან მოულოდნელები, შინაგანი ან გარეგანი), რაც წარმოიქმნება ფულად-საკრედიტო სფეროში, წარსულში და დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური ციკლების ისეთ ბუნებრივ დანამტზე, როგორიც ფინანსური არეულობაა.

ისტორიიდან ჩანს, რომ მუდმივი კრიზისები არ არსებობს, რომ საბაზრო ეკონომიკაში ჩამოყალიბებულია ასევე კრიზისიდან გამოსვლის საშუალებებიც. ბაზრის ციკლურობა და ბიპოლარული სტრუქტურა.

დაბოლოს, მესამე მიმართულებად, რომელიც ხსნის ციკლური რყევების ფაქტობრივ საფუძველს, შეგვიძლია ჩავთვალოთ განსხვავებული თეორიები, რომლებიც ბაზრის ბიპოლარული სტრუქტურის ცვლილებას სწავლობენ, ანუ მაკროეკონომიკურ დონეზე მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულებას. ამ თეორიებში მსჯელობაა ერთი მხრივ, ერთობლივი მოთხოვნის, ხოლო მეორე მხრივ – ერთობლივი მიწოდების დინამიკის შესწავლაზე.

⁸⁹ Schumpeter Joseph A. A Theory of Social and Economic Evolution., 1942.

⁹⁰ Schumpeter, J.A. The theory of economic development: an inquiry into profits, capital, credit, interest, and the business cycle translated from the German by Redvers Opie (1961) New York: OUP.

⁹¹ Dimand, Robert W. Irving Fisher's Debt-Deflation Theory of Great Depressions," Review of Social Economy". 1994.

⁹² Steele G. Keynes and Hayek: The Money Economy. London and New York: Routledge, 2001. 240 pp.

⁹³ Robert E. Lucas, Jr. Expectations and the Neutrality of Money. Journal of Economic Theory 4: 1972.

აქ დიდი ყურადღება ეთმობა იმ ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან გავლენას ახდენს როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მოცულობის რყევების სტრუქტურასა და სისშირეზე.

ამ თეორიების ფარგლებში, ყურადღებას იმსახურებს ეკონომიკური ციკლების კეინზიანური თეორია. კეინზი, ხოლო შემდგომ მისი მიმდევრები, ასევე როი ჰაროდი და ჯონ ჰიქსი, პოლ სამუელსონი და ელვინ ჰანსენი, ციკლს იკვლევდნენ ეროვნული შემოსავლის, მოხმარების, დაზოგვისა და ინვესტიციების დინამიკის ურთიერთდამოკიდებულების პოზიციიდან. კეინზის ციკლის კონცეფციით, ციკლურობა, პირველ რიგში, განპირობებულია ერთობლივი მოთხოვნის რყევებით, რომელიც მოიცავს საოჯახო მეურნეობების პირად მოხმარებას, ერთობლივ კერძო ინვესტიციებს და სახელმწიფო მოხმარებას. მოხმარებას, დაზოგვას, ინვესტიციებსა და ეროვნული შემოსავლის დონეს შორის ვლინდება მდგრადი კავშირი, რომელიც განისაზღვრება ორმაგი კოეფიციენტებით: მულტიპლიკატორით (ეროვნული შემოსავლისა და ინვესტიციების ზრდასთან დამოკიდებულება) და აქსელერატორით (ინვესტიციების ეროვნული შემოსავლის ზრდასთან დამოკიდებულება).

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელია საკმაოდ აქტიური სახელმწიფო ჩარევა. ამიტომაც, ციკლების ახალი თეორიები ცდილობენ, ეკონომიკური რყევები ახსნან სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგებით, რაც მოიცავს მათ მიერ დაშვებული შეცდომების შეფასებას.

საერთო შედეგი, რომელიც ციკლებისა და კრიზისების შესახებ თეორიებიდან გამომდინარეობს, შემდეგია: მაკროეკონომიკური წონასწორობის დარღვევისა და შემდგომი აღდგენის თვალსაზრისით, ნებისმიერი კონკრეტული ციკლი და თითოეული კონკრეტული კრიზისი საჭიროებს დიფერენცირებულ ანალიზს, რომელიც მოიცავს შინაგან და გარეგან ფაქტორებს.

ყველა ზემოხსენებული მოდელი აქტუალური იყო XX საუკუნის 70-იან წლებამდე. თანამედროვე ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი სრულიად განსხვავებული შინაარსის მატარებელია. იგი, ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, სისტემური კრიზისია და, ჩვენი აზრით, ამ კრიზისის დაძლევის გზები ეკონომიკური განვითარების ნეოკეინზიანურ მოდელში უნდა ვეძებოთ, რომელიც მომხმარებელთა სტიმულირებას ეყრდნობა და სიღარიბის დაძლევის საუკეთესო თეორიაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ თეორიამ ფაქტობრივად შექმნა კეთილდღეობის ძლიერი სტიმულები, ხოლო მომავალში, ვფიქრობთ, შექმნის ობიექტურ წანამდგრადებს იმისთვის, რომ მსოფლიო გადავიდეს ახალ საზოგადოებრივ წყობაზე, რომლისთვისაც კაპიტალის დაგროვების სტიმულირება არ იქნება განვითარების აუცილებელი და განმსაზღვრელი პირობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკური ზრდის თეორიები, ლექციების კურსი (რიდერი), ნ. ხაღური, ნ. კაკულია, მ. ჩიქობავა. თსუ – 2013.
2. Alvin Hansen, Fiscal Policy and Business Cycles., 1941.
3. Alvin Hansen on Economic Progress and Declining Population Growth., in Population and Development Review, Vol. 30, 2004.
4. Steele G. Keynes and Hayek: The Money Economy. — London and New York: Routledge, 2001. — 240 pp.
5. Robert E. Lucas, Jr. Expectations and the Neutrality of Money. Journal of Economic Theory 4: 1972.

Nazira Kakulia

THE PROBLEM OF STABILITY OF MODERN ECONOMIC SYSTEMS – CYCLISITY OF ECONOMY

Annotation

The article discusses one of the main signs of the market economy – fluctuation, which means periodic fluctuations of economic activity. The article gives analysis of fluctuation reasons, the theoretical concepts that cause the crisis. It identifies the most important theoretical positions, on which the cyclical development and study of the causes of the crisis is based, in this respect the three key directions are given: the fluctuation and the scientific-technological progress, fluctuation and the money-credit factors and the market fluctuation and the bipolar structure.

ნათია კახნიაშვილი

ეკონომიკური ზრდა, სიღარიბე და შემოსავლის განაწილება

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის დაჩქარების გზების ძიებას. ეს პრობლემა აღელვებდა ამ პერიოდში არსებული ყველა ეკონომიკური სისტემის (საბაზრო ეკონომიკა, გეგმიანი კომანდური ეკონომიკა, განუვითარებელი ქვეყნების ეკონომიკა) მკვლევრებსა და პოლიტიკოსებს. "ზრდის ფეტიშიზმი" გახდა ცხოვრებისა და აზროვნების წესად. განუვითარებელი ქვეყნების პროგრამები ხშირად ფასდებოდა წარმოების მოცულობისა და შემოსავლის ზრდის თვალსაზრისით, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში განუვითარებელ ქვეყნებში მიღწეულ იქნა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი, მაინც ვერ მოხერხდა ამ ქვეყნების ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება. შესაბამისად, 70-იან წლებში განვითარების ცნებამ მოდიფიკაცია განიცადა. წინა პლანზე გამოვიდა მისი ვიწრო გაგება, რომლის მიხედვით, განვითარებაში იგულისხმება უმრავლესობისათვის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, მომდევნო პერიოდებში მრავალმა ეკონომიკურად ჩამორჩენილმა ქვეყანამ, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების პირობებში, საშუალო სულობრივი შემოსავლის გადიდებას მიაღწია, მაგრამ მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის (ზოგიერთ ქვეყანაში ღარიბი მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის 50%-ს აღმატება) მდგომარეობა დასაქმების, შემოსავლის განაწილების ან ცხოვრების პირობებში ან უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა, ან უცვლელი დარჩა, ან უფრო გაუარესდა. ადრინდელი გაგებით, განუვი-

თარბელი ქვეყნები, სადაც ეკონომიკურ ზრდას ადგილი ჰქონდა – ვითარდებოდა, მაგრამ ახალი კრიტიკებით (სიღარიბის დონე, დასაქმების ნორმა, უთანასწორობის ხარისხი) ამის მტკიცება არ შეიძლება. 1980–90-იან წლებში ამ სფეროში სიტუაცია უფრო გაუარესდა. ეს აიხსნება ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის ზრდის წინ გამსწრები ტემპი მშპ-ის ზრდის ტემპთან შედარებით, რომელმაც შეამცირა მოსახლეობის სულობრივი შემოსავალი, ან ზრდის ტემპის უარყოფით სიდიდედ გადაქცევა. მას დაემატა განუვითარებელი ქვეყნების საგარეო დავალიანების მასშტაბური მატება. ამ გარემოებამ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები აიძულა, შეეკუმშათ ერთი ტრილიონი \$-ის ღირებულების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ისედაც შეზღუდული პროგრამები. ფაქტობრივად 80-იანი წლების კრიზისი ყველა განუვითარებელ ქვეყანას შეეხო. სიტუაცია არც 2010-იან წლებში შეცვლილა. ამის დადასტურებაა გაეროს ათასწლეულის პროგრამა, რომელშიც სიღარიბის მკვეთრი შემცირება მიხნეულია ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტად და განუვითარებელი სამყაროს მრავალი პრობლემის გადაჭრის საშუალებად. პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა 2008 წელს დაწყებულმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა დასაქმებულთა მასშტაბი და უფრო შეკუმშა მოსახლეობის დიდი ნაწილის გადახდისუნარიანობა. მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური ზრდა შეფერხდა, შესაბამისად მილიონობით ახალი ადამიანი აღმოჩნდა სიღარიბის ზღურბლს დაბლა. ამასთან დაკავშირებით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ასპექტში აიხსნა:

1. **ეკონომიკური ზრდის** ტემპების შენელება: 1970–80 წლებში – 5.5%; 1982–92 წლებში – 3.4%; 1992–2002 წლებში – 3.5%. ეს ზრდაც ძირითადად მოდის ჩინეთისა (1981–91 წწ. – 9.7%, 1991–2001 წწ. – 9.9%) და ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოების (სამხრეთ კორეა, ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა...) ხარჯზე;

2. **სულობრივი შემოსავლის** დონის დაქვეითება (განსაკუთრებით საპარისულ აფრიკის ქვეყნებში);

3. **საგარეო სავაჭრო დეფიციტის** მატება (1990–2000 წლებში ლათინური ამერიკის ექსპორტმა შეადგინა 352 მლრდ \$, ხოლო იმპორტმა – 355 მლრდ \$, დეფიციტი = 3 მლრდ \$; აფრიკის ექსპორტმა – 139 მლრდ \$, იმპორტი – 133 მლრდ \$, დეფიციტი = 6 მლრდ \$, აზიის განუვითარებელი ქვეყნების ექსპორტმა – 1794 მლრდ \$, იმპორტმა – 1641 მლრდ \$);

4. განუვითარებელი ქვეყნების **საგარეო დავალიანების** საზანგაშო მატება: 1970 წლისათვის – 70.2% მლრდ \$, 1980 წლისათვის – 618.7; 1990 წლისათვის 1758.5; 2000 წლისათვის – 2498.5; 2003 წლისათვის – 2644.2 მლრდ \$;

5. **ინფლაციის** ზრდა: 1970–80 წლებში განუვითარებელ ქვეყნებში ინფლაცია შეადგენდა 18,9%-ს. 1980–90 წლებში – 41.6%-ს; 1990–2000 წლებში – 28,1%-ს [tat du monde Annuaire economique geopolitique mondial. 2005. p. 161].

ყველა ამ გარემოებამ გამოიწვია საყოველთაო იმედის გაცრუება. ეს იმით აიხსნება, რომ 60-იან წლებში დამუშავებული მესამე სამყაროს ქვეყნების განვითარების სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული იყო განვითარების ტრადიციულ კრიტერიუმზე, ყურადღების მიღმა ტოვებდა განვითარების ისეთ შედეგს, რომელიც რაოდენობრივად ზუსტ გამოთვლას არ ექვემდებარება:

- ჩამოყალიბებული სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურის რღვევა;
- გარემოს დეგრადაცია;
- დამოკიდებულების გაძლიერება;
- გაუცხოება კულტურის სფეროში;
- ავტორიტარული რეჟიმების გავრცელება.

“უსეველოგანვითარების” სიმენღეები იზრდებოდა მისი წარმატების პროპორციულად. ამჟამად ნათელი გახდა, რომ 60-იან წლებში ფორმირებული მითი მესამე სამყაროს ქვეყნების განვითარების შესახებ, საბოლოოდ დაემხო ისევე, როგორც მასზე დაფუძნებული განვითარების სტრატეგია.

80-იანი წლების დასაწყისიდან საერთაშორისო ეკონომიკურმა ორგანიზაციებმა (სსფ, რგსბ...) განუვითარებელ ქვეყნებს შეთავაზეს ეკონომიკის სტაბილიზაციის სხვადასხვა პროგრამა, რომლებიც დაიყვანებოდა საგარეო დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებული ფინანსური პრობლემების გადაჭრასთან. საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობა თავიანთი პოლიტიკას და რეკომენდაციებს აფუძნებენ დასავლეთის გაბატონებულ ნეოკლასიკურ დებულებებზე, რომლებიც განვითარების მთავარ ძრავებად თვლიან ბაზრის ძალებს, ამასთან, არა აბსოლუტური ბაზრის, არამედ საქონლის მომსახურების და კაპიტალის მსოფლიო ბაზრებს, რომელშიც განუვითარებელმა ქვეყნებმა აუცილებლად უნდა მოახდინონ ინტეგრირება. მსოფლიო ბაზარში ინტეგრირება განიხილება არა მხოლოდ როგორც განვითარების პირობა, არამედ როგორც ეკონომიკური რაციონალობის გადამწვევტი კრიტერიუმი.

ამრიგად, მსოფლიო ბაზარზე ორიენტაცია გახდა განვითარების პოლიტიკის გადამწვევტი კრიტერიუმად: რა გინდა, რა საქონელი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე, იმისდა მიუხედავად, პასუხობდა თუ არა იგი ეროვნულ მოთხოვნილებას. მაგრამ ბაზარი მხოლოდ მოწოდებისა და მოთხოვნის, მყიდველისა და გამყიდველის, საქონლისა და ფულის “შეხვედრის ადგილია” და არა „მიწოდებისა და ღარიბთა და მოსახლეობის მოშიშშილე ფუნქციის შეხვედრის ადგილი”. საბაზრო გარიგებებს არ შეუძლია გადალახოს განვითარების ისეთი ტვირთი როგორცაა სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის რღვევა, დამოკიდებულების გაძლიერება და ა.შ. მით უმეტეს, რომ ეკონომიკურ რაციონალობაზე დაფუძნებული განვითარება დებულებს გასხვისებულ და დამოკიდებულ ხასიათს, იწვევს მიზანთა უნიფიკაციას და სტანდარტიზაციას, უარყოფს ქვეყნის ყოველ პრეტენზიას თავისებურებაზე (ნაციონალური და სხვ.) და დამოკიდებული პოლიტიკის გატარების ყოველ მცდელობას.

არსებული ეკონომიკური თეორიები უუნარო აღმოჩნდა, დაემუშავებინა ახალი კონცეპტუალური და თეორიული აპარატი, რომელიც უპასუხებდა განვითარების ნამდვილ მოთხოვნილებას და მას არ დაიყვანდა მხოლოდ საბაზრო მექანიზმის და კონკურენციის მოქმედებამდე. პრაქტიკულ პოლიტიკაში ბატონობას განაგრძობს ნეოკლასიკური ლიბერალიზმის პრინციპები, რომელიც იცავს ძლიერთა ინტერესებს სუსტების წინააღმდეგ. საზოგადოებრივმოცოდნობაში ჩამოყალიბდა თავისებური სახის "მანიკური წრე": ნეოკლასიკური ლიბერალიზმის აბსოლუტური ბატონობა ზღუდავს ახალი კონცეფციების ძიებას, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს გაბატონებული თეორიების პრიმატს. გაიფანტა აგრეთვე მითი განვითარებული ქვეყნებიდან ტექნოლოგიის გადაცემის წყალობით განუვითარებელი ქვეყნების განვითარების შესახებ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განუვითარებელ ქვეყნებში, იმპორტირებულ ქვეყნებში იმპორტირებული მეცნიერულ-ტექნიკურმა ცოდნამ არა თუ ვერ შეძლო ქვეყნების განვითარების გზის შემცირება, არამედ მივიყვანა იმედის გამცრუებელ, ხოლო ზოგჯერ, დამღუპველ შედეგამდე. მრავალ განუვითარებელ ქვეყანაში მათი სწორი გამოყენებისათვის არ ასებობდა კულტურული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პირობები. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სფეროში სასაქონლო მარცვლეულის (ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი) წარმოების პარალელურად ნაკლები ძალისხმევა იყო წარმართული ისეთი სასურსათო საქონლის საწარმოებლად (სორგო, პროსო...), რომელთა წილად მოდის განუვითარებელ ქვეყნებში მოხმარებული მარცვლეულის დაახლოებით ნახევარი.

აფრიკაში "მწვანე რევოლუციის" ჩავარდნამ მივიყვანა ტრაგიკულ შედეგამდე: აქ, სადაც ადგილი აქვს მოსახლეობის საშუალო წლიურ 3%-იან მატებას, სურსათის წარმოება, 1962 წელთან შედარებით, 20% -ით შემცირდა.

განუვითარებელი ქვეყნების მიღწევებმა ჯანდაცვის განვითარებაში (1950-80 წლებში) შესაძლებლობა მისცა შემცირებინა 4 წლამდე ასაკის ბავშვებს შორის სიკვდილიანობის დონე 28%-დან 12%-მდე და აქმაღლებინა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 42-დან 59 წლამდე. მაგრამ შემდეგ ეს სასურველი ტენდენცია შეჩერდა და მრავალ განუვითარებელ ქვეყანაში შეიმჩნევა მედიკო-სანიტარული მდგომარეობის გაუარესება, რაც დაკავშირებულია მედპერსონალის და მოწყობილობის უკმარისობასთან, არასრულფასოვან კვებასა და სუფთა წყლის ნაკლებობასთან.

უფრო განუვითარებელ ქვეყნებში ცოცხლად დაბადებულ ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა [Mortiliteinfantile, 2008 წ.] 82%-ია, ხოლო 5 წლის და მეტი ასაკის ბავშვებში 126%. ეს მაჩვენებელი ორჯერ აღემატება მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს (44% და 63 %); იგი კიდევ უფრო მაღალია ისეთ ქვეყნებში, როგორცაა **მადი** (103 და 194%), **ცენტრალური აფრიკა** (115 და 173 %), **სომალი** (119 და 200 %), **ანგოლა** (130 და 220%); **სიერა-ლეონე** (123 და 194%), **კონგოს დ.რ.** (126 და 199%); **ჩადი** (124 და 209%), **გვინეა-ბისაუ** (117 და 195%), **ავღანეთი** (165 და 257%) და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი ეთგო-ს წევრ-ქვეყნებში მხოლოდ 5 და 6%-ია [Доклад о человеческом развитии 2012. [PPOOH].

განუვითარებელი ქვეყანაში მედიკო-სანიტარული მდგომარეობის გაუარესების მიზეზია ამ ქვეყნებში ძვირადღირებული ჯანდაცვის ორგანიზაციის დასავლური მოდელის გავრცელება, რომელიც არ შეესაბამება განუვითარებელი ქვეყნების პირობებს. ასეთი არჩევანი მხოლოდ აძლიერებს მათ დამოკიდებულებას და მიბმას ტრანსნაციონალური კომპანიების სტრატეგიასთან, რომლებიც აკონტროლებენ წამლის, ვაქცინების, სისხლის, ბავშვთა კვების და ა.შ. სფეროებს.

განუვითარებელი ქვეყნების ძალზე მცირე ასიგნირება მეცნიერულ-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოზე (მათ წილად მოდის მეცნიერებაზე მსოფლიო დანახარჯის მხოლოდ 6%) იხარჯება. 1980-90 წლებში ინდოეთმა სოფლის მეურნეობის კვლევის სფეროში წარმართა НИОКР-ის მხოლოდ 10%, მაშინ, როცა ბირთვული ფიზიკის სფეროში გამოკვლევებზე – 40%. ის ფაქტი, რომ ინდოეთს ჰყავს გამოჩენილი სპეციალისტები თეორიული ფიზიკის სფეროში, სრულებითაც ვერ უზრუნველყო იგი არსებითი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესით: საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა ამ ქვეყანაში 63.3 წელია (2001), სკოლარიზაციის დონე – 56%, ბავშვთა სიკვდილიანობა – 64.5, ხოლო საშუალო სულობრივი შემოსავალი მხოლოდ მიმდინარე კურსის მიხედვით 172 \$-ია. ინდოეთში ექიმების რაოდენობა ყოველ ათას კაცზე 1980 წელს შეადგენდა 0.37-ს, 1992 წელს 0.48-ს, 1993 წელს კი დაეცა – 0.4%, მისი საგარეო ვალი – 20.7 მლრდ \$-ია. ინდოეთში ექიმების რაოდენობა ყოველ ათას კაცზე 1980 წელს შეადგენდა 0.37-ს, 1992 წელს 0.48-ს, 1993 წელს კი დაეცა – 0.4%, მისი საგარეო ვალი – 20.7 მლრდ \$-დან (1980) გაიზარდა 97.3 მლრდ \$-მდე (2001). ინდოეთის აქტიური მოსახლეობიდან (460.5 მლნ) ყველაზე მეტი დასაქმებული სოფლის მეურნეობაშია – 66.7% (1995), ხოლო ყველაზე ნაკლები ინდუსტრიაში – 12.9%, კვლევისა და განვითარებაზე გამოიყოფა მშპ-ის 0.62% (1996), 1990 წელს კი – 0.72% [l'etat du monde Annuaire economique geopolitique mondial. 2004. p.270].

განვითარებული ქვეყნების დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციის ვოლუნტარისტული პოლიტიკა, როგორც წესი, არ ითვალისწინებდა კვალიფიციური კადრების მომზადების აუცილებლობას და იმპორტული ცოდნისა და ტექნოლოგიის ადაპტაციის სიძნელეებს ადგილობრივ ტრადიციებსა და კულტურასთან. სწორედ ამის გამო, ამ ქვეყნებში მრავალმა საწარმომ, მიწოდებული გასაღების ქვეშ (souskile), ძალზე სწრაფად შეწყვიტა მუშაობა. ჩამორჩენილობის კიდევ ერთი ფაქტორია ტრანსნაციონალური კომპანიების (ტნკ) მიერ გატარებული ტექნოლოგიური პოლიტიკა, რომელიც ტექნოლოგიას მიიხნევს სტრატეგიულ საქონლად. ტნკ-ში განუვითარებელ ქვეყნებში არა მხოლოდ მაღალ ფასში ყიდიან ტექნოლოგიას, არამედ მის თავს აჩვენებენ რიგ პირობებს, მათ შორის უცხოური ტექნოლოგიით წარმოებული პროდუქციის ექსპორტის აკრძალვა და ვალდებულების ყველა აუცილებელი ნაწარმი მხოლოდ მათგან შეიძინონ. გარდა ამისა, ტნკ, როგორც წესი,

ყიდიან მორალურად მოძველებულ ტექნოლოგიას, ანუ შეგნებულად იგეგმება ამ ქვეყნების ტექნოლოგიურად ჩამორჩენილობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 10, გამომც. „სიახლე“, თბ., 2013.
2. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თსუპ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2014.
3. დათუნაშვილი ლ. სიღარიბე და მისი გამომწვევი მიზეზები საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ტ. V, თბ., 2012.
4. საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შუალედური დოკუმენტი. თბ., 2001.
5. საქართველოს რეგიონული განვითარება (დიაგნოსტიკური მოხსენება) თბ. 2010.
6. შემოსავლის განაწილება: უთანასწორობა და სიღარიბე. ა. სილაგაძე, ჯ. კახინაშვილი, ე. მექვაბიშვილი. მიკროეკონომიკის, თავი 14, თსუ-ს გამომცემლობა. თბ., 2006.
7. Доклад о развитии человека 2007/2008. Изд., “Вес Мир“, 2013.

Natia Kakhniashvili

ECOMICAL GROWTH, POVERTY AND DISTRIBUTION OF INCOME

Annotation

Many economically backward countries recognized a priority of permission of social tasks in accordance to growing of GDP, but perception of a problem didn't outgrow in practical action yet. This results from the fact that replacement of orientation of strategy of development demands a set of difficult political and institutional analysis.

Furious pace can't provide the solution poverty automatically. Main task of economical growing must be the creation of necessary conditions for speeded up growing of income of most poverty people.

Fast and sustainable economical growth decrease of zoom poverty and inequality don't mean alternative aims, quite the contrary; they must fill up each other.

All above mentioned is the subject of spreading in Georgia.

დებნა კვარაცხელია

საქართველოს ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი და პრიორიტეტები

ეკონომიკური განვითარება პოსტსოციალისტურ საქართველოში გამოირჩევა უკიდურესად წინააღმდეგობრივი ხასიათით, რასაც ადასტურებს შედარებით უახლოესი, ”ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდის გამოცდილებაც. აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების, ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მატების, ყოფილ დონეზე კორუფციის აღმოფხვრისა და კონტრაბანდის გარკვეული შემცირების პოზიტიური პროცესების პარალელურად, გამოვლინდა ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორცაა:

– ფასების დონის მნიშვნელოვანი მერყეობა, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება, უმუშევრობის დონის ზრდა, ელიტარული კორუფციის აყვავება, მიზანშეუწონელი და არაეფექტიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, სოციალურ სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის ბალანსის გაუარესება, სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპისა და კერძო საკუთრების უფლების შელახვა-დაკნინება;

– ეკონომიკის ცალკეული სფეროების მონოპოლიზაციის დაჩქარება, რამაც გააუარესა გარემო პირობები მცირე და საშუალო ბიზნესისათვის და არსებითად შეაფერხა სამეწარმეო სფეროს განვითარება.

ამასთან, ხელისუფლების მხარდაჭერისა თუ დაუდევრობის შედეგად, იმპორტული საქონლის მხრიდან ტოტალური ხასიათი შეიძინა ყოველგვარ გონივრულ ზღვარს გადაცილებულმა, სამამულო წარმოების დამანგრეველმა კონკურენციამ, რის შედეგადაც მკვეთრად გაუარესდა საგარეო ვაჭრობის ბალანსი. ასე მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, რეგისტრირებული იმპორტის რეგისტრირებული ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი 2007–2008 წლებში დაეცა 23,7%-მდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტის ხელშეწყობა საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტად 1992 წლიდან ჩამოყალიბდა, როცა შემოდგომულ იქნა ერთიანი საბაჟო ტარიფები, რომლის თანახმადაც, იმპორტი იბეგრებოდა 2%-ით, ხოლო ექსპორტი 8%-ით (1, გვ. 36). ასეთმა უგუნურმა პოლიტიკამ საფუძველი ჩაუყარა იმპორტული პროდუქციის მხრიდან ტოტალურ კონკურენციას, სამამულო პროდუქციის ყოველდღიურ ჩანაცვლებას იმპორტული ნაწარმით და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის მიზანმიმართულ განადგურებას.

პოსტსოციალისტურ პერიოდში ეკონომიკური განვითარების ასეთი არასტაბილური და ხშირ შემთხვევაში მკვეთრად დესტრუქციული ხასიათის შედეგად:

– არსებითად გაუარესდა მოსახლეობის ცხოვრების პირობები, ამაღლდა სიღარიბის დონე, წარმოიშვა ”სიღარიბის ხაფანგები“ (იმეგრაციის პოტენციური წყარო) და გაუფასურდა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები;

– ვერ მოხერხდა პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის დაწყებამდე არსებული და გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე განადგურებულ-დეკვალიფიცირებული ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის სათანადო დონეზე განახლება. შესაბამისად, ვერ მოხერხდა ეფექტიანი, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება;

– ჩამოყალიბდა ”შემოსავლებზე ორიენტირებული ეკონომიკა“, რომლისთვისაც დამახასიათებელია: ჭარბი მოხმარება, იმპორტზე ტოტალური ორიენტაცია, მაღალი უმუშევრობა და ემიგრაცია.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასტაბილური ვითარება მიუთითებს, რომ ცალკეული წლებში, ამა თუ იმ პარამეტრის მიხედვით მიღწეული პოზიტიური შედეგების მიუხედავად, ქვეყანამ თავი ვერ დააღწია სისტემურ ეკონომიკურ კრიზისს.

სისტემური ეკონომიკური კრიზისის ჩამოყალიბებაში, ერთი შეხედვით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოური პერიოდისაგან მემკვიდრეობით მიღებული წარმოების დაბალი ეფექტიანობა და პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა, აგრეთვე ათეულობით წლების მანძილზე ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირების რღვევა და სხვა ეკონომიკურმა მიზეზებმა, მაგრამ მათ ნამდვილად ვერ მივიჩნევთ პოსტსაბჭოურ სივრცეში არნახული მასშტაბის კრიზისის ფორმირების ძირითად ფაქტორებად. სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამწვავება-გახანგრძლივება საქართველოში ძირითადად გამოწვეულია არაეკონომიკური მიზეზებით, კერძოდ:

– 1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებითა და შემდგომი პოლიტიკური არასტაბილურობით;

– შიდა და გარე მტრული ძალების მიერ ხელოვნურად ინსპირებული ეთნოკონფლიქტებით;

– სათანადო პასუხისმგებლობის დონით – ხელისუფლების უფლებამოსილებათა პერმანენტული დაუბალანსებლობით;

არაეკონომიკური მიზეზების ასეთმა თანხედრად-კომბინაციამ და მოსახლეობის ცალკეულ ფენებში შესაბამისი განწყობილება-ემოციების (ელიტაში მიმოვისებულურ-მომხმარებლური დამოკიდებულების, ხოლო მოსახლეობის დიდ ნაწილში აპათური განწყობილების) და მოლოდინების ფორმირებამ პრაქტიკულად გამორიცხა სამამულო წარმოების აღორძინებისათვის აუცილებელი სისტემურ-კომპლექსური ხასიათის ეკონომიკური რეფორმების შემუშავება, სამამულო წარმოების ეფექტიანი ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინსტიტუტებისა და ბიზნესგარემოს ჩამოყალიბება და სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ამგვარად, ვინაიდან განწყობილება-ემოციები და მოლოდინები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საზოგადოებრივი აზროვნების ხარისხს და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ხასიათს, ამიტომ აღნიშნული არაეკონომიკური მიზეზების გასანეიტრალებლად და ჩატეხილი ხიდების გასამთლიანებლად გონივრული, მიზანმიმართული პოლიტიკაა გასატარებელი. საინტერესო ისაა, თუ ვინ შეძლებს გორდიას კვანძის გახსნას, ან თუნდაც მის გაკვეთას ისე, რომ კითხვის ნიშნები არ დარჩეს, შედეგი ყველამ აღიაროს და ქვეყანაში საყოველთაო ოპტიმისტურმა განწყობილებამ დაისადგუროს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების უზრუნველყოფა, საკუთრების უფლების რეალური გარანტიების შექმნა და კერძო საკუთრების ლეგიტიმურობის ხარისხის ამაღლება.

საკუთრების უფლების დაბალი ლეგიტიმურობა გამოწვეულია: ა) 1991-92 წლების ტრაგიკული მოვლენების შემდეგ სახელმწიფო საკუთრების განუკითხავი მიტაცება-მითვისებით და აღნიშნული საკუთრების შემდგომი მიტაცება-გადაფორმებით; ბ) პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის განვლილ პერიოდში გადასახადების გადახდისგან თავის მასიური არიდებით, რაც საეჭვოს ხდის ამ გზით მიღებული შემოსავლების ხარჯზე ფორმირებული საკუთრების ლეგიტიმურობასაც.

საკუთრების უფლების დაბალ ლეგიტიმურობასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენების (ხელისუფლების ელიტარული წარმომადგენლების მხრიდან მისი ჩამორთმევა-მითვისება-გადაფორმება და ამ პროცესის ერთგვარი მორალური გამართლება) პრევენციის მიზნით, აუცილებელია კერძო საკუთრების ლეგალიზება-დაკანონება ქონებრივი უფლების სფეროში საყოველთაო ამნისტიის საფუძველზე. საკუთრების აშკარად კრიმინალური, სისხლისსამართლებრივი დანაშაულის გზით მოპოვების შემთხვევებში, მაგალითად, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების, მიუხედავად მისი წარმოშობის კანონიერებისა (აქ საუბარია არაკანონიერი გზით მითვისებულ, თავის დროზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებზე), კრიმინალურ-ძალადობრივი გზით ჩამორთმევისა და გადაფორმების შემთხვევაში, მათი ლეგალიზება-დაკანონებისა, თუ ჩამორთმევის საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლოს მეშვეობით, ყველა პროცესუალური ნორმისა და ეტაპის გათვალისწინებით.

კერძო საკუთრების ლეგალიზება-დაკანონების პროცესისადმი ნდობის ფაქტორის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნული პროცესის შედეგების აღიარებისა და კერძო საკუთრების, მ.შ. ამნისტიის გზით ლეგალიზებულის, მომავალში ხელშეუხებლობის ერთ-ერთ გარანტიორ მხარედ ხელისუფლებამ მოიწვიოს რომელიმე საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაცია (უცხოური ორგანიზაციების მოწვევა დამატებით ვალდებულებებსა და, შესაბამისად, დამატებით პრობლემებს წარმოშობს, მაგრამ თუკი საკუთარი ძალებით არ შეგვიძლია პრობლემის მოგვარება, მაშინ მათი მოწვევის გარდა, თუნდაც განსაზღვრული, შეზღუდული პერიოდით, სხვა გზა არ არსებობს).

ქონებრივი უფლების სფეროში საყოველთაო ამნისტიის საფუძველზე კერძო საკუთრების ლეგიტიმურობის ხარისხის ამაღლება, საბოლოო ანგარიშით, ხელს შეუწყობს: მეწარმეთა ნდობის ფაქტორის ამაღლებას მთავრობის პოლიტიკისადმი და მათი გრძელვადიანი განწყობა-მოლოდინების პოზიტიურ კალაპოტში ჩაყენებას, სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების ხარისხის ამაღლებას და უცხოეთში, ძირითადად სხვადასხვა ოფშორულ ტერიტორიებში გატანილი კაპიტალის ეტაპობრივ დაბრუნებას.

2. მცირე მეწარმეობის წახალისება. ამ მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მცირე საწარმოთათვის მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირება 8–10%-ის ფარგლებში.

აღნიშნული შედეგათვის დასამკვიდრებლად, უწინარეს ყოვლისა აუცილებელია მცირე საწარმოს სტატუსის განსაზღვრა ეკონომიკის განვითარების მიმდინარე საჭიროებათა გათვალისწინებით.

დღეს არსებული საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, "მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს". ამასთან, მცირე ბიზნესის აღნიშნული შემოსავალი გამარტივებული წესით პირდაპირ იბეგრება 3-5%-ის ფარგლებში (2. თავი 12, მუხლი 88-90).

მცირე ბიზნესის გამარტივებული რეჟიმით დაბეგვრის ნაკლოვანებები იმაშია, რომ:

- იგი არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე და იმ ინდემწარმეებზე, რომლებსაც კანონის საფუძველზე არ ენიჭებათ მცირე ბიზნესის სტატუსი;

- დაბეგვრის აღნიშნული რეჟიმი ხშირ შემთხვევაში შეიძლება უფრო ხარჯიანი და წამგებიანი აღმოჩნდეს, ვიდრე ჩვეულებრივი წესით დაბეგვრა, რომელსაც ადგილი აქვს, მაგალითად, მცირე ბიზნესის სტატუსს მიღმა დარჩენილი ინდემწარმეების შემთხვევაში, რომელთა ამონაგებიდან ხარჯების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი შემოსავალი იბეგრება 20%-ით;

- ძალიან დაბალ დონეზე განსაზღვრული წლიური ბრუნვის მოცულობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია იურიდიული პირებისათვის და ინდემწარმეებისათვის მცირე საწარმოს სტატუსი განისაზღვროს მცირე ბიზნესის სტატუსისგან დამოუკიდებლად, მინიმუმ 1 მილიონ ლარის წლიური ბრუნვის მიხედვით (ამასთან, მცირე ბიზნესისათვის დაბეგვრის გამარტივებული წესის მიერ რეალური და არა მოხვედრითი შეღავათის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირების შემოსავალი, ზემოაღნიშნული 100 ათასი ლარის ფარგლებში დაიბეგროს მაქსიმუმ 2%-იანი განაკვეთით, მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ თუ არა ისინი გავრეული ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტებს).

3. დაბეგვრის სისტემის გამარტივების, მეწარმეობისა და ინვესტიციების წახალისების მიზნით შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს მოგების გადასახადის გაუქმება და მის ნაცვლად დივიდენდების სახით გაცემულ შემოსავლებზე ერთიანი 20%-იანი საგადასახადო განაკვეთის შემოღება დღეისთვის არსებული 5%-იანი განაკვეთის ნაცვლად. ამასთან, მცირე საწარმოების საქმიანობისათვის ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნული განაკვეთი დადგინდეს 10-12%-ის ფარგლებში. მოგების გადასახადის აღნიშნული ტრანსფორმაცია, როგორც ამ პუნქტის დასაწყისში აღვნიშნეთ, წახალისებს მეწარმეთა ინვესტიციური აქტივობის ამაღლებას. ამასთან, აღმოიფხვრება წინა წლის წლიური მოგების საფუძველზე მიმდინარე წლის ყოველ კვარტალში მოგების გადასახადის გადახდის (წინა წლის წლიური მოგების მეთხედის ფარგლებში) მანკიერი წესი და გადასახადის გადახდა უშუალოდ დაუკავშირდება დივიდენდების გაცემას.

4. ადგილობრივი დანაზოგების, ანუ ინვესტიციების განსახორციელებლად აუცილებელი ადგილობრივი რესურსების ფორმირების წახალისება.

ამ მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხელფასის სახით დარიცხული თანხის ნაწილი, რომელიც დანაზოგის სახით მინიმუმ ერთი წლის ვადით განთავსდება კომერციულ ბანკებში, გათავისუფლდეს საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან. ასეთ დანაზოგზე არ უნდა გაიკეს ანაბრებზე განსაზღვრული პროცენტული დანამატი, ვინაიდან საშემოსავლო გადასახადის გადახდისგან გათავისუფლებული თანხა (დარიცხული ხელფასის დასაზოგად გამიზნული ნაწილი) ისედაც 25%-ით აღემატება აღნიშნული გადასახადის გადახდის შემთხვევაში დარჩენილ თანხას.

ამ შემთხვევაში შეიძლება დაისვას სრულიად ლეგიტიმური კითხვა: რატომ უნდა შეეხოს აღნიშნული შეღავათი მხოლოდ დაქირავებით დასაქმებულთა შემოსავლებს და არა, ვთქვათ, მეწარმეთა და თვითდასაქმებულთა აღრიცხვად შემოსავლებს. მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ერთგვარ მოვალეობა-მოწოდება-დანაშინულებას თავისთავად წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობა და ეფექტიანი ინვესტიციების განსახორციელება, ვინაიდან სწორედ ამაზეა დამოკიდებული მაღალი მოგების სახით შესაბამისი ჯილდოს მიღება.

ასეთი პოლიტიკის გატარება აუცილებლად წახალისებს ადგილობრივი დანაზოგების ზრდას, რაც ხელს შეუწყობს საკრედიტო რესურსის გაიაფებას და ადგილობრივი ინვესტიციების გადიდებას, რაც გრძელვადიანი განვითარების საწინდარია. ამასთან, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ გლობალიზაციის პირობებში ადგილი აქვს ფინანსური რესურსების ქვეყნებს შორის თავისუფალ გადაადგილებას. ინვესტიციები, სხვა თანაბარ პირობებში, მიემართება იქ, სადაც მაღალია პროცენტის განაკვეთი და მოგების ნორმა, რის შედეგადაც, შესაძლოა, ზემოაღნიშნული პოლიტიკის შედეგად ფორმირებული დანაზოგები ქვეყნის გარეთ გავიდეს, ხოლო ლარის კურსი კი მკვეთრად დაეცეს. ასეთი პრობლემის თავიდან ასაცილებლად და აღნიშნული რესურსების ადგილზე დასამაგრებლად აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის (საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული) უზრუნველსაყოფად საჭიროა საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან, საბოლოო შედეგზე ორიენტირებული, პრინციპული და მიზანმიმართული მოლაპარაკება-კონსულტაციების წარმოება.

5. მიზანშეწონილად მიმაჩნია საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე სპეციალური ფონდის შექმნა, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება: მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში დასაქმებული მეწარმეების (მცირე ბიზნესისა და მცირე საწარმოების) სამეწარმეო რისკების მთლიანი ან ნაწილობრივი დაზღვევა, აგრეთვე მათი უფასო ინფორმაციული უზრუნველყოფა. მაგალითად, საწარმოო საანგარიშო პერიოდში განსახორციელებული სამეწარმეო საქმიანობის შედეგად განიცადა 30 ათასი ლარის ზარალი, ანუ აღნიშნულ პერიოდში სამეწარმეო მიზნებისათვის გასწავი ვთქვათ, 150 ათასი ლარის დანახარჯები და ამონაგების სახით, გარკვეული არახელსაყრელი ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების შედეგად, მიიღო მხოლოდ 120 ათასი ლარი. აღნიშნულმა ფონდმა მთლიანად, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნაწილობრივ, მინიმუმ 80-90%-ის ფარგლებში, უნდა აანაზღაუროს აღნიშნული ზარალი, რაც მეწარმეს შესაძლებლობას მისცემს, იმავე ან სხვა სფეროში გააგრძელოს სამეწარმეო საქმიანობა.

6. სპეციალური სამსახურის შექმნა, რომლის დანიშნულებაც იქნება ხელისუფლების ამა თუ იმ შტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების, ან ამა თუ იმ კანონის და კანონქვემდებარე აქტის რომელიმე მუხლის

შესახებ მეწარმეთა წინადადებების და საჩივრების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების (მომზადების სასარგებლოდ ან პირიქით) მიღება, ვთქვათ, 60 კალენდარული დღის მანძილზე.

აღნიშნული სამსახურის მიერ გადაწყვეტილება თუ არ იქნება მიღებული ზემოთ მითითებულ ვადაში, მაშინ მეწარმის წინადადება უნდა ჩაითვალოს საყოველთაოდ აღიარებულად, ანუ უნდა მიენიჭოს კანონის ძალა, ხოლო საჩივარში დასმული საკითხი მომზადების სასარგებლოდ გადაწყვეტილად და ეს გადაწყვეტილება პრეცედენტის სახით უნდა გავრცელდეს ყველა ანალოგიურ შემთხვევაზე.

ამასთან, ნებისმიერ ორგანოს, რომლის მიერ მიღებულ კანონს ან გადაწყვეტილებასაც შეეხება წინადადება თუ საჩივარი, უნდა გაანდეს აღნიშნული სპეციალური სამსახურის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადებში (მაგალითად, ერთი ან ორი კვირის მანძილზე) გასაჩივრების უფლება შესაბამის სასამართლო ინსტანციაში. სასამართლოს მიერ აღნიშნული სპეციალური სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ან მისი უმოქმედობით განპირობებული შედეგის (გადაწყვეტილების არმიღებისას) ძალაში დატოვების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება.

7. გადასახადის გადახდის საყოველთაობის პრინციპის არა მხოლოდ ქალაქზე აღნიშვნა, არამედ რეალურ ცხოვრებაში განხორციელება.

ნომენკლატურული ბიზნესის წარმომადგენლების მიერ გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების წინააღმდეგ და მათი მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან პატიოსანი მეწარმეების დასაცავად კეთილსინდისიერმა და პასუხისმგებელურმა ხელისუფლებამ, საჭიროა, განახორციელოს მკაცრი ფინანსური სანქციები. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ მათ მიერ გადასახადის გადაუხდელობა, გარდა პატიოსანი გადახდელებისათვის მიყენებული ზიანისა, ცუდი ზნეობრივი მაგალითია მთელი საზოგადოებისათვის და განაპირობებს როგორც ხელისუფლების, აგრეთვე ბიზნესის მიმართ მტრული განწყობილების ჩამოყალიბებას მოსახლეობაში, რაც საბოლოოდ სოციალური დაძაბულობის ზრდისა და რეგულაციების მიზეზია.

ამასთან, უნდა გვახსოვდეს მთავარი: ბიზნესი შეიძლება წარმატებით და ჰარმონიულად განვითარდეს შედარებით მაღალი გადასახადების პირობებშიც კი, თუკი კუთვნილ გადასახადს უკლებლივ ყველა გადახდეული გადაიხდის და არ იქნება იმის საშიშროება, რომ ვიღაცეები შეძლებენ გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას და ამ გზით კონკურენტებთან შედარებით უპირატესობის მოპოვებას. პირიქით, დაბალი გადასახადების პირობებში, თუკი გარკვეულ ელიტურ ჯგუფს ექნება გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებისა და ამ გზით კონკურენტებთან შედარებით უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა, ეს აუცილებლად გამოიწვევს სამეწარმეო საქმიანობის დეზორგანიზაციას და წარმოების სტრუქტურის დამახინჯებას, ვინაიდან არსებითად გააუარესებს გადასახადების პატიოსანი გადახდელების მდგომარეობას და შეასუსტებს მათ ბიზნესაქტივობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია ისეთი ბიზნეს-გარემოს შექმნა, რომლის პირობებშიც სამეწარმეო საქმიანობისა და ბიზნესის წარმატება დამოკიდებული იქნება არა ხელისუფლების ცვლაზე, არა მის მაღალ ეშვლონებთან სიახლოვეზე, არამედ სტაბილურ კანონებსა და ინსტიტუტებზე, და, რაც მთავარია, მართლმსაჯულების სამართლიან სისტემაზე. ასეთი ბიზნეს-გარემოს შექმნის აუცილებლობა თვალნათლივ აჩვენა 2 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომმა გარდამავალმა პერიოდმა, როდესაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოწვევა სამეწარმეო სექტორის წარმომადგენელთა განწყობა-მოლოდინების ნეგატიური ცვლილება, შესაბამისად კი, ბიზნესის დეზორიენტაცია და ბიზნესაქტივობის გარკვეული შემცირება.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1. პაპავა ვლ., პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005.
- 2. საქართველოს კანონი: საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1043717

Demna Kvaratskhelia

CHARACTERISTICS AND PRIORITIES OF ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA

Annotation

The work provides analysis of negative and positive processes characterizing the development of Georgian economy in the post-socialist transition period and their outcomes. It demonstrates that non-economic causes have played substantial role in formation and prolongation of the systemic economic crisis.

Article sets the following priorities for economic development of the country: 1. Securing freedom of entrepreneurial activities, creation of actual guarantees of the property rights and improving the degree of legitimacy of private property; 2. Stimulation of small businesses and reduction of the profit tax rate to 8-10% for the small enterprises for this purpose; 3. Cancellation of the profit tax and charging of the common 20% tax rate for the moneys paid as dividends, instead of currently charged 5% rate; 4. Stimulation of formation of local savings. For this purpose, exemption from income tax of the part of amount transferred as salaries deposited with the commercial banks for at least one-year term; 5. Creation of the special fund of the budget assets, with the main function: full or partial insurance of the business risks (for small businesses and small enterprises) for the entrepreneurs engaged in the small and medium business.

თინათინ ლოლაძე


ფისკალური მულტიპლიკატორი და საერთაშორისო ბამოცდილება

მაკროეკონომიკური მიზნების რეალიზაციისათვის ქვეყნის ხელისუფლება იყენებს მაკროეკონომიკურ ინსტრუმენტებს. როდესაც იკვებება ფისკალური პოლიტიკა, დგება აუცილებლობა, შეფასდეს ამა თუ იმ ცვლი-

ღების გავლენა სხვადასხვა ეკონომიკურ ცვლადზე. ამ გავლენების სიდიდე და მიმართულება დამოკიდებულია ფისკალურ მულტიპლიკატორებზე. ასე რომ, აუცილებელი ხდება მათ შესახებ მეტ-ნაკლებად საიმედო შეფასებების მიღება. მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მათი შეფასება არცთუ მარტივი საქმეა. განვითარებულ ეკონომიკებშიც კი ფისკალური მულტიპლიკატორების შეფასებები არაცალსახაა და, მით უმეტეს, რთული შესაფასებელია მჭირი გამოცდილების მცირე ღია ეკონომიკებისათვის, ისეთის, როგორც საქართველოა. ვინაიდან ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვა მოითხოვს რაიმე წარმოდგენის არსებობას ამ მულტიპლიკატორების ზომებთან დაკავშირებით, უპირანი იქნება თუ გამოვიყენებთ ანალოგიის მეთოდს და გავეცნობით მსგავსი ეკონომიკის მაგალითს.

მეტ-ნაკლებად მსგავს ეკონომიკად შეგვიძლია მივიჩნიოთ ბულგარეთის ეკონომიკა და გავეცნოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთ პრაქტიკულ სტატიას⁹⁴, სადაც წარმოდგენილია როგორც საკუთრივ ავტორების მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც ეფუძნება GIMF მოდელს (გლობალური ინტეგრირებული მონეტარული და ფისკალური მოდელი), ასევე სხვადასხვა ავტორიტეტული კვლევების მიმოხილვას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით⁹⁵. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევათა უმეტესობა ჩატარებულია განვითარებული ეკონომიკების მაგალითზე, ამიტომ ბულგარეთის მაგალითი უფრო საინტერესო იქნება ჩვენთვის, ისევე, როგორც სხვა მცირე ღია ეკონომიკებისათვის. ძირითადი დასკვნები, რაც ამ სტატიიდან გამოდინარეობს, ისაა, რომ ფისკალური მულტიპლიკატორების მნიშვნელობები დამოკიდებულია ეკონომიკის ზოგად მდგომარეობაზე. ისინი უფრო მაღალია რეცესიის დროს, ვიდრე ბუმისას.

კვლევების ძირითადი ობიექტები, რომლებიც ამ მიმართულებით განხორციელებულა, განვითარებული ეკონომიკებია. ამ კვლევების მიხედვით, სახელმწიფო ხარჯების მულტიპლიკატორი 0-სა და 2.0-ს შორის უნდა იყოს, საშუალოდ, პირველ წელს 0.8-ის მიდამოში, რაც შეეხება საბიუჯეტო შემოსავლების მულტიპლიკატორს, იგი 1.5-დან 1.4-მდე შუალედშია და საშუალოდ 0.3-ის ტოლი უნდა იყოს⁹⁶. ზოგად შედეგებზე დაყრდნობით, შეინიშნება შემდეგი ტენდენცია, მულტიპლიკატორები მით მცირეა, რაც უფრო ღიაა ეკონომიკა და რაც მაღალია ავტომატური სტაბილიზატორი. მაგრამ თეორიული და ემპირიული კვლევების მიხედვით, მულტიპლიკატორები მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. განვითარებული ეკონომიკებისათვის, სპილიმბერგოს მიხედვით, წესით, სახელმწიფო მოხმარების მულტიპლიკატორი დაახლოებით 0.5-ია, ან უფრო ნაკლები მცირე ღია ეკონომიკებში, უფრო მცირეა შემოსავლებისა და ტრანსფერების და ოდნავ მეტი ინვესტიციების მულტიპლიკატორი.



წყარო: Dirk Muir, Anke Weber – “Fiscal Multipliers in Bulgaria: Low But Still Relevant” – IMF European Department – WP/13/49.

ზოგიერთ კვლევაში მოცემულია ფისკალური მულტიპლიკატორების შეფასებები ახალი საბაზრო ეკონომიკებისათვის. მათი მიხედვით, მულტიპლიკატორები უნდა იყოს უფრო მცირე ისეთ ეკონომიკებში, სადაც ნაკლებადაა განვითარებული ფინანსური ბაზრები, რისკის პრემია მაღალია და ფისკალურ სტიმულებს უფრო ძლიერი ეფექტი აქვთ, ვიდრე სპროცენტო განაკვეთს. ემპირიულმა კვლევებმა დაადასტურა ჰიპოთეზა, რომ ახალ საბაზრო ეკონომიკებში მულტიპლიკატორები შედარებით დაბალია⁹⁷, ზოგიერთი კვლევის შედეგად კი ისინი საერთოდაც უარყოფითია⁹⁸, განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში და როცა სახელმწიფო ვალი არის მაღალი⁹⁹.

მულტიპლიკატორების შესწავლა განსაკუთრებით მოსახერხებელია საერთო წონასწორობის დინამიკურ სტოხასტიკური (DSGE) მოდელის საფუძველზე. ამ მოდელზე დაყრდნობით, შესაძლებელია ინსტრუმენტების ცხადი რანჟირება ეფექტის მიხედვით. ზოგადი დასკვნების თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების მულტიპლიკატორი არის უფრო მაღალი, ვიდრე სახელმწიფო შემოსავლების მულტიპლიკატორი. სახელმწიფო შესყიდვებში კი ინვესტიციებს აქვს ყველაზე დიდი უარყოფითი მულტიპლიკატორი მოკლევადიან პერიოდში, შემდეგ სახელმწიფო მოხმარებას, შემდეგ კი ტრანსფერებს იმ საოჯახო მეურნეობების მიმართ, რომელთაც კრედიტებზე ხელი შეზღუდულად მიუწვდებოთ, მაშინ, როცა ტრანსფერები ასოცირდება საერთო წარმოებაში ყველზე ნაკლებ ეფექტთან. შემოსავლების მხარეს ყველაზე დიდი უარყოფითი ეფექტი აქვს მოგების

⁹⁴Dirk Muir, Anke Weber – “Fiscal Multipliers in Bulgaria: Low But Still Relevant” – IMF European Department – WP/13/49, © IMF 2013.

⁹⁵Spilimbergo, Symansky, Schindler – 2009; Blanchard, Perotti – 2002; Ilzetzki – 2011; Ilzetzki and others – 2011, IMF-სადა OECD-ს სხვადასხვა

კვლევა

⁹⁶Spilimbergo, Symansky, and Schindler 2009, Baunsgaard and others 2012.

⁹⁷IMF – 2008; Mendoza and others – 2011 და Ilzetzki – 2011.

⁹⁸IMF, 2008.

⁹⁹Ghosh, Rahman 2008.

გადასახადს და საშემოსავლო გადასახადს. გადასახადებს მოხმარებაზე (დღე) აქვს შედარებით უკეთესი გავლენა. რაც შეეხება ქონების გადასახადს, იგი ყველაზე თავსებადია ეკონომიკურ ზრდასთან¹⁰⁰.

VAR მოდელზე დაყრდნობით, შესწავლილ იქნა ბულგარეთის ეკონომიკისათვის ფისკალური მულტიპლიკატორები შემდეგი ცვლადების გამოყენებით, რეალური მშპ, რეალური წმინდა შემოსავალი (მთლიანი შემოსავალი ტრანსფერების, სუბსიდიებისა და საპროცენტო შემოსავლების გამოკლებით), რეალური წმინდა ხარჯები (მთავრობის მოხმარება და ინვესტიციები). შედეგები მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 1

ფისკალური მულტიპლიკატორები ბულგარეთისთვის

პერიოდულობა	ყოველკვარტალური	ყოველთვიური	ყოველწლიური
დასაკვირვებელი პერიოდი	1999-2011	2003-2011	2003-2006
შემოსავლების მულტიპლ.	0.33	0.32*	0.42*
ხარჯების მულტიპლ.	0.04	0.31	0.16*

წყარო: Dirk Muir, Anke Weber – “Fiscal Multipliers in Bulgaria: Low But Still Relevant” – IMF European Department – WP/13/49.

* მულტიპლიკატორი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 95%-ით

პირველად შეფასდა კვარტალური მონაცემები, მაგრამ მონაცემთა სიმცირის გამო საიმედო შეფასებების მიღება ვერ მოხერხდა. შემდეგ ყოველთვიური მონაცემები 2003-2011 პერიოდისათვის და ასევე 2003-2006 პერიოდში – ევროკავშირში გაერთიანებამდე. შედეგად ჩანს, რომ კვარტალური მონაცემების საფუძველზე შეფასებული მულტიპლიკატორები არ არის მნიშვნელოვანი, ყოველთვიური მონაცემების საფუძველზე, მთელ პერიოდზე, ხარჯების მულტიპლიკატორი კვლავ უმნიშვნელო რჩება. თუმცა ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ ხარჯების მულტიპლიკატორი გაიზარდა, ხოლო შემოსავლებისა შემცირდა.

მეორე მიდგომის მიხედვით, მულტიპლიკატორები შესწავლილ იქნა სსფ-ის გლობალური ინტეგრირებული მონეტარული და ფისკალური (GIMF) მოდელის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება საერთო წონასწორობის დინამიკურ სტოხასტიკურ (DSGE) მოდელს და შინამეურნეობებისა და ფირმების ქცევის ოპტიმიზაციის მოდელს. იგი ფართოდ გამოიყენება სსფ-სა და მრავალი ცენტრალური ბანკის მიერ.

GIMF მოდელის გამოყენებით, განხილულ იქნა სამი რეგიონი, ბულგარეთი, ევროზონა და დანარჩენი მსოფლიო. სახელმწიფო ვალი მშპ-სთან მიხედვით იქნა 16%-ად (თავის საშუალოვადიან მნიშვნელობად), ლიკვიდურობაშეზღუდული შინამეურნეობების წილი კი 50%-ად. მიზანია სახელმწიფო ვალის შემცირება ყოველწლიურად მშპ-ს ერთი პროცენტით. თუ გარატყდა შესაბამისი ფისკალური პოლიტიკა, შემცირდება აგრეთვე ვალის მომსახურების ხარჯები, რაც ბიუჯეტში წარმოქმნის დამატებით სივრცეს. ვუშვებთ, რომ სახელმწიფო ამ დამატებით სივრცეს კონსოლიდაციისათვის კვლავ გამოიყენებს.

ცხრილი 2

ფისკალური მულტიპლიკატორები მშპ-ს ერთი პროცენტით ბიუჯეტის ბალანსის პერმანენტული ცვლილებისას (პროცენტული ცვლილება)

წელი	I	II	III	IV	V
სახელმწიფო ინვესტიციები	0.61	0.55	0.49	0.54	0.71
სახელმწიფო მოხმარება	0.51	0.33	0.13	0.02	0.01
მიზნობრივი ერთჯერადი ტრანსფერები	0.45	0.23	-0.07	-0.28	-0.35
საერთო ერთჯერადი ტრანსფერები	0.30	0.13	-0.12	-0.28	-0.31
მოგების გადასახადი	0.53	0.56	0.51	0.58	0.80
საშემოსავლო გადასახადი	0.40	0.44	0.42	0.41	0.43
გადასახადი მოხმარებაზე (დღე)	0.38	0.32	0.17	0.07	0.05

წყარო: Dirk Muir, Anke Weber – “Fiscal Multipliers in Bulgaria: Low But Still Relevant” – IMF European Department – WP/13/49.

სახელმწიფო ინვესტიციებს აქვს ყველაზე მაღალი მულტიპლიკატორი, რადგან სახელმწიფო ინვესტიციების შემცირება ინფრასტრუქტურაში უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის მწარმოებლურობაზე და აგრეთვე პირდაპირ შედის მშპ-ში.

ზოგადად, ტრანსფერები დაკონკრეტებას საჭიროებს. განსხვავებული ეფექტი აქვთ საერთო და მიზნობრივ ტრანსფერებს. კერძოდ ტრანსფერები, რომლებიც გამიზნულია იმ შინამეურნეობებისა და ფირმების მიმართ, რომლებსაც ფინანსურ ბაზრებზე ხელი არ მიუწვდებათ და იძულებულნი არიან მიმდინარე შემოსავლები მოიხმარონ მიმდინარე პერიოდში, პირდაპირ ზრდის ერთობლივ მოთხოვნას და აქვს უფრო დიდი ეფექტი, ვიდრე საერთო ტრანსფერებს, რომელსაც ის ფირმები და შინამეურნეობებიც იღებენ, რომელთაც კრედიტზე შეზღუდვა არ აქვთ და შეუძლიათ ხარჯების დროში განაწილება და ციკლებისათვის „ფხვის აწყობა“. შესაბამისად ამგვარ ტრანსფერებს შედარებით ნაკლები ეფექტი აქვთ.

შემოსავლების მხარეს, მოგების გადასახადს აქვს ყველაზე დიდი უარყოფითი ეფექტი მშპ-ზე, ასევე ინვესტიციებზე, რომელიც გრძელვადიან პერიოდში ამცირებს კაპიტალის მარაგებს და, შესაბამისად,

¹⁰⁰ OECD 2009, OECD 2010, EC 2010.

მწარმოებლურობას. საშემოსავლო გადასახადი არის მეორე, ყველაზე უფრო შემზღუდავი ინსტრუმენტი. საშემოსავლო გადასახადი შეამცირებს კაპიტალის მწარმოებლურობას, მაგრამ მას არ ექნება ისეთი გრძელვადიანი ეფექტი. იგი ასევე ამცირებს ლიკვიდურობაშეზღუდული შინამეურნეობების მოხმარებას, მაგრამ ვისაც ფინანსურ ბაზარზე ხელი მიუწვდება, მისთვის გაცილებით ნაკლები ეფექტი ექნება. დაბოლოს, მოხმარების დაბეგვრას აქვს ყველაზე მცირე გავლენა მშპ-ზე, ვინაიდან ის მხოლოდ ლიკვიდურობაშეზღუდული შინამეურნეობების მოხმარებას ამცირებს, ხოლო სხვები, ხვდებიან რა, რომ ეს მხოლოდ დროებითია და მომავალში ელიან განკარგვადი შემოსავლის კვლავ გაზრდას, ცდილობენ მოხმარება შეინარჩუნონ უცვლელად.

თუმცა ზემოთხსენებულ ცხრილში ჩვენ დაგუშვით, რომ შინამეურნეობებსა და ფირმებს სჯერათ მთავრობის გამოცხადებული კონსოლიდაციის გეგმის. თუ ეს ასე არ იქნება, შეიძლება დანახარჯები გაიზარდოს. ამგვარი სცენარი ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 3

ფისკალური მულტიპლიკატორები მშპ-ს ერთი პროცენტით ბიუჯეტის ბალანსის პერმანენტული ცვლილებისათვის, მოსახლეობის ნდობის საკითხის გათვალისწინებით
(პროცენტული ცვლილება)

წელი	I	II	III	IV	V
სახელმწიფო მოხმარება					
სარწმუნო დასაწყისშივე	0,51	0,33	0,13	0,02	0,01
სარწმუნო მეორე წლიდან	0,48	0,42	0,25	0,10	0,04
სარწმუნო მესამე წლიდან	0,48	0,38	0,34	0,20	0,10
სარწმუნო მეოთხე წლიდან	0,48	0,38	0,29	0,29	0,21

წყარო: Dirk Muir, Anke Weber – “Fiscal Multipliers in Bulgaria: Low But Still Relevant” – IMF European Department – WP/13/49.

ამ მაგალითში მხედველობაში გვაქვს მშპ-ს ერთი პროცენტით სახელმწიფო ვალის კონსოლიდაცია სახელმწიფო მოხმარების შემცირების ხარჯზე. თავიდანვე სარწმუნო ეს ის შემთხვევაა, რომელიც ცხრილი 2-ის მეორე სტრიქონშია მოცემული. სხვა სცენარის მიხედვით, ფირმებს და შინამეურნეობებს სჯერათ, რომ ხარჯვა დაუბრუნდება ძველ გზას. ცხრილი 3-ის მეორე სტრიქონი გვიჩვენებს შემთხვევას, როცა ფირმებსა და შინამეურნეობებს სჯერათ, რომ კონსოლიდაცია დროებითია პირველ წელს, მაგრამ მეორე წლიდან რწმუნდებიან მის პერმანენტულ ხასიათში.

საბოლოოდ შემდეგი დასკვნის გაკეთება შესაძლებელია: GIMF მოდელზე დაყრდნობით, ბულგარეთის მაგალითზე, სახელმწიფო შესყიდვების კუთხით, კაპიტალურ ხარჯებს აქვს ყველაზე დიდი მულტიპლიკატორი საშუალოვადიან პერიოდში, შემდეგ სახელმწიფო მოხმარებას და ტრანსფერებს. შემოსავლების კუთხით კი მოგების გადასახადს, შემდეგ საშემოსავლოსა და მოხმარებაზე გადასახადს (დღე).

ფაქტი, რომ მულტიპლიკატორები შესამჩნევად განსხვავდება ფისკალური ინსტრუმენტების მიხედვით, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის ოპტიმალური დაგეგმვისათვის. ამ კუთხით ბულგარეთის ბიუჯეტი ეკონომიკური ზრდისათვის საკმაოდ მოქნილია, ვინაიდან შემოსავლების მხრივ პირდაპირი გადასახადები მცირეა და შესაბამისად შემოსავლებში არაპირდაპირი გადასახადების წილი აჭარბებს პირდაპირ გადასახადებს (იხევე, როგორც საქართველოში).

იმისათვის, რომ ბიუჯეტი გახდეს უფრო მოქნილი ეკონომიკური ზრდის მიმართ, სტატიის ავტორები შემდეგ რეკომენდაციებს ვეთავაზობენ:

- უნდა გაიზარდოს კაპიტალური ხარჯები ინფრასტრუქტურაში. სასურველია ამ უკანასკნელის დაფინანსება ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების ხარჯზე გაზრდილი დასაბეგრი ბაზის გაფართოებით. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზრდილ სახელმწიფო ვალს ექნება კერძო ინვესტიციების გამოიკვების ეფექტი;
- უნდა გადაიხედოს სუბსიდიებისა და სხვა ტრანსფერების მიზნობრიობის საკითხი;
- საკენსიო რეფორმა უნდა იყოს შრომისუნარიანი ასაკის გაზრდისაკენ მიმართული, რაც, ერთი მხრივ, შეამცირებს პერმანენტულ საპენსიო ხარჯებს, ხოლო მეორე მხრივ, გაზრდის დასაბეგრი შრომის მოცულობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ოლივიე ბლანშარი, მაკროეკონომიკა, V გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
2. მაკროეკონომიკა, ლექციების კურსი ბაკალავრის სტუდენტებისათვის: ნ. ხაღური, ნ. კაკულია, მ. ჩიქობავა, თბილისი 2011.
3. Dirk Muir, Anke Weber – “Fiscal Multipliers in Bulgaria: Low But Still Relevant” – IMF European Department – WP/13/49.

Tinatin Loladze

THE FISCAL MULTIPLIER AND INTERNATIONAL EXPERIENCE

Annotation

For the realization of macro-economic goals the macroeconomic tools are used by the government. When planning fiscal policy, it is necessary to assess the impact of various changes in different economic variables. The magnitude and direction of this influence depends on the fiscal multiplier. So it becomes necessary to obtain reliable estimates, But the problem lies in the fact that their assessment is not an easy thing to do. Even in the modern economies the fiscal multiplier estimates is not too clear and even more difficult to show a bit of experience in small open economies, such as Georgia. In a view that the fiscal policy planning requires

the existence of any representation in connection with this multiplier measures it would be better if you use the method of analogy and study examples for similar economics.

The Bulgarian economy can be considered more or less similar economy and making sense of the International Monetary Fund - a practical article where is represented the study of the authors based on the GIMF model (global integrated monetary and fiscal model), as well as an overview of various authoritative studies concerning this issue. However, it should be noted that most of these studies have been conducted on the example of a developed economy. Thus, the example of Bulgaria will be more interesting for us, as well as for the other small open economies. The main conclusions that arise from this article is that the values of fiscal multipliers are dependent on the general state of the economy. They are higher during recessions than in boom.

უშანი საბადაშვილი

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაცია

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში ყველაზე მწვავე პრობლემაა ეკონომიკური ზრდა. ამაზე მეტყველებს “რია-ანალიტიკის” მიერ გამოქვეყნებული რეიტინგის მონაცემები, რომლის მიხედვით, საქართველო, ეკონომიკის განვითარების დონით, ანუ მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ-ის მიხედვით, მსოფლიოში 112-ეა. აღნიშნული ჩამორჩენის მინიმიზება – დაძლევის უმთავრესი საშუალებაა კი ქვეყნის საქონლისა და მომსახურების წარმოებისუნარიანობის ამაღლება, ანუ ეკონომიკური ზრდაა. საქმე ისაა, რომ ეკონომიკის რეალურ სექტორში მწარმოებლურობის ამაღლება იწვევს დაქირავებული მუშაკების ხელფასებისა და მეწარმეების მოგების ზრდას. ხელფასებისა და მოგების ზრდა აპრობებს საშემოსავლო და მოგების გადასახადების ზრდას. გადასახადების ზრდა იწვევს ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას. შემოსავლების გადიდება კი საუკეთესო საშუალებაა საბიუჯეტო ორგანიზაციის მუშაკების დამსახურების შესაბამისად ხელფასების ზრდისა და სოციალურად დაუცველი ფენების უზრუნველყოფისა, ანუ თითოეული მოქალაქის საყოველთაო და დიფერენცირებული კეთილდღეობისა.

ზემოთქმულთან კონტრასტში, წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის დახასიათება; ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის არსის გახსნა და არსებული მდგომარეობიდან გამოსვლაში მისი ობიექტური აუცილებლობის არგუმენტირება; ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის მნიშვნელობის გამოკვეთა და გაუმჯობესების გზების დასახვა.

რა მდგომარეობაა დღევანდელ საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითად ინდიკატორებთან დაკავშირებით?

ნებისმიერი ნორმალურად მოწყობილი, საშუალოდ განვითარებული ქვეყნის ეკონომიკაში რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს მინიმუმ 5000-12000 აშშ დოლარს. საქართველოში კი ეს მაჩვენებელი ტოლია 3596 აშშ დოლარის. ამ მაჩვენებლით საქართველო ეკონომიკურად უტოლდება 1910 წლის დროინდელ აშშ-ს (ე.ი. საქართველო ეკონომიკურად ჩამორჩება აშშ-ს მინიმუმ ერთი საუკუნით!), ხოლო ევროკავშირის დღევანდელ საშუალო მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ შეადგენს 32000 აშშ დოლარს) ჩამორჩება რვაჯერ. საქართველოს ევროკავშირისაგან ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად (თუ დავუშვებთ, რომ ევროკავშირი ამ დონეზე დარჩება), ჩვენს გათვლებით, დასჭირდება დაახლოებით 30 წელი;

უმუშევრობის ნორმა უნდა შეადგენდეს 5-6%-ს, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი ოფიციალური სტატისტიკით ტოლია 15%-ის. ამასთან, არსებობს უფრო პესიმისტური გათვლებიც, რომლის მიხედვით, საქართველოში უმუშევრობა შეადგენს 70%-ს. ეს კი ერთობ ზრდის ფაქტობრივი მშპ-ს პოტენციური მშპ-დან ჩამორჩენას;

ისეთი მცირე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, უმუშევრობაზე ტრადიციული რეაქცია ემიგრაციის მაღალი დონეა. საქართველოში წმინდა მიგრაციული დანაკარგი დაახლოებით 1100000-ა, რაც მოსახლეობის დაახლოებით 20 პოცენტია. ამის გამოა, რომ საზღვარგარეთ საქართველოს მეტი ჰყავს დაქირავებით დასაქმებული (750-800 ათასი კაცი), ვიდრე ქვეყნის შიგნით – 600 000. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში არსებული მოთხოვნის დიდი ნაწილი უცხო ქვეყნებში იქმნება (უცხოეთში მყოფი თანამემამულეების ფულადი გზავნილები საქართველოში წელიწადში 1 მლრდ დოლარს აღემატება, რაც ზოგჯერ ჰოლანდიური დაავადების საშიშროებას აჩენს);

ქვეყნის გარეთ შექმნილი მოთხოვნა სამომხმარებლო კალათაში წაახალისებს იმპორტს. ასე მაგალითად, ჩვეულებრივ, სამომხმარებლო კალათაში უნდა ჭარბობდეს სამამულო პროდუქცია, საქართველოში კი იმპორტული პროდუქცია შეადგენს სამომხმარებლო კალათის 75%-ს. ე.ი. სამამულო ბაზარი გაჯერებულია არა მწარმოებლურობის ამაღლებით, არამედ იმპორტის ექსპორტზე გადამეტებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული პროდუქცია საშინაო ბაზარზეც კი არ არის კონკურენტუნარიანი. ე.ი. ქვეყანაში დომინირებს უცხო ქვეყნების “მეორე ეკონომიკები”, ანუ საქართველოში არსებული მიწოდების უდიდესი ნაწილი ქვეყნის გარეთ იქმნება;

ინვესტიციების წილი მშპ-ში უნდა შეადგენდეს 25%-ს, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 5-10%-ა. ე.ი. საქართველოს ეკონომიკას ძირითადად მომხმარებლური ხასიათი აქვს. მოიხმარება მშპ-ს 90-95%, ხოლო ინვესტიციებზე მიდის 5-10%. ის ქვეყანაა კი, რომელსაც დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს, ხვალ უფრო ნაკლებ კვერცხსა და ქათამს მიირთმევს;

საარსებო მინიმუმს ქვემოთ უნდა იყოს მოსახლეობის არაუმეტეს 10%-ისა, საქართველოში კი 40%-ია. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის სულ ცოტა 40% სიღარიბეშია. სიღარიბესთან ბრძოლას კი, გარდა ჰუმანურობისა, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობაც აქვს. სიღარიბეში მყოფ ადამიანებს უჭირთ როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობა, რაც აძლიერებს ავტორიტარულ ტენდენციებს და ზღუდავს ქვეყნის განვითარების პერსპექტივას. ლოგიკურად, საგარეო ვაჭრობა, ანუ ქვეყნის კარგახსნილობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ექსპორტი იმპორტს აბალანსებს ან ჭარბობს, საქართველოში კი იმპორტი ექსპორტს 3,5-ჯერ აღემატება. ეს იმას ნიშნავს, რომ

ქართული პროლექცია საგარეო ბაზარზე არ არის კონკურენტუნარიანი. ე.ი. საქართველოს ქვეყნის გარეთ არა აქვს ე.წ. "მეორე ეკონომიკა";

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში არსებული მიწოდებისა და მოთხოვნის უდიდესი ნაწილი ქვეყნის გარეთ იქმნება. გამოდის, რომ საქართველოში არასაკმარისია მწარმოებელი და მომხმარებელი, ხოლო შუამავალი ჭარბადაა. ეს კი ეკონომიკის ამორფულობაზე მეტყველებს.

ეკონომიკური მეცნიერებიდან და მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, ამგვარ მდგომარეობაში მყოფი განვითარებადი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლების მთავარი საშუალება არის საშინაო და საგარეო მოთხოვნისა და შესაძლებლობების შესაბამისად სწრაფი ეკონომიკური ზრდა ანუ ეკონომიკური ზრდის დაჩქარება.

მაშ, საქართველოს მთავრობა რატომ აკეთებს აქცენტს ინკლუზიურ ზრდაზე და, საერთოდ, რა მოიაზრება მასში? ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა გულისხმობს, ერთი მხრივ, მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას, ანუ ყველა ფენის მონაწილეობას ეკონომიკური დოვლათის ზრდის პროცესში და, მეორე მხრივ, ეკონომიკური ზრდით მოტივირებული სიკეთით ყოველი მოქალაქის მიერ სარგებლობას. სხვაგვარად, ინკლუზიური ზრდის სიკეთე ადამიანებმა დასაქმებით, შემოსავლების ზრდის შესაძლებლობების გაჩენით უნდა იგრძნონ და არა სოციალური დახმარებით და არა იმით, რომ სახელმწიფო ეკონომიკურად გაძლიერდება და მერე მათ სოციალურ დახმარებას გაუზრდის. ამგვარი მიდგომა ადამიანთა ერთ ნაწილში სხვის კმაყოფილებაზე ყოფნის, პატერნალისტურ ფსიქოლოგიას აყალიბებს, აპასიურებს მათ და ამუხრუჭებს ეკონომიკურ განვითარებას.

რამ განაპირობა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ობიექტური აუცილებლობა საქართველოში? ქვეყანაში ბოლო ათი წლის განმავლობაში ეკონომიკა კი იზრდებოდა, მაგრამ ნაზრდი დოვლათი თავს იყრდა ადამიანთა ვიწრო ჯგუფის ხელში. რის გამოც ვერ მოხერხდა სიღარიბის შემცირება და ეკონომიკური ზრდის ასახვა მოსახლეობის საყოველთაო კეთილდღეობაზე. ამან გააღრმავა უფსკრული მდიდარსა და ღარიბს შორის, რაც გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სოციალური გაირყეულობისა და აპათიისა.

სწორედ ამიტომ, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ზრდის საფუძველზე სიღატაკის დაძლევა, სიღარიბის შემცირება, ცხოვრების დონის ამაღლება და მოსახლეობის საყოველთაო და დიფერენცირებული კეთილდღეობის მიღწევა მოსახლეობაში შემოსავლების შესაძლებლობების გაჩენითა და სახელმწიფოს მიერ უღარიბესი ფენებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარების გაწევით. ამასთან, "მდგრადი განვითარების" დროს ამჟამინდელი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს ისე, რომ ზიანი არ მიაღვეს მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას რესურსების ამოწურვისა და გარემოს დეგრადაციის გამო.

თავის მხრივ, გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ზრდისათვის აუცილებელია არა არასტაბილური სტაბილურობა (რასაც, სამწუხაროდ, ბოლო დროს აქვს ადგილი), ან არა უბრალოდ მდგრადი, არამედ პროგნოზირებადი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა. ამ უკანასკნელის გარეშე ინვესტიციებზე საერთოდ და, მით უფრო, გრძელვადიან უცხოური ინვესტიციებზე და მის თანმდევ დადებით ეფექტებზე ლაპარაკი კი ზედმეტია. არადა, ინვესტიცია ეკონომიკისთვის იგივეა, რაც საწვავი ავტომობილისთვის. როგორც საწვავის გარეშე ვერ მოძრაობს ავტომობილი, ისე ინვესტიციების გარეშე – ეკონომიკა.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე კი, მდგრადი და პროგნოზირებადი სტაბილურობის გარანტი არის საშუალო ფენა (კლასი), რომელიც უნდა მოიცავდეს მოსახლეობის 50-60%-ს მაინც. საშუალო კლასი (middle class) არის საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელსაც თავისი სტატუსით შუალედური მდგომარეობა უჭირავს მაღალ (მდიდრებსა) და დაბალ კლასს (ღარიბებს) შორის. საშუალო კლასი არის ერთგვარი "ბუფერი", რომელიც მიჯნავს დაპირისპირებულ მხარეებს, მდიდრებსა და ღარიბებს და არ აძლევს მათ შეჯახების შესაძლებლობას. რაც უფრო თხელია ეს "ბუფერი" (საშუალო კლასი), მით უფრო ახლო დგანან დაპირისპირებული მხარეები და მით მეტი შანსია მათი შეჯახებისა და - პირიქით. იმიტომ, რომ როდესაც საზოგადოება მხოლოდ ღარიბების უდიდესი და მდიდრების უმცირესი რაოდენობით არის წარმოდგენილი, არსებობს დაპირისპირებული მხარეების შეჯახების დიდი ალბათობა, ანუ რევოლუციური საშიშროება და, შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობის საფრთხე. ამასთან, მხოლოდ მდიდრებისა და ღარიბების სტრუქტურით წარმოდგენილ საზოგადოებაში ეფექტიან, ინოვაციურ ეკონომიკაზე და დემოკრატიულ, მიუკერძოებელ, თავისუფალ არჩევნებზე ლაპარაკი კი ზედმეტია.

სამწუხაროდ, ამ კონტექსტში, სტრატეგია "საქართველო 2020"-ის პროექტში ძლიერი საშუალო კლასის ფორმირების და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებლობისა და ქმედითი ღონისძიებების შესახებ საერთოდ არაფერია ნათქვამი, რაც, ჩვენი აზრით, სერიოზული ხარვეზია და უთუოდ უნდა აღმოიფხვრას. საჭიროა გვახსოვდეს ისიც, რომ საქართველოს ნატოსთან და ევროკავშირთან ინტეგრაციისაკენ მიმავალი გზა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე გადის!

აღნიშნული ნეგატიური ტენდენციების აღმოფხვრა-მინიმიზებისა და საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის საფუძველზე ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა:

- არა მხოლოდ დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სატრანზიტო ფუნქციაზე, გარედან მიღებულ შემოსავლებსა და იმპორტზე ორიენტაცია, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებსა და მსოფლიო ეკონომიკასთან სულ უფრო სრული, ფართო, ორმხრივი ინტეგრაცია და საშინაო წარმოების გაჩაღება (მხედველობაში გვაქვს ეკონომიკური ზრდის სტიმულირება იმპორტჩანაცვლების პოლიტიკით, ასევე ექსპორტის ზრდით, მისი სტრუქტურის ოპტიმიზაციითა და დივერსიფიკაციით!);

- მსოფლიოსთან ინტეგრაციის გაფართოება-გაღრმავების მიზნით ეროვნული მეურნეობის მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია (გამრავალფეროვნება). მოდერნიზაცია გულისხმობს პოსტსაბჭოური ეროვნული ეკონომიკის, ტექნიკისა და ტექნოლოგიების თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებისა და გემოვნების შესაბამისად განახლებას, ანუ მის გათანამედროვეობას. ეს მოითხოვს ჰიდროენერჯეტიკის, სოფლის მეურნეობის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის და ტურისტული პოტენციალის სულ უფრო სრულ და

ეფექტიან რეალიზაციას. მნიშვნელოვანია ფასი, ხარისხი, ლარის ბუნებრივი კურსი და სტაბილური მიწოდება. ციტრუსების, ხილისა და სხვათა მიწოდების სტაბილურობისა და ხარისხის მიღწევა კი შეუძლებელია სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობის გარეშე, ე. ი. აუცილებელია ამ სფეროებში ინვესტიციების განხორციელება, რათა შესაძლებელი გახდეს წელიწადის ნებისმიერ დროს ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება;

- **ინფრასტრუქტურის სხვადასხვა კომპონენტის განვითარება.** საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია შეუძლებელია ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების, საავტომობილო ტრასებისა და რკინიგზის, აეროპორტებისა და საზღვაო პორტების მშენებლობის გარეშე;

- **ქვეყნის წარმატების საწინდარია ადამიანი, რომლის "ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია".** სწორედ ამიტომ, საქართველომ უნდა დაიცავს და განავითაროს თავისი ადამიანი-კაპიტალი. ამისათვის მნიშვნელოვანია მეტი ინვესტიციები განათლებასა და ჯანდაცვაში, რადგან ქვეყანას იაფი და უხარისხო ცოდნა უფრო მეტი უჯდება, ვიდრე ძვირი, მაგრამ ხარისხიანი ცოდნა;

- **სამუშაო ძალის პორიზონტალური მობილობის მიზნით შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განათლების უწყვეტი სისტემის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების კურსების დანერგვა, რადგან სათანადო ცოდნის, გამოცდილების, უნარ-ჩვევებისა და მუდმივი განახლების უნარის მქონე ადამიანების გარეშე არავითარი კონკურენტუნარიანი რესურსი არ არსებობს;**

- აუცილებელია, ასევე, საკუთარი ადამიანი-კაპიტალის დაცვა-შენარჩუნება ე.წ. "ტენების გადინებისაგან" და მისი განვითარება. აქტუალურია მაღალკვალიფიციურ და მაღალანაზღაურებად შრომაზე დამყარებული ინოვაციური ეკონომიკის შექმნა, ინტერნეტით მოსარგებლეთა რაოდენობის ზრდა, საზღვარგარეთ მოგზაურობა, მრავალი ქვეყნის გაცნობა და თანამედროვე განათლების მიღება;

- **ლიბერალური, ღია ეკონომიკის ადეკვატური პროფესიული უზრუნველყოფა.** ღია ეკონომიკა, არსებითად, ეს არის ინგლისურენოვანი ეკონომიკა. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო ბიზნესის სპეციალისტს მოეთხოვება ინგლისური ენის ჯეროვანი ცოდნა. ამას გარდა, საერთაშორისო ბიზნესის თავისებურებების გაგებისთვის სტუდენტმა სასწავლო დროის რაღაც ნაწილი (ერთი-ორი სემესტრი მაინც) უნდა გაიაროს საზღვარგარეთ. საერთაშორისო ბიზნესის სპეციალისტმა ასევე უნდა იცოდეს ბიზნესის წარმოების ქართული თეორია და პრაქტიკა. ე.ი. საერთაშორისო ბიზნესის სპეციალისტი ერთდროულად უნდა იყოს ეროვნულიც და გლობალურიც. ამასთან, ეს მოდელი უნდა განხორციელდეს როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში;

- **სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირება-განვითარება.** კერძოდ, ეკონომიკას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პოლიტიკასთან მიმართებაში, ანუ ეკონომიკა უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკის ტყვეობისაგან; მთავარ რეფორმატორად უნდა გამოვიდეს არა რომელიმე პოლიტიკური პარტია, არასამთავრობო ორგანიზაცია თუ რელიგიური ორგანიზაცია, არამედ სახელმწიფო. ცხოვრების ყველა სფეროში მთავარი უნდა იყოს კანონი. კანონის უზენაესობა საიმედოდ დაიცავს კერძო საკუთრებას. მნიშვნელოვანია ხელისუფლების შტოების ურთიერთშეკავებისა და წონასწორობის მექანიზმი, რომელიც აუცილებელია ყველა დონის ჩინოვნიკებზე კონტროლისათვის. სტაბილური და პროგნოზირებადი კანონმდებლობისა და ინვესტიციური რეჟიმის გარეშე შეუძლებელია კაპიტალის და "ნოუ-ჰაუს" მოზიდვა, საქართველოს მოსახლეობისა და მისი ბუნებრივი რესურსების მთელი პოტენციალის რეალიზება და ჯანსაღი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა;

აუცილებელია ევროპასთან პარმონიზებული ინსტიტუციური გარემო. ევროპული ინსტიტუციური გარემო კი გულისხმობს არა მხოლოდ ცივილიზებულ კანონებს, სამართლებრივ ნორმებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც მიიღებენ და დაიცავენ კანონებს, არამედ მოსახლეობის მართლშეგნების, კანონისადმი მორჩილების, პატივცემული დამოკიდებულების გამოქმნაზე, ე. ი. მართლშეგნების მდიდარ გრადიენტსაც. ცხადია, ყოველივე ამას გარკვეული დრო სჭირდება. მით უფრო საქართველოში, სადაც, **დიდი ილიას თქმით, კანონი გზაზე გადებული თოკია, რომელსაც დიდი კაცი ზემოდან გადააბიჯებს, პაგარა კაცი კი ქვემოდან ძერება.**

ჩემი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი ურთიერთდაკავშირებული დონისძიებების გატარება ძლიერ გავლენას მოახდენს საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციაზე, ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის საყოველთაო და დიფერენცირებულ კეთილდღეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვირის პალიტრა. 16 აპრილი. 2014;
2. უ. სამადაშვილი. ბიზნესის საფუძვლები. თბ; "უნივერსალი". 2013. გვ.430;
3. ი. ღარიბაშვილი. ჩვენი სიძლიერე ჩვენი ინტელექტუალური რესურსია. მსოფლიო 2014. გვ. 134;
4. ნ. ხადური. საქართველოს ეკონომიკის ძირითადი პრობლემები. "ეკოპალიტრა" 24-02-2014;
5. ი. ღარიბაშვილი. ჩვენი სიძლიერე ჩვენი ინტელექტუალური რესურსია. მსოფლიო 2014. გვ. 134.
6. უ. სამადაშვილი. ბიზნესი და ინოვაციური ეკონომიკა - საშუალო კლასის ფორმირების წყარო საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 24-25 მაისი, 2013, ქუთაისი.

Ushangi Samadashvili

INCLUSIVE ECONOMIC GROWTH AND INTEGRATION WITH THE WORLD ECONOMY

Annotation

The paper describes the current poor state of the economy of Georgia, is justified in the circumstances outlined in his speech, and the necessity of realizing the objective of inclusive economic growth, the role of human capital. It is emphasized that inclusive economic growth implies, on the one hand, the involvement of the general population, economic wealth and growth process, on the other hand, economic growth brought on by the use of the good of all citizens.

According to the author, for Georgia's sustainable economic growth and integration into the world economy, it is necessary to: implement modernization of the national economy, which in turn requires a significant investment in infrastructure; protection and development of human capital; ensuring open economy adequately and professionally; formation and development of governmental economic and political institutions, restoration of Georgia's territorial integrity, etc.

*ნუნუ ქისტაური
მედეა მელაშვილი*

საბარემო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების პირობაში ასევე

დღევანდელ მსოფლიოში არსებობს მრავალი გლობალური პრობლემა, რომელთა გადაჭრა ცალკეული სახელმწიფოებისათვის შეუძლებელია და ერთიან ძალისხმევას მოითხოვს: სიღარიბის და ჩამორჩენილობის დაძლევა, მშვიდობის დამყარება და განიარაღება, სურსათით უზრუნველყოფა, ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა, ეკოლოგიური და დემოგრაფიული სტაბილურობა, ადამიანური პოტენციალის განვითარება, მსოფლიო ოკეანის და კოსმოსის ათვისება და სხვ.

თანამედროვე მსოფლიოში მიღებული თამაშის წესების შესაბამისად უნდა შეიქმნას საექსპორტო საქმიანობის ხელშემწყობი იმგვარი გარემო, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციას და გლობალიზაციას და განაპირობებს საგარეო ვაჭრობის, კაპიტალის მოძრაობისა და სავალუტო-ფინანსური ურთიერთობების ლიბერალიზაციას. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დადებით მომენტებთანაა დაკავშირებული საგარეო ვაჭრობა. იგი თითოეულ ადამიანს საშუალებას აძლევს, მოიხმაროს მეტი და უფრო მრავალფეროვანი საქონელი და მომსახურება.

დღეისათვის მეტად მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების იმგვარი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო ეკონომიკის მარეგულირებელ კანონებთან და ხელს შეუწყობს ექსპორტის განვითარებას.

ეკონომიკის რეგულირების პრობლემის შესახებ განსხვავებული შეხედულებების არსებობის გამო დროთა განმავლობაში ეკონომიკურ თეორიაში ყალიბდებოდა შესაბამისი თეორიული საფუძვლები. ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს მონაწილეობის შესახებ ადრეული პერიოდიდან (მე-17 საუკუნე) ძირითადად გამოიკვეთა ორი თეორიული მიმართულება მერკანტილიზმი (თ. მენი, ა. მონკრეტიენი, ჯ. ლოკი და სხვ.) და ფიზიოკრატია (დე გურნე, ფ. კენე და სხვ.).

XVIII საუკუნეში ა. სმიტმა ჩამოაყალიბა ე.წ. აბსოლუტური უპირატესობის თეორია, ხოლო ოდნავ მოგვიანებით, დ. რიკარდომ, განავითარა რა ზემოაღნიშნული თეორია, ჩამოაყალიბა შედარებითი უპირატესობის თეორია, რომელიც გულისხმობს ქვეყნების სპეციალიზაციას იმ საქონელსა და მომსახურებაზე, სადაც მათ გააჩნიათ ნაკლები დანახარჯები, ე.ი აქვს შედარებითი უპირატესობა სხვების მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე დიდი მეცნიერი დაუშვებლად თვლიდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას.

გასული საუკუნის 40-იან წლებში ცნობილია ამერიკელმა ეკონომისტმა ვ. ლეონტიევმა, გამოიკვლია რა აშშ-ს ექსპორტის და იმპორტის სტრუქტურა, შეიმუშავა ე.წ. ლეონტიევის პარადოქსი. სახელდობრ, ამერიკის ექსპორტი იმპორტთან შედარებით უფრო შრომატევადი და ნაკლებად კაპიტალტევადი გახდა (ანუ ამერიკის ეკონომიკამ სპეციალიზაცია მოახდინა იმ დარგებში, რომელიც კაპიტალთან შედარებით მეტ შრომას მოითხოვდა).

საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემათა შესწავლისას ფართოდ იყენებენ მულტიპლიკატორის თეორიას. კეინზმა მოგვცა საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად შემოსავლების ზრდის მულტიპლიკატორის ცნება. მისი თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს აქტიური როლის შესრულება ძალუძს ეკონომიკის რეგულირებაში.

მისი აზრით, სახელმწიფოს, ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით, უნდა განეხორციელებინა ეკონომიკის რეგულირება, ვინაიდან საბაზრო მექანიზმი უძლური იყო.

XX საუკუნის II ნახევარში ფართო გავრცელება პოვა მ. პორტერის კონკურენტული უპირატესობის თეორიამ (ე.წ. პორტერის აღმასმა). ამ თეორიის მიხედვით, საერთაშორისო კონკურენტული უპირატესობა დამოკიდებულია მაკროეკონომიკაზე, რომელიც განისაზღვრება არა მარტო წარმოების ფაქტორებით, არამედ შიგა ბაზარზე მოთხოვნით, მენეჯმენტისა და კონკურენციის დონით, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკით, მონათესავე და მომიჯნავე დარგების განვითარების დონით და შემთხვევითი მოვლენებით. ამ დეტერმინანტთა შეთანაწყოება განაპირობებს ქვეყნების კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

თანამედროვე ეტაპზე აღნიშნული თეორია ითვლება საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის პრობლემისადმი ყველაზე თანამედროვე მიდგომად.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიასა და პრაქტიკაში განსხვავებულ საგარეო ვაჭრობისადმი ორ ურთიერთსაპირისპირო მიდგომას – თავისუფალ ვაჭრობას და პროტექციონიზმს. პირველი გულისხმობს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების წარმოებას ყოველგვარი აკრძალვებისა და შეზღუდვების გარეშე, ხოლო მეორე – იმპორტის შეზღუდვას სამამულო წარმოების სტიმულირების მიზნით. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენებოდა სხვადასხვა მიდგომა. მსოფლიოში გასული საუკუნის 30-70-იან წლებში უფრო ჭარბობდა თავისუფალი ვაჭრობის ტენდენცია, 70-იანი წლებიდან – პროტექციონიზმი, 80-იანი წლებიდან – ლიბერალიზმი, 2011 წლიდან პროტექციონიზმი და ა. შ.

ფორმების სტიმულირების პროტექციონისტული პოლიტიკა ხორციელდება ორი გზით: სამამულო წარმოებისადმი ხელშემწყობი ქვეყნის შიგნით (საშინაო პროტექციონიზმი) და საწარმოების სტიმულირებით საგარეო ვაჭრობის რეგულირების მექანიზმების გამოყენებით (საგარეო პროტექციონიზმი).

სამამულო წარმოების განვითარების სახელმწიფო რეგულირების მიზანშეწონილობის შესახებ არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ სახელმწიფო ნაკლებად უნდა ჩაერიოს ეკონომიკაში.

ნომიკაში, მ.შ. საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობაში, მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა შეზღუდოს უცხოური პროდუქციის შემოდინება ქვეყანაში. ჩვენი პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო აქტიურად უნდა ერეოდეს სამამულო წარმოების რეგულირებაში როგორც ეკონომიკური, ასევე სამართლებრივი და ორგანიზაციული ინსტრუმენტებით და ახორციელებდეს ჩვენი საწარმოების საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის სტიმულირებას. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია ზოგიერთ შემთხვევაში საფრთხეს უქმნის სამამულო წარმოებას, ამიტომ აუცილებელი ხდება საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირება.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ლიბერალური მოდელი, რომლის საფუძველზე ვითარდება საქართველოს ეკონომიკა, უარყოფს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას. მაგრამ თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობა აქტიურად ერევა ქვეყნის ეკონომიკაში საექსპორტო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით. საბაზრო ურთიერთობათა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენებოდა და დღესაც აქტიურად იყენებენ საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების პრაქტიკას. ადგილობრივი საწარმოების საექსპორტო საქმიანობა წახალისებული უნდა იქნეს უპირატესად და ძირითადი ძალისხმევა გადატანილ უნდა იქნეს ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოებზე. აუცილებელია შეფასდეს საქართველოს თანამედროვე საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და დაისახოს მისი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა ღონისძიებათა სისტემა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საერთაშორისო ვაჭრობაზე უდიდეს გავლენას ახდენს ვალუტის კურსის ცვლილება. სახელდობრ, ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურება ზღუდავს იმპორტს და სტიმულს აძლევს ექსპორტს, ხოლო პირიქით, ეროვნული ვალუტის ზრდა (გაძვირება) იწვევს საპირისპირო სიტუაციას – ექსპორტის შემცირებას და იმპორტის ზრდას.

1994 წელს ჩამოყალიბდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც არეგულირებს საქონლით საერთაშორისო ვაჭრობას. ამ დროს განხორციელდა საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის უფრო სრულყოფილი ფორმით ჩამოყალიბება და ამოქმედება. აქ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიღა არა მხოლოდ ანტიდემპინგური და საკომპენსაციო გადასახადებით სატარიფო რეგულირების, არამედ არასატარიფო რეგულირების მიმართულებითაც. მ.შ. ტექნიკური ბარიერების, იმპორტის ლიცენზირების და სოფლის მეურნეობის შესახებ შეთანხმებათა სახით. ამასთან, მნიშვნელოვნად გაძლიერდა ე.წ. გამჭვირვალობის მოთხოვნა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული სავაჭრო დავების მოგვარების მექანიზმთან დაკავშირებით.

2000 წლის 12 ივნისიდან საქართველო გახდა ვმოს სრულყოფილი წევრი. დღეისათვის ეს ორგანიზაცია აერთიანებს 157 ქვეყანას, რომლებზედაც მოდის მსოფლიო ვაჭრობის 97%-ზე მეტი (საქართველო 137-ეა).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გაწევრიანებამ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გამოიწვია გარკვეული დადებითი ძვრები. სახელდობრ, მსოფლიო სავაჭრო სისტემაში საქართველოს ინტეგრაცია ხელს უწყობს სტაბილურობის მიღწევას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელი კავკასიის რეგიონში. ამასთან, საქართველო სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით წევრი ქვეყნების ბაზარზე – ხდება წევრი ქვეყნების მიერ ტარიფების შემცირება.

ამრიგად, საქართველოს შესვლა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ხელს შეუწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, იგი სარგებლობს შემცირებული საბაჟო გადასახადებით იმპორტირებულ ნახევარფაბრიკატებსა და ნედლეულზე. ეს კი ხელს შეუწყობს შიგა ინვესტირებისა და წარმოების ზრდას, რაც შესაძლებელს გახდის დაინერგოს პროდუქციის წარმოების მსოფლიოში არსებული საუკეთესო ტექნოლოგიები. ამასთან, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში შესაძლებელია საქართველომ დაიცვას საკუთარი ინტერესები დავების მოგვარების სხვადასხვა მექანიზმებით მას შეუძლია განახორციელოს მოლაპარაკებები წევრ ქვეყნებთან საკუთარი პროდუქციის მათ ბაზრებზე გასაღების ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ საექსპორტო ტარიფებს აწესებენ ძირითადად ბიუჯეტის შევსების (თუ ქვეყანა მონოპოლისტია მსოფლიო ბაზარზე, მაგ., როგორც ბრაზილიაა ყავის ბაზარზე ან ტაილანდი – ბრინჯის ბაზარზე) ან ნედლეულის გადინების შეფერხება-შეზღუდვის მიზნით (დაუმუშავებელი ხე-ტყის გატანაზე დაწესებული გადასახადი ხელს უშლის ქვეყნიდან მის გატანას).

ზოგადად, ტარიფი იწვევს არა მხოლოდ იმპორტირებული, არამედ ეროვნული წარმოების საქონლის გაძვირებასაც. ტარიფის დაწესებით მწარმოებლები სარგებელს იღებენ როგორც ვაჭრობის გაზრდით, ასევე შემოღებული ტარიფის შედეგად პროდუქციის გაძვირებით.

სატარიფო კვლავ საგარეო ვაჭრობის რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. იგი არეგულირებს საქონლის იმპორტს და წარმოადგენს ნებართვას ქვეყანაში განსაზღვრული რაოდენობის ან დაბალი განაკვეთით საქონლის შემოტანაზე, ხოლო ზედმეტი საქონლის შემოტანა იბეგრება ჩვეულებრივი საბაჟო განაკვეთით. ამგვარი ტარიფი ხელსაყრელია ისეთი ქვეყნისათვის, რომელიც რაიმე პროდუქციას აწარმოებს არასაკმარისი რაოდენობით. თუ ქვეყანას სურს სამამულო წარმოების განვითარება, იგი დააწესებს დაბალ საბაჟო ტარიფს პროდუქციის განსაზღვრულ რაოდენობაზე (ე.ი. რაც მას ესაჭიროება იმ რაოდენობაზე), ხოლო დანარჩენი რაოდენობა დაიბეგრება ჩვეულებრივი სატარიფო განაკვეთით. ამ შემთხვევაში მოცემული ქვეყნის ბაზარზე ეს პროდუქცია ყოველთვის იქნება როგორც სამამულო წარმოების, ასევე იმპორტირებული და სამამულო წარმოების შეზღუდვაც არ მოხდება.

საქართველოს სავადასახადო კოდექსის მიხედვით, იმპორტირებული პროდუქცია იბეგრება საბაჟო გადასახადით (სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი ნაწილი 12%-იანი განაკვეთით). ეს პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობს როგორც ბიუჯეტის შევსებას და ადგილობრივი წარმოების დაცვას უცხოური კონკურენციისაგან, ასევე სავაჭრო ბალანსის დარეგულირებას.

ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, საქართველოში პროდუქციის იმპორტისას გამოიყენება სხვადასხვა ნებართვები და სერტიფიკატები. ამასთან, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონით ნებისმიერი დატვირთული

სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებისას იყენებენ ადმინისტრაციულ ბარიერებს ზენორმატიული დატვირთვისა და გაბარიტების კონტროლის ფორმით.

მაშასადამე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებები იძლევა შიგა ბაზრის დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას. საქართველოს საბაზო ტარიფების ლიბერალიზაციის ფონზე სულ უფრო დიდი მნიშვნელობის ხდება ანტიდემინგური, საკომპენსაციო და სხვა სახეობის დამცავი მექანიზმების გამოყენება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნების, მ.შ. განვითარებადი ქვეყნების მხრიდან.

ამრიგად, საქართველოში არსებული სავაჭრო რეჟიმის წყალობით, საქართველოს გააჩნია იმის შანსი, რომ არა მარტო ადგილობრივი წარმოების საქონლით გაააჯეროს შიგა ბაზარი და განახორციელოს საქსპორტო საქმიანობა, არამედ, გახდეს მთავარი საინვესტიციო ხიდი იმ უცხოური კომპანიებისათვის, რომლებიც დააპირებენ ქვეყანაში ინვესტიციების ჩადებას.

2013 წელს საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 22.4%-ით გაიზარდა და 2.9 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო რეგისტრირებული იმპორტი 0.4%-ით გაიზარდა 7.9 მლრდ აშშ დოლარამდე. შედეგად, მთლიანი სავაჭრო ბრუნვა წინა წელთან შედარებით 5.5%-ით გაიზარდა. რეგისტრირებული საქონლით სავაჭრო დეფიციტმა 5.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 9.1%-ით ნაკლებია. მიუხედავად რეგისტრირებული საქონლით ვაჭრობის დეფიციტის შემცირებისა, იგი, წინა წლების მსგავსად, კვლავ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის უმთავრეს წყაროდ რჩება (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

რეგისტრირებული ექსპორტის და იმპორტის წლიური ზრდის ტემპები [5]

დასახელება	2008	2009	2010	2011	2012	2013
ექსპორტი	21.4%	-24.2%	48.0%	30.5%	8.6%	22.4%
იმპორტი	20.9%	-28.6%	16.8%	34.3%	11.1%	0.4%
სავაჭრო დეფიციტი	20.8%	-30.0%	6.3%	36.0%	12.2%	-9.1%

ბოლო წლების განმავლობაში, რეგისტრირებული საქონლით ექსპორტში იზრდება სამომხმარებლო საქონლის წილი შუალედური საქონლის წილის შემცირების ხარჯზე, ხოლო საინვესტიციო საქონლის წილი უცვლელად დაბალი რჩება. 2013 წელს სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში წინა წელთან შედარებით 4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და მთლიანი ექსპორტის 51% შეადგინა, 2 პროცენტული პუნქტით - 43%-მდე შემცირდა შუალედური საქონლის წილი მთლიან ექსპორტში, ხოლო საინვესტიციო ტიპის საქონლის წილი ექსპორტში უცვლელად 5% დარჩა.

ქართულ ექსპორტში მოცულობის მიხედვით კვლავ პირველ ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი. 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, ავტომობილების რეექსპორტი 19.9%-ით გაიზარდა და მსუბუქი ავტომობილების წილმა მთლიან ექსპორტში 24.2% შეადგინა. მეორე უმსხვილეს საექსპორტო პროდუქციას ფეროშენადნობები წარმოადგენს (მთლიანი ექსპორტის 7.9%), ამ ჯგუფის საქონლის ექსპორტი 2013 წელს წლიურად 11.7%-ით შემცირდა. 2013 წელს მიღებულმა უხემა მოსავალმა ხელი შეუწყო თხილის და კაკლის ექსპორტის გაორმაგებას და შედეგად ამ ჯგუფის საქონლის წილმა მთლიანი ექსპორტის 5.7% შეადგინა. ასევე აღსანიშნავია 2013 წელს სომხეთიდან შემოტანილი სპილენძის კონცენტრატების რეექსპორტის მკვეთრი ზრდა.

ქართული პროდუქციისათვის რუსეთის ბაზრის გახსნამაც შეასრულა დიდი როლი. 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, ღვინის რეგისტრირებული ექსპორტი გაიზარდა 97.1%-ით, ხოლო მინერალური წყლების – 80.1%-ით.

რაც შეეხება ექსპორტის გეოგრაფიულ ორიენტაციას, ქართული ექსპორტისთვის უმსხვილესი ბაზრად აზერბაიჯანი რჩება, რომელზეც რეგისტრირებული ექსპორტის 24.4% მოდის. 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, აზერბაიჯანში ექსპორტი 13.3%-ით გაიზარდა და 710.2 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, მეორე ადგილი სომხეთმა დაიკავა მთლიანი ექსპორტის 10.9%-ით. საექსპორტო ბაზრების ხუთეულში ასევე შედიან უკრაინა, რუსეთი და თურქეთი, 2013 წელს ამ ქართული პროდუქციისათვის რუსეთის ბაზრის გახსნამაც დადებითი როლი შეასრულა. 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, ღვინის რეგისტრირებული ექსპორტი გაიზარდა 97.1%-ით, ხოლო მინერალური წყლების – 80.1%-ით. ათი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფის წილმა 2013 წელს მთლიანი ექსპორტის 64% შეადგინა, რაც 2 პროცენტული პუნქტით აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2013 წელს გაიზარდა ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში, რაც დიდწილად რუსეთის სავაჭრო ემბარგოს მოხსნით იყო განპირობებული. 2013 წელს დსთ-ის ბაზარზე ქართული ექსპორტის 55.7% გავიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3.3 პროცენტული პუნქტით აღემატება. 2013 წელს 72.2%-ით გაიზარდა ქართული ექსპორტი ევროკავშირში, და მთლიანი ექსპორტის 20.9% შეადგინა, რაც ძირითადად განპირობებული იყო ბულგარეთში, იტალიასა და გერმანიაში ქართული ექსპორტის მკვეთრი ზრდით. დანარჩენი ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში 2012 წელთან შედარებით 9.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და ამ ქვეყნებზე (ძირითადად თურქეთი და აშშ) მთლიანი ექსპორტის 23.4% მოვიდა. 2013 წელს შემცირდა საინვესტიციო და შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტი შესაბამისად 9.3 და 6.1%-ით, სამომხმარებლო დანიშნულების საქონლის იმპორტი კი 14.8%-ით გაიზარდა, რამაც, საერთო ჯამში, რეგისტრირებული საქონლის იმპორტის 0.4%-ით ზრდა განაპირობა.

რაც შეეხება იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებს, აქ პირველ ადგილს კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტები იკავებს მთლიანი იმპორტის 12.1%-ით. ამ ტიპის საქონლის იმპორტი 2013 წელს წინა წელთან შედარებით 0.4%-ით გაიზარდა და 954.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. უმსხვილეს საიმპორტო საქონელში მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 9.0%-ით. მსუბუქი ავტომობილების იმპორტი 2013 წელს 7.2%-ით გაიზარდა და 710.5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აღნიშნული ავტო-

მობილების ძირითადი ნაწილი რეექსპორტისთვის არის განკუთვნილი. აღსანიშნავია სამკურნალო საშუალებების იმპორტის ზრდის მაღალი ტემპი, ამ ჯგუფის საქონელი 2013 წელს წინა წელთან შედარებით 20.7%-ით გაიზარდა და 280.7 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. ამ მხევენებით სამკურნალო საშუალებებმა უმსხვილეს იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა.

ცალკეული ქვეყნიდან საქართველოში უმსხვილეს იმპორტიორად წინა წლების მსგავსად თურქეთი რჩება მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 17.1%-ით. 2013 წელს მისი წილი იმპორტში მცირედით შემცირდა (0.7 პროცენტული პუნქტი), მიუხედავად ამისა, თურქეთიდან იმპორტის მოცულობა კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება აზერბაიჯანულ იმპორტს, რომელმაც 2013 წელს მთლიანი იმპორტის 8.1% შეადგინა და იმპორტიორ ქვეყნებს შორის მეორე ადგილი დაიკავა. მსხვილი იმპორტიორი ქვეყნების პირველ ხუთეულში ასევე შედის უკრაინა (იმპორტის 7.6%) რუსეთი (იმპორტის 7.5%) და ჩინეთი (იმპორტის 7.2%). აღსანიშნავია, რომ 2013 წელს, სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის პარალელურად, რუსეთიდან იმპორტი 24.4%-ით გაიზარდა.

2013 წელს, წინა წელთან შედარებით, საქონლის იმპორტში დსთ-ის ქვეყნების წილი გაიზარდა 2 პროცენტული პუნქტით 27.5%-მდე, ამავე პერიოდში ევროკავშირის ქვეყნების წილი იმპორტში შემცირდა 31.0%-დან 28.8%-მდე, ხოლო დანარჩენი ქვეყნების წილი (ძირითადად თურქეთი, ჩინეთი და აშშ) იმპორტში უმნიშვნელოდ გაიზარდა და 43.7% შეადგინა.

ქვეყნის საქსპორტო საქმიანობის განვითარებისათვის მთავრობამ უნდა შეიმუშაოს ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები ადგილობრივი წარმოების სტიმულირების მიზნით.

სახელმწიფომ მუდმივად უნდა იზრუნოს საკუთარი პროდუქციის ექსპორტის სტიმულირებაზე, ყველაზე სწრაფმოქმედი და ეფექტიანი მეთოდების – სატარიფო და არასატარიფო ინსტრუმენტების დახმარებით. მან ხელი უნდა შეუწყოს სამეურნეო სუბიექტების საქსპორტო საქმიანობას. ამგვარი მიდგომა ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად, შესაძლებელს გახდის ინვესტორთა დაინტერესებას ადგილობრივი წარმოებაში ინვესტირებით. მით უმეტეს, რომ ვმო-ში საქართველოს წევრობა სტაბილური, პროგნოზირებადი და საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების გარანტიაა. გარდა ამისა, ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია საგარეო ბაზარზე სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით და ექსპორტის გაფართოება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკის სტაბილური განვითარების გარემოს ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. “ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი”. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2014.
2. მესხია ი. „საერთაშორისო ვაჭრობა“, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011.
3. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკისა და სამართლის საერთაშორისო ცენტრის (ICTPL Georgia) ოფიციალური ვებ-გვერდი www.ictplgeorgia.ge
4. ერაძე კ. ცაგარეიშვილი პ., სტატია „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“, თბილისი, 2010.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – www.geostat.ge
6. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/Annual%20Report_2013

*Nunu Kistauri
Medea Melashvili*

THE MAIN ASPECTS OF STATE REGULATION AND THE FOREIGN TRADE Annotation

The article presents the functioning of a state presence in the economy. The variety of opinions and theories, Also are discussed two different approaches to trade: free trade and protectionism - and their changes in different stages of economic development. The paper also discusses the current situation of foreign trade in Georgia and its main development directions. All the positive aspects of the country's accession to the world trade organization.

ლამარა ქოქიაური

საინფესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში

მეურნეობრიობის საბაზრო სისტემის ადეკვატური საინვესტიციო საქმიანობის ახალი მოდელის ჩამოყალიბება ითვალისწინებს საინვესტიციო რესურსების ცენტრალიზებულად განაწილების შეცვლას ინვესტირების საბაზრო ფორმებით. ეს, თავის მხრივ, აუცილებელს ხდის ისეთი ახალი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც შეცვლილი ეკონომიკური პირობების შესაბამისი იქნება. ამასთან, ეკონომიკური პოლიტიკის დაწესებულმა პრიორიტეტებმა განსაზღვრეს ინვესტიციური განვითარების ამოცანების „მეორადობა“ ფინანსური მიზნების მიმართ.

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო რეფორმირების ოფიციალური კონცეფცია ეყრდნობოდა გამარტივებულ-მონეტარისტულ პრინციპებს, რომელთა რეალიზაცია გამოიხატა ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის მინიმიზების კონკრეტული ზომებით, ფასებისა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზების დაჩქარებით, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზებითა და საბაზრო სტრუქტურების ფორმირებით.

საინვესტიციო საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობის პრინციპები, საზღვრები და ფორმები.

საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ინვესტიციური განვითარების პრიორიტეტული ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია მხოლოდ ისეთი ბაზრის თვითრეგულაციის საფუძველზე, რომელიც ჩვენს ეკონომიკაში ჩამოყალიბების მეტად დაბალი დონით გამოირჩევა. საჭიროა საინვესტიციო სფეროში სახელმწიფოს როლის გაძლიერება, ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირება, სახელმწიფოებრივი და საბაზრო რეგულირების ოპტიმალურად შეხამების ძიება. ამასთან, უნდა განისაზღვროს საინვესტიციო პროცესში სახელმწიფოს მონაწილეობის საზღვრები და პრინციპები საქართველოს ეკონომიკის განვითარების იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც ბაზარზე გადასვლის პერიოდს ახასიათებს.

საინვესტიციო სფეროში სახელმწიფოს როლის გაძლიერების პირობები. საინვესტიციო სფეროში სახელმწიფოს როლის გაძლიერების შესაძლებლობათა ანალიზის დროს უნდა გაითვალისწინოთ ის, რომ სახელმწიფოს მონაწილეობის გაფართოებას თავისი ობიექტური საზღვრები აქვს. ამ საზღვრებს განაპირობებს, ერთი მხრივ, რეალური ფინანსური შესაძლებლობები, ხოლო, მეორე მხრივ ის, რომ ეკონომიკაში სახელმწიფოს „ფონის“ ზრდა კერძო ინვესტიციების მოზღვაებას უნდა უწყობდეს ხელს და არა მათ გაძევებას. ინვესტიციების სფეროში სახელმწიფოს მონაწილეობა იგივე არაა, რაც განსახელმწიფოებრიობა და სამეურნეო საქმიანობის ადმინისტრირებისკენ მიბრუნება. იგი გულისხმობს სახელმწიფოს გრძელვადიანი პოლიტიკისა და კონკრეტულ ქმედებათა ეფექტიანობის გადიდებას საბაზრო თავისუფლებათა დაცვისა და კერძო ინვესტიციების წახალისების პირობებში.


საინვესტიციო საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობის პრინციპების შესახებ საკითხი მჭიდროდ უკავშირდება საინვესტიციო აღმავლობისათვის საჭირო საფინანსო პოტენციალის შეზღუდულობის პრობლემას. მიახლოებითი გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ მარტო რეფორმადგელი პერიოდის დონემდე ინვესტირების მოცულობის აღსადგენად, ინვესტიციების ვარდნის სიღრმის გათვალისწინებით, საჭირო იქნება მისი ათჯერ გადიდება.

ამ პრობლემის ანალიზის დროს ჩნდება ინვესტიციების საკმარისობის კრიტერიუმის საკითხიც. საშუალოვადიან პერსპექტივაში ასეთი კრიტერიუმი შეიძლება იყოს საინვესტიციო რესურსების ის მოცულობა, რომელიც მდგრად ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლას უზრუნველყოფს. მაკროეკონომიკის თვალსაზრისით, ეს მოასწავებს მთლიანი წმინდა ინვესტიციების სიდიდის ისეთი სტაბილური დადებითი მნიშვნელობის მიღწევას, რომლებიც ძირითადი კაპიტალის განახლებისთვის საჭირო სახსრების მოცულობათა მატებას შეესაბამება (ინვესტირებული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გადიდების ფონზე). ამასთან დაკავშირებით საჭიროა ინვესტიციების სტიმულირება იმ დონემდე, რომელიც აჭარბებს მწარმოებლური კაპიტალის დაგროვილი ელემენტების მწიკრიდან გამოსვლას. ამ ორიენტორს ის განაპირობებს, რომ ახლად შექმნილ პროდუქტში ინვესტიციების უფრო ნაკლები მნიშვნელობის დროს ვერ მოხდება ხსენებული ელემენტების კომპენსირება (პირველ რიგში – ძირითადი კაპიტალის), რის გამოც გაგრძელდება ეკონომიკური ვარდნის პირობების კვლავწარმოება და წარმოების რეალურად გამოცოცხლების პოტენციალის დაქვეითება.

ამავე დროს, ეკონომიკური ზრდის მისაღები დინამიკის მიღწევის შესაძლებლობებს დიდად ზღუდავს შიდა დაგროვებათა ვიწრო მასშტაბები და ეკონომიკის რეალურ სექტორში განხორციელებულ დაბანდებათა კაპიტალუკუების შემცირება. ამკარაა, რომ საქართველოს ეკონომიკის ეს თავისებურებები იქნება უახლოეს პერიოდში სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის პრინციპების განმსაზღვრელი. რესურსების მკაცრად შეზღუდვისა და ინვესტირების საბაზრო მექანიზმების ბოლომდე ჩამოყალიბებლობის გათვალისწინებით, საინვესტიციო სფეროში სახელმწიფოს მიერ გასატარებელი პოლიტიკა შემდეგ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს: პრიორიტეტული მიმართულებებისა და „წერტილოვანი ინვესტირების“ შერჩევა; საინვესტიციო პროცესის მართვადობის ხარისხის გადიდება დასაბუთების გაძლიერების საფუძველზე; შემუშავებული ზომების კომპლექსურობა და თანმიმდევრობა.

ეს თავისებურება მოქმედებს საინვესტიციო საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობის ფორმებზეც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს როგორც უშუალო ინვესტორის როლი შენარჩუნებულია სასიცოცხლოდ აუცილებელი ძირითადი წარმოებებისათვის, სოციალურ სფეროსა და დარგებისთვის, რომლებსაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საინვესტიციო პროცესის ისეთი რეგულირება, რომლის დანიშნულებაა ხელსაყრელი რეჟიმის შექმნა კერძო ინვესტორების საქმიანობისათვის.

საქართველოს ეკონომიკაში შექმნილ პირობებში, საინვესტიციო სტრატეგია მთლიანობაში ორიენტირებულია სახელმწიფო ინვესტიციებიდან სიმძიმის ცენტრის გადატანაზე კერძო ინვესტორებისთვის სასურველ საინვესტიციო გარემოს შექმნისკენ, სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის ეს ორივე შემადგენელი ნაწილი (სახელმწიფოებრივი ინვესტირება და საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირება) პრიორიტეტული დარგებისა და წარმოებების მხარდაჭერას უნდა ემსახურებოდეს და ამ პოლიტიკას აწონილ-დაწონილი და სისტემური ხასიათი უნდა ჰქონდეს (ნახ. 1).



ნახ. 1. სახელმწიფო საინვესტიციო სფეროში

ინვესტიციების სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა. სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრის დროს აუცილებლად უნდა ვეყრდნობოდეთ მსოფლიო ბაზარზე არსებულ კონკურენტულ უპირატესობებს, რომლებიც ვლინდება, პირველ რიგში, მაღალი ტექნოლოგიების დამუშავებებში. ამჟამად იმ დარგებს, სადაც სერიოზული სამეცნიერო-ტექნოლოგიური მარაგი არსებობს და შენარჩუნებულია პოტენციური უპირატესობები, შეგვიძლია მივაკუთვნოთ: ენერგეტიკა, ტურიზმი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ტექნოლოგიები, კვების მრეწველობა და სხვა დარგები.

ინოვაციური პროდუქციის წარმოებაში განხორციელებული ინვესტიციები ხელს შეუწყობს კაპიტალის გადინების ახალ მიმართულებათა გაჩენას, მისი მწარმოებლურობის ამაღლებასა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას. ამ ინვესტიციების წერტილოვანი ხასიათი გამოაცოცხლებს ეკონომიკას შეზღუდული საინვესტიციო რესურსების პირობებში. ასეთი მიდგომა მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებულია როგორც ეკონომიკური ზრდის ისეთი შემზღვეველების გადალახვის ნაცადი მეთოდი, რომლებიც საბაზრო მექანიზმების უკმარისობითაა განპირობებული.

პრიორიტეტულობის მაღალი ხარისხი უნდა მივანიჭოთ მეურნეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი დარგებისა და სფეროების განვითარების, ეროვნული მწარმოებლების მხარდაჭერისა და ეკონომიკაში შიდა მოთხოვნის უზრუნველყოფის ეფექტიან პროგრამებს. ამასთან, უნდა გაეთვალისწინოთ, რომ მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირებად ეკონომიკაში ინვესტიციების განხორციელება მხოლოდ შიდა ბაზარზე კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებაში არ შეიძლება იყოს სტაბილური და მზარდი შემოსავლის წყარო.

სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი პირობაა საწარმოო სექტორის სტრუქტურული გარდაქმნის კონცეფციის შემუშავება. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელთა საფუძველზე უნდა განისაზღვროს სხვადასხვა ჯგუფის საწარმოების რეფორმირების სტრატეგია და მექანიზმი, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის ფორმები და მეთოდები, საწარმოო სტრუქტურების ორგანიზაციის მოდელები ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი რეალური, მათ შორის – ინსტიტუციური პირობების გათვალისწინებით.

ეკონომიკის აღმავლობისა და სწრაფად განვითარების საფუძველი შეიძლება იყოს მსხვილი კორპორაციები, რომლებსაც გააჩნიათ სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, რესურსების მობილიზების და მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ეფექტიანად ინტეგრირების შესაძლებლობები. მცირე ბიზნესის საწარმოები, რომლებსაც უეტყველად დიდი მნიშვნელობა აქვთ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის, ამჟამად გამოირჩევიან უკიდურესად დაბალი ტექნიკური დონით და საინვესტიციო რესურსების უქონლობით, რაც აუცილებელს ხდის მათი ადგილის მოძიებას მსხვილი სტრუქტურების საწარმოო ჯაჭვებში. მყარი და ეფექტიანად განვითარებადი, დივერსიფიცირებული კორპორაციული (დარგობრივი და დარგთაშორისი) გაერთიანებების და საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ჩამოყალიბება მოითხოვს სახელმწიფოს მიერ კორპორაციული რგოლის სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერებას, მათ შორის – კორპორაციების კაპიტალში უშუალოდ მონაწილეობის გზითაც. კორპორაციული ფორმების განვითარება ხელს შეუწყობს გრძელვადიანი საწარმოო პროგრამების რეალიზებას, პირობებს შეუქმნის მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის გააქტიურება. თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის გააქტიურება მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე საქართველოს ეკონომიკის გადასვლის უმთავრესი პირობაა. სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია: ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა მხარდაჭერის გაძლიერება, ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების წახალისების ინსტიტუტის – სამართლებრივი და ეკონომიკური გარემოს შექმნა, ცენტრისა და რეგიონების საინვესტიციო პოლიტიკის შეთანხმება.

სახელმწიფო ინვესტიციები და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა მხარდაჭერა. ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის ამოცანათა რეალიზება საინვესტიციო სფეროს უფრო აქტიურ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას მოითხოვს. ამასთან, სახელმწიფოებრივი ინვესტირების მნიშვნელობა უნდა მატულობდეს არა იმდენად ცენტრალიზებული წყაროების მოცულობის თვალსაზრისით, რამდენადაც სახელმწიფო გარანტიების, დაზღვევისა და კერძო ინვესტირებისთვის ორიენტირის პოლიტიკებიდან.

ინვესტიციების საბიუჯეტო დაფინანსების პრობლემები. საინვესტიციო საქმიანობის საბიუჯეტო დაფინანსებას ჯერ კიდევ იმ მიდგომების საფუძველზე ახდენენ, რომლებიც არსებითად ზღუდავენ სახელმწიფოს გაელენას საბაზრო გარდაქმნათა მიმდინარეობასა და ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებზე. თანაც, ეს ნაკლოვანებები იმდენად საბიუჯეტო სისტემის შეზღუდული შესაძლებლობებით არაა განპირობებული, რამდენადაც ცენტრალიზებული ინვესტიციების განაწილების გაურკვეველი თუ მცდარი სტრატეგიითა და მათი გამოყენების ქმედითი კონტროლის უქონლობით.

ამ პრობლემის გადაჭრას ისიც ხდის აუცილებელს, რომ სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკაში მომხდარი ჩავარდნები კერძო ინვესტირებისთვის ორიენტირების უქონლობის ან მათი დამახინჯების მიზეზი ხდება. ანალიზი ადასტურებს სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებსა და კერძო ინვესტირების საინვესტიციო მოტივაციებს შორის გარკვეული დამოკიდებულების არსებობას, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საინვესტიციო პოლიტიკის პერსპექტიულ მიმართულებათა შემუშავების დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოვახერხებთ სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის გატარებისა და სხვადასხვა დონის ინვესტირება ინტერესების შეთანხმებისთვის საფუძვლის მომზადებას, მიღებულ ზომებს კი კვლავინდებურად უფრო მეტად პასიური ხასიათი ექნება და ვერ უზრუნველყოფს დაგეგმილ შედეგებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცალკეული მწარმოებლების ან რეგიონების არასაკმარისად ან უსისტემოდ მხარდაჭერა აქვეითებს დაგროვებისა და შემდეგ თვითდაფინანსების სტიმულებს და ხელს არ უწყობს მეურნე სუბიექტების საბაზრო ქცევის ჩამოყალიბებას.

სახელმწიფოს მიერ მწარმოებელთა საინვესტიციო მხარდაჭერის შესაძლებლობათა შესახებ საკითხის ანალიზის დროს შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ ბიუჯეტის სახსრების უკიდურესად შეზღუდულობა. ამასთან, თანამედროვე პირობებში არანაკლებ მნიშვნელოვანია საინვესტიციო პოლიტიკის დასაბუთების ხასიათისა და რეალიზაციის გარკვეულობის დონის ამადლება, საბიუჯეტო დაგეგმვის რეალობის გათვალისწინება.

საქართველოს ეკონომიკაში, სადაც ანგარიშსწორების არასაიმედო ფორმები დომინირებს, ფულის მასის მოცულობის რეალური პროგნოზების შედგენა ერთობ გაძნელებულია. საბიუჯეტო პოლიტიკას ამუშავებენ გაურკვეველობის ფაქტორის პირობებში, რაც ამაფრებს რეალური ბიუჯეტის შედგენისა და მიღებული ბიუჯეტის შესრულების სიროუჯეს.

სახელმწიფო ინვესტიციების, როგორც ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტული ფაქტორის, რეალიზებაში საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება წარმატებული ვერ იქნება საქართველოს სახელმწიფო ფინანსების თანამედროვე მდგომარეობისა და საბიუჯეტო სისტემის გარდაქმნის აუცილებლობის გათვალისწინებლად. მაგალითად, ეკონომიკის რეფორმების ერთ-ერთი წარმატებული ნიმუშია გერმანიის გამოცდილება, რომლის საბიუჯეტო სისტემა კარგადაა გამართული და ეს ვლინდება მიმდინარე და საინვესტიციო ხარჯების ერთმანეთისგან მკაფიოდ გამოყოფაში, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად გამოყენების კონტროლში, კრედიტების ხარჯზე ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ზღვრული მოცულობის დაწესებასა და დაცვაში გათვალისწინებული საინვესტიციო ხარჯების თანხით. ამ მეთოდს „ოქროს წესს“ უწოდებენ და მას გერმანიის ძირითადი კანონის 115-ე მუხლი ადგენს.

საქართველოს ეკონომიკაში, როგორც ამას რეფორმის შედეგები გვიჩვენებს, სახელმწიფოს არამწარმოებლური ხასიათის ხარჯების ზრდის კომპენსირება არ ხდებოდა ბიუჯეტის საინვესტიციო ხარჯების სათანადოდ გადიდებით. პირიქით, ეს ერთი იმ ფაქტორთაგანი იყო, რომლებიც განაპირობებდნენ სახელმწიფოს ცენტრალიზებული ინვესტიციების შეკვეცასა და სახელმწიფოს საინვესტიციო ფუნქციის შესუსტებას. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ინვესტიციების როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორის გამოყენება არსებით ცვლილებებს მოითხოვს საბიუჯეტო პოლიტიკისა და საბიუჯეტო სისტემის ორგანიზაციაში.

ბიუჯეტზე მუშაობის დროს საჭიროა: პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრის და იმ ნორმატივების დაწესების პრინციპის გამოყენება, რომლებიც განსაზღვრავენ ბიუჯეტის სახსრების დონეს გამოყოფილი მიმართულებების მიხედვით; მიმდინარე და საინვესტიციო ბიუჯეტის დაყოფა ნორმატიულ საფუძველზე; შემოსავლებზე ხარჯების გადამეტების შესაძლებლობის გამორიცხვა მიმდინარე ბიუჯეტის დაგეგმვისას; საინვესტიციო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის წყაროების მკაფიოდ განსაზღვრა. გარკვეული ცვლილებების შეტანა საჭირო ბიუჯეტის ორივე შემადგენელი ნაწილის სახსრების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიაშიც, რათა გაძლიერდეს ბიუჯეტის შესრულების სახაზინო მეთოდის როლი.

სახელმწიფო ინვესტიციების გამოყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემაა მათი დაბალი ეფექტიანობა კერძო ინვესტიციებთან შედარებით. სახელმწიფოს ფინანსური რესურსების განაწილების დროს გამოყენებული მიდგომები ხელს არ უწყობს ინვესტირების ეფექტიანობის ზრდასა და ეროვნული ეკონომიკის რესტრუქტურისა და ხარისხისა და ხარისხის სახელმწიფოს საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების მუდმივი ჩავარდნები განაპირობა.

საინვესტიციო პროცესის ორგანიზაციაში სისტემური საფუძვლის უქონლობამ და საბიუჯეტო დაგეგმვის არასაკმარისმა ხარისხმა სახელმწიფოს საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების მუდმივი ჩავარდნები განაპირობა.

ეს იმას მოწმობს, რომ აუცილებელია სელექციური მიდგომის როლის გაძლიერება სახელმწიფო ინვესტირების დროს, სახელმწიფო ინვესტიციების თავმოყრა მკაცრად განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, კონტროლის გაძლიერება და საკონკურსო პროექტების შერჩევა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო სექტორმა გარკვეულწილად წამყვანი პოზიციები უნდა დაიკავოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტების მიღწევაში და ეკონომიკური ზრდის პოტენციალი ჩამოაყალიბოს. ამასთან, სახელმწიფო საწარმოების საინვესტიციო პროგრამების შედგენა კონკურსისა და ეფექტიანობის მოთხოვნების შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს. აუცილებელია ინვესტირებული სახსრების მიზნობრივად გამოყენების და ფინანსური ნაკადების მოძრაობის მკაცრი სახელმწიფოებრივი კონტროლი.

რეალურ სფეროში (მათ შორის ინვესტიციების დარგში) სახელმწიფოს საქმიანობის განხორციელებისას უნდა გამოვლიოდეთ არასახელმწიფო სექტორში ანალოგიური სახეების საქმიანობის სტიმულირების და არა შევიწროების პრინციპიდან, რადგან სახელმწიფო მხარდაჭერის მქონე საწარმოები, ერთი მხრივ, უფრო მდგრადია, მაგრამ, მეორე მხრივ, ნაკლებად ეფექტიანი.

სახელმწიფოს ინვესტიციური როლის გააქტიურება არ უნდა გამოიხატებოდეს მარტო მეცნიერებატევადი წარმოებების, მაღალი ტექნოლოგიებისა და სასიცოცხლოდ აუცილებელი დარგების განვითარების ეფექტიანი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაში პირდაპირ მონაწილეობით. საზოგადოების საინვესტიციო მხარდაჭერის უფრო მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი საბაზრო ურთიერთობათა განვითარების პირობებში ეკონომიკური სუბიექტების საინვესტიციო საქმიანობის წახალისებაა და იგი პროგრესულ სტრუქტურულ გარდაქმნაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ეს კი მოითხოვს:

- ეკონომიკური რეგულირების ოპტიმალური ფორმებისა და მეთოდების შემუშავებას, ინვესტორთა ფინანსური სახსრების აკუმულაციის მექანიზმების განვითარებისა და საწარმოო ინვესტიციებად მათი გარდასახვისთვის აქტიურად ხელშეწყობას.

- ინვესტიციების წამახალისებელი ინსტიტუციურ-სამართლებრივი და ეკონომიკური გარემოს შექმნას ეკონომიკის რეალურ სექტორში.

საინვესტიციო აქტივობის გასაძლიერებლად ხელსაყრელი პირობების შექმნა სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს კვლავწარმოებით პროცესებზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას მკარო და მიკროეკონომიკურ დონეებზე. ის უმნიშვნელოვანესი სფერო, სადაც ახლებურად და ეფექტიანად უნდა გამოვლინდეს სახელმწიფოს საინვესტიციო როლის გააქტიურება ეკონომიკური რეფორმების ახალ ეტაპზე, ჩვენი აზრით, არის სახელმწიფოს სწორი სტრუქტურული პოლიტიკის გატარება.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში სტრუქტურული პოლიტიკის ქვეშ მოიაზრება სახელმწიფოს საქმიანობა ეკონომიკის საწარმო-ტექნოლოგიური სტრუქტურის სრულყოფის მიმართულებით. ამის საფუძველია ახალი, მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე მიმართულებების ათვისება, ინოვაციური და ინვესტიციური აქტივობის სტიმულირება ეკონომიკური ზრდის პერსპექტიულ მიმართულებებში. მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელების ტრადიციული ფორმაა ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გლობალურ კანონზომიერებათა ანალიზის საფუძველზე, ეროვნულ კონკურენტულ უპირატესობათა გათვალისწინებით. მათი რეალიზაცია ხდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების, განვითარების ინსტიტუტების საქმიანობის, სახელმწიფო შესყიდვების, შედავათიანი კრედიტების, კონკურენტუნარიანი საწარმო-ტექნოლოგიური სტრუქტურების ჩამოყალიბების საფუძველზე. სტრუქტურული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ინდიკატური დაგეგმვა და გრძელვადიანი პროგნოზირება.

სახელმწიფო რეგულირების აქტიური როლი არ ჩქმალავეს საბაზრო თვითრეგულირების მნიშვნელობას იმით, რომ მიღწეულ იქნეს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა და მდგრადი ეკონომიკური ზრდა. ქვეყნის სტრუქტურული პოლიტიკა არ ცვლის სამეწარმეო ინიციატივას, არამედ ქმნის პირობებს კერძო ინვესტიციური აქტივობის ზრდისა და ეკონომიკური აღმავლობისათვის ახალი, პერსპექტიული ტექნოლოგიების ათვისების საფუძველზე საბაზრო თვითრეგულირებისა და კონკურენციის პირობებში.

სახელმწიფო ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი სამეურნეო ორგანიზაციების შექმნას, რომელთაც შესწევთ უნარყ, იმუშაონ შინა და საგარეო ბაზრებზე მიმე კონკურენტული ბრძოლის პირობებში და მოახდინონ რესურსების კონცენტრაცია წარმოების განახლების მიმართულებით. სახელმწიფოს პირდაპირი ზემოქმედების ინსტრუმენტები ორიენტირებულია ფართო კერძო ინიციატივათა მხარდაჭერაზე ისეთი საწარმოების ფუნქციონირების თვალსაზრისით, რომლებიც ორიენტირებული არიან თანამედროვე უახლეს ტექნოლოგიებზე, შესაბამისი, მიმართულებითი სამეწარმეო აქტივობისა და სამეწარმეო ინიციატივის სტიმულირებაზე.

იმ პირობებში, როცა ინვესტიციური რესურსები შეზღუდულია, აუცილებელია შეირჩეს შედარებით მომგებიანი სფეროები კაპიტალის დაბანდებისათვის, დეტალურად იქნეს შესწავლილი და შეფასებული პრიორიტეტული მიმართულებები, გამოვლინდეს ინვესტირების დარგობრივი და რეგიონული თავისებურებანი.

კიდევ ერთხელ ეფექტიანობის აღილის შესახებ ინვესტიციურ პოლიტიკაში. ინვესტიციებზე, როგორც ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორზე საუბრისას აუცილებელია მისი ეფექტიანობის გათვალისწინებაც, ამიტომაც, ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავებისას, პირველ რიგში – იქმნება პირობები კაპიტალდაბანდებების იდენტიფიკაციისათვის შედარებით ეფექტურ და კონკურენტუნარიან წარმოებაში, რაც შესაძლებელს გახდის მაქსიმალურად გაიზარდოს ბიუჯეტის, საწარმოებისა და მოსახლეობის შემოსავლები. საჭიროა, აქ ორიენტირი ვაკეთდეს ეკონომიკისა და სამრეწველო წარმოებაში პროგრესული სტრუქტურული ძვრების მეცნიერულად დასაბუთებულ ბაზაზე. ინვესტიციების დარგობრივ სტრუქტურაში ცვლილებების გატარება გულისხმობს ძვრების წარმოების დარგობრივ სტრუქტურასა და ეკონომიკურ ზრდაში მთლიანად, იმისათვის, რომ განისაზღვროს ინვესტიციების ეფექტიანდ გამოყენების პრაქტიკული მნიშვნელობა,

გამოიყენება მანქანებელთა სისტემა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად სწრაფად იცვლება ინვესტიციური დაბანდების სტრუქტურა მრეწველობის დარგების მიხედვით.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად უახლოეს პერსპექტივაში აუცილებელია მრეწველობის ტექნოლოგიური გადაიარაღება და ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლა. პირველი ნაბიჯი ეკონომიკის რეალური სექტორის კონცეპტუალური ტექნოლოგიური გადაიარაღების გზაზე არის მეცნიერებისათვის ღირსეული საბიუჯეტო მხარდაჭერა, ამისათვის აუცილებელია უახლოეს ხუთ წელიწადში მოხდეს მეცნიერებაზე ყოველწლიური ხარჯების გადიდება მინიმუმ 15-20%-ით. მეორე კონცეპტუალური ნაბიჯია ქვეყნის განვითარების ინოვაციური მიმართულების ვარიანტის მხარდაჭერი ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება. ამ დროს მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

1. ინოვაციურ სფეროში ინვესტიციური აქტივობის ამაღლება როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორების მხრიდან;
2. ინოვაციების ინვესტირებაში საბანკო სისტემის მონაწილეობის გააქტიურება;
3. ვენჩურული ფონდების სისტემის განვითარება, სამრეწველო ინტელექტუალური საკუთრების საკითხების დამუშავება;
4. გამოიყოს ცენტრალიზებული ფონდებიდან მეცნიერების ინვესტირებასა და ინოვაციებზე სახსრების არანაკლებ 10%-სა;
5. გამოყენებულ იქნეს განვითარების ბიუჯეტი, როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი სახელმწიფოს ხელში ინოვაციური ეკონომიკის შესაქმნელად მაღალეფექტიანი ინოვაციური პროექტების სარეალიზაციოდ;
6. ეროვნული წარმოების ინტერესების დაცვა პრეფერენცირების სისტემისა და ცივილიზებული ბაზრის ფორმირების გზით;

7. მოხდეს დარგობრივი ცენტრალიზებული ფონდების პრიორიტეტების სისტემაში რეორგანიზაციის განხორციელება კონკრეტული შერჩევის ბაზარზე ორიენტირებული ფორმით და კონტრაქტით განმტკიცდეს მათი შესრულება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტისათვის;

8. მოხდეს „მეცნიერება-წარმოებას“ ურთიერთობის ეკონომიკური მექანიზმის ჩამოყალიბება და გამოვლინდეს „წარმოება-მეცნიერებას“ პრაქტიკის მოთხოვნები.

საკანონმდებლო-სამართლებრივი ბლოკის მნიშვნელობა. დიდი მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო სამართლებრივი კონცეფციის ბლოკს, რომელიც შესაძლებელს გახდის უზრუნველყოფილ იქნეს:

- მცირე მეცნიერებატექვადი ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირება ინოვაციური ტექნოლოგიური ცენტრების შექმნის გზით;
- საშუალო მაღალტექნოლოგიური ბიზნესის ჩამოყალიბება; მისი ფუნქციონირების მექანიზმების შემუშავება ინოვაციურ-საწარმოო კომპლექსების შექმნის გზით;
- ინტეგრირებული სტრუქტურების შექმნა სამეცნიერო და საწარმოო ორგანიზაციების მონაწილეობით (ამგვარი ინტეგრაციის პირველი ნაბიჯი იქნება მეცნიერებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრების შექმნა).

კრიზისული სიტუაცია ქვეყნის ეკონომიკაში და ინვესტიციები. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში შეინიშნება ტენდენცია, როცა სტრატეგიულად არასწორი გადაწყვეტილებების მიღების შედეგად ქვეყნის ეკონომიკა კრიზისულ სიტუაციაშია: პრაქტიკულად ეკონომიკური უსაფრთხოების ყველა მანქანებელი ზღვრულზე გაცილებით დაბლა დგას. ეს ბევრადაა დაკავშირებული სამეცნიერო-საწარმოო პოტენციალის არსებული მდგომარეობის თავისებურებებთან. დღეისათვის მისი დაუტვირთობა შესაძლებელს ხდის, შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში მიღწეულ იქნეს მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპები (10%-მდე წელიწადში) მოცდენილი საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის ხარჯზე. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მოძველებული მოწყობილობის ზვავისებური მწყობრიდან გამოსვლა ეკონომიკას უმკაცრესი რესურსული შეზღუდულობის პირობებში ჩააგდებს, ჩამოყალიბებული ინვესტიციური აქტივობის შენარჩუნების პირობებში 3 წლის შემდეგ ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება შემცირდება მინიმუმ სამჯერ, ხოლო კიდევ 3 წლის შემდეგ – ნახევარჯერ. შენარჩუნდება ქვეყნის სანედლეულო სპეციალიზაცია მისი საგარეო ბაზარზე დამოკიდებულების შენარჩუნებით, დაბალი ზრდის ტემპები სამეცნიერო-სამრეწველო პოტენციალის დეგრადაციით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება გარედან და სახელმწიფოს არანაირ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებაში არის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა, რომელიც დიდი ხანია გახდა ეკონომიკური ზრდის წარმმართველი ფაქტორი. ცხადია, აუცილებლობას წარმოადგენს განვითარების ინოვაციურ ტიპზე გადასვლა, რომელიც გულისხმობს ინვესტიციური აქტივობის მრავალმხრივ გადიდებას, რომელიც ეკონომიკის მოდერნიზაციის, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების საფუძველია.

განვითარების ინოვაციური გზა ინვესტიციურ პოლიტიკაში. თანამედროვე ეტაპზე წარმმართველი როლი ეკისრება განვითარების ინოვაციურ ტიპს, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს როლის ზრდას ინვესტიციური პოლიტიკის გატარებაში. მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის თავზე იღებს ისეთი დარგების დაფინანსებას, როგორცაა: ფუნდამენტური მეცნიერება და მაღალრისკიანი გამოყენებითი კვლევები, სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი ცოდნის გავრცელება, მოსახლეობის განათლება. ამ ფუნქციების განხორციელება მთლიანობაში მიმდინარეობს მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების ფონზე, რომელიც ინვესტორისათვის თვალშისაცემ კომერციულ უკუგებას არ იძლევა, მაგრამ ქმნის პირობებს წარმოების სწრაფი ზრდისათვის მეცნიერულ სიახლეთა საფუძველზე.

სახელმწიფო თანამედროვე პირობებში მოწოდებულია შექმნას განვითარების ინსტიტუტები, რომლებიც მხარს უჭერენ ინვესტიციებს ახალ ტექნოლოგიებში, ასტიმულირებენ ინოვაციურ აქტივობას, ხელს უწყობენ პროგრესულ ტექნოლოგიურ ძვრებს, რომლებიც აერთიანებენ ფინანსურ, შრომით და ინფორმაციულ

რესურსებს ეკონომიკური ზრდის პერსპექტიულ მიმართულებებზე. სახელმწიფომ შეიძლება უარი თქვას იმ წარმოების განვითარების ორგანიზაციის პასუხისმგებლობაზე, სადაც ფორმირებულია შესაბამისი ბაზრები და ჩამოყალიბებულია კონკურენტული ურთიერთობები. ამავე დროს მან მხარი უნდა დაუჭიროს ინვესტიციური აქტივობის ახალ მაღალრისკიან მიმართულებებს, რომლებიც გზას უხსნიან პერსპექტიული წარმოების შექმნას მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვის საფუძველზე. ასე მაგ., ეკონომიკის დერეგულირების ტალღამ, რომელიც განვითარებული ქვეყნებიდან წამოვიდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, მნიშვნელოვანწილად ტრადიციული დარგები მოიცვა და პრაქტიკულად არ შესებია მაღალტექნოლოგიურ სექტორს, მათში, პირიქით, გაძლიერდა პირდაპირი სახელმწიფო მხარდაჭერის ინსტიტუტების მნიშვნელობა ინოვაციური და ინვესტიციური აქტივობისათვის და შედარებით კაპიტალტევადი წარმოების ორგანიზაციისათვის. ამასთან დაკავშირებით, იზრდება სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მნიშვნელობა. სახელმწიფო მიზანმიმართულია კონკურენტუნარიანი საწარმოების შექმნაზე, რომელთაც უნარი აქვთ მკაცრი კონკურენტის პირობებში იმუშაონ ეროვნულ და საგარეო ბაზრებზე, ასევე უნდა მოახდინონ რესურსების კონცენტრაცია წარმოების განახლების პერსპექტიულ მიმართულებებზე.

სახელმწიფო ზემოქმედების პირდაპირი ინსტრუმენტები ორიენტირებულნი არიან კერძო ინიციატივების ფართო მხარდაჭერაზე ინოვაციური საწარმოების ათვისებაზე, რომლებიც ასტიმულირებენ ინვესტიციურ აქტივობას შესაბამის მიმართულებებში და სამეწარმეო ინიციატივას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გიტმანი ლ.ჯ., ჯონკი მდ. ინვესტირების საფუძვლები. ქართული შემოკლებული თარგმანი შესრულებულია ლ. ქოქიაურის მიერ. თბ., 2001.
2. ქოქიაური ლ. ინვესტიციის ბაზარი: თეორია, პოლიტიკა, პრაქტიკა. საგ. ფირმა „სიასლე“, 2002.
3. ქოქიაური ლ. საინვესტიციო საქმე. თბ., საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2010. გვ.1361.
4. Бланк И.А. Основы инвестиционного менеджмента. В 2-х т. К.: Ника-Центр, Эльга-Н, 2008. т.с.325-382.
5. The Great Investment: Balancing. Faith, Family and Finance to Build a Rich Spiritual Life by T. D. Jakes (Paperback - Feb 28, 2002).
6. Fundamentals of Investments In U.S. Financial Markets by Jack D. Howell (Hardcover - Oct 21, 1998)
7. Information Technology Investment: Decision-Making Methodology by Marc J.Schniederjans, Jamie L. Hamaker, and Ashlyn M. Schniederjans (Hardcover - April 2004).

Lamara Kokiauri

PRIORITY DIRECTIONS OF INVESTMENT POLITICS IN GEORGIA

Annotation

The analysis of economical situation in Georgia shows that it is impossible to solve the priority tasks of the country investment development just on the basis of such market self-regulation that is distinguished with low formation level in our economics. It is necessary to strengthen the state role in the investment field, to correct the economical politics, to search the optimal combination of state and market regulations. Besides, it should be defined the limit of the state participation in the investment process and the principles of Georgian economical development considering the features of the period of moving to the market.

The active role of state regulation does not conceal the importance of market self-regulation with the achievement of the transformation of economical structure and the growth of the steady economics.

To provide social-economical development and economical growth in nearest perspectives, technological rearmament of the industry and movement to innovative way of economical development is needed.

First steps on the way to conceptual technological rearmament of economical real sector is worthy budget support for the science, for this it is important to increase annual expenses, at least 15-20 percent on science in five year time. The second conceptual step is to collaborate supportive economical mechanism of innovation for the country development. We find it important to take the following factors into consideration: 1. To raise investment activities in innovative field by local or foreign investors. 2. To activate banking system participation in the investment of innovations. 3. To develop venture funds system and collaborate the items of industrial privacy. 4. To allot at least 10 percent of central funds for scientific investment and innovations. 5. To use development budget as an important instrument in state to create innovative economic to realize high-effective innovative projects. 6. To protect national industrial interest by preferential system and civilized market formation. 7. To recognize priorities system of branch central funds with oriented form on competitive choice market and consolidate the solution to the most important problems of the country with a contract. 8. To form economical mechanism of “science-manufacture” and reveal the requirements of “manufacture-science” practice.

მალხაზ ჩიქობავა

თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის შეფარებითი ანალიზი

თანამედროვე მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებიდან 6 წლის შემდეგ მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ხელმძღვანელებმა, რომლებიც 2014 წლის იანვრის ბოლოს შეიკრიბნენ შვეიცარიის ქალაქ დავოსში ტრადიციულ 44-ე საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე, განაცხადეს გლობალური მასშტაბით კრიზისის დაძლევის საწყისი ეტაპის შესახებ.

ოფიციალური პირები მივიდნენ დასკვნამდე, რომ პლანეტის ფინანსურმა სისტემამ კრიზისის პირობებში განიცადა გარდაუვალი ცვლილებები, თუმცა გაჯანსაღების ტენდენციები შეინიშნება პრაქტიკულად ყველა

პრობლემურ რეგიონში. მსოფლიო ლიდერებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ გლობალური ეკონომიკური სისტემის პოზიციების გამყარება არ ამცირებს მისი სიმყიფის დონეს და ნებისმიერ მოუფიქრებელ ქმედებას შეუძლია ყველა ძალისხმევა ფუჭად აქციოს.

ჩვენ ვხედავთ ეკონომიკაში გაუმჯობესების დრამატულ სიგნალებს. ბოლო სამი-ოთხი თვის განმავლობაში ვხედავთ, რომ ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს ევროპის ცენტრალური ბანკი 2011 წლის ბოლოდან, ბოლოს და ბოლოს მივიდა ეკონომიკის რეალურ სექტორამდე – განაცხადა ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი მარიო დრავი. მისივე სიტყვებით, „ვხედავთ გამოცოცხლების დასაწყისს, მაგრამ ის ჯერ კიდევ ძალიან სუსტი და არათანაბარზომიერია. უნდა გაგრძელდეს ფისკალური კონსოლიდაცია. მაგრამ ის უნდა გახდეს უფრო გროუტო ფრიენდლუ (მეგობრულად ზრდადი)“. ფისკალური კონსოლიდაცია გროუტო ფრიენდლუს ვარიანტით გულისხმობს ზომიერ გადასახადებს, კაპიტალური დანახარჯების უმნიშვნელო შემცირებას და ინვესტიციების უფრო მაღალ ზრდას.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ გადაუჭრელია მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში, დეფლაციაა. ამის თაობაზე არაერთხელ განაცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთაურმა კრისტიან ლაგარდმა. დეფლაციის პრობლემა უფრო დაწვრილებით გააანალიზა იაპონიის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა შარუკიმო კიროდამ. იაპონია თითქმის 20 წელია განიცდის დეფლაციის პრობლემას. კიროდამ საკმაოდ მძიმე სურათი დახატა, კერძოდ ის, თუ რა უარყოფით შედეგებს იწვევს გაჭიანურებული დეფლაცია. იაპონიის ცენტრალურმა ბანკმა შეძლო ინფლაციის წლიური მაჩვენებლის 1,2%-მდე აწევა სავალ ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის მასშტაბური მასტიმულირებელი პროგრამების დახმარებით. მაგრამ, სამწუხაროდ ევროპის ცენტრალური ბანკის განკარგულებაში მსგავსი ინსტრუმენტი არ არსებობს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორის ქრისტინ ლაგარდის განცხადებით, „მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკები ავლენენ გამოცოცხლების ნიშნებს, ჯერ კიდევ ნაადრევია მსოფლიო ეკონომიკის საერთო აღმავლობაზე საუბარი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო პროგნოზის თანახმად, გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი 2014 წელს შეადგენს 3,6%-ს.

ეს მაჩვენებელი სავსებით ნორმალურია, თუმცა ის ჯერ კიდევ ჩამოუვარდება პოტენციურ ზრდას – 4%-ს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსოფლიო ეკონომიკას ჯერ კიდევ ძალუძს ბევრად მეტი სამუშაო ადგილების შექმნა ინფლაციური ზეწოლის გარეშე.

„საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გადადგას ნაბიჯები, რომლებიც მიმართული იქნება -20-ის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა სუბიექტების მეშვეობით თანამშრომლობაზე. სინამდვილეში, სწორედ ასეთი თანამშრომლობით შევძლებთ დავძლიოთ გლობალურ კრიზისზე დუნე ზემოქმედება“ – განაცხადა ლაგარდმა.

მისივე სიტყვებით, „ჩვენ შევძლებთ თავი დავგვეწია უარესისგან, კერძოდ, დიდი დეპრესიის მსგავსი ვარიანტისგან. ყველაფერი ეს მოხდა მსოფლიო ჩინოენიკების ძალისხმევის შედეგად, განსაკუთრებით ცენტრალური ბანკების ძალისხმევით, შეინარჩუნონ დაბალი საპროცენტო განაკვეთები და მხარი დაუჭირონ ფინანსურ სისტემას, გაუწიონ ფინანსური დახმარება ზოგიერთ ქვეყნებს“.

ლაგარდის რეკომენდაციით, „ცენტრალურმა ბანკებმა უნდა მიმართონ სავალუტო პოლიტიკის უფრო მოქნილ პრინციპებს და მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ ეკონომიკის ჯანსაღ ზრდაზე. მოსალოდნელია, რომ აშშ-ში ზრდის ტემპები 2013 წელს არსებული 1,9%-დან 2,8%-მდე გაიზრდება 2014 წლისათვის. 2014 წელს ზრდის ტემპების ამადლება განპირობებული იქნება საბოლოო შიდა მოთხოვნით, რომელიც ნაწილობრივ სტიმულირებული იქნება საბიუჯეტო ფაქტორების შემაკავებელი ზემოქმედების შემცირებით“.

დავოსის ფორუმზე ასევე აღინიშნა, რომ იაპონიაში ზრდა თანდათანობით შენელებდა. წლიური ზრდის ტემპი 2014 წლის პროგნოზით იქნება 1,7%. მიმდინარე პრობლემად რჩება ის, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობამ უნდა მოახერხოს შეთანხმება საშუალოვადიან ფინანსურ რეგულატორებზე და განახორციელოს სტრუქტურული რეფორმები, მათ შორის, გააუქმოს გამოშვებაზე კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან და დეფლაცია საბოლოოდ დაძლიოს.

რაც შეეხება ევროზონას, ფორუმზე ითქვა, რომ ის ავლენს გამოცოცხლების ნიშნებს, მაგრამ ზრდა არათანაბარზომიერი და გაუთანასწორებელია. ევროს ზონა რეცესიიდან აღმავლობის ფაზაში გადადის. პროგნოზის მიხედვით, 2014 წელს გამოშვების ზრდის ტემპი მიაღწევს 1%-ს. ტემპების ამადლება მთლიანობაში ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება იმ ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებიან რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში. სახელმწიფო და კერძო ვალის მაღალი დონე და ფინანსური ფრაგმენტაცია შეაკავებს შიდა მოთხოვნას, მაშინ, როცა ექსპორტმა დაბატებით უნდა შეუწყოს ხელი ზრდას.

ბოლო ცვლილებები განვითარებად ქვეყნებში თვალნათლივ გვიჩვენებს კაპიტალის ნაკადების მიმართულების ცვლილების რისკის მართვის აუცილებლობას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით სუსტია ის ქვეყნები, რომლებიც ხასიათდება ადგილობრივ ეკონომიკაში სუსტი ადგილებით და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტით. ამ შემთხვევაში დასაშვებია გაცვლითი კურსის შემცირება საგარეო ვალის დაფინანსების პირობების გაუარესების საპასუხოდ. იმ შემთხვევაში, როდესაც გაცვლითი კურსის კორექტირების შესაძლებლობები შეზღუდულია (მაგალითად, თუ ერთიანი ვალუტის გაცვლითი კურსის შემცირების შედეგად მოსალოდნელია ინფლაციის პროვოცირება), ეკონომიკის მარეგულირებელ ორგანოებს მოეთხოვება უფრო მკაცრი მაკროეკონომიკური რეგულირებისა და ზედამხედველობის ქმედითი პოლიტიკის გატარება.

ფორუმზე მრავალმა დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე დავოსის ფორუმში გლობალური ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პირველად ჩატარდა შედარებით მშვიდ გარემოში. რასაკვირველია, არავის მხედველობიდან არ რჩება ცნობილი ეკონომიკური რისკები, რომელთაგან მთავარია ფედერალური სარეზერვო სისტემის მონეტარული სტიმულირების პოლიტიკის შეზღუდვა, თუმცა, საფონდო ბაზრებზე 2013 წელს განსაკუთრებული ზრდის შემდეგ ფორუმის მონაწილეთა უმრავლესობამ ეკონომიკური სიტუაცია უახლოესი წლებისათვის ოპტიმისტურად შეაფასა.

თუმცა, ამ ოპტიმისტური განწყობის საფუძველს ნაკლებად იძლევა მსოფლიო ეკონომიკაში არსებული თანამედროვე სიტუაცია. ამასთან, ამ ოპტიმიზმს არ იზიარებენ გავლენიანი ანალიტიკოსები და ბიზნესმენები. დავოსის ფორუმის რესპექტაბელურ ფიგურებს შორის, რომლებიც არ იზიარებენ საერთო ოპტიმისტურ განწყობას, აღმოჩნდა კორპორაციათა რამდენიმე ხელმძღვანელი, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა მსოფლიოში უმსხვილესი კორპორაციის – BlackRock-ის აღმასრულებელი დირექტორი ლოურენს ფინკი. მისი აზრით, „ფინანსურ ბაზრებზე მეტისმეტი ოპტიმიზმი... მართალია, ეკონომიკაში საერთო ტრენდი ცუდი არაა, მაგრამ გარკვეული საბაზრო ჩავარდნებისათვის მზად უნდა ვიყოთ“.

საინვესტიციო ჯგუფის Carlyle Group-ის ერთ-ერთმა დამაარსებელმა დევიდ რუბენსტაინმა განაცხადა, რომ მას ყველაზე მეტად აწუხებს ის, რომ „არავის არაფერი აღელვებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში ადამიანები ნაკლებს ღელავენ მსოფლიო ეკონომიკის თაობაზე, მაგრამ არ უნდა დაგვივიწყდეს, რომ გვერდით მუდმივად დადიან „შავი გელები“.

გერმანული კონცერნის Siemens-ის გენერალურმა დირექტორმა ჯო კაისერმა საერთოდ ეჭვქვეშ დააყენა თვით მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღების ფაქტიც კი. „შესაძლოა, ჩვენ კარგად ვრგძნობთ თავს მხოლოდ იმიტომ, რომ უბრალოდ მოვახერხეთ ტკივილის ოდნავ გაუქნება“, განაცხადა კაისერმა და იქვე რიტორიკული კითხვა დასვა: „რამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნა? ვეროპაში არსებული მილიონობით უმუშევრებიდან რამდენის დასაქმება მოხერხდა?“.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) ანგარიშით, რომელიც მიმდინარე წლის 20 იანვარს გამოქვეყნდა, მთელ მსოფლიოში უმუშევართა საერთო რაოდენობა 5 მლნ კაცით გაიზარდა და 202 მლნ ადამიანი შეადგინა. ამასთან, შსო გეაფრთხილებს, რომ მსოფლიო უმუშევრობა გაიზარდება მინიმუმ 2018 წლამდე და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გადაატარებებს კრიზისამდელ დონეს დაახლოებით 0,5 პროცენტული პუნქტით.

მსოფლიო ბიზნესი არ ჩქარობს სამუშაო ადგილების შექმნას ეკონომიკური განუსაზღვრელობის გამო. კარგი ინდიკატორი იმისა, რომ ბიზნესისთვის კრიზისი ჯერ კიდევ შორსაა დასრულებისგან, ფულადი საშუალებების მოცულობის შესახებ მონაცემებია, რომლებიც აკუმულირებულია კომპანიების ბალანსზე. Thomson Reuters-ის მონაცემების მიხედვით, 2013 წლის ბოლოსათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით კომპანიების ბალანსზე არსებობდა თითქმის 7 ტრლნ დოლარის ოდენობის ფულადი საშუალებები და მათი ეკვივალენტები, რაც ორჯერ აჭარბებს 10 წლის წინანდელ მაჩვენებელს. კაპიტალდაბანდების შეფარდების მაჩვენებელი მსოფლიო დონის კორპორაციების გაყიდვების მოცულობასთან უმცირესია ბოლო 22 წლის მაჩვენებლებზე.

დავოსის ფორუმზე ტექნოლოგიური კომპანიების წარმომადგენლები საუბრობდნენ ახალ ტექნოლოგიურ პერსპექტივებზე, მაგალითად 3-დინამიკურ ტექნოლოგიურ პროგრესის მედლის მეორე მხარეა მრავალი ცოდნისა და დარგის აქტუალობის დაკარგვის რისკი, რის გამოც ოგლე-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ერთიკი შმიდტის აზრით, „მომავალი 20-30 წლის განმსაზღვრელი სწორედ სამუშაო ადგილების პრობლემა იქნება“.

სიმბოლურია, რომ 2014 წლის დავოსის ეკონომიკურ ფორუმს, სადაც ნამდვილად არ იგრძნობოდა კრიზისული განწყობა, განვითარებადი ქვეყნების ფინანსურ ბაზრებზე სერიოზული მდგომარეობის დაწყება დაემთხვა. ფორუმის მეორე დღის ბოლოსათვის მრავალი მონაწილე შეშფოთებული აკვირდებოდა არგენტინაში არსებულ სიტუაციას, სადაც ცენტრალურმა ბანკმა მოულოდნელად შეწყვიტა ეროვნული ვალუტისადმი მხარდაჭერა, რის გამოც დაუშვა არგენტინული პესოს 11%-იანი გაუფასურება. ამან დააჩქარა ინვესტორთა „გაქცევა“ განვითარებადი ქვეყნების სხვა ვალუტებისგანაც: 24 იანვრისათვის შესამჩნევად გაიზარდა თურქული ლირა, ბრაზილიური რეალი, რუსული რუბლი, სამხრეთაფრიკული რანდი, ინდური რუპია, უკრაინული გრივნა. ამასთან, ამ უკანასკნელი შემთხვევისათვის არსებობდა მყარი მიზეზებიც – უკრაინაში შიდაპოლიტიკური კრიზისის ესკალაცია.

განვითარებადი ქვეყნების ვალუტების ვარდნა მიუთითებს იმაზე, რომ ინვესტორებმა და ეკონომისტებმა, შესაძლოა, ვერ შეაფასეს რისკი, რომელიც უკავშირდება აშშ-ში „რაოდენობრივი შემსუბუქების“ (Quantitative Easing - QE) პროგრამის შეზღუდვას (პროგრამის პირველი შეზღუდვა გამოცხადდა 2013 წლის ბოლოს). 2014 წლის დაწყებამდე ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ განვითარებადმა ბაზრებმა უკვე მოასწრეს გამოშვების ზრდა მონეტარული სტიმულებით და „რაოდენობრივი შემსუბუქების“ პროგრამის შეზღუდვა მათთვის ნაკლებად მტკივნეული იქნებოდა, მაგრამ ეს თეზისი ეჭვქვეშ დადგა.

განვითარებადი ქვეყნების მრავალი ჩინოვნიკი, რომლებიც მონაწილეობდნენ დავოსის ფორუმში, ტრადიციულად აღანაშაულებდნენ აშშ-ის ბაზრებზე არსებულ არასტაბილურობასა და ფედერალურ სარეზერვო სისტემას, თუმცა ამჟამად, როცა განვითარებადი ქვეყნები განიცდიან სულ უფრო მზარდ შიდა პრობლემებს, ასეთი პოზიცია დამაჯერებლად უკვე აღარ გამოიყურება.

ჩვენ მიერ ადრე ნახსენები BlackRock-ის უფროსის ლოურენს ფინკის აზრით, QE-ს შეზღუდვა მხოლოდ საბაბია ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში არასტაბილურობის გასამართლებლად, ხოლო ნამდვილი მიზეზი ამ ქვეყნებში მიმდინარე ცუდი პოლიტიკაა.

ერთი სიტყვით, დავოსის 2014 წლის ფორუმის შედარებით ოპტიმისტურ ნოტაზე დასრულების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები ნაკლები ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. გლობალური კრიზისი გრძელდება. იმის შესახებ, თუ რა მასშტაბებს მიაღწევს ის, როდესაც საფონდო ინდექსების ვარდნა ფსკერამდე დავა, რამდენად ძლიერი იქნება რეცესია და როდის დაიწყება ახალი აღმავლობა, ძნელი სათქმელია. როგორც ჩანს, ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნები, არამედ მთელი მსოფლიო რამდენიმე წლით უკან დაიხვეს. ყოველ შემთხვევაში, დიდი დეპრესიის პერიოდში ზოგიერთი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 1913 წლის დონეზე დაბლა აღმოჩნდა, მაგალითად, აშშ-ში მრავალი მაჩვენებელი 1905-1906 წლების დონეს გაუტოლდა. ნებისმიერ ეკონომიკურ კრიზისს ახასიათებს საერთო სისტემურ-სტრუქტურული თვისება, რომელიც დაკავშირებულია სისტემის კომპონენტებს შორის ოპტიმალური პროპორციების რღვევასთან. თანამედროვე კრიზისისა და წარსულ კრიზისებს, განსაკუთრებით

დიდ დეპრესიას შორის არსებობს არცთუ მცირე, ზოგჯერ აშკარა დამთხვევა. ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღებო მომენტი, რომელიც აშიშვლებს ასეთი კატაკლიზმების ნერვებს, მდგომარეობს იმაში, რომ 1929 წლის კრიზისის პირველადი მიზეზი იყო ნიუ-იორკისა და სხვა ბირჟებზე საბირჟო სპეკულაციების მკვეთრი ზრდა, რომელიც ძალიან გვაგონებს თანამედროვე ფინანსურ „საპნის ბუშტებს“.

რადგანაც გლობალიზაცია საკმაოდ გვიან დაიწყო და 1920-1930-იანი წლების კრიზისიც აგრეთვე გლობალური იყო, ნიუ-იორკის ბირჟაზე კრახმა გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოზე. ის შეეხო ინდუსტრიულად განვითარებულ ყველა ქვეყანას (გარდა საბჭოთა კავშირისა) და მრავალ აგრარულ ქვეყანასაც კი, რომლებიც ჩართული იყვნენ მსოფლიო ბაზარში. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ პერიოდში მრავალი რეგიონი ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩენილი იყო მსოფლიო ეკონომიკაში არ იყო ინტეგრირებული, ამიტომ, მათზე კრიზისის გავლენა თითქმის არ მოუხდენია. ასეთი მსგავსება სოლიდურ საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რათა შევეცადოთ გავიგოთ, თუ რატომ დაიწყო ახლანდელი კრიზისი და როგორი იქნება მისი საბოლოო შედეგები. ამ ვარაუდებიდან ბევრი მეტ-ნაკლებად სიმართლესთან ახლოსაა, კერძოდ, რომ ის გამოწვეულია ეკონომიკური პროცესების ციკლური ხასიათიდან. მაგალითად, არსებობს საკმაოდ დასაბუთებული აზრი იმის შესახებ, რომ 2008 წლის კრიზისი დაემთხვა ე.წ. ჟუგლარის ციკლის შედარებით მცირე, 7-11 წლიან ფაზას, რაც უკავშირდება ფასებისა და საკრედიტო განაკვეთების რყევებს და კონდრატევის უფრო ხანგრძლივ 45-60 წლიან ეკონომიკურ ციკლს ფაზას. ეს იდეა გამოითქვა მკვლევართა ჯგუფის მიერ, რომელიც მუშაობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პროგრამის ფარგლებში „მსოფლიო ეკონომიკის დინამიკის სისტემური ანალიზი და მათემატიკური მოდელირება“ (ხელმძღვანელი ვ. ა. სადოვინი, კოორდინატორები: ა. ა. აკაევი, ა. ვ. კოროტაევი, გ. გ. მალინცკი). ეს ციკლი დაკავშირებულია შესაბამისად ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის ფაზებთან (ე.ი. დადგენილ ფაზაში წარმოიქმნება ახალი იდეები, ხოლო მათი დანერგვა და კომერციალიზაცია ქმნის პირობებს აღმავლობის ფაზისათვის). ეკონომიკის ციკლურობა საესეებით გასაგები მოვლენაა: არც აღმავლობაა მუდმივი და არც რეცესია. მაგრამ რატომ მოხდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ციკლურობას არ გამოუწვევია ასეთი სერიოზული შედეგები? მართალია, რომ ათწლეულების განმავლობაში მთავრობები და ეკონომისტები ასერხებდნენ სულ უფრო დახვეწილი და ზუსტი დონისძიებათა კომპლექსით მოეხდინათ კრიზისების შედეგების შერბილება, ასტიმულირებდნენ რა ეკონომიკურ ზრდას ამა თუ იმ სფეროში. ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატები ახდენდნენ სულ უფრო რთული და შემოსავლიანი ფინანსური ინსტრუმენტების (კერძოდ, ყბადაღებული დერივატივების) სრულყოფასა და პოპულარიზაციას.

რატომ იქცა მიმდინარე კრიზისი გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ყველაზე მასშტაბურ კრიზისად? პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ ხერხები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იყო აქამდე ამგვარი მასშტაბის რყევებისგან თავის არიდება, ძველებურად ვეღარ მოქმედებენ. რატომ? ეკონომისტებმა დაკარგეს კვალიფიკაცია თუ სხვა ფაქტორები წარმოიქმნა, რომელზეც უწინდელი ზომები ვეღარ მოქმედებენ? როგორც ჩანს, ერთი მხრივ, ძალიან მაღალი იყო რწმენა იმისა, რომ მართებული დონისძიებების დახმარებით, მაგალითად, საკრედიტო განაკვეთების რეგულირებით აღმოფხვრება ნეკოტიური შედეგები. ალბათ, სწორედ ამიტომ 2007 წლის ბოლოსათვის არსებულ კრიზისულ შედეგებს არ მიექცა სათანადო ყურადღება, როგორც ადრე არ იქნა გამოტანილი სათანადო დასკვნები 1995-2001 წლების კრიზისების გაკვეთილებიდან, რომლებიც თავს დაატყდა მექსიკას, აღმოსავლეთ აზიას, რუსეთს, ბრაზილიას, არგენტინას და სხვა ქვეყნებს და რომლებიც მაუწყებელი იყო უფრო მასშტაბური რყევებისა. აკი ეს კრიზისები იყო იმ ქვეყნებში, სადაც ადგილი ჰქონდა ცუდ მართვას (იხ., მაგალითად: Кальвокорессе 2003: 89; Бобрывников и др. 2002), დემოკრატიის არასაკმარისად განვითარებას, ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების სისუსტეს; ერთი სიტყვით, ამ ქვეყნებში არ არსებობდა ეკონომიკის მართვის დახვეწილი მექანიზმი.

მეორე მხრივ, თანამედროვე კრიზისის მიზეზებში განჩნდა ახალი შტრიხები. ერთ-ერთი განსხვავება დღევანდელი კრიზისისა 80 წლის წინანდელი კრიზისისაგან მდგომარეობს იმაში, რომ ის სხვადასხვა ქვეყანაში ერთბაშად გამოვლინდა (1929-1933 წლების კრიზისი ერთბაშად არ შეხებია სხვა ქვეყნებს, მაგალითად, ინგლისსა და საფრანგეთს), ხოლო მეორე განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მცირეა იმ ქვეყნების რაოდენობა, თანაც მნიშვნელოვანის, რომლებიც არ დაზარალდნენ ამ კრიზისისაგან. თუმცა, რასაკვირველია, კრიზისის დაწყებას თუ ავიტოვებთ 2007 წლის ბოლოს აშშ-ში წარმოქმნილი იპოთეკური პრობლემის მომენტიდან, ვნახავთ, რომ კრიზისის მწვავე ფაზაში გადასვლას არც ისე მცირე დრო დასჭირდა. ამასთან, ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ სწორედ მსოფლიო კრიზისის წლებში საბჭოთა კავშირმა დაასრულა ინდუსტრიალიზაცია და მოახდინა ეკონომიკის უზარმაზარი ტემპებით ზრდა. ფაქტობრივად, XX საუკუნის 20-30-იანი წლების მსოფლიო კრიზისმა არა უბრალოდ დაადასტურა განვითარების შესაძლებლობა პრინციპულად სხვადასხვა ეკონომიკური მოდელებით, არამედ სახელმწიფო მოდელმა თითქოსდა მიიღო ერთგვარი უპირატესობა ლიბერალურ-საბაზროსთან შედარებით, რაც გამოიხატებოდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარმატებებში საბჭოთა კავშირში, გერმანიაში, იტალიასა და იაპონიაში. გავიხსენოთ, თუ როდენ განსხვავებულად იქცეოდნენ სხვადასხვა ქვეყნები დიდი დეპრესიის პერიოდში, როცა ცდილობდნენ გამოსულიყვნენ კრიზისიდან სრულიად სხვადასხვა მეთოდებით. სწორედ კრიზისის დროს და მისი შემოქმედებით დაიწყო აქტიური მზადება ომისათვის და პირდაპირი აგრესია. მაგალითად, ასე იქცეოდა იაპონია შორეულ აღმოსავლეთში ჩინეთის მიმართ 1931 წელს, ხოლო გერმანია და იგივე იაპონია 1933 წელს გავიდა ერთა ლიგიდან, რითაც დემონსტრაციულად აჩვენეს, რომ ისინი არ აპირებდნენ ანგარიში გაეწიათ მსოფლიო საზოგადოებრიობის შეხედულებისათვის.

ერთ-ერთი შესაძენვე განსხვავება თანამედროვე ეკონომიკური განვითარებისა 1920-იანი წლების კრიზისის წინანდელი ვითარებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ მაშინ ძირითადი ეკონომიკური ზრდა მიმდინარეობდა მოწინავე ქვეყნების მცირე ჯგუფში, ხოლო მსოფლიო ეკონომიკაში ბოლოდროინდელი აღმავლობა ეყრდნობოდა უმეტესწილად განვითარებადი ქვეყნებისა და საშუალო დონის ქვეყნების ზრდას, მათ შორის, ყველაზე დასახლებული ქვეყნების ჩათვლით, როგორცაა ჩინეთი და ინდოეთი. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ კრიზისის ასეთი მასშტაბები იწვევს არსებით და ძირეულ ცვლილებებს მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე, რაც შეიმჩნეოდა კიდევ დიდი დეპრესიის შედეგად, როცა ტოტალურმა სახელმწიფოებმა დაიწყეს საკუთარი პოზი-

ციების მკვეთრი გაძლიერება, ხოლო დემოკრატიულმა ქვეყნებმა – შეასუსტეს. ამიტომ, უშეცდომოდ შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ გეოპოლიტიკური სიტუაციის ესა თუ ის ცვლილება დღევანდელი კრიზისის შედეგად გარდაუვალია, თუმცა, შესაძლოა ის არ იქნეს ისეთი მკვეთრი, როგორც ეს გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს მოხდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, ლექციების კურსი (რიდერი). ნ. ხაღური, ნ. კაკულია, მ. ჩიკობავა. თსუ – 2013.
2. <http://www.weforum.org/events/world-economic-forum-annual-meeting-2014>
3. <http://www.vedomosti.ru/finance/news/21766731/ekonomika-uspokaivaet-tehnologii-vdohnovlyayut-socialnye>
4. Кобяков, А. Б., Хазин, М. Л. 2003. Закат империи доллара и конец «Рах Americana». М.: Вече.
5. Лаврентьев, С. 2008. Хедж-фонды теряют клиентов. РБК daily. 17 ноября. Интернет-ресурс. Режим доступа: <http://www.stockportal.ru/main/invest/world/articles/hf>
6. Л. Е. Гринин. Глобальный кризис как кризис перепроизводства денег, <http://www.socionauki.ru/journal/articles/130302/>

Malkhaz Chikobava

COMPARATIVE ANALYSIS OF THE MODERN ECONOMIC CRISIS

Annotation

In given work are analyzed the results of Davos Forum of 2014. Emphasized that the results of the forum looks too optimistic on the background of the situation in world economy. It is shown, that bankruptcies of financial institutions and inflating of a bubble preceding them in the financial market are caused by a number of the reasons. Besides granting of doubtful credits, they include excessive use derivatives, inflow of cheap money from the countries with the arising market economy, inadequate measures of regulation of monetary and credit relations, the inconsistent policy of the governments and weak execution of supervising functions.

Growth of the financial sector creates a fundamentally new situation in the world. Overall, it seems, we can say the transition to a new stage of post-industrial society: from economy producing services to the economy, generating money. And the growth of the financial sector is one of the main causes and characteristics of the modern global crisis. That is why one of the most striking and novel features of the present crisis is overproduction of money.

კატერინე ჩიხელი

სტრატეგიული დაგეგმვის თანამედროვე ასპექტები

თანამედროვე ეტაპზე კომპანიებს ფუნქციონირება უხდებათ სწრაფად ცვალებად გარემოში. იმისათვის რომ მიადვიონ წარმატებებს და ხანგრძლივად დაიმკვიდრონ ადგილები ბაზარზე, კომპანიებს უწყვეტ რეჟიმში მოეთხოვებათ არსებული ფაქტორების იდენტიფიცირება და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, ანუ სტრატეგიულ მიზნებისა და მათი მიღწევის გზების შემუშავება, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტრატეგიული დაგეგმვა, რადგან იგი აფართოებს მენეჯერების თვალსაწიერს, იაზროვნონ პერსპექტიულად; უზრუნველყოფს ორგანიზაციის მოქმედებების ზუსტ კოორდინაციას; განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობის კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანებლებს; აიძულებს ორგანიზაციას, განსაზღვროს ამოცანები და მიმართულებები; ნათლად გამოხატავს პასუხისმგებელი პირების მოვალეობებს; ხელს უწყობს გარემოს ცვლილებებისადმი ადაპტირებადი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას.

დაგეგმვის პროცესის განხორციელება აუცილებელია ყველა ორგანიზაციისათვის წელიწადში ერთხელ მაინც. მენეჯერებმა მუდმივად უნდა იცოდნენ პასუხი კითხვებზე: სად იმყოფება ორგანიზაცია მოცემულ მომენტში; საით უნდა იმოდროს ორგანიზაციამ; როგორ უნდა მოახდინოს ორგანიზაციამ ამ მოძრაობის ორგანიზება. წარმატებულ კომპანიებზე დაკვირვება გვჩვენებს, რომ ორგანიზაცია, რომლის პროდუქტი არის იმ ინდუსტრიაში, რომელიც იცვლება სწრაფად, დაგეგმვას ახორციელებს წელიწადში მინიმუმ ერთ ან ორჯერ ძალიან ამომწურავი და დეტალური სახით; ხოლო, თუ ორგანიზაცია ფუნქციონირებს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სტაბილური ბაზრის პირობებში, დაგეგმვას ახორციელებს წელიწადში ერთხელ და მხოლოდ დაგეგმვის პროცესის მთავარ ნაწილებზე და ა.შ. ცნობილია, სტრატეგიული დაგეგმვის შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები:

- სტრატეგიული დაგეგმვა უნდა განხორციელდეს მაშინ, როცა ორგანიზაცია იწყებს ფუნქციონირებას;
- სტრატეგიული დაგეგმვა უნდა განხორციელდეს მაშინ, როცა კომპანიის ფუნქციონირების პროცესში წარმოიქმნება ახალი რისკები;
- სტრატეგიული დაგეგმვა უნდა ჩატარდეს სულ მცირე წელიწადში ერთხელ, რომ მოხდეს თუნდაც შემდეგი საფინანსო წლის დაგეგმვა;
- სტრატეგიული გეგმა უნდა განახლდეს ყოველ წელს;
- სტრატეგიული გეგმის გახორციელებისას, მისი შესრულების პროცესი უნდა შეფასდეს ყოველ კვარტალში მაინც. მეტიც, შეფასების რაოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს ორგანიზაციის გარემო არსებული ფაქტორების ცვლილებების სიხშირეზე.

სტრატეგიული დაგეგმვის საერთო პროცესი იწყება მენეჯერების მხრიდან ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის შემუშავებით. ჩვეულებრივ, სტრატეგიული გეგმა მუშავდება მთელი ორგანიზაციისთვის და არა ერთი პროდუქტის, პროექტის ან პროგრამისთვის. იგი მოიცავს 3–5 წელს ან მეტ პერიოდს. ტრადიციულად, სტრატე-

გიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს: მისიის, სტრატეგიული ხედვისა და მიზნების შემუშავება; ტაქტიკური, სიტუაციური და სხვ. გეგმების ჩამოყალიბება; გეგმების განხორციელება; პერიოდულად შედეგების მონიტორინგი, შეფასება და, აუცილებლობის შემთხვევაში, ცვლილებების შეტანა. თუმცა, დღეს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებენ სტრატეგიული დაგეგმვის სხვადასხვა მიდგომას, რომელთა შერჩევა დამოკიდებულია კომპანიების საჭიროებაზე, განვითარების პერსპექტივაზე და მომავალ მისწრაფებებზე [Nancy,2011]. კერძოდ, ცნობილია სტრატეგიული დაგეგმვის შემდეგი მიდგომები:

❖ ხედვაზე ან მიზნებზე დაფუძნებული სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომა ჩვეულებრივ ხელსაყრელია იმ კომპანიებისთვის, რომლებიც არის საკმაოდ მცირე, აქტიური და რომლებსაც ადრე არასდროს განუხორციელებიათ სტრატეგიული დაგეგმვა. ამ მიდგომის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ეფუძნება შემდეგ ეტაპებს: მისიის იდენტიფიცირება; სტრატეგიული ხედვის განსაზღვრა; ორგანიზაციული მიზნების ფორმირება მისიის შესრულებისა და ხედვის განხორციელებისთვის; კონკრეტული მიდგომების ან სტრატეგიების ფორმირება; ხედვის, მისიის, სტრატეგიებისა და აქტივობების გეგმის თავმოყრა ერთიან სტრატეგიულ გეგმაში; სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება;

❖ ამოცანებზე დაფუძნებული სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომა გამოიყენება იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც აქვს შეზღუდული რესურსები, მცირე წარმატებები მომავალზე ორიენტირებული მიზნების მიღწევაში ან სტრატეგიული დაგეგმვის ნაკლები გამოყენება. ამ მიდგომის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვა მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს: ორგანიზაციის წინაშე არსებული მთავარი, ძირითადი ამოცანების იდენტიფიცირება; ცალკეული ამოცანების მიმართულებით იდეების გენერირება გონებრივის შტურმის მეთოდით; იდეებისა და ამოცანების თავმოყრა ერთიან სტრატეგიულ გეგმაში; სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება;

❖ კრიზისული სიტუაციების სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომა გამოიყენება იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საჭიროებენ სრულყოფილ სტრატეგიებს ან არკვევენ რატომ არ მუშაობენ კარგად. ამ მოდელის მიზანს წარმოადგენს ზუსტად გაირკვას რა არის კომპანიის მისია და რესურსები ორგანიზაციის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. ამ მოდელის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპებია: დაგეგმვის გუნდის მიერ მისიის, პროგრამების, რესურსებისა და საჭიროებების კონტურების განსაზღვრა; იმის შეფასება, რა მუშაობს კარგად და რა საჭიროებს კორექტირებას; მაკორექტირებელი მოქმედებების განსაზღვრა; მოქმედებების როგორი სტრატეგიების შეტანა საჭირო სტრატეგიულ გეგმაში;

❖ სცენარის შემუშავებით სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიდგომებთან ერთად იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც უხდებათ ფუნქციონირება მუდმივად ცვალებად გარემოში და სხვადასხვა სიტუაციებში. ამ მიდგომის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება შემდეგ ეტაპებს: იდენტიფიცირება რამდენიმე გარე ფაქტორისა და თითოეულთან დაკავშირებული შესაძლო ცვლილებებისა; თითოეულ ცვლილებაზე სამი განსხვავებული სცენარის შემუშავება, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ამ ცვლილებისას; თითოეულ სცენარში ცვლილების საპასუხო მოქმედებების განსაზღვრა; მგეგმავების მიერ სტრატეგიების იდენტიფიცირება, რომლებიც მიმართული იქნება შესაძლო ცვლილებების საპასუხოდ; ორგანიზაციაზე მოქმედი ყველაზე მოსალოდნელი გარე ცვლილებების შერჩევა;

❖ ორგანული სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესისათვის დამახასიათებელია შემდეგი ასპექტები: ორგანიზაციული კულტურის ფასეულობების ჩამოყალიბება; ორგანიზაციის გუნდის ხედვის განსაზღვრა; ხედვის განხორციელებისთვის შესაბამისი პროცესების დასახვა და გუნდის შეხედულების განსაზღვრა პროცესებთან დაკავშირებით; თითოეულისთვის მუდმივი შესხენება იმისა, რომ ასეთი ტიპის დაგეგმვა არასდროს იქნება რეალური თითოეული წევრის გარეშე და გუნდმა უნდა ისწავლოს ფასეულობების დახუსტება და პროცესების განახლება; მეტად ფოკუსირება სწავლაზე და არა მეთოდებზე; მუდმივად მოთმინების უნარი; გუნდის მიერ იმის განსაზღვრა, თუ როგორ წარედგინება ასეთი სტრატეგიული გეგმა დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც ხშირად ელოდებიან მექანიკური, ხაზობრივი ფორმის გეგმებს.

❖ რეალური დროის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომა გულისხმობს, რომ სტრატეგიული დაგეგმვა უნდა განხორციელდეს „რეალურ დროში“, რადგან მსოფლიოში ცვლილებები მდის იმდენად სწრაფად რომ ჩვეულებრივი გეგმები (გრძელვადიანი) სწრაფად ძველდება. ამ მოდელის მნიშვნელოვანი ასპექტებია: დისკუსიის საფუძველზე მისიის, ხედვისა და ფასეულობების გარკვევა და იდეალურ შემთხვევაში მათი გაფორმება დოკუმენტურად, რომ ცვლილებების გამოვლენა და გაცნობა იყოს მარტივი; დისკუსიის საფუძველზე მთავარი პრიორიტეტების განსაზღვრა. დისკუსიები არის მნიშვნელოვანი, რადგან ისინი ეფუძნება ადამიანების არა მარტო ზოგად მოსაზრებებს, არამედ რამდენადაც შესაძლებელია ზუსტ მონაცემებზე დამყარებულ შეხედულებებს.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის სათაოდ დონეზე განხორციელება პირდაპირ უკავშირდება ამ პროცესში მონაწილე პირების სტრატეგიულ აზროვნებას, ანუ უნარს, შეეძლოთ გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბება, ბიზნესის საერთო სურათის დანახვა ორგანიზაციაზე მოქმედი ყველა ფაქტორის იდენტიფიცირებისა და ორგანიზაციის ადაპტაციის გათვალისწინებით. ლიდერი კომპანიების მენეჯმენტი სტრატეგიულ აზროვნებას თვლის უმაღლეს პრიორიტეტად. ფორბის სტატიაში საუბარია სტრატეგიული აზროვნების ხუთ ტიპზე [Green, 2012]:

➤ კრიტიკული აზროვნება, ანუ მენტალური პროცესი, ობიექტურად გაანალიზო ინფორმაცია, რომელიც მიღებულია ყველა შესაძლო წყაროდან, შეაფასო მატერიალური და არამატერიალური ასპექტები და განსაზღვრო ცალკეული ქმედებების მოსალოდნელი შედეგები;

➤ შესრულების აზროვნება ან იდეების ორგანიზება და მოქმედებებისა იდენტიფიცირება ისე, რომ ისინი ეფექტიანად განხორციელდეს;

➤ კონცეპტუალური აზროვნება, ანუ უნარი, იპოვო კავშირი აბსტრაქტულ იდეებს შორის და შემდეგ განათავსო ისინი ერთად ერთიანი სურათის შესაქმნელად;

➤ ინოვაციური აზროვნება, ანუ უნარი, ახალი იდეებისა ან კრეატიული გზების გენერირებით შექმნა შესაძლებლობები;

➤ ინტუიციური აზროვნება, ანუ უნარი, გაითვალისწინო საბოლოო გადაწყვეტილებაში შენი მოსაზრება ცოდნისა და მტკიცებულების გარეშე.

სტრატეგიული დაგეგმვის წარმატება დამოკიდებულია გეგმის შემუშავებისა და შესრულების ორგანიზაციის ხარისხზე. სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება ინტერაქტიულ ურთიერთობებს და შესაბამისად მისი შესრულებისათვის აუცილებელია, ერთი მხრივ, ტრადიციული პრინციპების გამოყენება, როგორცაა: მონაწილეობა, უწყვეტობა, ინტეგრაცია და კოორდინაცია; მეორე მხრივ, თანამედროვე პრინციპების გამოყენება, როგორცაა: ამბიციური მიზნების ფორმირება, ანალიტიკური გუნდების შექმნა და შედეგების საჯაროობა თანამშრომლებისთვის [Дафт, 2013].

• მკვლევართა უმეტესობა თვლის, რომ სტრატეგიულ დაგეგმვაში ყველაზე მნიშვნელოვანია დაგეგმვისა და რეალიზაციის პროცესი. დაგეგმვის პროცესი არის ეფექტიანი, როცა გეგმავენ ისინი, ვინც ახდენს მის რეალიზაციას. დაგეგმვის პროცესის უშუალო მონაწილეებს საშუალება ეძლევათ: პირველი, გაიგონ ორგანიზაციის მიზნები, სტრუქტურა, მეთოდები და ამოცანების გადაჭრის გზები. მეორე, განვითარდნენ ინტელექტუალურად და აამაღლონ ორგანიზაციის დონე.

• უმეტეს შემთხვევაში დაგეგმვას აქვს დისკრეტული ხასიათი. სტრატეგიული დაგეგმვა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, გათვლილია 3, 5 ან მეტ წლებზე. თუმცა გარემოში მიმდინარე ცვლილებების, მოულოდნელი მოვლენებისა თუ კონფლიქტური სიტუაციების გამო სტრატეგიული გეგმა ვერ სრულდება ისე, როგორც მოლოდინიც არსებობს. ამიტომ, სტრატეგიული დაგეგმვის დროს აუცილებელია მუდმივი კონტროლი, ანალიზი, გეგმების მოდიფიცირება და სიტუაციისადმი ადაპტირება;

• როგორც ცნობილია, ორგანიზაცია არის რთული ორგანიზმი, რომელშიც გამოიყოფა იერარქიული დონეები, თითოეულ დონეზე კი – ფუნქციური განყოფილებები და ქვეგანყოფილებები. დაგეგმვის პროცესის განხორციელება ერთდროულად, სხვადასხვა დონეების, განყოფილებების, ქვეგანყოფილებების ურთიერთკავშირითა და შეთანხმებით, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციაში სტრუქტურული ერთეულებისა და დონეების ინტეგრაციას და კოორდინაციას, არის მნიშვნელოვანი სტრატეგიული დაგეგმვის ეფექტიანობის მიღწევაში.

ამასთან, ახალ პირობებში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს:

• ამბიციური მიზნების ფორმირება: წამყვანი ორგანიზაციები დღეს აქცენტს აკეთებენ განსაკუთრებულად შთამაგონებელი მიზნების ფორმირებაზე, რომლებიც არის იმდენად გასაგებად, დამაჯერებლად და ნათლად ჩამოყალიბებული, რომ აღვივებს თანამშრომლების ენთუზიაზმს და ხელს უწყობს სრულყოფილების მიღწევას. ასეთ ამბიციურ მიზნებად მიჩნეულია დიდი, რთული, თამაში მიზნები, ანუ BHAG, რომელიც პირველად გამოიყენა ჯეიმს კოლინზმა და ჯერი პორასომ, მას შემდეგ იგი გამოიყენება ტერმინად, რომელიც აღწერს ისეთ მიზნებს, რომლებიც არის შთამაგონებელი, თუმცა ამასთან მიღწევადი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მომუშავეები დაკარგავენ მოტივაციას, ან კიდევ მიზნების მიღწევის გულისთვის გამოიყენებენ სარისკო და არაეთიკურ ქმედებებს. ასეთი მიზნების დასახვა განსაკუთრებით საჭიროა დღეს, სწრაფად ცვალებად გარემოში, რათა მომუშავეებმა იფიქრონ ახლებულად და მოახდინონ მათი ინოვაციური იდეების გენერირება;

• ანალიტიკური გუნდების შექმნა. რადგან თანამედროვე ეტაპზე გარემო არის სწრაფად ცვალებადი, მენეჯერებს ადეკვატური მიზნებისა და გეგმების შემუშავებისთვის გამუდმებით ესაჭიროებათ სანდო ინფორმაცია, რომელთა მოძიება ხშირად დაკავშირებულია პრობლემებთან. ყველა წამყვანი კომპანია ამისთვის იყენებს ანალიტიკურ გუნდებს, რომლებიც არის მენეჯერებისა და თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული კროსფუნქციური ჯგუფები, რომლებსაც ხელმძღვანელობს კონკურენტული გარემოს დაზვერვის პროფესიონალები და რომლებიც მისწრაფიან ბიზნესის კონკრეტული პრობლემის უფრო ღრმად გაგებისა და იდეების, მიზნებისა და გეგმებისთვის რეკომენდაციების შესამუშავებლად;

• მომუშავეებისთვის შედეგების ინფორმირება მუდმივად. ადამიანებს აუცილებლად სჭირდებათ დაინახონ, როგორ მიმდინარეობს გეგმების რეალიზაცია და შეაფასონ საკუთარი წარმატებები. კომპანიებმა დაიწვეს შედეგების გასაჯაროებაზე ორიენტაცია, რომლისთვისაც ლიდერი კომპანიების უმეტესობა იყენებს სხვადასხვა ტექნოლოგიურ ხერხებს, მაგალითად, სპეციალურ მონიტორებს, როგორც ხელმძღვანელების მიერ კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი შედეგების გამოქვეყნების საშუალებას.

ამრიგად, რაც უფრო ვითარდება მსოფლიო და იცვლება გარემო, მით უფრო დიდი გამოწვევების წინაშე დგება კომპანიები, რაც მათი მხრიდან გამუდმებით მოითხოვს ახალ-ახალი შესაძლებლობების მოძიებას და გამოყენებას. ეს, თავის მხრივ, ეხება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესსაც, რომელიც საჭიროებს მუდმივ სრულყოფას კომპანიების მხრიდან, რადგან სწორად შემუშავებული და რეალიზებული სტრატეგიული გეგმების გარეშე მათი არსებობა წარმოუდგენელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Green, H. How to Develop 5 Critical Thinking Types. Retrieved July 10, 2012, from Forbes: www.forbes.com/work-in-progress/2012/03/27/how-to-develop-5-critical-thinking-types
2. McNamara, C. (n.d.). All about Strategic Planning. Retrieved 2011, from Free Management Library: <http://managementhelp.org/strategicplanning/indexhtml#anchor1234>
3. Nancy E. Lins. Strategic Planning. A Worthwhile Process?
4. <http://managementstudyguide.com/>
5. Ричард Дафт; Менеджмент; MBA; 2013, p.218

MODERN ASPECTS OF STRATEGIC PLANNING

Annotation

To be successful in the long run companies must continuously identify environmental factors and take appropriate steps. Therefore it is necessary to implement the strategic planning process. The strategic planning process requires constant improvement, new approaches and methods, because it is impossible to imagine the existence of companies without strategic plans adapted to the environment. Nowadays, companies need to choose the most suitable approaches of strategic planning: vision-based or goals-based, issues-based, alignment model, real-time etc. Their activities should be based on strategic thinking, such as: critical thinking, implementation thinking, conceptual thinking, innovative thinking etc. In addition, it is necessary for successfully strategic planning to use principles, such as: participation, continuity, integration and coordination, grand goals, analytic team formation, regularly inform of employees.

რომან ხარბელი

სახელმწიფოს როლი ლიბერალური ეკონომიკის პირობებში

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის საკითხის კვლევისას პირველ რიგში წამოიწევა პრობლემა ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის თაობაზე. შეუძლია თუ არა ბაზარს, გადაჭრას ყველა ის ეკონომიკური პრობლემა, რომელიც წარმოიშობა საზოგადოებაში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით? კლასიკური ეკონომიკის ამაზე უარყოფით პასუხს იძლევა [1, გვ. 41-42].

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ საზოგადოებაში (და არა მხოლოდ) მიმდინარეობს დისკუსია იმის თაობაზე, თუ რამდენად აუცილებელია ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევა და რომელი ეკონომიკური მოდელი უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტაბილურობასა და შემდგომ პროგრესს, სწავლულ ეკონომისტთა შორის ამ საკითხზე ერთიანი აზრი არ არის ჩამოყალიბებული.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის თაობაზე მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებები ცვლილებებს განიცდიდა კონკრეტული ისტორიული ვითარების შესაბამისად. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური თეორიის სკოლები, მიმართულებები და მიმდინარეობები ერთმანეთისაგან უმთავრესად ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხით განსხვავდებიან [2, გვ. 62].

ნებისმიერი საზოგადოების წინაშე, რომელიც საბაზრო ეკონომიკის გზაზე იწეებს სვლას, აუცილებლად დადგება ეკონომიკური მოდელის არჩევის საკითხი. ბოლო ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, მიუხედავად ურთულესი ეკონომიკური და სოციალური პირობებისა, საქართველო ზიგზაგებით, მაგრამ მაინც ლიბერალური ეკონომიკის მშენებლობის გზას ადგას და ეს გზა დღესაც გრძელდება. თუმცა, აკად. ვლ. პაპავას აზრით, „დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტიდან საქართველომ მაინც ვერ შეძლო შეექმნა ეკონომიკური სისტემა, რომელიც შეიძლებოდა სტაბილური ეკონომიკური განვითარების საფუძველი გამსდარიყო და ჩამოყალიბებული მოდელი ემყარება არა იმდენად წარმოების ზრდას, რამდენადაც მოხმარების სტიმულირებას“ [3, გვ. 47, 51].

ეკონომიკური თვალსაზრისით, ლიბერალიზმი შეიძლება გავიგოთ, როგორც თავისუფალი ეკონომიკური აქტივობის უფლების აღიარება კერძო საკუთრებისა და ბაზრის საფუძველზე. ეკონომიკური ლიბერალიზმი საკმაოდ ფართო ცნებაა და იგი არ გამოიცხადებს ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის, ე.წ. სახელმწიფო ეკონომიკის გარკვეული დოზით არსებობას. მაგრამ ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის დომინანტობის პირობებში, ბუნებრივია, ძნელია მსჯელობა ეკონომიკის ლიბერალიზმზე. აქ მთავარი იმდენად ის კი არ არის, რამდენი პროცენტი უჭირავს სახელმწიფო სექტორს ქვეყნის ეკონომიკაში, არამედ ის, თუ რამდენად უწყობს ხელს და იცავს სახელმწიფო კერძო სექტორის განვითარებასა და მის ინტერესებს.

სახელმწიფო ყოველთვის ორიენტირებული უნდა იყოს იქითკენ, რომ შესაბამისობაში მოიყვანოს საბაზრო ურთიერთობები საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნილებებთან. სახელმწიფომ შეიძლება შეხდეს ბაზრის მიმართ დაშვებადობა იმით, რომ შექმნას უსაფრთხოებისა და ხარისხის ისეთი არასაბაზრო სტანდარტები, რომლის მეშვეობითაც განახორციელოს რესურსების გადანაწილება იმათ სასარგებლოდ, რომელთაც მათი მიღება არ შეუძლიათ [4, გვ. 8-9].

საზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში, თუ იგი მკაცრად არ იქნა რეგლამენტირებული, დიდი ხიფათის შემცველი შეიძლება იყოს, რამდენადაც მთავრობის ზოგიერთი მოქმედება შესაძლოა ნეგატიურად აისახოს ბიზნესის საქმიანობაზე. ბაზარი ვერ ეგუება სახელმწიფოს მხრიდან მუდმივ ჩარევებსა და მისი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას, რასაც, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკაში არაჯანსაღ და ზოგჯერ კრიზისულ სიტუაციამდე მიყვავართ ხოლმე.

შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის სურვილი, უფრო მეტად ჩაერიოს ეკონომიკაში, უფრო გარდამავალი პერიოდის ავადმყოფობაა, შექმნილი განსაკუთრებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნებით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფ ქვეყნებში.

რამდენადაც კონკურენცია კაპიტალისტურ ეკონომიკაში განაპირობებს რესურსების გამოყენებისა და განაწილების მაღალ ხარისხს, ბუნებრივია, ჩნდება მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს (მთავრობის) ჩარევის არავითარი აუცილებლობა არ არსებობს. ეს არის ე.წ. „წმინდა კაპიტალიზმის“ როგორც თვითრეგულირებადი და თვითკონტროლირებადი ეკონომიკური სისტემის კონცეფცია, რომელიც გამოიცხადებს სახელმწიფოს (მთავრობის) მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან როლს ბაზრის ფუნქციონირებაში. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიბერალური ეკონომიკის მოდელი, ესაა თეორიული კონსტრუქცია, აბსტრაქტული მოდელი წმინდა კაპიტალიზმისა, რომელიც სუფთა სახით არც ერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა და არსად არ არსებობს. ყველა თვითრეგულირებადი ეკონომიკური სისტემა,

შეიძლება ითქვას, შერეული მოდელია, სადაც მთავრობა (სახელმწიფო) და საბაზრო სისტემები თანაფუნქციონირებენ და სადაც მთავრობა საბაზრო სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობის, სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის, თავისუფალი კონკურენციის დაცვის, დასაქმებისა და ინფლაციის კონტროლის მიმართულებით და ა.შ. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალებს უნდებოდათ ცდუნება, და ამ ცდუნების წინაშე მეტ-ნაკლებად ყველა მთავრობა დგას, ე.წ. სამართლიანობის ინტერესებიდან და პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, გამოიყენოს სახელმწიფო ეკონომიკური აქტივობების დამანქნებელი ინსტრუმენტად და სახელმწიფოებრივი რეგულაციები აქციოს მისი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად, იგი თითქმის ყოველთვის სხვადასხვა ფორმას იძენს ხოლმე და ხელს უშლის ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას. როდესაც, ე.წ. „კეთილშობილური მიზნებიდან“ გამომდინარე, მიიღება გადაწყვეტილება ეკონომიკაში მთავრობის აქტიური ჩარევის აუცილებლობის შესახებ, ეს ყველა შემთხვევაში გამოიწვევს დამატებითი სახელმწიფო სტრუქტურის წარმოქმნას, სახელმწიფო აპარატის გაბერვას, მის არაეფექტიანობას, სხვადასხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტით ეკონომიკური საქმიანობის კიდევ უფრო დამძიმებას. ავითარებს რა მსგავს მოსაზრებას, ლიბერალური ეკონომიკის კონცეფციის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი მ. ფრიდმანი ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოს ნებისმიერი ფორმით ჩარევის მინიმალური დასაბუთებამდე მიდის. აშშ-ის მაგალითზე იგი ასაბუთებს, რომ მთავრობის მიერ გაწეული ხარჯები, მის მიერ განხორციელებული ინვესტიციები უმუშევრობის შემცირების ან სხვა მოტივებით, ეკრანირ დადებით შედეგს ვერ იძლევა.

აქვე აუცილებლად მიგვაჩნია შეენიშნოთ, რომ Laissez faire-ს პრინციპს, რომელიც თავისუფალ კონკურენციას ნიშნავს, ამერიკელ ბიზნესმენთა პირველი თაობა არ მიესალმებოდა და იგი უაზროდ ეჩვენებოდა. ისინი ქადაგებდნენ კერძო ინიციატივას, როდესაც ბიზნესისათვის აუცილებელი კაპიტალი იმყოფებოდა მეწარმის ხელში და მხარს უჭერდნენ სახელმწიფო ინიციატივას, როდესაც აუცილებელი და საჭირო კაპიტალის მოცულობა აღემატებოდა ცალკეულ ინდივიდთა ხელში არსებულ კაპიტალს. ამასთან, ისინი ყოველთვის მხარს უჭერდნენ იმ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობდა მინიმალური დანახარჯების პირობებში ეკონომიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას [5, გვ. 116].

საქართველოს ხელისუფლების (მთავრობის) მოქმედებები სახელმწიფო დაფინანსების თვალსაზრისით (იგულისხმება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება და სხვ., რაც ძირითადად სახელმწიფოს პერფორმანსს), ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების შედარებით დაბალი დონითა და უცხოური ივესტიციებისათვის არახელსაყრელი გარემოთი იყო განპირობებული. გარდა ამისა, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების შემცირების პირობებში მოკლევადიან პერიოდში, მთავრობა იძულებული ხდება გაზარდოს საკუთარი დაბანდებები (ე.წ. „დაბალანსების თეორია“) და ეს მარტო საქართველოში როდი ხდება, მსგავს ქმედებები ბევრ ქვეყანაში ჰქონია ადგილი და, ალბათ, მომავალშიც ექნება და ამას შეიძლება ხელი შეუწყოს „პოლიტიკური მიზანშეწონილობის“ ფაქტორმაც.

სახელმწიფოს (მთავრობის) სურვილი, რომ პოზიტიური ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკაზე, ბუნებრივად უბიძგებს მას ეკონომიკურ პროცესებში რადიკალური ჩარევისკენ, რაც, ხშირ შემთხვევაში, ნეგატიური შედეგების მომტანი ხდება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მ. ფრიდმანი, აშშ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის რამდენიმე ათწლეულის გამოცდილებიდან გამომდინარე ასკვნის, რომ მთავრობის მიერ მიღებული ზომების უმეტესი ნაწილი ფუჭი იყო და ვერ მიაღწია საწადელს. მისი აზრით, ის, რომ შეერთებულმა შტატებმა დიდ პროგრესს მიაღწია, გამოწვეული იყო არა იმდენად მთავრობის საქმიანობით, არამედ თავისუფალი ბაზრის პირობებში ცალკეულ პიროვნებათა ინიციატივითა და ინდივიდუალური სწრაფით. „იმას, რომ ჩვენ მაინც ვიღებთ დადებით შედეგს, ბაზრის ჩვეულებრივ ნაყოფიერებას უნდა ვუმაღლოდეთ. წინსვლის საკითხში მისი უჩინარი ხელი უფრო მარჯვეა, ვიდრე უკუსვლის ხელუი ხელი“ [6, გვ. 193].

ეკონომიკური ლიბერალიზმის ფუძემდებლების ასეთი შეხედულებები არ გულისხმობს საერთოდ სახელმწიფოს როლის უარყოფას ეკონომიკის განვითარებაში. ისინი მიიხსენებენ, რომ მთავრობამ უნდა უზრუნველყოს კანონისა და წესრიგის დაცვა; განსაზღვროს საკუთრების უფლებები, გამოიძღვოს შუამავლის როლი, როდესაც საჭიროა შეიცვალოს საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები ან ეკონომიკური თამაშის წესები, ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოებრივ ვალდებულებათა აღსრულებას, წაახადოს კონკურენცია, შექმნას მონეტარული ჩარჩოები და ა.შ. „მთავრობას, შენიშნავს მ.ფრიდმანი, ნამდვილად ექნება შესასრულებელი მნიშვნელოვანი ფუნქციები. ბოლოს და ბოლოს, ნაღდი ლიბერალი ანარქისტი არ არის“ [6, გვ. 35]. ამდენად, მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმის წარმომადგენლები საერთოდ უარყოფენ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის აუცილებლობას, საფუძველსაა მოკლებული.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო და ორიგინალური მოსაზრება აქვს აკად. ვლ. პაპავას. იგი ასაბუთებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა ბაზრის შინაგანი, იმანენტური ნაწილის სახითაც შეიძლება იქნეს განხილული. საკითხის ასეთი დასმოდან გამომდინარე, შეუძლებელია სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების პრობლემის პრინციპულად განსხვავებული გზით გადაწყვეტა, როცა ისინი ეკონომიკის სხვა აგენტების საქმიანობის ფორმებისა და მეთოდებისაგან პრაქტიკულად არაფრით იქნება განსხვავებული... სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების ერთ-ერთი, კერძოდ, მესუთე ფაქტორია მიწას, კაპიტალს, შრომასა და სამეწარმეო უნართან ერთად. ეს კი, თავის მხრივ, ბაზარზე და საბაზრო სისტემაში სახელმწიფოს როლზე ტრადიციულ ეკონომიკაში საყოველთაოდ მიღებული შეხედულების ნაწილობრივ გადასინჯვას მაინც საჭიროებს, და ამ მიზნით, წარმოების ფაქტორების ტრადიციულ ეკონომიკაში დამკვიდრებული სქემის ახლებური გააზრება საჭირო [1, გვ. 146-147, 150, 151, 152].

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფო არა მხოლოდ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკის ამა თუ იმ მიმართულებაზე, არამედ, გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, თვითონ წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობების, ეკონომიკური საქმიანობის უმნიშვნელოვანეს სუბიექტს, ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ამდენად, ამ თვალსაზრისით, შეიძლება ვიმსჯელოთ სახელმწიფოს სამეურნეო-სამეწარმეო (ეკონომიკურ) საქმიანობაზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური ლიბერალიზმის პოლიტიკის განხორციელების პროცესში, სახელმწიფოს როლი განისაზღვრება არა უშუალოდ ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობითა და ამის მეშვეობით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებით, რისი სურვილი და მოლოდინი ჯერ კიდევ საკმაოდ გამჯდარი ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ფენებში, არამედ ისეთი მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტებისა და პოლიტიკური გარემოს შექმნით, რაც მაქსიმალურად შესაძლებელს გახდის კერძო მეწარმეობისა და კერძო ინიციატივის გაფართოებას. ამდენად, დაპირება და აქედან გამომდინარე, მოთხოვნა იმისა, რომ მთავრობამ გახსნას (ააშენოს) საწარმოები, მიუღებელია ლიბერალური ეკონომიკისათვის და იგი ვერც განხორციელდება. “გერმანული ეკონომიკური სასწაულის” შემოქმედი ლ. ერჰარდი აღნიშნავდა, რომ „პრინციპი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ უნდა შექმნას საკუთარი საწარმოები იქ, სადაც კერძო მეწარმე თავს გაართმევს ამოცანას, კრძალავს აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების შექმნას სამხედრო მასალების წარმოების სექტორშიც. საკითხის ასეთი გადაწყვეტა დროდადრო წამოტივტივდება ხოლმე, რაც კატეგორიულად უნდა იქნეს უარყოფილი“ [7, გვ. 252].

ამდენად, ეკონომიკური ლიბერალიზმი, რაც, როგორც ვნახეთ, არ ნიშნავს სახელმწიფოს როლის უგულვებელყოფას, ყველაზე უფრო მისაღები გზაა საზოგადოების სხვადასხვა ფენისათვის კეთილდღეობის შედარებით მაღალი დონის მისაღწევად. საქართველოსთვის ჯერ კიდევ პრობლემად რჩება სწორი საბაზრო ორიენტაციის პოლიტიკისაგან არგადახვევა. ეს კი ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპების მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გარკვევისას წამოიჭრება საკითხი მთავრობის მიერ გაწეულ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულების შესახებ. ამ კუთხით, ლიბერალური ეკონომიკის ფრიდმენისეული მოძღვრება აშკარად უპირისპირდება კეინზიანისმს, როგორც XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ეკონომიკურ კონცეფციას, რომლის მიხედვით, სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში აუცილებელია. ლიბერალური მიდგომით ეკონომიკის დაბალანსების მიზნით სამთავრობო ხარჯების (ინვესტიციების) გაწევა დადებით შედეგს არ იძლევა. თუმცა, საქართველოს ბოლო რამდენიმე წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მთავრობის მიერ განხორციელებულ ხარჯებს ეკონომიკის საერთო ზრდის პროცესში უარყოფითი როლი არ შეუსრულებია. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში ჩვენთვის უცნობია გამოცდილების სხვა, ასე თუ ისე დალაგებული და ღრმა ანალიზი, რომელიც გაამართლებდა სახელმწიფოს ამ ფისკალურ პოლიტიკას. ხოლო ზოგიერთი ჩვენი „ეკონომიკის ექსპერტის“ მიერ გაუქმებული მოსაზრებები კი უფრო ეკონომიკური მითოლოგიის ნაწილია და არა სერიოზული ეკონომიკური კვლევისა და ანალიზის შედეგი. აქვე დავეყენო, რომ მოსაზრება ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ფართოდ ჩარევის აუცილებლობის თაობაზე, დიდი გავლენით სარგებლობს საზოგადოებაში, თუმცა, დაუსაბუთებლად და ყოველგვარი სერიოზული ეკონომიკური ანალიზის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა არ გულისხმობს საბიუჯეტო სახსრების როლის სრულ უგულვებელყოფას ეკონომიკურ პროცესებში, პირიქით, ბიუჯეტმა, გარკვეული დოზით, შეიძლება ეკონომიკის დამბალანსებლის როლი შეასრულოს და ამ როლის აღსრულების პროცესში, როგორც ამას ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეოლოგები მიიჩნევენ, სრულებით არაა აუცილებელი ეს დაბალანსება განხორციელდეს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მეშვეობით. ამისთვის საშემოსავლო მხარე არსებობს. რამდენადაც ეკონომიკური სტაგნაციის ან რეცესიის პირობებში მცირდება მთავრობის მიერ აკრეფილი გადასახადების მოცულობა, რაც წარმოქმნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დეფიციტს, ხოლო ეკონომიკის მკვეთრი ზრდისას კი პირიქით ხდება, სწორად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ საჭიროა შემცირდეს საგადასახადო განაკვეთები კრიზისულ პერიოდებში და გაიზარდოს ეკონომიკური აღმავლობის დროს. რასაკვირველია, საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებების მიმართ ინვესტიციების გაზრდილი მგრძობიარობის გამო ეს ცვლილებები არ უნდა იყოს ხშირი, პოტენციური ინვესტიციების მიერ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სტაბილურობის აღქმის შენარჩუნების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვლადიმერ (ლადო) პაპავა, არატრადიციული ეკონომიკისი, თბ., 2011.
2. მამია ჭუმბურიძე, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ევოლუციის ტენდენციების შესახებ. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, 5, 2013.
3. В. Папава. Экономика Грузии: в поиске модели развития, ж. Мир перемен, №3, 2013.
4. Флитчер А., Росс Б. Как работает Вашингтон. 2005.
5. Cochen Th. Business in American Life. A history. №4. 1999.
6. მიღტონ ფრიდმენი, კაპიტალიზმი და თავისუფლება, თბ., 2002.
7. Л. Эрхард. Благополучие для всех. М., 1991.

Roman Kharbedia

THE STATE ROLE IN THE CONDITIONS OF LIBERAL ECONOMY

Annotation

Since the restoration of state independence there has been discussion in Georgian society on which economic model will provide stability of the country's socio-economic development and further progress. By the efforts of the authorities and on the recommenda-

tions of the international financial organizations, Georgia in a zigzag fashion is on the road to building liberal economy and this continues today.

From the economic point of view, liberalism generally can be perceived as the recognition of the right of free economic activity based on private property and markets. The formation of liberal economy (economic liberalism) cannot take place in a country without recognition and inculcation of liberal democratic principles. Nondemocratic and nonliberal society cannot create liberal economy.

It should be noted that economic liberalism is a rather wide concept and doesn't exclude the existence of state sector in economy, so called a certain dose of state economy. But in the conditions of the domination of state sector in economy, naturally, it is difficult to talk about liberalism of economy. Here the main thing is not how many percent is with state sector in country's economy, but how the state contributes and protects the development of private sector and its interests. In the societies based on market economies, which model of market economy it shouldn't acknowledge, the market cannot accept government's permanent interventions and interference for its perfect functioning that in the long run engender unhealthy and sometimes crisis situation.

The governments' desire to get involved overly in economy, this is basically an illness of transitional period, created by particular political, economic and social demands, in the countries which are comparatively at a low stage of socio-economic development. Here we should also note that the opinion about the necessity of state's wide involvement in economic processes is of great importance in the society, though, it is unfounded and without economic analysis. This is not meant to ignore totally the role of budget means in economic processes. On the contrary, the budget even can play a balancing role of economy in a certain dose.

ჯემალ ხარიტონაშვილი

ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევა კვლავ აქტუალურია

პროტექციონიზმი ეკონომიკურ საქმიანობაზე სახელმწიფოებრივი ზრუნვაა და სხვა არაფერი. როდესაც ეს ზრუნვა არსებობს, მაშინ მის მასშტაბებზე მსჯელობა შეიძლება.

დღეს ქრესტომათიული ჭეშმარიტებაა, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში (ომები, ეკონომიკური რყევები, ბაზრის გარეგანი ეფექტები და სხვ.) ბაზრის წონასწორობა ირღვევა. დარღვეული წონასწორობის აღსადგენად საჭირო ხდება ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევა.

თავისუფლების მოაზროვნეებიც კი დასაშვებად მიიჩნევენ, გარკვეულ სიტუაციებში, სახელმწიფოებრივ ჩარევას ეკონომიკაში:

როჯერ ჰარისონი სტატიაში „მარადიული ადამ სმითი“ აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ კანტილიონმა გამოავლინა საბაზრო ეკონომიკის სიღრმისეული გაგების უნარი და უმეტეს შემხვევაში ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ჩარევას, ის მხარს უჭერდა ისეთ ჩარევებს, რომლებიც უფრო სასურველ სავაჭრო ბალანსს უზრუნველყოფდა“ [1, გვ. 31].

ლარი სეკრესტი სტატიაში „ავსტრიული ეკონომიკური სკოლის მივიწყებული წევრი: ჟან ბატისტ სეი (1769-1832) მიუთითებს: «სეის მიხედვით, სახელმწიფოს მხრიდან ერთ-ერთი გამართლებული ჩარევა მონეტარულ საკითხებში მონეტების ფიზიკური მოჭრაა» [1, გვ. 57].

ჯოზეფ სტრომბერგი სტატიაში: „ფრედერიკ ბასტია ორი ასწლეულის მანძილზე“ შენიშნავს, „როდესაც ჩაურევლობის პოლიტიკის მიმდევარმა ლიბერალებმა გულგრილად გადაიყვანეს ადამიანები არასოციალურ, ატომიზირებულ ინდივიდებამდე, რათა სახელმწიფოს ჩაურევლობის აბსურდულ მტკიცებად მისულიყვნენ, ფ. ბასტია აღნიშნავდა, რომ „ადამიანისათვის საზოგადოება აუცილებელ გარემოს წარმოადგენს“. ბასტიას აზრით, სახელმწიფო თითოეული მოქალაქისათვის სამართლიანობის დაცვის გარანტი უნდა იყოს“ [1, გვ. 67].

მარი როთბარდი სტატიაში „ლუდვიგ ფონ მიხესი (1881-1973)“ მიუთითებს, რომ ლ.ფ. მიხესი „ჩაურევლობის მომხრე რადიკალი იყო, რომელიც მიიჩნევდა, რომ ტარიფები, სამეიგრაციო შეზღუდვები და სამთავრობო რეგულირება მორალზე ახდენდა გავლენას. მეორე მხრივ, მიხესი მტკიცე კულტურული და სოციალური კონსერვატორი იყო, რომელიც ებრძოდა ევალიტარიანიზმს“ [1, გვ. 12].

ელფრედ იუნკისი სტატიაში „მილტონ ფრიდმენის პრაგმატული ლიბერარიანიზმი“ აღნიშნავს, რომ მილტონ ფრიდმენის თანახმად, სოციალური პოლიტიკის მიზანია, რაც შეიძლება მეტ ინდივიდს მიეცეს საკუთარი ინტერესების მაქსიმალური რეალიზაციის საშუალება. ის ამბობს, რომ მას სურს რაც შეიძლება მცირე და ნაკლებ აბეზარი მთავრობა, რომელიც თავსებადია ოპტიმალურ თავისუფლებასთან, რომ თითოეულმა პიროვნებამ შეძლოს თავისი პროექტების განხორციელება და ღირებულებების ერთგულება მანამ, სანამ ის არ ზღუდავს სხვა პიროვნების თავისუფლებას. მფრიდმენი აცხადებს, რომ მთავრობის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს შემდეგში: 1. დაიცვას ერი გარეშე ძალადობისაგან და დაიცვას ინდივიდები ურთიერთძალადობისაგან სახელმწიფოს შიგნით; 2. ხელი შეუწყოს თავისუფალი ბაზრის შექმნას გაცვლის კანონების მიღებით და უზრუნველყოს გაცვლის საშუალების არსებობა; 3. რეაგირება მოახდინოს თანმდევ შედეგზე. იგი ამბობს, რომ მთავრობამ უნდა გააკეთოს მარტო ის, რისი გაკეთებაც არ შეუძლია ბაზარს [1, გვ. 152].

თუ ადრე ბურჟუაზიული იდეოლოგიები მსჯელობდნენ უკრიზისო კაპიტალიზმის, დეპრესიებისა და რეცესიების შესახებ, 2008 წლიდან აღიარეს გლობალური ფინანსური კრიზისი. ამ კრიზისმა თავდაყირა დააყენა საქმე. 2014 წ. იანვარში აღინიშნა, რომ ეს კრიზისი თავის ეკვადორს გადასცდა. ეს გარკვეული შედეგათია, მაგრამ ეკვატორიდან მეორე პოლუსამდე მნიშვნელოვანი მანძილია და მას გავლა უნდა. დღეს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები იძულებული არიან ჩაერიონ ეკონომიკაში და არაპოპულარული პროტექციონიზმიც კი გაატარონ. როგორც საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა აღნიშნავს: „თავისუფალი ბაზრის ნაკლოვანებათა გამოსწორების ფუნქცია ეკონომისტთა ვიდ ჯგუფს სახელმწიფოზე გადააქვს და თვლის, რომ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და ერთი მხრივ, გააკეთოს ის, რისი გაკეთების უნარიც არ შესწევს ბაზარს, ხოლო მეორე მხრივ კი, ბაზარზე შეაფერხოს თავისუფლების ელემენტების შეზღუდვა იქ მოქმედი კერძო სუბიექტების მიერ“ [2, გვ. 42].

სამხრეთ კორეის პრეზიდენტი პარკ გეუნ-ჰაი ასეთ სისტემას „დისციპლინირებულ“ საბაზრო ეკონომიკას უწოდებს. ასეთ ეკონომიკას გააჩნია ნათელი წესები და სწორი პრაქტიკა, რადგან წესების დარღვევა დაუსჯელად არ არის შეწყნარებული. ჩვენ არ გვსურს მოთამაშეებმა თამაში დატოონ იმიტომ, რომ უსამართლო წესებმა ან მიკერძოებულმა მსაჯამ დააბრკოლა [3, გვ. 60].

2009 წ. 5 ოქტომბერს საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ მიიღო თავისუფლების ქარტია. ქვეყანა დაადგა სრული ლიბერალიზმის (პალეოლიბერალიზმის) გზას. ეს იმით იქნა ახსნილი, რომ კრიზისი ჩვენ ნაკლებად შეგვეხოო, ვინაიდან საქართველო ძირითადად მომხმარებლური ქვეყანაა. იმპორტი გაცილებით ჭარბობს ექსპორტს. ცნობილია, რომ კრიზისის დროს ფასები მცირდება. მაგრამ ეს შემცირება ჩვენთან ცოტა ხანს გაგრძელდა.

პროტექციონიზმის მოწინააღმდეგეები აქცენტს ამახვილებენ მხოლოდ ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევის ნეგატიურ მხარეებზე. მაგრამ არსებობს ამ პროცესის პოზიტიური მხარეებიც. მაგალითად, სუბსიდირება, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი და ა.შ. აქ თავისი როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკური ლიბერალიზმისა და პროტექციონიზმის შეთანწეობის პრინციპმა. ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელის აგება და რეალიზაცია წარმოუდგენელია პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების გარეშე [4, გვ. 45].

როდესაც საჭიროა, უპირატესად გამოყენებული უნდა იქნეს პროტექციონისტული პრინციპი. ხოლო როცა შესაძლებელი გახდება, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს თავისუფალ (ლიბერალურ) ეკონომიკას [5, გვ. 18]. ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს ეკონომიკური როლი. სახელმწიფო სექტორის პრობლემას ზოგიერთი ეკონომისტი ეკონომიკური თეორიის უმნიშვნელოვანეს საკითხად განიხილავს. ჯანდაცვა, განათლება, სოციალური უზრუნველყოფა, კეთილდღეობის პრობლემები, საგადასახადო რეფორმა – ყველა მუდმივ ყურადღებას იმსახურებს – აღნიშნავს ამერიკელი ეკონომისტი, ნობელიანტი ჯ. სტიგლიცი [6, გვ. 12].

საბაზრო ეკონომიკის ციკლურმა განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს სოციალური და ეკონომიკური დაძაბულობა. სახელმწიფომ უნდა მოახდინოს დარღვეული წონასწორობის სტაბილიზაცია [5, გვ. 27].

როგორც ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვ. პაპავა მიუთითებს: „რადგან თავისუფალი ბაზარი მხოლოდ და მხოლოდ თეორიული კონსტრუქციაა, ამიტომ საბაზრო თანასწორობა იდეალური ბაზრის პირობებში ის იდეალური მდგომარეობაა, საითკენაც უნდა ისწრაფოდეს ბაზრის სახელმწიფო რეგულირება [8, გვ. 8]. საბაზრო თანასწორობის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორი ეკონომიკური პოლიტიკა იქნება არჩეული და ცხოვრებაში გატარებული სახელმწიფოს „ხილული ხელის“ მიერ [8, გვ. 20]. სახელმწიფო საჭიროა იქ და მაშინ, სადაც და როდესაც საბაზრო მექანიზმი შედეგს ვერ იძლევა. გარდამავალ ეკონომიკაში სახელმწიფო უფრო მაღლა უნდა იყოს, რამდენადაც თვით საბაზრო მექანიზმი ჯერ კიდევ სრულად არაა ჩამოყალიბებული და დამუშავებული [9, გვ. 236].

გამოყენებული ლიტერატურა

1. თავისუფლების მოაზროვნეები. თავისუფლების ბიბლიოთეკა. წიგნი VI. თბ., 2008.
2. ვ. პაპავა. არატრადიციული ეკონომიკისი. თბ., 2011.
3. პარკ გეუნ ჰაი. სამუშაო ადგილები და დისციპლინირებული ბაზარი. The Economist. მსოფლიო 2014.
4. ჯ. კახნიაშვილი. მაკროეკონომიკა. თეორია და პრაქტიკა, ნაწ. II, თბ., 1997.
5. ჯ. ხარიტონაშვილი. პროტექციონისტული ეკონომიკური დოქტრინის ევოლუცია. თბ., 2008.
6. Дж. Стиглиц, Экономика государственного сектора. М., 1997.
7. კემპელ რ. მაკროეკონომიკა, სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიკისი. ნაწ. I. თბ., 1993.
8. ვ. პაპავა. საბაზრო თანასწორობის დოქტრინა. თბ., 1999.
9. ჯ. ხარიტონაშვილი. სახელმწიფოებრივი პროტექციონიზმი ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში. თსუ სოხუმის ფილიალის შრომების კრებული. თბ., 2000.

Jemal Kharitonashvili

STATE INTERFERENCE IN ECONOMICS IS STILL ACTUAL

Annotation

Balance of market breaches in extreme situations. To recover the breached balance the state has to interfere in economics. Free thinkers as R. Harrison, L. Sekrest, J. Stromberg, M. Ritbard, E. Iunkis consider the state interference in economics possible in some situations. In past period in the conditions of global financial crisis the state economical role has grown importantly. Some economists (J. Stiglitz, K.R. McConnell, S. L. Briu) discuss the state sector problem as an important question. The state is needed there where and when the market mechanism doesn't give a result.

*Izolda Khasaia
Manana Chumburidze*

ISSUES OF OPTIMAL MANAGEMENT OF COMPANY'S RESOURCES

The modern situation of scientific and technical progress requires high responsibility of managers and businessmen in decision making process. This is one of the reasons which cause making science-based decisions.

One of the features of modern economy is dynamism on each level of management. It defines the realization of different (material, human, financial) flows during planning. The dynamic process must be balanced and optimal. The research of this problem makes the construction of a corresponding economic-mathematical model necessary, because only through computer simulation we can determine optimal variant of the management of relevant flows of finance or goods in proper time so that they are reflected in the business plans of the company.

We know many papers on the issues of optimal allocation of financial resources, using appropriate optimization methods, including [1]. But little work is devoted to the construction of optimal management system in the graphs. It is made in present paper. This paper deals with the problem of optimal allocation of financial resources of the company, which modeling is made possible with the use of directed graph-diagrams.

For this model an algorithm of optimal investment plan and the appropriate program were chosen using visual programming tools. The problem of optimal management of investments relates to the problems of dynamic programming. In the methods of dynamic programming the initial Information is based on the consideration that in the model the real challenges are:

Objective; Constraint condition; Parameters of management, the objective are achieved by these regulations.

Solving the problems occurs by method of dividing the investment operations on the multi-stage recursive procedures. Profit during the entire operation is achieved from a sequence of profit at each stage separately.

The problem of optimal resources management is from class of the addition tasks.

In the work we have considered practical problems of optimal management of recourses of company. It is required to find the tour of investing projects to obtain the best available benefit given in the defined financial domain. We used method of modeling with regard graph- diagram, because graph is a particular way for visualization of the storing and organizing dates of the investments and corresponding profits.

Let $C = (C_{ij})_{n \times m}$ - matrix of parameters the management investment of projects in company.

$R = (R_{ij})_{n \times m}$ - matrix of corresponding benefit investment of projects in company, S- total sum invest of projects, n- number of stages, m-number of projects.

Statement problem: it is required to construct $C = (C_{ij})_{n \times m}$ -matrix of parameters the optimal management investment of projects in company, satisfy the following constraint condition: $\sum_i^n \sum_j^m C_{ij} \leq S$ and with regard to the following criteria of optimization:

$$\sum_i^n \sum_j^m R_{ij} \Rightarrow \max$$


Modeling of the problem:

For simplest case, we have considered the solution of the problem for the following particular values (look table 1):

The graph-diagram of management investment of projects in company, corresponding the dates of the table are constructed and has the following form (look pic.1):

Table 1

project #	P ₁		P ₂		P ₃	
	C	R	C	R	C	R
	0	0	0	0	0	0
1	1	5	1	8	1	3
2	2	6	2	9	-	-
3	-	-	3	12	-	-



Pic. 1. Directed graph of the optimal investment plan

Where, P_j (j=0, 1, 2, 3) designates the stage financial process for given projects company. The nodes of graph are used for storing the sum invests of given stage (from the beginning to the end). The nodes 0 and 5 are terminal points: 0(only variant) defines the initial position of system, 5 (only variant) are used for stored constraint condition. The lines of graphs are used to label by the benefit corresponding of investing plan.

For example: the label of line connected fourth node of P₂ column to fifth node of P₃ column is labeled by the benefit -3mln corresponding the investment-1mln of third stage.

Solution of the problem

We will consider the dynamical process of investment. The solution of complex problems is based on breaking them down into simpler substructure:

- in the first stage, the financial resources for the first company is invested, there are the six possible ways of investment between 0 flow-of- investment and 5 flow-of- investment (look at nodes of the column p1 of graph), in the nodes the column P1(first stage) the date of initial investment first stages is stored.

- In the second stage, the rest financial resource of company is invested. There are the six possible ways of investment, in the nodes of column P2 (second stage) the sum invested together with the first and second stages are stored.
- In the third stage the rest financial resources for company is invested. There is the only variant of investment, according to the methods of dynamic programming, in the terminal node of column P3 (third –final stage) the total sum of investment (from the beginning to the end) is stored and receives value of financial constraints-5mln.

Solve model according to the method of the dynamic programming is considered from the terminal node of column P3 before initial node the column P0 of graph.

There are six possible ways of conditional optimal profit between P2 and P3(look graph-diagram), for example: one of them: the way **1 - 5** defined: in P2 put in 1mln investment and in P3 put in 4mln investment , then 3mln. Conditional optimal profit is given. analogically may be considered the conditional optimal profit between P1 and P2, there are six possible ways too(look graph-diagram), for example: one of them: the way **1 - 4** defined: in P1 put in 1mln investment and in P2 put in 3mln investment , then 3mln conditional optimal profit are given (9+3=12). For column P0-initial node (only variant) there are six possible ways of conditional optimal profit between P0 and P1:

After consider all four investing projects, the best profit -20mln is chosen, by regarding the following tour of investment: **0 - 1 - 4 - 5** defined: in P1 put 1mln., in P2 put 3mln. and in P3 put 1mln., then the cost of tour equal: **5+12+3=20**.

This method is based on considering all the ways to invest all alternatively projects for choosing the best profit and is called «consider all plans for selecting optimal value », but obtained result in a not reasonable time are given. Below, we have constructed the software visual technology of the given problems. The software is based on using greedy algorithm. Greedy algorithms look for simple, easy-to-implement solutions to complex, multi-step problems by deciding which next step will provide the most obvious benefit. A greedy strategy does not produce an optimal solution in general, but nonetheless a greedy heuristic may locally yield to the optimal solutions that approximate a global optimal solution in a reasonable time.

The software is based on the following procedure:

1. To Construct the table of date, for the particular value from table 1(look pic.2)

We use buttons “draw” and “clear”:

- button “draw” is drawing the graph of investment projects corresponding the dates of table;
- button “clear” is correcting or deleting the dates of table.


2. Drawing the graph-diagram, corresponding the dates of table (look pic.3)

The “dark blue color “indicates the tour of approximate optimal plan investment project. Result using the greedy algorithm is following: **5+8+3=16**.

The obtained model and program maintenance enable us to define the effective version of management of proper financial flows by using visual diagram on each level of investment.

	stage 1	stage 2	stage 3			
1	0	0	0	0	0	0
2	1	5	1	8	1	3
3	2	6	2	9	2	3
4	3	6	3	12	3	3

Pic.2. Table of date



Pic.3. the graph-diagram

References

- [1]. I.Khasaia, M.Chumburidze. Analysis of dynamic processes. Monthly Scientific-Practical Magazine "Sakartvelo-sEkonomika", 2009(3)- <http://www.geoeconomic.com/start.php?lp=2>
- [2]. Berge C.The Theory of Graphs and its Applications, Wiley, N.Y.1962

ПРОБЛЕМЫ И ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ МАЛОГО И СРЕДНЕГО БИЗНЕСА В ЛИТВЕ И В СТРАНАХ ЕС

Введение

Возможности развития малого и среднего бизнеса в Литве и странах ЕС не одинаковы вследствие различных природных и экономических условий, неравномерно развитой производственной и социальной инфраструктуры, а также в различиях что касается стимулирования предпринимчивости.

არავისთვის არ არის ახალი, რომ ქალი-დედა გამორჩეული ფიგურა იყო და არის საზოგადოებაში, რომელსაც დიდი მისია აკისრია ქვეყნისათვის მომავალი თაობის აღზრდაში. ამიტომ დედას უფრო მეტი დრო უნდა ჰქონდეს ბავშვის აღზრდისა და მისი მრწამსის ჩამოყალიბებისათვის. ამიტომ სახელმწიფომ პრიორიტეტულ ამოცანად უნდა გაიხადოს დედისა და ოჯახის სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების უზრუნველყოფა.

კარგად აღზრდილი და პატრიოტი მოზარდი თაობა უფრო სწორად აირჩევს და ღრმად დაეუფლება მისი მისწრაფებისა და ქვეყნის მოთხოვნილებების შესაბამის პროფესიებს, აიმაღლებს კვლითადაც, მიიღებს გამოცდილებას და ჩამოყალიბდება კონკურენტუნარიან სპეციალისტად. კარგად გაზრდილი და აღზრდილი, ზნეკეთილი, განსწავლული თაობა უფრო პასუხისმგებლობით მოეკიდება საქმიანობას და ობიექტურად გადაწყვეტს მის კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხს. ხელისუფლების ვალია უფრო საინტერესო, მიზან-მიმართული და აქტიური გახადოს მზარდი, ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდის შემოქმედებითი ცხოვრება. დასანანია, რომ ქართული ბრწყინვალე ნიჭის მქონე ახალგაზრდა მეცნიერები, ხელოვნები, სპორტსმენები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ საზღვარგარეთ. ქვეყანა კარგავს არა მარტო საუკეთესო სპეციალისტებს არამედ ჩვენთვის ყველაზე ძვირფას საუნჯეს – გენოფონდს.

„ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელი თავისი ძალ-ღონით, თანამომეტა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და რამდენად გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენივე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის“ – აღნიშნავს ვაჟა-ფშაველა.

ქვეყანაში ადრე არსებული მეცნიერული პოტენციალი და მისი საყრდენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თითქმის განადგურებულია. მისი აღდგენა-განვითარება სოლიდურ კაპიტალდაბანდებას საჭიროებს. ამიტომ ახალგაზრდა ხელისუფლება შეეცდება, რომ მოიზიდოს ინვესტიციები და საქვეყნოდ ცნობილ ქართველ მეცნიერებს მისცეს საშუალება, 21-ე საუკუნეში მეცნიერული კვლევებისა და გამოგონებლობის დარგში მაღალი ავტორიტეტული სიტყვა თქვან, რაც ახალი დასაწყისი იქნება სამეწარმეო საქმიანობის მაღალი ტემ-პით განვითარებისათვის.

იკვეთება აზრი, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს სულ არ ადარდებს თავისი ქვეყნის მომავალი. თვითონ კარგად თუ ცხოვრობს და კარგი საყოფაცხოვრებო პირობები გააჩნია, მხოლოდ ამით შემოიფარგლება. მაშინ, როცა ჩვენი ბუნებრივი თუ წიაღისეული სიმდიდრეები თანდათან უცხოელთა ხელში გადადის, ეს პროცესი, ჩვენი აზრით, დალატის ტოლფასად აღიქმება. ამ შემთხვევაში დავესხები დიდ მუხრანს „ვახტანგის ადგილს იჭერს ხეწა, გვეცლება ქართლი თვალსა და ხელს შუა“. ამიტომ ჩვენ არ

გვაქვს უფლება, გავიმეოროთ ის საბედისწერო შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ცხოვრების ახლო წარსულში.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის დღიდან, ქვეყნის ხელისუფლებების მხრიდან იმდენი შეცდომა თუ დანაშაული იქნა ჩადენილი, რომ ამის გასწორებას ათეულობით წლები არ ეყოფა. ეკონომიკური მდგომარეობის პარარელურად დაინგრა ტრადიციები, რამაც შექმნა კრიზისი ოჯახში და შედეგად შობადობის შემცირება გამოიწვია. უცხოელებზე ქართული მიწის გაყიდვამ განაპირობა სოფელში მოსახლეობის შემცირება, არადა დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორების ძირითადი ვექტორი სწორედ სოფელზე მოდის. 2010 წელს მიწის გაყიდვის მხოლოდ 16 ფაქტი დაფიქსირდა, ხოლო 2011 წელს – 33. 2012 წლის მონაცემებით, კახეთში ინდოელების მიერ მიწების შესყიდვის 584 ფაქტი დარეგისტრირდა. ხელისუფლების დიდი თუ პატარა წინააღმდეგობები ხელის აუკანაკლებლად ყიდდნენ იმ მიწებს, რომელსაც სისხლით იცავდნენ ჩვენი წინაპრები. სამწუხარო ის არის, რომ ახლა თვითონ ინდოელები ყიდნიან ჩალის ფასად ნაყიდ მიწებს და ჩვენი მამა-პაპის სისხლით გაპოხილი მიწების ყიდვა-გაყიდვით ბიზნესი აიწყვეს. საგანგაშო ფაქტია, რომ თბილისის ზღვაზე 127000 ჰექტარის მფლობელების შენდება დასახლება, რაც იმას ნიშნავს, რომ საგარეუდოდ 20 წლის შემდეგ თბილისის მოსახლეობის ნახევარი ჩინელი იქნება. სამწუხაროდ, აღნიშნული ფაქტები ბევრ კითხვას სვამს ქართველი ერის წინაშე.

ქვეყანა მოიგებს მაშინ, როცა ადამიანური რესურსები გამოყენებული იქნება პატიოსნების, ცოდნის, პროფესიონალის კვალიფიკაციის, გამოცდილების, დამსახურებისა და ღირსების და არა სურვილის მიხედვით. თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული იქნებიან კარგი წარსულისა და რეპუტაციის შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანები, რომლებსაც ყველაზე თავისი სამშობლო, არ ექნებათ გადაჭარბებული ამბიციები და მოჭარბებული მოთხოვნები პრივილეგიებზე, მაშინ საზოგადოებას არ გაუჩნდება ეჭვები ამ კანდიდატების მიმართ. თანამდებობის პირის დანიშნასა თუ არჩევანში გათვალისწინებული უნდა იყოს კოლექტივის აზრი.

მენეჯერი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- პატივს უნდა სცემდეს კოლექტივის ყველა თანამშრომელს, იზიარებდეს მის აზრს და მხარს უჭერდეს კომპანიისათვის მისაღები იდეების არსებობას.
- დღეიდან უნდა ზრუნავდეს თანამშრომლის კვალიფიკაციის ამაღლებისა და სულიერი და მატერიალური დაინტერესების უზრუნველყოფისათვის.
- არ უნდა სარგებლობდეს განსაკუთრებული პრივილეგიებით და კოლექტივის ნდობას ბოროტად არ უნდა იყენებდეს.
- უნდა იყოს თავისუფალი ადამიანი და არ უნდა მიმართავდეს კოლექტივის წევრებს გამადინჯიანებელი და მედიდური ტონით.
- მუდმივად ზრუნავდეს სტაბილური გუნდის შექმნა-ჩამოყალიბებისათვის, რომელიც საფუძველი იქნება დენადობის შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების განუხრელი ამაღლებისათვის.
- იმოქმედოს და იაზროვნოს ისე, როგორც ამას მოითხოვს საბაზრო ეკონომიკის კონკურენტუნარიანი გარემო.

გასაგებო მიზეზების გამო ბოლო პერიოდში ვერა და ვერ მოხერხდა პოზიციასა და ოპოზიციას შორის ურთიერთშეთანხმება, რაც ქვეყანაში კრიზისის გაღრმავებას და ადამიანების გათიშვას იწვევს. ასეთ პირობებში გააზრებული მენეჯმენტისა და სწორი ხედვების ჩამოყალიბება შეუძლებელი ხდება.

წინა ხელისუფლების მიერ ჩატარებულმა ეგრეთ წოდებულმა განათლების რეფორმამ ძალზე უარყოფითი გავლენა იქონია მომავალი ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელებაში. ეს ხდება ქვეყანაში, სადაც გელათის, იყალთოს, ფაზისის აკადემიები არსებობდა. დღეს კი, სასწავლო პროგრამებიდან ამოღებულია პატრიოტული სულისკვეთების მქონე ნაწარმოებები, რომლებიც ამაღლებულ პათოსს აძლევდა ახალგაზრდობას სამშობლოს სიყვარულის აღქმაში. ყურადღება არ ეთმობა საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლას და საერთოდ, ქვეყნის განათლების სისტემის კონცეფცია ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ახალგაზრდა თაობებს მომსახურების სფეროს მუშაკებად უნდა მიიღონ. ამ და სხვა უამრავმა ხარვეზმა შეაფერხა, უხალისო და არაეფექტური გახადა სწავლა-განათლების პროცესი.

გასათვალისწინებელია კონფუციუსის ბრძნული გამოთქმა, რომელიც ყველა დროის სახელმწიფო მონათესაისთვის მეტად საჭირო და ყურადსაღები უნდა იყოს: „ქვეყანაში, რომელსაც კარგად მართავენ, რცხვენიათ სიღარიბის; ქვეყანაში, რომელსაც ცუდად მართავენ რცხვენიათ სიმდიდრის“.

ხელმძღვანელ პირებს, საჯარო მოხელეებს, რომელთა მიმართ საზოგადოების უმრავლესობას აქვს ეჭვები და უნდობლობა, უნდა ეყოთ ვაჟკაცობა და გადადგნენ.

თანამედროვე პირობებში ნიშანდობლივი თავისებურებაა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ამაღლება, ყაირათიანობა, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, მუშაკთა კონკურენტუნარიანობის კვალიფიკაციისა და მისი ზოგადი კულტურის დონის ამაღლება, შრომის პროცესში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა, რაც მოავარია, არსებითი და მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არა მხოლოდ რაოდენობრივ არამედ თვისებრივ მხარეს. ამასთანავე ითვალისწინებს მუშაობის ხარისხობრივ მეკეთრ გაუმჯობესებას, რომელიც უშუალოდ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრასთან არის დაკავშირებული.

ამის კვალობაზე ხელისუფლებამ კანონმდებლობის დონეზე უნდა გაითვალისწინოს, აქცენტი გადაიტანოს და ხელი შეუწყოს ისეთი დარგის განვითარებას, რომელსაც ექნება მიზიდველობის მაღალი ხარისხი და მათ მიერ დამზადებული პროდუქცია მისაღები იქნება მომხმარებლისთვის.

თვალი რომ მივადევნოთ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, უკანასკნელ პერიოდში, არც ისე სახარბიელო სტატისტიკა იკვეთება, რადგან ერთ სულ მოსახლეზე წინა პერიოდთან შედარებით მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება მკვეთრად შემცირდა, რაც მოსახლეობის ცხოვრების არასახარბიელო ფონს ქმნის,

რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანთა შრომისუნარიანობის ეფექტურობა და მის მწარმოებლურობაზე.

არავისთვის არ არის დასაძალი, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი დაბალია, რომელიც ქვეყნის წარმატებებზე აისახება. კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი გიორგი კვეციანი ადნიშნავს, რომ მეცნიერების დარგებში დიდი ჩავარდნა გვაქვს და ეს იმის ბრალია, რომ წლების განმავლობაში სახელმწიფო არანაირ ყურადღებას არ იჩენდა მეცნიერების მიმართ. რა არის სახელმწიფო (ხელისუფლება), თუ არა ადამიანური რესურსებით, ცოდნით, კვალიფიციური სპეციალისტებით, გამოცდილი და პროფესიონალი ადამიანებით დაკომპლექტებული აპარატი, სადაც შრომობენ, დიდ ენერჯიას ხარჯავენ და მრავალ ღონისძიებას ახორციელებენ ქვეყნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამადლებისათვის. როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ მმართველობით სტრუქტურებში მომუშავე სახელმწიფო მოხელეების დიდი ნაწილი დაკისრებულ მოვალეობას გულგრილად ეკიდებიან და ამიტომ ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს მძიმე პირობებში უხდება ყოფა-ცხოვრება. ვისი მიზეზებით დაიცალა მათაუშეთი? სადაც 25 სახლია და ერთი კაცი ცხოვრობს. სვანეთიც ნელ-ნელა ბარში ჩამოდის. ასეთივე სიტუაციაა სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის მაღალმთიანი სოფლებშიც, არადა ჩვენი ქვეყანა ტრადიციულად სოფლით იყო ძლიერი. სოფლის დასუსტება ქვეყნის დანგრევას ნიშნავს.

საქართველო მეტად საინტერესო და მრავალფეროვნებით გამორჩეული ქვეყანაა, სადაც შეიძლება მოვიყვანოთ და დავამზადოთ ისეთი პროდუქტი, რომელიც მსოფლიოსათვის იშვითია. კერძოდ გკვეციანს ადნიშნავს, რომ ზემო იმერეთის ტყეებში ველურ პირობებში მოდის საკმაო რაოდენობის სოკო ნიყვი. ორი ცალი საკმაოდ მოზრდილი ნიყვი რომ აიღო, ქილაში ჩაღო და დააკონსერვო, 10\$ ეღირება, რადგანაც ნიყვი არსებული ცილა ყველაზე უფრო სასარგებლო ცილაა.

გაეროს სოფლის მეურნეობისა და კვების განყოფილების მიერ ნიყვი შემაგალი ცილა აღიარებულია იდეალურ ცილად. ნიყვი არის სასარგებლო ყველა ასაკის ადამიანისათვის. უხეში გათვლებით საქართველოში შესაძლებელია 2000 ტონაზე მეტი ნიყვის წარმოება. ეს ძალიან დიდი რესურსია.

ბატონი გიორგი კვეციანს ახსენებს, რომ იტალიაში, ქალაქ პარმაში არის ნიყვის ინსტიტუტი „ამანიტა ცეზარია“ ანუ „კეისრის სოკო“. ამ ინსტიტუტში 60 კაცი მუშაობდა ნიყვის ხელოვნურად გამოყვანაზე, მაგრამ ვერ მიადწიეს. ის მხოლოდ ველურ პირობებში იზრდება. იტალიაში ნიყვის რაოდენობა 10-ჯერ უფრო მცირეა, ვიდრე ჩვენთან, ზემო იმერეთში და შეიძლება ამ რესურსის გამოყენება.

მთლიანად რესპუბლიკაში გაანგარიშებით, შესაძლებელია მიღებულ იქნეს 100 ათას ტონაზე მეტი, ეკოლოგიურად სუფთა ტყემლის ნედლეული, რომლისგანაც შეიძლება დამზადდეს მურაბა, ჯემი, საწებელი, ტელაპი. ასევე შეიძლება გამოვხადოთ არობატული არაყი. ტყემლისაგან დამზადებული პროდუქტი ადამიანისთვის მეტად საჭირო და სასარგებლოა. მაშინ, როდესაც აღნიშნული ხილ-კენკროვანებისგან დამზადებული ასი ათასობით პირობითი ქილა-კონსერვი გააქონდათ ყოფილ საბჭოთა კავშირის რეგიონებში, რომელიც სოფელში მცხოვრებ გლეხს გარკვეულ შემოსავალს აძლევდა. დღეს უპატრონოდ მიტოვებულ სოფლებში ნადგურდება და ღებება ხილი და ხილ-კენკროვანი ნაყოფი. ხელისუფლებისგან მეტი ხელშეწყობა და განსაკუთრებული ყურადღება რომ ყოფილიყო, ქართული სოფელი ამ დღეში არ იქნებოდა.

როგორც ირკვევა, დღევანდელ საქართველოში მძიმე მდგომარეობაშია მრავალი დარგის არსებობა, რადგან არ იცავენ ტექნოლოგიით გათვალისწინებულ პროცესებს, რაც, ცხადია, ცუდად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე. გაურესებელია ბორჯომის ხარისხი, რომელიც არ შეესაბამება ევროსტანდარტს. რაც ახლა მარკეტებში იყიდება, ის უკვე ნატურალური „ბორჯომი“ აღარ არის. ასევე განადგურებულია და არ ფუნქციონირებენ მინისტარის საწარმოები, უნიკალური ღვინის ქარხნები, მიწასთანაა გასწორებული საკონსერვო და რძის ქარხნები და მრავალი სხვა საწარმო. მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანას გააჩნია გარკვეული რესურსები იმისათვის, რომ სწორი სტრატეგიითა და გონივრული მენეჯმენტის გამოყენებით ხალხს შეეუქმნათ ცხოვრების დირსეული პირობები.

ნიშანდობლივია ეკონომიკის ექსპერტის პროფესორ ჯემალ კახნიაშვილის მიერ ლარის კურსის გამყარებასთან დაკავშირებით პასუხი: ეს დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე. უნდა შეიქმნას ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა (როგორც სამრეწველო, ასევე სამეურნეო პროდუქცია და მომსახურება). უნდა განვითარდეს ექსპორტზე ორიენტირებული წარმოება. რაც შემოდის არ შეგვიძლია ის აქ ვაწარმოოთ? რატომ ვაფინანსებთ სხვა ქვეყანას, ჯობია აქ ვაწარმოოთ, ხალხი დასაქმდება, დოვლათი მოიმატებს, თუნდაც ბოლომდე არარეალიზირებული დარჩეს საქონელი. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, აღნიშნავს ექსპერტი, როგორ სადღება ამერიკაში ჩაწოლილი საქონელი – ერთ ბრიგადას ამოათხრევენ დიდი ორმო, მერსეს ამოაგვინებს. შესრულებულ სამუშაოში ორივეს ფული გადაუხადეს. ე.ი. მუშებს გაუჩინეს ფული, რითაც ისინი წავიდნენ მაღალხარისხის და იყიდეს ჩაწოლილი საქონელი. ამით კმაყოფილია ხალხიც და სახელმწიფოც. ვინც სახელმწიფოს სათავეშია, იფიქროს ამაზე.

აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსები სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის პროპორციულად არ არის განლაგებული, რადგან მათ რაოდენობასა და შემადგენლობაზე გავლენას ახდენს ამა თუ იმ რეგიონის მცხოვრებთა ასაკობრივი სტრუქტურა. ეს უკანასკნელი კი ბევრადაა დამოკიდებული შობადობასა და სიკვდილიანობაზე, მიგრაციულ პროცესებზე. სამწუხაროდ, საქართველოში აღნიშნული ბალანსი დარღვეულია, როცა რიგ რეგიონებში სიკვდილიანობა ჭარბობს შობადობას. ამასთან ერთად შრომისუნარიანი ადამიანების გარკვეული ნაწილი მიდის ემიგრაციაში. ყოველივე უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაზე და დემოგრაფიულ სიტუაციაზე. როგორც დემოგრაფები ვარაუდობენ, უახლოეს 30 წელიწადში ჩვენი ქვეყნის ქართული მოსახლეობა 28%-ით შემცირდება. როგორც ცნობილია, ადამიანური რესურსები მჭიდროდაა დაკავშირებული მეურნეობისა და კულტურის ცალკეული დარგების განვითარებასთან. ნორმალურ პირობებში წარმოების თითოეული დარგი მოითხოვს გარკვეული სპეციალობის მქონე შრომით კონტინგენტს. ამასთან დაკავშირებით ადამიანური რესურსები და წარმოება გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. წარმოება იზიდავს ადამიანურ

რესურსებს, თავის მხრივ ადამიანური რესურსების არსებობა ხელს უწყობს წარმოების განვითარებას. აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენით ყალიბდება ადამიანური რესურსების გარკვეული ტერიტორიული განლაგება და მუდმივად მიმდინარეობს მათი გადანაწილება სხვადასხვა რეგიონებს შორის. განსაკუთრებით ქვეყნის შიგნით ფართო ხასიათი აქვს ადამიანური რესურსების მიზიდვას სოფლიდან ქალაქად, მთიანი რეგიონებიდან ბარში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანური რესურსების განლაგებასა და შემადგენლობაში დიდი ცვლილებები გამოიწვია ყოფილ საბჭოთა კავშირის პერიოდში მრეწველობის ახალი კერების შექმნამ. იმ დროისათვის მოსახლეობისათვის მისაღებიც და შეიძლება მომგებიანიც კი იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ საწარმოო ურთიერთობების შეწყვეტამ გამოიწვია ამ საწარმოების დახურვა-განადგურება. ყოველივე ამან კი დამანგრეველი გავლენა იქონია მშრომელთა დასაქმებისა და ცხოვრების პირობების გაუარესებაზე.

ამიტომ ამ ეტაპზე გადაუდებელ ამოცანას შეადგენს, რომ სახელმწიფომ აუცილებელი სამართლებრივი და ფინანსური ეკონომიკური პირობების შექმნით ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და სოფლად სხვადასხვა ასოციაციების, გაერთიანებების შექმნასა და ფუნქციონირებას. მათ უნდა შეასრულონ გლეხური ფერმერული მეურნეობის მომსახურებისა და აუცილებელი მისაღებით მომარაგების ფუნქცია.

Tamaz Gamsakhurdia

SOME ASPECTS OF HUMAN RESOURCES MANAGEMENT

Annotation

The paper deals with the problems existing in the market economy with strong and competitive conditions that have occurred in the effective utilization of human and material resources. We also analyzed inappropriate and inadequate facts of using human resources in a number of central and local government structures. Eliminating these problems is dependent on problem resolution related with future generations' education and formation processes. In this case it is required to improve the demographic situation, which depends on the reduction of child mortality and on the stimulation of large families and the birth rate.

Consequently, the government should set priority to provide mothers and family's spiritual and material needs. The paper points out government's mistakes or crimes, which lies in the illegal sale of land to foreign citizens. The educational reform, has also negatively affected the future of the young generation, on the important tasks of their educational trends.

The government should consider legislation, and promote the development of the fields to shift the focus of which would have a high degree of attractiveness and their product will be acceptable to users. The country's per capita gross domestic product is low in comparison with the previous period; human resource utilization ratio is low too.

Also there is Indifferent attitude from the sides of state officials and other negative events, which has a negative impact on workers' lives.

Young authorities have a duty to take all appropriate steps to ensure economic leverages and promote the development of small and medium-sized businesses, which will be the basis for the employment of human resources and for effective utilization of material resources.

თამარ ღუდაური

რისკები და მათი შემცირების ბზები კორპორაციული მართვის სისტემაში

თანამედროვე პირობებში კორპორაციული მართვის დონის დახვეწა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. კორპორაციული მართვის სათანადო რეჟიმის შერჩევა ხელს უწყობს კომპანიის მიერ საკუთარი კაპიტალის ეფექტიან გამოყენებას. ყოველივე ეს ეხმარება კომპანიას, მოღვაწეობდეს მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ, ხელს უწყობს ინვესტორების მხრიდან ნდობის ამაღლებას (როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორების), ასევე ხანგრძლივადიანი კაპიტალის მოზიდვას. მაგრამ ქვეყანაში კორპორაციული მართვის დონე ჯერ კიდევ დაბალია, რაც აფერხებს მასშტაბური ინვესტიციების განხორციელებას კორპორაციულ ფასიან ქაღალდებში, სამეურნეო სუბიექტების ფუნქციონირების ეფექტიანობას, და ასევე იწვევს კონფლიქტებს კორპორაციული ურთიერთობების სუბიექტებს შორის.

იმ მიზეზების განხილვამდე, რომლებიც წარმოშობენ პრობლემებს კორპორაციული მართვის სისტემაში, არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით არ შევეხოთ რისკების მართვას. კორპორაციული მართვა არ არის მისაღები, თუ ჩვენ გვინდა დაიცვათ კომპანია ისეთი სიტუაციებისაგან, რომლებშიც მოვლენები შესაძლოა ისე არ განვითარდეს, როგორც ჩვენ ამის სურვილი გვაქონდა. რისკ-მენეჯმენტის ჩარჩოებში ყველა ჩვეულებრივი მართვის მექანიზმი, ბიზნესპროცესი და ალგორითმი უნდა განიხილებოდეს “რა იქნება თუ?” კითხვის პრიზმაში. სწორედ ამ პოზიციიდან იგება რისკების მართვის სისტემა, რომელიც ეფუძნება შემდეგი ძირითადი ეტაპების შესრულების თანმიმდევრობას:

1. იმ ფაქტორების, შედეგებისდაგვარად სრული ჩამონათვალის შედგენა, რომლებიც შესაძლოა არასასიკეთოდ აისახოს კომპანიის საქმიანობაზე ან მის შემდგომ განვითარებაზე.

2. იმ მიზეზების გამოვლენა და ანალიზი, რომლებსაც შეუძლიათ ნეგატიური ფაქტორების წარმოშობა.

3. სავარაუდო შედეგების შეფასება, რომლებიც შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედებამ, როგორც თითოეულმა ფაქტორმა ცალკე აღებულმა, ასევე სხვადასხვა ფაქტორის კომბინაციამ.

4. არახელსაყრელი სიტუაციებისა და მათი კომბინაციების წარმოშობის ალბათობის შეფასება. თუ მიიჩნევთ, რომელიმე სიტუაციის წარმოშობა ნაკლებად სავარაუდოა, არავითარ შემთხვევაში არ დაგავიწყდეთ მერფის კანონი. ვინაიდან კრახის შემთხვევაში სტატისტიკური ანალიზი თქვენ ნაკლებად განუგეშებთ.

5. რისკის გამოვლენილი ფაქტორების რანჟირება საშიშროების ხარისხის მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს კომპანიის საქმიანობისა და განვითარებისათვის (აქ საფრთხე გაგებული უნდა იქნეს, როგორც მოვლენის ასევე მისი შედეგის შესაძლო ნეგატიური ეფექტის ერთობლიობა).

6. საკონტროლო მანქანების არასასურველი ცვლილებების შესახებ მუდმივი მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნა.

7. ღონისძიებების კომპლექსის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება არასასურველი მოვლენების დადგომის ალბათობის შემცირებასა და კომპანიის საქმიანობაზე მათი ზემოქმედების ხარისხის შესუსტებაზე.

8. არასასურველი სიტუაციების განვითარების სცენარული ანალიზი და ანტიკრიზისული ღონისძიებების სისტემის შემუშავება, რომელიც ავტომატურად დაიწყებს მოქმედებას, როდესაც საკონტროლო მანქანები მიადევნებს წინასწარ განსაზღვრულ ზღვრულ მნიშვნელობას.

რისკების მართვის კომპლექსური სისტემის ცალკეული ელემენტები ფართოდ არის წარმოდგენილი საქართველოს თანამედროვე ბიზნესში (ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს საქართველოს საბანკო სექტორის საქმიანობაში). მაგრამ კორპორაციული მართვის სფეროში ერთიანი თეორიული ბაზის შექმნა საკმაოდ ძნელია, ვინაიდან მასში ყველაზე სუსტ რგოლს ადამიანები წარმოადგენს, რომლებიც არ გვანან ერთმანეთს, არიან თავისებურად განუყოფელი და ნაკლებად პროგნოზირებადი. ამის მიუხედავად, თუ დავეყრდნობით მსოფლიოს უმსხვილესი კორპორაციების მრავალწლიან გამოცდილებას, შესაძლოა შემუშავდეს მთელი რიგი სასარგებლო წინადადებები და რეკომენდაციები.

კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები შესაძლებლობას აძლევენ კომპანიებს, მოიძიონ ფინანსირების წყაროები, გამოიყენებენ რა ინვესტორების სულ უფრო ფართო წრეს. ხოლო თუ ქვეყანას სურს ისარგებლოს კაპიტალის გლობალური ბაზრის უპირატესობებით და მოიხიდოს ხანგრძლივადიანი კაპიტალი, აუცილებელია, რომ კორპორაციული მართვის მეთოდები ქვეყანაში ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პოტენციური ინვესტორისათვის. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვა არ წარმოადგენს ქვეყანაში “პირველად აუცილებლობას”, კორპორაციული მართვის პოლიტიკის გატარება ხელს უწყობს ინვესტორების ნდობის განმტკიცებასა და ქვეყანაში კაპიტალის შემოდინებას.

კომპანიაში კორპორაციული მართვის სისტემის აგებისას წინა პლანზე გამოდის მმართველობითი პროცესებისა და ოპერაციების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის აუცილებლობა უმძლესი ხელმძღვანელობისა და მესაკუთრეთათვის, როგორც მათ მიერ ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი.

ამასთან დაკავშირებით კომპანიებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა, როგორც სათანადო კორპორაციული მართვის ფორმირების საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფს:

1. მესაკუთრეების, ინვესტორების, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინტერესების დაცვას კომპანიის თანამშრომლების მიერ კანონმდებლობის, ნორმატიული აქტებისა და პროფესიული საქმიანობის სტანდარტების დაცვაზე განუწყვეტელი კონტროლის საშუალებით;
2. თანამშრომლობის ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას;
3. რისკების მართვის საიმედოების სათანადო დონეს, რომელიც შეესაბამება კომპანიის საქმიანობის მასშტაბებს.

ძნელია შიდა კონტროლის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა, ამოღდეს კომპანიის მართვის დონე და მისი საქმიანობის შესაბამისობა დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან.

კომპანიის შიდა კონტროლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს რისკების მართვა – ეს არის პროცესი, მიმართული განუსაზღვრელობისა და რისკების შემცირებაზე. ამ საქმიანობის შედეგი იქნება შიდა კონტროლისა და რისკ-მენეჯმენტის სისტემის ავტომატიზაცია, ისეთი პოტენციური და მიმდინარე რისკების პრევენცია და შემცირება, როგორებიცაა: საბაზრო, ფინანსური, საგადასახადო, პოლიტიკური, ინფრასტრუქტურული, საკრედიტო, მარკეტინგული, ეკოლოგიური და სხვა რისკები.

აშშ-ის კორპორაციულ დირექტორთა ნაციონალური ასოციაციის საექსპერტო კომისიამ (NACD), რომელიც დაკავებულია აუდიტის კომიტეტების საკითხებით, დაადგინა რისკების შემდეგი ნიშნები, რომლებიც უნდა გააკონტროლონ აუდიტის კომიტეტებმა. ესენია:


- რთული კომერციული ხელშეკრულებები, რომლებსაც აქვთ მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა;
- მსხვილი გარიგებები, რომლებიც იდება ბოლო წუთს და მის შედეგს წარმოადგენს მნიშვნელოვანი ამონაგები, რომელიც აისახება კვარტალურ ან წლიურ ანგარიშებში; ასევე აუდიტორების ცვლა საბუღალტრო ან აუდიტორულ საკითხებში უთანხმოების გამო;
- გადამეტებულად ოპტიმისტური პრეს-რელიზები, რომელშიც მთავარი აღმასრულებელი დირექტორი არწმუნებს ინვესტორებს მომავალი ზრდის კარგ პერსპექტივაში;
- ფინანსური შედეგები, რომლებიც იმდენად კარგია, რომ შეუძლებელია იყოს სანდო, ან ისეთები, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება ანალოგიურ პირობებში მომუშავე კონკურენტების შედეგებს;
- შეუსაბამობა ხელმძღვანელობის მიერ დოკუმენტურად გადმოცემულ პოზიციას და შეფასებას, კომპანიის პრეზიდენტის წერილებსა და საწყის ფინანსურ ანგარიშგებას შორის;
- ხშირი შეუსაბამობა კომპანიის ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელი აუდიტორების მოსაზრებებს შორის; შეზღუდვები, რომლებიც ეხება შიდა აუდიტის საქმიანობის სფეროს (მაგალითად, როდესაც ასეთი განყოფილების თანამშრომელს არ აქვს პირდაპირი კავშირის საშუალება აუდიტის კომიტეტთან);
- უჩვეულო ცვლილებები კომპანიის ბალანსში, ანუ მნიშვნელოვან ფარდობებში, რომლებიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში (მაგალითად, როდესაც დებიტორული დავალიანების მუცულობა იზრდება უფრო მაღალი ტემპით, ვიდრე ამონაგები, ან როდესაც მუდმივად წარმოიშობა შეფერხებები კრედიტორული დავალიანების დაფარვაში);
- ანგარიშგების პრინციპები და პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც არ შეესაბამება დარგში საყოველთაოდ მიღებულს;
- მრავალჯერადი და განმეორებითი კორექტირება, რომლებიც არ აისახა ანგარიშგებაში ან იქნა უარყოფილი და შემოთავაზებულია ყოველწლიური აუდიტორული შემოწმების მიერ.

აუცილებელია შიდა კონტროლის სისტემის მდგომარეობის მუდმივი კონტროლი, რომელიც მდგომარეობს სისტემის მუშაობის ხარისხის შეფასებაში. ეს პროცესი ხორციელდება კონტროლის ღონისძიებების მუდმივად გატარებისა და ცალკეული შეფასებების განხორციელების გზით. ნაკლოვანებების შესახებ ინფორმაცია ვლინდება შიდა კონტროლის სისტემის მიერ, ეს ინფორმაცია მიეწოდება ხელმძღვანელობას, ამასთან, სერიოზულ ჩავარდნებზე ინფორმაციას აწვდიან კომპანიის უმაღლეს ხელმძღვანელობას.

შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემა მოიცავს ხუთ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, რომლებიც უზრუნველყოფენ კორპორაციაში შიდა რისკების ეფექტიან მართვას (იხ. ნახ. 1).

საკონტროლო გარემო და მორალური კლიმატი. საკონტროლო გარემო აძლევს სტიმულს კომპანიის მუშაობას, ახდენს გაგუენას მისი თანამშრომლების ცნობიერებაზე. იგი წარმოადგენს ძირითად კომპონენტს შიდა კონტროლის სისტემაში, ამასთან, უზრუნველყოფს შრომის დისციპლინასა და კომპანიის სტრუქტურის შენარჩუნებას.

რისკებისა და კონტროლის მიზნების გამოვლენა და შეფასება. ნებისმიერი კომპანია დგება მთელი რიგი რისკების წინაშე, რომელთაც გააჩნიათ როგორც შიდა, ისე გარე წყაროები და საჭიროა მათი ანალიზი. რისკების შეფასების საწყის პირობას წარმოადგენს მიზნები, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული და თანმიმდევრულია კომპანიის შიდა სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე.



ნახ. 1. შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემის კომპონენტები

შიდა კონტროლის სისტემისა და რისკ-მენეჯმენტის ეფექტიანი კონტროლის პროცედურები. იგი წარმოადგენს ღონისძიებების თანმიმდევრობას, რომლებიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის მითითებების შესრულებას.

ინფორმაციული უზრუნველყოფა და კავშირი. საინფორმაციო უზრუნველყოფის სიტემების დახმარებით ხორციელდება ანგარიშების მომზადება, რომლებიც შეიცავენ ოპერაციულ და ფინანსურ მონაცემებს და ასევე ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია დადგენილი მოთხოვნილებების შესასრულებლად, მიმდინარე საქმიანობის წარმართვისათვის და მისი მიმდინარეობის კონტროლის განსახორციელებლად.

კონტროლის უზრუნველყოფისა და რისკების მართვის ღონისძიებები. აუცილებელია შიდა კონტროლის სისტემის მუშაობაზე კონტროლის განხორციელება, რომელიც მდგომარეობს ამ სისტემის მუშაობის ხარისხის შეფასებაში.

წამყვანი საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის KPMG-ის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, რისკების მართვის თანამედროვე პრაქტიკა საქართველოს კომპანიებში დაგეგმვის ეტაპზე იმყოფება, ვინაიდან საჭიროებს მნიშვნელოვან დამუშავებას. საქართველოს კომპანიებში რისკების მართვის სფეროში გართულებები გამოწვეულია საკითხებით, რომლებიც დაკავშირებულია სარისკო მოვლენების განვითარების პროგნოზირებასთან, რისკების შეფასებასა და მონიტორინგთან და ასევე რისკების გამოვლენასთან. ამრიგად, შიდა კონტროლის პრაქტიკა და რისკების მართვა საქართველოს კომპანიებში ფორმირების სტადიაზე იმყოფება, რაც არ აძლევს მათ საშუალებას, ეფექტიანად განსაზღვრონ და მართონ რისკები.

მთლიანობაში, აუცილებელია, დაიხვეწოს კორპორაციული მართვის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემები საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის დანერგვის საფუძველზე. ამ შემთხვევაში აქცენტი უნდა გაკეთდეს სწორედ რისკების მართვისადმი სისტემურ მიდგომაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. The international survey of members of audit committees in 2010 - the results of research for Europe. Institute of audit committees. [Electronic resource] URL: www.kpmg.ru/aci
2. Evaluate the risk management culture in your organization. Institute of audit committees. [Electronic resource] URL: www.kpmg.ru/aca
3. Site of the National Association of Corporate Directors, the U.S. [Electronic resource] <http://www.nacdonline.org/>

RISKS AND ITS WAYS OF REDUCTION IN A CORPORATE CONTROL SYSTEM

Annotation

Unlike many dangers trapping business in its development, an error of a corporate management system is especially artful. Long time almost imperceptible companies against the current activity, they are perceived as "small disorders", "inevitable difficulties of growth". With them, of course, try to fight but very few people from heads come to mind to put all forces on the creation of optimum system of management – always there are affairs more important. But only until everything develops well. Once circumstances change in the adverse party (the situation in the market slightly worsened, minor contractors unexpectedly brought) as the problems of corporate governance act as a peculiar catalyst, repeatedly strengthening influence of negative factors, promptly turning a difficult situation in crisis, and crisis - in catastrophic. This article is devoted to the risks connected with the system of management, their analysis and ways of minimization.

გულნაზ ერქომაიშვილი

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია საქართველოში

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევა, ეკონომიკის სტაბილური ზრდა.

სამეწარმეო სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქცია 2012 წელს 2004 წელთან შედარებით 4,8-ჯერ, ხოლო ბრუნვა 5,5-ჯერ გაიზარდა. მსხვილ საწარმოებზე მოდის გამოშვებული პროდუქციის 81%, საშუალოზე — 8,6%, მცირეზე — 10,4%. როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი მთლიანი შიდა პროდუქტის 20 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს, რაც დაბალი მაჩვენებელია სხვა ქვეყნებთან შედარებით. მაგალითად, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ეს მაჩვენებელი 60 პროცენტია, ხოლო მეზობელ სომხეთში – 42%.

სამეწარმეო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2012 წელს 2002 წელთან შედარებით 1,7 - ჯერ გაიზარდა (2002წ. — 34 301,3 ათასი, 2012 წ. — 527,8 ათასი კაცი). აქედან 56,5% დასაქმებულია მსხვილ, 19,7% – საშუალო, ხოლო 23,8% – მცირე საწარმოებში. 2012 წელს (23,8%) 2010 წელთან (13,8%) შედარებით 10%-ით გაიზარდა მცირე საწარმოებში დასაქმებულთა წილი.

სამეწარმეო გარემოსა და პირობების შექმნას, მცირე მეწარმეთა ინტერესების დაცვას ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად გულისხმობს სწორი სამეწარმეო პოლიტიკისა და სამაშუალო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებათა გატარებას. მცირე მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევა: საგადასახადო შეღავათები, დოტაციები, შეღავათიანი საბანკო კრედიტები, მცირე მეწარმეობის განვითარების პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, ასევე კანონმდებლობის მიღება და მისი დაცვა. ფინანსური დახმარების ძირითადი წილი მოდის საკრედიტო დაწესებულებებზე, საიდანაც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სესხის აღების პირობები, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ მიმართულებით. სახელმწიფომ მეწარმეებს ჯერჯერობით ვერ შეუქმნა ხელსაყრელი სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და საბაზრო გარემო. თუმცა უნდა აღინიშნოს მეწარმეობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გარკვეული საკანონმდებლო ბაზის არსებობა, რომელსაც უნდა დაერეგულირებინა მცირე მეწარმეობის სფეროში არსებული ურთიერთობები. კერძოდ, 1999 წლის 23 ივლისის მიღებულ იქნა კანონი „მცირე საწარმოთა“ მხარდაჭერის შესახებ, რომლითაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით შეიქმნა „მცირე საწარმოთა განვითარების პროგრამების და ხელშეწყობის ცენტრი“. ამ ცენტრის არსებობა რეალურად იმდენად ხელს ვერ შეუწყობდა მცირე მეწარმეობის განვითარებას, რადგან თვით ამ ცენტრის დაფინანსებისათვის ბიუჯეტში მიხურული თანხა იყო გამოყოფილი. 2000 წლის ოქტომბერში, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ინიციატივით, სამინისტროსთან არსებულ ეკონომიკურ საბჭოს განსახილველად წარედგინა „მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფცია“, სადაც საზღვარს გასული იყო, რომ უნდა შექმნილიყო ხელსაყრელი გარემო მცირე სტრუქტურებისათვის. 2002 წელს მიღებული იქნა კანონი „მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“, თუმცა ვერც ამ კანონმა შეასრულა არსებითი როლი მცირე ბიზნესის განვითარებაში. 2006 წელს ცვლილებები შევიდა კანონში „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“, რომლითაც დადგინდა განმარტება მცირე ზომის საწარმოთათვის. კერძოდ, მცირე საწარმო – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოა, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-ს, ხოლო წლიური ბრუნვა — 500 ათას ლარს. თუმცა აღნიშნულ განმარტებას არ მოჰყოლია რაიმე მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა მცირე საწარმოების ხელშეწყობის მიზნით.

2012 წლიდან საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის საინვესტიციო ფონდი (SEAF) „კავკასია“ დაფუძნდა. იგი საერთაშორისო ინსტიტუტებმა (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ნიდერლანდების განვითარების ბანკი, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი) დააარსეს. ეს არის კავკასიაში პირველი საინვესტიციო ფონდი, რომელიც სესხებს მხოლოდ მცირე და საშუალო საწარმოებისათვის გასცემს. ფონდი ინვესტირებას განახორციელებს სხვადასხვა სექტორში, კერძოდ, აგრობიზნესში, საღისტრიბუციო ქსელში, ენერგოსექტორში და საცალო სექტორში. აღნიშნული ფონდის საქმიანობა ბანკის საქმიანობისაგან განსხვავებულია, რადგანაც

ბანკი მხოლოდ სესხებს გასცემს, ხოლო ფონდი ორიენტირებულია კაპიტალდაბანდების გაზრდაზე. კაპიტალის ნაკლებობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ყველაზე რთული პრობლემაა. ფონდი მათ ამ მნიშვნელოვანი დაბრკოლების გადალახვაში დაეხმარება, ეს კი საწარმოების ეკონომიკის დივერსიფიცირებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მთავარ ძალას წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ფონდი მცირე და საშუალო ბიზნესში რადიკალურ ძვრებს ვერ განახორციელებს, მაგრამ უდავოდ მისასაღმებელი ინიციატივაა. ფონდი ინვესტირებას არ განახორციელებს ისეთ საწარმოებში, რომელთა ბრუნვაც 15 მილიონ ლარზე ნაკლები იქნება ან 250-ზე ნაკლები პირი ეყოლება დასაქმებული. აქ მნიშვნელოვანია ასევე, რომ ფონდს შეუძლია კომპანიის კაპიტალში შევიდეს. თუ ფონდს რისკების შეფასების დაბალი კრიტერიუმები ექნება, მაშინ შეუძლია დააფინანსოს ისეთი საწარმოები, რომელთაც ბანკი ვერ აფინანსებს.

მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სამეწარმეო აზროვნების, განწყობის და ამ მიმართულებით იდეების მიწოდების სტიმულირებისაკენ. აქ იგულისხმება ეკონომიკაში სამეწარმეო აზროვნების ამადლება, მომავალში რისკისადმი მზადყოფნის მქონე ინდივიდთა რიცხოვნობის გაზრდა.

განვითარებულმა ქვეყნებმა სამეწარმეო აზროვნების ამადლებით გაზარდეს ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობა. აქედან გამომდინარე პოლიტიკის ეს მიმართულება მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდისთვის. ბოლო წლებში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები მიმართულია ლიბერალიზაციასა და კერძო სექტორის განვითარებაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისაკენ.

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეების დიდი ნაწილი დაინტერესებულია კვალიფიკაციის ამადლებით, კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის, მოლაპარაკებათა წარმართვის, კონტრაქტების შედგენისა და დადების, საწარმოთა ეფექტიანობის შეფასების შესწავლით. ეს უნდა გაითვალისწინოს შესაბამისმა უმაღლესმა სასწავლებლებმა და ჩამოაყალიბონ მეწარმეთა კვალიფიკაციის ამადლების ცენტრები.

მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა ძირითადად საგადასახადო სისტემის მოწესრიგებულობით განისაზღვრება. ამ მხრივ საქართველოში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები: კერძოდ, საგადასახადო სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია ევროპაში. მნიშვნელოვნად არის შემცირებული გადასახადების რაოდენობა 21-დან 6-მდე (2004-2010), ასევე, საგადასახადო განაკვეთები. საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 60-80% და ზოგ შემთხვევაში მეტიც ყოველწლიურად საგადასახადო შემოსავლებზე მოდის, ამიტომაც საგადასახადო პოლიტიკის სწორად განსაზღვრას და გადასახადების კარგად მინისტრირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო პროცესსა და ქვეყნის პოლიტიკაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2012 წლიდან მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსს დაემატა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის ცნება. ეს შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას. თუმცა რომელია ეს სახეები, ამას მთავრობა განსაზღვრავს. ფიქსირებული გადასახადის განაკვეთები შეიძლება დასაბეგრ ობიექტზე განისაზღვროს 1-დან 2000 ლარამდე ან დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3%-ით. ამ განაკვეთსაც, საქმიანობის მიხედვით, საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს. პირს უფლება აქვს, ფიქსირებული გადასახადის დაბეგრის რეჟიმზე წლის ნებისმიერ თვეს გადავიდეს. მთავრობა ფიქრობს, რომ აღნიშნული გადასახადით და სხვა შეღავათებით 5%-იანი ეკონომიკური ზრდა მიიღწევა. გარდა ამ ცვლილებებისა „რეგულაციურ კოდექსში“ კიდევ უამრავი ცვლილება განხორციელდა, ეს ნიშნავს, რომ ურთიერთობა მეწარმესა და ხელისუფლებას შორის მეტად ცვალებადია, ეკონომიკა პოლიტიზებული გახდა.

მეწარმეთა დიდი ნაწილის აზრით, რეფორმირებულმა საგადასახადო სისტემამ მდგომარეობა არსებითად ვერ შეცვალა. ხელისშემშლელი ფაქტორებიდან მეწარმეები პირველ რიგში ასახელებენ ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ინტერესების დაუცველობას, ქვეყნის არასტაბილურობას, მმართველი და მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან ბიზნესში ზედმეტად ჩარევას, გადასახადების სიდიდეს და სხვა.

საგადასახადო სისტემის არსებით ნაკლოვანებად მეწარმეები თვლიან მის არასტაბილურობას და არარეგულირებადობას. კანონში ხშირად ხდება შესწორებები ფინანსური წლის განმავლობაში. მცირე მეწარმეები, რომლებსაც არა აქვთ კვალიფიციური საგადასახადო კონსულტანტის ქირაობის შესაძლებლობა, ვერ ახერხებენ სიახლეების გაცნობას და ცვლილებებზე დაკვირვებას. ერთ-ერთი გამოკითხული მეწარმის აზრით, „ბოლო წლებში აშკარად ჩანს უკეთესობისკენ სვლა, მაგრამ იმდენად სწრაფად ცვლილებებს საგადასახადო სისტემის დახვეწას, რომ რიგ შემთხვევებში ბევრი შეცდომა იპარება და წინ გეხვედება დიდი პრობლემის სახით“.

ევროკავშირის ქვეყნებში საგადასახადო ცვლილებები წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ხორციელდება. ეს დრო საკმარისია იმისათვის, რომ საგადასახადო ორგანოებმა სპეციალური ინსტრუქციები გამოსცენ, ხოლო მეწარმე მას გაეცნოს.

ბოლო პერიოდში საქართველოში უამრავი მაღაზია და მცირე საწარმო დაიხურა. მათი მფლობელების თქმით, მიზეზი აუტანელი საგადასახადო წნეხია, რომელსაც მხოლოდ ერთეულები უძლებენ.

მიკრომეწარმე, რომლის წლიური ბრუნვა 30 ათას ლარამდეა, არ იბეგრება, მაგრამ ის არ უნდა იყენებდეს დაქირავებულ შრომას, რაც აბსურდია. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში წახალისებულია ის ბიზნესი, რომელიც დაქირავებულ შრომას იყენებს და სამუშაო ადგილებს ქმნის, აქ კი ხელს უწყობენ ისეთ ბიზნესს, რომელიც სამუშაო ადგილებს არ ქმნის. ეს მიკრომეწარმეები ფაქტობრივად თვითდასაქმებულები არიან, რომლებსაც არც ერთ ქვეყანაში არ ბეგრავენ. თუკი ადამიანი თვითონ ქმნის სამუშაო ადგილს და ამით ოჯახს არჩენს, ეს სახელმწიფოსთვის დიდი შევებაა.

მცირე მეწარმე, რომელსაც 100 ათასლარიანი ბრუნვა აქვს, 3-დან 5 პროცენტამდე უნდა გადაიხადოს. ვერც ერთი მოვაჭრე ან მეწარმე ამხელა პროცენტს ვერ გადაიხდის. 1999 წელს მიღებული კანონით, მცირე მეწარმეებისათვის წლიური ბრუნვის ზღვარი 500 ათასი ლარი იყო, ახალი კოდექსით ის 100 ათასამდე დაიქ-

ვანეს. ევროსაბჭოს რეკომენდაციით, მცირე მეწარმის წლიური ბრუნვა უნდა იყოს 10 მლნ ევრომდე, ჩვენთან კი ზღვარი 100 ათას ლარამდე ჩამოიყვანეს.

მეწარმეების აზრით, ფიქსირებულ გადასახადთან ერთად, რომელიც 2012 წლიდან მოქმედებს, კარგი იქნება საგადასახადო ლიცენზიების შემოღება. მეწარმე ყიდულობს საგადასახადო ლიცენზიას ერთი ან რამდენიმე თვის განმავლობაში და თავისუფლდება ყველა გადასახადისგან. როდესაც გადასახადი ხელმისაწვდომი იქნება, ყველა გადაიხდის და სახელმწიფოსაც უზარმაზარი შემოსავალი გაუზრდობა. აღნიშნული სისტემა წარმატებით ფუნქციონირებს უკრაინაში.

როგორც ჩანს, მიუხედავად ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილებისა, მოქმედ საგადასახადო სისტემაში ბევრი პრობლემატური საკითხია, რაც ხელს უშლის და ხშირ შემთხვევაში აფერხებს კიდევ მეწარმეობის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ერქომაიშვილი გ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013.
2. ერქომაიშვილი გ. მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2004.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მეწარმეობა საქართველოში 2013.
4. მეწარმეობის თეორიული საფუძვლები. ჯოზეფ ჰასიდი, ალექსის-სტეფანოს კომსელისი, რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეკაშვილი, მ. ნაცვალაძე, ნაწილი I-II. თსუ გამომცემლობა, 2009.
5. საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 2011.
6. www.geostat.ge
7. www.rs.ge

Gulnaz Erkomaishvili

SMALL AND MIDDLE ENTREPRENEURSHIP DEVELOPMENT STRATEGY IN GEORGIA

Annotation

One of the paramount aims of the state economic policy is the development of economic policy which is the base of stable economic growth. Creation of enterprising environment and conditions, protection of entrepreneurs interests must be supported by the state economic policy which along with organizational and financial promotion implies pursue of activities for competition ability of national production and the enterprising policy.

The current economic reforms implemented during recent years in Georgia are directed towards liberalization and development of the private sector based on provision of economic growth. In this regard there have been made significant steps, in particular: as a result of reforms implemented in tax system the Georgian tax legislation is considered to be the most liberal in Europe.

რომან თეთვაძე

მარკაპტინების პრობლემები საქართველოს მრეწველობაში

საქართველოს ეკონომიკური განვითარებლობა, სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია სამეწარმეო ბიზნესის ჩამორჩენილობით. საქართველო, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ითვლებოდა ეკონომიკურად ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ რესპუბლიკად სსრკ-ში, ხოლო მისი სამრეწველო პოტენციალი ძალიან მაღალი იყო და იმ დროის ისეთ განვითარებულ სახელმწიფოებს უტოლდებოდა, როგორებიცაა პოლანდია, ავსტრია, დანია და ა. შ. დღეისათვის სავალალო მდგომარეობაშია.

1988 წელს გამოცემული სტატისტიკური ცნობარის თანახმად, საქართველოში 1987 წელს წარმოებული იყო 22645,1 მილიონი მანეთის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, საიდანაც მრეწველობაზე მოდიოდა 13722,6 მილიონი მანეთი. საწარმოო ძირითადი ფონდების საერთო ღირებულება შეადგენდა 24271,0 მილიონ მანეთს, საიდანაც მრეწველობაზე მოდიოდა 10176,0 მილიონი მანეთი. თუ მოვახდენთ მაშინდელი მანეთის და დღევანდელი ლარის მსყიდველუნარიანობის შედარებას ძირითადი მოხმარების პროდუქციის მიხედვით, როგორებიცაა საკვები, ტრანსპორტი, საწვავი, კომუნალური გადასახადები, მომსახურება და ა.შ. მივიღებთ, რომ 1987 წელს მანეთი 10-ჯერ მაინც აღემატებოდა დღევანდელ ლარს. ამ შეფარდების მხედველობაში მიღებით, ზემოთ მოყვანილი ციფრობრივი მონაცემები დღევანდელი ტერმინოლოგიის მიხედვით დაახლოებით ასეთ სურათს მოგვცემს: საქართველოში 1987 წელს აწარმოა მშპ 226451,1 მილიონი ლარის, რომელშიც მრეწველობის წილად მოდიოდა 137226,0 მილიონი ლარი, ანუ 60,6%, ხოლო ქვეყნის ძირითადი საწარმოო კაპიტალი შეადგენდა 242710,0 მილიონ ლარს, საიდანაც მრეწველობაზე მოდიოდა 101760,0 მილიონი ლარი, რაც პროცენტულად 41,9%-ის ტოლი იყო. აღნიშნული ციფრობრივი მონაცემები მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მაშინ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების დონე გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებში

დღევანდელი სურათი კი ოფიციალური მონაცემებით ასეთია: მშპ ტოლია 26167 მილიონი ლარის (2012 წ-ს. შედარებით 1987 წ-თან შემცირებულია 8,6-ჯერ). აქედან მრეწველობის წილი წარმოდგენილია 2929,2 მილიონი ლარით (შემცირებულია 1987 წელთან მიმართებაში 46,8-ჯერ). ასეთივე არასახარბიელო სურათს იძლევა არსებული ძირითადი კაპიტალის მონაცემებიც. 2012 წელს ძირითადი აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა - 15538,7 მილიონი ლარი, საიდანაც მრეწველობაზე მოდიოდა 4580,5 მილიონი ლარი (შემცირებულია 22,2-ჯერ).

სამეწარმეო ბიზნესის ასეთი ჩამორჩენილობის გამო გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველო ხასიათდება ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდოთი. აღნიშნულს ადასტურებს ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებიც (იხ. ცხრ. 1).

მაჩვენებელთა გამოსწორების არავითარი საფუძველი არ არსებობს უახლოესი მომავლისათვის, თუმცა ამოცანა უნდა მდგომარეობდეს საერთაშორისო ვაჭრობის ვექტორის შეცვლაში ისე, რომ სახელმწიფომ და მისმა მოსახლეობამ მიიღოს მაქსიმალური სარგებელი.

საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის მხრივ არასახარბიელო ურთიერთობები აქვს რუსეთთან, რომელმაც ემბარგო დაადო ფაქტობრივად ჩვენთან წარმოებული საქონლის შეტანას. ასევე დისკრიმინაციული მდგომარეობაა ევროკავშირთან ვაჭრობის მხრივაც. თუმცა ამ ბოლო დროს გამოიკვეთა დადებითი ტენდენციები. ამ საქმეში სრულად უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრობაც.

წინამდებარე სტატიის მიზანია, გავაანალიზოთ საქართველოს მრეწველობისათვის მარკეტინგის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა დასახვით ხელი შეეწყოს მრეწველობის განვითარებას.

ცხრილი 1

**საქართველოს საგარეო ვაჭრობის განზოგადებული მაჩვენებლები
(მოქმედ ფასებში, ათასი აშშ დოლარი)**

მაჩვენებლები	2007	2008	2009	2010	2011	2012
ექსპორტი	1 232 110	1 495 345	1 133 622	1 677 472	2 189 136	2 377 000
იმპორტი	5 212 150	6 301 540	4 500 244	5 257 122	7 057 760	7 842 000
სალდო	-3 980 040	-4 806 195	-3 366 622	-3 579 650	-4 868 624	-5 465 000
ბრუნვის მოცულობა	6 444 261	7 796 886	5 633 866	6 934 594	9 246 896	10 220 000

ეკონომიკის ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში საქართველოს მრეწველობის წინაშე საერთოდ არ იდგა მარკეტინგის პრობლემები და ამიტომ მრეწველობა საქართველოში მძლავრად იყო წარმოდგენილი. თუმცა დამოუკიდებელი საქართველოს რეალობაში კი მკვეთრად იჩინა თავი მარკეტინგის პრობლემებმა, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახა მრეწველობის განვითარების დონეზე.

მარკეტინგი განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის და მისი თითოეული სექტორის კონკურენტუნარიანობის დონეს, რამდენადაც გასაღების ბაზრის უქონლობა ან შეზღუდულობა უშუალოდ ზემოქმედებს წარმოებული პროდუქტის მოცულობაზე. ვიცით, რომ სამეწარმეო საქმიანობის მთავარ საბაზრო სტიმულს წარმოადგენს მოგება, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია წარმოებული პროდუქტის რეალიზაციის ხარისხით, ანუ მარკეტინგის გამართული ფუნქციონირების დონით.

მარკეტინგის ამოცანაა, წარმოებული პროდუქტის რეალიზაციის გაუმჯობესების გზით ხელი შეუწყოს სამეწარმეო ბიზნესში ამონაკვების ზრდას, ანუ კაპიტალის წრებრუნვის დანქარებას, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ითამაშოს ადგილობრივი მწარმოებლისა და მომხმარებელის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამ ადგილზე წარმოებული პროდუქტით.

საქართველოს სტატისტიკური წელიწადულის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში მრეწველობა წარმოდგენილია 3 სექტორად:

1. სათოთხოველთა მრეწველობა. (C)
2. გადამამუშავებითი მრეწველობა. (D)
3. ელექტროენერჯის, აირის და წყლის წარმოება და განაწილება. (E)

2012 წელს მრეწველობაში სულ იწარმოვა 6868,3 მილიონი ლარის პროდუქცია, რაც 1987 წლის ანალოგიური მონაცემების 5%-ს შეადგენს. აღნიშნული 6868,3 მილიონი ლარიდან სათოთხოველთა მრეწველობაზე მოდიოდა 364,4 მილიონი ლარი (5,4%), გადამამუშავებელ მრეწველობაზე მოდიოდა 5445,2 მილიონი ლარი (79,2%), ხოლო ელექტროენერჯის, აირის და წყლის წარმოება და განაწილებაზე მოდიოდა 1058,7 მილიონი ლარი (15,4%).

მრეწველობის აღნიშნული სახეებიდან სათოთხოველთა მრეწველობა წარმოდგენილია ძირითადად ნახშირის, ნედლი ნავთობის და მარგანეცის წარმოებით. მიუხედავად იმისა, რომ ნახშირის მოპოვება ტყიანების ნახშირის საბადოდან მცირეა (სულ 51,1 მილიონი ლარის მოცულობით), იგი ადგილობრივად გამოიყენება მხოლოდ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. არ გამოიყენება ნახშირი სათბობად, სხვა სამრეწველო საწარმოების ფუნქციონირებაში, ელექტროენერჯის გამომუშავების და მოსახლეობის პირადი მოხმარების (გათბობის) მიზნით. ამ მიმართულებით სამუშაოთა გააქტიურება და ნახშირზე მოთხოვნილების ამძღვრება შესაძლებელია მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯების გარეშე, რაც დროის მოკლე მონაკვეთში რამდენჯერმე გაზრდის ნახშირის მოპოვების მოცულობას.

რაც შეეხება ნედლ ნავთობს, იგი, რა თქმა უნდა, დიდი მოცულობით არ მოიპოვება საქართველოში, მაგრამ მისი გადამამუშავებაც კი არ ხდება ადგილზე. 2004 წელს საქართველოში არსებულ მცირე ზომის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებს, რომელთაგან ყველაზე მასშტაბური „გაორი“ იყო, გაუშუქეს ლიცენზია, ვითომდა არასტანდარტული ნავთობის წარმოების მიზნით და ქვეყანა მთლიანად იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებს მიიხმარს, რაც უარყოფითად მოქმედებს ნავთობის მოპოვების მოცულობაზეც და ამ დარგში დასაქმებულთა რაოდენობაზეც.

მარგანეცის წარმოება მთლიანად მინდობილი აქვს უცხოურ (უკრაინულ) კომპანიას, რომელიც, ჭიათურ-მარგანეცის გარდა, ფლობს ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანას და ვარციხის კასკადის 4 პირობულექტროსადგურს. აღნიშნულ კომპანიას, პირადი მერკანტილური ინტერსებიდან გამომდინარე, ხელს არ აძლევს მარგანეცის მოცულობის გაზრდა მსოფლიო ბაზარზე არსებული მაღალი ფასების შენარჩუნების მიზნით და შესაბამისად ამ დარგში დასაქმებულთა რიცხოვნობაც მცირეა, მათი ანაზღაურების მსგავსად.

თავის დროზე, როდესაც გაიყიდა ჭიათურ-მარგანეცი, სახელმწიფომ აღნიშნული კომპანია ჯერ გააკოტრა, ხოლო შემდგომ მარგანეცის მოპოვების ლიცენზია, ჭიათურ-მარგანეცთან ერთად, გაუქმდა 20-ზე მეტ კერძო კომპანიას და ლიცენზია ერთიან პაკეტში გაასხვისა.

თუ მანამდე „ჭიათურმარგანეცის“ სამთო მინაკუთვნი შეადგენდა 3566,16 ჰა-ს, შპს „ჯორჯიან-მანგანიზი“-ს სამთო მინაკუთვნი განისაზღვრა 16430,0 ჰა-თი.

ამით კერძო კომპანიებს ლიცენზიის მოპოვების პერსპექტივაც კი გაუქრათ. შესაბამისად ამ დარგში აღარ არსებობს კონკურენცია.

დარგის განვითარებისთვის საჭირო იქნება ლიცენზიის გაცემის კანონიერების გამოკვლევა, დარგის დემონოპოლიზაცია, მარგანეცის მოპოვებაში სხვა კერძო კომპანიების დაშვება. შესაბამისად, გაიზრდება როგორც მარგანეცის მოპოვება, ასევე გამოცოცხლდება მარკეტინგული საქმიანობაც.

გადამამუშავებელი მრეწველობა წარმოდგენილია ისეთი ქვედარგებით, რომელნიც საქართველოს მოსახლეობის ყოველდღიური მოხმარების საგნებს წარმოადგენს. ასეთია: საკვები პროდუქტები, თამბაქო, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, პიგიენური საშუალებები და სხვა.

მათი მარკეტინგული პრობლემები მოგვარებულია იმდენად, რამდენადაც ამ სექტორებში თითქმის არ არსებობს მონოპოლიზებული წარმოება და მომხმარებელიც ადგილობრივია. ხოლო, რაც შეეხება გადამამუშავებელი მრეწველობის იმ დარგებს, რომელნიც შედარებით რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს მოითხოვს (მანქანათმშენებლობა, ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკა, საავტომობილო წარმოება და სხვა), აქ სიტუაცია კატასტროფულია, რადგან თავის დროზე საქართველოში არსებულმა საწარმოებმა ვერ მოახერხეს შესაბამისი მარკეტინგული სამუშაოების განხორციელება, აღდგომის ვერ აუღეს ახალ გარემო პირობებს, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, მათი გაკოტრების მიზეზი გახდა.

ელექტროენერჯის, აირის და წყლის წარმოება და განაწილება მოიცავს, ელექტროენერჯის წარმოებასთან ერთად, წყლის დაგროვებას და გაწმენდა-განაწილებას. ეს უკანასკნელი გამოიყენება მოსახლეობის ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის და არ საჭიროებს დიდ მარკეტინგულ საქმიანობას. ასევე პრობლემა არ არის ელექტროენერჯის რეალიზაცია როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ბაზარზე. ამიტომაცაა ამ დარგისადმი გაზრდილი დაინტერესება ადგილობრივი თუ უცხოური კაპიტალის მხრიდან.

სამეწარმეო ბიზნესში მარკეტინგული საქმიანობის გააქტიურების მხრივ აუცილებლად მესახება სასაქონლო ბირჟების ორგანიზება საქართველოში. საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თავისუფალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასულია 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ვერ ჩამოყალიბდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად, რამდენადაც არსებული 4 სახის ბირჟებიდან (სასაქონლო, შრომითი, ფასიანი ქაღალდების და სავალუტო), სრულყოფილად ფუნქციონირებს მხოლოდ სავალუტო, ნაწილობრივ ფასიანი ქაღალდების, ხოლო სასაქონლო და შრომის ბირჟები საერთოდ არ არსებობს. არადა სასაქონლო ბირჟების გარეშე სრულყოფილი მარკეტინგული საქმიანობა შეუძლებელია.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად, საქართველოში დარეგისტრირდა რამდენიმე სპეციალიზებული და ერთი უნივერსალური (კავკასიის ბირჟა) ბირჟა. მათგან ყველაზე მეტად განვითარდა კავკასიის ბირჟა, მაგრამ იგი მალევე გარდაიქმნა უსაქონლო ოპერაციების განხორციელების ადგილად და შეწყვიტა ფუნქციონირება.

დღეის მდგომარეობით საქართველოს სამრეწველო საწარმოებისთვის, ბირჟების უქონლობის გამო, როგორც მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ასევე მზა პროდუქციის გასაღების პროცესი გართულებულია. ამ სფეროში სახელმწიფოს შეუძლია დადებითი როლის შესრულება. აგრეთვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში სასაქონლო ბირჟების განვითარებას კარგი პერსპექტივა გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Народное хозяйство Грузинской ССР в 1987 г. Тбилиси, 1988.
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2012. თბილისი, 2013.
3. <http://greenalt.org/old/map/text/chiaturmanganumi/chiaturmanganumi.html>. გადამოწმებულია: 23.01.2014.
4. საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ. <http://search.tb.ask.com/search/GGmain.jhtml?searchfor>. გადამოწმებულია: 25.04.2014.

Roman Tetvadze

MARKETING ISSUES IN GEORGIAN MANUFACTURING

Annotation

This abstract reviews development dynamics of Georgian manufacturing and its present condition. One of the main reasons for dramatic reduction of production is considered to be inadequate marketing activity in manufacturing enterprises and the impeding circumstance such as absence of market infrastructure, especially lack of commodity exchange in Georgia, for which there are favorable conditions due to the geopolitical status of Georgia.

*ეთერ კაკულია
ქეთინო მდინარაძე*

ბიზნესბარემო ფორმირების სოპიერტი ასპექტი საქართველოში (მცირე და საშუალო ბიზნესისათვის)

დღეს, როცა მსოფლიო ეკონომიკები ღიაა, ბიზნესი არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური სისტემის გავლენის ქვეშ იმყოფება, არამედ მსოფლიო ეკონომიკური სისტემიდან მომდინარე ცვლილებების გავლენასაც განიცდის.


ბიზნესი – წარმოების ეს ფორმა საბჭოთა სისტემისათვის მიუღებელი იყო, მაშინ, როცა საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში აღიარებულია, როგორც ეკონომიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირების ქვაკუთხედი და მამოძრავებელი ძალა. მსოფლიო ბანკის შეფასებით, გლობლურ ეკონომიკაში კერძო სექტორი 10-დან 9 სამუშაო ადგილს ქმნის [9]. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მონაცემებით, კერძო სექტორიდან მცირე და საშუალო ბიზნესს ეკონომიკაში (წარმოებასა და მომსახურების სექტორში) ინოვაციების დანერგვის და ქვეყნის აქტიური მოსახლეობის სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ახალი სამუშაო ადგილების 2/3-ის ფორმირებას სწორედ მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ. ამერიკის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით, მნიშვნელოვანი დამუშავებების (განსაკუთრებით ახალი ნაწარმის შექმნა) 98% ხორციელდება მცირე ბიზნესის მიერ, მაშინ, როცა ქვეყანაში კვლევასა და დამუშავებაზე გამოყოფილი საშუალებების 5%-ზე ნაკლებს ხარჯავენ მცირე საწარმოები [8]. ამ ქვეყნებში ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მშპ-ს 50-70%-ს მცირე და საშუალო კომპანიები აწარმოებენ [6].

მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დღეს არსებულ მისაბამად შედეგებს საფუძველი ჩაეყარა გასულ საუკუნეში. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერი მექანიზმის ფორმირება აშშ-ში დაიწყო 30-იანი წლებიდან დიდი დეპრესიის პერიოდში; გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ; ინგლისში, ინტენსიურად, 1970 წლიდან. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ბიზნესგარემოს მარეგულირებელი სახელმწიფოებრივი მექანიზმის ფორმირება-განვითარების პროცესების შესწავლა ნათლად გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობას ამ სფეროში, ამასთან, იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, ისეთი ქვეყნისათვის როგორცაა საქართველო, მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის და ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნას.

ქვეყანაში ხელსაყრელი ბიზნესგარემოს ქვეშ იგულისხმება: ბიზნესგარემოს მარეგულირებელი ისეთი სახელმწიფო მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნის შესაბამისად, მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს (დაარეგულირებს) ბიზნესის ნებისმიერი ფორმის (მიკრო, მცირე, საშუალო, მსხვილი და საერთაშორისო) განვითარებას. ბიზნესის ფორმებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მცირე ბიზნესს, რადგან ის არის ყველა სხვა დანარჩენი ბიზნესფორმების ფორმირებისა და განვითარების წინაპირობა (საფუძველი), პირველწარს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მიერ რეგულირების უმთავრესი მექანიზმები თავისი ბუნებით მაკროხასიათისაა [8]. ადამიანები უკვე აღარ ხელმძღვანელობენ იმ მოსაზრებით, რომ ყველაზე უკეთ ეკონომიკას არეგულირებს ის სახელმწიფო, რომელიც ყველაზე ნაკლებად არეგულირებს მას. არა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერება, არამედ გამოცდილებაც და პრაქტიკაც ადასტურებს, რომ საბაზრო ეკონომიკა, რომლის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს მეწარმე, წარმატებულად ფუნქციონირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამეწარმეო საქმიანობას ეფექტიანად არეგულირებს სახელმწიფო. ამ მოსაზრებას დღეს დღეობით ეთანხმება ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა უმრავლესობა. ეკონომიკა წარმატებულად ფუნქციონირებს იმ შემთხვევაში და იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ორმხრივი ურთიერთობაა, სადაც სახელმწიფო, საბაზრო ძალებთან ერთად, ეკონომიკის და ბიზნესის რეგულატორის როლში გვევლინება.

საქართველოში ბიზნესგარემოს ფორმირება დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლებიდან, მას შემდეგ, რაც ქვეყანა საბჭოთა სისტემიდან საბაზრო ეკონომიკური სისტემის განვითარების გზას დაადგა. განვლილ ოცდაათს წელიწადში გატარებულმა რეფორმებმა სრულიად შეცვალა ქვეყნის განვითარების სტრატეგია, წარმოების ფორმად აღიარებულ იქნა ბიზნესი, მეწარმეობა.. შემოდგომულ იქნა კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც, ბიზნესის ფორმირება-განვითარებასთან ერთად, ხელს უწყობენ, ქვეყანაში მეწარმეობის თავისუფლების ხარისხი იყოს მაღალი. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ისეთი მძლავრი სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის ნორმალურ განვითარებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ არ არის ფორმირებული ისეთი ბიზნესგარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესს.

ინგლისელი ბიზნესოლოგის დ. ნიდლის [2] მიხედვით ბიზნესგარემო წარმოგენილია სამ – ადგილობრივ, ეროვნულ, საერთაშორისო გარემოდ (დონედ), რომელიც წარმოდგენილია პირველ ნახაზზე.



ნახაზი 1. გარემო დონეები


ადგილობრივი დონე, ეს არის რეგიონული გარემოცვა, სადაც უხდება ბიზნესს პირველი ნაბიჯების გადადგმა, ურთიერთობა მუნიციპალურ ხელისუფლებასთან, რეგიონულ სამართალთან. მისი (ბიზნესის) მოქმედების და განვითარების გეგმა მუნიციპალურმა ხელისუფლებამ უნდა მოიწონოს და დაარეგისტრიროს. ადგილობრივ დონეზე ბიზნესის მარკეტინგის და პერსონალით დაკომპლექტების სტრატეგიაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ ბაზრებზე მოქმედი ფირმები (ბიზნესი).

ეროვნულ დონე აყალიბებს ბიზნესის ურთიერთობებს ისეთ მოვლენებთან როგორცაა: სახელმწიფო სამართალი, საბანკო საპროცენტო განაკვეთი, ინფლაცია და დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა.

საერთაშორისო დონე – გარემო, რომელშიც ფირმა ექცევა, გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. აქ ბიზნესზე გავლენას ახდენს: საერთაშორისო სავალუტო კურსი, იაფი წარმოების ფაქტორების ძიება, ზეეროვნული წარმონაქმნები, როგორცაა: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ევროკავშირის დახმობა. ტრანსეროვნული კორპორაციები. მსხვილმაშტაბიანი კონგლომერატები, ახდენენ ზეგავლენებს თავიანთ საზღვრებს მიღმა, ადგილობრივ ეკონომიკასა (ბიზნესსა) და შრომის ბაზრებზე, განსაკუთრებით მესამე ჯგუფის ქვეყნებში, ე.ი. საქართველოში გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, სადაც მეოთხედი საუკუნეც არ არის ყალიბდება კერძო სექტორი, ვფიქრობთ, ბიზნესგარემოს ერთ-ერთ დონედ უნდა გამოიყოს შიგა დონე [ფირმის (საწარმოს) შიგნით მიმდინარე ოპერაციები და პროცესები], რომელიც, თავის მხრივ, ერთობლობაა სამი ქვედონის: 1. ორგანიზაციული დონის, მოიცავს სტრუქტურას, საკუთრებას, ზომას, ორგანიზაციულ კულტურას, მიზნებსა და ორგანიზაციულ პოლიტიკას; 2. სტრატეგიული დონის, აქ მოიაზრება ფირმის (საწარმოს) სტრატეგია და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები; 3. საქმიანობათა დონის, იგი მოიცავს ინოვაციას, მართვას, მარკეტინგს, ადმინისტრაციულ რესურსების მენეჯმენტს, ფინანსებს და ხარჯთაღრიცხვას.

ბიზნესგარემოს ეს ურთულესი სისტემა აყალიბებს ბიზნესმაგრამ თვით ბიზნესიც ახდენს გავლენას ბიზნესგარემოს რაოდენობრივ თუ თვისებრივ განვითარებაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ის, რომ მუდმივ ურთიერთგანპირობებულობაში, ურთიერთდამოკიდებულებაში, ურთიერგავლენაში იმყოფება: ბიზნესი, ბიზნესის გარემო და ეკონომიკა, სახელმწიფო (სახელმწიფოს როლი), ტექნოლოგია, მუშახელი, კულტურა, რელიგია, ეკოლოგია.

პირველ სტეპში წარმოდგენილია ბიზნესგარემოს ერთიანი სისტემის სხვადასხვა ელემენტების ურთიერთქმედება ერთმანეთთან და სხვადასხვა დონეზე გავლენათა მონაცვლეობა. იგი (სქემა 1) წარმოადგენს ურთიერთქმედება-გავლენის მოდელს, ახდენს სისტემური და სიტუაციური მიდგომების საფუძვლის ფორმირებას და, ამასთან ერთად, იძლევა მნიშვნელოვან სტრუქტურას ბიზნესში არსებული მდგომარეობის ანალიზისათვის. სისტემური მიდგომა ბიზნესს განიხილავს, როგორც: გარემოს, ორგანიზაციების (ფირმებში, საწარმოებში) მიმდინარე პროცესებისა და შედეგების (საქონელი, მომსახურება, მოგება, ინფორმაცია, დანაკარგები, სამუშაოთი დაკმაყოფილება, ეკონომიკური ზრდა) ერთობლიობას. სიტუაციური მიდგომა აფასებს ბიზნესსა და გარემოს შორის ურთიერთქმედებას ან ურთიერთობის შედეგს. აქ იგულისხმება ის, რომ ბიზნესში მიმდინარე ოპერაციები და მათი ორგანიზების გზები წარმოადგენენ იმ გარემოს პროდუქტს რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ. ყველაზე წარმატებული ბიზნესი (ფირმა, საწარმო).



სქემა 1. ბიზნესგარემოს ერთიანი სისტემის სქემა (მოდელი)


ისაა, ვინც საუკეთესო სარგებელს მოიპოვებს გარემოდან მომდინარე გაბატონებული ზეგავლენებიდან. ფირმამ, ორგანიზაციის მსგავსად „ფუნქციონობის მისაღწევად, უნდა შეძლოს გარემოსთან ადაპტაცია. გარემოსთან ადაპტირების ძირითად მიდგომას წარმოადგენს ის, რომ ბიზნესი (ფირმა, საწარმო) გარემოსთან ურთიერთობით უნდა განსაზღვრავდეს მის სტრატეგიას, საქმიანობას და ორგანიზაციას.

ბიზნესფორმებიდან (მცირე, საშუალო, მსხვილი, საერთაშორისო), დღეს საქართველოში მიუღებლად დაბალი მანევრებლობით ხასიათდება მცირე და საშუალო ბიზნესი, უპირატესად მცირე ბიზნესი. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დღემდე ქვეყანაში ბიზნესის კეთების გაუმჯობესების მიმართულებით თითქოს არაფერი არ გაკეთებულა.

მსოფლიო ბანკი 2003 წლიდან აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს, რითაც, სხვადასხვა მანევრებლობის მიხედვით აფასებს ქვეყნებს შორის ბიზნესის კეთების რეიტინგს. „ბიზნესის კეთება-2014“ - ანგარიში [5]

მოიცავს 189 ეკონომიკის ბიზნესის კეთების შეფასების შედეგებს 10 მაჩვენებლის მიხედვით, სადაც საქართველო აღიარებულია ტოპ რეფორმების ქვეყნად, 2006-2014 წლების მონაცემებით, ქვეყანაში განხორციელდა 36 რეფორმა როგორც ინსტიტუციური, ასევე მარეგულირებელი გარემოს დახვეწის კუთხით. აღნიშნულ პერიოდში ქვეყანამ ათივე მაჩვენებელში გაუმჯობესებული პოზიცია აჩვენა, ხოლო 2014 წლის მონაცემებით საქართველოს ბიზნესის კეთების დაწვების სიმარტივით 189 ქვეყანას შორის მე-8 პოზიცია უკავია.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო 10 წლის მონაცემებით მსხვილ ბიზნესზე მოდის აქტიური ეკონომიკის 80-85%, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის მიუღებლად დაბალ დონეზე მიუთითებს, რაც ნათლად ჩანს პირველ გრაფიკში. მთლიან შიდა პროდუქციაში, 2012 წლის მონაცემებით, მცირე და საშუალო ბიზნესი ერთად 20 პროცენტს ვერ აღწევს.



გრაფიკი 1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი [4]

2012 წლის მონაცემებით (იხ. ცხრილი 1) ეკონომიკის ბიზნესსექტორში მცირე ბიზნესზე მოდის: პროდუქციის გამოშვებაში -10,2, დასაქმებაში - 29,1, ბრუნვაში - 9,3%, საშუალო ბიზნესზე შესაბამისად: - 7,5; 13,8; 7,7%. ხოლო ეკონომიკაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში (1724,0 ათასი კაცი) მცირე ბიზნესზე მოდის 9%, საშუალო ბიზნესზე კი - 4,3%. მთლიან შიდა პროდუქციაში (26 167 მლნ ლარი), მცირე ბიზნესზე - 8,9 და საშუალო ბიზნესზე - 6,6% [3;4]. მონაცემებიდან

ცხრილი 1

საწარმოთა ზომების მიხედვით: ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმება, შრომის ანაზღაურება, შრომის მწარმოებლურობა (2008-2012)

წლები		ბრუნვა		პროდუქციის გამოშვება		დასაქმება		შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება ლარი	შრომის მწარმოებლურობა
		მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	კაცი	%		
2008	სულ	19650,7	100	10248,4	100	349 250	100	519,8	30 837
	მსხვილი	17228,8	89,8	8781,4	86,8	209 532	63,9	674,8	41 886
	საშუალო	1454,3	6,9	939,6	9,1	74 443	22,2	298,8	12 971
	მცირე	967,6	3,3	527,4	4,1	65 276	13,9	209,1	9 141
2009	სულ	20302,2	100	11003,1	100	387 463	100	536,1	28 398
	მსხვილი	17136,9	84,4	8940,3	81,5	223 170	57,6	682,3	40 198
	საშუალო	1701,2	8,4	1151,5	10,5	78 198	20,2	359,5	14 726
	მცირე	1464,1	7,2	881,3	8,0	96 087	22,2	273,2	10 237
2010	სულ	24400,7	100	13303,7	100	397 806	100	592,7	33 443

	მსხვილი	20469.2	83.9	10859.6	87.6	224 354	56.4	755.2	48 404
	საშუალო	2350.3	9.6	1461.5	11.0	91 943	23.1	395.0	15 895
	მცირე	1981.2	6.5	982.6	7.4	81 500	20.5	312.9	12 055
2011	სულ	36726.2	100	19239.1	100	503 236	100	622.6	38 232
	მსხვილი	29435.0	80.1	15437.8	80.2	273 581	54.4	820.7	56 429
	საშუალო	3839.6	10.5	2095.1	10.9	103 004	20.5	457.0	20 342
	მცირე	3451.6	9.4	1706.9	8.9	126 651	25.1	283.1	13 477
2012	სულ	42048.0	100	23096.0	100	534 340	100	714.3	43 219
	მსხვილი	34919.1	83.0	19002.5	82.3	305 340	57.1	928.2	62 234
	საშუალო	3223.6	7.7	1740.2	7.5	73 661	13.8	528.1	23 624
	მცირე	3905.3	9.3	2353.3	10.2	155 396	29.1	338.1	12 144

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი [4]

ჩანს, რომ ქვეყნებს შორის შესადარისი მაჩვენებლების სარეიტინგო სტატისტიკური მახასიათებლები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე სრულ სურათს არ იძლევა.

ამდენად, მართალია საქართველოში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიზნით ქვეყანაში ჩატარდა რეფორმები, რომლის შედეგები მსოფლიო ბანკის მიერ სამართლიანად შეფასდა დადებითად, მაგრამ საკითხის შესწავლიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით ბევრია გასაკეთებელი.

დადგა დრო საქართველოში ბიზნესის განვითარებაში, ქვეყნის სტრატეგიულ პრობლემად განიხილება ბოლეს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, სათანადო ბიზნესგარემოს ჩამოყალიბება. აქ წარმოდგენილი სქემა (მოდელი) (იხ. სქემა 1) ბიზნესგარემოს განიხილავს როგორც ერთიან სისტემას. სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მის ლოკალურ ნაწილებში დროებითი ხასიათის დონისძიებათა ინიცირება, როგორც ეს დღემდე ხდებოდა, ვერასდროს მიგვცემს სასურველ შედეგებს. აუცილებელია, ჯანსაღი ბიზნესგარემოს ფორმირებისათვის, ქვეყანაში შეიქმნას ერთიანი მაკრომარეგულირებელი (სახელმწიფო მარეგულირებელი) მექანიზმი [1].

ქვეყნის განვითარებისა და უმუშევრობის შემცირებისათვის მთავრობის მხრიდან მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის მთავარ დასაყრდენს და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებსე მთავარ მოტივებულ მცირე და საშუალო ბიზნესი. მსოფლიო პრაქტიკამ დამაჯერებლად აჩვენა, რომ მცირე საწარმოებს ნამდვილად შესწევთ უნარი, მოკლე დროში განახორციელონ ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა. მცირე საწარმოთა ქსელის შექმნა უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას, ბაზარზე სასაქონლო მოცულობის ზრდას და მომხმარებელთა მომსახურებას. იგი ხელს უწყობს ეკონომიკაში ჯანსაღი კონკურენციის არსებობას, რაც განაპირობებს ეკონომიკის ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას. ისინი ერთპიროვნულად ემსახურებიან ქვეყნის რეგიონული ეკონომიკის გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, ე. კაკულია. მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში, თბილისი, 2008.
2. დ. ნიდლი, ბიზნესი კონტექსტში, ბიზნესი და მისი გარემო, შესავალი, თბ., BGC ბიზნეს, 2003.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწადური 2013, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2013.
4. მეწარმეობა საქართველოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2013.
5. ბიზნესის კეთება 2014 [www.economy.ge/.../reitingebi/reitingebi_geo/DB_2014_geo.pdf • PDF file]
6. Биншток Ф. Государственное регулирование предпринимательской деятельности. М., «Инфра-М», 2003.
7. Мазоль С. Экономика малого бизнеса, Минск, 2004.
8. Самуэльсон П. Экономика. М., «Прогресс», 1964. Мазоль С., Экономика малого бизнеса, Минск, 2004.
9. www.for.ge

*Eter Kakulia
Ketino Mdinardze*

SOME ASPECTS OF BUSINESS ENVIRONMENT FORMATION IN GEORGIA (FOR SMALL AND MIDDLE BUSINESS)

Annotation

In the work business environment for small and middle business is considered as a unified system.

On the basis of analysis of the official statistical data the place of small and middle business is evaluated in the economy of Georgia.

ღელა კამლაძე

კორპორაციის ფინანსების რამდენიმე ასპექტის შესახებ მაკრონალდის კომპანიის მარკეტინგის

კომპანიების სამეურნეო საქმიანობის შედეგები დამოკიდებულია როგორც გლობალური, ისე ადგილობრივი ბაზრის ეკონომიკურ პირობებზე. თანამედროვე გლობალური ეკონომიკური გარემო, თავის მხრივ, ხასიათდება სუსტი ეკონომიკებით, მაღალი უმუშევრობის დონით, ინფლაციის წნეხით და არასტაბილური ფინანსური ბაზრებით. მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკები, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების, ჯერ კიდევ ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგანან. ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებულად მწვავედ დგას გრძელვადიანი ფედერალური ფისკალური პოლიტიკის პრობლემა. ევროპისა და აზიის მნიშვნელოვან ბაზრებს ზრდის დაბალი ტემპები აქვთ. გრძელვადიანი ეკონომიკური გარემოს გაურკვეველობას შეუძლია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს 2014 წლისთვის ეკონომიკური აქტივობის ნებისმიერი პოტენციური გაუმჯობესების შესაძლებლობა.

აღნიშნული პირობები აბრკოლებს კორპორაციების ეფექტურობას, უარყოფითად აისახება მათ გაყიდვებზე და ამ კორპორაციების წილზე ბევრ, მათ შორის წამყვან ბაზრებში. კომპანიები აგრეთვე სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან, რაც განპირობებულია მზარდი კონკურენტების ქსელით და მოიცავს ბევრი ბაზრის ისეთ არატრადიციულ მონაწილეს, როგორებიც არიან ჩვეულებრივი საცალო მოვაჭრეები და კაფეები. ამ პრობლემებთან გასამკლავებლად მაკრონალდის ფოკუსირებას ახდენს ღირებულებაზე, ფასებსა და სარეკლამო აქციებზე.

ძალიან მნიშვნელოვანია რამდენად ეფექტურია კორპორაციის მიერ შემუშავებული სტრატეგია და უზრუნველყოფს თუ არა ეს სტრატეგია საბაზრო აქციების მომგებიანობას.

მაკრონალდის კომპანიას გააჩნია და რესტორნების ქსელის მეშვეობით საქმიანობს გლობალური რესტორნების ინდუსტრიაში. ეს რესტორნები, მრავალფეროვანი მენიუებითა და სახვადსახვა ფასებით, ემსახურებიან 100-ზე მეტ ქვეყანას მთელ მსოფლიოში.

ცხრილი 1

მაკრონალდის შერჩევითი ფინანსური მონაცემები (5 წ. წლიური ჯამები)

დოლარები (მლნ) გარდა ერთი აქციის მონაცემებისა	\$	2013	2012	2011	2010	2009
კომპანიის გაყიდვები	\$	18.875	18.603	18.293	16.233	15.459
ფრანჩიზების შემოსავლები	\$	9.231	8.964	8.713	7.842	7.286
სულ შემოსავლები	\$	28.106	27.567	27.006	24.075	22.745
საოპერაციო შემოსავლები	\$	8.764	8.605	8.530	7.473	6.841
წმინდა შემოსავალი	\$	5.586	5.465	5.503	4.946	4.551
ნაღდი ფული ოპერაციებიდან	\$	7.121	6.966	7.150	6.342	5.751
საინვესტიციო აქტივობისთვის გამოყენებული ნაღდი ფული	\$	2.674	3.167	2.571	2.056	1.655
დანახარჯები კაპიტალზე	\$	2.825	3.049	2.730	2.135	1.952
დაფინანსებაზე გამოყენებული ნაღდი ფული	\$	4.043	3.850	4.533	3.729	4.421
სახაზინო აქციების შესყიდვები	\$	1.810	2.605	3.373	2.648	2.854
ჩვეულებრივი აქციებიდან მიღებული დივიდენდები ფულად ფორმაში	\$	3.115	2.897	2.610	2.408	2.735

ტრადიციული ფრანჩიზირების წესის მიხედვით სტრუქტურირებული, ფრანჩიზის მიმღებები უზრუნველყოფენ საწყისი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც საჭიროა თავდაპირველად მოწყობილობების, სარესტორნე ბიზნესის დეკორაციისა და კეთილმოწყობისთვის. ამის შემდეგ მათვე ეკისრებათ დროდადრო რეინვესტიციების განხორციელება. კომპანია ფლობს მიწასა და შენობა-ნაგებობას ან უზრუნველყოფს მათ გრძელვადიანი იჯარით ადებს როგორც უშუალოდ კომპანიის კუთვნილი, ისე ფრანჩაიზის მფლობელი რესტორნების ქსელისათვის. განსაზღვრულ პირობებში კომპანია ახდენს ფრანჩაიზერების ნაცვლად რეინვესტირებასაც. ფრანჩაიზის მფლობელთა რაოდენობის ხვედრითი წილი მთელ კორპორაციაში 70%-ს შეადგენს.

ფრანჩაიზერები მონაწილეობენ კომპანიის შემოსავლებში საიჯარო გადასახადისა და ანარიცხების სახით საწყის შენატანებთან ერთად. ტიპური ფრანჩაიზის ხელშეკრულების ხანგრძლივობა 20 წელს შეადგენს და ფრანჩაიზის პრაქტიკა უკვე საერთაშორისო მასშტაბით შეთანხმებული წესებით იწარმოება. ფრანჩაიზერების 70% ფუნქციონირებს ჩვეულებრივი ფრანშიზის წესებით.

ცხრილი 2

მაკრონალდის ფინანსური პოზიციები წლის ბოლოსთვის (2009-2013)

	\$	2013	2012	2011	2010	2009
--	----	------	------	------	------	------

სულ აქტივები	\$	36.626	35.386	32.990	31.975	30.225
სულ დავალიანება	\$	14.130	13.633	12.500	11.505	10.578
აქციონერთა მთლიანი კაპიტალი	\$	16.010	15.294	14.390	14.634	14.034
აქციები მიმოქცევაში (მლნ)		990	1.003	1.021	1.054	1.077

მაკრონაღდის რესტორნები კონკურენციას უწევენ საერთაშორისო, ნაციონალური, რეგიონული და ლოკალური საკვები პროდუქტებით საცალო მოვაჭრებს. კომპანიის კონკურენტუნარიანობას საფუძვლად უდევს ფასი, კომფორტული სერვისი, მრავალფეროვანი მენიუ და გლობალური რესტორნების უზარმაზარ ინდუსტრიაში პროდუქციის ხარისხი.

კომპანიის კონკურენტუნარიანობის შეფასებისას, Euro monitor International-ის მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები ითვლება გლობალური რესტორნების ინდუსტრიის საბაზრო მონაცემების ძირითად წყაროდ. კომპანიის ძირითადი კონკურენციის სფეროა ეწ. „სწრაფი კვების“ (informal eating out ("IEO") სეგმენტი, რომელიც მოიცავს Euro monitor International-ის მიერ განსაზღვრულ შემდეგი ტიპის რესტორნების კატეგორიებს: სწრაფი კვების დაწესებულებებს, არაფორმალური სრული მომსახურების სასადილო რესტორნებს; ქუჩის დახლებს ან ჯიხურებს; კაფეებს, 100% სახლში მიტანის პროვაიდერებს, ყავის მაღაზიებს, თვითმომსახურებით კაფეტერიებს და წველებისა და კოქტეილის ბარებს. კაფეებთან დაკავშირებული მონაცემებიც ამავე სეგმენტში განიხილება. სეგმენტი გამოირიცხავს იმ დაწესებულებებს, რომლებიც ემსახურებიან ალკოჰოლით და სრული მომსახურების სერვისის მქონე რესტორნებს.

2013 წლის განმავლობაში კომპანიის კორპორაციულ სრუქტურაში არაფერი შეცვლილა. იგივე დარჩა კომპანიის მართვის მეთოდებიც. 2013 წელს კომპანიამ განაგრძო პროცესი, რომელიც დაიწყო 2005 წელს, რაც დაკავშირებული იყო გარკვეული ტიპის ფილიალების რეორგანიზაციასთან გეოგრაფიული სეგმენტის შიგნით კორპორაციის სტრუქტურის განვითარების მიზნით.

კლიენტთა მოლოდინის გამართლება გართულებულია იმ რისკებით, რომელიც ახასიათებს გლობალურ ეკონომიკურ გარემოს. გამომწვევი ეკონომიკური პირობები დიდ გავლენას ახდენს კორპორაციის საწარმოო თუ ფინანსურ ეფექტურობაზე. კერძოდ, ზოგ მთავარ ბაზარზე IEO სეგმენტები შეიძლება დარჩნენ იმავე დონეზე, ვეღარ განვითარდნენ ან განიცადონ უმნიშვნელო ზრდა მომხმარებელთა საყოველთაო სიფრთხილის, ფასების მგრძობიანობის და კონკურენტული აქტივობების გამძაფრების გამო როგორც ტრადიციულ, ისე არატრადიციულ კონკურენტებს შორის. გარდა ამისა, განსაზღვრული ტიპის მენიუებმა, ფასებმა და სარეკლამო გადაწყვეტილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს სასურველ დონეზე დაბალი შედეგები და შემდგომშიც ნეგატიურად იმოქმედონ გაყიდვების მოცულობაზე, სტუმრების რაოდენობასა და ბაზარზე ხვედრითი წილის სიდიდეზე.

კორპორაციის ეფექტურობის განსაზღვრა დამოკიდებულია ისეთ გრძელვადიან, საშუალო, წლიურ, მყარ სავალუტო ფინანსურ მაჩვენებლებზე, როგორებიცაა: სისტემის მასშტაბური გაყიდვების ზრდა 3%-დან 5%-მდე; საოპერაციო შემოსავლის ზრდა 6%-დან 7%-მდე;

2013 წელს კორპორაციის მასშტაბური გაყიდვების ზრდამ შეადგინა 1% (3% მუდმივ ვალუტაში), საოპერაციო შემოსავლის ზრდა იყო 2% (3% მუდმივ ვალუტაში). საოპერაციო შემოსავლების ზრდა და უკუგება დაეცა გრძელვადიანი ფინანსური სამიზნეების ქვემოთ. მკვეთრად გამოხატულ ფრანჩაიზის მქონე ბიზნესმოდელში მზარდი შეფარდებითი გაყიდვები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საოპერაციო შემოსავლისა და უკუგების ზრდის განხილვისას.

2013 წელს შეფარდებითი გაყიდვები გაიზარდა 0.2%-ით. ამ გარემოებამ განაგრძო გავლენის მოხდენა ეფექტურობის მაჩვენებელზე. გარდა ამისა, მაკრონაღდის მომხმარებელზე გათვლილი ინიციატივები ვერ განაპირობებენ შედარებითი გაყიდვების მაჩვენებლის ან სტუმარი კლიენტების იმ ზომით ზრდას, რაც აუცილებელია გლობალური ეკონომიკის წინაშე არსებული წინააღმდეგობების გადასაღებად.

2013 წელს მაკრონაღდსმა შეინარჩუნა წლიური საოპერაციო მარჟა 31,2%-ის ოდენობით, რადგან კომპანიამ შეძლო, გაეზარდა თავისი შემოსავლები 2%-ით და ემართა თავისი დანხარჯები.

კორპორაცია ტრადიციულად ერთგულია ფინანსური დისციპლინის და ინარჩუნებს ძლიერ ფინანსურ ბაზას შემოსავლები ნაღდი ფულით ოპერაციებიდან, რომელიც მომდინარეობს ძლიერი ფრანჩაიზული ბიზნესმოდელიდან რენტისა და ანარიცხების სახით, უზრუნველყოფენ სტაბილური შემოსავლების ნაკადს და შედარებით ნაკლებ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ფრანჩაიზული ბიზნესმოდელი ნაკლებად კაპიტალტევადია, ვიდრე კომპანიის მფლობელობის მოდელი.

2013 წელს საოპერაციო შემოსავლებმა ნაღდი ფულის სახით შეადგინა \$7,1 მილიარდი. მნიშვნელოვანმა ნაღდი ფულის ნაკადებმა, ძლიერმა საკრედიტო რეიტინგმა და უწყვეტმა საკრედიტო ხაზებმა უზრუნველყვეს კომპანიის მოქნილობა კაპიტალური ხარჯების დაფინანსებისას, და აქციონერთათვის თავის დროზე თანხების გაცემა. კაპიტალური ხარჯების დაახლოებით \$2.8 მილიარდი ინვესტირდა ბიზნესში. ნახევარზე მეტი დაიხარჯა ახალი რესტორნების გასახსნელად და დარჩენილის რეინვესტირება მოხდა არსებულ რესტორნებში. მთელი სისტემის მასშტაბით სულ 1438 რესტორანი გაიხსნა და 1500-ზე მეტი არსებული გადააკეთდა.

სულ ოპერაციებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა \$7,1 მილიარდი და 2013 წელს კაპიტალურ დანახარჯებს გადააჭარბა \$4,3 მილიარდით, მაშინ, როდესაც 2012 წელს მთლიანად ამოღებულმა ნაღდმა ფულმა ოპერაციებიდან შეადგინა \$7.9 მილიარდი, რამაც 2012 წლის კაპიტალურ დანახარჯებს გადააჭარბა 3.9 მილიარდი დოლარით. 2013 წელს ოპერაციებიდან მიღებული ნაღდი შემოსავალი გაიზარდა \$155 მილიონით, ანუ 2%-ით 2012 წელთან შედარებით. 2012 წელს ოპერაციებიდან მიღებული ნაღდი ფულის სიდიდე

შემცირებული იყო \$184 მილიონით, ანუ 3%-ით 2011 წელთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ მაშინაც ჰქონდა ადგილი საოპერაციო შედეგების ზრდას, შემცირება გამოიწვია საშემოსავლო გადასახადის ზრდამ და ვალუტის კურსის ცვლილებების უარყოფითმა გავლენამ საწარმოო საქმიანობის შედეგებზე.

ამრიგად, განვიხილეთ თანამედროვე, გლობალური მასშტაბის კორპორაციისათვის დამახასიათებელი ფინანსური და საწარმოო საქმიანობის ზოგიერთი მომენტი, რისი ცოდნაც, ჩვენი აზრით, აუცილებელია ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების გზების ძიების დროს.

Lela Kamladze

SOME ASPECTS OF THE FINANCES OF THE COMPANY ON THE EXAMPLE OF MCDONALD'S CORPORATION **Annotation**

Results of operations are substantially affected by economic conditions, both globally and in local markets, and conditions can also vary substantially by market. The current global environment has been characterized by persistently weak economies, high unemployment rates, inflationary pressures and volatility in financial markets. Many major economies, both advanced and developing, are still facing ongoing economic issues. In the U.S., these include concerns about the long-term direction of federal fiscal policies. In many European markets, consumer and business confidence and spending remain muted. Important markets in Asia have also been experiencing slower growth rates. Uncertainty about the long-term environment could derail any potential improvements in economic activity for 2014.

The Company franchises and operates McDonald's restaurants in the global restaurant industry. These restaurants serve a broad menu (see Products) at various price points in more than 100 countries around the world.

In 2013, system wide sales growth was 1% (3% in constant currencies), operating income growth was 2% (3% in constant currencies), one-year ROIC was 11.4% and three-year ROIC was 20.2% (see reconciliation on page 23). Operating income growth and returns fell below long-term financial targets, reflecting the impact of soft comparable sales performance. In heavily franchised business model, growing comparable sales is important to increase operating income and returns.

ქეთევან კიწმარიშვილი

პროფესიული თვითგამორკვევა

პროფესიული თვითგამორკვევის პროცესი მოიცავს ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივ პერიოდს – დაწყებული ბავშვობის ასაკში გამოვლენილი პროფესიული ინტერესებითა და მიდრეკილებებით, დასრულებული სიმწიფის წლებში საბოლოო დამკვიდრებით პროფესიული საქმიანობის არჩეულ სფეროში. მთელი ამ პერიოდის მანძილზე ხდება პიროვნების როგორც პროფესიული და სოციალური, ასევე, ცხოვრებისეული თვითგამორკვევა. “თვითგამორკვევის” ცნებაში, რომელმაც ფართო განვითარება მიიღო სოციოლოგიურ ლიტერატურაში, საზგასმულია პიროვნების განვითარების პრობლემის გაგების ის მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ პროფესიული და ცხოვრებისეული გზის დამოუკიდებლად არჩევასთან. ამაზე ამახვილებს ყურადღებას მ.ტ. ტიტმა, რომელიც ცნებებიდან – “მომზადება”, “აღზრდა”, ცნებებზე – “ჩართვა”, “თვითგამორკვევა” – გადასვლაში ხელაღს მნიშვნელოვან წინსვლას მკვლევარების ორიენტაციაში, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ თვით სუბიექტის (პიროვნების) აქტივობის ანალიზზე და არა მისი, როგორც სოციალური ზემოქმედების პასიურ ობიექტზე. მართლაც, პიროვნებაზე ზემოქმედებას ახდენს ისეთი ფართო სპექტრის განსხვავებული მოვლენები, რომ მხოლოდ ყველა ამ გავლენის შესწავლის და გააზრების პირობებშია შესაძლებელი პიროვნების მოთხოვნების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული და ცხოვრებისეული გზის არჩევა.

თვითგამორკვევა აქცენტს აკეთებს პიროვნების თვითდეტერმინაციაზე, რომელშიც მთავარი პოზიცია უკავია მომავალი მიზნების, გეგმების და ორიენტაციის დეტერმინაციას. პრობლემის ასეთი დაყენების დროს ცხოვრებისეული პერსპექტივის კვლევა წარმოადგენს ძირითად მიმართულებას პროფესიული თვითგამორკვევის პრობლემების შესწავლის საქმეში.

პროფესიული თვითგამორკვევის სუბიექტის ხასიათს (მთლიანობაში, ჯამური ხასიათი) განსაზღვრავს არა მხოლოდ თვით ადამიანი, არამედ მის მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ არჩევანზე გავლენას ახდენენ ასევე მშობლები, თანატოლები, პედაგოგები, სხვადასხვა სპეციალისტები და ა.შ. და მაშინ ისმის კითხვა: როგორია ადამიანის ცხოვრებისეულ არჩევანში თვით მისი მონაწილეობის ხარისხი?

სუბიექტის თვითგამორკვევის რთული, მრავალდონიანი ორგანიზაცია განისაზღვრება იმით, რომ ჩვეულებრივ, არჩევა გაწერილია დროში (იგი ჯერ კიდევ საჭიროებს “მომწიფებას”). გარდა ამისა, არსებობს ფაქტორების გარკვეული და მუდმივად ცვლადი იერარქია, რომლებიც განსაზღვრავენ გადაწყვეტილების მიღებას.

თვითგამორკვევის სუბიექტის წინააღმდეგობრივი ხასიათი განისაზღვრება იმით, რომ თვით “არჩევა” – ესაა რაღაცა სხვაზე, თანაბარმნიშვნელოვან ალტერნატივაზე უარის თქმა. გამოდის, რომ ამ ალტერნატივებს შორის ყოველთვის არსებობს განსაზღვრული (უპირველეს ყოვლისა, ადამიანის შინაგანი, შემეცნების და დამოუკიდებლობის დონეზე) წინააღმდეგობები, რომლებიც უნდა გადაჭრას სუბიექტმა.

პროფესიული თვითგამორკვევის სხვადასხვა ეტაპებზე მყოფი ახალგაზრდობის ცხოვრებისეული პერსპექტივის კვლევა აჩვენებს, რომ “ცხოვრებისეული პერსპექტივის” შინაარსში კონცენტრირებულია იმ სოციალური გარემოს ფასეულობები და ნორმები, რომელშიც ხდება პიროვნების ფორმირება. პროფესიული თვითგამორკვევის ყოველ ეტაპს შეესაბამება განსაზღვრული სოციალური სიტუაცია, თავისი გარემო და ატმოსფერო. პიროვნების პროფესიული ჩამოყალიბების პროცესში გამოყოფენ ოთხ მთავარ სტადიას: პროფესიული განზრახვების ფორმირებას; პროფესიულ სწავლებას; პროფესიულ ადაპტირებას და პიროვნების ნაწილობრივ ან სრულ რეალიზაციას პროფესიულ საქმიანობაში (შრომაში). ამ გრძელვადიანი პროცესის მთავარი მომენტი

პროფესიის არჩევა, რომელიც ერთმანეთისგან გამოყოფს პროფესიული თვითრეალიზაციის შეუზღუდავ, მაგრამ აბსტრაქტული შესაძლებლობების პერიოდს და რეალურ პერიოდს, როცა შეზღუდულია პროფესიული საქმიანობის პერსპექტივები. სწორედ ამ აზრით, შეიძლება “თვითგარმოკვევა”, იმავდროულად, ჩავთვალოთ “თვითშეზღუდავ”.

ცნება – “თვითგამორკვევა” – ნიშნავს ადამიანის დამოუკიდებლობას, ამიტომ აზრი აქვს გავარკვიოთ, როგორია ამ დამოუკიდებლობის ბუნება, პიროვნების (რომელიც ამ პროცესში მონაწილეობს) შინაგანი აქტივობის ბუნება. აქტივობის განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია გაგება იმისა, თუ როგორ თანაფარდობაშია იგი ცნებებთან “მოტივი”, “ნებისყოფა”, “მოქმედება”. ფსიქოლოგიაში დაგროვილია აქტივობის თეორიული და პრაქტიკული შესწავლის მდიდარი გამოცდილება, რაც შეიძლება გახდეს პიროვნების შინაგანი აქტივობის პრობლემის თანამედროვე ჭრილში განხილვის საფუძველი და რაც საშუალებას მოგცემს უკეთესად გავერკვეოთ პროფესიული თვითგამორკვევის აქტივიზაციის პრობლემაში.

როდესაც იხილავს ცნებების – “აქტივობა” და “მოტივი” თანაფარდობას, კ.ა. ბულხანოვა-სლავსკაია – აღნიშნავს: “პიროვნების შინაგანი მახასიათებლების არსენალიდან, აქტივობის ზრდის საკითხში მთავარ როლს ასრულებს მისი მოტივები... აქტივობა, რომელიც მოიცავს პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთმოქმედების მთელ სფეროს (საზოგადოებასთან, საკუთარ თავთან), წარმოადგენს მოტივების ერთობლიობას... აქტივობაში ყოველთვისაა წარმოდგენილი მოტივების იერარქია, მათი “პირველრიგითობა...” ან. ლეონტიევი აკავშირებს აქტივობას მიზანმიმართულ ქცევასთან და აღნიშნავს, რომ იგი გაცნობიერებული ხდება “მოტივის მიზანზე გადაწყვეის” დროს.”

მოტივაციის პროცესებში ნებისყოფის განსაკუთრებული როლის განხილვის დროს ს.დ. რუბინშტეინი წერდა: “სინამდვილეში, ყოველი ჰეშმარიტად ნებისყოფიანი მოქმედება წარმოადგენს არჩევით აქტს, რომელიც შეიცავს შეგნებულ არჩევანს და გადაწყვეტილებას”, ასევე, იგი მიუთითებდა, რომ მარტივი აქტის დროს ნებისყოფა თითქმის უშუალოდ გადადის მოქმედებაში, ხოლო რთულის დროს – მიმდინარეობს მიზნის დასახვა, მოტივების ბრძოლა, მათი არჩევა, შესრულება და რეალიზაცია.

კითხვაზე, რა თანაფარდობაა აქტივობასა და საქმიანობას შორის, კ.ა. ბულხანოვა-სლავსკაია წერს: “... აქტივობა – ესაა საქმიანობაზე მოთხოვნილება”.

პროფესიის არჩევის სიტუაციის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ თავისთავად, “არჩევა” – ესაა გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება ადამიანის მხოლოდ უახლოეს პერსპექტივას. იგი შეიძლება განხორციელდეს იყოს მიღებული გადაწყვეტილების ცალკეული შედეგების როგორც გათვალისწინებით, ისე გათვალისწინების გარეშე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პროფესიის არჩევა, როგორც საკმაოდ კონკრეტული ცხოვრებისეული გეგმა, არ იქნება გასაშუალოებული ცალკეულ ცხოვრებისეულ მიზნებთან. შესაბამისად, როგორც კი ეს გეგმა რეალიზდება, კვლავ წარმოიქმნება ცხოვრებისეული გაურკვეველობა, რომელშიც მოხვედრილი ახალგაზრდა ვაჟი ან გოგონა, აირჩევს რა ამა თუ იმ პროფესიას, მოხვდება იმ ადამიანის მდგომარეობაში, რომელიც ფლობს საკმაოდ რთულ და ღირებულ “ინსტრუმენტს”, მაგრამ წარმოდგენა არა აქვს რისთვისაა იგი საჭირო და როგორ მოახერხოს მისი საშუალებით ცხოვრებაში წარმატების მიღწევა.

ამრიგად, აუცილებელია, რომ პროფესიის არჩევისას ახალგაზრდა ადამიანი ითვალისწინებდეს არა მარტო უახლოეს პერსპექტივას, არამედ აუცილებლად უთანხმებდეს მას ცალკეულ ცხოვრებისეულ მიზნებს, რომლებიც შეიძლება რეალიზებული ყოფილიყო პროფესიული საქმიანობის არჩეულ სფეროში შრომის შედეგად. ამასთან დაკავშირებით, მომავალში ჩვენ ყურადღების აქცენტირებას მოვახდენთ ცხოვრებისეული პერსპექტივის უახლოესი და შორეული პრობლემების შეთანხმებაზე, სოციალური ცხოველმოქმედების სხვადასხვა სფეროებში პროფესიულ გეგმებსა და ცხოვრებისეულ მიზნებსზე.

Ketevan Kitsmarishvili

PROFESSIONAL SELF-DETERMINATION Annotation

Process of professional self-determination is a long-term period of life – started from the professional interests and inclination revealed in childhood, ending by final establishment in the chosen sphere of professional activity in full age. During this whole period a person has as professional as social and life self-determination. In notion of “self-determination” which has had wide development in sociological literature is underlined that important moment of understanding of a person’s development problem which is connected to his/her independent choice of professional and life way.

ნინო ლაზიაშვილი

კორპორაციული მართვის მნიშვნელობა, თავისებურებები და ბაზა საქართველოში

კორპორაციული მართვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები. კორპორაციული მართვის თაობაზე მრავალი მნიშვნელოვანი აქტიდან აუცილებელია ორის გამოყოფა და მათზე შეჩერება. ერთია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კორპორაციული მართვის პრინციპები, ხოლო მეორე – ევროპის კავშირში საკორპორაციო სამართლის მოდერნიზაციისა და კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მოქმედებათა გეგმა¹⁰¹

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ, რომელიც აერთიანებს 30 სახელმწიფოს, კორპორაციული მართვის პრინციპები შეიმუშავა 1999 წელს. ამ პრინციპებმა ფართო გავრცელება პოვა

¹⁰¹ ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., სამართალი, 2006, გვ. 13.

როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების წევრ ქვეყანებში, ისე სხვა ქვეყნებში. ეს ისეთი დოკუმენტია, რომელსაც სახელმძღვანელოდ იყენებენ მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, აგრეთვე კერძო ინვესტორები და მეწარმეები¹⁰²

აღნიშნული პრინციპების მნიშვნელოვან აღიარებად განიხილება ფინანსური სტაბილურობის ფორუმის მიერ მისი მიხედვით 12 სტანდარტიდან ერთ-ერთ იმ უმნიშვნელოვანეს სტანდარტად, რომელიც ხელს შეუწყობს ფინანსური სისტემის სტაბილურობას.

1999 წელს მიღებული კორპორაციული მართვის პრინციპების შესაბამისად მრავალ ქვეყანაში შემუშავდა კორპორაციული მართვის სტანდარტები და პირობები.

პრინციპები განამტკიცებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში კორპორაციული მართვის საუკეთესო წესების განვითარების საერთო სიფუძველეს. იგი აუცილებელი წინაპირობაა ქვეყანაში საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად იმ ქვეყნებში სადაც არ ხორციელდება ამ პრინციპების დაცვა, უცხოური ინვესტიციები არ მიედინება. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპები არ წარმოადგენდა წევრ-სახელმწიფოებისათვის სავალდებულო დოკუმენტს, ამ ქვეყანებში იგი მაინც გავრცელდა. ამ ქვეყნების მთავრობები მიხვდნენ, რომ შემოთავაზებული სტანდარტების გარეშე ქვეყანაში არ შეიქმნება კონკურენტუნარიანი სამართლებრივი ჩარჩო-პირობები, ამის გარეშე კი არ მოხდება კორპორაციული მართვის გაუმჯობესება საფინანსო თუ არასაფინანსო ორგანიზაციებში და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც ფართომასშტაბიანი ინვესტიციური პროექტების განხორციელება.

კორპორაციული მართვის პრინციპებით ვიგუბთ, რომ არ არსებობს კორპორაციული მართვის უნივერსალური მოდელი (თვით ამერიკული მოდელი, რომელიც მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება, ვერ გადაურჩა ფინანსურ სკანდალებს, ბალანსების გაყალბებასა და მასობრივ გაკოტრებებს. მაგალითად, კომპანია „ენრონის“ აქციების კურსის ვარდნის შედეგად მისმა აქციონერებმა დაკარგეს დაახლოებით 60 მილიარდი დოლარი¹⁰³). ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ არსებობს კორპორაციული მართვის ისეთი საერთო ელემენტები – ეფექტური და გამჭვირვალე ბაზრის უზრუნველყოფა, აქციონერების უფლებების დაცვა, ღიაობა და გამჭვირვალობა და ა. შ. – რომელთაც მართვის ყველა განვითარებული სისტემა ეყრდნობა.

ამ ვითარებიდან გამომდინარე, აღნიშნული პრინციპები კორპორაციულ მართვასთან მიმართებაში უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. მასში შემოთავაზებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს და თავისებურებას წარმოადგენს „ხედმატი საკანონმდებლო რეგულირების თავიდან აცილება და სარეკომენდაციო ხასიათის კოდექსებისა და სტანდარტების მნიშვნელობის გაზრდა, რომელთაც თვით ბაზრის მონაწილეები იცავენ“¹⁰⁴

კორპორაციულ მართვასთან მიმართებაში მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტია **ევროპის კავშირის მოქმედებათა გეგმა**. ეს გეგმა ითვლება უკანასკნელი წლების მანძილზე ევროპის საკორპორაციო სამართალში მიღებულ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტად¹⁰⁵ იგი მიღებულ იქნა 2003 წლის 21 მაისს ევროპის თანამეგობრობის კომისიის მიერ სახელწოდებით „ევროპის კავშირში საკორპორაციო სამართლის მოდერნიზაციისა და კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მოქმედებათა გეგმა“. 2004 წლის 21 აპრილს ევროპის პარლამენტმა მოიწონა ეს გეგმა და მხარი დაუჭირა მის დანერგვას.

ამ გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კორპორაციულ მართვას. ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევა გამოიწვია თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებამ, რის გამოც კომპანიებს მეტად მკაცრი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში უწევთ მუშაობა. ასეა ევროპაშიც. ევროპაში კონკურენციის პირობებს ევროკავშირი განსაზღვრავს. ამ მიზნით მას მრავალრიცხოვანი დოკუმენტები აქვს შექმნილი. კომპანიებს, ცხადია, ევალებათ იმ პირობებითა და თამაშის წესებით მოქმედება, რომლებიც ამ დოკუმენტებშია ჩადებული.

ზემოაღნიშნულ მოქმედებათა გეგმის მიხედვით, კორპორაციული მართვის საუკეთესო წესები ეკონომიკის გაუმჯობესება-განვითარების პირობას წარმოადგენს, ხოლო კორპორაციული მართვის დინამიური და მოქნილი ჩარჩო-პირობები – თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობას.

ევროპის თანამეგობრობათა კომისიის მიერ შემუშავებულ მოქმედებათა გეგმით კორპორაციული მართვის სფეროში შემოთავაზებული რეკომენდაციები ოთხ ჯგუფად იყოფა¹⁰⁶

1. კორპორაციული მართვის გახსნილობის გაუმჯობესება;
2. აქციონერთა უფლებების გაძლიერება;
3. მმართველი ორგანოების მოდერნიზაცია;
4. ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების ძალისხმევითა კოორდინაცია კორპორაციული მართვის გასაუმჯობესებლად.

კორპორაციული მართვის თავისებურებები და ბაზა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ განვლილი წლების მანძილზე საქართველოში მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა და კანონმა „მეწარმეთა შესახებ“ სრულყოფის მიმართულებით რამდენჯერმე განიცადა ცვლილება, ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ ბევრი რამ სჭირდება თანამედროვე კორპორაციული მართვის სისტემის დასაწესებად. საქართველოს ეკონომიკური წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად ის სახელდება, რომ ქვეყანას არა აქვს კორპორაციული მართვის კარგი სისტემა. კორპორაციის დირექტორები და მენეჯერები არ თვლიან საკუთარ თავს აქციონერების წარმომადგენლებად, მათ წინაშე ანგარიშვალდებულად და ხშირად პირად გამორჩენას იღებენ აქციონერების ან კომპანიის ხარჯზე¹⁰⁷

¹⁰² OECD Principles of Corporate Governance, OECD, 2004, Foreword by Donald J. Johnston. p. 3.

¹⁰³ Los Angeles Times, 14.06.2002.

¹⁰⁴ Annotations to the OECD Principles of Corporate Governance. OECD, 2004, p. 30.

¹⁰⁵ Hopt Klays J., Europaisches Gesellschaftsrecht und deutsche Unternehmensverfassung – Aktionsplan und Interdependenzen. ZIP, 11. 2005.

¹⁰⁶ Modernising Company Law and Enhancing Corporate Governance in the European Union A plan to Move Forward. Brussels, 25.5.2003 (Com(2003)), 284, final, p. 12-17.

¹⁰⁷ Corporate Governance in Eurasia: A comparative Overview. OECD. 2004, p. 17.

2008 წელს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) ჩაატარა საქართველოში კორპორაციული მართვის კვლევა. გამოკვლეულ იქნა 150 კომპანია და აღმოჩნდა, რომ „ქართული კომპანიების კორპორაციულ მართვაში სასურველი ცვლილებები განხორციელდა ბოლო 4 წლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კორპორაციული მართვის შესახებ ცოდნა და ერთგულება“¹⁰⁸ კვლევამ ასევე გამოავლინა პროგრესი კორპორაციული მართვის ძირითად კომპონენტებში, როგორცაა სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი, აქციონერთა უფლებები, ფინანსური ანგარიშგება და ინფორმაციის გამჟღავნება. ამის მიუხედავად, ქართულმა კომპანიებმა უნდა გააგრძელონ მუშაობა ამ მიმართულებით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მისაღწევად.

და მაინც როგორია დღეს კორპორაციული მართვის ბაზა საქართველოში?

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ განხორციელებული პროექტებით¹⁰⁹ საქართველოს კორპორაციული სექტორის ზოგადი მახასიათებლები ასეთია:

1. **კონცენტრირებული მფლობელობა.** 1990-იანი წლების დასაწყისში გვხვდებოდა შედარებით დისპერსიული მფლობელობის სტრუქტურა. მეორე მხრივ, კომპანიების უმრავლესობაში აქციების გადაცემა მეორად ბაზარზე განაპირობებდა მფლობელობის კონცენტრირებას აქციონერთა მცირე ჯგუფის – ძირითადად სახელმწიფო კომპანიების ყოფილი დირექტორების ხელში. ბევრ ქართულ კომპანიას ამჟამადაც აკონტროლებს აქციონერთა მცირე ჯგუფი. ასეთი კონცენტრირებული მფლობელობის სტრუქტურა ხშირად არღვევს მცირე აქციონერთა უფლებებს. ინსაიდერთა დომინირებამ და გარე აქციონერების დაცვის სუსტმა მექანიზმებმა მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ საქართველოში ვერ განვითარდა კაპიტალის ბაზარი. ეს ბაზარი შედგება მხოლოდ საქართველოს საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანიებისაგან, თუმცა შეიძლება აღინიშნოს ეპიზოდური, პირველადი საჯარო შეთავაზება უცხოურ ბაზრებზე და ამგვარად, უფრო მეტად, დისპერსიული მფლობელობისკენ მიმავალი ახალი ტენდენცია.

2. **მფლობელობა და კონტროლის გაყოფა.** მაკონტროლებელი აქციონერების უმრავლესობა ისე მოქმედებს, როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო. იმ კომპანიებსაც კი, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფენ მფლობელობას და კონტროლს, ხშირად ეს მხოლოდ ქაღალდზე გადააქვთ. ასეთ კომპანიებს, როგორც წესი, ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის სუსტი სტრუქტურები (მაკონტროლებელი აქციონერების უმრავლესობა დირექტორის და მენეჯერის როლში ზედამხედველობას უწევს საკუთარ თავს), დაკავშირებული მხარის გარიგებები და ინფორმაციის გამჟღავნების სუსტი მექანიზმები (ინსაიდერებს აქვთ წვდომა ყველა ინფორმაციასთან და არ არიან მოტივირებული, ეს ინფორმაცია გარეშე პირებს გაუმჟღავნონ) აქვთ.

3. **მოუქნელი პოლიტიკური სტრუქტურები.** ძირითადი ბიზნესჯგუფები, პოლიტიკური კომპანიების სახით, აკონტროლებენ კომპანიებს დარგების უმრავლესობაში. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური სტრუქტურები შეიძლება ემსახურებოდნენ სამართლებრივ მიზნებს, კომპლექსურ ბიზნესსტრუქტურებს, აქციების ჯვარედინ მფლობელობას, პირამიდის სტრუქტურებს და სხვა მექანიზმებს, ისინი მფლობელობის ბუნდოვან სისტემას ქმნიან, რის გამოც კომპანია რთულად გასაგები ხდება აქციონერებისა და ინვესტორებისათვის. ასეთი სტრუქტურები ხშირად გამოიყენება ცალკეული აქციონერების უფლებების ჩამორთმევისა და დარღვევის მიზნით. არასათანადოდ კონსოლიდირებული ბუღალტრული აღრიცხვა ან მისი არარსებობა კორპორაციული მართვის კიდევ ერთი საკითხია, რომელიც გადაწყვეტას საჭიროებს.

4. **გამოუცდელი და არაადეკვატური კორპორაციული ორგანოები.** საქართველოს 1994 წლის კანონმდებლობით კორპორაციებს მკაცრად ევალებოდათ სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი საბჭოს არსებობა. 2008 წელს კანონში „მეწარმეთა შესახებ“ სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა სავალდებულო გახდა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში: თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არის ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, ან სააქციო საზოგადოება საქართველოს ეროვნულ ბანკის მიერ არის დაცემული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს, სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არანაკლებ 3 და არაუმეტეს 21 წევრისაგან. ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არ არის სავალდებულო“¹¹⁰

ასე რომ, ყველა სხვა შემთხვევაში, კომპანიამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს შექმნას თუ არა სამეთვალყურეო საბჭო. გარდა ამისა, თუ კომპანიის წესდება ამის საშუალებას იძლევა, დირექტორები შეიძლება იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც. კანონში „მეწარმეთა შესახებ“ (მუხლი 55, პუნქტი 2) პირდაპირ ვკითხულობთ: „სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (წევრები) იყოს ამ სააქციო საზოგადოების დირექტორი (დირექტორები)“.

აღსანიშნავია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მოეთხოვებათ გამოცდილება და საქმის ცოდნა (ხელმძღვანელობა, კონტროლი). ასეთი კადრი საქართველოს კომპანიებს ნაკლებად ჰყავთ. ხშირად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა თავისი ფუნქციებიც კი არ იციან. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს კორპორაციებს იშვიათად აქვთ სიცოცხლისუნარიანი და დამოუკიდებელი კორპორაციული ორგანოები.

5. **სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზა.** საქართველოს კორპორაციული მართვის სამართლებრივი ბაზა ჩამოყალიბების სტადიაშია. მართალია არსებობს მთელი რიგი ნორმატიული დოკუმენტები – კანონი „მეწარმეთა შესახებ“, კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომლებსაც იცავენ და ასრულებენ საქართველოს კორპორაციები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

¹⁰⁸ კორპორაციული მართვის კვლევა საქართველოს კომპანიებში, IFC, 2008, გვ. 8.

¹⁰⁹ კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია - IFC, საქართველო, სექტემბერი, 2010, გვ. 25.

¹¹⁰ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 55, პუნქტი 1.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს კანონები და კანონქვემდებარე აქტები საბოლოოდ სრულყოფილი არ არის და, მეორე, რომ საქართველოს ბანკების ასოციაციის მიერ შეიქმნა „კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის“,¹¹¹ რომელიც კომპანიებისთვისაც გამოსადეგია და სასურველია თუ ქართული კომპანიები მასში მოცემულ რეკომენდაციებს პრაქტიკულად გამოიყენებენ.

საქართველოს კომპანიების კორპორაციულ მართვაში არის მთელი რიგი დარღვევები და სადავო საკითხები. მაგალითად:

1. საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“, „სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შესაძლებელია იღებდნენ ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოსთვის. ასეთი ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს აქციონერთა საერთო კრება (მუხლი 54, პუნქტი 6⁹). საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) გამოკვლევებით დადგინდა, რომ საქართველოს კორპორაციათა 50%-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იღებენ ყოველთვის ფიქსირებულ ანაზღაურებას, 34%-ში კი იგი საერთოდ არ ხდება¹¹² არ არის გამოკვლეული რამდენია ეს ანაზღაურება და რასთან იყო დაკავშირებული. უფრო სარწმუნოა, რომ იგი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ინტერესების დასაკმაყოფილებლად იქნებოდა გადაწყვეტილი.

2. აღმასრულებელ პირთა (დირექტორები) ანაზღაურება მათ საქმიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული (კერძოდ გამოცდილება, კვალიფიკაცია, საქმიანი თვისებები). აგრეთვე, იგი უნდა უკავშირდებოდეს კომპანიის მუშაობის მანევრებებს. ასეთ დროს, საქართველოში კომპანიების 88%-ში დირექტორების ანაზღაურება ფიქსირებულია, 12,7%-ში დამოკიდებულია მუშაობის ხარისხზე, 8%-ში დამოკიდებულია კომპანიის მოგებაზე¹¹³

3. როგორც წესი, დივიდენდების გადახდის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს აქციონერთა კრებამ სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე. IFC-ის გამოკვლევით დადგინდა, რომ გადაწყვეტილება კანონით დადგენილი ფორმით მიიღო კომპანიათა 40,7%-მა, 53,3%-ში გადაწყვეტილება მიიღო სამეთვალყურეო საბჭომ, ხოლო 8%-ში – აღმასრულებელმა საბჭომ.

Nino Lazviashvili

IMPORTANCE, PECULIARITIES AND BASE OF CORPORATE MANAGEMENT IN GEORGIA **Annotation**

Important legal and economic reforms have been implemented in Georgia and Law „On Entrepreneurs” has changed several times in order to be perfected. Our country still needs a great deal to introduce modern systems of corporate management. One of the reasons of the lack of success in Georgian economy is that the country does not have a good system of corporate management. Directors and managers of corporations do not consider themselves as representatives of shareholders and often make benefit at the expenses of shareholders or a company.

In 2008 International Financial Corporation (IFC) carried out the study of corporate management in Georgia. 150 companies were studied and it was found out that “Desirable changes in corporate management in Georgian companies have been carried out for the last 4 years, the knowledge on corporate management and trust has been significantly improved.” The study has revealed the progress in main component of corporate management such as Supervisory Board and Directorate, shareholders’ rights, financial reporting and revealing information. Despite this fact Georgian companies shall carry on working in this direction in order to achieve the best international practice.

ზურაბ ლიპარტი

კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული ასპექტები

ქვეყანაში სტრატეგიული განვითარების მართვის სრულყოფა თანამედროვე ეტაპზე სირთულეებთანაა დაკავშირებული, რადგან, კორპორაციის სტრატეგიული მართვის თეორიასა და პრაქტიკაში არ არის გამოკვეთილი ერთიანი და საყოველთაოდ აღიარებული, მეცნიერულად დასაბუთებული სპეციალური პრინციპები ბიზნესსაქმიანობის კონკრეტული სახეების მიხედვით. ბუნებრივია, კორპორაციის წარმატებული სტრატეგიული მართვის განხორციელება შესაძლებელი იქნება, თუ დასაბუთებული სტრატეგიული არჩევანით სწორად განისაზღვრება განვითარების ოპტიმალური ფინანსური სტრატეგია, შემუშავდება გარკვეული ალბათობითა და სიზუსტით გაანგარიშებული, პროგნოზული პარამეტრების მეშვეობით არგუმენტირებული სტრატეგიული ბიზნესგეგმა (პროექტი), განხორციელდება ორგანიზაციის სტრუქტურული სრულყოფა და მენეჯერის ფუნქციის სისტემური მონიტორინგით უზრუნველყოფა.

კორპორაციის განვითარების ფინანსური სტრატეგიების შემუშავებისას გასათვალისწინებელია გლობალურ ბაზარზე კონკურენციული ბრძოლისა და ელექტრონული ბიზნესის განვითარების ანალიზი. სტრატეგიული ძალისხმევა ორიენტირებული უნდა იყოს დარგის (კომპანიის) ფუნქციურ და ოპერაციულ დონეებზე ეფექტიანი სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტაზე, როგორცაა: ახლად ფორმირებადი დარგები; მოქმედი ცვალებადი ბაზარი; მომწიფებულ დარგში ზრდის დაბალი ტემპები; დარგი, რომელიც იმყოფება უძრაობის ან ვარდნის ეტაპზე; მტკიცედ სეგმენტირებული დარგი; კომპანიის სწრაფი ზრდის პირობები; დარგის კომპანიადიდერებისათვის; ლიდერის მიმდევარი კომპანიებისათვის; სუსტი კონკურენციული პოზიციების ან კრიზისში მყოფი კომპანიებისათვის და სხვ.

ფინანსური სტრატეგიის შემუშავება დიდ როლს ასრულებს კორპორაციის ეფექტიანად განვითარების უზრუნველყოფაში, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

¹¹¹ კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის, საქართველოს ბანკების ასოციაცია, სექტემბერი, 2009.

¹¹² კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია - IFC, საქართველო, სექტემბერი, 2010, გვ. 89.

¹¹³ იქვე, გვ. 102.

1. შემუშავებული ფინანსური სტრატეგია უზრუნველყოფს კორპორაციის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი საერთო და ფინანსური მიზნების რეალიზაციის მექანიზმს მთლიანად და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მიხედვით.

2. ის შესაძლებელს ხდის, რეალურად შეფასდეს კორპორაციის ფინანსური შესაძლებლობები, უზრუნველყოფს მისი შიდა ფინანსური პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას და ფინანსური რესურსებით აქტიური მანევრირების შესაძლებლობას.

3. ის შესაძლებელს ხდის, სწრაფად იქნეს რეალიზებული ახალი პერსპექტიული ინვესტიციური შესაძლებლობები, რომლებიც აღმოცენდება გარემოს ფაქტორების დინამიკური ცვლილებების პროცესში.

4. ფინანსური სტრატეგიის შემუშავება ითვალისწინებს კორპორაციის მიერ არაკონტროლირებადი გარემოს ფაქტორების განვითარების წინასწარ შესაძლო ვარიანტებს და შესაძლებელს ხდის, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მათი ნეგატიური გავლენა კორპორაციის საქმიანობაზე.

5. ის ასახავს კორპორაციის შედარებით უპირატესობებს ფინანსურ საქმიანობაში მის კონკურენტებთან მიმართებაში.

6. ფინანსური სტრატეგიის არსებობა უზრუნველყოფს კორპორაციის ფინანსური საქმიანობის სტრატეგიული, მიმდინარე და ოპერატიული მართვის ზუსტ ურთიერთკავშირს.

7. ის უზრუნველყოფს ფინანსური ქვეყის შესაბამისი მენეჯლიტეტის რეალიზაციას კორპორაციის შედარებით მნიშვნელოვანი სტრატეგიული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისას.

8. ფინანსური სტრატეგიის სისტემაში ყალიბდება მნიშვნელოვანი ფინანსური მმართველობითი გადაწყვეტილებების შერჩევის ძირითადი კრიტერიალური შეფასების მნიშვნელობა.

9. შემუშავებული ფინანსური სტრატეგია არის მართვის საერთო ორგანიზაციული სტრუქტურის სტრატეგიული ცვლილებებისა და კორპორაციის ორგანიზაციული კულტურის ერთ-ერთი საბაზისო წინაპირობა.

კვლევები უჩვენებს, რომ ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ფინანსური საქმიანობის მართვა ე.წ. “საქმეების კეთების ძველი მეთოდებით” უკვე აღარ არის საკმარისი. გაძლიერებული კომერციული კონკურენცია, ტექნოლოგიური ცვლილებანი, ინფლაციისა და პროცენტული განაკვეთების ცვალებადობა, საგადასახადო კანონის ცვლილებები და სხვა პრობლემები ნათლად წარმოაჩენს ფინანსების სასიცოცხლოდ **სტრატეგიულ როლს** კორპორაციული მმართველობის პროცესში.

კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების ძირითადი პრინციპებია:

1. კორპორაციის განხილვა თვითორგანიზებადი უნარის მქონე ღია სისტემად;
2. კორპორაციის ოპერატიული საქმიანობის საბაზრო სტრატეგიის გათვალისწინება;
3. ფინანსური საქმიანობის სტრატეგიული მართვის სამეწარმეო სტილზე უპირატესი ორიენტაცია;
4. სტრატეგიული განვითარების დომინანტური სფეროების გამოყოფა;
5. მოქნილი ფინანსური სტრატეგიის უზრუნველყოფა;
6. ალტერნატიული სტრატეგიული ფინანსური არჩევანის უზრუნველყოფა;
7. ფინანსურ საქმიანობაში ტექნოლოგიური პროგრესის შედეგების უწყვეტი გამოყენების უზრუნველყოფა;

8. სტრატეგიული ფინანსური გადაწყვეტილებების პროცესში ფინანსური რისკის დონის გათვალისწინება;

9. ორიენტაცია ფინანსური მენეჯერების პროფესიულ აპარატზე ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში;

10. შემუშავებული ფინანსური სტრატეგიის უზრუნველყოფა შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურითა და კულტურით.

შესაბამისად, ეკონომიკური ორგანიზაციის – კორპორაციის სტრატეგიის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების საფუძველზე შემუშავებული ფინანსური სტრატეგია შესაძლებელს ხდის ეკონომიკური სუბიექტის თავისდროულ ადაპტირებას მისი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების სამომავლო კარდინალურ ცვლილებებთან სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიზნების რეალიზაციის მისაღწევად.

კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების და მისი რეალიზაციის განხორციელების **ალგორითმი** (იხ. ნახ. 1) მოიცავს:

1. ფინანსური სტრატეგიის ფორმირების საერთო პერიოდის განსაზღვრას, რომელშიც მნიშვნელოვანი პირობაა მთლიანად ეკონომიკის განვითარების წინასწარი განჭვრეტა და ფინანსური ბაზრის იმ სეგმენტების კონიუნქტურა, რომელთანაც დაკავშირებულია მოცემული კორპორაციის ფინანსური საქმიანობა;

2. გარე ფინანსური გარემოს ფაქტორების კვლევას, რომელიც განსაზღვრავს კორპორაციის ფინანსური საქმიანობის ეკონომიკურ-სამართლებრივი პირობების შესწავლას და მათ შესაძლო ცვლილებებს მომავალში;

3. კორპორაციის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას (SWOT ანალიზის წარმოება), რომელიც განაპირობებს მისი ფინანსური საქმიანობის თავისებურებების შეფასებას;

4. კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური პოზიციის კომპლექსურ შეფასებას, რომელიც ახასიათებს კორპორაციის ფინანსური საქმიანობის განვითარების შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს;


5. კორპორაციის ფინანსური საქმიანობის სტრატეგიული მიზნის ფორმირებას შესაბამისი ქონების ღირებულების მაქსიმიზაციის უზრუნველსაყოფად;

6. ფინანსური საქმიანობის მიზნობრივი სტრატეგიული ნორმატივების შემუშავებას, რომელიც წარმოადგენს ძირითადი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს და განაპირობებს ფინანსური სტრატეგიის განხორციელების კონტროლის უზრუნველყოფას;

7. ძირითადი სტრატეგიული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას, როდესაც განისაზღვრება კორპორაციის ფინანსური განვითარების მთავარი სტრატეგიები ცალკეული დომინანტური სფეროების ჭრილში, ფინანსური პოლიტიკა მისი ფინანსური საქმიანობის ცალკეული ასპექტების მიხედვით, ყალიბდება ალტერნატიული სტრატეგიული მიდგომის პორტფელი დასახული მიზნების რეალიზაციის დროს და ხორციელდება მათი

შეფასება და შერჩევა. ის შესაძლებელს ხდის, ჩამოყალიბდეს კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების **კომპლექსური პროგრამა**;

8. შემუშავებული ფინანსური სტრატეგიის შეფასებას, რომელიც ხორციელდება იმ სპეციალური ეკონომიკური და არაეკონომიკური **კრიტერიუმების** სისტემების მეშვეობით, რომლებიც დგინდება კორპორაციის მიერ. შეფასების შედეგების მიხედვით შემუშავებულ ფინანსურ სტრატეგიაში შეიტანება აუცილებელი კორექტივი, რის შემდეგაც ხდება მისი რეალიზაცია;



ნახ. 1. კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესის ძირითადი ეტაპების აღგორითში

9. ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის უზრუნველყოფას, რომლის პროცესში, ადრე გამიზნული სტრატეგიული ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად, მზადდება ახალი მმართველობითი გადაწყვეტილებები, რომლებიც განპირობებულია გარე ფინანსური გარემოს ფაქტორების გაუთვალისწინებელი ცვლილებებით;

10. ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის კონტროლის ორგანიზაციას, რომელიც ხორციელდება სტრატეგიული ფინანსური კონტროლინგის საფუძველზე და ასახავს კორპორაციის ფინანსური საქმიანობის ძირითადი სტრატეგიული მიზნობრივი ნორმატივების რეალიზაციის მსვლელობას.

კორპორაციის **ფინანსური სტრატეგიის შეფასება** ხორციელდება შემდეგი ძირითადი **პარამეტრების** მიხედვით. კერძოდ:

1. კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის შეთანხმებულობა მისი საბაზრო კორპორაციულ სტრატეგიასთან. ასეთი **შეფასების** პროცესში ვლინდება მიზნების შეთანხმებულობის ხარისხი და ამ სტრატეგიის რეალიზაციის ეტაპები.

2. კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის შესაბამისობით **გარე** ფინანსური გარემოს შემოთავაზებულ ცვლილებებთან განისაზღვრება, თუ რამდენად შეესაბამება შემუშავებული ფინანსური სტრატეგია ქვეყნის ეკონომიკის პროგნოზულ განვითარებას და ფინანსური ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებებს მისი ცალკეული სექტორების ჭრილში, თუ რა ხარისხით აისახება კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური პოზიციის მოდელიში გარე ფინანსური გარემოს გენერირებული შესაძლებლობები და მუქარები, სწორად ასახავს თუ არა ეს მოდელი გარე გარემოს ფაქტორების რეკვალიზაციის შესაძლო ვარიაციებს.

3. კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის შესაბამისობა მის **შიდა** პოტენციალთან. ასეთი შეფასება შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს თუ რამდენადაა დაკავშირებული ფინანსური სტრატეგიის მასშტაბები და მიმართულებები შიდა ფინანსური რესურსების ფორმირების შესაძლებლობებთან, ფინანსური მენეჯერების კვალიფიკაციასთან, ფინანსური საქმიანობის მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურასთან, ფინანსური მენეჯერების ორგანიზაციულ კულტურასთან და სხვა პარამეტრებთან.

4. ფინანსური სტრატეგიის პარამეტრების **შიდა** დაბალანსებულობა, როდესაც განისაზღვრება თუ რამდენად ეთანხმება ერთიმეორეს წარმოებული ფინანსური საქმიანობის ცალკეული მიზნები და მიზნობრივი სტრატეგიული ნორმატივები.

5. ფინანსური სტრატეგიის რეალიზებადობის შეფასების პროცესში განიხილება: კორპორაციის პოტენციური შესაძლებლობები ფინანსური რესურსების საჭირო ოდენობის ფორმირებაში ყველა წყაროდან და ყველა ფორმაში: რამდენად ტექნოლოგიურია სარეალიზაციოდ არჩეული საინვესტიციო პროექტები; არის თუ არა ფინანსურ ბაზარზე ფინანსური ინსტრუმენტების საკმარისი სახეები, რომლებიც უზრუნველყოფს ეფექტიანი **საინვესტიციო პორტფელის** ფორმირებას; როგორია შერჩეული ფინანსური სტრატეგიის წარმატებული რეალიზაციის ორგანიზაციული და ტექნიკური შესაძლებლობები.

6. რისკების დონის მისაღებლობა, რაც დაკავშირებულია ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციასთან. შეფასების პროცესში აუცილებელია განისაზღვროს კორპორაციის საქმიანობასთან დაკავშირებული პროგნოზირებადი ფინანსური რისკების დონე, თუ რამდენად დასაშვებია მოცემული კორპორაციის ფინანსური საქმიანობისათვის ფინანსური დანაკარგების შესაძლო სიდიდისა და გაკოტრების მუქარების გენერირების პოზიციებიდან.

7. ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება ხორციელდება პრაქტიკაში ადაპტირებული ძირითადი ფინანსური კოეფიციენტების და მოცემული მიზნობრივი სტრატეგიული ნორმატივების პროგნოზული გათვლების საფუძველზე, რომლებიც შეედრება მათ საბაზისო დონეს.

8. ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის საგარეო ეკონომიკური ეფექტიანობის პროცესში გათვალისწინებულია კორპორაციის საქმიანი რეპუტაციის ზრდა, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ფინანსური საქმიანობის მართვადობის დონის ამაღლება, ფინანსური მენეჯერების მატერიალური და სოციალური თვითკმაყოფილების დონის ამაღლება.

შესაბამისად, კორპორაციის მიერ შემუშავებული საფინანსო სტრატეგიის შეფასების დადებითი შედეგების მიხედვით, რომელიც შეესაბამება შერჩეულ კრიტერიუმებს და ფინანსურ ფილოსოფიას, მიიღება გადაწყვეტილება სტრატეგიის შემუშავებისა და მისი რეალიზაციის შესახებ. კორპორაციის სტრატეგიული განვითარების მმართველობითი პროცესების სრულყოფა წარმატებით არის შესაძლებელი, თუ ფინანსური მენეჯმენტის პროცესში გამოყენებული იქნება საზღვარგარეთის ბიზნესპრაქტიკაში კარგად აპრობირებული “6 ოქროს წესი”, რომელიც უზრუნველყოფს განვითარების მიზნების თავისდროულ დიაგნოსტიკას და მათზე ადეკვატურ რეაგირებას, რომელიც შეადგენს სტრატეგიული მენეჯმენტის თანამედროვე პარადიგმის საფუძველს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეჯბაია ბ., მესხიშვილი დ. თანამედროვე ბიზნესსტრატეგიები. თბ., გამომც. „უნივერსალი“, 2011.
2. ინგოროყვა ა., ცაავა გ. ფინანსური მენეჯმენტი. (2 ტომად). თბ., სტუ, 2011.
3. ტომასონი ა-უმც., სტრიკლენდი ა.ჯ., III. სტრატეგიული მენეჯმენტი: კონცეფციები და ბიზნესსტრატეგიები. „უნივერსალი“, 2009 (ნათარგმნი ინგლ.).
4. ხარებავა რ. ფორმის ეკონომიკური სტრატეგიები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., „უნივერსალი“, 2012 (გვ. 632).
5. Бригхэм Ю., Хьюстон Дж. Финансовый менеджмент. СПб., Питер, 2011 (Пер. с англ.).
6. Корпоративные финансы. // М.В. Романовского, А.И. Вострокнутовой, СПб, 2011.
7. Портер М. Конкуренция. М., Вильямс, 2002 (перевод с англ.).
8. Фэй Л., Рэндэлл Р. Управление стратегией на уровне рынка. Курс MBA по стратегическому менеджменту. М., “Альпина Паблишер“, 2002 (Пер.с англ.).
9. Drucker, P. F. The Practice of Management. Butterworth-Heinemann, 2007 - B&E, p. 155.

Zurab Lipartia

METHODOLOGICAL-PRACTICAL ASPECTS OF DEVELOPMENT OF CORPORATION'S FINANCIAL MANAGEMENT

Annotation

The paper deals with the globalization of economic organization – the corporation's financial strategy – its vital role in the realization of socio-economic development in the future, which includes the combination of a company's goals and strategies devel-

oped by managers in any industry - related issues. Corporation's strategic financial decision-making algorithm developed on the basis of the corporation's financial strategy includes all major aspects of the company's financial activities and relationships, providing strategic financial objectives of the corporation and to realizing their development.

რეგულატორული მოქმედებები

მენეჯმენტის თეორიის ევოლუცია: ტაილორის საფუძვლები და პრაქტიკასთან სინთეზის მომავალი

მენეჯმენტის ცალკეული საკითხების მეცნიერული კვლევა მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან იღებს სათავეს, რაც კლასიკური თეორიის სახით შეიძლება განვაზოგადოთ (ტეილორი, ფაიოლი, ვებერი და სხვ.), მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლებიდან აღნიშნული თეორიული მეცნიერებები განვითარებას პოულობს ე. წ. ადამიანური ურთიერთობების თეორიაში (ფოლბეტი, ფორდი, მეიო და სხვ.), ხოლო 50-იანი წლებიდან – ადამიანური რესურსების თეორიაში (მასლოუ, ჰერცბერგი, ლაიკერტი, მაკგრეგორი და სხვ.). აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ხსენებული მენეჯერული თეორიების ევოლუციის მომავალი, ჩემი აზრით, სინთეზის თეორიაა, რაც თეორიული კვლევების შედეგების მიღებასა და მათ პრაქტიკაში გამოყენებას შორის ინტეგრაციის არსებით შემცირებაში (თეორიისა და პრაქტიკის აუცილებელი ურთიერთკავშირი) უნდა გამოიხატოს.

კლასიკური თეორიის ეპოქაში ადამიანი განიხილებოდა, როგორც მწყობრი მანქანის ნაწილი, რომელიც, ფაქტობრივად, არ განიცდიდა ცვლილებას მართვის ერთიან სისტემაში. თეორიული კვლევების ამ საწყის ეტაპზე ადამიანი განიხილებოდა, როგორც სუბიექტი, რომელიც მწვავედაა დაინტერესებული საარსებო წყაროებით და, ამიტომაც, ის სათანადო მნიშვნელობას არ (ვერ) ანიჭებს სამუშაო პირობების შესაძლო გადამეტებულ სიმძიმეს. ლენინიზმის მიმდევრები ტეილორის კლასიკურ თეორიას ე.წ. „ქანცის გამოცდის“ მეტად ხისტ სისტემასაც კი უწოდებენ, თუმცა კლასიკურ თეორიაში, კაპიტალიზმის ფეხადგმისა და ჯერ კიდევ დადო მართვის პროცესების მრავალფაქტორულ მეცნიერულ შესწავლას. კლასიკური თეორიული მეცნიერება დღესაც გამოიყენება შრომის მეცნიერული ორგანიზებისა და შრომითი რესურსების მწარმოებლურობის (პროდუქტიულობის, ნაყოფიერების) რაციონალური ამდგენისათვის.

ჯერ კიდევ კლასიკოსების ეპოქის წიაღში, ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ქალბატონმა მერი პარკერ ფოლბეტმა, შეიძლება ითქვას, გაუსწრო ეპოქას და შეიმუშავა ადამიანური ურთიერთობების თეორიის პრინციპები. მენეჯმენტის ამ ახალი თეორიის მიხედვით, უფრო მეტი ყურადღება ენიჭება სრულფასოვან შრომით ურთიერთობებსა და გარემოს, შესაბამისად, ადამიანისათვის პირველხარისხოვანია არამხოლოდ ანაზღაურების მოტივები. აღნიშნულთან დაკავშირებით, მაშინდელი ბიზნესიგანტის – „ჯენერალ ფორდ კორპორეშნის“ პრეზიდენტი ჰენრი ფორდი უკვე ხაზგასმით მიუთითებს, რომ ადამიანს სხეულთან ერთად გაანია გონება და სული, რომელიც უნდა დაინახოს შრომის ნაყოფიერების სტიმულირებისას.

ადამიანური რესურსების თეორიაში უკვე მთავარი აქცენტი ადამიანის მოთხოვნილებებსა და, აღნიშნულის საფუძველზე, რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე კეთდება, ვინაიდან, ადამიანი განვითარებულ ქვეყნებში უკვე უფრო მეტად დაცულია უმუშევრობისა და ავადმყოფობისაგან და ადამიანს სულ უფრო მეტად აინტერესებს ეთიკურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ნიუანსები – შრომითი გარემოს კომფორტულობა და პიროვნული აღიარების მოპოვება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ადამიანური რესურსების თეორიაში შემოთავაზებულია ე.წ. მოთხოვნილებების პირამიდა, რომლის პირველ საფეხურზე აღინიშნება მოთხოვნილებები პირველად საჭიროებებზე (საკვები, სამოსი და სხვ.), შემდგომ საფეხურზე კი მეტი დაცულობა (უსაფრთხოება) და საზოგადოების მხრიდან მეტი სიყვარული და პატივისცემა.

ადამიანური რესურსების თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა გონივრულ სტიმულებს შრომისადმი ინტერესის გასაძლიერებლად, რასაც უწინდესი ილია II მზრუნველი შრომისმხედველობით ანვითარებს თავის ქადაგებებში და ამ ქადაგებების გაუთვალისწინებლობა ნამდვილად მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს კრიზისულ გართულებებს.

როგორცაც გასაკვირი არ უნდა იყოს ზოგიერთისათვის, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, მატულობს სახელმწიფოს როლი უკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაში, თუმცა აღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიზარდოს ე.წ. პატერნალიზმში, როცა სახელმწიფო აბსოლუტურად ყველაფერში ერევა და დისკრიმინაციას ახდენს რასობრივი, ეროვნული, კუთხური, პროფესიული თუ სხვა ნიშნებით.

როგორც ფიხიკამ განიცადა ევოლუცია ნიუტონის მექანიკიდან აინშტაინის ფარდობითობამდე და პოლიტიკური ცხოვრება უნდა გამოდიოდეს მაკიაველის მიერ წარმონიშნული მართვის ნაკლოვანებათა გავლენიდან, ასევე, შემოსავლების სრულყოფილი გადანაწილების მწვავე აუცილებლობებიდან გამომდინარე, მენეჯმენტმა რაც შეიძლება სწრაფი ევოლუცია უნდა განიცადოს თეორიისა და პრაქტიკის აუცილებელ ურთიერთკავშირებამდე. ხსენებული, ბუნებრივია, განაპირობებს გადამეტებული ბიუროკრატიიდან კვალიფიციური შრომის აღიარებამდე ევოლუციასაც, როცა მეწარმეს, სახელმწიფოსა და პროფკავშირებს შორის სრულყოფილი პარტნიორული ურთიერთობები დამყარდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკის. თბილისი, 2011.
2. სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი, 2010.
3. აბესაძე რ. აკადემიკოს ავთანდილ გუნიას ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული: ეძღვნება აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან მე-100 წლისთავს, 2012, V, გვ. 7-14.
4. ბრათაშვილი ე. და სხვ. ინოვაციების მენეჯმენტი. თბილისი, 2008.

5. ამყოლაძე გ., ამყოლაძე ი., ლომსაძე-კუჭავა მ. ორგანიზაციის თეორია და მენეჯმენტის საფუძვლები. თბილისი, 2011.

6. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (რედ. ნ. პაიჭაძე). თბილისი, 2009.

7. ლორთქიფანიძე რ. გლობალური კონკურენცია ადამიანის ეფექტიანი გამდიდრებისათვის. თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული გვერდი „ივერიელი“, ქაშვეთში მოღვაწე მამა ლვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით, 2014, 138 გ. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29377>

8. ლორთქიფანიძე რ. ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. თბილისი, 2013. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11421>

9. ლორთქიფანიძე რ. ევროკავშირის ფორმულირების განვითარება და ეკონომიკური კონკურენციის კანონი. // საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, N1, 2012, გვ. 17-18.

10. ნოვატორული მენეჯმენტი და მარკეტინგი უახლოესი სტრატეგიისათვის (რ. ლორთქიფანიძე, ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი). თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული გვერდი „ივერიელი“, წარმატებული უნივერსიტეტების მეცნიერებისა და სტუდენტების მონაწილეობით, 2014, 94 გვ. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29381>

11. Taylor F. Principles of Scientific Management, cited by Montgomery, 1989.

12. Купер Д., Робертсон А. Психология в отборе персонала, Москва, 2003.

Revaz Lortkipanidze

EVOLUTION OF MANAGEMENT THEORIES: FROM TAYLOR FUNDAMENTALS TO SYNTHESIS WITH PRACTICE IN FUTURE
Annotation

The work deals the evolution of managerial theories from Taylor classics to Synthesis theory for necessary substantial reduction of interval between theoretical ideas and use of innovation theoretical research results in practice.

დალი მაგრაქველიძე

ბიუჯეტური წირი და მასზე მოქმედი ფაქტორების მათემატიკური გამოსახვა

რეალურ ცხოვრებაში საქონლის მრავალი სახეობა არსებობს, რომელთა არჩევის საშუალებაც გააჩნია მომხმარებელს. ბიუჯეტური შეზღუდვის კონცეფციის თანახმად, მომხმარებლის ეს არჩევანი შეზღუდულია კონკრეტული ფაქტორებით. შევეცადოთ განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნოთ მომხმარებლის სასაქონლო კალათა (X_1, X_2) -ით. ეს არის უბრალოდ სია ორი რიცხვისა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობით ყიდულობს მომხმარებელი საქონელ 1-ს- X_1 და საქონელ 2-ს- X_2 . დაუშვათ, ვიცით, ორი საქონლის ფასი (P_1, P_2) და m თანხა, რომლის დახარჯვაც შეუძლია მომხმარებელს. მაშინ მომხმარებლის ბიუჯეტურ შეზღუდვას ასეთი სახე ექნება:

$$P_1 X_1 + P_2 X_2 \leq m \quad (1)$$

აქ $P_1 X_1$ წარმოადგენს საქონელ 1-ზე დახარჯულ თანხას, ხოლო $P_2 X_2$ – საქონელ 2-ზე დახარჯულ თანხას.

ვინაიდან ბიუჯეტის წირი სამომხმარებლო კალათების ერთობლიობაა, რომელთა ღირებულებაც მოცემული P_1 და P_2 ფასებისათვის უდრის m -ს, ამიტომ სამართლიანია ტოლობა:

$$P_1 X_1 + P_2 X_2 = m \quad (2)$$


ეს არის საქონელთა ერთობლიობა, რომელთა შექმნა მთლიანად ამოწურავს მომხმარებლის შემოსავალს. ბიუჯეტური სიმრავლის გრაფიკი მოცემულია ნახ. 1-ზე. გარდაეკმნათ (2) ტოლობა შემდეგნაირად:

$$X_2 = \frac{m}{P_2} - \frac{P_1}{P_2} X_1 \quad (3)$$

ეს არის წრფის განტოლება, რომელიც ვერტიკალურ ღერძს $\frac{m}{P_2}$ -ში კვეთს, ხოლო მისი დახრილობა


$\frac{P_1}{P_2}$ -ია. განტოლება გვიჩვენებს საქონელი 2-ის რა რაოდენობა შეუძლია შეიძინოს მომხმარებელმა (თუ იგი

ამასთანავე საქონელი 1-ის X_1 ერთეულს მოიხმარს), რათა ბიუჯეტის შეზღუდვა დაკმაყოფილდეს.



ნახ. 1. ბიუჯეტური სიმრავლე

ბიუჯეტის წირის დახრილობა საინტერესო ეკონომიკური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. იგი გვიჩვენებს სიდიდეს, რომლითაც ბაზარი „ჩანაცვლებს“ საქონელ 2-ს საქონელი 1-ით. მაგალითისათვის, დავეუშვათ, რომ მომხმარებელი აპირებს საქონელი 1-ის მოხმარების გაზრდას Δx_1 სიდიდით. როგორ უნდა შეიცვალოს მის მიერ საქონელი 2-ის მოხმარება, ბიუჯეტური შეზღუდვა რომ დაკმაყოფილდეს? აღვნიშნოთ Δx_2 -ით მის მიერ საქონელი 2-ის მოხმარების ცვლილება.



ნახ. 2. შემოსავლის ცვლილების გავლენა ბიუჯეტის წირზე

შევნიშნოთ რომ, თუ მომხმარებელი აკმაყოფილებს ბიუჯეტურ შეზღუდვას ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგაც, უნდა შესრულდეს ტოლობები:

$$p_1 x_1 + p_2 x_2 = m$$

$$p_1 (x_1 + \Delta x_1) + p_2 (x_2 + \Delta x_2) = m$$

მეორე ტოლობას თუ პირველს გამოვაკლებთ, მივიღებთ:

$$p_1 \Delta x_1 + p_2 \Delta x_2 = 0$$

ეს უკანასკნელი ტოლობა გვიჩვენებს, რომ მოხმარების ცვლილებათა საერთო ჯამი ნულის ტოლი უნდა იყოს. გამოვთვალოთ $\frac{\Delta x_2}{\Delta x_1}$ ფარდობა, რომელიც წარმოადგენს იმ სიდიდეს, რომლითაც საქონელი 1

ჩანაცვლება საქონელი 2-ით ბიუჯეტური შეზღუდვის დაკმაყოფილების პირობებში. მივიღებთ:

$$\frac{\Delta x_2}{\Delta x_1} = -\frac{p_1}{p_2}$$

სწორედ ეს არის ბიუჯეტის წირის დახრილობა. უარყოფითი ნიშანი აღნიშნავს, რომ Δx_1 და Δx_2 ყოველთვის საპირისპირო ნიშნისაა. თუ გვსურს საქონელი 1-ის მოხმარების გაზრდა, საქონელი 2-ის მოხმარება უნდა შევამციროთ და პირიქით, რათა ბიუჯეტური შეზღუდვა დაკმაყოფილდეს.

როდესაც ფასები და შემოსავალი იცვლება, შესაბამისად იცვლება მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი სამომხმარებლო კალათაც. რა გავლენას ახდენს ეს ცვლილება ბიუჯეტზე?

პირველ რიგში განვიხილოთ შემოსავლის ცვლილება. (3) ტოლობიდან ცხადად გამოდინარეობს, რომ შემოსავლის გაზრდის შემთხვევაში ვერტიკალური დერძის გადაკვეთაც გაიზრდება, ხოლო ბიუჯეტის წირის დახრილობა უცვლელი დარჩება. ამგვარად, შემოსავლის გაზრდა გამოიწვევს ბიუჯეტის წირის პარალელურად მარჯვნივ გადაინაცვლებას, როგორც ეს ნახ. 2-ზეა ნაჩვენები. შესაბამისად შემოსავლების შემცირება წირის პარალელურად მარცხნივ გადაინაცვლებას გამოიწვევს.

რა მოუვა ბიუჯეტის წირს, როცა იცვლება როგორც საქონელი 1-ის ასევე საქონელი 2-ის ფასები? ვთქვათ, ორივე საქონლის ფასი ორჯერ გაიზარდა. ამ შემთხვევაში როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური გადაკვეთა ორჯერ შემცირდება, რის შედეგადაც ბიუჯეტის წირი პარალელურად მარცხნივ გადაინაც-

ვლებს. ორივე ფასის ორჯერ გაზრდა იმავე შედეგს გვაძლევს, რასაც შემოსავლის ორჯერ შემცირება. ამის დასაბუთება მათემატიკურად შესაძლებელია. საწყისი ბიუჯეტის წირია $P_1x_1 + P_2x_2 = m$.

ახლა დაეუშვათ, რომ ორივე საქონლის ფასი t -ჯერ გაიზარდა. ორივეს t -ზე გამრავლება მოგვცემს:

$$tp_1x_1 + tp_2x_2 = m$$

მაგრამ ეს ტოლობა იგივეა, რაც შემდეგი ტოლობა

$$p_1x_1 + p_2x_2 = \frac{m}{t}$$

ამგვარად, ორივე ფასის ერთ მუდმივ რიცხვზე გამრავლება იგივეა, რაც შემოსავლის იმავე t მუდმივზე გაყოფა. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ t -ჯერ გაგზრდით ორივე ფასსაც და შემოსავლსაც, ბიუჯეტის წირი საერთოდ არ შეიცვლება.

შესაძლებელია აგრეთვე ფასებისა და შემოსავლის ცვლილებების ერთად განხილვა. რა მოხდება, თუ ფასები გაიზრდება, ხოლო შემოსავალი შემცირდება? თუ m შემცირდება ხოლო P_1 და P_2 გაიზრდება, მა-

შინ გადაკვეთები $\frac{m}{P_1}$ და $\frac{m}{P_2}$ შემცირდება. ეს ნიშნავს, რომ ბიუჯეტის წირი მარცხნივ გადაინაცვლება. რა

შეიძლება ითქვას ბიუჯეტის დახრილობაზე? თუ საქონელი 2-ის ფასი საქონელი 1-ის ფასზე მეტად გაიზრდება, ფარდობა შემცირდება და ბიუჯეტის წირიც უფრო ნაკლებად დახრილი გახდება; თუ საქონელი 2-ის ფასი საქონელი 1-ის ფასზე ნაკლებად გაიზრდება, ბიუჯეტის წირი უფრო დაიხრება.

ბიუჯეტის წირი განისაზღვრება ორი ფასით და ერთი შემოსავლით, მაგრამ ერთი ამ ცვლადებიდან ზედმეტია. ჩვენ შეგვიძლია დავაფიქსიროთ ერთ-ერთი ფასი ან შემოსავალი, დანარჩენი პარამეტრები კი ისე შევცვალოთ, რომ აღიწეროს იგივე ბიუჯეტური სიმრავლე. ასე მაგალითად, ბიუჯეტის წირი $P_1x_1 + P_2x_2 = m$

წადმოადგენს იმავე წირს, რასაც $\frac{P_1}{P_2}x_1 + x_2 = \frac{m}{P_2}$ ან $\frac{P_1}{m}x_1 + \frac{P_2}{m}x_2 = 1$, რადგანაც პირველი წირი მიიღე-

ბა ყველა წევრის P_2 -ზე გაყოფით, ხოლო მეორე – ყველა წევრის m -ზე გაყოფით. პირველ შემთხვევაში გამოვა, რომ x_2 -ის კოეფიციენტი 1, მეორეში კი – შემოსავალი. ერთ-ერთი ფასის და შემოსავლის შესაბამისი ცვლილება ბიუჯეტური სიმრავლის შეცვლას არ იწვევს.

ბიუჯეტის წირზე მოქმედი შემდეგი ფაქტორია სუბსიდია. რაოდენობის სუბსიდიის შემთხვევაში მთავრობა მომხმარებელს უხდის თანხას, რომელიც დამოკიდებულია შესყიდული საქონლის რაოდენობაზე. თუ საქონელი 1-ის თითოეულ ერთეულზე სუბსიდიის განაკვეთია S დოლარი, მაშინ, მომხმარებლის თვალსაზრისით, საქონელი 1-ის ფასი იქნება $P_1 - S$. ეს შესაბამისად შეამცირებს ბიუჯეტის წირის დახრილობას.

ზემოთ თქმულის მსგავსად, ად-ვალორემის ტიპის სუბსიდია დაფუძნებულია სუბსიდირებული საქონლის ფასზე. თუ მთავრობა თქვენ მიერ საქველმოქმედო მიზნებისათვის შეწირულ 2% -ზე 1% -ს უკან გიბრუნებთ, მაშინ თქვენი საქველმოქმედო შეწირულობანი სუბსიდირებულია 50% -ით. ზოგადად, თუ საქონელი 1-ის ფასია P_1 და ექვემდებარება სუბსიდირებას θ განაკვეთით, მაშინ მომხმარებლის მიერ გადახდილი რეალური ფასია $(1 - \theta)P_1$.

ამრიგად, ბიუჯეტური სიმრავლე შედგება სამომხმარებლო კალათებისაგან, რომლებიც მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია მოცემული ფასებისა და შემოსავლის პირობებში. შემოსავლის გაზრდისას ბიუჯეტის წირი პარალელურად მარჯვნივ გადაინაცვლებს. საქონელი 1-ის ფასის გაზრდა იწვევს ბიუჯეტის წირის დახრილობის ზრდას, საქონელი 2-ის ფასის გაზრდა – ბიუჯეტის წირის დახრილობის შემცირებას.

Dali Magrakvelidze

BUDGET CURVE AND THE MATHEMATICAL EXPRESSION OF THE INFLUENCING FACTORS

Annotation

In the paper there is considered the budget curve and influencing factors on it. Budget set consists of a basket of goods, which are available at a given price and income conditions. Along with the increasing income the budget curve shifts parallel to the right. The increase of good 1-s price leads an increase the sloppiness of budget curve. The increase of good 2-s price leads an decrease the sloppiness of budget curve.

მარინა მაისურაძე

საწარმოთა ბაპართიანების იდენტიფიცირება, აქტივების და კაპიტალულების აღიარება და შეფასება

საწარმოთა გაერთიანება ბიზნესის მასშტაბების გაფართოების შედეგია და მიზნად ისახავს წარმატებული ბიზნესისათვის რესურსების გადანაწილებას, დამატებით მოგების მიღებას, გასაღების ბაზრის გაფართოებას, წარმოების მასშტაბების ზრდას.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფასს 3-ის თანახმად, საწარმოთა გაერთიანება არის ცალკეული სამეურნეო ერთეულის ან საწარმოს გაერთიანება ერთ ანგარიშგაღებულ სამეურნეო ერთეულად. ახლად შექმნილ საწარმოთა გაერთიანების შედეგად ერთი სამეურნეო ერთეული, ამ შემთხვევაში მყიდველი საწარმო, კონტროლს იღებს ერთ ან მეტ სხვა საწარმოზე – შექმნილზე. საწარმოთა გაერთიანების შედეგად მყიდველი საწარმო თავის წილს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახავს, როგორც ინვესტიციას შეიღობილ საწარმოში.

სტანდარტი აღგენს იმ ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს თუ მყიდველმა საწარმომ როგორ უნდა აღიაროს და შეაფასოს ფინანსურ ანგარიშგებაში შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივები, აღებულ ვალდებულებები და არამაკონტროლებელი წილი შექმნილ საწარმოში; აღიაროს და შეაფასოს საწარმოთა გაერთიანებისას შექმნილი გუდვილი ან ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა, განსაზღვროს, რა ინფორმაცია ასახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, რათა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მისცეს საწარმოთა გაერთიანების თავისებურებებისა და ფინანსური შედეგების შეფასების საშუალება [1, გვ. 317].

საწარმოთა გაერთიანების დროს მყიდველმა (შემქმნმა) საწარმომ პირველ რიგში უნდა განსაზღვროს სამეურნეო ოპერაცია არის თუ არა საწარმოთა გაერთიანება, რომელიც მოითხოვს, რომ შექმნილმა აქტივებმა და აღებულმა ვალდებულებებმა დააფუძნოს საწარმო. იმ შემთხვევაში, თუ შექმნილი აქტივები არ წარმოადგენს საწარმოს, ანგარიშგაღებულმა საწარმომ სამეურნეო ოპერაცია უნდა ასახოს, როგორც აქტივის შექმნა.

საწარმო არის საქმიანობებისა და აქტივების ურთიერთდაკავშირებული კომპლექსი, რომლის ფუნქციონირება და მართვა შესაძლებელია იმ მიზნით, რომ უშუალოდ ინვესტორებმა ან სხვა მესაკუთრეებმა, წევრებმა ან მონაწილეებმა მიიღონ შემოსავლები დივიდენდების, დანახარჯების შემცირების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით [1, გვ. 334].

საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებიც გამოიყენება ამ რესურსების პროდუქციად გარდასაქმნელად. მართალია, საწარმოს, ჩვეულებრივ, პროდუქცია გააჩნია, მაგრამ, განმარტების თანახმად, პროდუქცია არ მოითხოვება იმისთვის, რომ ინტეგრირებული კომპლექსი განიხილებოდეს როგორც საწარმო. საწარმოს სამი ელემენტი განმარტება შემდეგნაირად [1, გვ. 337].

ა) რესურსები – ნებისმიერი ეკონომიკური რესურსი, რომელიც პროდუქციას ქმნის ან გააჩნია პროდუქციის შექმნის უნარი, როდესაც მასზე ჩატარდება ერთი ან მეტი პროცესი. მაგალითად, გრძელვადიანი აქტივები (მათ შორის არამატერიალური აქტივები ან გრძელვადიანი აქტივების გამოყენების უფლებები), ინტელექტუალური საკუთრება, აუცილებელი მასალების ან უფლებებისა და დაქირავებულ მომუშავეთა მოზიდვის უნარი;

ბ) პროცესი – ნებისმიერი სისტემა, სტანდარტი, პროტოკოლი, კონვენცია ან წესი, რომელიც, რესურსის ან რესურსების მიმართ გამოყენებისას, ქმნის პროდუქციას ან გააჩნია პროდუქციის შექმნის უნარი. მაგალითად: სტრატეგიული მართვის პროცესები, საექსპლუატაციო პროცესები და რესურსების მართვის პროცესები. ეს პროცესები, როგორც წესი, დოკუმენტურად არის შედგენილი, მაგრამ ორგანიზებულ შრომით რესურსებს, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი უნარ-ჩვევები და პრაქტიკული გამოცდილება და იცავენ წესებსა და კონვენციებს, შეუძლიათ საჭირო პროცესების ამოქმედება, რომლებიც გამოყენებული იქნება რესურსების მიმართ პროდუქციის შესაქმნელად (ბუღალტრული აღრიცხვა, სატრანსპორტო ზედღებულების გამოწერა და გაცემა, შრომის ანაზღაურებისა და სხვა ადმინისტრაციული სისტემები, ჩვეულებრივ, არ მიეკუთვნება პროდუქციის შესაქმნელად გამოყენებულ პროცესებს);

გ) პროდუქცია – შედეგი, რომელიც მიიღება რესურსებისა და ამ რესურსების მიმართ ისეთი პროცესების გამოყენების შედეგად, რომელსაც მოაქვს შემოსავალი ან გააჩნია შემოსავლების შექმნის უნარი უშუალოდ ინვესტორების ან სხვა მესაკუთრეებისათვის, წევრების ან მონაწილეებისათვის, დივიდენდების, დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით.

იმის გამო, რომ საქმიანობებისა და აქტივების ინტეგრირებულ კომპლექსს (საწარმოს) ფორმირების ეტაპზე შეიძლება არ გააჩნდეს პროდუქცია, მყიდველმა საწარმომ უნდა განიხილოს სხვა ფაქტორები იმის დასადგენად, ეს კომპლექსი წარმოადგენს თუ არა საწარმოს. კერძოდ, უნდა დადგინდეს, კომპლექსმა (საწარმომ):

ა) დაიწყო თუ არა დაგეგმილი ძირითადი საქმიანობა;

ბ) ჰყავს თუ არა დაქირავებული მომუშავეები, გააჩნია თუ არა ინტელექტუალური ქონება და სხვა რესურსები და პროცესები, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება რესურსების მიმართ;

გ) მისდევს თუ არა დასახულ გეგმას პროდუქციის საწარმოებლად;

დ) შექმნის თუ არა მომხმარებლის მოძიებას, რომელიც იყიდის მის პროდუქციას.

ამავე დროს, აუცილებელი არ არის ყველა ამ ფაქტორის არსებობა საქმიანობებისა და აქტივების ამა თუ იმ ინტეგრირებულ კომპლექსისათვის ფორმირების ეტაპზე, რათა ისინი ჩაითვალოს საწარმოდ.

საწარმოთა გაერთიანებაში იგულისხმება საწარმოთა მხოლოდ ისეთი გაერთიანება, რომელშიც ერთი სამეურნეო ერთეული კონტროლს მოიპოვებს სხვა სამეურნეო ერთეულზე. კონტროლი არის საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლება ამ საქმიანობიდან სარგებლის მიღების მიზნით. კონტროლის დონეს განსაზღვრავს შექმნილი კაპიტალის წილი.

საწარმოთა გაერთიანების დროს ერთ-ერთი გაერთიანებული სამეურნეო ერთეული უნდა განისაზღვროს როგორც მყიდველი.

საწარმომ საწარმოთა თითოეული გაერთიანება უნდა ასახოს შექმნის მეთოდით, რაც მოითხოვს:

ა) მყიდველი საწარმოს იდენტიფიკაციას;

ბ) შექმნის თარიღის განსაზღვრას;

გ) შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივების, აღებული ვალდებულებებისა და შექმნილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის აღიარებასა და შეფასებას;

დ) გუდვილის ან ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობის აღიარებასა და შეფასებას.

საწარმოთა გაერთიანების დროს მნიშვნელოვანია, განისაზღვროს შექმნის თარიღი, ეს არის თარიღი, როდესაც მყიდველი საწარმო კონტროლს იღებს შექმნილ საწარმოზე.

ასევე, მნიშვნელოვანია გარიგების დახურვის თარიღი, როდესაც მყიდველი საწარმო იურიდიულად გადასცემს კომპენსაციას, იქნეს შექმნილი საწარმოს აქტივებს და იღებს მის ვალდებულებებს. შესაძლებელია, ამავე დროს, მყიდველმა საწარმომ კონტროლი ისეთი თარიღისთვის აიღოს, რომელიც წინ უსწრებს ან მოსდევს გარიგების დახურვის თარიღს. მაგალითად, შექმნის თარიღი წინ უსწრებს გარიგების დახურვის თარიღს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს წერილობითი შეთანხმება, რომლის მიხედვით მყიდველი საწარმო კონტროლს იღებს შექმნილ საწარმოზე გარიგების დახურვის თარიღამდე.

ამასთანავე, შექმნის თარიღიდან დაწყებული, მყიდველმა საწარმომ გუდვილისაგან განცალკევებით უნდა აღიაროს შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივები, აღებული ვალდებულებები და შექმნილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილი. შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების აღიარება ხდება ფასს 3-ის მიერ ჩამოყალიბებული აღიარების პირობების შესაბამისად.

მყიდველმა საწარმომ შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივები, აღებული ვალდებულებები და შექმნილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილი უნდა აღიაროს გუდვილისაგან განცალკევებით.

ფასს 3-ის თანახმად შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები უნდა შეფასდეს მათი შექმნის თარიღის რეალური ღირებულებით, რაც წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ყველაზე რეალისტურ ატრიბუტს. გარდა ამისა, რეალური ღირებულებით შეფასება უფრო შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას იძლევა, ვიდრე თვითღირებულებით ან შექმნის მთლიანი თვითღირებულების განაწილების საფუძველზე შეფასებისას მიღებული ინფორმაცია. ამასთანავე, შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები შექმნის თარიღისათვის უნდა აკმაყოფილებდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძველებში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების განმარტებებს, რათა შესაძლებელი იყოს მათი აღიარება შექმნის მეთოდის გამოყენებისას, როგორც მისი ნაწილის. მაგალითად, დანახარჯები, რომლის გაწვევაც მომავალში მყიდველი საწარმო ვარაუდობს, მაგრამ ვალდებული არ არის მის გაწვევაზე (მაგალითად, განახორციელოს თავისი გეგმა და შეწყვიტოს შექმნილი საწარმოს საქმიანობა ან შექმნილი საწარმოს მომუშავეთა დასაქმება, ან გადაადგილოს მისი პერსონალი შექმნის თარიღისათვის) არ წარმოადგენს ვალდებულებებს. ამიტომ, მყიდველი საწარმო ამ დანახარჯებს აღიარებს გაერთიანების შემდგომი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა ფასს-ის შესაბამისად. გარდა ამისა, ფასს 3-ის თანახმად, შემქმნმა საწარმომ უნდა განსაზღვროს, რომელი შექმნილი აქტივები და აღებული ვალდებულებები შექმნილი საწარმოსთვის შესრულებული გაცვლის შემადგენელი ნაწილი და რომელია სხვა განცალკევებული სამეურნეო ოპერაციის შედეგი (თუ ასეთი არსებობს), რომელიც აისახება თავისი შინაარსისა და სათანადო ფასს-ის შესაბამისად.

ფასს 3-ის მიხედვით, რეალური ღირებულება განსაზღვრულია როგორც „თანხა, რომლითაც აქტივი შეიძლება გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეთა შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ დადებულ გარიგებაში.“ „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ დადებული გარიგება წარმოადგენს გარიგებას ორ ისეთ მხარეს შორის, რომლებსაც არ გააჩნიათ ისეთი ურთიერთდამოკიდებულება, რომლის გაველნითაც გარიგების ფასი ბაზრისათვის არატიპური გახდებოდა. იგულისხმება, რომ ასეთი გარიგება დაიდება ერმანეთთან დაუკავშირებელ დამოუკიდებლად მოქმედ მხარეებს შორის.

ფასს 3 აღიარების და შეფასების პრინციპებში უშეგებს მცირე გამონაკლისებს, კერძოდ:

ა) საიჯარო და სადაზღვევო ხელშეკრულებების კლასიფიცირება მოითხოვება სახელშეკრულებო პირობებისა და ხელშეკრულების დასაწყისისთვის (ან როცა სახელშეკრულებო პირობები შეიცვალა) არსებული სხვა ფაქტორების საფუძველზე და არა შექმნის თარიღისათვის არსებული ფაქტორების მიხედვით;

ბ) საწარმოთა გაერთიანებისას აღებული ის პირობითი ვალდებულებები აღიარდება მხოლოდ, რომლებიც წარმოადგენს მიმდინარე მოვალეობას და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება;

გ) ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების აღიარება და შეფასება მოითხოვება არა რეალური ღირებულებით, არამედ სხვა ფასს-ის შესაბამისად. ეს ეხება იმ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებიც ხდება ბასს 12-ის – „მოგებიდან გადასახადები“; ბასს 19-ის – „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“; ფასს 2-ის – „წილობრივი გადახდა“ და ფასს 5-ის – „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ – მოქმედების არეში;

დ) გამოსყიდული უფლების შეფასებისათვის სპეციალური მოთხოვნები არსებობს.

ე) საგარანტიო აქტივები აღიარდება და შეფასდება იმ მუხლის შესაფერისი საფუძველით, რომელიც ექვემდებარება ზარალის ანაზღაურებას, თუნდაც ეს შეფასება არ იყოს რეალური ღირებულება.

შექმნის თარიღისათვის მყიდველმა საწარმომ უნდა მოახდინოს შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების კლასიფიცირება ან გარკვეული მიზნისთვის მათი უფლებამოსილების განსაზღვრა. მყიდველმა საწარმომ ეს კლასიფიკაცია ან უფლებამოსილება უნდა განსაზღვროს შექმნის თარიღისათვის არსებული სახელშეკრულებო პირობების, ეკონომიკური პირობების, თავისი სამეურნეო ან სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა სათანადო პირობების საფუძველზე.

საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი არამატერიალური აქტივები ხშირად შესულია გუდვილის აღიარებულ თანხაში. ფასს 3 კი მოითხოვს, მყიდველმა საწარმომ გუდვილისაგან განცალკევებით აღიაროს საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივი ითვლება იდენტიფიცირებად აქტივად, თუ იგი აკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს ან სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმებს.

არამატერიალური აქტივი უნდა აღიარდეს გუდვილისაგან განცალკევებით, თუ:

ა) ამ აქტივებიდან მისაღებ მომავალ ეკონომიკურ სარგებელზე კონტროლი გამომდინარეობს სახელმწიფო-ურულ ან სხვა იურიდიული უფლებებიდან (სახელმწიფო-ურული კრიტერიუმი); ან

ბ) შესაძლებელია არამატერიალური აქტივის განცალკევება ან დაყოფა და გაყიდვა, გადაცემა, ლიცენზიით ან იჯარით გაცემა, ან გაცემა (ან განცალკევებით, ან როგორც აქტივთა ჯგუფი) (განცალკევების კრიტერიუმი).

არამატერიალური აქტივი, რომელიც სახელმწიფო-ურული კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, იდენტიფიცირებადად მიიჩნევა მაშინაც კი, თუ შეუძლებელია მისი გადაცემა ან გამოცალკევება შექმნილი საწარმოდან ან სხვა უფლებებიდან და ვალდებულებებიდან.

განცალკევების კრიტერიუმი ნიშნავს, რომ შესაძლებელია შექმნილი არამატერიალური აქტივის განცალკევება ან გამოყოფა შექმნილი საწარმოდან და გაყიდვა, გადაცემა, ლიცენზიით ან იჯარით გაცემა, ან გაცემა, ინდივიდუალურად ან შესაბამის ხელმწიფო-ურულ საწარმოსთან, იდენტიფიცირებად აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად. არამატერიალური აქტივი, რომელიც მყიდველ საწარმოს შეუძლია გაყიდოს, ლიცენზიით გასცეს ან სხვაგვარად გაცვალოს ისეთ რამეში, რასაც ღირებულება აქვს, აკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მყიდველი საწარმო არ აპირებს მის გაყიდვას, ლიცენზიით გადაცემას ან სხვაგვარად გაცემას. შექმნილი არამატერიალური აქტივი განცალკევების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, თუ არსებობს ამ ტიპის ან მსგავსი ტიპის აქტივის გაცვლის გარიგების ფაქტი, თუნდაც ასეთი გარიგებები ხშირი არ იყოს და იმის მიუხედავად, მონაწილეობს თუ არა მასში მყიდველი საწარმო.

მყიდველი საწარმოს მიერ აღიარების პრინციპისა და პირობების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი ისეთი აქტივისა და ვალდებულების აღიარება, რომელიც შექმნილმა საწარმომ მანამდე არ აღიარა ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც აქტივები და ვალდებულებები. ასე მაგალითად, მყიდველი საწარმო აღიარებს შექმნილ იდენტიფიცირებად არამატერიალურ აქტივს, როგორცაა საფირმო ნიშანი, პატენტი ან კლიენტთან ურთიერთობა, რომელიც შექმნილმა საწარმომ არ აღიარა ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც აქტივები, რადგან თვითონ შექმნა ისინი საწარმოში და შესაბამისი დანახარჯები ხარჯებს მიაკუთვნა.

ბასს 37 – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ – განსაზღვრავს პირობით ვალდებულებას, როგორც:

ა) შესაძლო მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და რომლის არსებობაც დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არ-მოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს; ან

ბ) მიმდინარე მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან, ჯერ ერთი,

მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოდან რესურსებში განთავსებული ეკონომიკური სარგებელის გასვლა, და მეორე,

შეუძლებელია ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება

ბასს 37-ის მოთხოვნები არ გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რომელი პირობითი ვალდებულებები უნდა აღიარდეს შექმნის თარიღისათვის. ამის მაგიერ მყიდველმა საწარმომ შექმნის თარიღისათვის უნდა აღიაროს საწარმოთა გაერთიანებაში აღებული პირობითი ვალდებულება, თუ ეს არის მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიშობა წარსული მოვლენების შედეგად და მისი რეალური ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ამგვარად, ბასს 37-ის საპირისპიროდ, მყიდველი საწარმო შექმნის თარიღით აღიარებს საწარმოთა გაერთიანებაში აღებულ პირობით ვალდებულებას მაშინაც კი, თუნდაც მოსალოდნელი არ იყოს რესურსებში განთავსებული ეკონომიკური სარგებელის გასვლა საწარმოდან ამ ვალდებულების დასაფარად.

თითოეულ საწარმოთა გაერთიანებისათვის მყიდველმა საწარმომ ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შექმნილ საწარმოში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით ან შექმნილი საწარმოს ინდივიდუალურად წმინდა აქტივებში არამაკონტროლებელი წილის პროპორციული წილით. არამაკონტროლებელი წილი არის წილი შეიღობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში, რომელიც სათავო საწარმოს არ ეკუთვნის არც პირდაპირ და არც ირიბად [1, გვ.375]

არამაკონტროლებელი წილი გამოიანგარიშება შეიღობილი საწარმოს სრული შემოსავლების ანგარიშგების მუხლიდან „მოგება დაბეგურის შემდეგ“. იგი ცალკე გამოიყოფა კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და ემატება არამაკონტროლებელ წილს ბალანსში.

დასკვნა

ამრიგად, საწარმოთა გაერთიანების დროს მყიდველმა საწარმომ უნდა განსაზღვროს, სამეურნეო ოპერაცია არის თუ არა საწარმოთა გაერთიანება, რომელიც მოითხოვს, რომ შექმნილმა აქტივებმა და აღებულმა ვალდებულებებმა დააფუძნოს საწარმო. თუ შექმნილი აქტივები არ წარმოადგენს საწარმოს, ანგარიშგაღებულმა საწარმომ სამეურნეო ოპერაცია უნდა ასახოს, როგორც აქტივის შექმნა.

შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები უნდა შეფასდეს მათი შექმნის თარიღის რეალური ღირებულებით, რადგან რეალური ღირებულება წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ყველაზე რეალისტურ ატრიბუტს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. fass 3 sawarmoTa gaerTianeba. Tb., 2009.
2. ACCA F7. ფინანსური ანგარიშგება. ინგლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის პროფესიული სერტიფიცირების სახელმძღვანელო. თბ., 2009.
3. ACCA F3. ფინანსური აღრიცხვა. ინგლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის პროფესიული სერტიფიცირების სახელმძღვანელო. თბ., 2009.

4. e. xarabaZe, finansuri aRricxva (me-2 done). Tb., 2012.
5. n. kvataSiZe, a. xorava, z.gogriWiani, finansuri angariSgeba. Tb., 2011.
6. n. kvataSiZe korporaciuli angariSgeba. Tb., 2012.

Marina Maisuradze

IDENTIFICATION OF INTEGRATION OF ENTERPRISES, RECOGNITION AND ASSESSMENT OF ASSETS AND LIABILITIES
Annotation

Thus, in case of integration of the enterprises, the buying company must determine whether such the integration is an economic operation requiring that a new enterprise should be established with the obtained assets and liabilities. If the obtained assets are not an enterprise, then the reporting company must reflect the economic operation as obtaining the assets.

The obtained identified assets and liabilities must be assessed by their real value as of the date of obtaining thereof, because a real value is the most relevant attribute of the assets and liabilities received in case of integration of the enterprises.

ლილია მაშულაშვილი

PR – მარკეტინგის მენეჯმენტის ინტეგრირების

მარკეტინგი – ესაა სოციალური პროცესი, რომელიც მიმართულია ადამიანების თუ ორგანიზაციის მსყიდველუნარიანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ მარკეტინგული ობიექტების თავისუფალი კონკურენტული გაცვლის უზრუნველყოფის გზით. მარკეტინგის პროცესის ძირითადი ელემენტებია: წარმოება, დისტრიბუცია, კომუნიკაცია, გაყიდვა. კომუნიკაცია ერთადერთი ფორმაა მარკეტინგის პროცესის ინტეგრაციისთვის. იგი მოიცავს პროცესის მონაწილეთა შორის შიდა კომუნიკაციას (მენეჯმენტი); პროცესის მონაწილე ჯგუფებს შორის შიდა კომუნიკაციას (შიდა PR) და კომუნიკაციას პროცესის შიდა მონაწილეებსა და მომხმარებლებს, მარკეტინგის პროცესის საზოგადოებრივ მონაწილეებს შორის (მარკეტინგული კომუნიკაცია). 1990-იან წლებში წარმოიშვა ახალი მიმართულება: "მარკეტინგული კომუნიკაციები" და "ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები". ეს ახალი გაგება წარმოიშვა მაშინ, როდესაც რიგმა დიდმა კომპანიებმა შექმნეს ისეთი სტრუქტურული ერთეულები, რომლებმაც შეითავსეს მარკეტინგის და PR-ის ფუნქციები. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები გულისხმობს PR-ის და რეკლამის ჩართვას მარკეტინგის პროცესის ყველა სტადიის დროს, დაწყებული დაგეგმვიდან, დამთავრებული ბაზარზე დამკვიდრების მიზნით ორგანიზებული ღონისძიებებით. მარკეტინგი – ეს არის მართვის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს მოგების ზრდას მომხმარებლების მოთხოვნების განსაზღვრის, მათი პროგნოზირებისა და დაკმაყოფილების გზით. მარკეტინგი უნდა დაეხმაროს პროდუქტის გაყიდვას, ხოლო PR -მა უნდა შექმნას ხელსაყრელი გარემო და პირობა ამისათვის. შესაბამისად, მარკეტინგმა უნდა გაყიდოს ორგანიზაციის პროდუქტი, ხოლო PR-მა – თავად ეს ორგანიზაცია მისი რეპუტაციის ამაღლებით. მარკეტინგი – ეს მართვის პროცესია, პასუხისმგებელია გაარკვიოს, განსაზღვროს, პროგნოზირება გააკეთოს და დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნები ორგანიზაციის სასარგებლოდ. მარკეტინგის მიზნები მუდამ ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარეობს, რაც პროდუქციის გასაღებას, მოგების ზრდას გულისხმობს.

როგორც მარკეტინგი, ასევე პიარიც ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოიშვა XIX საუკუნეში. მარკეტინგის ეპოქა იწყება 50-იანი წლებიდან, როცა კომპანიებმა მარკეტინგის გამოყენება დაიწყეს თანამედროვე ფორმით. თუ წინა წარმატების მისაღწევად კომპანიები მათ მიერ წარმოებულ პროდუქტს თავს ახვედნენ მომხმარებლებს, ახლა მათ უკვე დაიწყეს ზრუნვა მომხმარებელთა კონკრეტული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

PR – ეს მენეჯმენტის ფუნქციაა, რომელიც აფასებს საზოგადოებასთან ურთიერთობას და ახდენს სამოქმედო პროგრამის რეალიზებას, რათა მოიპოვოს საზოგადოების კეთილმოსურნეობა. PR-ის 5 ძირითადი მიზანია: პოზიციონირება – კლიენტისათვის გასაგები იმიჯის შექმნა. თუ ადამიანი შეხვდება უცნობ, მისთვის გაუგებარ იმიჯს, მეტი ალბათობაა, რომ განეწყოს მის წინააღმდეგ, ვიდრე მის სასარგებლოდ; იმიჯის ამაღლება - პოზიციონირების შემდეგ დგება იმიჯის ამაღლების ეტაპი. ანტირეკლამა - იმიჯის შემცირება უფრო ადვილია, ვიდრე მისი ამაღლება, ვინაიდან ადამიანებს ერთმანეთში ნაკლის პოვნა უფრო უადვილდებათ; კონკურენტებისაგან დისტანცირება – PR ობიექტის პოზიციონირება ხდება კონკურენტების ფონზე; კონტრრეკლამა – დაცემული იმიჯის აღდგენა და განვითარება; იმიჯი ცვალებადია და, ესე იგი, მერყევი მოვლენა – სხვის თვალში ის ხან მაღლდება, ხან ეცემა. ამიტომ კონტრრეკლამის მეშვეობით ხდება უკვე დაცემული იმიჯის აღდგენა. PR-ის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მომხმარებლებთან, პარტნიორებთან, ადგილობრივ საზოგადოებასთან, ხელისუფლებასთან, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან, თანამშრომლებთან, ინვესტორებთან ურთიერთობების ფორმირება.

PR აქციების უმეტესობა ტარდება იმ მიზნით, რომ დაარწმუნონ ადამიანები, შეიცვალონ აზრი ამ თუ იმ საკითხთან, პროდუქციასთან ან ორგანიზაციასთან დაკავშირებით; ჩამოაყალიბონ საზოგადოებრივი აზრი მისი არარსებობის შემთხვევაში. PR – როგორც მარკეტინგის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა მეორეხარისხოვანად, ბოლო პერიოდში კი მისი მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა. კომპანიებს სულ უფრო უკეთ ესმის, რომ მასიური მარკეტინგი ახალ საკომუნიკაციო მოთხოვნებს აღარ პასუხობს. მართალია რეკლამის ღირებულება სულ უფრო იზრდება, მაგრამ მისით აუდიტორიის მოცვა სულ უფრო და უფრო მცირდება. ასეთ სიტუაციაში PR გვირგვინდება, გახდეს ეფექტური საშუალება დანახარჯებსა და შემოსავლებს შორის საუკეთესო ურთიერთქმედებისათვის. შემოქმედებითი მიდგომა სიახლეებისადმი, პუბ-

ლიკაციებისადმი, სოციალურ-საზოგადოებრივ და სხვა ღონისძიებებისადმი პიარ-ტექნოლოგიები კომპანიებს საშუალებას აძლევს, გამორჩეულები იყვნენ და ინფორმაცია შეუფერხებლად მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს. სასტუმროებში, რესტორნების ქსელში, საკრედიტო კომპანიებში PR განყოფილება, როგორც წესი, განთავსებულია კორპორაციულ ოფისებში. ძალიან ხშირად მომსახურებები დაკავებულნი არიან საკმაოდ განსხვავებული პრობლემების გადაწყვეტით, შედიან რა ურთიერთობაში პიროვნებებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კომპანიის საქმიანობით. ამიტომ მარკეტინგის მხარდაჭერა PR-ის მხრიდან ჩრდილში რჩება. დღეისთვის მრავალ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ეს პრობლემა გადაწყვეტილია. PR-ის არსებობის მანძილზე მიღებული გამოცდილებები საშუალებას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ. PR-ის მიზნობრივი ორიენტაცია საზოგადოებრივი აზრის შეცვლაა, რომელიც, თავის მხრივ, გამოიწვევს გარკვეულ ცვლილებებს ქცევაშიც. ამიტომ მის ყურადღებას იმსახურებენ ობიექტები, რომელთაც შეუძლიათ მასობრივი ცნობიერებაზე გავლენის მოხდენა.

წარსულში მიღებული იყო, რომ მარკეტინგის და PR-ის ფუნქციებით კომპანიებში დაკავებული იყვნენ სხვადასხვა განყოფილებები. ახლა ეს ამოცანები სულ უფრო და უფრო ინტეგრირდება რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი – კომპანიებს სულ უფრო მეტად სჭირდებათ ბაზარზე ორიენტირებული PR. მათ სურთ, რომ PR-ის განყოფილებამ გამართოს ის აქციები, რომელიც ხელს შეუწყობს კომპანიების გადაადგილებას ბაზარზე და მათი საქმიანობის რენტაბელურობის ამაღლებას. მეორე – კომპანიები ქმნიან სპეციალურ ჯგუფებს მარკეტინგულ PR-ში იმისთვის, რომ სრულყოფილად შეუწყონ ხელი კომპანიის, მისი პროდუქციის წინსვლას და შესაბამისად აქტიურად დაკავდეს სასურველი იმიჯის შექმნის ხელშესაწყობად. PR-ის მარკეტინგულ ასპექტებს აქვთ სპეციალური დამკვეთი – მარკეტინგის განყოფილება. ეფექტური PR – ეს არის განსაზღვრული პროექტის შედეგი, რომელიც ინტეგრირებული უნდა იყოს კომპანიის მარკეტინგულ სტრატეგიაში. PR-ზე ერთ-ერთი არასწორი წარმოდგენაა იმის მტკიცება, რომ რაღაცნაირი მნიშვნელოვანია ხარისხზე.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციებია მარკეტინგული კომუნიკაციების დაგეგმვის თანამედროვე მიდგომა, რომელიც გულისხმობს მარკეტინგული კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების ინტეგრაციას ლოგიკურობის და მაქსიმალური საკომუნიკაციო ზეგავლენის მისაღწევად. მისი შემადგენელი ნაწილებია: PR, პირდაპირი მარკეტინგი, “ვირუსული მარკეტინგი”, ბრენდინგი, სპეციალიზებული გამოფენა, გაყიდვების მხარდამჭერი აქცია, კომუნიკაცია გაყიდვის ადგილზე და სხვა

თანამედროვე PR ფუნქციონირებს არა დამოუკიდებლად, არამედ ყველა სხვა მარკეტინგულ კომუნიკაციასთან ინტეგრირებულად და, შესაბამისად, ქმნის სინერგიას! ეს კი იძლევა იმის საშუალებას, რომ: გაეკავდეთ მიზნობრივ სემინტს მიწოდებული შეტყობინებების ადჰიზის პროცესი და დამახსოვრებადობა; ხელი შეუწყოთ PR ობიექტის ერთიანი იმიჯის ფორმირებას; შევამციროთ დანახარჯები და გავაძლიეროთ კომუნიკაციის ეფექტიანობა; ამ თვალსაზრისით, მარკეტინგს და PR-ს აქვთ იგივე ურთიერთობა, როგორც PR-ს და რეკლამას. ზოგჯერ PR გამოიცხადებს მარკეტინგს (როგორც ლობირების შემთხვევაში). მაგრამ PR-ს და მარკეტინგს შეუძლიათ ერთმანეთის შევსება: მაგ., თუ ტარდება PR – აქცია, ამა თუ იმ პროდუქციის გაყიდვის ხელშესაწყობად. მსგავსებები და განსხვავებები რეკლამასა და PR-ს შორის მეტყველებს მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე.

უფრო მეტიც, ეს ურთიერთობა შეიძლება იყოს როგორც ურთიერთშენაცვლებადი, ასევე დამატებითი. გვევლინება, რა "დემოკრატიის შეიღობილად", სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შედეგად, PR ძირეულად განსხვავდება ტრადიციარის იხეთი ატრიბუტიცაგან, როგორცაა პროპაგანდა. მათ შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს მიზანში.

მარკეტინგში ძირითად როლს თამაშობს ანალიტიკური საქმიანობა. თუმცა კვლევა, რომელიც გამოიყენება რეკლამის მომზადების დროს, მხოლოდ ბაზრის შესწავლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მარკეტინგის სპეციალისტებისათვის მთავარია პასუხი გაეცეს ორ ძირითად შეკითხვას: არსებობს თუ არა მოთხოვნა კონკრეტულ პროდუქტზე ან მომსახურებაზე და თუ არსებობს ასეთი მოთხოვნა, მაშინ მოსახლეობის რა კატეგორიაში იქნება მათზე მოთხოვნა. მარკეტინგი არის ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხელს უწყობს პროდუქტის ან მომსახურების ბაზარზე დამკვიდრებას, ფასების პოლიტიკის რეგულირებას, PR კი – ეს არის კომპანიის რეპუტაციის მართვა. მარკეტინგი ქმნის ბაზარს კომპანიის პროდუქციის ან მისი მომსახურებისათვის, ხოლო PR უზრუნველყოფს კეთილსასურველი გარემოს შექმნას. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია მარკეტინგულ წარმატებას საფრთხე დაემუქროს, გამოდინარე იმ ნეგატიური სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციებიდან, რომელთაც მუშაობა ასევე წარმოადგენს PR-ის ამოცანას.

გარდა მომხმარებლებისა, მარკეტინგი შეიძლება დაინტერესდეს ისეთი ჯგუფებით, როგორებიცაა: გამყიდველები, დილერები, საბითუმო მოვაჭრენი და სარეკლამო განყოფილებების თანამშრომლები. ბაზრის ანალიზს დიდი მნიშვნელობა გააჩნია PR სპეციალისტისათვის, რადგანაც ის მომხმარებლებზე დეტალური ინფორმაციის გარეგნობის საშუალებას იძლევა.

დღეისათვის მარკეტინგული კონცეფციები აღიარებენ, რომ კომპანიის მიზანი, რომელიც მუშაობს ბაზარზე, არის ის, რომ მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნები და არ მიაყენოს ზიანი საზოგადოებას. ეს გამოიხატება პროდუქციის ხარისხის კონტროლში, ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვაში და იმ სოციალური ღონისძიებების ორგანიზებაში, რომელსაც წარმართავს კომპანია, რომელთა ჩატარება და ორგანიზება არის PR-ის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია. მარკეტინგის კომპლექსში იგულისხმება: პროდუქტი, ფასი, ადგილი და ბაზარზე დამკვიდრება. პიარის ძირითადი მიზანია კომპანიასა და საზოგადოებას შორის ორმხრივი ურთიერთობების დამყარება. საზოგადოების ინფორმირება რომ მოხდეს, საჭიროა არსებობდეს როგორც ინფორმაციის გამცემი, ისე ამ ინფორმაციის მიმღებიც. თუ მარკეტოლოგები ეთანხმებიან იმას, რომ PR დაკავებულია რეპუტაციით, ისინი სწრაფად მივლენ იმ დასკვნამდე, რომ მას ამოცანების უფრო ფართო დი-

აპაზონი აქვს, ვიდრე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უბრალო გაშუქებას. სწორად შედგენილ პიარ-გეგმას შეუძლია შეცვალოს მიზნობრივი აუდიტორიის არსებული პოზიცია, გახადოს წარმოებული პროდუქცია ან მომსახურება უფრო მიმზიდველი, ვიდრე კონკურენტების. მას ასეთი სახით შეაქვს თავისი წვლილი საქონლის რეალიზაციაში. გარდა ამისა, იგი აუმჯობესებს ორგანიზაციის საერთო პოზიციას ბაზარზე და შეიძლება გავლენაც კი იქონიოს აქციების ფასებზე.

ტრადიციულად, მარკეტინგში პიარი ასრულებს მხარდამჭერ როლს და არა წამყვანს. მაგრამ უცხოური ფირმები ბოლო ათეული წლის განმავლობაში კიდევ უფრო ხშირად იყენებენ პიარს, როგორც სტრატეგიისა და წინსვლის შემადგენელ ნაწილს. ფირმები პიარს იყენებენ როგორც კომუნიკაციურ ინსტრუმენტს, რომელსაც გააჩნია უფრო მეტი ეფექტი, ვიდრე რეკლამასა და მარკეტინგს.

PR მარკეტინგს ესმარება მრავალი ამოცანის გადაწყვეტაში. მნიშვნელოვანია სამიზნე სემინტის ინტერესების, მოთხოვნებისა და პრიორიტეტების გამოკვლევა, რაც არსებითად ზემოქმედებს პროდუქციის სტაბილურ რეალიზაციაზე. PR-ის დახმარებით ეფექტური კომუნიკაციის შექმნა გარე სამყაროსთან გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს კონკურენციის პირობებში. PR, როგორც საბაზრო მოღვაწეობის მიმართულება, გაიზარდა და დასავლეთში უკვე გამოყოფილ მარკეტინგს. პიარს შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს მარკეტინგული სტრატეგიების წარმატებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ხახუტაშვილი, ლ. კაპანაძე. საზოგადოებასთან ურთიერთობა, ეკონომიკისა და მენეჯმენტის კონსულტანტთა ასოციაცია. თბ., 2007.
2. Почепцов Г.Г. Паблик Рилейшнз для профессионалов. М.: Ваклер, 2002.
3. Синяева И.М. Паблик рилейшнз в коммерческой деятельности: Учебник/ Под ред. проф. Г.А. Васильева М.: Юнити, 2000.
4. prguide.ge/content.php?article.68
5. nsspr.wordpress.com/2011/10/09/382/
6. zhanetpr.blogspot.com/2013/04/pr.html

Leila Mamulashvili

PR AS AN IMPORTANT TOOL OF MARKETING Annotation

In the past different divisions of organizations were occupied by the marketing and PR functions. At present, those tasks are becoming more and more integrated for several reasons: 1) companies need more market-oriented PR. They want the PR division to carry out the activities that will help the companies increase their market coverage and their profitability as well. 2. Companies form specific PR-marketing teams, in order to promote and create a desirable image of a product. Marketing aspects of PR have their specific customer- marketing division. Effective PR is a result of a project, which should be integrated into the marketing strategy of a company. One of the wrong perceptions of PR is to assert that the quantity is more important than quality.

Modern PR does not function independently, but it is integrated into the other types of marketing communications and it creates synergy! It gives an opportunity to make the perception and memorization of a delivered message easier for the target segment; promote the establishment of a holistic image of a PR-object; decrease the cost and strengthen the effectiveness of communication.

იოსებ მასურაშვილი

ინოვაციები თანამედროვე ადმინისტრირებაში

“...ნეტარ არიან მშვიდნი რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა...” (ბიბლი.)
“სავსე თავთავი თავდახრილია, ცარიელი კი თავს მაღლა სწევს” (ხალხ.)

რამდენადაც სწრაფად ცვალებად და განვითარებად პირობებში გვიწევს ცხოვრება, შესაბამისად წარმატება ნებისმიერ სფეროში განპირობებულია იმით, თუ დროთა ვითარებიდან გამომდინარე რა ღონეზე ხდება ინოვაციების, ინოვაციური მიდგომების (ან თუნდაც კარგად დავიწყებული ძველის) დანერგვა და გამოყენება ამა თუ იმ მიმართულებით. ვინაიდან ადამიანურ ურთიერთობებზეა აგებული, ამიტომ, დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ადმინისტრირება, მართვა, მენეჯმენტი პერიოდულად განიცდის გარკვეულ ცვლილებებს, რაც ამ ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს.

იცვლება მოთხოვნები მართვის სტილისადმი და ადმინისტრირებაც უფრო რეალურად მორგებული ხდება ადამიანური ურთიერთობებისადმი.

მეცნიერები უახლოეს წარსულში იდეალური მმართველის თვისებად მიიჩნევდნენ ქარიზმატულობას, ამბიციურობას, სხეებისგან გამორჩეულობას, პოპულარობას, ადამიანს, რომელიც საკუთარ თავში ღრმად იყო დარწმუნებული და რამდენიმე საქმეს ერთდროულად „ეჭიდებოდა“¹¹⁴.

გაუაანალიზებთ რა უცხოელი მკვლევარების ჩარხ სევიჯის და ჯიმ კოლინზის შრომები და მათში მოყვანილი რიტორიკა, წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვედგინა ჩვენი მოკრძალებული ხედვა აღნიშნულ საკითხზე. ჩარლზ სევიჯმა¹¹⁵ (ნაშრომში – „მეხუთე თაობის მენეჯერები“) თანამედროვე ახალი ტიპის მმართ-

¹¹⁴ Vlatka Hlupic. Knowledge and Business Process Management. Bruney University, UK, IGP., 2003. p.38.

¹¹⁵ www.books.google.com/books?isbn=0750697016 .

ველებს უწოდა „მეხუთე თაობის მენეჯერები“, ხოლო ჯიმ კოლინზმა¹¹⁶ (ნაშრომში – „კარგიდან უკეთესობისკენ“) კი – „მეხუთე დონის მენეჯერები“.

მათი კვლევებიდან გამომდინარე, ინოვაციური მმართველების დამახასიათებელი თვისებები ასეთია: არიან დაბალი მოთხოვნილებების მქონე, ნაკლებად პრეტენზიული, თავმდაბალი, ერთი შეხედვით ტოვებენ სუსტი ადამიანის შთაბეჭდილებას, თუმცა, საქმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არიან გაბედულნი, შრომის-მოყვარენი, საკუთარი ორგანიზაციისათვის თავგანწირულნი, შინაგანად ძლიერნი, მტკიცე ნებისყოფის. ჩვენ შევეცადეთ ყოველივე აქ ჩამოთვლილი გავვეერთიანებინა ორ სიტყვაში – „თავმდაბლობა“ და „ნებისყოფა“.

ნ. სევიჯის კვლევებიდან გამომდინარე, მართვის ახალი პრინციპები ნაკარნახევაა ორი გარემოებით:


ჯერ ერთი, ორგანიზაციებში კომპიუტერების, კომპიუტერული ქსელების და სხვადასხვა გამოყენებითი სისტემების გავრცელებით (მართვის ავტომატიზებული სისტემები, მონაცემთა ბაზები, აღრიცხვის და კონტროლის პროგრამები და ა.შ.), რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, მუშაობენ ერთმანეთთან შეუთახმებლად. ხშირად კი მხოლოდ „თავისთვის“ (და არა ორგანიზაციისთვის);

მეორეც – თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულად ოპერატიული და მოქნილი რეაგირების აუცილებლობა ბაზრის მოთხოვნებზე, მომხმარებელთა ახალი მოთხოვნების გათვალისწინება, ახალი სამთავრობო შეზღუდვები, კონკურენტების მოქმედებები, ტექნიკური სიახლეები, აღმოჩენები და ა.შ.

ამ ორი პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს ორგანიზაციის იერარქიულ პრინციპებზე უარის თქმას (სხვათა შორის, უმეტეს კომპანიებში იერარქიული სტრუქტურა მხოლოდ მითია, რეალური ურთიერთობები კი სრულიად განსხვავებულია)¹¹⁷.

მკაცრი იერარქიულობით ხასიათდება მეორე თაობის მენეჯმენტი (მანამდე, პირველი თაობის მენეჯმენტში, მენეჯერი არ იყო გამოყოფილი მესაკუთრისგან); ამჟამად უკვე განვლილ პერიოდად ითვლება მატრიცული ორგანიზაციები და ორგანიზაციებში ჩანერგილი კომპიუტერული ქსელები (მესამე და მეოთხე თაობა); შემდეგი მოდის იმ ორგანიზაციების რიგი, რომლებიც მმართველების ქსელისგან შედგება.

ასეთი ქსელის ფორმირების საფუძველი შეიძლება სქემის წარმოვიდგინოთ (იხ. სქემა 1).



სქემა 1

ადამიანს, რომელიც კონკრეტული პროდუქტის მისაღებად რაიმე პროცესს ახორციელებს, წარმოდგენა აქვს ამ პროცესზე და ამ პროდუქტზე¹¹⁸. ამასთანავე თავისი ჩანაფიქრის რეალიზებას ახდენს და იყენებს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას. ამ აქტის შედეგია არა მარტო პროდუქტი, არამედ ცვლილებებიც კი სქემის ყველა სხვა კომპონენტებში, მათ შორის ნებისმიერი სხვა ადამიანის (პროდუქტის მომხმარებლის) როგორც ჩანაფიქრებში, აგრეთვე ცოდნაში. ყოველივე ამას შეიძლება დაერქვას „მუშაობა დიალოგის რეჟიმში“, რაც, თავის მხრივ, საპირისპიროა შეხედულებისა – „მუშაობა, როგორც განკარგულებათა შესრულება“.

თეზისს „მუშაობა დიალოგის რეჟიმში“ აქვს მნიშვნელოვანი შედეგები: თანამედროვე მენეჯერისათვის აუცილებელია უზრუნველყოს პროდუქტის დამზადების პროცესის ხედვის მთლიანობა მისი წარმოების შედეგების, შესაძლო გაუმჯობესების, მომხმარებლის მოთხოვნილების კონტექსტში და ა.შ. (ამის უზრუნველყოფა კი ხდება ცოდნით და ჩანაფიქრით).

მეხუთე თაობის მენეჯმენტის სხვა პრინციპები ასეთია:

– დაკავშირება ხელმძღვანელებისა არა დაქვემდებარებულებთან, არამედ თანაბარუფლებიან ადამიანებთან. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან პირდაპირი კონტაქტის საშუალება; ყველა თანამშრომლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი ინფორმაცია კომპანიის შესახებ; უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელმისაწვდომობა ნებისმიერი თანამშრომლის ცოდნაზე; სამუშაოს უნდა აკეთებდნენ „გუნდები“, რომლებიც იმუშავენ ან გარკვეულ პროექტზე, ან კონკრეტულ შემკვეთთან, ან კლიენტების ჯგუფთან. გუნდი შედგება სხვადასხვა განყოფილებების თანამშრომლებისგან ან, უფრო ზუსტად, იმ ადამიანებისგან, რომლებიც კომპე-

¹¹⁶ http://www.jimcollins.com/article_topics/articles/good-to-great.html

¹¹⁷ John Harte. Management Crisis and Business Revolution. www.books.google.com/books?isbn=1412827965.

¹¹⁸ David S. Weiss. Leadership-Driven HR: Transforming HR to Deliver Value for the Business. books.google.com/books?isbn=1118364309.

ტენტური იქნებიან სხვადასხვა სფეროებში: წარმოებაში, ფინანსებში, საბაზრო ურთიერთობებში, კონსტრუქციებში და ა.შ.

– ორგანიზაციის ერთიანობის (მთლიანობის) მხადაჭერა „გუნდების“ ქსელის შექმნის ხარჯზე. ამ გუნდებს შეუძლიათ და უნდა იყვნენ კიდევ ძირითადად „პოტენციურები“, რათა ორგანიზაციას ყოველთვის შეეძლოს რეაგირება ცვალებად გარე პირობებზე, ახალ ჩანაფიქრებზე ან ცოდნაზე. ორგანიზაციაში ინსტიტუციონალიზებული უნდა იყოს მზადყოფნა ცვალებადობებთან.

– პოტენციური, „ვირტუალური“ გუნდების შექმნა. ჯერ ერთი, აუცილებელი არა არის რომ გუნდები ერთ ოთახში და ერთ ქალაქში მუშაობდნენ; მეორეც, ისინი უნდა იყვნენ არა გუნდები კონცენტრირებული ამოცანაზე, არამედ ამოცანების მაკონცენტრირებული გუნდები – ანუ ვინც დამოუკიდებლად შეიძლება ამოცანების გამოყოფას პრობლემური სახდერებიდან (ეს განლაგებულია „ჩანაფიქრების“ და „ცოდნის“ ბლოკებს შიგნით).

თანამედროვე ორგანიზაცია შეიძლება შევადაროთ ერთგვარ მუსიკალურ ჯგუფს: ყველა მუსიკოსმა იცის თემა, მაგრამ თვითონ ახდენს იმპროვიზებას და ამისთვის ერთიანდება სხვებთან¹¹⁹.

ინოვაციურ ხელმძღვანელებს სჭირდებათ მართვის ახალი სტილი. თუ თვალს მივადევნებთ მართვის ევოლუციის ეტაპებს, დავიხსავთ იმ განსხვავებას, რომელიც დამახასიათებელია ინოვაციური (მეხუთე თაობის) მმართველებისთვის (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

	პირველი თაობა	მეორე თაობა	მესამე თაობა	მეოთხე თაობა	მეხუთე თაობა
	ტექნოლოგია აქტივების ნაცვლად	პროექტი აქტივის ნაცვლად	საწარმო აქტივის ნაცვლად	კლიენტი აქტივის ნაცვლად	ცოდნა აქტივის ნაცვლად
ძირითადი სტრატეგია	კვლევები და განვითარება იზოლაციაში	დაყრდნობა ბიზნესზე	ტექნოლოგია/ ბიზნეს ინტეგრაცია	ინტეგრაცია კვლევებისა და განვითარების სამსახურთან	თანამედროვე ინოვაციური სისტემა
ცვლილებების კოეფიციენტები	წინასწარ დაუგეგმავი, ინტუიციური გამჭრიახობა	ურთიერთ დამოკიდებულება	კვლევებისა და განვითარების სისტემატური მენეჯმენტი	განმაცალკევებული გლობალური ცვლილებების დანქარება	კალეიდოსკოპური დინამიკა
მწარმოებლურობა	კვლევები და განვითარება როგორც ზედნადები	ხარჯების განაწილება	რისკის / შემოსავლების ბალანსი	მწარმოებლურობის პარადოქსი	ინტელექტუალური პოტენციალი/ შემოქმედება
სტრუქტურა	იერარქიულიობა; ფუნქციონალური მატარებლები	მატრიცა	განაწილებული კოორდინაცია	მრავალმხრივი პრაქტიკული საზოგადოებები	სიმბიოზური ქსელი
ადამიანები	კომპეტენტური ჩვენ/ისინი	აქტიური თანამშრომლები	სტრუქტურირებული თანამშრომლობა	ფოკუსირება ღირებულებებზე და მოცულობაზე	ცოდნაზე აგებული დამოუკიდებელი მმართველობა
პროცესი	მინიმალური კავშირები	საფუძველი პროექტი პროექტისთვის	მიზანმიმართული კვლევები და განვითარება/ პორტფელი	უკუკავშირი და ინფორმაციის დაცვა	სწავლის და ცოდნის ნაკადის კროსკულტურული მართვა
ტექნოლოგია	ემბრიონალური	მონაცემებზე დაფუძნებული	ინფორმაციაზე დაფუძნებული	ინფორმაციული ტექნოლოგიები, როგორც იარაღი კონკურენტულ ბრძოლაში	ცოდნის ინტელექტუალური პროცესორები

დასკვნის სახით შესაძლებელია ჩამოვყავალიბოთ, თუ რა უნდა გაითვალისწინოს თანამედროვე მენეჯერმა ორგანიზაციის მართვის სტრუქტურის გარდაქმნის დროს:

1. ყველა მენეჯერისთვის აშკარა უნდა იყოს პერსპექტიული ხედვის ბლოკი, რომელშიც ჩანს ე.წ. „კონტექსტი“ (ჩარჩო) მთელი ორგანიზაციის მუშაობისთვის.

უნდა მოხდეს ორგანიზაციის (და არა ქვეგანყოფილების) ფუნქციონალური ფოკუსის ორგანიზება, რომელიც მოიცავს მარკეტინგს, გაყიდვებს, ახალი პროდუქციის კონსტრუირებას, წარმოებას, ფინანსებს, კადრებს, ადამიანურ რესურსებს. ამას უნდა აკეთებდნენ ქვეგანყოფილების უფროსები; უნდა შეიქმნას ყველასთვის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზები როგორც თანამშრომელთა კვალიფიკაციაზე, შესაძლებლობებზე, მიდრეკილებაზე, აგრეთვე სხვადასხვა გარე ექსპერტებზე. „ყოველი ფოკუსი – ეს არის სხვებისთვის რესურსი“.

2. შეიქმნას ღია ტექნიკური ინფრასტრუქტურა – კავშირგაბმულობა, ელფოსტა, მონაცემთა ბაზის განაწილება, მართვის ავტომატიზებული სისტემების გამოყენებითი პროგრამები და ა.შ., რომლებიც უზრუნველფენ პროექტირების შედეგების სწრაფად მორგებას წარმოების სპეციფიკისადმი, მომხმარებელთა მოთხოვნილებებისადმი, სარეკლამო და ტექნიკურ აღწერილობასთან.

¹¹⁹ K.E. Novoselov. Internal Controls, Collusion, and Hierarchical Structure. USA. 2007.

3. საჭიროა შემუშავდეს იმ მონაცემთა ინტეგრირებისა და ორგანიზების სტრატეგია, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების სამუშაოში ჩართვის შესაძლებლობას.

4. ჩამოყალიბდეს გუნდები, რომელთაც შეეძლებათ პარალელურად და თანმიმდევრულად იმუშაონ ბევრ საკითხზე. სპეციალურმა ავტომატიზებულმა სისტემებმა მათთვის უნდა უზრუნველყონ ორგანიზაციის „ხედვა“ – ვინ რომელ გუნდშია ამჟამად, რაზე მუშაობს ის და ა.შ. ანალოგიურ სისტემით ხდება სამუშაო დროის აღრიცხვა. გუნდები თავად განსაზღვრავენ საკუთარ მიზნებს, გეგმებს, მუშაობის რეჟიმებს და ა.შ.

5. მოხდეს სწავლების უზრუნველყოფა როგორც გუნდების და ცალკეული თანამშრომლების: მათ ერთმანეთისგან უნდა ისწავლონ, შეინარჩუნონ პროექტზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა და გამოცდილება, რითაც შეავსებენ ცოდნის სპეციალურ ბაზას. ამ გზისკენ მთავარი წინააღმდეგობაა – კონკურენტული ინდივიდუალიზმი (რომელთა აღზრდა მოხდება სკოლებში/კოლეჯებში) და დამოკიდებულება საკუთარ ცოდნასთან, როგორც საკუთრებასთან.

6. მოხდეს ფორმულირება და ფორმირება ღირებულებების, ნორმების და წახალისების სისტემის. მთავარი წახალისება ჩვენს დროში – ეს მონაწილეობაა საინტერესო და პერსპექტიულ საქმეში.

7. მოხდეს ორგანიზება გუნდების ქსელის: მათ შეუძლიათ ჩართონ მომხმარებლების, კლიენტების, პარტნიორების წარმომადგენლები. აქ კიდევ ერთხელ შეგვიძლია გავისხენოთ შედარება მუსიკალურ ბენდთან.

8. მოხდეს გამოცდილების, მონაცემების და ინფორმაციის დაგროვება, შენარჩუნება და გამოყენება – შემუშავდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, შეიცვალოს დამოკიდებულება თანამშრომელთა ცოდნასა და გამოცდილებასთან.

9. მოხდეს ვირტუალური გუნდების ორგანიზება.

ჩვენს დროში სიმდიდრის წყარო და რესურსია არა კაპიტალი, მარაგები, ან საკუთრება, არამედ შესაძლებლობები.

Ioseb Masurashvili

INNOVATION IN CONTEMPORARY ADMINISTRATION

Annotation

One of the most striking features of the leaders of the future is their duality: they are both modest and willful, shy and fearless. Usually they are great successors because they want one thing – that in the future the company has achieved great success, and they do not care if anyone finds out about their role. A man carrying a process to produce a certain product, has no idea about the process on this product, while implementing their plans and uses his knowledge and experience. The result of this act is not only the product itself, but also changes in the other components of the scheme, including plans, and knowledge of every other person – member or participant in a cooperative product.

ირმა მოლაშხია

“Just-In-Time” (JIT) – დამზოგველი (ეკონომიური) საწარმოო სისტემა

წარმოების ორგანიზაცია სისტემით “Just-In-Time”-JIT „ზუსტად დროში“ საჭირო ნაწარმის, საჭირო რაოდენობით, საჭირო დროს წარმოებას ნიშნავს. ეს არის მუდმივი სრულყოფის ფილოსოფია, იმ საქმიანობის გამოვლენა და აღმოფხვრა, რომელიც არ ქმნის დამატებულ ღირებულებას ან არასაწარმოო ხარჯებს წარმოშობს. მისი ამოცანებია: ხარისხისა და პროცესის საიმედოობის მუდმივად გაუმჯობესება შეკვეთის მიღების მომენტიდან მის შესრულებამდე დროის მინიმუმის, დეფექტებზე დანახარჯების შემცირების და აუცილებელი ფართების მინიმუმამდე დაყვანის ხარჯზე.

მიდგომა „ზუსტად დროში“ პირველად შემუშავდა იაპონურ საავტომობილო კომპანია “Toyota“-ში. მისი ავტორია ტაიში ონო (რომელიც საბოლოოდ კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი გახდა წარმოების სფეროში) და რამდენიმე მისი კოლეგა. იმაზე, რომ JIT – დამზოგველი საწარმოო სისტემა შემუშავდა სწორედ იაპონიაში, ხედავდნენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ იაპონია წარმოადგენს ჭარბდასახლებულ ქვეყანას ძალზე შეზღუდული ბუნებრივი რესურსებით. არ არის გასაკვირი, ვინაიდან იაპონელები ძალიან მგრძობიარენი არიან მასალების, დროისა და სახსრების ფუჭ ხარჯვასა და შრომის არაეფექტიანობასთან მიმართებაში. ისინი წუნიან საქონელსა და დეფექტების გამოსწორებას როგორც უსარგებლო ხარჯებს, ისე აფასებენ, ხოლო მარაგს – როგორც ბორტებს ისე მიიხევენ, რადგან ისინი სივრცეს იკავებენ და რესურსებს აღარ ზღუდავენ.

JIT სისტემის საბოლოო მიზანია სისტემის მეშვეობით მივიღოთ მასალების მწყობრი და სწრაფი ნაკადით დაბალანსებული სისტემა, რომელშიც ხარისხი „ჩადებულია“ როგორც ნაწარმში, ასევე საწარმოო პროცესში. JIT სისტემა მოითხოვს პროდუქციის მაღალ ხარისხს პროცესის თითოეულ სტადიაზე, ხელშეკრულებითი ვალდებულებების ზუსტად შესრულებას მომწოდებლების მიერ და მზა პროდუქციაზე მოთხოვნის სწორ პროგნოზირებას. JIT სისტემაში დაპროექტება და წარმოება მისი მიზნების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს, რომელიც ოთხი ფორმირებადი ბლოკისაგან შედგება:

1. ნაწარმის შემუშავება;
2. პროცესის შემუშავება;
3. საკადრო/ორგანიზაციული ელემენტები;
4. წარმოების დაგეგმვა და მართვა.

თავის მხრივ, თითოეული ბლოკი რამდენიმე ელემენტს მოიცავს, რომელთა სისწრაფესა და სიმართვეზე დიდადაა დამოკიდებული JIT სისტემის დანერგვის უპირატესობა.

უნდა აღინიშნოს, რომ იაპონურ ფირმა “Toyota”-ს თითქმის 20 წელი დასჭირდა ამ სისტემის სრულად დანერგვისათვის, რათა მისი გამოყენების შედეგად მწარმოებლურება გაცილებით მაღალი ყოფილიყო დასავლელი კონკურენტების წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლებზე.

იაპონური მიდგომა მწარმოებლურობისადმი დიდ ინტერესს იწვევს მთელ მსოფლიოში. ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის მერე იაპონიის ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა ინდუსტრიალიზაციის გზით მოსახლეობის სრული დასაქმებისათვის მიღწევა. თავისი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად იაპონიამ ტექნოლოგიის იმპორტირება დაიწყო. ახალი ტექნოლოგიების შემუშავების ნაცვლად იაპონელი მრეწველები ლიცენზიებს ყიდულობდნენ (ყველაზე ხშირად ამერიკული ფირმებისაგან), ამ სახით ისინი ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებზე საჭირო ხარჯები და მასთან დაკავშირებული რისკები. ახალი პროდუქციის შექმნისას მწარმოებლურობის ამადლებსა და ერთეულ პროდუქციაზე თვითღირებულების შემცირების მიზნით, მათ კონცენტრირება წარმოების ორგანიზაციაზე მოახდინეს. იაპონურ მიდგომაში მწარმოებლურობისადმი მთავარი ორი კონცეფცია გახდა: დანაკარგების აღმოფხვრა და ადამიანებისადმი პატივისცემა. იაპონელებს მართლა სჯერათ, რომ შეიძლება დანაკარგებისაგან თავის დაღწევა. იაპონური კომპანიის „Toyota“-ას წარმომადგენლის ფუჯიო ჩოს განმარტებით, იაპონიაში დანაკარგები წარმოადგენს ნებისმიერ ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია მინიმალური რაოდენობის მოწყობილობის, მასალების, კომპლექტებისა და მუშების გამოყენებასთან, რომელიც უდავოდ აუცილებელია წარმოებაში“, ხოლო JIT სისტემის უფრო ფართო განმარტებისას, ფუჯიო ჩო დანაკარგის შვიდ ძირითად სახეს გამოყოფს, რომელიც აღმოფხვრას ექვემდებარება. ესენია:

1. უსარგებლო ხარჯები ჭარბწარმოებაზე;
2. დანაკარგები მოცდენებზე;
3. ტრანპორტირებისას წარმოქმნილი დანაკარგები;
4. სასაწყობო დანაკარგები;
5. ტექნოლოგიური დანაკარგები;
6. დანაკარგები, დაკავშირებული საწარმოო ციკლის ხანგრძლივობასთან ;
7. დანაკარგები, დაკავშირებული დეფექტიანი პროდუქციის წარმოებასთან.

JIT სისტემის ეს განმარტება ადვილს არ ტოვებს ზედმეტი ან დასახლვევი მარაგისათვის. არ არის გათვალისწინებული არავითარი სადაზღვევო შენატანები, ანუ თუ მარაგის გამოყენება მოცემულ მომენტში არ ხდება, ე.ი. მასზე მოთხოვნაც არ არსებობს და იგი ზედმეტია.

დანაკარგების გამოსარიცხად მიზანშეწონილია შემდეგი შვიდი ელემენტის გამოყენება:

1. სპეციალიზებული ქარხნების ქსელი;
2. ჯგუფური ტექნოლოგია;
3. ხარისხი სათავესთან, რაც ოპერაციის ადგილზე კონტროლს გულისხმობს;
4. წარმოება “ზუსტად დროში”;
5. წარმოების ერთნაირად დატვირთვა;
6. წარმოების მართვის სისტემა „KANBAN“;
7. გამართვაზე დროის მინიმიზაცია.

იაპონიაში ხშირად უპირატესობას ანიჭებენ მცირე სპეციალიზებულ ქარხნებს და არა უდიდეს, ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოო კონგლომერატებს. მათი აზრით, დიდი რაოდენობის ოპერაციათა მართვა მრავალრიცხოვანი ბიუროკრატიული აპარატით გაცილებით რთულია. გარდა ამისა, ეს არ ეთანხმება მათი მართვის სტილს. ქარხნები, დაპროექტებული ერთი კონკრეტული მიზნის მისაღწევად, შედარებით ეკონომიურია მშენებლობის თვალსაზრისით და ექსპლუატაციისას. იაპონური ქარხნების უმრავლესობას მიახლოებით 60 000-მდე ქარხანას, წარმოებაში 30-დან 1000-მდე მუშა ჰყავს.

დღეისათვის უამრავი სერვისული ფირმა: McDonalds, Disneyland, Wendy, Federal Express Corporation და სხვ. ასევე წარმატებით იყენებს JIT სისტემას, რომლის შესაბამისი კომპონენტების გამოყენება დამოკიდებულია მოცემული ფირმის ბაზრის დახასიათებაზე, წარმოების ტექნოლოგიაზე და ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე, მუშაკების პროფესიონალურ მომზადებაზე და ფირმის საერთო კულტურაზე. მოცემულ სისტემას მთელი რიგი მნიშვნელოვანი უპირატესობები გააჩნია, რომელიც კომპანიის ყურადღებას წარმოებისადმი ტრადიციული მიდგომით იპყრობს.

JIT სისტემის ძირითად უპირატესობებს მიეკუთვნება:

1. წარმოების პროცესში (დაუმთავრებელი წარმოება) შესყიდვების და მზა ნაწარმის წარმოებისას მატერიალური მარაგის დონის დაწევა;
2. საწარმოო ფართებზე მოთხოვნილების შემცირება;
3. ნაწარმის ხარისხის ამაღლება, წუნიანი და გადასაკეთებელი ნაწარმის შემცირება;
4. წარმოების ვადების შემცირება;
5. წარმოების შედარებით მოწასრივებული ნაკადი მცირე შეფერხებებით, რომლის მიზეზები შეიძლება ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები ყოფილიყო, აგრეთვე საწარმოო პროცესის მომზადების ვადები, მუშაკები მრავალპროფილიანი კვლითი-კაცით, რომლებსაც შეუძლიათ ურთიერთდახმარება ან ერთმანეთის შეცვლა;
6. ნაწარმის ასორტიმენტის შეცვლის დიდი მოქნილობა;
7. მოწყობილობის გამოყენებისა და მწარმოებლურობის მაღალი დონე;
8. მუშათა მონაწილეობა პრობლემების გადაჭრაში;
9. მიმწოდებლებთან კარგი ურთიერთობის აუცილებლობა;
10. არასაწარმოო სამუშაოების საჭიროების ნაკლებობა. მაგალითად, საწყობებში მარაგის განთავსება და მისი შენახვისა და დაზღვევის ხარჯების შემცირება;
11. მარაგის მორალური მოქვლელების საშიშროებასთან დაკავშირებული რისკის შემცირება;

სისტემას „ზუსტად დროში“ ასევე გააჩნია თავისი ნაკლოვანებები, რომელიც რაოდენობრივად ნაკლებადაა გამოხატული, მაგრამ მათი ხარისხობრივი მხარე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აშკარად ახლანდელ ეკონომიურ პირობებში ჩვენს ქვეყანაში მათი გამოყენება ეჭვქვეშაა. კერძოდ:

- მცირე მარაგი ნიშნავს, რომ ისეთ შეფერხებებს, როგორცაა ჩარხის დამტვრევა, შეუძლია მთელი პროცესის შეჩერება. აუცილებელია ყველა ჩარხზე ტექნიკური მომსახურების დაწესება, რაც ყველა პრობლემის მინიმუმამდე დაყვანის გარანტიას იძლევა;

- სისტემის დანერგვამ შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები მოითხოვოს, რომელთა მიღწევა საკმაოდ რთულია. მოცემული სისტემის დანერგვა სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებს ყველა თანამშრომელს, ავადდებულებს რა, შეითავსონ ოპერატორის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც უნდა ფლობდნენ უამრავ უნარ-ჩვევა და ხალისით დაეხმარონ ერთმანეთს საჭიროების შემთხვევაში.

- არ ითვალისწინებს სეზონურობის პრობლემას. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც არ უნდა მიდიოდეს მუშაობა საამქროში, მოთხოვნილება მზა პროდუქციის მარაგის შენახვის მაინც დარჩება. ამიტომ საწარმოებს, რომლებიც იყენებენ ამ სისტემას, უმეტესად აქვთ ცალკეული საწყოები მზა საქონლისათვის ან ხშირად მიმართავენ აგენტებს დახმარებისათვის.

- მოცემული სისტემის დანერგვა ასევე მოითხოვს ურთიერთკომპრომისებს მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის, რადგან მაღალია რისკი მათ შორის ხანგრძლივადიანი ურთიერთობის შეწყვეტის, რაც, პირველ რიგში, უარყოფითად აისახება მომხმარებელზე. ამიტომაც დიდია ორივე მხარის პასუხისმგებლობა შედეგებზე;

ამ სისტემის რელიზაციის დროს წარმოიქმნება ცალკეული პრობლემები, კერძოდ:

1. მაღალი საწვისი ინვესტიციები და ხარჯები JIT სისტემის რელიზაციაზე;
2. გაუთვალისწინებელ მდგომარეობასთან (მტვრევა, მიმწოდებელი მუშაკების გაფიცვები და სხვ.) გამკლავების უუნარობა;
3. მაღალი ხარისხის მასალების მიწოდებაზე დამოკიდებულება;
4. სტაბილურ წარმოებაში მუშაობის აუცილებლობა, თუმცა მოთხოვნა ხშირად მერყეობს;
5. მოქნილობის შემცირება მომხმარებელთა მოთხოვნების ცვლილებისას;
6. სიძნელებები, რომლებიც გამართვაზე დროსა და მასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებასთანაა დაკავშირებული;
7. JIT რეჟიმში მუშაობის უუნარობა ცალკეული მიმწოდებლის მხრიდან;
8. JIT მიზნის პრობლემები სხვა პარტნიორების საინფორმაციო სისტემებთან;
9. თანამშრომელთა მუშაობა მაღალი სტრესის ქვეშ;
10. ცვლილებების აუცილებლობა ნაგებობათა დაგეგმარებისას;
11. მუშაკებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთნდობის უქონლობა;
12. ცალკეული თანამშრომლის მხრიდან დიდი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების უუნარობა.

ამრიგად, JIT სისტემა, ანუ სისტემა „ზუსტად დროში“ კარგად მუშაობს მხოლოდ სტაბილური და პროგნოზირებადი მოთხოვნის პირობებში, რაც, თავის მხრივ, საიმედო სატელეკომუნიკაციო სისტემასა და საინფორმაციო-კომპიუტერულ დახმარებას მოითხოვს. იგი ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და საწარმოო პროცესების სრულ სინქრონიზაციას.

Irma Molashkhia

JUST-IN-TIME (JIT) – SAVING (ECONOMIC) MANUFACTURING SYSTEMS

Annotation

The article presents the Just-In-Time (exact time) - one of the most modern system essence of stock management, which lies in the elimination of the losses (time, material-production reserves, existence) in all stages of the organization activities. JIT system requires: workers' participation, fundamental research, drafting of industrial projects, constant improvement, overall control of the quality, small lines of the parties.

The article states that the first practice of the system "just in time" has been used by Japanese corporations who seek to reduce the zero level of commodity - material supplies in terms of highest quality production manufacturing. At present, many service companies (McDonalds, Disneyland, Federal Express Corporation, Supermaids, Wendy) also successfully uses JIT system. The main advantage of this system is: Stock reduced level, high quality, flexibility, reduction of production terms, productivity improvement and efficiency of the use of the device, the existence of volume reduction, as well as the demand reduction for the area. The paper discusses certain problems which are arisen while the realization of the system.

*ბაბუღია (დოდო) მღებრიშვილი
რუსუდან მაისურაძე*

ელექტრონული წიგნების ბაზარი საქართველოში

მომხმარებელთა გემოვნების ცვლილება, ტექნოლოგიური მიღწევები და კონკურენცია ბაზარზე არის ის სტიმული, რომელიც უბიძგებს ადამიანებს ახალი საქონლის შექმნის და ბაზრისთვის მიწოდების მიმართულებით. ასე, თანდათანობით, შემოვიდა მომხმარებელთა დღეს არსებული ბევრი საქონელი, რომელზეც ნახევარი საუკუნის წინ საზოგადოებას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. ბევრ საქონელთან შედარებით, გაცილებით უფრო ახალგაზრდაა ელექტრონული წიგნი. მისი ისტორია მეოცე საუკუნის მიწურულიდან იწყება, როცა ე.წ. „პლანშეტური კომპიუტერების“ დახმარებით ტრადიციული ბეჭდვა პირველად შეიცვალა ელექტრონული. მეოცე საუკუნის მიწურულს ბაზარზე ელექტრონული წიგნებისთვის სპეციალური

მოწილობები გამოჩნდა. მაგრამ, ისინი, რიგი მიზეზების გამო, ვერ გავრცელდა. ნამდვილი გადატრიალება ამ სფეროში 2007 წელს განხორციელდა ე.წ. „ელექტრონული ქაღალდის“ შექმნით. ელექტრონული წიგნების შექმნასა და გასაღებაში უდიდესი როლი შეასრულა ინტერნეტგაყიდვების კომპანია Amazon.com-მა.


ელექტრონული წიგნების გამოყენება გარკვეულ კომფორტს უქმნის მის მომხმარებლებს. ისინი იაფია ბეჭდურ წიგნებთან შედარებით, არ სჭირდება ადგილი შესანახად, მოხერხებულია გამოყენების პროცესში, მათი ყიდვა შესაძლებელია ინტერნეტის გამოყენებით, წარმოება ზიანს არ აყენებს გარემოს. მიუხედავად აღნიშნულისა, დღეს საზოგადოება უპირატესობას ბეჭდურ წიგნს ანიჭებს. თუმცა, სპეციალისტების აზრით, მომავალი ელექტრონულ წიგნს ეკუთვნის.

2012 წელს აშშ-ში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა უჩვენა, რომ საზოგადოების წევრთა უმეტესობისთვის ბეჭდური წიგნი უფრო მისაღებია. რესპონდენტთა 82%-მა აღნიშნა, რომ ისინი ბეჭდური სახით არსებულ წიგნებს კითხულობენ. მხოლოდ 17% აღმოჩნდა ელექტრონული წიგნის მომხმარებელი. შედეგიც შესაბამისია. აშშ-ს ელექტრონული წიგნის ბაზარი ბეჭდურის მხოლოდ 3 – 4% -ს შეადგენს. რუსეთში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 1%-ია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ბაზარი დღეს ერთ-ერთი მზარდი ბაზარია. მარტო 2013 წლის იანვარ-თებერვალში ელექტრონული წიგნების გაყიდვების მოცულობამ რუსეთში 2 მლნ დოლარი შეადგინა. ამ პერიოდში აშშ-ში გაიყიდა 1 მლრდ დოლარის ღირებულების ელექტრონული წიგნი.

საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ელექტრონულ წიგნს ბეჭდურთან შედარებით გაცილებით ნაკლები მომხმარებელი ჰყავს. შეიძლება ითქვას, რომ გამომცემლობებმა სულ ახლახან დაიწყეს წიგნების ელექტრონული ვერსიების გამოშვება. ნელი ტემპით, მაგრამ, ელექტრონული წიგნების შექმნისა და გამოყენების კულტურა საქართველოშიც იხერხება. სულ უფრო ხშირად შეხვდებით ადამიანებს ელექტრონული წამკითხველებით ხელში, იქნება ეს ქუჩა, აუდიტორია, სამსახური თუ ადამიანთა თავშეყრის ადგილი.

ელექტრონული წიგნების ბაზარი საქართველოში დაახლოებით სამზე ცოტა მეტი წლისაა. ის ნელ-ნელა, მაგრამ ვითარდება. 2013 წლისთვის ელექტრონული წიგნების ბიზნესი საკმაოდ გაფართოვდა (საიტზე 1400-მდე წიგნი იყო განთავსებული). 2010 წელს „წიგნის პლატფორმის“ ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ელექტრონული წიგნის არაპოპულარობა საქართველოში. მაგრამ, ის ფაქტიც დადგინდა, რომ მას ჰყავს თავისი მომხმარებელი, პირველ რიგში, ახალგაზრდობა. ამიტომ, ელექტრონული წიგნის მიმართ დამოკიდებულების გასარკვევად ჩვენ ახალგაზრდობა, ძირითადად კი სტუდენტობა, ავირჩიეთ. გამოკითხვა ჩატარდა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, ელექტრონული წესით და მოიცვა 400 რესპონდენტი.


გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა აბსოლუტური უმეტესობა უპირატესობას ბეჭდური სახით არსებულ წიგნებს ანიჭებს, რაც ნათლად ჩანს დიაგრამა 1-ზე.



ბეჭდური სახით არსებულ წიგნებს უპირატესობას ანიჭებს რესპონდენტთა 72,5%, ელექტრონულს კი მხოლოდ 5,5 %. გამოკითხულთა 22 %-მა განაცხადა, რომ მისთვის მისაღებია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური წიგნები.

გამოკითხვის შედეგებმა უჩვენა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს ელექტრონული წიგნების ბაზარზე დიდი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. რესპონდენტთა მხოლოდ 21,7% თვლის, რომ ელექტრონული წიგნები ჩაანაცვლებს ბეჭდურს, 55,7%-ს კი მიაჩნია, რომ ეს არ არის მოსალოდნელი.


კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი (56 %) ელექტრონული წიგნების მომხმარებლები არიან. ეს, ჩვენი აზრით, ბუნებრივია, რადგან მათი აბსოლუტური უმეტესობა სტუდენტები იყვნენ (400 რესპონდენტიდან 325), რომელთაც ხელი მიუწვდებოდათ უმაღლესი სასწავლებლების ვებგვერდებზე განთავსებულ სასწავლო ლიტერატურაზე და, რომლებიც, მოსახლეობის დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფებისგან განსხვავებით, კარგად ერკვევიან თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებში.



დიაგრამა 2. რესპონდენტთა დაჯგუფება ელექტრონული წიგნების გამოყენების მიხედვით


როგორც დიაგრამა 2-დან ჩანს, რესპონდენტთა 44%-ს კავშირი არ აქვს ელექტრონულ წიგნთან. ამის მიზეზი უამრავია. ჯერ ერთი, სტუდენტთა ნაწილს, პირველ რიგში, რაიონებიდან ჩამოსულ, ეკონომიურად გაჭირვებულ სტუდენტებს, კომპიუტერი არ აქვთ პირად საკუთრებაში; მეორე, სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს წვდომა არ აქვს ინტერნეტთან; მესამე, ბევრ სასწავლო კურსში სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები არ არსებობს; მეოთხე, სტუდენტების აბსოლუტურ უმეტესობას არ აქვს ელექტრონული წიგნების წამკითხველები და ა.შ.

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ელექტრონული წიგნების მომხმარებელთა რაოდენობაზე ბევრად ნაკლებია მისი მყიდველების რაოდენობა. როგორც დიაგრამა 3-დან ირკვევა, გამოკითხულთა მხოლოდ 17% ყიდულობს ელექტრონულ წიგნებს და ისიც მცირე რაოდენობით. ამას განაპირობებს, პირველ რიგში, ქართული ელექტრონული სახელმძღვანელოებისა და პროფესიული ლიტერატურის ნაკლებობა, ხშირ შემთხვევაში კი არარსებობა.



დიაგრამა 3. რესპონდენტთა დაჯგუფება ბოლო ერთი წლის განმავლობაში ელექტრონული წიგნების შეძენის მიხედვით

ცხადია, არსებობს სტუდენტების მხრიდან ელექტრონული წიგნების შეძენისგან თავის შეკავების სხვა მიზეზებიც, რაც კარგად ჩანს დიაგრამა 4-დან.




დიაგრამა 4. ელექტრონული წიგნების ყიდვაზე უარის თქმის ფაქტორები

მაშასადამე, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც სტუდენტები არ ყიდულობენ ელექტრონულ წიგნებს, არის მათი ინტერნეტში უფასოდ მოძიების შესაძლებლობა. ამ მოსაზრებას გამოთქვამს რესპონდენტთა 84,7%. ელექტრონული წიგნების ფასი მიუღებელია რესპონდენტთა 6,7%-ისთვის, ხოლო 5,1% თვლის, რომ ჯერჯერობით არ არსებობს ელექტრონული წიგნების მრავალფეროვანი შემოთავაზება.

გამოკითხვის შედეგად გაირკვა ელექტრონული წიგნების სტუდენტებისთვის მისაღები ფასებიც. რესპონდენტთა 39,7%-ის აზრით, ელექტრონული წიგნის ფასი არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკური ანალოგის ფასის მეოთხედს, თუმცა რესპონდენტთა არცთუ მცირე ნაწილს – 38,3%-ს კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა.

კვლევის პროცესში დადგინდა რესპონდენტებისთვის სასურველი ელექტრონული ლიტერატურაც. რესპონდენტთა ხმები თითქმის თანაბრად გადანაწილდა მხატვრულ (25,7%) და პროფესიულ ლიტერატურასა

(24,4%) და ენციკლოპედია-ლექსიკონებზე (22,6%). როგორც დიაგრამა 5-დან ჩანს, სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნის სურვილი გამოთქვა რესპოდენტთა მხოლოდ 19,2 %-მა.



ამრიგად, ელექტრონული წიგნების ბაზარი საქართველოში ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ვითარდება. ახალგაზრდებში, პირველ რიგში სტუდენტებში, არსებობს ელექტრონული წიგნების შექმნის სურვილი. აღნიშნული სფეროს განვითარებისთვის, ჩვენი აზრით, არ არის საკმარისი მხოლოდ მომხმარებლების დაინტერესება. კარგი იქნება, თუ ავტორები დაინტერესდებიან ელექტრონული წიგნების გამოცემით. ავტორების დასაინტერესებლად საავტორო უფლებების დაცვაა საჭირო, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დაკონკრეტებას და გამკაცრებას. თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, ელექტრონული წიგნების ბაზარი, პროფესიული ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების კუთხით, სწრაფად განვითარდება. ამ მიმართულებით, პირველ რიგში, გამომცემლობებმა, ელექტრონული წიგნების მაღაზიებმა და საავტორო უფლებების დამცველმა დაწესებულებებმა უნდა იმუშაონ.

*Babulia (Dodo) Mghebrishvili
Rusudan Maisuradze*

ELECTRONIC BOOKS MARKET IN GEORGIA Annotation

Possibilities of electronic books market's development have been discussed in the article on the basis of the materials obtained through questionnaire survey. 400 respondents were polled, most of them were students. The survey showed that: 1) People prefer printed books (72.5% of respondents), The use of electronic books is considered important for only a little part of population (55%). 2) Big changes in electronic books market is not expected in the Georgian electronic books market in the foreseeable future. (55.7% of respondents). 3) The reasons for refraining not using electronic books are the following: lack of private computers at home: less accessibility to the internet, small numbers of versions of electronic books; small numbers of electronic books readers, etc. 4) The number of people buying electronic books is smaller than that of people using them (only 17% of respondents buy electronic books). 5) People don't buy electronic books for the following reasons: absence of electronic versions in most teaching courses; availability of finding the desired literature free on the internet, high prices etc.

At the end of the article there are made the following conclusions: 1) The authors of electronic books must get interested in developing the above mentioned market as well as the users. 2) In order to get the authors interested publishing houses, shops, selling electronic books and institutions protecting the copyrights should be activated; 3) The law on the copyrights of electronic books should be concrete and strict. .

*Nataliya Orlova
Nataliya Kulikova*

SUSTAINABLE DEVELOPMENT OF CORPORATIONS IN A GLOBAL ECONOMY

Global economy at present time refocuses its economic and financial infrastructure for sustainable development to preserve balance of economic development, social equity and environmental protection.

Behaviour models of corporations, financial and market infrastructures of states change to assure the most efficient integration of external ecologic and social aspects into the basic economic and financial activity enabling implementation of principles of corporate social responsibility.

The goal of research is to determine basic trends of sustainable development of corporations based on introduction of principles of social responsibility.

Activity of international companies in financial, social, ecologic and ethic spheres comprises principles of the United Nations Global Compact. The Global Impact is the initiative to contribute to social responsibility of business and assistance to business circles in solving problems of globalization and establishment of sustainable and integral economy [1].

Nowadays due to global change of corporate responsibility importance of the Global Impact keeps steadily growing and the actions taken for introduction of stability have become more strategic and comprehensive. Corporate sustainability has consolidated in response to deep interdependence of markets, societies and people in modern globalized world.

Corporations – Members (8000) of the Global Impact form a small part of 70000 transnational corporations and millions of small-scale companies. It's a long way for companies all over the world to practically apply the principles concerned. It means that even supporters of the corporate responsibility policy should travel a long way to introduce the practices of responsibility into the strategies, transactions and culture in full volume [2].

Corporations search for ways to solve the most acute problems of sustainable development of society beyond their borders because all the advantages of establishing of a better world make the basis for growth of principles of human dignity, fairness and equity all over the world.

Companies increasingly prove that they are capable and will keep on playing the leading role in promotion of global priorities in the sphere of development, such as health, equity, education, environmental protection.

The definitions “corporate sustainability” and “corporate responsibility” are interchangeable. Companies work for achievement of global priorities. They have long ago acknowledged interrelation between social health of the employees and their own success. For the recent decades, for example, sustainable growth of corporations has contributed to decline in unemployment of population all over the world, reduction of HIV/ AIDS incidence, malaria incidence, promotion of alternative sources of energy (sun, wind energy). As researches show companies think they can contribute to solving of acute tasks of sustainability. Evaluation of basic problems of global sustainability has revealed that respondents distinguish such problems as follows: education (63 %), eradication of poverty (52%), change of climate (52 %) and increase of employment (49 %). Polls as to the fact where the companies may achieve the most positive results have revealed three of the four the most acute problems, namely: increase of employment (83 %), education (59 %) and change of climate (51 %) [2].

At the same time advantages and possibilities presupposed by corporate responsibility are clear and attractive. These are increased reliance and market value, increase of innovations of commercial companies, as well as interest on the part of investment cooperation which emphasizes the factors of stability. Thus, there exist two main ways contributing to company’s sustainability as follows: to apply universal principles in its own activity and to take measures stimulating progress based on priorities of sustainable growth, for example, by means of new products, services and business patterns.

Global 100 includes international companies which are the most efficiently administrating environmental, social and managing risks and possibilities. The Top 100 world’s most sustainable companies (Global 100) is a well known annual rating of Canadian business magazine Corporate Knights in 2005. Corporate Knights rates Global 100 of the list comprising four hundred companies, including Global Sustainability Research Alliance (GSRA) based on rating of the top 10 agencies in the sphere of researches of sustainability in the world, including Goldman Sachs (GS SUSTAIN), Société Générale, EIRIS and RiskMetrics Group [3].

Energy efficiency, CO₂ emission, correlation of remuneration of the company’s president and employee’s average wages, high personnel turnover, dependence of top-managers’ remunerations on achievement of goals as to assuring sustainable growth are one of the parameters of assessment.

Global 100 takes into consideration 12 key indices of performance each of quantitative nature. One of these indices are as follows: energy efficiency, CO₂ emission, efficiency of water resources, efficiency of waste recycling, innovation potential, interest paid on tax, correlation of the president’s remuneration and employee’s average wages, status of pension fund, safety, high personnel turnover, variety of leadership, pure capitalism [3].

Results of rating in 2013 have been announced at the World Economic Forum in Davos (Switzerland). Companies from over 20 states, operating in all the economic sectors, are included into the rating 2013, namely, 18 USA companies, 13 Canadian companies, 8 UK companies, 7 German companies, 5 Swedish companies, 4 Singapore companies etc. Top 10 of the rating are given in the table 1 below.

Table 1

Global 100 Top 10 [3]

Rating	Company	State	Industrial group	Grades
1	Westpac Banking Corp	Australia	Banks	76.5%
2	Biogen Idec Inc	USA	Pharmaceuticals	75.3%
3	Outotec OYJ	Finland	Capital Goods	74.2%
4	Statoil ASA	Norway	Energy	74%
5	Dassault Systemes SA	France	Software & Services	74%
6	Neste Oil OYJ	Finland	Energy	69.2%
7	Novo Nordisk A/S	Denmark	Pharmaceuticals	68.8%
8	Adidas AG	Germany	Consumer Durables & Apparel	68%
9	Umicore SA	Belgium	Materials	67.8%
10	Schneider Electric SA	France	Capital Goods	66.5%

Launched in 1999, the DJSI are the first global indexes tracking the financial performance of the leading sustainability-driven companies worldwide. Indices are calculated by SAM Group in cooperation with Dow Jones Indexes. Annually 2,5 thousand world largest companies are invited to take part in the DJSI rating. The companies are rated by their free float market capitalization. The indices serve as guide marks for investors. The DJSI enable investors to integrate sustainability considerations into their portfolios while providing an effective engagement platform for encouraging companies to adopt sustainable best practices, as well as contribute to establishment of new bases for interaction of companies on the world market.

SAM has analyzed activity of approximately 2500 companies (58 sectors, 52 states) and rated the best by each sector. The DJSI world 2012/2013 will have 340 top rating companies (from 30 various states), and DJSI Europe will have 166 companies from 16 states. 41 components are newly added to the rating, namely Microsoft, Target, Canadian National Railway Co., Hewlett-Packard Co. etc. By 19 super sectors derived from the 58 sectors the 2012 DJSI Leaders are given in the table 2.

Table 2

Dow Jones Sustainability Index [4]

Company	Sector
Bayerische Motoren Werke AG	Automobiles & Parts
Australia & New Zealand Banking Group Ltd	Banks
UPM-Kymmene OYJ	Basic Resources
Akzo Nobel NV	Chemicals
GS Engineering & Construction Corp	Construction & Materials

Itausa – Investimentos Itau SA	Financial Services
Unilever NV	Food & Beverage
Roche Holding AG	Healthcare
Siemens AG	Industrial Goods & Services
Swiss Re AG	Insurance
Telenet Group Holding NV	Media
Repsol SA	Oil & Gas
Koninklijke Philips Electronics NV	Personal & Household Goods
GPT Group	Real Estate
Lotte Shopping Co Ltd	Retail
Alcatel-Lucent SA	Technology
KT Corp	Telecommunications
Air France-KLM	Travel & Leisure
Iberdrola SA	Utilities

Corporate social responsibility is the most important component of long-term strategy of sustainable growth in worldwide practices. With this regard many governments pay great attention to promotion of CSR ideas at national levels making favorable terms for socially responsible behavior of domestic and foreign companies [5].

In 2011 European Commission has renewed its 2011-2014 CSR strategy. The document concerned is considered to be a natural component of Europe 2020 General Strategy of Development. Adoption of strategy of corporate social responsibility (CSR) additionally stimulates development by EC governments of their own national CSR policies. Nowadays 15 of 27 EC Member-States have their own national CSR policies [6].




Fig. 1. Conceptual foundations of the company based on the principles of corporate social responsibility [7]

The basic goal of sustainable development of Ukraine is to assure dynamic social-economic growth, to preserve natural environment and to rationally use natural and resource potential in order to satisfy needs of the living and future generations due to development of highly efficient socially oriented economic system stimulating successful operation, scientific and technical progress.

Achievement of basic goals of sustainable development in Ukraine presupposes spiritual and physical development of society and its social guarantees, macroeconomic transformations and public protection, development of ecologic and economic policy of the state, sustainable development of regions and villages, international cooperation.

The measures taken by the state as to stimulation of sustainable development of national economy can help corporations to identify and solve problems of corporate management, increase level of their social responsibility, to provide investors with complete and true information concerning their financial and non-financial activity which can stipulate investment attractiveness of a corporation in the global economic territory.

Reference

1. The official site of United Nations in Ukraine (2014), "Ukrainian network of United Nations Global Impact", available at: <http://www.globalcompact.org.ua/ua> (Accessed 15 April 2014).
2. The official site of United Nations Global Compact (2013), "Global Corporate Sustainability Report 2013", available at: http://www.unglobalcompact.org/AboutTheGC/global_corporate_sustainability_report.html (Accessed 15 April 2014).
3. The official site of Corporate knights capital (2014), "Key performance indicators", available at: <http://global100.org/key-performance-indicators/> (Accessed 15 April 2014).
4. The official site of Corporate Social Responsibility Development Center (2012), "DJSI 2012 Review results", available at: http://www.csr-review.net/wp-content/uploads/2012/09/review-presentation-2012_ (Accessed 15 April 2014).
5. Istomina, L.V. Yeletsikh, T.V. and Orlova, O.L. (2009), *The role of state in promotion of corporate social responsibility: review of international experience* [Global Compact], Minsk, Ukraine.
6. The official site of Corporate Social Responsibility Development Center (2014), "Renewed EU Strategy 2011-2014 for Corporate Social Responsibility: faster, higher, stronger", available at: http://www.csr-ukraine.org/ctrategiya_evropeyskoi_komisii_.html (Accessed 15 April 2014).
7. *** (2012), *Consequences of non-adoption of national policy for corporate social responsibility (CSR) in Ukraine* [Development Center], CSR, Kiev, Ukraine.

ლალი ოსაძე
მაკა სოსანიძე
სოფიო ცეცხლაძე

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თავისებურებები საქართველოში

განვითარებულ ქვეყნებში დიდი როლი ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. მცირე ბიზნესის მასშტაბების განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმებია დასაქმებულთა რაოდენობა და კაპიტალის ბრუნვის რაოდენობა. გაეროს კლასიფიკაციის მიხედვით, წვრილ საწარმოდ ითვლება საწარმო, სადაც დასაქმებულია 10-მდე კაცი, მცირედ 10-დან 100-მდე, საშუალოდ 101-დან 500-მდე, მსხვილად 500-ზე მეტი.

ჩვენი ქვეყნისათვის, ისევე, როგორც ნებისმიერი პოსტსაბჭოთა ქვეყნისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე ბიზნესის განვითარებას, რადგან იგი ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, უზრუნველყოფს ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას, ბაზარს აწვდის ახალ საქონელსა და მომსახურებას, ასრულებს კატალიზატორის როლს მსხვილი ბიზნესის განვითარებაში.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია და ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს. საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაზე და შევიმუშაოთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების შემდეგ კიდევ უფრო აქტიური გახდა პერსპექტივა, რომელიც კერძო სექტორისთვის მომავალში ევროპული ბაზრების გახსნას გულისხმობს. თუმცა ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ჯერჯერობით შენელებულია, სიღარიბე მატულობს და საერთაშორისო ორგანიზაციები მთავრობას ურჩევენ, ეს დრო რეფორმების გასატარებლად გამოიყენონ. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მცირე და საშუალო ბიზნესზე, რომელსაც საქართველოს ეკონომიკური დოვლათის შექმნაში ძალიან მცირე – მხოლოდ 19%-იანი წილი უდევს, მაშინ, როცა მეზობელ სომხეთში ეს მაჩვენებელი 42%-ია.

რთული ვითარებიდან გამოსავალი რომ იპოვო, ბუნებრივია, ჯერ პრობლემის მიზეზებს უნდა ჩასწვდე. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია მსოფლიო ბანკის კვლევა, რომლის ფარგლებშიც საქართველოში 300 მცირე, საშუალო და მიკროსაწარმო გამოიკითხა. დაახლოებით ერთი წლის წინ მთავრობამ ეკონომიკის ზრდის შესაძლებლობების შესასწავლად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი მოიწვია. ეკონომიკის სამინისტროს თხოვნით, მსოფლიო ბანკმა შეაფასა ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობებიც.

კვლევაში ხაზგასმულია, რომ მსოფლიოში ათი სამუშაო ადგილიდან ცხრას კერძო სექტორი ქმნის და მსოფლიო მასშტაბით ყველა ფირმის 90%-ს სწორედ მცირე, საშუალო და მიკრობიზნესი წარმოადგენს. განვითარებულ ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესი მშპ-ის დაახლოებით 60%-ს ქმნის და საექსპორტო შემოსავლების ძირითადი წყაროა. შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სიღარიბის შესამცირებლად.

საქართველოში მიკრო, საშუალო და მცირე ფირმების რაოდენობა არ იზრდება. ბევრი ფირმა არსებობის პირველსავე წელს გამოდის ბაზრიდან. ფირმების უმეტესობა არ არის ინოვაციური და ხასიათდება დაბალი პროდუქტიულობით. ბიზნესის წინაშე არსებულ სირთულეებს შორის სახელდება ფინანსებზე წვდომა, მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობა, მუდმივად ცვალებადი საგადასახადო რეგულაციები.

მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ჩვენთან ნაკლებად იზრდება ექსპორტი – 21,2% ბოლო ხუთ წელიწადში, მაშინ, როცა იმავე დროში სომხეთმა ექსპორტი 35,9%-ით გაზარდა, ხოლო აზერბაიჯანმა – 31,8%-ით. საქართველოში ნაკლებად ვითარდება ახალი, ინოვაციური სექტორები, აგრეთვე, ადამიანებიც არ გადადიან სამუშაოდ ახალ სექტორებში. მსოფლიო ბანკის მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია ტექნიკური ცოდნის ბაზის განახლება, რაშიც ხელისუფლება აუცილებლად უნდა ჩაერთოს.

მსოფლიო ბანკი ურჩევს საქართველოს მთავრობას, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის ქვეყანაში თანმიმდევრული ნაბიჯები გადადგას გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით. ასეთია, მაგალითად, კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ჩამოყალიბება, საკუთრების უფლების განმტკიცება, ინვესტორებისთვის უსაფრთხოების კანონმდებლობის შექმნა, ექსპორტის წახალისება და მხარდაჭერა ბაზრებზე დასამკვიდრებლად.

პოლიტიკური გარემო გულისხმობს სამამულო ბიზნესის განვითარების პოლიტიკურ სტაბილურობას, საზოგადოებაში სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას მცირე ბიზნესის სფეროში ქვეყნის კანონების, სამთავრობო გადაწყვეტილებების, დარგობრივი ინსტრუქციების, სტანდარტების მომზადებისა და მიღების ხარჯზე, რომლებიც სტიმულს აძლევს კომერციის განვითარებას ქვეყანაში. სამამულო მწარმოებლის დაცვა დამოკიდებულია საქონლის სახელმწიფო სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სისტემის განვითარებაზე, რომლებიც მიმართულია კონკურენტუნარიანობისა და საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

კულტურულ-საგანმანათლებლო გარემო არის ყველა იმ ფაქტორისა და პროცესის ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს მსოფლმხედველობას საზოგადოებაში, მის ისტორიას, კულტურას, ეთნიკურ ფესვებსა და ტრადიციებს. ყოველი მოქალაქის კულტურის დონე, საგანმანათლებლო ცენზი და სულიერი პოტენციალი ასახავს პარამონიას საზოგადოებაში, მის ურთიერთგაგებას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, გონებისა და ტალანტის კონცენტრირების უნარს პლანეტის გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად. სწორედ კულტურულ-საგანმანათლებლო გარემოს ფაქტორები ახდენენ პირდაპირ გავლენას ფსიქოლოგიური ურთიერთქმედების ეთიკის ფორმირებაზე შრომით კოლექტივში, ქმნიან თანხმობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს, მორალური და მატერიალური ფასეულობების სკალას კორპორაციაში.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს *სახელმწიფო რეგულირების გარემოს ფაქტორები*. ბიზნესის განვითარებაზე პირდაპირი ზემოქმედების ყველაზე არსებითი მეთოდებია: პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება; სახელმწიფო შეკვეთის შესრულება; პროდუქციის კოტირება და ლიცენზირება; მიზნობრივი პროგრამები ბუ-

ნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, გარემოს დაცვის, უახლესი საქონლისა და მომსახურებების წარმოების სფეროში.

ორიბი სახელმწიფო რეგულირების მეთოდები მიმართულია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მოქნილი ბერკეტების გამოყენებაზე ლიცენზიების, კვოტების, ბაჟისა და ხელსაყრელი ინვესტიციების მოზიდვის ნაწილში, საგადასახადო შეღავათების დაწესება სოციალური ორიენტაციის მქონე მნიშვნელოვანი დარგებისათვის.

მარკეტინგული საინფორმაციო გარემო საწყისი ბაზაა მარკეტინგული კვლევების შესრულების, ბაზარზე ფირმის ქცევის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების, დასახული შედეგების მისაღებად გვემუხრ-მმართველობითი გადაწყვეტილებების კორექტირებისათვის. დღეისათვის, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გაჩენის, პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების აუცილებლობის პირობებში აღნიშნული გარემოს მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება. ყოველი კომპანიისათვის ძალზე მნიშვნელოვანია საკუთარი კორპორაციული მარკეტინგული საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მიმართული იქნება ბაზარზე ყოფნის (გასაღების მიზნობრივი ბაზრის ჩამოყალიბება); კონკურენციის დონისა და შუამავალთა მომსახურებების ღირებულებების გათვალისწინებით განაწილების ხელსაყრელი არსების დასაბუთებაზე; მარკეტინგის მართვის ძირითადი ბლოკების ინფორმაციული უზრუნველყოფის შექმნაზე.

მარკეტინგული საინფორმაციო სისტემა ბაზრის მდგომარეობის შესაფასებლად ორგანიზებული კვლევის საფუძველზე უზრუნველყოფს მცირე ბიზნესის სფეროს ორგანიზაციებს გარეშე ინფორმაციით საჭირო ფორმით და საჭირო დროს. მარკეტინგული საინფორმაციო სისტემის ორგანიზაცია, რასაკვირველია, მოითხოვს გარკვეულ დანახარჯებს მცირე ბიზნესის სფეროს საწარმოების მხრიდან. მარკეტინგული საინფორმაციო სისტემის ორგანიზებისათვის საჭიროა:

- ინფორმაციის შეგროვების, კლასიფიკაციის, ანალიზის, შეფასებისა და გავრცელების მეთოდოლოგიის შემუშავება;
- მონაცემთა ბაზის ელექტრონული ვერსიის შემუშავება;
- მომხმარებელ სისტემებს შორის კომუნიკაციის არსების ორგანიზება.

საბაზრო გარემოს ერთობლივი ფაქტორების შეფასებისადმი კომპლექსური მიდგომა მარკეტინგული საქმიანობის ყოველ მონაწილეს მისცემს შესაძლებლობას, წარმატებით განახორციელოს ხელსაყრელი სასაქონლო ნიშის ძიება, შექმნას შეკვეთების, ინვესტიციების, ფასიანი ქაღალდების პორტფელები, შეიმუშაოს განვითარების კონსტრუქციული პერსპექტივები და უზრუნველყოს მყარი მდგომარეობა კონკურენტებთან შედარებით.

მცირე მეწარმეობის სფეროში მარკეტინგის მართვის კონცეფცია უნდა ეფუძნებოდეს მეწარმეობის სოციალურ მნიშვნელობას და ინოვაციურ ბუნებას და გამოდიოდეს იქიდან, რომ შექმნილ პირობებში მცირე მეწარმეობის განვითარების პრობლემები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მეწარმეთა ძალისხმევით გაერთიანებით და მარკეტინგის სფეროში მიზნების, პრინციპების, ფუნქციებისა და მოქმედებების შეთანხმებით.

*Tamar Rostiashvili
Maia Soselia
Ekaterine Mekantsishvili*

MACRO AND MICRO ENVIRONMENT OF SMALL BUSINESS MARKETING Annotation

Marketing environment is a combination of factors, that affect the result of firm`s corporate activities. Marketing information environment is a base of the marketing research and collaborate of firm`s behavior strategy. It is important to establish its own corporate marketing information system for all companies. For its organization it is necessary to: 1. Make methodology of collection, classification, analysis, make and spread of information; 2. Develop an electronic version of the database; 3. Create channels of communication between customer systems.

ნინო სამკეკუაშვილი,

საპროექტო დაფინანსება – კომპანიის წარმატების საწინდარი

კომპანიის მოდერნიზაციის დაგეგმვის პროცესში ბიზნესის მფლობელები უნდა დაფიქრდნენ ფინანსირების საპროექტო ფორმის უპირატესობებზე. განსახორციელებელი პროექტის ცალკე გამოყოფა და პროფესიონალ მენეჯერთა გუნდის შექმნა დაეხმარება მათ, დაარწმუნონ ინვესტორები მათ მიერ გაკეთებული ინვესტიციების ეკონომიკურ ეფექტიანობაში.

საპროექტო დაფინანსება განსაკუთრებით მიმზიდველია მსხვილი, კაპიტალტევადი გარიგებებისათვის, ისეთების, როგორებიცაა ენერგეტიკული პროექტები, ასევე პროექტები ტელეკომუნიკაციისა და ინფრასტრუქტურის სფეროებში. მაგრამ რისკების და სტრუქტურის მართვის პრინციპები, რომლებიც გამოიყენება კაპიტალურ პროექტებში, ასევე წარმატებით გამოიყენება საშუალო ბიზნესში მოღვაწე კომპანიების მიერ თავისი ბიზნესის გასაფართოებლად.

ბიზნესსტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების მიერ აღქმა იმისა, თუ როგორ იქნება დაფინანსებული ბიზნესი. საზოგადოდ არსებობს ფინანსების მოზიდვის ორი ძირითადი ფორმა – სასესხო და სააქციო. მათი ურთიერთშეფარდება მეტწილად განსაზღვრავს ბიზნესის ღირებულებას და მის ფინანსურ დატვირთვას (საპროცენტო და სხვა ანალოგიური გადახდები).

დაფინანსების ამ ორი ფორმისაგან განსხვავებით, საპროექტო დაფინანსებისას ანალიზი, რომელსაც ატარებს კრედიტორი, არ არის კონცენტრირებული მსხვსხვების ფინანსურ მანევრებლებზე. კრედიტორები სწავლობენ ფინანსურ ნაკადებს, რომელთა რეგულირებასაც შეძლებს კომპანია, რომელიც შექმნილია პროექტის რეალიზაციისათვის, სესხის დაფარვის ვადაში. კრედიტორის ძირითად ამოცანას გარიგების სტრუქტურირების

დროს წარმოადგენს პროექტის განმხორციელებელი კომპანიის ფულად ნაკადებთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მანამდე, სანამ ამონაგები დაირიცხება მის ანგარიშზე, და ასევე ამონაგების შესაბამისი ნაწილის გამოყენება კრედიტისა და მასზე პროცენტის დასაფარავად. გარკვეული ვაგებით, ფინანსირების ეს ტიპი შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც სესხი უზრუნველყოფით – კრედიტორს ენიჭება მსესხებლის აქტივებზე (აღნიშნულ შემთხვევაში მოგებაზე) საკუთრების უფლება.

ასეთ სტრუქტურაში მსესხებელსაც (პროექტის სპონსორსაც) აქვს თავისი უპირატესობები. საპროექტო დაფინანსების სტრუქტურის დახმარებით მსესხებელს (სპონსორს) შეუძლია განავითაროს სტრატეგიული საინვესტიციო პროექტი ისე, რომ არ ჩაღოს სესხის გირაოში ყველა თავისი საბრუნავი აქტივი, რაც საშუალებას მისცემს გამოიყენოს ისინი სხვა ფინანსური მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არიან კომპანიის ძირითად ბიზნესთან.

პროექტის სპონსორის (მსესხებლის) თვალთახედვით, საპროექტო დაფინანსებაში ყველაზე მთავარი არის ის რომ, როგორც წესი, ასეთი გარიგება დგება სპონსორის სხვა ქონებაზე საჯარიმო სანქციის უფლების გარეშე. სხვა სიტყვებით, სპონსორი ვალდებულია იღებდეს, განახორციელოს განსაზღვრული მოცულობის კაპიტალის ინვესტირება კომპანიის პროექტში, ხოლო ამ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო უმეტესი კაპიტალი იფარება კრედიტორების მიერ. პროექტის სპონსორების რისკი მდგომარეობს მხოლოდ მათ მიერ პროექტში ინვესტირებული თანხის დაკარგვაში. თუ პროექტი იქნება მთლიანად დაფინანსებული, საწარმო აშენებული და შეყვანილი მწყობრში, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო იგი ვერ მოახერხებს ამონაგების საკმარისობით გენერირებას და გაკოტრდება, მაშინ პროექტის კრედიტორები თავისი დანაკარგების დასაფარავად ვერ შეძლებენ მიმართონ საჯარიმო სანქციებს სპონსორის (მსესხებლის) სხვა ქონებაზე. ე.ი. საპროექტო დაფინანსების კლასიკური სქემის მიხედვით კრედიტორებს შეუძლიათ საჯარიმო სანქციის გამოყენება მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც სპეციალურად შექმნილია სწორედ ამ პროექტის რეალიზაციისათვის. ნათელია, რომ ეს სიტუაცია სპონსორისათვის საკმაოდ მიმზიდველია, ვინაიდან მათ ეძლევა საშუალება, შეაფასონ პროექტის განხორციელების ჯამური რისკი.

პროექტის განმხორციელებელი კომპანიის მიზანია მისი რეალიზაციისას უზრუნველყოს მაღალი მოგება. საპროექტო დაფინანსების დახმარებით კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საკრედიტო ბერკეტი მისი აქტივების ზრდისა და ბიზნესის განვითარებისათვის, ამავდროულად შეზღუდოს პოტენციური დანაკარგები. ასევე, შესაძლოა, კომპანია დაინტერესებული იყოს ახალ გეოგრაფიულ ბაზრებზე გასვლაში ან საკუთარი ბიზნესის დივერსიფიკაციაში.

სპონსორები ახდენენ პროექტის ინიცირებას, ქმნიან საპროექტო კომპანიას და ამა თუ იმ ფორმით ვარაუდობენ, მიიღონ მოგება მისი წარმატებული ფუნქციონირებისაგან. იმის გარდა, რომ საპროექტო კომპანია იღებს კრედიტს, არ გააჩნია დაგირავებული ქონება, სასესხო კაპიტალის წილი საპროექტო დაფინანსებაში მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივ კორპორაციულ კრედიტებში და საშუალო კაპიტალდაბანდება, რომელსაც კრედიტორები დებენ პროექტში. შეადგენს პროექტზე გაწეული მთლიანი კაპიტალდაბანდების 70-80%-ს. გასაგებია, რომ ყოველივე ეს კრედიტორს რთულ მდგომარეობაში აყენებს და მოითხოვს მისგან არა მხოლოდ საკუთარი კაპიტალის დასაცავად ალტერნატიული გზების ძიებას, არამედ ამ ფინანსური ღონისძიების ყველა წერილობით გულდასმით ანალიზს.

პოტენციური კრედიტორის თვალთახედვით, უკვე ხსენებული გირაოს არარსებობისა და სხვა ნაკლოვანებების გარდა, შესაძლებელია გამოიყოს საპროექტო დაფინანსების კიდევ რამდენიმე პრინციპული თავისებურება, რომლებიც ანალიტიკოსების მხრიდან განსაკუთრებულ მდგომარეობას მოითხოვენ:

- ასეთი პროექტების ვადები ჩვეულებრივ საკმაოდ დიდია. თუ საცხოვრებელი ბინების მშენებლობაში პატარა პროექტები შესაძლოა ჩაეტოს ორ-სამ წელიწადში, ყველა სხვა შემთხვევაში საპროექტო დაფინანსების დროს თითქმის ყოველთვის ლაპარაკია ვადებზე, რომლებიც აღემატება ხუთ წელს;

- საპროექტო დაფინანსების ყველა შემთხვევაში საინვესტიციო ფაზა საკმაოდ რთულია და მისი წარმატებით დასრულების გარანტირება შეუძლებელია;

- ბაზრის კვლევა არის უფრო რთული, ვიდრე ნაკლებად მნიშვნელოვანი ინვესტიციების დროს, ვინაიდან ასეთი პროექტების რეალიზაციის პროცესში იქმნება საქონელი, რომლისთვისაც ანალოგისა და გაყიდვების ისტორიის შერჩევა საკმაოდ რთულია, ხოლო ზოგ შემთხვევაში დასრულებული პროექტის ბაზარზე გამოჩენა ბაზარს ცვლის იმდენად, რომ წინა ისტორია აქტუალურობას კარგავს.

ეს სამი განსხვავება ანალიტიკოსებისაგან მოითხოვს ადეკვატურ რეაქციას, როგორც კვლევის მეთოდებთან, ასევე იმ ფაქტთან მიმართებაში, რომ პროექტის მომზადების როგორი ღონე შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

კრედიტორების დაცვა ზედმეტი რისკისაგან მიიღწევა მთელი რიგი საპროექტო კონტრაქტების დადების გზით, რომლებიც არეგულირებენ პროექტის განვითარების ძირითად საკითხებს და განსაზღვრავენ იმას, თუ როგორ ნაწილდება მისი სხვადასხვა ეტაპის რისკები მონაწილეთა შორის.

რაც უფრო სრულად იქნება მომზადებული საპროექტო კონტრაქტების პაკეტი ფინანსების მოზიდვამდე, მით უფრო ზუსტად იქნება განაწილებული საპროექტო რისკები, დაბალი იქნება კრედიტორისათვის მისაღები შედეგების განუსაზღვრელობა და ამის შედეგად უფრო მაღალი იქნება დადებითი გადაწყვეტილებების ალბათობა და საპროექტო განაკვეთიც შედარებით დაბალი იქნება.

პროექტში ფინანსების მოზიდვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს პროექტის ხელმძღვანელობა, დაარწმუნოს ინვესტორები იმაში, რომ პროექტის რისკები მაქსიმალურად შემცირებულია. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია გაიზარდოს პროექტის მართვის გამჭვირვალობა ინვესტორისადმი მისაღებ ღონემდე. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ნათლად იქნეს გაცემული პასუხი კითხვაზე: "გათვალისწინებულია თუ არა ყველა რისკფაქტორი, რომელთაც უნარი შესწევთ, გავლენა იქონიონ პროექტის მომავალ ფულად ნაკადებზე?" ვინაიდან აქ საუბარია მომავალ ფულად ნაკადებზე, რომლებიც მეტად განიცდიან განუსაზღვრელობის ზემოქმედებას.

კომპანიის ჩვეულებრივი დაკრედიტების დროს ყველა რისკს, როგორც წესი, თავის თავზე იღებს მსესხებელი, ხოლო საპროექტო დაფინანსების ორგანიზებისას კი რისკები ნაწილდება მსესხებელსა და კრედიტორს შორის. ტექნოლოგიური რისკები შესაძლოა გადაეცეს მოწყობილობების მომწოდებლებს, ხოლო საბაზრო რისკები – მყიდველებს, მათთან სპეციალიზებული კონტრაქტების დადების გზით.

როგორც უკვე ითქვა, საპროექტო დაფინანსების წარმატების საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს ფულადი ნაკადები. ამიტომ უადრესად მნიშვნელოვანია პროექტის შესაბამისი ფინანსური მოდელის აგება.

ფინანსური მოდელი წარმოადგენს პროექტის განმასხვრციელებელი კომპანიის საქმიანობის მოდელირებას ფინანსური ანგარიშების პროფორმების შედგენის გზით. ამრიგად, ფინანსური მოდელი ასახავს დასავაგეში ბიზნესის არსს ურთიერთდაკავშირებულ ფინანსურ ფორმებში. ეს ფორმები სტრუქტურირებული და ინტეგრირებული უნდა იქნეს პროექტის მოგების, ფულადი ნაკადებისა და საბალანსო მდგომარეობის ანგარიშებში.

ფინანსური მოდელის აგებისას მიზანშეწონილია ორიენტირება ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებზე, რომლებიც ერთიან საერთაშორისო ფინანსურ ენას წარმოადგენენ ინვესტორებისათვის.

პროექტის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კომპანიაში ძლიერი მენეჯერთა გუნდის არსებობაზე, რომელთაც აქვთ წარმატების მიღწევის სურვილი. სხვა სიტყვებით, პროექტის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პროფესიულად არის ორგანიზებული პროექტის მართვა და კომუნიკაცია მის მონაწილეებს შორის.

ვინაიდან პროექტში მონაწილეთა წრე საკმაოდ ფართოა, პროექტის ხელმძღვანელობამ ყურადღება უნდა დაუთმოს ურთიერთობებს პარტნიორებსა და ინვესტორებთან, ასევე კოორდინირება გაუწიოს მათ მუშაობას. რაც საშუალებას მისცემთ მათ, უზრუნველყოფილ იქნეს საინფორმაციო და საფინანსო ნაკადების გამჭვირვალობა და პროექტის მიზნები მიღწევა.

მსოფლიო პრაქტიკაში საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის პროცესში ფართოდ არის გავრცელებული ფინანსური მრჩევლების ჩართვა. მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი მხარდაჭერის გაწევა პროექტის იურიდიულ, საფინანსო-ანალიტიკურ და ორგანიზაციულ სფეროებში.

საპროექტო დაფინანსების რეალიზაცია, როგორც წესი, ხორციელდება დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მხოლოდ წინა საინვესტიციო ფაზა შესაძლოა გაგრძელდეს დაახლოებით წელიწადნახევარი. ეს დრო ხმარდება პროექტის ოპტიმალური სტრუქტურის შემუშავებას, ფინანსური მოდელის აგებას, დოკუმენტების შემუშავებას, პარტნიორების ძებნას, მოლაპარაკებების გამართვას, მომწოდებლების შერჩევას და წინასწარი ტენდერების ჩატარებას. შემდგომ რამდენიმე თვე ესაჭიროება პროექტის ფინანსირებას – გადახდების დიდი ნაწილი, როგორც წესი, ძირითადად მოდის მოწოდებული მოწყობილობების ანაზღაურებაზე. განსაკუთრებულ სიძნელეს ამ პერიოდში წარმოადგენს იურიდიული საკითხები მხარეებს შორის ხელშეკრულებების ფიქსაციის პროცესში. ამის შემდეგ კი იწყება თვით პროექტის განხორციელება, რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში.

ამრიგად, საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საპროექტო დაფინანსების დროს ინვესტორების შემოსავლები გაცილებით დიდია, ვიდრე ფინანსირების სხვა ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებისას. ამიტომ საქართველოში ინვესტორების მოსახიდად სასურველი იქნებოდა საპროექტო დაფინანსების საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, რაც დააინტერესებდა უცხოელ ინვესტორებს და გაზრდიდა ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Преимущества проектного финансирования перед другими формами привлечения заемных средств. <http://www.creativeconomy.ru/articles/4456/>

2. http://www.cfin.ru/investor/project_finance.shtml

Nino Samchkuashvili

PROJECT FINANCING – THE KEY TO SUCCESS OF COMPANIES

Annotation

Planning production modernization, owners of business should reflect on advantages of a design form of financing. Allocation of the isolated project and creation of professional team of managers will help to convince investors of economic efficiency of investments.

The project financing in particular is attractive to very large, capital-intensive deals, such as energy projects, projects in the sphere of telecommunications and infrastructures. However the principles of risk management and the structures used in capital-intensive projects, are also successfully applied by average size companies to the expansion of the business.

Analyzing practical experience of implementation of investment projects in Georgia it is possible to note that at a project financing the income of investors in the project is much higher, than when using other economic instruments of financing. Quite often in practice of a project financing the structure of distribution of the income from the project the investor (investors) receives a certain share in structure of the share capital of the design company meets.

ოლღა ფაჩულია

გლობალური აუთსორსინგი, როგორც ბიზნესის წარმატების ინსტრუმენტი

თანამედროვე პირობებში ფართო გავრცელება პოვა გლობალურმა აუთსორსინგმა, რაც გამოწვეულია მთელი რიგი მიზეზებით. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია კონკურენტული ბრძოლის გამძაფრება ბაზრის ყველა სექტორზე და მასთან დაკავშირებული აუცილებლობა იმისა, რომ ფირმამ მიაღწიოს ზღვრულ ეფექტიანობას წარმოების ყველა პროცესში. კომპანიათა უმეტესობა ისწრაფვის, გამოიყენოს მეცნიერებისა და

ტექნიკის უახლესი მიღწევები კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად. ამისათვის კი გარეშე ორგანიზაციების მოზიდვა ცალკეულ სამუშაოთა შესრულებისათვის საუკეთესო გამოსავალია. მაგალითად, სხვადასხვა სამომხმარებლო საქონლის (მანქანები, პერსონალური კომპიუტერები, ვიდეოპარატურა) კომპონენტები შეიძლება იწარმოებოდეს ქვეყნის გარეთ, ხოლო აიწყოს და საბოლოო სახე მიეცეს კომპანიის მშობლიურ ქვეყანაში, ან პირიქით, თავად აწარმოებდეს მათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რეალიზაციისათვის.

თანამედროვე ტექნოლოგიები, ცოდნა და გამოცდილება დაგროვდა იმ სპეციალისტთა ხელში, რომლებიც სპეციალიზდებიან მოცემულ სფეროში და მზად არიან მომგებიანი წინადადებები შესთავაზონ იმ კომპანიებს, რომელთაც სურთ ამ რესურსების მიღება. ეს მოხერხებულია ყველასთვის, რადგან კომპანიას საშუალება ეძლევა, მთელი თავისი ყურადღებისა და რესურსების კონცენტრირება მოახდინოს მისი საქმიანობის ძირითად კომპეტენციებზე (Core Competencies). ინფორმაციული სისტემები, რომელთაც გააჩნიათ ქსელური სტრუქტურა, შესაძლებლობას აძლევენ კომპანიებს, მოახდინონ მათგან გეოგრაფიულად დაშორებული განყოფილებების, როგორც ვირტუალური ორგანიზაციების კოორდინაცია. ეს უკანასკნელნი ელექტრონულ ქსელებს იყენებენ იმისთვის, რომ დააკავშირონ ადამიანები, ქონება, იდეები, მიმწოდებლები და კლიენტები ყოველგვარი ადგილსამყოფელისა თუ ტრადიციული ორგანიზაციული შეზღუდვების გარეშე. ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტის, ვიდეოკონფერენციებისა და სხვათა გამოყენებით შესაძლებელია სამუშაოთა შესრულება და ახალ პროექტებზე მუშაობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემსრულებლები და დამპროექტებლები სხვადასხვა კონტინენტზე იმყოფებიან. განვითარებულ ქვეყნებში წარმატებით ფუნქციონირებენ ე.წ. „ვირტუალური ორგანიზაციები“, რომელთა მოქმედებათა კოორდინაცია ხდება ცენტრალური ოფისის, ანუ „ბროკერის“ მიერ. ისეთი ძირითადი ოპერაციები, როგორიცაა: პროდუქციის წარმოება, სერვისი, ბუღალტრული აღრიცხვა და სხვა, ხორციელდება არა ერთ შენობაში, არამედ ცალკეულ ორგანიზაციებში კონტრაქტის ან ნებისმიერი სხვა შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნულ ორგანიზაციებსა და მთავარ ოფისს შორის კავშირი დამყარებულია ელექტრონული გლობალური ქსელის საშუალებით. მაგალითად, პროგრამული უზრუნველყოფის წარმოებით დაკავებულ ფირმებში მსხვილი პროგრამული პროდუქციის გარკვეული ნაწილების შემუშავება (ბირთვი, გარსი), როგორც წესი, მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში გაბნეული გუნდების მოზიდვით. ისეთი წარმატებული კომპანიები, როგორცაა Compaq და IBM, რომლებიც ადრე მხოლოდ საკუთარი ძალებით ახდენდნენ ტექნიკის წარმოებას, თანამედროვე ეტაპზე თავიანთი ნახაზებითა და ტექნოლოგიური რუკებით უკეთავენ აპარატურის წარმოებას აზიური ქვეყნების ფირმებს. ამით ისინი ახდენენ საკუთარი პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ამავდროულად, უმკლავდებიან კონკურენციას უფრო იაფი ანალოგიური პროდუქციის მწარმოებლების მხრიდან.

ნოვატორი ფირმა, რომელმაც გამოიყენა აღნიშნული სტრუქტურა და მიაღწია უდიდეს წარმატებას, იყო ამერიკული ბაზრის ლიდერი, მსოფლიოში ცნობილი ფირმა Nike – სპორტული სამოსისა და ინვენტარის მწარმოებელი. გასული საუკუნის 80-იან წლებში IT-აუტოსორსინგი მოექცა უმსხვილეს კომპანიათა სტრატეგიულ ინტერესთა სფეროში. კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია აუტოსორსინგის მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სპექტრის გაფართოება. აუტოსორსინგი სწრაფად ვითარდება, ხდება უფრო მასშტაბური და მრავალწახნაგოვანი. როგორც General Electric-ის დირექტორი ამბობს, „ნამდვილი გლობალური კომპანია არის ის კომპანია, რომელიც იყენებს რესურსებსა და ინტელექტს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან“ [1].

2013 წელს აუტოსორსინგის საკონტრაქტო ღირებულებამ მსოფლიო ბაზარზე 483 ბილიონი დოლარი შეადგინა და სამი ძირითადი სფერო გამოვლინდა: 1. ლოგისტიკა და დისტრიბუცია, 2. საინფორმაციო ტექნოლოგიები და 3. ბიზნესპროცესების აუტოსორსინგი (BPO), მათ შორის ქოლ-ცენტრები, ფინანსური ტრანსაქციის პროცესები და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი [2].

ლონდონის ეკონომიკის სკოლის კვლევის თანახმად, ათიდან ყოველი ცხრა ფირმა ზრდის აუტოსორსინგის მომსახურებას მომდევნო 3 წლის განმავლობაში. ორგანიზაციების ნაწილი თავის საქმიანობას გადასცემს მესამე მხარეს. აღნიშნული სკოლის მიერ ჩატარდა კვლევა 250 მსხვილ ორგანიზაციაში, რომელთა წლიური შემოსავალი 1 ბილიონ დოლარს აღემატება და გეგმავს მნიშვნელოვანი პროცენტით გაზარდოს ინვესტიციები აუტოსორსინგის მიმართულებით მოდევნო სამი წლის განმავლობაში [3]. კვლევის შედეგად გამოვლინდნენ ინდუსტრიები, რომლებიც მომდევნო 3 წლის მანძილზე გეგმავენ აუტოსორსინგის მნიშვნელოვნად გაზრდას. ამ მხრივ ლიდერობს გართობის, მედიისა და გამოცემების ინდუსტრია 33%-იანი ზრდით, ხოლო 27-27%-იან ზრდას ვარაუდობს მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრია, ენერჯისა და ქიმიური პროდუქციის ინდუსტრია.



დიაგრამა 1

წყარო: HTS კვლევა, ლონდონის ეკონომიკის სკოლა, აუტოსორსინგის განყოფილება, 2011 წელი

გლობალური აუტოსორსინგის ტიპური მაგალითია ოფშორული პროგრამირება, რომელიც შეადგენს IT-აუტოსორსინგის ბაზრის საერთო მოცულობის მნიშვნელოვან ნაწილს. ოფშორული პროგრამირების ბაზრის რესურსების აქტიური მიმწოდებლები გახდნენ ინდოეთი, ჩინეთი, მექსიკა, ირლანდია და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. ბიზნესპროცესები გადაადგილდება იქ, სადაც მათი შესრულება ყველაზე ეფექტურია. ასე, მაგალითად, 2006 წელს საბანკო გიგანტმა „Wachovia Corp. Of Charlotte, North Carolina“ \$1,1 ბილიონიანი ხელშეკრულება დადო ინდოეთის კომპანია „Genpact“-თან ფინანსური და საბუღალტრო საქმის აუტოსორსინგთან დაკავშირებით, ასევე, გადასცა მას ადამიანური რესურსების პროგრამის ადმინისტრირებაც. მომდევნო სამი წლის მანძილზე ხარჯების დანახოვმა \$1 ბილიონი შეადგინა, რაც შემდგომში ინვესტირდა პერსონალის განვითარებასა და ბიზნესის სხვადასხვა სფეროებში [4].

გლობალიზაციის, შიდა და მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გაძლიერების პირობებში შრომითი ურთიერთობების ადრინდელი ფორმები არაეფექტური ხდება, რამაც გამოიწვია შრომითი რესურსების მართვაში ახალი მიმართულების – აუტოსორსინგის (ადამიანური რესურსების აუტოსორსინგი) განვითარება.

ეროვნული და შემდეგ უკვე ტრანსნაციონალური რეკრუტინგული სააგენტოს წარმოშობამ განაპირობა შრომითი რესურსების მობილურობის ზრდა. აუტოსორსინგის თემა ადამიანური რესურსების სფეროში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში. ბრიტანული კომპანიის „Xchanging HR Services“-ის მონაცემებით, დიდი ბრიტანეთის წამყვანი კომპანიების 56% მზადაა, დეპარტამენტების ფუნქციების ნაწილი გადასცეს აუტოსორსინგით. აუტოსორსინგის მომსახურების ბრუნვა აშშ-ში აღემატება \$130 მლრდ წელიწადში, დიდ ბრიტანეთში ეს ციფრი არის \$37.5 მლრდ, გერმანიაში – \$7 მლრდ და იზრდება ყოველწლიურად დაახლოებით 20-30%-ით. ევროკავშირის ქვეყნებში აუტოსორსინგი ასაქმებს დაახლოებით 7 მლნ ადამიანს წელიწადში. კომპანია Kelly Services-ის ინფორმაციით, ზოგიერთ უცხოურ კომპანიაში პერსონალის დაახლოებით 80% ირიცხება საკადრო სააგენტოს შტატში. მაგალითად, იაპონიის კორპორაციებში მიღებული თარგის მიხედვით, შტატში ჰყავთ რეალურ საერთო თანამშრომელთა მხოლოდ მესამედი [5].

უნდა აღინიშნოს, რომ აუტოსორსინგი, როგორც შრომის ორგანიზების ახალი ფორმა, ავლენს არა მხოლოდ ახალ შესაძლებლობებს, არამედ ისეთ რისკებსაც, როგორცაა: საკადრო ფუნქციაზე კონტროლის დაკარგვის რისკი, კომპანიის კორპორაციული კულტურის შესუსტების რისკი და სხვა. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის შრომითი კანონმდებლობის თავისებურებანი, რომლებიც ზღუდავენ პერსონალის მართვის გადაცემის შესაძლებლობას გარეშე ფორმაზე.

აუტოსორსინგმა თანამშრომლებს უნდა აუხსნან, რა ადგილი და როლი უჭირავთ მომავალში გასატარებელ ცვლილებებში, რამდენად საჭიროა მათი ცოდნა და გამოცდილება ახალ ადგილზე, დაარწმუნონ ისინი, რომ მათ ექნებათ კარიერული ზრდის შესაძლებლობა.

გასათვალისწინებელია სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მკვეთრი განსხვავება, რაც მოსახლეობის ფასეულობებში, წესებში, მორალურ პრინციპებსა და ტრადიციებში აისახება. მაგალითად, იაპონელთა თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ სამუშაო, უპირველეს ყოვლისა, არსებობისთვის აუცილებელი სასწრაფო მოპოვების საშუალებაა, ბელგიელებსა და ჰოლანდიელებში კი ასე თვლის ადამიანების მხოლოდ 25-30%. დრო, გეგმები და პროგრამები დასავლური კულტურისა და მენეჯმენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორებია მაშინ, როცა აღმოსავლური კულტურაში წარმოდგენილია იმის გააზრებაც კი, რომ „მეორე შანსი არ იქნება“, რადგან აქ ადამიანები დროს აღიქვამენ, როგორც უსასრულო რესურსს. მიუხედავად იმ მოტივებისა, რომლითაც კომპანია ხელმძღვანელობს შიდა ბაზრების ფარგლებს გარეთ საკუთარი საქმიანობის გაფართოებისთვის, ის ვალდებულია მოახდინოს საკუთარი კონკურენციის სტრატეგიების ადაპტირება კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ სიტუაციასთან [6, გვ. 289].

გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია იმ კულტურათა შორის განსხვავებების გათვალისწინება, რომლებიც აისახება ჯგუფურ დინამიკაში. მაგალითად, დასავლური მოდელის მიხედვით, არაფორმალური ჯგუფი დაუკმაყოფილებელ ინდივიდუალურ მითხოვნილებებზე სპონტანური რეაქციაა, ხოლო იაპონურ მოდელში ჯგუფი წარმოადგენს ფორმის სოციალური სტრუქტურის სრულყოფილ ბუნებრივ და სწორად უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ჯგუფური ნორმები მნიშვნელოვანია და როლი, ჯგუფური ერთსულოვნება დასავლეთში მცხოვრები ადამიანებისთვის ერთ-ერთი მწვავე საკამათო თემაა, ხოლო აღმოსავლეთის ხალხებისთვის ის დიდი ხნის წინ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი საკითხია. ყოველივე ამის გამო, ამ ორი ხედვის ადაპტირება კომპანიის განსხვავებული ეროვნული შემადგენლობის ქვეყანოვნილებებს შორის, საკმაოდ რთული ამოცანაა.

დიდი განსხვავება არსებობს ტრადიციის გავლენასა და როლშიც, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი კულტურის განუყოფელ ნაწილს. ასე მაგალითად, ამერიკელი კულტურის საფუძველია პროტესტანტული ეთიკის ტრადიციები, დასავლური დემოკრატიის პრინციპები და თავისუფალი ბაზრების იდეა. იაპონური მოდელისთვის კი დამახასიათებელია ტრადიციების ერთგულად დაცვა და ეროვნული აზროვნების კანონების მორჩილება. თუმცა, ორივე ქვეყანას წამყვანი პოზიციები უჭირავს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში. როგორც ვხედავთ, ტრადიციონალიზმი ხელს არ უშლის ეფექტიან განვითარებას, რაც განპირობებულია იმით, რომ ახლის დანერგვის პროცესში აღნიშნული ქვეყნები ყურადღებით ადევნებენ თვალს მის გავლენას ეროვნული კულტურის ფონზე, განსაკუთრებით კი მისი სერიოზული დეფორმაციის წარმოქმნის ალბათობას. ამდენად, ტრადიციების გავლენა საერთაშორისო მენეჯერისთვის უნდა გამოიხატებოდეს არა იმაში, რომ „არ აწყენინოს ტრადიციებს“, არამედ მან უნდა განსაზღვროს, ესა თუ ის ქმედება ადგილობრივი ტრადიციების ნდობას მოიპოვებს, თუ პირიქით, დაუპირისპირდება მათ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იქნეს ნეგატიური ზეგავლენის შესასუსტებლად.

სწორად მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოიშობა კომუნიკაციის სფეროში, რადგან ენობრივი ბარიერები, რიტუალები, არავერბალური ურთიერთობები მოცემული ეროვნული კულტურის სპეციფიკითაა

განპირობებული. ტრანსფერული კომპანიები სწავლობენ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტრადიციების გადატანას სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში, რითაც ქმნიან ერთიან კორპორაციულ კულტურას ყველა ქვეყანაყოფისათვის. ხელმძღვანელობამ უნდა აღიაროს კულტურული ინტეგრაციის მნიშვნელობა სხვა კომპანიების შექმნისას, ასევე ახლახან შექმნილი კომპანიების კულტურათა შერწყმისა და გაერთიანების მნიშვნელობა [6, გვ. 565].

ამდენად, გლობალური აუტსორსინგული კომპანიის მართვის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ მიღწეული უნდა იქნეს ოპტიმალური მდგომარეობა გლობალურ და ლოკალურ მიდგომებს შორის. მნიშვნელოვანი პრობლემები იქნეს თავს იმ სფეროებში, სადაც ფიგურირებენ ადამიანები, მათი მოთხოვნილებები, აღქმები, მოლოდინები, ქცევის მოდელები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გლობალური აუტსორსინგის სფეროში საჭიროა საერთაშორისო ბიზნესის გარემოს კომპლექსური შესწავლა, ანალიზი და შეფასება კომპანიის კონკურენტული უპირატესობების წყაროების მოძიებისა და რეალიზაციისთვის, ყოველი ქვეყნის, რომელშიც ფუნქციონირებს კომპანია, კულტურული ფონის სიღრმისეული ანალიზი და შეფასება მათი შესაძლებლობების გამოსავლენად, უცხოური ოპერაციების განხორციელების ფარგლებში ორგანიზაციული ფორმების შეფასება, შემუშავება და პრაქტიკული გამოყენება, ფირმის მრავალეროვნული კოლექტივის ფორმირება და განვითარება, ორიენტირება იმაზე, რომ მაქსიმალურად იქნეს რეალიზებული ყოველი თანამშრომლის პირადი და მთლიანობაში, მრავალეროვნული კოლექტივის პოტენციალი, რაც განაპირობებს მმართველობითი გადაწყვეტილებების ეფექტიანობასა და, საბოლოო ჯამში, აუტსორსინგული ფირმის წარმატებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.ge.com/>
2. <http://www.plunkettresearch.com/outsourcing-offshoring-bpo-market-research/industry-and-business-data>
3. http://www.horsesforsources.com/industries_outsource_sharedsvs_022712
4. Business Week (January 30, 2006):50-64, Forbes (May8, 2006):58; www.dana.com/news/
5. <http://www.xchanging.com/>
6. არტურ ა. ტომპსონი-უმცროსი, ა.ჯ. (ლონი) სტრიკლენდი III. სტრატეგიული მენეჯმენტი. 2010, გვ. 289.
7. არტურ ა. ტომპსონი-უმცროსი, ა.ჯ. (ლონი) სტრიკლენდი III. სტრატეგიული მენეჯმენტი. 2010, გვ. 565.

Olga Pachulia

GLOBAL OUTSOURCING AS THE INSTRUMENT OF BUSINESS DEVELOPMENT Annotation

Outsourcing is the effective form of development during aggravating competitiveness in the world market and in modern globalization. Outsourcing companies can afford themselves to detach their resources and focus on more important business activities, furthermore concentrate resources on core competences helps companies to prosper their business.

The author of the article proposes global outsourcing and indicates the discussion about the characteristics of the difficulty firms may face when they outsource some business activity. Also, there is given the primal problem of outsourcing of firms' management and there is highlighted main factors, which stimulate companies to reach an optimal circumstance between global and local methods of approach, effective implementation of global outsourcing and eventually it helps the company to gain long competitive advantage over the competitors.

ნინო ქეცბაია

სარეკლამო ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტექნოლოგიები

თანამედროვე სარეკლამო ტექნოლოგიების მრავალფეროვნების მიუხედავად, შესაძლოა, ის დაიყოს ორ დიდ ჯგუფად. თითოეული მათგანი ასრულებს თავის ფუნქციურ ამოცანას, გააჩნია თავისი საშუალების დიდი არსენალი, მეთოდიკა და ინსტრუმენტები.

პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთნოთ გლობალური (მასშტაბური) რეკლამა, რომლის მიზანია მაქსიმალური რაოდენობის მომხმარებელთა (მათი ადგილსამყოფელის, სოციალური წარმომავლობის, ინტერესთა პრიორიტეტების განურჩევლად) მოზიდვა ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორებიცაა: მასობრივი ინფორმაციის საშუალებით სარეკლამო რგოლების გავრცელება, სარეკლამო ბანერები, ბუკლეტები, პლაკატები, სპეციალური საიტის შექმნა.

მეორე ჯგუფს შეიძლება მივაკუთნოთ მიზანმიმართულად აუდიტორიაზე ორიენტირებული სარეკლამო კომპანიები, რომელთა მიზანია კონკრეტული საქმიანი კომერციული წინადადებების მომსახურება, პერსპექტივაში კონკრეტული საქონლის პოპულარიზაციის შესაძლებლობები და ა. შ. რამდენადაც საქმიანი მსოფლიო თავისი სტრუქტურითა და იერარქიით ძალიან განსხვავებული და კრიტიკულია, სარეკლამო კომპანიებისგან მოითხოვს საფუძვლიან მომზადებას, რათა ბიზნესის ყველა მოთამაშეს თავისი ინტერესების, მოთხოვნის, შესაძლებლობების შესაბამისად მოემსახუროს.

ქსელურ ტექნოლოგიებში შესაბამისი საიტების შემუშავება და დანერგვა გამოცდილი კოპირაიტებისა და პროფესიონალი ოპტიმიზატორების ჩართვას მოითხოვს.

სარეკლამო საშუალებების არჩევამდე აუცილებელია ფირმის სასიცოცხლო ინტერესების ანალიზი, ბაზარზე მისი პერსპექტივების, ფინანსური შესაძლებლობების განსაზღვრა. გამომდინარე აქედან, უნდა შემუშავდეს ფირმის განვითარების (წინსვლის) სტრატეგია, მისი საქმიანი კონტაქტების გაფართოება. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობა რეკლამის სფეროს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან, მარკე-

ტოლოგებთან, ქსელური ტექნოლოგიების სპეციალისტებთან. ინერნეტში შემოთავაზებული სარეკლამო მომსახურება მრავალფეროვანია. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ინტერნეტსაიტი

ნებისმიერი ინტერნეტსაიტი თავისთავად უკვე კომპანიის ან საქონლის რეკლამაა. მასში ინფორმაციის განთავსება მოცულობის კუთხით შეზღუდული არ არის, მაგრამ არც განუსაზღვრელია ისე, როგორც გაზეთის, ჟურნალის, რადიოსა და ტელევიზიის ეთერში. საიტი ინფორმაციის პირველი წყაროა, მას შეიძლება დაუკავშირდეს პირდაპირ, შუამავლის გვერდის ავლით. საიტზე განთავსებული ინფორმაციის რედაქტირება, განახლება მარტივია, ინფორმაციის შეცვლა შესაძლებელია ნებისმიერ დროს და ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ინფორმაციის გაერცელება იაფია და დედამიწის ყველა წერტილზე ხელმისაწვდომია.

ეფექტურ საიტს უნდა ჰქონდეს როგორც ხარისხობრივი შინაარსი, ასევე ხარისხობრივი გაფორმება. ნაბეჭდი ტექსტების საიტზე გადატანა მიზნშეწონილი არ არის, რამდენადაც ელექტრონულ მასალას კითხვის თავისი სპეციფიკა აქვს. გათვლილია, რომ ინტერნეტ-ტექსტის წაკითხვას 50%-ით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ჩვეულებრივი ნაბეჭდი ტექსტის წაკითხვას. საიტზე დადებული ტექსტის დიდი ნაწილის გადათვალისწინება, ხოლო უმნიშვნელო ნაწილის წაკითხვა ხდება.

ხარისხიანი საიტი არა მარტო მნიშვნელოვანი და სასარგებლო ინფორმაციის შემცველი, არამედ მოხერხებულიც უნდა იყოს. უნდა იყოს დაცული მასალების მიწოდების მკაფიო ლოგიკა: მთავარი, ახალი მასალა განთავსდება ზევით, დამატებითი – ქვევით, მოშორებით.

ბანერული რეკლამა

არის ჩვეულებრივი სწორკუთხედიანი სტატიკური ან დინამიურ-გრაფიკული გამოსახულება. მისი თანმხლები შეიძლება იყოს ხმა. ინტერაქტიური ბანერები ანკეტების, შეკვეთის ბლანკების, გამოკვლევათა შეკითხვებზე პასუხების გაცემის, თამაშების და ა.შ. საშუალებას იძლევა. მრავალი ინტერაქტიური ბანერი, გაანხიანა რა შესაძლებლობათა დიდი არჩევანი, იყენებს მსხვილ reach – მედიას.

ტრადიციული რეკლამისაგან განსხვავებით, ბანერებისათვის დამახასიათებელია ე.წ. "ცვეთის" ან "გაქრობის" დიდი ალბათობა, მომხმარებელი ორჯერ ან სამჯერ აქცევს ბანერს ყურადღებას, შემდეგ კი მას იგნორირებას უკეთებს. ამ მოვლენის საწინააღმდეგოდ მუშავდება რამდენიმე მეტეზინების სერია და სერვერზე როტაციისთვის ვრცელდება. ასე რომ, საიტში მნახველი ყოველ შესვლაზე ხვდება სხვადასხვა რეკლამას. გადატვირთვის შემთხვევაში ახალი ბანერის შეთავაზება ხდება. **ბანერის მოზადებისას** ჩვეულებრივად გამოიყენება სტანდარტული ფორმები და ზომები. რაც უფრო "მსუბუქია" ბანერი, მით უფრო სწრაფად იტვირთება. პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გამოიყენება ბანერული რეკლამის შექმნისა და განთავსების დროს, შეიძლება არ ემთხვეოდეს მომხმარებლის პროგრამულ უზრუნველყოფას, ამ შემთხვევაში მომხმარებლის გარკვეული ნაწილი რჩება კომპიუტერზე გამოსახულების გარეშე. ამას თავისი მიზეზები აქვს. კერძოდ, საქართველოში მომხმარებელთა ნაწილი, ქსელში მუშაობის გამოერთული გრაფიკის რეჟიმში, ამიტომ ვერ ნახავენ რეკლამას, რომელიც მხოლოდ გამოსახულებისგან შედგება. Internet Monitor da TCL.net. მონაცემებით ევროპაში მომხმარებელთა დაახლოებით 70% ბლოკავს რეკლამას ამა თუ იმ სახით (მაგალითად, ამოტივტივებული ფანჯარა), დაახლოებით 40% ბლოკავს ბანერის აბსოლუტურად ყველა სახეს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, გონივრულად მოფიქრებული იაფი ბანერები ეფექტურია და წარმოადგენს საიტში რეკლამის განთავსების ერთ-ერთ გაერცელებულ სახეს. Nielsen Norman Group-ი უკანასკნელ კვლევებზე დაყრდნობით აღნიშნავს ისეთ მოვლენას, როგორცაა ე.წ. "ბანერული სიბრმავე", როდესაც ინტერნეტის ფართო მომხმარებლები თითქმის ყურადღების მიღმა ტოვებენ სარეკლამო განცხადებებს (ბანერებს, მითითებებს და ა.შ.) და მთელი ყურადღება კონცენტრირებულია საიტის ძირითად შინაარსზე. რეკლამის მესაკუთრე მომხმარებელზე ზეგავლენას ახდენს ე.წ. "აქტიური" ბანერებით. მაგალითად, ძირითადი საიტის ზემოთ მსტუნავი ბანერი. აქტიური ბანერები იწვევს მომხმარებლის გაღიზიანებას და ასევე უარყოფითად მოქმედებს საიტის მესაკუთრესა და რეკლამის შემკვეთზე.

ინტერნეტრეკლამის ზრდასთან ერთად ხდება გადასვლების რიცხვის შემცირება. ამ მაჩვენებელს დასავლეთში უწოდებენ CTR (Click-Through Rates), ეს არის გამოსახულების რაოდენობასა და რეკლამის ჩვენების რიცხვს შორის პროცენტობით გამოსახული თანაფარდობა.

$$CTR = \text{გამოსახულების რაოდენობა} / \text{ჩვენების რიცხვი} * 100\%$$

მაგალითად: სარეკლამო კომპანიის ჩარჩოებში ბანერი ნაჩვენებია იყო 200-ჯერ, ხოლო მისი გამოძახება 8-ჯერ: შესაბამისად

$$CTR = 4\% (8/200 * 100)$$

საშუალოდ, ცალკეული გამოკვლევებით CTR-ის მაჩვენებელი შეადგენს 0,5-2%-ს, ზოგჯერ ის აღწევს 10%-ს.

ბანერებს, ისევე, როგორც ტრადიციულ რეკლამას, საინტერესოს ხდის შინაარსი, ჰარმონიულობა, შესაბამისი გაფორმება.

ვიდეორგოლები

ბოლო წლებში, სარეკლამო ტექნოლოგიების განვითარების შესაბამისად, ფართოდ გაერცელებულია ტელევიზიაში ცნობილი ვიდეოკლიპების ჩვენება. 2004 წლის იანვარში ინტერნეტის თექვსმეტმა მსხვილმა პორტალმა, მათ შორის MSN-მა და Lycos-მა დაიწყო სარეკლამო ვიდეორგოლების ტრანსლაცია ისეთი ცნობილი კორპორატიული გაერთიანებების, როგორებიცაა: Pepsi, Honda, Macdonald's და სხვა. ტესტირება ექვს კვირას გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში სარეკლამო რგოლები ნაჩვენებია იქნა არანაკლებ ერთ მილიონჯერ. მიღებული შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დღეს ვიდეორგოლები ინტერნეტში ტელევიზიის რეალური ალტერნატივა გახდა.

ტექსტური რეკლამა

ბანერულ რეკლამაზე განსხვავებით ტექსტური რეკლამა ყველა მომხმარებელში აისახება, სწრაფად იკრიბება, ამიტომ ის უფრო ეფექტურია.

ელექტრონული ტექსტური რეკლამის მიწოდება ხდება ბლოკების სახით. მაგალითად, "50" სიმბოლომდე, "5სტრიქონი 72 სიმბოლომდე" და ა.შ. მაგრამ ის შეიძლება იყოს არასტანდარტული. ხშირად ტექსტური რეკლამა საიტის ინფორმაციულ ნაწილში იჭრება, მაგრამ შეიძლება გამოტანილ იქნეს ცალკე რუბრიკის სახით ("განცხადების დაფა", "სასწრაფო განცხადება" და ა.შ.)

კონტექსტური რეკლამა

კონტექსტური რეკლამა არის ახალი, ძალზე ეფექტური და პერსპექტიული ინტერნეტრეკლამის სახე. მისი მეშვეობით შეტყობინების განთავსება თემატურ კომპლექსში ხდება და პირდაპირ მიზნობრივი აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი.

მთელ მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებლები დადებითად კეიდებიან კონტექსტურ რეკლამას და აქტიურად იყენებენ აუცილებელი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

რეკლამის ეს სახე ხელმისაწვდომია როგორც უმსხვილესი, ასევე მცირე სარეკლამო (50 და 500 დოლარამდე თვეში) თანხის მქონე კომპანიებისთვისაც.

კონტექსტური რეკლამა მსოფლიოს ნებისმიერ ბაზარზე მუშაობის საშუალებას იძლევა და ზუსტად მიუთითებს საიტის მიზნობრივ გვერდებს. მისი დახმარებით ძალიან ჩქარა იწყება და მთავრდება სარეკლამო კომპანია. მოხერხებულობა და ეფექტურობა ისაა, რომ ანაზღაურება არა ჩვენებაზე, არამედ გამოხმაურებაზე ხდება, მისთვის დამახასიათებელია მნახველის და მყიდველის კონვერსიის მაღალი დონე.

მთავარი პრობლემა, რომელსაც კონტექსტური რეკლამის მესვეურები აწყდებიან, არის ხმობა-ფროდი (eliek froid, "ყალბი ხმობა"). ხშირად ინტერნეტსაიტის მესაკუთრე განთავსებული რეკლამის ბანერებსა და მითითებებზე თვითონ აწკაპუნებს, რათა გაზარდოს თავისი სარეკლამო შემოსავალი. ხშირ შემთხვევაში, ყალბ ხმობას თუ მოწონება ხვდა, კონკურენტები აწკაპუნებენ. ყველაფერი ეს კეთდება როგორც ხელით, ასევე სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის დახმარებით.

ცალკეული მონაცემებით, კონტექსტური რეკლამის სისტემების 50% ეწევა თაღლითობას. ხოლო "ყალბი ხმობის" საძიებო სისტემაში თაღლითობა მერყეობს 10-დან 20%-მდე.

იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს კონტექსტური რეკლამა, რეკლამის მესვეურებმა წინასწარ უნდა მოამზადონ სარეკლამო შეტყობინება, განსაზღვრონ ყოველი ხმობის ფასი, აარჩიონ ის სიტყვები, რომლებიც მონიტორზე დაფიქსირდება.

ხმობის მაქსიმალური ღირებულება არ იძლევა იმის გარანტიას, რომ რეკლამა პირველ ადგილზე განთავსდება. სარეკლამო განცხადების პოზიცია (PI, Position Index) დამოკიდებულია ორ მაჩვენებელზე ხმობის ფასზე (CPC, Cost per click) და გადასვლათა კოეფიციენტზე (CTR).

$$PI = CPC * CTR$$

მაგალითად, კომპანია "A" ხმობაზე იხდის 1 აშშ დოლარს, ამასთანავე ნაჩვენები განცხადებიდან ხორციელდება გადასვლების 2%.

კომპანია "B" ხმობაზე იხდის 0,8 აშშ დოლარს, ამასთანავე ნაჩვენებ განცხადებაზე ხორციელდება გადასვლების 3%.

$$\text{შესაბამისად } PPIA = 2 (1 \text{ აშშ დოლარი} * 2\%)$$

$$PIB = 2,4 (0,8 \text{ აშშ დოლარი} * 3\%)$$

მიუხედავად იმისა, რომ "B" კომპანია რეკლამაზე ნაკლებს იხდის, მისი განცხადების პოზიცია უფრო მაღალი იქნება გადასვლების კოეფიციენტის (CTR) სიდიდის ხარჯზე.

ფასის გაზრდა ხმობაზე იწვევს განცხადების პოზიციის ზრდას. ამის მიღწევა განცხადების შინაარსის გაუმჯობესების ხარჯზეც არის შესაძლებელი.

ეფექტურად ითვლება ის განცხადებები, რომლებიც გამოდიან პირველ პოზიციებზე და პირველ გვერდზე. რეკლამის განთავსება შემდეგ გვერდებზე არაეფექტურია. სტატისტიკის მიხედვით ინტერნეტის მომხმარებელთა 90% პირველი გვერდის შემდეგ ძებნის შედეგებს არ ითვალისწინებს.

კონტექსტური რეკლამის გამოყენებაში მთავარია ისეთი საძიებო სისტემის შერჩევა, რომელიც ფართო აუდიტორიას აინტერესებს. საქართველოში ასეთი პოპულარული სისტემაა "Google". "Google"-ის საძიებო სისტემის მომხმარებელთა აუდიტორია ასე გამოიყურება:

- მამაკაცები – 52%, ქალები – 48 %;
- ინტერნეტმომხმარებელთა ყველაზე აქტიური ასაკია 18-დან 44 წლამდე, ანუ საძიებო სისტემის აუდიტორიის დაახლოებით 80%;
- 20% ხელმძღვანელი მუშაკები, 27% სპეციალისტები, 12% მოსამსახურეები, 26% მოსწავლე-ახალგაზრდობა, 15% – მომხმარებელთა სხვა კატეგორია.

კონტექსტური რეკლამის უპირატესობები და ნაკლოვანებები

თავისი არსებობის მოკლე პერიოდში კონტექსტურმა რეკლამამ კომპანიების სარეკლამო ბიუჯეტში შეძლო დიდი წილის – დაახლოებით 60%-ის მოპოვება. ამას თავისი მიზეზები აქვს:

- სინქარე. ერთი დღის განმავლობაში შესაძლებელია შეიქმნას და მოქმედებაში მოვიდეს სარეკლამო კომპანია. იგივე ითქმის უკუგებაზე – კლიენტების დიდი ნაკადის მოდინება.
- არჩევანი. რეკლამის შემკვეთი რეკლამის პირობებს თვითონ აყენებს. განცხადების ჩვენების დროს განსაზღვრით დაწვებული და აუდიტორიის სხვადასხვა ასაკობრივი შემადგენლობით დამთავრებული.
- კონტროლი. ბუნებაში არ არსებობს იდეალური (სრულყოფილი) განცხადებები, ამიტომ ის შეიძლება რეკლამირების პროცესში სრულყოფილების კუთხით მყისიერად შეიცვალოს ახალი იდეებით, ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გარეშე.
- შესაძლებლობები. რეკლამა იქმნება არა მარტო ძიებათა შედეგებში, არამედ ასევე კონტაქტური სერვისის პარტნიორ საიტებში. დღეს მათში შედის თვით Youtube.

• ეფექტურობის მარტივი შეფასება. როული ეკონომიკური გაანგარიშების გარეშე შეიძლება დაინახოთ, რამდენად ეფექტურია სარეკლამო კომპანიის მუშაობა.

როგორც წინ წაწევის ნებისმიერ მეთოდს, ასევე კონტექსტურ რეკლამას აქვს თავისი ნაკლოვანებები, უფრო სწორედ თავისებურებები. მას შეიძლება მივაკუთნოთ ბიუჯეტის კონტროლის ცალკეული ნიუანსი, არაკეთილსინდისიერი კონკურენტების ხელში განცხადებების თავმოყრის შესაძლებლობა და გაუმართლებლად დაბალი ეფექტურობა. თუ თავმოყრის პროცესი არაკონტროლირებადია, მაშინ მის წინააღმდეგ ბრძოლას თავის თავზე სერვისი იღებს. რაც შეეხება სხვა პრობლემებს, მათი გადაწყვეტა შესაძლებელია. მთავარია განაცხადების ტექსტი წიგნიერად იყოს შედგენილი, შეირჩეს სწორი სიტყვები (ზოგჯერ სასარგებლოა არაპოპულარული ფრაზების გამოყენება).

Nino Ketsbaia

MODERN TECHNOLOGIES OF ADVERTISING BUSINESS DEVELOPMENT
Annotation

Not so long ago the idea of location of advertisement in social nets was considered thoughtless, as the social portals have been made for the purpose of friends' communication service. But after the number of the customers of popular social portals increased up to more than million, the Leaders of Advertising Business started thinking about the location of their business advertisements in social nets. The last researches cleared out that before making the important decision, the customers obtain information on the Internet. In order to maintain competitiveness in today's markets the companies use new Internet Technologies. In modern advertising service contextual advertising occupies significantly distinguished place.

In the work we did our best to show detailed essence of contextual advertising, its priorities, advantages and disadvantages.

მარინე ცუცქერიძე

ბიზნესის ინოვაციური ფაქტორები ევროინტეგრაციის პირობებში

თანამედროვე საბაზრო გარდაქმნების ვითარებაში მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ინტეგრაციული პროცესების გააქტიურება და ამით ევროინტეგრაციის წარმოქმნა. ინტეგრაციული პროცესები საქართველოს ეკონომიკის სისტემაში საბაზრო ურთიერთობების განვითარების საფუძველზე წარმოიქმნა და ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელ ფაქტორად გვევლინება, რადგან ამით შეიქმნა ინოვაციური პოლიტიკის გატარებისა და ინოვაციური სტრატეგიის განხორციელებისთვის აუცილებელი წინაპირობა.

საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია სხვა, განსაკუთრებით ევროპის, სახელმწიფოებთან საფუძველს უქმნის ეროვნული ეკონომიკების დაახლოებისა და ურთიერთშეთანხმებული ფუნქციონირებისათვის, ასევე განაპირობებს ევროინტეგრაციის რეგულირებადი საბაზრო ურთიერთობების გზით წარმართვას. მისი მართვა ძირითადად ბიზნესის განვითარებაზე სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და ფაქტორების ზემოქმედებათა გათვალისწინებითაა შესაძლებელი.

ევროინტეგრაცია ეკონომიკური რეფორმების დროს წარმოადგენს სისტემურ პროცესს, რომელიც მოიცავს წარმოების, მომსახურებისა და მათი საბაზრო ურთიერთკავშირების, მათ შორის ბიზნესის ფუნქციონირების იმ ძირითად არეებს და ობიექტებს, რომლებიც მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის და სოციალური განვითარების თანამედროვე მოთხოვნებთან ურთიერთშესაბამისობაში იმყოფებიან. ამიტომ ევროინტეგრაციის პროცესში ბიზნესის განვითარებისთვის საჭიროა ინოვაციების, მათ შორის იმ ძირითადი ინოვაციური ფაქტორების როლის გაძლიერება, რომელიც აუცილებელია შემოსავლების გაზრდის ან სხვა მიზნით მომუშავე ფირმების სამეურნეო და საბაზრო საქმიანობათა რაციონალურად წარმართვისათვის.

ბიზნესის განვითარების ფაქტორებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინტეგრაციული პროცესები, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება ინტეგრაციის წარმოქმნას საქართველოსა და ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთკავშირში მყოფ დარგობრივ, საწარმოო და საბაზრო, ან სხვა სახის სამეურნეო სისტემებს შორის. ასეთი ინტეგრაცია, როგორც სისტემური პროცესი, ახასიათებს საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი დიფერენცირების ელემენტების საწარმოო ურთიერთკავშირების დამყარებისა და საგარეო საბაზრო ურთიერთობათა წარმოქმნის აუცილებლობას. ევროინტეგრაციის პირობებში ბიზნესის საქმიანობა, მისი წარმოებისა და მომსახურების სისტემის სტრუქტურა და საბაზრო ფუნქციები მოწესრიგებული და რეგულირებადი ხდება. იგი განაპირობებს ბიზნესის ისეთი ობიექტების ეფექტიანად ფუნქციონირებას, რომლებიც იმყოფებიან საგარეო საბაზრო კავშირში და მათთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე არსებულ გაერთიანებებს წარმოადგენენ. აღნიშნული საქართველოში არსებული თანამედროვე ბიზნესის შემოსავლების ზრდისა და დასაქმების სისტემის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი საფუძველია.

როგორც ცნობილია, ევროინტეგრაციამ წარმოქმნა საბაზრო ვალდებულებათა განხორციელებისა და ურთიერთკავშირების გაფართოების საჭიროება. იგი წარმოადგენს ბიზნესის სისტემისათვის ინოვაციური სიახლეების მიწოდების და, ამავე დროს ნოვატორული იდეების გამოყენების საშუალებას.

ამ მიმართულებით ინოვაცია უკავშირდება ისეთი ფინანსური წარმონაქმნის გამოყენებას, რომელიც საბაზრო ურთიერთვალდებულებით დადგენილი პროდუქციისა და ტექნიკის, ტექნოლოგიურ სიახლეთა მიწოდების ან იმპორტის განხორციელებისთვისაა გამიზნული. იგი ბიზნესის სისტემაში ფუნქციონირებადი ფირმების მოგებისა და შემოსავლების ზრდის მიზნით ხორციელდება.

ასეთი ინოვაციური პროცესების წარმართვის მიზნით, ბიზნესის ობიექტებსა და ფირმებში წარმატებით გამოიყენება ინოვაციური სტრატეგია, რომელსაც საწარმოს საბაზრო სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ბიზნესის ინოვაციური სტრატეგია, მის ურთიერთგანსხვავებულ ფორმათა შემთხვევაში (ტრადიციული, შემტევი, დამცავი, იმიტაციური და სხვ.) ძირითადად დამყარებულია ინოვაციურ ფაქტორებსა და ბიზნესის მიზნებთან მათი ურთიერთკავშირის ამსახველ კრიტერიუმებზე.

ბიზნესის განვითარების სტრატეგიის განხორციელებასთან მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციურ ფაქტორებს: 1. ფირმაში დასაქმების; 2. მისი ტექნიკური დონის სრულყოფის; 3. ტექნოლოგიური სიახლეების – ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისებისა და 4. ფირმათა მართვის ხარისხთან დაკავშირებულ რისკის ფაქტორებს.

ძირითადს ევროინტეგრაციის პროცესში წარმოადგენს ბიზნესის ისეთი ინოვაციური ფაქტორის მოქმედების გაძლიერება, როგორცაა დასაქმების სისტემა. ფირმებში წარმოებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიური ინოვაციების მიწოდებასთან ერთად, ბიზნესის წარმატებათა განმსაზღვრელი ფაქტორია დასაქმების საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბება და ევროკავშირის ფარგლებში მისი გამოყენება. ეს ეკონომიკური და სოციალური ურთიერთთანამშრომლობის და პროფესიული განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველთაგანია. ევროინტეგრაციის პირობებში ერთიანი სავალუტო და დასაქმების საბაზრო პოლიტიკის გატარება საფუძველს ქმნის საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისთვის. ამით შესაძლებელია საქართველოში საშუალო და მსხვილი ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი გარემოს შექმნა, მისი დარგობრივი საბაზრო კავშირებისა და არეების გაფართოება, საერთაშორისო კომპანიებისა და კორპორაციების ჩამოყალიბება და ეფექტიანად ფუნქციონირება.

ევროინტეგრაციის ვითარებაში და მის ფარგლებში საბაზრო კავშირების გაფართოება და ბიზნესის ინოვაციური ფაქტორების ეფექტიანობის ამაღლება საქართველოში, თანამედროვე ეკონომიკური და პროგრესული განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., კონსოლიდირებული ეკონომიკა და ეკონომიკური რეგრესი, სამეც. შრ. კრებული ტ. VI, თბ. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 20113.
2. პაპავა ვლ., არატრადიციული ეკონომიკის, თბ., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
3. წერეთელი გ., საქართველოს მწარმოებელურ ძალთა განვითარების სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაციის მიმართულებები, სამეცნ. შრ. კრებული, ტ. I, თბ., „მეცნიერება“, 2000.
4. ბერუღაია გ., მარკეტინგული ორიენტაციის როლი დინამიკურ ბაზარზე, სამეცნ. შრ. კრებული, ტ. I, თბ., „მეცნიერება“, 2000.
5. მიშინა ვ., არევაძე ნ., ცუცქირიძე მ., საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია კრიზისამდელ პერიოდში, სამეცნ. შრ. კრებული, ტ. I, თბ., „მეცნიერება“, 2000.
6. ცუცქირიძე მ., რეგიონის დარგობრივი სისტემების განვითარების დონის მაკროეკონომიკური შეფასების მეთოდური საფუძვლების სრულყოფის შესახებ, ჟ. „მაცნე“ (ეკ. და სამ. სერია), №3, თბ., „მეცნიერება“, 1991.

Marine Tsutskiridze

INNOVATION FACTORS OF BUSINESS UNDER EUROINTEGRATION

Annotation

The article analysis the factors of business development and innovation process under Euro-integration.

There are given the characteristics of influencing of results of employment, technical, technological and managerial factors on the activization of innovation process in Georgia.

ფატი შენგელია

შრომითი რესურსების ფორმირების გავლენა ორგანიზაციის საქმიანობაზე

ნებისმიერი ორგანიზაციის მომავალი საქმიანობა პერსონალის მართვის სფეროში დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი კადრები შეირჩა და როგორ ჩატარდება შერჩევის პროცესი. საჭიროა მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ პერსონალის მართვის ამ ეტაპს, რათა ფირმის საქმიანობაში დამატებით გართულვებებს არ ჰქონდეს ადგილი. განსჯას არ ექვემდებარება ის ფაქტი, რომ ნებისმიერი სამსახურის წარმატების ქვაკუთხედს სწორად შერჩეული კადრები განაპირობებს. მათ გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული ორგანიზაციის ბედი. ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ძირითადი წყარო ორგანიზაციის თანამშრომლები არიან, ისინი განსაზღვრავენ ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობას, ხოლო კადრების მენეჯერები კი მთავარ როლს ასრულებენ კადრების შერჩევისა და გამოყენების საქმეში. ამიტომ, რომ ორგანიზაციის ეფექტიანი საქმიანობის უპირატესი გარანტი შრომითი რესურსების მართვაა. შრომითი რესურსების მართვაში იგულისხმება ისეთი ორგანიზაციული სისტემის შემუშავება და გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანთა თავისებურებების და შესაძლებლობების სრულად გამოვლენას და ეფექტიან დასაქმებას ორგანიზაციის მიზნების მიღწევის მიმართულებით. ეს სისტემა მოიცავს კადრების შერჩევის, განაწილების და დასაქმების მთლიან სისტემას.

შრომითი რესურსების მართვა წარმოადგენს თანამედროვე კომპანიების საქმიანობის უმნიშვნელოვანეს სფეროს. საკადრო საკითხებში კომპანიის სტრატეგიული მიზნების რეალიზაციის ერთიანი ფორმულა არ არსებობს, მაგრამ არის ის ზოგადი პრინციპები, რომელთა რეალიზაცია იძლევა ამ დარგში წარმატების გარანტიას. ისინი აძლევენ ორგანიზაციას განსაკუთრებულ ნიშანსა და სხვებთან შედარებით უპირატესობას. საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული მიდგომა ემყარება შეფასებას, რომ არსებობს ადამიანური რესურსების

მართვის საუკეთესო პრაქტიკის ნაკრები, რომელიც უნივერსალურია, რადგან ეს სხვადასხვა პრაქტიკული გამოცდილება ყველაზე კარგი გამოსავალი ყველანაირი სიტუაციისათვის და მათი დანერგვა უზრუნველყოფს ორგანიზაციის სრულყოფილ მუშაობას. ამჟამად არსებობს “საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილების” არაერთი ჩამონათვალი. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ პეფერის (Pfeffer, 1998) მიერ შედგენილი სია, სადაც დასახელებულია: 1. სამუშაოს უსაფრთხოება; 2. შერჩევითი დასაქმება; 3. თვითმმართველი გუნდები; 4. მაღალი ანაზღაურება, რომელიც შეესაბამება შესრულებულ სამუშაოს; 5. ტრენინგები კვალიფიციური და მოტივირებული კადრების მოსამზადებლად; 6. სოციალური მდგომარეობის დიფერენცირების შემცირება; 7. ინფორმაციის გაცემა, საუკეთესო მისაღებების მიღობა.

საუკეთესო მისაღებების მიღობა უხმანება შესაბამისობის თეორიას. ამის თანახმად, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიები უნდა შეფარდებოდეს ორგანიზაციის შინაარსს და იქ არსებულ ვითარებას. ე.წ. “საუკეთესო მისაღებები”, შეიძლება აღიქვან, როგორც ვერტიკალური ინტეგრაცია ან ორგანიზაციის კორპორაციული და ადამიანური რესურსების სტრატეგიების ჰარმონიზაცია. ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ესადაგება იგი ორგანიზაციის განვითარების დონეს. ორგანიზაციის ზრდისა და განვითარების პარალელურად, ადამიანური რესურსების მართვის პროგრამები, პრაქტიკა და პროცედურები უნდა შეიცვალოს მოთხოვნების შესაბამისად. ზრდისა და განვითარების მოდელზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციის უფრო კომპლექსურ ინსტიტუტად ჩამოყალიბების კვალდაკვალ ადამიანური რესურსების მართვაც ვითარდება ეტაპობრივად, მთელი რიგი საფეხურების გავლით. აუცილებელია კომპანიაში საკადრო სტრატეგია ინტეგრირებული იყოს ბიზნესის სტრატეგიასთან; შრომითი რესურსების მართვის საგანი უნდა იყოს არა ამ დარგის პროგრამები, არამედ ურთიერთობანი; შრომითი რესურსების ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელია მოვახდინოთ მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზირება, მათი ადაპტაცია ახალ გარემოში; შრომით რესურსების მართვა არის გამოჩნული არა პიროვნებებზე, არამედ პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის გზებზე; შრომითი რესურსების მართვის დარგში მენეჯერებს უნდა ესმოდათ, რომ მათი სარგებლიანობა მოცემულ ბიზნესში მოითხოვს უწყვეტ სწავლებას, მოწინავე გამოცდილების დაგროვებასა და გამოყენებას [4, გვ. 87].

შრომითი რესურსების მართვის არსებული უამრავი კრიტერიუმიდან საყურადღებოა ჰარვარდის ბიზნესის სკოლის პროფესორის მაიკლ ბირის მიერ ჩამოყალიბებული კრიტერიუმები:

1. **კომპეტენტურობა.** საკადრო საქმიანობა ეფექტიანია მაშინ, როდესაც არსებობენ ის ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი, კვალიფიციურად შეასრულონ დაკისრებული საქმე. კომპეტენტურობა გულისხმობს საკადრო მუშაკების უნარს, მიუსადაგონ თავიანთი საქმიანობა მიმდინარე ცვლილებებს. კომპეტენტურობის აუცილებელი ელემენტებია ადაპტაციის უნარი და მოქნილობა;
2. **ერთგულება და ჰარმონია.** საკადრო საქმიანობა ეფექტიანია თუ ამ სფეროში დასაქმებულები არიან კომპანიის ერთგული ადამიანები. ერთგულებით ფერომენი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანიის მუშაკებსა და მის მიზნებს შორის არის ჰარმონიულობა;
3. **ეფექტიანობა.** შრომითი რესურსების მართვის ეფექტიანობა ნიშნავს კადრების დაბალ დენადობას, სამუშაო მოცდენების შემცირებას, კომპანიაში დასაქმების მაღალი კონკურენციული გარემოს არსებობას [3, გვ. 303].

კვალიფიციური მუშაკების შერჩევისას უნდა გაითვალისწინონ ამ დარგის ფუძემდებლური პრინციპები და კრიტერიუმები. კომპანიის სამუშაო ძალით უზრუნველყოფისას ძირითად პრობლემას შრომითი რესურსების მართვის დარგში დასაქმებული მენეჯერები აწყდებიან. აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზარზე მათი მოთხოვნილება სულ უფრო იზრდება. წარმატებული ბიზნესის აუცილებელი პირობაა კვალიფიციური კადრების შენარჩუნება, ახალგაზრდების მომზადება და გადაამზადება. შრომითი რესურსების მართვის პროცესი მოიცავს შრომით რესურსებზე მოთხოვნის დაგეგმვას, პროგნოზირებას, ახალი კადრების შერჩევას, მომზადებას და კვალიფიციაციის ამადლებას, მომუშავეთა საქმიანობის შეფასებას, ხელფასის, შემოსავლების რეგულირებასა და მომუშავეთა სტატუსის შეცვლას. თუ კომპანიას სურს ხანგრძლივად შეინარჩუნოს მაღალი ეფექტიანობა შიდა გარემოს სწრაფად ცვლელად პირობებში, ის ვალდებულია სწრაფად დანერგოს ახალი სტრატეგიები და ორგანიზაციული სტრუქტურა. სტრატეგიული მანევრირება მოითხოვს ისეთ კულტურას, რომელიც ეფექტიანად რეაგირებს და ხელს უწყობს კომპანიას, მოერგოს გარე გარემოს ცვლილებებს. აქ არ გამოდგება ინერტული კულტურა, რომელიც არ ექვემდებარება კორექტირებას. სწრაფად ცვლელად გარე გარემოში ფასეულ კონკურენტულ აქტივად – ზოგჯერ კი პირდაპირ აუცილებლობად ხდება ადაპტაციური კულტურა. ადაპტაციური კულტურაში ორგანიზაციის წევრებს ექვი არ ეპარებათ, რომ ორგანიზაცია თავის გაართმევს ნებისმიერ საფრთხეს და შეძლებს განახორციელოს ნებისმიერი შესაძლებლობის რეალიზება; ისინი მზად არიან რისკისთვის, არ ეშინიათ ექსპერიმენტების, სიახლეების, სტრატეგიისა და სამუშაო მეთოდების შეცვლისა და მზად არიან ცვლილებებისათვის, როდესაც ამას მოითხოვს დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები – კლიენტები, თანამშრომლები, აქციონერები, მიმწოდებლები და საზოგადოება, ადაპტაციური კულტურის მქონე კომპანიებს უკავიათ აქტიური პოზიცია პრობლემების გამოვლენასა და შეფასებაში, ძიებაში, გადაწყვეტილების გამოვლენასა და მიღებაში. ასეთ კომპანიებში შექმნილია ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს ხანგრძლივ წარმატებას და უზრუნველყოფს საკვანძო ფასეულობებისა და ბიზნესის პრინციპების მუდმივ განახლებას, ხდება ინიციატივისა და შეწარმობის წახალისება. მენეჯერები ხელმძღვანელობენ და სტიმულს აძლევენ ახალი პროდუქციის შემუშავებას, ღიად განიხილავენ ახალ იდეებს და მზად არიან წავიდნენ გარკვეულ რისკზე ბიზნესში ახალი პოზიციების მოსაპოვებლად. სტრატეგია და მიღებული სამუშაო მეთოდები სწრაფად კორექტირდება, როდესაც იცვლება გარე გარემო ან იხსნება ახალი შესაძლებლობები. ადაპტაციური კულტურის მქონე ორგანიზაციის ხელმძღვანელები ეყრდნობიან პრინციპს: „ შეიცვალოს მხოლოდ ის, რაც საჭიროა და მხოლოდ საჭირო მოცულობით“. დაუშვებელია ცვლილებების განხორციელება ცვლილებების გამო, ისინი ახდენენ კურსის და პოლიტიკის კორექტირებას, რათა ამ მიზეზით არ დაზარალებდეს უფრო მნიშვნელოვანი ფასეულობები [1, გვ. 571].

თანამედროვე ეტაპზე ორგანიზაციებისთვის როგორც არასდროს, ისე საჭირო და აუცილებელია კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. პერსონალის ცოდნის, გამოცდილების, ჩვევების და შესაძლებლობების ეკონომიკური ეფექტიანობა – აი ეს არის ადამიანური კაპიტალი. სწორედ ადამიანური კაპიტალის მართვის ორგანიზაცია განსაზღვრავს ორგანიზაციის (ფირმის) კონკურენტუნარიანობას და არის მისი წარმატების საფუძველი. ორგანიზაციები განიცდიან გლობალური მასშტაბით კონკურენციას. თითქმის ყველა დარგის ფირმები აწყდებიან ისეთ პრობლემებს, როგორცაა მოთხოვნა გლობალურ ლიდერებზე, ადამიანებზე, რომელთაც გააჩნიათ არა მარტო ხელმძღვანელობის უნარი, არამედ შესაძლებლობები, იმუშაონ სხვადასხვა ქვეყნის ფირმებთან და კულტურებთან მიმართებაში. ამიტომაც რომ დღეისათვის ფირმების მთავარი ამოცანა პერსონალის შერჩევის და მომზადების ისეთი პოლიტიკის შემუშავებაა, რომელიც ხელს შეუწყობს გლობალური ლიდერების მომზადებას. სწორედ ამ მუშაკებზეა დამოკიდებული ორგანიზაციის გლობალური ბიზნესსტრატეგიების წარმატება.

ზოგადი სტრატეგიები განსაზღვრავს საერთო სისტემას ან თანამედროვე ადამიანური რესურსების პრაქტიკის ერთობლიობას, რომელთა დანერგვაც სურს ორგანიზაციას სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით. არსებობს სამი მთავარი მიდგომა:

1. სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული მენეჯმენტი – სამუშაოს ეფექტიანი შესრულება ან ეფექტიანი მუშაობა გამიზნულია იმაზე, რომ გააღწეოს მოახდინოს ორგანიზაციის მუშაობის ისეთ სფეროებზე, როგორცაა პროდუქტიულობა, ხარისხი, მომსახურების სერვისის დონე, ზრდა და მოგება. სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული პრაქტიკა მოიცავს კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიურ პროცედურებს, ხანგრძლივ და რელევანტურ ტრენინგს და მართვის განვითარების აქტივობებს, სახელფასო სისტემას, რომელიც წახალისების გზით მოტივაციის გაზრდაზე ორიენტირებული და სამუშაოს მართვის პროცესებს.

2. ვალდებულებაზე ორიენტირებული მენეჯმენტი ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია, ამ დროს ხდება ძირითადი აქცენტის გადატანა ერთობლივი ვალდებულების მნიშვნელობაზე. ვალდებულებაზე ორიენტირებული მართვა შეიძლება განემარტოთ, როგორც “მართვის ფორმა, რომელიც მიმართულია ვალდებულების გაზრდაზე ქვეყნის თვითკონტროლით და არა გარეშე სანქციებითა და ინდივიდზე ზეწოლით, ხოლო ორგანიზაციის შიგნით ურთიერთობები ეფუძნება ნდობის მაღალ დონეს”.

3. ჩართულობაზე ორიენტირებული მენეჯმენტი – სამუშაოში ჩართულობაზე ორიენტირებული სამუშაო პრაქტიკა წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკის განსაზღვრულ ერთობლიობას, რომელიც ფოკუსირებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა დასაქმებულთა გადაწყვეტილების მიღება, ძალაუფლება, ინფორმაციის წვდომა, ტრენინგი და წახალისება. ძველი ბიუროკრატიული მოდელისაგან განსხვავებით, რომელიც კონტროლს ემყარებოდა, ეს არის ვალდებულება და ჩართულობაზე დაფუძნებული მენეჯმენტის სისტემა. მისი მთავარი პირობებია თანახმად, დასაქმებული უფრო მეტად ჩაერთვება თავის საქმიანობაში, თუ მას ექნება უფლება, თავად გააკონტროლოს და ბოლომდე გაითავისოს საკუთარი სამუშაო.

სამუშაოში ჩართულობაზე ორიენტირებული პრაქტიკა საკმაოდ ეფექტურია, რადგან შედეგად მოაქვს ერთობლივი მოღვაწეობა და პროდუქტიულობა. ეს მიდგომა გულისხმობს დასაქმებულებთან ურთიერთობას, როგორც პარტნიორებთან, რომელთა ინტერესებს პატივს სცემენ და რომლებსაც აქვთ უფლება, თავიანთი შესვლულებები გამოთქვან იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ეხებათ. მიდგომა მოიცავს კომუნიკაციასა და ჩართულობას; მისი მიზანია, შექმნას ისეთი გარემო, როდესაც მუდმივად არის დიალოგი მენეჯერსა და გუნდის სხვა წევრებს შორის, რათა განისაზღვროს მოლოდინი, ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია ორგანიზაციის მისიის, ფასეულობებისა და ამოცანების შესახებ. შედეგად, ყველასათვის გასაგები ხდება რას უნდა მიაღწიოს ორგანიზაციამ, ყალიბდება ადამიანთა მართვისა და განვითარების სტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის დასახული მიზნების მიღწევას.

ადამიანური რესურსების ოპერაციული პროცესების გაუმჯობესების მიზნით ტექნოლოგიების გამოყენება კადრების მართვის სფეროში მსოფლიოში ფართოდ აპრობირებულ პრაქტიკას წარმოადგენს. ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვა მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს ზოგადი მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესება. ამ ეტაპზე საქართველოს საჯარო სამსახურის დაწესებულებებში ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვის პროგრამული უზრუნველყოფის პროექტების დანერგვა, რათა გაძლიერდეს ადმინისტრაციული ეფექტურობა, შემცირდეს ხარჯები და გაუმჯობესდეს მომსახურების სტანდარტები. ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა სახელმწიფო სტრუქტურებში ხელს შეუწყობს ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, სერვისის, მონაცემთა ბაზების, მეთოდებისა და გადაწყვეტილების გაზიარებასა და განვითარებას.

საქართველოს საჯარო სექტორში მრავალფეროვანი პროგრამული გადაწყვეტები ხელმისაწვდომია, რომელთაგან უმეტესობას მხოლოდ ადამიანური რესურსების რეგისტრაციის და სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობა გააჩნია (შ და დშ პროგრამები). სხვა უფრო ფართომასშტაბიან ადამიანური რესურსების მართვის პროგრამებს აქვთ ინტეგრირებული შეფასების, მოტივაციის, ასევე ტესტირების ფუნქციები. აღნიშნული პროგრამები გაუმჯობესების პროცესშია.

თანამედროვე პირობებში შრომით რესურსებს შორის ურთიერთობას აწესრიგებს დაქირავების საკონტრაქტო სისტემა. იგი მომუშავეს კონტრაქტის მოქმედების ვადაში აძლევს დასაქმების გარანტიას, ხოლო ადმინისტრაციას ავალდებს უზრუნველყოს ეს უკანასკნელი შრომის პირობებით და შესაბამისი ანაზღაურებით.

კონტრაქტი შეიძლება დაიდოს ინდივიდუალურად ცალკეულ პიროვნებებს ან გარკვეულ ჯგუფებთან. აქედან გამომდინარე, განასხვავებენ **ინდივიდუალურ და კოლექტიურ კონტრაქტებს**.

ინდივიდუალური კონტრაქტი წარმოადგენს შრომით ხელშეკრულებას მომუშავესა და დაქირავებულს შორის, რომელიც ადგენს ორივე მხარის უფლებებსა და მოვალეობებს გარკვეული სამუშაოს შესრულების პერიოდში.

საკონტრაქტო სისტემის გამოყენების სფეროში დაგროვილი გამოცდილების დახმარებით შესაძლებელია წარმოვადგინოთ კონტრაქტის შემდგენიანი სტრუქტურა: ზოგადი დებულებები; კონტრაქტის დამდები მხარეები;

შეთანხმების ვადა; გამოსაცდელი პერიოდის ხანგრძლივობა და ა.შ.; მომუშავეს ვალდებულებები: (კონტრაქტის საგანი) – რა სამუშაო შეარულოს მომუშავემ, მისი გრძელვადიანი ამოცანები, სამუშაო ფუნქციების კონკრეტობა, შესასრულებელი სამუშაოს ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნები და სხვა.

ორგანიზაციის ვალდებულებები: სამუშაოს ეფექტურად შესრულებისთვის საჭირო პირობების შექმნა სამუშაო ადგილზე, შრომის ანაზღაურება, შრომისა და დასვენების რეჟიმი, სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება და ა.შ.

მხარეთა პასუხისმგებლობა: კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება:

კონტრაქტის გახანგრძლივების ან გაუქმების საფუძველი და წესი. კონფლიქტების განხილვის წესი.

დამატებითი პირობები.

ინდივიდუალური კონტრაქტი შეიძლება გაფორმდეს როგორც ხელმძღვანელ მუშაკთან, ანუ მმართველთან, ასევე სპეციალისტთან. კონტრაქტის ქმედითობის ამდლების მიზნით მიზანშეწონილია, მასში მაქსიმალურად ზუსტად და ნათლად განისაზღვროს სამუშაოს მოცულობა, შესრულების ვადები და ორივე მხარის ვალდებულებები. სპეციალისტის სამუშაოზე მიღება მოითხოვს მისი მოვალეობების სწორ შეფასებას, შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოდ გამოკვეთას, შრომის ინტენსივობის და ხარისხის შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას. კონტრაქტში შეტანილი მხარეების პასუხისმგებლობის საკითხი, რა თქმა უნდა, ორმხრივია, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მომუშავეს ორგანიზაციის მიზნით მიაღწა რაიმე სახის ზიანი, იგი უნდა ანაზღაურდეს ამ უკანასკნელის მიერ. ანალოგიურად, თუ მომუშავემ თავის მოქმედებით ან უმოქმედობით მიაყენა ზარალი ორგანიზაციას, მაშინ მასთან მიმართებაში გატარდება გარკვეული სახის სანქციები, რომელიც მითითებული უნდა იყოს კონტრაქტში.

კოლექტიური კონტრაქტი – წარმოადგენს შეთანხმებას ორგანიზაციის ადმინისტრაციის ასა და მომუშავეთა ჯგუფს შორის, რომელიც ადგენს მათ უფლება-მოვალეობებს. კოლექტივთან კონტრაქტის დადება ხდება ამ ჯგუფის წარმომადგენელთან ინდივიდუალური კონტრაქტის ანალოგიურად. ამ წარმომადგენელს ირჩევენ თვით კოლექტივის წევრები. რაც შეეხება თვით ადმინისტრაციის მიერ კოლექტივის შერჩევას, იგი ხორციელდება უმეტესად კონკურსის წესით. კონტრაქტით დაქირავებული კოლექტივის ხელმძღვანელის კომპეტენციაში შედის შემდეგი საკითხები: ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება; კოლექტივის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება და ა.შ. ასეთი კოლექტივის თითოეული წევრი პერსონალურად აკებს პასუხს შესასრულებელი სამუშაოს ხარისხზე ინდივიდუალური კონტრაქტის ანალოგიურად. სამუშაოს შედეგები ფორმდება მიღებ-ჩაბარების აქტით. ასეთი კოლექტივის საქმიანობა წყდება კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ ან ვადადამდე სამუშაოს ხარისხიანად ჩაბარებისას, ან უარყოფითი შედეგების მიღებისას.

ამრიგად, კადრების სწორი შერჩევა და შენარჩუნება, მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაზე სისტემატური ზრუნვა, კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა გადამწყვეტ გავლენას ახდენს წარმატებულ კომპანიის ფუნქციონირებაზე. მოძიებული მასალების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აუცილებელია საკადრო რესურსების მართვის სისტემის სტრუქტურისა, სისტემატიზაცია და გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი მექანიზმების დამუშავება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება კომპანიის სტრუქტურული ელემენტების, საკადრო იერარქიული პოზიციების, საკადრო რესურსების განსაზღვრა, რაოდენობრივი და ინტელექტუალური პარამეტრების საფუძველზე კონკრეტული ოპერაციის შესრულებისთვის შესაბამისი რესურსების ჭარბი სიმრავლიდან მიზნობრივი მოტივაციის მაჩვენებლებით კონკრეტულის შერჩევა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევას, ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროდუქციისა და მომსახურების წარმოებას .

გამოყენებული ლიტერატურა

1. არტურ ა. ტომპსონი უმც., ა. ჯ. სტრიკლენდი, III. სტრატეგიული მენეჯმენტი, კონცეფციები და ბიზნეს-სიტუაციები. გამომცემლობა „მთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, საქართველო, 2010.
2. ევგენი ბარათაშვილი, ლარისა თაკალანძე. მენეჯმენტის საფუძვლები. თბილისი, 2010.
3. თეიმურაზ შენგელია. თანამედროვე ბიზნესის საფუძვლები. თბილისი, 2007.
4. Fred R. David. How Companies Define Their Mission. Loong Rauge Plining 22, 1989. February, N2.
5. Фомичев А.Н. Современная концепция административного менеджмента. Калуга, „ЭИДОС“, 2001.
6. www.nplg.gov.ge
7. edu.aris.ge
8. mod.gov.ge
9. education.ge
10. www.gorgasali.edu.
11. www.eeu.edu.ge
12. ka.wikipedia.org
13. http://strategy.ge/

Fati Shengelia

THE HUMAN RESOURCES FORMING INFLUENCE ON WORKING OF ORGANIZATION

Annotation

The correct selection and retention of staff, their training and retraining is of the systematic care. Comfortable work environment plays a crucial impact on the successful operation of the company. According to the materials based on the analysis we can conclude that the necessary human resources management system is structured, systematized and are worked out decision-making support tools for processing, thus ensuring a company's structural elements, structural hierarchical positions, human resource determination, quantitative and intellectual parameters, based on the specific operation to perform the appropriate resources in excess set

from choosing a specific target motivation indicators, which in turn will contribute to achieving the goals set by the organization, according to market products and services of modern production.

To facilitate the mobile working groups for the restructuring projects to reflect the human resource changes within the corporation or generally recruit the new personnel on the vacant positions, the HR rating estimation periodic form has been elaborated, on the basis of which the mechanism system supporting the selection of the multi criteria options has been developed through the combination of the applicable decision-making methods. The absolute possession and online processing and management of the corporate information (managerial, financial, legal, marketing, etc) as well as intellectual resources (human, technical-technological and software-informational resources) is deemed to be the significant and critical point preconditioning the effective management and successful functioning of the corporate systems.

მანანა ხარხელი

საბანგო სიტუაციაში ბიზნის მართვა

როცა მე ინფორმაცია წავიკითხე იმის შესახებ, რომ ისრაელში "2013 წელს, ებრაულმა კომპანიამ "ბაინეტ დატა კომუნიკაციამ" (Bynet Data Communications) ქალაქ იერუსალიმის ერთ-ერთი რაიონის – ჰარ პოციმის ქვეშ, რომელიც მთელი ისრაელის მაღალტექნოლოგიური ცენტრია, წამოიწყო მასშტაბური პროექტი, რომელიც მიწის 35 მეტრის სიღრმეზე 17000 კვ. მეტრის შენობა-ნაგებობის აშენებას ითვალისწინებს და რომელშიც განთავსდება 100 000 ერთეული კომპიუტერული სერვერი, რომლის სრული ტევადობა იმდენად მასშტაბური იქნება, რომ პოტენციურად უზრუნველყოფს დაზღვევას და კრიტიკული ოპერაციების აღდგენის შესაძლებლობას" [1], დამებადა ამ სტატიის დაწერის სურვილი.

ისრაელი წარმოადგენს ქვეყანას, რომელიც მსოფლიოს არამდგრად რეგიონში მდებარეობს. ეს პროექტიც, როგორც ყველაფერი, რაც ისრაელში კეთდება, გარედან მოსალოდნელი საშიშროებების თავიდან აცილების, ანდა მათგან გამოწვეული რისკებიდან თავის დაზღვევის მიზნით ხორციელდება. ამჟამად, ისრაელს არა ერთი და ორი მონაცემთა ალტერნატიული მიწისზედა ბაზები აქვს, მაგრამ რადგან მიწისზედა მონაცემთა ბაზები ითვლება ნაკლებდაცულად, ამიტომ იგი მიდის ამ დიდ ინვესტიციურ დაბანდებაზე და მიწისქვეშ 35 მეტრის სიღრმეზე აშენებს მონაცემთა ბაზას. მიზანი ერთია და ერთადერთი: ნებისმიერი მასშტაბური კატაკლიზმის პირობებში – ომი, მიწისძვრა, კიბერშეტევა და სხვა, – არ მოხდეს ბიზნისში ოპერაციათა წყვეტილობა, მიწისზედა ცენტრებში განადგურებულ მონაცემებს მყისიერად ჩაენაცვლოს მიწისქვეშა ცენტრის მონაცემები და არ შეწყდეს ბიზნესპროცესი, ანუ არ ჩამოიშალოს ეკონომიკა.

თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით საქართველო ისრაელზე უკეთეს მდგომარეობაში არ იმყოფება. იგი ევროპა-აზიის გზასაყარზეა და მუსულმანური ქვეყნებით არის გარემოცული. არამეგობრული დამოკიდებულებაა რუსეთთანაც, რომლის ზრახვების პროგნოზირება ჩვენი მისამართით შეუძლებელია. ასეთ პირობებში, საქართველოს შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებში ფიქრის დონეზეც კი არ დგას მსგავსი პროექტის შემუშავება. მეტიც, ის, რაც საბჭოთა პერიოდში საქართველოს თითქმის ყველა რაიონში (და მსხვილ სოფლებშიც კი) არსებობდა მოსახლეობის მიწისქვეშა თავშესაფრების სახით, ისიც მოისპო და განადგურდა.

რადგან საფრთხეებისგან არც ერთი ქვეყანა და მისი არც ერთი კომპანია არ არის დაზღვეული, ამიტომ საქართველოც და მისი კომპანიებიც, როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე, აქტიურად უნდა ფიქრობდნენ ამაზე და ატარებდნენ ღონისძიებებს მის უზრუნველსაყოფად.

მაშასადამე, ჩვენი ქვეყნისთვის და მისი თითოეული ბიზნესერთეულისთვის პოტენციურად არსებობს ბიზნისის უწყვეტის რისკი. ამ რისკს მართვა სჭირდება, მართვას კი შესაბამისი ცოდნა. ამ მიზანს ემსახურება ჩემი მოხსენება. თუმცადა, აქვე აღვნიშნავ, რომ ერთი მოხსენების ფარგლებში ამ საკითხის ამოწურვა შეუძლებელია.

პირველი, რაც ამ მიმართულებით კომპანიამ (და მთლიანად ქვეყნის მთავრობამ) უნდა გააკეთოს, ეს არის ბიზნისის უწყვეტობის გეგმის შემუშავება. მასში დეტალურად უნდა დაიგეგმოს უწყვეტი ბიზნესჯაჭვის ყველა მდგენელი. ბიზნისის უწყვეტობის გეგმას ოთხი ძირითადი კომპონენტი აქვს [1, გვ. 27]:

- პროექტის სფეროს განსაზღვრა და წინასწარი დაგეგმვა;
- ბიზნისზე ზეგავლენის ანალიზი;
- უწყვეტობის დაგეგმვა;
- დამტკიცება, განხორციელება და მოქმედებაში მოყვანა.

ბიზნისის უწყვეტობის გეგმის შედგენის მეთოდოლოგია მსოფლიოში არსებობს [2, გვ. 213], მაგრამ იგი არ არის უნივერსალური. საჭიროა მისი გაცნობა და მისადაგება კომპანიის (ქვეყნის) პირობებსა და შესაძლებლობებთან. მეტიც, ამ გეგმის შედგენისას კომპანიის სიდიდესაც – მცირე, საშუალო, დიდი – აქვს მნიშვნელობა. კომპანიამ (და ქვეყანამ) უპირველესად ბიზნისის უწყვეტობის გუნდი უნდა ჩამოაყალიბოს, რომლის ერთი წევრი მისი აღმასრულებელი დირექტორი იქნება. სწორედ მან უნდა ჩაუტაროს კომპანიას სრულყოფილი და კარგად გააზრებული ანალიზი და შეაფასოს მის ხელთ არსებული რესურსები, რომელთა მობილუზაცია შეიძლება საჭირო გახდეს საბანგო სიტუაციების დადგომისას. ამის გარდა, ამ გუნდმა უნდა მოახდინოს კომპანიის იმ ბიზნესსტრუქტურების და ცალკეული თანამშრომლების იდენტიფიცირება, რომლებიც კრიტიკული ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებენ; ასეთ სტრუქტურულ ერთეულებად ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, წარმოგიდგენია, კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება და მისი თანამშრომლები, აგრეთვე დაცვის სამსახური (თუ კომპანიას ასეთი აქვს). ამის გარდა (ეს დადასტურებულია საზღვარგარეთის გამოცდილებით), ამ კრიტიკული ფუნქციების შემსრულებელთა რიცხვში უნდა შევიდნენ ბიზნესფუნქციების წარმომადგენლებიც, კერძოდ,

ადმსრულებელი მენეჯმენტის წარმომადგენლები, იურიდიული განყოფილების თანამშრომლები, კომპანიაში უშუალოდ ბიზნეს-პროცესების შემსრულებლები და სხვები.

გუნდის ფორმირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასში ადმსრულებელი დირექტორის დაინტერესებას და ჩართულობას. არის ქვეყნები, რომლებშიც კანონმდებლობა პირდაპირ ავალდებს კომპანიის დირექტორებს ამ საკითხით დაინტერესებას და აკისრებს უშუალო პასუხისმგებლობას. სამწუხაროდ, საქართველოში არც ასეთი კანონმდებლობაა შექმნილი და არც ბიზნესის უწყვეტობის გეგმები დგება კომპანიაში (არც ქვეყანაში).

ბიზნესის უწყვეტობის გეგმა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო რესურსებით, უპირველეს ყოვლისა, ინვესტიციით. ეს სჭირდება პარალელური სერვერების, დუბლირებული კომუნიკაციური არხების შექმნას და სხვას. ასე რომ, კომპანიაში ამ მიზნისთვის ინვესტიციებიც უნდა მოიხილოს.

ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვის ეტაპზე ძირითადად სამი სახის აქტივის დაცვა უნდა იყოს გათვალისწინებული. ეს აქტივებია: ადამიანები, შენობა-ნაგებობები და ინფრასტრუქტურა (კონკრეტული აპარატურა და საინფორმაციო სისტემები).

ბიზნესის უწყვეტობის გეგმამ დამტკიცების შემდეგ უნდა გაიაროს ტესტირება, ანუ იგი უნდა გაცნოს კომპანიის ყველა თანამშრომელს და ეს უნდა მოხდეს არა წელიწადში ერთხელ, არამედ, კვარტალში ერთხელ მაინც. ეს გაზრდის კომპანიის თანამშრომელთა ცნობიერების დონეს ამ საკითხში და ბიზნესის უწყვეტობის მნიშვნელობის აღქმადობას.

ბიზნესის უწყვეტობის რისკის მართვის საკითხი მრავალ ქვეყანაში უკვე დაინერგა, ზოგან კი ახლა მუშავდება მისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტები. ამ საკითხით განსაკუთრებული დაინტერესება საბანკო სფეროში გამოჩნდა, რადგანაც ეს ის სექტორია, რომლის ჩამოშლამაც შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს ეკონომიკას.

სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმაც შეიმუშავა საოპერაციო რისკების დებულების ახალი პროექტი, რომელიც კომერციულ ბანკებს ავალდებულებს ბიზნესის უწყვეტობის გეგმების შემუშავებას და რეგულარული ტესტირების ჩატარებას. მაგრამ, პრაქტიკულად, საქართველოს კომერციულ ბანკებში ეს საქმე არ დაწყებულა.

ჩვენი აზრით, კომერციული ბანკები ყოველგვარი ცენტრიდან დავალების გარეშეც თვითონ უნდა იყენონ დაინტერესებულნი ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ორგანიზაციით, რადგანაც, არასასურველი ინციდენტის შემთხვევაში, ისინი, დიდი ალბათობით, ვერ მოახერხებენ უარყოფითი მოვლენისგან დროულად და ეფექტიანად თავის დაღწევას, რაც მათ ათასობით კლიენტის წინაშე შეუღალავს რეპუტაციას. ბევრი კლიენტი აღარ ისურვებს ასეთ ბანკთან საქმის დაჭერას და სხვა ბანკში გადაინაცვლებს.

ჩვენი ეს მოსაზრება უნდა გაითვალისწინონ არა მხოლოდ ბანკებმა, არამედ მსხვილმა საწარმოებმაც, მაგალითად, სააქციო საზოგადოებებმა, რომელთაც გარკვეული ვალდებულებები გააჩნიათ აქციონერების წინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. პაპუაშვილი, ბიზნეს-უწყვეტობის ეფექტიანი მართვა, ჟ. "ეკონომიკა და საბანკო საქმე", 2013, ტ. I, №2.
2. "As with any formalises busines prosess, the deveipment of a strond business contiunity plan requires the use of proven methodology" Stewart. Tittel and Chapple, 2011, p. 613.

Manana Kharkheli

EMERGENCY MANAGEMENT IN BUSINESS

Annotation

In the article, there is raised the issue about the implementation of business continuity risk management in Georgian companies and the economy as a whole. Examples of many countries are given, where the issue stands at a high level and even in force-majeure situations normal conditions are restored quickly.

Author especially indicates the importance of this issue in big commercial banks, where termination of businesses can destroy the whole economy.

National Bank of Georgia, similarly to the central banks of other countries, has developed a new regulation in the field of Operational Risk Management and instructed commercial banks to create a business continuity risk management plans. However, commercial banks have not reacted to those instructions yet. As for other firms, this issue was not raised at all.

The author talks about the unstable geopolitical space in which Georgia is located, due to which government and the companies must develop business continuity management's plans and practically implement it.

*დავით ჯალაღონია
როდიონ ქორჩილავა*

საბადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის ამაღლების უსიძოლობიური ასპექტები

ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირება მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული გადასახადების ადმინისტრირების პროცესთან. საქართველოს საგადასახადო კოდექსით, საგადასახადო ადმინისტრირება წარმოადგენს გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასა და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობას, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

საგადასახადო ადმინისტრირება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე მდგარი ამოცანების პრაქტიკული რეალიზაციის ინსტრუმენტი, ხელს უწყობს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებთან ერთად იცვლება საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის ამადლების ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ გადასახადების ადმინისტრირებით ხდება არა მხოლოდ გადასახადების ამოღება, არამედ გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოებს შორის საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში ჩამოყალიბებული ურთიერთობების რეგულირებაც. სწორედ, აღნიშნული ურთიერთობების შემდგომი სრულყოფა და მაღალი საგადასახადო ცნობიერების ჩამოყალიბება წარმოადგენს საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის ამადლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. აღნიშნული პროცესის რეგულირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებას, რომელიც უკავშირდება გადასახადის გადამხდელის განწყობას, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი.

ცნობილია, რომ საზოგადოების ცალკეული წევრის მიერ ქვეყნის ბიუჯეტში გადახდილი ფულადი რესურსების სიდიდე განსხვავებულია. ამასთან, სიკეთით, რომელიც გადებულია სახელმწიფოს მხრიდან და გამოიხატება ქვეყანაში არსებული უსაფრთხო გარემოს, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის და ა.შ. შექმნით, ქვეყნის ბიუჯეტში შეტანილი გადასახადის მოცულობის მიუხედავად, თითოეული მათგანი ერთნაირად სარგებლობს. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ შექმნილი სიკეთით სარგებლობასთან საზოგადოების ყველა წევრს უნდა მიუწვდებოდეს ხელი. უფრო მეტიც, სახელმწიფო, როგორც საზოგადოების თითოეული წევრის უფლებათა დაცვის გარანტი, ვალდებულია მის ხელთ არსებული რესურსები მაქსიმალურად მიმართოს საზოგადოების გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიმართულებით. სწორედ ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა გააცნობიეროს თავისი როლი და ფუნქცია ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. პირველ რიგში, ეს უნდა გამოიხატებოდეს ქვეყანაში, ნებაყოფლობით გადაიხადოს გადასახადი. ამისათვის კი აუცილებელია, რომ გადამხდელის ფსიქოლოგიური განწყობა შეესაბამებოდეს საზოგადოების ცალკეული წევრის და მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი ამადლების სურვილს. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელი, შემოსავლების სიდიდის გათვალისწინებით, მზად უნდა იყოს, გადაიხადოს უფრო მეტი გადასახადი და ამით მეტი წვლილი შეიტანოს მისივე საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობის ამადლების საქმეში. ამის ნათელი დასტურია 1948 წელს მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, რომლის მიხედვითაც, „ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება. თავისი უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ადამიანი შეიძლება განიცდიდეს მხოლოდ კანონით დადგენილ შეზღუდვებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება, პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში“. გაცილებით უფრო ადრე, ადამ სმიტის მიერ შემუშავებულ ეკონომიკურ პრინციპებში, რომელსაც მოგვიანებით „გადამხდელთა უფლებების დეკლარაცია“ ეწოდა, ხაზგასმულია სახელმწიფოს თითოეული მოქალაქის მოვალეობაზე, თავისი შემოსავლებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებაში.

თანამედროვე ეტაპზე რეალურად, დარღვეულია პროპორციები სახელმწიფოს მიერ შექმნილი სიკეთის მოხმარებასა და ბიუჯეტში გადახდილ გადასახადს შორის, რაც დასტურდება იმით, რომ აღნიშნული სიკეთით ერთნაირად სარგებლობს როგორც გადასახადის პატიოსანი გადამხდელი, ისე ურჩი გადამხდელი. მოტივაცია გადასახადის გადამხდელისა, ნებაყოფლობით გადაიხადოს გადასახადი, შენელებულია. აქედან გამომდინარე, გადასახადის ადმინისტრირება მოიცავს იძულებითი ღონისძიებების გატარებას.


ბიუჯეტის დეფიციტის შევსების უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციული ხეწოლის გაფართოება და სახელმწიფოს მიერ საგადასახადო კონტროლის გამკაცრება საზოგადოებაში კიდევ უფრო აძლიერებს გადასახადის გადახდისადმი უარყოფით დამოკიდებულებას და მისი არგადახდის სურვილს. ეს კი, თავის მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან იწვევს გადასახადების ადმინისტრირებისათვის ხარჯების ზრდას, გაზრდილი ხარჯების დასაფარად კი მეტი საბიუჯეტო სახსრების გამოყენებას.

ჩამოყალიბებული მოცემულობიდან გამოსავალი, ჩვენი აზრით, ხელისუფლების მიერ საგადასახადო პროცესებთან დაკავშირებით, გადამხდელისათვის ადეკვატური ფსიქოლოგიური განწყობის შექმნაშია. ამის მისაღწევად კი მნიშვნელოვანია შემეცნებითი საგადასახადო პოლიტიკის გატარება და საზოგადოების საგადასახადო კულტურის ღონის ამადლება. რაც გამოიხატება გადასახადების უპირობო გადახდასა და იმის გაცნობიერებაში, რომ გადასახადების გადახდა არა მარტო გარდაუვალია, არამედ აუცილებელია, როგორც მთლიანად საზოგადოების, ისე მისი თითოეული წევრის არსებობისა და მათივე კეთილდღეობისათვის. ყველას გათავისებული უნდა ჰქონდეს, რომ გადასახადების გადაუხდელობა აძიერებს მისი ადმინისტრირების ხარჯებს, და, შესაბამისად, ერთი მხრივ, საზოგადოების ცალკეულ წევრს უწევს მეტი გადასახადის გადახდა, მეორე მხრივ კი, ღებულობს ნაკლებ საზოგადოებრივ სიკეთეს. როგორც ჩანს, გადასახადის გადახდით მისაღები სიკეთის აღქმის პრობლემა ნამდვილად აქტუალურია, ვინაიდან მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე იწვევს სამეწარმეო სექტორის არაეფექტურ მუშაობას, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება როგორც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე.

საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს გადასახადის გადახდის პროცესზე, წარმოადგენს, ერთი მხრივ, საზოგადოების საგადასახადო კულტურის დონე, მეორე მხრივ კი, ნდობის ხარისხი გადახდილი გადასახადების უკუგებისადმი. ცნობილია, რომ გადასახადების გადახდასთან მიმართებაში გადამხდელის ფსიქოლოგიური განწყობის ფორმირება უკავშირდება ცალკეულ ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალური მოვლე-

ნებს. საქართველოში, გადასახადების გადახდის მიმართ არსებული ფსიქოლოგიური განწყობა და შესაბამისი ქცევის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად განაპირობებს საბჭოურმა სისტემამ და გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილმა განუკითხაობამ. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში გადასახადების გადახდის პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერება ჩამოყალიბებულია, როგორც იძულებით, სადამსჯელო ღონისძიებაზე. ამასთან, იგნორირებულია გადასახადების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის მნიშვნელობა და ნაკლებადაა წარმონედილი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს გადასახადების გადახდის პოზიტიურ როლზე საზოგადოების და მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების მიმართულებით.

პრობლემის პოლარიზებას ხელს უწყობს გადასახადის გადამხდელებსა და საგადასახადო ორგანოებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან გადასახადების სარგებლიანობის შესახებ საზოგადოების ნაკლებ ინფორმირებულობაში, და შესაბამისად, გადამხდელების დაბალ საგადასახადო მოტივაციაში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფომ შემუშაოს ისეთი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით მეწარმეებში მოტივაციის (მონდომების) ამაღლებას. მოტივაციის ამაღლებაში მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური აქტივობები. თავის მხრივ, პიროვნების განწყობის ფორმირებაში, განსაკუთრებულ როლს თამაშობს მისი მოთხოვნილება და გარემო. მთლიანობაში, საგადასახადო ადმინისტრირების შემდგომ სრულყოფაში მნიშვნელოვანია გადასახადებთან დაკავშირებული პროცესების განხილვა „განწყობის თეორიასთან“ მიმართებაში.



განწყობის საფუძველზე გადასახადის გადამხდელის ქცევის ჩამოყალიბების შემოთავაზებული სქემა იძლევა ნათელ წარმოდგენას იმასთან დაკავშირებით, რომ გადასახადის გადამხდელის ქცევის ფორმირება ხდება სწორედ სახელმწიფოს მიმართ მოთხოვნილების და არსებული ბიზნესგარემოს გათვალისწინებით. ამრიგად, განწყობის ჩამოყალიბებისათვის, გარდა მოთხოვნილებისა, აუცილებელია მისი შესატყვისი სიტუაციის შექმნაც. ანუ ისეთი სიტუაციის, რომლის პირობებშიც განწყობა სრულიად განსაზღვრულ, კონკრეტულ ხასიათს მიიღებდა. ჩვენ ვხედავთ, რომ გარკვეული მიმართულებით განწყობის აღმოცენებისთვის სუბიექტური და ობიექტური ხასიათის პირობებია აუცილებელი. მაშასადამე, გადამხდელი ცდილობს მოიქცეს საკუთარი მოთხოვნილებისა და არსებული ბიზნესგარემოს შესაბამისად.

გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულება ეფუძნება პირდაპირ და არაპირდაპირ მოტივაციას. არაპირდაპირი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია ქვეყანაში არსებული მაღალი პასუხისმგებლობის ზომები: საურავები, ჯარიმები და იძულების ღონისძიებები. არაპირდაპირი მოტივაციისაგან განსხვავებით, პირდაპირი მოტივაციის პირობებში გადასახადის გადამხდელზე დაკისრებული საგადასახადო ვალდებულების შესრულება ეფუძნება მაღალ საგადასახადო კულტურას და თვითშეგნებას, ვინაიდან, მას მიაჩნია, რომ მის მიერ გადახდილი გადასახადი მოხმარდება საზოგადოების და მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობას. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული საგადასახადო პოლიტიკა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს გადასახადის გადამხდელში პირდაპირი მოტივაციის ამაღლებას, რაც განაპირობებს მეწარმეთა საგადასახადო კულტურის და თვითშეგნების ამაღლებას, და შესაბამისად, გადასახადების ადმინისტრირებისათვის აუცილებელი სახელმწიფო ხარჯების შემცირებას.

საგადასახადო ადმინისტრირებასთან მიმართებით, საზოგადოებრივი ცნობიერების და პირდაპირი მოტივაციის ამაღლების საქმეში გადასახადის გადამხდელს უნდა ჩამოუყალიბდეს ისეთი განწყობა, რომელიც დაანახევებს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების მნიშვნელობას მათივე კეთილდღეობის ამაღლებისათვის. მათ შორის: ბაღების, სკოლებისა და ხიდების მშენებლობა, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა და პენსიონერთა უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვისათვის ჯარისა და პოლიციის აღჭურვა და ა.შ. ამით, გადასახადის გადამხდელის ყურადღება გადასახადების სადამსჯელო ხასიათიდან გადატანილი იქნება გადახდილი გადასახადის სარგებლიანობაზე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, გადასახადების გადახდის აუცილებლობა სარგებლიანობის თაობაზე, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ სხვადასხვა შემცენებითი და საინფორმაციო გადაცემების მომზადება.

ამრიგად, საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის ამაღლებაში გადასახადის გადამხდელის ფსიქოლოგიური განწყობის გათვალისწინება და პირდაპირი მოტივაციის ამაღლება ხელს შეუწყობს ქვეყანაში კეთილსინდისიერი გადამხდელის ჩამოყალიბებას, რაც შემდგომ ეტაპზე რეალურად შეამცირებს საგადასახადო ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობას.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1. სმიითი. ა. გამოკვლევები ადამიანთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბილისი. 1938. 383 ბმ.
- 2. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგია. „საქართველოს მაცნე“, 2009, 317 გვ.
- 3. გაფრინდაშვილი რ., ბანძელაძე მ. რეკლამის ფსიქოლოგია. თბ., „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2008, 101 ბმ.
- 4. ნადარეშივილი შ. განწყობის ანტროპოლოგიური თეორია. თბ., „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი“, 2001, 207 გვ.
- 5. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. 1948 წლის 10 დეკემბერი. (საქართველოში ძალაშია უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით).

*David Jalagonia
Rodion Korchilava*

**PSYCHOLOGICAL ASPECTS OF IMPROVING THE EFFICIENCY OF TAX ADMINISTRATION
Annotation**

Relations between tax authorities and taxpayers significantly determine the efficiency of tax administration. Consequently, this article discusses psychological aspects and the behavior of taxpayers involved in tax administration. The importance of direct and indirect motivation has been studied in the process of tax liabilities. The importance of direct motivation to indirect is substantiated. It is emphasized that in order to raise awareness of the importance of paying tax in Georgia, it is necessary to provide for the delivery of high quality information by the government, which is reflected in activities of tax cognitive to motivate the taxpayers. It is proved that raising the awareness of the importance of paying taxes amongst the people will be beneficial not only for the effectiveness of tax administration, but also in providing a tax regime of discipline, cultivating honest taxpayers and reducing the cost of tax administration expenses by the government.

*ემზარ ჯულაყიძე
შალვა ჯულაყიძე*

მენეჯმენტის ადამიანური ბუნებრივება

მენეჯმენტის მეცნიერება დღეს რადიკალურად იცვლება. მისი განვითარების თანამედროვე ეტაპი მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება. საქმე ისაა რომ, თუ აქამდე მენეჯმენტის მეცნიერების თეორეტიკოსებმა დასაბუთებულად წარმოაჩინეს მართვის მეთოდების, სამეცნიერო მიდგომების, მენეჯმენტის ფუნქციების, მართვის პრინციპებისა და კანონზომიერებების ზედმიწევნით დახვეწილი წესები და სისტემები, დღეისათვის ეს სასურველ შედეგს ვეღარ მოიტანს, რადგან თანამედროვე მენეჯერებს ურთიერთობა უწევთ საკმაოდ განვითარებულ საზოგადოებასთან და შესაბამისად, ორგანიზაციათა მენეჯმენტიც, აღნიშნული პირობების მიმართ მაღალი ადაპტირების უნარის გამოუმუშავებას მოითხოვს. დღეს, ორგანიზაციათა წარმატების უზრუნველყოფა მოითხოვს არსებული მენეჯმენტის შეცვლას ისეთი ადამიანური განზომილებებით, როგორცაა: საუკეთესო სამუშაო პირობები, ხელმძღვანელებისა და ხელქვეითების ურთიერთნდობა, პერსონალის გუნდურობა, მოტივაციის შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ოპტიმალური და პროპორციული შეთანწყობა; სიყვარული, სამართლიანობა, ღირსება და ა.შ., ვინაიდან ისინი თანამედროვე ადამიანის, როგორც პიროვნების მნიშვნელოვან მოტივატორებს წარმოადგენენ.

სამუშაო პირობები. პერსონალის სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებისა და საერთოდ, მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი წინაპირობაა შრომის ნორმალური პირობები და შრომისა და დასვენების რაციონალური შინაგანაწესის დამკვიდრება. შრომა ნორმალურ, კეთილსასურველ პირობებში უნდა მიმდინარეობდეს, ხოლო სამუშაო ადგილების დაგეგმარება და მისი ტექნოლოგიური აღჭურვა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს ტექნიკისა და ტექნოლოგიის თანამედროვე მიღწევებს. იგი არსებითად უწყობს ხელს პერსონალის დადლილობის შემცირებას, დროის დაზოგვას, შრომისუნარიანობის ამაღლებას და საბოლოოდ - შრომის ეფექტიანობის ზრდას.

ურთიერთნდობა. მომავლის მენეჯმენტი უნდა დაეყრდნოს უპირატესად ნდობის პრინციპს, ვინაიდან მკაცრი ადმინისტრირება, ანუ შიშზე დაფუძნებული მენეჯმენტი ზღუდავს ინიციატივას და აღვივებს უნდობლობას, რაც მართვაში ხელს უშლის შემოქმედებითობის განვითარებას და ხელქვეითთა მიერ დამოუკიდებელი, მართებული გადაწყვეტილებების მიღებას. ანუ, უნდა შეიქმნას ორმხრივი ნდობა – ხელმძღვანელის ხელქვეითების მიმართ და პირიქით, რაც შეამცირებს შიშის გავლენას, როგორც გადაწყვეტილებების მიღების, ასევე მისი აღსრულების პროცესშიც. აი რას ამბობს ნდობასა და ურთიერთპატივისცემასთან დაკავშირებით მენეჯმენტის ცნობილი მეცნიერი ჰენრი მინცბერგი: “საჭიროა მოვამზადოთ შესაბამისი ნიადაგი: შევქმნათ ნდობის ატმოსფერო, ავამაღლოთ კორპორატიული კულტურა და ამასთან გვახსოვდეს, რომ ყველაზე კარგად ორგანიზაცია მუშაობს მაშინ, როდესაც მასში თავმოყრილია საქმის ერთგული ადამიანები და მათ შორის არსებული დამოკიდებულების საფუძველს წარმოადგენს ურთიერთპატივისცემა”¹³¹. ნდობა – ეს არის პოზიტიური მოლოდინი იმისა, რომ მეორე მხარე არ იმოქმედებს საკუთარი მერკანტილური მოსაზრებებიდან გამომდინარე. ბუნებრივია, ნდობა ეს პროცესია, რომელიც დროში ვითარდება. გავისხენოთ ქართული ანდაზა – “ადამიანი, რომ შეიცნო მასთან ერთად მისი წონა მარილი უნდა ჭამო”. შესაბამისად, ურთიერთობის პროცესის ინტენსივობა და მისი ხანგრძლივობა ცვლის წყნს

¹³¹ /www.sapientisat.ge/index.php?section=24

დამოკიდებულებას ადამიანთან და მისადმი ნდობას. ამასთან, ურთიერთნდობის ინიციატივა მენეჯერიდან უნდა მოდიოდეს. როგორც ტომ პიტერსი მომავალ მენეჯერებს მიმართავს – „ადამიანი მაშინ იმსახურებს ნდობას, როდესაც თქვენ იწყებთ მის ნდობას“¹³².

მენეჯერის ლიდერობა და მოტივაციის მართვა. თანამედროვე მენეჯმენტი მოტივაციას განიხილავს როგორც მენეჯერის უნარს, ისე მართოს ადამიანები, რომ თითოეულმა მათგანმა გააკეთოს ის, რაც საჭიროა, როცა საჭიროა და როგორც საჭიროა იმიტომ, რომ ეს თვითონ მას სურს. მის უზრუნველყოფას კი სჭირდება სწორედ მენეჯერის ლიდერობა. როგორც აშშ-ის 34-ე პრეზიდენტმა დუაით ეიზენჰაუერმა თქვა – “ლიდერობა, ეს არის ხელისუფლება, გააკეთებინო სხვას ის, რაც შენ გინდა, იმიტომ, რომ მას ეს უნდა”¹³³. ბუნებრივია, თუ ადამიანს საკუთარი საქმე არ უყვარს, იგი მას წარმატებით ვერ შეასრულებს. სწორედ ამიტომ არის, რომ თანამედროვე ორგანიზაციები საკუთარ საქმეზე შეყვარებულ თანამშრომლებს ეძებენ და ვაკანსიების განთავსებისას აპლიკანტებს ერთ-ერთ აუცილებელ პირობად თვითმოტივაციას უყენებენ. თვითმოტივაცია ეს არის უნარი, განახორციელო საკუთარი თავის მოტივირება სხვა ადამიანის გავლენის გარეშე.

სამწუხაროა, მაგრამ დღესაც, არცთუ ისე ცოტა ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ ადამიანთა წარმატებული საქმიანობის მთავარი და სწორად ერთადერთი მოტივი მისი მატერიალური დაინტერესება, ანუ ხელფასია. ამ ფაქტორის ძალზე დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, განსაკუთრებით დღევანდელ ქართულ სინამდვილეში, იშვიათი როლია ისეთი შემთხვევები, როცა ადამიანი დიდი მონდომებითა და თავდავიწყებით მუშაობს, თუმცა მას არ აკმაყოფილებს ხელფასის დონე. არის ისეთი საქმეებიც, რომლებსაც ბევრი ადამიანი ხელს არ მოჰკიდებს, როგორც მაღალიც არ უნდა იყოს მოსალოდნელი ანაზღაურება. ასე რომ, ფული ყოველთვის და ყველაფერს არ წყვეტს და ადამიანის მოტივირებაც მართო მას არ უკავშირდება. თუმცა, არც მისი უგულვებელყოფა შეიძლება. სწორედ აქ დგება თანამედროვე მენეჯმენტის პრობლემა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყობს როგორც პერსონალის თვითმოტივაციას, ასევე ააწიოს მოტივირების ისეთი ქმედითი სისტემა, რომელიც დაქვემდებარებულ პერსონალს ორგანიზაციის სასურველი მიზნების განხორციელებისაკენ დარაზმავს.

პერსონალის გუნდურობა. სასურველი მიზნის მიღწევის პრაქტიკულ განხორციელებაში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეფექტური გუნდის ფორმირებას. უნდა აღინიშნოს, რომ გუნდი – ეს უფრო მეტია, ვიდრე თანამშრომელთა ერთობლიობა, რომლებიც ერთად მუშაობენ. ეს არის ერთნაირად მოტივირებული პერსონები, რომელიც მოქმედებს როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი. გუნდის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად ენდობიან, მხარს უჭერენ, პატივს სცემენ, კომფორტულად გრძნობენ ერთად თავს გუნდის წევრები. როდესაც ცნობილია მიზანი, როდესაც გარკვეულია თითოეულის როლი და სტრატეგია, მუშაობის პროცესი და პროცედურები შეთანხმებულია და გუნდი შეწყობილად მუშაობს, მაშინ მიზნის მიღწევაც ადვილდება, ნდობაც ყალიბდება და მათ შორის ურთიერთობაც შესანიშნავია. გუნდის წევრებს ერთად მუშაობის სურვილი უნდა ექნებათ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეჯიბაძე ო. მართვის მომავალი. // ელექტრონული ჟურნალი „საზოგადოებრივი მეცნიერებები“, № 2, 2011 - www.education.ge
2. მარკოზაშვილი ნ. ნდობა. // ჟურნალი “ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები”, № 1, მარტი, 2007 (გვ. 41) - www.sapientisat.ge/index.php?section=24
3. ჯულაყიძე ე., ჯულაყიძე შ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. ქუთაისი, აწსუ, 2011 (165 გვ.).
4. ჯულაყიძე ე. ლიდერობა და მოტივაციის მართვა. ქუთაისი, აწსუ, 2014 (168 გვ.).

*Emzar Julakidze
Shalva Julakidze*

HUMAN DIMENSIONS OF MANAGEMENT Annotation

Management Science is radically changed today. The point is that only the existing methods, management functions, management principles and scientific approaches are not sufficient to get the desired results. As modern managers have relations with quite developed society, management of organizations, requires high adapting ability. That is, organizations need to ensure success to fill the management with the human dimensions, such as: the best working conditions, mutual confidence between managers and subordinates, teamwork of personnel, optimal proportional harmonization of internal and external factors of motivation, love, justice, dignity, etc., Because they are modern humans', as individuals' important motivators.

¹³²/ტომ პიტერსი, Re-Imagine! წარმოდგინეთ! ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები. თბილისი, 6(35), 2010, გვ. 24. www.nplg.gov.ge

¹³³ /ბიზნეს-გამონათქვამები. ucnauri.com/207426/

ОЦЕНКА РИСКА ИСКАЖЕНИЙ В ПРОЦЕССЕ АУДИТА

Принципиальные изменения методики и методологии оказания профессиональных аудиторских услуг на современном этапе базируются на применении нового риск-ориентированного концептуального подхода.

Ключевую роль в интегральной оценке риска играет определение перечня факторов, которые в итоге свидетельствуют о существенном искажении аудируемой бухгалтерской отчетности. Рассмотрим оценку рисков на примере идентификации и определения наличия и значимости факторов риска существенного искажения вследствие недобросовестных действий руководства клиента. Структурируем совокупность факторов риска в соответствии с базовым постулатом теории мошенничества, известному как «треугольник мошенничества». В соответствии с ним мошенничество осуществимо только при наличии мотивов для его совершения, подразумевающих под собой, в том числе, и давление, оказываемое на руководство составителем бухгалтерской отчетности. При этом наличие мотивов становится условием для совершения мошенничества в случае, если лицо, имеющее мотивы, знает о наличии возможности совершения недобросовестных действий и способно их скрыть или завуалировать. Исходя из этих дедуктивных выводов, в федеральных стандартах аудиторской деятельности структурированы признаки, наличие которых может свидетельствовать о риске совершения недобросовестных действий аудируемого лица [1]. Целесообразно использование аналогичной структуризации признаков наличия недобросовестных действий для построения методики оценки интегрального риска в аудите.

Предлагается систему факторов, свидетельствующих о наличии риска недобросовестных действий в рамках теории мошенничества, методологической основой которой является треугольник мошенничества, представить в виде матрицы, изображенной на рис. 1.

Элементы «треугольника мошенничества»	Недобросовестное составление отчетности	Присвоение активов
Мотивирующие факторы	1	4
Осознанная возможность	2	5
Способность вуалирования	3	6

Рис. 1. Матричная модель структуризации факторов интегрального риска

В области значений матрицы, проставлены порядковые номера групп, на которые подразделяются факторы риска недобросовестных действий.

Так, в первую группу входят факторы, указывающие на наличие риска существенного искажения бухгалтерской отчетности вследствие ее недобросовестного составления. Факторы, входящие в эту группу, подразделяются на две подгруппы – «мотивирующие факторы» и «факторы необычного давления на руководство аудируемого лица». В первую подгруппу, по-нашему мнению, должны быть включены факторы, в частности, указывающие на финансовую нестабильность деятельности аудируемого лица или высокую вероятность такой нестабильности. Вторая подгруппа первой группы должна включать, факторы необычного значительного давления, вызванного, например, нереальными ожиданиями положительной динамики интегральных показателей деятельности аудируемого лица третьими лицами и т.п.

Вторая группа включает в себя факторы, свидетельствующие о наличии возможности недобросовестного составления бухгалтерской отчетности, осознаваемой лицами из состава высшего руководства компании. Факторы, входящие в данную группу, по нашему мнению, также целесообразно разделить на две подгруппы – «факторы, связанные с характером деятельности» и «факторы, свидетельствующие о недостатках внутреннего контроля и корпоративной структуры» клиента по аудиту. В первую подгруппу этой группы, в частности, могут быть включены такие факторы как наличие значительного количества существенных и необычных операций. Во вторую подгруппу целесообразным представляется включить признаки, свидетельствующие об отсутствии контроля за деятельностью руководства экономического субъекта.

В третью группу следует аккумулировать факторы, свидетельствующие о чрезмерной заинтересованности руководства аудируемого лица в сохранении на прежнем уровне или повышении цен на акции и динамики прибыли, и т.д.

Факторы риска, включаемые в четвертую группу, свидетельствуют о наличии у руководства аудируемого лица мотивов и давления, побуждающих к недобросовестному присвоению активов. При идентификации признаков, свидетельствующих о наличии недобросовестных действий, следует рассмотреть, например, личные финансовые обязательства сотрудников, имеющих доступ к активам с высокой степенью риска присвоения.

Пятая группа состоит из признаков, указывающих на наличие осознаваемой возможности для недобросовестного присвоения активов. Факторы, входящие в данную группу, по аналогии со структуризацией признаков, входящих во вторую группу, целесообразно разделить на две подгруппы. По нашему мнению, при формировании набора признаков, входящих в первую подгруппу пятой группы, следует сконцентрировать внимание на наличии активов, имеющих в силу своих свойств всеобщую ценность в сочетании с малым физическим объемом и т.д. Во вторую подгруппу пятой группы следует включить явные признаки неэффективности совершенства системы внутреннего контроля аудируемого лица, связанные с ошибками в ее организации или погрешностями функционирования, создающие возможность, присвоения активов, такие, как несоблюдение или игнорирование принципа разделения обязанностей.

В шестой группе аккумулируются признаки, свидетельствующие о способности завуалировать совершение недобросовестных действий, находя им логическое обоснование. Здесь рассмотрению аудитора подлежат факты игнорирования необходимости контроля за рисками, связанными с присвоением активов, манера поведения, указывающая на неудовлетворенность сотрудника работой в аудируемом лице и т.д.

В отношении сгруппированных в соответствии с описанным алгоритмом факторов риска проводится анализ, предполагающий привлечение всех участников аудиторской группы, имеющих право профессионального суждения. Рассмотрим способ формирования оценочного суждения о наличии риска недобросовестных действий, основанный на обобщении суждений группы из m аудиторов.

Каждый из факторов риска в определенной группе из шести указанных выше измеряется с помощью порядковой шкалы Лайкерта. Предполагается, что каждый из m аудиторов выражает свое согласие или несогласие с каждым суждением из группы по шкале оценок.

Оценки по шкале Лайкерта выражаются в категориях согласия:

(5) Полностью согласен – (4) Согласен – (3) Нейтральное отношение – (2) Не согласен – (1) Полностью не согласен.

Таким образом, по каждому фактору внутри определенной группы имеем распределение оценок m аудиторов закодированных числами от 1 до 5.

Далее для перевода порядковых оценок из шкалы Лайкерта в интервальную шкалу используем модель Раша. Единицей шкалы Раша является логит d , вычисляемый по формуле $d = \ln(P/(1-P))$, где P – вероятность выбора фактора риска. Чем больше вероятность риска по данному фактору, тем большее значение он будет иметь по шкале Раша.

Например, для мотивирующих факторов присвоения активов четвертой группы, состоящей из четырех факторов для коллектива из шести аудиторов, получим в качестве исходных данных распределение:

Факторы	ПНС(1)	НС(2)	Н(3)	С(4)	ПС(5)	S	P	D
1	1	2	1	1	1	17	0,57	0,27
2	1	1	1	1	2	20	0,67	0,69
3	1	2	2	1	0	15	0,50	0
4	0	0	3	1	2	23	0,77	1,19

Так, например, с тем, что «снижение сумм вознаграждения руководящих работников, и работников, имеющих доступ к активам с высокой степенью риска присвоения» имеет место быть полностью не согласен 1 аудитор, не согласны – 2 аудитора, нейтральны – 2 человека, согласен – 1 аудитор, полностью согласных нет.

Алгоритм дальнейших действий по переводу данных в количественную шкалу такой. Рассчитывается балл соответствующего пункта – S как сумма произведений количества аудиторов, выбравших ту или иную категорию на балл этой категории. Например, для четвертого пункта получим $0 \times 1 + 0 \times 2 + 3 \times 3 + 1 \times 4 + 2 \times 5 = 23$. Максимальный балл для каждого пункта составляет $6 \times 5 = 30$. Тогда вероятность выбора четвертого пункта получаем как $23/30 = 0,77$. Значение этого пункта в шкале Раша: $d = \ln(P/(1-P)) = 1,19$. Аналогично агрегируются оценки по остальным пунктам.

После получения количественных оценок для каждого фактора риска в группе вычисление интегрального показателя риска по группе осуществляется простым суммированием. Итоговая оценка риска является результатом суммирования (простого или взвешенного) оценок шести групп. Для улучшения интерпретируемости она может быть приведена в интервал от 0 до 1 (путем нормирования на максимальное значение риска).

Предлагаемый подход к процедуре оценки рисков представляется целесообразным с позиции реализации элемента системы внутреннего контроля качества работы аудиторской компании – информация и коммуникации, рекомендуемого к использованию в процедурах оценки рисков документом [2]. Указанный правовой акт предлагает использовать коммуникации в аудиторской группе в форме обсуждения в качестве методического инструмента идентификации рисков существенного искажения бухгалтерской отчетности аудируемого лица [2].

По нашему мнению, использование формального методического аппарата позволит достичь следующих преимуществ: упрощение процедуры сбора информации о рисках в аудиторской группе до вынесения перечня идентифицированных факторов риска на обсуждение; снижение трудозатрат на процедуры идентификации риска; повышение эффективности аудита, проводимого на основе риск-ориентированного подхода; всесторонний охват совокупности признаков, свидетельствующих о рисках существенного искажения бухгалтерской отчетности; подготовка участников аудиторской группы к обсуждению факторов риска существенного искажения, которым подвержена аудируемая бухгалтерская отчетность.

Литература

1. Федеральный стандарт аудиторской деятельности «Обязанности аудитора по рассмотрению недобросовестных действий в ходе аудита» (ФСАД 5/2010). Утвержден приказом Минфина РФ от 17.08.2010 г. № 90н (ред. 16.08.2011).
2. Федеральное правило (стандарт) аудиторской деятельности № 8 «Понимание деятельности аудируемого лица, среды, в которой она осуществляется, и оценка рисков существенного искажения аудируемой финансовой (бухгалтерской) отчетности». Утвержден Постановлением Правительства РФ от 23.09.2002 № 696 (в ред. 27.01.2011)

*Sergey Valentinovich Arzhenovskiy
Andrey Vladimirovich Bakhteev*

EVALUATION OF THE RISKS OF MISSTATEMENT IN THE AUDIT

Annotation

The advantages of a risk-based approach to auditing financial statements are described. Historical and economic conditions to using its in modern audit practice are systematized. Articulated frameworks to limit the construction of models of integrated assessment of the risks of material misstatement of financial statements are formulated. Author's model of the process of risk assessment in the audit considering of limitations is proposed. The article contains: the rationale for developing a model of combined risk assessment in the audit, a description of the methodological foundations of the process of its combined evaluation, description of the methodological tools and approach to their application to the example of procedures for assessing risks of material misstatement of accounting (financial) statements due to fraud. The structuring of a combination of fraud factors on based of "fraud triangle" is pro-

posed. The possibilities of practical application of the proposed methodology on the example of a comprehensive procedure to identify risk of distortion of financial statements due to fraud are demonstrated.

კობა ბახილაია

**ფინანსური აუდიტორული კონტროლის სრულყოფის მიმართულებაში
თანამედროვე ეტაპზე საქართველოში**

ქვეყნის კონტროლის სისტემაში აუდიტორულ კონტროლს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი გამოყენება საშუალებას იძლევა, სახელმწიფოში უზრუნველყოფილ იქნეს საფინანსო-სამეურნეო სისტემის ფუნქციონირების სტაბილურობა. ამასთანავე, არსებითაა საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა და შესრულება, გადასახადების გამომწვევების სისწორე და მათი ბიუჯეტსა და სახელმწიფო ფონდებში დროულად გადახდის უზრუნველყოფა.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რომ საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ყველაზე უფრო ეფექტიან ფორმას წარმოადგენს ზოგადად აუდიტი და მისი ცალკეული სახეობები, თუმცა დროის ცალკეულ ეტაპებზე და ცალკეულ ქვეყნებში კონტროლის სხვა ტრადიციული ფორმებიც არ კარგავს თავიანთ მნიშვნელობას.

ქვეყანაში საბიუჯეტო წესრიგის დამყარებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენებაში კანონმდებლობის და ქვეყნის ინტერესების განუხრელად დაცვის მასშტაბური ამოცანის გადაწყვეტა ინტენსიურ რეფორმირებას, მსოფლიოს მოწინავე გამოცდილების დანერგვას მოითხოვს, რომლის მთავარი მიზანია: ა) სახელმწიფო შესაბამისობის (პროგრამული) ეფექტიანობის აუდიტის დანერგვა; ბ) პრევენციული და წინასწარი კონტროლის გაძლიერება; გ) საქმიანობაში სრული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; დ) საკანონმდებლო ბაზის შესაბამისი სრულყოფა და ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია; ე) ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვა და მათი შრომის ანაზღაურების არსებითი გაუმჯობესება.

ფინანსური აუდიტი საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან. შესაბამისობის აუდიტი – რობერტ მონტგომერის აზრით: „მიზნად ისახავს გამოარკვიოს, თუ რამდენად იცავს ფორმა იმ კონკრეტულ წესებს, რეგულაციებს, კანონებს, მოლაპარაკებათა პუნქტებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ოპერაციებისა და ანგარიშგების შედეგანაზე.“

საფინანსო კონტროლის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციათა საერთაშორისო ორგანიზაციის (INTO-SAI) მე-9 კონგრესზე, რომელიც გაიმართა ქ. ლიმაში, მიღებულ იქნა დეკლარაცია აუდიტის პროცედურათა შესახებ, რომლის სტანდარტების თანახმად, უმაღლესი აუდიტის განხორციელება გულისხმობს საჯარო უწყებების საქმიანობის სამი ძირითადი ასპექტის შეფასებას: ა) ეკონომიურობის აუდიტი, რაც გულისხმობს მოცემული შედეგების მინიმალური საშუალებებით მიღწევას; ბ) პროდუქტიულობის აუდიტი – რესურსების უტილიზაციას; გ) ეფექტიანობის აუდიტი – დასახული მიზნების მიღწევის შეფასებას.

ეფექტიანობის აუდიტი განიხილება, როგორც: ა) ფინანსური კონტროლის ახალი სახე; ბ) სახელმწიფო მოწყობის სისტემაში ურთიერთობათა განსაკუთრებული ინსტრუმენტი; გ) სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ახალი ფორმა; დ) მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის ახალი მიმართულებები და ა.შ.

ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ეფექტიანობის აუდიტის ერთ-ერთი ძირითადი საგანი სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ხარჯვის სისწორის შემოწმებაა. ეს სფერო შეიძლება ნებისმიერი სახის აუდიტის საგანი იყოს, მაგრამ ეფექტიანობის აუდიტის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვით მიღებული შედეგების შედარება იმ მაჩვენებლებთან, რომელიც დაპროგნოზებული იყო ბიუჯეტის ფორმირება-დამტკიცების დროს. შესაბამისად, ეფექტიანობის აუდიტის ერთ-ერთ პრინციპულ მოთხოვნას წარმოადგენს ბიუჯეტის შედგენის ტექნოლოგიის ისეთიანი ტრანსფორმაცია, რომლის დროსაც შესაძლებელი გახდება მისი ხარჯების შედეგიანობის კონკრეტულ მაჩვენებლებში ასახვა. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ქვეყნებში აუდიტის ჩატარება წინასწარი კონტროლის მიზნით, ბიუჯეტის და მასში შემავალი მიზნობრივი პროგრამების პროექტების შედგენის დროსაც ხდება.

საბიუჯეტო ხარჯების გარდა, ეფექტიანობის აუდიტის **საგანი** უნდა იყოს აგრეთვე სახელმწიფო საკუთრების გამოყენება-განკარგვის შემოწმება. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში სახელმწიფო ქონების მართვის შემოწმება ეფექტიანობის აუდიტის გამოყენებით შესაძლებელია დროის როგორც მოკლევადიან (ერთი წელი), ასევე გრძელვადიანი პერიოდისათვის. თუმცა აქაც არსებითაა ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემის შემუშავებისა და თვით ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდოლოგიურ-მეთოდური პრობლემის მოგვარება.

შემდეგი სფერო, რომელიც უნდა მოიცვას ეფექტიანობის აუდიტმა, არის საბიუჯეტო სახსრებსა და სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული პარლამენტის მიერ მიღებული კანონები და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემუშავებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მათ შორის, ეფექტიანობის აუდიტის კუთხით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობები (კოდექსი), რადგან მათზე თითქმის მთლიანადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის სოციალური დაცვა.

აუდიტორული საქმიანობა უნდა განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით: საწარმოს ტიპის, სტრუქტურისა და მართვის თავისებურებების განსაზღვრა; სააღრიცხვო სისტემის განსაზღვრა და მათი შეფასება; შიდა კონტროლის სტრუქტურების განსაზღვრა, შეფასება და შემოწმება. სააღრიცხვო ჩანაწერების შემოწმება, ბალანსის ფულადი თანხების არსებობის და სიდიდის შემოწმება, ფინანსური ანგარიშგების შედარება სააღრიცხვო ჩანაწერებთან და მისი შესაბამისობის შემოწმება საკანონმდებლო მოთხოვნებსა და სააღრიცხვო პოლიტიკის ნორმებთან.

ცნობილია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ასს) განსაზღვრავს აუდიტის ჩატარების ანგარიშების სახეობებს, მეთოდოლოგიას და აგრეთვე ძირითად პრინციპებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ამ შემოწმების ყველა წარმომადგენელმა. ასს მოცემული სტანდარტები და დებულებები, მათი შინაარსი და პროცედურები, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამოკიდებული არიან ამა თუ იმ სტანდარტში გათვალისწინებული პრინციპების მოთხოვნაზე, რის გამოც იგი აღიქმება მთლიან ნორმატიულ დოკუმენტად. ასს აუდიტორული მომსახურების ბაზარზე, აუდიტორის ეთიკის კოდექსთან ერთად, აუდიტორული საქმიანობის უმაღლეს მარეგულირებელ ნორმატიულ აქტად ითვლება.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტი, რომელიც შეიმუშავებს და გამოსცემს სტანდარტებსა და დებულებებს აუდიტის მომსახურების შესახებ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აუდიტორებისა და აუდიტური ფირმების საქმიანობის განხორციელების ხარისხის კონტროლს.

ხარისხის კონტროლის სისტემა არის ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დადგენილი წესებისა და პროცედურების ერთობლიობა იმ პირთა მიმართ, რომლებიც ახორციელებენ აუდიტს და ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვას.

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ სხვა საკონტროლოდ ერთად, განსაზღვრულია აუდიტორის მუშაობის ხარისხის კონტროლის შემოწმების აუცილებლობა. ხარისხის კონტროლის შემოწმების პროგრამა ითვალისწინებს ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას; შემოწმებულთა დამოუკიდებლობას და ობიექტურობის გარანტიას, შემოწმებულს აქვს სათანადო ცოდნა, კვალიფიკაცია, სპეციალური გამოცდილება და ა.შ.

კონტროლის სფეროში ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების აუცილებლობამ მოითხოვა ეკონომიკური საქმიანობისა და სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო სამსახურების მოქმედებების აუდიტორული კონტროლის ხარისხის არსებული სისტემის სრულყოფა. ამ მიზნით, 2012 წელს საქართველოში არსებული კონტროლის პალატის ნაცვლად შეიქმნა სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

როგორც ცნობილია, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ კანონის თანახმად, კონტროლის პალატის საკონტროლო სფეროსა და უფლებამოსილებებში შედის არა მარტო საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების სახსრების ხარჯვის კანონიერების, მიზნობრიობის და ეფექტიანობის, სახელმწიფო ვალების, უცხოური სახელმწიფო კრედიტების და სესხების გამოყენების კანონიერების, რაციონალობისა და ეფექტიანობის, სახელმწიფო კრედიტის გაცემის, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მოხმარების კანონიერების და საქართველოს ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დროულად გადარიცხვის კონტროლი და საბიუჯეტო პროცესში გამოვლენილი დარღვევების და გადახრების ანალიზი, არამედ იგი შეფასებას აძლევს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემოსავლისა და ხარჯვის საფუძვლიანობას, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით ატარებს ექსპერტიზას და იძლევა დასკვნების იმ საკანონმდებო და ნორმატიული აქტების პროექტებზე, აგრეთვე იმ პროგრამებზე, რომელთა დასაფინანსებლად განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენება ან რომლებიც გავლენას ახდენს ამ სახსრების ფორმირებაზე.

სამომავლოდ, საბიუჯეტო სფეროსა და საბიუჯეტო პროცესების რეფორმების კვალობაზე, აუცილებლად უნდა გაფართოვდეს წინასწარი კონტროლი, რომელიც არის რა ადმინისტრაციულ-მმართველობისა და ფინანსური საქმიანობის პრევენციული შემოწმება, აუცილებელი წინაპირობაა სახელმწიფოსადმი მინდობილი საჯარო სახსრების ეფექტიანი მართვის და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებისათვის.

წინასწარი კონტროლი, უსწრებს რა წინ სამეურნეო და საფინანსო ოპერაციათა განხორციელებას, საშუალებას იძლევა ჯერ კიდევ პროგნოზებისა და გეგმების შედგენის ეტაპზე გამოვლინდეს მოქმედი საფინანსო კანონმდებლობის დარღვევების ფაქტები, განხორციელდეს ფულად-მატერიალური სახსრების არამიზნობრივი და არარაციონალური გამოყენების პრევენციული ღონისძიებები, გამოვლინდეს ფინანსური რესურსების დამატებითი წყაროები და რეზერვები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია საგადასახადო კონტროლის განხორციელების ფორმები, კერძოდ, საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კონტროლი ხორციელდება საგადასახადის გადამხდელისა და საგადასახადო დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვის, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების, საგადასახადო შემოწმების, საგადასახადის გადამხდელთა და სხვა პირთა გამოკითხვის, საგადასახადო დასაბეგვრი და შემოსავლის (მოგების) მისაღებად გამოყენებული ობიექტების დათვალიერება – გამოკვლევისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული სხვა ფორმებით.

საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის აუდიტორული კონტროლის ამოცანებია: საკონტროლო ობიექტების საქმიანობაზე ზედამხედველობა; მიღებული ინფორმაციების ანალიზი და პროგნოზირება-დაგეგმვა; კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილება; დარღვევების დარიცხვა და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა; მართლსაწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთა; დამნაშავეთა გამოაშკარავება და მათი პასუხისმგებლობაში მიცემა.

საგადასახადო კონტროლს ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები, აუდიტორული ფირმები, საწარმოს საბუღალტრო-საფინანსო სამსახურები. აუდიტორული კონტროლის პრაქტიკაში გამოყოფენ წყაროების მიხედვით: ა) დოკუმენტურ კონტროლს და ბ) ფაქტობრივ კონტროლს; ვადების მიხედვით – ა) ოპერატიულს და ბ) პერიოდულს; დონის მიხედვით – შიდა და გარე აუდიტს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, საგადასახადო შემოწმების ობიექტებია: საგადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი დოკუმენტები. საბუღალტრო წიგნი, ანგარიში, ხარჯთაღრიცხვა, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფასეულობანი, გაანგარიშებები, დეკლარაციები, საგადასახადებისა და ბიუჯეტში საგადასახადების გაანგარიშებისა თუ გადახდის სხვა დოკუმენტები (იმ დოკუმენტებს, რომლებიც საგადასახადის დაბეგვრასთან არ არიან დაკავშირებულნი, საგადასახადო ორგანოები არ ამოწმებენ).

ამრიგად, ეფექტიანობის აუდიტის კომპლექსური შეფასება მოიცავს შემდეგ ელემენტს. კერძოდ: ა) შესაბამისი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო საშუალებების გამოყენების ეკონომიურობის შემოწმება, მოიცავს სახსრების რაციონალურად შემოწმებას ორგანიზაციის საქმიანობის კონკრეტული შედეგების მისაღწე-

ვად; ბ) შესამოწმებელი ორგანიზაციის ეფექტიანობის შეფასება სამეურნეო, ფინანსური და სხვა რესურსების გამოყენების შემოწმებაა წარმოებით და სხვა საქმიანობით პროცესში, ასევე საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების დამკვიდრების ნაწილში; გ) შესამოწმებელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების შედეგიანობის შემოწმება გეგმიურ მაჩვენებლებთან მიმართებაში ფაქტობრივი შედეგების შედარებას გულისხმობს, რესურსების მიზნობრივი გამოყენებისა და საქმიანობის შედეგების ეფექტურობის გამოსავლენად.

შესაბამისად, აუდიტორული ფორმების დამოუკიდებელი აუდიტორი საქმიანობის სრულყოფის მიზანია, უზრუნველყონ საწარმოები და მათი პრიორიტეტები ობიექტური ინფორმაციით მომსახურე საწარმოების ფინანსური მდგომარეობისა და მათი ანგარიშების უტყუარობის შესახებ. აგრეთვე, წერილობით, ოფიციალური ფორმით ჩამოაყალიბონ მეცნიერულად დასაბუთებული, დამოუკიდებელი მოსაზრება სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის საბოლოო შედეგების შესახებ დროის გარკვეული მონაკვეთისათვის. ამასთანავე, განვითარებული ქვეყნების გამოცდილება - პრაქტიკის გათვალისწინებით, ქვეყანაში აუცილებელია აუდიტორული კონტროლის სიკეთის პოპულარიზაცია. სამომავლოდ მნიშვნელოვანია აუდიტორსა და მეწარმეს შორის უნდობლობის ფაქტორის მოქმედების აღმოფხვრა და აუდიტორული სამსახურების სწორი მიმართულებით წარმართვა-განვითარება საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ. თბ., 29.06.2012.
2. მესხია ი., ჭიოტაშვილი დ. საჯარო ფინანსები: გადასახადები და ბიუჯეტი. თბ., 2012 (გვ. 618).
3. რ. მონტგომერი, აუდიტი. თბილისი, 2004.
4. ცაავა გ., ხანთაძე გ. საჯარო ფინანსები (თეორია და მეთოდები), გამომც. „დანი“, თბ., 2013 (გვ. 430).
5. ტერაშვილი ნ. „საგადასახადო პრაქტიკის აქტუალური საკითხები“, თბ., 2005.
6. Уорд М. Хасси, Доналд С. Любик. „Основы Мирового налогового кодекса“ США. 1996 (перев. с англ.).

Koba Basilaia

DIRECTIONS OF IMPROVEMENT OF FINANCIAL AUDITORIAL CONTROL AT PRESENT IN GEORGIA

Annotation

In the work is considered the present situation of audit control in Georgia and there is highlighted priority directions of subsequent developments and improvement of the financial auditorial control. Particularly, effective audit, as a new direction of the state supervisory organ's activity and by the help of interrelationship of special instrument of complex (combined) estimation elements in the system of state structure to show the effectiveness of the results of the state subject's activity and also to realize quality control standards of 'auditory firms' work are discussed as the premise of effectively directing of business work in the country, as the essential marketing mechanisms and the most important elements.

*ციცლა ბენაშვილი
მარიამ კაპანაძე*

საჯარო ფინანსების მენეჯმენტი (PFM)

ბოლო წლებში აღიარებული იქნა, რომ საჯარო ფინანსების მენეჯმენტი (PFM) თანაბრად არის საჭირო როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებისათვის. შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კვლევით დაწესებულებებში გაიმართა მრავალი დისკუსია და დებატები საჯარო ფინანსების მენეჯმენტის (PFM) დეტალური დეფინიციის, მისი შემადგენელი კომპონენტების და სტრუქტურული ელემენტების შესახებ. აღნიშნულ დებატებს წარმართავდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ მასში მსოფლიო ბანკი (World Bank), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) და სხვა ორგანიზაციები.

საჯარო ფინანსების მენეჯმენტი (PFM) არის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ფინანსური რესურსები იგეგმება, წარიმართება და კონტროლდება საჯარო სერვისების ეფექტიანი მიწოდების მიზნით. საჯარო ფინანსების მენეჯმენტი საჯარო სექტორის შესაძლებლობებს მიმართავს იქით, რომ ეფექტიანად იქნეს გამოყენებული საჯარო ფული. კარგი (PFM) ნიშნავს, რომ საზოგადოების ფული გამოიყენება წარმატებით, მაქსიმალურად ეფექტიანად.

ჩვენი პატარა ქვეყნისთვისაც სასიცოცხლოდ აუცილებელია საჯარო ფინანსების სფეროში გადაწყვეტილების მიმღებთა და ანალიტიკოსთა ახალი თაობა, რომელსაც შეეძლება, თავი გაართვას საჯარო სივრცესა და მთელ არამომკებიან სექტორში არსებულ კომპლექსურ გამოწვევებს, განსაკუთრებით, პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების დროს. საჯარო სივრცეში მოქმედ სპეციალისტს უნდა გააჩნდეს კონკრეტული დარგობრივი მიმართულების დრმა და სისტემური ცოდნა; საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულების ძირითადი პრინციპების, პროცესებისა და მიდგომების ცოდნა; საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაწყვეტილების მიღების, პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, მათ შორის კრიზისულ/საგანგებო სიტუაციებში; დროისა და რესურსების ეფექტური მენეჯმენტის; ფინანსური რესურსების ხარჯვის მონიტორინგისა და კონტროლის უნარი. უნდა შეეძლოს, შექმნას და მართოს პროექტები, ჩაატაროს კვლევები, აიღოს ინიციატივა საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა დარგში, გავლენა მოახდინოს კონკრეტული ინსტიტუტების საქმიანობაზე, გაუძღვეს რეფორმებს და იმუშაოს საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების აღმოფხვრაზე.

საჯარო ფინანსების შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებსა და სასწავლო სახელმძღვანელოებში საჯარო ფინანსების ცნებაში ხშირად მოიაზრება მხოლოდ სახელმწიფო ფინანსები – სახელმწიფო ბიუჯეტის სახით და გაანალიზებულია ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, ხარჯვისა და მონიტორინგის საკითხები.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი, რა თქმა უნდა, საჯარო ფინანსების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ მათ შორის აბსოლუტური ტოლობის ნიშნის დასმა გაუპართლებელია. საჯარო ფინანსების განხილვის დროს საჭიროა გაანალიზდეს აგრეთვე ე.წ. უმოგებო ორგანიზაციები, სხვადასხვა ფონდები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ე.წ. სოციალური საწარმოები და სხვ.

საჯარო ფინანსების სფერო რეგულირდება საჯარო სამართალით. საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, სხვადასხვა სახისაა. ისინი შეიძლება დაიყოს როგორც ფორმის, ისე საქმიანობის, სტრუქტურისა და სხვა ნიშნის მიხედვით. სახელმწიფო თვითონვეა იურიდიული პირი და ურთიერთობებში გამოდის მისი ორგანოების მეშვეობით. ეს ორგანოებია, მაგალითად, სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები [3]. თავად სამინისტრო, როგორც უკვე აღინიშნა, არის ორგანო და არა საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სამინისტროები იქმნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით. ის, რომ სამინისტროები და სახელმწიფო დეპარტამენტები არ წარმოადგენენ იურიდიული პირებს და მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოები არიან, იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი სხვა იურიდიული პირებით. სახელმწიფოს შეუძლია შექმნას მრავალი იურიდიული პირი, როგორც საჯარო, ისე კერძო, იმის მიხედვით, თუ რა ამოცანების განხორციელება ესაჭიროება მას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში [2]. ეს გამომდინარეობს მისი ცნებიდან — საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს მისთვის წესდებით განსაზღვრულ საჯარო საქმიანობას.

რამდენადაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფოს მიერაა დაარსებული, იგი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. სახელმწიფო კონტროლის განმასრვლებელი ორგანო უფლებამოსილია, შეაჩეროს ან გააუქმოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება დაფუძნებული იყოს წევრობაზე. ასეთ იურიდიულ პირს საჯაროსამართლებრივი კორპორაცია ეწოდება. საჯარო სამართლებრივ კორპორაციებს განაკუთვნიან თვითმმართველობის ორგანოებს (თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებს). სახელმწიფოს მსგავსად, აქაც თვით მუნიციპალიტეტია იურიდიული პირი და არა მისი ორგანოები — სამმართველოები, განყოფილებები, სამსახურები და ა.შ. გაბატონებული მოსახრების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან იურიდიულ პირებად, თუ ისინი არჩევენ საფუძველზე არიან შექმნილები და არა ზემდგომი ორგანოების მიერ დანიშნულნი. თუ ისინი ზემდგომი ორგანოს მიერ არიან დანიშნულნი, მაშინ მათ იგივე სტატუსი ექნებათ, რაც სამინისტროებს.

თვითმმართველ ერთეულებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად თვლის საქართველოს კანონმდებლობაც. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეული — ეს არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობა (მუნიციპალიტეტი), რომელსაც ჰყავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ერთადერთი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსულობები, ბიუჯეტი, ადმინისტრაციული ცენტრი და არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირებს მიეკუთვნება სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ფუნქციებს ასრულებენ. მაგალითად, ასეთ იურიდიულ პირს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის სტატუსიც განმტკიცებულია „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამბობს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემდეგ ჯგუფს ქმნიან საჯაროსამართლებრივი დაწესებულებები. ასეთი საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან: სახელმწიფო ტელევიზია და რადიო, სახელმწიფო ბიბლიოთეკები, სახელმწიფო უნივერსიტეტები და სხვა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სახელმწიფო საავადმყოფოები და სხვ.

დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობა იცნობს ე.წ. საჯაროსამართლებრივ ფონდებს. ეს არის განსაზღვრული საჯარო მიზნისთვის გათვალისწინებული ქონება, რომელიც იმართება სახელმწიფოს მიერ სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი ორგანოს მეშვეობით. მაგალითად, სახელმწიფომ შეიძლება დააარსოს საგზაო ფონდი, რომელიც განაკუთვნილი იქნება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის [9].

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენს ზოგიერთი რელიგიური გაერთიანება. საქართველოში ასეთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ითვლებოდა მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, თუმცა კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით, ნებისმიერ რელიგიურ გაერთიანებას მიეცა უფლება, დარეგისტრირდეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად [12].

საჯარო სექტორში ფუნქციონირებადი მეურნე სუბიექტების მრავალგვარობა იმის მანიშნებელია, რომ საჯარო ფინანსების მენეჯმენტის საკითხების განხილვისას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების გარდა, აუცილებლად უნდა იქნეს გაანალიზებული ამ სუბიექტების ფინანსებიც, მათი ადგილი და როლი საჯარო ფინანსების სისტემაში.

ნებისმიერი სახელმწიფოსთვის საჯარო ფინანსების მართვის საკითხებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებიდან დადგენილი წესით სათანადო რესურსების მობილიზება, მათი განთავსება და ეფექტიანად გამოყენება საჯარო ფინანსების მართვის (მენეჯმენტის) სისტემის უპირველესი ამოცანაა.

საჯარო ფინანსების მენეჯმენტი მოიცავს რესურსების გენერირების, მათი მობილიზების და ხარჯვის მენეჯმენტის ყველა ასპექტს. ისე, როგორც ფინანსების მენეჯმენტი არის ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, ასევე საჯარო ფინანსების მენეჯმენტი არის სახელმწიფოს მართვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნაწილი. იგი მოიცავს რესურსების მობილიზებას, პროგრამებისთვის პრიორიტეტების მინიჭებას, საბიუჯეტო პროცესს, რესურსების ეფექტიან მართვასა და კონტროლს. ადამიანთა მუდმივად მზარდი მოთხოვნილება განაპირობებს მოთხოვნის ზრდას ფინანსურ რესურსებზეც, ამავე დროს, მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსის გამოყენების ღირებულება: რა დაუჯდება მას ამ რესურსის გამოყენება. აქედან გამომდინარე, საჯარო ფინანსების მენეჯმენტის როლი სულ უფრო იზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
3. „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.
4. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.
5. ა. ჯიბუტი, რ.კაკულია, ლ.ბახტაძე, საჯარო ფინანსები, თბილისი, 2009.
6. როუზი ჰ.ს., საჯარო ფინანსები, თბილისი, 2006.
7. სოციალური მეწარმეობის გამოწვევები საქართველოში, თემურ თორდინავა, შოთა გეთია, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი, 2012.
8. Public Financial Management, A Whole System Approach, The Chartered Institute of Public Finance and Accountancy, CIPFA, 2010.
9. A guide to public financial management literature , For practitioners in developing countries, Rebecca Simson, Natasha Sharma & Imran Aziz December, 2011.
10. Ramkumar, V. and Shapiro, I. (eds) (2010) *Guide to Transparency in Government Budget Reports*. Washington, DC: International Budget Partnership.
11. Jacobs, D. (2009) ‘Capital Expenditures and the Budget’. Technical Notes and Manuals. Washington, DC IMF.
12. Premchand, A. (2007) ‘Capital Budgets: Theory and Practice’, in Shah, A. (ed.) *Budgeting and Budgetary Institutions*. Washington, DC: World Bank.
13. Oxford Policy Management (2000) ‘Medium Term Expenditure Frameworks – Panacea or Dangerous Distraction?’ Briefing Note. Oxford: OPM.
14. Public Financial Management System Chhattisgarh , Amitava Basu & Vinod Sharma, December 2010.
15. Shah, A. and Shen, C. (2007) ‘A Primer on Performance Budgeting’, in Shah, A. (ed.) *Budgeting and Budgetary Institutions*. Washington, DC: World Bank.

*Tsiala Benashvili
Mariam Kapanadze*

PUBLIC FINANCIAL MANAGEMENT (PFM) Annotation

Public financial management (PFM) drives the performance of the public sector through the effective and efficient use of public money. Good PFM ensures that public money is used well, and is made to stretch as far as possible. In the international context it can help to change the lives of very poor people. It provides leaders and managers with information to raise finance, to know if they are using resources effectively and to make decisions. Authors analyze PFM system in Georgia and introduce their opinion about public finances.

*ნანა ბენიძე
ჯამბულ ბიწაძე*

საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პირობებში ქვეყანაში რისკები ეკონომიკის ყველა სფეროში მატულობს. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ რისკებისაგან დაცვის უკეთესი მექანიზმი ვიდრე დაზღვევაა, ჯერჯერობით არ შექმნილა. სადაზღვევო საქმიანობა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ შესრულებულია პირობა: არასასურველი შემთხვევისაგან მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ან სრულად ანაზღაურება. აღნიშნული ხაზს უსვამს სადაზღვევო საქმიანობის სამეწარმეო ხასიათს. სადაზღვევო კომპანიის არსებობა შეუძლებელია სადაზღვევო ფონდების ფორმირების გარეშე, რაც პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო ტარიფთან, რომლის დაბალი მნიშვნელობა კომპანიის არსებობას უქმნის საფრთხეს, ხოლო მაღალი კი – დაზღვევას, როგორც რისკებისაგან დაცვის მექანიზმს, უსარგებლოს ხდის. სადაზღვევო საქმიანობა დაფუძნებულია სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობაზე, ამდენად, სადაზღვევო ტარიფის მაღალი სიზუსტით დადგენა ჯერ კიდევ განუვითარებელი კომპანიისთვის პრობლემას წარმოადგენს. მრავალ ქვეყანაში დაზღვევის სისტემის სწორი ორგანიზაცია და რაციონალური მართვა უდიდეს პოტენციალს ქმნის წარმოებისა და მოთხოვნის ეკონომიკის განვითარებისათვის. შესაბამისად, ვითარდება სადაზღვევო კომპანიები და განსაკუთრებით ისინი, ვინც თანამშრომლობს უცხოურ სადაზღვევო კომპანიებთან. დაზღვევა ამცირებს საწარმოთა დამოკიდებულებას სახელმწიფო სუბსიდიებზე.

თანამედროვე პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული სადაზღვევო პროდუქტების რეალიზაციაში ინტერნეტის გამოყენება. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ არ არის შექვეყნული ელექტრონულ კომერციას, მის მიმართ ერთგვარი უნდობლობაცაა ჩამოყალიბებული. ამიტომ სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის ყველაზე მისაღები გზა პრაქტიკაში კლიენტთან პირდაპირი მოლაპარაკების მეთოდია. როცა სადაზღვევო კომპანიები დაიკვიდრებენ ფინანსურად ძლიერი კომპანიების სახელს, ამდღედება მოსახლეობის სადაზღვევო კულტურა, გაძლიერდება სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი კომპანიების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე, მისაღები გახდება ინტერნეტის გამოყენება დაზღვევაში, რაც საგრძობლად შეამცირებს კომპანიების აკვიზიციურ ხარჯებს.

სადაზღვევო კომპანიებს აქვთ გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები დაზღვეულთა მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანია ჰქონდეს კომპანიის საქმიანობის შესახებ სრული წარმოდგენა. ამ თვალსაზრისით, მომხმარებლის ინტერესების დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს სადაზღვევო ორგანიზაციების რეიტინგული კვლევების დახედავა. აღსანიშნავია, რომ ასეთი პრაქტიკა არსებობს მრავალ ქვეყანაში, სადაც ყოველწლიურად ხორციელდება სადაზღვევო კომპანიების რეიტინგული კვლევა და მიღებული შედეგებით საზოგადოების ინფორმირება. მსოფლიოში არსებობს მრავალი ორგანიზაცია, რომლებიც ახორციელებენ სადაზღვევო კომპანიების რეიტინგებს. მათ შორის გამოირჩევიან: A.M. Best, Standard and Poor's, Moody's Investors Service, Duff and Phelps, Weiss Research.

2013 წლისათვის საქართველოში მოქმედებს 14 ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანია, რომელთაც ჯამში გააჩნიათ 630 მილიონი ლარის აქტივი. 2012 წელი სადაზღვევო კომპანიებმა დაასრულეს ზარალით, რამაც 7.2 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული ფაქტი, სავარაუდოდ, მომავალში მნიშვნელოვნად გაზრდის სადაზღვევო პრემიის ოდენობას.

2012 წლის განმავლობაში სულ სადაზღვევო კომპანიების მიერ გამოთქმულმა სადაზღვევო პრემიამ 382 მილიონ ლარს გადააჭარბა, ხოლო მოზიდულმა პრემიამ 515 მილიონი ლარი შეადგინა. სადაზღვევო კომპანიების მიერ გადახდილ იქნა რისკების 12.5% და გადახდევის პრემიამ 64.6 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის 21 მილიონი ლარი გადახდილ იქნა საქართველოში ლიცენზირებულ სადაზღვევო კომპანიებთან, რაც მთლიანი გადახდევის 32.5 %. აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია წინა წლებთან შედარებით. როგორც წესი, განვითარებული სადაზღვევო ბაზრის მქონე ქვეყნებში ძალიან დაბალია გადახდევისას ადგილობრივი კომპანიების ხვედრითი წილი. განვითარებასთან ერთად მცირდება გადახდევათა შემთხვევებში უცხოური კომპანიების ხვედრითი წილი. თუმცა ის ფაქტი, რომ საქართველოში გაზრდილი მონაცემები ბაზრის განვითარებით არის გამოწვეული, დამატებით შესწავლას და ანალიზს საჭიროებს. შესაძლებელია გადახდევისას ადგილობრივი კომპანიების წილის ზრდამ რისკების კონცენტრირება გამოიწვიოს ქვეყნის შიგნით და სადაზღვევო შემთხვევამ ჯერ კიდევ განვითარებულ სადაზღვევო ბაზარს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს.

გადახდევისას ძირითადი წილი მოდის შემდეგ სეგმენტებზე:

- ✓ ქონების გადახდევვა გადახდევული რისკების 65 %;
- ✓ მცურავი სატრანსპორტო საშუალებების გადახდევვა 22.21 %;
- ✓ მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა 8.81 %.

საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიები კი, რომლებთანაც მოხდა რისკების გადახდევვა, არიან:

- ✓ შპს სადაზღვევო კომპანია "უნისონი" - 95 %;
- ✓ ს.ს. სადაზღვევო კომპანია ჩარტისის საქართველოს ფილიალი - 3 %.

სულ 2012 წლის განმავლობაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 515 მილიონი ლარი. მოზიდული პრემიები შემდეგნაირად გადაანაწილდა:

1. მოზიდული პრემიებიდან 73 % მოდის ჯანმრთელობის დაზღვევაზე (უდიდესი ნაწილი სახელმწიფო დაზღვევაა, რაც ასევე მიაჩნება სადაზღვევო ბაზრის ნაკლებ განვითარებაზე. განვითარებული სადაზღვევო ბაზრის მქონე ქვეყნებში ძირითადი წილი მოდის კერძო სექტორის მიერ განხორციელებულ დაზღვევაზე, ხოლო საქართველოში მდგომარეობა ამ მხრივ რადიკალურად განსხვავებულია);

2. ქონების დაზღვევა 7.96 %;
3. სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა 6.09 %;
4. სიცოცხლის დაზღვევა 4.39 %;
5. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა 1.55 % და.ა.შ.

ყურადღება არ ექცევა და დაბალი ხვედრითი წილი აქვს ისეთი სახის დაზღვევებს, როგორცაა: სამოგზაურო დაზღვევა - 0.71 %, იურიდიული ხარჯების დაზღვევა - 0 %, დაზღვევა საფინანსო დანაკარგებიდან - 0.39 % და. ა.შ.

მოზიდული პრემიების მხრივ ბაზრის ლიდერი სადაზღვევო კომპანიები არიან:

1. სს „სადაზღვევო კომპანია აღდაგი ბისიაი“ – 20.1 %;
2. სს „ჯიპიაი ჰოლდინგი“ – 15.31 %;
3. სს „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ – 13.01 %;
4. შპს „ირაო“ – 9.48 %;
5. შპს „აისი ჯგუფი“ – 9.14 %;
6. შპს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ – 7.79 %.

სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებულმა ზარალმა 2012 წელს 264 მილიონი ლარი შეადგინა. ანაზღაურებული ზარალის მხრივ ლიდერი კომპანიები არიან:

- ✓ სს „სადაზღვევო კომპანია აღდაგი ბისიაი“ - სულ ანაზღაურებული ზარალის 18.62 %
- ✓ სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“ - 18.52 %;
- ✓ შპს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ - 13.37 %;

✓ სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი სს "არქიმედეს გლობალ ჯორჯია" - 7.48 %.

ანაზღაურებული ზარალის თანაფარდობა მოზიდულ პრემიასთან შეადგენს 51 %, ხოლო ანაზღაურებული ზარალის თანაფარდობა გამოიშუშავებულ პრემიასთან 69 %. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მაჩვენებელი საკმარის დაბალია, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2012 წელი სადაზღვევო კომპანიებმა ოფიციალურად 7 მილიონიანი ზარალით დაასრულეს. თუ აღნიშნული მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, საკმარის მაღალია დაზღვევის მომსახურების (ადმინისტრირების) ხარჯი. ოფიციალურად გამოქვეყნებული მონაცემები შემდგომ დაზუსტებას ექვემდებარება, რადგან შესაძლებელია ხელოვნურად ხდებოდეს ანაზღაურების ხარჯების ხელოვნურად გაზრდის გზით, როდესაც სადაზღვევო კომპანია თავად ფლობს სამედიცინო დაწესებულებას და ხელოვნურად ახდენს მომსახურების ფასების ზრდას. საქართველოში ლიცენზირებულ რამდენიმე სადაზღვევო კომპანიას თავად გააჩნია სამედიცინო დაწესებულება. აღნიშნული ფაქტი კიდევ უფრო ზრდის ფაქტის მოხდენის ალბათობას. მონაცემების რეალობაში ეჭვის შეტანის საფუძველს ასევე იძლევა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაზე. აღნიშნული შემოწმება ეხება 2008-2010 წლებს და იმ პერიოდში არ დაემთხვა ოფიციალურად გამოქვეყნებული ინფორმაცია რეალობას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოავლინა რომ:

➤ 2008-2010 წლების განმავლობაში სადაზღვევო კომპანიები ჯამში მოემსახურნენ 335,105 უმწეოს. აღნიშნულ პირთათვის გაწეული სამედიცინო მომსახურებების შემთხვევათა ჯამმა შეადგინა 615,093. ერთი წლის განმავლობაში დაზღვეულ უმწეო პირთა რაოდენობასთან (808,114) წელიწადში მომსახურებული პაციენტებისა და სამედიცინო შემთხვევების შეფარდება შეადგენს 13,8 და 25,4 პროცენტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაზრდილიყო პროგრამის მიზანი, სამედიცინო მომსახურების მოხმარება უტოლდება დაზღვეულთა 13,8%-იან დაკმაყოფილებას (შემთხვევათა რაოდენობის 25,4%), რაც მცირე მაჩვენებელია და საჭიროებს მნიშვნელოვან მატებას. სამედიცინო მომსახურების ზრდის მაჩვენებელი 2008-2010 წწ. სტატისტიკური და არ იზრდება, რაც საფრთხეს უქმნის პროგრამული მიზნის მიღწევას.

პროგრამის მიზნების მიღწევის ზემოაღნიშნული პრობლემა განპირობებულია სადაზღვევო ვაუჩერის პირობების შეუსრულებლობითა და სახელმწიფო რეგულირების ნაკლოვანებებით.

➤ სადაზღვევო კომპანიებს არ შეუსრულებიათ სადაზღვევო ვაუჩერის პირობებით ნაკისრი რიგი ვალდებულებები.

სადაზღვევო კომპანიებს დაზღვეულ უმწეო მოქალაქეებთან დადგენილ ვადებში არ გაუფორმებიათ სადაზღვევო ხელშეკრულებები. 5 სადაზღვევო კომპანიის მონაცემის მიხედვით 254 644 დაზღვეულიდან ხელშეკრულება არ გაფორმებულა 193 099 პირთან.

➤ სადაზღვევო კომპანიების ანგარიშგება სამინისტროს წინაშე არასისტემატიზებული და მოუწესრიგებელია. წარდგენილი ყოველთვიური ანგარიშების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სამინისტრო არ ამუშავებდა ანგარიშებს.

➤ სადაზღვევო კომპანიები ხელოვნურად ამცირებენ ან არ აფიქსირებენ დაზღვეულთა დაუკმაყოფილებელი განცხადებების რაოდენობას. წარმოდგენილი მონაცემებით, 7 კომპანიის 515 226 დაზღვეულიდან მკურნალობაზე უარი მიიღო 0,23%-მა.

➤ 2008-2010 წლებში დაფიქსირდა 615 093 სადაზღვევო შემთხვევა, საიდანაც 277 703 ერთეულზე (შემთხვევების 45,1%) შემთხვევის ხარჯი არ აღემატებოდა 20 ლარს. შესაბამისად სამედიცინო მომსახურების ხარჯი გაცილებით ნაკლები ღირებულებისაა ვიდრე სადაზღვევო პრემია (144 ლარი). სადაზღვევო კომპანიები საჯარო დაზღვევის პროგრამით მოსარგებლეთა დაკმაყოფილების სტატისტიკას მნიშვნელოვნად ზრდიან სწორედ მცირე ღირებულების მომსახურების გაწევით.

რეალური ფინანსური რისკების დაზღვევა სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით დასჭირდა დაზღვეული უმწეო მოსახლეობის მხოლოდ 10%-ს.

➤ საჯარო დაზღვევის სისტემის ფარგლებში არ არის უზრუნველყოფილი პროგრამით მოსარგებლეთა ინტერესების სათანადოდ დაცვა.

➤ სააგენტოს არ გაუტარებია საკმარისი ღონისძიებები დაზღვევის პირობების შესახებ მოსახლეობისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მისაწოდებლად.

➤ დაზღვეულ პირს არ აქვს სამკურნალო დაწესებულების არჩევის უფლება, ხოლო მკურნალობის დაფინანსების მოლოდინის ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს, რაც აიძულებს დაზღვეულს, თავად დააფინანსოს მკურნალობის ხარჯი.

➤ დაზღვეულთა ბაზები შეიცავს არსებით ცდომილებებს, რაც ერთი მხრივ განაპირობებს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვას და მეორე მხრივ არღვევს უმწეოთა კანონიერ ინტერესებს.

➤ დაზღვეულთა ბაზის ცდომილებები ქმნის მოქალაქის იდენტიფიცირების პრობლემას 13 382 პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები არ ედრება სამოქალაქო რეესტრის მონაცემებს.

➤ დაზღვეულთა ბაზაში უმწეო სტატუსით აღრიცხულია 278 782 მოქალაქე, რომლებსაც აქვთ ფინანსური შემოსავლების წყარო.

➤ უმწეო სტატუსით აღრიცხულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები, ჯამში 430 პირი, რომლებიც სარგებლობენ საჯარო დაზღვევით. მათ სასარგებლოდ 2008-2010 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სადაზღვევო პრემიის სახით არამიზნობრივად გადახდილია 109 924 ლარი.

➤ ბაზაში დაზღვეული აღმოჩნდა 17 690 გარდაცვლილი უმწეო მოქალაქე, რომელთა სასარგებლოდ 2008-2010 წლებში არამიზნობრივად გადახდილია 3 708 039 ლარი.

➤ პროგრამის ფარგლებში უმწეოთა სტატუსით დაზღვეულია საქართველოს მოქალაქეებიდან გასული, მოქალაქეობა შეწყვეტილი და მუდმივად უცხოეთში საცხოვრებლად მყოფი 188 მოქალაქე.

➤ უმწეოთა ბაზაში გაორებულია 1 842 მოქალაქის ჩანაწერი რომელიც გეხვდება 3 743-ჯერ. 2008-2010 წლებში მოქალაქეთა გაორების გამო სადაზღვევო პრემიის სახით ჯამში არამინიმალურად გადახდილია 145 171 ლარი.

➤ უმწეოთა დაზღვევით მოსარგებლე პირთაგან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის დაზღვევით ამავდროულად სარგებლობს 3 255 მოქალაქე. ორმაგი დაზღვევის გამო მათ სასარგებლოდ საჯარო დაზღვევის პროგრამიდან გადახდილი პრემიის ოდენობა 2010 წელს შეადგენს 224 446 ლარს.

➤ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული საჯარო სკოლის პედაგოგთა და ადმინისტრაციული პერსონალის დაზღვევის პროგრამით და საჯარო დაზღვევის პროგრამით ერთდროულად მოსარგებლეთა რაოდენობამ 2012-2013 წლებში შეადგინა 3 183 პედაგოგი და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა სასარგებლოდ უმწეოთა დაზღვევის პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პრემიის სახით გადარიცხულია 904 567 ლარი.

*Nana Benidze
Jambul Bitsadze*

SEGMENTATION OF INSURANCE MARKET IN GEORGIA Annotation

In the conditions of the formation of market economy increases risks in all areas of the economy. The insurance company can not be formed without existence of insurance funds, which is directly connected with insurance tariffs. Low rates threaten company's existence while higher rates make insurance unnecessary.

Within public health insurance system is not secured properly the interests of program beneficiaries. Agency has not spent enough measures to provide comprehensive information about conditions of the insurance for the population. Insured person has no right to choose medical facility; the duration of expectations for financing treatment is 6 months, what compels insured person to finance the treatment costs by himself; Insured databases contain substantial errors what is one of the causes of misappropriation of funds spending and on the other hand violates legitimate interests of helpless people.

So objective of insurance services is to make correct analysis in order to avoid a lot of mistakes that were made earlier.

დავით ბიძინაშვილი

ლარის სავალუტო კურსის დაცემის უარყოფითი ფაქტორები

ინფლაციის მაღალი მაჩვენებლები ბევრი ქვეყნის ეკონომიკის საკვანძო პრობლემაა. ამ პრობლემას წარმატებული ან ნაკლებად წარმატებული მონეტარული მეთოდებით ებრძვიან. როგორც ჩანს, საქართველოს, ისევე, როგორც მთელ რეგიონს, მოუწევს ინფლაციის, სოციალური დაძაბულობისა და ბანკების საკრედიტო პორტფელის უხარისხობის გამოწვევაზე პასუხის გაცემა.

ეროვნული ვალუტა ორი წლის განმავლობაში მყარად ინარჩუნებდა გაცვლით კურსს და საქართველოში 1 აშშ დოლარის ფასი 1,67 ლარს თითქმის არ ასცილებია. ამჟამად კი 1 დოლარი უკვე 1,78 ლარი ღირს. მთავრობის ეკონომიკური გუნდი ლარის კურსის ცვლილებაში საგანგაშოს კვლავაც ვერაფერს ხედავს და აცხადებს, რომ ეროვნულ ბანკს ყველა რესურსი აქვს, რათა ვალუტის მკვეთრი გაუფასურება არ დაუშვას. ცხადია, ამის მიუხედავად, მოსახლეობაში შიში და უსიამოვნო მოლოდინი გაჩნდა, ხოლო ექსპერტთა წრეებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს პროცესი ხელოვნურია და ბიუჯეტში მეტი ფულის მობილიზებას ისახავს მიზნად.

საყურადღებოა ისიც, რომ ამჟამად ქვეყანაში წინასაარჩევნო პერიოდია, არჩევნები კი ფულის ხარჯვასთან არის დაკავშირებული, რასაც თავისთავად მოჰყვება მიმოქცევაში ფულის ზედმეტი მასის გამოჩენა და შესაბამისად, ინფლაცია. რაც უნდა განგაში ავტეხთ, როგორც უნდა შევაშინოთ საზოგადოება არჩევნებში მონაწილე მდიდარი კაცის "რუსული ფულით", სრულფასოვანი არჩევნების დროს რაღაც თანხა უნდა დაიხარჯოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისეთი ვითარება შეიქმნება, როგორც ბოლო წლებში ბევრჯერ გვქონია: ხელისუფლება ხარჯავდა 15-ჯერ, 30-ჯერ მეტ თანხას, ვიდრე მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები და იმარჯვებდა კიდევ უნდა შევევოთ, რომ წინასაარჩევნოდ ქვეყანაში დიდი ფული დაიხარჯება.

თავისთავად ინფლაცია არ არის რაღაც წარმოუდგენელი ბოროტება, უბრალოდ, უნდა არსებობდეს ბერკეტები, რათა ის რეგულაციას ექვემდებარებოდეს, ზომიერი იყოს და ორნიშნა ციფრს არ ასცდეს. მისაღებია, რომ ინფლაცია იყოს დაახლოებით 5-6%-ის ფარგლებში ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველო, თორემ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც, ჩვენგან განსხვავებით, წარმოებაც მოქმედებს და ხალხიც დასაქმებულია, სულ სხვა ვითარებაა. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში ინფლაციის ნორმა 3%-ია.

რაც შეეხება დეფლაციის უარყოფით მხარეებს, დეფლაცია თავისთავად მიანიშნებს ეკონომიკის ვარდნაზე, წარმოების მოცულობის შემცირებაზე, უმუშევრობის ზრდაზე და სხვ. დეფლაცია უფრო დიდი თავსატეხია ხელისუფლებისთვის.

ლარის გაუფასურებას ის მაკროეკონომიკური პროცესები იწვევს, რომლებიც ქვეყანაში აღინიშნება. გვაქვს მაჩვენებლები, რომლებიც შარშანდელთან შედარებით არ შეცვლილა, მაგრამ გვაქვს უარყოფითი ფაქტორებიც.

მართალია, ქვეყანაში შემოსული გზავნილებიც გაიზარდა, ექსპორტიც, ინვესტიციების 4%-იანი მატებაც აღირიცხება, თუმცა იმ ფაქტორების გაკლენა, რომელიც ლარს აუფასურებს, უფრო მეტია: კერძოდ, იმპორტის ზრდა, ფულადი კაპიტალის გაღიზნება ქვეყნიდან და გადაზიდვების შემცირება. სწორედ ამ ფაქტორებმა გადაწონა ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი მომენტები. საბოლოო ჯამში, იზრდება მოთხოვნა დოლარზე, რაც ამცირებს ლარზე მოთხოვნას. ამიტომაც გვაქვს დღეს ლარის ასეთი კურსი.

ეროვნული ბანკი ყოველთვის ერევა, როცა კურსი მკვეთრად მერყეობს. თუ ნომებრამდე ძირითადად დოლარის შეძენის ტენდენცია გვქონდა, რაც რეზერვებს ზრდიდა, მაკროპროცესის ცვლილებამ უკვე საპირისპირო შედეგი მოიტანა. ეროვნული ბანკი ინტერვენციებით ყოველთვის ერეოდა და ახლაც იმავეს აკეთებს: ბოლოს, მაგალითად, \$40-მილიონიანი ინტერვენცია მოახდინა. ვფიქრობ, ლარის კურსის დაცემა მოკლევადიანი პროცესია. განსაზღვრული დროის შემდეგ, როცა ინვესტიციების შემოდინება დაიწყება, კურსი გამყარებას დაიწყებს, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ზარალდებიან ადამიანები, რადგან ჩვენთან ლარის კურსის გაუფასურება პირდაპირ კავშირშია პროდუქტის გაძვირებასთან და მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიც მცირდება. ზარალდება ის, ვისაც აქვს შემოსავალი ლარში და ვალდებულება – დოლარში. თუ ადრე 100 დოლარის გადახდისთვის სჭირდებოდათ 166 ლარი, ახლა სჭირდებათ 178 ლარი, ხოლო როცა დიდ თანხებთან გვაქვს საქმე, ეს 12-ლარიანი სხვაობა საკმაოდ სოლიდურია. საბოლოოდ, მოგებული რჩება მხოლოდ მცირე ჯგუფი, ვისაც შემოსავალი დოლარში აქვს, მაგრამ თუ ბაზარი გაძვირდება, მათთვისაც არანაირი მოგება არ იქნება.

ჩვენი ვალუტა ძველ ნიშნულს დაუბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინება დაიწყება. თუმცა ეს საკმაოდ გრძელვადიანი პროცესია. ამჟამად კი ლარის გაუფასურების მოლოდინი არსებობს როგორც ბიზნესში, ასევე მოსახლეობაში და ეს მოლოდინი, თავის მხრივ, კიდევ უფრო აძლიერებს უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნას. ეს შიში უნდა მოიხსნას ეროვნული ბანკისა და ქვეყნის ეკონომიკური გუნდის შეთანხმებული ნაბიჯებით. ვფიქრობ, პანიკის საფუძველი არ არსებობს.

ვალუტის კურსის შეცვლა ნორმალური პროცესია, უბრალოდ, მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა უნდა მოხსნან ყოველგვარი გაურკვევლობა და ცხადად უნდა აუხსნან საზოგადოებას, რატომ ხდება ეს და რა იქნება მომავალში. აუხსნან ისიც, რომ კურსის მერყეობა ჩვეულებრივი ამბავია, ასე ხდება ყველა იმ ქვეყანაში, რომელიც თავისუფალი, მცურავი კურსის პოლიტიკას მისდევს. ეს პროცესი მოთხოვნა-მიწოდებაზეა აწყობილი და თუ მკვეთრი რყევა არ ხდება, ცენტრალური ბანკები ვალუტის კურსის ფორმირებაში არც კი ერევიან. ამიტომაც იგივე დოლარი, იენი, ევრო და სხვა ვალუტები ყოველდღიურად განსაზღვრულ ცვალებადობას განიცდიან. ვალუტა ხან გაუფასურდება და ხან გამყარდება, მაგრამ გარემო უნდა იყოს პროგნოზირებადი. მთავრობაც უნდა შეეცადოს, რომ აუხსნას მოსახლეობას მიმდინარე პროცესები და არასწორი მოლოდინი გააქარწყლოს.

არ ვფიქრობ, რომ ეს ხელშეწყობდა მოხდა, უბრალოდ, ეს შედეგი მაკროეკონომიკურმა პროცესებმა მოიტანა, მიმოქცევაში არის ჭარბი ლარი, იმპორტი გაზრდილია და ქვეყნიდან კაპიტალის გადინება აღინიშნება. ჯამში კი ეს ფაქტორები განაპირობებს უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდას.

ჯერ ამის თქმა ძალიან ძნელია. სავარაუდოდ, გაზაფხულზე ლარის გაუფასურება უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაგრძელდება, თუმცა ეროვნულ ბანკს ყველა რესურსი აქვს, რათა ეს პროცესი კონტროლირებადი იყოს. ამიტომ ახლა მთავარია, რას გადაწყვეტს მარეგულირებელი ორგანო, ანუ ეროვნული ბანკი, ასევე უნდა გააქტიურდეს ინვესტიციების შემოდინებაც, რათა ქვეყანაში უფრო ჯანსაღი და დაბალანსებული ეკონომიკური გარემო იყოს.

ეს ინფლაცია მაშინ იქნებოდა ჩვენივე წამახალისებელი, ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა რომ ვიყოთ, რადგან ეროვნული ვალუტის გაუფასურება სწორედ რომ ექსპორტის წამახალისებელია. მაგრამ ჩვენთან ექსპორტის წილი მხოლოდ 25%-ია მთლიან სავაჭრო ბრუნვაში, ამიტომ ეს პროცესი უფრო ბაზარს გააძვირებს, ვიდრე ექსპორტს წაახალისებს. ინფლაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია ჯანსაღი პროცესი, თუ ეკონომიკური ზრდით არის გამოწვეული. სავარაუდოდ, წლეულს კურსი 1,75-ის ფარგლებში იქნება, თუმცა ყველაფერი მაინც დამოკიდებულია მაკროეკონომიკურ პროცესებსა და ეროვნული ბანკის პოლიტიკაზე. სწორედ სებს აქვს ამ პროცესის კონტროლის მექანიზმები და, როგორც მისი ხელმძღვანელები გვპირდებიან, ახლო მომავალში ლარის კურსის მკვეთრი რყევა აღარ მოხდება.

2013 წელს საქართველოში 914 მილიონი აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია ჩაიდო, თანხის ნაწილი – 217 მილიონი – მხოლოდ IV კვარტალში. ეს 2012 წლის მონაცემებს 0,3%-ით აღემატება. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა კვლავ ნიდერლანდებია (180 მილიონი აშშ დოლარი) მთლიანი ინვესტიციის თითქმის მეხუთედით. მეორეა ლუქსემბურგი 145 მილიონით, ხოლო მესამე – ჩინეთი (98 მლნ). ლიდერთა ათეულშია აზერბაიჯანი, თურქეთი, აშშ, საერთაშორისო ორგანიზაციები, გაერთიანებული სამეფო, მალტა და არაბთა გაერთიანებული საამიროები. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბიზნესმენებს სიტყვა მისცა, რომ ქვეყანაში დაბანდებული ინვესტიციების თითოეული ცენტი დაცული იქნება: საქართველოში კანონის უხედავობა და კერძო საკუთრების დაცვა პრიორიტეტად გამოცხადდა, საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყანა მყარ პოზიციებს ინარჩუნებს, ხოლო გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვადასხვა ქვეყანასთან ურთიერთობის შედავითანი სისტემის წყალობით, საქართველო ინვესტორებს ფართომასშტაბიან ბაზარს სთავაზობს...

2013 წლის განმავლობაში მეწარმეთა აქტიურობა შენედა ე.წ. კოჰაბიტაციის პერიოდის გამო. ასეთ პირობებში რატომ უნდა გვქონდეს იმედი, რომ ვინმე უცხოელი მოვა და ქართული ეკონომიკის აღორძინებას ხელედაკაპიწებელი დაიწყებს? სწორედ ამიტომ, სხვაობა 2012 წლისა და 2013 წლის მონაცემებს შორის სიმბოლურია – დაახლოებით 2,8 მილიონი დოლარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს ყველა ვალუტა, მათ შორის დოლარიც, ინფლაციას განიცდიდა, 2012 წელთან შედარებით ინვესტიციების შემოდინების მხრივ, შეიძლება ითქვას, სტაგნაცია კი შეიქმნა. შესაძლოა თავი დავიშვიდოთ იმით, რომ მდგომარეობა არ გაუარესებულა, მაგრამ ჩვენს ეკონომიკას მეტი სჭირდება.

უცხოეთიდან ფულად გზავნილებს ჩვენი ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. გასულ წელს თითქმის 1,5 მილიარდი დოლარი შემოვიდა. ეს ოფიციალურად აღრიცხული გზავნილებია, არავინ იცის, რა თანხა შემოდის ჯიბით, ჩანთით და ა.შ. ფაქტობრივად, მოსახლეობის გამოგზავნილმა ფულმა ინვესტიციის ფუნქცია შეიძინა. ყველა აღიარებს, რომ ამ მიზნით შემოსული ფული არანაკლებ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში, ვიდრე უცხოური ინვესტიციები. ამჟამად ფულადი გზავნილების მოცულობა 1,5-ჯერ აღემატება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ათიოდე წლის წინ კი ეს თანაფარდობა მხოლოდ 40% იყო, ანუ ინვესტიციები 2,5-ჯერ აღემატებოდა ფულად გზავნილებს.

ინვესტიციები გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი, ფულადი ტრანსაქციები კი მცირე თანხაა. უცხოეთიდან ახლობლის გამოგზავნილ ფულს ჩვენი მოსახლეობა ხშირად პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იყენებს: იძენს სურსათს, სამოსსა და სხვა პროდუქციას, რომელიც აუცილებელია არსებობისთვის. ყიდულობენ უცხოურ, ძირითადად, თურქულ პროდუქციას. იკვრება ერთგვარი ჯაჭვი, რომლის წყალობითაც ჩვენი ქვეყანა ემსგავსება "შეგაერგეთს". რატომ? – საქართველოში შემოდის თანხა, რომლითაც ჩვენი მოსახლეობა ყიდულობს თურქულ საქონელს, მეორე ეს ფული თურქეთში გადის და შედეგად თურქეთის ეკონომიკა ძლიერდება, საქართველოში კი ეკონომიკა არ ვითარდება. ამიტომ ფულადი გზავნილების იმედად ყოფნა არ შეიძლება, ეს ჩვენი ეკონომიკის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს. საკმარისია დოლარის კურსი დაეცეს ან ჩვენს მოქალაქეებს უცხოეთში რამე პრობლემა შეექმნათ, რომ გადმორიცხვების მოცულობა შემცირდეს და შემოსავლის ეს წყაროც დაიშრიტოს. ამიტომ, უმჯობესია, ინვესტიციების მოცულობა აჭარბებდეს გადმორიცხული თანხის რაოდენობას. ბოლო წლებში ყველაზე უკეთესი მდგომარეობა ინვესტიციების მხრივ 2011 წელს იყო, როცა ქვეყანაში 1,147 მილიარდი დოლარი შემოვიდა. 2013 წლის მონაცემები 2011 წლისას ჩამორჩება, რადგან, როცა ქვეყანაში არც არჩევნებია დაგეგმილი და არც ხელისუფლების ცვლილება, ეკონომიკაც უფრო სტაბილურია. გვინდა თუ არა, პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ნიშანდობლივია, რომ არჩევნების შემდეგ ინვესტიციების მოცულობა საგრძობლად მოიმატებს.

2014 წელიც სიურპრიზებს გვიმზადებს: იმართება ადგილობრივი არჩევნები, არ ვიცით, უკრაინის ამბები რა გავლენას მოახდენს მსოფლიო ეკონომიკაზე, ან რა მოხდება ყირიმში... უკრაინა საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორია: ამ ქვეყნიდან 600 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქცია შემოდის, რაც სამჯერ აღემატება უკრაინაში ჩვენს ექსპორტს. იმავდროულად, ჩვენი ეკონომიკისთვის მეტად მნიშვნელოვანია რუსეთის ფაქტორიც. ამ ორ ქვეყანაში განვითარებული მოვლენები უშუალოდ აისახება შემოსულ ინვესტიციებსა და საერთოდ, ქართულ ეკონომიკაზე.

2013 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია - 198 მლნ აშშ დოლარი, ანუ მთლიანი მოცულობის 22% - ენერგეტიკის სექტორში ჩაიდო. მეორე ადგილზე საფინანსო სექტორია 170 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (138 მლნ).

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი დიდწილად იმპორტირებულ პროდუქციაზეა დამოკიდებული, რომლის შესყიდვაც დოლარით ხდება. ამდენად, ლარის გაუფასურებამ და მოლოდინმა, რომ ეს, შესაძლოა, კვლავაც გაგრძელდეს, იმპორტიორები დააფიქრა, რომ რისკები უნდა დაეზღვიათ და ლარში გასაყიდი პროდუქციისთვის ფასები მოემატებინათ. უკვე არაერთ სავაჭრო ობიექტში შეინიშნება იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასების ზრდა.

ლარის კურსის ცვლილება აგრეთვე აშფოთებს მას, ვისაც ბანკში ანაბარი ეროვნულ ვალუტაში აქვს ან ხელფასი აქვს ლარში, ხოლო სესხი - დოლარში. ბოლო ერთ თვეში ლარის დაახლოებით 3,5%-იანმა ვარდნამ მათ ფინანსური დანაკარგები მოუტანა. დასასრულ, ინფლაციის მოლოდინიც, განსაკუთრებით, თუ ის გადაჭარბებულია, თავის მხრივაც ინფლაციას ასტიმულირებს.

მეორე მხრივ, მიზნობრივი წლიური ინფლაცია 6%-ია, რაც ეროვნული ბანკის ოფიციალურ საიტზეცაა მითითებული. ინფლაცია, რომელიც, წესით, ჩვენისთანა ეკონომიკის ქვეყნისთვის განვითარებისა და დასაქმების მასტიმულირებელი უნდა იყოს, ეტაპობრივად, თანმიმდევრულად უნდა მოხდეს და არა ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი და მოულოდნელი ვარდნით.

მიუხედავად ამისა, მთავრობის ეკონომიკურ გუნდში ლარის კურსის ცვლილებაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ და ამბობენ, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს ყველა რესურსი აქვს, რათა ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურება არ დაუშვას.

ლარის გამაუფასურებელი ეკონომიკური ფაქტორი რეალურად დღეს ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს. იმპორტის მაჩვენებელი თითქმის არ შეცვლილა, ხოლო ექსპორტი ბოლო დროს იმატებს. ამ თვალსაზრისით, ლოგიკურად, დოლარზე მოთხოვნა არ უნდა გაზრდილიყო. უცხოეთიდან ფულად გზავნილებიც, რაც არსებით როლს თამაშობს ქვეყანაში სავალუტო მასის გაზრდაში, მომატებულია და შესაბამისად, ლარი უნდა მყარდებოდეს.

თუმცა არის მეორე მხარე, რაც უკავშირდება დაუბალანსებელ საბიუჯეტო დეფიციტსა და ფინანსთა სამინისტროს პირდაპირ მოტივაციას, ინფლაციით წახალისებული ლარით გადაფარონ საბიუჯეტო დეფიციტი. შესაბამისად, საზოგადოებაში ლოგიკურად ჩნდება ეჭვი: ხომ არ არის ეს ყველაფერი ხელოვნურად პროვოცირებული და წახალისებული მთავრობის ეკონომიკური გუნდის მხრიდან?.. მიზნობრივი 6%-იანი ინფლაციაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ ინფლაციის საფრთხე ყველაზე მეტად მაშინ იზრდება, როცა ის ნახტომისებურია – ერთ დღეს ლარის კურსი არის 1,65 და უეცრად აჭარბებს 1,70-ს. როცა ინფლაცია რეგულირებადია, სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს, გრძელვადიან პერიოდში ინფლაცია "გამოიყენოს", როგორც განსაზღვრული ეკონომიკური პროცესების წახალისებელი ან პირიქით, შემაფერხებელი ფაქტორი. ასეთ შემთხვევაში, ინფლაციის უარყოფით გავლენას ეკონომიკასა და სოციალურ სექტორზე გაცილებით ნაკლები ეფექტი აქვს.

ბოლო წლებში ეკონომიკა იმპორტზე იყო ორიენტირებული და უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ყოველწლიურად იზრდებოდა, რაც წარმოქმნიდა დაწოლას ეროვნულ ვალუტაზე. ერთ წელიწადში ამის გამოსწორება შეუძლებელია. ექსპორტისა და სავალუტო შემოდინების ზრდა მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის გადასინჯვისას იქნება შესაძლებელი, დღეს კი საექსპორტო პოტენციალი შეზღუდულია. კიდევ ერთი ფაქტორია პოლიტიკური ვითარება, კერძოდ, ყბადაღებული კოჰაბიტაცია. სამწუხაროდ, დღესაც უცხოური ინვესტიციების სიმცირეა, მაგრამ მათ შემოსვლას სათანადო პოლიტიკური და სტაბილური სამართლებრივი სივრცე სჭირდება. წარსულის ინერციამ და კოჰაბიტაციამ ბევრი მიმართულებით შექმნა პრობლემა, მათ შორის ეკონომიკის განვითარების კუთხითაც. დარწმუნებული ვარ, 2014 წელი გაცილებით წარმატებული იქნება. პირველ რიგში, შეუქცევადი დემოკრატიული პროცესები, მიმართული არა მარტო ბიზნესის თავისუფლებისკენ, არამედ ბიზნე-

სის ხელშეწყობისკენ, ასევე სამართლებრივი გარემო, საგრძნობლად შეუწყობს ხელს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას.

- ბუნებრივია, როცა ქვეყანას ექსპორტსა და იმპორტს შორის ამხელა უარყოფითი საღდო აქვს, ყოველთვის იქმნება გაძვირების საშიშროება. მაგრამ ეს გარდევს საავტორო ბალანსში გუშინ არ დაწვებულა. საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდა და გეოგრაფიული არეალის გაფართოება მაშინ არის კარგი, თუ ეს ექსპორტის ხელშეწყობაზე იგება და არა პირიქით, რაც გასულ წლებში მიზანმიმართულად კეთდებოდა. დღევანდელი ხელისუფლება ამ ვითარების თავისებური მიქვალა, რადგან ეკონომიკის განვითარების ვექტორის შეცვლა მოკლევადიან პერიოდში თითქმის შეუძლებელია.

მომხმარებლისთვის იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასები გარკვეულწილად გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ კურსის ვარდნა გაგრძელდება. მიმანია, რომ ეროვნული ბანკი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით პასუხისმგებელია ფასების სტაბილურობაზე და რესურსებიც საკმარისად აქვს, ამას არ დაუშვებს. ამიტომ გაძვირებას მაინც დროებითი ზრდის ეფექტი ექნება.

თუ ლარის კურსი რყევას დაიწყებს, ანუ ნაკლებად პროგნოზირებადი იქნება, ცხადია, ეროვნულმა ბანკმა მის არსენალში არსებული ინსტრუმენტები უნდა გამოიყენოს კურსის სტაბილიზაციისთვის.

ეროვნულ ბანკს ყველა ინსტრუმენტი აქვს, რომ ლარის კურსი სტაბილური იყოს. მას დღეს წარმოუდგენლად მაღალი საერთაშორისო სავალუტო რეზერვები გააჩნია. ეს თანხა 2 მილიარდ დოლარზე მეტია. ამ მასშტაბის რეზერვი საქართველოს არასოდეს ჰქონია, ეს ისტორიული პიკია. ქვეყნები თავს უშიშრად რომ გრძნობდნენ, 3-თვიანი იმპორტის საერთაშორისო სავალუტო რეზერვები უნდა ჰქონდეთ, ჩვენ კი 6 თვის გვაქვს, მაგრამ ეს შედეგზე არ აისახება... სტაბილური კურსი – მხოლოდ ეს არის ეკონომიკის მდგრადი განვითარების საფუძველი.

ჩვენი აზრით ინფლაციური პროცესის შესაჩერებლად ხელისუფლებამ პირველ რიგში სწორედ ბიუჯეტის დეფიციტი უნდა შეამციროს, ანუ დამატებითი ფული მიმოქცევაში არ გაუშვას. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების შემდეგ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს მდგრადი, ყოვლისმომცველი, ინკლუზიური. ეს გულისხმობს იმას, რომ სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას და უნდა მოხდეს სიღარიბის და უმუშევრობის შემცირება. საზოგადოების თანაბარუფლებიანობის მდგომარეობა უნდა იყოს გამოსწორებული. ამით იმის თქმა მინდა, რომ ლარიებზე განსაკუთრებით არ იმოქმედოს ამ კრიზისმა. მომავალში ყველამ იხიროს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით. რაც შეეხება კორუფციას, საქართველოში მდგომარეობა განსაკუთრებით გამოსწორებულია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველომ გაუსწრო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოზიციას ამ კუთხით.

ამავე დროს, გრძელვადიან პერიოდში საქართველოს მთავრობა (და არა მარტო საქართველოს) უნდა ეცადოს, შექმნას სამუშაო ადგილები და შეამციროს სიღარიბე შემდეგი გზით: შექმნან სოციალური დაცვის სისტემები, გაზარდონ კერძო სექტორის როლი; მოახდინონ ეკონომიკის დივერსიფიცირება, ნაკლები აქცენტი გაკეთდეს ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, გააუმჯობესონ ბიზნესგარემო გამჭვირვალობის, მმართველობის და ინსტიტუციონალიზაციის კუთხით; ინფლაცია და უმუშევრობა მთავარი გამოწვევა უნდა გახდეს.

ინფლაციის მაღალი მაჩვენებლები ბევრი ქვეყნის ეკონომიკის საკვანძო პრობლემაა. ამ პრობლემას კი წარმატებული მონეტარული მეთოდებით უნდა შევებრძოლოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.nbg.gov.ge
2. <http://geostat.ge>
3. www.mof.ge
4. www.found.ge

David Bidzinashvili

THE NEGATIVE FACTORS OF LARI EXCHANGE RATE FALL Annotation

High inflation rates in many of the countries' economy is a key problem. Successful or less successful monetary methods are used to fight this problem. Georgia as well as the whole region has to answer inflation, social tensions and the challenge of the inferior quality of banks' credit portfolios.

National currency exchange rates remained steady for two years, and in Georgia the price of 1 U.S. \$ did not exceed 1.67 GEL. Currently the dollar is 1.78 GEL. The government's economic team does not see anything alarming in exchange rate change and says that national bank has all the resources to avoid to a sharp depreciation of the currency.

The consumer market is largely dependent on imported goods, the purchase of the dollar occurs. Thus, the devaluation of the lari and expectations that it might continue made importers think to insure the risks and to raise price on the products sold in lari. It has been observed in a number of vendors the increases in price of imported products.

The change in the exchange rate worried those who have bank accounts in national currency or salary in GEL and debt - in dollars. Last month, about 3.5 % challenge brought them financial losses. Finally, expectations of inflation, especially if it's exaggerated, in turn, will stimulate inflation.

მადონა გელაშვილი

ფასიანი ქაღალდების ბაზარის სტრუქტურა და მისი განვითარების პრიორიტეტები

ფასიანი ქაღალდების ბაზარი წარმოადგენს ისეთ სისტემას, სადაც ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის შედეგად ხდება ფულადი რესურსების გადანაწილება მის მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის. ფასიანი

ქალაქების ბაზარი წარმოადგენს მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დანაზოგების გადაქცევა ინვესტიციებად. ინვესტიციებს იღებს კერძო ბიზნესი და მთავრობა. ინვესტირებად და კრედიტორებად კი გამოდის კერძო სექტორი და მოსახლეობა, რომელთაც აღმოაჩნდათ დანაზოგი. საქართველო ეკონომიკური რეფორმირებით ცდილობს მოახდინოს ჩვენი ეკონომიკის ახლებურად ორგანიზება და მისი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადაყვანა, რაც, უდავოდ, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის გარანტიაა. თავის მხრივ, ეკონომიკის პერსპექტიული ზრდა შეუძლებელია საინვესტიციო კაპიტალის გარეშე, რომლის მოზიდვის ერთ-ერთ საშუალებასაც ფასიანი ქაღალდების მექანიზმი წარმოადგენს. საქართველოსთვის ფასიანი ქაღალდების ბაზარი ერთგვარად ახლად შექმნილი ინსტიტუციური სტრუქტურაა, ამიტომ აუცილებელია იმ ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, რომლებმაც აღნიშნული საფეხური მრავალი წლის წინ გაიარეს, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება – ეს სტაბილური ეკონომიკების განვითარების შედეგია, ამიტომ მისი სარკისებრი გადმოტანა ჩვენს არასტაბილურ, განვითარებად ეკონომიკაში მიზანშეუწონელია. აუცილებელია ამ ცოდნის გაზიარება, მაგრამ აუცილებელია ჩვენი თანამედროვე პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიოში აშშ-ის ფასიანი ქაღალდების ბაზარი ითვლება ყველაზე უფრო ფართო, დიფერენცირებულ და ლიკვიდურ ბაზრად და გამოირჩევა გამჭვირვალობითა და ინვესტირების სრული ნდობით. ანალოგიური მდგომარეობაა გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. დღეისათვის არსებობს საფონდო ბაზრის რამდენიმე მოდელი, კერძოდ საბანკო, არასაბანკო და შერეული. საბანკო მოდელს სხვანაირად „გერმანულსაც“ უწოდებენ, რომელიც გულისხმობს საბანკო და საკრედიტო დაწესებულებების აქტიურ მონაწილეობას ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებაში, არასაბანკო („ამერიკული“) მოდელი უპირატესობას საინვესტიციო ბანკებსა და საბროკერო ფირმებს ანიჭებს, რითაც მინიმუმამდე დაყავს საბანკო დაწესებულებათა მონაწილეობა ფასიანი ქაღალდების ემიტირების, განთავსების, კონტროლის სფეროში. ე. წ. შერეულ მოდელში ბანკებთან ერთად აქტიურად ზემოქმედებენ არასაბანკო ინსტიტუტებიც: სადაზღვევო და საპენსიო ფონდები, საბროკერო ფირმები, დილერები და ა. შ.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის შესაქმნელად ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ის მაინც უმოქმედო რჩება, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს:

- შემოსავლების დაბალი დონე;
- მოსახლეობის გაუთვითცნობიერება საფონდო სფეროს საკითხებში;
- მოსახლეობის ინდიფერენტულობა ნებისმიერი გარდაქმნებისა და სიახლეებისადმი;
- მოსახლეობის უარყოფითი ემოციური დამოკიდებულება ფასიანი ქაღალდებისადმი.

მოსახლეობის ნდობის ფაქტორის არარსებობა ფაქტობრივად ძირს უთხრის საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. საფონდო ბაზარი, რაც არ უნდა კარგად ფუნქციონირებდეს ერთი ქვეყნის ფარგლებში ვერ იარსებებს, ის უფრო რეგიონული და მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების მონაპოვარია. ამიტომაც, აუცილებელია საქართველოს საფონდო ბაზრის ინტეგრაცია ყველაზე უფრო ხელსაყრელ სამოქმედო არეალზე. ასეთად შეიძლება გვესახებოდეს „ამიერკავკასიის საფონდო ბაზარი“. მის დადებით მხარეებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ:

- ✓ მოცემული ბაზარი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და გააზრებული მოქმედების შედეგად საქართველოს შეუძლია მასში დომინანტის როლი შეასრულოს;
- ✓ დანარჩენი მსოფლიოს დაინტერესება ამ რეგიონით და ის ფინანსური სახსრები, რომელთა დაბანდებაზეც ინვესტირები წამსვლელი არიან;
- ✓ საქართველოს მოსახერხებელი გეოპოლიტიკური მდებარეობა.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ბაზარი, წარმოადგენს რთულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ სისტემას, ოპერაციების ჩატარების გარკვეული სპეციფიკური ტექნოლოგიით და მონაწილეებით. საქართველოს კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ (მუხლი 2) ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები არიან:


- ინვესტორი;
- ემიტენტი;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე;
- აუდიტორი.

ინვესტორები და **ემიტენტები** წარმოადგენენ ბაზრის ძირითად მონაწილეებს.

საქართველოს კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, ემიტენტად მიიჩნევა პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად უშვებს ფასიან ქაღალდებს. შესაბამისად, იგი შეიძლება იყოს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი. ინვესტორი კი წარმოადგენს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც საინვესტიციო სახსრებს აბანდებს ემიტენტის სამეწარმეო საქმიანობაში წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით.

ემიტენტი მიაწოდებს საფონდო ბაზარს საქონელს – ფასიან ქაღალდებს, რომლის ხარისხს განსაზღვრავს ემიტენტის სტატუსი, მისი საქმიანობის სამეურნეო-ფინანსური შედეგები, ხოლო მისი მარკეტაბელურობა ხშირად განისაზღვრება “ზანაღააკების და სასტევენების” უბრალო რაოდენობით, რომლებიც მეტად მიმზიდველია ნებისმიერი ინვესტორისათვის. ემიტენტი მუდმივად არის ბაზარზე, რადგანაც მან თავის თავზე უნდა აიღოს ვალდებულება ფასიანი ქაღალდების მყიდველის (ინვესტორის) წინაშე მათი უფლებების განსახორციელებლად. გარდა ამისა, ემიტენტი თვითონ ოპერირებს (მოქმედებს) თავისი ფასიანი ქაღალდებით მათი შესყიდვის ან გაყიდვის მიზნით.

ბაზარზე ემიტენტი უპირველესად ფასდება მის მიერ გაცემული (გასაყიდად შეთავაზებული) ფასიანი ქაღალდების ხარისხის მიხედვით. სქემატურად ემიტენტების შემადგენლობაში პირველობა მყარად გამაგრებულია სახელმწიფოს მიერ.



სქემა 1
ფასიანი ქაღალდების ბაზარის მონაწილეები

სახელმწიფოს, როგორც ფასიანი ქაღალდების ემიტენტის, განსაკუთრებული პოპულარობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მისი სტატუსი. ითვლება, რომ სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდებს აქეთ ნულოვანი რისკი, რადგანაც შესაძლებელია ბანკის კრახი, სააქციო საზოგადოების გაკოტრება, მაგრამ სახელმწიფო ყოველთვის პასუხისმგებელია თავისი ვალდებულებებისა, რადგანაც მას არაფერი მსგავსი არ ემუქრება. საინვესტიციო ანალიზის თეორიის მიხედვით, ფასიანი ქაღალდები, რომელთაც აქეთ ნულოვანი ან მათთან დაახლოებული რისკის მნიშვნელობა, შესაძლებელია გაიყიდოს მხოლოდ მინიმალური შემოსავლით.

სააქციო საზოგადოებები, როგორც ფასიანი ქაღალდების ემიტენტები, რომლებიც განეკუთვნებიან სამრეწველო სექტორს, იყოფა ხარისხობრივად: პრივატიზებული საწარმოები წარმოადგენენ ერთ ჯგუფს, ხოლო მეორე ჯგუფს კი – ახლად შექმნილი სააქციო საზოგადოებები.


სააქციო საზოგადოება, რომელიც შეიქმნა პრივატიზაციის შედეგად, როგორც ემიტენტი ხასიათდება დაბალი შემოსავლიანობით, დახურული ინფორმაციულობით, ეკონომიკური პერსპექტივის განუსაზღვრელობით და მანევრებელთა სუსტი პროგნოზირებით. ბაზრის დასაპერობად ასეთ ემიტენტებს ესაჭიროებათ სათანადო გამჭვირვალობა, ფასიანი ქაღალდების საკურსო ღირებულების არსობრივი რყევები. ამიტომ ფასიანი ქაღალდების – საქონლის მოსამზადებლად, მიზანშეწონილია სპეციალისტების – საინვესტიციო კონსულტანტების მოზიდვა, რომლებიც, როგორც წესი, სხვადასხვა ნოვაციებს იყენებენ იმისთვის, რომ ფასიანი ქაღალდები ინვესტორისთვის უფრო მეტად მიმზიდველი გახადონ.

კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ემიტენტებს შორის ლიდერად რჩებიან ბანკები. ეს იმით აიხსნება, რომ საბანკო ბიზნესი კრიზისის პერიოდშიც კი არის ყველაზე მომგებიანი, ხოლო ფასიანი ქაღალდების გამოცემის და მიმოქცევაში გაშვების პირობებში, მკაცრად რეგლამენტირებულნი ცენტრალური ბანკის მიერ, რაც კომერციულ ბანკებს აძლევს შესაძლებლობას, დაიკავონ მეორე ადგილი საიმედოობის თვალსაზრისით ეროვნული (ცენტრალური) ბანკის შემდეგ.

კერძო საწარმოებს, როგორც ემიტენტებს, შეუძლიათ გამოსცენ მხოლოდ სავალ ფასიანი ქაღალდები (ძირითადად ობლიგაციები და ვექსილები). ამასთან, ობლიგაციის გასაცემად კერძო საწარმოები უნდა გაერთიანდნენ.

საფონდო ბაზარზე ინვესტორის მნიშვნელობა ძნელი შესაფასებელია. ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის ბაზარი არსებობს და ვითარდება, თუ მას საფუძველში უდევს ინვესტორის ინტერესი, შეიძინოს გარკვეული სახის ფასიანი ქაღალდი. ამიტომაც ინვესტორის ინტერესების განსაზღვრა და მისთვის ზუსტად იმ ფასიანი ქაღალდების შეთავაზება, რომელიც შეესაბამება მის მოთხოვნებს – არის წარმატების გასაღები. გარდა ამისა, განიხილავენ კეთილსინდისიერი შემქმნის ცნებას. ეს არის პირი, რომელმაც შეიძინა ფასიანი ქაღალდები, განახორციელა მათი გადახდა და შექმნის მომენტში არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა ამ ფასიანი ქაღალდებზე მესამე პირთა უფლების შესახებ, თუ სხვა რამ არ იქნა დამტკიცებული.

ინვესტორების კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ყველაზე მნიშვნელოვანია მათი სტატუსის დადგენა, ამ შემთხვევაში ინვესტორები შეიძლება დაყოთ: ფიზიკური პირები, კორპორაციული და კოლექტიური ინვესტორები და სახელმწიფო.



სქემა 2
ინვესტორთა კლასიფიკაცია

თუ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ძირითად ემიტენტად წარმოდგენილია სახელმწიფო, მაშინ საფონდო ბაზრის მდგომარეობის განმსაზღვრელ ძირითად ინვესტორს წარმოადგენს ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს თავისი დანახოვებით ფასიანი ქაღალდების შესაძენად დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით და გამოდის კაპიტალის მიწოდებლად ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

ინვესტორთა ძირითადი წრე, რომელთაც თავისი საშუალებები ჩადეს აქციებში, არიან პრივატიზებული საწარმოების მუშაკები. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე პროფესიული საქმიანობის განხორციელებისთვის ლიცენზიის არმქონე იურიდიული პირები შუამავალთა სახით შეადგენენ ინსტიტუციური ინვესტორების ჯგუფს, რომლებიც იძენენ ფასიან ქაღალდებს თავისი სახელით და თავიანთ ხარჯზე. ასევე ორგანო კორპორაციული ინვესტორების პოზიცია, რომელთაც განეკუთვნება ფულადი თანხის განმკარგავი, მაგრამ საკუთარი ინვესტიციების განხორციელების საშუალების არმქონე საწარმოები და ორგანიზაციები. ერთი მხრივ, საწარმო აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ემისიას ფინანსური რესურსების მიზიდვის მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, ეძებს თავისი დროებითი თავისუფალი ფულადი სახსრების მოშვებებთან განთავსების ადგილს, საშუალებას. ამ საწარმოთა საქმიანობის მიმართულებების შეფარდება დამოკიდებულია მაკრო- და მიკროეკონომიკური ფაქტორების ერთობლიობაზე. წარმოების ვარდნა და საკუთარი წარმოების ფინანსირების წყაროს შემცირება ხელს უწყობს ინვესტირებას სახელმწიფოს ფასიან ქაღალდებში.

ინვესტორთა კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს ინვესტირების მიზნის მიხედვით. ამ შემთხვევაში ისინი იყოფა სტრატეგიულ, პორტფელურ და სპეკულანტ ინვესტორებად. **სტრატეგიული ინვესტორი** ვარაუდობს, მიიღოს საკუთრება სააქციო საზოგადოებაზე კონტროლის დაწესების გზით და ამ საკუთრების გამოყენებით ვარაუდობს მიიღოს შემოსავალი, რომელიც ბევრად აღემატება მინორიტული (მცირე პაკეტის მქონე) აქციონერის შემოსავალს. გარდა ამისა, სტრატეგიულმა ინვესტორმა შეიძლება ამოცანად დაისახოს გავლენის სფეროს გაფართოება, კონტროლის დაუფლება საკუთრების გადანაწილებაში, მათ შორის, შერწყმის და ხისტი შთანთქმის საშუალებით. **პორტფელური ინვესტორი** ითვალისწინებს მხოლოდ მისი კუთვნილი ფასიანი ქაღალდების შემოსავალს, ამიტომაც კითხვები: რა უნდა იყიდოს, როგორ იყიდოს, სად იყიდოს და როდის იყიდოს – მისთვის ყოველთვის აქტუალურია. ამიტომაც, ინვესტორთა შემდგომი კლასიფიკაციის საფუძველი შეიძლება იყოს ინვესტირების მიზანი და რისკთან მიმართება. აქედან გამომდინარე, მიხნეულია ინვესტორების დაყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- კონსერვატორი ან მოკრძალებული ინვესტორი, რომელისთვისაც მიუღებელია მაღალ რისკი და მისი მიზანია უზრუნველყოს ინვესტიციების უსაფრთხოება შემოსავლიანობის მინიმუმის შემთხვევაში.
- ზომიერად აგრესიული “საშუალო” ინვესტორი, რომელიც აგრესიულობის და მოკრძალებულობის გასაყარზე დგას, რომელიც ისწრაფვის უსაფრთხო ინვესტირებისკენ, ითვალისწინებს მის შემოსავლიანობას;
- აგრესიული ინვესტორის მიზანია მაღალი შემოსავლიანობა და საკურსო ღირებულების ზრდა, ფასიანი ქაღალდების ლიკვიდობა (პირველ რიგში აქციების);
- გაწაფული ინვესტორი, რომელიც მთელს სტრატეგიას აგებს იმგვარად, რომ მიიღოს მაქსიმალური შემოსავალი;
- არარაციონალური ინვესტორი, რომელიც დებს თანხას ფასიან ქაღალდებში, მკაფიოდ ფორმულირებული მიზნების გარეშე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეები ქმნიან საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურას. მათი საქმიანობა ექვემდებარება ლიცენზირებას ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მხრიდან.

ფინანსურ ანგარიშზე **აუდიტორის** დასკვნას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან იგი უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშების სისრულის დამოუკიდებელ გარანტიას. საქართველოს კანონის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ მოთხოვნით, კომპანიის ფინანსურ ანგარიშს თან უნდა დაერთოს აუდიტორის ექსპერტული დასკვნა, რითაც ის დაამოწმებს, რომ კომპანიის ფინანსური დოკუმენტაციის შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელაშვილი მ. საინვესტიციო პოლიტიკა. თბ., 2012.
2. ბახტაძე ლ. ფინანსური ბაზარი. თბ., 2007.
3. ლორთქიფანიძე მ. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა. თბ., 2005.
4. Squire I. Tak H. G. Economic Analysis of Project. World Bank, Baltimor, London, 2001.
5. World Bank. Doing Business 2010. Washington (DC): World Bank.

Madona Gelashvili

SECURITIES MARKET STRUCTURE AND DEVELOPMENT TRENDS

Annotation

The difficulties existed in national economics, strengthening its modernization and social orientation of course require great capital investments; and financial crisis and non-stability, growth of insolvency, decrease of real incomes make financial support of investments very difficult. By now the new investment policy's main requirement is maximum analysis of the investment risks and connection of all participants' interests of investment process to the market interests, which has to be fulfilled by required of customer.


According to which sphere are the investments directed and as a result of their realization, they are divided into real and financial investments. The article is exactly about the financial investment significance.

მაია გელაშვილი

საქართველოს ბანკების თანამედროვე საკრედიტო სისტემა

საქართველოს ეროვნული ბანკის საფინანსო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, ვინაიდან იგი ასრულებს ყველაზე ეფექტიანი შუამავლის როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. შესაბამისად, არ მეგულება ოჯახი, საბანკო პროდუქტით რომ არ სარგებლობდეს – განვადება, საკრედიტო ბარათი, სამომხმარებლო თუ იპოთეკური სესხი, სალომბარდო მომსახურება, რომლის საშუალებით მოსახლეობა ფინანსური პრობლემების მოგვარებას ცდილობს. ერთი შეხედვით ფინანსური ინსტიტუტები იაფ ფულს გეთავაზობს, თუმცა ნახესხები ფულის ნამდვილ ფასს მაშინ ვიკებთ, როცა გადახდის დრო დგება. ბევრი გამოსავალს ახალი სესხის აღებაში ხედავს, რომლითაც ძველ ვალს ფარავს და ეს ციკლი წლების განმავლობაში მეორდება. ახალ სესხს ახალი ხარჯიც ახლავს და ადამიანი მჭიდროდ ეხვევა ვალის ბადეში, საიდანაც თავის დაღწევა სულ უფრო უჭირს.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2014 წლის 1-ლი მარტისთვის ყველა ბანკის გაცემული სამომხმარებლო სესხების ნაშთი (ანუ კლიენტების მიმდინარე დაგალიანებათა ჯამი) 1,818 მლრდ ლარია. ეს მონაცემი ბოლო წლებში გამუდმებით იზრდება. თუ ამ მონაცემს მოსახლეობის რაოდენობაზე (ოფიციალურად 4,48 მლნ ადამიანი) გავყოფთ, გამოვა, რომ საქართველოს თითოეული მცხოვრების წილად 405 ლარი სამომხმარებლო სესხი მოდის. არადა, ცნობილია, რომ მოსახლეობის რეალური რიცხვი გაცილებით ნაკლებია. სხვადასხვა მონაცემით, ქვეყნიდან დაახლოებით 1-1,5 მილიონი ადამიანია გასული, მოსახლეობის ბოლო აღწერა კი 2002 წელს ჩატარდა. ამ 4,48-მილიონიანი მოსახლეობიდან, ოფიციალური მონაცემებით, დასაქმებულია დაახლოებით 1,724 მლნ. შესაბამისად, გამოდის, რომ ყოველ დასაქმებულ ადამიანზე საბანკო სამომხმარებლო სესხების წილად უკვე 1054 ლარი მოდის, მაგრამ ფიზიკური პირები ბანკებში იპოთეკურ სესხებსაც იღებენ. მოვალეთა რეესტრში, სადაც ის ფიზიკური და იურიდიული პირები შეჰყავთ (ე.წ. შავი სია), რომელთა საქმეც აღსრულების ბიუროს გადაეცა, ჩანაწერთა რიცხვმა უკვე 113 ათასს გადააჭარბა. ამას უნდა დაემატოს იპოთეკარებისთვის, მევახშეებისა თუ ლომბარდებისთვის გამორთმეული კერძო ვალებიც, რომელთა სტატისტიკაც არ არსებობს, თუმცა ცნობილია, რომ ქვეყნის ყველა ბანკმა 2013-2014 წლებში ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ქონებით უზრუნველყოფილი 8 მილიარდი ლარის სესხი გასცა, ხოლო უცხოური ვალუტის სახით – 6 მილიარდი ლარის ეკვივალენტი (იხ. დიაგრამა 1).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე აღნიშნულია, რომ საქართველოში კრედიტებზე ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთებია და არგუმენტად KPMG-ის მიერ ჩატარებული კვლევა მოიყვანა. აღნიშნული კვლევის მიხედვით, მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე 10-წლიანი იპოთეკური კრედიტის ნომინალურ განაკვეთად მითითებულია 7.4%, ხოლო ეფექტურ განაკვეთად 8.8%, ეროვნული ბანკის მონაცემებით კი უცხოურ ვალუტაში 5 წელზე მეტი ვადის მქონე იპოთეკური სესხების საშუალო განაკვეთი 11.1%-ია. კვლევაში ასევე მოყვანილია 3 წლამდე ვადის არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო კრედიტები, რომლის განაკვეთად მითითებულია 15.1% ნომინალურად და 18.8% ეფექტური განაკვეთი, ამ ტიპის კრედიტებზე კი ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე 20-22%-იანი განაკვეთი ფიქსირდება. არსებობს მსოფლიო ბანკის მონაცემებიც რეალური საპროცენტო განაკვეთის შესახებ, რომელშიც საქართველო ძირითადი კრედიტების ქვეყნების ოცეულშია. ბუნებრივია, თითოეული მოქალაქის სურვილია, რომ ქვეყანამ ნებისმიერი მიმართულებით წარმატებას მიაღწიოს, თუმცა რეალობისადმი თვალის გასწორება უმჯობესია, არარეალურია რომ საქართველოში სულაც არ არის მაღალი განაკვეთები საბანკო სექტორში შეხვდებით ისეთ პროდუქტებს, რომელთა განაკვეთები (ეფექტური) 80%-საც აღწევს, გრძელვადიანი იპოთეკური კრედიტი საშუალოდ 11-12%-ია, როდესაც ევროპის ცენტრალური ბანკის მონაცემებით აღნიშნული ტიპის კრედიტები ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებში 3-4%-ს არ სცდება, აღმოსავლეთ ევროპაში, შედარებით დაბალგანვითარებულ ქვეყნებში კი 8-9%-ს არ სცილდება. რეალობა კი ერთია, ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც ეროვნული ბანკის საიტზეც დევს აჩვენებს, რომ საქართველოში საშუალო შეწონილი განაკვეთი 16%-ის ფარგლებშია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსახლეობის ვალებში გახვევას საბანკო და მთლიანად საფინანსო სექტორიც უწყობს ხელს. მათ დიდადი თანხა აქვთ, რომელიც უნდა დააბანდონ, რათა არ გაკოტრდნენ, თუმცა ამ დაბანდებას არ ახლავს საფრთხის სათანადო გაანალიზება. ევროპული სტანდარტებით, არ შეიძლება პირს, საბანკო ვალდებულების სახით, ყოველთვიურად შემოსავლის 30-35%-ზე მეტის გადახდა დაეკისროს. უნდა აღვნიშნოთ მსესხებლის გაუთვითცნობიერებლობაც, ან შეგნებულად თვალის დასუჭვა იმ პრობლემებზე, რომლებიც ვალის გადაუხდელობას მოსდევს. მატერიალური სიკეთის მოპოვების სურვილი უფრო დიდია, ვიდრე სესხის დაუბრუნებლობის შიში, არცთუ იშვიათად კი გამოუვალი მდგომარეობა არჩევანს არ ტოვებს. ვალის ფასს მაშინ იგებ, როცა მის დაფარვას იწყებ. განვითარებულ ქვეყნებში, ფაქტობრივად, არ არსებობს მოქალაქე ბანკის სესხის გარეშე. მაგალითად, აშშ-ში 25 წელს მიღწეულ ახალგაზრდებს, ვისაც სტაბილური შემოსავალი აქვს, ბანკები ბინის შესაძენად გრძელვადიან, 2,7-3%-იან სესხს სთავაზობენ. ისინი 25-30 წლის განმავლობაში ხელფასიდან მცირე თანხას იხდიან და ეს მიმე ტვირთად არ აწევათ. საქმე ის არის, რომ იქ მოსახლეობას მაღალი და სტაბილური შემოსავალი აქვს და საპროცენტო განაკვეთები დაბალია. საქართველოში კი პირიქით მიმდინარეობს ეს პროცესი. ბანკები ასეთ სესხებს არ იძლევიან და თუ გაიცა სესხი მასზე საპროცენტო განაკვეთები იმდენად მაღალია, რომ 10-15 წელიწადში პროცენტის სახით გადახდილი თანხა თითქმის სესხად აღებულ თანხას უტოლდება. შესაბამისად, ჩვენი საკრედიტო საქმიანობა ხელს კი არ უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას, არამედ პირიქით, აღარბეჭდს მას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საფინანსო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ სოციალური პასუხისმგებლობა და უნდა აფასებდნენ არა მხოლოდ საკუთარ, არამედ მსესხებლების რისკებსაც. ეს განვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებული ფორმაა. ამაზე მუშაობს ბაზელის კომიტეტი, რომელსაც შექმნილი აქვს უამრავი მარეგულირებელი დოკუმენტი, როგორ შეფასდეს მსესხებლის გადახდისუნარიანობა. კერძოდ, ევროკავშირის ერთ-ერთი რეგულაციით, აკრძალულია ბანკის მიერ გირაოს სახით პირის ერთადერთი საცხოვრისის ჩადება, რითაც თავად მსესხებლის უფლებებია დაცული, საქართველოში კი ეს უფლება უგულვებელყოფილია. მეტიც, სამოქალაქო კოდექსში არის ჩანაწერი, რომლის თანახმად, თუ პირმა რაიმე მიზეზით გადახდის უნარი დაკარგა, მაგალითად, უშუალოდ დარჩა ან ავად გახდა, ბანკს უფლება აქვს, დაუყოვნებლივ მოითხოვოს მისგან ვალის სრულად დაფარვა. ხშირად ბანკი ასეც იქცევა, გარემოებებს არ ითვალისწინებს, მსესხებლისგან ვალის დაფარვას კი დაუყოვნებლივ ითხოვს და თუ ეს ვერ ხერხდება, ვალში ჩადებულ უძრავ ქონებას უყიდის. კომერციული ბანკები ამ მუხლს საკმაოდ ხშირად იყენებენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიმართ. ევროპაში კი ცდილობენ, მსესხებელს დაეხმარონ მიმე ფინანსური ვითარებიდან გამოსავლის მოძებნაში. დამატებით სესხსაც კი გაცემენ, ანუ ხდება ვალის რეფინანსირება. მსგავსი საკითხების შემუშავება საქართველოს საბანკო საქმიანობის ნორმალური რეგულირებისათვის და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში უნდა მოხდეს მკაცრად განსაზღვრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით. სწორედ აღნიშნული ნაკლოვანება მიგვანჩნია იმის მიზეზად, რომ საქართველოში არ არსებობს თანმიმდევრული მიდგომა საბანკო საქმიანობაში სისტემური რეფორმის გატარებისადმი და, ფაქტობრივად, ეს პროცესი შემოფარგლულია მხოლოდ უცხოეთის გამოცდილების გადმოტანით, რაც დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს. საქართველოს საბანკო სისტემის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საკრედიტო რესურსების ეროვნული ეკონომიკის მასშტაბებთან და მოთხოვნილებებთან შეუსაბამობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მაშინ, როცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ძალაში შევა, საქართველო ვალდებული იქნება, 300-ზე მეტი კანონი ევროკავშირის კანონმდებლობას შეუსაბამოს. იმედი მაქვს, ამ მოთხოვნებს ეროვნული ბანკიც გაითვალისწინებს და კომერციული ბანკების მარეგულირებელი მექანიზმებიც ევროპულს შესაბამისი გახდება. შესაბამისად, იმედი მაქვს, საქართველოს ბანკებში სახელმძღვანელო და მარეგულირებელი ორგანოები ობიექტურად გაანალიზებენ თავიანთ საქმიანობას და დასახვეწი სამომავლო სამოქმედო ოპტიმალურ და ეფექტიან გეგმებს, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის კეთილდღეობისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. თბ., 2006.
2. იაშვილი რ. საქართველოს საბანკო სისტემა (თეორია და პრაქტიკა). თბ., 2001.

3. კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები და მათი გადაწყვეტის სრულყოფის გზები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. // ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2002.

4. ცაავა გ. საბანკო საქმე. თბ., 2006.

5. ცხაღია ლ. საბანკო სისტემის განვითარების, სრულყოფის პრიორიტეტები. // ბიზნეს-ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, თბ., 2010.

6. Муравьева А.В. Банковские инновации: мировой опыт и посийская практика. // Диссертационная работа. Москва, 2012.

7. საქართველოს ეროვნული ბანკი. www.nbg.gov.ge, 10.02.2014.

Maia Gelashvili

THE MODERN CREDIT SYSTEM OF BANKS IN GEORGIA

Annotation

The financial sector of the National Bank of Georgia has a great importance for the economics of our country, since it serves the most effective mediatory role between the creditor and the debtor. Based on the data from the World Bank, Georgia is among the top twenty countries that have the most expensive credit system. Accordingly, the credit activities do not contribute the growth of the public welfare but contrary, it makes them poor. It would be better the financial institutions to have the social responsibility and manage to assess not only their own risks, but the risks of the debtor as well, which will be directed toward the prospects of the population.

Levan Efreidze

Darrol J. Stanley

Michael D. Kinsman

FRONTIER MARKET TIMING: THE GEORGIAN STOCK EXCHANGE INDEX (GSX) AND ENTROPY ANALYTICS

I. Introduction

We examine the Georgian Stock Exchange Index (GSX) behavior and the feasibility of market timing utilizing entropy analytics. The GSE is a relatively new equity market, and it can be informally considered part of the frontier markets. The GSX index data began in August, 2006, and therefore we have almost eight years of daily data available for analysis. This period includes the 2008 Global Financial Crisis. The frontier markets in general include capital markets that are less developed and less liquidity than emerging markets, but have varying elements found in more organized and transparent securities markets. The Frontier Market Indices, as represented by the MSCI Frontier Index and its subsets, includes approximately thirty countries. The index and many of its subsets have become so popular with international investors that ETFs have been created that follow certain of these indices, allowing international investors to include the frontier markets in their investment portfolios. Recent studies show that frontier markets include some countries with high growth rates, with low correlations within the frontier market group, and also low correlation with emerging and major financial markets (Blackrock 2014). The possible high returns and low correlations of frontier markets make them attractive for portfolio diversification and return-risk enhancement. The application of entropy analytics to Georgian Stock Exchange Index (the GSX) is our continued effort to test the robustness of the entropic tools in financial applications, which we started several years ago and already applied to several markets (the US, Dubai, and South African markets).

Market timing has been an important global topic for market traders, investors and investment management. Today, due to the emergence of countless international vehicles, it can concern a variety of issues such as (1) entering or exiting any global market; (2) global sector rotation; (3) global style emphasis; (4) global economic factor emphasis; and (5) many other specific global investment strategies.

The Dow Jones Industrial Average (DJIA) is probably the best known and most widely quoted indicator of stock market performance in the global investment scene predominately due to the fact that it was the first actively utilized index in the U.S. The second index was the Dow Jones Transportation Index, initially the Railroad Index. Charles H. Dow used these two indices to postulate the Dow Theory in articles and editorials in The Wall Street Journal around the turn of the last century. It is the foundation of modern day market technical analytics.

The Dow Theory itself is predominately a market timing system based on investors' behavior patterns. While the Dow Theory did not initially address volatility, Robert Rhea in his famous book on The Dow Theory noted the concept of "excessive activity" at key points in advancing or declining markets. This is clearly an indirect interface with volume, volatility, and, in declining markets, fear. The VIX (stock market volatility index based on S&P 500 Index) is considered as a fear indicator of the US markets.

Capital Market Theory moved the orientation from one focusing on predicting market moves to one more focused on risk and return with a clear "buy and hold" orientation. This was due, in part, to the key assumption that markets were in equilibrium reinforced by the Efficient Market Hypothesis (EMH). The Dow Theory and other such technical theories believe that the markets are very often in dis-equilibrium. Thus, technical analysis postulates a more active trading strategy over the buy-and-hold orientation of the EMH.

Often market timing is associated only with technical analysis, but this is not correct. Market timing is associated with both fundamental and technical analysis. There are a number of market timing models that are unrelated to typical technical indicators such as price and volume. An example of a fundamental market timing model in the US is the Value Line Dow Jones Model which "prices" the market based on (1) Earnings Changes; (2) Dividend Changes; and (3) AAA Bond Rate Changes. Market timers use this model to judge entry or exit from the market usually with other indicators. One such additional indicator is the Value Line Price Appreciation Model. It is an econometrically formulated estimate of the price appreciation of the Value Line 1700. When the model

approaches 50% potential appreciation, it is considered by many that the market is fully priced and the market is likely to decline. Almost all major global indices have similar fundamental models for timing purposes.

This study focuses on the market timing of the Georgian Stock Exchange Index (GSX). This index is an attempt to measure the overall activity of the Georgian stock market. This study will analyze the index through a relatively new methodology called entropy. Entropy measures a degree of randomness in a system and has proven to be a powerful tool in physics, astronomy, thermodynamics, biology and medicine (Pincus 2008). Entropy has not been actively utilized in the analysis of financial markets.

II. Market Timing and Entropy

There are several categories of tools for market timing. Within the technical analysis realm, for the market timing of indices, there are numerous programs which analyze price and volume in multiple ways. It is not our purpose here to describe these various methods or to test them. There are too many, and they take many different forms. Even Eugene Fama has stated that there are so many forms of technical analysis, not all of them will ever be tested. He also has noted that technical analysis has some validity, although he seriously doubts that it would be possible to outperform on a risk-adjusted basis after transaction costs to any favorable investment management level.

Technical analysis has enjoyed a rebirth due to the (personal) computer. The rebirth of technical analysis has also resulted in a rebirth of academic research on the topic. One recent study is by Neuhierl and Schlusche (2012). This study focused on a comprehensive set of simple and complex market timing rules.

This paper is concerned with entropy analytics which involve the analysis of an index price series. These are the primary variables of a technician and one may think that entropy analysis is also a simple technical tool. But entropy methodology conceptually seeks to uncover underlying risk level in the series (a type of risk different from volatility), which makes it, in many ways, similar to fundamental analysis.

III. Entropy

The concept of Entropy was first applied to the study of thermodynamics in the late 1850s. In that context it was used to characterize the amount of energy in a system that was no longer available for doing work. Subsequently, the definition has been expanded to a measure of randomness and disorder. In more modern times, entropy has been applied to the study of financial markets (Pincus 2008, Maasoumi 2002, Molgedey 2000). The basic idea is that more volatile securities have a greater entropy state than more stable securities. Two fundamentally different phenomena exist in which the time series securities data deviate from constancy. These two phenomena are that series (1) exhibit larger standard deviations and (2) appear highly irregular.

These two phenomena are not mutually exclusive and as such can be used to characterize the uncertainty associated with the fluctuations in security data. The standard deviation measures the extent of deviation from centrality while entropy provides a useful metric for categorizing the extent of irregularity or complexity of the data set. Evaluating the subtle but complex shifts in data series is a primary prerequisite for exploring the potential information contained therein.

Entropy as utilized in this study is part of a wider discipline called Econophysics. Econophysics is an interdisciplinary research field that applies the problem solving methods of physics to economics. It was a discipline founded by physicists who believed that economic analysis often prioritized simplified approaches for the sake of soluble theoretical models over agreement with empirical data. Econophysicists often cite Irving Fisher, the famed Yale economist, as one of the “founders” having been trained in physics at Yale before turning to economics. They imply his thought processes on economics were a carry-over from physics.

Econophysicists believe that the traditional methods of analysis in economics are insufficient. In their opinion, standard economics methods dealt with homogeneous agents and equilibrium while many of the more interesting phenomena in financial markets fundamentally depended on heterogeneous agents and far-from-the-equilibrium situations.

One driving force for this new discipline was the sudden availability of large amounts of financial data and the computing power to analyze it. Thus, an increasing number of researchers began to employ models adapted from physics to this large amount of available financial data. Pincus (2008) found that Approximate Entropy (ApEn) is both robust to outliers and can be applied to time series with 50 observations or more with good reproduction. A second measure of system complexity that is often used in this regard is called Sample Entropy (SaEn). In this paper we use Sample Entropy as it has shown better results than Approximate Entropy in previous studies (Efremidze et al. 2013). The literature is replete with detailed discussions of these alternative measures of entropy (Sharma 2010, Thuraisingham 2005, Richman 2000).

The basic SaEn entropy model consist of three inputs. These three are as follows:

1. Time Series (TS)
2. Matching Template Length (M)
3. Matching Tolerance Level (R)

Capital Market Theory is built upon the key assumption of equilibrium. There is no need to signal change the composition of a portfolio. This is in essence the “buy and hold” orientation of a rational economic mean-variance analysis. The Life Cycle (investment portfolio purpose) does imply a change, but a gradual one as one moves the utility curve down the Capital Market Line (CML) or the Security Market Line (SML).

Thus, Capital Market Theory does not incorporate well the concept of either dis-equilibrium or chaos. Dis-equilibrium occurs when stocks by investment styles (value stocks vs. growth stocks) for example do not plot on the CML or SML. Thus, there are periods when dis-equilibrium exists between expected returns and required returns of such styles.

Entropy analytics may provide the additional information embedded in the asset market prices, which may signal shifts from normal market behavior to dis-equilibrium or Chaos type market behavior. High levels of entropy mean that there is high level of randomness and irregularity in the recent data.

IV. The Entropy Metric Employed in this Study

By employing the parameters listed in Table 1, we were able to calculate SaEn values.

Table 1

Entropy model inputs		
Time Series (TS)	Matching Template Length (M)	Matching Tolerance Level (R)
Running 100 days of daily series based on a sample from June 29, 2007 to May 8, 2014	2	20% of the standard deviation of the times series (TS)

Using the entropy model inputs from Table 1, we produced a new times series of SaEn. Figure 1 illustrates 40 day index series and SaEn series. The timing of turning points for these two series is difficult to detect with the visual inspection. We turned to regressions analysis to investigate the empirical relationship.

V. Empirical Results

Sample and Methodology

We investigated empirical regularities and then trading strategy results using above mentioned three entropy series with simple time-series regressions. Sample period used in regressions is January 1, 2003 to June 30, 2013. We included the Index returns (for various holding period lengths) as a dependent variable and the lagged series of the three entropy indicators as independent variables one at a time. The following is specification of regression models:

$$R_t = a + b * Et-1 + \epsilon_t \tag{1}$$

Here, R_t is the return of the Index at time t , a is the intercept, b is the slope, $Et-1$ is the signal at time $t-1$, and ϵ_t is a normally distributed error term. The regression results, based on employing SaEn series as an independent variable, appear in Table 2 for various holding periods. Holding period returns at time t for n number of days is cumulative return from t to $t+n$.

Results

Table 2 shows strong statistical significance for intercepts and slope coefficients. Interceptes are consistently positive too. Theoretically we should expect negative slope coefficients between the daily returns and level of entropy, as it is shown in the previous studies between returns and the VIX (Copeland and Copeland, 1999) and between returns and entropy (Efremidze et al., 2013). Table 2 shows highly negative relationship supporting the hypothesis that falling entropy levels lead to rising returns. Next challenge is to find correct implementation of the investment strategy that exploits this relationship. We back-test such potential trading strategies that take advantage of this link.

Table 2

The Index return regressions against SaEn(t-1)				
Holding period	Intercept	t-stat	Slope	t-stat
1	0.001	0.69	-0.002	-0.89
2	0.002	1.14	-0.004	-1.47
5	0.003	1.52	-0.008	-2.14 **
10	0.006	2.06 **	-0.015	-2.96 ***
20	0.010	2.81 ***	-0.028	-4.11 ***
30	0.015	3.43 ***	-0.042	-5.04 ***
40	0.020	3.88 ***	-0.056	-5.77 ***
50	0.023	3.84 ***	-0.063	-5.72 ***
60	0.028	4.12 ***	-0.074	-5.90 ***
90	0.060	6.46 ***	-0.135	-7.92 ***

Note: * is significance with 0.10, ** is significance with 0.05, *** is significance at 0.01.




Figure 1. GSE Index 40 day holding period returns and Sample Entropy

VI. Implementation of Market Timing

We test several strategies by utilizing different thresholds for entropic signal extraction. Table 3 presents results of several market timing strategies using SaEn signals. In the Table 3, if SaEn(t-60) is lower than a given threshold with negative multiple of standard deviation, the investment is made in the Index for the length of specified number of days. If SaEn(t-60) is higher than the threshold based on the positive multiple of standard deviation, the strategy is to short the Index.

After testing time-series properties of entropy series against the Index returns, we settled on using 140 days based mean plus a multiple of standard deviations based thresholds, using the signal which is lagged by 60 days. This means that there is a substantial time lag between the entropy signal and changes in market performance. The signal is therefore a strong leading indicator.

Table 3

Trading Strategy Results: Using SaEn Thresholds

Holding Period (days)	Multiple of Std. Deviation in Threshold	Cumulative Return	Number of Days	Number of Round-Trip Transactions	Daily Average Return (basis points)	Average Transaction Return
1	1.50	-9.84%	369	25	-2.67	-0.39%
1	2.00	-23.52%	205	20	-11.47	-1.18%
1	2.50	-8.19%	75	13	-10.92	-0.63%
1	-1.50	47.63%	300	21	15.88	2.27%
1	-2.00	41.44%	154	11	26.91	3.77%
1	-2.50	14.62%	38	6	38.47	2.44%
2	1.50	-14.24%	394	21	-3.62	-0.68%
2	2.00	-23.62%	225	20	-10.50	-1.18%
2	2.50	-22.97%	88	11	-26.10	-2.09%
2	-1.50	44.86%	320	20	14.02	2.24%
2	-2.00	38.25%	165	10	23.18	3.83%
2	-2.50	15.49%	44	4	35.22	3.87%
3	1.50	-11.31%	415	19	-2.73	-0.60%
3	2.00	-20.55%	245	17	-8.39	-1.21%
3	2.50	-22.83%	99	11	-23.06	-2.08%
3	-1.50	32.32%	339	16	9.53	2.02%
3	-2.00	28.86%	175	10	16.49	2.89%
3	-2.50	14.69%	48	4	30.61	3.67%
10	1.50	-8.86%	525	13	-1.69	-0.68%
10	2.00	-12.54%	332	10	-3.78	-1.25%
10	2.50	-25.18%	165	9	-15.26	-2.80%
10	-1.50	8.16%	427	13	1.91	0.63%
10	-2.00	45.01%	229	8	19.66	5.63%
10	-2.50	40.65%	76	4	53.49	10.16%
30	1.50	-10.83%	780	12	-1.39	-0.90%
30	2.00	-19.91%	532	9	-3.74	-2.21%
30	2.50	-18.68%	330	8	-5.66	-2.33%
30	-1.50	-54.14%	620	10	-8.73	-5.41%
30	-2.00	-4.42%	362	7	-1.22	-0.63%
30	-2.50	-9.13%	144	4	-6.34	-2.28%
40	1.50	-9.77%	882	9	-1.11	-1.09%
40	2.00	1.43%	622	9	0.23	0.16%
40	2.50	-21.03%	410	8	-5.13	-2.63%

40	-1.50	-1.82%	710	10	-0.26	-0.18%
40	-2.00	43.61%	422	7	10.33	6.23%
40	-2.50	25.41%	172	4	14.78	6.35%

For evaluation performance evaluation, we computed cumulative returns, number of days a strategy is invested, the number of round-trip transactions, daily average returns and average transaction returns for the sample period of June 29, 2007 to May 8, 2014. First columns in these three tables show holding period length in number of days. We think that average transaction return is a crucial differentiator of strategy's profitability in real world investing (average transaction return equals cumulative return divided on number of round-trip transactions). In real world trading, there are substantial amount of transaction costs which include trading fees and commissions, bid-ask spread, order execution delays, and margin and shorting costs. It is not easy to estimate all these in advance, but we make an assumption that these costs could add up to at least 0.5 percent for an average round-trip transaction. The actual costs could be higher, so we multiply this number on 2, which gives us 1%. Thus, it is desirable that average transaction cost for a successful trading strategy exceeds 1%.

In Table 3, we see the results of SaEn based strategy for our sample period. This strategy was used in previous literature on the iShares large capitalization ETF style-rotation of the US market (Efremidze, DeLillio, and Stanley 2012). Overall, SaEn signals produce 13 portfolios with greater than 1% positive average transaction return (Table 3). All other positive return portfolios carry higher risk of not delivering positive realized returns after accounting for transactions costs.

Implementation of the profitable strategies can proceed in a following manner. When the capital is not invested in these strategies, cash can be invested in a risk-free security or other high quality short-term fixed income securities. Moreover, our results need to be taken with care, as these strategies may be sample specific and thus require more back-testing on other time periods.

Table 4

Performance measures of best strategy

Description	Mean Annual Return	SD	Sharpe Ratio	CV	Max DD	HPY	Number of Days	# of Round Trip Trans.	Per Trans. Return	After Transactions Performance			
										Net HPY	Net Annual HPY	Net Sharpe Ratio	Net CV
Sample Period (Jun 29,2007-May 8,2014)													
Benchmark (buy and hold)													
GSE Index	-7.05%	34.42%	-0.28	-4.88	80.19%	-51.53%							
SaEn - Best Strategy													
d40n2	5.34%	14.79%	0.09	2.77	24.73%	43.61%	422	7	6.23%	40.11%	4.97%	0.07	2.98
Note: d40n2 means strategy with 40 day holding period, with signal based on mean minus 2 times stdev of entropy indicator. Average round-trip-transaction cost is assumed to be 50 basis points (0.5%).													

Table 4 presents standard performance measurements for selected best strategy among all SaEn signal based strategies and compares it to the buy and hold strategy of the Index. The selected strategy underperforms buy and hold strategy of the Index by Sharpe ratio and CV metrics. Downside risks are better for the SaEn signal based strategy as well, Figure 3 shows drastically smaller decline in the portfolio than in the Index. These results are preliminary and should be extensively tested on other time samples and other markets. More research is needed to support or reject entropy based market timing strategies in various markets.




Figure 2. Cummulative Returns of Entropy Strategy and the Index Buy and Hold

VII. Conclusion

The Georgian Stock Exchange is a new stock market that may soon become a part of Frontier Markets. During last several years we have been testing new tool called entropy to time markets in US and several Emerging Markets. Now we tested market timing with entropy on the Georgian Stock Exchange Index. We chose Sample Entropy methodology for this testing due to its recent-

ly documented characteristics on the sample from Jun 29, 2007 to May 8, 2014. We utilized Sample Entropy (SaEn) as a non-linear indicator of uncertainty, in other words a degree of randomness. The entropy based signal produced several potentially profitable portfolios, which can be used to enhance existing portfolio strategies. These results are robust enough to accommodate a reasonable amount of assumed transactions costs. Furthermore, the robustness of our entropy based strategies should be tested on other time periods and different markets before it is actively applied.

References

1. Arak, M., and Mijid, N., (2006). The VIX and VXN volatility measures: Fear gauges or forecasts? *Derivatives Use, Trading & Regulation*, 12(1/2), 14-27.
2. Arshanapalli, B., Switzer, L., and Hung, L. (2004). *Active versus passive strategies for EAFE and the S&P 500 Indices*. *Journal of Portfolio Management*, 28, 17-29.
3. Becker, R., Clements, A., and White, S. (2006). On the international efficiency of S&P 500 implied volatility. *North American Journal of Economics and Finance*, 17, 139-153.
4. Below, S., Kiely, J., and Pratt, R. (2009). Style index rebalancing for better diversification: Lessons from broad market and equity style indexes, *Financial Services Review*, 18, 231-248.
5. BlackRock (2014). Crossing the frontier: Accessing new sources of growth and diversification with frontier markets. BlackRock Research.
6. Boscaljon, B., Filbeck, G., and Zhao, X. (2011). Market timing using the VIX for style rotation. *Financial Services Review*, 20 (1), 35-44.
7. Copeland, M., and Copeland, T. (1999). Market timing: Style and size rotation using the VIX. *Financial Analysts' Journal*, 55, 73-81.
8. Efremidze, L., DeLillio, J., and Stanley, D. (2012) ETF style rotation and VIX entropy. Working Paper, Pepperdine University.
9. Goldwhite, P. (2009) Diversification and risks management: What volatility tells us. *The Journal of Investing*, 18 (3), 40-48.
10. Holmes, K., and Faff, R. (2007). Style drift, fund flow and fund performance: New cross-sectional evidence. *Financial Services Review*, 16, 55-71.
11. Low, C. (2004). The fear and exuberance from implied volatility of S&P 100 index options. *The Journal of Business*, 77(3), 527-540.
12. Maasoumi, E., and Racine, J. (2009). Entropy and the predictability of stock market returns. *Journal of Econometrics*, 107, 291-312.
13. Merton, R. (1980). On estimating the expected return on the market: an exploratory investigation. *Journal of Financial Economics*, 9(4), 323-361.
14. Molgedey, L., and Ebeling, W. (2000). Local order, entropy and predictability of financial time series. *The European Physical Journal*, 15, 733-733.
15. Pincus, S. (2008). Approximate entropy as an irregular measure for financial data. *Economic Reviews*, 27, 329-362.
16. Puttinon, V., and Seppa, T. (2007). Do style benchmarks differ? *Journal of Asset Management*, 7, 425-428.
17. Richman, J., and Moorman, J. (2000). Physiological time-series analysis using approximate entropy and sample entropy. *American Journal of Physiology: Heart and Circulatory Physiology*, 47, H2039-H2049.
18. Thuraisingham, R., and Gottwal, G. (2006), On multi-scaling for physiological data. *Physica A: Statistical Mechanics and its Applications*, 366(1), 323-332.

*Levan Efremidze
Darrol J. Stanley
Michael D. Kinsman*

FRONTIER MARKET TIMING: THE GEORGIAN STOCK EXCHANGE INDEX (GSX) AND ENTROPY ANALYTICS Annotation

We examine the Georgian Stock Exchange Index (GSX) behavior and the feasibility of market timing utilizing entropy analytics. The GSX represents a relatively new equity market, which can be informally considered part of the frontier markets. We calculated Sample Entropy of the Index and conducted empirical analysis of the GSX returns. We tested several market timing rules based on these entropy signals for the sample period from June 29, 2007 to May 8, 2014. The entropy based signals produce several potentially profitable strategies which outperform the Index buy-and-hold strategy. These results are robust to adjustment for reasonable transactions costs.

**თენგიზ ეფრემიძე
დაროლ ჯ. სტანლი
მიხაელ დ. კინსმანი**
**რეპუბლიკის კონსტიტუციური სადაზღვევო მოდელის ევროპული გამოცდილება და
საძარტველოს რეზორმები**

2013 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის სისტემა. იგი არსებითად ცვლის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაფინანსების ორგანიზებას და მართვას. კერძოდ, სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სარგებლების მრავალი გადასხდელი სისტემით, ანუ კერძო სადაზღვევო კომპანიების მეშვეობით დაფინანსების ნაცვლად, შეიქმნება ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ანუ ერთი გადამხდელი დაფინანსების სისტემა, სადაც თავს მოიყრის სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი ბიუჯეტი, რომლის ადმინისტრირებას, მიმწოდებლის შერჩევასა და დაფინანსებას თავად ფონდი უზრუნველყოფს.

ზოგადად, ჯანდაცვის სისტემის მთავარი გამოწვევა სამედიცინო ხარჯების და შემთხვევების ეფექტური მართვაა. მთავარი კითხვაა, ვინ უფრო უკეთ გაართმევს თავს ამ ამოცანას: მრავალი გადამხდელის დაფინანსების სისტემა თუ ერთი გადამხდელის სისტემა, სახელმწიფო ერთიანი ფონდის სახით?

ამ მხრივ საინტერესოა ევროპული ქვეყნების გამოცდილება. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში გასული საუკუნის 90-იან წლებიდან დაინერგა ამერიკელი ეკონომისტის ალან ეინთოპენის და მისი ევროპელი მიმდევრების მიერ შემუშავებული “კონკურენტული სადაზღვევო მოდელის” კონცეფცია. “კონკურენტული მოდელის” დანერგვა 1993 წლიდან დაიწყო ნიდერლანდებში. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის კონკურენციაზე დაფუძნებული სისტემა შემდეგ სხვა ქვეყნებშიც განვითარდა – გერმანია, ბელგია, შვეიცარია, ისრაელი, ჩეხეთი, სლოვაკეთი.

“კონკურენტული სადაზღვევო მოდელის” არსი მდგომარეობს იმაში, რომ მზღვეველის სახით მოქმედებს მრავალი სადაზღვევო ორგანიზაცია და დაზღვეულს შეუძლია გააკეთოს არჩევანი მომსახურებელი და არამომსახურებელი სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებულ სერვისებს შორის.

ამ ქვეყნებში, კონკურენციის პრინციპების შემოღებამდე სადაზღვევო ფონდებში დაზღვევა ძირითადად გეოგრაფიული ადგილის მიხედვით ხორციელდებოდა, ანუ ქვეყნის ერთ რეგიონში, ან საერთოდ ქვეყანაში მხოლოდ ერთი სადაზღვევო კომპანია იყო წარმოდგენილი. კონკურენტულ სადაზღვევო მოდელზე გადასვლის შემდეგ დაზღვეულებს სადაზღვევო ფონდების არჩევის უფლება მიეცათ.

გერმანიაში 2002 წლიდან დაზღვეულებს შეუძლიათ შეიცვალონ სადაზღვევო ფონდი, მაგრამ კონკრეტულ სადაზღვევო ფონდში დაზღვევის მინიმალური პერიოდი უნდა შეადგენდეს 18 თვეს [Busse R. 2004]. 1996 წლიდან, ოთხიდან ერთმა დაზღვეულმა შეიცვალა სადაზღვევო ფონდი მინიმუმ ერთჯერ მაინც [Braun, B. 2006].

ფონდებს შორის კონკურენციის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად, გერმანიაში 1994-1995 წლებში ყველა საავადმყოფოს ფონდისათვის შემოღებულ იქნა რისკის გათანაბრების მექანიზმი. მექანიზმი მიზნად ისახავდა საავადმყოფო საღაროების დანახარჯებს შორის განსხვავების აღმოფხვრას, რაც განპირობებული იყო დაზღვეული მოსახლეობის თავისებურებებით (ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურა და ინვალიდობის დონე, აგრეთვე განსხვავებული შემოსავლების დონე). რისკის გათანაბრების მექანიზმი ასახავს ასაკს, სქესს და 80 ძვირადღირებული დაავადების ჩამონათვალს. ამდენად, ახალი სისტემა ცდილობს გაითვალისწინოს დაავადებათა კლინიკური მახასიათებლები და მათი პროგრესირება, აგრეთვე დემოგრაფიული ფაქტორები.

რისკის გათანაბრების მექანიზმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სავალდებულო დაზღვევის სისტემით შემოსული სადაზღვევო შენატანებსა და დანახარჯებს შორის სხვაობის საკომპენსაციოდ სადაზღვევო კომპანიები ახდენენ თანხების გადანაწილებას. რისკების გათანაბრების მექანიზმი მოიცავს საავადმყოფოს საღაროების დანახარჯების დაახლოებით 90%-ს. იგი არ მოიცავს ადმინისტრაციულ ხარჯებს.

თუ კონკრეტული საავადმყოფოს საღარო ჯანდაცვის ფონდისგან მიღებული თანხებით ვერ დაფარავს მის ხარჯებს, მას შეუძლია დაზღვეულს დააკისროს დამატებითი პრემია. პირიქით, ეფექტურად მოქმედი საავადმყოფოს საღაროს შეუძლია დაზღვეულს არ გადაასღვეინოს დამატებითი პრემია.

სოციალური დაზღვევის სისტემაში ფონდების თავისუფალი არჩევის უფლების მინიჭებამ, აგრეთვე რისკის კორექციის სქემამ, ფონდებს შორის დაზღვეულთა მოძრაობის გააქტიურება გამოიწვია. თავიდან, ჯანდაცვის ფონდის შემოღებამდე არჩევანი დაკავშირებული იყო შენატანების ზომასზე: ფონდები, სადაც შენატანები საშუალო ზომასზე მეტი იყო, კარგავდნენ თავიანთ დაზღვეულებს, მაშინ, როდესაც ფონდები სადაც შენატანები საშუალოზე დაბალი იყო, იძენდნენ ახალ დაზღვეულებს. აღნიშნულის შედეგად, 1997-1998 წლებში საავადმყოფოს საღაროებმა ათასობით დაზღვეული დაკარგეს.

მიუხედავად იმისა, რომ რისკის კომპენსაციის სისტემამ შენატანების განაკვეთის შემცირება განაპირობა, ფონდებს შორის დაზღვეულთა მოძრაობამ ვერ გაათანაბრა რისკის სხვადასხვა სტრუქტურა (რომელიც შეამცირებდა ფონდთა შორის დაზღვეულთა გადასვლას). უფრო ჯანმრთელი, ახალგაზრდა და კარგი შემოსავლის მქონე პირები ისეთ ფონდებში გადავიდნენ, სადაც შედარებით დაბალი პრემია იყო დაწესებული, რამაც ზოგიერთ ფონდში მაღალრისკიანი კონტინგენტის გამო სადაზღვევო პრემიის ზომის ზრდა განაპირობა.

სახელმწიფოს მიერ სადაზღვევო შენატანების რეგულირების შედეგად დაზღვეულები ირჩევენ სადაზღვევო საღაროებს არა იმის მიხედვით, თუ რა სადაზღვევო პრემია აქვთ დაწესებული, არამედ იმის მიხედვით, თუ რა დამატებითი პრემია აქვთ დაწესებული, რა სადაზღვევო პაკეტებს, რა ხარისხის სერვისებს სთავაზობენ დაზღვეულებს. ამავე დროს კონკურენციას ზღუდავს ის გარემოება, რომ დამატებითი პრემია არ უნდა აღემატებოდეს ოჯახის შემოსავლის 1 %-ს და ჯანდაცვის ფონდი ფარავს სოციალური დაზღვევის ყველა დანახარჯის არანაკლებ 95 %-ს.

სადაზღვევო ფონდებს შორის კონკურენციას განაპირობებს სადაზღვევო პრემიები, პაკეტები, შემოთავაზებული მკურნალობის ხარისხი, აგრეთვე დამატებითი დაზღვევისათვის გათვალისწინებული პრემიები და სარგებლები. სადაზღვევო კომპანიებს შორის არსებობს ფასისმიერი კონკურენციის პირობები, კერძოდ, ჯანმრთელობის კერძო სადაზღვევო კომპანიების სარგებლის პაკეტები ცვლად პრემიალურ დონეებზეა გათვლილი, რაც კონკურენციის შექმნის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს.

კომპანიებს შორის კონკურენცია კი ხელს უწყობს სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებას და რესურსების ეფექტურად გამოყენებას. ევროპაში კონკურენტული სადაზღვევო მოდელის დანერგვის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა ჯანდაცვის მხარდი ხარჯების შემცირება და სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლება.

კონკურენტული გარემოს ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია „ღია გაწვევრიანების პრინციპი“, რომლის მიხედვით, სადაზღვევო კომპანიას უფლება არ აქვს, უარი უთხრას პოტენციურ დაზღვეულს. რეფორმების შედეგად გერმანიის ყველა ფონდი ღია გახდა ბენეფიციარისათვის. გამონაკლისს წარმოადგენს ფერმერთა, მეზღაროების და მეზღვაურთა ფონდები, რომლებმაც შეინარჩუნეს „დახურული“ სტატუსი.

კონკურენციას ხელს უწყობს სადაზღვევო კომპანიების უფლება, მოახდინონ სამედიცინო პროვაიდერების შერჩევითი კონტრაქტირება. სადაზღვევო კომპანიები თავად წყვეტენ თუ რომელ სადაზღვევო კომპანიას-

თან დადონ ხელშეკრულება და მოლაპარაკების გზით გადაწყვიტონ ხელშეკრულების პირობები. მნიშვნელოვანია აგრეთვე სერვისების ფასებზე თავისუფალი გადაწყვეტის უფლება. ამ მხრივ სახელმწიფო რეგულირება (დადგენილი ფასები, ბიუჯეტირება) ზღუდავს სადაზღვევო კომპანიების სახელშეკრულებო თავისუფლებას.

2009 წელს საქართველოში მიღებულ იქნა "ეკონომიკური თავისუფლების აქტი", რომლის მიხედვით "ბიუჯეტის სახსრები უნდა იქნან გამოყენებული ისე, რომ მოქალაქეებს მისცენ საშუალება, სადაც შესაძლებელია, თავად გააკეთონ არჩევანი, და არ იქნან მიმართული მომსახურების სახელმწიფო მიმწოდებლის პირდაპირი დაფინანსებისათვის. ანუ, დაფინანსდეს არა ინსტიტუტები და ორგანიზაციები, სადაც პაციენტი იძულებული იქნება არჩევანის გარეშე მივიდეს, არამედ დაფინანსდეს ადამიანები, ვისაც ეს დაფინანსება ეკუთვნის და ყველაზე მეტად სჭირდება და მათ დაუტოვონ არჩევანის დაფინანსება. ხოლო ინსტიტუტები დაფინანსდებიან ამ ადამიანების არჩევანის მოგებით."

"ეკონომიკური თავისუფლების აქტი" ძირითადი აქცენტი კეთდება მოსახლეობის არჩევანის უფლებაზე, რადგან საბაზრო ეკონომიკის უმთავრესი პრინციპია არჩევანის თავისუფლება, რომელზედაცაა დამოკიდებული კონკურენცია და შესაბამისად ხარისხი.

ჯანდაცვის სისტემაში კონკურენტული გარემოს შექმნის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს სადაზღვევო ვაუჩერის, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის შემოღება. დაზღვევაში ვაუჩერის, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის, შემოღების იდეა ლიბერალური ეკონომიკის ერთ-ერთ ცნობილ წარმომადგენელს, მილტონ ფრიდმენს ეკუთვნის. იმ სხვა დადებითი მხარეებიდან, რაც ვაუჩერთანაა დაკავშირებული, აღსანიშნავია ვაუჩერის საშუალებით დაზღვეულის მიერ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. სადაზღვევო ვაუჩერი მფლობელ მოქალაქეს (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი სტატუსის მქონე) სადაზღვევო კომპანიის თავისუფალი არჩევანის უფლებას აძლევს. დაზღვეული თავად აფორმებს ხელშეკრულებას არჩეულ სადაზღვევო კომპანიასთან, ვაუჩერთი დებულებს სადაზღვევო პოლისს, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურებით. ამგვარად, ვაუჩერის საშუალებით სახელმწიფო სახსრები მიმართულია არა სამედიცინო მომსახურების მიწოდებლების (საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ექიმები) პირდაპირი დაფინანსებისათვის, სადაც პაციენტი იძულებული იქნება არჩევანის გარეშე მივიდეს, არამედ თავად ადამიანების დასაფინანსებლად, რომლებიც თავად განახორციელებენ მათ მიერ გაკეთებული არჩევანის დაფინანსებას, ხოლო მიმწოდებლები დაფინანსდებიან ამ ადამიანების მიერ გაკეთებული არჩევანის საშუალებით.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმები ეხმიანებოდა მსოფლიოში სადაზღვევო სფეროში არსებულ ყველაზე პროგრესულ მიმართულებას, რისი განხორციელებაც ბევრმა განვითარებულმა ქვეყანამაც კი ვერ გაბედა. მაგრამ "ეკონომიკური თავისუფლების აქტის" გამოცხადებიდან არ გასულა სულ რაღაც 4 თვე და ჯანდაცვის სისტემაში რეფორმის ახალი ეტაპი დაიწყო. მთავრობის 2010 წლის 30 მარტის 85 დადგენილების საფუძველზე რაიონები კონკრეტულ სადაზღვევო კომპანიებს შორის გადანაწილდა, ანუ ერთ რაიონში სახელმწიფო პროგრამით დაზღვეულ მოსახლეობას სადაზღვევო მომსახურებას მხოლოდ ერთი სადაზღვევო კომპანია გაუწევს.

მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილება სრულიად ეწინააღმდეგებოდა "ეკონომიკური თავისუფლების აქტს". როგორც აღვნიშნეთ, გერმანიამ უარყო ასეთი "ლენდური", გეოგრაფიულად ჩაკეტილი რაიონული დაზღვევის სისტემა, როგორც კონკურენტული გარემოს შექმნის ხელშემშლელი. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ჯანდაცვასთან დაკავშირებული პრობლემების ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეულია ის გარემოება, რომ ერთ შტატში მცხოვრებ დაზღვეულს უფლება არ აქვს მეორე შტატში არსებულ კომპანიაში დაეხდეთ. თუმცა, თუ აშშ-ში ერთი შტატის შიგნით მაინც შესაძლებელია სადაზღვევო კომპანიებს შორის არჩევანის გაკეთება, საქართველოში ერთ რაიონში თუ ქალაქში მხოლოდ ერთი სადაზღვევო კომპანიაა წარმოდგენილი, შესაბამისად საერთოდ დაკარგულია დაზღვეულის თავისუფალი არჩევანის უფლება.

2010 წლის მარტის თვიდან გაქრა კომპანიებს შორის კონკურენცია, სადაზღვევო კომპანიები ერთპიროვნულ მონოპოლიებად იქცნენ შესაბამის რაიონში. მარტისა მტკიცება, რომ სადაც კონკურენცია არ არის იქ არაფერი ესაქმება თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე აგებულ ეკონომიკას. ამ ცვლილებით სადაზღვევო სისტემა ისევ დაუბრუნდა იმ ფორმას, რომლის მიუღებლობაც გარკვეულწილად საფუძველად დაედო თავის დროზე მონოპოლისტური სადაზღვევო სისტემის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას.

ახალი გეგმის მიხედვით, სადაზღვევო კომპანიებს ე.წ. „სამედიცინო რაიონში“ უნდა აეშენებინათ საავადმყოფოები. ამით დაზღვეულს არა მარტო სადაზღვევო კომპანიის არჩევანის უფლება წაერთვა, არამედ არანაკლებ უმთავრესი უფლება - თავად აირჩიოს საავადმყოფო, ვინაიდან პაციენტი იძულებული ხდება შემოიფარგლოს მის რაიონში მოქმედი სადაზღვევო კომპანიის, მისი კლინიკის და ექიმის მიერ შეთავაზებული მომსახურებითა და პირობებით. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ირღვევა „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მე-5, მე-7 და მე-8 მუხლები.

მსოფლიოში არსებობს მართული ჯანდაცვის პრევენტი, სადაც სადაზღვევო კომპანიას აქვს საკუთარი სამკურნალო დაწესებულება, მაგრამ სახელმწიფო არ აიძულებს მათ ააშენონ საავადმყოფოები, ისინი მას ნებაყოფლობით აშენებენ. სადაზღვევო კომპანიების მიერ საავადმყოფოების აშენების ვალდებულება, რაც საქართველოში განხორციელდა, უარყოფითად ზემოქმედებს სამედიცინო მომსახურების ხარისხზე, დაზღვეულთა კმაყოფილებაზე, რადგან კომპანიები საავადმყოფოებს იმ სახსრებით აშენებდნენ რაც სახელმწიფომ გადაურიცხა სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად. ამასთან, აშშ-ში, სადაც ჯანდაცვის ინტეგრირებული სქემებია გავრცელებული, ბენეფიციარებს აქვთ მართული ჯანდაცვის ორგანიზაციების არჩევანის უფლება, რითაც იქნება კონკურენტული გარემო, რაც საქართველოში, რაიონებად გადანაწილებული სადაზღვევო სისტემის დროს სრულიად გამორიცხულია.

დასაფიქრებელია ის გარემოება, რომ ასეთი სისტემა განაპირობებს შეუქცევად პროცესებს, რითაც სამუდამოდ დასამარდება კონკურენტული საბაზრო მექანიზმები ჯანდაცვაში, რადგან სადაზღვევო კომპანიის მიერ აშენებულ საავადმყოფოს უკან ვეღარ ჩამოართმევ.

ზოგი ექსპერტი თვლის, რომ პრიორიტეტს წარმოადგენდა თანამედროვე დონის საავადმყოფოს აშენება. საფიქრალია, რამდენად უღირდა ქვეყანას კონკურენტული საბაზრო პრინციპების გაცვლა პოსპიტალური სექტორის განვითარების პრიორიტეტზე.

2012 წელს არჩეულმა ახალმა მთავრობამ 2013 წლიდან ქვეყანაში შემოიღო ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის სისტემა. სამთავრობო გეგმის მიხედვით, სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სარგებლების მრავალი გადამხდელი სისტემით, ანუ კერძო სადაზღვევო კომპანიების მეშვეობით დაფინანსების ნაცვლად, შეიქმნება ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ანუ ერთი გადამხდელი დაფინანსების სისტემა. როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ ევროპის სოციალური დაზღვევის სისტემის ზოგიერთმა ქვეყანამ კარგა ხანია უარყო ერთი გადამხდელი დაფინანსების არაკონკურენტული სისტემა. დღევანდელი, თანამედროვე მსოფლიოს სოციალური დაზღვევის სისტემის ქვეყნების გამოცდილება გვეუბნება, რომ უფრო ეფექტურია მრავალი გადამხდელი სისტემის არსებობა, ანუ ჯანდაცვის სერვისების დაფინანსების მართვა უნდა განახორციელონ მრავალმა კონკურირებადმა სადაზღვევო კომპანიამ და არა ერთმა სახელმწიფო სადაზღვევო ფონდმა, რომლის დანერგვას ცდილობენ ჩვენთან. ერთი გადამხდელი დაფინანსების არაკონკურენტული სისტემა არ არის თანამედროვე, უახლესი მიდგომა, იგი განვლილი ეტაპია. საქართველომ ჯანდაცვის სისტემის რეფორმირება მსოფლიოს თანამედროვე გამოცდილებას უნდა დააფუძნოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Busse R, Riesberg A. *Health care systems in transition: Germany*. Copenhagen, WHO Regional Office for Europe on behalf of the European Observatory on Health Systems and Policies, 2004.
2. Braun, B., S. Greß, K. Hoßpner, G. Marstedt, H. Rothgang, M. Tamm and J. Wasem (2006), 'Barrieren für einen Wechsel der Krankenkasse: Loyalität, Bequemlichkeit, Informationsdefizite?', in J. Böcken, B. Braun and R. Amhof (eds), *Gesundheitsmonitor 2006*, Gütersloh: Verlag Bertelsmann Stiftung.
3. ვერულავა თენგიზი. ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა. საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი. 2009.

Tengiz Verulava

COMPETITIVE HEALTH INSURANCE, EXPERIENCE FROM GEORGIA AND EUROPEAN HEALTH CARE REFORMS Annotation

The objectives guiding health care reforms in Georgia and Germany, were to increase efficiency and consumer satisfaction in the provision of health care services. This paper sums up incentives and instruments of competition for consumers, insurance funds and health care which are necessary to fulfill these objectives. After 2003 rose revolution liberal government directed towards rapid economic growth through the market orientation. The main principles of health care reform, which were implemented in 2007, were to transition towards complete marketization of the health sector: private provision, private purchasing, liberal regulation and minimum supervision.

The government radically changed the vision of health system regulation, giving a dominant share to private health providers and purchasers. The reforms, were notable in that they introduced the concept of competition into Georgian health care. The government modifying the Law on Health Insurance. Public funds given to private insurance companies for the administration of the state health programmes. After the 2010 Georgian government have adopted new policy in insurance market. Beneficiaries have access to only a single district insurance company. They don't allow to choose for insurance companies across district lines. This provision don't create a truly competitive market and Insurers, hospitals and doctors will not work effectively - as competitors do in every other industry - to improve quality and control costs.

ელგუჯა კონჯარია

საბანკო სამმონეტროს წარმოშობა და განვითარება საქართველოში

როგორც მსოფლიოს უმეტეს ძველ ცივილიზებულ ქვეყანაში, საქართველოშიც ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს, სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებების, მ.შ. ბანკების არსებობას, საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქვეყნებს – იბერიასა და კოლხეთს სხვადასხვა სახის საკრედიტო დაწესებულებები ზარაფებისა და მეფავშეობის ინსტიტუტების სახით ჰქონდათ, რომლებიც დღევანდელი საბანკო სისტემის წინამორბედებს წარმოადგენენ. მსგავსი ტიპის სტრუქტურული ერთეულები საქართველოში ჯერ კიდევ კოლხეთისა და იბერიის სამეფოში ძვ.წ.აღ-ით VI ს-ში გამოჩნდა. შემდგომ პერიოდში ეს პროცესი პერმანენტულად გრძელდებოდა და ჩქარდებოდა, VIII ს-ის საქართველოში უკვე არსებობდა ფართო საკრედიტო ორგანიზაციები – დღევანდელი გაგებით ბანკები, რომელთაც ორტალი ეწოდებოდა, რომელნიც კრედიტებს სხვადასხვა ქონების გირავნობის ქვეშ ან მის გარეშე იძლეოდნენ. ე.წ. „ოქროს ხანის“ საქართველოში (XII-ს.) ნიშანდობლივი თავისებურება მისი ფულადი სისტემა იყო. კერძოდ ის ფაქტი, რომ, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს ტერიტორიაზე ვერცხლისა და სპილენძის ფულს ერთი და იგივე მსყიდველობითი უნარი გააჩნდა უპრეცედენტო მოვლენა იყო ომის დროს მსოფლიოში, რადგან შუა საუკუნეების სახელმწიფოებში თვით სპილენძის ფულს, ნომინალის მიუხედავად, ლითონის ღირებულება ჰქონდა.

როგორც ისტორიული წყაროები მოწმობს, დავით აღმაშენებელმა სავალუტო რეფორმა – ეროვნული ვალუტის დეველუაცია მოახდინა და მკაცრი სავალუტო კონტროლის დამყარებით ქვეყანაში უცხოელების მიერ ქართული დიზაინის მქონე სპილენძის ყალბი მონეტების შემოტანა აღკვეთა. ამ სავალუტო რეფორმამ, როგორც შემდგომში მოვლენებმა აჩვენა, საქართველოს ეკონომიკის განვითარებას შეუწყო ხელი. XI-XIII სს. საქართველო ჩაბმული იყო მსოფლიო ვაჭრობაში, რის შედეგადაც ვითარდებოდა საკრედიტო დაწესებულებებ-

იც, თუმცა XIII ს-ის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო განუწყვეტელი ბრძოლების არენად იქცა, რაიმე სახის საკრედიტო დაწესებულებების არსებობის შესახებ მასალები ისტორიულ წყაროებში აღარ მოიპოვება. მოგვიანებით, XVII-XVIII სს. საქართველოში უკვე საზარაფო დაწესებულებები არსებობდა (განსაკუთრებით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II დროს), რომლებიც საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციებს ასრულებდნენ და ჭრიდნენ ფულს არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ სახელმწიფოებშიც. მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო (1801), საქართველოში მოქმედი ეროვნული საკრედიტო სტრუქტურები გაუქმდა და მათ ადგილზე დაიწყო რუსეთის სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებათა დაარსება. 1810 წელს იქმნება რუსეთის მმართველობის მიერ დაარსებული საკრედიტო სტრუქტურა, რომელიც იღებდა ანაბრებს და იძლეოდა კრედიტებს. თბილისში 1866 წლიდან ფუნქციონირებდა რუსეთის ბანკის (შეიქმნა 1860 წ.) თბილისის სამმართველო. 1871 წლიდან თბილისის კომერციულმა ბანკმა დაიწყო მუშაობა ფილიალებით ბაქოში, ბათუმსა და ერევანში. ამავე წლიდან საქართველოში შეიქმნა „შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა“, ანუ „სასოფლო ბანკი“ (დაფუძნდა დუშეთის მაზრაში). XIX ს-ის 80-იან წლებში საქართველოში სულ 85 საკრედიტო დაწესებულება ფუნქციონირებდა, მ.შ. 15 თბილისში. 1875 წლის 28 ივნისს თბილისში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაფუძნდა თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი, ხოლო ქუთაისში – 1876 წელს ნიკო დოლობერიძის თაოსნობით.

1917 წელს თბილისში ფუნქციონირებდა „ცენტრობანკი“, ფილიალებით ლანჩხუთში, ბორჯომში, ქუთაისსა და ზესტაფონში. საქართველოს საფინანსო საქმიანობას რუსეთის ბანკების კანტორებიც ეწეოდნენ: ვოლგა – კამის კომერციული ბანკი, სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო ბანკი, სახალხო ბანკი, საერთაშორისო ნდობის საზოგადოების სტატუსით ა. პრიდანოვის ბანკი.

1917 წლის ცნობილი რევოლუციების შემდეგ კარდინალურად შეიცვალა როგორც ბანკის საქმიანობის მიმართულებები, ასევე საბანკო სისტემა მთლიანობაში. 1919 მრეწველობის დაკრედიტება შეწყდა, საწარმოების ყველა შემოსავალი, ფულადი ურთიერთობების შენარჩუნებით, ხაზინას გადაეცა. ბიუჯეტი კი დგებოდა, მაგრამ მას თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა. რუსეთის ხელისუფლება ისეთ ღონისძიებებს ატარებდა, რომელიც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ლიკვიდაციისკენ იყო მიმართული, რადგან კომუნისტური იდეოლოგიის შესაბამისად, სოციალისტური საზოგადოება ფულის გამოყენების გარეშე უნდა განვითარებულიყო, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საბანკო სისტემის ლიკვიდაციის შესახებ. 1920 წლის 19 ივნისს სახალხო კომისარიატის საბჭოს დეკრეტით სახალხო ბანკი გაუქმდა და მისი აქტივები და პასივები ფინანსების სახალხო კომისარიატს გადაეცა, რომელმაც ემისიის უფლებაც შეინარჩუნა. ამ პერიოდისთვის ქვეყანაში არც ერთი საკრედიტო დაწესებულება არ ფუნქციონირებდა. საბანკო საქმიანობამ, როგორც სოციალურმა ფენომენმა, არსებობა შეწყვიტა, რამაც მაშინვე იმოქმედა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

„სამხედრო კომუნიზმის“ პოლიტიკის ჩაერადნის შემდეგ ქვეყნის მთავრობა იძულებული გახდა, ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე (ნეპი) გადასულიყო, რასაც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები უნდა აეღორძინებინა. 1921 წლის 3 მაისს დაფუძნდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ბანკი (იგი 1921 წლის დასაწყისიდან შეიქმნა), საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბანკი, რომელიც 1924 წლის დასაწყისიდან სსრკ-ს სახელმწიფო ბანკის (იგი 1923 წლის ივლისიდან ფუნქციონირებდა) საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ ბანკად გარდაიქმნა.

რუსეთში და შესაბამისად საქართველოშიც, სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა 1924 წლისთვის. თავისუფალი მეწარმეობა და ქვეყნის დინამიური განვითარება ახალი საკრედიტო დაწესებულებების შექმნას მოითხოვდა. 1922-1925 წწ. ქვეყანაში ცალკეული მეურნეობების მომსახურე ბანკების ფართო ქსელი შეიქმნა, როგორებიცაა: „მრეწვბანკი“, „ელექტროკრედიტი“, „ცეკავშირის ბანკი“, „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“, „კოპერატიული ბანკი“ და სხვა. 1923 წელს თბილისში დაარსდა „საქართველოს კომერციული ბანკი“ განყოფილებებით აჭარაში, აფხაზეთში, ქუთაისსა და ფოთში. 1923 წლის ოქტომბერში ფუნქციონირება დაიწყო თბილისის ოლქის „შემნახველმა სალარომ“, რომელსაც ფილიალები ოთხ რაიონში ჰქონდა გახსნილი, ხოლო 1929 წლისთვის შემნახველი სალაროების რიცხვმა საქართველოში 270-ს მიაღწია.

1927 წელს ქვეყნის ხელისუფლებამ „საკრედიტო სისტემის აღორძინების პრინციპების შესახებ“ მიიღო დადგენილება, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ბანკის მუშაობაში (განსაკუთრებით სპეციალიზებული ბანკების) პარალელურად შეინიშნებოდა და ისინი უნივერსალურ ბანკებად ყალიბდებოდნენ. დაკრედიტების განხორციელებული ბანკების სიმრავლემ მათ შორის კონკურენცია წარმოშვა. ბანკების ფუნქციები მკაცრად დაკონკრეტდა და სახბანკის, როგორც მოკლევადიანი დაკრედიტების ორგანოს როლები შესაბამისად გაძლიერდა. ბანკები დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობისაკენ მიისწრაფოდნენ, მთავრობა კი მათი ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის ინსტრუმენტად გარდაქმნას ცდილობდა.

1930 წლის ბოლოსთვის „ნეპი“ იქნა ლიკვიდირებული, ხოლო საბანკო სისტემამ, 1930-1932 წწ. საკრედიტო რეფორმის განხორციელებისას, ღრმა ცვლილებები განიცადა, რის შედეგად სპეციალიზებული სახელმწიფო ბანკის ქსელი შეიქმნა, რომლებიც მათზე „მიმაგრებული“ სახალხო მეურნეობის დარგების დაფინანსებაზე იყვნენ ორიენტირებული. დაიწყო ნახევარსაუკუნოვანზე მეტი პერიოდი, რომელიც იმით ხასიათდებოდა, რომ ბანკების არსებობის მიუხედავად, ფაქტობრივად საბანკო საქმიანობა არ არსებობდა, რადგანაც ბანკები საშემნახველო სალაროებად გადაიქცნენ იმის გამო, რომ სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დირექტიულად სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებზე იქნა განპირობებული.

XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს, საბანკო სისტემის დაწყების პროცესში სახელმწიფო ბანკების სამმართველოები და განყოფილებები თვითნაზღაურებაზე გადაიყვანეს ბანკების მართვის ცენტრალიზებული სისტემის შენარჩუნებით, მაგრამ აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელი გახდა, უპირველეს ყოვლისა, იმ რესურსების მკაფიო გამოყოფის შეუძლებლობის გამო, რომელთა განკარგვის შესაძლებლობა ექნებოდათ მათ. სპეციალიზებული ბანკების სისტემის ბანკების საქმიანობა წინააღმდეგობაში მოვიდა საბაზრო ურთიერთობებთან.

ეკონომიკის ტრანსფორმაციას თან ცენტრალიზებული მატერიალური მარაგის სისტემის ლიკვიდაცია მოჰყვა. ამან საშუაშაველო და სავაჭრო ორგანიზაციების ფართო ქსელი წარმოშვა და საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნილება მკვეთრად გაიზარდა. ქვეყნის ეკონომიკას ეფექტიანი და საკრედიტო საანგარიშსწორებო მომსახურების საჭიროება გაუჩნდა. სახელმწიფო სპეციალიზებული ბანკების ცენტრალიზებულმა სისტემამ, კონსერვატიულობისა და ინერტულობის გამო, ამ ამოცანის გადაწყვეტა ვერ შეძლო. საბანკო დაწესებულებებმა საკუთარი კაპიტალი ვერ მიიღეს. ისინი ცენტრალიზებული ინსტრუქციებით აგრძელებდნენ მუშაობას და ქვეყნის რევიონებში საბაზრო ეკონომიკის ყოველდღიურად წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად თავიანთი საქმიანობის ადაპტაცია ვერ მოახერხეს.

სპეციალიზებული ბანკების დაწესებულებათა უმეტესობამ ერთპიროვნულად დაიწყო კომერციულ ბანკებად გარდაქმნა. კლიენტურის სახელმწიფო სპეციალიზებული ბანკებიდან კომერციულ ბანკებში მასობრივი გადასვლა დაიწყო. 1994 წლის ბოლოსთვის ქვეყანაში უკვე 200-ზე მეტი კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა და საბანკო სფეროში სახელმწიფო მონოპოლია ლიკვიდირებული იქნა.

რაც შეეხება ცენტრალური ბანკის ტიპის საბანკო დაწესებულებათა ფუნქციონირებას საქართველოში, იგი რივი თავისებურებებით ხასიათდებოდა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ გააჩნდა საკრედიტო სისტემის მართვისა და რეგულირების საკუთარი სათავო რგოლი – საქართველოს ეროვნული ბანკი. მის მოვალეობას ასრულებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება, რომელსაც 1917 წლის ნოემბრიდან არავითარი კავშირი არ ჰქონდა საიმპერიო ბანკთან. რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება 1917 წლის ნოემბრიდან ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატის ფინანსთა კომისრის ქრისტეფერე კარჩიკაინის უშუალო დაქვემდებარებაში, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის გიორგი ჟურულის და კონსტანტინე კანდელაკის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

აღნიშნული ბანკის თბილისის განყოფილების ფუნქცია ზარაფხანიდან შეტანილი ფულადი ნიშნების ფინანსთა მინისტრის დირექტივებისამებრ განკარგვა იყო. მის მუშაობას აკონტროლებდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დანიშნული საგანგებო კომისარი. დამოუკიდებელი სახელმწიფო საკრედიტო აპარატის არარსებობა, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა ფულის მიმოქცევის და სხვა სასიცოცხლო ეკონომიკური მნიშვნელობის საქმეთა რეგულირების პრეროგატივას, ერთობ უარყოფით როლს თამაშობდა და შეუძლებელი იყო, დიდხანს გაგრძელებულიყო.

1919 წლის 13 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“, რითაც ქვეყანაში საბანკო სისტემის მარეგულირებელი და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაეყარა საფუძველი. კანონს თან ერთვის და წესდება, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ბანკის დანიშნულება, წყობის სტრუქტურა, საწესდებო კაპიტალი და უფლება-მოვალეობანი იყო განმარტებული.

საქართველოს სახელმწიფო ბანკმა ფუნქციონირება 1920 წლის ივლისიდან დაიწყო. კანონის თანახმად, აღნიშნულ სტრუქტურას დაარსების პირველივე დღიდან „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე ვაჭრობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მოკლევადიანი სესხის გაცემა. საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ქართველი ფინანსისტი იასონ ლორთქიფანიძე.

მიუხედავად თავისი არსებობის მცირე ხნისა, ბანკმა საქართველოსთვის ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოახწო: განახორციელა ფულის რეფორმა, შეიქმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვები, ამ უკანასკნელის თავისუფალი მიმოქცევა აშკარად ზღუდავდა სუვერენული საქართველოს ფულად-საკრედიტო სფეროს და, ამდენად, ხანგრძლივად ვერ გაგრძელდებოდა. შედეგად, საქართველოს ეროვნულ საბჭოში ქართული ფულის, თუნდაც ბონების სახით გამოშვების მომხრეთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა.

1918 წლის ივნისში დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც მომავალი ქართული ვალუტის სტაბილური კურსის ერთ-ერთი მყარი გარანტი უნდა გამხდარიყო.

1918 წლის ივლისში გამოცხადდა კონკურსი ქართული ფულის ნიშნების კონკრეტული მხატვრული სახის შესარჩევად და დასადგენად. ღონისძიებას ხელმძღვანელობდა მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელმაც ერთხმად მოიწონა მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ შესრულებული ესკიზი. სწორედ ეს ესკიზი დაედო საფუძვლად ქართული ბონების გარეგნულ სახეს. ამ პერიოდისთვის ქართული ბონების გამო-საშვებად უკვე მომზადებული იყო ნიადაგ-საშინაო და საგარეო მდგომარეობა შედარებით სტაბილური იყო და ყველა ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ უკვე იყო დრო, ერთხელ და სამუდამოდ, წერტილი დასმოდა საქართველოს ფინანსურ დამოკიდებულებას სომხეთსა და აზერბაიჯანზე.

1921 წლის 21 თებერვლის შემდეგ, როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა წყობილება, ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. ამ პერიოდიდან გენერალური ბანკის ფუნქციებს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბანკი“ ასრულებდა.

საბანკო სისტემის განვითარების ისტორიაში საქართველოსთვის ახალი ეტაპი 1991 წლიდან იწყება. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში ფეხს იკიდებს საბანკო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკა. ქვეყნის წინაშე მდგარ უამრავ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი და უმნიშვნელოვანესია მძლავრი, კონკურენტუნარიანი, მოქნილი და სამელო საბანკო სისტემის შექმნა, რამდენადაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საბანკო სისტემის მდგრადობასა და სტაბილურობაზე. საბანკო სფერო მოითხოვს სერიოზულ ყურადღებასა და მხარდაჭერას, რომ მან არ შეაფერხოს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პროცესი და ეროვნული მეურნეობის დინამიური განვითარება.

რება. 1991 წლის აგვისტოში ოპერატიულმა კანონმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას და განსაზღვრა, თუ ვის და როგორ უნდა განეხორციელებინა ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირება და რა როლი უნდა ეთამაშა ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნულ ბანკს. ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შექმნის პირველივე დღეებიდან ეწოდა „საქართველოს ეროვნული ბანკი“, რომელიც მძლავრ სახელმწიფოებრივ-ეკონომიკურ ინსტიტუტს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ., ფული და და სისტემები, თბ., 1996.
2. გოგოხია მ., საბანკო საქმე თბ., 2007.
3. ვანიშვილი მ., ფინანსები თბ., 2007.
4. კაკულია რ., ხელია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია თბ., 2004.
5. კოვზანაძე ი., საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2001.
6. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა.
7. ლუდუშაური ლ., კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 1998.
8. ცაავა გ., საბანკო საქმე თბ., 2005.

Elguja Konjaria

THE ESTABLISHMENT AND DEVELOPMENT OF THE BANK ACTIVITIES IN GEORGIA

Annotation

The restoration of the State Independence in Georgia and moving to market relationship brought to order of the day the problem of establishment country's independent Bank System.

It may be said, that during the transitional period Bank system appeared the most steady and relatively balanced among the ones that appeared from market infrastructure elements.

It is true, that during the first period of the reforms the economic crisis that was in the country seriously shaken Bank system, but gradually the situation considerably improved. Ended the process of formation of the Bank system, commercial Bank system has been formed and is going the process of development and improvement.

*თუა ლაზარაშვილი
მელა მელაშვილი*

ინვესტიციები და საინვესტიციო გარემო საქართველოში

ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს ფორმირება, როგორც მიკრო, ისე მაკრო – ეკონომიკაზე, ხორციელდება მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული პროცესების ზეგავლენის შედეგად.

საქართველოში ინვესტიციური გარემოს ერთმნიშვნელოვნად შეფასება საკმაოდ რთულია. საინვესტიციო გარემოს შეფასებისათვის აუცილებელია კომპლექსური ფაქტორების დამუშავება და ანალიზი. მათ შორის მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი მდგომარეობის, ფინანსური რესურსების, სოციალური სფეროს, პოლიტიკური გარემოს, მეურნეობის ზოგადი სტრუქტურის შესწავლა და სხვა.

ინვესტიციების მოზიდვისას სამი ძირითადი მომენტი გასათვალისწინებელია:

1. თუ რა სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს ქვეყანა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში;

2. საინვესტიციო ბიზნესის ხელშეწყობა;


3. ეკონომიკური ფაქტორები.

უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად უნდა განხორციელდეს ხელსაყრელი კლიმატის და მისი ეფექტიანად გამოყენებისათვის საჭირო მექანიზმების ჩამოყალიბება. როდესაც ქვეყანა განიცდის საკუთარი სახსრების დეფიციტს შიდა ინვესტიციების განხორციელებისათვის, ერთადერთი გზა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა რჩება. აგრეთვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ რა საინვესტიციო პოლიტიკას ახორციელებს ქვეყანა, რადგანაც სწორედ მასზეა დამოკიდებული, თუ რა რაოდენობის ინვესტიციები შემოვა და როგორ მოხდება მათი ეფექტიანად გამოყენება. სწორედ ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკა განსაზღვრავს მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნას.


მნიშვნელოვანია, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას საქართველოში გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის საკითხიც.

როდესაც ვსაუბრობთ ინვესტიციებზე, მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ მსოფლიო ბანკის კვლევებზე. მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი პროექტი “Doing Business” უკვე რამდენიმე წელია იკვლევს მსოფლიო უმეტესობა ქვეყნებს ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შეფასების თვალსაზრისით.

2013 წლის მონაცემებს თუ გადავხედავთ, გამოკვლეული 185 ქვეყნიდან ბიზნესის რეგულირების მხრივ საქართველოს მე-9-ე ადგილი უკვია სინგაპურის, ჰონკონგის, ახალი ზელანდიის, აშშ-ს, ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთის და კორეის შემდეგ, რაც მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია. 2006 წელს ამ მაჩვენებლით საქართველო 112-ე ადგილზე იყო, 2007 წელს – 37-ზე, 2008 წელს – 21-ზე, 2009 წელს – მე-16-ე, 2010 წელს – მე-13-ე, 2011 წელს – მე-17-ე და 2012 წელს მე-12-ე ადგილზე.



დიაგრამა 1



დიაგრამა 2

2006-2012 წწ. საქართველოში ბიზნესის კეთების სიადგილე

აღნიშნული კვლევის თანახმად ხდება 10 სხვადასხვა მაჩვენებლის შესწავლა, რომლითაც იზომება ბიზნესის რეგულირების ხარისხი. ამ მაჩვენებლებში შედის: ბიზნესის დაწყება, მშენებლობის ნებართვის მიღება, ქონების რეგისტრაცია, დაკრედიტება, საგადასახადო ტვირთი, საზღვარგარეთთან ვაჭრობის სიდიდე, ინვესტორთა უფლებების დაცვა, კონტრაქტირება, ბიზნესიდან გასვლა. თუმცა ეს კვლევა არ ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორცაა: ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ინფრასტრუქტურის დონე, კორუფცია, პოლიტიკური ვითარება და სხვა.

საყურადღებოა ისეთ მაჩვენებელზე ყურადღების გამახვილება, როგორცაა: ინვესტორების დაცვა. ამ მაჩვენებლით მოწინავე პოზიცია ნამდვილად არ გვიკავია, თუმცა აქაც შეიმჩნევა წინსვლა. 2010 წელს საქართველოს ამ მაჩვენებლით 41-ე ადგილი ეკავა, რაც წინა წელთან შედარებით 3 პოზიციითა გაუმჯობესებულა.

2013 წელს წინა წელთან შედარებით კიდევ რამდენიმე კომპონენტში მოხდა პოზიციის გაუმჯობესება. კერძოდ ელექტროენერჯის მიღების კუთხით 88-ე ადგილიდან – 50-ე ადგილზე გადაინაცვლეთ; კრედიტის აღების კუთხით მე-9-ე ადგილიდან – მე-4-ე ადგილზე, გადასახადების გადახდის კუთხით 45-ე ადგილიდან – 33-ე ადგილზე, საზღვრებს შორის ვაჭრობის კუთხით 47-დან – მე-13-ე ადგილზე და ხელშეკრულების შესრულების კუთხით 39-ე ადგილიდან – 30-ე პოზიციაზე.

ცხრილი 1

კომპონენტები	2012	2013
ელექტროენერჯის მიღება	88	50
კრედიტის აღება	9	4
გადასახადების გადახდა	45	33
საზღვრებს შორის ვაჭრობა	47	38
ხელშეკრულების შესრულება	39	30

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ, 2013 წლის მონაცემებით, საქართველოს 4 მაჩვენებლის მიხედვით მოწინავე პოზიციები უკავია. მაგ., ქონების რეგისტრაციის კუთხით პირველი ადგილი დავიკავეთ (2007 წელს ამ მაჩვენებლით მე-16-ე ადგილი გვკავა), ბიზნესის დაწყების კუთხით მე-7-ე ადგილი დავიკავეთ (2007 წელს მხოლოდ 36-ე ადგილი გვკავა), დაკრედიტების მაჩვენებლით მეოთხე ადგილი დავიკავეთ, ხოლო მშენებლობის

ნებართვის გაცემის მანქანებით – მესამე ადგილი (2007 წელს ამავე მანქანებით მხოლოდ 42-ე ადგილი გვმკავია).

მიუხედავად იმისა, რომ პროგრესი აშკარად შეიმჩნევა, მაინც საკმაოდ დაბალი პოზიცია გვიკავია (კერძოდ, 109-ე ადგილი) გადახდისუნარიანობის პრობლემის მანქანების მიხედვით.

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ, თუ რა პოზიცია გვიკავია თავისუფლების ინდექსის მიხედვით, რომელიც მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს: ბიზნესის, ვაჭრობის, ფისკალური, მონეტარული, ინვესტირების, ფინანსური, კორუფციისა და შრომის თავისუფლება, აგრეთვე საკუთრების უფლებები და მთავრობის დანახარჯები. 179 ქვეყანას შორის, 2012 წლის მონაცემებით, საქართველოს 34-ე ადგილი უკავია და “ზომიერად თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების” კატეგორიაში მოხვდა. თუმცა საქართველოს კავკასიის რეგიონში ამ კუთხით მაინც ლიდერის პოზიცია უკავია (სომხეთი – 39-ე ადგილი, აზერბაიჯანი – 81-ე ადგილი, რუსეთი – 144-ე ადგილი, თურქეთი – 73-ე ადგილი). 2011 წელთან შედარებით საქართველო 5 პოზიციით დაქვეითდა, რაც ძირითადად მთავრობის დანახარჯების ზრდისა და კორუფციის და მონეტარული თავისუფლების გაუარესების ხარჯზე მოხდა. მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე თავისუფალ ქვეყანად პონკონგი, სინგაპური და აესტრია იქნა მიჩნეული.

აღნიშნული კვლევის თანახმად, საქართველოში საინვესტიციო გარემო თითქოსდა მიმზიდველია, თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით მაინც ბევრი პრობლემაა.

ძალზე დიდია უცხოელი ინვესტორების დაინტერესება ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და დამუშავებაში. თუმცა, ამასთან, აუცილებელია ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ეკოლოგიური კუთხით მკაცრი ზომების მიღება, რათა არ მოხდეს ქვეყნის ისედაც მიძიმე ეკოლოგიური გარემოს გაუარესება.

თუ გადავხედავთ ბოლო წლების მონაცემებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, სურათი საკმაოდ არასტაბილურია. ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ 2006 წლიდან საქართველოში ინვესტიციების მატება შეინიშნებოდა, რომელმაც 2007 წელს პიკს მიაღწია და 2015 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო შემდგომ – 2009 წლისთვის მკვეთრი ვარდნა იყო. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, რუსეთ-საქართველოს ომი იყო, თუმცა სხვა უამრავი მიზეზიც არსებობდა. 2009-2011 წლებში ზრდა გვაქვს და შემდგომ ისევ კლებას აქვს ადგილი.



დიაგრამა 3

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

ექსპერტების უმეტესობა მიიჩნევდა, რომ 2013 წლისათვის ინვესტიციების მკვეთრი ზრდა იქნებოდა, თუმცა ასეთი სურათი ნამდვილად ვერ მივიღეთ.

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ აღმოფხვრათ დისპროპორციები რეგიონული განვითარების კუთხით. ამისთვის საჭიროა განვახორციელოთ ისეთი საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც ჩამორჩენილ რეგიონებში გაზრდის მოტივაციას ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. ეს კი დაგვეხმარება აღვადგინოთ და ეფექტიანად ავაშუშაოთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური დარგები.

ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, შემცირდეს სხვაობა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და შიგნით ინვესტიციებს შორის. აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე ქვეყნის რეალურ სექტორში განხორციელდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ბარათაშვილი, დ. მაგრაქველიძე. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები. თბილისი, 2009.
2. ვლ. პაპავა, თ. თაფლაძე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და პერსპექტივების შესახებ. ე. “ეკონომისტი”, №2, 2013.
3. www.nbg.gov.ge
4. www.mfa.gov.ge;

INVESTMENTS AND INVESTMENT POLICY IN GEORGIA
Annotation

The article analyzes positive and negative factors of formation of investment environment. Are studied the research of the World Bank in with regard for business doing and are designed the ways of improvement of direct foreign investments attraction in the country.

ნინო ლიპარტელიანი
ნანა ახალაია

დეფოლტი გუშინ და დღეს

დეფოლტი ისეთი ეკონომიკური სიტუაციაა, როდესაც ქვეყნის მთავრობა უარს აცხადებს საკუთარი შიდა და გარე ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებაზე გაურკვეველი პერიოდით, აღიარებს გაკოტრებას და ითხოვს ვალდების ჩამოწერას. აკადემიური განმარტებით, ტერმინი „დეფოლტი“ წარმოდგება ინგლისური სიტყვიდან – default და ვალდებულებების შეუსრულებლობას ნიშნავს, მაგრამ ბოლო ათწლეულებში ახალმა ფინანსურმა ისტორიებმა გააფართოვეს ამ ტერმინის მნიშვნელობა. სუვერენული სახელმწიფოების მიერ ვალდების დაუბრუნებლობას დიდი ხნის ისტორია აქვს, რადგან შიდა და საგარეო სესხები ნებისმიერი სახელმწიფოსათვის შემოსავლების უნივერსალურ წყაროს წარმოადგენს. ამასთან, ყოველთვის არსებობს სახელმწიფოს მთავრობების მხრიდან ამ სესხების დაფარვაზე უარის თქმის დიდი ალბათობა დაუსჯელობის სინდრომის გამო. ან კი ვინ იქნება მსაჯული, როდესაც თვით სახელმწიფოა ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უმაღლესი გარანტი და, ბუნებრივია იგი თავის თავს არ დასჯის. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში დეფოლტს ადგილი ჰქონდა განსხვავებული მიზეზების გამო, დაწყებული წმინდა ეკონომიკური მიზეზებით, როდესაც კრედიტორი ვერ ახორციელებდა გადახდებს, და დამთავრებული პოლიტიკური მიზეზებით, როდესაც ძლიერი სახელმწიფო აღარ უხდოდა სუსტს ან ახალი მთავრობა არ ცნობდა წინა ხელისუფლების დავალიანებას.

სახელმწიფო დეფოლტის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ინგლისის მეფის ედუარდ III-ის ისტორია, რომელმაც 1327 წელს იტალიელ ბანკირებს უარი განუცხადა თავისი წინამორბედი ხელისუფალის არსებული დავალიანების გადახდაზე. სამეფო ოჯახის წევრების მიერ ფინანსურ ვალდებულებებზე უარის თქმა ყოველთვის არ მთავრდებოდა სასურველი შედეგით. 1356 წელს საფრანგეთის მეფე იოანე II ინგლისელებს ჩაუვარდათ ტყვედ. მეფე გამოუშვეს გამოსასყიდის შეგროვების მიზნით, მაგრამ საჭირო თანხის მოგროვება ვერ შეძლო და ისევე ტყვეობაში დაბრუნდა. ესპანეთის იმპერატორმა კარლ V-მ ვერ შეძლო გერმანელი ბანკირებისათვის არსებული ფინანსური ვალდებულებების გადახდა და იძულებული გახდა, მათთვის ვენესუელა გადაეცა სამართავად. მისმა შვილმა ფილიპე II-ემ თავისი მმართველობის პერიოდში სამჯერ თქვა უარი ფინანსური ვალდებულებების გადახდაზე.

შუა საუკუნეების ეპოქაც მდიდარია დეფოლტის მაგალითებით. 1650-იან წლებში ინგლისელ სამხედრო მოღვაწეს და პოლიტიკურ ლიდერს, ოლივერ კრომველს აუცილებლად სჭირდებოდა დიდი ფულადი სახსრები ირლანდიის დასაპყრობად. მან ეს დაფინანსება მიიღო ლონდონელი მდიდრებისა და სხვა პროტესტანტებისაგან მთელი ევროპიდან. ამასთან, საკუთარი არმიის ოფიცრებისთვისაც ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას კრომველი ირლანდიელი კათოლიკებისაგან ჩამორთმეული მიწებით აპირებდა. მიწების რაოდენობა არ აღმოჩნდა საკმარისი და კრომველმაც უარი თქვა არსებული ფინანსური ვალდებულებების გადახდაზე. XVI-XIX საუკუნეებში საფრანგეთის მთავრობამაც არაერთხელ თქვა უარი ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებაზე. 1875 წელს ვევიკტის მთავრობამ გამოაცხადა დეფოლტი, რის გამოც ევროპულმა სახელმწიფოებმა, ფაქტობრივად, მოახდინეს სუეცის არხის ანექსია.

Performance appraisal is one of the most important motivational mechanisms and respectively instruments for human resource management in the organization. It is an exceptionally important activity because it could ruin or decrease the effects from the rest activities constituting the human resource management function. Generally it is necessary for the goals of:

1) *development* – it serves for identifying the strength and weaknesses of the employees, the necessity of additional training and the effects from the training programs. It fosters the dialogue between subordinates and managers, as on one hand it stimulates the employees to express their ambitions, and on the other – encourages managers to monitor their behavior in order to help them;

2) *reward* – the appraisal helps organization in the allocation of resources, connected with promotions, transfers, pay increases, etc.;

3) *motivation* – the assessment provides a feedback to the employees, which encourages initiative, develops a sense of responsibility and stimulates efforts for performance improvement. The appraisal is used as a communication means for offering the necessary changes in behavior, attitudes, skills and knowledge;

4) *planning* – the appraisal is a valuable resource in determining the needs of personnel;

5) *communication* – the appraisal gives occasion and reason for continuous discussions between manager and subordinate in connection with different aspects of the job. Through this interaction the two sides get to better know each other and is provided an informational channel, which helps to clarify the expectations of each side;

6) *justice* – the performance appraisals provide a reliable protection of the decisions in connection with the promotions, transfers, payment and lay offs [1].

The great importance of the appraisal provoked the research interest exactly to the process of personnel assessment as a practical realization and generated motivational effects in a big organization from the banking branch. The chosen research object is not casual. With its over 1 million clients “UniCredit Bulbank” JSC is the biggest Bulgarian bank. There are about 4000 employees working in it, allocated among over 230 subsidiaries in the whole country. In 2012 the bank received the prize “The most preferred employer” in the category of organizations with over 500 employees. This provoked expectations for a well developed human resource management system.

Research methods and instruments

Information about the functioning system for personnel assessment was gathered from several sources and channels: 1) through study of documentation; 2) through interview with a specialist from the human resource department; 3) through anonymous inquiry among the employees. A questionnaire of 15 closed questions, intended to reveal the motivational effect of the assessment, was developed. The content of the questionnaire was composed on the basis of well known theoretical formulations. A Likert scale was used for registration of the answers, and the closed character of the questions facilitated the data processing. The inquiry was conducted at several bank offices in Burgas and included 140 respondents, chosen on a random principle. On the basis of the volunteer participation and high sense of responsibility of the employees, the return quota of the questionnaires was 100%. Since about 250 people work in the offices, therefore the size of the sample gives grounds to be perceived as representative enough.

Technology of personnel assessment at “UniCredit Bulbank” JSC

Currently functioning system for personnel assessment in the bank exists in this mode from 2008. The appraisal of every employee is complex and includes the following basic sections of criteria: 1) Attained goals; 2) Possessed competencies; 3) Desires for career development; 4) Plan for development; 5) General appraisal. Every employee has a constant access to all of his/her appraisals during the last 5 years through the internal site of the bank, where exists a special section “Management of performance”, with personal subsection “My performance”.

The performance assessment is done at the end of the calendar year, but the employee is informed about the results after their processing, i.e. two-three months after the beginning of the next year. This appraisal always includes two parts: self-assessment and assessment from the immediate manager. The appraisal process runs in the following sequence:

1) *Setting goals, connected with the work performance.* At the beginning of every calendar year performance goals for the next period are set. The manager of the subsidiary starts the process of goal setting, defining the specific goals for every employee. They are closely connected and follow directly from the goals of the structural unit. Each of them participates with certain percentage in the general performance of the employee and has a concrete level. When the employee gets familiar with the goals, he/she could discuss them with the manager of simply to indicate his/her agreement.

2) *Setting goals, connected with the competencies elaboration.* Every employee has the opportunity to point minimum 1 and maximum 3 weaknesses and respectively to choose so called “areas of development” from a specified list. Subsequently the manager makes himself familiar with these weaknesses, confirms them or rejects the necessity of development of the pointed competencies. This is always a subject of bilateral discussion.

3) *Determining the desire for career development.* In connection with the career development the bank has developed a so called “global model of the jobs”, which informs the employees about the stages through which they should pass on their road to a specific job. Every employee is expected to point whether he/she has a desire to grow, in what functional area, on what job position, etc. Besides this, in connection with the development towards positions in other subsidiaries, including abroad, every employee should point his/her opportunities for mobility, as well as his/her language competencies. The immediate manager could agree with the employee’s desire or could reject it – he could confirm that the employee possesses the necessary qualities, experience and competencies to occupy a higher position, but could recommend another position as well.

4) *Making a plan for development.* In connection with the improvement of his/her work performance or with his/her desire for promotion, every employee could announce the specific trainings, which he thinks he needs. This is also valid in the cases when through re-design the job includes additional tasks, or when the applied technologies change, etc. The stated employees’ desires are taken into consideration in the planning and carrying out training activities.

5) *Forming the general appraisal.* The appraisal obtains its final mode only after its discussion with the employee. The final generalized assessment has two basic variations: 1) the employee’s performance fits to the requirements – goals and criteria; 2) the employee’s performance does not fit completely to the requirements, as the negative appraisal is always argued by the manager.

The immediate manager sends the final appraisal to the human resource department. The subsystem for assessment of the work performance is closely integrated with the rest human resource management subsystems in the bank, and namely – the payment subsystem, the training subsystem, the career development subsystem, etc. Therefore different following actions are taken according to the received appraisal – there are organized trainings, increased rewards, made individual development plans, etc.

Motivational effects from the work performance assessment

The presented system for personnel assessment sounds quite optimistically and creates expectations for effective functioning and mostly usefulness for the bank itself. But this has a direct connection with its motivational function and that's why the researcher was interested to determine to what extent the assessment process, in the way it is realized in practice, plays a real role of mechanism integrating the work performance of the employee and the received internal and external rewards in a way satisfying his needs, as well as those of the organization. That is to say the employees' perceptions and attitudes have a leading importance.

The appraisal is an important motivator for the employees. According to the anonymous inquiry, 98% of the bank employees always strive for receiving a high appraisal of their work performance. This means that the appraisal is a strong motivator for them, which gives purposefulness of the work activity.

In most cases the appraisal does not influence the received reward. The appraisal could create motivation when it brings internal and/or external rewards, which are valuable for the employee, i.e. when is connected with the salary, job promotion, training and/or lay offs. Despite the obvious importance of the appraisal, only 40% of the employees see a direct relation between it and the received salary, as no one is absolutely categorical. Strongly disturbing is the fact that according to over half of the respondents such a relation does not exist. It is quite obvious that the salary is not influenced by the level of work performance, at least according to the employees' perceptions.

The appraisal strongly influences the career opportunities. It turns out that according to 94% of the respondents the mobility in the organization, i.e. the transfer or promotion to another job depends on the performance appraisal. Therefore its motivating function finds expression in this.

In most cases the training opportunities depend on the appraisal. The opportunities for elaboration of knowledge and skills are an important motivator as well. Contemporary employees highly appreciate the opportunity to invest in their own potential and mobile intellectual capital, improving their chances for finding a better employment in the same or other organization. For this reason very positive is the fact that according to 63 % of the employees the received trainings depend on the appraisal (although 22 % do not think so).

The appraisal is a basic criteria during personnel lay offs. Every organization is clear that the policy of making lay offs could have a quite negative reflection on its image, which puts the question about the choice of criteria for lay offs. Generally the lay offs at the bank institutions are not very popular. This is probably due to the precise personnel selection and the socially responsible attitude towards the employee as an important resource. When closing subsidiaries, "UniCredit" always searches variants to avoid the lay offs through moving the employees to another organizational units. According to 86 % of the inquired when personnel lay offs are inevitable, the dismissed are chosen mostly on the basis of the complex work performance appraisal, including the possessed skills, potential for development, work discipline, etc. Only 14% obviously doubt this.

In most cases the appraisal is objective. The perception of the appraisal as an objective indicator for the level of work performance is of basic importance. For 84 % of the employees the received appraisal is always objective and reflects exactly the efforts which they exert in their work. This creates the impression of an adequately carried out and effective assessment policy. The perception of the criteria as objective and fair provokes positive feelings, since it synchronizes the self-assessment (which is usually high) with the social approval on behalf of the management and the work team. This creates motivation for elaborating the results.

Most employees are clear about the goals and assessment criteria. It turned out that only 15 % of the participants are not always clear about what is expected of them, what goals they should reach and how their work performance would be assessed. This creates preconditions for the so called "role ambiguity", inevitably reflecting in tension, stress, lower productivity and dissatisfaction. Moreover it influences their feeling of justice in relation to the policies for assessment and reward. The optimistic is that according to the rest 85 %, the manager assigns clear goals and tasks and informs them about the criteria according which they would be assessed. The explanation of this positive situation is probably in the active practicing of management by objectives in the bank – jointly setting goals and subsequently assessing the degree of their attainment.

Most employees are clear about the level of their personal performance. Analogous is the distribution of the employees' opinions with respect to the clarity about their work performance – 90 % are always clear how well they are coping with their work, and only 10 % are uncertain about this question. Probably this situation is due to the provided adequate feedback and recognition on behalf of the immediate manager, as well as of the bank's management as a whole. Another source of information is the own judgement of the performer or the so called "internal feedback" from the work itself. Despite its concrete origin, in both cases this clarity has a positive impact on the satisfaction from the work situation and contributes to the improvement of the work quality.

Immediate manager has a basic role in the employees' assessment. He is a factor of exceptional importance for the subordinates' satisfaction because of his strong presence in their work life and the many roles he should play. It is expected from him to create motivation for improvement of work performance through the appraisal. Except providing directions and instructions about the future performance objectives, according to 90 % the immediate manager regularly informs his subordinates how they are coping with their tasks (in the form of recognition, praise or criticism). Only 10% feel neglected and obviously are dissatisfied from the received attention and feedback.

Most employees are clear about how to improve their work performance. In the context of the presented up to here it is not surprising that 96 % of the respondents always know what they should do in order to improve their work performance and to increase their appraisal. This confirms the perception of control on behalf of the performer over the concrete result from his/her efforts.

The most important purpose of the assessment is to help the work performance improvement. The immediate manager always explains to his subordinates what and how should correct in their work in order to receive higher appraisal for their performance, according to 85 % of the respondents. The rest of them have a negative attitude towards this aspect of his leading role.

According to 70 % of the participants in the research, the immediate manager knows their skills and work very well, and 20 % do not take that view.

The appraisal is always an object of discussion. Almost all employees (97 %) always discuss the final appraisal with their manager. The homogeneity of responses could be explained again with the applied procedure for personnel assessment in the bank. As it was pointed out, firstly the employee makes his self-assessment, then his manager informs about it and puts his appraisals on

the criteria, included in the attestation form, and finally both of them discuss and complete the assessment. Only after finishing this process, the appraisal is sent to the human resource department.

Conclusion

The conducted empirical research showed some quite interesting aspects of the human resource management at “UniCredit Bulbank” JSC and more concretely in connection with the motivational potential, generated by the system for work performance appraisal. Definitely the system for personnel assessment, introduced five years ago, functions successfully, which is proved by the positive attitudes of the inquired employees.

It turns out that the chosen research object could be treated as an example with respect of an effectively operating system for human resource management and in particular a system for work performance assessment. Probably currently this is one of the few bearers of good ideas in the field of Bulgarian business practice, which deserves our admirations. The realization of the importance of human factor, knowledge and application of effective instruments for its attraction, motivation and retention, is indisputably a source of a basic competitive advantage in the conditions of the current deep economic crisis.

References

1. Slavianska, V. 2011. Human resource management, FLAT-Burgas, p. 349.

Viara Slavianska

MOTIVATIONAL FUNCTION OF THE PERSONNEL ASSESSMENT AT “UNICREDIT BULBANK” JSC

Annotation

Performance appraisal is one of the most important motivational mechanisms and respectively instruments for human resource management in the organization. Its great importance provoked the research interest exactly to the process of personnel assessment as a practical realization and generated motivational effects in the biggest Bulgarian bank, and namely - “UniCredit Bulbank” JSC. The paper presents results from a study conducted at several offices of the bank, situated in Burgas. Consecutively the technology of personnel assessment and the motivational effects from this process are examined. The conclusion is that the bank has an effectively functioning system for human resource management and in particular a system for work performance assessment, which is indisputably a source of a basic competitive advantage in the conditions of the current deep economic crisis.

თინათინ ქურდაძე

სახელმწიფო ბიუჯეტის ზოგიერთი პრობლემის შესახებ თანამედროვე ეტაპზე

საქართველოში დღეისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება-არშესრულების საკითხი საკმაოდ აქტუალური და მწვავე პრობლემაა. იგი საინტერესო კვლევის საგანი იყო, არის და იქნება ყოველთვის როგორც თეორეტიკოსი მეცნიერების, ისე პრაქტიკოსი ეკონომისტებისათვის. ამიტომ არცთუ იშვიათია მსგავსი სტატიები წლებისა და ეკონომიკური ცვლილებების კვალდაკვალ, განსხვავებულ ჭრილში და კონტექსტში.

ეკონომიკის ამ პრობლემებიდან ერთ-ერთი სრული სიახლეა ჩვენი ქვეყნისათვის, ცნობილი - ფულის დაგრძელების ან გრძელი ფულის პროექტის სახელით. რაც იმაში მდგომარეობს, რომ შთავრების მიერ დამტკიცებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომლის მიხედვითაც, 2020 წლისათვის ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესება იგეგმება და, მაგალითად, დღეს თუ მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე 5811, 7 ლარია, 2020 წელს ის 13 ათასი ლარი უნდა გახდეს, უმუშევრობა კი 15%-დან 12%-მდე უნდა შემცირდეს. მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უფრო, გარკვეულწილად, ხვალისდღე დღეზე პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების პოლიტიკას ჰგავს. მსგავსი მოსაზრების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს დღეისათვის ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკის ზრდის ტემპები და ის ინტერვიუები, რაც პრესის ფურცლებზე ვრცელდება, რომლის მიხედვითაც თუ ვიმსჯელებთ, მსგავსი მოდულაცია მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას და ერთმანეთთან წინააღმდეგობაშიც კი მოდის. კიდევ ძალზე საინტერესოა ის, რომ ქართულ კანონმდებლობაში ტერმინი უმუშევრობა შეიცვალა ტერმინით დასაქმების მაძიებელი, როგორც ბევრ ევროპულ და დსთ-ს ქვეყნებში. ძალიან კარგი, მაგრამ სახელის შეცვლა თუ ცვლის მის შინაარსობრივ დატვირთვას კარგია, მაგრამ არც ისე დამამშვიდებელია, რადგან ევროპაშიც და რუსეთშიც ჩვენზე უკეთესი მდგომარეობა როგორც დასაქმების, ისე მოსახლეობის ცხოვრების დონის მიხედვით. ეს ისე, ლირიკული გადახვევა.

დღევანდელ პირობებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ორიენტირებულია სოციალურ-ლიბერალური ამოცანების სწორად განსაზღვრასა და აღსრულებაზე. ესაა უმთავრესი პრობლემა ჩვენი აზრით, რომ დროულად და მართლზომიერად მოხდეს მისი გადაწყვეტა და არა მისი გახანგრძლივება. ამ ამოცანებიდან უნდა გამოვეყოთ სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების ორგანიზაციული და სტაბილური სისტემის შექმნა და მისი სწორად წარმართვა. აქ იგულისხმება ძირითადად ის, რომ საბიუჯეტო პროცესმა უნდა განსაზღვროს ქვეყნის ტერიტორიაზე გაწეული ხარჯების მთლიანობა და მათი უზრუნველყოფა შესაბამისი ოდენობის საბიუჯეტო შემოსავლებით, მაგალითად, 2013 წელს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ვერ შესრულდა და დანაკლისმა 600 მილიონი ლარი შეადგინა, ასევე დააკლდა ხარჯებსაც, მაგრამ მთლიანად ყველა ძირითადი მიმართულებით ხარჯები შესრულდა იმაზე მეტად, ვიდრე 2012 წელს. ამის საპირისპიროდ, 2014 წლის იანვარში ეკონომიკური ზრდა 8%-იანი იყო, პირველი კვარტლის მონაცემებით, ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა 7%, იმედია, ეს მაჩვენებელი შენარჩუნებული იქნება მომავალშიც, წინასწარი პროგნოზის 6,3%-ის ფარგლებში მაინც, რასაც გვიდასტურებენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროების მიერ ჩატარებული წინასწარი გათვლები.

საბიუჯეტო პროცესების ერთ-ერთი ბარომეტრი ვალუტის კურსის ცვალებადობაა. ეროვნულმა ბანკმა გასულ 2013 წელს 500 მილიონ \$-ზე მეტი შეიძინა დოლარის კურსის დასარეგულირებლად, ინტერვენციის მიზ-

ნით, ხოლო წელს 2014-ში 480 მილიონი \$ გაყიდა ხელფონური აპარატურის ჩასაცხრობად, თითქოს წინასწორ-ბა შეინარჩუნა პირველი კვარტლის ბოლოს ეს პროცესები ისევ გაღრმავდა, ამიტომ 7 მაისის მე-200 ბრძანებულებით, ეროვნული ბანკი იძულებული იყო, აეღო სასაზიზო ვალდებულებები და გამოეშვა 350 მილიონ ლარის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც 6-მა კომერციულმა ბანკმა შეიძინა, საშუალო წლიური პროცენტული განაკვეთი - 4,25%, მაქსიმალური მოგება - 4,44%, საშუალო შეწონილი ღირებულება - 4,37%-ით განისაზღვრა. ბოლოს კი 60 მილიონი \$-ის ყიდვა მოუწია, რათა ლარის კურსი როგორმე გაემყარებინათ. ასე რომ, მარტო მონეტარული პოლიტიკით ეკონომიკის ზრდის ფაქტის დაფიქსირება არცთუ სახარბიელოა და დიდხანს ვერ გაგრძელდება, უნდა მოხდეს ეკონომიკის რეალური ამუშავება შეპირებული 100 საწარმოსი თუ სხვა კიდევ უამრავი რესურსის ამოქმედებით. მაშინ იქნება ბიუჯეტიც რეალური და ნაკლებად დეფიციტური. აქ შეიძლება ითქვას, რომ ბანკები დიდ მოგებას მიიღებენ, მაგრამ ბიუჯეტის დეფიციტი კვლავ გაღრმავდეს.

განვითარებულ სახელმწიფოებში როგორებიცაა აშშ, ევროპის ქვეყნები და დსთ-ში შემაჯავლი ქვეყნები, საბიუჯეტო პროცესის წარმართვისათვის იყენებენ სწორედ ბიუჯეტის შედგენის პროგრამულ-მიზნობრივ მეთოდს (პმმ), თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს მეთოდი უცილობლად შედეგს მოგვცემს, რადგანაც პირველი რიგში გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყნის ტრადიციები და სპეციფიკა. იგი სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე სხვა არსებულ მეთოდებს აღემატება თავისი შესაძლებლობებით და ეფექტიანობით. ამრიგად, ეს მეთოდი არის საბიუჯეტო სახსრების დაგეგმვისა და მართვის მეთოდი მოკლე და საშუალოვადიანი პერსპექტივისათვის ბიუჯეტური პროცესის ყველა სტადიაზე, გარდა იმ ხანგრძლივი, ანუ გრძელი ფულის პროექტისა, რაც საქართველოს ეკონომიკურ სინამდვილეში დღეისათვის მიმდინარეობს. იგი ითვალისწინებს ბიუჯეტური პროგრამების დამუშავებასა და რეალიზაციას მათი აღსრულების სპეციალური ინდიკატორების გამოყენებით, რათა შეფასდეს საბოლოო შედეგი და გაწეული ხარჯების ეფექტიანობა, რომელიც კონკრეტულ შედეგებზეა ორიენტირებული.

როგორც ცნობილია, რეალური ბიუჯეტის შედგენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს შემოსავლების ხარჯების სწორი პროგნოზირება წარმოადგენს. მაგრამ რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სწორედ პროგნოზი არ ემყარება ხშირად რეალობას. შედეგად კი ბიუჯეტში დაგეგმილი მაჩვენებლები ვერ სრულდება. უმეტეს შემთხვევაში ობიექტური, და განსაკუთრებით სუბიექტური ფაქტორების გამო, რაც ასევე საკმაოდ დიდი პრობლემაა. სწორედ ამიტომ, საჭიროა, საბიუჯეტო კანონმდებლობაში ამოქმედდეს ისეთი მუხლი, რომელიც წარმოაჩინოს პასუხისმგებელ პირებს. ეს შესაძლებელია ისევ და ისევ პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის დანერგვით, რადგან ამით რეგულირდება ყველა პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელ პირთა ვინაობა.

ჩვეულებრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებას სახელმწიფო ახდენს ვალის აღებით. არსებობს ამის ორი სახეობა – საშინაო და საგარეო ვალი. საშინაო ვალის აღებას სახელმწიფო ახდენს ფასიანი ქაღალდების – ობლიგაციების გამოშვებით, რომელსაც შეისყიდებიან ფიზიკური და იურიდიული პირები. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ითვლება დებიტორად, ხოლო ფიზიკური და იურიდიული პირი კრედიტორად. ამის დასტურია ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. სახელმწიფოს მიერ სასაზიზო ვალდებულებების აღების ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, კარგია ერთი მხრივ, ქვეყნის ფინანსური ბაზრის განვითარებისათვის, თან დაბალი საპროცენტო განაკვეთით, განსხვავებით ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდების პროცენტული განაკვეთისა, იგი ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების ინსტიტუტის დამკვიდრებას. მაგრამ, მეორე მხრივ არის საშიშროება ინფლაციური პროცესების გაღრმავებისა. რაც შეეხება საგარეო ვალს, იგი არის დავალთანება სხვა სახელმწიფოების ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართ. საერთაშორისო კრედიტის გამოყოფა ხდება ძირითადად მსოფლიო ბანკიდან, მაგრამ აქაც გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული, რადგან საქართველომ კრედიტის მისაღებად უნდა შეასრულოს ძირითადი ნაკისრი ვალდებულებები მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე, რომელსაც ზედამხედველობას უწევს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია. საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს რეკომენდაციების მოქმედებაში მოყვანას, რომლის შესაბამისადაც სსფ და მსოფლიო ბანკი იძლევა გარანტიას საერთაშორისო საკრედიტო ხაზის გაზრდის შესახებ. მთავარია, ხელისუფლებამ გაამკაცროს მიზნობრიობა ამ სახსრების განკარგვის პროცესში. მიუხედავად ყველაფრისა, არის საკმაოდ უხერხული სიტუაციები მთავრობის მიერ მსოფლიო საკუთარი კეთილდღეობისათვის გაწეული ხარჯებისა – გაზრდილი ხელფასებისა პრემიების სახით. პენსიების მომტებისთვის კი სახსრები არ არის, აი ეს არის მწარე რეალობა და კიდევ ბევრი, რაზეც შეიძლება პასუხი მოთხოვოთ მათ, ვისაც ეს ეხება. სსფ დიდ თანხებს გამოყოფს ქვეყანაში ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის. ეს მსოფლიოში ყველაზე აპრობირებული, მომგებიანი და ძლიერი დარგია. იმისათვის, რომ ქვეყანაში განვითარდეს წარმოება და ინდუსტრია, საჭიროა ამ დარგის განვითარება. ამას ხელს უწყობს ასევე საქართველოს მაღალი ენერგეტიკული, განსაკუთრებით კი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, მაგრამ ამის განხორციელება არ უნდა მოხდეს ეკოლოგიური კატასტროფის ხარჯზე, არამედ უნდა ჩატარდეს ყოველმხრივი გათვლების ხარჯზე, პროფესიულ და პატრიოტულ ნოტაზე.

ისევ მნიშვნელოვან საბიუჯეტო პრობლემად რჩება დეფიციტი. ეს საყოველთაო პრობლემაა. თუმცა იგი ყოველთვის არ მიუთითებს ქვეყნის სავალალო მდგომარეობაზე. როცა დეფიციტი მშპ-თან მიმართებაში უმნიშვნელოა, მაშინ ეს საზოგადოებისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს, თუ დიდია და სამნიშნა ციფრს აღემატება, მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლები მშპ-თან მიმართებაში და მისი დინამიკა. 2013 წელს ეკონომიკური ზრდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მოცულობით საქართველო 116-ე ადგილზეა მსოფლიოში, ნაცვლად 2012 წელს 115-ე ადგილისა. ვითომ არის პროგრესი? რის ხარჯზე? საინტერესოა, როცა იზრდება უმუშევრობა და ღრმავდება ინფლაციური პროცესები. არ მინდა ძალზე კრიტიკული ვიყო დღევანდელი მთავრობის მიმართ, მაგრამ რეალობა და წარმოჩენა სრულიად არაიდენტურია.

ასევე აქცენტი კეთდება კერძო საინვესტიციო ფონდების შექმნაზე, რაც კარგია, მაგრამ თუ სახეზეა ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა და მაღალი პროცენტები სესხებზე, ნაცვლად ახალი მთავრობის მიერ შეპირებული დაბალი საპროცენტო განაკვეთისა, მაშინ მსურველი იმისა, რომ საკუთარი სახსრები ჩაღოს არა-

კონკურენტულ გარემოში, ნაკლებია, რაზეც ფინანსთა მინისტრიც კი საუბრობს სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ. ასე რომ, გამოთქმა ჭრელი პეპელას დატვირთვით, სახეზეა, ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები. ბიუჯეტი კი ადგილზეა, ბუქსაობს. ეკონომიკური კრიზისი კი სახეზეა, გათვლები და შეპირებები ცალკე, რეალობა კი ცალკე.

დასასრულ, თანამედროვე ეტაპზე, როდესაც კარზეა მომდგარი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თარიღი, ბიუჯეტის ზოგიერთი პრობლემა მეტ აქტუალობას იძენს ყველა თვალსაზრისით. ამიტომაც საჭიროა ის, რომ ბიუჯეტის შესრულების, მისი დაგეგმვისა და პროგნოზირების პრობლემები პირდაპირ კავშირში განვიხილოთ ეკონომიკური ზრდის მსოფლიო სტანდარტებსა და მანქანებლეთან კავშირში, უფრო გლობალურად. ყველა ეს პრობლემა არა მარტო მოქმედი ეკონომისტების, არამედ მეცნიერ-ეკონომისტების კვლევის საგანიცაა, რაზეც მეტყველებს ჩვენი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციაც. ამისათვის საჭიროა მეტი აქტიურობა, ერთობლიობა, რეკომენდაციებისა და წინადადებების შეტანა სამთავრობო დონეზე, ხოლო რამდენად მოგვეცემს ეს შედეგს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვლადიმერ (ლადო) პაპავა. არატრადიციული ეკონომიქსი, თბილისი, 2011.
2. ვლადარ ისმაილოვი, ვლადიმერ (ლადო) პაპავა, ცენტრალური ევრაზია - ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2012 .
3. ვლადიმერ (ლადო) პაპავა, ნეკროეკონომიკის ზომბირება, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2010.
4. საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები.
5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მასალები 2012-2013.

Tinatin Kurdadze

ABOUT SOME PROBLEMS OF STATE BUDGET ON MODERN STAGE

Annotation

Execution of state budget in Georgia today is an important matter. In addition researching a state budget is necessary for integration process in Euro-Atlantic structures and the elections of local self-governing will be very soon, which is the basic reason for researching state budget system.

ლეილა ღუდუშაური

კომპიუტერული ბანკის ლიკვიდურობის მართვის სრულყოფის საკითხისათვის

ლიკვიდურობის¹⁴⁴ მართვა ბანკის მართვის პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ოპერატიული ამოცანაა. ლიკვიდურობის მართვის პროცესში დაშვებული შეცდომები უაღრესად სახიფათოა ბანკისთვის, ვინაიდან, ჯერ ერთი, მნიშვნელოვან დანაკარგებს იწვევს (ეს შეიძლება განპირობებული იყოს როგორც მაღალლიკვიდური არაშემოსავლიანი ან მცირეშემოსავლიანი აქტივების ზედმეტად ჭარბი მარაგების შემოსავლიანობის შემცირებით, ასევე საკმაოდ ძვირადღირებული მოკლევადიანი რესურსების ხშირი მოხიდვის გამოც) და, მეორე, ლიკვიდურობის კრიზისის შედეგად შეიძლება ბანკი იძულებული გახდეს მუშაობა დროებით შეაჩეროს (მაგალითად, ანგარიშსწორებები და ნაღდფულადი გადახდები), რაც მომავალში მისი გაკოტრების საწინდარი გახდება.

ლიკვიდურობის მართვის მეთოდებს შორის, ეფექტიანობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შემდეგი:

- **„კასრის პრინციპი“.** ამ დროს აქტივებისა და პასივების თანაფარდობის დადგენა კი არ ხდება, არამედ ყველა რესურსი, მიუხედავად მათი ვადებისა და დაბრუნების ალბათობისა, შემდგომი განთავსებისათვის ერთიანდება.

რესურსების კონტროლი და მართვა, ლიკვიდურობის პოზიციიდან გამომდინარე, ხორციელდება ლიკვიდურობის აუცილებელი ეკონომიკური ნორმატივების დაცვისა და გადახდების პოზიციების მოკლევადიანი პროგნოზების გათვალისწინებით. აღნიშნული მეთოდის მიხედვით ბანკები ლიკვიდურობის შესავსებად იყენებენ საკუთარ მაღალლიკვიდურ აქტივებს, ხოლო მათი უკმარისობის შემთხვევაში – შედარებით ძვირადღირებულ მოხიდულ რესურსებს;

- **„კონვერსიული მეთოდი“.** იგი გულისხმობს ვადების მიხედვით აქტივებისა და პასივების აუცილებელი თანაფარდობის განსაზღვრას. ამასთან, მხედველობაში მიიღება ყველა ნორმატივი, თუმცა ისინი უკვე მეორეხარისხოვან მნიშვნელობას იღებენ. ასეთი მეთოდით მომუშავე ბანკისათვის დგება ნაღდი ფულის მოძრაობის გეგმა, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს ფულად რესურსებზე მოთხოვნასა და მათი შემოდინების დინამიკას.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიკვიდურობის მართვის „კონვერსიული“ მეთოდი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მეთოდად მიიჩნეოდა, თუმცა თანამედროვე ეტაპზე მას საკმაოდ კრიტიკულად უდგებიან, სახელდობრ: ცნობილია და მათემატიკურადაც დასაბუთებულია, რომ მოთხოვ-

¹⁴⁴ ლიკვიდურობა (ლათ. **Liquidus** – თხევადი, მიმდინარე) 1. რის განაღდებაც, ფულად ქცევაზე ადვილად შეიძლება; 2. ბანკების აქტივების მობილურობა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მათი ვალდებულებისა და ფულადი მოთხოვნის შეუფერხებლად გადახდას განსაზღვრულ ვადაში. საბანკო ლიკვიდურობა განისაზღვრება აქტივებისა და პასივების შორის თანაფარდობითა და სტრუქტურით.

ნამდევ დეპოზიტების საკმაოდ მაღალი წილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც განთავსების გრძელვადიანი ბაზა. ეს გამოწვეულია იმით, რომ პრაქტიკაში ასეთი ტიპის დეპოზიტების მნიშვნელოვანი ნაწილი გარკვეული (ხშირად ხანგრძლივი) პერიოდის განმავლობაში ფაქტობრივად ბანკიდან არ გადის, თუმცა ასეთი ანგარიშების მიხედვით ბრუნვა შეიძლება საკმაოდ მაღალიც კი იყოს;

• **მათემატიკური მოდელირების მეთოდი.** იგი გულისხმობს ბანკის საქმიანობის საექსპერტო და სტატისტიკური შეფასებების საფუძველზე ლიკვიდურობის მართვის პროცესის მათემატიკური მოდელის აგებას და რეალური მონაცემების გათვალისწინებით რესურსების ნაკადების მოძრაობის პროგნოზის განხორციელებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიკვიდურობის მართვის ნებისმიერი მოდელის შექმნისას აუცილებელია ლიკვიდურობის შენარჩუნების ღირებულების გათვალისწინება და მოზიდული წყაროებით ლიკვიდურობის გარღვევების აღმოსაფხვრელი დანახარჯების მიმართ მისი თანაფარდობის განსაზღვრა, ვინაიდან ხშირად პრაქტიკაში ზოგიერთი ბანკი სრულიად გაუმართლებლად არ ახდენს კონცენტრირებას ლიკვიდურობის მართვის პროცესზე და ფინანსური რესურსების უკმარისობის შემთხვევაში შეგნებულად იყენებს მოზიდულ მოკლევადიან რესურსებს, რაც სრულიად დაუშვებელია.

ლიკვიდურობის მართვის სისტემის პრაქტიკული რეალიზაციისა და კონტროლის განხორციელებლად აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიები და ავტომატიზაციის უახლესი საშუალებანი.

ლიკვიდურობის კონტროლი შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი მონაცემების ნაკადების ანალიზის საფუძველზე:

- **საკრედიტო გეგმა** – დადებული ხელშეკრულებების მიხედვით სავარაუდო გადახდების საფუძველზე;
- **სადეპოზიტო გეგმა** – დადებული სადეპოზიტო ხელშეკრულებების მიხედვით სავარაუდო გადახდების საფუძველზე;
- **საფონდო გეგმა** – ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების გრაფიკის საფუძველზე (მაგ., ფასიანი ქაღალდების დაფარვა, დივიდენდების დარიცხვა და ა. შ.);
- **საკასო გეგმა** – კლიენტთა საკასო განაცხადებისა და გეგმების, აგრეთვე გადასაცემელი პუნქტების ლიმიტებისა და საკუთარი საკასო გეგმების საფუძველზე;
- **ბანკის საკუთარი საგადახდო გეგმა** – დამტკიცებული ბიუჯეტის, დადებული ხელშეკრულებების და ა. შ. დოკუმენტების მიხედვით;
- **საგადასახდო გეგმა** – ქვეყანაში მოქმედი საგადასახდო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების სავარაუდო გადახდების საფუძველზე;
- **საფილიალო საგადახდო გეგმა** – სათავო ბანკში გახსნილი ფილიალების ანგარიშებზე არსებული გადახდების მიხედვით;
- **საანგარიშსწორებო გეგმა** – ბანკის მიერ და ბანკისთვის გახსნილი საკორექსიონდენტო ანგარიშების მიხედვით, აგრეთვე საკლირინგო ცენტრებისა და ცენტრალური ბანკის მიერ განხორციელებული პოტენციური გადახდების საფუძველზე;
- **სტატისტიკური საგადახდო გეგმა** – გადახდების სავარაუდო გეგმის, ანუ გასული პერიოდების მონაცემთა დამუშავების საფუძველზე;
- **ვალუტის გადამცემელი ოპერაციების გეგმა** – კლიენტების განაცხადების მიხედვით დაგეგმილი საკონვერსიო ოპერაციების მიხედვით;
- **სხვა გეგმები** – კონკრეტული სამუშაოებისთვის დადგენილი ტექნოლოგიებისა და შესასრულებელი ოპერაციების სპექტრის საფუძველზე.

რაც შეეხება ლიკვიდურობის მართვის საინფორმაციო სისტემას, მან ავტომატურ რეჟიმში უნდა გადაამუშაოს მოცემული საგადახდო და საანგარიშსწორებო გეგმები და დააკმაყოფილოს მათი პროგრამულ-ტექნოლოგიური რეალიზაციის შემდეგი მოთხოვნები:

- უნდა გააანდეს დია პროგრამული ინტერფეისი მონაცემთა სხვა საინფორმაციო სისტემებიდან ავტომატური ჩატვირთვისათვის;
- უნდა ჰქონდეს მონაცემთა სტატისტიკური აღრიცხვისა და საჭირო შემთხვევაში მისი კორექტირების შესაძლებლობა;
- უნდა შეეძლოს ოპერატიულად მიაწოდოს გარკვეული პერიოდის მონაცემები. მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს სტატისტიკური ანალიზის მეთოდებისა და მონაცემთა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების საფუძველზე;
- სისტემა, საგადახდო გეგმებისა და მიმდინარე ნაშთების გათვალისწინებით, მოსალოდნელი ნაშთების გამოთვლის საშუალებას უნდა იძლეოდეს;
- დასასრულ, სისტემა უნდა ეყრდნობოდეს საპროგნოზო ამოცანების გადაწყვეტის თანამედროვე მეთოდებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიკვიდურობის პრობლემის გადაწყვეტა მიზანშეწონილია ხორციელდებოდეს მეცნიერების ორი დარგის – ეკონომიკისა და მათემატიკის მიჯნაზე. სწორედ ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებელი ამ პროცესის მაქსიმალური ეფექტის მიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლუდუშაური ლ. საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგ: თეორია და პრაქტიკა. თბ., გამომცემლობა „ინტელექტი“, 2012 (გვ. 79).
2. Аллен, Пол Х.. Рейнжиниринг банка: программа выживания и успеха. М.: Алпина Паблишер, 2002 (перевод с английского).

MODERN MODELS OF COMMERCIAL BANK LIQUIDITY MANAGEMENT

Annotation

This article examines the current management model of commercial bank liquidity. Concluded that when choosing a model of liquidity management is necessary to consider the cost of maintaining liquidity and relate them to the cost of coverage gaps in liquidity from external sources. Since, in practice, some banks do not focus quite rightly on the careful management of liquidity, and consciously used in the short-term need for external resources.

სათუნა შალამბერიძე

კონკურენცია საქართველოს საკრედიტო-საფინანსო ბაზარზე

კონკურენციის მთავარი მიზანია უპირატესობის მოპოვება ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის და მაქსიმალური მოგების მიღება უპირატესობის მიღწევის ხარჯზე. კონკურენცია არსებობს ყველგან და ყველგან. გამონაკლისი არც საქართველოს ფინანსური ბაზარია, სადაც სხვადასხვა ინსტრუმენტებისა და პროდუქტების გამოყენებით უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებები. საბანკო ბაზარზე კონკურენციას უწევს ერთმანეთს: უნივერსალური ბანკები; სპეციალიზებული ბანკები; არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები, ხოლო ბანკთა შორის კონკურენცია ხორციელდება: საკრედიტო მომსახურების ბაზარზე; საანგარიშსწორებო მომსახურების ბაზარზე; დეპოზიტური მომსახურების ბაზარზე; ახალი საბანკო მომსახურების ბაზარზე.

დეპოზიტური მომსახურების ბაზარზე კონკურენციას კომერციულ ბანკებს და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს უწევს მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით მათ ეკრძალებათ დეპოზიტების მოზიდვა. ცნობილია, რომ ბიზნესისათვის ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვერ იზიდავენ ფიზიკური და იურიდიული პირების თავისუფალ ფულად სახსრებს დეპოზიტების სახით, თუმცა შეუძლიათ ამ სახსრების შესება, რასაც აქტიურად ახორციელებენ. ისინი თამასუქების სახით უშვებენ ფასიან ქაღალდებს და პროდუქტიდან მიღებულ სახსრებს აქტიურ ოპერაციებში იყენებენ. ამგვარი მეთოდის გამოყენებით, ერთ-ერთმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ გასული წლების მონაცემებით, საქართველოში 16 კომერციულ ბანკზე დიდი მოგება აჩვენა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საკრედიტო კავშირებს შედარებით უფრო მცირე ისტორია აქვთ, ვიდრე კომერციულ ბანკებს, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში ისინი წარმოჩენილები არიან, როგორც გაცილებით უფრო სტაბილური ფინანსური დაწესებულებები, რომლებსაც აღმოაჩნდათ ფინანსური კრიზისის პირობებში უფრო მეტი მდგრადობა, ერთი მხრივ, მაღალი ლიკვიდურობის, მეორე მხრივ, გაცილებით დიდი ფინანსური გამჭვირვალობისა და წევრების საკრედიტო კავშირის საქმიანობაში მაღალი ჩართულობის გამო.

საკრედიტო კავშირების ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით საქართველოს ეროვნული ბანკი პერიოდულად განიხილავს მათთვის საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის გაზრდის საკითხს. საკრედიტო კავშირის საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის დადგენის მთავარი კრიტერიუმი არის მათი აქტივები. არ შეიძლება საკრედიტო კავშირის საწესდებო კაპიტალის შემცირება, თუ ამის შემდეგ იგი აღმოჩნდება სეზონის მიერ დადგენილი საწესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები. საკრედიტო კავშირის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი საკუთარი კაპიტალის ზრდაა.

რა სხვაობა და მსგავსებაა საბანკო ანაბარსა და საკრედიტო კავშირის ანაბარს შორის?

ანაბარი, როგორც საფინანსო ბაზარზე დაბანდების ერთ-ერთი აღიარებული საშუალება, დანაზოვის შენახვისა და დაგროვებისათვის საკმაოდ ცნობადი და მარტივი საშუალებაა. საკრედიტო კავშირის ანაბარსა და საბანკო ანაბარს შორის არ არსებობს რამე არსებითი სხვაობა გარდა იმისა, რომ საკრედიტო კავშირი გასცემს ანაბრებს მხოლოდ თავის წევრებზე, რაც თითოეულ წევრს აძლევს საშუალებას, თვითონ აკონტროლოს თავისივე ფულადი სახსრების გამოყენება, მიიღოს სისტემატური ანგარიშები თითოეულ გაცემულ სესხზე ან/და საკრედიტო კავშირის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ინვესტიციაზე მიიღოს საბანკო ანაბარზე მეტი სარგებელი.

რატომ აქვს საკრედიტო კავშირს ბანკებთან შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთები ანაბრებზე?

საკრედიტო კავშირის ბუნებიდან გამომდინარე, ის ზრუნავს მხოლოდ თავის წევრებზე, რომლებიც იმავდროულად წარმოადგენენ მეპაიეებს მაქსიმალურ სარგებელზე, განსხვავებით ბანკებისგან, როდესაც ბანკის მიერ აკუმულირებული მოგება ნაწილდება მხოლოდ აქციონერებზე/დამფუძნებლებზე. აქედან გამომდინარე, საკრედიტო კავშირებს აქვთ საშუალება, თავიანთი წევრების მომავალი მოგების წილი წინასწარ გადაანაწილონ შემოტანილ ანაბრებზე მაღალი სარგებლის დარიცხვის გზით. საკრედიტო კავშირის სარგებელი საბანკო სადეპოზიტო სარგებელზე ჩვეულებრივ 40-50%-ით, ზოგ შემთხვევებში კი 75%-ით მაღალია.

საკრედიტო კავშირს შეუძლია ჭარბი ლიკვიდურობის გათვალისწინებით განახორციელოს ინვესტიციები: ა) სახაზინო ვალდებულებებში; ბ) კომერციულ ბანკებში მოკლევადიანი დეპოზიტების სახით; გ) სხვა საკრედიტო კავშირებზე მოკლევადიანი სესხების გაცემით; დ) ასევე, ეროვნული ბანკის მიერ დაშვებულ სხვა ინვესტიციებში.

ყველა საკრედიტო კავშირი ვალდებულია, ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტი აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად.

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ლიკვიდაციის დროს მოთხოვნები, რომელთა საფუძველია გირაო, დაკმაყოფილდება შესაბამისი შეთანხმების პირობების თანახმად (გირაოს ღირებულების ფარგლებში), ხოლო ყველა სხვა კანონიერი მოთხოვნა უნდა დაიფაროს შემდეგი თანმიმდევრობით: ა) საქართველოს ეროვნული ბანკი და სხვა კრედიტორები, რომელთა მიმართაც არასაბანკო დაწესებულებას წარმოეშვა ვალდებულება საქმიანობის ლიკვიდაციის გაუქმების შემდეგ; ბ) მენაბრეები; გ) სხვა დანარჩენი მოთხოვნების არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ.

რა განსხვავება და მსგავსებაა საკრედიტო კავშირსა და ბანკს შორის?

საკრედიტო კავშირსა და კომერციულ ბანკს შორის მსგავსება ისაა, რომ ორივე სტრუქტურა არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული, მასზე (საკრედიტო კავშირზე) ვრცელდება თითქმის ყველა რეგულირება დადგენილი ფინანსური კოეფიციენტებისა და ლიმიტების სახით, რაც ვრცელდება კომერციულ ბანკებზე. თუმცა საკრედიტო კავშირები გაცილებით ლიბერალურნი არიან, რაც ბანკთან შედარებით თავისი წევრების მომსახურებაში მეტ მოქნილობასა და უპირატესობას ანიჭებს. საკრედიტო კავშირს, ისევე, როგორც ბანკს, უფლება აქვს მიიზიდოს დეპოზიტები და გასცეს სესხები, ერთი განსხვავებით, რომ საკრედიტო კავშირს სესხების გაცემა და დეპოზიტების მოზიდვა შეუძლია მხოლოდ თავის წევრებზე (მეპაიეებზე). სხვაობას ასევე წარმოადგენს ის, რომ საკრედიტო კავშირის წევრობა შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირს. ბანკებისგან განსხვავებით, საკრედიტო კავშირის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს მოგება, არამედ მოქნილობა, გამჭვირვალობა და თავის წევრებზე ზრუნვა. იმ დროს, როდესაც ბანკი ოპერირებს და ქმნის მოგებას მხოლოდ მისი დამფუძნებლებისათვის, საკრედიტო კავშირი ზრუნავს თითოეული მისი წევრის მაქსიმალურ სარგებელზე, იქნება ეს მსესხებელი თუ მენაბრე.

რა უპირატესობები აქვს საკრედიტო კავშირს ბანკთან შედარებით?

საკრედიტო კავშირის ძირითადი უპირატესობა არის მის წევრებზე ბანკთან შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთი, რადგან საკრედიტო კავშირი მომავალი მოგების დიდ წილს წინასწარ უნაწილებს თავის წევრებს.

ბანკის მიმართ საკრედიტო კავშირის ძირითად უპირატესობას წარმოადგენს ოპერაციების სიმარტივე, ანაბრის მიღებისა და სესხის გაცემის გამჭვირვალობა, გადაწყვეტილების მიღებაში თითოეული წევრის მონაწილეობის შესაძლებლობა, კავშირის წევრებზე ორიენტირებული ოჯახური გარემო, კავშირის საერთო მიზნების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მიღების საშუალება. საკრედიტო კავშირი მის წევრებს აძლევს საშუალებას, მიიღონ მონაწილეობა კავშირის მიერ განხორციელებულ საზოგადოებრივ საქმიანობაში, იქნება ეს საქველმოქმედო პროგრამები, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა.

წარმოგიდგინათ, რომ თქვენ, როგორც მენაბრეს მოგეცეთ საშუალება, თვითონ მართოთ თქვენივე ანაბარი, გკონდეთ საკრედიტო კომიტეტში მონაწილეობის უფლება, მიიღოთ შიდა ინფორმაცია ფინანსური სტრუქტურის საქმიანობაზე? ამ ყველაფრის შესაძლებლობას გაძლევთ საკრედიტო კავშირის წევრობა.

რა სისუსტეებები აქვს საკრედიტო კავშირს ბანკთან შედარებით?

საკრედიტო კავშირს არ გააჩნია კლიენტების მიმდინარე ანგარიშები, კავშირში შემოსული ყველა ანაბარი დეპონირდება კავშირის საბანკო ანგარიშზე წევრის სახელის მითითებით. საკრედიტო კავშირის წევრობა შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირს. საკრედიტო კავშირებს საქართველოში გააჩნია გაცილებით უფრო მოკლე ისტორია და მწირი გამოცდილება და, აქედან გამომდინარე, საკრედიტო კავშირების ცნობადობა ბანკებთან შედარებით დაბალია. კომერციული ბანკები ემსახურებიან როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებს მაშინ, როდესაც საკრედიტო კავშირი შექმნილია მხოლოდ ფიზიკური პირების მიერ, სხვაგვარად საკრედიტო კავშირი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ფიზიკური პირების საბანკო დაწესებულება.

რამეს ხომ არ ავალდებულებს საკრედიტო კავშირის წევრობა და ხომ არ არსებობს რამე პასუხისმგებლობა საკრედიტო კავშირის საქმიანობაზე?

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) მსგავსად, საკრედიტო კავშირის წევრის პასუხისმგებლობა გამოიხატება მხოლოდ მისი საწევრო შენატანით, რომლის ოდენობაა 50 ლარი. რამე სხვა სახის პასუხისმგებლობა ან/და ვალდებულება ან კავშირის სხვა წევრების, ან მესამე პირების მიმართ არ არსებობს. ანუ, თუ კრიზისის, ომის ან სხვა სუბიექტური ან ობიექტური მიზეზის გამო საკრედიტო კავშირის შექმნება პრობლემაა, წევრი შეზღუდულად, თავისი გადახდით 50-ლარიანი საწევრო გადასახადით აგებს პასუხს მესამე პირების წინაშე (არანაირი პირადი ქონებით, ან რამე დანახოვით და ა.შ.).

რა სხვაობაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და საკრედიტო კავშირებს შორის? მიკროსაფინანსო ორგანიზაციები წარმოადგენენ არალიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომელთა რეგულირება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცილებით მცირეა, ვიდრე ლიცენზირებული საკრედიტო კავშირებისა, რომელთა მიმართაც ეროვნულ ბანკს აქვს რეგულირების მკაცრი ნორმები ფინანსური კოეფიციენტებისა და ლიმიტების სახით. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კანონით ეკრძალებათ 50,000 (100,000) ლარზე მეტი სესხის ერთ მსესხებელზე გაცემა, მაშინ, როდესაც საკრედიტო კავშირებზე ასეთი შეზღუდვა არ არსებობს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ანაბრებისა და დეპოზიტების მოზიდვა, საკრედიტო კავშირებს საქართველოს კანონის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების შესახებ შეუძლიათ თავიანთი წევრებისგან დეპოზიტებისა და ანაბრების მოზიდვა. ძირითად და უპირატეს განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ საკრედიტო კავშირის დეპოზიტარი და მსესხებელიც იმავდროულად არის საკრედიტო კავშირის წევრი, მეპაიე, რომელსაც შეუძლია კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

ბანკებისა და სხვა საფინანსო ორგანიზაციების დამფუძნებლები ადამიანთა და ორგანიზაციათა შეზღუდული წრეა, შესაბამისად მათი საქმიანობის ძირითადი მიზანი კლიენტებისათვის მომსახურების ფართო სპექტრის შეთავაზებით, შეზღუდული წრისათვის მაქსიმალური მოგების მიღებაა, ხოლო საკრედიტო კავშირის ყოველი წევრი (კლიენტი) მისი დამფუძნებელია, შესაბამისად საკრედიტო კავშირი ცდილობს, მიღებული

შემოსავლებით მოგება მაქსიმალურად კი არ გაზარდოს, არამედ მის დამფუძნებლებს მოახმაროს მიმდინარე ანაბრებსა და ვადიან დეპოზიტებზე შემოტანილ თანხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთების შეთავაზებით. იგი არ მიისწრაფვის წევრებიდან მიღებულ ანაბრებზე და გაცემულ სესხებზე დაწესებულ საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობის გაზრდისაკენ. საქმიანობის წარმართვის ასეთი მიდგომები ხელს არ უშლის ორგანიზაციას განვითარებისათვის საჭირო მოგების მიღებაში, რაც საკუთარი კაპიტალის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სწორედ აღნიშნული განაპირობებს საკრედიტო კავშირის მოგებაზე არაორიენტირებულობას. სწორედ ეს განასხვავებს საკრედიტო კავშირს ბანკის, ლომბარდის თუ სხვა საფინანსო სტრუქტურისაგან.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა საქმიანობა, ჩვეულებრივ, დაბალი რისკ-ფაქტორებით, პორტფელის მაღალი ხარისხით, ზრდის სტაბილური ინდიკატორებით ხასიათდება. მართალია, ამ ორგანიზაციებს არ აქვთ ისეთი დიდი ფინანსური შესაძლებლობები, როგორც ბანკებს, მაგრამ ისინი მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაში მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, მათი შეზღუდული რესურსების მიუხედავად, კრედიტებს ყოველთვის მყარი უზრუნველყოფითა და მაღალი საპროცენტო განაკვეთით გაცემენ. აქედან გამომდინარე, კრიზისის პირობებში, როდესაც ქართულმა ბანკებმა სესხებისა და კრედიტების გაცემა პრაქტიკულად შეაჩერეს და ბანკების საკრედიტო განყოფილებების თანამშრომლების დიდი ნაწილი შეამცირეს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელები უფრო დაზღვეული აღმოჩნდა, შესაბამისად, ფინანსური კრიზისი მიკროსაფინანსოების მდგომარეობაზე ნაკლებად აისახა.

საქართველოში კომერციული ბანკების 90-95% დამწყები ბიზნესმენებისთვის ბიზნეს-კრედიტს არ გაცემენ და თუ გაცემენ, მხოლოდ არსებული ბიზნესის განსავითარებლად – ბიზნესკრედიტის გაცემის ერთ-ერთ პირობას ბიზნეს-საქმიანობის მინიმუმ რამდენიმეთვიანი ისტორია წარმოადგენს. მცირე მეწარმეების ბიზნესბრუნვა მცირეა და ითხოვენ მცირე თანხებს. ასეთ შემთხვევებში, მათ ბანკში სესხის აღება ძალიან მაღალ პროცენტში უწევთ, რადგან, როდესაც ბანკიდან მცირე თანხას იღებ, საპროცენტო განაკვეთი მაღალია. სწორედ ამიტომ, ბიზნესი საბანკო სექტორს საკრედიტო პოლიტიკის მოუქნელობაში აღანაშაულებს. გარდა ამისა, ეკონომიკის ექსპერტებიც თანხმდებიან, რომ ქვეყანაში მეწარმეობის სუსტი განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ბანკების მიერ დამწყები ბიზნესმენების დაკრედიტების არარსებობაა.

ამრიგად, საფინანსო ბაზარზე ძირითადად გამოიკვეთა კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია, მათი საპროცენტო განაკვეთი მაინც მნიშვნელოვნად აღემატება საბანკო სექტორის საპროცენტო განაკვეთებს. თუმცა, მომხმარებელი მათ მაინც დიდი რაოდენობით ჰყავთ. ექსპერტთა განმარტებით, ამ ბაზარზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საკუთარი ფულის უქონლობაა, ამიტომ ისინი ფინანსებს საერთაშორისო ფონდებიდან, გრანტებიდან ან მიზნობრივი პროგრამებიდან იზიდავენ. მაგრამ რაკი საქართველოში ასეთი ფონდები პრაქტიკულად არ არსებობს, ეს ორგანიზაციები საბრუნავ თანხას ბანკებიდან კრედიტის სახით იღებენ და შემდეგ ასევე კრედიტად გაცემენ. საკითხის შესწავლამ გვაჩვენა, რომ, საქართველოში ბანკიდან სესხის აღება გართულებულია. მომხმარებელი იძულებულია, სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებს მიმართოს და ბანკთან შედარებით ბევრად მაღალი საპროცენტო განაკვეთი გადაიხადოს.

Khatuna Shalamberidze

COMPETITION IN THE CREDIT-FINANCIAL MARKET OF GEORGIA Annotation

The main goal of the competition is to gain preference between economic agents working in the same market and gain maximum profit at expenses of successfulness. Competition is everywhere and in everything. Georgian financial market doesn't make an exception either; banks, microfinance organizations, credit unions and other credit-financial establishments try to gain preference by using different instruments and products.

On deposit service market microfinance organizations competes with banks, and non-bank deposit establishments, despite that they are forbidden to attract deposits under the legislation. In the financial market there is arisen the tendency to the reduction of interest rate to credits, but their interest rate are still higher than the rates of the bank sectors. Though, they have many clients. According to experts, one of the reasons of high interest rate in the market is the absence of own money. So they attract funds from international foundations, grants or target programs. But as there is no such kind of foundations in Georgia, the organizations take credits from banks and than they issue them as credits. Studying of the question showed us that taking the loan from Georgian banks is complicated. The client is forced to apply different financial organization and pay higher interest rate than in the bank.

ლავერენტი ჭუმბურიძე

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით რეგულირების მოქმედები და ბანკითარების ტენდენციები

კონკურენციისა და ფასწარმოქმნის საბაზრო მექანიზმების პირობებში ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირება არსებითად დამოკიდებულია მისი მართვის ორგანიზაციის ღონისძიება და სტრუქტურაზე. მართვის ფუნქციებისა და მეთოდების ოპტიმალურ რეალიზაციაზე, გარე მომხმარებელთათვის მიწოდებული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის გამჭვირვალობისა და **სანდოობის ხარისხზე**, რომლის უზრუნველყოფა მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს სრულყოფილ **რეგულაციას**.

ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში, თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობა ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია **კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების** ფაქტორი. ამ პროცესების მართვა კი შეუძლებელია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების

სისტემის რეგულირების საერთო წესებისა და პარამონიზაციის გარეშე. ამიტომ არის, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემის რეგულირების თავისებურებისა და რეგლამენტაციის ხარისხის მიუხედავად, ეყრდნობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (**ფასს**) და თითოეული ქვეყნის რეგულირების სისტემა მეტ-ნაკლებად ამ სტანდარტებთან არის დაკავშირებული.

საქართველოში ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხანმოკლე პერიოდში, მიუხედავად ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების რეგულირების სფეროში განხორციელებული რეფორმისა, რომელიც უკავშირდება რეგულირების საერთაშორისო გამოცდილების ელემენტების დამკვიდრებას (როგორცაა რეგულირების სამართლებრივი ბაზის შექმნა, საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღება), ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების რეგულირების პრობლემები სათანადოდ არ არის შესწავლილი.

შესაბამისად, მიზანშეწონილია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გა- მოცდილების შესწავლა, რაც სათანადოდ ანალიზის საფუძველზე, საშუალებას მოგვცემს შევიშოთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების რე- გულირების ყველაზე რეალური და დასაბუთებული მიმართულებები, დავსახოთ რეფორმის განხორციელების კონკრეტული ღონისძიებები, რათა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების (შემდეგ – ბუღალტრული აღრიცხვის) რეგულირების სისტემა სრულად პასუხობდეს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.

ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების მოდელები. ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების მსოფლიო პრაქტიკა სხვადასხვა მოდელებს იცნობს. ბუღალტრული აღრიცხვის მოდელები და სისტემები იქმნება გარკვეული მიზნების მისაღწევად და მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის კულტურასა და ისტორიასთან. სხვადასხვა ქვეყნის ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების ისტორიის გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს გავივით ბუღალტრული აღრიცხვის რა პრობლემები წყდება ამა თუ იმ ქვეყანაში, რატომ განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნის ბუღალტრული აღრიცხვის მოდელები ერთმანეთისგან.

თანამედროვე ეპოქაში ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სისტემები განიცდის გლობალური ინსტიტუციური გარემოს გავლენას. არცთუ იშვიათია ისეთი სიტუაცია, როდესაც ზოგიერთ ქვეყანაში ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილება პირდაპირ ან არაპირდაპირ ზემოქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე, მათ შორის, ცვლილებებს იწვევს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის შინაარსზე. თუ განვიხილავთ რომელიმე რეგიონს, სადაც ყველა ქვეყანა ეკონომიკურად არის ინტეგრირებული, მაშინ ცხადი ხდება, რომ გარდაუვალია სხვადასხვა სისტემების დაახლოება და ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ერთიანი სისტემის შექმნა.

სხვადასხვა ქვეყანაში ბუღალტრული ინფორმაციის ფორმირებას შეიძლება განაპირობებდეს დაინტერესებულ მხარეთა განსხვავებული მოთხოვნები. შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა შეიძლება განსხვავებული ამოცანების გადაჭრაზე იყოს ორიენტირებული. როგორც წესი, რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, მით უფრო რთულია ამ ქვეყნის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა, ვინაიდან ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში შეუძლებელია მომხმარებელთა საინფორმაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დამატებითი, უფრო მრავალფეროვანი და სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდების გარეშე. ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მსოფლიო პრაქტიკაში, ძირითადად, ცნობილია ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების შემდეგი მოდელები (იხ. ნახ. 1.).

რეგულირების მოდელები	განმასხვავებელი ნიშნები
1. მიკროეკონომიკური	ორიენტაცია ინვესტორების, კრედიტორებისა და აქციონერების ინტერესებზე.
2. მაკროეკონომიკური	სააღრიცხვო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან.
3. ლათინამერიკული	ორიენტაცია სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის მოთხოვნილებებზე.
4. ისლამური	დომინირებს რელიგიური ფაქტორი, კრძალავს სპეკულაციურ შემოსავლებსა და სხვადასხვა საკმიანობებს.
5. საერთაშორისო	ორიენტაცია ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და საერთაშორისო სავალუტო ბაზრის უცხოურ მონაწილეებზე.

ნახ. 1. ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების მოდელების ნუსხა

განვიხილოთ რეგულირების თითოეული მოდელი.

1. მიკროეკონომიკური (ანგლოამერიკული) მოდელი. იმ ქვეყნებში, სადაც მიღებულია მართვის მიკროეკონომიკური მიდგომა, ბუღალტრული აღრიცხვა წარმოდგენილია ეკონომიკური ცოდნისა და სამეწარმეო საქმიანობის მართვის დამოუკიდებელი დარგის სახით. ამ მოდელს საფუძვლად უდევს საწარმოს მიერ დაბანდებული **კაპიტალის ფიზიკური შენარჩუნების კონცეფცია** და ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა ამ მიზანს ემსახურება. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია ხორციელდება პრაგმატული რეგლამენტაციის პოზიციიდან – უტყუარი და ზუსტი ინფორმაციის მიღება უზრუნველყოფილია ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების საფუძველზე. ვინაიდან ბუღალტრული აღრიცხვის **რეგულირება არ ხდება სახელმწიფო ორგანოების მიერ**, აღრიცხვის სისტემა დამოკიდებული არ არის საგადასახადო კანონმდებლობაზე. აღრიცხვის ამ კონცეფციას შეიძლება გუწოდოთ მესაკუთრული ან სამეწარმეო კონცეფცია, რომელიც აღმოცენდა ინგლისსა და აშშ-ში და ცნობილია **ანგლოამერიკული** სისტემის სახელწოდებით. მისი მთავარი **თავისებურებაა** – ნებისმიერი ფინანსური ანგარიშგება უნდა შეესაბამებოდეს მესაკუთრეთა ინტერესებს. კონცეფციის ღირსებაა მისი რეალის-

ტურობა. იგი ეყრდნობა არა კანონის „მკვდარ“ ფრაზებს, არამედ ითვალისწინებს კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციებს, რადგან ამ კონცეფციის არსი სამეურნეო ცხოვრების ფაქტების უტყუარი და სწორი ასახვის მოთხოვნილებაა.

2. მაკროეკონომიკური (კონტინენტალურ-ევროპული). მართვის მაკრო-ეკონომიკური მოდელის მქონე ქვეყნებში ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკასთან, რადგან სახელმწიფო ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების მეშვეობით გავლენას ახდენს საწარმოს მანეჯმენტულ ფორმირებაზე.


მაკროეკონომიკური მოდელის მქონე ქვეყნებში ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის რეგულირება მნიშვნელოვნად რეგლამენტირდება სახელმწიფოს ორგანოების მიერ, ამიტომ ყველა საწარმოში აღრიცხვის წარმოება ერთნაირად ხდება და ემსახურება სახელმწიფო მართვისა და კონტროლის ფუნქციებს. აღრიცხვის ეს სისტემა ჩამოყალიბდა და გავრცელებულია ევროპის კონტინენტის ქვეყნებში და ამიტომ მას უწოდებენ **კონტინენტალურ-ევროპულ სისტემას**. ამ სისტემაშიც შეიძლება გამოიყოს ქვეყნების ორი ჯგუფი.

პირველ ჯგუფში შედიან ქვეყნები, სადაც სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების მისაღწევად ბიზნესზე ზემოქმედებას ახდენს **საგადასახადო კანონმდებლობის** მეშვეობით. ეს ქვეყნებია: საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ბელგია და სხვ.

მეორე ჯგუფში შედიან ის ქვეყნები, სადაც სახელმწიფო ეკონომიკურ სუბიექტებზე ზემოქმედებას ახდენს ბიზნესის მარეგულირებელ კანონთა სისტემის საშუალებით. ეს ქვეყნებია, ძირითადად, გერმანია, შვეცია და სხვ.

სხვა დანარჩენ ქვეყნებში ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები წარმოადგენს ანგლოამერიკულის და კონტინენტალურ-ევროპული სააღრიცხვო **კონცეფციის ნახაფს**. ამ ქვეყნებში გავრცელებული პრაქტიკით, ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა რეგულირდება საკანონმდებლო აქტებით (როგორცაა: კანონი კომპანიების შესახებ, კანონი ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ, სავაჭრო კოდექსი და სხვა), რომლებიც იურიდიულად აკანონებს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს და მათთან ერთად მოქმედებს პროფესიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სტანდარტები და რეკომენდაციები. ამგვარი პრაქტიკა ამდღერებს საკანონმდებლო დოკუმენტების დებულებებს და ხელს უწყობს ბუღალტრული აღრიცხვის **თეორიისა და პრაქტიკის** განვითარებას. ამან განაპირობა ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში ადგილი აქვს ანგლოამერიკული სისტემის გავრცელებასა და დანერგვას კონტინენტური ევროპის ქვეყნებში. ამდენად, ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხვის კონტინენტალურ სისტემაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური მოდელების კლასიფიკაცია სქემატურად წარმოდგენილია **ნახ.2-ში**.



ნახ. 2. რეგულირების მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური მოდელების კლასიფიკაცია

3. ლათინოამერიკული მოდელი. ეს მოდელი გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: ბრაზილია, არგენტინა, ჩილე, პერუ და სხვა ქვეყნები, რომელთათვისაც დამახასიათებელია ინფლაციის მაღალი ტემპები და ბუღალტრული აღრიცხვის მრავალი ასპექტის სახელმწიფო რეგულირება. ამ მოდელის თავისებურება იმაში

მდგომარეობს, რომ ის აშკარად ორიენტირებულია სახელმწიფოს და, უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო საჭიროებებზე. ამ მოდელის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ანგარიშგების უნიფიცირების მაღალი დონე და შედარებითი სიმარტივე. ასევე დამახასიათებელია ინფლაციის აღრიცხვის განვითარებული მექანიზმები.

4. ისლამური მოდელი. ისლამური ბუღალტრული აღრიცხვის ნორმატიული რეგულირება სხვა მოდელებისგან იმით განსხვავდება, რომ მასში დომინირებს რელიგიური ფაქტორი, რომელიც ემსახურება ყურანში ჩადებული ადამიანური ფასეულობების სისტემის გადრეკილვას და განვითარებას. ზემოაღნიშნული ეკონომიკური დოქტრინა ადამიანის ეკონომიკურ სტრატეგიას ასაბუთებს მორალური პოზიციიდან, რომლის მიზანია სამართლიანი წონასწორობის მიღწევა ადამიანის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს შორის. ეკონომიკური თვალსაზრისით, ამ მოდელის მთავარი ელემენტია სპეკულაციური შემოსავლისა და სხვადასხვა საქმიანობების აკრძალვა.

5. საერთაშორისო მოდელი. საერთაშორისო მოდელის ფორმირება ხდება თანამედროვე ეტაპზე რეგულირების არსებული სისტემების უნიფიკაციით. საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური კავშირების აქტიური განვითარება, საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის ტრანსნაციონალური ნაკადების ზრდა წარმოქმნის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო მოდელის განვითარების ობიექტურ აუცილებლობას, რომელიც უზრუნველყოფდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური ანგარიშგების მონაცემების შესადარისობას. როგორც ცნობილია, ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ფორმირების **განსხვავებული მიდგომების არსებობა** ართულებს ეროვნული კომპანიების "ურთიერთობას" საერთაშორისო ბაზარზე. აღრიცხვის პრინციპების უნიფიცირება საერთაშორისო მასშტაბით, რის აუცილებლობაც გვკარნახობს ტრანსნაციონალური კომპანიების რიცხვის ზრდა და საერთაშორისო სავალუტო ბაზრის განვითარება, ხელს შეუწყობს ინვესტირების, მთავრობების, საფინანსო დაწესებულებების, კომერციული სტრუქტურებისა და, ზოგადად, მთელი საქმიანი სამყაროს მზარდი საინფორმაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

სხვადასხვა ქვეყნების ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების **უნიფიკაციის პროცესი**, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშგებისა და ამა თუ იმ კომპანიის რეალური ეკონომიკური სიტუაციის გამჭვირვალობას, ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, მიიღონ ეფექტიანი ეკონომიკური გადაწყვეტილებები.

ამრიგად, ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების მოდელის შესახებ არსებული წყაროების ანალიზი გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ დასკვნა, რომ:

1. განვითარებულ ქვეყნებში, ძირითადად, გამოიყენება ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების ანგლამერიკული და კონტინენტალურ-ევროპული მოდელები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოდელები ერთმანეთისაგან განსხვავებულია რეგლამენტაციის ხარისხით, ორივე მოდელი **ეყრდნობა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს**;

2. საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური კავშირების აქტიური განვითარების პირობებში, მთელი საქმიანი სამყაროს მზარდი საინფორმაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, **შეუქცევადი პროცესი მიმდინარეობს** ბუღალტრული აღრიცხვის არსებული მოდელების უნიფიკაციის მიმართულებით, რომლის გათვალისწინება აუცილებელია **ჩვენ ქვეყანაში** ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ბასს) და ინტერპრეტაციების ჩათვლით, საქართველოს ბაფი თბ., 2011.
2. „ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის რეგულირება – გამოცდილება, რეალობა, პერსპექტივა“ – საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები, საქართველოს ბაფი თბ., 2010.
3. <http://www.ifac.org/>; უკანასკნელად გადამოწმდა 23.04.2014.
4. Грицищен, Д.А. Регулирование бухгалтерского учета в мусульманских странах // Международный бухгалтерский учет., № 15, 2011 (с. 57).
5. Жарикова, Л.А. Бухгалтерский учет и отчетность в зарубежных странах: учеб. пособие / Жарикова Л.А., Тамбов: Изд-во Тамб. гос. техн. ун-та, 2008 (с. 160).
6. Шигун, М.М. Проблемы классификации систем бухгалтерского учета // Международный бухгалтерский учет., № 11, 2011 (с. 37).

Lavrenti Tchumburidze

INTERNATIONAL STANDARDS REGULATION MODELS OF ACCOUNTING AND DEVELOPMENT TENDENCIES Annotation

Along with the favorable factors for economic development and overcoming poverty, it is important to have the same favorable factors for free movement of capital around the world. This process needs application of recognized international regulations for accounting and financial reporting systems. Despite various accounting and financial reporting regulation systems and regulation quality, countries all over the world apply the International Financial Reporting Standards (IFRS) and more or less the regulation system of those countries is connected to these standards. To meet the business world's increasing informational requirements there is the irreversible trend of unification of present models of accounting. This trend ought to be applied in the accounting regulation sphere in our country.

საჯარო ფინანსებისა და რისკების მართვის აპტალური საბიუჯეტო

ფინანსური პოლიტიკა ფინანსური ურთიერთობის სფეროში სახელმწიფოს საქმიანობის დამოუკიდებელ სფეროს წარმოადგენს. აღნიშნული საქმიანობა ამა თუ იმ სახეობის სახელმწიფო პროგრამის ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეალიზაციის შესაბამისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაზე მიმართულია.

პოლიტიკა, პოლიტიკური ზემოქმედება, პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაიყვანება სამ ძირითად ელემენტზე:

1. მთავარი მიზნების განსაზღვრა, დასახვა, პერსპექტიული და უახლესი ამოცანების კონკრეტიზაცია, რომლებიც საზოგადოების ცხოვრების გარკვეულ პერიოდში დასახული მიზნების მიღწევის მიზნით უნდა იქნეს გადაწყვეტილი;
2. ურთიერთობების ორგანიზების მეთოდების, საშუალებებისა და კონკრეტული ფორმების შემუშავება, რომელთა მეშვეობით მოცემული მიზნების განხორციელება უმოკლეს ვადებში მიიღწევა, ხოლო უახლესი და პერსპექტიული ამოცანების გადაწყვეტა ოპტიმალური სახით წყდება.

3. დასმული ამოცანების გადაწყვეტის შემსრულებელი კადრების შერჩევა და განაწილების ორგანიზება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური პოლიტიკა არის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, რომელთა გადაწყვეტაზე მიმართული საზოგადოებრივი სიმდიდრის ფორმირების, განაწილებისა და გადანაწილების პროცესი, რომ უწყვეტი კლავარმოების პროცესისა და კლავარმოების ცალკეული კონკრეტული მოთხოვნის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა იქნეს დაკავშირებული.

ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ღონისძიებების ერთობლიობით ხორციელდება, რაც ფინანსური რესურსების რეალიზაციაზე, სახელმწიფოს მიერ მისი ფუნქციების გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი პროგრამების შესრულების მიზნით, მათ განაწილებასა და გადანაწილებასაზე მიმართულია. აღნიშნულ ღონისძიებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ფინანსური ურთიერთობების ფორმებისა და ნორმების სამართლებრივ რეგლამენტაციას ეკუთვნის.

ფინანსური პოლიტიკა თავისთავად არ შეიძლება ცუდი ან კარგი იყოს. მისი შეფასება იმის შესაბამისად ხორციელდება, თუ საზოგადოებრივ ინტერესებს (ან მის გარკვეულ ნაწილს) რამდენად შეესაბამება და დასმული მიზნების მიღწევასა და კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას რამდენად უწყობს ხელს.

ფინანსური პოლიტიკის შედეგიანობა იმდენადაა მაღალი, რამდენადაც მეტად ითვალისწინებს იგი საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებს, კონკრეტულ ისტორიულ პირობებს და, განსაკუთრებით, საზოგადოების ყველა ფენისა და ჯგუფის ცხოვრების ინტერესებს.

ფინანსური პოლიტიკა ფინანსური რესურსების მაქსიმალურად შესაძლო მოცულობის ფორმირებაზე უნდა იქნეს მიმართული, რადგანაც ის ნებისმიერი გარდაქმნის მატერიალურ ბაზას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ფინანსური პოლიტიკის განსაზღვრისა და ფორმირებისათვის საჭიროა სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ უტყუარი ინფორმაცია. სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ფინანსური სტატისტიკის მანუვრები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფართო საზოგადოებისათვის; ასევე, ფინანსური ანგარიშგება რეგულარული, თავისდროული, ხელმისაწვდომი და, რაც მთავარია, უტყუარი უნდა იყოს.

ფინანსური პოლიტიკის შინაარსი, მისი მთავარი მიმართულება დამოკიდებულია სახელმწიფოს საზოგადოებრივი განვითარების დონეზე და შესაბამის თეორიულ კონცეფციებზე, რომლებიც სახელმწიფოს ეკონომიკის მართვაში მონაწილეობის ხარისხისა და ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციის ცალკეული ინსტრუმენტის, ანუ ფინანსური ურთიერთობების ორგანიზაციის კონკრეტული ფორმების გამოყენებას განსაზღვრავს.

ამასთან, სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის წარმართვის პროცესში აქტუალურია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, სწორხაზოვანი და მიზანმიმართული სახელმწიფო შიდა კონტროლის პროცედურების დანერგვის აუცილებლობაც.

სახელმწიფო შიდა კონტროლი მოიცავს 5 ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს:

კონტროლის გარემოს; რისკის მართვას; კონტროლის ღონისძიებებს; ინფორმაცია და კომუნიკაციას; სისტემის მონიტორინგსა და შეფასებას.

კონტროლის გარემო ქმნის დაწესებულების ძირითადი მიზნების მიღწევის საფუძვლიან გარანტიას. ამასთან, სწორედ მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები არის ეფექტური შიდა კონტროლის პროცესების წარმართვის წინაპირობა. კონტროლის გარემო სრულყოფილი შიდა კონტროლის სისტემის საფუძველია. იგი ითვალისწინებს დისციპლინას და დაწესებულების სათანადო ორგანიზაციულ სტრუქტურას, აგრეთვე, კლიმატს, რომელიც ზეგავლენას ახდენს შიდა კონტროლის საერთო ხარისხზე. კონტროლის გარემო ზეგავლენას ახდენს ასევე სტრატეგიებისა და მიზნების ჩამოყალიბების პროცესსა და შიდა კონტროლის საქმიანობის სტრუქტურირებაზე.

როდესაც დაწესებულებას მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული მიზნები და შექმნილი აქვს ეფექტური კონტროლის გარემო, რისკების შეფასება, რომელიც ხორციელდება დაწესებულებაში, ქმნის შესაბამისი რისკის საპასუხო ღონისძიებების შემუშავების ეფექტურ საფუძველს.

რისკების შემცირების მთავარი სტრატეგია გამომდინარეობს კონტროლის ღონისძიებებიდან. კონტროლის ღონისძიებები შეიძლება იყოს პრევენციული და შემდგომში, ე.წ. „აღმოჩენი“ ხასიათის. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განხორციელებული ქმედებები არის შიდა კონტროლის ქმედებებისათვის საჭირო დამატება დასახული მიზნების მისაღწევად. კონტროლის საქმიანობამ და ხარვეზის აღმოსაფხვრელად განხორციელებულმა ქმედებებმა უნდა უზრუნველყოს გაწეული ხარჯისა და ხარისხის ურთიერთკავშირი. გაწეული ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს მიღებულ ხარვეზებს.

ეფექტურ ინფორმაციათა გაცვლასა და კომუნიკაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დაწესებულების ქმედუნარიანობისა და მასში მიმდინარე ოპერაციების კონტროლისათვის. დაწესებულების ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს დროული, სრული, საიმედო და ზუსტი კომუნიკაციით (ინფორმაციით). ინფორმაცია აუცილებელია მთლიანად დაწესებულებისათვის დასახული მიზნების მისაღწევად.

იქიდან გამომდინარე, რომ კონტროლი არის დინამიკური პროცესი, რომლის ფორმაც რისკთან და დაწესებულებაში მიმდინარე ცვლილებებთან მიმართებაში მუდმივად შეიცვლება შეიცვალოს, შიდა კონტროლის სისტემის მონიტორინგი საჭიროა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შეცვლილ მიზნებთან, გარემოსთან, რესურსებსა და რისკებთან მიმართებაში შიდა კონტროლის სრულყოფილი ფორმის შენარჩუნება.

ეს კომპონენტები განსაზღვრავს სახელმწიფო სტრუქტურაში არსებულ შიდა კონტროლთან რეკომენდებულ მიდგომას და ქმნის საფუძვლებს, რომელთა საშუალებითაც შეიძლება შეფასდეს შიდა კონტროლი. აღნიშნული კომპონენტები გამოიყენება დაწესებულების ნებისმიერ ოპერაციასთან მიმართებაში.

აღნიშნული ელემენტები ქმნიან ძირითად ჩარჩოს მათი იმპლემენტაციის შემთხვევაში ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია დაწესებულების პოლიტიკის, მასში წარმოებული პროცედურებისა და პრაქტიკის დანერგვისათვის, რაც უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების ოპერაციებს და წარმოადგენდეს ამ ოპერაციების მილიან ნაწილს.

არსებობს პირდაპირი ურთიერთკავშირი მთავარ მიზნებსა და შიდა კონტროლის კომპონენტებს შორის, რომელიც მიუთითებს, თუ რა გზები უნდა განვიხილოთ დაწესებულებამ დასახული მიზნების მისაღწევად. მათი ურთიერთკავშირი შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს კუბის ფორმის სამგანზომილებიან მატრიცაში, რომელსაც გააჩნია ვერტიკალური და ჰორიზონტალური რიგები, ასევე, მესამე განზომილება.

ოთხი მთავარი მიზანი – ანგარიშვალდებულება (და ანგარიშგება), შესაბამისობა (მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ წესებთან), ოპერაციები (ეთიკური, გეონომიკური, ეფექტური და ეფექტიანი) და რესურსები – მოცემულია ვერტიკალურ რიგში, შიდა კონტროლის ხუთი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი – ჰორიზონტალურ რიგში, ხოლო დაწესებულებები და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფები (ერთეულები) მატრიცის მესამე განზომილებაშია მოთავსებული.

თითოეული კომპონენტი კვეთს ოთხივე მთავარ მიზანს. მაგალითად, ფინანსური და არაფინანსური მონაცემები გამომდინარეობს შიდა და გარე რესურსებიდან, რომლებიც მიეკუთვნება ინფორმაციის და კომუნიკაციის კომპონენტს. ისინი საჭიროა, რათა მოხდეს ოპერაციების მართვა, ანგარიშგება, ანგარიშვალდებულების მიზნების შესრულება და კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

ვთქვათ, მაგალითი შეეხება დაწესებულების სტრუქტურულ ქვედანაყოფს:

ვერტიკალური სვეტი:

ანგარიშვალდებულება;

შესაბამისობა;

ოპერაციები;

დასაცავი რესურსები;

ჰორიზონტალური სვეტი:

კონტროლის გარემო;

რისკის შეფასება;

კონტროლის დონისძიებები;

ინფორმაცია და კომუნიკაცია;

მონიტორინგი.

თუ აქ ყველა მიზანი ერთობლიობაში იქნება აღქმული, გამოჩნდება, რომ ზემოთაღნიშნული ხუთივე კომპონენტი მნიშვნელოვანია ყოველი მიზნისათვის. მაგალითისათვის, ერთი ამოცანის განხილვისას, როგორცაა ოპერაციების ეფექტურობა და ეფექტიანობა, ნათელი ხდება, რომ ამ ოპერაციასთან შემსებლობაში მოდის ხუთივე კომპონენტი, რომლებიც მნიშვნელოვანია, რათა ეს მიზანი იქნეს მიღწეული.

შიდა კონტროლი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დაწესებულებისათვის ერთიანობაში, არამედ მისი ცალკეული ქვედანაყოფისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ შიდა კონტროლის სტრუქტურა მნიშვნელოვანია და შეეხება აბსოლუტურად ყველა დაწესებულების სტრუქტურულ ქვედანაყოფს, ხელმძღვანელობის მიდგომა ამ ბერკეტის გამოყენებისას საკმაოდ განსხვავდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და დამოკიდებულია სტრუქტურული ქვედანაყოფების ბუნებასა და სპეციფიკურ ორგანიზაციულ ფაქტორებზე. ეს ფაქტორები, სხვა ფაქტორებთან ერთად, მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, რისკის მახასიათებლებს, სამოქმედო გარემოს, საქმიანობის მოცულობას, სირთულეს და საქმიანობაში ზედამხედველთა ჩარევის ხარისხს. იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთა დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის სპეციფიკური ფაქტორები, ხელმძღვანელმა არჩევანი უნდა გააკეთოს სხვადასხვა მეთოდს შორის, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია პროცესების სირთულესა და მეთოდოლოგიაზე, რომლებიც გამომდინარეობს შიდა კონტროლის სტრუქტურის კომპონენტებიდან.

დაწესებულებაში არსებული კონტროლის გარემო გავლენას ახდენს თანამშრომელთა კონტროლის ცნობიერებაზე, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს დაწესებულებაში არსებულ ზოგად გარემოს. ეს არის საფუძველი შიდა კონტროლის სხვა კომპონენტების, დისციპლინისა და დაწესებულების ეფექტური სტრუქტურის უზრუნველყოფისათვის.

კონტროლის გარემოს ელემენტებია:

◆ დაწესებულების ხელმძღვანელებისა და თანამშრომელთა პირადი და პროფესიული, ეთიკური ღირებულებები და ფასეულობები, მათ შორის, მთელი დაწესებულების მასშტაბით არსებული დადებითი დამოკიდებულება შიდა კონტროლის მიმართ;

◆ სწრაფვა კომპეტენტურობისაკენ;

◆ „მაღალი ტონი“ (tone at the top) – ე.წ. მენეჯერული ფილოსოფიის და ოპერაციული სტილი;

◆ ორგანიზაციული სტრუქტურა;

◆ შრომითი რესურსების მართვის პოლიტიკა და პრაქტიკა;

◆ დაწესებულების ხელმძღვანელობისა და თანამშრომელთა პირადი და პროფესიული ერთიანობა და ეთიკური ღირებულებები.

რისკის შეფასება არის დაწესებულების მიერ მისი მიზნების მიღწევის გზაზე შესაბამისი რისკების იდენტიფიკაციის, ანალიზისა და ადეკვატური პასუხის განსაზღვრის პროცესი, რომელიც მოიცავს:

- **რისკის იდენტიფიკაცია:**
 - ◆ შიდა აუდიტის ობიექტის მიზნებიდან გამომდინარე;
 - ◆ კომპლექსური/სრული მოცულობით;
 - ◆ საგარეო და საშინაო ფაქტორებიდან გამომდინარე;
 - ◆ როგორც ორგანიზაციულ, ასევე სამოქმედო დონეზე;
- **რისკის შეფასება:**
 - ◆ რისკის მნიშვნელობის შეფასებას;
 - ◆ რისკის მოხდენის ალბათობის შეფასებას;
- **დაწესებულებაში არსებული რისკის მიმართ მდგრადების შეფასება;**
- **რისკის მიმართ ადეკვატური ნაბიჯის განვითარება.**

შესაბამისი კონტროლის არსებობას შეუძლია აღმოაჩინოს რისკი ან მოახდინოს მისი პრევენცია. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო, ეკონომიკური, დარგობრივი, ზედამხედველობითი და ოპერაციული პირობები მუდმივად იცვლება, რისკის შეფასება უნდა იყოს მრავალჯერ განმეორებითი პროცესი. ის მოიცავს ცვალებადი გარემოს პირობებში რისკის დადგომის შესაძლებლობას (რისკის შეფასების ციკლი), იდენტიფიკაციასა და ანალიზს და შეცვლილი რისკის საპასუხოდ შიდა კონტროლის ადეკვატურად გარდაქმნას.

მოცემულ სფეროში არსებული მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შიდა კონტროლს შეუძლია უზრუნველყოს მხოლოდ არგუმენტირებული დასაბუთება იმისა, რომ დაწესებულების მიზნების მიღწევა შესაძლებელია. რისკის შეფასება შიდა კონტროლის შემადგენელი ნაწილია და ის ძირითად როლს თამაშობს შესაბამისი კონტროლის ადეკვატური მექანიზმების შერჩევაში. ეს არის დაწესებულების მიზნების მიღწევის გზაზე შესაბამისი რისკების იდენტიფიკაციის, ანალიზისა და ადეკვატური პასუხის განსაზღვრის პროცესი.

რისკის კატეგორიები	
სტრატეგიული რისკები	ეს კატეგორია ეხება დაწესებულების გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც შეიძლება „დაზარალებულნი“ იყოს რისკებით, როგორცაა პოლიტიკური რისკები, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილებები და დაწესებულების რეპუტაციის რისკი.
ოპერაციული რისკები	ამ კატეგორიაში ერთიანდება ის ყოველდღიური რისკები, რასაც დაწესებულება აწყდება თავისი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას.
ფინანსური რისკები	ამ კატეგორიას მიეკუთვნება ფინანსების ეფექტურ მართვასა და კონტროლთან დაკავშირებული რისკები და ასევე გარე ფაქტორები: საკრედიტო ხელმისაწვდომობა, სავალუტო კურსი, საპროცენტო განაკვეთის მოძრაობა და სხვა მიმდინარე პროცესები.
ცოდნის მართვა	ამ კატეგორიაში შედის ცოდნითი რესურსების ეფექტურ მართვასა და კონტროლთან დაკავშირებული რისკები. ამ კატეგორიაში გარე ფაქტორები შეიძლება იყოს ინტელექტუალური საკუთრების უნებართვოდ ან ბოროტად გამოყენება, კონკურენტული ტექნოლოგიები. შიდა ფაქტორები შეიძლება იყოს სისტემის არასწორი მუშაობა ან საჭირო პერსონალის გადინება.
შესაბამისობა	ეს კატეგორია მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობა, საქმიანობის მარეგულირებელი საკითხები.

აქედან გამომდინარე, მიზნების განსაზღვრა წარმოადგენს რისკის შეფასების წინაპირობას. მიზნები მანამდე უნდა განისაზღვროს, ვიდრე ხელმძღვანელობა მოახდენს მათი მიღწევის გზაზე მდგომი რისკების იდენტიფიკაციას და მიიღებს საჭირო ზომებს ამ რისკების სამართავად. ეს კი ნიშნავს, რომ მიმდინარე პროცესებზე რისკების ზეგავლენის შესაფასებლად უნდა არსებობდეს სწორი მიდგომა მათი შეფასების და მათზე ზემოქმედების მსრივ და ადამიანური რესურსი, რომელსაც აქვს ადეკვატური ცოდნა, რათა მოახდინოს პოტენციური რისკის იდენტიფიკაცია და შეფასება. შიდა კონტროლის საქმიანობა წარმოადგენს რისკის საპასუხო ნაბიჯს იმ მოცულობით, რა მოცულობის გაურკვეველობის მატარებელიც არის ეს რისკი და რა შედეგაც მოსალოდნელია მისგან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხანთაძე გ. ცაავა გ. საჯარო ფინანსები (სახელმძ.), გამომც. „დანი“, 2013.
2. Rosen H.; Gayer T.- Public Finance.; 2012.
3. Nyman D. N.- Public Finance: A Contemporary Application of Theory to Policy, 2013.
4. <http://www.mof.ge/5095>

*Giorgi Khantadze
Lasha Murjikneli*

THE CURRENT ISSUES OF THE PUBLIC FINANCE AND RISK MANAGEMENT

Annotation

The financial policy content, its main direction depends on the level of social development of the State and its relevant theoretical concepts, that determine the degree of participation in the management of the state's economy and a special instrument of financial policy or the use of specific forms of organization of the financial relations.

In addition, in the process of State financial policy management there is on the table the necessity of introducing rectilinear and purposeful procedures of the state internal control, relevant to the international standards.

The existence of appropriate controls can detect risk or exert its prevention. With a view of constantly changing of State, economic, industrial, supervisory and operating conditions, the risk assessment process must be repeated many times.

ბუნებათსარბებლობის, ბარემოს დაცვისა და სოფლის ეკონომიკის სექცია

ბადრი დავითაია

მარცვლეულის წარმოების სახელმწიფოებრივი რეგულირება

ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოებრივი რეგულირების თეორიის მამამთავარმა და თანამედროვე მაკროეკონომიკის ფუძემდებელმა, ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა წიგნში “დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგადი თეორია”, დაასაბუთა “საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა და პრაქტიკული მნიშვნელობა.” კეინზიანელთა თვალსაზრისით, სახელმწიფოს შეუძლია და კიდევაც უნდა შეასრულოს აქტიური როლი ეკონომიკის სტაბილიზაციაში.

დასავლეთის ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტები რ. ფრიში (ნორვეგია) ი. ტინბერგერი (ჰოლანდია), უ. ბევერიჯი (ინგლისი), უ. მიტნელი (ამერიკა) მიიხსენებენ, რომ სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, წესრიგი და ინციტივა აუცილებელია ეკონომიკის, მით უფრო გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნის ნორმალური და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

ნებისმიერი ფორმის ეკონომიკისათვის გარკვეული დოზით საჭიროა სტრატეგიული რესურსების, კაპიტალისა და შემოსავლების სახელმწიფოებრივი გადანაწილება და სამეურნეო სფეროს განვითარების რეგულირება.

ზოგიერთი მეცნიერ-ეკონომისტის აზრით, დაგეგმვა-რეგულირება ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტია ყველა წყობილების სისტემის პირობებში, კერძო თუ საზოგადოებრივ მეურნეობაში. დაგეგმვა-რეგულირების გარეშე არ შეიძლება არც ერთი სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნის მიღწევა, იგი ის საშუალებაა, რომელიც აყალიბებს მიდგომებს, პოზიციებს, მაშასადამე განსაზღვრავს მიზნის მიღწევის მთელ სისტემას.

ხშირად ძველი სისტემის დემონტაჟის დროს დაშვებული შეცდომები უფრო ძვირად უჯდება ქვეყანას, ვიდრე ახალი სისტემის აშენება. მაგალითად, სოციალისტური ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო არარენტაბელურ საწარმოებს დოტაციას აძლევდა, და იგი რატომღაც არასასურველ მოვლენად განიხილებოდა. მაგრამ ეს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, სახელმწიფოს ჩარევა წარმოების პროცესების რეგულირებაში აუცილებელია. სწორედ სახელმწიფო უნდა აძლევდეს სტიმულს წარმოებას და იყოს გარანტი იმისა, რომ წარმოებულ პროდუქციას გასაღების ბაზარი ექნება. მოწინავე ქვეყნები ამისთვის დიდ კაპიტალს დებენ და შედეგად სასურველი აქვთ. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მოქმედებს სოფლის მეურნეობისა და მწარმოებისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სხვადასხვა პროგრამა (მათ შორის ფასების, დაკრედიტების, გასაღების სფეროში), რითაც უზრუნველყოფილია უშუალო მწარმოებლის მძლავრი მატერიალური დაინტერესება. ასეთ ქვეყნებში სახელმწიფო შიდა ფასწარმოქმნაზე გავლენას ახდენს ორი მიმართულებით: ფასების პირდაპირი რეგულირებით და ფასებზე კონტროლის გზით. მაგალითად, აშშ-ში სახელმწიფო ფასებს არეგულირებს 5-დან 10%-მდე. აქ მარცვლეულზე, ბამბაზე, თამბაქოზე ფასების დონე დაცულია ფერმებიდან შესყიდვის მეშვეობით. კონკრეტულად მარცვლეულის წარმოებასთან დაკავშირებით ფუნქციონირებს ფასების სამი სისტემა: ფერმერული, საგარეო და მიზნობრივი. ფერმერული ფასების სახელმწიფო რეგულირებისა და შემოსავლების განსაზღვრული დონის უზრუნველყოფა, რის გარეშეც შეუძლებელია გაფართოებული კვლავწარმოების პროცესი. ამასთან, სახელმწიფო აწესებს გარანტირებულ ფასებს, რომლებიც იცავს ფერმერულ ფასებს მათი დონის დაცემისაგან, აგრეთვე უზრუნველყოფენ ფერმერებს მინიმალური შემოსავლით ბაზარზე რეალიზებული პროდუქციისაგან. საწინდარი ფასები კი დგინდება მარცვალზე ფერმერებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგირაო ოპერაციებში. ამ ოპერაციებს ატარებს სასაქონლო-საკრედიტო კორპორაცია. მსგავსი ოპერაციები ფერმერებს აძლევს იმის გარანტიას, რომ მიიღოს კრედიტი პროდუქციის დაგირავებით. კრედიტის თანხა განისაზღვრება ჩაბარებული პროდუქციის მოცულობითა და საგირაო ფასებით. ამ დროს ჩაბარებული მარცვალი მიიღება სასაქონლო-საკრედიტო კორპორაციის საწყოებში ან რჩება ფერმერის საცავებში. საბაზრო ფასების შემცირების შემთხვევაში ფერმერებს შეუძლიათ დაგირავებული პროდუქცია გადასცენ სასაქონლო-საკრედიტო კორპორაციის საკუთრებაში.

რაც შეეხება საქართველოს, მის ცალკეულ რეგიონებს, პოსტსაბჭოურ წლებში ტოტალურად მოიშალა სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ეფექტიანად გამოყენების ბერკეტები, რომლებიც მოქმედებენ მანქანათა სარემონტო საღებურებში, მოსავლის ასაღებ სატრანსპორტო ჯგუფებისა და სხვა ფორმის ტექნიკურ სერვისში. შექმნილ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ ჯერ კიდევ მოქმედი წარმოების საშუალებების უმრავლესობა ამორტიზებულია და მორალურად უვარგისი.

მიუხედავად გატარებული ნიშანდობლივი რეფორმებისა, ჯერ კიდევ არ არის სოფლის მეურნეობის სფეროში ტექნიკური სერვისის მაღალი დონე, მაშინ, როდესაც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებულია ტექნიკური სერვისის მაღალი სტანდარტები (სამანქანო ამხანაგობები გერმანიაში, საკონტრაქტო ფირმები აშშ-ში, ჰოლანდიასა და კანადაში), რითაც შესაძლებელია შემცირდეს ტექნიკის შეძენის ხარჯები, გაიზარდოს ძვირადღირებული სეზონური ტექნიკის გამოყენების ეფექტურობა.

სოფლის მეურნეობაში საჭირო ტექნიკით მისაღებ ფასებში უზრუნველყოფის ერთ-ერთი წყაროა ლიზინგი. მისი გამოყენება საშუალებას მოგვცემს, მნიშვნელოვნად შევამციროთ საინვესტიციო რისკი, რასაც მარცვლეულის წარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი მოდგომის დადებითი ეფექტია ისიც, რომ ლიზინგის ხელშეკრულების დამდები სამეურნეო სუბიექტი გაკოტრების შემთხვევაში პრაქტიკულად არ აღმონდება ფულის ამოდების პრობლემის წინაშე, ვინაიდან მისი საფინანსო სახსრები მატერიალიზებულია კონკრეტულ ფასეულობებში, რომლებიც ადვილად შეიძლება გაიყიდოს ან გადაეცეს სხვა მთავარს.

რაც შეეხება მარცვლეულის მწარმოებელი რეგიონების გლეხურ მეურნეობებს, იგი ძირითადად შეიქმნა სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობების მიწის საგარეულების პრივატიზაციის შედეგად. მათი ფართობები 1,2-2 ჰა საზღვრებში მერყეობს. ასეთ ნაკვეთებში მძლავრი მობილური აგრაგატების გამოყენება შეუძლებელია.

ლია. მიტომ უპურატესობა მცირეგაბარიტიან ტრაქტორებს უნდა მიენიჭოს, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი ტერიტორიის დამუშავებას მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე. აქ, მანქანათა სისტემების გამოყენების თვალსაზრისით, სასურველია დამკვიდრეს დილერული მეურნეობები. საერთოდ ასეთი მეურნეობები ეფექტურია, ვინაიდან ფართო არეალი არსებობს მაღალმწარმოებლური სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო ტექნიკის რაციონალური დატვირთვისათვის. მაგალითად, აშშ-ში დილერული მეურნეობები მოთხოვნისამებრ აქირავენ ტექნიკურ საშუალებებს ფერმერებზე. მათ გააჩნიათ უახლესი მოწყობილობით აღჭურვილი სერვისული მომსახურების პუნქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც საკუთარი, ასევე ფერმერების კუთვნილი ტექნიკური საშუალებების რემონტს ურთიერთშორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საქართველოში აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა მისი ინსტიტუციონალიზაცია, ე.ი. ზუსტად განსაზღვრული და კონკრეტული მიზნით მოქმედი მარცვლეულის წარმოება-შესყიდვის სახელმწიფო მარეგულირებელი სტრუქტურების ჩამოყალიბება. ასეთი სისტემის ფუნქციონალური დატვირთვა იქნება მარცვლეულის ბაზრის რეგულირება სპეციალური სახელმწიფო ფონდის შექმნით და მარცვლეულის ბაზრის ინტერვენციით. მაგალითად, პოლონეთში 1992-95 წლებში შეიქმნა აგრარული ბაზრის სააგენტოები, რომლის უმთავრესი ამოცანა იყო სტრატეგიული დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (მარცვლეულის, რძე, ხორცი და სხვა) გასაყიდ ფასებზე ზემოქმედება მათი ინტერვენციული შესყიდვისა და რეზერვების ფორმირების მიზნით, ამასთან, სოფლის მეწარმეთა ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით (ეს იმაში გამოიხატებოდა რომ, თუ მარცვლეულის საბაზრო ფასები ვერ დაფარავს მწარმოებლის მიერ მასზე გაწეული მთელ დანახარჯებს, მაშინ სახელმწიფო გასცემს სახსრებს იმ მწარმოებლებზე, რომლებიც გადააჭარბებენ სახელმწიფო რესურსების შესავსებად კონტრაქტით გათვალისწინებულ მოცულობებს, დამატებით გამოეყოფათ მათ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი და სახალხო მოხმარების პირველი მოთხოვნილების საგნები სოციალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება-გაჯანსაღებისათვის). ამ თვალსაზრისით საქართველოში სახელმწიფო სესხების წყაროდ მარცვლეულის წარმოებასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო მანდატის მქონე ორგანიზაციების მიერ სასურსათო დახმარების ფარგლებში შემოტანილი პროდუქტების რეალიზაციის შედეგად აკუმულირებული სახსრები.

ამრიგად, სახელმწიფოს საბაზრო ფასებზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია როგორც გადასახადების, ასევე სუბსიდიების მეშვეობით. ამ უკანსენელთა მოცულობა ისე უნდა რეგულირდებოდეს, რომ მან გამოიწვიოს შინა მწარმოებლის პრიმატი, დაიცვას როგორც კერძო მესაკუთრის, ისე მომხმარებლის ინტერესები. აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას ისიც განაპირობებს, რომ ადგილობრივი მეწარმეები ადეკვატურად ვერ რეაგირებენ და პროდუქციის რეალიზაციის პრობლემის წინაშე დგანან. ამიტომ, აუცილებელია ქვეყნის რეგიონებში მარეგულირებელი მომსახურების სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მეოხებით განხორციელდება ადგილობრივი და რეგიონული ბაზრების კვლევა და ამის საფუძველზე მეწარმეთა ინფორმირება და კონსულტირება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დათუნაშვილი თ.საინვესტიციო სიტუცია საქართველოს სოფლის მეურნეობაში და გრძელვადიანი საკრედიტო მოტივაციის აუცილებლობა. // ჟურნალი „ეკონომიკა“, №1-3, 1999 (გვ. 66).
2. კუნჭულია თ. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები. თბ., 1997.
3. ბურაკაძე ვ. აგროსამრეწველო კომპლექსი. // „ეკონომიკა“, №8-9, 1999.
4. Курс экономической теории. // Под ред. Сидоровича А.В., М., 2007.

Badri Davitaia

STATE REGULATING OF MANUFACTURE OF CORN

Annotation

In the article was discussed the main problems of intensive factors, concerning the development of corn industry, the solution of which are the important terms of increasing the economical effectiveness of manufacturing the cultures of corn in Georgia. There is also indicated, that one of the main factors of increasing the volume of corn manufacture and the crops growing is the increasing of the level of mechanism.

ლინა დათუნაშვილი

აბრეშუმის მრეწველობის ისტორიის საკითხისათვის საქართველოში

ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა აბრეშუმის პარკის წარმოება, მისი პირველადი დამუშავება და მიღებული აბრეშუმის ნედლეულის დამმუშავებელი შინამრეწველობა, რომლის ტექნიკური ბაზა და შრომის მეთოდები, გარკვეული ზომით, შეესაბამებოდა საზოგადოების განვითარების არსებულ დონეს. ძველი ბერძენი ისტორიკოსების ცნობით (სტრაბონი და სხვები), საქართველო ადრეული ხანიდან იყო ცნობილი აბრეშუმის, სელის, მატკლისა და სხვა ძვირფასი ქსოვილების წარმოებით. შინამრეწველობის მაღალ დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საქართველოში ძვირფასი ქსოვილების დასამზადებლად შემოჰქონდათ მაღალხარისხოვანი ნედლეული, რომლისგანაც დამზადებული ნაწარმი ხშირად ევროპის ბაზრებზე იყიდებოდა. შინამრეწველური წესით აბრეშუმის ქსოვილის დამზადებას აქტიურად ეწეოდნენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ამიერკავკასიაში, მ.შ. საქართველოში, მეაბრეშუმეობის ადრიდანვე გავრცელებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ იგი იყო ერთ-ერთი სატრანზიტო ტერიტორია ჯერ ძველ საბერძნეთ-რომსა და ირან-ინდოეთს შორის და მერე თვით V, VI საუკუნეებიდანვე ბიზანტიასა და ირან-ინდოეთს შორის [19].

არქანჯელო ლამბერტის ცნობით, მე-17 საუკუნეში თურქეთიდან შემოტანილ საქონელს დასავლეთ საქართველოში აბრეშუმზე ცვლიდნენ [2].

მოსკოველი ელჩების გადმოცემით, დასავლეთ საქართველოში მე-17 საუკუნეში აბრეშუმის მთავარი ბაზარი ქ. ქუთაისი ყოფილა და მეაბრეშუმეობაც მთელ ამ მხარეში საყოველთაოდ ყოფილა გავრცელებული [19]. უკვე მე-18 საუკუნიდან, რუსეთის იმპერიაში შემავალი ამიერკავკასიის გუბერნიებიდან მეფის რუსეთი მეაბრეშუმეობის, მევენახეობის და სამხრეთული სხვა კულტურების განვითარებით დიდ შემოსავალს მოელოდა, ამიტომ რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისათვის მეაბრეშუმეობის განვითარების აუცილებლობაზე ბევრს საუბრობდნენ და ამ დარგის განვითარებისათვის ფულადი სახსრების გამონახვას მოითხოვდნენ.

ამ საკითხით დაინტერესება ჩანს საქართველოს მმართველ გენერალ ახვერდოვის მიერ, რომელიც 1810 წელს კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალს გენერალ ტორმასოვს არწმუნებდა, რომ ხაზინის მხრივ მატერიალური დახმარების გარეშე, კერძოდ კი სახელმწიფო საწარმოთა მოწყობის გარეშე, მეაბრეშუმეობა აქ დიდხანს ვერ მიაღწევდა რუსეთისათვის საჭირო წარმატებას, რადგან საქართველოში მეაბრეშუმეობის ნამდვილი ქარხნები კერძო პირებს არ ჰქონდათ, ხოლო თუ მოსახლეობა მისდევდა მეაბრეშუმეობას, იგი წარმოდგენილი იყო ფრიად წვრილი წარმოების სახით – სახლებსა (ოჯახებსა) და სხვა ადგილებში [14].

რუსეთში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებით დაინტერესებული რუსი მოხელეები ამიერკავკასიაში – კერძოდ საქართველოში ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ნედლეულის პირველადი გადამუშავების გაუმჯობესებაზე ზრუნავდნენ, რათა მათთვის ტრანსპორტაბელური ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატის სახე მიეცათ და ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ თვით სახელმწიფო ბაზის განვითარებას. მაგ., ცდილობდნენ ღვინის დაყენების ხერხების გაუმჯობესებას და თითქმის უყურადღებოდ ტოვებდნენ მევენახეობას. ცდილობდნენ მიეღწიათ აბრეშუმის პარკის ამოხვევისა და რთვის ტექნიკის პროგრესისათვის და ნაკლებად ზრუნავდნენ საკუთრივ მეაბრეშუმეობის განვითარებაზე [4].

რუსეთის ხელისუფლების დახმარებით 1827 წელს იტალიელმა ნეგოციანტმა კასტელამ, რომელიც ირწმუნებოდა, საქართველოში მოკლე პერიოდში შეძლებდა აბრეშუმის პარკის წარმოებისა და აბრეშუმის მრეწველობის (მაფსახვევი და მაფსაგრეხი მანუფაქტურის) განვითარებას, ქ. თბილისში დააარსა აბრეშუმის მაფსართავი ფაბრიკა, სადაც პირველ ხანებში დადგმული იყო 10 დაზგა. ეს ფაბრიკა 1829 წელს გადაკეთდა „აბრეშუმის მაფის ამოსახვევ სასწავლო სახელოსნოდ“, რომელიც 1841 წლამდე ფუნქციონირებდა და შემდეგ მთავრობის ბრძანებით დაიხურა, რადგან სასურველ შედეგს ვერ იძლეოდა.

კავკასიის ნამესტნიკი მ. ვორონცოვი 1851 წლის ანგარიშგებაში აღნიშნავდა, რომ შედარებით ნაკლებად იყო მეაბრეშუმეობა გავრცელებული ქუთაისის გუბერნიაში, მაგრამ, სამაგიეროდ, აქაური პარკი ფრიად კარგია და იძლევა საუკეთესო პროდუქტს წესიერი დამუშავების მეოხებით. აქაურ პარკს ყიდულობენ და აგზავნიან ოდესასა და მოსკოვში, სადაც ხდება ევროპული წესით მაფის ამოხვევა [13].

საქართველოში წარმოებული პარკის უდიდესი ნაწილით მარაგდებოდა რუსეთის აბრეშუმის საფეიქრო ფაბრიკები. შედარებით მცირე რაოდენობით აბრეშუმში დასავლეთ საქართველოდან თურქეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაჰქონდათ. წარმოებული აბრეშუმის პარკის დანარჩენი ნაწილის გადამუშავება, რაც დაახლოებით 30-40 პროცენტს შეადგენდა, ადგილზე ხდებოდა, საიდანაც ჩანს, რომ აბრეშუმის გადამუშავება ოჯახური და შინამრეწველობის სახით აქ ფართოდ იყო გავრცელებული [18]. ამ აზრს ადასტურებს რ. ერისთავი, როდესაც წერს, რომ ქუთაისის გუბერნიაში და საერთოდ დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი უპირატესად აბრეშუმისაგან (დარაიისაგან) შეკერილ თეთრეულს ატარებდნენ [23].

ცალკეული პიროვნების ინიციატივით დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ფუნქციონირებას იწყებს აბრეშუმის პარკის დამუშავებელი საწარმოები. მაგ., მეაბრეშუმეობის ცნობილმა სპეციალისტმა ნ. რაიკომ დაბა მარანში მოაწყო პარკის გასაშრობი და დასაპრესი საწარმო, 1843 წელს გრაფმა როზმორდიუკმა ქ. ზუგდიდში გახსნა აბრეშუმის მაფსახვევი ფაბრიკა, რომლის მოწყობილობა საფრანგეთიდან ჩამოიტანა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია როგორც აბრეშუმის პარკის, ასევე აბრეშუმის მაფსახვევი წარმოების მხრივ [6].

ქართველმა თავადმა მ. ჩიჯავაძემ ამ პერიოდში თავის მამულში სოფელ საღინოში მოაწყო აბრეშუმის მაფსახვევი სახელოსნო. 1851 წელს აბრეშუმის მაფის ამოხვევის საქმეში დახმარების მიზნით მის მამულში „სოფლის მეურნეობის კავკასიურმა საზოგადოებამ“ აბრეშუმის მაფის ამოხვევის უკეთესი მეთოდების დასაზრუნავად მიაგვლინა ემერიხი.

1885 წელს ხელისუფლებისადმი დახმარების თხოვნას გამოხატავს ქუთაისელი ვაჭრის არტემ ანჯაფარიძის მოხსენებითი ბარათი, რომელიც მან იმპერიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრს მისწერა, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ მეაბრეშუმეობა უკანასკნელ ხუთ წელიწადში ახალი ძალით აღორძინდა მოსახლეობაში ჯანსაღი ცვლულარული გრენის გავრცელების წყალობით. ახლა ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის მაზრის მთელი მოსახლეობა ხალისით ეწევა აბრეშუმის ტყის გამოკვებას, პარკის წარმოებაშიც დიდ წარმატებას აღწევს, მაგრამ მოსახლეობა ხელისუფლების მხრივ საჭირო ტექნიკურ დახმარებას (ორთქლის სახრწლოავებს, აბრეშუმის მაფსახვევ ფაბრიკებს) მოკლებულია [17].

XIX საუკუნის 60-იან წლებში დიუფურმა ქ. ქუთაისში გახსნა აბრეშუმის მაფსახვევი ქარხანა, რომელიც შემდეგ თბილისში გადაიტანა.

საგადასახადო ინსპექტორი ი. ჩიქოვანი აღნიშნავდა, რომ მეაბრეშუმეობა ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობისათვის გადაიქცა ფულადი შემოსავლის თითქმის ერთადერთ წყაროდ და იქვე მიუთითებდა, რომ „მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის შინამრეწველურ სარეწავთა შემდგომი განვითარება გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ქუთაისის გუბერნიისათვის“ [15].

XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სახელმწიფო გადასახადისა და ხარკის სახით გაწერილ აბრეშუმს, მოსავლის მხოლოდ ის ნაწილი გადაიოდა ბაზარზე, რომელიც მეაბრეშუმეს, როგორც შინამრეწველს, არ სჭირდებოდა ანდა არ შეეძლო თვითონვე აეთვისებინა.

1899 წელს ქ. ქუთაისის გუბერნიაში (საქართველოში ყველაზე ადრე) უკვე ფუნქციონირებდა ორი პატარა ძაფსაღები ფაბრიკა (ეს ძაფსაღები ფაბრიკები იმ დროს ძაფსაღევი ქარხნების სახელწოდებით იყო ცნობილი), რომელთა მიერ წარმოებული საქონლის ღირებულება 75000 მანეთს შეადგენდა, ორივე ფაბრიკაში 120-მდე მუშა იყო დასაქმებული. ერთი ფაბრიკა ეკუთვნოდა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას სოფელ კუხში, ხოლო მეორე ხონში – ხანოძეს, კუხისა და ხონის შემდეგ ძაფსაღები ფაბრიკა ამუშავდა სამტრედიისში [8].

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ნ. ბობინინის მონაცემებით, ამიერკავკასიაში წარმოებული პარკიდან 40% იყო სასაქონლო და გადაიოდა საზღვარგარეთ, 20%-ის ამოხვევა ხდებოდა შინამრეწველურად თვით მეაბრეშუმეთა ოჯახების საჭიროებისათვის, დანარჩენი პარკის (40% მშრალი სახით) გადაამუშავება ხდებოდა აბრეშუმსახვევ ფაბრიკებში [20].

1919 წლის ზაფხულზე საქართველოში მეაბრეშუმეობის პროდუქციაზე შემოდებულ იქნა სახელმწიფო მონოპოლია, რის მიხედვითაც, მეაბრეშუმეებს გრენა უნდა მიეღოთ მთავრობისაგან, ხოლო, თავის მხრივ, ნედლ აბრეშუმს კოოპერატივების მეშვეობით სახელმწიფოს აბარებდნენ.

შინამრეწველური წესით აბრეშუმის ქსოვილის დამზადება გავრცელებული იყო მთელ საქართველოში. აბრეშუმის ქსოვილს ყველაზე დიდი ოდენობით ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრებში ამზადებდნენ. საუკუნის ბოლოს ოზურგეთის მაზრაში 300-ზე მეტი აბრეშუმის საქსოვი მარტივი დაზგა ფუნქციონირებდა. მეაბრეშუმეობის დარგის სპეციალისტი ნ. შავროვი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ აბრეშუმის ნაწარმი უმთავრესად იყიდებოდა: ხონის, ლანჩხუთის, სენაკის, ზუგდიდის, აბაშის, დიდი ჯიხაიშისა და ქუთაისის მაზრებზე [16]. შინამრეწველური წესით აბრეშუმის ძაფის ამოხვევას ისეთი მარტივი იარაღებით, როგორიც იყო „მარჯანიკი“ და „ქუთაისი“, შეუძლებელი იყო ძაფის ერთგვარი სისქის დაცვა და ამიტომ ამ ძაფის გამოყენება აბრეშუმის ქსოვილების დასამზადებლად დიდად ამცირებდა დამზადებული პროდუქციის ხარისხს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში როგორც აბრეშუმის პარკის დამუშავება, ისე ხამი აბრეშუმის ძაფის ამოხვევა მცირე რაოდენობით წარმოებდა როგორც შინამრეწველური, ისე მექანიკური საშუალებებით – ოზურგეთის, სამტრედიის, თელავისა და ხონის ძაფსაღებ ფაბრიკებში, სადაც ფუნქციონირებდა 184 დაზგა [3].

ოზურგეთის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკა

ექსპლუატაციაში შევიდა 1926 წელს. ფაბრიკაში ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღიჭურვა როგორც ძაფსაღები, ისე ძაფსაგრეხი განყოფილებები, აქ დაიდგა იტალიიდან შემოტანილი 72 აუზი. 1929 წელს ფაბრიკაში აუზების რაოდენობამ 144-ს მიაღწია. ერთცვლიანი მუშაობის პირობებში ფაბრიკის ძაფსაღები განყოფილების წარმადობა 80 კგ ხამი აბრეშუმში იყო, ხოლო საგრეხი განყოფილების წარმადობა 40 კგ აბრეშუმის ძაფს შეადგენდა. შემდგომ პერიოდში ფაბრიკაში ფუნქციონირებდა 148 აუზი და 568 თითისტარი, რომელიც 95,7 ტონა ნაგრეხ ძაფს გამოიმუშავებდა. ფაბრიკის მიერ გამოიმუშავებული პროდუქციის ღირებულება 60 მლნ მანეთს აღწევდა. 60-იან წლების დასაწყისისათვის ადგილზე მუშავდებოდა საქართველოში წარმოებული აბრეშუმის პარკი, ხოლო ხამი აბრეშუმისა და ნაგრეხი აბრეშუმის ძაფი შემდგომი გადაამუშავების მიზნით ეგზავნებოდა სამტრედიის, ხონის, თელავისა და ოზურგეთის ძაფსაღებ და საგრეხ ფაბრიკებს.

გარდა აღნიშნული ფაბრიკებისა, აბრეშუმის ნაგრეხ ძაფზე მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკასა და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატთან შექმნილი იყო აბრეშუმის ძაფის საგრეხი განყოფილებები. 60-იანი წლების დასაწყისში აბრეშუმის საგრეხ თითისტართა საერთო რაოდენობა 19488-ის ტოლი იყო. საქართველოში ამ ფაბრიკების მიერ წარმოებული ნედლეულის სრულყოფილი გადაამუშავება წარმოებდა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატსა და თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკებში.

ოზურგეთის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის მიერ 1986 წელს გამოშვებული სასაქონლო პროდუქციის მოცულობა 24096 ათას მანეთს აღწევდა. რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა – 24078 ათას მანეთს. ფაბრიკაში დასაქმებული სამრეწველო პერსონალის რიცხოვნობა 907 მუშაკი იყო. ერთი მომუშავეს მიერ გამოიმუშავებული სასაქონლო პროდუქცია 26567 მანეთს შეადგენდა. 1990 წელს ფაბრიკამ გამოიმუშავა 16482 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. რეალიზებული პროდუქციის მოცულობა ფაქტობრივად ტოლი იყო 15836 ათასი მანეთისა. ფაბრიკაში დასაქმებული საწარმოო პერსონალის რიცხოვნობა ტოლი იყო 705 მუშაკისა. ერთი მუშაკის გამოიმუშავება უდრიდა 21770 მანეთს. 1992 წელს ოზურგეთის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკაში სამრეწველო პერსონალის რიცხოვნობა არ შეცვლილა, იგი 705 მუშაკს შეადგენდა, მაგრამ შესამჩნევად იკლო წარმოების ზრდის ტემპმა, რამაც საშუალოდ 78% შეადგინა.

1993 წლის შემდეგ ფაბრიკამ თანდათან შეამცირა პროდუქციის წარმოება. დღეისათვის იგი არ ფუნქციონირებს.

სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკა

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იმერეთში სამტრედია გადაიქცა აბრეშუმის პარკის გასაღების მთავარ ცენტრად. აქ იყო პარკის დამზადების ძირითადი ბაზა და მის საფუძველზე ამუშავდა აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა. ამ პერიოდში „რუსეთ-სპარსეთის ამხანაგობას“ დაბა სამტრედიაში ჰქონდა აბრეშუმის პარკის საშრობი ფარდული და ბამბის საწყობი [10].

საუკუნის ბოლოს სახელდობრ 1899 წ. ივლისში, გახეთ „კურირის“ ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ მოსკოვის სავაჭრო სახლი „А. ИЛЬИН С СЫНОВЬЯМИ“ დაინტერესდა ქუთაისის გუბერნიით, როგორც აბრეშუმის პარკის ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელი და განიზრახა ძაფსაღები ფაბრიკის მოწყობა ერთ რომელიმე

პუნქტში [21]. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ა. ილინი კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის ინსტრუქტორის ქუთათელაძის თანხლებით ჩამოვიდა და დაათვალიერა მეაბრეშუმეობის ძირითადი პუნქტები სამტრედიისში, ხონში, აბაშაში, ახალ სენაკსა და ლანჩხუთში, რათა შეერჩია რომელიმე მათგანი აბრეშუმის დაფსალები ფაბრიკის ასაგებად. ასეთ პუნქტად ხონი აირჩიეს, მაგრამ თავად გ. წულუკიძესთან ვერ მოხერხდა მიწის ნაკვეთის თაობაზე მოლაპარაკება და 1900 წელს სავაჭრო ფირმამ ეს საქმე დაბა სამტრედიისში დაიწყო [11]. ამავე წელს „ილინი და კომპანია“ სამტრედიისში აგებენ აბრეშუმის დაფსალებს ფაბრიკას, ხოლო 1901-1902 წლებში აბრეშუმის საძახავ ფაბრიკას [22]. აბრეშუმის დაფსალები ფაბრიკა 1902 წელს ამოქმედდა. აქ ფუნქციონირებდა: დაფსალები და დაფსაგრეხი განყოფილება. პირველ განყოფილებაში დაიდგა დაფის ამოსაღები 52 აუზი, შემდეგ მათ 48 აუზი დაემატა. იმ პერიოდისათვის სამტრედიის ფაბრიკა თავისი ტექნოლოგიითა და მოწყობილობით ერთ-ერთ საუკეთესო ფაბრიკად ითვლებოდა მთელ ამიერკავკასიაში. ფაბრიკაში დასაქმებული იყო სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული 300-მდე მუშა-ქალი. პირველ წელს გამომუშავებულ იქნა 50 ათასი მანეთის პროდუქცია, მომდევნო წელს კი 71 ათასი მანეთის. 1905 წლის განმავლობაში სამტრედიის ფაბრიკამ რამდენიმე ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი გადაამუშავა, 1921 წლამდე სამტრედიის აბრეშუმის დაფსალებმა ფაბრიკამ სამჯერ გამოიცვალა კერძო მეპატრონე. პირველად ძმები ილინები, შემდეგ მისი მეპატრონე იყო ბილიონი, რომელმაც იგი იჯარით გადასცა იტალიელ პოტჯის [5].

1921 წლიდან სამტრედიის დაფსალები ფაბრიკა გადაეცა სამტრედიის პროფკავშირს, შემდეგ ცეკავშირს, ხოლო შემდეგ „საქართველოს აბრეშუმის ტრესტის“ გამგებლობაში გადავიდა. აღნიშნული წლიდან ფაბრიკაში წლიურად 250-300 ფუთამდე ხამი აბრეშუმის დაფს იღებდნენ. 100-მდე გაიზარდა აუზების რაოდენობა, რომელსაც 1932 წელს კიდევ 12 აუზი შეემატა [1].

საბჭოთა წყობილების წლებში სამტრედიის დაფსალები ფაბრიკის ძველი აუზები გაუმჯობესებული აუზებით შეიცვალა. დაინერგა მეცნიერთა და ნოვატორთა ახალი მეთოდები, რამაც საგრძობლად გააძლიერა ფაბრიკის სიმძლავრე და გააუმჯობესა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. 1960-იანი წლებისათვის აქ 112 აუზი მოქმედებდა, დასაქმებული იყო 654 მუშა და ფაბრიკის წლიური წარმადობა 63,3 ტონა ხამი აბრეშუმის დაფს შეადგენდა.

Стоимостной метод характеризуется показателями производительности труда, которые рассчитываются как соотношение произведенной продукции в денежных единицах измерения численности персонала, затрат рабочего времени или фонда оплаты труда. Эти показатели являются универсальными, поскольку они позволяют сравнивать производительность труда в производстве неоднородных товаров, которые представлены большим ассортиментом продукции в сельском хозяйстве. По данным Госкомстата Украины установлено, что в течение 5 последних хозяйственных лет продукция, которая создана в сельском, лесном и охотничьем хозяйствах в Украине (в фактических ценах реализации) выросла почти в 3 раза (275,65 %) и в 2012 г. составила 111,75 млрд. грн. (табл. 2).

Таблица 2

Динамика продуктивности труда в сельском хозяйстве Украины

Показатель	2005	2009	2010	2011	2012	2012 к 2005, %
Валовая добавленная стоимость (ВДС) в сельском, лесном и охотничьем хозяйствах (в факт. ценах), млрд. грн.	40,54	65,76	82,64	110,56	111,75	275,65
Всего занято в сельском, лесном и охотничьем хозяйствах, тыс. человек	3986,3	3131,0	3094,5	3393,8	3492,4	87,61
Отношение ВДС к занятым в сельском, лесном и охотничьем хозяйствах, тыс. грн.	10,17	21,00	26,71	32,58	32,00	314,65
Постоянное население (на 1.01), млн. человек	46,75	45,78	45,60	45,45	45,37	97,05
Отношение ВДС в сельском, лесном и охотничьем хозяйствах на одного человека, тыс. грн.	867,18	1436,35	1812,35	2432,39	2462,93	284,02

Источник: рассчитано автором за данными Госкомстата Украины [6, С. 30, 36, 125].

Численность занятых в аграрном секторе экономики уменьшилось на 493,9 тыс. человек (12,39 %) и в 2012 г. составила почти 3,5 млн. человек. Таким образом, производительность труда выросла в 3,14 раза, как за счет знаменателя, так и числителя. Макроэкономический показатель валовой добавленной стоимости в сельском, лесном и охотничьем хозяйствах на одного человека постоянного населения Украины также вырос почти в 3 раза (2,84) за исследуемый период: с 867,18 тыс. грн. в 2005 году до 2462,93 тыс. грн. в 2012 году.

В противоположность стоимостному, натуральный метод оценки производительности труда в сельском хозяйстве отмечается значительно меньшими темпами роста достигнутого уровня. Натуральный метод характеризуется показателями выработки, вычисленными в единицах физического объема. Преимущество этого метода заключается в установлении зависимости между объемом производства и трудовыми затратами, в исключении влияния на показатель производительности труда изменений в объемах поставок, организационной структуре производства, позволяет тесно связать изменения производительности труда с выявлением резервов ее роста, сопоставить затраты труда на одинаковые изделия в различных организационных структурных подразделениях. По данным табл. 3 наибольшие темпы роста производства с.-х. продукции в натуральных единицах измерения в течение 2005-2012 гг. наблюдаются на выращивании подсолнечника в 1,84 раза, яиц – в 1,5 раза, мяса в убойном весе – 1,43 раза, овощей – 1,41 раза, зерна – 1,26 раза, сахарной свеклы и картофеля – в 1,23 раза.

Таблица 3

Динамика производства основных видов сельскохозяйственной продукции на одного человека в Украине, кг

Сельскохозяйственная продукция	2005	2009	2010	2011	2012	2012 к 2005, %
Зерновые и зернобобовые	807	999	856	1242	1014	125,6
Сахарная свекла	328	219	300	410	404	123,2
Подсолнечник	100	138	148	190	184	184,0
Картофель	413	427	408	531	510	123,5
Овощи	155	181	177	215	220	141,9
Фрукты и ягоды	36	35	38	41	44	122,2
Мясо (в убойном весе)	33,9	41,6	44,9	46,9	48,5	143,1
Молоко	291,1	252,1	245,2	242,5	249,5	85,7
Яйца, шт.	277	345	372	409	419	151,3

Источник: рассчитано автором за данными Госкомстата Украины [6, С. 88].

Итак, производство с.-х. продукции на душу населения в натуральных единицах измерения за пять лет в каждой отрасли увеличилось максимум в 1,84 раза, а в молочной отрасли даже уменьшилось на 25 %, при этом стоимостной показатель (в фактических ценах реализации) вырос в 2,84 раза.

Недостатком стоимостного метода является то, что необоснованное завышение цены продукции товаропроизводителями приводит к фиктивному росту производительности их труда. Для устранения негативного влияния ценового фактора на результаты оценки производительности труда в стоимостных методах используют сопоставимые, сравнимые или постоянные цены. В частности, в Украине в сельском хозяйстве вся продукция оценивается в постоянных ценах 2010 года (табл. 4).

Таблица 4

Динамика продуктивности труда в сельскохозяйственных предприятиях Украины (на одного занятого в сельскохозяйственном производстве, в постоянных ценах 2010 г.), тыс. грн.

Отрасль	2005	2009	2010	2011	2012	2012 к 2005, %
С.-х. производство	72,62	131,3	132,7	165,2	159,7	316,9
В том числе:						
- растениеводство	86,20	138,7	133,6	171,1	155,5	261,1
- животноводство	47,99	113,9	130,5	148,8	171,8	417,2

Источник: рассчитано автором за данными Госкомстата Украины [5, С. 48].

Производительность труда в сельскохозяйственных предприятиях Украины в течение периода исследования: с 2005 по 2012 г. выросла в 3,17 раза, в том числе в растениеводстве – в 2,61 раза, а в животноводстве – в 4,17 раза.

Трудовой метод измерения производительности труда используется в условиях выпуска на предприятии разнообразной незавершенной продукции. Как суммируемый показатель используются нормо-часы, то есть затраты живого труда, в человеко - часах, необходимых по нормам для изготовления единицы продукции. Указанный показатель

освобожден от влияния ценообразовательных факторов. Применение этого метода требует хорошо поставленного нормирования труда. По научно обоснованным нормам этот метод точно характеризует динамику производительности труда. Однако использовать трудовой метод оценки в сельском хозяйстве сейчас нет объективной возможности, поскольку большинство работающих в этом секторе экономики являются самозанятыми. Согласно официальной информации Государственного комитета статистики Украины в 2012 году с 3,5 млн. человек занятых в сельском хозяйстве, только 627,4 тыс. человек или 18 % работающих по найму, труд которых нормируется, учитывается, регистрируется и т.п. Увеличения объемов производства можно достичь за счет различных факторов. В частности, за счет экстенсивных факторов производства, которые проявляются в увеличении всех составляющих элементов производства (орудий труда, земли, рабочей силы). Рост объемов производства за счет увеличения производственных ресурсов не может быть бесконечным, поскольку каждая страна имеет ограниченные производственные возможности (определенная численность рабочей силы, земли, сырья) и в короткий период нет возможности их расширить. Когда объем национального производства достигает потенциального уровня и возможности общества развиваться за счет увеличения труда и капитала исчерпываются, темпы роста производительности труда зависят только от ускорения научно-технического прогресса. Только последний является неисчерпаемым источником роста выпуска продукции. На его основе происходят изменения в количестве труда и капитала, а также в величине совокупной производительности факторов производства.

Вывод. Таким образом, используя разнообразные методы оценки продуктивности труда, мы получили противоречивые результаты. Если стоимостные методы свидетельствуют об увеличении продуктивности труда в сельском хозяйстве Украины за 5 лет в фактических ценах реализации в 3,14 раза, в постоянных ценах 2010 года – в 3,17 раза, то натуральный метод показывает, что эффективность труда увеличилась максимум в 1,84 раза. Ценовые факторы искажают конечные экономические результаты и эффективность использования ресурсов. Кроме того, следует отметить, что производительность труда не ограничивается вышеперечисленными факторами, во многом она зависит от работников. Как субъекты трудовой деятельности люди рассматриваются под углом зрения биологических, психологических и социальных свойств, которые влияют на результаты трудового процесса. Это пол, возраст, состояние здоровья, знания, умения, опыт, изобретательность, сознание, дисциплинированность. Эффективность труда зависит также от условий трудовой деятельности. Состояние среды, в которой работают люди, влияет на них, определяет уровень их физических, интеллектуальных и нравственных сил, отношение к труду.

Литература

1. Грішнова О. А. Економіка праці та соціально-трудоу відносини : підручник / О. А. Грішнова. – К. : Знання, 2006. – 559 с.
2. Доронина М. С. Управление продуктивностью. / М. С. Доронина, Е. Г. Наумик, О. В. Соловьев. – Харьков: Изд. ХНЭУ, 2006. – 240 с.
3. Дуда С. Т. Продуктивність та результативність праці персоналу підприємства: їх сутність та взаємозв'язок / С. Т. Дуда, Х. Р. Кіцак// Науковий вісник НЛТУ України. – 2010, Вип. 20.14. – С. 188-193.
4. Економіка підприємства в схемах і таблицях : Навчальний посібник / Т. М. Серікова, Є. П. Кожанова, В. І. Мельник, Г. М. Шумська. – Х.: ВД «ІНЖЕК», 2009. – 304 с.
5. Куликов Г. Т. Продуктивность труда наемных работников: монография / Г. Т. Куликов; отв. ред. Д. П. Богиня. – 2-е изд., перераб. – К.: Ин-т демограф. и соц. исследований НАН Украины, 2006. – 344 с.
6. Сільське господарство України за 2012 рік : статистичний збірник / За ред. Н. С. Власенко. – К.: Держкомстат України, 2013. – 402 с.

Olena Kilnitska

METHODS OF DEFINITION OF PRODUCTIVITY AND EVALUATION IN AGRICULTURE OF UKRAINE

Annotation

The article defines the basic methods of estimation of labor productivity: natural, cost, labor, as well as the calculation of their performance. The characteristic of the advantages, disadvantages of methods of labor productivity are presented here, indicated the scope of their use. Using natural and valuation methods here was evaluated the productivity of labor in agriculture of Ukraine for 2005-2012 years. Natural method of estimating of productivity in agriculture differs much slower pace. Price factors distort the ultimate economic results and the efficiency of resource using. On scientifically sound labor standards method accurately measures and characterizes the dynamics of labor productivity. However, its application requires a well-supplied valuation of work.

*პაატა კოლუაშვილი
ბადრი რამიშვილი*

საქართველოს სოფლის ტექნოლოგია

საქართველოს საჯარო სივრცეში ბოლო წლებში გახშირდა კამათი როგორც ეკონომიკური განვითარების პროცესში სოფლის მეურნეობის როლის, ასევე სოფლად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობრივი პარამეტრების შესახებ. ფაქტია, რომ 2004-2012 წლების ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად დაკნინდა ეროვნულ ეკონომიკაში აგრარული სექტორის როლი, რამაც სოფლად მცხოვრები შრომისუნარიანი მოსახლეობის მკვეთრი შემცირება განაპირობა. სტატიაში სწორედ ეს მნიშვნელოვანი საკითხია განხილული.

საქართველოს სტრატეგიული განვითარების კონტექსტით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი პრობლემის გადაწყვეტას, როგორცაა ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახლეობის მაქსიმალურად ეფექტიანი გაადგილება. ცხადია, ეს ურთულესი საკითხია, რომელზეც უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას და ყველაფრის მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით გადაწყვეტა შეუძლებელია, თუმცა, აუცილებელია დადგინდეს

რამდენიმე ძირითადი პარამეტრის დასაშვები მერყეობის ამპლიტუდა, რაც წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს სახელმწიფოს და ერის სასიცოცხლო ინტერესებთან.

ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი საკითხია სასოფლო და ურბანული ტერიტორიების მოსახლეობის როდენობის და მათი თანაფარდობის პარამეტრების დადგენა. ეს განსაკუთრებით აქტუალურად გვეჩვენება დღეს, თუ ამ მიმართულებით გამოთქმულ და დაწერილ არაკომპეტენტურ, ზერეულ, წინასწარ აკვიატებულ და შესაბამისად, არამართლზომიერ მოსაზრებებს გავითვალისწინებთ.

საქართველოში, არცთუ იშვიათად, ისმის მოსაზრებები სოფლის მოსახლეობის როდენობის შესახებ. ზოგიერთები, იშველიებენ რა საკუთარ „კომპეტენტურობას“ და „ინფორმირებულობას“ ამ საკითხში, ამტკიცებენ, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს სოფლად, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობას უმნიშვნელო როდენობის ადამიანური რესურსი ესაჭიროება და ა.შ. ამგვარი შეხედულებების სასარგებლოდ ე.წ. „ექსპერტებს“ რამდენიმე არგუმენტი მოაქვთ: როგორც წესი, ეს არის ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში სოფლის მცხოვრებთა პროცენტული წილი, სოფლად დასაქმებულთა წილი და მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი. ამ მონაცემებით მანიპულირების შედეგად ისინი ცდილობენ, გაამყარონ საკუთარი არამართლზომიერი დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი. რეალურად საქმე სრულიად სხვაგვარად არის და ამის დამტკიცებას ქვემოთ, განვითარებული ქვეყნების მონაცემებზე დაყრდნობით შევეცდებით, მრავალმხრივი ობიექტური ანალიზის საფუძველზე (იხ. ცხრილი 1). კერძოდ, ის, ვინც ამტკიცებს, რომ საქართველოს სოფლებში ჭარბი მოსახლეობაა, უმთავრეს არგუმენტად სოფლის მოსახლეობის მაღალ წილს ასახელებს. მართლაც, ეს მანქანებელი საქართველოსთვის 47%-ია, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში არსებითად ნაკლები. თუმცა, თუ აღნიშნულ მონაცემს სხვა მანქანებლების კონტექსტით განვიხილავთ, მაშინ სრულიად განსხვავებულ სურათს მივიღებთ. მაგალითად, გერმანიასა და ნიდერლანდებში (ამ ქვეყნების მაგალითი ყველაზე ხშირად მოჰყავთ არგუმენტად) სოფლის მოსახლეობის წილი შესაბამისად 26,5% და 17% შეადგენს, თუმცა, აბსოლუტურ მანქანებლებში ეს მონაცემებია 21,5 და 2,8 მლნ. თუ ამ მონაცემებს ქვეყნის ფართობსა და მთლიანი მოსახლეობის მანქანებლებთან კორელაციაში განვიხილავთ, საინტერესო დასკვნამდე მივალთ: გერმანიის ტერიტორია საქართველოზე 5,1-ჯერ, ხოლო მოსახლეობა 18,7-ჯერ მეტია, ნიდერლანდები კი, მართალია, ტერიტორიით საქართველოზე პატარაა 1,7-ჯერ, თუმცა, მოსახლეობით 3,9-ჯერ უფრო მეტია. მსგავსი მსჯელობა იმ დასკვნისთვის გვეჭირდება, რომ საქართველო გერმანიის შესაბამისი მოსახლეობის სიმჭიდროვის ქვეყანა რომ იყოს, მაშინ ჩვენს ტერიტორიაზე უნდა ცხოვრობდეს დაახლოებით 16 მლნ ადამიანი, ხოლო სოფლად, იგივე გერმანული პროპორციის გამოყენების შემთხვევაში კი, აღნიშნული როდენობის 26,5%, ანუ დაახლოებით 4,2 მლნ ადამიანი. იმავე გაანგარიშებებს თუ ნიდერლანდების მონაცემებზე დაყრდნობით შევასრულებთ, მივიღებთ, რომ საქართველოში ნიდერლანდური მოსახლეობის სიმჭიდროვის მიღწევის შემთხვევაში იცხოვრებს დაახლოებით 28,1 მლნ ადამიანი, ხოლო სოფლად კი 4,8 მლნ.

ცხრილი 1

ქვეყანა	მოსახლეობა სულ (ათასი ადამიანი)	ურომისუნარიანი მოსახლეობა (ათასი ადამიანი)	სოფლის მოსახლეობა (ათასი ადამიანი)	მოსახლეობა, რომელიც თავს სოფლის მეურნეობით ირჩენს (ათასი ადამიანი)	სოფლის მეურნეობაში დასაქმებულნი (ათასი ადამიანი)	სოფლის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში, %	სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი ურომისუნარიან მოსახლეობაში, %
აზერბაიჯანი	9494	6119	4417	2091	1085	46,5	17,7
ავსტრალია	22015	12050	2425	869	457	11,0	3,8
ავსტრია	8220	3668	2724	282	144	33,1	3,9
აშშ	313847	153600	54981	5148	2508	17,5	1,6
არგენტინა	42192	16760	3074	3110	1405	7,3	6,6
ბელარუსი	9542	5000	2428	853	434	25,4	8,7
ბელგია	10438	5177	277	134	59	2,7	1,1
ბრაზილია	205716	104700	26261	21074	11049	12,8	10,6
ბულგარეთი	7038	2465	2139	299	124	30,4	5,0
გაერთიანებული სამეფო	63047	31730	12778	918	475	20,3	1,5
გერმანია	81305	43620	21523	1295	662	26,5	1,5
დანია	5543	2853	729	141	75	13,2	2,6
ესპანეთი	47042	23100	10415	2038	1016	22,1	4,4
ესტონეთი	1275	704	409	119	71	32,1	10,1
თურქეთი	79749	27430	22081	14472	8068	27,7	29,4
იაპონია	127368	65930	41968	2685	1418	33,0	2,2
ინდოეთი	1205073	487600	857109	592277	269740	71,1	55,3
ირლანდია	4722	2126	1701	294	149	36,0	7,0
ისრაელი	7591	3204	604	127	51	8,0	1,6

იტალია	61261	25080	19158	1968	845	31,3	3,4
ლატვია	2191	1169	727	208	113	33,2	9,7
ლიტვა	3526	1624	1097	323	126	31,1	7,8
ნიდერლანდები	16730	7809	2847	408	213	17,0	2,7
პოლონეთი	38415	17850	14944	5658	2960	38,9	16,6
პორტუგალია	10781	5543	4195	1095	515	38,9	9,3
რუმინეთი	21848	9252	9139	1802	869	41,8	9,4
საბერძნეთი	10767	4959	4383	1085	637	40,7	12,8
საფრანგეთი	65630	29610	9261	1271	573	14,1	1,9
სომხეთი	2970	1194	1107	290	148	37,3	12,4
უკრაინა	44854	22090	14186	5212	2412	31,6	10,9
უნგრეთი	9958	4274	3185	840	322	32,0	7,5
შვეიცარია	7656	4898	2022	383	137	26,4	2,8
ჩინეთი	1343239	795500	723826	834491	500977	53,9	63,0
ჩეხეთი	10177	5410	2776	650	327	27,3	6,0
საქართველო	4340	2390	2038	-	330	47,0	13,8

ცხრილი შედგენილია <http://faostat3.fao.org/faostat-gateway/go/to/home/> და <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/> მასალების გამოყენებით

ცხადია, მსგავსი მსჯელობა არ ისახავს მიზნად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის განთავსების პარამეტრების დადგენას, თუმცა, მათ საწინააღმდეგოდ, ვინც ზემოხსენებული ქვეყნების მანქანებლებით მანიპულირებას ცდილობს, ვფიქრობთ, რომ გამოდგება.

რაც შეეხება საქართველოს სოფლის მეურნეობაში საერთო ადამიანური და შრომითი რესურსების რეალური გამოყენების პირობებს, ამისთვის საჭიროა უფრო მიზანმიმართული კვლევის ჩატარება და თუ ის იქნება, მრავალმხრივი, ანუ პარამეტრები დადგინდება კვლევის სხვადასხვა მეთოდით, მაშინ მიღებული მონაცემების თანაკვეთა მოგვცემს რეალობასთან მეტ-ნაკლებად მიახლოებულ სურათს.

პირველ ყოვლისა, ჩვენ იმ ქვეყნების მანქანებლების ანალიზსა და განზოგადებას შევეცდებით, რომელთაც საქართველოს მსგავსი საბაზო პირობები გააჩნიათ, თუმცა ეკონომიკური განვითარების დონით მნიშვნელოვნად გვისწრებენ და შესაბამისად მიბაძვის ობიექტებადაც შეიძლება გამოდგნენ. ამისთვის კი რამდენიმე კრიტერიუმი უნდა ჩამოვყალიბოთ: პირველ რიგში უნდა შევარჩიოთ ის ქვეყნები, რომელთაც ჩვენი ქვეყნის მსგავსი ბუნებრივ-კლიმატური, რელიეფური პირობები და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა აქვთ (მაგალითად, ამ უკანასკნელი კრიტერიუმის უმთავრეს განმსაზღვრელად მივიჩნევთ ქვეყანაში მევენახეობის, როგორც ერთ-ერთი წამყვანი დარგის არსებობას). ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ეს ქვეყნები ეკონომიკურადაც განვითარებული უნდა იყვნენ. განვითარების ზღვრად ჩვენს ანალიზში აღებული გვაქვს მშპ-ს მოცულობა 20 ათასი დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორცაა მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე, ქვეყნის ეკონომიკისა და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის განვითარების საბაზო პირობები და კვების ტრადიციები. ამ კრიტერიუმების მიხედვით, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ქვეყანა, რომლებიც საქართველოსთან ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრების მიხედვით შედარებითი მსგავსებით გამოირჩევა და ჩვენ მიერ დადგინდ ეკონომიკური განვითარების მანქანებელსაც აკმაყოფილებს. ეს ქვეყნებია: შვეიცარია, იტალია, უნგრეთი, პორტუგალია, საბერძნეთი. ჩვენ არ განვიხილეთ საფრანგეთის და ესპანეთის მაგალითები, რადგან ამ ქვეყნების ტერიტორიის სიდიდე დიდ გავლენას ახდენს ეროვნული მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაზე. კერძოდ კი – მარცვლეული კულტურების სასარგებლოდ, რაც აღნიშნულ ქვეყნებს მსხვილი ინდუსტრიული ფერმების შექმნის შესაძლებლობას აძლევს.

ანალიზს შევიცარიით დავიწყებთ, რადგან, გარდა იმისა, რომ ეს ქვეყანა ყველაზე კარგად შეესაბამება ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს, ამავე დროს, საუკეთესო ორიენტირიც არის სამომავლო განვითარების მხრივ.

შვეიცარიის და საქართველოს ტერიტორიის ფარდობითი კოეფიციენტი შეადგენს 0,59-ს, ხოლო მოსახლეობის ანალოგიური კოეფიციენტი 1,76, ანუ საქართველოში მოსახლეობის სიმჭიდროვე ამ ევროპული ქვეყნის შესაბამისი რომ იყოს, იცხოვრებდა დაახლოებით 13 მლნ ადამიანი, ხოლო ვინაიდან შვეიცარიის სოფლის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 26,4%-ს შეადგენს და ამ მანქანებლის პროცირებას თუ საქართველოზე მოვახდენთ, მივიღებთ 3,4 მლნ სოფლის მოსახლეობას, საბერძნეთის მაგალითზე იმავე გაანგარიშებების შემთხვევაში – 5,7 და 2,3 მლნ ადამიანს, უნგრეთის მაგალითზე – 7,6 და 2,5 მლნ-ს, იტალიის მაგალითზე – 14,3 და 4,5 მლნ-ს, ხოლო პორტუგალიის მაგალითზე კი – 8,3 და 3,2 მლნ-ს.

ამდენად, როგორც ჩვენ მიერ შესრულებული გაანგარიშებები ცხადყოფს, საქართველოს სოფლის მოსახლეობა შეიძლება იყოს 2,3 მლნ-დან 4,5 მლნ-მდე. დღეს რეალურად სოფლად ცხოვრობს დაახლოებით 2 მილიონი, ანუ საქართველოს სოფლებში არათუ ჭარბმოსახლეობაა, არამედ ადამიანური რესურსების სიმცირესთანაც კი გვაქვს საქმე (განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში).

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ამჟამად დასაქმებულია დაახლოებით 330 ათასი ადამიანი (FAO-ს მონაცემი). ქვემოთ გვექნება მსჯელობა, თუ რამდენად არის ეს ციფრი ოპტიმალურთან ახლოს.

ზოგადად, როდესაც სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივაზეა მსჯელობა, უპირველესად უნდა განისაზღვროს, თუ რა არის ამ მხრივ უმთავრესი მიზანი. საქართველოს პირობების გათვალისწინებით (მხედველობაში გვაქვს მცირემიწიანობა, მძიმე დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარება, განსაკუთრებით ქართული რეალობა, რომლის მიხედვითაც სოფელი ტრადიციების და ეთნოკულტურული იდენტობის უმთავრესი კერაა) უპირველესი ამოცანაა მიწის ეფექტიანი გამოყენება, ანუ მაქსიმალური შრომაუკუყვების მიღება. ამასთან, ეს ისე უნდა განხორციელდეს, რომ ადგილობრივმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ არ

დაკარგოს კონკურენტუნარიანობა უცხოურ პროდუქციასთან მიმართებით. შესაძლებელია თუ არა აღნიშნულის მიღწევა, ამის შესახებ, ჩვენი აზრით, ობიექტური დასკვნის გაკეთება ისევ განვითარებული ქვეყნების მაგალითის შესწავლით შეიძლება (იხ. ცხრილი 2). კერძოდ, საქართველოში სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე მოდის 7,48 ჰა სოფლის მეურნეობის სავარგული. შვეიცარიაში ეს მაჩვენებელია 11,45 ჰა, თუ ამ მონაცემს ოპტიმალურად მივიჩნევთ, მაშინ საქართველოს სოფლის მეურნეობაში უნდა საქმიანობდეს დაახლოებით 215 ათასი ადამიანი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სავარგულების რაოდენობად აღებული გვაქვს დაახლოებით 2,5 მლნ ჰა, თუმცა, ამ მონაცემის გაზრდა მინიმუმ 20%-ით არის შესაძლებელი. სავარგულებში დღეს არსებული სხვადასხვა პრობლემის დარეგულირების შემდეგ, ცხადია, შესაბამისად გაიზრდება დასაქმებულთა პოტენციური რაოდენობაც. იტალიაში სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე მოდის 16,74 ჰა. საქართველოს სავარგულების რაოდენობის გაყოფით ამ მაჩვენებელზე მივიღებთ დაახლოებით 148 ათას დასაქმებულს, უნგრეთის ანალოგიური მონაცემის შემთხვევაში გვექნება 136 ათასი, საბერძნეთის მაგალითზე მივიღებთ 191 ათასს, ხოლო პორტუგალიის მაგალითზე კი – 345 ათასს. ამ ხუთი ქვეყნის მიხედვით ერთ დასაქმებულზე სავარგულების საშუალო მაჩვენებლის განხილვის შემთხვევაში (რაც 13,3 ჰა-ს შეადგენს) მივიღებთ დაახლოებით 186 ათას დასაქმებულს, ხოლო ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლების პირდაპირი საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით – 207 ათასს.

ცხრილი 2

ქვეყანა	ტერიტორია (ათასი კმ ²)	სოფლის-მეურნეობის სავარგული (ათასი ჰა)	მოსახლეობის სიმჭიდროვე (ადამიანი 1 კმ ² -ზე)	სოფლის მეურნეობის სავარგული ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე (ჰა)	სოფლის მეურნეობის სავარგული სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე (ჰა)	სოფლის მეურნეობის სავარგული სოფლის მეურნეობაში ერთ მცხოვრებელზე (ჰა)
აზერბაიჯანი	86,6	4936	109,6	0,52	4,55	1,12
ავსტრალია	7741	410273	2,8	18,64	897,75	169,18
ავსტრია	83,9	3188	98	0,39	22,14	1,17
აშშ	9826	432344	32	1,38	172,39	7,86
არგენტინა	2780	141800	15,2	3,36	100,93	46,13
ბელარუსი	207,6	9134	46	0,96	21,05	3,76
ბელგია	30,5	1372	342	0,13	23,25	4,95
ბრაზილია	8515	263965	24,2	1,28	23,89	10,05
ბულგარეთი	110,9	5101	63,5	0,72	41,14	2,38
გაერთიანებული სამეფო	243,6	17295	259	0,27	36,41	1,35
გერმანია	357	17136	227,7	0,21	25,89	0,79
დანია	43,1	2672	128,6	0,48	35,63	3,67
ესპანეთი	505,4	27797	93	0,59	27,36	2,67
ესტონეთი	45,2	949	28,2	0,74	13,37	2,32
თურქეთი	783,6	39180	102	0,49	4,86	1,77
იაპონია	378	4536	337	0,06	3,20	0,11
ინდოეთი	3287	197220	367	0,16	0,73	0,23
ირლანდია	70,3	4218	67,2	0,89	28,31	2,48
ისრაელი	20,8	500	365	0,07	9,80	0,83
იტალია	301	14147	203	0,23	16,74	0,74
ლატვია	64,6	1873	34	0,85	16,58	2,58
ლიტვა	65,3	2742	54	0,78	21,76	2,50
ნიდერლანდები	41,5	2324	403	0,14	10,91	0,82
პოლონეთი	312,7	16260	123	0,42	5,49	1,09
პორტუგალია	92,1	3684	117	0,34	7,15	0,88
რუმინეთი	238,4	13827	91,6	0,63	15,91	1,51
საბერძნეთი	131,9	8253	81,6	0,77	12,96	1,88
საფრანგეთი	551,5	29229	119	0,45	51,01	3,16
სომხეთი	29,7	1812	100	0,61	12,24	1,64
უკრაინა	603,6	42855	74	0,96	17,77	3,02
უნგრეთი	93	5859	107	0,59	18,20	1,84
შვეიცარია	41,3	1569	185,4	0,20	11,45	0,78
ჩინეთი	9597	537432	140	0,40	1,07	0,74
ჩეხეთი	78,9	4260	129	0,42	13,03	1,53
საქართველო	69,7	2469	62,3	0,59	7,48	1,21

ცხრილი შედგენილია <http://faostat3.fao.org/faostat-gateway/go/to/home/> და <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/> მასალების გამოყენებით

ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლების და საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მართებული აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, შესაძლებელია ერთ დასაქმებულზე სოფლის მეურნეობის სავარგულების ოპტიმალურ რაოდენობად მივიჩნიოთ 10 ჰა. ასეთ პირობებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმდება მინიმუმ 250 ათასი ადამიანი, რომელთა შრომის მწარმოებლურობა და შესაბამისად შემოსავლები აღნიშნული მუშახელისა და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-კულტურული განვითარების მაღალ დონეს განაპირობებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშახელის ეფექტიანობის ზრდის უმნიშვნელოვანესი რეზერვია სოფლის მეურნეობის საწარმოთა საქონლიანობის დონის ამაღლება. ეს მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მეტად დაბალია და სოფლად მცხოვრებთა შინამეურნეობებისათვის შეადგენს მხოლოდ 37%-ს [1]. აღნიშნული მონაცემი მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მარტო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს, არამედ 1980-იანი წლების ბოლოს სოფლად მცხოვრებთა შინამეურნეობებში წარმოებული პროდუქციის საქონლიანობის დონესაც (45%) [1].

გარდა წარმოდგენილი მეთოდისა, არსებობს სხვა მრავალი მეთოდიც, რომლითაც შესაძლებელია ანალოგიური პარამეტრების გაანგარიშება. მათგან, ჩვენი აზრით, ყველაზე მიზანშეწონილია სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების ნორმატიული სიდიდე განისაზღვროს სოფლის მეურნეობის კულტურების და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური რუკებით გათვალისწინებული მოთხოვნების საფუძველზე. ამ მეთოდით სოფლის მეურნეობაში უშუალოდ დასაქმებულთა ნორმატიული სიდიდე (ოპტიმალური რიცხოვნობა), ჩვენი გაანგარიშებით, 345-355 ათას კაცს შეადგენს, რაც პრაქტიკულად შეესაბამება FAO-ს მონაცემს, რომელიც ზემოთ ფიგურირებდა ჩვენ გაანგარიშებებში. თუმცა, მომავალში ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და ქართული სოფლის სპეციფიკური თავისებურების გათვალისწინებით, შესაძლოა მათი რაოდენობა ოპტიმალური სცენარით 300-330 ათას კაცამდე შემცირდეს, ანუ სოფლად დღეს მცხოვრები მოსახლეობის 15-20 %-ის ფარგლებში დარჩეს (მხედველობაში გვაქვს მექანიზაციის დონის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სხვა პროგრესიანი პროგრესული მიმართულებები). ამ მაჩვენებელთან ერთად თუ გავითვალისწინებთ სოფლის მეურნეობის სავარგულების მაქსიმალურ ფართობს, რომლის პოტენციალიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია, ერთ დასაქმებულზე მივიღებთ 10-12 ჰა-ს, რაც დაახლოებით შეესაბამება ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ამრიგად, არასწორად მიგვაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ აგრარულ სექტორში დასაქმებული უნდა იყოს მოსახლეობის მხოლოდ 2-3 პროცენტი. ჩვენი აზრით, სოფლად უნდა იცხოვროს იმდენმა ადამიანმა, რამდენის საშუალებასაც ამა თუ იმ ქვეყნის ბიოეკონომიკური პოტენციალი, სოფლის მეურნეობისა და ზოგადად ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა იძლევა და რომლის პირობებში ადგილობრივი აგრორესურსების ყველაზე ეფექტიანი გამოყენება მიიღწევა. საქართველოსთვის ეს მაჩვენებელი მინიმუმ 2,3 მლნ ადამიანია, თუმცა წინასწარ გამიზნული ეკონომიკური (მ.შ. აგრარული) პოლიტიკის შემთხვევაში, მაშინ, როდესაც საქართველოს მზარდი დემოგრაფიული მაჩვენებლები ამის შესაძლებლობას მოგვცემს, ჩვენი ქვეყნის არაურბანული დასახლებების ტევადობის პოტენციალი 4,5 მლნ ადამიანიც შეიძლება იყოს. სწორედ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვიმსჯელოთ ყველა არსებული რეზერვის ამოქმედებაზე და სოფლად მცხოვრებთა სრულფასოვან სოციალურ-კულტურულ ყოფაზე.

ბუნებრივია, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის საზოგადოების ეკონომიკური დედაბოძი ყოველთვის ქართველი გლეხი იქნება, მისთვის სრულფასოვანი ცხოვრებისეული არეალის შექმნა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის ფორმირებას გულისხმობს და აქვე თუ გავითვალისწინებთ სოფლის მეურნეობის მომიჯნავე დარგებში დასაქმებულებს და საქართველოს აგროტურიზმის მნიშვნელოვან პოტენციალს, ცხადი გახდება, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი არაურბანულ მოსახლეობაში (უკიდურეს შემთხვევაში) არ გადააჭარბებს ევროპული ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებს.

ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც საქმიანობენ სოფლად (მასწავლებლები, ექიმები, მექანიზატორები, მელიორატორები, კულტურის მუშაკები, მძღოლები, ხანდაზმული ადამიანები და სხვ.), როგორც წესი, დიდად (3-4ჯერ) აღემატება მათ რაოდენობას, ვინც უშუალოდ დაკავებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით (მათ ფერმერის სტატუსი გააჩნიათ), ანუ ხნავს, თესავს, ვენახსა და ხეხილს უვლის, თიბავს, პირუტყვსა და ფრინველს ამრავლებსა და უვლის და ა.შ. ხოლო თუ ოჯახის შრომისუნარო წევრებსაც მივიღებთ მხედველობაში, კვლავ მივაღწეოთ იმ მონაცემამდე, რის შესახებაც ზემოთ ვიმსჯელებთ: საქართველოს სოფლის მოსახლეობა უნდა იყოს არანაკლებ 2,3 მლნ-ისა, ხოლო პოტენციალი – 4,5 მლნ ადამიანია.

ბუნებრივია, ამ მონაცემების რეალურობა დიდად იქნება დამოკიდებული ქვეყანაში განხორციელებულ ეკონომიკურ (მ.შ. აგრარულ და სოფლის განვითარების) პოლიტიკაზე, მიწის კონსოლიდაციაზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სტიმულირებაზე, სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სხვა აუცილებელი პროექტების განხორციელებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.geostat.ge/
2. <http://faostat3.fao.org/faostat-gateway/go/to/home/>
3. <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/>

CAPACITY OF GEORGIAN VILLAGE
Annotation

In recent years the debate about the role of agriculture in economic development has increased in public sector, as well as about the quantitative parameters of the population living in rural areas. It is the fact that over the 2004-2012 years the government had been deliberately declining the role of agricultural sector in national economy, which has led to a sharp decline of the working age population living in rural areas.

In the presented work, the authors on the example of developed European countries ground the demographic parameters about the capacity of Georgian village, which in their opinion, fluctuate from 2.3 million to 4.5 million people. Besides, it is determined the optimal number of labor resources required for the agricultural sector, which from the authors point of view is within the 300-330 thousand.

ზურაბ ნოზაძე

**ბუნების დაცვის საფინანსო რესურსების ფორმებისა და გამოყენების მუშაობის
საპროექტო რეზიუმე**

საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ბუნებრივ რესურსებზე დაყრდნობით, რომელიც ეროვნული სიმდიდრის მთავარი ნაწილია. მისი შენარჩუნება და აღდგენა შრომის დანახარჯებს მოითხოვს, ამავე დროს, მეცნიერულად დასაბუთებულ ბუნებათსარგებლობის მექანიზმს საჭიროებს.

მრავალ ქვეყანაში რაციონალური ბუნებათსარგებლობისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასება, რესურსების გამოყენებასა და დაბინძურებაზე ფულადი გადასახადების სისტემის შემოღება, საჯარიმო სანქციების სისტემის შემოღება. ბუნებისდაცვითი საქმიანობის შედეგების მიხედვით სუბსიდიების და შეღავათების დადგენა. დაგეგმვისა და მართვის სფეროში ფართოდ ინერგება ბუნებადამცავ ღონისძიებათა ეფექტურობის საანგარიშო მეთოდები, რაც საშუალებას იძლევა ფასწარმოქმნის პოლიტიკაში მთლიანად აისახოს ბუნებრივი ფაქტორების როლი.

ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგია დაფუძნებულია ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მაჩვენებლების ცვალებადობის კანონზომიერებაზე – ითვალისწინებს დროის სხვადასხვა პერიოდში ბუნებრივი რესურსების არათანაბარ ეკონომიკურ ღირებულებას. ეკონომიკური შეფასების შემდეგ განისაზღვრება ერთეულ გამოყენებულ ბუნებრივ რესურსზე გადასახადის განაკვეთი, მისი გადამხდელი და პასუხისმგებლობის ფორმები.

გადასახადების მთავარი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ იგი გაცილებით მეტი უნდა იყოს თანხაზე, რომელიც საჭიროა ლოკალური გამწმენდი ნაგებობის მოსაწყობად. ბუნების დაცვის საფინანსო რესურსები უნდა წარმოიქმნას: ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დამორჩილებისათვის საკომპენსაციო გადასახადებისა და ჯარიმებისაგან.

ბუნების დაცვის ადგილობრივი საფინანსო რესურსების ფორმირება ხდება სხვადასხვა ფინანსური რესურსების ხარჯზე. მათგან აღსანიშნავია:

- გარემო ბუნებაში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა დასაშვები (ლიმიტირებული) გამოსროლისათვის (ჩაშვებისათვის, ნარჩენების განლაგებისათვის) საწარმოების გაერთიანების, ფირმების, ორგანიზაციების გადასახდელები;

- გარემო ბუნებაში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა დასაშვები (ლიმიტირებული) გამოსროლის (ჩაშვების) გადამტებისათვის საწარმოების გადასახდელები;

- გადასახდელები, რომელიც შემოვა ცხოველების, ფრინველების, თევზების, მცენარეების და მათ შორის ხე-ტყის მოპოვების ლიცენზიების გაყიდვების გზით;

- საწარმოების საჯარიმო გადასახდელები გარემოში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების ავარიული გამოსროლისათვის (ჩაშვებისათვის);

- საწარმოების გადასახდელებში ბუნებრივი რესურსების ზენორმატიული და არაკომპლექსური გამოყენებისათვის;

- სახსრებს, რომლებსაც აზღვევენებენ საწარმოებს ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევით მათი სამეურნეო საქმიანობის შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებლად;

- ჯარიმები, რომელშიც აისახება ადმინისტრაციული და სასამართლო წესით გარემოს დაცვის კანონმდებლობის დარღვევაში დამნაშავე თანამდებობის პირები და ცალკეული მოქალაქეები;

- სახსრები, რომლებიც მიიღება კონფისკირებული სანადირო და სათევზაო საშუალებების რეალიზაციით, აგრეთვე მათი მეშვეობით უკანონოდ მოპოვებული პროდუქციის გაყიდვის გზით;

- საწარმოების, კოოპერატივების, ფირმების და ცალკეული მოქალაქეების ნებაყოფლობითი შენატანებით;

- შემოსავალი უცხოური ვალუტით იმ სარჩელებისა და ჯარიმების სახსრების ხარჯზე, რომლებიც გადახდებოდა უცხოური ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევის გზით: სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის;

- სახელმწიფო საწამოებისა და კერძო სტრუქტურების, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების სახსრების წილობრივი მონაწილეობა ბუნების დაცვის სამუშაოთა დასაფინანსებლად.

- სხვა წყაროები, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა და ადგილობრივი რეგიონული მართვის ორგანოები სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დანაკარგების მიყენების გარეშე.

ამრიგად, ბუნების დაცვის ადგილობრივი საფინანსო რესურსები იქმნება ზემოთ ჩამოთვლილი სახსრების ხარჯზე, რომელთაც იხდიან შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები (უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად), კომერციული სტრუქტურები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე თანამდებობების პირები და მოქალაქეები.

ბუნების დაცვის ადგილობრივი საფინანსო რესურსების ფორმირების ძირითადი წყაროა გადასახდელები გარემოს ძირითადი გაჭუჭყიანებისათვის. განვიხილოთ მათი წარმოქმნის მექანიზმი.

საწარმოების, ორგანიზაციების, გაერთიანებების, ფირმების ნორმატივებით გათვალისწინებულ გადასახდელებში დგინდება ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების გამოსროლისათვის, წყლის ობიექტებში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების გამოსროლისათვის, წყლის ობიექტებში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების ჩაშვებისათვის და მყარი ნარჩენების განლაგებისათვის უნდა დადგინდეს ორი სახეობის გადასახდელის ნორმატივი გარემოში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების გამოსროლისათვის (ჩაშვებისათვის).

1. დასაშვები (დადგენილი ლიმიტის ფარგლებში) გამოსროლისათვის. (ჩაშვებისათვის, განლაგებისათვის);

2. მისი გადაჭარბებისათვის.

აუცილებლად მიგვაჩნია გარემოში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გამოსროლის (ჩაშვების) ნორმატიული დონის ეტაპობრივი მიღწევა. ამისათვის აუცილებელია გათვალისწინოთ მოცემულ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების ეკონომიკური შესაღებლობები და საერთო ეკოლოგიური მდგომარეობა. გარდა ამისა, საწარმოებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემადგენლობაში უნდა დაუმტკიცდეს გარემოში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების გამოსროლის (ჩაშვების) ლიმიტები, სასურველია, ეს ლიმიტები დაიყოს ცალკეული წლების მიხედვით.

გადასახდელის ნორმატივები გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების დადგენილი ლიმიტების ფარგლებში გამოსროლისათვის განისაზღვრება იმ კაპიტალური დანახარჯების საფუძველზე, რომელიც გათვალისწინებულია რესპუბლიკური და ადგილობრივი ბუნებისდაცვით პროგრამებში (საწარმოთა დანახარჯების გათვალისწინებულად). გარემოსადმი გაჭუჭყიანებით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ნორმატივები დადგენილი ლიმიტის ზემოთ გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების გამოყოფისათვის განისაზღვრება საწარმოების იმ კაპიტალური დანახარჯების საფუძველზე, რომელიც აუცილებელია დადგენილი ლიმიტის მისაღწევად აღებული ჯერადული ზომით (მაგრამ არაუმეტეს ხუთისა).

გადასახდელები გარემოში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გამოყოფისათვის შედის პროდუქტის თვითღირებულებაში.

გარემოში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების ზღვრულად გამოყოფის გადაჭარბებისათვის გადასახდელის წყაროა საწარმოს მოგება (სამეურნეო ანგარიშიანი შემოსავალი). ამასთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ გადასახდელის ჯამი არ აღემატებოდეს საწარმოს განკარგულებაში არსებული მოგების 10%. აღნიშნული გადასახდელები საწარმოს მიერ გადაირიცხება ბანკის შესაბამის დაწესებულებაში, სპეციალურ ანგარიშზე ბუნების დაცვის ადგილობრივი ფონდების ფორმირებისათვის.

გამოყოფის დადგენილი ლიმიტებისათვის გადასახდელებში გადაირიცხება საწარმოს მიერ (საწარმოში იგულისხმება ყველა სახის ფიზიკური და იურიდიული პირი) კვარტალში ერთხელ, ხოლო ლიმიტის გადაჭარბებისათვის ფაქტის დადგენიდან 10 დღის განმავლობაში.

თუ არ არსებობს სათანადო ინფორმაციული დანახარჯების განსაზღვრისათვის საგემო პერიოდში იმ ღონისძიებების ჩასატარებლად, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების წყლის ობიექტებში ჩაშვების შემცირება დადგენილი ლიმიტამდე, მაშინ დასაშვებია ჩაშვების დადგენილი ლიმიტის გადაჭარბებისათვის რეგიონული გადასახადის ნორმატივის გამოყენება.

კომუნალური წყლის ჩაშვების სისტემებისაგან გადასახდელი ამოიღება წყლის ობიექტებში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების ჩაშვების ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად. საწარმოებ-აბონენტებისაგან გადასახდელების ამოღების წესი განისაზღვრება ადგილობრივი მართვის ორგანოების მიერ ბუნების-დაცვით რესპუბლიკურ ორგანოებთან შეთანხმებით და ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე.

ბუნების დაცვის ადგილობრივი საფინანსო რესურსების გამოყენების რაციონალური სქემის შემუშავება ბუნებისდაცვითი მექანიზმის სრულყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამ სახსრების გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა. უპირველეს ყოვლისა, საფინანსო რესურსების სახსრები უნდა დაიხარჯოს შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებისათვის:

- ტერიტორიული დანიშნულების ბუნებისდაცვითი ობიექტების მშენებლობა, ტექნიკური აღჭურვა, რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტი.

- საპროექტო-სადიებო და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები ახალი სახეობის ბუნებისდაცვითი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მონიტორინგის ავტომატიზებული სისტემებისა და მართვის ტექნიკური საშუალებების შესაქმნელად;

- დარგთაშორისი დანიშნულების სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების განხორციელება გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;

- რეგიონის ტერიტორიაზე ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური შედეგების თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების დაფინანსება.

- სამუშაოები მცირე მდინარეების, წყაროების და ტბების შესანარჩუნებლად და აღსადგენად;

- სამუშაოებისათვის უნიკალური ლანდშაფტების შესანარჩუნებლად;

- ადგილობრივი ნაკრძალების, ეროვნული პარკების განვითარებისა და ბუნების ძეგლთა დასაცავად;

• სამუშაოებისათვის გარემოზე ადამიანის ზემოქმედების შესაფასებლად და რეგიონის ტერიტორიაზე განხორციელებული სამეურნეო საქმიანობის პროექტების სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის მოსაწყობად; ბუნების დაცვის ადგილობრივი სახსრები შეიძლება მოხმარდეს ბუნების დაცვის ადგილობრივი ორგანოების მიერ ხელსაწყოების, სპეციალური ავტორიზაციის და მოწყობილობების შესაძენად, მეთვალყურეობის სისტემის შექმნისა და სხვა საჭიროებისათვის.

ცალკეულ შემთხვევაში ბუნების დაცვის ადგილობრივი საფინანსო რესურსები შეიძლება მოხმარდეს ისეთ სამუშაოთა ნაწილობრივ დაფინანსებას, როგორცაა: ბუნების დაცვითი ღონისძიებების დაფინანსება საწარმოებში, სახელმწიფო საწარმოთა შექმნა ქალაქის, რაიონის, ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საწარმოების ნარჩენების გამოსაყენებლად;

ბუნების დაცვის ადგილობრივი სახსრების გამოყენება შეიძლება აგრეთვე ბანკის იმ კრედიტების ნაწილობრივ და სრულად დასაფარავად, რომლებსაც მიიღებს საწარმო ბუნების დაცვითი დანიშნულების (გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობა, უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვა და სხვა) ძვირადღირებული ღონისძიებების განსახორციელებლად. ეს სახსრები ამ მიზნით შეიძლება იქნეს გამოყენებული იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილია ამ სამუშაოთა საჭირო ხარისხი და ისინი შესასრულებელია დაწესებულ ვადებში.

ბუნების დაცვის ადგილობრივი სახსრების ათი პროცენტი, იმ სახსრების გამოკლებით, რომლებიც გადახდებოდა საწარმოებს გარემო ბუნებაში გამაჯუჭყიანებელ ნივთიერებათა დასაშვების (ლიმიტირებულის) გამოსროლისათვის.

ადგილობრივი სახსრების ხუთი პროცენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწარმოთა იმ კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების პრემიებისა და წახალისებისათვის, რომლებიც დადებით შედეგებს მიაღწევენ ბუნების დაცვითა და რესურსდამზოგავ საქმიანობაში, აგრეთვე ბუნების დაცვის სისტემის ორგანოების იმ მუშაკების და საზოგადოებრივი ინსპექტორების პრემიებისა და წახალისებისათვის, რომლებიც უშუალო კონტროლს ახორციელებენ გარემოს დასაცავად.

უცხოური ვალუტის შემოსავალი მოხმარდება ლიცენზიების, ხელსაწყოების და ტექნიკურ-ტექნოლოგიური მოწყობილობების შესყიდვას, მონიტორინგის ავტომატიზებულ სისტემათა შესაქმნელად, აგრეთვე საერთაშორისო თანამშრომლობის დაფინანსებას. ბუნების დაცვის ადგილობრივი საფინანსო სახსრების ხარჯვა ხორციელდება ამ სახსრების გამოყენების ყოველდღიური გეგმების (ხარჯთაღრიცხვის) შესაბამისად. გეგმები მუშავდება ადგილობრივი ორგანოების დაინტერესებულ ორგანიზაციათა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლობათა მონაწილეობით და მტკიცდება გამოტანილ დადგენილებაში.

ამასთან ერთად, გაითვალისწინება იმ სამუშაოთა უზრუნველყოფა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებითა და ლიმიტებით, რომელთა დაფინანსება ბუნების დაცვის ადგილობრივი საფინანსო სახსრების ხარჯზე ხდება. ადგილობრივი სახსრების ორი პროცენტი შეიძლება დარეზერვდეს, რითაც შეიქმნება მარაგი გაუთვალისწინებელი ბუნებრივი პროცესებისა და მოვლენების, აგრეთვე ბუნებისათვის საზიანო ავარიულ სიტუაციათა ნეგატიური შედეგების სალიკვიდაციოდ.

ბუნების დაცვის ადგილობრივი სახსრები (ფინანსური) ზუსტად მიზნობრივ დანიშნულებით გამოიყენება. მათი გამოყენებისათვის კონტროლს ახორციელებენ ბუნების დაცვის ადგილობრივი ორგანოები და ბანკის შესაბამისი დაწესებულება.

იმ შემთხვევაში, თუ ბუნების დაცვის ადგილობრივი საფინანსო სახსრები საკმარისი არ აღმოჩნდა რთული ეკოლოგიური ვითარების მქონე რეგიონებში ბუნების დაცვითი ღონისძიებების შესასრულებლად, მაშინ ამ ფონდებში შეიძლება გადმოირიცხოს თანხები რესპუბლიკის ზემდგომი შესაბამისი ორგანოებიდან. ბუნების დაცვის ადგილობრივი საფინანსო რესურსების ხარჯზე მშენებარე ობიექტებისა და სხვა ღონისძიებათა შესრულების დამკვეთები შეიძლება იყვნენ სამინისტროები, უწყებები, საწარმო-ორგანიზაციები და კერძო და იურიდიული პირები.

–სანაგარიშო წელს არ გამოყენებული საფინანსო სახსრები გადადის მომდევნო წლისათვის, ამოღებას არ ექვემდებარება და ხმარდება ამ დებულებით გათვალისწინებულ მიზნობრივ დანიშნულებას.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ საბაზო ურთიერთობების პირობებში ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ საქმიანობის უკეთესად წარმართვაში ბუნების დაცვის ადგილობრივი საფინანსო რესურსების შექმნისა და გამოყენების მექანიზმის სრულყოფას პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს. ეს ყველაფერი კი საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისა და წინსვლის წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Желваков Е.Н. -, „Экологические правонарушения и ответственность“. Москва, 2000.
2. Вобылев С. ., Ходжаев А. – „Экономика природопользования“. Москва, 2003.
3. Арбузов В. В. – „Основы экономики природопользования и охраны природы“. Москва, 2003.
4. Гопонов В. В. - „природопользование“. Москва, 2004.

Zurab Nozadze

THE MECHANISM OF THE FORMATION AND UTILIZATION OF FINANCIAL RESOURCES TO NATURE PROTECTION IN THE REGIONS OF GEORGIA

Annotation

In the Article it is discussed the mechanism of the formation and utilization of Financial Resources to Nature Protection in Georgia considering the regional features in condition of Market Economy.

ევროკავშირის რიგ ჰმენბეში სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელმა ბაზრების რეგულაციები

მცირემიწიანი ქვეყნისათვის, ისეთის როგორც საქართველო, მეტად მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე გასხვისების საკითხის სწორედ გაზრდა და მოსალოდნელი შედეგების სათანადოდ გათვალისწინება. 2012 წელს და 2013 წლის პირველ ნახევარში ინტენსიური ხასიათი მიიღო მიწების უცხოელებზე გასხვისებამ. 2013 წლის 28 ივნისს საქართველოს პარლამენტმა “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ” კანონში ცვლილებებით, 2014 წლის ბოლომდე შეაჩერა უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრებაში გადაცემა. ამავე დროს, შეიქმნა “საქართველოს მიწის ფონდის მართვის განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო”, რომლის უმთავრესი მიზანია, მთლიანად მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება.

საქართველო დგას სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე მიყიდვების პრობლემის გადაწყვეტის, სავარგულები სწორი განაწილებისა და გადანაწილების პოლიტიკის შემუშავების წინაშე. ამისათვის, აუცილებელია გავიზნოთ როგორც აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული, მსოფლიოს რიგ ქვეყნებში არსებული აგრარული პოლიტიკების გამოცდილებები [5], ისე ევროკავშირის ძველი, ახალი და კანდიდატი ქვეყნების შესაბამისი პოლიტიკები.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზარი განსაზღვრული რეგულაციებით და ინსტიტუციური ნორმებით რეგულირდება. ბუნებრივია, ეს რეგულაციები ზემოქმედებს აღნიშნული ბაზრის ფუნქციონირებაზე. სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვების ბაზრების რეგულაციებს სამ ტიპად ყოფენ: რაოდენობრივ, ღირებულებით და საოპერაციო რეგულაციებად [1, გვ. 3].

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, ევროკავშირის ძველი წევრიქვეყნების (აქ განხილულია: საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, შვედეთი, ბელგია) სასოფლო-სამეურნეო მიწების ტრანსაქციები ხასიათდება მეტი თავისუფლებით და შეუზღუდაობით, თუმცა რიგ ქვეყნებში არსებობს გასაყიდი მიწების ფართობებზე შეზღუდვები. აღნიშნულ ქვეყნებში გაყიდვებთან დაკავშირებული ტრანსაქციები უმეტესად ექვემდებარება სახელმწიფო სააგენტოს მხრიდან დადასტურებას.

უცხოური ინვესტორებისათვის მიწის შეძენისათვის განსაზღვრული შეზღუდვები მეტადაა გავრცელებული ახალ წევრ ქვეყნებში (უნგრეთი, ბულგარეთი, პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ლიტვა, ესტონეთი, ლატვია, რუმინეთი, სლოვაკეთი). ამ ღონისძიებათა მიზანია სასოფლო-სამეურნეო სექტორის ან სოფლის “ტრადიციული სტრუქტურის” დაცვა. აღსანიშნავია, რომ, ამ თვალსაზრისით, მიწების შეძენისა და მფლობელობის თაობაზე, ქვეყნებს აქვთ განსხვავებული მიდგომები შიდა და უცხოური ინვესტორების მიმართ.

ევროკავშირის ქვეყნების უმეტეს ნაწილში, ამავე ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებული ტრანსაქციები შედარებით თავისუფალია და შეუზღუდავია. თუმცა რიგ ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია და შვედეთი), მიწის შეძენა, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის მიერ, ასევე სადაც არის შეზღუდვები შესაძენი მიწის ფართობის მაქსიმალურ სიდიდეზე (უნგრეთი და ლიტვა), დამტკიცებული უნდა იყოს სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ.

საფრანგეთში მიწის გაყიდვების რეგულაციები იმართება Societes d’Amenagement Foncier et d’Etablissement Rural(SAFER)-ის მიერ. ეს ინსტიტუტი წარმოადგენს უწყებას, რომლის სპეციალური ვალდებულებაა ფერმერების (განსაკუთრებით ახალგაზრდა ფერმერების) საქმიანობის დაწყებისა თუ გაფართოებისათვის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კონსოლიდაცია და მიწის ბაზრების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა (მაგალითად, ჩარევა სპეკულაციაზე ეჭვის შემთხვევაში).

სასოფლო-სამეურნეო მიწის ყოველ გაყიდვაზე ნოტარიუსი, რომელიც აფორმებს ტრანსაქციას, ვალდებულია SAFER-ს გაუგზავნოს შეტყობინება ამ ფაქტის შესახებ. ამ უწყებამ ორი თვის ვადაში უნდა დაამტკიცოს ან გააუქმოს ტრანსაქცია. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ტრანსაქცია არ შეესაბამება SAFER-ის მიზნებს, იგი ახორციელებს მოლაპარაკებებს მყიდველსა და გამყიდველს შორის ისეთი ხელშეკრულების დადების მიზნით, რომელიც უკეთ შეესაბამება მის მიზნებს, ან გამოიყენებს უპირატესობის უფლებას საკუთრების შექმნაზე. ის ამ უფლებას იყენებს სპეკულაციური მიზნების აღსაკვეთად, ფერმერების ზომავზე მეტად გაფართოების შეზღუდვის (თუ ნაკვეთი მეტად დიდია), ან, თუ გარემოსდაცვითი პრობლემების განენას აქვს ადგილი. SAFER-ს შეუძლია შესთავაზოს გამყიდველს სხვა მყიდველზე მიყიდვის ან არენდით გადაცემის ვარიანტი.

გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვის ტრანსაქციების პროცედურას კანონმდებლობა არეგულირებს თუ შესასყიდი მიწა აღემატება მინიმალურ დასაშვებ ზომას. აღნიშნული სიდიდე სხვადასხვაა ადმინისტრაციული ტერიტორიების მიხედვით და გაყიდვები ექვემდებარება დამტკიცებას მარეგულირებელი უწყების Enehmigungsbehörde-ის მიერ. ეს უწყება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება შეტყობინებიდან ერთი თვის ვადაში. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში მიწის შეძენისას, მეზობლად მცხოვრებ ფერმერს მიწის კონსოლიდაციის შემთხვევაში აქვს უპირატესობის უფლება. მიწის არაფექტური განკარგვის ან სპეკულაციაზე ეჭვის შემთხვევაში უწყებას აქვს ტრანსაქციაზე უარის თქმის უფლება.

შვედეთში ფიზიკური პირი უფლებამოსილია, შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო მიწა ისეთი შეზღუდვების გარეშე, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო სექტორში მუშაობის განათლება ან გამოცდილება, თუმცა მცირედ დასახლებულ რეგიონებში მიწის მყიდველებს ესაჭიროებათ სათანადო ნებართვა. ამგვარი ნებართვა გაიცემა განათლებისა და წინა საქმიანობის (გამოცდილების) საფუძველზე. ასეთი ნებართვა სავალდებულოა იურიდიული პირების მიერ მიწის შეძენის შემთხვევაშიც.

სხვადასხვა ქვეყანაში არენდატორ ფერმერებს აქვთ მათ მიერ არენდით აღებული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის შექმნაზე პრივილეგირებული უფლება (ბელგია, გერმანია), სადაც ასევე ითვალისწინებენ მეზობელი ფერმერისა და წინა არენდატორის ფაქტორებს.

ევროკავშირის ძველ წევრ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოურ მფლობელებზე მიყიდვის შეზღუდვები ნაკლებად მკაცრია, ვიდრე ახალ წევრ ქვეყნებში. ევროკავშირში შესვლამდე ახალ წევრ ქვეყნებს ჰქონდათ შიში, რომ მათი ბაზრის გახსნისა და ევროკავშირის ერთიან ბაზარში ინტეგრირებისას, ძველი წევრი ქვეყნების ფერმერები, რომლებსაც, როგორც წესი, უფრო მეტი კაპიტალი აქვთ, ვიდრე ახალი წევრი ქვეყნების ფერმერებს, მოსურვებდნენ სარგებლის მიღებას ახალ წევრ ქვეყნებში იაფი სასოფლო-სამეურნეო მიწების შექმნის შესაძლებლობებიდან. ძველ წევრ ქვეყნებს არ აქვთ შეზღუდვები უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შექმნისას, თუ ნაკვეთი არ არის განთავსებული “სტრატეგიულად მგრძობიარე ტერიტორიაზე”. მაგალითად, საბერძნეთში უცხოელები ვერ იძენენ მიწას, რომელიც გათვალისწინებულია, როგორც “სასაზღვრო ზონა”, თავდაცვის სამინისტროს დასტურის გარეშე.

ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში, განსაკუთრებით უცხოელ მოქალაქეებს და ზოგიერთ ქვეყანაში უცხოურ იურიდიულ პირებს, არ შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო მიწის შექმნა, ან მათზე ვრცელდება მნიშვნელოვანი (პირდაპირი ან ირიბი) შეზღუდვები. კერძოდ, ეს ეხება, ევროკავშირში შესვლიდან ბულგარეთს, ჩეხეთის რესპუბლიკას, ესტონეთს, უნგრეთს, ლატვიას, ლიტვას, რუმინეთს და სლოვაკეთს 7 წლიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, ხოლო პოლონეთს შესვლიდან – 12 წლიანი პერიოდის განმავლობაში.

აღნიშნული შეზღუდვები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა გზით ხორციელდება, “უცხოელის” იურიდიულ პირად მონაწილეობის განსაზღვრის თუ სასოფლო-სამეურნეო მიწების შექმნისათვის შესასრულებელი პირობების დაწესებით. აღნიშნული სხვაობები ხშირად გამომდინარეობს იმ ფაქტორიდან, რომ ევროკავშირში შესვლამდე ამ ქვეყნებს გააჩნდათ სხვადასხვაგვარი შემზღუდავი რეჟიმები და მათ შეეძლოთ ეს გაეთავალისწინებინათ გარდამავალ პერიოდშიც.

უნგრეთში, კანონმდებლობის შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ფიზიკური და იურიდიული პირები, ზოგადად არ არიან უფლებამოსილნი, შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. თუმცა აქ დაშვებულია გარკვეული გამონაკლისებიც. კერძოდ, ევროკავშირის მოქალაქეებზე, რომლებსაც სურთ დამკვიდრება თვითდასაქმებული ფერმერების სახით და რომლებიც კანონიერად იმყოფებიან უნგრეთში მუდმივად, არანაკლებ სამი წლის განმავლობაში, მათზე ვრცელდება იგივე სახის წესები და პროცედურები, რომლებიც გამოიყენება უნგრეთის მოქალაქეების მიმართ. ასეთ შემთხვევაში, მიწის შექმნისას, ნაკვეთის ფართობის ზედა ზღვარი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ისეთივეა, როგორც ადგილობრივებისათვის და შეადგენს 300 ჰა-ს. უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან უფლებამოსილნი, შეიძინონ კარ-მიდამო, რომელიც არ განეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას ინდივიდუალური უძრავი ქონების სახით, რომლის ფართობი შეადგენს 6000 კვ-ს ან უფრო ნაკლებს. უცხო ქვეყნის მოქალაქეები ასევე არიან უფლებამოსილნი, შეიძინონ საკუთრებაში უძრავი ქონება, რომელიც არ განეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს და შესაბამისად შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობები, რომლებიც შემდგომ გამოიყენებული იქნება ინტენსიური მეცხოველეობის წარმოებისათვის.

აღსანიშნავია, რომ უნგრეთში, 2005-2006 წწ. პერიოდში, უცხოელების მიერ შესყიდულ იქნა მხოლოდ 700 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, რაც საერთო შესყიდვების 0,2%-ზე ნაკლებია. უცხოელთა წილი მეტია ფერმერების კარ-მიდამოს შესყიდვებში. მთლიანად გასხვისებულ კარ-მიდამოს საკუთრებებში უცხოელების მიერ შეძენილი წილი შეადგენდა 1-1,5%-ს [აქ და შემდეგ მონაცემები: იხ.1]. ეს მაჩვენებლები იმაზე მეტყველებს, რომ უნგრელ ფერმერებს საშიშროება არ ემუქრებათ უცხოელების მიერ მიწის შესყიდვასთან დაკავშირებით.

ლიტვის კანონმდებლობის შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის არ დაიშვება სასოფლო-სამეურნეო ქონების შესყიდვის უფლება გარდამავალი პერიოდის განმავლობაში. გამონაკლისი დაიშვება იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ ლიტვაში არანაკლებ სამი წლისა.

პოლონეთში, სადაც ადგილი ჰქონდა შეზღუდვების უფრო მკაცრ გატარებას 1999–2005 წწ. პერიოდში, უცხო პირთა მიერ შესყიდულ იქნა 1400 ჰა მიწა და შემდგომ წლებში აღნიშნული მონაცემი უმნიშვნელოდ გაიზარდა. აღნიშნული შესყიდული მიწის სიდიდე წარმოადგენს პოლონეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 1%-ზე ნაკლებს.

პოლონეთში მხოლოდ 2016 წლის 1 მაისიდან იქნება დაშვებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შესყიდვის უფლება შეზღუდვის გარეშე. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიწის გასხვისების წესები საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, რომელიც გაიცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს და სოფლის განვითარების სამინისტროს მიერ. ამასთან, სოფლის მეურნეობის საკუთრების სააგენტოს მინიჭებული აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება მიწის ნაკვეთების შესყიდვასთან დაკავშირებული გარიგებების წარმოებაზე.

ჩეხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე 2011 წლამდე არ დაიშვებოდა უცხო ქვეყნის არც ფიზიკურ და არც იურიდიულ პირზე, სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვა. თუმცა დაშვებული იყო გამონაკლისებიც. კერძოდ, მიწის ნაკვეთის შექმნა დაიშვებოდა ჩეხეთის მოქალაქესთან ქორწინებაში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქის ან უცხოელისათვის, რომელსაც მიღებული ჰქონდა ჩეხეთის მოქალაქეობა. ჩეხეთის მთავრობამ შემდგომში გაამარტივა პირობები იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებსაც სურდათ კერძო ან სახელმწიფო მიწის ნაკვეთების შესყიდვა. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ჩეხეთის კავშირის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2006 წელს უცხოელები ფლობდნენ მთლიანად სავარგულების 2,1%-ს. აღსანიშნავია, რომ ჩეხეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო მიწების შექმნისას პრივილიგირებული უფლებები აქვთ: ფერმერებს, მიწის მფლობელებს, პარტნიორებს, კორპორაციული მეურნეობებისა და კოოპერატივების წევრებს.

ბულგარეთის კანონმდებლობის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შექენასთან დაკავშირებით, ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მიმართ დაწესებულია შეზღუდვები. მაგალითად, ბულგარეთში, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე მიიღებს მემკვიდრეობით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ან სატყეო მასივში მიწის ნაკვეთს, იგი ვალდებულია გადასცეს საკუთრების უფლება რეზიდენტ ფიზიკურ პირს ან იურიდიულ პირს, სამი წლის განმავლობაში მემკვიდრეობის პროცესის დაწყებიდან. ამჟამად, ბულგარეთში დაშვებულია ორი გამონაკლისი იმ პირთათვის, რომლებსაც სურთ შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქონება.

პირველი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის მოქალაქე, რომელსაც სურს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ან ტყის მასივის შექენა, წარმოადგენს თვითდასაქმებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ პირს, რომელსაც სურს მუდმივად დასახლდეს და მიიღოს ბულგარეთის მოქალაქეობა. მეორე - იურიდიული პირი უფლებამოსილია, შეიძინოს და გახდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იმ შემთხვევაში თუ იგი დარეგისტრირებულია ბულგარეთში. საყურადღებოა, რომ ბულგარეთში კანონით განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო მიწის მზარდი ფრაგმენტაციის შეზღუდვა, რომლის თანახმადაც, ნაკვეთს არ შეიძლება ჰქონდეს ცალკეული საკუთრების სტატუსი, თუ იგი არ აღემატება 0,3 ჰა-ს (ვენახისათვის იგი შეადგენს 0,1 ჰა-ს, ხოლო საძოვრისათვის - 0,2 ჰა-ს).

ესტონეთის კანონმდებლობის საფუძველზე, 2011 წლამდე არ დაიშვებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწების შესყიდვა. დაიშვებოდა გარკვეული გამონაკლისები. კერძოდ, არ იკრძალებოდა უცხო მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის შესყიდვა, თუ ფართობი არ აღემატებოდა 10 ჰა-ს. 10 ჰა-ზე მეტი ფართობის შექენისას შეზღუდვები არ ვრცელდება ევროკავშირის მოქალაქეზე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ესტონეთში არანაკლებ სამი წლის განმავლობაში, რეგისტრირებულია ესტონეთის ინდივიდუალურ მწარმოებელ რეესტრში და ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას არანაკლებ სამი წლის განმავლობაში. შეზღუდვები არ ვრცელდება სრულად აგრეთვე იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან ესტონეთში და ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას სამი ფისკალური წლის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ესტონეთში ნებისმიერ არარეზიდენტ ან უცხოელ იურიდიულ პირს ეკრძალება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შექენა ზოგიერთ რეგიონში (პატარა კუნძულები და სასაზღვრო ტერიტორიები).

რუმინეთის კანონმდებლობის საფუძველზე, შეზღუდვა ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის გადაცემაზე, თუ ფიზიკურ პირს არ გააჩნია მუდმივი ბინადრობის უფლება ან იურიდიული პირი არ არის დაფუძნებული რუმინეთში. თუმცა რუმინეთშიც დაიშვება გარკვეული გამონაკლისები.

სლოვაკეთში, სადაც უცხოელებს შედარებით მარტივად შეუძლიათ შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო სავარგული, იურიდიული პირის დაფუძნებით, უცხოელები ფლობენ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 1%-ს. სლოვაკეთში დაახლოებით რუმინეთის მსგავს აკრძალვებს და განსაზღვრულ დაშვებებს ეხვებით უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში გადაცემაზე.

ლატვიის კანონმდებლობის შესაბამისად, ევროკავშირის მოქალაქეების და იურიდიული პირების მიმართ, რომლებსაც სურთ სასოფლო-სამეურნეო მიწის ან ტყის მასივში მიწის შექენა, არსებობს რიგი შეზღუდვებისა. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის არ დაიშვება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შექენა, რომელიც განთავსებულია ქვეყნის საზღვრებთან, ნაკრძალების ან ბუნებრივი პარკების ტერიტორიებთან. ამასთან, დაიშვება გამონაკლისები, კერძოდ ევროკავშირის მოქალაქეები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ლატვიაში და უწყვეტად საქმიანობდნენ სოფლის მეურნეობის სფეროში არანაკლებ სამი წლისა, უფლებამოსილი არიან, შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. ამასთან, ასეთი პირებისათვის ნებადართულია კონკრეტული ნაკვეთის შესყიდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ნაკვეთი ასეთ პირებზე იჯარის უფლებით იქნა გადაცემული არანაკლებ სამი წლის განმავლობაში. ამასთან საკუთრების უფლების ფაქტობრივად მიღებამდე, მიიღველმა უნდა მიიღოს თანხმობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხრიდან. შეზღუდვები არ ვრცელდება იმ იურიდიული პირებისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემაზე, რომელთა სააქციო კაპიტალის 51% შეადგენს ლატვიის მოქალაქეების, სახელმწიფოს ან ლატვიის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

ევროკავშირის ზოგიერთ კანდიდატ ქვეყანაში, ახალ წევრ ქვეყნებთან შედარებით, ადგილი აქვს განსხვავებულ ლეგალურ შეზღუდვებს სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოურ მფლობელობაზე. მაგალითად, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებში ეს შეზღუდვები უფრო არსებითია, ხოლო თურქეთში ბევრად მკაცრია. მაკედონიის კანონმდებლობის შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქე-ფიზიკური პირები (ევროკავშირის მოქალაქე და ევროკავშირის არაწევრი მოქალაქეები) არ არიან უფლებამოსილინი შეიძინონ საკუთრების უფლებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიწა გადაეცემათ პირებს მიღებული მემკვიდრეობის საფუძველზე. თუმცა უცხო ქვეყნის იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან შეიძინონ საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო მიწა, იმავე პირობებით, რომელიც ვრცელდება ადგილობრივ იურიდიულ პირებზე. რაც შეეხება თურქეთის მოქმედ კანონმდებლობას, იგი მკაცრად ზღუდავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემას როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, ისე იურიდიულ პირზე.

ევროკავშირის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკით გათვალისწინებულია საერთო სასოფლო-სამეურნეო ბაზრების მშენებლობა და განვითარება, რაც, ბუნებრივია, განაპირობებს წევრი ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებების ეტაპობრივ უნიფიცირებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის როგორც ძველ, ისე ახალ წევრ ქვეყნებს, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში, უნარჩუნდებოთ გარკვეული თავისუფლება აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში.

ამჟამად, საქართველოს სოფლის მოსახლეობის სიღარიბის მაღალი დონე, სასოფლო შინამეურნეობათა უმეტესობის დაბალპროდუქტიულობა და დაბალშემოსავლიანობა, ერთი მხრივ, სოფლად და სოფლის მეურნეობაში მოღიანად კაპიტალის სიმცირე და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაბალი ფასები მეორე მხრივ, უცხოელების მიერ მიწების მნიშვნელოვანი ოდენობების შესყიდვისა და ადგილობრივი სოფლის მოსახლეობის მიწის გარეშე დარჩენის საფრთხეებს ქმნის, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო გააღვიძებს ქვეყნიდან მოსახლეობის მიგრაციას.

ჩვენი აზრით, ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდგომ გარდამავალ პერიოდშიც, საჭიროა მნიშვნელოვანი აკრძალვების შემოღება, რათა შეფერხდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უცხოელ მოქალაქეებზე და უცხოურ იურიდიულ პირებზე (ასევე ადგილობრივი იურიდიულ პირებზე, სადაც უცხოელები ფლობენ აქციათა საკონტროლო პაკეტს ან წილების 50%-ზე მეტს) მიყიდვა. ამავე პერიოდში სამთავრობო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სასოფლო შინამეურნეობების ეკონომიკურ გაძლიერებაზე, ადგილობრივი აგრობიზნესის განვითარებასა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს მდგრადი და განვითარებადი სტრუქტურები.

ამ პერიოდში უცხოელი მოქალაქეები და იურიდიული პირები, ზოგადად, არ უნდა იყვნენ უფლებამოსილნი, შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. გარკვეულ ზღვრებში, დასაშვებია სამთავრობო დონეზე გამონაკლისების შემოღებაც, როდესაც ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვან აგრო-ბიზნეს პროექტებზეა საუბარი. გარკვეული დაშვებები უნდა იყოს ევროკავშირის მოქალაქეებისა და ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და უწყვეტად საქმიანობენ სოფლის მეურნეობის სფეროში არა ნაკლებ 5 წლისა. თუმცა, ამ შემთხვევაში, არგუმენტირებულად, არსებული მიწის რესურსების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს სავარგულების მაქსიმალური ოდენობები.

პერსპექტივაში, ჩვენი აზრით, მიწის გაყიდვების რეგულაციები უნდა იმართებოდეს სამთავრობო სააგენტოს მიერ. ამ სააგენტოს უნდა გაანდეს რეგიონული, მუნიციპალური სამსახურები (ერთეულები), რომელთა სპეციალური ვალდებულება იქნება ფერმერების, შინამეურნეობების საქმიანობის დაწყებისა თუ გაფართოებისათვის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კონსოლიდაცია და მიწის ბაზრების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ამ სააგენტომ უნდა დაამტკიცოს ან გააუქმოს ტრანსაქცია. გარკვეულ შემთხვევებში სააგენტოს უნდა შეეძლოს გამოიყენოს თავისი უფლება და თვითონ შეიძინოს სავარგული სხვა მყიდველისათვის მისაყიდად ან იჯარით გაცემის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Pavel Ciaian, d'Artis Kanks, J. Swinnen, Kristine Van Herck and Liesbet Vranken. Sales Market Regulations for Agricultural Land in EU Member States and Candidate Countries. Working Paper N14, February, 2012.
2. Ciaian, P. And D. Kanks and J.F.M. Swinnen. EU Land Markets and the Common Agricultural Policy, CEPS, Brussels, 2010.
3. Ciaian, P. And J.F.M. Swinnen. "Land Market Imperfections and Agricultural Policy Impacts in the New EU Member States: A Partial Equilibrium Analysis", American Journal of Agricultural Economics, Vol. 88, N4, 2006, pp.799-815.
4. www.factormarkets.eu.
5. ხ. რევიშვილი. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილების საერთაშორისო გამოცდილება და მდგომარეობა საქართველოში. რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველოში აგრარული პოლიტიკისა და სამართლებრივი რეგულირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“, შრომების კრებული, გამ.-ბა. "შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი", ბათუმი, 2011 გვ. 64-69.

Zurab Revishvili

AGRICULTURAL LAND SALES REGULATIONS FOR FOREIGNERS IN SOME EUROPEAN UNION STATES

Annotation

The article describes the existing regulations for foreigners in the sales markets for agricultural lands in selected European Union member states. The analysis focuses on the different ways of sales market regulations and institutions in European Union's old, new and also some candidate countries. The difference in the regulatory framework between land acquisition and ownership by domestic and foreign investors are analyzed. There are given some ideas about agricultural land sales regulations in Georgia.

Алла Александровна Соколова

СОЦИАЛЬНЫЕ ПРИОРИТЕТЫ РАЗВИТИЯ СЕЛЬСКИХ ТЕРРИТОРИЙ

Современное состояние украинского села, его социально-экономической инфраструктуры, культурно-бытовые условия жизни населения, уровень оплаты труда требуют осуществления неотложных и радикальных организационно-экономических, технико-технологических, а также политико-правовых государственных мероприятий, направленных на коренные изменения в развитии сельской поселенной сети, на полную перестройку в сознании общества роли и значения сельской категории населения как в современной, так и в стратегической перспективе формирования цивилизованного государства.

Провозглашенная стратегия развития аграрного сектора Волынской области Украины, которая построена на инновационных принципах, повышает значение поиска механизмов обеспечения стабильной прогрессивной динамики социального развития сельского населения.

Современное состояние демографической ситуации и уровня занятости населения сельской местности Волынской области требует выделения основных направлений решения социально-экономических проблем сельских территорий

исследуемого региона, которое обеспечивается путем внедрения системы научно обоснованных и взаимосвязанных социально-экономических и организационно-управленческих мероприятий, которые оказывают значительное влияние на устойчивое развитие села.

Социально-экономическое развитие сельской местности в значительной степени зависит от состояния социальной инфраструктуры. Исследуя социально-трудовой потенциал украинского села, Мельник Ю.Ф., Супиханов Б.К., Лузан Ю.Я. и другие отмечают, что социальная инфраструктура села определяет материальную основу жизненных потребностей населения, является необходимым условием всестороннего развития человека как личности для осуществления ее активной трудовой деятельности. Поэтому социальное развитие села – одна из важнейших составляющих аграрной политики страны, которая направлена на достижение высокой производительности сельскохозяйственного производства и повышения на этой основе жизненного уровня сельского населения [2, с. 121-122].

Известные ученые экономисты-аграрии Булавка А.Г., Гнибиденко И.Ф., Орлатый М.К., Прокопа И.В., Саблук П.Т., Якуба К.И. и другие в понятие социальная инфраструктура вкладывают «совокупность организаций и предприятий, которые обеспечивают благоприятные условия жизнедеятельности людей на производстве и в быту». Они считают, что отрасли социальной инфраструктуры не производят продукцию, но создают условия для ее производства» [1]. Сюда в основном входят: учреждения здравоохранения, труда и окружающей среды, образования, культуры, жилищно-коммунального хозяйства, бытового обслуживания, торговли, общественного питания, транспорта, связи, информационные службы, детские учреждения, спортивные и культурные организации и т.п.

Итак, социальная инфраструктура села – это сеть предприятий, учреждений, заведений, а также отдельных служб (с их материальной базой, работниками, хозяйственными и другими связями), социально-культурные и жилищно-бытовые условия сельского населения с целью обеспечения воспроизведения квалификационной рабочей силы и стабилизации трудовых коллективов. Хорошо развитая социальная инфраструктура дает возможность последовательно сокращать неоправданную миграцию и текучесть кадров, на этой основе обеспечивать формирование стабильных трудовых коллективов в существующих аграрных формированиях. По характеру непосредственного влияния на профессиональный и образовательный уровень работников аграрного сектора, на производительность их труда, обеспечение необходимых социально-бытовых условий и качественного уровня жизни крестьян, социальная инфраструктура сельских территорий состоит из следующих звеньев, отраслей и сфер деятельности – рисунок 1.



Рис. 1. Состав объектов социальной инфраструктуры села

Источник: собственные разработки.

Отдельные показатели, характеризующие состояние развития социальной инфраструктуры сельской местности Волынской области приведены в таблице. В Волынской области ежегодно растет количество учреждений социальной направленности: в 2012 г. по сравнению с 2000 г. возросло количество детских дошкольных учреждений на 79,5 %, библиотек на 3,4 %, больничных учреждений на 9,7 %. Кроме того, сельский жилищный фонд увеличился по сравнению с 2000 г. на 9,5 % за счет индивидуального жилищного строительства.

Состояние развития социальной инфраструктуры в сельской местности Волынской области

Показатели	Года					2012 г. к 2000 г. (+, -)
	2000	2009	2010	2011	2012	
Сельский жилой фонд, тыс. м ² общ. площади	11292,4	11936,8	12044,8	12235,5	12368,8	1076,4
В среднем на 1 сельского жителя, м ²	22,3	22,3	22,6	22,9	23,2	0,9
Количество детских дошкольных учреждений, ед.	195	321	336	343	350	155
Количество мест в детских учреждениях, тыс. ед.	4,8	8,8	9,2	9,3	9,9	5,1
Количество мест в учреждениях культуры на 100 жителей	14	14	14	14	14	0
Количество библиотек * ед.	584	609	611	609	605	21
Количество газифицированных сел	236	525	565	580	604	368

Источник: рассчитано по данным [3, с. 394-413].

* – всего в области

По состоянию на 1.01.2013 г. в области функционируют 459 дошкольных учебных заведений (в т. ч. 350 в сельской местности , 109 – в городах) и 44 учебно-воспитательные комплексы, в составе которых действуют дошкольные отделения. Всеми формами получения дошкольного образования охвачено 48 % детей возрастной категории от 1 до 6 лет, в т.ч. в сельской местности - 31 п.п., городской – 66 п.п.

В 2012 г. на реализацию областной целевой Программы поддержки индивидуального жилищного строительства на селе «Собственный дом» профинансировано 3,2 млн грн. Введено в действие 35 единиц жилья общей площадью 5520 м², закуплено 8 домов площадью 603 м². В 2012 г. по сравнению с 2000 г. количество газифицированных сельских населенных пунктов увеличилось на 368 и составляет 604. Ежегодно растет количество населенных пунктов, оборудованных водопроводом и канализацией , улучшается почтовая и телефонная связь – количество телефонных аппаратов в сельской местности за период 2000-2012 гг. выросла на 28,3 % и составляет 44276 ед. В области разработан перечень объектов социальной инфраструктуры, которые предусматривается финансировать за счет бюджетных средств на период к 2015 г. Ориентировочная стоимость работ составляет 745,4 млн грн, в т.ч. у 2012 г. было использовано 280,5 млн грн.

Считаем, что улучшение социального обустройства сельских населенных пунктов возможно при условии отслеживания соответствующих индикаторов социального развития. По расчетам ученых ННЦ «Институт аграрной экономики» обеспечения сел объектами социальной инфраструктуры должно соответствовать определенным социальным стандартам и нормативам:

- детский сад (ясли) – 30 мест на 100 детей до 6 лет;
- общеобразовательная школа – для детей до 15 лет - на 100 человек 100 мест;
- для детей от 15 до 16 лет – на 100 детей 40 мест;
- фельдшерский пункт – в населенных пунктах до 100 жителей;
- фельдшерско-акушерский пункт – в населенных пунктах до 500 жителей;
- амбулаторно-поликлиническое учреждение – в населенных пунктах до 1000 жителей – 24 посещения на 1000 человек;
- участковая больница – в населенных пунктах более 1000 жителей – 14,1 койко-мест на 1000 человек;
- коммунальные предприятия - одно предприятие в центральном селе;
- спортивный зал (площадка) – реконструкция , достройка залов и площадок в школьных заведениях – 82,5 м² на 1000 населения;
- разрешительные заведения – от 120 до 340 мест на 1000 жителей;
- магазины с секциями: продовольственных и промтоваров – 90-270 м² торговой площади на 1000 жителей;
- учреждение общественного питания (столовая , буфет) – 30-40 мест на 1000 жителей [4, с. 103-104].

Однако, следует отметить, что осуществляемые за последний период мероприятия по социальной инфраструктуре (текущие ремонты дорог, школ, учреждений здравоохранения, благоустройство населенных пунктов) являются тактическими и направлены на ее выживание. В связи с этим прогрессивные сдвиги в развитии социальной сферы сельских территорий Волынской области возможны при условиях:

- признания приоритета финансирования заведений;
- передачи предприятий и учреждений в коммунальную собственность территориальных общин;
- оптимизации межбюджетных отношений и укрепления финансовой самостоятельности местных органов власти;
- сохранения основной профильной деятельности существующих заведений; постепенного внедрения прогрессивных стандартов на социальные услуги.

Министерством аграрной политики и продовольствия Украины разработаны неотложные меры для решения основных проблем в агропромышленном комплексе. Для обеспечения благоприятных условий развития украинского села необходимо осуществить ряд первоочередных мер. Они должны, прежде всего, направляться на обеспечение надежного функционирования социальной инфраструктуры села в новых экономических условиях и формирования новейших механизмов процесса хозяйствования. Для этого необходимо определить солидарную ответственность, в том числе и финансовую, за развитие и внедрение социальных стандартов на селе. На общегосударственном уровне – Кабинет Министров Украины, на региональном уровне – государственные органы управления, местного самоуправления и сельской

общины – это те объекты, которые отвечают за формирование социальной инфраструктуры в сельской местности, и обеспечат приближение и выравнивания условий жизнедеятельности городского и сельского населения [5, с. 8-9].

Целесообразным видится установление на общегосударственном уровне положения о том, что социальным стандартом сельской территории является сельская община, основой которой является сельская усадьба (двор), централизованно обеспеченная: системой питьевой воды, канализацией, газо-, электроснабжением, средствами коммуникации и связи, заведениями предоставления медицинских услуг, учреждениями дошкольного воспитания детей, учреждениями предоставления среднего образования, внутривозрастными и внутрирайонными дорогами с твердым (асфальтобетонным) покрытием, комплексной системой предприятий и организаций, которые будут предоставлять необходимые социально-бытовые услуги сельскому населению, учреждениями правовой защиты жителей села и поддержания общественного порядка. Считаем, что в современных условиях к формированию источников развития социальной инфраструктуры должны шире привлекаться на уровне административных районов и сельских поселений аграрные структуры, фермерские хозяйства, местные коммерческие организации и все другие объекты, которые также являются пользователями социально-бытовых услуг.

Литература

1. Матеріальний добробут сільських жителів / за ред. П. Т. Саблука, М. К. Орлатого. – К. : ІАЕ УААН, 2002. 369 с.
2. Соціально-трудова потенція українського села. Стан, проблеми, шляхи вирішення / Ю. Ф. Мельник, Б. К. Супіханов, Ю. Я. Лузан та ін. – К. : НДІ «Укראгропромпродуктивність», 2007. 352 с.
3. Статистичний щорічник Волинь – 2012 / за ред. В. Ю. Науменка. Луцьк : Головне управління статистики у Волинській області, 2013. – 521 с.
4. Стратегічні напрями розвитку сільського господарства України на період до 2020 року / за ред. Ю. О. Лупенка, В. Я. Месель – Веселяка. – К. : ННЦ «ІАЕ», 2012. 182 с.
5. Україна аграрна / автор-упорядник В. В. Болгов. – Випуск III. – Київ : ВАТ «Поліграфкнига», 2005. 352 с.

Alla Sokolova

SOCIAL PRIORITIES OF THE DEVELOPMENT OF RURAL AREAS

Annotation

This article analyzes the current state of social infrastructure in rural areas of the Western Woodlands of Ukraine as an example of Volyn region. Developed and proved the main ways of solving social and economic problems of rural development in the region studied.

თენგიზ ქავთარაძე

სადგომთმშენებლობის პრობლემები მიწისპირების ინფრასტრუქტურაში

ცხვრის სადგომთმშენებლობა მეცხვარეობის ინფრასტრუქტურაში შემავალი დარგების და ორგანიზაციის ერთობლიობის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფენ ბაზარზე საქონლისა და მომსახურების თავისუფალ მოძრაობას [1]. მეცხვარეობის დარგის ინფრასტრუქტურა მოიცავს სადგომთმშენებლობას, ცხვრის გადასარეკ ტრასებს, ბუნებრივი საძოვრების გაწვდვას, მეცხვარეობის კომპლექსურ მექანიზაციას, საძოვრების ათვისებასა და გამოყენებას, მატყლის დამზადებისა და სტანდარტიზაციის საკითხებს და სხვა.

საქართველოში მეცხვარეობა ტრადიციულად, კარგად იყო განვითარებული. მაგალითად, თუ მილიანად ყოფილ საბჭოთა კავშირში 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 27 ცხვარი და თხა მიდიოდა, საქართველოსათვის მილიანად ეს მაჩვენებელი 72-ს შეადგენდა. ცხვრის საერთო სულადობა შეადგენდა 2 მილიონამდე სულ ცხვარს; რესპუბლიკაში წლიურად მატყლის წარმოება- დამზადება საშუალოდ შეადგენდა 5 ათას ტონა მატყლს, ცხვრის ხორცის წარმოება (საკლავი წონით) კი 10 ათას ტონას.

საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლამ მიწების საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადებამ, სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლამ, ასევე კასპისპირეთში 200 ათასი ჰექტარი ზამთრის საძოვრების დაკარგვამ, გამოიწვია მეცხვარეობის დარგის დაქვეითება. ამჟამად, საქართველოში მილიონამდე სული ცხვარია და 2000 ტონა მატყლი იწარმოება. სამწუხაროდ, მატყლი მხოლოდ ადგილობრივად შინამრეწველობისათვის და შინამოსმარებისათვის გამოიყენება. იგი არ არის დიდი სამრეწველო მნიშვნელობის ნედლეულად გადაქცეული, რადგან საქართველოში აღარ ფუნქციონირებს თბილისის მაუდკამოლის კომბინატი, ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, სენაკისა და დუშეთის ხალიჩების საქსოვი ფაბრიკები და სხვა.

აღნიშნული მიზეზების გამო რესპუბლიკაში წარმოებული მატყლი არა- მოთხოვნილია და მისი საბაზრო ფასი ქვეყანაში ძალზე დაბალია. რესპუბლიკას არ გააჩნია მატყლის ლაბორატორია; არ წარმოებს მატყლის სტანდარტიზაცია როგორც არსებული, ისე საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტების მიხედვით. მატყლის დამზადების ყოფილი საბჭოთა სტანდარტი არ მიესადაგება საერთაშორისო ევროპულ სტანდარტებს, რის შედეგადაც საქართველოში წარმოებული მატყლი ევროპის ქვეყნების საფეიქრო მრეწველობას სასურველი სტანდარტით არ მიეწოდება. ამიტომაც, უცხოელი მატყლის დამამზადებლები არ ინტერესდებიან საქართველოდან მატყლის გატანის ექსპორტზე. მეცხვარეობი ეკონომიკურად დიდად ზარალდებიან.

საქართველო მეცხვარეობის განვითარების უძველესი ქვეყანაა და, ტრადიციულად, დიდი ყურადღება ეთმობოდა ცხვრის სადგომთმშენებლობას, რომელიც მხოლოდ ზამთრის საძოვრებზე წარმოებდა დარგის ტექნოლოგიისა და ბუნებრივი პირობების სრული გათვალისწინებით. ეს გარემოება ხელს უწყობდა დარგის ხელსაყრელობას. ჩვენს ზამთრის საძოვრებზე ყინვები 20 გრადუსი და ზოგჯერ მეტიც აღინიშნება. ზამთარში ძლიერი ქარებია. ასეთ პირობებში ცხვრის სადგომები უნდა იყოს თბილი და მყუდრო. ზამთარში ხნოვან

ცხვარს მთელი დღე საძოვარზე ამყოფებენ. ეს გარემოება აპრობებს დედისა და ბატკნის ცალკე შენახვას, რადგან ერთად შენახვის შემთხვევაში დღის მანძილზე ცხვრისაგან განტვირთულ შენობაში ბატკნის დატოვება მის გაცივებას გამოიწვევს. ამიტომ ჩვენში ჩამოყალიბდა დედისა და ბატკნის ცალკე შენახვის გონიერი ტექნოლოგია. დედა ცხვრისათვის აშენებდნენ ცალკე თბილ მყუდრო ფარეხებს, ხოლო ბატკნისათვის ცალკე თბილ მყუდრო საბატკნეებს.

ცხვრის თბილი და მყუდრო ბინების მოწყობა გადაწყვეტილი იყო მათი მცირეგაბარიტიანი კონსტრუქციით. მცირეგაბარიტიანი სადგომი იმ უარყოფითი პირობებით გამოირჩევა, რომ მასში სითბოსთან ერთად მაღალი ტენიანობაა მოსალოდნელი, რაც ხელს უწყობს ინფექციური დაავადებების გავრცელებას. ამიტომ, მანვე პირობების ასარიდებლად, მოწინავე გამოცდილებამ მეცხვარეობის გარკვეული ტექნოლოგიური ხერხები შეიმუშავა – ცხვრის გვიანი დოლი. გვიანი დოლი უზრუნველყოფს ბატკნის სადგომში ხანმოკლე შენახვას, ბატკნის დღეში ორჯერადი გარეთ გაყვანით დაწოვებას, მარტივად ბატკნის დღისით, ხოლო აპრილიდან ღამითაც გარეგანადაა ყოფილი და სხვა.

ფარეხში შედარებით ადვილი იყო სიმშრალის დაცვა, რადგან ცხვარი მთელი დღე საძოვარზე იმყოფება. გარდა ამისა, ამ დროს მწყემსები სადგომებში ალებდნენ კარებებს, კარგად წმენდნენ, ანთებდნენ და აშრობდნენ სადგომს. მართალია, ეს სადგომი იყო მიწური, მაგრამ კარგად შესრულებული მშენებლობა, მოყვანილი ტექნოლოგიური წყობა და საჭმისადმი მწყემსების კეთილსინდისიერი დამოკიდებულება უზრუნველყოფდა სადგომში სასურველ ჰიგიენურ პირობებს და ცხვრის ჯანმრთელობას. საბატკნეს აშენებდნენ ფარეხისაგან ცალკე. საბატკნე ასევე მცირეგაბარიტიანი მიწური იყო. მასში, სითბოსთან ერთად, გულდასმით იცავდნენ სიმშრალეს. საბატკნეში ჰიგიენური პირობების დაცვას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ბატკანს, გვიანი დოლის გამო, საბატკნეში მხოლოდ 1–1,5 თვეს ამყოფებდნენ; დოლი თებერვლის მეორე ნახევარში იწყებოდა და საბატკნედან ბატკანი გარეგანადაა აპრილში გააყვავდა, რაც ხელს უწყობდა საბატკნეში ჰიგიენური პირობების დაცვას. ბატკნის ორჯერადი გარეთ დაწოვების დროს საბატკნეში გაალებდნენ კარებს და კარგად გაანთავებდნენ სადგომს. სადი ბატკნის გამოზრდას ხელს უწყობდა აგრეთვე დედების ჯანმრთელობა, რძიანობა, რასაც თბილი ფარეხი განაპირობებდა და აგრეთვე გვიანი დოლი, როდესაც დედა ცხვარი მწვანე ბალახით სარგებლობდა.

ერთი სადღეე ფარისათვის აშენებდნენ 2–3 ფარეხს. ამ ფარეხების სიგანე უმეტეს შემთხვევაში იყო 8 მეტრი, სიგრძე 30–35 მეტრი და მეტიც. ფარეხში ათავსებდნენ ცხვარს სულზე 0,5 კვადრატული მეტრის ფართობის ანგარიშით. ფარეხს ძირითადად ორმხრივი ოდნავ დაქანებული სახურავი უკეთდებოდა. გვერდის კედლების სიმაღლე ერთ მეტრს შეადგენდა. ხშირად სახურავი მიწას ებჯინებოდა. იყო შემთხვევა მიწაში გამოჭრიდნენ ფარეხს. ფარეხის შუა ნაწილი, ხშირად, კაცის სიმაღლეს უდრიდა, ზოგჯერ ორ მეტრს. ფარეხის სახურავი დაყრდნობით იყო ძირითადად ოთხ რიგად ჩამწყობებული ბოძებზე. მათ შორის ორი გარეგნობით, ხოლო ორი – შუა. ამ ბოძებზე იმართებოდა ძელი ოჭები, რაზეც ეწყობოდა ფიცარი ან ნაწური და შემდეგ ზედ იტკეპნებოდა 20–25 სანტიმეტრი სისქის სველი აყალო მიწა. სახურავს მეტ დაქანებას აძლევდნენ. ფარეხს იატაკი მიწისა ჰქონდა. ასეთი კონსტრუქციის ფარეხში ერთი კვადრატული მეტრის ფართობზე ორი ცხვრის მოთავსებით, ცხვარზე ფარეხის მოცულობა დაახლოებით 0,75 კუბურ მეტრს შეადგენდა. თითო სადღეე სადგომზე ორ საბატკნეს აშენებდნენ. საბატკნეში ერთ ბატკანზე 0,25 კვადრატული მეტრის ფართობი იყო გათვალისწინებული. საბატკნე ფარეხზე დაბალი შენდებოდა. ამასაც ისეთივე სველი აყალო მიწით დატკეპნილი სახურავი უკეთდებოდა. საბატკნის სიგანე უფრო ხშირად 6 მეტრს შეადგენდა, სიმაღლე შუა ნაწილში 1,5 მეტრს – სახურავი ეყრდნობოდა გარე ორსა და შუაზე ერთ რიგად ჩაყრილ ბოძებს. იშვიათად შუაში ბოძები ორ რიგად იყო. იატაკი საბატკნესაც მიწისა ჰქონდა. ასეთი კონსტრუქციის საბატკნეში, აღნიშნული ფართობის გათვალისწინებით, ბატკანზე დაახლოებით 0,4 კუბური მეტრის მოცულობა გამოდიოდა.

ასეთი იყო ცხვრის სადგომთაშენებლობა სულ ახლო წარსულში და ასეთი კონსტრუქციის ხარისხიანად აშენებულ სადგომებში, გონიერი ტექნოლოგიით, მწყემსების კეთილსინდისიერი მუშაობით ზრდიდნენ ჯანსაღ ბატკანს უდანაკარგოდ, რომელიც შემოდგომით სასურველი ნასუქობით 20–25 კგ ცოცხალ წონას აღწევდა. მაგრამ მეტი სამეურნეო შედეგების მოპოვების მიზნით საჭირო იყო მიწური სადგომების გაუმჯობესება.

1960–65 წლებში საქართველოში ჩატარდა ცხვრის დიდი სადგომთაშენებლობა. ძველი მიწური სადგომები თითქმის ყველგან მოშალეს. საბატკნეების ხსენება მოსპეს. ცხვრის სადგომებად აშენდა დედისა და ბატკნის ერთად შენახვის მიზნით დიდი გაბარიტების სადგომები. მეცხვარეობის ტექნოლოგიაში შეტანილი ცვლილებები დარგისათვის ხელშემწყობი არ აღმოჩნდა. ცხვრის დოლი 20–30 დღით ადრე იწყებოდა, ვიდრე ძველად. გახშირდა ნაადრევი დოლი იანვარ-დეკემბერში, რაც საზარალო აღმოჩნდა მეცხვარეობისათვის. დოლი გაჭიანურებული გამოდის, მაწოვარ დედა ცხვარს ხსენიც აკლია. ბატკნის სადგომებში ყოფნა გახანგრძლივდა, რაც იწვევს პირუტყვის დაავადებებს, დეკემბერ-იანვრის დოლის პირობებში სიცივის გამო, ბატკანი გასარდელითი წოვების დროს ცივდება, ამიტომ მოზარდის უდანაკარგოდ გამოზრდა პრობლემად იქცევა. მოზარდის ცოცხალი წონა 20–25 კილოგრამიდან 13–15 კილოგრამის დონემდე ეცემა. ასევე მცირდება ცხვრის მატყლის, ხორცისა და რძის პროდუქტიულობა.

აღნიშნული მონაცემები იმას მოწმობს, რომ მეცხვარეობის არასასურველი ეკონომიკური მდგომარეობა, სხვა, არაღამაკმაყოფილებელ პირობებთან ერთად, ცხვრის ახალი უფარვის სადგომთაშენებლობით აიხსნება.

სტავროპოლის მხარის, როსტოვის ოლქისა და რუსეთის ფედერაციის სხვა მხარეებში ხანგრძლივი და თოვლიანი ზამთარია, მთელი ზამთრის განმავლობაში – დღეცა და ღამეც – დედა და ბატკანი ერთად არის მოთავსებული ფარეხში. აღნიშნულ პირობებში, თოვლის გამო, ცხვარი საძოვარზე არ გადის. დედები და ბატკნები ჯგუფებად არიან ცალკე ბაკებში. აქ მათ უხვად ეძლევათ სრული ნორმით საკვები და წყალი. ერთი სიტყვით, ცხვარი არა თუ შიმშილობს, არამედ კარგად ჭამს და ზამთრის მანძილზე წონას არ კარგავს, როგორც ჩვენში 20–25 პროცენტს. ეს გარემოებაც ხელს უწყობს ბინის გათბობასა და ცხვრისა და ბატკნის გამოძლეობას სიცივის მიმართ. ცხვარსა და ბატკანს იქ უხვად უშლიან ქვეშ საფენად ნამჯას, ამასთან იქ ფარეხები კაპიტალურია – აგურის კედლებით და კარგად დათბუნებული ჭერიით. ფარეხებს ათობენ. ფარეხის თავსა

და ბოლოში, პირშექცევით, დგამენ დიდ ღუმელებს და კედლების გასწვრივ საკვამლე მსხვილი ბოლსავალი მილებით თბება ფარები. ასეთ დანადგარს (ბოროებს) უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ მეცხვარეობის პირდაპირ დანახარჯებში გათბობის ხარჯებს 50-60 პროცენტი უკავია, რუსეთის ფედერაციის პირობებში დედისა და ბატკნის ერთად შენახვა ყველაფრით გამართლებულია.

საერთოდ, რუსეთის მკაცრი თოვლიანი ზამთრის პირობებში ძალზე პრობლემატურია პირუტყვის სადგომების გათბობა. მაგალითად, სარატოვის ოლქში მოღვაწე ერთ-ერთი ქართველი მეწარმის გადმოცემით, რომლის საკუთრებაშია 3000 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმა, მათ გამოსახამთრებლად, ოთხი თვის მანძილზე საჭიროა პირუტყვის სადგომების გათბობა. გათბობის ხარჯები იკავებს პირდაპირი დანახარჯების ნახევარს; ძალზე ჭირს საწარმოს მომგებიანად ფუნქციონირება, ამის გამო მეწარმე თავისი ბიზნესის საქართველოში გადმოტანას ფიქრობს.

ჩვენში, სადაც ზამთარში დედა ცხვარი საძოვარზე იმყოფება, სადგომში დედისა და ბატკნის ერთად შენახვის სისტემა უაზროა და საზარალო. ამავე დროს, ამ სისტემის შემოღებამ გავლენა მოახდინა ფარების გაბარიტებზე – გააღიდა. საქმე იმითაც გაუარესდა, რომ ჩვენმა დამპროექტებლებმა რუსეთის ფედერაციის პროექტის გადმოტანისას „ჩვენი მზიური ქვეყნის“ შესაბამისად ფარების კონსტრუქცია შეამსუბუქეს და ბოლოს უხარისხო მშენებლობამ მთლიანად მოშალა ფარებში სითბოს და სიმყუდროვის შესაძლებლობა, გარედან ქარისა და ნალექების არიდება.

მიწურების გაკულტურების მიზნით დამპროექტებლებმა და მშენებლებმა გაზარდეს ფარების სიგრძე, სიგანე, სიმაღლე. გადახურეს ორგვერდა მკვეთრი სიმაღლის სახურავით. დათბუნებული ჭერი ფუფუნებად ჩათვალეს; გამოვიდა უხარმაზარი ჭერახდილი ფარდული და არა ცხერისა და ბატკნის სადგომი. მაგალითად, ფარების განაზომებმა შეადგინა: სიგრძე – 66 მ, სიგანე – 10,5 მ, სიმაღლე უმაღლეს ნაწილში – 3 მ, კედლის სიმაღლე – 1,3 მ, საამშენებლო მოცულობა – 1680 კუბური მეტრი.

აღნიშნული მონაცემებით, ერთ დედა ცხვარზე ან ერთ ბატკანზე, ფარების მოცულობა გამოდის 3,36 კუბური მეტრი ფართობი რაც 7-ჯერ აღემატება ჩვენს პირობებში სადგომში ბატკნის ფართობზე მოთხოვნილებას. აღნიშნული კონსტრუქციის ფარებები ძალზე ცივია, არ იჭერს არც ქარსა და არც ნალექებს, ასეთ პირობებში დედისა და ბატკნის ერთად შენახვა დიდად საზარალოა. აღნიშნული პროექტით ცხერის სადგომთმშენებლობის უვარგისობაში თვით საპროექტო ინსტიტუტიც დარწმუნდა; მათ ტიპობრივი პროექტის ნაცვლად წარმოადგინეს ცხერის სადგომთმშენებლობის ახალი პროექტი „ფარები 800 ცხერისათვის“. ახალ პროექტში გათვალისწინებული იქნა ძირითადი ტექნოლოგიური პირობები და ცხვარ-ბატკნის ნორმატივების მოთხოვნები სადგომებზე: დედა ცხვარი და ბატკანი მოუგების შემდეგ 3-5 დღეს ერთად თავსდება ფარების მოსაგებ და საჩვილე განყოფილებაში. 3-5 დღის შემდეგ დედა ცხვარი გაჰყავთ ფარებში, ხოლო ბატკანი ფარების გარეთ მოწყობილ საბატკნეში. ფარების ფართობი, სადოლე-საჩვილე განყოფილებასთან ერთად, გათვალისწინებულია ცხვარზე – 0,96 კვადრატული მეტრი, ხოლო საბატკნის ფართობი ბატკანზე – 0,32 კვადრატული მეტრი. სადოლე-საჩვილე განყოფილების ფართობი გათვალისწინებულია იმ ანგარიშით, რომ დღეში მოიგებს 32 დედაცხვარი და ამ განყოფილებაში გაჩერდება საშუალოდ ოთხ დღეს. ე.ი. 128 სულისათვის, რომელთაც აქ ეძლევა სულზე 2 კვადრატული მეტრის ფართობი, სულ კი 258 კვადრატული მეტრი.

პროექტში შედის აგრეთვე ოთხი საბატკნე. აღნიშნული ნორმების მიხედვით, სულ 256 კვადრატული მეტრის ფართობი. პროექტით გათვალისწინებულია სადგომების შემდეგი კონსტრუქცია და განაზომები: ფარები – კედლის სიმაღლე 1,2 მ, სიგანე – 12 მ, სიგრძე 64 მ, სიმაღლე უმაღლესი 2,4 მ. შენობა უჭერო. პროექტში ოთხ ცალ საბატკნეს უკავია 256 კვადრატული მეტრი ფართობი, თითო საბატკნეს 64 კვადრატული მეტრი, კედლის სიმაღლე – 1,8 მ, სიგრძე-სიგანე ფართობის მიხედვით შენობა უჭერო, ფანჯრები კედელში; ვენტილაცია ბუნებრივი. იატაკი ბეტონის, ზედ ფიცრის იატაკი. ასეთი იატაკით ცხერის სადგომი ყოველთვის ნოტიო იქნება, ვინაიდან მისი გაშრობა ექსპლუატირებულ შენობაში შეუძლებელია. იატაკი საბატკნეში, ისე, როგორც ფარებში, მიწისა უნდა იყოს. რასაც აღარც ფიცრის იატაკი დასჭირდება და მშენებლობა ბევრად გაიაფდება. აღნიშნული პროექტით ცხერის სადგომთმშენებლობაში თითქოს შეტანილია გაუმჯობესება. მაგალითად, საპროექტო დაწესებულებამ სადგომთმშენებლობაში გაითვალისწინა დედისა და ბატკნის ცალკე შენახვის აუცილებლობა საბატკნეების ცალკე აშენების დაგეგმვით. სპეციალისტების აზრით, ახალი პროექტი ჩვენი მეცხვარეობისათვის კვლავ უვარგისია, რადგან დამპროექტებლები სადგომთმშენებლობაში ძირითად პირობას – სითბოს შენარჩუნებას კვლავ უგულვებელყოფენ. ასეთი კონსტრუქციის ფარები ნაკლებად დაცული ნალექებისა და ქარებისაგან. ჭერის გაკეთების გარეშე ფარებში სითბოს დამყარება შეუძლებელია. ერთი სიტყვით, ცხერის სადგომთმშენებლობის ოპტიმალური საკითხი ჩვენში კვლავ გადაუჭრელი რჩება.

ცხერის სადგომთმშენებლობის ხარვეზების სასწრაფოდ გამოსწორების მიზნით საჭიროა, დამუშავდეს ცხერის ოპტიმალური სადგომთმშენებლობის საკითხი მეცხვარეობის რაციონალური ტექნოლოგიისა და ბუნებრივი პირობების სრული გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება: – აღდგენილ იქნეს ცხერის ნერვისა და საგვიანო დოლის ძველად დამკვიდრებული ვადები. ე.ი. ცხერის ნერვა დაიწყოს სექტემბრის ბოლოს ანდა ოქტომბრის პირველ რიცხვებში რათა დოლი დაიწყოს თებერვლის მეორე ნახევარში. – აღდგენილ იქნეს დოლში დედისა და ბატკნის ცალკე შენახვის ძველად არსებული წესი, ცალკე წარმოებდეს დედა ცხერისათვის სადგომების, ხოლო ბატკნისათვის ცალკე საბატკნეების აშენება. სპეციალისტების აზრით, საბატკნეების მშენებლობის პროექტი უნდა გადამუშავდეს შემდეგი მონაცემების გათვალისწინებით: 1) გათვალისწინებული უნდა იქნეს საბატკნეში ერთ ბატკანზე 0,25-0,3 კვადრატული მეტრი ფართობი; 2) საბატკნე უნდა იყოს ორგვერდა სახურავით, რომელსაც ექნება დათბუნებული ჭერი და ჩატანებული ფანჯრები კედელში; 3) საბატკნე უნდა იყოს მეტი სიღრმის და ნაკლები სიგანის, რაც უზრუნველყოფს მეტ სითბოს და ბატკნის უკეთეს შენახვას და უკეთეს ჰიგიენურ პირობებს; 4) სასურველია, საბატკნის იზოლირებული განყოფილება იყოს 50 კვადრატული მეტრი ფართობისა, რაც უზრუნველყოფს ბატკნის დაკომპლექტების პროცესში სადგომში უკეთეს სითბურ პირობებს.

ფარეხის გარეთ, ორ მხარეზე გათვალისწინებულ იქნეს 800 ბატკნის 4 საბატკნე, თითო 50 კვადრატული მეტრის, სულ კი – 200 კვადრატული მეტრის ფართობი. საბატკნის საერთო კონსტრუქციული ტიპი – ორგვერდა სახურავიანი შენობა დათბუნებული ჭერით. საბატკნის განაზომები უნდა შეადგენდეს: სიგრძე – 8,33 მ, სიგანე – 6 მ, შიგნით სიმაღლე ჭერამდე – 1,8 მეტრი. წინა კედელში დატანებული უნდა იყოს 2 მეტრის სიგანის კარები, იატაკი მიწის, ვენტილაცია ბუნებრივი.

საქართველოს მომთაბარე მეცხვარეობაში ცხვრის სადგომთშენებლობა მხოლოდ ზამთრის საძოვრებზე წარმოებს. დღეის მდგომარეობით საზაფხულო საძოვრებზე არათუ ცხვრისათვის, არამედ მწყემსებისათვისაც კი არ არის ხეირიანი ბინები მთაში; ხალხი ქოხმახებში ცხოვრობს. საზაფხულო საძოვრებზე უნდა მოეწყოს მწყემსებისათვის საცხოვრებელი, საძოვრებზე უნდა მოეწყოს საწარმოო სექტორის ინფრასტრუქტურა. აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს მცირე მოცულობის კანტორა, საწყობი, მატყლის საპარსი პუნქტი საწყობით, გაწვლავანების ქსელი, სადღეინფექციო ბარიერი და სხვა.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ მეცხვარეობის ინფრასტრუქტურაში ქვეყანას სადგომთშენებლობის ტიპური სრულყოფილი პროექტი არ გააჩნია როგორც საზამთრო, ისე ზაფხულის საძოვრებზე. საუბარი ალარაა ტიპური სადგომებით ცხვრის უზრუნველყოფაზე. მეცხვარეობის ინფრასტრუქტურის მოწყობის თვალსაზრისით დამუშავდეს და როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის საძოვრებზე საცდელი სრულყოფილი პროექტით აშენდეს ცხვრის სადგომები. ცხვრის სადგომები შეიძლება მწყემსებზე გაიცეს არენდით. მეცხვარეობის ფერმებს შეესაძლებლობა უნდა მიეცეს ადგილზე, დოღში იქირაონ მწყემსები და სხვა. მეცხვარეობის ფერმებს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ საკვებმომპოვებელ და საკვებდამამზადებელ საწარმოებთან, მელიორაციის ქვედანაყოფებთან, საპარს პუნქტებთან და სხვა ინფრასტრუქტურული მომსახურების ქვედანაყოფებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბედელაური გ. მეცხვარეობის განვითარების პერსპექტივა დავით გარეჯში. რეცენზ. ელექტრ. სამეცნ. ჟურნალი, № 25, 2010.
2. ყამარაული ს. საქართველოს სსრ მეცხვარეობის ინტენსიფიკაციის საკითხები; „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1979.
3. ქუმისიშვილი ვ. მომთაბარე მეცხვარეობის ტექნოლოგია ინტენსიფიკაციის საფუძველზე; „განათლება“, 1981.
4. ჯანიაშვილი ი. მეცხოველეობის განვითარების ეკონომიკური პრობლემები საქართველოში; „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974.
5. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო; „მეცნიერება“, თბილისი, 2003.
6. წიკლაური ქ. მეცხოველეობა და ბიზნესი საქართველოს მაღალ მთიანეთში; თბილისი, 2002.
7. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული VI. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი 2013.

Tengiz Kavtaradze

THE PROBLEMS OF SHEEP-PEN CONSTRUCTION IN SHEEP-FARMING INFRASTRUCTURE

Annotation

The article characterizes the significance of branches and organizations unity included in sheep-farming infrastructure. Is analyzed a reasonable technology of separate maintenance of ewe and lamb taking into consideration the environmental conditions. For the first time is brought forward the introduction of late lambing to encrease an economic efficiency of sheep-farming sector. Is shown still unsettled problems of sheep-pen construction. It is necessary to work out a standard project of sheep-pen and its infrastructure with regard to environmental conditions.

გიული ქეშელაშვილი

წარმოების მართვის ზოგადი სტრატეგია საქართველოს აბრარულ სექტორში

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დარგობრივი და ტერიტორიული მართვის რეგიონული და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა სოფლის მეურნეობის მართვის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი პირობაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის მართვის ისეთი ფუნქციები, როგორცაა მიხნის განსაზღვრა, პროგნოზირება, ორგანიზაცია და კოორდინირება. ორგანიზაციული საკითხების სრულყოფისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მართვის ორგანოების ფუნქციონირების ისეთი ასპექტები, როგორცაა მმართველობაში იმ რგოლების როლის ამადლება, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევას და დანერგვას და სწავლებას, სოფლის მეურნეობაში პროდუქციის ხარისხის პრობლემის გადაწყვეტას, მარკეტინგული საქმიანობის გაუმჯობესებას, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. სწორედ ამ ამოცანების განხორციელებას ემსახურება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მისი მმართველობის სფეროში შედის აგროსასურსათო, აგროვადამამუშავებელი, ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეუევეზობის, აგროსაინჟინრო და ვეტერინარიის დარგები. სამინისტროს სისტემაში შედის: სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომელთა ერთიანობა ქმნის სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები და საჯარო სამართლის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომელთა სახელმწიფო კონტროლს და დამფუძნებლის უფლებამოსილებასაც ახორციელებს სამინისტრო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზანია ხელი შეუწყოს ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის დაჩქარებული ტემპით განვითარებას, ექსპორტისა და ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. სამინისტროს ამოცანებია¹⁴⁵: სოფლის მეურნეობის დარგის სტრატეგიის შემუშავება, სოფლის მეურნეობის დარგის სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება ან მათ მომზადებაში მონაწილეობის მიღება, აგრარული რეფორმების განხორციელება ქვეყნის ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გადაამუშავებისა და სასურსათო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, აგროსასურსათო სექტორში შემოსავლების ზრდისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობის დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა, ქვეყანაში ბიოაგროწარმოების ხელშეწყობა, საექსპორტო პოტენციალის გამოყენების, საერთაშორისო ბაზარზე პოზიციების მოპოვებისა და განმტკიცებისათვის ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოება-რეალიზაციაში საერთაშორისო გამოცდილების გაერცვლების ხელშეწყობა.

აგრარული სექტორის სახელმწიფო დონის მენეჯმენტის სრულყოფის მიზნით ზემოთ აღნიშნულ ამოცანათა შესრულება სამინისტროს შეუძლია მარეგულირებელი ფუნქციის 2 მიმართულებით განხორციელების შემთხვევაში: 1. ეკონომიკური რეგულირების, რაც გულისხმობს სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივ რეგლამენტაციას კანონმდებლობის ფარგლებში და 2. ცალკეული საწარმოებისა და ბიზნესის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების საქმიანობის რეგულირების მიმართულებით. რადგან საბაზრო ურთიერთობა და მისი თავისებურებანი გავლენას ახდენს მენეჯმენტის პრინციპებზე, ამიტომ საბაზრო ურთიერთობათა სპეციფიკურ ფაქტორთა გათვალისწინება მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში აუცილებელია. დასახვეწია სოფლად თვითმმართველობის სისტემა, წვრილგლეხური მეურნეობის ორგანიზაციული ფორმები, რომელთა სამართლებრივ ჩარხში მოქცევა აუცილებელია.

საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის ხვედრითმა წილმა 2013 წელს 9,3 %-ს შეადგინა. ეს მაშინ, როცა სოფლად ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი და მათ მიერ შექმნილი დოვლათი არ არის ამ მაჩვენებლის პროპორციული. საქართველოში დასაქმებულთა 50% სოფლის მეურნეობაზე მოდის და მათი 17-18% დღეში 1 დოლარზე ნაკლებ შემოსავალს იღებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე მოქმედი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფაქტორების კვლევის შედეგად ირკვევა, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად შემცირდა აგრარული სექტორის ძირითადი მაჩვენებლები. 2004-2012 წლებში ნათესი ფართობი განახევრდა. შემცირდა მემცენარეობის პროდუქციის წარმოება, მათ შორის, კარტოფილის, ხილისა და ყურძნის მოსავალი - 50%-ით, ბოსტნეულისა და ბალახულის - 60%-ით, სიმინდის - 70%-ით, ხორბლის - 80%-ით. შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, ღორისა და ფრინველის სულადობა. აღნიშნულ პერიოდში 50%-ით ნაკლები ხორცი და 25%-ით ნაკლები რძე იქნა წარმოებული, 5-ჯერ ნაკლები ხორბალი იქნა მოყვანილი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, რაც გამოწვეულია გაუარესებული ჯიშობრივი შემადგენლობით, ვეტერინალური მომსახურების დაბალი დონით, მინდვრად საკვებწარმოებასთან დაკავშირებული პრობლემებით. ყოველივე ზემოთ აღნიშნული უშუალოდაა დაკავშირებული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებასთან. გაუარესდა ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფის მდგომარეობა. სურსათის ძირითად სახეობებზე შემცირდა თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხორბალი, რომლის იმპორტი 3,7-ჯერ გაიზარდა. ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 24%-დან 9%-მდე შემცირდა. საქართველოს მოსახლეობა ერთ სულზე გაანგარიშებით 2012 წელს მოიხმარდა უფრო ნაკლებ პურს, ხორცსა და ხორცის პროდუქტებს, რძესა და რძის ნაწარმს, კვერცხს, ხილს, ბოსტნეულს, თაფლს და კვების სხვა პროდუქტს, ვიდრე 2003 წელს.

აღნიშნულმა მდგომარეობამ საქართველო იძულებითი იმპორტის მდგომარეობამდე მიიყვანა. 2012 წელს საქართველოში იმპორტირებული იყო 1050 მლნ აშშ დოლარის სასურსათო პროდუქტები, მაშინ, როდესაც ექსპორტმა მხოლოდ 211,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2004-2012 წლებში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი 6-ჯერ გაიზარდა, ხოლო ექსპორტი - მხოლოდ 2,5-ჯერ. ამის გამო, ადგილობრივ ბაზარზე ქართული აგრარული პროდუქციის ადგილი უცხოურმა იაფფასიანმა, უმეტეს შემთხვევაში, უხარისხო პროდუქციამ დაიკავა. დღეისათვის კი საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80% იმპორტირებულია.

აგრარული წარმოების კრიზისული მდგომარეობა კიდევ უფრო აძლიერებს სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და რეგულირების მოტივაციას. ეჭვგარეშეა, რომ მხოლოდ საჭირო ეკონომიკურ-ფინანსური მექანიზმების დაბალანსებული შერწყმით მიიღწევა აგროსასურსათო სექტორის ეფექტიანი მართვა, რაც საფუძველს უქმნის დაფინანსების ყველა სუბიექტის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გარანტირებულ რეალიზაციას¹⁴⁶.

დღეს ამ მიმართულებით მთავრობის მხრიდან გარკვეული ნაბიჯები იდგმება. სოფლის მეურნეობა გამოცხადებულია პრიორიტეტულ დარგად. შეიქმნა სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, რომლის ეგიდითაც ორი წელია ხორციელდება მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი და „შედავითიანი აგროკრედიტის“ პროექტი, დაიგეგმა საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია, დაიხსნა კოოპერატივების შექმნის პერსპექტივები.

ცხადია, პატარ-პატარა მეურნეობები ვერ ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს. ამიტომ უცხოეთის გამოცდილებიდან გამომდინარე, გარკვეული ფორმით უნდა მოხდეს მათი გაერთიანება, მეურნეობების გამსხვილება და სოფლად ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ნაკლებ მუშახელს მოითხოვს. მაგალითად, ამერიკის შეერ-

¹⁴⁵ <http://moa.gov.ge>

¹⁴⁶ http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=13132

თებულ შტატებში 50 ჰექტარ ფართობზე სიმინდის მოსაყვანად მხოლოდ ერთი ფერმერის ფიზიკური შრომაა საჭირო, საქართველოში კი სოფლად დასახლებული 700 ათასი ოჯახი თითო-თითო ჰექტარს, ანუ მთლიანად 700 ათას ჰექტარს ფლობს. ცხადია, ამ მეურნეობათა გაერთიანება აუცილებელია.

მზადდება კანონი სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ, რომელმაც უნდა განსაზღვროს სამომხმარებლო კოოპერატივებისა და მათი კავშირების საქმიანობის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები. საქართველოსთვის კოოპერატივები პრიორიტეტულია მიწების გადასაწილების თვალსაზრისით. ჩვენთან 1 ჰექტარზე ნაკლები მიწის ნაკვეთი 3 მილიონ 500 ათას ერთეულს შეადგენს, რომელსაც სჭირდება კონსოლიდირება, ეტაპობრივი გაერთიანება, რათა წარმოება მომგებიანი იყოს კომერციული თვალსაზრისით.

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია მევენახეების კოოპერატივების შექმნაც, რომლის საკუთრებაშიც შევა ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნები, რაც ფერმერებს მოყვანილი პროდუქციის ჩაბარების პრობლემას მოუხსნის. იგეგმება ფერმერებისათვის დაბალპროცენტაანი (7-8%-ის ფარგლებში) შეღავათიანი სესხების გაკეპა¹⁴⁷.

რადგან საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი პრობლემა მისი ოჯახური, ნატურალური ხასიათია, სიტუაციის გამოსასწორებლად აუცილებელია მეურნეობათა გამსხვილება, სასოფლო-სამეურნეო მიწის მეორეული ბაზრის ამოქმედება და ევროპული ტიპის ფერმერული კოოპერატივების შექმნა. თუნდაც ისეთის, როგორიც საფრანგეთშია მიღებული¹⁴⁸. საფრანგეთში, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ყველაზე უფრო მასშტაბური სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა ტარდება, სახელმწიფო აქტიურად ერევა კოოპერატივების საქმიანობაში იმ თვალსაზრისით, რომ საგადასახადო შეღავათებით არ ისარგებლონ არაკეთილსინდისიერმა ადამიანებმა. საფრანგეთში კოოპერატივების საქმიანობა ხელისუფლების მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფება. საფრანგეთის გარდა, ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ მოითხოვება ადმინისტრაციული ნებართვა კოოპერატივის შექმნისა და რეგისტრაციისათვის. „ასეთი პროცესები მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, ყველგან სახელმწიფოს მარეგულირებელი და ხელშეწყობი პოლიტიკით წარმართა. ჩვენთანაც მხოლოდ სახელმწიფომ უნდა წარმართოს მარიონტირებელი როლი. კოოპერაცია დასაქმებისა და უმუშევრობის ლიკვიდაციის ერთ-ერთი საშუალებაა და ამიტომ სახელმწიფომ სოფლად კოოპერაციული მოძრაობის პროვოცირება უნდა მოახდინოს“¹⁴⁹.

დასავლეთის ქვეყნები აგრარულ სექტორს მილიარდობით დოლარით ეხმარებიან, ანუ სოფლის მეურნეობა მთლიანად სუფსიდირებულია. ჩვენთვის აუცილებელია როგორც სახელმწიფოს მხრიდან დახმარება, ისე საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება.

„სამწუხაროდ, საქართველოს სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ბოლოდროინდელი ცვლილებები წინააღმდეგობაში მოდის მისივე საერთაშორისო კომერციულ სტრატეგიასთან. ჩვენთან ისეთი პროდუქტი უნდა იყოს წარმოებული, რომელშიც საქართველოს შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია (მაგალითად, ხილი, ღვინო). თუმცა ქართველი ფერმერები ძირითადად არაპერსპექტიულ პროდუქციას აწარმოებენ, მაგალითად, როგორც ხორბალი ან კარტოფილია და რომელშიც ქვეყანას შეფარდებითი უპირატესობა არ გააჩნია“¹⁵⁰.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია პოლონეთის გამოცდილების გაზიარება: აქ სახელმწიფო პოლიტიკის სფერო სასოფლო-სამეურნეო საინფორმაციო, საკონსულტაციო სამსახურების ფუნქციონირებაა. ამისთვის შექმნილია კომპლექსური სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კავშირების განვითარებას, საინფორმაციო ქსელის უზრუნველყოფას, სოფლის ახალგაზრდობის გააქტიურებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახურები მჭიდროდაა დაკავშირებული კვლევით ცენტრებთან, განათლების სამინისტროსთან და სხვა ორგანიზაციებთან. მისი ძირითადი ამოცანაა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადასაჭრელად სოფლის მოსახლეობის დახმარება და სოფლის მეურნეობის განვითარების სტიმულირება. პოლონეთის ამ გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარების დონისძიებათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, კერძოდ, მართვის სხვადასხვა დონეზე ისეთი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ეფექტიან მართვას. აგრარული სექტორის ეფექტიანი მენეჯმენტი კი მოითხოვს ევროპული ფონდების პოლიტიკასთან დაგეგმვისა და განვითარების ინსტრუმენტების კოორდინაციას, რაც გულისხმობს განვითარების სტრატეგიის შემუშავებას. სტრატეგია წარმოადგენს სწორედ იმ დასაყრდენს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება არსებული სიმწელების დაძლევა და სახელმწიფოებრივი ხედვის რეალიზება.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოს აგრარული სექტორის მართვის ისეთი სტრუქტურის შექმნა, სადაც შესაძლებელი გახდება საბაზრო ეკონომიკის სამსახურების ჩამოყალიბება და მათი ერთ სისტემად გაერთიანება ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ინტერესების მიხედვით. ეს შესაძლებელს გახდის მათ ეფექტიან ფუნქციონირებას ერთიანი, კოორდინირებული აგრარული პოლიტიკისა და განვითარების პროგრამის ფარგლებში.

¹⁴⁷ <http://www.radiotavisupleba.ge/content/soflis-meurmeoba/24808080.html>

¹⁴⁸ ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბ., 2011, გვ.132.

¹⁴⁹ <http://www.bfm.ge/village/5989-kooperativi.html>

¹⁵⁰ ქრისტოფერ კორდონი, საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, თბ., 2005, დეკემბერი, გვ. 81.

GENERAL STRATEGY OF PRODUCTION MANAGEMENT FOR AGRARIAN SECTOR IN GEORGIA

Annotation

Work offers discussion of the role and significance of economic, organizational and managerial relations in the regulation and management of agriculture. It provides analysis of the organizational-economic factors affecting agricultural production. On the basis of the analysis the measures for expansion of the farms, operation of the secondary market of agricultural land and creation of European-type farm cooperatives are stated. On the example of Georgia, there is demonstrated that effective management of agrarian sector requires coordination of the development and planning instruments with the European funds' policies. This would increase effectiveness of implementation of the state support program in the agriculture sector.

Svetlana Shylo

INNOVATIVE APPROACH TO ACTIVITY BASED MAINTAINING OF ENVIRONMENTAL BALANCE

Nowadays different ecological and economic mechanisms are brought into action in many countries. Essentially, today humanity should tune on "ecological revolution" – technological way, which helps to prevent self-destruction of ecological systems and restore their balance. All the previous modes that provided revolutionary changes in agriculture, industry, science, technology and energy spheres of the economy led to deepening of the global ecological crisis (Figure 1).




Figure 1. Historical and ecological characteristic of society development [1]

The components of environmental-economic management system of innovative activity require systematization and organizing system wide, theoretical and methodological foundations of general management.

In the "Environment – human" system, if effected by human activity, the balance can be achieved when the damage to the environment and the amount of consumed resources are equal to the sum of compensation payments aimed at quality reproduction, and accordingly – to the value of the resource.

Main complication of balancing the system “Environment – human” is a difficulty to determine the cost necessary for elimination of the effects of pollution or prevention of environmental damage. The point is that the results of irrational natural resources usage are stretched in time, so funds that should be paid for their elimination are paid much later. Because of inflation and time factor such payments can even exceed the capabilities of payers. Therefore environment in Ukraine is constantly deteriorating. At the same time potential of ecosystems to purge themselves, as well as self-reproduction of some natural resources have their own limits, which are usually followed by degradation or even collapse (Figure 2).




Figure 2. Model of environmental balance

Line *F*, in Figure 2, shows the monetary expression of environmental quality change, or the cost of resources volume changes as a result of human activity, in thousands UAH. Point *M*, which is at the intersection of line *F* and Equilibrium line *k* on the y-axis, displays environmental quality changes. Crossing equilibrium line *k* leads to ecosystem degradation and as a result disruption of self-reproduction process, depletion of natural resources and accumulation of contaminants which all lead to ecological crisis. Line *D* demonstrates payment dynamics of business entities for their activity results which lead to environmental deterioration. Compensation payments should reestablish environmental balance and recover its quality. However, these compensation payments are too small in comparison with the environmental quality loss, and they are only activated after line *F* crosses the equilibrium line *k*.

Segment *MS* shows compensation payments impact on the environmental condition recovery. It can be demonstrated in a formula

$$MS = F + D.$$

Area *R*, which is between equilibrium line *k* and segment *MS*, is the area of ecological problems and demonstrates the damage extent to the environment or the loss extent of the natural resource providing that negative influence occurs permanently. At the same time, line *I* shows monetary equivalent change of the natural resource cost and environmental quality providing that appropriate innovative ecological technologies are used.

According to Figure 2 the angle of line *I* increases relatively to line *F* due to environmentally oriented innovation, which means that we can use resources during some period of time before environmentally hazardous processes start.

Point *L* is at the intersection of line *I* and equilibrium line *k* represents the limit of environmental deterioration and natural resources usage, while segment *LZ* demonstrates environmental condition through the use of appropriate innovative ecological technologies and takes into consideration compensation payments.

Area between equilibrium line *k* and segment *LZ* shows the amount of ecological problems in the case of innovative ecological technologies usage and compensation payments staying the same.

Segment *ML* demonstrates higher ecological efficiency of innovative technology comparatively to the one being used.

Figure 2 represents the situation of a constant negative influence on environment, and subsequently environmental balance goes beyond equilibrium line *k*. This situation is right for most ecosystems which suffer from negative human influence. However, it contraries to the principles of a balanced natural resources development. This problem can be solved by preventing undesirable influence on environment establishing certain limits on natural resources development and compensating negative effects done to environment in full amount. This is the main condition of the "Environment – human" system stability.

Soil use in Ukraine is a good example of irrational natural resources development. There have been about 50% losses of humus in black soil since it is used. Even in the 80's of the 20th century, when intensification of agriculture was started and organic and mineral fertilizers were used extensively, the annual average deficit of humus was 0.45–0.55 ton/ha. However, it became on average 0.62 ton/ha per year in Ukraine during the last decade [2;3].

Due to introduction of new soil protective and resource saving technologies, such as minimum or no-till technology, the amount of humus in black soil can be restored because of reduction of mechanical influence on the soil. Nowadays there are from 100 to 150 mln ha are cultivated using no-till technology, mostly in South and East American countries and Australia. The world arable area is 1.32 billion ha. According to the Institute of Agriculture of NAAS, annual word grows of transition to no-till is 1 million ha. Approximately 1.2 million ha of land is cultivated in Ukraine using this technology [4].

Using new organic technologies in agriculture provides increase of natural and biological activity in soil and nutrition balance recovery. Organic agriculture leads to improving recovery properties of soil, normalization of microorganisms' activity and humus recovery. And as a result – increasing crop yields and improvement of their quality [5].

Tillage is the main element of new technologies. Methods of tillage affect the dissemination of important microorganisms, especially ammonifiers – one of the most important living forms that mineralize organic matter in soil. The system of land tillage which excludes topsoil turn over helps to preserve most microorganisms that are usually found in 0-10 cm of arable layer. Mechanical tillage is one of important means of controlling weeds and pests in organic farming [5]. It determines the accumulation and preservation of soil moisture, creates optimal water-air, nutrient and thermal regimes for plant grows, forms yield potential and crop quality, and provides reliable soil protection against wind and water erosion. At the same time, new technologies minimize the number of tillage even down to zero, as depending on the depth of plowing the carbon lose increases. Thus, when using no-till daily loss of CO₂/M² is 10 g, and at tillage depth of 10 cm – 48 g, at 15, 20 and 28 cm – 105, 202 and 229 g, respectively. As compared with the traditional technology we have a reduction of sodium dioxide (N₂O) emission by 20%. Reduction of greenhouse gas emissions from soil also provides the benefits of no-till.

With no-till humidity is better preserved and retained in soil because straw and cropare not taken out and burnt. Crop residues help to reduce water and wind erosion of soil, contributing to recovery soil microenvironment and gradual accumulation of nutrients, including nitrogen. Moreover, according to Rod Lanier (Canada), there was an increase of earthworms on his fields, which improve soil fertility by 60–70% [6].

Nevertheless, analysis of the economic efficiency of winter wheat cultivation technology with no–till compared with conventional technology showed that fuel economy constitutes 30.6%, and labor saving – 26.4%. Accordingly, there is a reduction of unit costs. The yields of winter wheat in a stationary experiment of the Plant Production Institute ND. A. V.Y. Yurieva the average for 2001–2005 with traditional technology was 41.4 ql / ha, with minimum tillage technology they decreased by 2.4%, and with the application of no-till – by 8.2% (Table 1).

Table 1

The main cost details for growing winter wheat with different technologies
(peas is the predecessor)

Technology	Crop productivity, ql/ha	Fuel costs		Labor costs	
		l/ha	l/ql	operating hours/ha	operating hours/ql
Traditional	41.4	19.3	0.47	0.91	0.022
Minimum tillage	40.4	19.3	0.48	0.91	0.023
No-till	38.0	13.4	0.35	0.67	0.018

Source: [7].

The resources costs of winter wheat growing are 19.3 l/ha of fuel and 0.91 operating hours/ha by using traditional and minimum tillage technologies. Winter wheat cultivation by no–till technology turned out to be the most cost–effective and allowed to reduce fuel consumption by 30.6% and labor costs by 26.4% compared to the traditional technology. Production costs at no–till were lower because obtaining a unit crop of winter wheat led to reduction of fuel consumption by 24.4% and labor costs – by 19.8%.

Yields up to 9 t/ha of high–quality winter wheat with no–till system receives “Beskidu” farm in Rivne region. The soil in the farm is ashed medium blurred medium loamy and gray and dark gray ashed with light loams. Since the establishment of the farm they have been using only resources saving technologies of tillage (minimum tillage and no–till). During the last four years winter wheat is grown exclusively by no–till technology (direct seeding) [8].

Table2

Yields of crops in "Beskidu" farm in 2004-2008, ql/ha

Crop	2004	2005	2006	2007	2008
Grains and leguminous plants, total	73.5	55.0	51.4	43.5	68.1
including winter wheat	92.3	70.8	64.1	50.6	85.7

Source: [8].

Currently, the cost of wheat growing is very high and is almost 5000 UAH / ha, while in advanced farms is 3000 UAH / ha. Thus estimated cost of fuel for plowing – 100 UAH / ha, cultivation – 30 UAH / ha, packing of crops – 15 UAH / ha.

As the price of the third class wheat (SSU2004) in May 2009 was about 1150 UAH / t, and crop yields were at 8.5 t / ha, the profit from one hectare of area was 9775 UAH / ha, and net profit – 4775 UAH / ha [8].

It should be mentioned that no–till technology seems to be simple only at first glance. The difficulty is that sowing should be done with an accuracy of one passage of a machine. Seeder should lay the seeds in exactly set depth and in clean (without straw) soil with an even distribution of seeds in a row up to a few millimeters.

Sprayers should be provided with the necessary amount of herbicide. Combine headers should grind properly and spread evenly the remains of straw on the field. Fertilizers should be spread evenly. Unevenness or inaccuracy leads to uneven germination, their struggle with weeds, and consequently, a significant reduction in yield [4].

Risk assessment is important for farms that are in their early stages of implementation of a particular technology and cannot fully predict such problems as:

- increase in the number of plant residues (straw) on the surface of the field, which can make seeding complicated;
- growth of rodent populations when refusing mechanical tillage;

- necessity of crop rotation change;
- plant residues accumulation on the surface of soil which leads to temperature decline of 2–5°C in spring;
- crop weeds at no-till can be removed only by chemical means;
- increase of soil structure density (seasonal cementation phenomenon) in first years of no-till using;
- the need for prior preparation of a field during the transition to no-till technology;
- high requirements for qualifications of engineering and technical personnel [8].

Provided balanced environmental management, maintaining environmental balance and use of environmentally appropriate technologies the model acquires the form shown in Figure 3.

According to Figure 3 line D represents payments required to eliminate the effects of anthropogenic activities and full restoration of environmental balance, while line Z represents payments required to eliminate the effects of anthropogenic activity and rebalancing of environment if applied environmentally viable innovative technology.




Figure 3. Model of environmental balance in condition of full damage compensation

At full compensation for damage to environment the amount of loss will not fall below the recovery line and when applying environmentally viable innovative technologies recovery costs will decline.

Therefore, ecologically oriented innovative technologies should be paid more attention to at all levels of management. They are not only in accordance with the principles of environmental management and are characterized by environmental effects, but also provide economic results, such as profits and lower costs for environmental rebalancing.

However innovative activity requires improvement of ecological and economic management to ensure the consideration of economic, technological, environmental and social aspects when implementing innovations.

References

1. Shevchuk V, Satalkin U, Bilyavskiy G. and others. 2004. Ecological management. Kyiv (UA): Lybid.
2. Russian black earth: 100 years after Dokuchaev. 1983. In: Kovdra V, editor. Moscow (RU) : Science.
3. Datsko L, Sherbatenko O. The balance of humus under agrarian crops of Ukrainian lands. 2006. Agricultural Chemistry and Soil Science: special release. Kharkiv (UA); book 3; p. 39–41.
4. Lunkina T. Intensification of agricultural production efficiency based on no-till technology. Available from : <http://www.stationline.org.ua/index.php/agro/>
5. Tyschenko G. Organic crops of high class in Ukrainian agriculture. Available from: <http://biodinamika.com.ua/orhanichni-zernovi-v-umovah-sil/>
6. Galias A. 2009. The Canadian experience of Min / No-Till technologies. Available from: <http://www.zerno.org.ua/articles/technology/238>
7. Avramenko S, Popov S, Cehmeistruk M. 2012. Biostimulators of winter wheat. Agrobusiness today, 244 (21). Available from: <http://www.agro-business.com.ua/>
8. Kosolap M, Krotonov O, Beskid O (and others). 2009. No-Till technology of winter wheat grown at "Beskydy" farm. Available from: <http://www.zerno.org.ua/articles/technology/242>

The article deals with a problem of environmental balance and highlights the significance of innovative technologies in it. Economic, ecological and social effectiveness of new agrarian systems are shown. The author develops an environmental balance model, which shows the interrelation between environmental quality and compensation payments. Examples used are ecology and economy impact of no-till and organic crop growing technologies with their positive and negative features.

თინა ჩხეიძე
ქეთევან ქველავი

აკვაკულტურის ბანკითარების პრობლემები საქართველოში

აკვაკულტურა, როგორც მცირე ბიზნესის სფეროს საქმიანობა, საქართველოში ჯერჯერობით ჯეროვნად ვერ განვითარდა, მიუხედავად იმისა, რომ სასურსათო უზრუნველყოფის თვალსაზრისით თევზეულზე (და ზოგადად ზღვის ნობათზე) მოსახლეობის დიდი მთხოვნაა.

სასურსათო უზრუნველყოფა მსოფლიო გლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. სურსათი არის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რესურსი. ქვეყანა, რომელიც უზრუნველყოფილია სურსათით, ბატონობს მსოფლიო ეკონომიკაზე და პოლიტიკაზეც. დამოკიდებულება იმპორტულ სურსათზე ასუსტებს ეროვნულ ეკონომიკას და საფრთხეს უქმნის მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ასე რომ, სასურსათო უზრუნველყოფა გვევლინება, ამავე დროს, როგორც პოლიტიკური პრობლემა.

FAO-ს ექსპერტთა გამოანგარიშებით, უახლოეს მომავალში სურსათზე მთხოვნა არსებითად გაიზრდება მარცვლეულზე, რომლის ყველაზე მაღალი უზრუნველყოფა აღინიშნა 1989 წელს (345 კგ ერთ სულ მოსახლეზე), 1993 წელს შემცირდა 303კგ-მდე, 2030 წლისათვის მოსალოდნელია მისი შემცირება 240კგ-მდე, ანუ 1989 წლის დონის 69%-მდე. ზღვის პროდუქტების მოპოვება 1990 წელს თუ იყო ერთ სულ მოსახლეზე 28 კგ, სავარაუდოა, 2030 წლისათვის შემცირდეს 12 კგ-მდე.

სურსათის რაოდენობის შემცირებასთან ერთად გაიზრდება მისი ფასიც. თავდაპირველად ფასი გაიზრდება ზღვის პროდუქტებზე, შემდეგ სურსათის სხვა სახეობაზე. მეცნიერთა გამოანგარიშებით, ხორბალზე ფასი გაიზრდება 66%-ით, სიმინდზე 37%-ით, ბრინჯზე 30%-ით.

FAO-ს ექსპერტები თვლიან რომ, თუ არ მოხდა ტექნოლოგიური გარღვევა სურსათის წარმოებასა და ნიადაგის ნაყოფიერების ზრდაში, მაშინ 2015 წლიდან დაიწყება უმწვავესი სასურსათო კრიზისი [5].

მსოფლიოში ბუნებრივი რესურსები სასურსათო პროდუქციის წარმოების გასაფართოებლად უკიდურესად შეზღუდულია. ამას ემატება ის, რომ მთელი რიგი ხორბლისა და შაქრის ლერწმის მწარმოებელი ქვეყნები ასობით ტონა ხორბალსა და შაქრის ლერწამს არა საკვებად, არამედ ეთანოლის მისაღებად იყენებენ. ამიტომ, სახელმწიფო ცდილობს, გამოიხადოს გზები სასურსათო უსაფრთხოების დადებითად გადასაჭრელად, გამოიყენოს ყველა ის ბუნებრივი რესურსი, რომელიც ქვეყნის მთხოვნებს „შემშლის დაძლევაში“ დაეხმარება.

როცა სრულფასოვან კვებაზე ლაპარაკი, მხედველობაშია კვების ის სამედიცინო ნორმები, რაც აუცილებელია ადამიანისათვის. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, ადამიანის კვების საშუალო დღიურმა ნორმამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 2400-2500 კილოკალორია. გარდა კილოკალორიების რაოდენობისა, სრულფასოვანი კვების აუცილებელი პირობაა კვების რაციონის ნორმალური სტრუქტურა. კერძოდ, ადამიანმა დღეში უნდა მიიღოს არანაკლებ 100 გრამი ცილა (პირველ რიგში ცხოველური წარმოშობის) აგრეთვე ცხიმების, ნახშირწყლების და ვიტამინების გასაზღვრული რაოდენობა. თუ რომელიმე მათგანის რაოდენობა ნაკლებია ნორმაზე, კვება არასრულფასოვნად ჩაითვლება.

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, XXI საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიოს მოსახლეობის 30%-ის კვების დღიური ნორმა 1800 კილოკალორიაზე ნაკლები იყო, მოსახლეობის 20% იღებდა კალორიების საკმარის რაოდენობას, მაგრამ განიცდიდა ცილების დეფიციტს. ამრიგად, მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი არასრულფასოვნად იკვებება, ხოლო მისი რიცხვი, ვინც სრულ შემშლის განიცდის, ან მის ზღვარზეა, 500-550 მილიონით განისაზღვრება.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისათვის ყველაზე ნაკლები ენერგეტიკული დანიშნულება აქვს ცილებს (12%), ის შეუცვლელი ნივთიერებაა ცოცხალი ორგანიზმისათვის. ენერგოუზრუნველყოფასთან ერთად, ადამიანისათვის მოხმარებული ცილების რაოდენობას აქვს დიდი მნიშვნელობა. საშუალოდ ერთი ადამიანისთვის ცილების მოხმარების დღიური ნორმა შეადგენს 80-100 გრამს.

კვების ნორმის დარღვევა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებზე აისახება. ოფიციალური მონაცემებით, 2009 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქართველოს მოსახლეობის კვების დღევამური რაციონის ფაქტობრივმა ენერგეტიკულმა ღირებულებამ შეადგინა ნაკლებად ნორმად მიღებული 2300 კკალორისა 2150 კკალორია, ე.ი. საკმარისობის კოეფიციენტის სიდიდე უდრის 0,93.

ეს ადასტურებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში მოსახლეობის კვების რაციონის ფაქტობრივი ენერგეტიკული ფასეულობა 7,0%-ით ნაკლებია ნორმით გათვალისწინებულზე.

ანალიზით დადგინდა, რომ საქართველოში 2009 წლის რძისა და ხორცის პროდუქტების ხვედრითი წილი მოხმარების რაციონალური ნორმების მიხედვით შეადგენს 28,4%. მაგრამ, ფაქტობრივად აღმოჩნდა 16,5%. აქედან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის რძეზე და ყველზე – 5% თითოეულზე. ამის გამო კვების რაციონს აკლია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები: როგორცაა ცილები და ცხიმები. კვების თვიურ რაციონში ცილები 925,6 გ-ით, ცხიმები კი 795,1 გრამით ნაკლებია მოხმარების რაციონალური ნორმებით გათვალისწინებულთან შედარებით. ყოველივე ეს მეტყველებს ქვეყანაში კვების თვიური რაციონის დაუბალანსებ-

ლობაზე და დღის წესრიგში აყენებს ცილებითა და ცხიმებით მდიდარი პროდუქტებით მინიმალური სასურსათო კალათის შექმნის აუცილებლობას.

დღეს მსოფლიოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცილოვანი პროდუქტების წარმოების გადიდებას და ადამიანთა სრულფასოვანი კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის საკითხს. ამ პრობლემის რეალიზაციაში თავისი წვლილი შეაქვს მთევეზობას, მით უმეტეს, რომ მსოფლიოში წარმოებული ხორცის საერთო ბალანსში თევზის ხვედრითი წილი 45%-ზე მეტია. თევზი დიეტური საკვებია, შეიცავს დიდი რაოდენობით ცილას. ყოველი 100 გრამი თევზის ცილიდან ადამიანი ითვისებს 40 გრამს. იმავე რაოდენობის ღორის ხორცის ცილიდან 20 გრამს, ხოლო ძროხის ხორცის ცილიდან 15 გრამს. ცხოველური ცილის 7% თევზის ცილაზე მოდის.

თევზი იძლევა არა მარტო ცილას და ცხიმს, არამედ ადამიანის ორგანიზმისათვის საჭირო ვიტამინებს და მინერალურ ნივთიერებებს.

უხსოვარი დროიდან ადამიანს კვებაზე ზღვა. ადამიანმა, სანამ იგი მიწათმოქმედებას მოჰკიდებდა ხელს, ისწავლა თევზის დაჭერა, გამოიგონა მთელი რიგი თევზსაჭერი საშუალებები (ბადე, ანკესი ა.შ.). თევზჭერის შემდეგ დაიწყო ნადირობა, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

XX საუკუნეში სწრაფად გაიზარდა თევზჭერა და 1970 წლისათვის მსოფლიო მასშტაბით ყოველ წელიწადს წლიური ნაშთი 2,5 მილიონ ტონას შეადგენდა. მაგრამ შემდეგ მატებამ იკლო და 1983 წლისათვის 76,4 მილიონი ტონა შეადგინა. ბიოლოგები ფიქრობენ, რომ საოკეანო თევზჭერა შეიძლება გაიზარდოს 90-100 მილიონ ტონამდე, მიუხედავად ამისა, თევზის პროდუქტიულობა თანდათან მცირდება. ასე მაგალითად, 1913 წლისათვის რუსეთს პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში. იგი იჭერდა მთელი მსოფლიოს თევზჭერის ნახევარს; 1938 წელს იჭერდა 19,4%; 1958 წელს მხოლოდ 10,2%; ხოლო 1980 წელს კი 4,8% [12].

სტატისტიკის მიხედვით, XXI საუკუნის დასაწყისში დედამიწის ზღვებსა და ოკეანეებში შესაძლებელია თევზის ფიზიკური შემცირება 25%-ით [8].

თევზი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ბუნების მოწყალეობა, საჭიროა რომ მას შეექმნას გამრავლებისათვის სათანადო პირობები. თევზჭერა შეაფერხა არარაციონალურმა ექსპლუატაციამ. პ. მოსივევის მიხედვით, ყველაზე მიახლოებული გამოანგარიშებით, კაცობრიობა თევზჭერის ცუდი ორგანიზაციის გამო ყოველწლიურად კარგავს 10 მილიონ ტონა თევზს.

გარდა არარაციონალური რეწვისა, ერთ-ერთი მიზეზი, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას დედამიწის მოსახლეობის კვებით რაციონს, ეს არის ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურება – მათზე ანთროპოგენული დატვირთვის გამო.

ბოლო წლების გამოკვლევებმა დაადგინა, რომ ოკეანე საფრთხეშია. ჯერ კიდევ 1947 წელს ფლოტმა “კონტიკ“-მა, რომელმაც 101 დღის განმავლობაში გაიარა 8 ათასი კილომეტრი წყნარ ოკეანეში, აღნიშნავს, რომ მათ არ შესხედრიათ ადამიანთა აქ ცხოვრების არავითარი მინიშნება, ხოლო დაახლოებით 20 წლის შემდეგ იმავე მარშრუტით მოდრეიფე გემ “რე“-ს მოგზაურები ხვდებიან ზღვის ზედაპირზე მოტივიტივე ბოთლებს, ქილებს, კონსერვებს, ხოლო აფრიკის სანაპიროსთან თვით პორიზონტამდე მახუთის სხვადასხვა ზომის კომპეტებს.

ზღვები და ოკეანეები ბინძურდება სხვადასხვა სახის ნივთიერებებით, რომლებიც ჩააქვთ მატერიკიდან მდინარეებს. მაგ., ჩრდილოეთის ზღვაში ყოველწლიურად ჩადის 7 740 ტონა ტყვია, 5 930 ტონა სპილენძი, 3 090 ტონა თუთია, 840 ტონა კალიუმი, 3 650 ტონა ნიკელი, 44 ტონა სინდიი. დაბინძურების წყაროებია, მაგალითად, ატმოსფერო, ტყვიის 98% მოდის ატმოსფეროდან, 31% ჩააქვთ მდინარეებს, 7% სამრეწველო ობიექტების გამონაყარია, 2% კანალიზაციიდან.

სისტემატიური დაკვირვება წარმოებს ნავთობით წყლის გაჭუჭყიანებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ნავთობი წარმოადგენს ოკეანისა და ზღვების ყველაზე მეტად გავრცელებულ და, ამავე დროს, ყველაზე ძლიერ გამჭუჭყიანებელს.

ნავთობის ტოქსიკური ზეგავლენა ზღვის ბიოტაზე მეტად ძლიერი და მარავალფეროვანია. დაიწყოთ იქიდან, რომ ნავთობის თხელი აფსკის არსებობა თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა მსოფლიო ოკეანის სანაპიროებთან, რაც პირდაპირი მიზეზია თევზის ქვირითის დაღუპვისა, რომლებიც არსებობენ წყლის ზედაპირთან ახლო ფენებში. ნავთობის აფსკი იზოლაციას უკეთებს ატმოსფეროს ჰაერს, შევიდეს წყლის სიღრმეში. ნავთობი მკვეთრად ცვლის ზღვის ორგანიზმების თანასაზოგადოებას. ამცირებს მათ ნაირგვარობას, რომელიც არის გარანტია მათი წინააღმდეგობის. ასევე ხდება პათოლოგიური ევექტი, წარმოიქმნება სიმპინჯეები, სიცოცხლისუნარო ფორმები, ორიენტაციის დარღვევის, სასუნთქი რითმის კანცეროგენიზმის გაზრდა. ყველაზე მეტად მგრძობიარეა ახალგაზრდა თაობა – განვითარების ადრეულ სტადიაზე.

გარდა ამისა, ნავთობის თხელი აპკი, როგორც ფილტრი, თავს უყრის მთელ რიგ ტოქსიკურ ნივთიერებებს: პესტიციდებს, მძიმე მეტალებს, რომლებიც დიდ საშიშროებას წარმოადგენენ ბიოტის ცხოველმოქმედებისათვის. მძიმე მეტალები აღწევენ ბიოტის ქსოვილში, რომლებიც უკვე საშიშია საკვებად. მაგ., ჰამანწის საკვებად გამოყენება, რომლის ორგანიზმში მოხვედრილია მძიმე მეტალები, იწვევენ შთამომავლობის აპარატის დაზიანებას.

ერთი შეხედვით ოკეანეს დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს ადამიანის კვების რაციონში. მთელი საკვების 99 წონითი ერთეული მიიღება ხმელეთზე მოყვანილი საკვებიდან, ხოლო 1 წონითი ერთეული კი პლანეტის იმ ნაწილიდან, რომელიც რუკაზე ლურჯად არის შეფერილი. ცხოველური ცილის ნახევარს, რომლითაც იკვებება კაცობრიობა, მოდის ოკეანის ხარჯზე, ხოლო ზოგიერთი ქვეყნის მაგ., ბირმის, იაპონიის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების მოსახლეობა, სადაც 2 მილიარდზე მეტი მცხოვრებია, მოიხმარს ცხოველური ცილის ნახევარს, რომელსაც მათ აძლევს ოკეანე.

ნავთობით გაჭუჭყიანებული წყლების გასუფთავება წარმოებს სხვადასხვა წესით, გამოყენებულია როგორც ქიმიური, ფიზიკური, ისე ზედაპირის მექანიკური გაწმენდა. მაგ. ქიმიური დისპერგენტების შემოქმედებით მძიმე ფრაქციის დაღეჭვა, წყლის ზედაპირზე ნავთობის დაწვა, ქიმიური დაშლა, აორთქლება და ა.შ.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ნავთობის მექანიკური შეგროვება უფრო ეკოლოგიური და ეკონომიკურია, რადგან არავითარი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ქიმიური დამშლელები იხტიოცენოზზე რაიმე ტოქსიკურ ზემოქმედებას არ გამოიწვევენ.

მძიმე სიტუაცია შეიქმნა ოკეანეების, ზღვებისა და მდინარეების რესურსებთან დაკავშირებით 1990 წლების ბოლოს. თანდათან ჩამოყალიბდა აზრი, რომ ამ სფეროში შეუზღუდავი რაოდენობის რესურსი აღარ არსებობს და იგი მუდმივად მცირდება.

ზღვის პროდუქტების მოპოვება 1950 წლის 22 მილიონ ტონიდან 2000 წელს აყვანილი იყო 100 მილიონ ტონამდე. 1993 წელს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (ფაო) დაადგინა, რომ 17 თევზჭერის რეგიონში თევზის მოპოვება ხორციელდებოდა დასაშვებ ნორმაზე მეტი რაოდენობით, ხოლო ცხრა მათგანი უკვე სრული ამოწურვის ზღვარზე იმყოფებოდა. ყოველივე ეს წარმოადგენს 1980-იან წლებში ზღვებსა და ოკეანეებში თევზჭერის სიმძლავრეთა არაკონტროლირებადი ზრდის, აგრეთვე თევზჭერის მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების დაგეგმვის პირდაპირ შედეგს. ამის გამო თანმიმდევრულად იქნა გამოცარიელებული ატლანტიკის, აფრიკის სანაპიროს სამხრეთი და ჩრდილოეთი ზღვები, რომ აღარაფერი ვთქვათ აშშ, კანადის, იაპონიის, რუსეთის თევზსარეწ წყლებზე. ზოგიერთი სახეობის თევზის რესურსი უკვე თითქმის 90%-ია ათვისებული, რაც ამ სახეობის არათუ აღწარმოებას, არამედ საერთოდ შენარჩუნებასაც კი ეჭვქვეშ აყენებს.

დაშრობის პროცესმა, შესაქიმიკატებით და ნარჩენებით მდინარეების და ტბების დაბინძურებამ გამოიწვია წყალსატევების კვდომა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მხოლოდ კანადაში 1990 წლების დასაწყისში გაჩნდა 14 000 მკვდარი ტბა. არალის ზღვა, რომელიც ჯერ კიდევ ახლო წარსულში, წელიწადში იძლეოდა 40 ათას ტონა თევზს, ამჟამად ეკოლოგიურად მკვდარია. ზოგიერთ წყალსატევში მართალია თევზი გადარჩა, მაგრამ ადამიანის კვებისათვის იგი პრაქტიკულად გამოუსადეგარია. შექმნილი სიტუაცია საფუძველს არ იძლევა, იმედი ვიქონიოთ პერსპექტივაში თევზჭერის მოცულობის მნიშვნელოვან მატებაზე. არსებულ დონეზე (98 მლნ ტონა. 20 კგ ერთ სულ მოსახლეზე) შენარჩუნებაც კი საეჭვო ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წყლის რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, მის ფარგლებშია შავი ზღვის სანაპირო 315 კმ ზოლი, 660 მდინარე და 860 ტბა, აკვაკულტურა ობიექტური მიზეზების გამო ჯერონად არ არის განვითარებული. მაშინ, როდესაც წარსულში საქართველოში თევზჭერა და მეთევზეობა საკმაოდ განვითარებული იყო და დიდი პოპულარობით სარგებლობდა¹⁵¹. 1970 წელს ქალაქ ბათუმში ჩატარებულ სიმპოზიუმზე იაპონიის აკვაკულტურის სპეციალისტებმა (რომლებმაც ამ დარგში მსოფლიოში პირველი ადგილი მოიპოვეს) მაღალი შეფასება მისცეს საქართველოში აკვაკულტურის განვითარებას.

სამრეწველო საქმიანობის ამ სახეობამ ბოლო წლებში საქართველოში დაკარგა აქტუალობა. მას შემდეგ, რაც მტკვარი დაბინძურდა და შემცირდა თევზი, თევზჭერაც შეწყდა, რის მიზეზადაც გვევლინება ეკოლოგიური ფაქტორი: ეკოლოგიურად დაბინძურებული წყლები და წყალსატევები იქითოცენოზისათვის შეზღუდვისა და გადაშენების საფუძველი გახდა.

აღსანიშნავია, რომ დღესაც ვერ ხერხდება მსოფლიო ოკეანეების და ზღვების დაცვა უარყოფითი ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან, არც შავი ზღვაა გამონაკლისი, განსაკუთრებით ბოლო წლებში შეიმჩნევა აქ შექმნილი საგანგაშო ეკოლოგიური მდგომარეობა. ლ. კოსტუჩენკოს მიხედვით, შავი ზღვის ნავთობით მეტად დაბინძურებულ რაიონებში აღმოჩნდა სამრეწველო თევზის 80% დაღუპული ქვრითი. შავი ზღვა ჭუჭყიანდება 10 სხვადასხვა ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ჩაშვებული ნარჩენებით.

შავი ზღვის ძირითადი დამაბინძურებელია ნავთობი, რომელიც იღვრება ზღვაში ნავთობგადამხიდი ტანკერების ავარიისა და ნავთო-პროდუქტებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ წყლის რესურსების დაბინძურებას მოსდევს ზღვის ბინადართა განადგურება, ნავთობით ზღვის დაბინძურება მაინც ხდება, ვინაიდან ნავთობის ტანკერით გადაზიდვა უფრო მომგებიანია. ოფიციალური მონაცემებით [14], საზღვაო სამთომომპოვებელი წარმოების ერთი წლის მთლიანი პროდუქცია შეფასდა 60-70 მილიარდ დოლარად, ნავთობის გადაზიდვა საზღვაო ტრანსპორტით კი იძლეოდა 40 მილიარდ დოლარს, ხოლო ამ დროს დაღუპული თევზი (თევზის ეს ცილოვანი საკვები, რომლის უკმარისობა მრავალი განვითარებადი ქვეყნის ბავშვებში, განსაკუთრებით საბავშვო ასაკში, ხშირ შემთხვევაში იწვევს მოურჩენელ გონებრივ ჩამორჩენილობას ან იხოცებიან შიმშილის გამო) შეფასდა მხოლოდ 10 მილიარდ დოლარად.

შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის შესასწავლად სტამბოლის ბაზაზე ინგლისელი ჰიდროლოგის **ლორენს მი-ს** ხელმძღვანელობით შეიქმნა შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამა 25 მლნ დოლარის ბიუჯეტით, რომლის მიზანი იყო, გამოეკვლიათ მდგომარეობა და დაესახათ ღონისძიებები შავი ზღვის გასუფთავებისათვის. ამ პროგრამის რეალიზაციაში მონაწილეობა მიიღო ექვსმა სახელმწიფომ: საქართველომ, რუსეთმა, უკრაინამ, რუმინეთმა, ბულგარეთმა, თურქეთმა.

რაც შეეხება საქართველოს შიდა წყლებს (მათ შორის ტბორებს), მინიმალურადაც არ არის გამოყენებული მეთევზეობის განვითარების შესაძლებლობანი. რამდენიმე წლის წინ საქართველოში მათ 50 000 ჰა ფართობი ეკავა. ეს ის რაოდენობაა, რომელიც წლის განმავლობაში დამაკმაყოფილებელი ექსპლუატაციის პირობებში თავისუფლად უზრუნველყოფს 7 075 ტონა ახალი (ნედლი) თევზის რეწვას [4].

მსოფლიო ნათევზავები ფაქტობრივად სასოფლო-სამეურნეო, მეცხოველეობის საკვებად გამოიყენება. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა უღელში 3-5% თევზის ფჭვილის არსებობა თითქმის აკმაყოფილებს ცხოველურ ცილაზე მოთხოვნას. ეს უკვე გვაძლავს, ვეძებოთ ახალი გზები, გავაძლიეროთ თევზის საკვებ-მომპოვებლობა. გაუზარდოთ წარმოება არა მარტო თევზის, არამედ უხერხემლოებისა და მცენარეების, რომლებსაც საკვებად იყენებს მეცხოველეობა.

¹⁵¹ ლუარსაბ თათქარიძის სუფრას არ აკლდა თართი და ორაგული, რომელსაც ასეთ პატივს მიაგებდა თავადი. ასევე მხატვრული ლიტერატურიდან ცნობილია თბილისელი მეთევზეები „აქპო“ და სხვ., რომლებიც თბილისს ამარაგებდნენ მტკვარში დაჭერილი ცოცხალი თევზით.

აკვაკულტურას ტრადიციულ მეთევზეობასთან შედარებით უპირატესობა აქვს. ასე მაგალითად, მსხვილფეხა პირუტყვის პროდუქტიულობა შეადგენს 0,34 ტონას ჰექტარზე, ხოლო ჰექტარ ზღვაზე აკვაკულტურა იძლევა 120 – 600 ტონას და, როგორც ირკვევა, ეს არ არის ზღვარი. ზღვის „პლანტაციების“ მოსავლიანობა დამოკიდებულია გენეტიკოსებისა და სელექციონერების კვლევით მუშაობაზე.

კვლევებით დადგენილია, რომ კვადრატულ მეტრზე შეიძლება მივიღოთ 800კგ თევზების პროდუქტი, ხოლო ჯამური თევზების შედეგი შეიძლება იყოს 5-7 მლნ ტონა 4-6 მლნ კვადრატულ კილომეტრზე.

რაც მთავარია, აკვაკულტურის განვითარებაზე დანახარჯი სწრაფად ამოიგება. მაგალითად, მეტად მომგებიანია წყნარი ოკეანის ორაგულის მოშენება. მის მოშენებაზე აშშ-ში ერთ დოლარ დანახარჯზე 7 დოლარს დებულობს, ხოლო იაპონიაში 15 დოლარსაც კი. ასევე შრომის დანახარჯი ტონა თევზის მოშენებაზე 8-ჯერ უფრო მცირეა, ვიდრე ღორის მოშენებაზე.

აკვაკულტურის განვითარების თვალსაზრისით უკეთესი მდგომარეობა არც ქვეყნის შიდა მდინარეებში გვაქვს. მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლამ, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, შეაფერხა და ზოგჯერ სრულიად მოსპო ქვეყნის წყალსატევებში თევზი. უამრავმა კაშხალმა და პირობებმა დაგურმა თევზებს მოუპოვა მიგრაციის შესაძლებლობა, რაც აუცილებელია ქვეითიანობის დროს, რის გამოც ამ გზას შეჩვეული თევზი ან შეეგუა ახალ გარემოს და განიცადა აკლიმატიზაცია, ან საერთოდ გადაშენდნენ. (მაგ. ეგვიპტეში, ასუანის მადლივი კაშხლის მშენებლობის შედეგად საგრძნობლად შემცირდა თევზჭერა - 1800 ტონიდან 500 ტონამდე დაიკლო, რაც წელიწადში 7 მლნ დოლარის ზარალს შეადგენდა).

საქართველოს წყლებში თევზის რეწვა იმდენად უმნიშვნელოა, რომ მისი მოხმარების ხვედრითი წილი არც კი განიხილება.

ნედლი თევზი ფუფუნების პროდუქტია საქართველოს მცხოვრებთათვის, სწორედ ამ ფონზე წყალქვეშა მეთევზეობის ფერმერული მეურნეობის მნიშვნელობა მეტად საყურადღებოა.

საქართველოში ერთ-ერთი ნათელი წერტილი იქტიოცენოზის განვითარებისა არის მეკალმახეობა. ხელოვნურად შექმნილი წყალსატევები და ტბორები გამოიყენება მცირე მეწარმეობის საქმიანობის – „მეკალმახეობის განვითარებისათვის“.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ამ სფეროს განვითარების და ფუნქციონირების შესახებ სტატისტიკური მონაცემები ძალიან მცირეა, ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ, რომ მთავრობა ხელს შეუწყობს ზოგადად როგორც მცირე ბიზნესის, ასევე „მეკალმახეობის განვითარებას“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. FINANCIAL.ge – საქართველო თვეში 80 ტონა კალმახს მოიხმარს www.financial.ge/.../76180_საქართველო_
2. Kalmaji.Ge - / მეთევზეობა – მთავარი
3. Амстиславский А. Плюс марикультура, Ч. и П. №11, 1985
4. Кожанов С.-Беседа о природе ж. ЧиП 11/1977
5. www.financial.ge/.../1618
6. www.kalmaji.ge – საქართველოს აკვაკულტურის განვითარების ზოგადი –
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – წყლის რესურსები 2010წ.
8. www.icode.ge/2012/04/ საქართველოს წყლის რესურსები.
9. თ. გუგუშვილი, მწვანე ალტერნატივა. 2007.
10. Чиков. Минеральные ресурсы ложа Мирового океана М.,1983.
11. Боголюбов. Экология. М.,1997.
12. А. Авакян. Неиссякаемый источник. ж. ЧиП 9/83.
13. საქართველოს წელიწადეული, 2012.
14. И. Никоноров. Рыба внутренних водоемов. ж. ЧиП 1987, 11.

*Tina Chkheidze
Ketevan Kveladze*

DEVELOPMENT OF AQUACULTURE PROBLEMS IN GEORGIA

Annotation

The article examines the aquaculture as a one of the field's of conditions of entrepreneur type. It is shown that this area in spite of its importance of food rations of population in provision of animal protein is not developed in Georgia.

Environment pollution of water resources has led to a delay development of aqua culture, which caused a delay in the development of not only fisheries but also a significant decrease of fish throughout the world. According to statistic in the seas and the oceans marked fish decrease – by 25%.

In the article the trout farming is noted as one of the entrepreneurial activities of aquaculture in Georgia. The view is expressed that the development of trout farming will be able to provide the population of Georgia with sufficient volume of live fish.

*მამუკა ხუსკივაძე
ბაკა ლომიძე*

**საქართველოში უძრავი ქონების ღირებულების განსაზღვრის პროცესში
ეკონომიკური ფაქტორების ბათვალისწინების ზოგიერთი საკითხის შესახებ**

უძრავი ქონების ბაზარი თანამედროვე საქართველოში, რომელსაც ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია გააჩნია, ეკონომიკის ერთ-ერთ დინამიურად განვითარებად სფეროს წარმოად-

გენს. ის საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ბაზისია და მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ფინანსური, შრომის რესურსების, საქონლისა და მომსახურების ბაზრები. მის განვითარებაზე დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა. უძრავი ქონების ბაზრის ფუნქციონირებაში ჩართულია ეკონომიკური სუბიექტები ფიზიკური პირების, იურიდიული პირებისა და სახელმწიფოს სახით. მისი ყოველწლიური ბრუნვა ასობით მილიონ ლარს შეადგენს.

უძრავი ქონების ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის, იჯარის და სხვა ტიპის გარიგებების ობიექტს წარმოადგენს უძრავი ქონება (სახლები, აგარაკები, მიწის ფართობები და ა.შ.). სპეციალურ ლიტერატურაში უძრავი ქონება განიშარტება, როგორც სპეციფიკური საქონელი, რომელიც საინვესტიციო სფეროს ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, ხოლო უძრავი ქონების შეფასების ქვეშ იგულისხმება ობიექტის საბაზრო ღირებულების განსაზღვრა. უძრავი ქონების ღირებულების შეფასება ითვალისწინებს მასზე საკუთრების ან სხვა უფლების ღირებულების განსაზღვრას სხვა ობიექტებთან მიმართებაში.

უძრავ ქონებაზე ფასწარმოქმნის პროცესში სხვადასხვა სახის ეკონომიკური და არაეკონომიკური ხასიათის ფაქტორები მონაწილეობენ. მათი ზემოქმედების მასშტაბებისა და მიმართულებების განსხვავებულობა ქვეყნებისა და უძრავი ქონების სახეების მიხედვით, განაპირობებს იმას, რომ უძრავი ქონების ღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორების ერთიანი კლასიფიკაცია არ არსებობს.

საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე უძრავი ქონების ღირებულებაზე ძირითადად ზემოქმედებას ახდენს ფაქტორთა ერთობლიობა, რომლებიც პირობითად შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

1. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომელსაც მიეკუთვნება:
 - ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მდგომარეობა
 - მოსახლეობის შემოსავლები და დასაქმების დონე;
 - დაფინანსების წყაროები, ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და საპროცენტო განაკვეთები;
 - მიგრაციული პროცესები;
 - ბიზნესის განვითარების დონე;
 - ქვეყნის საინვესტიო მიზიდველობა;
 - კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა;
 - უძრავი ქონების მიწოდება.
2. პოლიტიკურ-სამართლებრივი ფაქტორები:
 - ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილურობის ხარისხი;
 - საკანონმდებლო უზრუნველყოფა.
3. ფსიქოლოგიური ფაქტორები, სადაც შეიძლება გამოიყოს:
 - ეროვნული ვალუტისადმი ნდობა;
 - მოსახლეობის ხვალისდელი დღისადმი რწმენა, ოპტიმიზმი.

ზოგადად, აღნიშნულ ფაქტორთა ერთობლიობის ზემოქმედებით ხორციელდება უძრავი ქონების შეფასება მასზე ფასწარმოქმნის მიზნით მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. თუმცა, ამ ქვეყნებში უძრავი ქონების ღირებულებაზე ზემოქმედ სოციალურ, ეკონომიკურ და სახელმწიფო რეგულირების ფაქტორებთან ერთად, ცალკე, დამოუკიდებელ ჯგუფად გამოიყოფა ეკოლოგიური ფაქტორები.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში უძრავი ქონების ღირებულების განსაზღვრის პროცესში გარემოსდაცვითი ფაქტორების ზეგავლენის შესწავლა და გათვალისწინება წარმოადგენს აქტუალურ პრობლემას სამეცნიერო და საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში.

უძრავი ქონების ეკონომიკურ შეფასებაში ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებას გააჩნია თავისი წანამდებრები. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ქვეყნებში, სადაც განსაკუთრებული სიმწვავეთი იზინა თავი გარემოზე უარყოფითმა ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ, ჩამოყალიბდა ე.წ. „მწვანე საკანონმდებლო ბაზა“. აღნიშნული საკანონმდებლო ბაზა სპეციალური ნორმებითა და სტანდარტებით ზღუდავდა გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მასშტაბებს და აიძულებდა გარემოს გამჭუჭყიანებლებს, მიეღოთ ზომები ეკონომიკურ-ეკოლოგიური ზარალის თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა აშშ-ში მიღებული კანონი „ბუნებასთან ურთიერთობის, პასუხისმგებლობისა და კომპენსაციის შესახებ“, რითაც დადგინდა გარემოზე მიყენებულ ზარალზე მატერიალური და ფინანსური პასუხისმგებლობის სახეები და შესაბამისი სანქციები. მოგვიანებით მას ეწოდა კანონი სუპერფონდის შესახებ. ამ კანონის მიღების მთავარ მოტივს წარმოადგენდა დიდი რაოდენობით არსებული საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების უტილიზება და დეგრადირებული ნიადაგების აღდგენის ხელშეწყობა. ამასთან, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისას პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც წინა, ისე ახალ მესაკუთრეს.

სუპერფონდის მკაცრმა ნორმებმა და სტანდარტებმა განაპირობა ის, რომ უძრავი ქონების ბაზარზე არსებითად დაიწყო რეაგირება გარემოს გაჭუჭყიანებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა კონცეპტუალური მიდგომა სახელწოდებით „enizonmental due diligence“, რომელიც გულისხმობს გარემოზე ზემოქმედების ანალიზს, რომლის დროსაც ხდება გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკის გამოვლენა და შეფასება. აღნიშნული მიდგომის პრაქტიკული რეალიზაცია ნიშნავს უძრავი ქონების ღირებულებაზე გარემოსდაცვითი მოთხოვნებისა და პრინციპების ზეგავლენის კომპლექსურ გამოკვლევას.

სუპერფონდის შესახებ კანონმა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის შედეგებმა ბიძგი მისცა ევროპის ქვეყნებში დეგრადირებული ნიადაგისა და სხვა ბუნებრივი რესურსების აღდგენისა და კვლავწარმოების სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებას.

შეიძლება ითქვას, რომ აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში მიღებული გარემოსდაცვითი ხასიათის შეზღუდვების აუცილებლობამ ასახვა პოვა საერთაშორისო, ევროპულ და ნაციონალური შეფასების სისტემებში, სადაც

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უძრავი ქონების შეფასებაში ეკოლოგიურ ფაქტორებს და „ენიზონმენ-ტალ დუე დილიგენცა“-ს პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებს.

დასავლეთის ქვეყნებში დადგენილი მკაცრი გარემოსდაცვითი სტანდარტები და ნორმები, რისი დარღვევაც ითვალისწინებს მკაცრ ფინანსურ სანქციებს ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულზე ეკოლოგიური დარღვევების შემთხვევაში, აიძულებთ უძრავი ქონების ბაზრის სუბიექტებს (მყიდველები, გამყიდველები, ინვესტორები), მოახდინონ ტერიტორიის ან უძრავი ობიექტის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება გარეგნობის განხორციელებამდე. უფრო მეტიც, ეკოლოგიურმა პრობლემებმა ადვილად შესაძლებელია უძრავი ქონების ობიექტი გამოუსადეგარი გახადოს გირაოთი გამოყენების თვალსაზრისითაც. საბანკო, საფინანსო და სხვა ტიპის საკრედიტო დაწესებულებებს შეუძლიათ არ გასცენ კრედიტი, თუ ობიექტს აქვს ეკოლოგიური პრობლემები.

სპეციალურ კვლევებსა და მეთოდურ საფუძვლებში, რომლებშიც გაშუქებულია უძრავი ქონების ღირებულებით შეფასებაში ეკოლოგიური ფაქტორების როლი, გამოყოფენ ამგვარი ფაქტორების სამ ჯგუფს:

ა) ეკოლოგიური ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ უძრავი ქონების ღირებულებაზე მიმდინარე მომენტში ან რომელთაც შეუძლიათ მისი ღირებულების შეცვლა მომავალში, მათი გამოვლენის შემდეგ;

ბ) შეზღუდვები უძრავი ქონების გამოყენებაში ეკოლოგიურ კონტექსტში;

გ) სამართლებრივი ვალდებულებები, დაკავშირებული გადასახდებლებთან ან მიყენებული ზარალის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებასთან.

რა დატვირთვა და შინაარსი აქვს ეკოლოგიურ ფაქტორებს უძრავი ქონების შეფასების პროცესში? სპეციალურ კვლევებში უძრავი ქონების ეკონომიკური შეფასებისა და ღირებულების განსაზღვრის კონტექსტში ეკოლოგიური ფაქტორების ქვეშ იგულისხმება წმინდა ბუნებრივი და ბუნებრივ-ანთროპოგენური ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც არ წარმოადგენენ არც შრომის საშუალებებსა და მოხმარების საგნებს, არც ნედლეულსა და ენერჯის წყაროს, მაგრამ ახდენენ უშუალო ზემოქმედებას უძრავი ქონების გამოყენების სარგებლობასა და ეფექტიანობაზე. იმაზე, თუ რამდენად ხელსაყრელია იმ ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობა, რომელზეც განთავსებულია უძრავი ქონების ესა თუ ის ობიექტი, დამოკიდებულია მასზე მოთხოვნის მასშტაბები. შესაბამისად, უძრავი ქონების ღირებულება პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია გარემოს კომპონენტების – ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის, წყლის რესურსების და ა. შ. გაჭუჭყიანების დონესთან.

ეკოლოგიურ ფაქტორებს მიეკუთვნება ბუნების ისეთი კომპონენტების გაჭუჭყიანების დონე, როგორცაა: ატმოსფერული ჰაერი, წყლის რესურსები, ნიადაგი, რადიოაქტიური გაჭუჭყიანების ჩათვლით. აგრეთვე, გარემოს ატრაქტიულობა, ტყის მწვანე საფარი, ნაგავსაყრელების არსებობა ან არარსებობა და სხვა. გარდა ამისა, ეკოლოგიურ ფაქტორებში შედის სხვადასხვა სახის ბუნებრივი მოვლენები და პროცესები. მაგალითად, ამა თუ იმ ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ჰიდროლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, კლიმატური და ზოგიერთი სხვა ტიპის თავისებურება.

ეკოლოგიური ფაქტორების ზეგავლენის ხასიათის მიზნობრივი ცვლილების შესაძლებლობების გათვალისწინებისა და მისი მართვის პრინციპების მიხედვით ისინი შეიძლება დაიყოს მართვად და არამართვად ფაქტორებად. მართვად ფაქტორებს მიეკუთვნება: დატენიანების რეჟიმი, საჰაერო აუზის, მიწისა და წყლის რესურსების გაჭუჭყიანება, ბიომრავალფეროვნების გვარობრივი სახესხვაობები, მცენარეული საფარით ტერიტორიების განაშენიანება და სხვა. არამართვად ფაქტორებს წარმოადგენს: ტერიტორიის სეისმურობა, ქარის რეჟიმი, ადგილის რელიეფი, ნიადაგის ტიპები და ა.შ.

უძრავი ქონების ღირებულებაზე ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებას შეიძლება ჰქონდეს დადებითი ან უარყოფითი ხასიათი. დადებითი ზემოქმედების ხასიათის ფაქტორები განაპირობებენ უძრავი ქონების ღირებულების გადიდებას, ხოლო უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორები კი შემცირებას.

ნეგატიურ ეკოლოგიურ ფაქტორებს მიეკუთვნება საჰაერო აუზისა და წყლის რესურსების გაჭუჭყიანება, ნიადაგების ეროზია, გაუდაბნობა და დეგრადაცია, ტყის საფარის განადგურება, ელექტრომაგნიტური და რადიაციული გაჭუჭყიანება, ხმაური, ეკოლოგიურად საშიშრო საძირკველო, გადამამუშავებელი, საფეიქრო ობიექტებისა და ქარხნების არსებობა, ნაგავსაყრელები, რადიოაქტიური ნარჩენების უტილიზაციის ტერიტორიები და ა.შ.

მსოფლიოში თითქმის არ არსებობს ისეთი ტერიტორიული ერთეული, სადაც ყველა ნეგატიური ეკოლოგიური ფაქტორის გამოვლენას ჰქონდეს ადგილი. ამიტომ, ექსპერტმა უძრავის ქონების შეფასების პროცესში უნდა შეძლოს ობიექტურად და შეუცდომლად განსაზღვროს, თუ რომელი უარყოფითი ეკოლოგიური ფაქტორის ზემოქმედებაა არსებითი მისი ღირებულების დასადგენად. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი და იგივე ნეგატიური ფაქტორის არსებობა შეიძლება წონად ზეგავლენას ახდენდეს ერთი სახის უძრავი ქონების ღირებულების განსაზღვრაზე, ხოლო სხვა სახეზე ან არ ახდენდეს ან ახდენდეს უმნიშვნელოდ.

უძრავი ქონების ღირებულებაზე პოზიტიურად ზემოქმედ ფაქტორებს მიეკუთვნება სიახლოვე რეკრეაციულ ზონასთან, მიწხიდველი ლანდშაფტისა და ლამაზი ბუნებრივი ანტურაჟის არსებობა, ჟანგბადით მდიდარი ჰაერი, სუფთა წყალი, მეტალურგიული, ქიმიური, გადამამუშავებელი და სხვა სახის მსუბუქი და მიმეგრე მრეწველობის ობიექტების არარსებობა.

ამჟამად, საქართველოში, უძრავი ქონების ღირებულებაზე სუსტად, მაგრამ მაინც ზემოქმედებს ზემოთ აღნიშნულ ფაქტორთა პირველი ჯგუფი. უფრო ზუსტად, გაითვალისწინება უძრავი ქონების ობიექტის მდებარეობა (ეკოლოგიურად სუფთა რაიონში მდებარეობს თუ ეკოლოგიურად ჭუჭყიანში). ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ მოსახლეობის მიერ ტერიტორიული ერთეულის ეკოლოგიური სისუფთავის შეფასების კრიტერიუმებს წარმოადგენს მხოლოდ ატმოსფერული ჰაერისა და წყლის რესურსების გაჭუჭყიანების ხარისხი და სამრეწველო ობიექტების არსებობა-არარსებობა. ამდენად, უძრავი ქონების ღირებულების დადგენის პროცესში გაითვალისწინება არა იმდენად ეკოლოგიური ფაქტორები, არამედ მოსახლეობის სუბიექტური, მეცნიერულად დაუსაბუთებელი წარმოდგენა მათზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში უძრავი ქონების ღირებულებაში ეკოლოგიური ფაქტორების ადეკვატური გათვალისწინებისა და მეთოდური მიდგომების სრულყოფის მიზნით აუცილებლად მიგვაჩინია:

1. შეფასების ეროვნული სტანდარტის შემუშავება საზღვარგარეთული გამოცდილების გათვალისწინებით (ამ კუთხით არსებობს შეფასების საკმაოდ გამართული და აპრობირებული ამერიკული და ევროპული სისტემა);
2. ეკოლოგიური ფაქტორების განხილვა, როგორც უძრავი ქონების მეტაინფრასტრუქტურა;
3. ეკოლოგიური აუდიტის სისტემის დანერგვა;
4. შეფასების ჰედონისტიკური მეთოდის გამოყენება, რომელიც პრაქტიკულად გულისხმობს უძრავ ქონებაზე ფასწარმოქმნას გარემოს კომფორტულობის გათვალისწინებით და, იმავდროულად, საშუალებას იძლევა შეფასდეს გარემოს გაჭუჭყიანებით მიღებული ეკონომიკურ-ეკოლოგიური ზარალი.

*Mamuka Khuskivadze
Maka Lomidze*

**SOME ISSUES OF CONSIDERING ECOLOGICAL FACTORS
IN THE PROCESS OF DEFINING THE VALUE OF REAL ESTATE IN GEORGIA**

Annotation

The real estate market is one of dynamically developing sphere of economy in modern Georgia. It is a significant basis of market economy and financial, labor resources, goods and service markets are closely connected with it. Economic stability of the country is greatly depended on its development.

The article deals with some issues of considering ecological factors in the process of defining the value of real estate in Georgia

სექტორული და რეგიონული ეკონომიკის სექცია

ნაწილი არევაძე

საშენი მასალების მრეწველობის განვითარების პრობლემები საქართველოში

საშენი მასალების მრეწველობის პროდუქცია მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვანი ნაწილია, ამდენად მის განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული მთლიანად მშენებლობის ზრდის ტემპი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ეკონომიკის ამ დარგში. საშენი მასალების მრეწველობა, როგორც დამოუკიდებელი დარგი, XX საუკუნის ოციან წლებში შეიქმნა, მანამდე საშენი მასალები, მცირე მოცულობით, მხოლოდ კუსტარულ და ნახევრადკუსტარულ საწარმოებში იწარმოებოდა. მაგალითად, 1913 წელს საქართველოში იწარმოვა აგური – 30 მილიონი ცალი, კირი – 420 ათასი ტონა, კრამიტი – 25 ათასი მ³. საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების ისტორია, შეიძლება ითქვას, 1928 წლიდან იწყება, როცა ამუშავდა იმ დროისათვის ერთ-ერთი მსხვილი და ტექნიკურად სრულყოფილი – კასპის ცემენტის ქარხანა – წელიწადში 130 ათასი ტონის წარმადობით. XX საუკუნის 30-იან წლებში აშენდა და ამოქმედდა აგურის ქარხნები თბილისში, ნოსირში, ზუგდიდში, ხაშურში, ოზურგეთში, გურჯაანში, ლანჩხუთში და ა.შ. შედგება, უკვე 1932 წელს, 1928 წელთან შედარებით, აგურის წარმოება ორჯერ გაიზარდა, კირისა და კრამიტის – სამჯერ. 1940 წელს კი იწარმოვა ცემენტი – 119 ათასი ტონა, აგური – 91 მილიონი ცალი, ანუ 1928 წელთან შედარებით 3,6-ჯერ მეტი, კრამიტი – 1207 ათასი მ³, ანუ 17,5-ჯერ მეტი, კირი – 64 ათასი ტონა – 11-ჯერ მეტი და ა.შ. ზრდის მაღალი ტემპის მიუხედავად, დარგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება კაპიტალური მშენებლობის ზრდის ტემპს, რის გამოც მწვავედ იგრძნობოდა საშენი მასალების დეფიციტი, განსაკუთრებით ცოტა იყო არამადნეული, შემკვრელი და საკედლე მასალები [1. გვ. 271–272].

ომის პერიოდში, სამოქალაქო მშენებლობის თითქმის სრული შეწყვეტის გამო, დაიხურა აგურის, კრამიტის და კირის ქარხნების უმეტესობა, დანარჩენებმა მ.შ. ცემენტის ქარხნებმა წარმოება ძლიერ შეამცირეს. გამოცოცხლება დაიწყო 1944 წლიდან, როცა განახლდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურების და ნახშირის მადარობების მშენებლობა. ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რუსთავის ცემენტის ქარხნის აშენება მეტალურგიული ქარხნის ბრძანების წილის ბაზაზე.

კაპიტალური მშენებლობის შემდგომი აღმავლობის პირობებში შესამჩნევად გახდა სამშენებლო მასალების წარმოების შემდგომი გადიდების აუცილებლობა. თუმცა არა მხოლოდ ტრადიციულის, არამედ ისეთი ახალი პროგრესული მასალების მიხედვით, როგორც იმ დროს იყო ასაწყოები რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და დეტალები, ბეტონისა და სილიკატის საკედლე ბლოკები.

1965–1985 წლებში საგრძნობლად გაიზარდა საშენ მასალათა წარმოების საწარმოო სიმძლავრეები, გაფართოვდა წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი და გაუმჯობესდა ხარისხი (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

საშენ მასალათა წარმოება საქართველოში ნატურალური გამოხატულებით 1965–1985 წლებში [2. გვ. 76]

	1965	1970	1975	1980	1985
1. რკინა-ბეტონის ასაწყოები კონსტრუქციები და დეტალები – ათასი მ ³	672.0	923.2	1975	1980	1985
2. საკედლე მასალები (სამშენებლო აგური და საკედლე ბლოკები) – მლნ. ცალი საკედლე აგური	493.4	667.0	711.6	703.7	791.8
მ.შ. სამშენებლო აგური	332.9	387.7	361.4	319.7	307.8
კერამიკული ფილები იატაკისათვის, ათასი მ ²	106	126	159	156	182
3. ყორექვა (სასაქონლო) ათასი მ ³	618	447	453	515	338
4. ღორღი “	1663	2998	4174	5692	6997
5. ხრეში “	2457	2581	2911	3417	2726
6. სამშენებლო სილა “	1999	2573	3157	4962	4737

უნდა აღინიშნოს, რომ სამოციან წლებში, საქართველოს ცემენტის მრეწველობის საწარმოებში ათვისეს სწრაფად გაზარდა ცემენტის წარმოება, რომლის ეფექტიანობა ძალზე მაღალია ასაწყოები რკინა-ბეტონის ნაკეთობების დამზადების პროცესში, რამაც ამ პერიოდში ხელი შეუწყო ქვეყნიდან ცემენტის გატანის ზრდას, ასე მაგალითად, 1960 წელს ქვეყნიდან გატანილ იქნა 478,5 ათასი ტონა, თუმცა, შემდეგ წლებში, გატანის მოცულობა შემცირდა 1965 წელს – 75,6 ათას ტონამდე, 1969 წელს – 17,4 ათას ტონამდე. ამავე წლებში საქართველოში სპეციალური დანიშნულების (შეავაგამდე, დეკორატიული და ა.შ.) ცემენტის შემოტანამ (რომელიც ჩვენთან არ იწარმოებოდა) შეადგინა, შესაბამისად 8,8; 30,6 და 159,4 ათასი ტონა.

XX ს. 80-იანი წლების ბოლოს საშენ მასალათა მრეწველობას ქვეყნის ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა თავისი მნიშვნელობით, წარმოების მოცულობით, ასორტიმენტითა და ტვირთბრუნვით. მისი საწარმოო სიმძლავრეები (ცემენტის გარდა) არა მარტო აკმაყოფილებდა ქვეყნის შიგნით არსებულ მოთხოვნებს, არამედ პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი მოკავშირე რესპუბლიკებშიც გადიოდა (სახურავი, ლინოლეუმი, პერლიტი და სხვა).

1990 წელს სამშენებლო მასალების წარმოების ხვედრითი წონა წარმოებული პროდუქციის მიხედვით, მთელი მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში 5,1% იყო, ძირითადი კაპიტალის მიხედვით 9,8%. დარგში ფუნქციონირებდა 146 საწარმო (10,7%) და წარმოდგენილი იყო ისეთი ქვედარგები, როგორცაა ცემენტის, სახურავისა და ჰიდროსაიზოლაციო მასალების, საკედლე მასალების, სამშენებლო კერამიკის, არამადნეული მასალების, თბოსაიზოლაციო და სხვა სამშენებლო მასალებით. უნდა აღინიშნოს, რომ დარგისათვის დამახასიათებელი ტექნოლოგიების მრავალფეროვნების, სირთულის და განსხვავებულობის გამო, ზოგიერთისათვის

უპირატესად მასალატევადობა და ენერგოტევადობა იყო დამახასიათებელი, ზოგიერთისთვის კი შრომატევადობა და კაპიტალტევადობა.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა და ეკონომიკურმა კრიზისმა მშენებლობის სრული პარალიზება გამოიწვია, რამაც ძლიერი დარტყმა მიაყენა საშენ მასალათა მრეწველობას და მისი მთლიანი დაცემა განაპირობა. ამ პერიოდში წლიდან წლამდე მცირდებოდა დარგში წარმოებული პროდუქციის მოცულობა, რის შედეგადაც დარგში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონა მრეწველობის მთლიან პროდუქციაში 1990 წლის 5,1 პროცენტთან 2,3 პროცენტამდე შემცირდა 1995 წლისათვის (მთლიანად მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის უპრეცედენტო შემცირების პირობებში). აბსოლუტური მაჩვენებლის მიხედვით კი 1995 წელს დარგის მიერ წარმოებული პროდუქცია 1990 წლის დონის მხოლოდ 4% იყო, ანუ შემცირება 25-ჯერადი იყო. მომდევნო წლებში შეიმჩნეოდა ერთგვარი გამოცოცხლება, თუმცა მეტად მცირე იმისათვის, რომ წინა წლებში არსებულ დაცემის მაჩვენებელზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოეხდინა. არადა მაშინ დარგში დამონტაჟებული ზოგიერთი მოწყობილობა იმდროინდელი მოთხოვნების შესაბამისი იყო, რამდენადაც 1986–1990 წლებში საშენ მასალათა მრეწველობაში ძირითადი კაპიტალის ცვეთის ანაზღაურება სხვა დარგებთან შედარებით, ოდნავ მაღალი იყო და 4,1%-ს შეადგენდა, რის საფუძველზეც ზოგიერთ საწარმოში განხორციელდა ტექნიკური გადაიარაღება, ზოგიერთში კი ეს ვერ მოხერხდა, მაგალითად კასპისა და რუსეთის ცემენტის ქარხნებში, რომლებიც ნამდვილად საჭიროებდნენ ტექნოლოგიური პროცესებისა და დანადგარების შეცვლას. ამასთან, ამ პერიოდში, ქვეყანაში არსებული სრული ქაოსისა და განუკითხაობის პირობებში, ბევრი ქარხნის მანქანა-მოწყობილობა მთლიანად განიძარცვა და მწყობრიდან გამოვიდა. შედეგად, XXI საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში ფაქტობრივად აღარ არსებობდა საშენ მასალათა მრეწველობის ერთიანი დარგი, რამდენადაც პროდუქციის გასაღების ბაზრების დაკარგვამ, ენერგეტიკულმა კრიზისმა, ენერგოშემცველებსა და სატრანსპორტო ტვირთებზე ტარიფების ზრდამ, კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებამ განაპირობა დარგის საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის კატასტროფულ მდგომარეობამდე მიყვანა, ამასთან, სიმწვანეები შეიმჩნეოდა დარგის საწარმოთა, განსაკუთრებით აგურის ქარხნების, ნედლეულით მომარაგების საქმეში თიხის კარიერების შემცირების გამო, რამდენადაც ქვეყნის მიწის ფონდის შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით, გეოლოგიური სამუშაოების განხორციელებისას აქცენტი მთისწინა ადგილებზე განლაგებული „ძირითადი“ თიხების ძიებებზე იყო გადატანილი. ამ და სხვა მიზეზების გამო, თუ 1990 წელს საქართველოში 58 აგურის ქარხანა ფუნქციონირებდა, შემდეგ ორიდა დარჩა. ფაქტობრივად შეწყდა ინერტული მასალების მოპოვება, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, საბერძნეთისა და იტალიის მსგავსად, გამოირჩევა საშენი და მოსაპირკეთებელი ქვების სიუხვითა და მრავალფეროვნებით და მათი საუკეთესო ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით, ის მაინც ვერ ახერხებს საერთაშორისო ბაზარზე გასვლას. არადა მას ამ ტიპის 231 საბადო გააჩნია, რომელთა მარაგების მოცულობა 1,5 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტია.

საბჭოთა პერიოდში საქართველოში მოპოვებული და დამუშავებული ქვები ფართოდ გამოიყენებოდა მოსკოვის, სანტ-პეტერბურგის, ვარშავისა და მრავალი სხვა ქალაქის შენობების, განსაკუთრებით მეტროპოლიტენების მოსაპირკეთებლად. სწორედ ქართული გრანიტით, ტეშენიტითა და მარმარილოთა მათი დიდი ნაწილი მოპირკეთებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთლიანად შეწყდა ამ ქვების ექსპორტი საქართველოდან [3. გვ. 59]. არათუ ექსპორტი, არამედ შიდა ბაზრიც ახლა მთლიანად დაპყრობილია თურქეთის, იტალიის, ირანის ქვების მწარმოებელი ფირმების მიერ, ქართული ქვა კი ძირითადად სასაფლაოებისა და ტროტუარების მოსაპირკეთებლად (ბაზალტი, ტოლერიტი) გამოიყენება. დეფიციტის ცემენტის წარმოებაშიც, არადა საქართველოში არსებული კირქვისა და თიხის საბადოები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ქვეყანაში იყოს მძლავრი ცემენტის მრეწველობა. მართალია საქართველოში ახლა უკვე იწარმოება კონკურენტუნარიანი ცემენტი, თუმცა ის საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰაიდელბერგის (გერმანია) ქარხნიდანაც შემოიტანება [3. გვ. 184], რაც იმის დასტურია, რომ საქართველოს არ ჰყოფნის თავისი წარმოების ცემენტი. ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებში, ცემენტის დეფიციტ ქვეყანაში 1 მლნ ტონას უდრიდა [4. გვ. 72]. ამის შემდეგ მდგომარეობა ბევრად უფრო გაუარესდა, მაგალითად, 2005 წ. წარმოებული ცემენტის მოცულობა მხოლოდ 529, 5 ათასი ტონა იყო, საშენი აგური – 10,1 მლნ პირობითი ცალი, სამშენებლო კირი – 16,4 ათასი ტ.; საკედლე ბლოკი – 47,6 მ³; ასფალტ-ბეტონი – 293,3 ათასი ტონა, ბუნებრივი ქვის მოსაპირკეთებელი ფილები – 32 ათასი მ³; სასაქონლო ბეტონი 117,9 ათასი მ³ და ა.შ. შემდგომ წლებში მდგომარეობა გაუარესდა [5. გვ. 166].

საქართველო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალზე მდიდარია ბუნებრივი წარმოშობის მრავალფეროვანი საშენი მასალებით, რომელთა რიცხვშია ვულკანური მსუბუქი შემავსებლები, რომელიც თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური მანველებებით წარმატებით უწევს კონკურენციას ხელოვნურად დამზადებულ მსუბუქ შემავსებლებს. იგი ბუნებრივ ქვებთან ერთად კარგი საექსპორტო პროდუქციაა. უნდა ითქვას იმაზეც, რომ ჯერ კიდევ XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში დამუშავდა საშენი მასალების წარმოების განვითარების ძირითადი მიმართულებების საბრეზიდენტო პროგრამა და 2001 წლის 25 თებერვალს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულება №72, რომელიც მიზნად ისახავდა საშენი მასალების მრეწველობის საწარმოთა რეაბილიტაციას, ტექნიკურ გადაიარაღებას, ახალ პერსპექტიულ საშენ მასალათა წარმოების ორგანიზაციისა და ათვისებისათვის ბიზნესპროექტების შემუშავებას, მათი გამოყენების არეალის გაფართოებას და პოტენციურ ინვესტორებზე ინფორმაციის მოპოვებას. აღნიშნული პროგრამა ასევე უნდა დახმარებოდა პრივატიზებულ საწარმოთა ახალ ხელმძღვანელებს ინფორმაციის მოპოვებაში, რათა შექმნილიყო მათ წინაშე არსებული პრობლემების შეფასება და მათი დაძლევის გზების მოძიება. პროგრამა მრავალმხრივი იყო და გეგმავდა არსებული ვითარების დეტალურ შესწავლას საშენი მასალების მრეწველობის ყოველი ქვედარგისა და თითოეული საწარმოს მიხედვით, რამდენადაც ითვალისწინებდა საშენი მასალების ცალკეულ სახეებზე მომძღვარებულ იმპორტს, რომელიც აშკარად მიუთითებდა დარგში არსებული სიმძლავრეების აღდგენისა და გამოყენების აუცილებლობაზე არა მხოლოდ ადგილობრივი მოხმარებისათვის, არამედ საექსპორტოდაც. სამწუხ-

აროდ, აღნიშნული პროგრამა, ბევრი სხვა ანალოგიური პროგრამის მსგავსად, განუხორციელებელი დარჩა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს გააჩნია შესაბამისი რესურსები იმისათვის, რომ იმპორტირებული პროდუქციის ნაცვლად ადგილზე აწარმოოს ცეცხლგამძლე და სამშენებლო აგური, მეტლახის ფილა, დეკორატიული კრამიტი, კაფელი, აბაზანის მოწყობილობა, სილიკონური შემავსებლები, ჰერმეტიკული პასტები, ექსტერიერისა და ინტერიერის ფილები და სხვა მასალები.

როგორც შესაბამისი მასალების ანალიზმა გვჩვენა, მშენებლობის დღევანდელი ტემპებისა და, საგარეოდ, მომავალში მისი ზრდის პირობებში, აგრეთვე სამუშაო ძალის დასაქმების ამალღებისათვის, განსაკუთრებით რეკონსტრუქციის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საექსპორტო პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისა და, შესაბამისად, საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისათვის, საქართველოში აუცილებლად უნდა განხორციელდეს საშენი მასალების მრეწველობის აღორძინება. საჭიროა მხოლოდ მინიმალური სახელმწიფო მხარდაჭერა, რაც, პირველ რიგში, იმ ლიცენზიების გამოსყიდვაში უნდა გამოიხატოს, რომელიც წინა ხელისუფლებამ ასე უხვად და იაფად, შესაძლო შედეგის გათვალისწინების გარეშე, ძირითადად უცხოელ მსურველებზე გასცა და რომელთაგან ზოგიერთმა ლიცენზია მხოლოდ იმიტომ შეიძინა, რომ ადგილობრივი წარმოება გაეჩერებინა და საკუთარი დაბალი ხარისხის მქონე ანალოგიური წარმოებისათვის კონკურენტი ჩამოეცილებინა. დღეს ეს საბაზოები ამ და სხვა მიზეზების გამო გაჩერებული არიან და ასეთ მდგომარეობაში დარჩებიან ლიცენზიების საკითხის გადახედვამდე. ასევე, სახელმწიფომ უნდა შეძლოს მეწარმეთა დაინტერესებაც მათთვის გარკვეული შეღავათების მინიჭებით. ამ და სხვა ღონისძიებების გატარებით შესაძლებლობა შეიქმნება, დაბალანსდეს ქვეყანაში საშენ მასალებზე მოთხოვნისა და წარმოების შესაძლებლობა და მშენებლობა ძირითადად საკუთარი წარმოების საშენი მასალებით იქნეს უზრუნველყოფილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები, თბ., საბჭოთა საქართველო, 1975.
2. Народное хозяйство Груз. сст, юбилейный ст сб. Тб., 1987.
3. ა. თვალტრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გუგელია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, „ნეკერი“, თბ., 2011.
4. სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეპცია, თბ., „მეცნიერება“, 1990.
5. საქართველოს ეკონომიკა, მთ. რედაქტორი, რ. ასათიანი, თბ., „სიახლე“, 2012.

Nanuli Arevadze

THE PROBLEMS OF DEVELOPMENT OF CONSTRUCTION MATERIALS INDUSTRY IN GEORGIA Annotation

The article analyzes the main problems and the results achieved in the development of building materials, which before stands on the field of the advanced globalization and the economic crisis. It is concluded for the necessary revival of the industry, construction materials in Georgia. There is a great demand for construction materials and enough raw material resources in the country, unemployed labor force and the possibility of improving the range of exports products. For that will be require the implementation of certain measures, first of all lies in the interest of entrepreneurs and licensing policy change.

ლაბარა ბერიძე

მოსახლეობის დასაქმების რეზერვების რეზერვული ასპექტები

თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს როლი მოსახლეობის დასაქმების რეგულირების საქმეში. დიდი მნიშვნელობა შეიძინა შრომის ბაზარზე მიმდინარე ძვრების პროგნოზირებამ, რათა დროულად მოხდეს რეაგირება მასობრივი უმუშევრობის გამომწვევი სტრუქტურული, სამეცნიერო-ტექნიკური და რეგიონული პოლიტიკის შედეგებზე. შრომის ბაზარზე სახელმწიფო ზემოქმედების ზომები ეროვნულ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე განსხვავებულია სტაბილურად ფუნქციონირებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ამასთან ერთად, არსებობს დასაქმების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის უნივერსალური საკანძო ელემენტები. მათ განეკუთვნება:

- ეკონომიკური მეთოდები (შეღავათიანი დაბეგვრა და დაკრედიტება, მეწარმეთა მასტიმულირებელი საბიუჯეტო პოლიტიკა, შეინარჩუნონ და შექმნან სამუშაო ადგილები, განახორციელონ კადრების პროფესიული სწავლება და სხვა);
 - ორგანიზაციული მეთოდები (დასაქმებისა და შრომითი მოწყობის სამსახურების შექმნა, შრომის ბაზრის მომსახურე ინფორმაციული სისტემების, პროფორიენტაციის, კადრების მომზადებისა და გადაამზადების სახელმწიფო სისტემების ჩამოყალიბება და სხვა);
 - ადმინისტრაციულ-საკანონმდებლო მეთოდები (შრომითი ხელშეკრულებების დადების წესის, სამუშაო დროის ხანგრძლივობის, ზეგანაკვეთურ სამუშაოთა რეგლამენტირება, მეწარმეთათვის სავალდებულო ანარიცხების შემოღება დასაქმების ეროვნულ ფონდში, შრომითი ცხოვრების პერიოდის რეგულირება და სხვა).
- შრომის ბაზარზე სახელმწიფო ზემოქმედების ღონისძიებებია ზემოქმედების სფეროს მიხედვით განარჩევენ ირიბი და პირდაპირი ზემოქმედების ზომებს. პირდაპირი ზემოქმედების ზომები ხორციელდება სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციის გზით, რომლებიც მიმართულია შრომის ბაზრის ცალკეულ სპეციფიკურ სეგმენტებზე. მათ აქვთ შერჩევითი მიმართულება და ზემოქმედებენ ძირითადად შრომის მიწოდების დინამიკაზე. ირიბი ზემოქმედების ზომები მიმართულია მეწარმეობის პირობების შენარჩუნებაზე ან შეცვლაზე და

გულისხმობს ზემოქმედების მაკროეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას (როგორც წესი, შრომაზე მოთხოვნის რეგულირების პირობებზე).

დასაქმების პოლიტიკაში სახელმწიფო ზემოქმედების ზომების შერჩევის მიხედვით შრომითი ურთიერთობების რეგულირების სფეროში განარჩევენ პოლიტიკის სამ ვარიანტს: აქტიური, ზომიერად პასიური და პასიური. დასაქმების პოლიტიკის აქტიური ვარიანტი გეოგრაფიკულ ფინანსური, საკრედიტო, საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის ინტენსიურ გამოყენებას. დასაქმების პოლიტიკის პასიური ვარიანტის არსი მდგომარეობს, ძირითადად, მხარდაჭერაში ვაკანტური სამუშაო ადგილების შესავსებად და უმუშევრობის შემწეობის გაცემაში შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში.

რეგიონში დასაქმების პრობლემების გადაწყვეტის ძირითად გზებზე გვესახება: სამუშაო ადგილების სისტემის განვითარების რეგულირება; სამუშაო ადგილებზე მოთხოვნის რეგულირება; კადრების პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემის განვითარება. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო დანახარჯები დასაქმების უზრუნველყოფის პროგრამებზე შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს (2,0-5,5%). ამავე დროს, სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტებს შორის დიდი ადგილი უჭირავს აქტიური რეგულირების იმ ზომებს, რომელნიც ახდენენ მასობრივი უმუშევრობის პრევენციას. შედეგად, დასაქმების პროგრამების შემუშავების დროს საჭიროა სწორად მივს დასაბუთებული თანაფარდობა აქტიურ და პასიურ რეგულირებას შორის, ანუ მნიშვნელოვანია არა მარტო თანხების გამოყოფა, არამედ იმის განსაზღვრა, თუ ვის მიეცეს ფული.

ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელია იმ ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ეკონომიკური შეზღუდვების მოხსნა, რაც ხელს უშლის სამუშაო ძალის თავისუფალ გაყიდვას, კერძოდ: ჩაწერის ინსტიტუტის გაუქმება, საცხოვრისის ბაზრის განვითარება, სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიზმის დაძლევა, მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის განვითარება.

დასაქმების პრობლემაზე სახელმწიფოს ზემოქმედების მნიშვნელოვან ბერკეტად მიგვაჩნია, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებულ საინვესტიციო პროექტებს ჩაუტარდეს ექსპერტიზა დასაქმებაზე ზემოქმედების კრიტერიუმის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია დამსაქმებელთა ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმების გამოყენება ისეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის, როგორიცაა: კვალიფიციური პერსონალის შენარჩუნება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სამუშაო ადგილების შემქმნელი კერძო ინვესტიციების წახალისება.

ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მეორად დასაქმებას, ქალების და ახალგაზრდების სეზონურ დასაქმებას, მოზარდთა პროფესიული ორიენტაციის სისტემის განვითარებას, ახალგაზრდებისა და ქალთა მეწარმეობისა და დასაქმების მხარდაჭერას, დეენილთა და იძულებით გადაადგილებულთა შრომით მოწყობას.

უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა საზოგადოებრივი სამუშაოები. იგი წარმოადგენს სოციალური დაბაზულობის შემცირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. შეგვიძლია გამოვეყოთ საზოგადოებრივ სამუშაოთა სისტემის განვითარების შემდეგი მიმართულებები:

- საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა;
- საზოგადოებრივ სამუშაოთა ჩამონათვალის გაფართოება;
- საზოგადოებრივ სამუშაოთა მიმცემი მეწარმეებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება;
- დაუსაქმებელი მოსახლეობის, დამქირავებელთა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სრულად ინფორმირება საზოგადოებრივ სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ;
- ხელფასის გაზრდა საზოგადოებრივ სამუშაო ადგილებზე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მიღებულ იქნეს საზოგადოებრივ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამა. ცნობილია, რომ საზოგადოებრივ სამუშაოთა ფართოდ გავრცელებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აშშ-ის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანას და უმუშევართა არმიის შემცირებას დიდი დეპრესიის წლებში.

რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით მოსახლეობის დასაქმების რეგულირების ქმედით მექანიზმს წარმოადგენს განვითარების სტრატეგიებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შემუშავება. ეს დოკუმენტები შედგება როგორც ანალიტიკურ-შეფასებითი, ისე პროგნოზირების ნაწილებისაგან.

მოსახლეობის დასაქმების ანალიზი და შეფასება უნდა განხორციელდეს შემდეგი სექტორების მიხედვით:

- შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები;
- სამუშაო ძალის რეგიონული ბაზარი;
- დასაქმების დონისა და სტრუქტურის ანალიზი დასაქმების სახეობებისა და ეკონომიკის სექტორების მიხედვით;
- უმუშევრობის დონე და სტრუქტურა;
- პროგრამები და ღონისძიებები უმუშევრობის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების მიმართულებით.

ჩვენი მეთოდური ხელმძღვანელობით შემუშავებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 2014-2021 წლებში განვითარების სტრატეგიის მიხედვით, დასაქმების მდგომარეობა შემდეგ სურათს იძლევა.

2013 წლის იანვრის მდგომარეობით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 213,5 ათას ადამიანს შეადგენდა, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 5%-ზე ოდნავ ნაკლებია. ბოლო ათი წლის მანძილზე მიხედვით შეინიშნება ზრდის ტენდენცია. რეგიონის მოსახლეობის 31% (66,5 ათასი ადამიანი) ქალაქებში ცხოვრობს, ხოლო 69% (147 ათასი ადამიანი) - სოფლებში. მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე მეტი მცხოვრები რეგიონის სტრუქტურულია ახალქალაქისა (65 ათასი) და ახალციხის (48,4 ათასი) მუნიციპალიტეტებში. სამცხე-ჯავახეთი ქვემო ქართლთან, შიდა ქართლთან, აჭარასა და თბილისთან ერთად, მიეკუთვნება იმ რეგიონთა რიცხვს, სადაც ბუნებრივი მატების დადებითი საღდოა. ასევე, რეგიონში აღინიშნება მექანიკური მატება. საქსტატის მონაცემებით, 2012 წელს რეგიონში მიგრაციის დადებითმა საღდომ 250 კაცი შეადგინა.

2012 წლის მდგომარეობით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმუშევრობის დონის მანქნებელი, გურია-სა და მცხეთა-მთიანეთთან ერთად, 7.5 % შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად დაბალია ქვეყნის ანალოგიურ მანქნებელზე (15%). აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. ამასთან, რეგიონში არსებულ სამუშაო ძალას, რომელიც დასაქმებულია ან სურს ეკონომიკის რომელიმე სექტორში დასაქმება, ხშირ შემთხვევაში სჭირდება პროფესიული გადამზადება.

რეგიონში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 2012 წელს 9750 ადამიანს შეადგენდა. მათ შორის ყველაზე მეტი დასაქმებული იყო მშენებლობაში, გადამამუშავებელ მრეწველობაში, ვაჭრობასა და ავტომობილების და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგნების შეკეთების სექტორებში.

2011 წელს რეგიონში ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი 857 ლარს შეადგენდა, რაც 320 ლარით მეტია 2008 წლის ანალოგიურ მანქნებელზე და ამ მანქნებლით რეგიონი პირველ ადგილზეა საქართველოში. თუმცა, სამცხე-ჯავახეთში დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი წილია (13%).

რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვით შინამეურნეობებიდან მიღებული შემოსავალი 22%-ს შეადგენს და სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე მაღალია. შემოსავლების ყველაზე დიდ წყაროს ფულადი გზავნილები და პენსიები წარმოადგენს.

რეგიონის მოსახლეობის მთლიანი ხარჯები მუდმივად იზრდება და 2011 წელს მან 36.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 11 მლნ ლარით მეტია 2008 წლის ანალოგიურ მანქნებელზე. ასევე იზრდება ოჯახის საშუალო თვიური ხარჯები – 2011 წელს იგი 830,8 ლარს შეადგენდა, რაც 2008 წლის ანალოგიურ მანქნებელზე 251,5 ლარით მეტია. ოჯახების მთლიან ბიუჯეტში სურსათზე გაწეული ხარჯების წილი ყველაზე მაღალია და მთლიანი თვიური ხარჯების 26,1% შეადგენს. სამცხე-ჯავახეთში ოჯახების საშუალო თვიური ხარჯების ოდენობა საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე მაღალია.

ამჟამად რეგიონში 2448 იძულებით ადგილნაცვალნი პირია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ბორჯომის მუნიციპალიტეტშია განთავსებული. ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის რეგიონში იძულებით ადგილნაცვალნი პირთა მდგომარეობის ამსახველი ან საჭიროებათა კვლევის ანგარიში, სადაც დაფიქსირებული იქნებოდა ყველა ის სოციალური, ეკონომიკური, საყოფაცხოვრებო თუ სხვა სახის პრობლემა, რაც რეგიონში მცხოვრებ იძულებით ადგილნაცვალნი მოსახლეობას აწუხებს.

2012 წელს პენსიები და სოციალური დახმარებების პაკეტი 35.8 ათასმა ადამიანმა მიიღო, რაც რეგიონის მოსახლეობის 17%-ს შეადგენს და საქართველოს მასშტაბით არ წარმოადგენს მაღალ მანქნებელს. 2012 წელს რეგიონში საარსებო შემწეობა მიიღო 3.8 ათასმა ოჯახმა, რაც ბაზაში რეგისტრირებულთა 15 პროცენტს შეადგენდა. ეს მანქნებელი ყველაზე დაბალია საქართველოს მასშტაბით.

სახელმწიფო პროგრამების გარდა, სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტები ახორციელებენ სხვადასხვა პროგრამებს, რომლებიც მოიცავს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებს, ოპერაციების თანადაფინანსების ხარჯებს, დეველოპმენტ და ინველიტმენტ დახმარებებს, უფასო სასაღიფოს ხარჯებს, მიუსაფარ ბავშვთა დახმარებებსა და სხვა სოციალურ თუ ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალიტური პროგრამების მიერ განსაზღვრულ ხარჯებს. რეგიონში სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები ძირითადად ერთგვაროვანია და არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სტრატეგიის მიხედვით გათვალისწინებულია ღონისძიებათა კომპლექსი ეკონომიკის წამყვანი დარგების განვითარებისა და დასაქმების დონის ამაღლების მიზნით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწავლებასა და პროფესიულ გადამზადებას.

სტრატეგიის მნიშვნელოვანი მიმართულებაა შრომითი რესურსების პროფესიული გადამზადებისა და რეგიონის გადამამუშავებელ მრეწველობაში არსებული პოტენციალის გამოყენების ხელშეწყობა. რეგიონში მოქმედი პროფესიული გადამზადების ცენტრები უზრუნველყოფენ მუშახელის გადამზადებას პრიორიტეტულ სფეროებში.

მრეწველობის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ადგილობრივი კვალიფიციური მუშახელის არსებობაა. ამისთვის საჭიროა შესაბამისი კვლევის წარმართვა იმის გამოსავლენად, თუ რა პროფესიებზე არის მოთხოვნა მრეწველობის სფეროში. კვლევის შედეგების გათვალისწინებით უნდა მოხდეს რეგიონში ახალი პროფესიული სასწავლებლების ამოქმედება ან არსებული სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამების მისადაგება ადამიანური რესურსების განვითარების გამოვლენილ საჭიროებებზე. ამ მხრივ, ასევე, მნიშვნელოვანია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო სექტორისა და რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტიური თანამშრომლობა.

პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემა ორიენტირებულია რეგიონის საჭიროებებზე. რეგიონის უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები სტუდენტებს სთავაზობენ ადგილობრივ საჭიროებებზე ორიენტირებულ და აკრედიტებულ საბაკალავრო და/ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

რეგიონში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის უზრუნველსაყოფად უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია, რომ პერიოდულად ჩატარდეს კვლევა, რათა გაანალიზდეს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა და მიწოდება. კვლევის შედეგებს გამოიყენებენ როგორც ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასევე თვითმმართველობის ორგანოები სხვადასხვა მუნიციპალიტური პროგრამების დაგეგმვის დროს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია. თბილისი, 2010.
2. The economic development of e region is the basis of self-government. Interntional Conference “Local and Regional Development in Europe – Contemporary Challenges”. COUNCIL OF EUROPE, GTZ, MRDI. July 8-9, Batumi, 2010.

3. კ. ხმალაძე. რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მეთოდური ასპექტები. ქ. “ბიზნესი და კანონმდებლობა”, ოქტომბერი-ნოემბერი, 2011.

Lamara Beridze

REGIONAL ASPECTS OF EMPLOYMENT REGULATION Annotation

At the present stage the state's role in the regulation of the employment has increased significantly. State regulation mechanism of the universal elements includes: economic methods (preferential taxation and lending, fiscal policy stimulating entrepreneurs, etc.); organizational methods (creation of employment and employment services, establishment of informational service systems of labor markets, professional orientation, establishment of state training and retraining systems, etc.); administrative-legal methods (regulating the rules of concluding labor agreements, working time duration, overtime work, etc.).

We view the following as the main ways for solving employment problems in the region: regulating the development of employment system; request adjustment in the workplace; development of professional training and re-training system of staff. One of the ways to solve unemployment is public work. We consider adoption of state public work program.

Elaboration of development strategies and socio-economic programs is considered to be one of the active mechanisms of employment in regions and self-governing units. Samtskhe-Javakheti Development Strategy for 2014-2021, elaborated under our methodological guidance, analyzes current situation in terms of employment and outlines set of measures for development of leading sectors of economy and increasing employment rate. Special attention is paid to professional training and re-training system.

გიორგი ბრეგვაძე

მშენებლობა საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები

საქართველოში მშენებლობა ერთ-ერთი სწრაფად მზარდი დარგია. იგი სტაბილურად და დინამიურად ვითარდება. მიუხედავად ზოგიერთი შეფერხებებისა, მშენებლობა მაინც გრძელდება და ისიც მაღალი ტემპებით. მშენებლობის სექტორის წილი მშპ-ში 2013წ. იყო 6,7%. მ სფეროში დასაქმებულია 52824 კაცი, რომელთა თვითური ანაზღაურება 1177 ლარია.

ეს შესაძლებელი გახდა ახალი ტექნოლოგიებისა და ახალი მასალების გამოყენების ხარჯზე, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ შენობა-ნაგებობები უნდა აშენდეს მყარად და უნდა იყოს სეისმომდებელი, რომ დიდხანს გაძლოს და, რაც მთავარია, უნდა აიგოს იაფად. ამის საშუალებას კი იძლევა ის ახალი ტექნოლოგიები და ის სამშენებლო მასალები, რომლებიც დღეს მზადდება საქართველოში ან შემოდის საზღვარგარეთიდან. სამშენებლო სექტორში პირდაპირი ინვესტიციები შეადგენს 54 მლნ დოლარს, ანუ 6%-ს. უკეთესი იქნებოდა თუ ინვესტიციები უფრო გაიზრდებოდა და თუ უფრო მეტი თანხები იქნებოდა დაბანდებული სამშენებლო მასალების წარმოებაში. მართალია უკვე ბევრი მასალა მზადდება ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, მაგ., ბლოკი ცემენტი, აგური, კრამიტი, ხის თუ მეტალოპლასტიკის კარ-ფანჯრები, რკინის ნაკეთობები. მაგრამ, ბევრი ახალი თანამედროვე მასალა შემოდის საზღვარგარეთიდან, ეს ეხება განსაკუთრებით დაქსალებავებს, ელექტრო კაბელებს, ქიმიური წარმოების ნაწარმს. მათი ადგილობრივი წარმოების აწყობა სახსრებით შესაძლებელი და რეალურია, თუ იქნება საკმარისი ინვესტიციები.

საქართველოში მშენებლობას ახორციელებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კომპანიები. სახელმწიფო 214 მლნ ლარის, ხოლო კერძო 9324 მლნ ლარის, აქედან 3024 მლნ ლარის უცხოური კომპანიების ხარჯზე მოდის. ასევე შემოდის უცხოეთიდან სამშენებლო ტექნიკა, რომელიც დიდად უწყობს ხელს მშენებლობის ტემპებისა და ხარისხის გაუმჯობესებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის სპეციფიკურია ის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რეგიონული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაზე და აღდგენარესტავრაციაზე ძალზე დიდი თანხები გამოყოფილი. 2013 წ. 900 მლნ ლარზე მეტი, ხოლო 2014 – 875 მლნ ლარი. მშენებლობას ახორციელებენ ტენდერებში გამარჯვებული კომპანიები.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით მშენებლობას აწარმოებენ: საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი და შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია.

2013 წლის მხოლოდ პირველ ნახევარში გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ სადაც დასაქმებულია 2500-მდე კაცი და მოიცავს 8 რეგიონულ ფილიალს და 53 სერვისცენტრს და ემსახურება 300 ათას აბონენტს და მისი კაპიტალი შეადგენს 185 000 000 ლარს, დაიწყო ქუთაისის, ფოთის და ანაკლიის 60 მლნ ლარის ღირებულების პროექტის განხორციელება, ხოლო 15 ქალაქში დაასრულა მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები. დონორი ორგანიზაციებიდან (EIB) 28 ქალაქის რეაბილიტაციისთვის მოზიდა 100 მლნ ლარის ინვესტიციები. გაფორმდა 2,7 მლნ დოლარის ღირებულების მენეჯმენტ-კონტრაქტი გერმანულ კომპანიასთან “Sachsen Wasser”. დამონტაჟდა 21000-მდე ინდივიდუალური მრიცხველი. აზიის განვითარების ბანკის (ADB) დაფინანსების ფარგლებში ხელი მოეწერა 60 მლნ ღირებულების კონტრაქტს ქუთაისში, ფოთსა და ანაკლიაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის შესახებ. მსოფლიო ბანკისგან გამოიყოფა 9,2 მლნ დოლარის გრანტი წყალტუბოში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის. ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB) 40 მლნ ევროს ოდენობის სესხის და 8 მლნ ევროს გრანტის გამოყოფის თაობაზე, რომლის ფარგლებშიც წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა 28 ქალაქში. ევროკავშირის დაფინანსებით დასრულდა 2,6 მლნ ლარის სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოები ქვეყნის 7 ქალაქში (ხესტაფონი, ხონი, სენაკი, ფოთი, კასპი, ხაშური, დუშეთი) 6 თვის განმავლობაში აღდგენილია 12 469 დაზიანება.

საქართველოში ძალზე სწრაფად და სტაბილურად ვითარდებოდა სახელმწიფოს და დონორი ქვეყნების მიერ დაფინანსებული მშენებლობები. ისეთი, როგორცაა, გზების, ხიდების, გვირაბების, ჩქაროსნული მაგისტრალის, რკინიგზის, ჰესების, ნაპირსამაგრი მშენებლობები. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხრიდან ამ მხრივ დიდი სამუშაოები ნატარდა უკანასკნელ წლებში და ეს მშენებლობები კიდევ უფრო მეტი აღმავლობით გრძელდება. ამ მიმართულებით 2014 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე გამოყოფილია 591 720 მლნ. ლარი. აქედან სახელმწიფოს მხრიდან 255,520 მლნ. ლარი, დონორებისგან 266,200 მლნ. ლარი. ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობაზე გამოყოფილია 281,500 მლნ. ლარი. აქედან, ბიუჯეტიდან 59,300 მლნ. ლარი. დონორებიდან 222,200 მლნ. ლარი, გზების შენახვა-მოვლაზე გამოყოფილია 214,320 მლნ. ლარი. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე 130,900 მლნ. ლარი. რეგიონული დამუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 187,075 მლნ. ლარი. ხოლო იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისათვის 50,125 მლნ. ლარი.

სახელმწიფოს მხრიდან ასეთი დიდი თანხების ყოველწლიური გამოყოფა, ტენდერებში გამარჯვებულ სამშენებლო კომპანიებს საშუალებას აძლევს, დაასაქმონ მეტი ადამიანი. ეს კი ამცირებს უმუშევრობას. ეს, რა თქმა უნდა, დადებითია, მაგრამ, უმჯობესი იქნება, თუ უფრო მეტი ინვესტიციები, არა მარტო უცხოური, არამედ ადგილობრივიც იქნება მოზიდული ამ მხრივ. ეს უფრო შეუწყობს ხელს მშენებლობის პროცესის კიდევ უფრო გაზრდას. ეს პროცესი მიმდინარეობს და ევროპასთან საქართველოს დაახლოების შესაბამისად, იმედია, კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით განვითარდება. მშენებლობის ტემპების ზრდა კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მომიჯნავე დარგების განვითარებას, განსაკუთრებით კი სამშენებლო მასალების ბიზნესს. დღეს ისედაც უამრავი ადამიანია ამ სფეროში დასაქმებული. თუ სამშენებლო მასალების წარმოებების ახალი ადგილობრივი საწარმოები აშენდება, რომლებიც თანამედროვე ევროპული სტანდარტებით იქნება აღჭურვილი, კიდევ უფრო აამაღლებს მშენებლობის ხარისხს და შეამცირებს ტემპებს. დასაქმდება უფრო მეტი ადამიანი, შესაძლებელი იქნება ადგილობრივი სამშენებლო მასალების კონკურენტუნარიანობის გაზრდა და მათი ექსპორტზე გატანა, რაც ქვეყანას კიდევ უფრო წაადგება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო ათწლეულის ეკონომიკური მაჩვენებლები მშენებლობაში ასე გამოიყურება:

ცხრილი 1

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	I 2013	II 2013	III 2013	IV 2013
ბრუნვა, მლნ. ლარი	387.4	778.8	1125.3	1604.6	1412.0	1736.3	1694.5	3348.0	4444.7	412.3	571.5	674.7	964.1
გამოსვებული პროდუქცია, მლნ. ლარი	383.7	768.9	1186.0	1718.2	1434.7	1752.6	1728.5	3371.5	4596.7	445.6	737.5	704.9	953.8
დამატებული ღირებულება, მლნ. ლარი	127.1	246.0	401.4	630.6	482.3	605.2	618.1	1178.5	1657.2
შუალედური მოხმარება, მლნ. ლარი	256.5	523.0	784.5	1087.6	952.4	1147.5	1110.4	2192.9	2939.5
ფიქსირებული აქტივები, მლნ. ლარი	127.2	258.7	474.9	635.1	652.2	723.8	799.1	518.0	1898.7
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	21344	38560	46681	52572	38109	43452	40303	65220	69946	40863	45611	50537	52824
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი	237.9	292.3	391.0	495.1	600.9	629.0	674.6	741.3	893.2	851.6	1076.8	1031.3	1177.0

ცხრილი შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

მართალია 2013 წელს შედარებით შემცირდა მშენებლობის აქტივობა, მაგრამ ეს მთლიანად ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ბრალია და მთლიანად ეკონომიკის ზრდაც 2013 წელს შემცირებული იყო. ახლა უკვე შეინიშნება გამოცოცხლება და, იმედია, ეს პროცესი სულ სწრაფი ტემპებით წარიმართება.

სამშენებლო დარგის წარმატებით განვითარებისათვის საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

საჭიროა მუშაობა იმისათვის, რომ მშენებლობის სხვადასხვა სექტორში. რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია იქნეს მოზიდული, განსაკუთრებით საწარმოების, ფირმების, კომერციული ობიექტების, ჰესების, გზების და ინფრასტრუქტურის სფეროებში.

მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერებში უნდა იმარჯვებდეს არა ის კომპანია, რომელიც იაფად და სწრაფად ააშენებს, არამედ ის, რომელიც ხარისხიანად და ყველა ნორმისა და ადგილობრივი კლიმატურ-გეოლოგიურ გარემოს გათვალისწინებით ააშენებს ნაგებობებს, რათა არ მოხდეს ისეთი შემთხვევები, როგორსაც ადგილი ჰქონდა თბილისის აეროპორტის, ქუთაისის პარლამენტის ან იუსტიციის სახლის შემთხვევაში.

ვინაიდან მშენებლობაზე მოთხოვნილება იზრდება, შესაბამისად საჭიროა მაღალი ხარისხის სამშენებლო მასალების წარმოების განვითარება. ეს კი უნდა მოხდეს ადგილობრივი ნედლეულისა და უახლესი ტექნოლოგიების ხარჯზე.

ასევე საჭიროა უახლესი ტექნოლოგიების და ტექნიკის შემოტანა და ათვისება, ეს კი შეამცირებს მშენებლობის ხარჯებს და ვადებს, ხარისხი კი გაიზრდება.

ვინაიდან საქართველო სეისმო აქტიურ ზონაში მდებარეობს, საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს შენობების საიმედოობასა და დაცული იყოს ყველა ნორმა.

საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს დიდ ქალაქებში და, მათ შორის, პირველ რიგში თბილისში, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სწორად დაგეგმვას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. წინააღმდეგ

შემთხვევაში, უახლოეს მომავალში თბილისში ავტომობილებით მოძრაობას დიდი პრობლემები შეექმნება. საცობები გარდაუვალია.

უნდა გაგრძელდეს თბილისის რეკონსტრუქცია ყველა ინსტორიულ-ტრადიციულად ჩამოყალიბებული არქიტექტურული თუ გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით.

საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს მშენებლობის ვადების დაცვას, რადგან მისი დაუცველობა იწვევს სამშენებლო კომპანიების მიმართ ნდობის დაკარგვას. ამით კი ბინათმშენებლობაზე მოთხოვნილება ეცემა. ახლა ყველა ცდილობს უკვე მზა, აშენებული ბინა იყიდოს, ვიდრე ასაშენებელ ბინაში დაბანდოს ფული.

საჭიროა ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე დაიძლიოს სეზონურობა მშენებლობაში და მთელი წელი გრძელდებოდეს. ეს უფრო მეტ ადამიანს დაასაქმებს.

საბანკო სექტორმაც უფრო მეტად უნდა განავითაროს იპოთეკური სესხების გაცემა დაბალი პროცენტებით, განსაკუთრებით ახალდაქორწინებულ წყვილებზე, რომელთაც ბინების აშენება სურთ.

სასურველი იქნებოდა, თუ სახელმწიფო გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს დაუწევებდა იმ ინვესტორ კომპანიებს ან სააქციო საზოგადოებებს, რომელთაც განზრახული ექნებათ გრანდიოზული პროექტების, მაგ., რკინიგზების, ავტობანების, დიდი საწარმოების, დიდი ჰესების და სხვათა განხორციელება.

ასევე საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მეტი კონტროლი სამშენებლო კომპანიების მიმართ, რათა არ მიითვისონ სახელმწიფო ან მოსახლეობის ფულადი დანახოვების მითვისება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემები, 2014.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, 2014
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები, 2014.
4. გ. ბრეგვაძე - თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, IV, 2011.

Giorgi Bregvadze

CONSTRUCTION IN GEORGIA AND ITS FUTURE PROSPECTS Annotation

In this work it is considered the modern state of construction in Georgia and revealed the problems that hinder the development of this sector. Are planned the perspectives of construction development.

*მამუკა გოგელია
ცირა ცეცხლაძე*

მომსახურების ხარისხის ამაღლება – ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი სტრატეგია

ტურისტული პროდუქტის შექმნისა და განვითარების პროცესში გამოყენებული სოციალური და ეკონომიკური ცოდნა და გამოცდილება აისახება ეკოლოგიური ტურის ხარისხში. მომსახურების ხარისხზე შეიძლება ვიმსჯელოთ ტურისტულ კომპანიებში მომხმარებლების რაოდენობრივ დინამიკაზე დაკვირვებით. ტურისტული კომპანია მომხმარებლებს უნდა სთავაზობდეს საფირმო სტილის შესაბამის, მაღალი ხარისხის მომსახურებას. ამგვარი სერვისი ტურისტულ ფირმასა და მომხმარებელს შორის ნდობის მოპოვების საუკეთესო საშუალებაა.

მაღალი ხარისხის სერვისის არარსებობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია, რომლის გამოც ეროვნული ფირმები კონკურენციას ვერ უწევენ უცხოურ კომპანიებს. კონკურენციის პირობებში იმარჯვებს მხოლოდ ის, ვისაც ესმის ხარისხიანი მომსახურების მნიშვნელობა, ეს უკანასკნელი გულისხმობს მომსახურების კომპლექსს, რომელიც გარკვეულწილად დაკავშირებულია წარმოების ტექნიკურად რთული ფაქტორების გამოყენებასთან (მანქანა-დანადგარები და სხვა სამრეწველო ტექნიკა) და უზრუნველყოფს მათ მუდმივ მზადყოფნას მაღალეფექტიანი ექსპლუატაციისათვის.

ხარისხიანი ეკოტურისტული მომსახურება პირველ რიგში ინფორმაციის დიდ რაოდენობას გულისხმობს: რუკები, სქემები, ბროშურები სხვადასხვა ენაზე, ბილიკები მანქანებლებით, სამეთვალყურეო შენობები და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია თარჯიმნების, მენეჯერების (ეკოლოგიური მენეჯმენტის სპეციალისტებით), ექსკურსიამდოლ-ეკოლოგების და სხვა სპეციალისტების როლი.

მაღალი ხარისხის სერვისის მაგალითს წარმოადგენს ზოგიერთ კომპანიაში ეკოტურის გაყიდვისას მომხმარებლისათვის გაყიდვამდელი და გაყიდვის შემდგომი მომსახურების არსებობა. გაყიდვამდელი სერვისი გულისხმობს კატალოგებისა და ბროშურების სისტემის შემუშავებას (რომლებიც აცნობენ მომხმარებელს კონკრეტულ ეკოტურს); კვალიფიციურ კონსულტაციას და მყიდველისათვის საინტერესო ეკოტურის ნათელ დემონსტრირებას პოსტერების გამოყენებით; ყოველი მყიდველისადმი ინდივიდუალურ მიდგომას. გაყიდვის შემდგომი მომსახურება მოიცავს საგზურების ტუროპერატორისაგან სწრაფ და უსასაყიდლო მიწოდებას მყიდველზე, ეკოტურისტის დაზღვევას. დონისიძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია მოთხოვნის ფორმირებისა და პროდუქციის გასაღების სტიმულირებისაკენ, ასევე მაღალი ხარისხის ეკოლოგიური ტურისტული მომსახურების უზრუნველყოფის სტრატეგიის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს, რაც გულისხმობს: რეკომენდაციებს – ე.წ. რეკლამას „მომხმარებელიდან მომხმარებელამდე“. მომხმარებლებისაგან, რომლებიც მთლიანად არიან დაკმაყოფილებული მათთვის გაწეული მომსახურებით, შეიძლება მივიღოთ დადებითი რეკომენდაცია; მომხმარებ-

ლებთან ურთიერთობას – რადგან მომხმარებლების უმრავლესობისათვის მთავარია ის, თუ როგორ ეპყრობიან მას კომპანიის თანამშრომლები ემოციური კონტაქტის დამყარების თვალსაზრისით; ტურისტული მომსახურების გაყიდვას შემდეგი სტეპის მიხედვით: რა უნდა მომხმარებელს, შეთავაზებული მომსახურება მიესადაგება თუ არა მომხმარებელთა მოთხოვნებს, ხდება თუ არა მომსახურების პროცესში მომხმარებლის ჩართულობის უზრუნველყოფა; სხვადასხვა ორგანიზაციებში, ტურისტულ ფესტივალებში, გამოფენებში მონაწილეობას; სარეკლამო ბროშურებისა და წინადადებების პირდაპირ გაგზავნას; მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებას საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად.

მნიშვნელოვანია, რომ ეკოლოგიური ტურის ყველა შემადგენელი, განთავსება, ტრანსპორტირება, კვება, სანახაობა და ა.შ. ერთიან კომპლექსურ-ხარისხობრივ სისტემაში იყოს გაერთიანებული და, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფდეს ეკოტურის საერთო მაღალ ხარისხს. ეს განსაკუთრებით მიზანშეწონილია სასტუმროებისათვის. საქართველოში მოგზაურ ეკოტურისტებს ხშირად არ აქვთ წარმოდგენა, რით შეიძლება განსხვავდებოდეს ერთი სასტუმრო მეორისგან იმ ქვეყანაში, რომელშიც ისინი აპირებენ მოგზაურობას. ჩვეულებრივ, მათ აცნობებენ, თუ რამდენვარსკვლავიანია შეთავაზებული სასტუმრო. მაგრამ სასტუმროები ვარსკვლავების რაოდენობის მიხედვით არ არის ერთნაირი, რაც გამოწვეულია ვარსკვლავების მინიჭების სხვადასხვა სისტემების არსებობით. სამეარსკვლავიანი სასტუმრო აშშ-ში მომსახურების ხარისხით ხშირად აჭარბებს ევროპულ ოთხვარსკვლავიან სასტუმროს. ამიტომ ეკოტურისტებმა წინასწარ უნდა იცოდნენ, სასტუმროს ვარსკვლავების რაოდენობა, ერთი დღე-ღამის ღირებულება, მაცივრის, კონდენციონერის და ტელევიზორის არსებობა. ბუნებრივია, ორვარსკვლავიან სასტუმროში არ უნდა ველოდეთ კონდენციონერსა და პარფიუმერიას, რაც განპირობებულია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური პარამეტრებითაც. მაგრამ მოთხოვნების ელემენტარულ ჩამონათვალს ნებისმიერი სასტუმრო უნდა იცავდეს, იმ მინიმალურ პირობებს, რომელთა გარეშეც არ შეიძლება საუბარი სასტუმროში მაღალი ხარისხის მომსახურებაზე.

მაღალი ხარისხის ეკოლოგიური ტურის კიდევ ერთი შემადგენელი ელემენტი მოგზაურთა ეკოლოგიური განათლების დონის ამაღლებაა, რისთვისაც ყოველ კონკრეტულ ტურში მთელი რიგი დონისძიებები იგეგმება. მაგალითად, „Niagara Nature Tours“-ში შეიმუშავეს ეკოტურისტების სწავლების პროგრამა, რომელშიც ჩართულია როგორც ჰუმანიტარული, ისე საბუნებისმეტყველო დისციპლინები, შერწყმულია ეკოტურისტების სწავლების თეორიული და პრაქტიკული ნაწილი: მთხრობელების, მუსიკოსების, ადგილობრივი მსახიობების და ხელოსნების დაქირავება ტრადიციული ხელობების სადემონსტრაციოდ; სპეციალურად დამუშავებული ლამინირებული ბარათების გამოყენება, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას, სურათებს და დიაგრამებს იმ შთაბეჭდილებების გასაძლიერებლად, რასაც ეკოტურისტებს აჩვენებენ საველე პირობებში (მაგალითად, სამეცნიერო ამონარიდები წიადისეულების ან ველური ბუნების პატარა, თვალთ უხილავი წარმომადგენლების შესახებ); ცხოველებისა და ფრინველების ხმების ჩანაწერების გამოყენება ფონის შესაქმნელად; ბუნებრივი ნიმუშების გამოყენება გამოფენებსა და დისკუსიებში; იმ ადგილობრივი პროფესიონალი კადრების დაქირავება, რომლებსაც აქვთ ლიცენზიები გარეული ფრინველების ჩვენებისათვის, რომელთაგანც ტურისტს შეუძლია გადაიღოს სურათი, რაც ძალიან იზიდავს ეკოტურისტებს [Храбовченко 2003], [მეტრეველი 2008]. ყოველივე ეს აუმაჯობებს ურთიერთობას ეკოტურისტსა და გიდ-ეკოლოგს შორის.

ექსკურსიებისა და მრავალფეროვანი ეკოლოგიური ტურების გარდა, დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებს შეუძლია სტუმრებს შესთავაზოს დამატებითი ტურისტული მომსახურების მრავალფეროვანი სპექტრი: შესაძლებლობა, დარჩნენ კემპინგზე და ისარგებლონ აბაზანით; სურვილისამებრ განთავსდნენ დაცული ბუნებრივი ტერიტორიების კუთვნილ ეკოლოგიურ სოფლებში; ეკოლოგიური ტრანსპორტით მომსახურება; საინფორმაციო მომსახურება; სხვადასხვა საგანმანათლებლო (ლექციები, სლაიდ-შოუ) კონსულტაციური მომსახურება; ბაზრობები, ფესტივალები გამოფენები და სხვადასხვა ღონისძიებები; ეკოლოგიური კაფეების მომსახურება, სადაც ტურისტს შეუძლია კომფორტულად დაისვენოს და შეუკეთოს ნატურალური პროდუქტისაგან დამზადებული კერძები; ტურისტული ადჰურვილობის გაქირავება; ეკოტურები, სტემები, რუკები; სუვენირები, მათ შორის დაცული ტერიტორიების სიმბოლიკით; ბეჭდვითი პროდუქცია; აუდიო, ვიდეო და ფოტო პროდუქცია.

ტურისტული მომსახურების შექმნის მომენტში ეკოტურისტმა უნდა იცოდეს მომსახურებისაგან მისაღები სარგებლის შესახებ. მაგ., ავიაბილეთის გაფორმების დროს შესაძლებელია გარკვეული ფასდაკლებებით სარგებლობა: როგორცაა საქსკურსიო, ახალგაზრდული და საოჯახო. თუ ცოლ-ქმარი მიფრინავს ერთი მიმართულებით და უკან ბრუნდებიან ერთად, ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთ მათგანს შეიძლება ჰქონდეს უფლება, ისარგებლოს 50%-იანი ფასდაკლებით ბილეთზე. ამავე დროს, აუცილებელია მივადწიოთ იმას, რომ შედავათები უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი მაღალხარისხოვანი მომსახურებით. მაღალი ხარისხის სერვისის ძირითად აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნების ცოდნა.

ადამიანური ურთიერთობების ხელოვნება წარმოადგენს კეთილგანწყობის, კომუნიკაბელობის, შესაძლო მომხმარებლის ნდობის მოპოვების, თანამოსაუბრის მოხმენის ნიჭის, ამპარტაენობის დაძლევის საფუძველს. შესაძლებელია ხასიათის კიდევ ბევრი ისეთი ნიშნის ჩამოთვლა, რომელიც წარმოიშობა სხვა ადამიანებთან ურთიერთპატივისცემის საფუძველზე დამყარებული ურთიერთობის დროს. ურთიერთპატივისცემაზე დამოკიდებულ ქცევას ჩვენ მივიჩნევთ არა მარტო ფსიქოლოგიური, არამედ როგორც ორგანიზაციულ-ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც არსებით როლს თამაშობს ეკოტურისტულ ბიზნესში და მხოლოდ მისი საშუალებით ხორციელდება მაღალ ხარისხოვანი მომსახურება.

ბევრი მკვლევარი აღნიშნავს ადამიანებთან ურთიერთობის განმსაზღვრელ როლს მაღალი ხარისხის ტურის მომზადების და განხორციელების პროცესში. ბევრი მეცნიერი მიუთითებს იმაზე, თუ რას წარმოადგენს ტურისტი თავისი ფსიქოლოგიური და ტიპობრივი წყობით, აღნიშნავს ეკოტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური და ხასიათების სხვადასხვაობის გათვალისწინების აუცილებლობას. ბევრ სამეცნიერო ნაშრომში ხაზგასმულია განსხვავება ძირითად ფასეულობათა სისტემისა და ლოგიკის, რელიგიური შეხედულებების, ტრადიციების, ჩვეულებების, ცხოვრების წესის, მოქმედების, ჩაცმის სტილის, დროის განაწილებისა და უცნობი ადამიანებისადმი დამოკიდებულება შორის: აქ უნდა შევჩერდეთ ეკოტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის „სერვისული ურთიერთობების“ პრობლემებზე, ზრდილობიან დამოკიდებულებაზე პირველისა უკანასკნელის და, პირიქით, უკანასკნელისა პირველის მიმართ. მიუხედავად ყველაფრისა, ყველა ზემოთ თქმულს მივყავართ ორიგინალურ განმარტებამდე „ტურისტის ქცევის კულტურა საზღვრებს გარეთ... განსხვავდება ოჯახურ პირობებში ქცევის კულტურისაგან. სხვა სიტყვებით, ტურისტი ხშირად სარგებლობს სხვა, ჩვეულებრივ განსხვავებულ ფასეულობათა მასშტაბებით“ [Купер 1998].

ანალოგიურად უნდა წყდებოდეს „შიდა ჯგუფური სერვისის“ პრობლემა. ეკოტურისტებს შორის კეთილ განწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბება საკმაოდ რთული პრობლემაა, მაგრამ მისი გადაწყვეტა არც ისე ძნელია, თუ მას ტაქტიანად და საქმის ცოდნით მივუდგებით. თავაზიანობისა და ყურადღებიანი დამოკიდებულების საკითხებია უცილებლად უნდა შედიოდეს ტურფორმების კომპეტენციებში. იგი მნიშვნელოვანია მათი იმიჯისთვის. ეკოტურისტების ქცევის მიხედვით მსჯელობენ იმაზე, თუ რა ხარისხის პროდუქტს აწოდებს კომპანია, რომლის დახმარებითაც ტურისტები ამა თუ იმ ქვეყანაში (ან ქვეყნის შიგნით) მგზავრობენ.

ბოლო ათწლეულში მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია გარემოს დაცვა, ფინანსური კონტროლის საშუალებები, საბაზრო ფაქტორები და შესაბამისი საკანონმდებლო ზომები. ევროკავშირმა შეიმუშავა დოკუმენტი EC 1893/93 „რევიზიისა და ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემაში კომპანიების ნებაყოფლობითი მონაწილეობა“. ეკოლოგიური მენეჯმენტის მეთოდის თანახმად, ტურფორმასან სასტუმროს შეუძლია შეუკვეთოს ან ჩაატაროს ობიექტური ეკოაუდიტი, რომლის მიზანია ტურისტული საქმიანობის მართვის გაუმჯობესება ეკოლოგიურ ასპექტში [Сенин 2003].

საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის სფეროში ტუროპერატორების საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს სერტიფიცირებას. შესაბამისობის სერტიფიკატი არის დოკუმენტი, რომელიც ასაბუთებს ტურისტული და საკურორტო მომსახურების ხარისხს და მის შესაბამისობას კონკრეტულ სტანდარტთან ან სხვა ნორმატიულ დოკუმენტთან. ამრიგად, სახელმწიფო აკონტროლებს ხარისხიანი მომსახურების მინიმალურ პირობებს (პერსონალის შესაბამისი მომზადება, აუცილებელი აღჭურვილობის წილი, ფირმის მიერ ტურისტული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა და ა.შ.). ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკოტურისტს უფლება აქვს, მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურება, მაგრამ, ამავე დროს, მათი მოვალეობაა გაუფრთხილდნენ გარემოს.

*Mamuka Gogelia
Tsira Tsetskhladze*

HIGH QUALITY SERVICE – SIGNIFICANT STRATEGY OF ECOTOURISM DEVELOPMENT Annotation

The article considers social, economic knowledge and experience used in designing and developing process of tourism product, which is reflected in quality of ecological tour. Common experience proofs that such kind of service between travel company and customers is the best way to build the trust. It helps to attract customers, forms positive attitude towards a particular company, providing stable sales growth.

The paper also sets out the basic condition for high quality service i.e. knowledge of communication arts. The art of human communication represents the base to gain benevolence, good communication, build the trust among potential customers, ability to listen to the interlocutor and, overcome arrogance. It is possible to list much more traits of character that arises from relationship based on mutual respect with other people.

Tour operators' activities in Georgian ecotourism field must be accepted according to the certification. Certificate of compliance can be defined as a document that certifies that tourism and resort service quality meets the approved minimal standards. Thus state controls the minimum quality of service requirements. It should also be noted that ecotourists have the right to demand high quality service, but at the same time their responsibility is to protect the environment.

ნოდარ გრძელიშვილი

რეზიუმეული კლასტრები და საქართველო

მესამე ათწლეულის დასაწყისში თვალსაჩინო გახდა სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკების რადიკალური ტრანსფორმაცია, გლობალიზაციის შედეგად წარმოების ფაქტორები უფრო მობილური გახდა, გაძლიერდა რა ქვეყნებს შორის კონკურენცია, გაქრა ბევრი ტრადიციული დარგი და გაჩნდა ახალი დარგთა შორის სტრუქტურები, ამიტომაც განვითარებისა და კონკურენტული უპირატესობების მოსაპოვებლად მთავარი ხდება კომპანიებს შორის ურთიერთკავშირები, რამაც დასაბამი მისცა ახალ ქსელურ სტრუქტურებს – კლასტერებს.

კლასტერული პოლიტიკა წარმოადგენს ახალ მიმართულებას ეკონომიკური განვითარების პოლიტიკაში.

საქართველო ვერ იქნება შორს ამ პრობლემებისაგან იმდენად, რამდენადაც კლასტერული მიდგომის წინამძღვრები ქვეყანაში არსებობს. ეს იმას მოწმობს, რომ საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვადას-

ხვა ქვეყნებისათვის ფრიად აქტიურია კლასტერული მიდგომის გამოყენება საწარმოების, რეგიონებისა და მთლიანად ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნებისათვის.

კლასტერი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული კომპანიების: მოწოდებლობათა მიმწოდებლების, მაკომპლექტებელი, სპეციალიზებული მომსახურების, ინფრასტრუქტურის, ასევე სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების და სხვა ორგანიზაციების გეოგრაფიულად ლოკალიზებულ ურთიერთშემავსებელ ჯგუფს, რომელიც აძლიერებს ცალკეული კომპანიების და მთლიანობაში კლასტერის კონკურენტულ უპირატესობებს¹⁵².

კლასტერის ცნება დასავლურ ლიტერატურაში, კერძოდ კი ეკონომიკურ თეორიაში შემოღებულ იქნა მაიკლ პორტერის მიერ: „კლასტერი – ეს არის განსაზღვრულ დარგებში გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, სპეციალიზებული მომწოდებლების, მომსახურების მიმწოდებლების შესაბამის დარგებში მომუშავე ფირმებს, ასევე მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციების ჯგუფები (მაგალითად, უნივერსიტეტების, სტანდარტიზაციის სააგენტოების, აგრეთვე სავაჭრო გაერთიანებების), რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, მაგრამ, იმავდროულად ეწევიან ერთობლივ საქმიანობას¹⁵³.

ამრიგად, კლასტერად ჩამოყალიბებისათვის გეოგრაფიულად მოსაზღვრე ურთიერთდაკავშირებული კომპანიები და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები უნდა მოქმედებდნენ განსაზღვრულ სფეროში, აერთიანებდეთ ერთობლივი საქმიანობა და ავსებდნენ ერთმანეთს.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ ამაჟამად თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნა შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ინტეგრაციის პროცესებს, მ.შ. კლასტერების განვითარების გზით.

კლასტერის კლასიკური მაგალითია სილიკონის ველზე არსებული ტექნოლოგიური კლასტერი და იტალიაში არსებული ფესსაცმლის კლასტერი.

საგულისხმოა, რომ იმ ქვეყნების გარდა, სადაც კლასტერები თავად საბაზრო კანონებმა ჩამოაყალიბა, მრავალი სახელმწიფო მათ ხელფერადაც ზრდის. კლასტერულ პოლიტიკას მრავალი განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფო აწარმოებს – იაპონია და სამხრეთ კორეა, სინგაპური და ფინეთი, სლოვენია და კანადა. მაგალითად, საფრანგეთის ხელისუფლებამ 2005 წელს მიიღო 60 კლასტერის განვითარების სამწლიანი სახელმწიფო პროგრამა 1,5 მილიარდი ევროს ბიუჯეტით. დიდ ბრიტანეთში 115 მილიონი ფუნტი გამოიყო იმ ფონდისთვის, რომელიც ინოვაციური კლასტერების შექმნას დააფინანსებს.

კლასტერებზე აგებული ეკონომიკა – ეს არის კონკურენტუნარიანი და ინვესტიციურად მიმზიდველი ეკონომიკის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონესა და ხარისხს და წარმოებაში რთავს არა მხოლოდ რეგიონის მსხვილ საწარმოებს, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესს.

ველაზე განვითარებულ კლასტერებს გააჩნიათ ხუთი პრინციპული მახასიათებელი, რომელთაგან პირველი სამი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კლასტერების შექმნის სასტარტო წინამძღვარი.

1. კონკურენტუნარიანი საწარმოების არსებობა. კლასტერის განვითარების საკვანძო პრობლემა როგორც ბაზარზე ასევე თვით კლასტერში კონკურენტუნარიანი საწარმოების არსებობაა. კონკურენტუნარიანობის ინდიკატორად შეიძლება განვიხილოთ: კლასტერში შემავალი კომპანიებისა და სექტორების მწარმოებლობის შედარებით მაღალი დონე; პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის მაღალი დონე; კომპანიების საქმიანობის მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები.

2. კლასტერების განვითარებისათვის კონკრეტული უპირატესობის არსებობა რეგიონში. მაგალითად, მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობა, ნედლეულის ხელმისაწვდომობა, სპეციალიზებული ადამიანური რესურსების მაკომპლექტებელი მომსახურების მიმწოდებლების, სპეციალიზებული სასწავლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მწარმოებელი სპეციალიზებული ორგანიზაციების, აუცილებელი ინფრასტრუქტურის არსებობა და სხვა ფაქტორები. ტერიტორიის კონკრეტული უპირატესობის ინდიკატორებად შეიძლება განვიხილოთ: მოზიდული უცხოური ინვესტიციების შედარებით მაღალი დონე კლასტერში შემავალი საწარმოების ან სექტორების დონეზე.

3. გეოგრაფიული კონცენტრაცია და სიახლოვე – კლასტერების მთავარი მონაწილეები ერთმანეთთან გეოგრაფიულად ახლოს არიან განლაგებული და აქვთ აქტიური ურთიერთქმედების შესაძლებლობა, გეოგრაფიული მასშტაბი შეიძლება იცვლებოდეს კლასტერის ტიპიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე და მოიცავდეს ქვეყნის ერთ ან რამდენიმე რეგიონს. გეოგრაფიული კონცენტრაციის ინდიკატორებად შეიძლება მოცემული რეგიონის სპეციალიზაციის მაღალი დონის განმსაზღვრელი სხვადასხვა მაჩვენებლები იქნეს განხილული.

4. მონაწილეთა ფართო წრე და „კრიტიკული მასის“ არსებობა. კლასტერი შეიძლება შედგებოდეს რეგიონის ფარგლებს გარეთ გასატანი საბოლოო პროდუქციისა და მომსახურების მწარმოებელი კომპანიებისაგან; მაკომპლექტებელ, მოწოდებლობებისა და სპეციალიზებული მომსახურების მიმწოდებლების; ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების; სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა მხარდამჭერი ორგანიზაციებისაგან, ინდიკატორებად შეიძლება განვიხილოთ იქნეს საწარმოებსა და კლასტერში შემავალ სექტორებში დასაქმების მაღალი დონის განმსაზღვრელი მაჩვენებლები, კლასტერში შემავალი კომპანიებისა და ორგანიზაციების ოდენობა.

5. კლასტერების მონაწილეებს შორის კავშირებისა და ურთიერთქმედების არსებობა. კლასტერის განვითარებაში წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამუშაო კავშირებისა და კლასტერის მონაწილეებს შორის ძალისხმევის კოორდინაციის არსებობა, ეს კავშირები შეიძლება განსხვავებული ბუნების იყოს სათავო კომპანიებსა და მიმწოდებლებს, თვით მიმწოდებლებს შორის ფორმალისებური ურთიერთობების, მოწოდებლობათა და სპეციალიზებული სერვისის მიმწოდებლებთან თანამშრომლობის, კომპანიებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციაში თანამშრომლობის ჩათვლით.

¹⁵² Руднева П. С. Опыт создания структурных кластеров в развитых странах 2007. №18.

¹⁵³ Портер М., Конкуренция М. Издат дом „Вильямс“ 2003

მეწარმეობის განვითარების კლასტერული კონცეფცია ფოკუსირდება რეგიონის კორპორაციულ სტრუქტურებს, საინვესტიციო, საშუაშაგლო, სამეცნიერო, სასწავლო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ურთიერთკავშირებზე.

კლასტერული კონცეფცია ემყარება კონკრეტული რეგიონის კონკურენტუნარიანობას, რომელიც დამოკიდებულია ურთიერთდაკავშირებული დარგების კლასტერის არსებობაზე.

კლასტერების თეორიამ გაგრძელება პოვა ამერიკელი მეცნიერის მ. ენრაიტის ნაშრომებში. მან შექმნა „რეგიონული კლასტერის“ თეორია და მისცა მას შემდეგი განმარტებები:

რეგიონული კლასტერი – ეს არის მეურნეობის ერთ ან რამდენიმე მონათესავე დარგში მომუშავე ფირმების ეკონომიკური აგლომერაცია.

ენრაიტის თეორიის თანახმად, კონკურენტული უპირატესობანი იქმნება არა ნაციონალურ დონეზე, არამედ რეგიონულზე, სადაც მთავარ როლს ასრულებენ რეგიონების განვითარების ისტორიული წინამძღვრები, ბიზნესის წარმოების კულტურის, წარმოების ორგანიზაციისა და განათლების მიღების მრავალფეროვნება.

ერთ-ერთი ამოცანა, როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, არის კლასტერიზაციის პოტენციალის გამოვლენა. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, კლასტერული მიდგომა არის არა მხოლოდ სამრეწველო პოლიტიკის მიზნების მიღწევის საშუალება (სტრუქტურული ცვლილებები, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ინოვაციური მიმართულების გაძლიერება და სხვა), არამედ ის წარმოადგენს მძლავრ ინსტრუმენტს რეგიონული განვითარების სტიმულირებისათვის, რომელიც, საბოლოო ჯამში, შეიძლება მდგომარეობდეს რეგიონის სავაჭრო ბალანსის სტიმულირებაში, დასაქმების ამაღლებაში, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში ანარცხებისა და ხელფასის ზრდაში, რეგიონის მრეწველობის მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

უნდა ვაღიაროთ საქართველოში მსხვილი კონკურენტუნარიანი სტრუქტურების შექმნის აუცილებლობა. ასეთი სტრუქტურები შეიძლება იყოს დარგთაშორისი კლასტერული წარმონაქმნები, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას და უზრუნველყოფენ ეკონომიკის განვითარებას.

კლასტერის აგება შესაძლებელია განხორციელდეს სამი ვარიანტით:

- „ზევიდან ქვევით“, როცა კლასტერის სტრატეგიის განსაზღვრა მოხდა თანხობაში და მისი რესურსებით მხარდაჭერა ხორციელდება „ზევიდან“;

- „ქვევიდან ზევით“, როცა ცალკეული პროექტები და პროგრამები ინტეგრირდება და ერთიანდება კლასტერში „ქვევიდან“;

- შერეული ვარიანტი, როცა პარალელურ რეჟიმში დროში ერთმანეთს ერწყმის ორივე მიდგომა.

კლასტერის შექმნისაკენ მიმართული პოლიტიკა იწყება რეგიონში მათი წარმოქმნისათვის უკვე არსებული წინამძღვრებით, რომელთაგან უმთავრესია:

- კლასტერის განვითარებისათვის ფუძემდებლური მესაკუთრეებისა და კლასტერის ფარგლებში თანამშრომლობით დაინტერესებული საწარმოების არსებობა;

- კოოპერაციული და სხვა კავშირების, ურთიერთქმედების დამუშავებული მექანიზმების, ურთიერთდობის მაღალი დონის არსებობა;

- საწარმოთა და ორგანიზაციათა მაღალი ინოვაციურ-ტექნოლოგიური დონე;

- კლასტერის პოტენციური მონაწილე საწარმოებისა და ორგანიზაციების პროდუქციის მაღალი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, რასაც განსაზღვრავს პროდუქციის მაღალი მოცულობა;

- შემდგომი ინოვაციური განვითარების სურვილი;

- ხელისუფლების ორგანოების დაინტერესება რეგიონის ეკონომიკის განვითარების კლასტერული ვარიანტით და კონკურენციისა და თანამშრომლობის გაფართოებით;

- ბიზნესთან ურთიერთქმედების გამოცდილების არსებობა ხელისუფლების ორგანოებში, მათ შორის ეკონომიკის იმ სექტორში, რომელშიც ნავარაუდევია კლასტერის ფორმირება;

- კარგი ნორმატიული სამართლებრივი ბაზის არსებობა რეგიონში;

- სისტემური მუშაობა რეგიონში ბიზნესის მხარდაჭერის არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სრულყოფისათვის;

- რეგიონის ხელმძღვანელობის მზაობა ბიზნესთან დიალოგისათვის;

- თანამშრომლობის პირობები;

- პროფესიული განათლების მაღალკვალიფიციური სისტემის არსებობა, რომელსაც გააჩნია ეკონომიკის შესაბამისი სექტორებისათვის კადრების მომზადების გამოცდილება.

რეგიონის ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებლად პირველ ეტაპზე აუცილებელია გაანალიზდეს ოთხი ძირითადი მიმართულება:

- განისაზღვროს მომუშავეთა რაოდენობა და კვალიფიკაცია, ასევე დაწესებულებათა რიცხვი, რომლებიც მონაწილეობენ სავარაუდო კლასტერის მოცემულ სექტორში;

- განისაზღვროს ლოკალური კლასტერების ხვედრითი წილი კლასტერში და მათი ხვედრითი წილი რეგიონში;

- ქვეყანაში განისაზღვროს დანახარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა ტექნოლოგიური პროცესის ყველა რგოლში, ნედლეულისა და მარაგების მოწოდებით დაწესებული და პროდუქციის რეალიზაციით დამთავრებული;

- განისაზღვროს კლასტერის ზრდის ტემპი.

რეგიონში კლასტერების ჩამოყალიბების ერთ-ერთი პირობაა დარგების სპეციალიზაციის არსებობა. სპეციალიზაციაში იგულისხმება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ფორმა, რომელსაც ასახავს პროდუქცი-

ის ცალკეული სახეების ან მისი ნაწილების წარმოების თავმოყრას დამოუკიდებელ დარგებში, წარმოებასა და სპეციალიზებულ საწარმოებში.

რეგიონის ადმინისტრაციისათვის კლასტერი ყველაზე თანამედროვე, მოხერხებული ინსტრუმენტია სამრეწველო პოლიტიკაში; მეორეც, იგი კარგი ასპარეზია ბიზნესთან ურთიერთქმედებისათვის; მესამე, რეგიონულ ადმინისტრაციას აკისრია დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი სახსრები, დრო და ცოდნა. კლასტერული მიდგომა გვაძლევს ეფექტურ ინსტრუმენტებს ძირითადი მიზნების მისაღწევად. ეს მიზნები შემდგენიანად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: რეგიონის შემოსავლიანობის ზრდა და მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა.

რეგიონულ დონეზე კლასტერული პოლიტიკის მართვაში წამყვანი როლი უნდა დაეკისროს რეგიონული განვითარების სააგენტოებს – რეგიონულ მთავრობასთან არსებულ მმართველ კომპანიებს. სააგენტოების მონაცემები ერთგვარი საძირკველია კლასტერული ინიციატივების წარმოქმნისა და მხარდაჭერისათვის, ისინი აუაღიბებენ რეგიონის განვითარების სტრატეგიას და ქმნიან ბიზნესგეგმებს უახლოესი მიზნების მისაღწევად.

რეგიონული სააგენტოების მთავარი ამოცანებიდან შეიძლება გამოიყოს:

1. კლასტერის პოტენციური სტრატეგიული შესაძლებლობების განსაზღვრაში კომპანიების დახმარება და ანალიზი იმისა, თუ როგორ შეიძლება მათი უკეთ გამოყენება;

2. კლასტერის მთავარ მონაწილეებს შორის თანამშრომლობის აგების ინსტიტუციური ან ქსელური მექანიზმების შემუშავება;

3. კვლევით ორგანიზაციებსა და კომპანიებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხარისხის ამაღლება, ასევე დახმარება გამოგონებითა კომერციალიზაციაში;

4. ინვესტიციების მოზიდვა კლასტერში დაფინანსების საინვესტიციო წყაროების დეფიციტის დასაფარავად;

5. ინფრასტრუქტურის სრულყოფა;

6. კლასტერის მონაწილეთა დონის ასამაღლებლად დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და რეალიზაცია;

7. მომწოდებელთა ჯაჭვის განვითარება;

8. ახალი ბიზნესინიციატივების განვითარების მხარდაჭერა;

კლასტერული პოლიტიკის რეალიზაციაში განსაკუთრებული როლი ეკისრება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს.

საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებისათვის აქტუალურია კლასტერული მიდგომის გამოყენება საწარმოების, რეგიონებისა და მთლიანად ნაციონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნებისათვის.

კლასტერული ინიციატივების განვითარება საქართველოში ითხოვს შემდეგი ამოცანების მოგვარებას:

1. შემუშავდეს და დამტკიცდეს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია ინოვაციური კლასტერული სტრუქტურების საფუძველზე;

2. საკანონმდებლო დონეზე იქნეს უზრუნველყოფილი მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი საქმიანი გარემოს შექმნა, აქცენტი გაუკეთდეს ხელისუფლებასთან, ბიზნესთან, მეცნიერებასთან, განათლებასთან და ინოვაციური ქსელური სტრუქტურების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე.

3. შეიქმნას კონკურენტუნარიანობის ეროვნული და რეგიონული საბჭოები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ ინოვაციური კლასტერული გაერთიანებების და სხვა ქსელური ფორმირებების პროექტების შემუშავებასა და რეალიზაციას;

4. უზრუნველყოფილ იქნეს ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა ინოვაციური ქსელური სტრუქტურების განვითარებასა და ფუნქციონირებაში მონაწილე სპეციალისტების მომზადება-გადამზადებისათვის;

5. ჩატარდეს ფუნდამენტური კვლევები ქვეყანაში ეროვნული და რეგიონული საწარმოო კლასტერების ფორმირების პრიორიტეტების განსაზღვრად.

საზღვარგარეთული გამოცდილებისა და ქვეყნის სპეციფიკური პირობების შესწავლის საფუძველზე უნდა განხორციელდეს კლასტერული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და რეალიზაციის მეთოდოლოგიური საფუძვლები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ბარათაშვილი, ნ. გრძელიშვილი, ნ. გალახვარიძე, ნ. ნადარეიშვილი. რეგიონული ეკონომიკა. თბილისი, 2010.
2. ჭითანავა ნ. საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბილისი, „ივერონი“, 2012.
3. Адамова К.З. Кластерная политика как инструмент повышения конкурентоспособности национальной экономики // Вестник Саратовского государственного технического университета, № 38, 2009.
4. Портер., М. Конкуренция. М., Издат дом „Вильямс“, 2003.
5. Мингалева Ж, Ткачева С. Кластеры и формирование структуры региона. // Мировая экономика и международные отношения, №5, 2009. С.100-102.
6. Цихан, Т. В. кластерная теория экономического развития. // Теория экономического развития. Теория и практика управления, №5, 2003.
7. Харрод Рай Ф. К теории экономической динамики. М.: «Гелиос АРВ», 1999. 160 с.
8. Creationand development of clusters.Warsazawa, pazdziernik, 2010.

REGIONAL CLUSTERS AND GEORGIA Annotation

In this work is discussed the role and meaning of regional clusters in increasing of country competitiveness. There is also given some information about the strategy of cluster formation. Here is discussed cluster essence and role in Economics. There is also said that clustered politics is a new direction in the politics of economic development, and also clustering is very weak on modern level of Economic development of Georgia and it does not have final form yet. In this business is very important the relationship between state and society, society and regions, state and private sector because all these will promote too much formation of above discussed phenomenon. Formation of clusters must be directed on the basis of science.

One task is to show clustering potential in increasing of competitiveness both in country and region. As the world practice shows us the cluster approach is not only a mean to reach goals of industrial politics, (structural changes, increasing competitiveness, intensification of new courses etc) at the same time this is a powerful tool to stimulate regional development, which at the end may be seen in trade balance stimulation of region, also in raising the employment, in budgets of different level and in increasing salary, in raising of industrial sustainability and competitiveness of region.

Economics based on clusters – is economic model which is competitive and attractive for investment, it ensures high living standard and quality of society and involves in manufacturing not only big enterprises of region but also small and medium business.

Галина Алексеевна Кундеева

ИННОВАЦИОННОЕ РАЗВИТИЕ ПИЩЕВОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ КАК ОСНОВА УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ УКРАИНЫ

Устойчивое развитие мировой цивилизации зависит от обеспечения ее безопасности и, в частности, продовольственной. Продовольственная безопасность государства – это обеспеченная соответствующим ресурсным потенциалом и гарантиями способность страны удовлетворять потребности в питании населения в объемах, качестве и ассортименте, необходимых для сохранения его здоровья и расширенного воспроизводства, независимо от влияния негативных внешних и внутренних факторов спроса и предложения, изменения ценового уровня рыночной конъюнктуры. В настоящее время продовольственная безопасность Украины значительным образом определяется развитием агропромышленного комплекса, в том числе пищевой промышленности.

Пищевая промышленность является стратегически важной отраслью национального хозяйства, от которой зависит благосостояние украинского народа, а ее расширенное ускоренное воспроизведение выступает одной из главных предпосылок преодоления кризисных явлений и достижения устойчивого экономического роста страны. Особая роль пищевой промышленности в развитии любой страны определяется социальной значимостью продукции, которая имеет первостепенное значение для жизни и здоровья человека. Пищевая промышленность выступает организатором и интегратором агропромышленного комплекса, способствует развитию других отраслей как участник агропромышленного рынка.

В Украине, на современном этапе развития, пищевая промышленность входит в первую пятерку отраслей по наполнению государственного бюджета и оказывает существенный вклад в производство валового внутреннего продукта. Она способна обеспечить внутренние потребности в продовольственных товарах и занятость населения, а также способствует привлечению в страну иностранных инвестиций [1, 2]. В течение последнего десятилетия пищевая промышленность демонстрирует одни из самых высоких темпов роста объемов производства продукции среди других отраслей экономики (за исключением 2010-2011 годов, когда индекс промышленного производства пищевых продуктов, напитков и табачных изделий был меньше, чем в целом по промышленности Украины) (см. рис. 1).

Негативные тенденции в течение 2008-2009 годов объясняются влиянием глобального финансово-экономического кризиса и снижением покупательной способности населения. Однако, уже в 2010 году пищевая промышленность восстановила активный рост благодаря более устойчивому спросу и умеренной переориентации внутреннего потребления на украинские продовольственные товары.




Рис. 1. Индексы промышленного производства Украины в 2000-2011 гг.

Источник: Построена по данным Госкомстата Украины [1].

Пищевая промышленность обладает рядом особенностей, которые оказывают существенное влияние на ее развитие. К ним относятся высокие санитарно-гигиенические и экологические требования к содержанию продуктов питания и технологии их производства, ограниченный срок хранения и доставки ряда видов готовой продукции, постоянное

повышение требований безопасности для здоровья потребителей, что ограничивает использование некоторых материалов, индивидуализация спроса на локальных рынках и у отдельных групп потребителей, и др.

Специфика пищевой промышленности связана также с особенностями рынка продуктов питания. С одной стороны, спрос на продукцию является стабильным, что делает пищевую отрасль по всей цепочке создания стоимости привлекательной для инвестиций. В то же время на многие виды продуктов питания (деликатесы, экологически чистые продукты) он тесно связан с уровнем платежеспособности населения и существенно колеблется на локальных рынках. Спрос прямо связан с ментальностью населения разных регионов (привычка к потреблению разных сортов мясных продуктов, молока, хлеба и т.д.). Это требует постоянной работы по выбору ассортимента производимой продукции, способов ее расфасовки и доставки до потребителя.

Проведенный анализ состояния пищевой промышленности свидетельствует о том, что основные её финансово-экономические показатели не соответствуют требованиям перспективного развития отечественной экономики, что не может не сказываться на уровне продовольственного обеспечения населения. Производство основных видов продовольствия не обеспечивает продовольственную безопасность, выступающую в качестве важнейшей составляющей национальной безопасности Украины (таблица 1).

Повышение конкурентоспособности пищевой промышленности и укрепления ее экспортного потенциала возможно только путем инновационного развития, включая продуктовые инновации, позволяющие производить новые, востребованные на рынке виды продукции, и технологические инновации, обеспечивающие более глубокую переработку сельскохозяйственного сырья и снижающие себестоимость продукции, обеспечивая повышение ее конкурентоспособности. Реализация этих мероприятий невозможна без интенсивных инноваций, включая маркетинговые и организационные, направленные на развитие средних и малых предприятий пищевой промышленности.

Таблица 1

Уровень фактического среднелюдового объема потребления продовольствия относительно минимальной и физиологической норма потребления

Продукты продовольственной корзины	минимальная норма потребления	физиологическая норма потребления	Года								
			1990	2000	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
Хлеб и хлебобулочные изделия	94,0	101,0	141,0	125,0	124,0	120,0	116,0	120,0	112,0	111,0	110,0
в % до мин. нормы			150,0	133,0	131,9	127,7	123,4	127,7	119,1	118,1	117,0
в % до физ. нормы			139,6	123,8	122,8	118,8	114,9	118,8	110,9	109,9	108,9
Мясо и мясные продукты	52,0	83,0	68,0	33,0	39,0	42,0	46,0	43,0	50,0	52,0	51,0
в % до мин. нормы			130,8	63,5	75,0	80,8	88,5	82,7	96,2	100,0	98,1
в % до физ. нормы			81,9	39,8	47,0	50,6	55,4	51,8	60,2	62,7	61,4
Молоко и молочные продукты	341,0	380,0	373,0	199,0	226,0	235,0	224,0	225,0	212,0	206,0	205,0
в % до мин. нормы			109,4	58,4	66,3	68,9	65,7	66,0	62,2	60,4	60,1
в % до физ. нормы			98,2	52,4	59,5	61,8	58,9	59,2	55,8	54,2	53,9
Рыба и рыбные продукты	12,0	20,0	18,0	8,0	14,0	14,0	15,0	14,0	15,0	15,0	13,0
в % до мин. нормы			150,0	66,7	116,7	116,7	125,0	116,7	125,0	125,0	108,3
в % до физ. нормы			90,0	40,0	70,0	70,0	75,0	70,0	75,0	75,0	65,0
Яйца, шт.	231,0	290,0	272,0	166,0	238,0	251,0	252,0	245,0	272,0	290,0	310,0
в % до мин. нормы			117,7	71,9	103,0	108,7	109,1	106,1	117,7	125,5	134,2
в % до физ. нормы			93,8	57,2	82,1	86,6	86,9	84,5	93,8	100,0	106,9
Овощи и бахчевые культуры	105,0	161,0	103,0	102,0	120,0	127,0	118,0	120,0	137,0	144,0	146,0
в % до мин. нормы			98,1	97,1	114,3	121,0	112,4	114,3	130,5	137,1	139,0
в % до физ. нормы			64,0	63,4	74,5	78,9	73,3	74,5	85,1	89,4	90,7
Фрукты, ягоды и виноград	68,0	90,0	47,0	29,0	37,0	35,0	42,0	41,0	46,0	48,0	53,0
в % до мин. нормы			69,1	42,6	54,4	51,5	61,8	60,3	67,6	70,6	77,9
в % до физ. нормы			52,2	32,2	41,1	38,9	46,7	45,6	51,1	53,3	58,9
Картофель	96,0	124,0	131,0	135,0	136,0	134,0	130,0	135,0	133,0	128,0	136,0
у % до мин. нормы			136,5	140,6	141,7	139,6	135,4	140,6	138,5	133,3	141,7
в % до физ. нормы			105,6	108,9	109,7	108,1	104,8	108,9	107,3	103,2	109,7
Сахар	32,0	38,0	50,0	37,0	38,0	40,0	40,0	40,0	38,0	38,0	38,0
в % до мин. нормы			156,3	115,6	118,8	125,0	125,0	125,0	118,8	118,8	118,8
в % до физ. нормы			131,6	97,4	100,0	105,3	105,3	105,3	100,0	100,0	100,0
Растительные жиры	8,0	13,0	12,0	9,0	14,0	14,0	14,0	14,0	15,0	15,0	14,0
в % до мин. нормы			150,0	112,5	175,0	175,0	175,0	175,0	187,5	187,5	175,0
в % до физ. нормы			92,3	69,2	107,7	107,7	107,7	107,7	115,4	115,4	107,7

Источник: Рассчитано автором на основе данных Госкомстата Украины [1].

Анализ направлений развития пищевой промышленности позволил сгруппировать инновации, которые необходимо реализовать для повышения конкурентоспособности отечественной пищевой промышленности:

- Продуктовые – разработка продуктов «здорового питания»; разработка и производство полуфабрикатов и продуктов, требующих минимальной обработки; разработка продукции для особых групп населения, детей, людей с инвалидностью.

- Технологические – разработка и внедрение безотходных технологий; применение энергосберегающих и ресурсосберегающих технологий на всех этапах производства и хранения продукции; увеличение сроков хранения продуктов с использованием упаковочных материалов, обладающих фунгицидными свойствами.

- Маркетинговые – использование биоупаковки; развитие современных технологий маркетинга, рекламы и продвижения товара.

- Организационные – применение современных систем контроля качества и сертификации; развитие организаций малого бизнеса; повышение инновационной активности персонала.

По продуктовым инновациям наиболее актуальным является расширение ассортимента, по технологическим – деятельность, которая направлена на экономию энергии и сырья, увеличение безопасного срока хранения и внедрение безотходного производства, инновациям в сфере маркетинга – использование экологической упаковки и формирование узнаваемости товара и бренда.

Конструктивный анализ мирового опыта в области инновационно- ориентированного развития пищевой промышленности показал, что процесс стимулирования инноваций необходимо осуществлять на основе принципов, обеспечивающих формирование реальных условий, обеспечивающих возможность организациям пищевой промышленности активизировать инновационную деятельность во всех направлениях, прежде всего:

- Доступность – все участники рынка имеют равный доступ к методам и средствам стимулирования инноваций.

- Комплексность – интеграция продуктовых, технологических и организационно-управленческих инноваций, обеспечивающих синергетический эффект.

- Согласованность – методы стимулирования инноваций не должны противоречить друг другу.

- Дифференцированность – выбор методов стимулирования инноваций ориентирован на ключевые направления развития конкретных субъектов рынка пищевой промышленности.

- Гибкость – настройка базовых методов стимулирования инновационной деятельности на факторы создания стоимости с целью достижения эффективности бизнеса.

- Оперативность – скорость принятия и реализации решений в части продвижения инноваций.

- Результативность – достижение поставленных целей посредством контроля за целевым и полным использованием инноваций.

От степени реализации указанных принципов зависит возможность осуществления, эффективность и результативность инновационной деятельности в отечественной пищевой промышленности.

К основным ключевых факторов, повышающих эффективность деятельности предприятий пищевой промышленности, по нашему мнению, следует отнести: внедрение инновационных технологий и энергосберегающих проектов; увеличение инвестиций в производство конкурентоспособной продукции для продления термина хранения и улучшения качества продукции; разработка мероприятий по снижению затрат на производство и сбыт продукции; расширение ассортимента и формирование сбалансированного портфеля брендов и своевременное выведение на рынок новых продуктов; оптимальное ценообразование и ценовые предложения для различных категорий потребителей; усовершенствование системы дистрибуции, развитие собственной торговой сети; ориентация на диверсификацию рынков с учетом потребностей внутреннего и внешнего рынков, расширение рынков сбыта, в том числе за счет экспорта; создание и развитие собственной сырьевой базы; формирование и развитие интегрированных объединений (вертикальная и горизонтальная интеграция).

Литература

1. Статистичний щорічник України за 2011 рік. [За ред. О.Г.Осауленка]– К.:ТОВ «Август Трейд», 2012, –559 с.

2. Месель-Веселяк В.Я. Підвищення конкурентоспроможності аграрного сектору економіки України / В.Я. Месель-Веселяк // Економіка АПК. – 2007. – № 12. – С. 8-14.

Galuna Kundieva

INNOVATIVE DEVELOPMENT OF FOOD INDUSTRY AS BASIS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF UKRAINE

Annotation

Close links between sustainable development of global civilization and food security were defined. Food security in Ukraine is significantly determined by the development of agriculture, including food industry. Analysis of the activities of food industry enterprises indicates that among other sectors of Ukrainian economy, food industry shows one of the highest rates of growth in production volumes over the last decade. Specific character of the food industry was analyzed from the points of view of supply and demand as well. Analysis of a state of food industry shows that production of basic food does not provide the physiological norm of consumption and, consequently does not provide food security for the country. Improving the competitiveness of the food industry is possible only through the innovative development, including product innovations that allow producing new and popular products for the market, technological innovations that provide deeper processing of agricultural raw materials and reduce production costs.

*ანა კურტანიძე
ლელა ბოჭორიძე*

ტრანსპორტის ავტომატიზებული ტექნოლოგიების როლი მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში

თანამედროვე ბიზნესში ფართოდ გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომელიც ხალხს უწყობს მენეჯმენტის და მარკეტინგის ეფექტურობის პროცესს. საბაზრო ეკონომიკის, ეკონომიკური რეფორმე-

ბის წარმატება, თავისუფალი ბაზრისა და კერძო სექტორის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების დონეზე. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის განვითარებას. ეკონომიკის, განათლების, თავდაცვის და წარმოების სფეროში, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დამოკიდებულია შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებაზე. ინფორმაციული ტექნოლოგიები განაპირობებს სამეურნეო პროცესების მჭიდრო ინტეგრაციას, აგრეთვე ქსელური ეკონომიკის, ელექტრონული ბაზრის, კონკურენტული და ბიზნესგარემოს საინვესტიციო გავრცელებას და დამკვიდრებას. იგი არის მოპოვებული წყაროების აბსოლუტურად თავისუფალი, არაკონტროლირებადი, ანონიმური, ცენზურის და რედაქტირების გარეშე არსებული სივრცე. მისი ინფრასტრუქტურის მართვაზე ზრუნავენ სახელმწიფოები, მთავრობის, კერძო სექტორის და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან სწავლულ-ექსპერტები.

დღესდღეობით წარმოდგენილია კერძო ბიზნესის ან სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობა სატრანსპორტო საშუალებების მასობრივი გამოყენების გარეშე. ამასთანავე იზრდება მოთხოვნილება როგორც ცალკეულ სატრანსპორტო საშუალებაზე, აგრეთვე მთლიანად პარკის გამოყენებაზე.

მართვის ავტომატური სისტემის ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას იძლევა, რამდენჯერმე დაჩქარდეს ორგანიზაციის მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება და მათი ოპტიმიზაცია ვირტუალური მეთოდების გამოყენებით, ხოლო სატრანსპორტო საწარმოების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებით მიიღწევა თვითღირებულების 20-40%-ით შემცირება.

ახალი მართვის სისტემის შესადგენად ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს ოპტიმალური მოხმარების რესურსების სწრაფი შექმნა დაბალი ხარჯების წარმოებასა და ექსპლუატაციაზე, მასშტაბები და მოქნილობა. სრული ინფორმაცია ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლევა. ამისთვის საჭიროა მივიღოთ ინფორმაცია და შევინახოთ. ინფორმაციით უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტილება ამოიხსნება ინფორმატიზაციის საშუალებით-ზომების კომპლექსით, რომელიც უზრუნველყოფს უტყუარი ცნობების სრულ გამოყენებას.

საინფორმაციო მიმართულებაში გამოიკვეთა ლოჯისტიკის განვითარების ორი მიმდინარეობა: საინფორმაციო და ვირტუალური ლოჯისტიკა.

ლოჯისტიკური საინფორმაციო სისტემა – პერსონალის, დანადგარების და პროცედურების შემცველი ინტერაქტიული სტრუქტურაა, გაერთიანებულია ერთიან საინფორმაციო ნაკადში, გამოიყენება ლოჯისტიკური მენეჯმენტის მიერ ფუნქციონალური ლოჯისტიკური სისტემების დაგეგმვის, რეგულირების, ანალიზის და კონტროლისათვის. შეიცავს არა მარტო პროცესის ორგანიზებას, არამედ მის ექსპლუატაციასაც. მაგრამ ლოჯისტიკურ საინფორმაციო სისტემებს შეუძლია მოიცვას მხოლოდ ერთი ფიზიკური ორგანიზაციის საინფორმაციო სისტემის განსაზღვრული რაოდენობა.

ტრანსპორტზე შეიძლება გამოიყოს ინფორმაციის შემდეგი ძირითადი სახეები:

საგეგმო-ეკონომიკური: ტვირთის გადაზიდვის და მგზავრთა გადაყვანის პროგნოზები, გადაზიდვების პერსპექტიული, წლიური და ოპერატიული გეგმები, კაპიტალური დაბანდებების გეგმები, საწარმო-საფინანსო გეგმები, ტვირთნაკადების სქემები და სხვა.

ტექნიკურ-ექსპლუატაციური: მოძრაობის გრაფიკები, მატარებლების ფორმირების გეგმები, ტექნოლოგიური რუკები და სხვა ანალოგიური მასალები, ტექნიკური გეგმები, სამსახურებრივი ინსტრუქციები.

ნორმატიულ-მეთოდური: ტრანსპორტის ობიექტების დაპროექტების ტექნიკური მითითებები, მოძრაობის შემაჯავებელი, მოწყობილობის და ნაგებობების ტექნიკური და კომერციული ექსპლუატაციის წესები.

საადრინგო-სტატისტიკური: ტვირთის გადაზიდვის და მგზავრთა გადაყვანის სტატისტიკა, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების სტატისტიკა, მონაცემები სატრანსპორტო ქსელის ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ, საბუღალტრო ანგარიშგება (შრომა, ხელფასი ფინანსები).

სამართლებრივი (წესდებები, კოდექსები, ტარიფები).

საცნობარო-კომერციული: განრიგის წიგნები, შუქრეკლამები და მისი სხვა სახეები, სამგზავრო მატარებლების, თვითმფრინავების, გემების და ავტობუსების გამგზავრების მაჩვენებლები.

ადმინისტრაციულ-მმართველობითი (ბრძანებები და განკარგულებები, სამსახურებრივი ჩანაწერები, ცირკულარები).

სამეცნიერო-ტექნიკური (საინფორმაციო დარგობრივი კრებული, ექსპრეს ინფორმაციის ბროშურები).

დიდი რაოდენობით სარეკლამო პროექტების, ინტერნეტქსელის ფართო გამოყენებამ (როდესაც ქსელში მუშაობენ არა მარტო საწარმოები, არამედ დამკვეთები) მიგვიყვანა ლოჯისტიკაში ახალი მიმართულების ჩამოყალიბებასთან – ვირტუალური ლოჯისტიკა.

ვირტუალური ლოჯისტიკა – ეს ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად ეფექტური პროცესების (დაგეგმვა, მართვა, კონტროლი) რეალიზაციაა, დროის სივრცეში გარდაქმნილი მატერიალური და საინფორმაციო ნაკადების, დაგროვილი გამოცდილების და ინტერნეტქსელის ლოჯისტიკური რესურსებისა და სხვა საინფორმაციო სისტემების გამოყენებით. იგი ობიექტური რეალობაა.

ვირტუალური ლოჯისტიკა არ განიხილება, როგორც საინფორმაციო სისტემის ან საწარმოს შექმნის პრინციპი, არამედ წარმოადგენს ვირტუალური რესურსების გამოყენებისას საწარმოს ლოჯისტიკური მუშაობის შემსწავლელ მეცნიერებას.

მართვის ავტომატიზებული სისტემით მიღებული გადაწყვეტილებების სფერო:

1. კაპიტალდაბანდების პროგრამები;
 - სატრანსპორტო საშუალებების შექმნა;
 - სატრანსპორტო საშუალებების ლიზინგი;
 - მოთხოვნილებების დაგეგმვა ბრუნვად კაპიტალში.
2. ტრანსპორტირების შესრულება;
 - მარშრუტების დაგეგმვა;

- მარშრუტზე ტექნიკური საშუალების მეთვალყურეობა;
- ტრანსპორტის გარბენის და ხარჯების ოპერატიული ანგარიში.
- 3. ტექნიკური დანადგარების მართვა და რემონტი;
- ტექნიკური დანადგარების რემონტის დაგეგმვა;
- რესურსების გადანაწილება;
- სამუშაოების შესრულება;
- ტრანსპორტის საიმედოობის მართვა;
- სატრანსპორტო საშუალებების მდგომარეობაზე ოპერატიული კონტროლი.
- 4. საწყობები და დამატებითი ნაწილები;
- ტექნიკური დანადგარების მომარაგება;
- საწყობების მართვა;
- დამატებითი ნაწილების ოპტიმიზაცია.
- 5. ეფექტური მართვა;
- ეფექტურობის საოპერაციო პანელი;
- დაბალანსებული მანევრებლების სქემები.

სატრანსპორტო საწარმოს ეფექტურად მართვისათვის საჭირო გადაწყვეტილების მიღება მარშრუტების და ტვირთის ნაკადის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა. ფართოდ გამოიყენება კლიენტების (კლიენტებზე არსებული პორტფოლიოს შესაბამისად) პორტალური ხელმისაწვდომობა ტვირთთან მუშაობის მდგომარეობის ინფორმაციაზე. მაგ., თავუნას ერთი დაწკაპუნებით კლიენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სასაწყობო მარაგის დონის მონაცემებზე, დაფასობასა და შეფუთვაზე ან პარტის მიწოდების სტატუსზე.

სატრანსპორტო საშუალებების პარკის მართვისათვის ეს გადაწყვეტილებები მოიცავს დიდი რაოდენობით წინასწარ კონფიგურირებულ მოხსენებებს, რაც სატრანსპორტო საშუალების ეფექტურობის ანალიზის საშუალებას იძლევა. ნავაჭრი და ხელფასის შესაძლებელია გაანალიზდეს როგორც სატრანსპორტო საშუალებების ცალკე ჭრილში, ასევე საჭირო დაჯგუფებებში. ასეთი დაჯგუფებების მაგალითები შესაძლებელია იყოს ტრანსპორტის სახეობები, სატრანსპორტო საშუალებები, მოდელები ან საწარმოები – დამამზადებლები. როგორც ტრანსპორტირების ოპერაციებში, ასევე სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ოპერაციებში არსებობს უამრავი წინასწარ განსაზღვრული ნიშნები და მანევრებლები.

ძლიერი ლოჯისტიკური ფუნქციონალურობის და ინტეგრაციის ოპტიმალური შესაძლებლობების კომბინაციის შედეგად შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ საწარმოს მართვის ავტომატიზებული მეთოდები, რომლის საშუალებით მივალწევთ სატრანსპორტო საწარმოების მართვის ეფექტიანობას .

გამოყენებული ლიტერატურა

1. Архипова Н.И. Кульба В.В., Косяченко С.А., Исследование системы управления. М.: ПРИОР, 2008, ст.80.
2. Емельянов С.В. Введение в проблематику научного управления. – М.: Международный центр научной и технической информации, ст.30.

*Ana Kurtanidze
Lela Bochoidze*

THE ROLE OF AUTOMATIZED TECHNOLOGIES OF TRANSPORT IN THE WORLD GLOBALIZATION PROCESS Annotation

Automatized management system with the high level of information support can be considered as the measure of transport organization management improvement that excludes the implementation of parallel works, duplication of transportations, maximal load of cargo and passenger transportation at one certain route. "Information" is the important resource that is used in the process of analysis and processing of management economic decisions. Any process of management is connected with the large-scale use of information that reduces system uncertainty and due to this information gets the quantitative measurement in the cybernetics.

*კატერინე მაღლაკელიძე
ელისაბედ მაღანია*

ქართული საბითუმო ელექტრობაზრის კონცეპტუალური მოდელი

რეგულირებისაგან თავისუფალი ელექტრობაზრის შექმნა და, მაშასადამე, ახალი ქართული ელექტრობაზრის მოდელის (ქებმ) შემუშავება და ელექტროენერგიით ვაჭრობის მექანიზმის (ევმ) ფორმირება დაგეგმვა-რება კონკრეტული მიზნების მიღწევაში, რომლებიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- ფართო გაგებით, ძირითადი მიზანია ჰიდროელექტროსადგურებს და ელექტროენერგიის სხვა მწარმოებლებს მიეცეთ შესაძლებლობა, გარანტირებულად გაყიდონ წარმოებული ელექტროენერგია თურქეთის და რეგიონის სხვა ელექტრობაზრებზე. ქართული ელექტრობაზრის მოდელს (ქებმ) და ელექტროენერგიით ვაჭრობის მექანიზმს (ევმ) დასჭირდება გადაცემის სისტემაზე დაშვების და მისი გამოყენების წესების საჯაროდ გამოცემა (პირობითად, ქსელის კოდის შემუშავება) ისევე, როგორც გარკვეული რეგულატორების შემოღება, რაც მინიმალური ტექნიკური მოთხოვნების დაცვას გულისხმობს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ელექტროსისტემის გამართული მუშაობა;

- ელექტრობაზრის კანონმდებლობის პარმონიზაცია თურქეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის (საე) ქვეყნების კანონმდებლობასთან იმდენად, რამდენადაც ეს ხელს შეუწყობს ელექტროენერგიით ვაჭრობას;

• სამართლებრივი სტრუქტურების დაფუძნება და კომერციული პირობების შემოღება, რომლებიც აუცილებელია გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული ელექტრობაზრის განვითარებისათვის, იმ წესების ჩათვლით, რომლებიც აუცილებელი იქნება საქართველოს ელექტრობაზარზე გარიგებების განსახორციელებლად, გადაცემისა და განაწილების სისტემაზე დასაშვებად და რეგიონულ ელექტრობაზართან დასაკავშირებლად. ყველაფერი ეს შესაძლებლობას მოგვცემს, განვახორციელოთ ჩვენთვის მომგებიანი იმპორტ-ექსპორტი;

• დამოუკიდებელი და კომპეტენტური მარეგულირებელი ინსტიტუტის – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ ელექტრობაზრის მონიტორინგი, რომელსაც ყველა კანონიერად დაქვანებული უფლებამოსილება ექნება;

• სემეკი-ს მიერ სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავება, რაც უზრუნველყოფს არა მარტო ზუსტი და პროგნოზირებადი ფასების ფორმირებას, არამედ სტიმულს მისცემს გადაცემისა და სადისტრიბუციო კომპანიებს უზრუნველყონ მაღალი ხარისხის საიმედო სერვისები;

• ენერჯის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის გაყიდვის შესაძლებლობა თურქეთსა და ევროკავშირში ევროპის ისეთ მომხმარებლებთან დაშვების უზრუნველყოფით, რომლებსაც განახლებადი ენერჯის ყიდვის მანდატით მინიჭებული უფლება აქვთ;

• ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომლის პირობებშიც პროგრესულად განვითარდება ელექტროენერჯით როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობა.

გადასადგმელი ნაბიჯები. ზემოთ აღწერილი მიზნების მისაღწევად კონკურენტული ქართული ელექტრობაზრის მოდელის (ქებმ) დანერგვისა და ელექტროენერჯით ვაჭრობის მექანიზმის (ეგმ) ფორმირების ისევე, როგორც სამართლებრივი/მარეგულირებელი მექანიზმის შექმნის მიზნით, უნდა გადაიდგას განსახლებული ფუნდამენტური ნაბიჯები, რაც გულისხმობს შემდეგს:

1. დისტრიბუციის ლიცენზიის მფლობელების ამჟამინდელი აქტივობების ფუნქციონალური დაყოფა რამდენიმე დამოუკიდებელი განაწილების სისტემის ოპერატორის (გსო) შექმნის მიზნით, რომლებიც განახორციელებენ ელექტროენერჯის მიწოდებას მათ მიერ მომსახურე ტერიტორიაზე და, საბოლოოდ, საცალო კომუნალურ მიწოდებლებად (სკმ) ჩამოყალიბდებიან, რომელთაც სადისტრიბუციო სისტემის დამოუკიდებლად ფლობის და მართვის უფლებამოსილება ექნებათ;

2. ბაზრის მონაწილეთა სამართლებრივი დაყოფა EU-ს მოთხოვნების შესაბამისად;

3. ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო) ამჟამად ელექტროენერჯის „ერთიანი შემსყიდველის“ ეტაპობრივი გარდაქმნა ერთეულად, რომელიც მხარს დაუჭერს როგორც რეგულირებად, ისე არარეგულირებად ბაზრებს. ამ ცვლილებასთან დაკავშირებით, ესკოს ზოგიერთ ფუნქციას ბაზრის ოპერატორი (ბო) შეასრულებს;

4. ელექტროენერჯის ბაზარზე რისკების შემცირების ისეთი ინსტრუმენტების შექმნა, რომლებიც აღმოვალით თურქეთში მოქმედი ინსტრუმენტების მსგავსი იქნება. მათ შორის იგულისხმება ფინანსური დერივატივები, არასაბირჟო გაყიდვები, ენერგობირჟა და საბალანსო ჯგუფები;

5. გადაცემის სისტემის დამოუკიდებელი ოპერატორის შექმნა;

6. დამოუკიდებელი ბაზრის ოპერატორის ჩამოყალიბება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ენერგობალანსის უზრუნველყოფაზე;

7. ბაზრის მომსახურე საანგარიშსწორებო სახლის/კლირინგული პალატის ინსტიტუციის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურ და ფინანსურად სიცოცხლისუნარიან ელექტროენერჯის ბაზარს;

8. ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის მოთხოვნა რეგულირებადი ელექტროენერჯის ბაზრისთვის, რომელშიც შედის რეგულირებადი გენერატორები/მწარმოებლები (რგ), გადაცემის სისტემის ოპერატორები (გსო) და განაწილების სისტემის ოპერატორები (გსო);

9. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ ქართული ელექტრობაზრის მოდელზე (ქებმ), ელექტროენერჯით ვაჭრობის მექანიზმისა (ეგმ) და ბაზრის მონაწილეებზე (ბმ) ეფექტური დამოუკიდებელი მარეგულირებელი ზედამხედველობის უზრუნველყოფა;

10. ბაზრის მონიტორინგისა და მონაცემთა ანგარიშგების პროცესის განხორციელება;

11. ბაზრის ოპერირების წესების და მათთან დაკავშირებული მარეგულირებელი დებულებების და პროცედურების პრაქტიკაში გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ მყარ გარანტიებს საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების და არასამართლიანი საეკონომიკური პრაქტიკის წინააღმდეგ;

12. საქართველოში არსებული ელექტროენერჯის ბაზრის „ერთიანი შემსყიდველის“ და ნაწილობრივ „ორმხრივი ხელშეკრულებების“ მოდელიდან კონკურენტული ბაზრის მოდელზე გადასვლა, რომელსაც ეყოლება სერვისის პროვაიდერები, რომლებიც ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებას უზრუნველყოფენ.

წინამდებარე სტატიაში ვისაუბრებთ სწორედ ბაზრის მომსახურე ერთეულების (იგივე, სერვისის პროვაიდერები) საქმიანობის შესახებ, ხოლო მომდევნო სტატიებში კი საუბარი გვექნება ბაზრის მონაწილეებზე და მათ შორის მოსალოდნელ ელექტროენერჯის ნაკადებზე ქართული ელექტრობაზრის მოდელის (ქებმ) პირობებში.

ბაზრის მომსახურე ერთეულები სექტორის მომსახურებას ახორციელებენ სემეკი-ს მიერ გაცემულ ლიცენზიასთან შესაბამისობით. ბაზრის მომსახურე ერთეულებს წარმოადგენენ: გადაცემის და განაწილების სისტემების მფლობელები; გადაცემის და განაწილების სისტემის ოპერატორები, ბაზრის ოპერატორი, ბაზრის მომსახურე საანგარიშსწორებო სახლი (ასევე ესკო, რომელიც გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ძველებურად შეასრულებს ბალანსზე პასუხისმგებელი მხარის და „ერთიანი შემსყიდველის“ ფუნქციებს). ეს ორგანიზაციები ერთობლივად იღებენ პასუხისმგებლობას ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციაზე, ელექტროენერჯის ნაკადის შენარჩუნებაზე, საბალანსო ბაზრის ოპერირებაზე (ბალანსირებაზე პასუხისმგებელ მხარესთან ერთად) და ელექტროენერჯის გაყიდვისა და შესყიდვის რეგულირებაზე.

გადაცემის სისტემის ოპერატორი (გსო). გადაცემის სისტემის ოპერატორი (გსო) ვალდებულია, რეალურ დროში უზრუნველყოს ენერგოსისტემის უსაფრთხო ფუნქციონირება. გსო არის მთავარი ერთეული, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ენერგოსისტემის პროგნოზების შემუშავებაზე. სანდო პროგნოზები საჭიროა იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ელექტროენერჯის მიწოდების ხარისხი, უწყვეტობა და სანდობა. ბაზრის სხვადასხვა მონაწილეებმა საკუთარი წვლილი უნდა შეიტანონ გსო-ს მიერ პროგნოზების მომზადებაში პროგნოზირების დროითი პორიზონტის გათვალისწინებით. მხედველობაში გვაქვს გრძელვადიანი (ერთი და მეტი წელი) და მოკლევადიანი (ერთ წელზე ნაკლები) პროგნოზების შემუშავება. უახლოეს მომავალში გსო უნდა გახდეს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე) ქვედანაყოფი, სახელმწიფო კომპანია, რომელიც შეასრულებს ელექტროგადაცემის ფუნქციას და, იმავდროულად, გადაცემის სისტემის მფლობელიც იქნება. გარდამავალ პერიოდში, გადაცემის სისტემის ოპერატორი (გსო) საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე) სამართალმემკვიდრე გახდება და ლიცენზირებული იქნება სემეკის მიერ.

ქართული ელექტრობაზრის მოდელის (ქებმ) მიხედვით, გსო-ს უფლება ექნება:

- მოითხოვოს საცალო კომუნალური მიმწოდებლებისაგან (სკმ) და განაწილების სისტემის ოპერატორებისაგან (გსო), რომ მათ შეისყიდონ ელექტროენერჯია იმ რაოდენობით, რომელიც შესაბამისობაში მოვა მისაწოდებელი ელექტროენერჯის რაოდენობასთან, რათა დააკმაყოფილონ სატარიფო მომხმარებლების (სმ) მოთხოვნა დატვირთვაში და დაფარონ განაწილების დანაკარგები;
- მოითხოვოს უფლებამოსილი მომხმარებლისგან დასაბუთებული ინფორმაცია, რომ ისინი შეძლებენ საკმარისი ენერჯის უზრუნველყოფას საკუთარი მოხმარებისათვის;
- მოითხოვოს მოვაჭრეებისგან (თრეიდერებისგან) იმის დასაბუთება, რომ ისინი შეძლებენ უფლებამოსილი მომხმარებლების მოთხოვნის დაკმაყოფილებას ელექტროენერჯიაში;
- მოითხოვოს რეგულირებადი გენერატორებისაგან (რგ), დამოუკიდებელი ენერგომწარმოებლისაგან, მცირე სიმძლავრის ჰესებისაგან იმის დასაბუთება, რომ მათ აქვთ საკმარისი რესურსები იმისათვის, რომ შეასრულონ საკუთარი ვალდებულებები. გსო ასევე:
- მოახდენს დამხმარე სერვისების მოცულობის პროგნოზირებასა და შესყიდვას გენერატორებისაგან ყოველწლიურ, ყოველთვიურ, დღით წინმსწრებ და რეალური დროის ბაზისზე;
- შეისყიდის ელექტროენერჯიას რეგულირებადი გენერატორებისაგან (რგ) და სხვა გენერატორებისგან იმისათვის, რომ დაფაროს გადაცემის სისტემის დანაკარგები;
- მიიღებს მომსახურების კუთვნილ საფასურს ბაზრის მონაწილეებისაგან სემეკის მიერ დადგენილი ტარიფებით.

განაწილების სისტემის ოპერატორი (გსო), საცალო კომუნალური მიმწოდებელი (სკმ) და უფლებამოსილი მომხმარებლები ვალდებული იქნებიან გადაცემის სისტემის ოპერატორს (გსო) მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მას დასჭირდება მოთხოვნის პროგნოზირებისათვის.

პროგნოზირების ფუნქციის შესასრულებლად გადაცემის სისტემის ოპერატორმა (გსო) უნდა შექმნას ცალკე/დამოუკიდებელი ორგანიზაციული ერთეული, მაგ., დეპარტამენტი.

მოკლევადიანი პროგნოზირებისათვის გადაცემის სისტემის ოპერატორმა (გსო) უნდა მოამზადოს თვით, კვირით, დღით წინმსწრები და დღის განმავლობაში პროგნოზები. მწარმოებლებმა და ბაზრის სხვა მონაწილეებმა უნდა უზრუნველყონ სანდო ინფორმაციის მიწოდება დაგეგმილი წარმოებისა და მოსალოდნელი დატვირთვის შესახებ.

გადაცემის მომსახურე კომპანიები. გადაცემის მომსახურე კომპანიები საქართველოს ელექტროგადაცემის სისტემის აქტივებს უნდა ფლობდნენ. ისინი პასუხისმგებელი არიან გადაცემის სისტემის ფიზიკურ მდგომარეობაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ინარჩუნებენ და აფართოებენ სისტემას, რათა მან უპასუხოს პროგნოზებს. ყველაფერი ეს კი გრძელვადიანი ინვესტირებისა და განვითარების ხარჯზე მიიღწევა.

მომსახურე კომპანიებს შემდეგი ვალდებულებები ექნებათ:

- მიაერთონ გენერაციის ობიექტები გადაცემის სისტემასთან;
- მიაერთონ განაწილების სისტემის ოპერატორები (გსო) გადაცემის სისტემასთან;
- მიიღონ გადაწყვეტილებები ახალი ინვესტიციების და რეაბილიტაციის შესახებ, რათა უპასუხონ გადაცემის სისტემის დატვირთვის პროგნოზებს. დღეს საქართველოში გადაცემის მომსახურებას ოთხი კომპანია ასრულებს: საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე), საქრუსენერგო, ენერგოტრანსი და ენერგოპროჯორჯია.

ბაზრის ოპერატორი და ბაზრის დაბალანსება. ქართული ელექტრობაზრის მოდელის (ქებმ) მიხედვით, ბაზრის ოპერატორი (ბო) იქნება სემეკის მიერ ლიცენზირებული ორგანო, რომელიც საბალანსო ბაზრის მართვას განახორციელებს. ბაზრის ოპერატორი (ბო) გენერაციის ობიექტებისაგან (მიმწოდებლები) მიღებულ განაცხადებს ელექტროენერჯის გაყიდვის შესახებ მიუსადაგებს მყიდველების (შემდგომში, „მოვაჭრეები“) მიერ წარმოდგენილ მოთხოვნებს ელექტროენერჯის შესყიდვაზე და გაიანგარიშებს საბალანსო ბაზრის წონასწორობის ფასს.

იმისათვის, რომ „ბო“-მ თავისი ფუნქცია სრულყოფილად შეასრულოს, მას ყოველთვის (მომავალში შეიძლება ყოველწამიერადაც კი) ხელი უნდა მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე, რომელიც შეეხება გენერაციას, ელექტროენერჯის ნაკადებს და ორმხრივ ხელშეკრულებებს „ბაზრის მონაწილეებს“ შორის. „ბო“-მ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს გადაცემის სისტემის ოპერატორთან (გსო) და სემეკ-თან, რომლებსგანაც მიიღებს მისთვის საჭირო ინფორმაციას. მომავალში შესაძლებელია, რომ „ბო“-მ შეასრულოს არა მხოლოდ დაბალანსების ფუნქცია, არამედ ელექტრობირჟის სახითაც მოგვევლინოს.

ბაზრის ოპერატორის ვალდებულებები:

- საათობრივად დაბალანსებული ბაზრის, ანუ ქართული კონკურენტული ელექტრობაზრის ოპერირება;
- საკუთარი ოპერაციების მჭიდროდ კოორდინირება გადაცემის სისტემის ოპერატორთან და სემეკთან;

• ბაზრის მონაწილეების მიერ განხორციელებული ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების აღრიცხვა წინასწარ შეთანხმებული (რეგულირებადი) პროცედურების საფუძველზე და ამ ინფორმაციის გადაცემა ბაზრის მომსახურე საანგარიშსწორებო სახლისათვის (ბმსს) ე.წ. ბაზრის კლირინგული პალატისათვის;

- ენერგობაზრის მართვის წესების მოდიფიცირების შესახებ წინადადებების შემოტანა;
- საბალანსო ბაზარზე ახალი მონაწილეების ტრენინგი.

ბაზრის ოპერატორის (ბო) ზოგიერთ ფუნქციას დღეს ესკო ასრულებს. გრძელვადიან პერსპექტივაში ესკო შექმნის ერთეულს სახელწოდებით „ბაზრის ოპერატორი“ (ბო), რომელიც სამართლებრივად გაემიჯნება ესკოს და გახდება მისი სამართალმემკვიდრე და, შესაბამისად, მიიღებს ლიცენზიას სემპეისაგან, როგორც „ბაზრის ოპერატორი“ (ბო).

ბაზრის მომსახურე საანგარიშსწორებო სახლი (ბმსს), იგივე ბაზრის საანგარიშსწორებო (კლირინგული) პალატა. ბაზრის მომსახურე საანგარიშსწორებო სახლი (ბმსს) შესაძლოა იყოს არსებული ბანკი ან სავაჭრო სახლი, ან, შესაძლებელია, იყოს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი დამოუკიდებელი სააგენტო, ან ელექტრობირჟა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მიმწოდებლებთან სავაჭრო ანგარიშსწორებების წარმოებაზე, მყიდველებისგან სავალდებულო (საგარანტიო) შენატანების შეკრებასა და შენარჩუნებაზე, ვაჭრობის ამსახველი მონაცემების რაპორტინგზე. მაშასადამე, მას ექნება ელექტროენერჯით საბითუმო გარიგებების (შეთავაზებული და მოთხოვნილი ფასების) წარმოების ფუნქცია. „ბაზრის მომსახურე საანგარიშსწორებო სახლი“-ს შერჩევა ტენდერის წესით მოხდება.

განაწილების სისტემის ოპერატორები (გსო), დღეს საქართველოში გამანაწილებელი კომპანიები ფლობენ, ინარჩუნებენ და ამუშავებენ ელექტროენერჯის სადისტრიბუციო სისტემას. ისინი ასევე უზრუნველყოფენ ელექტროენერჯის საცალო მიწოდებას სატარიფო-მომხმარებლებზე. იმისათვის რომ შეიქმნას კონკურენტუნარიანი ელექტრობაზარი და დაერწმუნდეთ, რომ მონოპოლიზებული განაწილების ბიზნესიდან მიღებული შემოსავალი არ გამოიყენება ელექტროენერჯის წარმოებისა და გაყიდვების სუბსიდირებისათვის, აუცილებელია ელექტროენერჯის საცალო მიწოდების ფუნქცია გაემიჯნოს ლიცენზიის მფლობელის განაწილების ფუნქციისაგან.

ქართული ელექტრობაზრის მოდელის (ქეპმ) მიხედვით, არსებული განაწილების ლიცენზიატების ორ განსხვავებულ ფუნქციას დასაწყისში შეასრულებს განაწილების სისტემის ოპერატორის სტრუქტურის შიგნით შექმნილი ორი დამოუკიდებელი ორგანიზაციული ქვედანაყოფი, რომელთა ფუნქციებიც შემდგომში გაიყოფა:

- განაწილების სისტემის ექსპლუატაცია (ტექნიკური მომსახურება) და ოპერირება განხორციელდება არსებული სადისტრიბუციო კომპანიების მიერ, რომელთაც მომავალში დაერქმევათ განაწილების სისტემის ოპერატორები (გსო), ანუ სადისტრიბუციო სისტემის ოპერატორები;
- ელექტროენერჯის საცალო მიწოდება განხორციელდება საცალო კომუნალური მიმწოდებლის (სკმ) მიერ. ეს ქვედანაყოფები დროებით იქნებიან განაწილების სისტემის ოპერატორების მფლობელობაში, მაგრამ განსხვავებულად წარმართავენ თავის საქმიანობას. საბოლოოდ, საცალო კომუნალური მიმწოდებელი (სკმ) სამართლებრივად გაემიჯნება დღევანდელ დისტრიბუციის ლიცენზიატს.

ამრიგად, ელექტრობაზრის კონკურენტულ მოდელზე გადასვლა გარკვეულ ორგანიზაციულ და ფუნქციურ ცვლილებებს გულისხმობს ბაზრის არსებულ მომსახურე ერთეულებში, ისევე, როგორც ახალი ერთეულების ფორმირებას. ქართული ელექტრობაზრის მოდელის (ქეპმ) რეალიზების შემთხვევაში, ეს ორგანიზაციები ერთობლივად აიღებენ პასუხისმგებლობას ელექტროენერჯის დისტრიბუციისა და ელექტროენერჯის ნაკადის შენარჩუნებაზე, საბალანსო ბაზრის ოპერირებაზე (ბალანსირებაზე პასუხისმგებელ მხარესთან ერთად) და ელექტროენერჯის გაყიდვისა და შესყიდვის რეგულირებაზე.

*Ekaterine Maghlakelidze
Elisabed Malania*

CONCEPTUAL MODEL OF GEORGIA'S WHOLESALE MARKET OF ELECTRICITY Annotation

To summarize, transition to the competitive model of electrical market considers a certain organizational and functional changes to be made to the existing service providers of the market as well as establishing the new ones. In the case of realization of Georgian Electricity Market Model (GEMM), these entities will take overall responsibility for ensuring the dispatch of generation, maintaining electricity flows, operating the balancing market (together with a Balance Responsible Party), and for settling electricity sales and purchases.

ეთერ ნარიმანიშვილი

სამართლებლო ტურიზმის მფრადი განვითარება

მდგრადი განვითარების პრინციპმა მნიშვნელოვნად შეცვალა დამოკიდებულება განვითარების, კეთილდღეობის და სხვა საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ. თუ წინათ ქვეყნის კეთილდღეობა განისაზღვრებოდა უპირატესად საერთო ეროვნული შემოსავლით ან შემოსავლით ერთ სულ მოსახლეზე, ახლებური მიდგომა ამას არასაკმარისად მიიჩნევს. ეს მანქანებლები უფრო ეკონომიკური აქტივობის ინდიკატორია, ვიდრე საზოგადოების განვითარების საერთო დონის. მასში არ აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობა, გარემოს მდგომარეობა, ბუნებრივი რესურსების ხარჯვა, საზოგადოების სოციალური და ფსიქოლოგიური მანქანებლები. ისტორიულად, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობა განიხილება როგორც ადამიანის მიერ საარსებო რესურსების გამოყენება მატერიალური და სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. აღიარებულია ადამიანის

ეკონომიკური ინტერესების უპირატესი მნიშვნელობა ბუნებრივ მოვლენებთან შედარებით; გარემო განიხილება როგორც საწოლი, საიდანაც შესაძლებელია ადამიანისათვის აუცილებელი ყველა რესურსის უსაზღვრო გამოყენება. საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ასეთი მიდგომა პროგრესული იყო, რადგან მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ტექნიკური რევოლუციის განხორციელება და საარსებო პირობების გაუმჯობესება. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ პლანეტის თანამედროვე მდგომარეობა არის არა მხოლოდ რესურსების შეზღუდულობისა და ჭარბდასახლების, არამედ პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შედეგი. განსხვავებამ მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის, ისევე, როგორც ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია.

1987 წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე განიხილეს მოხსენება – «ჩვენი საერთო მომავალი», რომელიც ზემოთ აღნიშნული საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტის კონკრეტულ გზებს ასახავს და ე. წ. მდგრადი განვითარების ერთიან კონცეფციას გამოკვეთს: «მდგრადი განვითარება არის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გზა, დაფუძნებული გარემოს სტაბილურ მდგომარეობაზე. ეს გზა უნდა პასუხობდეს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს და, ამავე დროს, მომავალი თაობების განვითარების პერსპექტივებსაც ითვალისწინებდეს». მდგრადი განვითარების გზაზე გადასვლა შეიძლება შევადაროთ სხვა ეპოქალურ ცვლილებებს კაცობრიობის ისტორიაში. მაგრამ ის მოვლენები ხორციელდებოდა თანდათან და შეუვნებლად. ხოლო თანამედროვე რევოლუცია უნდა იყოს ბოლომდე გააზრებული და საბოლოო მიზნები მაქსიმალურად გაცნობიერებული. გარემოს დაცვა და ტურიზმის წარმატებული განვითარება განუყოფელია. ტურიზმს შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი ბუნების დაცვით ღონისძიებებში. ეს იმით აიხსნება, რომ გარემომცველი სამყარო, მხატვრული პეიზაჟითა და უნიკალური ბუნებრივი ძეგლებით, მრავალფეროვანი ფლორითა და ფაუნით, სუფთა ჰაერითა და წყლით, შეადგენს რესურსების იმ დიდ ნაწილს, რომლებიც იზიდავენ ტურისტებს. ტურიზმს შეუძლია დაგვეხმაროს არა მარტო გარემოს დაცვაში, არამედ შეუძლია მისი სუბსიდირებაც. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება კულტურული მემკვიდრეობის დაცვით ღონისძიებებთან ერთად. არქეოლოგიური გათხრები, ისტორიული ძეგლები, ორიგინალური არქიტექტურა, თვითმყოფადი ცეკვები, ხელოვნება, მუსიკა, ხალხური კოსტუმები, ტრადიციები, ფასეულობათა სისტემები შეიძლება შენახული და ადვანსილ იქნეს ან მთლიანად დაიკარგოს. მეტად მნიშვნელოვანია განვითარების ნებისმიერი სტრატეგიის ფარგლებში რეგიონის უნიკალური ისტორიული, კულტურული და სოციალური თვითმყოფადობის მხარდაჭერა და შენარჩუნება. გამოფიტული რესურსების ფონზე ტურიზმის განვითარება, შესაძლებელია, მოსახლეობის საკვებით, საცხოვრებელითა და დასაქმებულობით უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებად იქცეს. ამ პრობლემის გადაჭრა შეიძლება იმ პირობით, რომ ტურიზმმა არ დაახიანოს გარემო და დაფუძნებული იყოს ბუნებრივი და კულტურული რესურსების დაცვაზე და არა არსებული პოტენციალის გამოიტეხაზე.

ტურიზმში ეკოლოგია და ეკონომიკა სულ უფრო და უფრო გადაჯაჭვულია მიზეზშედეგობრივი კავშირების უზარმაზარ სისტემად. დღეისათვის პოპულარული ტურისტული ცენტრების უმრავლესობის საიდუმლო დაფუძნებულია გარემოს სისუფთავეზე, მისი დაცვის ეფექტიან ღონისძიებებსა და ადგილობრივი კულტურის თვითმყოფადობაზე. ადგილებში სადაც ეს არ არის, შეინიშნება მომსახურების დონის დაცემა და ტურიზმის მოცულობის შემცირება, გარემოს ხარისხის გაუარესება, კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვა, ეკონომიკური კონიუნქტურის დაცემა. ეს ყველაფერი მეტად ნეგატიურ გავლენას ახდენს ადგილობრივ მდგომარეობაზე. ადგილობრივ ხელისუფლებას პასუხისმგებლობა ეკისრება რესურსების გონივრულად მართვის უზრუნველყოფისათვის, რათა მომავალ თაობას ჰქონდეს მათი გამოყენების შესაძლებლობა. მდგრად ტურიზმად იწოდება ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომლის მიზანს წარმოადგენს: ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება; დამოვადიერებელთა სასიამოვნო ყოფის უზრუნველყოფა და გარემოს ხარისხის შენარჩუნება, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ მოსახლეობაზე, ისე დამოვადიერებლებზე.

ეკოლოგიურად მდგრადი ტურიზმი თვალსაჩინო დემონსტრირებას უწევს ბუნებრივი და კულტურული რესურსების დიდ მნიშვნელობას საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისათვის და ხელს უწყობს მათ დაცვას. მდგრადი ტურიზმის ფარგლებში ხორციელდება ტურიზმის განვითარების პროცესის კონტროლი, ანალიზი და მართვა; მუშავდება გარემოს მდგომარეობის კონტროლის სამედიო მეთოდები და მიიღება ღონისძიებები ნებისმიერი ნეგატიური გამოვლინების აღმოსაფხვრელად. ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და დაცვის ღონისძიებებს გააჩნია როგორც გლობალური, ისე ადგილობრივი ასპექტები. იმისათვის, რომ ტურიზმი იყოს მდგრადი, ტურისტული საქმიანობის ხასიათი და მოცულობა უნდა ითვალისწინებდეს არსებული ბუნებრივი და ხელოვნური რესურსების გამტარუნარიანობას. გამტარუნარიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარებისათვის. ამ ტერმინით აღნიშნულია ნებისმიერი ადგილის შესაძლო მაქსიმალური დატვირთვა ისე, რომ არ იყოს ნეგატიური შედეგები რესურსებისათვის და არ შემცირდეს ტურისტთა დაკმაყოფილების დონე. აგრეთვე არ მოახდინოს უარყოფითი გავლენა რეგიონის საზოგადოებაზე, ეკონომიკასა და კულტურაზე. მდგრადი ტურიზმის განვითარების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს გამტარუნარიანობის მაჩვენებლები გარემოს ხარისხის შენარჩუნებისა და ტურისტთა დაკმაყოფილების დონის შენარჩუნებისათვის.

ტურისტული ცენტრების ყოველი კატეგორია ხასიათდება თავისი განსაკუთრებული ეკოლოგიური მგრძობელობით: პოტენციურად მრავალ პლავს ახასიათებს შედარებით დიდი მოცულობის გამტარუნარიანობა. იმ დროს, როცა საზღვაო პარკები და ტენიანი ტერიტორიები, სუსტი ეკოსისტემების გამო, შეესაბამება ტურიზმის შედარებით ნაკლებმასიური ფორმების განვითარებას, როგორცაა სათავგადასავლო და სპეციალიზებული ტურიზმი. მთიან და აუთვისებელ რაიონებს ძირითადად ეწვევიან ის ტურისტები, რომელთაც უყვართ ბუნება და აქტიური დასვენების ისეთი ფორმა, როგორცაა ლაშქრობა, მთამსვლელობა, თხილამურებით სრიალი და ველური ბუნებით ტკობა. როგორც წესი, ასეთი ადგილების ეკოსისტემა გამოირჩევა შედარებით

ნაკლები გამტარუნარიანობით, რომელიც საშუალებას არ იძლევა განხორციელდეს მასშტაბური პროექტები და მიღებულ იქნეს მნახველთა დიდი რაოდენობა.

სათხილამურო სპორტი, რომლითაც ერთდროულად დაკავებულია ადამიანთა დიდი რაოდენობა, აუცილებელი ინფრასტრუქტურის, მომსახურების ზონისა და მისასვლელი გზების შესაქმნელად მოითხოვს გულმოდგინე დაგეგმვას, რათა არ მოხდეს გარემოს დაზიანება. შიდა სასოფლო რაიონები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ტყიანი მასივები, ტბები, მდინარეთა კალაპოტები საუკეთესო ადგილებია მცირე კურორტებისა და დასვენების ზონების შესაქმნელად, ქალაქგარეთ აგარაკების ასაშენებლად და დასვენების სპეციალური ფორმების ორგანიზებისათვის. აუცილებელია ყურადღების მიქცევა, რომ ტურისტულმა ობიექტებმა უარყოფითი ზემოქმედება არ მოახდინონ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და ტყიან მასივებზე, აგრეთვე დაუშვებელია წყლის აუზის დაჭუჭყიანება. ქალაქის რაიონები: კულტურული ღონისძიებები, მუზეუმები, ძეგლები, ისტორიული ღირსშესანიშნაობები, მაღაზიები, კულტურული ცხოვრება, კონფერენციები და კონგრესები იზიდავენ დიდი რაოდენობით ტურისტებს და არსებულ ინფრასტრუქტურას შეიძლება გააჩნდეს საკმარისი გამტარუნარიანობა. გამტარუნარიანობა შეიძლება გაიზარდოს ისე, რომ ამ ცვლილებების ნაყოფით სარგებლობა ადგილობრივმა მოსახლეობამაც შეძლოს, მაგრამ ტურისტების ძალიან დიდ რაოდენობას შეუძლია გამოიწვიოს არასაკმარის სიმჭიდროვე, გარემოს დაზიანებები და გაძნელებს სიცოცხლის უზრუნველყოფის ძირითადი სისტემების გამოყენება. ტურიზმის განვითარების მიზნით, გარემოს რესურსების გამოყენებისათვის მიღებული უნდა იქნეს ღონისძიებები, რათა საზოგადოება დარწმუნდეს გარემოს დაცვის მნიშვნელობაში. ანალოგიური მუშაობა უნდა ჩატარდეს ტურისტული ბიზნესის პროფესიონალებს შორისაც. არანაკლებ მნიშვნელოვანია, ტურისტებს გაუვლდეთ პატივისცემა ცხოვრებისა და კულტურის ადგილობრივი სტილისადმი. ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, ამუშავებენ ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და მართვის სტანდარტებსა და ძირითად მიმართულებებს, რაც აისახება ადგილობრივი ტურიზმის განვითარებაზე. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცალკეულ რაიონში მიღებული გადაწყვეტილებები და ღონისძიებები ყველანაირად ახდენს ახლო მეზობლების ე.ი. ყველა რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის, საბოლოოდ კი მსოფლიოს ყველა ქვეყნის სტრატეგიაზე. ხალხის გადაადგილება პარმონიულად უნდა შეეთავსებოდეს ყველა ქვეყნისა და მათი მოქალაქეების ძირითად მოთხოვნილებებს, ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის გლობალური თანამშრომლობის ამოცანებს, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შეზღუდული რესურსების შენარჩუნებას. ტურიზმის განვითარების პოზიტიურ შედეგებთან ერთად არ უნდა დაგვაიწყდეს დარგის ეკონომიკური ზემოქმედების ნეგატიური მოვლენები.

მიწის რესურსების გამოყენებისას ტურიზმი ავიწროებს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ტრადიციულ წყაროებს და იზიდავს მუშაკებს, რაც დამლუბვლად მოქმედებს სოფლის მეურნეობაზე სამუშაო ძალის გადინების გამო. ამის შედეგად მცირდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა, იმ დროს, როცა მოსმარების მოცულობა იზრდება მრავალრიცხოვანი ტურისტების წყალობით. იმავდროულად ირდევია ან მთლიანად ნადგურდება ცხოვრების ტრადიციული წყობა და ბუნებრივი ლანდშაფტი მასობრივი ტურიზმის ცენტრებში. მრავალმხრივობა ეკონომიკური სტაბილურობის საფუძველია. როცა ერთი დარგი განიცდის მკვეთრ ეკონომიკურ დაცემას, მეორე ყვავის, ამრიგად, მცირდება კრიზისის შესაძლებლობა და შერბილება მისი შედეგები. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობის ნაცვლად ტურიზმი ზოგჯერ სოფლის მეურნეობის სექტორს იკავებს. ზოგჯერ ტურიზმი რეგიონში ინფლაციის ტემპების ზრდას იწვევს. ტურისტები ფულს დებენ მონახულების რეგიონის ეკონომიკაში. ვინაიდან იგი ზრდის რეგიონის შემოსავლებს, შეიძლება ინფლაციური ზეწოლის მიზეზი გახდეს. იზრდება ფასები პირველადი მოთხოვნილების საქონელზე: სასურსათო პროდუქტებზე, ტანსაცმელზე, საცხოვრებელსა და ტრანსპორტზე. როგორც წესი, ტურისტულ რეგიონებში განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ფასები მიწაზე. ფასი, რომელსაც უცხოელები უპრობლემოდ იხდიან შევებულების დროს ტურისტულ რეგიონში ცხოვრებისათვის, შესაძლოა მიუწვდომელი აღმოჩნდეს ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის. ისინი (რომელთაც აქვთ შედარებით მცირე შემოსავლები) უბრალოდ «გამოიდევენებიან» განვითარებული ტურისტული ინდუსტრიის რაიონების საცხოვრებელი ბაზიდან. ქვეყანაზე ტურიზმის დადებითი ეკონომიკური ზეგავლენა შეიძლება შემცირდეს, თუ ტურიზმის სფეროში მაღალია იმპორტული საქონლისა და მომსახურების ხვედრითი წილი და თუ ტურისტული ობიექტების უმეტესობას ფლობენ და მართავენ უცხოელები. შესაბამისად მოგება მათ ხელში იქნება და ეს უკმაყოფილებას გამოიწვევს ტურისტული რეგიონის მოსახლეობაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის ზოგიერთი სახე პრაქტიკულად ვერ განვითარდება უცხოური ინვესტიციების გარეშე. ეს განსაკუთრებით შეიძლება მოხდეს განვითარების საწყის ეტაპზე, როცა ადგილობრივი კაპიტალი და მმართველობითი პოტენციალი შეზღუდულია. იმ ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი წარმოება კარგად არ არის განვითარებული, შეუძლებელი ხდება ტურიზმში იმპორტის წილის შემცირება, თუმცა დასაქმების უზრუნველყოფა და შემოსავლების მიღება ხშირად უცხოურ ინვესტიციებს ამართლებს.

მდგრადი განვითარება უწყვეტი ცვლილებების პროცესია, რომლის ფარგლებშიც რესურსების ექსპლუატაცია, ინვენსტიციების განხორციელება, ტექნოლოგიური პროგრესი და სხვა სიახლეები ხორციელდება მომავლისა და აწმყოს მოთხოვნილებების შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. უგრელიძე ე., მელაძე მ. – ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, «მარკეტინგის აქტუალური საკითხები», (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული), გამოშვება IV, თსუ გამომცემლობა, თბ., 2001.
2. მეტრეველი მ. – ტურიზმი და გარემოს დაცვა (ეკოტურიზმის საფუძვლები), თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2004.
3. მეტრეველი მ. – ტურიზმის განვითარების ზეგავლენა სოციალურ გარემოზე, ჟ. «ეკონომიკა», 3-4, 2000.

4. მელაძე მ., ქობლიანიძე თ. – მომხმარებელთა მოთხოვნილებები და სეგმენტები ტურისტულ ბაზარზე, ჟურნალი «მაკრო-მიკრო ეკონომიკა», 2, 2006.
5. ბურკაძე თ. – ტურიზმის ადგილი საქართველოს ეკონომიკაში და მისი განვითარების პერსპექტივა, ჟ. «ეკონომიკა», 7-8, 2004.

Eter Narimanishvili

SUSTAINABLE DEVELOPMENT OF TOURISM IN GEORGIA
Annotation

Sustainable development of tourism is a continuous process of changing, which includes resource exploitation, investment implementation, technological progress and other innovations implemented in accordance to the future and current requirements. Sustainable development of tourism depends on a legal framework of Georgia as well and accordingly it requires development and improvement of legislation in order to support tourism development. The main norms regulating tourism services are stipulated in the Civic Code of Georgian. It protects the rights of the tourists and the responsibility of tourist companies.

დადი სოლოღაშვილი
თეა უდესიანი

მოგზაურობის ხარვეზების აღრიცხვის საკითხები ტურისტულ საწარმოებში

როგორც ცნობილია, ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე წამყვან და დინამიურად განვითარებულ დარგს მიეკუთვნება, რომელიც ზრდის განვითარების მაღალი ტემპებით გამოირჩევა. ტურისტული ინდუსტრიის განვითარების მაღალი დონე განაპირობებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერების საფუძველს.

ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის სფერო კანონმდებლობით სახელმწიფოს მიერ აღიარებულია ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად, რომლის ეკონომიკური საქმიანობა წარმართება ტურისტული და საკურორტო ინდუსტრიის გამოყენების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლის ზრდის, ტურისტული საქმიანობის სუბიექტთა სახსრების ნებაყოფლობითი მოზიდვის, მოსახლეობის დასაქმების, ტურისტების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის სფეროს არეგულირებს საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეთერთმეტე თავი კი დათმობილი აქვს ტურისტული მომსახურების სრულყოფის საკითხებს. ტურისტული საქმიანობა, ამავე კანონების თანახმად, წარმოადგენს: ტურისტული საქმიანობის სუბიექტის მიერ ტურისტთა განთავსების, კვების, ტუროპერატორული, ტრანსპორტირების, საექსკურსო, გასაჯანსაღებელი, რეაბილიტაციის, სარეკლამო-საინფორმაციო, კულტურული, სპორტული, საყოფაცხოვრებო, გასართობი და ა.შ. მიზნით გაწეულ მომსახურებას, რომელიც მიმართულია ტურისტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ტურისტული ბიზნესი სასტუმრო ბიზნესთანაა დაკავშირებული და მიეკუთვნება მომსახურების სფეროს. ტურისტული ბიზნესის საბოლოო პროდუქტი, ანუ რეალიზაციის საგანი, არის კომპლექსურ მომსახურებაზე მათი ქონებრივი უფლება, გამიზნული გასაყიდად, რომელიც ტურისტული საწარმოსათვის არის უფლება ტურზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი ბიზნესი და, მით უმეტეს, ტურისტული ბიზნესი, დამოუკიდებელია საკუთარი ბიზნესგეგმის შემუშავებასა და მის განხორციელებაში, თავად განსაზღვრავს ფასების პოლიტიკასა და ა.შ. ყოველივე ეს კი უფრო მეტი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს როგორც ტურისტული საწარმოების მენეჯერებს, ასევე მათ ბუღალტრებს. რადგან დღეს ბუღალტრის ფუნქცია არ ამოწურება მხოლოდ ტექნიკური ხასიათის სამუშაოების შესრულებით. იგი პასუხისმგებელია საბუთების თავისდროულ გაფორმებასა და მომხდარი ოპერაციების კანონიერებაზე კონტროლის განხორციელებაში, საწარმოს სახსრების სწორად, მიზნობრივად და ეკონომიურად ხარჯვაზე, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვაზე და ა.შ.

ტურისტული მომსახურება ხორციელდება ხელშეკრულების, საგზურის, სამარშრუტო წიგნაკის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ტურისტისათვის გასაწევი მომსახურების სახეობასა და მოცულობას. ტურისტული საგზური (ვაუჩერი) არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ტურისტის სტატუსს, მისთვის გასაწევი მომსახურების კატეგორიას და ამ კატეგორიით მომსახურების გარანტიას.

ტურიზმის ხელშეკრულებით, ტურისტული საწარმო მოვალეა, გაუწიოს ტურისტს შეთანხმებული მომსახურება, ხოლო, თავის მხრივ, ტურისტი მოვალეა მოგზაურობის მომწყობს გადაუხადოს შეპირებული ანაზღაურება გაწეული მომსახურებისათვის. (სსკ, მუხლი 657). ამ ხელშეკრულების საგანია უხარვეზო მოგზაურობის უზრუნველყოფა. ტურიზმის ხელშეკრულების მხარეებია: ერთი მხრივ, მოგზაურობის მომწყობი და, მეორე მხრივ, ტურისტი. ხელშეკრულების წერილობითი ფორმა, თუნდაც მარტივი სახით, საკმარისია მხარეების დაცულობის თვალსაზრისით, რაც გულისხმობს ორივე მხარისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას. თუმცა პრაქტიკაში არსებობს სიტყვიერი შეთანხმება ტურისტსა და ტურისტულ საწარმოს შორის, რომლის დროსაც უთანხმოების შემთხვევაში პრობლემის გადაწყვეტა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

განვიხილოთ ზოგიერთი არსებითი ხასიათის ხარვეზი, რომელსაც, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს ტურის პროცესში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად (მუხლი 660, 661, 662) ექვემდებარება პასუხისმგებლობასა და ანაზღაურებას და რომელიც ბუღალტრის მიერ შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ხარვეზი შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ტურისტის, ასევე ტურისტული საწარმოს მხრიდან. კერძოდ:

• თუ მოგზაურობის ხარვეზები წარმოიშვა იმ გარემოებათა შედეგად, რომლებზედაც პასუხს აგებს ტურისტული საწარმო, ტურისტს შეუძლია, ხარვეზების გამო ანაზღაურების შემცირების ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების შეუზღუდავად მოითხოვოს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნული მიზეზით წარმოშობილი მოთხოვნა ტურისტის მიერ გატარდება:

დ - 6120 - გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა

კ - 3190- სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ხოლო ანაზღაურების შემთხვევაში გვექნება გატარება:

დ- 3190- სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

კ- 1100, 1200 - ფულადი საშუალებები

• თუ ტური ჩაიშალა ან იგი არაჯერონად იყო ორგანიზებული, მაშინ ტურისტს შეუძლია მოითხოვოს ასევე შევსების უსარგებლოდ დაკარგვით გამოწვეული შესაბამისი ფულადი ანაზღაურება, რომელიც ასევე გატარდება:

დ - 7490 - სხვა საერთო ხარჯები

კ - 1100, 1200 - ფულადი საშუალებები

• თუ ხელშეკრულება, ტურისტის ბრალის გარეშე, მოგზაურობის დაწყებამდე შეწყდება, ტურისტს უფლება აქვს, მოითხოვოს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

ა) ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია მოგზაურობის მოსაწყობად აუცილებელ პირთა რაოდენობის სიმცირე, რის შესახებაც ტურისტს წერილობითი ფორმით ეცნობა იმ ვადის განმავლობაში, რომელიც მითითებულია მოგზაურობის (პაკეტის) აღწერილობაში;

ბ) ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზია დაუძლეველი ძალა.

დაუძლეველ ძალად საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (მუხლი 666) ჩაითვლება

- თუ მოგზაურობა არსებითად გაძნელებული ან წარმოიშობა სხვა საფრთხე, ან ტურისტს მიადგება ზიანი ხელშეკრულების დადებისას გაუთვალისწინებელი დაუძლეველი ძალის დადგომის შედეგად, მაშინ, როგორც ტურისტს, ისე მოგზაურობის მომწოდებელს, შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

• იმ შემთხვევაში, თუ ტურისტი შეატყობინებს ტურისტულ საწარმოს ტურის ხარვეზის შესახებ, მაშინ ტურის ღირებულება შემცირდება იმ დროის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც არსებობდა ხარვეზი.

ტურის ღირებულების შემცირება ამცირებს ტურისტული საწარმოს შემოსავალსაც, რომელიც ბუღალტრულად გატარდება:

დ- 6120- გაყიდული მომსახურების ფასდათმობა

კ - 1100, 1200 - ფულადი საშუალებები

• ტურის ღირებულება არ შემცირდება, თუ ტურისტი თავისი ბრალით არ შეატყობინებს მოგზაურობის მომწოდებელს ხარვეზის შესახებ.

• ტურისტული ხელშეკრულების შეწყვეტა თუ მოხდა ტურისტის ინიციატივით, ხელშეკრულების შეწყვეტისას მოგზაურობის მომწოდებელი კარგავს

შეთანხმებული ანაზღაურების მიღების უფლებას, მაგრამ მას შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება უკვე გაწეული უხარვეზო მომსახურებისათვის.

მოთხოვნის წარმოშობა გატარდება:

დ- 1410 - მოთხოვნები მომსახურებიდან

კ -6110 - შემოსავალი რეალიზაციიდან

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის კიდევ რიგი შემთხვევები, რომელთა კანონიერებაშიც ბუღალტერი გარკვეული უნდა იყოს, რადგან თითოეული შემთხვევა თანხის მიღება-გაცემასთან არის დაკავშირებული.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი ბიზნესი და, მით უმეტეს, ტურისტული ბიზნესი, დამოუკიდებელია საკუთარი ბიზნესგეგმის შემუშავებასა და მის განხორციელებაში, თავად განსაზღვრავს ფასების პოლიტიკასა და ა.შ. ყოველივე ეს კი უფრო მეტი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს როგორც ტურისტული საწარმოს მენეჯერებს, ასევე მათ ბუღალტრებს. რადგან დღეს ბუღალტრის ფუნქცია არ ამოწურება მხოლოდ ტექნიკური ხასიათის სამუშაოების შესრულებით. იგი პასუხისმგებელია საბუთების თავისდროულ გაფორმებასა და მომხდარი ოპერაციების კანონიერებაზე კონტროლის განხორციელებაში, საწარმოს სახსრების სწორად, მიზნობრივად და ეკონომიურად ხარჯვაზე, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვაზე, და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. მეტრეველი. ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა. თბ., 2011.
2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. 2010.
3. საქართველოს კანონი „ ტურიზმისა და კურორტების შესახებ“. თბ., 1997.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბ., 1997.
5. ტურიზმის ქარტია.

*Dali Sologashvili
Tea Udesiani*

THE ACCOUNTING OF TRAVELLING GAPS IN TOURISM ENTERPRISES Annotation

In our country, in compliance with legislation in force, Tourism is deemed by State to be one of the major priorities of national culture and economy, the economic activities of which are aimed at ensuring the efficiency of using tourism and resort indus-

try, increasing the state budget revenues, voluntary attraction of financial resources of tourism enterprises, growth of employment and fulfilling the needs of tourists.

According to 657 Article of the Civil Code of Georgia, the tourism enterprise is an organizer of travels, and therefore, the tourist services are considered by legislators as entrepreneurial activities that is the reason that only the enterprise is allowed to be the tour (travel) organizer, which carries out entrepreneurial activities in the field of tourist services in compliance with the requirements of Law of Georgia on Entrepreneurial Activity. Travel agent is a legal entity or an individual entrepreneur selling the tourism product and who is forbidden by law to provide tourists with false, improper and inadequate information.

Tourist industry is very complex and multifaceted, and it is distinguished by very specific features that face both businessmen engaged in tourism and accountants working in this field greater responsibility. The given paper is aimed exactly at improvement of activities of accountants.

There are considered particular examples of revenues and costs of tourism enterprises, filling up the gaps arisen during the tour and accounting for related economic operations, peculiarities of accounting of operations carried out in foreign currencies and so on.

Under conditions of market economy, any business, especially tourist industry, depends on the development and implementation of own business plans, defines independently its own pricing policy and so on. All this faces both the managers and accountants of travel companies, greater responsibility, since nowadays, the function of accountant is not confined to execution of technical works. They are also responsible for timely processing of documents and execution of control of legality of carried out operations, correct, purposeful and thrifty spending of company's funds, protection of money and material assets, and so on.

Константин Викторович Павлов

ОСОБЕННОСТИ МОДЕРНИЗАЦИИ ЭКОНОМИКИ СТАРОПРОМЫШЛЕННЫХ РЕГИОНОВ РОССИИ

Экономическая система старопромышленных регионов является важной составной частью экономики Российской Федерации, также как и экономики ряда других государств на постсоветском пространстве (например, Донецкая, Днепропетровская и Харьковская области Украины). Происхождение и генезис хозяйственной системы в различных старопромышленных регионах, как правило, существенно отличаются друг от друга, что в значительной мере объясняется особенностями природно-климатических условий развития территориальной экономики, спецификой ресурсного потенциала каждого региона, его географическим расположением и рядом других факторов. Так, регионы Урала в последнее время характеризуются истощением ресурсной базы по некоторым видам полезных ископаемых. В этой связи актуальность и необходимость осуществления модернизации и структурной перестройки экономики уральских старопромышленных регионов (т.е. создания условий и формирования хозяйственно-управленческих механизмов перехода в этих регионах от экономики сырьевого типа к высокотехнологичной экономике) существенно выше, чем в малоосвоенных регионах (например, на севере Сибири).

В Белгородской области – другом старопромышленном регионе России, наоборот, по-прежнему в больших объемах продолжается добыча и переработка некоторых полезных ископаемых. Большим резервом модернизации экономики и в Белгородской области, и в Удмуртской Республике, наряду с отраслями промышленности является также развитие интенсивного сельского хозяйства. В Мурманской и Архангельской областях в связи с эффективным функционированием морских портов, как и раньше, большое значение имеет торгово-транспортная составляющая процесса модернизации территориальной экономики.

Таким образом, как в теоретическом, так и в практическом аспекте большое значение имеет не только необходимость классификации старопромышленных регионов России, но и определение направлений, форм и методов осуществления модернизации и структурной перестройки в такого рода регионах на основе учета социально-экономических особенностей их функционирования и развития. Однако все же можно констатировать, что актуальность осуществления процесса модернизации в старопромышленных регионах в целом все же существенно выше, чем в сравнительно малоосвоенных регионах в связи с тем, что уровень истощенности природно-ресурсной базы в последних значительно ниже. Учитывая важное значение, которое имеет группа старопромышленных регионов в развитии экономики России и ряда других государств на постсоветском пространстве, целесообразно осуществить выделение экономики старопромышленных регионов в качестве отдельного научного направления в регионалистике. Это будет способствовать усилению интенсификации научных исследований по проблемам эффективного функционирования и развития социально-экономической и экологической системы старопромышленных регионов как перспективной области исследований в региональной экономике и экологии.

В последнее время всё больше внимания уделяется вопросам формирования в России инновационной экономики, что совершенно справедливо, т.к. это позволит уменьшить зависимость уровня и темпов социально-экономического развития страны от получаемых доходов вследствие экспорта сырьевых ресурсов [3]. Важно также и то, что в результате этого улучшится имидж России, которую пока ещё нередко отождествляют с сырьевым придатком капиталистического мира. Таким образом, в целом мировой опыт действительно свидетельствует о том, что рост инвестиций в инновационные сферы экономики способствует ускоренному развитию народнохозяйственного комплекса страны и повышению среднего уровня жизни.

Однако это только в целом, а в каждом конкретном случае вложение инвестиций в инновационные сектора далеко не всегда способствует росту прибыли и доходов – так, в фундаментальной науке известно немало случаев, когда вложение средств не только не окупалось, но и приводило к негативным результатам. Кстати, руководство России в последнее время нередко критикует различные ведомства и организации в связи с тем, что существенные инвестиции в создание нанотехнологий пока ещё не дают ожидаемого результата. В этой связи совершенно справедлива постановка вопроса о том, насколько эффективны те или иные инвестиции и инновации.

Однако, на наш взгляд, в современных условиях этого не достаточно и кроме осуществления социально-экономической оценки эффективности инвестиций и инноваций необходимо осуществлять оценку последствий внедрения

инвестиций и инноваций с точки зрения их влияния на усиление процессов интенсификации общественного воспроизводства. В этой связи нами предлагается выделять инвестиции и инновации интенсивного или экстенсивного типов в зависимости от того, способствуют ли результаты их внедрения соответственно интенсификации или, наоборот, процессу экстенсификации. Важно также в общей структуре инвестиций и инноваций выделять удельный вес, долю каждой из этих двух групп. Целесообразность осуществления такого рода классификации инвестиций и инноваций во многом объясняется тем обстоятельством, что в последнее время существенно возросла актуальность использования интенсивных методов хозяйствования [2]. Прежде всего, это связано с демографическим кризисом последних лет. В этой связи осуществление мероприятий трудосберегающего направления интенсификации представляется весьма своевременным и эффективным.

В других странах могут быть актуальными и иные направления интенсификации. Так, например, в среднеазиатских странах СНГ – Узбекистане, Туркмении, Таджикистане, Киргизии исключительно важным являются водосберегающее направление интенсификации общественного производства. В Японии, где сравнительно немного крупных месторождений природных ресурсов, весьма актуально материалосберегающее направление интенсификации, здесь же в связи с крайне ограниченным характером земельных ресурсов большое значение имеет также землесберегающее направление интенсификации. В большинстве стран мира весьма актуально энерго- и фондосберегающее направления.

Более того, даже в разных регионах одной и той же страны актуальными могут быть разные направления интенсификации: на Дальнем Востоке и на Севере России большое значение по-прежнему (т.е. как и во времена социалистической экономики) имеет трудосберегающее направление, в старопромышленных регионах Урала - в Свердловской области, Удмуртской Республике, Челябинской области – крайне актуально фондосберегающее направление интенсификации. В Белгородской области, где на высоком уровне развиты металлургическая и горнодобывающая отрасли промышленности очень эффективно осуществление мероприятий материалосберегающего направления. Таким образом, кроме выделения двух групп инвестиций и инноваций, способствующих интенсификации или экстенсификации, в первой группе целесообразно выделить несколько подгрупп, соответствующих разным направлениям интенсификации – трудо -, фондо-, материалосберегающему и т.д. в соответствии с региональной, отраслевой и структурной спецификой экономики той или иной страны. Напомним, что говоря о процессах экстенсификации и интенсификации, имеются в виду два принципиально различающихся способа достижения производственной цели. При одном происходит количественное увеличение использования ресурса, при втором на единицу выпуска продукции при решении производственной задачи экономится ресурс. Целесообразно определять поэтому интенсификацию производства как реализацию мероприятий, имеющих своим результатом экономии стоимости совокупности применяемых ресурсов. Ресурсосберегающим направлением интенсификации производства является реализация мероприятий, в результате которых экономится ресурс, например, живой труд. Таким образом, предложенный подход понимания процесса интенсификации позволяет говорить и об интенсификации производства, и об интенсификации использования отдельных факторов производства, не отождествляя эти понятия [1].

Таким образом, если существующую функциональную зависимость между экономическим результатом (обозначим его Э) от использования какого-либо ресурса (обозначим Р) представить в виде $\text{Э} = f(P)$, то в случае экстенсивного использования ресурса его увеличение приведёт к пропорциональному росту экономического эффекта, тогда как при интенсивном использовании ресурса его увеличение приведёт к большему росту эффекта. Иначе говоря, если имеем два значения ресурса P_1 и P_2 , причём $P_2 = n \times P_1$ (n – коэффициент пропорциональности), то в случае экстенсивного использования ресурса $\text{Э}_2 = n \times \text{Э}_1$, а в случае интенсивного использования $\text{Э}_2 > n \times \text{Э}_1$. Как можно видеть, интенсивное использование ресурса (труда, фондов, материалов, воды и пр.) обусловлено ростом ресурсоотдачи (производительности труда, фондоотдачи, материалоотдачи и т.д.), правда в вышеозначенной функциональной зависимости следует учитывать также временной лаг.

Литература

1. Андреев В.А., Павлов К.В. Интенсификация общественного производства в свете институциональной теории / Общество и экономика. 2006. № 6. С. 152-162.
2. Александров Г.А. Курсом интенсификации. М.: Экономика, 1998. 158с.
3. Павлов К.В. Интенсификация экономики в условиях неопределённости рыночной среды. М.: Магистр, 2007. 271с.

Konstantin Pavlov

THE FEATURES OF MODERNIZATION OF ECONOMY OF OLD-INDUSTRIAL REGIONS OF RUSSIA

Annotation

The article reveals the features of modernization and innovative development of economy of various old-industrial regions of the Russian Federation, and also invited to consider the expediency of allocation of economy of old-industrial regions as a separate direction of regionalistics.

ირაკლი ქვარაია

საქართველო მასალების წარმოების შესაბამისობები საქართველოში

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მძლავრი სამშენებლო ინდუსტრიის აღორძინება, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში. ამჟამად ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარე უმნიშვნელო მშენებლობების ფონზე დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ საშენ მასალებად ძირითადად გამოიყენება ჩინური და თურქული წარმოების დაბალი ხარისხის პროდუქცია. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ ბუნებრივი ქვის კარიერებით მდიდარ საქართველოში, ქვაფენილების მოსაწყობადაც კი ჩინეთიდან შემოაქვთ ნათალი ქვა, რომლის ტრანსპორტირების ხარჯები გაცილებით აღემატება მათი

წარმოების ღირებულებას. ეს კარგად მეტყველებს ქვეყანაში სამშენებლო მასალების წარმოებაში არსებულ რეალურ მდგომარეობაზე. ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში საშენ მასალათა მრეწველობის ძველი საწარმოების სიმძლავრეები, ცემენტის ქარხნების გარდა, საშუალოდ მხოლოდ 3 – 5%-ით გამოიყენება ან საერთოდ აღარ არსებობს, როდესაც ისინი წინათ თითქმის მთლიანად აკმაყოფილებდნენ ძალზე დიდი მოცულობის სამშენებლო პროგრამას.

საქართველოს ხელისუფლებამ ბოლო წლებში რამდენჯერმე წამოიწყო აქტიური კომპანია ადგილობრივი სამშენებლო მასალების წარმოებისა და გამოყენების საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, მაგრამ პრაქტიკული შედეგები ვერ იქნა მიღწეული. იმედია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოახლოებული არჩევნების შემდეგ, მათთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭების შედეგად უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს რეგიონებში სამშენებლო მასალების წარმოებისათვის იქ არსებული ბუნებრივი რესურსების მოპოვება და გადამამუშავება. ასეთი მიდგომა ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულებს, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, მისცემს მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმების საშუალებას, რაც დღეს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დაძიებული და კარგად შესწავლილი მინერალური რესურსების ათასზე მეტი საბადოდან, დიდ უმრავლესობას სამშენებლო მასალების წარმოებისათვის საჭირო ნედლეული შეადგენს. მათ შორის მხოლოდ მოსაპირკეთებელი და სამშენებლო ქვების საბადოების რაოდენობა თითქმის 250-ია. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო მეტად დაგვიანდება დარჯის აღორძინებისათვის საჭირო ქმედითი ღონიძებების გატარება, მით უფრო გართულება გასადების ბაზრის მოპოვება არათუ ქვეყნის საზღვრებს გარეთ, არამედ თვით საქართველოში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ყველა რეგიონმა დამოუკიდებლად იზრუნოს სამშენებლო მასალების საწარმოების ამოქმედებისათვის, რომელთა უმრავლესობას ამის დიდი ტრადიციები და პოტენციალი გააჩნიათ. ამისათვის მიზანშეწონილია, გავეცნოთ რეგიონებში არსებულ მდგომარეობას და მათ შესაძლებლობებს.

შიდა ქართლის ეკონომიკაში სამშენებლო მასალების წარმოებას დღესაც მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება, მაგრამ რეგიონს წარმოების გაფართოების უფრო დიდი პერსპექტივები გააჩნია. ეს ძირითადად განპირობებულია მოქმედი საწარმოებისათვის საჭირო წიაღისეული მარაგების დიდი კონცენტრაციით. მაგალითად, ყველაზე დიდი საწარმო – კასპის ცემენტის ქარხანა, პროდუქციის გამოსაშვებად იყენებს კავთისხევის თიხას და სასხორისის კირქვას. მთელი ქვეყნის მასშტაბით ფართო მოხმარების საგანს წარმოადგენდა კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის მიერ გამოშვებული სახურავი მასალა, რომელმაც ორი ათეული წლის წინ შექვეყნა არსებობა და წლების განმავლობაში არსებობს ასეთი იაფი მასალის დეფიციტი. დიდი რაოდენობით მოიპოვება კასპის რაიონში კერამიკული აგურის წარმოებისათვის საჭირო თიხა მეტეხისა და მირიანის საბადოებზე. ამიტომ ყველაზე დიდი წარმადობის ქარხნები ამ ტერიტორიებზე იყო განლაგებული. მეტეხის აგურის ქარხანა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, ახალი ბულგარული საზის ამოქმედების შემდეგ, წელიწადში 60 მილიონ ცალ აგურს უშვებდა და მასზე მოთხოვნილება გაცილებით მეტი იყო. არსებული მოთხოვნილების ფონზე, ეს ქარხანა ამჟამად შეზღუდული რაოდენობით უშვებს პროდუქციას და მისი გაფართოება აუცილებელია. მისგან განსხვავებით, სრულად ამოწურა შესაძლებლობები მასზე არანაკლები წარმადობის მქონე მეტეხის აგურის ქარხანამ. ადგილობრივი თიხები იძლეოდა აგრეთვე კრამიტის წარმოების საშუალებას, რომელზე მოთხოვნილებაც განსაკუთრებით კერძო სექტორში იზრდება. გარდა ამისა, კასპის რაიონში მოიპოვება ინერტული მასალა, რომელიც ადრე საკედლე ბლოკების დასამზადებლად გამოიყენებოდა და ამჟამად მშენებარე ავტობანის ბეტონის საფარის მოსაწყობად იხმარება. ბევრია რაიონის ტერიტორიაზე ტუფი და ბუნებრივი ცეოლითი, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია მრავალი მომჭვრიანი საწარმოს ამუშავება. ინერტული მასალების დიდი მარაგები და უფრო ფართოდ გამოყენების შესაძლებლობები არსებობს გორის რაიონში. აქ არასათანადო ყურადღება ექცევა დიაბაზის და ბუნებრივი მსუბუქი შემავსებლების ათვისებას. პერსპექტიულია ქარელისა და ხაშურის რაიონებში არსებული თიხის კარიერების ამოქმედება აგურის წარმოებისათვის. ამავე რაიონებში მოძიებულია კვარცის ქვიშის საბადოები, რომელიც მინისა და სილიკატური აგურის წარმოებისათვის გამოიყენება და მათ ბაზაზე შესაძლებელია რამდენიმე საწარმოს გახსნა.

სამშენებლო მასალების წარმოებისათვის სრულიად განსხვავებული წიაღისეული მარაგები არსებობს ქვემო ქართლის რეგიონში. იგი მდიდარია ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასალებით და მსუბუქი ბეტონების მისაღებად საჭირო ვულკანური წარმოშობის შემავსებლებით. მარნეულის რაიონში დიდი რაოდენობით მოიპოვება ბაზალტის ქვა, რომლის წარმოება ამჟამად სტიქიურად მიმდინარეობს. მისი გამოყენება გაცილებით რენტაბელურად და მომგებიანად არის შესაძლებელი. ამავე რაიონშია სადახლოს მარმარილოს, გაჯისა და თეთრი ქვის კარიერები. არასათანადო ყურადღება ექცევა წარსულში საქართველოში ყველაზე დიდი არამადნეული მასალების კომბინატისაგან გამოყოფილი ინერტული მასალების კარიერების დამუშავებას. ანალოგიური მდგომარეობაა დმანისის რაიონში, სადაც ასევე მოიპოვება ბაზალტი, ყვითელი და მწვანე ტუფი, ბუნებრივი მსუბუქი შემავსებლები. მსუბუქი შემავსებლებით ძალზე მდიდარია წალკის რაიონი. დიდი წარმატებით შეიძლება ბოლნისის რაიონში სამშენებლო კერამიკის, მინის და ფაიფურის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის მარაგების გამოყენება. მნიშვნელოვანია თეთრი წყაროს რაიონში არსებული კვარცის პორფირიტებისა და ბარიტის გადამამუშავებელი საწარმოების აღდგენა. ამ უნიკალური მასალებით განსაკუთრებით რუსეთი იყო დაინტერესებული. უნიკალურია ასევე ბოლნისის ტუფიც, რომელიც, კუსტარული დამუშავების მიუხედავად, სერიოზულ კონკურენციას უწევს უცხოეთიდან შემოტანილ მოსაპირკეთებელ მასალებს. საბჭოთა კავშირის დროს გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის თითქმის 85%-ის რეალიზაცია ახერხებოდა და სომხეთში ხორციელდებოდა. ამჟამად უმნიშვნელო რაოდენობით ხდება აღნიშნული პროდუქციის გამოშვება. დიდად მომგებიანი იქნება მისი გადაიარაღება და რბილი სახურავების გამოშვების აღორძინება, რომელზეც მოთხოვნილება კვლავ დიდია და არსებული გათვლებით 15 მლნ კვ.მეტრზე მეტს შეადგენს. ქვემო ქართლის განუყოფელი ნაწილია ქალაქი რუსთავი,

რომელიც ქვეყნის მთავარი სამრეწველო ცენტრია. იმის მიუხედავად, რომ იგი ქვეყანაში ცემენტისა და ლითონის არმატურის ძირითადი მწარმოებელია, მასაც გააჩნია დიდი რეზერვები ამ მეტად მნიშვნელოვანი მასალების უფრო დიდი რაოდენობით გამოშვებისათვის. ამასთან, აუცილებელია აღდგეს ის დიდი ტრადიციები, რაც დაკავშირებული იყო რუსთავის საშენ მასალათა კომბინატის მუშაობასთან. განსაკუთრებით კი ბაზალტის ბოჭკოს წარმოებასთან, რომელზეც მოთხოვნილება მთელ მსოფლიოში სწრაფად იზრდება. ეს შეუდარებელი საიზოლაციო მასალა ბოლო წლებში უფრო ცნობილი ხდება, როგორც ზემოთხსენებულ მისაღები უნიკალური ნედლეული.

კახეთის რეგიონში არსებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოები ისეთი მნიშვნელოვანი საწარმოების ამუშავების საშუალებას არ იძლევა, როგორც ეს ზემოთ ხსენებულ რეგიონებშია შესაძლებელი, მაგრამ მათი გამოყენებით უამრავი მცირე და საშუალო სიმძლავრის საწარმოს გახსნა შეიძლება, რაც სოფლის მეურნეობით დაკავებულ რაიონებში საშუალო ადგილების შექმნის კარგი წინაპირობაა. თელავის რაიონში განსაკუთრებით აღსანიშნავია ლოპოტის მარმარილოს საბადო, რომლის მოპოვება და დამუშავება დახვეწას მოითხოვს. ამავე რაიონში წლების განმავლობაში იგეგმებოდა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე კრამიტის წარმოებისა და მეთუნეობის განვითარება, მაგრამ სათანადო შედეგები ჯერ არ ჩანს. იგივე მდგომარეობაა აგურის წარმოების მხრივ, რომელზეც მოთხოვნილება არ იკლებს მთელ რეგიონში. უმოქმედოდ არის შაბრანისა და კარდანახის თიხის კარიერები გურჯაანის რაიონშიც. მცირე რაოდენობით უშვებს კერამიკულ აგურს საგარეჯოს აგურის ქარხანა, რომელიც სიდიდით მეორე იყო საქართველოში. არასთანადოდ გამოიყენება რაიონში ინერტული მასალების მარაგები. ახმეტის ხის დამამუშავებელი კომბინატი ადრე დიდი რაოდენობით აწარმოებდა პარკეტს, მაგრამ ამჟამად ფაქტობრივად უმოქმედოდაა. ყვარლის, სიღნაღის და ლაგოდეხის რაიონებში არის ინერტული მასალების დიდი მარაგები, რომელთა მიწოდება შესაძლებელია როგორც რეგიონის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ და აზერბაიჯანში. დედოფლისწყაროს კირქვის კარიერებიდან მარაგდება რუსთავის ცემენტის ქარხანა, მაგრამ დიდი ხანია აღარ მუშაობს კირისა და თაბაშირის ქარხნები. გაცილებით დიდი რაოდენობით არის შესაძლებელი გაჯის წარმოება, რომელიც, თავისი თვისებებიდან გამომდინარე, საკვებით შესაძლებელია საექსპორტო პროდუქციად იქცეს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოიპოვება დიდი რაოდენობით ტუფი, მარმარილო, კირქვა, ინერტული მასალები, ფიქალები, ანდეზიტი, უნიკალური სამრეწველო თიხა კრამიტისა და მეჭურჭლეობისათვის. ქვის საბადოები განსაკუთრებით მრავლად არის სამთო რაიონებში და მათი წარმოება ძირითადად აფუთქებით ბლოკების ამოღებით ხორციელდებოდა, რაც ხშირად მთელი მასივის დაზიანებას იწვევდა. ამჟამად ამ საკითხს უფრო ფრთხილად ეკიდებიან, მაგრამ ქვების დამუშავება მაინც პრიმიტიული მეთოდებით და უმნიშვნელო რაოდენობით ხორციელდება. მეჩხრად დასახლებულ რაიონებში, სადაც ერთი მცირე საწარმოა ამუშავება მთელი სოფლის დასაქმებას ნიშნავს, მნიშვნელოვანია მოსაპირკეთებელი მასალების წარმოების გაშლა. ეს რაიონები მდიდარია ქვიშა-ლორღით, რომელიც ძირითადად გამოიყენება საგზაო მშენებლობაში, მაგრამ სათანადო საწარმოო ბაზის შექმნის შემთხვევაში შეიძლება ამ მასალების ფართოდ გამოყენება თბილისის მშენებლობების მოსამარაგებლად. მცხეთის რაიონში არსებობს ცეოლიტის და ანდეზიტის მოპოვების ტრადიცია, მაგრამ საწარმოები ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს და აუცილებელია მათი განახლება-გაფართოება. მცხეთის რაიონში, 1985 წელს დამუშავებული პროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო ახალი ცემენტის ქარხნის მშენებლობა უშუალოდ კარიერების სიახლოვეს, რაც ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო ვერ განხორციელდა. ამ საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვანი როლს იქნება მთელი რეგიონისათვის.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი მდიდარია ვულკანური წარმოშობის მთის ქანებით, რომელიც საუკეთესო შემავსებელია მსუბუქი ბეტონების დასამზადებლად. ადრე ქვეყანაში არსებული სახლმშენებელი კომბინატები დიდი რაოდენობით იყენებდნენ მსუბუქ ბეტონებს მსხვილი საკედლე ბლოკების დასამზადებლად. მათი გამოყენება ფართოდ ხდებოდა კერძო სექტორისათვის საჭირო საკედლე ბლოკების დასამზადებლადაც. მაღალი ბეგრ- და თბოსაიზოლაციო თვისებების გამო ვულკანური შემავსებლები ფართოდ გამოიყენებოდა საიზოლაციო მიზნებისათვის. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის გაყვანის ერთ-ერთ მთავარ მიზანს სწორედ ამ რეგიონიდან ბუნებრივი შემავსებლების ტრანსპორტირება წარმოადგენდა, რომელმაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, მაშინ ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება. იმედია, ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს საერთაშორისო სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დასრულების შემდეგ ვულკანური შემავსებლების წარმოების და ტრანსპორტირების საკითხი დადებითად გადაწყდება და რეგიონი ამ უნიკალური მასალის ძირითადი მიმწოდებელი გახდება არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მით უფრო, რომ მსოფლიო სამშენებლო პრაქტიკაში ამჟამად ყველაზე დიდი ყურადღება რკინაბეტონის კონსტრუქციების შემსუბუქებას ექცევა. რეგიონში მრავლადაა სხვა ტიპის ბუნებრივი რესურსები საშენი მასალების წარმოებისათვის. ასპინძის რაიონში მოიპოვება ბაზალტი, მარმარილო, დიატომიტი, ტუფი, ანდეზიტი, ტუშენიტი. ახალქალაქის რაიონი მდიდარია კირქვებით, პერლიტით. არის მარმარილო, ანდეზიტი და ბაზალტი. ახალციხეში დაძიებულია დიატომიტის, აქატის და თაბაშირის საბადოები. ადიგენში ბევრია თიხა და ბაზალტი. ბაზალტისა და ანდეზიტის დიდი საბადოებია ბორჯომის რაიონში.

იმერეთის რეგიონში გვხვდება ძირითადად მოსაპირკეთებელი ქვებისა და სამშენებლო თიხის მრავალფეროვანი საბადოები. ტყიბული ცნობილია მარმარილოს დასამუშავებელი საწარმოებით. ბაღდათში შესაძლებელია ტუფის, გრანიტის და მარმარილოს წარმოების გაფართოება, რომელიც ამჟამად კუსტარულ ხასიათს ატარებს. ვანის რაიონში წარმატებით შეიძლება კირქვის, ანდეზიტის, კერამიკული თიხის და ბაზალტის საწარმოების ამუშავება. ზესტაფონსა და სამტრედიაში გამოსაყენებელია სააგურე თიხის დიდი მარაგები. წყალტუბოში მოიპოვება ბენტონიტური თიხა და გრანიტი. უმაღლესი ხარისხის კვარცის ქვიშა მოიპოვება ჭიათურასა და საჩხერის რაიონში, რომელსაც იყენებდნენ ჭიათურისა და აჯამეთის სილიკატური

აგურის ქარხნები. მათი აღდგენა მრავალი სამუშაო ადგილის გაჩენას უზრუნველყოფს. აუცილებელია, ჭიათურაში სალიეთის მარმარილოს წარმოების თანამედროვე დონეზე აყვანა, რომ გამოირიცხოს ძალზე დიდი მოთხოვნილების მქონე წითელი, ვარდისფერი და რუხი მარმარილოს დამუშავების კუსტარულობა. იგივე მდგომარეობაა ტრადიციული მარმარილოს დამუშავების მხრივ ხარაგაულის რაიონში. სამშენებლო მასალების წარმოების მხრივ იმერეთის რეგიონში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თერჯოლის რაიონს, სადაც, ნედლეულის ბაზის სიახლოვისა და მისი მაღალი ხარისხის გამო, დიდი წარმატებით მუშაობდა ჩხარის იატაკის ფილების ქარხანა, რომლის აღორძინებასთან ერთად შესაძლებელია მისი წარმოების მოცულობის გაზრდა და გამოშვებული პროდუქციის მრავალფეროვნების (კრამიტი, კერამიკული ნაკეთობები და სხვა) უზრუნველყოფა. მრავალი წლის წინ დასავლეთ საქართველოში ცემენტის ქარხნის მშენებლობის ერთ-ერთ ალტერნატიულ ადგილად ითვლებოდა თერჯოლაში ჭიშურის საბადოს ტერიტორია. ამ საკითხის კვლავ დღის წესრიგში დაყენება და აღნიშნული პროექტის განხორციელება ძალიან სასარგებლო და პერსპექტიული იქნება მთელი დასავლეთ საქართველოსათვის.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი მდიდარია კირქვებით და სააგურე თიხით. არის მოსაპირკეთებელი ბუნებრივი ქვის და სხვა ნედლეულის მარაგები. ზუგდიდის, სოხის და აბაშის რაიონებში მაღალი ხარისხის სააგურე თიხის მარაგების არსებობა აგურის წარმოების საშუალებას იძლევა. ზუგდიდის რაიონში შეიძლება ასევე თაბაშირის და ცარცის საწარმოების ამოქმედება. მარტვილის, წალენჯიხის, სენაკის და ჩხოროწყუს რაიონები მდიდარია კირქვებით. ჩხოროწყუში არის ანდეზიტ-ბაზალტის საბადო, რომლის ბაზაზე საესებო შეიძლება მოეწიოს მოსაპირკეთებელი ფილების საწარმო. მესტიის რაიონში მოიპოვება დიდი რაოდენობით ბაზალტი და მარმარილო. იქ უმნიშვნელო საწარმოები დღესაც მუშაობს, მაგრამ აუცილებელია ამ საქმიანობის ინდუსტრიალიზაცია და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფა.

რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ყველა რაიონს, ქვა-ღორღის დიდი მარაგების გარდა, გააჩნია სხვადასხვა სამშენებლო მასალების წარმოებისათვის საჭირო წიაღისეული. ამბროლაურის რაიონში მრავლად არის თაბაშირი, სააგურე თიხა, საკირე ქვები; ონის რაიონში – მოსაპირკეთებელი ბუნებრივი ქვები და კვარცი; ლენტეხის რაიონში – მარმარილო და კვარციტები; ცაგერის რაიონში – მოსაპირკეთებელი ბუნებრივი ქვები.

გურიის სამივე რაიონში მოიპოვება ბენტონიტური თიხები, რომელთაც მრავალმხრივი გამოყენება აქვთ. მათი განსაკუთრებით დიდი მარაგებია ოზურგეთის რაიონში, სადაც მსუბუქი ბეტონების მისაღებად საჭირო შემავსებლებიც მრავლად მოიპოვება. ადრე არსებობდა პერლიტის წარმოება. არის კირქვებისა და მოსაპირკეთებელი ქვების მარაგები. ანალოგიური ნედლეულის და თიხის მარაგებია ლანჩხუთის რაიონშიც. ჩოხატაურის რაიონი მდიდარია კაოლინით და მისი წარმოების ამოქმედება მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება რაიონის ეკონომიკაში.

იმის მიუხედავად, რომ აჭარა აგრარული რეგიონია, ისიც ფლობს სამშენებლო მასალების წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივ წიაღისეულს. ყველგან არის ინერტული მასალების მარაგები. ქობულეთში – ბენტონიტური თიხა და კირი. ხულოს რაიონში, ვულკანური წარმოშობის მსუბუქი შემავსებლების გარდა, არის ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების მარაგები. ხელვაჩაურის რაიონში მოიპოვება ანდეზიტი, დიორიტე, ბრეჩქია.

სამშენებლო მასალების წარმოებისათვის ცალკეული რაიონების პოტენციური შესაძლებლობები მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემებით არ ამოიწურება. საბჭოთა კავშირის დროს ძირითადი ყურადღება ეთმობოდა საბადოებისა და დაძიებული მარაგების სიდიდეს და უმნიშვნელო ნედლეულის ბაზების ათვისება არ ხდებოდა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მსგავსი შეზღუდვები აღარ არსებობს. აქედან გამომდინარე, საქართველოს არა მარტო ყველა რეგიონში, არამედ თითქმის ყველა რაიონში შეიძლება სამშენებლო მასალების საწარმოების ამოქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ქვარაია, ქ. ქუთათელაძე. გლობალიზაცია და საქართველოს სამშენებლო სფეროში შექმნილი დასაქმების პრობლემები. ქუთაისის უნივერსიტეტის დაარსებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “ეკონომიკის და ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები. შრომების კრებული. ქუთაისი, 2011 წლის 5-6 ოქტომბერი. გვ. 180-182.

2. ი. ქვარაია. ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოყენების ასპექტები თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიებში. სტუ-ს დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები”. შრომების კრებული. თბილისი, 19-21 სექტემბერი 2012. გვ. 230-233.

Irakli Kvariaia

CAPABILITIES OF THE BUILDING MATERIALS PRODUCTION IN GEORGIA Annotation

The article discusses the possibilities of the production of the building materials in certain regions of Georgia. As a result of activating existing production capacity and using local natural resources, every region has potential of recovery and development of this very important sector of our economy. Goal-oriented and timely solution of this issue should be able to provide country with such a construction materials, which will be able to compete with imported production, which are often low-quality production and what is most important, it will encourage the creation of new jobs.

მწვანე ეკონომიკა და ტურისტული ბიზნესის განვითარების ზოგადი ასპექტი

დღეს მთელ მსოფლიოში აქტიურად დაიწყო განვითარება მწვანე სექტორმა. ბოლო წლებში საქართველოს მდგრადი ეკონომიკის განვითარებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას სწორედ მწვანე სექტორის განვითარება წარმოადგენს, რომელიც მდგრადი განვითარების შესაბამისად აღიარებს გარემოს დაცვას, როგორც გლობალური და ეკონომიკური განვითარების წარმართველს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ RBC (კანადის სამეფო ბანკი), იელის და კოლუმბიის უნივერსიტეტის კვლევებზე დაყრდნობით, მსოფლიოს ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა (მწვანე) ეკონომიკებს შორის საქართველოს 47-ე პოზიციაზე უკავია იმ 132 ქვეყანას შორის, რომლებიც ამ რეიტინგში მოხვდნენ. ის მოქცეულია ავსტრალიასა და ურუგვაის შორის. ლიდერები არიან შვეიცარია, ლატვია და ნორვეგია, ათეულში არიან ლუქსემბურგი, კოსტა-რიკა, საფრანგეთი, ავსტრია, იტალია, ბრიტანეთი და შვედეთი. აუტსაიდერებს შორის არიან უზბეკეთი, თურქმენეთი და ერაყი. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველოზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ ლატვიას (მე-2), ლიტვას (მე-17). აღსანიშნავია, რომ საქართველოს შემდეგ არიან ისეთი ქვეყნები, როგორც არის აშშ, ისრაელი და თურქეთი. მაგრამ, ამ სტატისტიკურმა მონაცემმა არ უნდა გვაფიქრებინოს, თითქოს ქვეყანაში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგში ნაკლებად პრობლემატურია. საქართველო დგას ისეთი ტიპის რისკების წინაშე, როგორცაა დედაქალაქის და სხვა მთავარი ქალაქების სწრაფი განვითარება და მოსახლეობის ზრდა სოფლიდან მიგრაციის შედეგად; სასოფლო და არასასოფლო მიწების არარაციონალური გამოყენება; ნიადაგის დეგრადაცია და ეროზიული პროცესების ინტენსიფიკაცია; ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება; მინერალებისა და მადნეულის ღია წესით მოპოვება; ჰაერის დაბინძურება ავტოსატრანსპორტო გამოწვევებით; ტყეების განეხება და გამეჩხერება; საძოვრების დეგრადაცია; წყლისა და კანალიზაციის გაუმართაობის სისტემების არსებობა და სხვა, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას. მეტად საყურადღებოა ასევე ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედი ის ძირითადი საფრთხეები, როგორცაა: საბინადრო გარემოს განადგურება, დეგრადაცია და ფრაგმენტაცია; ჭარბი მოპოვება; უცხო სახეობების შემოყვანა; დაბინძურება და კლიმატის ცვლილება და სხვა. გაეროს 42-ე გენერალურმა ასამბლეამ უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ოფიციალური კონცეფციის თანახმად, მსოფლიოში არსებული გლობალური საფრთხეებიდან გამოყო გარემოს დეგრადაცია და მისი თანმდევი პრობლემები, რომელიც თავისი მნიშვნელობით არის როგორც გლობალური, ისე რეგიონული და ლოკალური საფრთხის მატარებელი. გარემოს დეგრადაცია, ბუნებრივი რესურსებისა და ეკოსისტემების არარაციონალურად მოხმარება საფრთხეს უქმნის პლანეტის მთელ მოსახლეობას. ხოლო, კონკურენცია ამოწურვად რესურსებზე, როგორცაა ტყეები, მტკნარი წყალი, ნაყოფიერი ნიადაგი, კლიმატის ცვლილების ზეგავლენა და მიგრაციის არასწორი პროცესები, საფრთხეს უქმნის მდგრადობას, სტაბილურობას და მშვიდობას. გლობალური ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემების გაუთვალისწინებლობა უფრო და უფრო მეტად გვახსენებს თავს ქვეყნების განვითარებაში და უფრო მეტად ვდგებით იმ რეალობის წინაშე, რომ აუცილებელია მწვანე ალტერნატივებისა და პოლიტიკის გათვალისწინება კაცობრიობის განვითარების ისეთ სფეროში, როგორცაა მდგრადი ეკონომიკა. ეკონომიკის გამწვანება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეკონომიკურ გაჯანსაღებას, სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური უთანასწორობისა და გარემოს გამოწვევების აღმოფხვრას.

მწვანე პოლიტიკა გლობალური მოვლენაა და იგი ორიენტირებულია მდგრადი გარემოსა და საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ, რომელიც ეფუძნება გარემოს დაცვას, „მწვანე ზრდას“ (GG), სოციალურ ლიბერალიზმსა და მონაწილეობით დემოკრატიას. ეს პოლიტიკა ემხრობა დეცენტრალიზაციას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, აზიისა და წყნარი ოკეანის კავშირის ეკონომიკური და სოციალური კომისია (ESCAP) „მწვანე ზრდას“ განსაზღვრავს როგორც „ეკონომიკურ პროგრესს, რომელიც ხელს უწყობს ეკოლოგიურად მდგრად, ნახშირბადის დაბალი შემცველობის და სოციალურად ინკლუზიურ განვითარებას“, მაშინ, როდესაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) „მწვანე“ ზრდას მიიჩნევს, როგორც გზას, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას, როცა იმავედროულად ბუნებრივი აქტივები განაგრძობს იმ რესურსებისა და გარემოსდაცვითი მომსახურების უზრუნველყოფას, რომელსაც ჩვენი კეთილდღეობა ეყრდნობა [4].

საქართველოსთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, მწვანე ზრდა ნიშნავს მისი მდიდარი ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური კაპიტალის გახსნას ახალი ბიზნესშესაძლებლობებისთვის, რომლებიც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ. მწვანე ზრდის ინიციატივა წარმოადგენს შემდგომ ნაბიჯს მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზაზე, რაც ხელს უწყობს როგორც ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბესთან ბრძოლას, ასევე გლობალური საზოგადოებრივი სიკეთეების დაცვას. მწვანე ზრდის განხორციელება უნდა მოხდეს არსებული სახელმწიფო პროგრამებისა და პოლიტიკის ჩარჩოებში და არა ახლის შეთავაზებით.

აღსანიშნავია, რომ აშკამინდელი ეკონომიკის „მწვანე“ ეკონომიკად გარდაქმნის პროცესი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ბოლოდროინდელმა გლობალურმა კრიზისმა, რომელმაც საგრძობლად შეასუსტა ბევრი დიდი ეკონომიკა, იმავედროულად შექმნა გარკვეული შესაძლებლობები – რეაბილიტაცია ყოფილიყო უფრო მდგრადი. „გლობალური მწვანე ახალი შეთანხმების“ (GGND) [5] სახელითაა ცნობილი მწვანე რეაბილიტაციის ერთ-ერთი კონცეფცია. ტერმინი „მწვანე ეკონომიკა“ (GE) პირველად 1989 წელს იქნა გამოყენებული ნაშრომში „მწვანე ეკონომიკის პროექტი“, რომელიც მიემდგვნა მდგრადი განვითარების საკითხებს. ამ დროიდან ტერმინმა შეიძინა მრავალი ინტერპრეტაცია – თუმცა მისი საფუძველი – მდგრადი განვითარების კონცეფცია, უცვლელი დარჩა. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) ოფიციალური

გამარტებით, „მწვანე“ ეკონომიკა – ეს არის ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებას და სოციალური უთანასწორობის შემცირებას, როდესაც მნიშვნელოვნად მცირდება უთანასწორობის რისკები გარემოსადმი და ეკოლოგიური დანაკლისები. „მწვანე“ ეკონომიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც „გამოყენებით“ ვერსია 21-ე საუკუნეში მდგრადი განვითარების კონცეფციისა, რომელიც ძირითადად განპირობებული იყო 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისით და იყო შედეგი მწვანედ წამოჭრილი სოციალური პრობლემების, გარემოს რისკების შემცირებისა და მისი დეგრადაციის საკითხებისა. მწვანე ეკონომიკის განმასხვავებელი ნიშნებია:

1. ეკონომიკური განვითარების ტრადიციული ინდიკატორების (მაგ., მშპ) გადახედვა იმ ინდიკატორების სასარგებლოდ, რომლებზეც აისახება სახელმწიფოს სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური განვითარების ცვლილებები (მაგ., ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი);

2. ექსტერნალების ინტერნალიზაცია, ანუ გარემოზე ეკონომიკის ზემოქმედების ჩართვა საქონლისა და მომსახურების ღირებულებაში, რაც დღევანდელ საბაზრო მექანიზმში არ არსებობს;

3. ბუნებრივი კაპიტალის და ეკოსისტემური მომსახურების ღირებულების შეფასება და აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის რეალიზაციისას;

4. წარმოებისა და მომსახურების რაციონალური მოდელების დანერგვა (ჭარბმოსხმარების პრობლემების გადაწყვეტა);

5. ენერჯის ეფექტური გამოყენება და რესურსების ეფექტურობა;

6. ორიენტაცია ადამიანზე სამეურნეო საქმიანობის განხორციელების დროს.

ფართო კონტექსტში, არსებითი განსხვავება ჩვეულებრივ ეკონომიკასა და „მწვანე“ ეკონომიკას შორის მდგომარეობს უკანასკნელის გრძელვადიან ეფექტებსა და მათ შედეგად გაძლიერებულ მდგრადობაში.

„მწვანე“ ეკონომიკა ეკონომიკის სხვა დარგებისგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება. „მწვანე“ ეკონომიკა ქმნის „მწვანე“ სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, გლობალურ დათბობას, გარემოს დეგრადაციას და აფერხებს რესურსების გამოლევის საშიშროებას.

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების უზრუნველყოფას მივყავართ არასწორ გადაწყვეტილებებამდე, ბაზრის მოთამაშეების მიერ რესურსების არა-სწორად გადანაწილებამდე და საბოლოოდ ისეთ კრიზისებამდე, როგორც იყო 1978 წელს, გლობალური 1996 წლის ფინანსური და 2008 წლის ეკონომიკური კრიზისები. დღეს მიმდინარე ტენდენციები გვიჩვენებს, რომ ეკოლოგია დღეისთვის მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი გახდა და მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ აქტიურად დაიწყო სწრაფვა „მწვანე“ ეკონომიკის დანერგვისაკენ. ბევრმა განვითარებულმა და განვითარებადმა ქვეყანამ მიიღო კანონები და პროექტები, რომლებიც მიმართულია „მწვანე“ ეკონომიკის პრინციპების რეალიზაციაზე და განვითარებად სექტორში ინვესტიციების მოზიდვაზე. მაგ., „მწვანე“ ბიზნესის ინვესტიციების მოზიდვაში და ახალი „მწვანე“ სამუშაო ადგილების შესაქმნელად 2009 წელს ამერიკის მთავრობამ 90 მილიარდი დოლარი გამოყო. ხოლო კანადაში, ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე მალაიზიაში, კორეაში, კამბოჯაში და სხვა ქვეყნებში მუშავდება სხვადასხვა კონცეფციები (UNEP, 2009). „მწვანე“ ეკონომიკური პოლიტიკის პირველივე წლები მნიშვნელოვან ფინანსურ შედეგებს იძლევა, მაგ., 2011 წელს დიდ ბრიტანეთში „მწვანე“ დარგების ეკონომიკური ზრდა შეადგენდა 5.4 მილიარდ ფუნტ სტერლინგს და სექტორის შემდგომი ზრდა მოსალოდნელია 2015 წლისათვის 4.9-5.5%-ით. „მწვანე“ ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მწვანე ტექნოლოგიები – ენერჯოეფექტურობის, განახლებადი ენერჯეტიკის, ნავთობგადამუშავების, ეკოტრანსპორტის, მწვანე მშენებლობის და სხვა.

საქართველოსთვის ტერმინი მწვანე ეკონომიკა ახალია და იგი ნაკლებად გამოიყენება ოფიციალურ დოკუმენტებში. თუმცა 2012 წლის ორ-დღე-წინაგანხილვაში გამართული გაეროს კონფერენციის (UNCED - მდგრადი განვითარების შესახებ, მონაწილე სახელმწიფოებმა შეთანხმებას მიაღწიეს თემაზე მწვანე ეკონომიკა მდგრადი განვითარების ფარგლებში და სიღარიბის აღმოფხვრა) შემდეგ „მწვანე“ ეკონომიკა განსაკუთრებით გამოყენებადი გახდა სამეცნიერო დისკუსიებში, ოფიციალური პირების მოხსენებებში, მასობრივი საზოგადოებრივი ინფორმაციის (მედიაში) საშუალებებში. თუმცა, მეორე მხრივ, უახლოესი ბოლო წლებისთვის დადგენილი მიზნები ნელ-ნელა შესაბამისობაში მოდის „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის მიზნებთან.

„მწვანე“ ეკონომიკის დანერგვის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია „მწვანე“ ბიზნესი, რომელიც გარემოს დაცვით უზრუნველყოფს საქონელს და მომსახურებას და დამოკიდებულია „მწვანე“ საქმიანობის კოეფიციენტზე, რომელიც უპირისპირდება მოცემული ობიექტების ჩვეულებრივ საქმიანობებს. დღევანდელი გადამოსახვიდან, მსოფლიო მოსახლეობის ზრდისა და რესურსების დეფიციტის პირობებში, ის ქვეყნები, რომლებიც უფრო სწრაფად დანერგავენ ყოველდღიურ ცხოვრებაში „მწვანე“ ეკონომიკის პრინციპებს, უფრო კონკურენტუნარიანი და თანასწორნი იქნებიან. გამომდინარე იქიდან, რომ „მწვანე“ ეკონომიკა - ეს არის 21-ე საუკუნის ბიზნეს-შესაძლებლობა, საქართველოში ამ მხრივ „მწვანე“ ბიზნესის მხარდაჭერის სტრატეგია ბიზნეს-ორგანიზაციებს მისცემს მიმართულებას, აღიქვან „მწვანე“ ბიზნესის პრიორიტეტულობა და ყურადღება გაამახვილონ „მწვანე“ ბიზნესის შესაძლებლობებსა და საჭიროებაზე, რათა რეაგირება მოახდინონ მიმდინარე გლობალურ გამოწვევებზე. „მწვანე“ ეკონომიკის სტრატეგია საშუალებას მოგვცემს, ვაჩვენოთ საქართველოში არსებული ვითარება და ხელმისაწვდომი ბიზნესგადაწყვეტილებები, რომლებსაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ აღმავლობას, საზოგადოების სოციალური და გარემოსდაცვითი პირობების გაუმჯობესებას ყოველგვარი დანაკარგის გარეშე, რაც გააუმჯობესებს საწარმოთა კონკურენტუნარიანობას და იმიჯს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

საქართველოს მდგრადი განვითარების წინაშე არსებულ გამოწვევებზე ერთ-ერთი პასუხია „მწვანე“ ზრდისა და „მწვანე“ ბიზნესის განხორციელების პოტენციალის ამოქმედება, რომელიც უზვადაა დაჯილდოებული კულტურული, ადამიანური და ბუნებრივი რესურსებით. ინოვაციებით გაძლიერების შემთხვევაში ის შეიძლება გახდეს „მწვანე“ ეკონომიკის ცენტრი. ამისთვის კი აუცილებელია, ქვეყანაში GGND-ს (გლობალური მწვანე ახალი შეთანხმება – გაერთიანებული ერების გარემოს დაცვითი პროგრამა) თანახმად გამოიყოს

„მწვანე“ ბიზნესისათვის მაღალი პოტენციალის მქონე ის სექტორები: ენერგო ეფექტური შენობები, მდგრადი ენერგეტიკა, მდგრადი ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და რესურსების ეფექტური გამოყენება/ნარჩენების მართვა, რომლებიც ეკონომიკური, დასაქმების და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სწრაფი წარმატების მომგანი არიან.

ამ სექტორებს შორის ჩვენ გამოვყოფდით ტურიზმს, რომელიც ყველაზე მეტად არის მოტივირებული – ხელი შეუწყოს გარემოსა და ბიზნესსათვის დაცვას. ტურიზმის განვითარების წარმატებული გარანტი უმეტესწილად დამოკიდებულია ბუნებრივი ტურისტული რესურსების არსებობაზე, რომელთა რაოდენობა შეზღუდულია, ხოლო მათი ხარისხი კი დიფერენცირებული და მისი სათანადოდ დაცვის გარეშე განადგურდება ის ბუნებრივი სანახაობები, რომლებიც უამრავ ტურისტს იზიდავს. მსოფლიოში მიმდინარე კლიმატური ცვლილებების მიუხედავად, ტურიზმი მრავალ სხვა დარგთან შედარებით უფრო სწრაფად მზარდ და დინამიურად განვითარებად დარგად მოიაზრება. უკანასკნელ 50 წელიწადში მსოფლიო ტურიზმი 35-ჯერ გაიზარდა. საქართველომ, როგორც საბაზრო ეკონომიკის განვითარების ეტაპზე მყოფმა ქვეყანამ, აუცილებლად უნდა გამოიყენოს ტურიზმის სფეროს ასეთი შესაძლებლობა. დღეს ეს დარგი ქვეყანაში მიჩნეულია ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად, რომელიც უნდა განვითარდეს სხვა დარგებთან დაბალანსებულად და პროპორციულად. მსოფლიოში ძველად თუ მოძველებულ სხვა ისეთი რეგიონი, სადაც ლანდშაფტების, ეკოლოგიური და კლიმატური ზონებისა და უნიკალური ბუნებრივი კულტურების ისეთი მრავალფეროვნება იყოს, როგორც საქართველოშია, რაც ხელშემწყობი ფაქტორია ტურიზმის სექტორში ისეთი ფართო სპექტრის ტურისტული მიმართულებების განვითარებისა, როგორცაა:

- სპა და გამაჯანსაღებელი ტურიზმი 2,400-ზე მეტი ბუნებრივი წყაროს საფუძველზე, რომლებიც მინერალების მრავალფეროვანი შემადგენლობით ხასიათდება;
- ეკოტურიზმი, მათ შორის ეკოლოგიურად ადაპტირებული დაცული ტერიტორიებისა, რომლებიც ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 7%-ს შეადგენს და რომელთა 75% ტყეებითაა დაფარული;
- აღმოჩენითი და სპორტული ტურიზმი, საწყალოსნო სპორტისა და მთის სპორტის სახეობები. ამასთანავე, სხვა ტიპის ბუნებაზე დაბალი ნევატიური ეფექტების მქონე ტურები, როგორცაა ჩიტებზე დაკვირვება, ლაშქრობა, ჯომარდობა და ა.შ.
- კულტურული ტურიზმი, 3000 წლიანი კულტურული ისტორიიდან შემორჩენილი 12000 ხუროთმოძღვრების ძეგლის გასაცნობად.
- აგროტურიზმი, ღვინისა და გურმანების ტურები, რომლებიც ეფუძნება ყურძნის 500-ზე მეტი ჯიშის, ადგილობრივი და უნიკალური კულტურების ტრადიციებს და აგრეთვე ადგილობრივი რეცეპტებითა და ტრადიციებით მდიდარ სამზარეულოს და ა.შ.

ტურიზმის თითოეული მიმართულება ტურიზმის ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სექტორია, რომელიც საშუალებას იძლევა ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის. ტურიზმის ბიზნესი მოგების მიღებაზე გამიზნული ბიზნესის კონკრეტული სახეა, რომელიც ტურიზმის ინდუსტრიის სფეროში ხორციელდება. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმი ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს როგორც დიდი იმედის მომცემი „მწვანე“ ბიზნესი, რომელმაც უნდა შეასრულოს ეკოლოგიური მოთხოვნები რათა ამ მიმართულებით გახდეს მდგრადი.

საქართველოს ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას რეგიონული განვითარება წარმოადგენს, რაშიც დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ტურიზმის სექტორს, როგორც „მწვანე“ ბიზნესის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორს, რომელიც ორიენტირებული იქნება რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის აღმავლობისაკენ. ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის ინდივიდუალური უნიკალურობა (განსხვავებული ტრადიციები, რესურსული პოტენციალი, სოციალურ-ეკონომიკური პირობებით დიფერენცირებული აგროტურისტული პროდუქტები) და იაფი, სოფლის ცხოვრების წეს-ჩვეულებების მცოდნე შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება ქვეყანაში აგროტურიზმის მრავალფეროვანი ფორმების განვითარების საშუალებას იძლევა. მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ აგროტურიზმი, როგორც „მწვანე“ ბიზნესის საუკეთესო სექტორი, ხშირად „მწვანე“ ეკონომიკის წარმატებული განვითარების თანმდევი ტრადიციული შემადგენელი ნაწილია, რომელიც ორიენტირებულია სოფლის ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სხვა სპეციფიკური რესურსებით – კომპლექსური, რაციონალური და მდგრადი მწვანე ტურისტული პაკეტის შექმნაზე.

აგროტურიზმი ევროპის კონტინენტზე, სოფლის მეურნეობის ცუდი განვითარების პირობებშიც კი საუკეთესოდ განვითარდა. იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი საბერძნეთი, კვიპროსი – ძირითადი მონაწილეები არიან მსოფლიო აგრო და აგროტურისტულ ბაზარზე. აღნიშნულ ქვეყნებში აგროტურიზმი ათ წელზე მეტია ვითარდება და დღეს წარმოადგენს სოფლის სასტუმროებისა და აგროტურიზმისათვის სპეციალურად მოწყობილ ფერმებს ატრაქციებით, მარშრუტებითა და მრავალფეროვანი მომსახურებით.

დღეს მსოფლიო აგროტურიზმის პრაქტიკაში სულ უფრო აქტუალური ხდება ე.წ. “შრომითი აგროტურიზმი”, რომლის დროსაც მოგზაური იღებს განათავსების საშუალებასა და კვებას ფერმაში შრომის საფასურად. მსოფლიოს 33 ქვეყანაში მრავალადა ასეთი პროგრამები, რომლებიც გაერთიანებული სახელწოდებით: “მოხალისეები ფერმებში” [7].

დღეს ჩვენს ქვეყანაში აგროტურიზმის ბიზნესის განვითარება ჩანასახოვან მდგომარეობაშია, ამიტომ ამ ეტაპზე ის ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ამჟამინდელი აგროეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფას, მაგრამ დღევანდელი სამთავრობო პოლიტიკიდან გამომდინარე, როდესაც მართლაც პრიორიტეტული გახდა სოფლის მეურნეობის რეანიმაცია, ამ პროცესის აგროტურიზმის განვითარებასთან ურთიერთდინამიურ პირობებში წარმართვა უთუოდ დადებით შედეგს მოგვცემს.

აგროტურიზმის შემდგომი განვითარება ბევრად არის დაკავშირებული რეგიონებში მწვანე ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს ძირითადი დარგების დაფინანსების მდგრადი წყაროების არსებობასა და სოფლის დამხმარე დარგების განვითარებას.

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ფინანსური რესურსების მკვეთრი დეფიციტი. ამ კრიზისული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად კი ეფექტურ, სწრაფუკუვებად დარგებს შორის აგროტურიზმის ბიზნესი გვევლინება, როგორც აგროეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო მიმართულება, რომელიც სხვა ტურისტული მიმართულებებისაგან გამოირჩევა თავისი სპეციფიკურობით (კვება და განთავსება). კერძოდ, ტურისტებს მინიმალური დანახარჯებით შეუძლიათ დასვენება გლეხურ სახლებში, აგროტურისტულ სოფელში, ცენტრსა და აგროტურისტულ კომპლექსში (აგროტურიზმი გვევლინება როგორც სასოფლო წარმოების ახალი ფორმა, რომლის ჩარჩოებში ჩამოყალიბდა “საოჯახო სასტუმრო”, როგორც „მწვანე“ ბიზნესსაწარმო, ტურსაწარმო), სადაც მასპინძლები ითავსებენ მიმტანებისა და მზარეულების ფუნქციებს, სტუმრები მიირთმევენ შინაურ ყველს, ხორცს, ადგილობრივ ღვინოს, სხვადასხვა ტრადიციულ კერძს (ორგანული მეურნეობები სუფთა და ჯანსაღი პროდუქციით – მინიმუმ 40% პროდუქტისა უნდა იყოს ადგილზე, ოჯახში წარმოებული კი ის დამატებითი კომპონენტია, რომელიც ტურისტული პროდუქტის მიწოდებას უფრო მიმზიდველს და ღირებულს ხდის); ბავშვებისათვის მუშავდება ცალკე სპეციალური პროგრამები; სტუმრები პარალელურად ეცნობიან ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წეს-ჩვეულებებს და მონაწილეობას იღებენ ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ასევე მათ შეუძლიათ ჩაერთონ ისეთ რეკრეაციულ აქტივობებში, როგორც არის ქვეითი და საცხენოსნო ლაშქრობები, კულტურული და სათავგადასავლო მოგზაურობები, თევზის ჭერა, კენკრის შეგროვება, აბრეშუმის ჭიის მოვლა და სხვ. ასეთი სახის ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა ფერმის ტერიტორიებზე შენარჩუნებული იყოს მეურნეობის ტრადიციული ტექნოლოგიები, რომლებიც არანაკლებ საინტერესოა ტურისტისათვის – როგორ ამოიყვანოს ყველი, როგორ შეკაზმოს ცხენი, როგორ დაწეროს ყურძენი და დააყენოს ღვინო, როგორ დაანთოს ბუხარი, როგორ დაიჭიროს თევზი, როგორ მოიყვანოს ბოსტნეული და ა.შ. [2]. აღსანიშნავია, რომ კვება სოფლად 2-2,5 - ჯერ უფრო იაფი ჯდება (შუამავლების გარეშე), ვიდრე ქალაქში. ასევე იაფია განთავსების საშუალებები, განსაკუთრებით ზაფხულში, რაც თითქმის ორჯერ ამცირებს საგზურის ფასებსაც. შესაბამისად, დასვენების ეს ფორმა საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ხელმისაწვდომი და სასურველი ხდება.

აგროტურისტული ბიზნესი ფერმერს საშუალებას აძლევს, თავისი საქმიანობით დამატებითი შემოსავლები და ალტერნატიული საქმიანობები განახორციელოს, რაც განპირობებულია ტურისტული პროდუქტის კომპლექსურობით. ტურისტული საქმიანობა სოფლად მხოლოდ ინდივიდუალური ფერმით/მეურნეობით არ შემოიფარგლება, ხშირ შემთხვევაში, ტურისტის მომსახურებაში მთელი თემია ჩართული. შესაბამისად, აგროტურისტული მეურნეობა ზრდის სოფლის მოსახლეობის დასაქმების დონეს და დამატებითი შემოსავლის მიღების წყაროს (დღეს, როდესაც სოფლად ცხოვრების პირობები და ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსური შემოსავლები მცირეა, პროდუქტის გასაღების ბაზრების მოპოვება და პროდუქტის პირველადი ღირებულების გაზრდა - მაგალითად, სოფლის ტრადიციული პროდუქტის წარმოება, მისი საკვებად გადამუშავება და სტუმრის გამასპინძლება) ქმნის. დამატებითი ღირებულების წარმოქმნა შესაძლებელია ასევე სხვა მომსახურებითაც. მაგალითად, განთავსების, სატრანსპორტო, კვების, გიდის მომსახურება და სხვ. ყველაფერი ქმნის ტურისტული პროდუქტის დამატებითი ღირებულების ჯაჭვს, რაც ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის პირდაპირ შემოსავალს.

ტურიზმისა და კერძოდ აგროტურიზმის წარმატებული განვითარება განპირობებულია ორგანული მეურნეობისა და გარემოს სისუფთავეზე როგორც ფერმაში, ასევე მის გარეთ. ამ შემთხვევაში, როგორც ადგილობრივ მცხოვრებს, ისე ფერმერს და თავად ტურისტს, გააზრებული უნდა ჰქონდეთ ბუნების მიმართ პასუხისმგებლობა, რაც საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობით კერძო ბიზნესის მხრიდან, სამწუხაროდ, უგულვებელყოფილია. ეს პრობლემა გამოწვეულია ამ სექტორში რიგი ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობით, რომელიც თანამედროვე „მწვანე“ ბიზნესს შეუძლია უზრუნველყოს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოში „მწვანე“ ბიზნესის განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს, რაც გამოწვეულია: 1. ადგილობრივ ბიზნესწრეებში „მწვანე“ ეკონომიკაში არსებული კომერციული შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონით; 2. „მწვანე“ სექტორსა და მდგრადი ბიზნესპრაქტიკის კომერციულ ფასეულობასა და პოტენციურ ფინანსურ სარგებელზე ინფორმაციის (საბაზო მონაცემები და ანალიზი) დეფიციტით; 3. მდგრად ბიზნესპრაქტიკასა და მრეწველობასთან დაკავშირებული ნოუ-ჰაუს და შესაბამისი ტექნოლოგიების დეფიციტით. ეს ყველაფერი ხელს უწყობს იმას, რომ ბანკებმა არ გამოიყონ დაფინანსება ბიზნეს-საქმიანობის ნაკლებად შესწავლილ სფეროში. არ დაგვაიწყდეს ისიც, რომ კერძო სექტორის მონაწილეთათვის მდგრადი განვითარების კონცეფცია ჯერ კიდევ ახალია.

საბოლოოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ „მწვანე“ ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ სექტორად ტურიზმის განვითარება მიგვაჩნია, რომელიც პირდაპირ იქნება ორიენტირებული ისეთი ტურისტული ბიზნესის განვითარებისაკენ, რომელიც, პირველ რიგში, საქართველოში ამ ბიზნესში ჩართულ ყველა ადამიანს და ჩამოსულ ტურისტს გაუღვიძებს ბუნების მიმართ პასუხისმგებლობის გრძობას და ისინი შემდგომ გახდებიან სამეწარმეო საქმიანობის მაღალ დონეზე მცოდნე მეწარმე-ბიზნესმენები, ფერმერები, რომელნიც უნდა ფლობდნენ იმ ცოდნას და თვისებებს, რაც ახასიათებს მეწარმეს, კერძოდ უნდა გააჩნდეს საკუთარი ბიზნესიდეა და იყოს თავისუფალი თავისი საქმიანობაში, მოქმედებდეს საკუთარი რისკით, მისი საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს მოგებაზე და აუცილებლად უნდა ჰქონდეს დარეგისტრირებული საწარმო.

ტურისტული ბიზნესის მქონე ფერმერს უნდა შეეძლოს საფინანსო-ორგანიზაციული შედეგების ანალიზი; უნდა ერკვეოდეს საწარმოს შემოსავლიანობის კვალიფიკაციაში; საჭიროა იცოდეს დანახარჯების კლასიფიკაცია: პირდაპირი, მუდმივი, ცვლადი და შერეული დანახარჯები; განსხვავოს ერთმანეთისაგან რელიზაციისაგან მიღებული სუფთა მოგება და საერთო მოგება, ძირითადი საქმიანობისაგან მიღებული და ფინანსური საქმიანობით მიღებული მოგება და ა.შ.

ზემოთქმულიდან ვასკნით, რომ ტურისტული „მწვანე“ ბიზნესის განვითარება საქართველოსთვის მეტად საჭირო და აუცილებელია როგორც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის და მოსახლეობის დასაქმების

მხრივ, ასევე ქვეყნის ბიუჯეტის შესავსებად. ასევე გასათვალისწინებელია ტურისტული ბიზნესის განვითარების სწორი სტრატეგიის გატარება გარემოსთან მიმართებაში, რაც რეგიონებში უზრუნველყოფს გაცილებით უსაფრთხო და უვნებელ ეკოლოგიურ ატმოსფეროს და ხელს შეუწყობს, რომ საქართველომ დაწინაურდეს პროგრესული მწვანე ეკონომიკური განვითარების რეალური, სწორი გზები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, - მწვანე ალტერნატივა, 2013.
2. მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის სტრატეგია საქართველოს კერძო ბიზნეს – ორგანიზაციებისათვის, UBCCE-GIZ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, - შავი და კასპიის ზღვების ბიზნესკონფედერაციების კავშირი. თბ., 2011. www.ubcce.org
3. Бобылев С., Палт М., Киришин П., Михайлова С., Биоэкономика и «зелёная» экономика, тсუ, ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია შრომების კრებული, თბ., 2013.
4. „მწვანე ზრდის მიმართულებები“. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია OECD, 2011. www.oecd.org/greengrowth
5. „გლობალური მწვანე ახალი შეთანხმება“, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა. 2009წ. მარტი...(www.unep.org/pdf/A_Global_Green_New_Deal_Policy_Brief.pdf)
6. ბიძინაშვილი დ., ქობლიანიძე რ., მწვანე ეკონომიკა - ეს არის 21-ე საუკუნის ბიზნესშესაძლებლობა, თსუ, ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, შრომების კრებული, თბ., 2013.
7. მეტრეველი მ., აგროტურიზმი – სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტული მიმართულება, თსუ, ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, შრომების კრებული, თბ., 2013.
8. სამუშაო შეხვედრა „ინოვაციური წარმოება და მდგრადი...
www.greengeorgia.ge/?q=ka/node/158
9. See more at: <http://www.greengeorgia.ge/?q=ka/green-opportunities#sthash.5MxO73sy.dpuf>
10. Green Georgia www.greengeorgia.ge/?q=ka/about Translate this page, მწვანე საქართველოს შესახებ.

*Ketevan Kveladze
Mamuka Khuskivadze*

SOME ASPECTS OF THE DEVELOPMENT OF GREEN ECONOMY AND TOURISM BUSINESS

Annotation

This article discusses the importance of developing a green economy for the development of the sustainable national economy in Georgia, as well as the general aspects of the development of the green economy and are outlined the high-potential sectors in green business, which would contribute protection of the environment and business ethics to the country. The work is considered the tourism business as a green business support sector and discussed the direction of tourism which contribute to the small and medium business development in regions

*ლაშარი ქურდაშვილი
ლილი კოჭლამაზაშვილი
ლიანა ქართველიშვილი*

აღმავალი რეზიუმის როლი ტურიზმის ბიზნესში

მუშაობა ტურისტული საწარმოს, მენეჯერის პიროვნების, ქალაქის, ქვეყნის იმიჯის შესაქმნელად, ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა თანამედროვე ტურისტულ ბიზნესში. იმიჯის კეთება განუყოფელია ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ეკონომიკის და სხვა სამეცნიერო დისციპლინებისაგან, თუმცა, ამჟამად იგი უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მეცნიერება.

ტურსაწარმოს იმიჯის ფორმირებისათვის დანახარჯები არ ემორჩილება მკაცრ აღრიცხვას, რაც ართულებს მისი შეფასების ობიექტური კრიტერიუმების შეჩვენებას. მეორე სირთულე ისაა, რომ ტურსაწარმოს ხელმძღვანელობას არა აქვთ იმიჯის ფორმირების საკუთარი დარგობრივი კრიტერიუმები, რაც იწვევს იმიჯზე მუშაობის სტიქიურობას და შეცდომებს, რომლის საფასური საკმაოდ მაღალია.

იმიჯის დამუშავების სფეროში არ შეიძლება რეკლამის გამოცალკევება მარკეტინგული კვლევებისაგან, ისევე, როგორც ტურსაწარმოს იმიჯის გამოცალკევება თითოეული თანამშრომლის ქცევისაგან. ყველაფერი ეს, ერთი მთლიანის შემადგენელი ნაწილია, რაც, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს ტურბიზნესის წარმატებებზე.

მსოფლიო ტურისტული კონიუნქტურის მოთხოვნების შესაბამისად, **ტურსაწარმო ტურპროდუქტის ხარისხზე ზრუნვასთან ერთად უნდა ფლობდეს შემდეგ მახასიათებლებს:**

- ჰქონდეს მკაფიო ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრირებული სტრუქტურა;
- არ იქონიოს თავის შემადგენლობაში არაპროფილური აქტივები;
- დემონსტრირება გაუკეთოს საფინანსო გამჭვირვალობას;
- მმართველობით თანამდებობაზე მოიწვიოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც აქვთ მსხვილ ტურფირებში მუშაობის გამოცდილება;

- დაამუშაოს და დანერგოს კორპორაციული ქცევის კოდექსი;
- დააფიქსიროს მოგების პროცენტი, მიმართული დივიდენდებზე;
- გამოავლინოს ზრუნვა თავის პერსონალზე, გარემოზე, აგრეთვე შეძლებისდაგვარად აწარმოოს საქველმოქმედო საქმიანობა.

როგორც პრაქტიკა გვჩვენებს, **ტურსაწარმოს რეპუტაცია** არის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი. მისგან ყოველ მომენტში შეიძლება საწარმომ განიცადოს დამანგრეველი დარტყმა, რომელიც შეიძლება მსხვილი და მყარი ფირმებისათვისაც დამთავრდეს შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირებით და გაბანკოტებითაც კი.

ტურსაწარმოს იმიჯზე ზრუნვა უნდა განხორციელდეს ორი მიმართულებით: შექმნას და განამტკიცოს რეპუტაცია, აგრეთვე მოდელირება გაუკეთოს თავის საქმიანობას კრიზისულ სიტუაციებში.

აღსანიშნავია, რომ **ტურსაწარმოს ცუდი რეპუტაციის შესახებ ბევრმა იცის. კარგ რეპუტაციას ხშირად აქვს ლოკალიზებული ხასიათი**, რადგან ასეთი სახის ინფორმაცია ვრცელდება ძლიერ შეზღუდულ წრეში. ეს ხდება იმ შემთხვევებში, როცა ტურსაწარმოები არ აქცევენ საკმაო ყურადღებას თავისი რეპუტაციის განმტკიცებას, არ უდგებიან ამ საკითხს სისტემურად და განუწყვეტილვ. ეს რომ არ მოხდეს, ტურსაწარმოებმა დროისა და ფინანსების ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინონ სხვადასხვა გამოფენებში, კონფერენციებში, სემინარებში, კონკურსებში და სხვაგან მონაწილეობა. რეპუტაციის შესანარჩუნებლად, პერიოდულად პრესაში თავი უნდა გამოიჩინონ – გამოიყენონ ფარული რეკლამა. ეს შეიძლება იყოს ხელმძღვანელის ინტერვიუ ტურსაწარმოს იუბილესთან დაკავშირებით ან მარშრუტზე მიწვეული კორესპონდენტის საგზაო შენიშვნები. ბუნებრივია, ფარული რეკლამა, ისევე, როგორც სხვა, უფასო არ არის.

ტურსაწარმოს იმიჯი შეიძლება დაიყოს ორ შემადგენელ ნაწილად – გარე და შიდა. გარე იმიჯი მიმართულია მთლიანად საზოგადოებაზე, შიდა – პერსონალზე (თანამშრომელთა აზრი ტურსაწარმოს შესახებ, მყიდველთა აზრი ტურსაწარმოს პერსონალთან ურთიერთობისას).

ტურსაწარმოს **გარე იმიჯი** შეიძლება იყოს ხელშესახები და ხელშეუხებელი.

ხელშესახები იმიჯი ფორმირდება ტურსაწარმოს იმ ატრიბუტებით, რომელიც შეიძლება ადვილად გრძობის ორგანოებით. გამოკვლევები ადასტურებს, რომ გადაწყვეტილებების 80%-ს ადამიანი იღებს ვიზუალური ინფორმაციის საფუძველზე. ხელშესახები იმიჯის ობიექტებს მიეკუთვნება: ადგილმდებარეობა, სახელწოდება, დევიზი, ლოგოტიპი, ტურსაწარმოს სლოგანი, პერსონალის საფირმო ტანსაცმელი, მისი დამოკიდებულება სამუშაოსადმი, რეკლამა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან კავშირი, საზოგადოებრივი საქმიანობა.

ტურსაწარმოს არტიპუტიკისადმი საერთო მოთხოვნაა: ინდივიდუალობა, ადვილად დამახსოვრება, კეთილხმოვანობა, უარყოფითი ასოციაციების არქონა, შინაარსიანი აზრი, ამავე დროს, თვალში საცემი უნდა იყოს.

ხელშეუხებელი იმიჯი არის კლიენტის საპასუხო რეაქცია სერვისის დონეზე და ტურფირმის თანამშრომელთა მასთან დამოკიდებულება. იმიჯის ამ სახის შემადგენლად შეიძლება ჩაითვალოს: ოფისის ადგილმდებარეობა (რაიონი, სართული, ავტომანქანის გასაჩერებელი ადგილი და ა.შ.), მისი გარეგანი და შიდა გაფორმება, ორგტექნიკის არსებობა, მენეჯერისა და სხვა თანამშრომელთა სამუშაო ადგილის ორგანიზაცია. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საქმიან მოწყობილობას, წესრიგს მაგიდებსა და სტელაჟებზე, კლიენტების დასახად არ უნდა ეწყოს კვების პროდუქტები, ყავა, სიგარეტი. მთავარი ფაქტორი ხელშეუხებელი იმიჯისა არის თანამშრომელთა გულითადობა და კომპეტენტურობა.

ტურსაწარმოს იმიჯის სენსორული აღქმის ძალის გაგებისა და გამოყენების უნარი საშუალებას იძლევა, მივაღწიოთ შესამჩნევ კონკურენტულ უპირატესობას მცირე საფინანსო რესურსებით.

ტურსაწარმოს **შიდა იმიჯს** ხელმძღვანელები ხშირად სათანადოდ არ აფასებენ. ეს არის თანამშრომელთა დამოკიდებულება მუშაობასთან, მათი აზრი ტურსაწარმოზე და ხელმძღვანელობის სტილზე, თანამშრომელთა სოციალურად დაცვაზე, ურთიერთსარგებლოებაზე და ა.შ. შიდა იმიჯის ცვლილების შესაძლებლობა განსხვავებით გარე იმიჯისაგან უმნიშვნელოა, მაგრამ მისი როლი ტურსაწარმოს რეპუტაციისათვის უდიდესია.

ტურისტული საწარმოს სახე ყალიბდება მრავალი შემადგენლისაგან:

- ტურსაწარმოსა და მისი ხელმძღვანელის ფილოსოფია;
- ტურსაწარმოს სახელწოდება;
- ხელმძღვანელისა და თითოეული მუშაკის იმიჯი (ინდივიდუალური და პროფესიული სტილი, მოდური მიმართულების მიმდევრობა);
- თანამშრომელთა პროფესიული მომზადება;
- ტურსაწარმოს ოფისის ადგილმდებარეობა (ქალაქის ცენტრი თუ პერიფერია), კავშირის საშუალებების მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა (ტურსაწარმოსთან დაკავშირება ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით თუ კომპიუტერით);
- ოფისის გაფორმება (განათება, ფერთა გამა, ავეჯი და მისი განლაგება, სამუშაო ადგილების განთავსება, დამატებითი ინფორმაცია – მაგიდებზე ბუკლეტების, პლაკატების, კალენდარებისა და სხვათა ხასიით);
- ტექნიკური აღჭურვილობა (თანამედროვე ორგტექნიკა, საკანცელარიო ნაწარმი და სხვ.);
- სარეკლამო საქმიანობა (მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება, ბლანკების, სავიზიტო ბარათების, კატალოგების, სტენდების გაფორმება, გამოფენებსა და სარეკლამო პროექტებში მონაწილეობა და სხვ.);
- მუშაობა პარტნიორებთან, კონკურენტებთან, მომხმარებლებთან;
- მარკეტინგული საქმიანობა (მარკეტინგული საქმიანობა, ახალი ტურპროდუქტის ბაზარზე წინ წაწევა);
- დაცვითი ღონისძიებები (ვიდეოადაპტირებული კამერების, დომოფონების, სეიფების, სიგნალიზაციის,

მცველების არსებობა, პოლიციისა და ინკასაციის მომსახურებით სარგებლობა);

- სხვა ატრიბუტები, რომელიც შეიძლება გავითვალისწინოთ ტურსაწარმოს შეხედულებისამებრ და სხვ.

ტურსაწარმოს ყველაზე შესამჩნევი ელემენტია მისი **სახელწოდება და სლოგანი**, რომელთა მაქსიმალურად ეფექტიანი ვარიანტის შექმნას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, განსაკუთრებით კი – ახლად შექმნილ საწარმოებში. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ დაბადებისას მიკუთვნებული სახელი ქვეცნობიერ გავლენას ახდენს ადამიანზე და ფსიქოლოგიურად აყალიბებს მისი პიროვნების ტიპს. ტურსაწარმოს სახელწოდებას, რომელიცაა საწარმოს ნიშანზე, საფირმო ბლანკზე, სავიზიტო ბარათებზე, ისეთივე მნიშვნელობა აქვს ბაზარზე წარმატებული ფუნქციონირებისათვის, როგორც სახელს ადამიანისათვის. **ტურსაწარმოს დასახელება და სლოგანი პოტენციურ კლიენტებს აცნობს არა მარტო საქმიანობის სფეროს, არამედ ასევე მისი მიმართულებების უპირატესობებს**, ამიტომ მათ ნათლად უნდა ასახონ საქმიანობის პროფილი. რაც უფრო მოკლეა სახელწოდება, მით უფრო ძლიერია მისი ეფექტი. იგი ადვილად დასამახსოვრებელი უნდა იყოს. მსოფლიო ბიზნესში კორპორაციის სახელწოდება ითვლება იმდენად მნიშვნელოვანად, რომ ყოველწლიურად, პროფესიონალებთან კონსულტაციის შემდეგ მას ათასობით ტურსაწარმო იცვლის.

სახელწოდების შერჩევა შემოქმედებითი პროცესია, მაგრამ იგი ყოველთვის ემორჩილება მთავარ მიზანს – მიადვილოს კონკურენტულ უპირატესობას. ტურსაწარმოს სახელი მრავალი წლის განმავლობაში დაკავშირებულია სარეკლამო კამპანიებთან, რომელსაც ჰყავს თავისი მიზნობრივი აუდიტორია, და დაკავებული აქვს ბაზრის თავისი სექტორი. ამიტომ ტურსაწარმოს სახელწოდებამ როგორც თავისთავად, ისე სარეკლამო მიმართულების კონტექსტში უნდა გამოიწვიოს პოზიტიური დამოკიდებულება და აღუძვრას სურვილი, მიმართოს სწორედ ამ ტურსაწარმოს.

თუ ტურსაწარმო მუშაობს უცხოელ ტურისტებთან, სახელწოდების არჩევისას უნდა გავითვალისწინოთ მისი ქვეყნადობის თავისებურება იმ ქვეყნის ენაზე, რომლის წარმომადგენლებთანაც უხდება საქმიანი ურთიერთობები.

მნიშვნელოვან გართულებებს იწვევს ტურსაწარმოს ორიგინალური, დამახსოვრებადი ლოგოტიპის დამუშავება. **ლოგოტიპი** (ბერძნული სიტყვებიდან ლოგოს – სიტყვა და ტუპოს – ანაბეჭდი) – არის სიმბოლო ან ნიშანი, რომელიც უნდა აღიბეჭდოს გონებაში. კარგი ლოგოტიპი აძლიერებს სარეკლამო კამპანიის ეფექტს და ხელს უწყობს ტურპროდუქტის წინ წაწევას ბაზარზე. ლოგოტიპის შრიფტი ადვილად უნდა იკითხებოდეს, ხოლო ფერთა გამამ უნდა გაითვალისწინოს მხედველობითი აღქმის ფიზიოლოგიური თავისებურებები. ადამიანს არ შეუძლია ერთ პატარა გამოსახულებაში აღიქვას სამზე მეტი ფერი. ფერი არ უნდა იყოს ძალიან ნათელი, რადგან დაგვამახსოვრდება არა ტექსტი, არამედ მისი "ფერადონება".

ტურსაწარმოს იმიჯის სხვა შემადგენლებს შორის სარეალიზაციოდ ყველაზე ადვილია **ოფისის გაფორმება**. თუმცა ხშირად უშეუბნებელი ტიპურ შეცდომებს ავყავს შერჩევაში, მის განლაგებაში. იმისათვის, რომ ოფისის გაფორმებამ იმუშაოს ტურსაწარმოს ეფექტიანობის ამაღლებაზე, აუცილებელია განისაზღვროს კაბინეტების განლაგება ფუნქციონალური ზონებისა და მომსვენელთა ნაკადების მიხედვით, შესაბამისი ჰიგიენური ნორმების დაცვითა და ბუნებრივი განათებით. განსაკუთრებულ სიღამაზეს და სითბოს ოფისს ანიჭებს ცოცხალი ყვავილები.

ტურსაწარმოს იმიჯის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს ასევე რეკლამის ყველა სახე და საზოგადოებასთან ურთიერთობები.

ტურსაწარმოს **იმიჯის შეფასება** ხდება იმავე მეთოდებით, როგორც ფასდება კონკურენტუნარიანობა. იმ მრავალი ფაქტორიდან, რომელიც გავლენას ახდენს ტურსაწარმოს ორგანიზაციაზე, უნდა შევარჩიოთ კონკრეტული საწარმოსათვის ძირითადი, შევავსოთ ისინი ქულებით და საექსპერტო გზით მივაკუთვნოთ თითოეულ ფაქტორს წონა. ამასთან, მათი ჯამი ყოველთვის ერთის ტოლი უნდა იყოს.

ტურსაწარმოს კომერციულ წარმატებას ხელს უწყობს თანამშრომელთა სასიამოვნო და პოზიტიური სახის შექმნა. ფსიქოლოგების მიერ დადგენილია, რომ ადამიანები ენდობიან იმას, რაც მიმზიდველია. ეს უკანასკნელი შეიძლება გახდეს წარმატების გარანტია იმ შემთხვევებში, როცა ობიექტური წინამძღვრები ამისათვის ცოტაა. მომხმარებელთა სიმპათიების მოპოვება, ტურსაწარმოსადმი და ტურისტისადმი მათი ფსიქოლოგიური შეთვისება მიიღწევა იმიჯელოგიის სხვადასხვა საშუალებებით.

იმიჯი, ეს პიროვნება კი არა, მისი სახეა, რომლის საშუალებითაც ადამიანი ასრულებს მასზე დაკისრებულ როლს. წარმატებული იმიჯი ეს არის უნარი იმისა, რომ კლიენტებს, პარტნიორებს და კონკურენტებს ჩაუნერგოს, რომ მოცემული იმიჯის მატარებელი განასახიერებს იმ იდეალურ თვისებებს, რომელიც შეიძლება მათ ჰქონდეთ თუ იქნებოდნენ ამ ადამიანების ადგილას.

გამოყოფენ **პიროვნული თვისებების სამ ჯგუფს**, რომელთა არსებობა საშუალებას იძლევა გადაწყდეს იმიჯის პრობლემა:

პირველ ჯგუფში შედის ისეთი ბუნებრივი თვისებები, როგორცაა კომუნიკაბელობა, მჭერმეტყველება, თანაგრძნობა, სურვილი და უნარი იმისა, რომ გაუგოს სხვა ადამიანს.

მეორე ჯგუფში შედის პიროვნული მახასიათებლები, რომელიც ფორმირებულია აღზრდითა და განათლებით.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება მახასიათებლები, რომელიც დაკავშირებულია პიროვნების ცხოვრებისეულ და პროფესიულ გამოცდილებასთან: ინტუიცია, არასტანდარტულ სიტუაციებში ორიენტირების უნარი, მოქნილობა სიტუაციის შესაბამისად.

იმიჯის ფორმირებისათვის ძლიან მნიშვნელოვანია **ურთიერთობის სტილი და მანერა**.

საქმიანი აქტიურობა ეფუძნება ადამიანთა შორის ურთიერთობებს. ტურსაწარმოს თანამშრომელთა კომუნიკაბელობის ხარისხზე კლიენტებთან ან პარტნიორებთან ურთიერთობისას, ბევრადაა დამოკიდებული საქმიანი კონტაქტების შედეგიანობა.

ტურსაწარმოს მენეჯერის იმიჯის სიტუაციური მოდელის დამუშავებისას ხელმძღვანელმა უნდა გაითვალისწინოს და განავითაროს თავის ქვეშევრდომებში შემდეგი ძირითადი თვისებები:

- გამოავლინოს გულწრფელი ინტერესი და ყურადღება კლიენტისადმი;
- შეინარჩუნოს თავშეკავება ყველაზე რთულ სიტუაციებში;
- იგრძნოს მიმდინარე ცვლილებები და ადვილად და სწრაფად აუღოს მას აღდგომა;
- თავისთავისადმი პატივისცემა: თავისი ღირსებების დაცვისას, შეიძლება ისწავლოს სხვათა ღირსებების დაცვა;

- ოპტიმისტი, ხალისიანი, ემოციურად გახსნილი;
- ყველა სიტუაციას შეხედოს კარგი მხრიდან;
- არტისტიზმი: ექსტრემისა და ინტონაციების დახმარებით გაართოს კლიენტი;

მიმზიდველი იმიჯის შექმნა თვითმიზანი არაა, იგი კომერციული აუცილებლობაა. უმეტეს შემთხვევებში, თავდაპირველი აზრი სხვა ადამიანების შესახებ ყალიბდება გარეგნული შთაბეჭდილებებით გაცნობიდან 5-10 წამში და საუბრის პირველ წუთებში.

ზოგიერთები, ადამიანზე აზრს აყალიბებენ მათზე ერთი შეხედვით ისე, რომ არც კი ცდილობენ მათთან გასაუბრებას. თუ გარეგნული იერი ან თავდაჭერის მანერა არ შთააგონებს პატივისცემას, მაშინ ბევრი პოტენციური საქმიანი პარტნიორი ან მომხმარებელი მათთან საქმეს არ დაიჭერს.

ტურსაწარმოს თანამშრომელთა ისეთი ატრიბუტები, როგორცაა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ვარცხნილობა, მაკიაჟი და სხვ., უნდა შეესაბამებოდეს საქმიანი ადამიანების საერთოდ მიღებულ სტანდარტულ სახეს. მენეჯერის გარეგნულ იერსა და მის წარმატებას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. პროფესიული ტანსაცმელი ბაღებს პროფესიულ ქცევას, ამიტომ ტურსაწარმოს თანამშრომლისათვის აუცილებელია გარეგნული სახის სტანდარტების დაცვა, რომელიც მიღებულია ტურსაწარმომში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. კოჭლამაზაშვილი, ლ. ქართველიშვილი, ტურისტული საწარმოს მენეჯმენტი. თბ., 2013.
2. ლ. კოჭლამაზაშვილი; ლ. ქურდაშვილი, ტურისტული საწარმოს ფინანსური მენეჯმენტი. თბ., 2013.

*Lashari Kurdasvili
Lili Kochlamazashvili
Liana Kartvelishvili*

THE ROLE OF HUMAN RESOURCES IN TOURISM INDUSTRY

Annotation

The image of tourism industry staff can be divided into two parts , internal and external. The external image is directed to the whole society, domestic – to personnel. Tourism industry’s external image can be visible and intact. Tourism industry’s internal image are often not properly appreciated by the heads. This is the attitude of the staff, in their opinion towards tourism industry and management style, employees’ social security, mutual benefits etc. In contrast to the external image the internal image possibility of change is small, but has the biggest role in tourism industry reputation.

ნაირა ლევდაშვილი

რეზიუმეში ტურიზმის ბანკითარების დაბეჭდვაში გადაწყვეტილებათა მიღების ეფექტიანობის შეფასების მეთოდები

ტურიზმის განვითარების დაგეგმვაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის მართვის სუბიექტის მოქმედებათა ციკლური თანამიმდევრობა, რომელიც მიმართულია დარგში პრობლემების გადაწყვეტაზე. მისი შინაარსია სიტუაციების ანალიზი, ალტერნატივების გენერაცია, გადაწყვეტილების მიღება და მათი შესრულების ორგანიზაცია.

გადაწყვეტილების მიღებისას ერთდროულად ორი პროცესი მიმდინარეობს: ახალი ამოცანების გადაწყვეტაზე მიმართული შემოქმედებითი საქმიანობა და იმ მმართველობითი პროცედურების პუნქტუალურ შესრულებაზე დაფუძნებული ტექნოლოგიური საქმიანობა, რომელთაც პრაქტიკულად გაამართლეს თავისი თავი. მუდმივად განახლებადი ეს პროცესები მმართველობის საფუძველს შეადგენს. გარდა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის აუცილებლობისა და მნიშვნელობისა, მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის ცენტრალური პრობლემაა ასევე გადაწყვეტილებათა მიღების ეფექტიანობის შეფასება. ამ პრობლემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტურიზმის სფეროს მართვასთან მიმართებაში, სადაც ეფექტიანობის შეფასება ძალიან რთულია, რაც პირველ რიგში გამოწვეულია ამ სფეროს მართვის თავისებურებებით (იგულისხმება კონკრეტული შრომის შედეგების გაზომვის სირთულეები და სხვ.).

თანამედროვე ბიზნესის (როგორც კომერციულის, ისე ნონ-პროფიტულის) მთავარი პრობლემებია ძნელად შესაძენი, ნაკლებად გაზომვადი და ფაქტობრივად არაპროგნოზირებადი ფაქტორები. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ თანამედროვე მენეჯმენტს “სუსტი სიგნალებით მართვასაც” უწოდებენ.

ზოგადად, მთი უმეტეს კი ტურიზმის სფეროში, საქმის წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ კარგად სტრუქტურირებულ და ნათლად გამოხატულ პარამეტრების მქონე ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობაზე, არამედ გარემოს დაფარული იმპულსების გამოყენების და გათვალისწინების ცოდნასა და ფირმის გარე და შიდა წინააღმდეგობების მართვაზე. ყოველივე ზემოაღნიშნული სრულად ეხება ტურიზმის სფეროს მართვას, რომელიც ეფექტიანობის პრობლემას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ამასთან, იგი, ყოველთვის დგას ფირმის ხელმძღვანელობის, მმართველობის დარგობრივი და რეგიონული ორგანოების წინაშე, რომელთაც სურთ იცოდნენ, გამართლებულია თუ არა ის არცთუ მცირე დანახარჯები, რომლებიც ტურიზმის

სფეროში პროექტების, პროგრამების და ღონისძიებების განხორციელებას ხმარდება. ამ ღონისძიებების განხორციელების საჭიროება ეჭვგარეშეა, მაგრამ რამდენად ეფექტური არიან ისინი?

სირთულეები დრმავედა იმით, რომ ტურისტული საქმიანობის მართვის ეფექტიანობის პრობლემის გადაწყვეტისთვის არასაკმარისი ეფექტიანობის ის წმინდა ეკონომიკური კრიტერიუმები, რომლებიც ეფექტიანობის გასაანგარიშებლად არის შემუშავებული (მაგალითად, მატერიალური წარმოების სფეროში). ტურიზმის სფეროში ეფექტიანობის ანალიზი სპეციფიკურ მიდგომას, საკითხის უფრო ფართო კონტექსტში განხილვას საჭიროებს. ამ თვალსაზრისით, ტურისტული საქმიანობის მართვის ეფექტიანობის პრობლემის ანალიზი სირთულის გამოც არის მიმზიდველი. ამიტომ, ტურიზმის სფეროში ეფექტიანობის მოდელის შემუშავება განსაკუთრებით საინტერესოა და მას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ასე რომ, ტერმინი „ეფექტიანობა“ (ზოგადად და ტურიზმშიც) გამოიყენება მმართველობითი გადაწყვეტილების შედეგიანობის, შემოსავლიანობის შესაფასებლად. ტურიზმის განვითარების დაგეგმვის პროცესში იანგარიშება საჭირო ხარჯებიც და სავარაუდო შემოსავლებიც. ამ უკანასკნელის შეფარდება დანახარჯებთან ეფექტიანობას წარმოადგენს. თუ მაგალითად, 2020 წლისათვის საქართველოში ტურიზმის განსავითარებლად დაიგეგმა 110 მლნ ლარის ხარჯი, ხოლო იქიდან მისაღები მოსალოდნელი მოგება შეადგენს $135/110=1,227$ ანუ 122,7%. ეს იმას ნიშნავს, რომ მიღებული მოგება მთლიანად გადაფარავს ხარჯებს და მოგებაც დარჩება 22,7%, რაც შეესაბამება $135-110=25$ მლნ ლარს.

ეფექტიანობა სხვადასხვა სახისაა, იმის მიხედვით, თუ მისი ანგარიშისას რომელი დანახარჯები ან რომელი შედეგი მიიღება მხედველობაში¹⁵⁴. ამის მხედველობაში მიღებით მეცნიერები ეფექტიანობის ძირითად სახეობად მიიჩნევენ:

- სოციალურ (საზოგადოებრივ) ეფექტიანობას;
- ეკონომიკურ (ეკონომიკურ) ეფექტიანობას;
- ბიუჯეტურ ეფექტიანობას;
- ეკოლოგიურ ეფექტიანობას.

განვიხილოთ ისინი:

ეკონომიკური ეფექტიანობა სხვადასხვა დონეზე იანგარიშება და ამ თვალსაზრისით მისი ანგარიშის ალგორითმი რამდენადმე განსხვავებულია:

1. ტურისტულ მომსახურებათა საწარმოების -- ტურსაგენტოების, სასტუმროების, სატრანსპორტო საწარმოების და სხვათა ეკონომიკური ეფექტიანობა. ეფექტიანობის ეს მაჩვენებელი იანგარიშება ამ საწარმოთა წლიური მოგების შეფარდებით მიმდინარე დანახარჯებთან;

2. ტურისტების გარე მომსახურე ორგანიზაციების — საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სამედიცინო დაწესებულებები, სუვენირების მწარმოებელი საწარმოები და ა. შ. ეფექტიანობა. ეს მაჩვენებელი იანგარიშება იმ მოგების შეფარდებით დანახარჯებთან, რომელიც მათ მიიღეს ტურისტების მომსახურებით (სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ, რომ სუვენირების წარმოებაში ეფექტიანობის ამ მაჩვენებლის გამოთვლა არ არის ძნელი, რადგან სუვენირებს თითქმის მთლიანად ტურისტები ყიდულობენ. საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და სამედიცინო დაწესებულებებში კი ამის გამოთვლა მეტად რთულია);

3. რეგიონში ტურიზმის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის მომსახურე საწარმოების (სარემონტო ორგანიზაციები, სამშენებლო ორგანიზაციები და სხვები) და ასევე ტურიზმის ინფრასტრუქტურის (საბანკო სექტორი, საინფორმაციო სამსახური და სხვები) ეკონომიკური ეფექტიანობა. ამ ორგანიზაციებისათვის ტურიზმის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი დამატებითი შემოსავალია, რადგანაც მათი პროფილი არ არის მარტო ტურიზმი. ეკონომიკური ეფექტიანობის საანგარიშოდ მათაც შეძლებისდაგვარად საერთო მოგებიდან უნდა გამოიყონ ტურიზმის და ტურისტების მომსახურებიდან მიღებული მოგება და შეუფარდონ იგი დანახარჯებს;

4. ტურისტთა გასართობი დაწესებულებების — ატრაქციები, მუზეუმები, აკვაპარკები, რეკრეაციული კომპლექსები, ღამის კლუბები და სხვა ეკონომიკური ეფექტიანობა. აღნიშნული დაწესებულებები შეიძლება იყოს სახელმწიფო ან კერძო საკუთრების. პირველ შემთხვევაში ტურისტების მომსახურებიდან მიღებულ მოგებას ბიუჯეტი იღებს, მეორე შემთხვევაში კი — კერძო მეწარმე. ორივე შემთხვევაში ეკონომიკური ეფექტიანობა იანგარიშება ოპერაციული მოგების შეფარდებით ოპერაციულ დანახარჯებთან;

5. რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის დახარჯული ინვესტიციების ეფექტიანობა. თუ აღნიშნული ინვესტიციები რამდენიმე პროექტში დაიხარჯა, თითოეული მათგანისათვის ცალკე უნდა გამოანგარიშდეს ეკონომიკური ეფექტიანობა. ინვესტიციური პროექტის ეფექტიანობა განურჩევლად იმისა, რომელ სფეროში ხორციელდება იგი, იანგარიშება შემდეგნაირად:

$$ROI = \frac{P - \text{წმინდა მოგება}}{I - \text{ინვესტიციები}}$$

6. ტურიზმის ცალკეული სახეების (სპორტული, გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი და ა.შ) განვითარების ეფექტიანობა. ამ შემთხვევაშიც ეკონომიკური ეფექტიანობა იანგარიშება იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა შემოსავლების ჯამური სიდიდის შეფარდებით ჯამურ დანახარჯებთან, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ახორციელებენ ტურიზმის ზემოთ აღნიშნულ რომელიმე სახეს;

7. შემომყვანი და გამყვანი ტურიზმის განვითარების ეფექტიანობა. გამყვანი ტურიზმის ეფექტიანობას ანგარიშობენ ტურფირმები და სატრანსპორტო კომპანიები იმ შემთხვევაში, რასაც ისინი იღებენ ამ საქმიანობით, შემომყვანი ტურიზმი კი შემოსავალს აძლევს არა მხოლოდ ტურფირმებს და სატრანსპორტო ორგანიზაციებს, არამედ სასტუმროებს, რესტორნებს, სუვენირების მაღაზიებს და ა.შ.

¹⁵⁴ შევნიშნავთ, რომ დანახარჯები არის მიმდინარე და კაპიტალური ცვლადები და ფიქსირებული და ა.შ. საშედგომო მაჩვენებელიც სხვადასხვა სახისაა. არსებობს საბალანსო მოგება, ოპერაციული მოგება, წმინდა მოგება და ა.შ.

რეგიონში ტურიზმის განვითარების ეფექტიანობის მეორე მნიშვნელოვანი ჯგუფია სოციალური ეფექტიანობა. მას შეიძლება მიეკუთვნოს:

1. ტურისტული მოგზაურობით ადამიანის ფიზიკური და სულიერი დასვენებით მიღებული ეფექტი. დასვენებულ ადამიანს უკაუდება სხეული, უმცირდება სამედიცინო ხარჯები, მაღლდება მისი შრომითი აქტივობა და შედეგად შრომის ნაყოფიერება და ა.შ.;

2. ტურიზმის განვითარებით რეგიონში სოციალური ეფექტიანობის პირდაპირი ზრდა. იგი გამოიხატება დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში, უმუშევრობის შემცირებაში და ა.შ.;

3. ეფექტი, გამოხატული რეგიონის კულტურული პოტენციალის განვითარებაში. ამ მახვენებლის ფულად ეკვივალენტში გამოსახვა შეუძლებელია. იგი შეიძლება გამოიხატოს ირიბი მახვენებლით, მაგალითად, რეგიონში უცხო ენის მცოდნე მოსახლეობის რაოდენობის ზრდით, მუზეუმების რიცხვის ზრდით, კოლექციების მასშტაბების გადიდებით და ა.შ.

ტურიზმის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ჯგუფია ეკოლოგიური ეფექტიანობა. ტურისტული საქმიანობა რეგიონის ბუნებრივ რესურსებზე ახდენს გავლენას. თუ ეს გავლენა დადებითია, მაშინ დადებით ეკონომიკურ ეფექტთან გვაქვს საქმე, თუ არადა უარყოფითთან. ეფექტიანობის ეს მახვენებელი ყველაზე მეტად ანალიზური მეთოდით – „ეფექტი-დანახარჯები“ – იანგარიშება. გამოიყენება ალბათური შეფასების მეთოდით.

რაც შეეხება ტურიზმის ბიუჯეტურ ეფექტიანობას, იგი გამოიხატება ტურიზმიდან ამოღებულ ბიუჯეტურ გადასახადებსა და გადასახდელებში. ტურიზმის განვითარებით იზრდება დასაბეგრი ბაზა და, გამომდინარე აქედან, დიდდება ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების მოცულობაც. კერძოდ, იზრდება ბიუჯეტში გადარიცხული მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადი, ტურისტული პროფილის ინდივიდუალური მეწარმეების საშემოსავლო გადასახადი და სხვა.

ტურიზმის განვითარების ეფექტიანობა ეფუძნება შედეგეიანობის (რეზულტატის) მახვენებელს. ეს მახვენებელი შეიძლება რაოდენობრივად იყოს და ხარისხობრივად. ამ მახვენებელს უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

- გაზომვადობა;
- სპეციფიკურობა;
- კონკრეტულობა;
- მიღწევადობა;
- აღეკვბურობა.

შედეგის, ანუ რეზულტატის მახვენებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთობლივი სიკეთე. ერთობლივი სიკეთის გამოთვლის ფორმულა ასეთია:

$$T_i = \sum W_{ij} \cdot b_{ij},$$

სადაც T_i არის გადაწყვეტილების ერთობლივი სიდიდე; W – გადაწყვეტილების ამა თუ იმ ასპექტისათვის მიცემული მნიშვნელობის კოეფიციენტი; b – სიკეთის სიდიდე გადაწყვეტილების ამა თუ იმ ასპექტისათვის; j – გადაწყვეტილების კონკრეტული ვარიანტის ინდექსი; i – გადაწყვეტილების კონკრეტული ასპექტის ინდექსი.

აღნიშნული ფორმულა დამუშავებული და შემოთავაზებულია რუსი მეცნიერის ე. ბეზუხოვას მიერ. მის მიერ შემუშავებული მეთოდის მიხედვით გადაწყვეტილების ეფექტიანობის შეფასება ხდება:

- გადაწყვეტილების ვარიანტების განსაზღვრა;
- გადაწყვეტილების ასპექტების (ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ეთიკური და ა.შ.) განსაზღვრა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეტაპების დადგენა.

ჩვეულებრივ, ეს პროცესი ორეტაპიანია. პირველ ეტაპზე გადაწყვეტილების მიმღები პირი მინიმალური ეფექტიანობის კრიტერიუმით აანალიზებს გადაწყვეტილებების არსებული ვარიანტების ყველა ასპექტს. ამ ეტაპზე ხდება გადაწყვეტილების ვარიანტის ამა თუ იმ ასპექტისათვის მნიშვნელობის კოეფიციენტის მინიჭება და სიკეთის სიდიდის დადგენა. მეორე ეტაპზე გადაწყვეტილების ვარიანტები ტესტური წესით შემოწმდება ერთობლივ სიკეთეზე. ეს უკანასკნელი კი იძლევა თითოეული ვარიანტის საერთო შეფასების შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ღვედაშვილი ნ. მენეჯმენტი სოციალურ-კულტურული სერვისისა და ტურიზმის სფეროში. თბ., 2009.
2. პერიოდული გამოცემები და ვებგვერდები.
3. Л.М. Гайдукевич, О.С. Мозговая. Региональное планирование развития туризма. М., 2011.
4. Спицын, В. В. Формирование и реализация стратегий маркетинга туризма в регионе. // Региональная экономика: теория и практика, №11, 2008.

Naira Ghvedashvili

METHODS OF EVALUATING THE EFFICIENCY OF MAKING DECISION IN PLANNING OF THE DEVELOPMENT OF TOURISM IN THE REGION Annotation

In the field of tourism, the success of business is not only depended on the possibilities of solving tasks that have well-structures and clearly defined parameters but on knowing how to use and consider the hidden impulses of environment and on the management of the external and internal resistances of the companies. All above mentioned refers to the management of the field of structure that pays a great attention to the problem of efficiency, at the same time; it always confronts to the leadership, industrial and regional governance bodies of the company, who wants to know, not too much expenses spent on implementation of projects,

activities and programs in the field of tourism is justified or not. The efficiency of the tourism development is based on the indicators of effectiveness (results). These indicators may be quantities and qualitative as well. Touristic activities have a great influence on natural resources of region. If this influence is positive than we deal with positive economic efficiency, if not we deal with negative efficiency. This indicator of efficiency is the most calculative with the analytical methods "the effect - expenditure".

ასმათ შამუგია

ტურიზმის მარკეტინგული პოლიტიკის სრულყოფის თანამედროვე ტენდენციები საქართველოში

ცნობილია, რომ ტურიზმის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს მოცემული სფეროს პოლიტიკის სწორი გენეზმენტი, რომელსაც ამ დარგის შესაბამისი სააგენტოებისათვის მოაქვს შემოსავლები, ხოლო ტურისტებისა და მოგზაურებისათვის კი – ტურისტული პროდუქტი და მომსახურება; ტურორგანიზაციის პერსონალი იღებს შრომის ანაზღაურებას, მეწარმეები – მოგებას, ტურისტული ადგილები კი ავსებს სახელმწიფო ბიუჯეტს საგადასახადო შემოსავლების ხარჯზე. ტურიზმის დარგი ასტიმულირებს ტურპროდუქტისა და მომსახურების დამატებით მოთხოვნას, ასევე ეფექტიან გავლენას ახდენს ქვეყანაში ისეთი დარგების სრულყოფაზე, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობენ ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების შექმნაში.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის განვითარებაში **მარკეტინგი** უმთავრეს როლს ასრულებს. მისი მეშვეობით ხდება იმ ტურისტული მომსახურების მოცულობისა და სტრუქტურის დადგენა, რომელზეც ბაზარზე მოთხოვნა არსებობს. თითოეული ტურისტული ორგანიზაცია უნდა შეეცადოს, მომხმარებლებს შესთავაზოს სწორედ ასეთი მომსახურება, თანაც იმ ფასად და ისეთი ხარისხით, რომელიც კონკურენტებს არ შეუძლიათ.

ფუიქრობთ, საქართველოს მთა უაღრესად დიდი ტურისტული პოტენციალის მატარებელია, თუმცა ეს შესაძლებლობები არ არის რეალიზებული ტურიზმის ინდუსტრიის მიერ. შესაბამისად, დღევანდელი ტურისტული პროდუქტი არ არის პოტენციალის ადეკვატური, რადგან შეთავაზებებში არ არის სრულად გამოყენებული მთის უნიკალური შესაძლებლობები. მინიმალურია სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები მთის მოსახლეობის მიგრაციის შესაჩერებლად და საბაზო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

ასევე არასახარბიელოა ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობა. არ არსებობს ერთიანი სახელმწიფო ხედვა ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესებისა და მთაში ტურიზმის სრულყოფის შესახებ.

ტურისტული პროდუქტის წინ წაწევისა და რეალიზაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს რეგიონებს უნდა ჰქონდეს სიმბოლიკა ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით, რაც, სამწუხაროდ, მათ დღემდე არ გააჩნიათ. საჭიროა, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა ამ საკითხზე აქტიურად იმუშაოს. განსაკუთრებით დღეს, როდესაც მსოფლიოში უამრავი ქვეყანა არსებობს, რომლებსაც საკუთარი სიმბოლიკა აქვთ. მაგალითად საფრანგეთს – ეიფელის კოშკი. სამწუხაროდ, აჭარის მაგალითით რომ ვიმსჯელოთ, მივხვდებით, რომ მას არ გააჩნია არანაირი სიმბოლიკა, რაც ტურისტებისათვის და ტურისტული პროდუქტის გაყიდვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ყოველი, რომ დღესდღეობით საქართველოში ტურიზმი კვლავ რჩება ეკონომიკის განვითარების ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად. რასაკვირველია, სწორი სახელმწიფო პოლიტიკის პირობებში მას დიდი პერსპექტივა გააჩნია.

რაც შეეხება სახელმწიფოს ნაბიჯებს საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე, საქართველოს აქტივობები ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციის მხრივ, არასაკმარისია. ქვეყანას არ გააჩნია ზოგადად ტურიზმის განვითარების კონცეფცია, შესაბამისად, სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკა არ არის გამოკვეთილი.

პირველ რიგში უნდა განისაზღვროს საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგია და შესაბამისად ის ნაბიჯები, რომლებიც ამ ზრდას უზრუნველყოფს. ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის სათანადოდ სრულყოფისა და ტურისტული პროდუქტის წინ წაწევისათვის უნდა მომზადდეს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სტრატეგიული გეგმიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ტურისტული პროდუქტის წინ წაწევისა და ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის გთავაზობთ მოსახრებებსა და შემდეგი სახის რეკომენდაციებს სახელმწიფო და კერძო სექტორისათვის:

1. სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობა

რასაკვირველია, მისასალმებელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელობის ინიციატივა ტურიზმის სფეროში მრჩეველთა საბჭოს შექმნის მიმართულებით, რომელიც სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის ძალზე ეფექტიანი პლატფორმის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. მნიშვნელოვანია, რომ ტურიზმის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების, ასევე მოკლე და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის განსაზღვრის მიზნით მოხდება შეჯერებული პოზიციების ჩამოყალიბება. ყოველივე ზემოაღნიშნული დადებით გავლენას იქონიებს ტურისტული პროდუქტის მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების შედეგიანად დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

2. მარკეტინგი

ტურისტული პროდუქტის შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით, აუცილებელია ინფორმირებულობის გაზრდა. მსოფლიო ტურიზმის ტენდენციები აჩვენებს, რომ ყოველწლიურად მცირდება ორგანიზებული ტურისტების რაოდენობა და იზრდება ინდივიდუალურად მოგზაურთა რიცხვი, რაც სრულიად გასაგებია. დაჯავშნის ერთიანი სისტემებისა და სოციალური ქსელების განვითარებამ პოტენციურ ტურისტებს საშუალება მისცა, სახლიდან გაუსვლელად დაგეგმონ საკუთარი შეგებულება.

ამიტომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება სათანადო პორტალსა და სოციალურ ქსელებში შესაბამისი გვერდების არსებობა, რომლებიც ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოში ნებისმიერი ტურისტული პროდუქტით დაინტერესებულ ყველა ადამიანს.

ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის გასაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო მასშტაბით საქართველოს შესახებ ტურისტული ინფორმაციის ეფექტიანი გავრცელება, რათა პოტენციურ ტურისტებს თავიანთი დასვენების საწყის ეტაპზევე ჰქონდეთ პოზიტიური გადაწყვეტილების მიღების საშუალება. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ სრულყოფილი ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის საშუალებითაა შესაძლებელი. სწორად გათვლილი და დაგეგმილი მარკეტინგული სტრატეგია მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ტურიზმის ბაზარზე წარმატებას, თუმცა იმისათვის, რომ მოხდეს მარკეტინგის ბაზისური ელემენტების ბრენდინგი, სეგმენტაცია, მიზნობრივი ბაზრის შერჩევა, პოზიციონირება და ეფექტიანი გამოყენება, აუცილებელია წინასწარი, სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება – ყოველსმომცველი მარკეტინგული კვლევების საფუძველზე შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა. ამ საქმეში, მაღალკვალიფიციური, პროფესიული პოტენციალის გარდა, არ უნდა მოვერიდოთ ზოგ შემთხვევაში არაპროფესიულ კადრებსაც.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ საქართველოს შავი ზღვისპირეთი სეზონურობით ხასიათდება, რაც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორია ტურისტული პროდუქტის რეალიზაციისათვის. შიდა ტურიზმის განვითარებისთვის მიუღებელია მაღალი ფასები და ასევე აჭარის პერიფერიულ ზონებში არსებული სასტუმროების მომსახურების დაბალი ხარისხი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია შიდა გზები, რომლებიც დღეისათვის საერთოდ არ არის ადაპტირებული ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნებისადმი. აჭარის მაგალითით რომ ვიმსჯელოთ, მის ტურისტულ პროდუქტს არ გააჩნია ფასის განმსაზღვრელი მახასიათებლებით მნიშვნელოვანი უპირატესობა სხვა მსგავს პროდუქტებთან შედარებით. შავი ზღვის სანაპიროზე ზაფხულის რეკრეაციული ტურების ფასი სერვისის თანაფარდობით ჩამოუვარდება თურქეთის, ეგვიპტის და ბულგარეთის ანალოგიური ტიპის პროდუქტებს. ზღვისპირა კურორტების პლაჟები დაბინძურებულია და არ ხდება სანიტარული ნორმების დაცვა. მოსაწესრიგებელია სანაპიროზე გასახდევების, ტუალეტების, საშხაპეების, პლაჟის ინვენტარის გამჭირავებელი პუნქტების არსებობა. ამიტომ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ტურისტული პროდუქტის პრომოუშენისათვის და მისი საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებისათვის ყოველივე ეს გასათვალისწინებელია.

საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების რიცხვი ბოლო პერიოდში იზრდება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2013 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში ეს მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 24%-ით გაიზარდა, რაც წინა წლების პოზიტიურ ტენდენციას აგრძელებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის კვეთის მონაცემების მიხედვით, გაზრდილია ტურისტთა რიცხვიც, თუმცა GNTA-ის (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია) ანალოგიური მაჩვენებლების არარსებობის გამო შსს-ს მონაცემების გადამოწმება შეუძლებელია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2013 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემები ძირითადი ვიზიტორი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან, პოლონეთიდან და რუსეთიდან შემოსულ საერთაშორისო ვიზიტორებში ტურისტების წილის შესახებ. მაჩვენებლები ეყრდნობა GNTA-ის სპეციალისტების გამოკითხვის შედეგებს (სხვა ქვეყნების მონაცემები შერჩევის ზომის შეზღუდულობის გამო არ არის საკმარისად საიმედო). აგრეთვე ამ ცხრილის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს არამოსაზღვრე ქვეყნებიდან შემოსულ საერთაშორისო ვიზიტორებში ტურისტების წილი მაღალია – პოლონეთი (99.3%) და უკრაინა (88.9%), მაშინ, როცა ანალოგიური მაჩვენებელი მოსაზღვრე ქვეყნებიდან საკმაოდ დაბალია და მერყეობს 53.4%-დან (თურქეთი) 64.1%-მდე (რუსეთი). წინამდებარე მონაცემების მიღმა არსებული მარტივი ჭეშმარიტება არის ის, რომ საქართველოს სახმელეთო გზები, რკინიგზა და საზღვაო პორტი წარმოადგენს ძირითად სატრანსპორტო დერეფანს მის ზღვაზე გასასვლელის არმქონე, ასევე პოლიტიკურად და ეკონომიკურად იზოლირებული მეზობლებისთვის.

ქვეყანა	ტურისტები	საერთაშორისო ვიზიტორები	ტურისტების წილი
თურქეთი	655,979	1,228,407	53.4%
აზერბაიჯანი	424,583	784,085	54.3%
სომხეთი	543,176	864,217	62.9%
რუსეთი	412,803	643,621	64.1%
უკრაინა	108,425	121,960	88.9%
პოლონეთი	59,479	59,906	99.3%

წყარო: <http://www.iset.ge/blog/?p=2544>

როგორც ცნობილია, საქართველოში ტურისტული ვიზიტების ორგანიზება ტუროპერატორების დახმარებით იშვიათობას წარმოადგენს. პირველ რიგში მწირი ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაში არსებული ტურების შესახებ, ხოლო მეორე მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ მატერიალური მდგომარეობა.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ აღქმა ტურისტის შემეცნებითი აქტივობის გამოვლინებაა. აქედან გამომდინარე, როგორც ყველა სხვა მოქმედებაში, აღქმაშიც თვით აღმქმელი პიროვნების შინაგანი მდგომარეობა, მისი გამოცდილება, მისი მისწრაფებები, მოთხოვნილებები და ინტერესები ვლინდება და გარკვეულ გავლენას ახდენს აღქმაზე. ტურისტული პროდუქტის აღქმა არ არის პასიური და სრულიად ობიექტური, უცვლელი ასახვა. თითოეული ტურისტი ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და ერთსა და იმავე

პროდუქტს ის გარკვეულ ფარგლებში აღიქვამს იმის მიხედვით, თუ როგორია მისი გამოცდილება ამ მოვლენის მიმართ, მაგალითად, უნახავს თუ არა ესა თუ ის კულტურული ობიექტი მანამდე ან შეუძენია თუ არა ესა თუ ის ტურისტული პროდუქტი. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუ რა იცის მან მის შესახებ, რა აინტერესებს მას და როგორია ტურისტის განწყობა მოცემულ დროს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, იცვლება თვალსაზრისი, რომლითაც აღიქმება ტურისტული პროდუქტი და შესაბამისად იცვლება პოზიციაც მის მიმართ. როდესაც ტურისტი წინასწარ მტკიცედ არის განწყობილი გარკვეული მოვლენისა და საგნის მიმართ, მაგალითად ტურისტი ტუროპერატორისაგან მტკიცედ მოეღის ისეთ ტურისტულ პროდუქტს, როგორიც მას სურს და მის წარმოდგენაშია, ასეთი განწყობის ზეგავლენით მან შეიძლება დამახინჯებულად, ანუ ილუზიურად აღიქვას მოცემული მოვლენა თუ ის მოსალოდნელს არ დაემთხვევა. სწორედ ასეთი წინასწარ შემუშავებული განწყობის შედეგს წარმოადგენს ილუზიური აღქმების დიდი ნაწილი.

შესაბამისად, ტუროპერატორი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, იმედი არ გაუცრუოს ტურისტს და მას ადეკვატური პროდუქტი მიაწოდოს. სწორედ ამის შემდეგ ფორმირდება ტურისტის გონებაში ესა თუ ის ტურისტული პროდუქტი და ყალიბდება საბოლოო სახით. აქედან გამომდინარე, ტუროპერატორს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტურისტული პროდუქტის აღქმისა და ფორმირების საკითხში. შესაბამისად ტურისტი უკვე იღებს გადაწყვეტილებას და სათანადო არჩევანს აკეთებს.

დასასრულ, უადრესად მნიშვნელოვანია ტურიზმის მარკეტინგი ინტერაქტიული იყოს. ინტერაქცია, თავის მხრივ, უამრავ პრობლემას ააცილებს სამამულო ტუროპერატორებს და შესაბამისად მათ მიერ ტურისტული შეთავაზებების საიმედოობას უზრუნველყოფს. მომხმარებლებმა უნდა იგრძნონ, რომ ტუროპერატორები მათ საჭიროებებზე დაუყოვნებლივ რეაგირებენ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ მომხმარებლები მათ აღიქვამენ, როგორც ინტერაქტიურ ორგანიზაციებს. ამისათვის კი აუცილებელია შეიქმნას შესაბამისი ინტერაქტიური მოდელები; ხოლო ამ უკანასკნელების შესაქმნელად საჭიროა მოვიძიოთ ის ცვლადები, რომლებიც ყველაზე მეტად ასახავს კლიენტების დამოკიდებულებას ტურფირმისადმი. ყოველივე ამის შემდეგ კი, რასაკვირველია, აუცილებელი იქნება მათი დალაგება იმის მიხედვით, თუ რა რესურსები გაგვანია საამისოდ, აგრეთვე გასათვალისწინებელია რა სახის ეფექტებია ჩვენთვის ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დოლიკაშვილი ლ., ჩეკურიშვილი ნ., ღვინჯილია მ., "ტურიზმის ეკონომიკა", თბ., 2009.
2. მეტრეველი მ., "ტურიზმის ბიზნესი", თბ., 2011.
3. მარგველაშვილი მ., "ტურიზმის ეკონომიკა", თბ., 2012.
4. <http://www.iset.ge/blog/?p=2544>.

Asmat Shamugia

MARKETING POLITICS OF MODERN DEVELOPEMENT TRENDS OF TOURISM IN GEORGIA Annotation

Besides the target markets of tourism in the region, should be determined its income segments and focused of their filling. In addition, tourist markets and their segments will be various in different regions. Target markets and their segments are making certain requirements to the region, these requirements are about the places of tourist development (the quality of service in the hotels), their nutrition (existence of restaurants and cafes, assortments of the dinners, service quality and etc), means of transportation, means of communication etc, if the strategy of marketing is well developed, than this region is attractive as for tourists as well as for investors.

Interaction will enable local tour operators to avoid many problems and ensure the reliability of tourism product. At the same time, tour operators will be able to customize their offerings that would result in growing customer equity and, increased profitability that comes after it. For the purpose tour operators to be treated as interactive, they must respond to the needs of their customers immediately. In this case interactive models would be very helpful. To create interactive models, we need to identify those variables that make customers attitude towards the companies more explicit, then sort out them according to company's resources and the outcomes that is of the interest.

მაია ჭანიბა

რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების დონის შეფასება და ინდიკატორები

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ზოგადად ვლინდება მისი ეკონომიკის რეგულირების ობიექტზე ზეგავლენის ხარისხსა და მეთოდებში, ასეთ შემთხვევაში რეგულირების ობიექტი შეიძლება იყოს დარგი, რეგიონი, აგრეთვე მოვლენები და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობები, სადაც წარმოიქმნება ან შეიძლება წარმოიქმნას სიძნელეები და პრობლემები, რომლებიც ავტომატურად ვერ წყდება ან შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ შორეულ მომავალში, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საკვლევი ობიექტის ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობაზე. ამავე დროს ამ პრობლემების სწრაფად მოგვარება აუცილებელია ეკონომიკის ნორმალური და სტაბილური ფუნქციონირებისათვის, სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებისათვის. მთავრობამ თავიდან უნდა აიცილოს ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეასუსტოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში უარყოფითი პროცესები და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს პოზიტიური პროცესების განვითარებას. სამართლებრივი, ორგანიზაციული (მათ შორის ადმინისტრაციული და ინდიკატური), ეკონომიკური მეთოდების სწორად შეთანაწყოებით მთავრობას შეუძლია ცალკეული დარგების, წარმოების, საწარმოების განვითარების სტიმულირება ან შეზღუდვა, მათ წინაშე წამოჭრილი სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მუქარების თავიდან აცილება.

საქართველოს ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-კომანდური მეთოდებიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში მართვის მეთოდები მნიშვნელოვნად შეიცვალა. ახლა წინა პლანზე გამოდის მეთოდები, რომელთა ძირითადი მიზანია არა იძულებითი ზემოქმედება ეკონომიკის სუბიექტებზე, არამედ ირიბი, მმართველი ზემოქმედება, განხორციელებული არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის და მისი მომავალი განვითარების განჭვრეტის საფუძველზე. ე.ი. წინა პლანზე გამოდის ინდიკატური დაგეგმვის მეთოდები, რომელიც არა მხოლოდ ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასების, არამედ მისი დაგეგმვის შესაძლებლობასაც იძლევა.

როგორც ცნობილია, ინდიკატური დაგეგმვა წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას და მათ მისაღწევად აუცილებელ ღონისძიებათა და მექანიზმების ფორმირებას, ამოქმედებას.

ინდიკატური დაგეგმვა საბაზრო გარდაქმნების განხორციელების პირობებში შეიძლება გახდეს სოციალური დაძაბულობის შემცირებაზე და ეკონომიკური უსაფრთხოების მუქარების თავიდან აცილებაზე მიმართული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის საშუალება გამომდინარე იქიდან, რომ ინდიკატურ გეგმას შეუძლია ორგანულად და ურთიერთდაკავშირებულად შეაერთოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მიმართული სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური კონცეფციები ერთიან დოკუმენტში.

თანამედროვე პირობებში ძირითადად მარეგლამენტირებელ როლს ასრულებს ბაზარი, ამიტომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ინაცვლებს სხვა სიბრტყეზე. პრინციპში, ბაზარს შეუძლია არა მხოლოდ განაუთაროს სამეურნეო კავშირები, არამედ შექმნას წარმოების ახალი სტრუქტურა.

ნებისმიერ სახელმწიფოში არსებობს ისეთი ობიექტური ეროვნული ინტერესები, რომლებიც მოითხოვს საბაზრო მექანიზმში სახელმწიფოს ჩარევას. მაგალითად, ბაზარი ხშირად მოითხოვს ეკოლოგიურად მკანვე წარმოების განვითარებას: ისინი მომგებიანია, სწრაფად მოაქვს მაღალი მოგება, მაგრამ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უფრო მომგებიანად შეიძლება ჩათვალოს ასეთი პროდუქციის საზღვარგარეთ (თუნდაც უფრო მაღალ ფასად) შესყიდვა, ვიდრე განვითარების დაშვება.

შეიძლება დავასახელოთ კიდევ იმის მრავალი მიზეზი, თუ რატომ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო საბაზრო მექანიზმში, ხოლო მსგავსი მოვლენების გამოკვლევის როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აჩვენოს თუ სად არის ჩარევა საჭირო.

დღეისათვის აქტიურად მუშავდება სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების მეთოდები და მეთოდიკები, მაგრამ პრაქტიკულად არ არსებობს უფრო დაბალი დონის ტერიტორიის (რეგიონი, რაიონი, ქალაქი) ანალიზის მეთოდები, არადა სწორედ ამ დონეებშია თავმოყრილი მოსახლეობის ცხოვრების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზის და შეფასების მეთოდები ჩვენთვის საინტერესოა ქვეყნის რეგიონების და მათი ადმინისტრაციული რაიონების ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზისა და შეფასებისათვის მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისით.

რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების დონის შეფასებისა და ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობის შეფასებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი მეთოდები:

პირველი, მდგრადობის და ბიფუკაციის მათემატიკური თეორიის მეთოდი, ამ მეთოდის გამოყენებით რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ეკონომიკური უსაფრთხოების დონის განსაზღვრისათვის აუცილებელია დინამიკური მოდელის აგება, რომელიც აღწერს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში ყველა ურთიერთკავშირს. მდგრადია სისტემის ისეთი განვითარება, რომლის დროს ცვლილებები არ გადახრის მისი განვითარების ტრაექტორიას გარკვეულ სიდიდეზე უფრო მეტად. უმნიშვნელო ცვლილებების დაგროვებამ შეიძლება გამოიწვიოს სისტემის გადასვლა მოძრაობის ახალ ტრაექტორიაზე. ასეთ წერტილებს ბიფუკაციის წერტილები ეწოდება და თავისი არსით ზღვრულ მნიშვნელობებს წარმოადგენს.

ამ მეთოდის უპირატესობაა რეგიონული სისტემის უსაფრთხო ფუნქციონირების პრობლემების კომპლექსური ხედვა, რაც იძლევა საშუალებას, გაითვალისწინოს სინერგეტიკული ეფექტი სისტემის ცალკეული ელემენტების ურთიერთქმედებისას. თანამედროვე პირობებში მოცემული მეთოდის გაუზრცვლებლობის მიზეზი რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის დინამიკის კომპლექსურად აღმწერი ადეკვატური მათემატიკური მოდელის არარსებობაა.

მეორე, ტექნიკური სისტემების ფუნქციონირების დონის შეფასებისას ფართოდ გამოყენებული სისტემის საიმედოების თეორია, რომლის ზოგიერთი ასპექტი გამოიყენებოდა ეკონომიკაშიც. თუმცა მისი გამოყენება ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების უსაფრთხოების დონის შეფასებისას ხდებოდა გეგმიანი ეკონომიკის კვლევებში, ხოლო საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც ადგილი არა აქვს ჩამოყალიბებულ საგემო მანქანებებს, ასეთი მეთოდის გამოყენება განხლებულია, თუ, რა თქმა უნდა, არ იქნა გაკეთებული გარკვეული დაშვებები.

მესამე, დღეისთვის ყველაზე გავრცელებულია ექსპერტული შეფასებების მეთოდი. მას მისდევს მეცნიერთა უმეტესობა, რომლებიც დაკავებულნი არიან ეკონომიკური უსაფრთხოების დონის შეფასების პრობლემებით. მისი არსი მდგომარეობს ექსპერტული გზით ეკონომიკური უსაფრთხოების რივი ინდიკატორების და მათი ზღვრული მნიშვნელობის შემუშავებაში.

ასეთი მიდგომის ერთ-ერთი მაგალითია ს. გლაზივის მიერ შემუშავებული მეთოდი. მოცემული მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თავიდან ყალიბდება ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების რაოდენობრივი მანქანებლების სისტემა, რომლებიც აღნიშნავს ეკონომიკური უსაფრთხოების მუქარების ზემოქმედების ხარისხს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი მანქანებლების სახით მოცემული ჩამონათვალის ავტორი გვთავაზობს შემდეგს:

1. მშპ მოცულობა;
2. დამმუშავებელი მრეწველობის წილი სამრეწველო წარმოებაში;

3. მანქანათმშენებლობის წილი სამრეწველო წარმოებაში;
4. ინვესტიციების მოცულობა, %-მშპ მიმართ;
5. ხარჯები მეცნიერულ კვლევებზე, %-მშპ მიმართ;
6. პროდუქციის ახალი სახეობების წილი გამოშუშავებული პროდუქციის მოცულობაში;
7. მოსახლეობაში საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლის მქონე ადამიანთა წილი;
8. სიცოცხლის ხანგრძლივობა;
9. 10% მაღალშემოსავლიან და 10% დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ჯგუფების შემოსავალს შორის

გარღვევა:

10. დანაშაულის დონე (დანაშაულის რაოდენობა მოსახლეობის 100 ათას სულზე);
11. უმუშევრობის დონე (შსო მეთოდით);
12. ინფლაციის დონე წელიწადში;
13. შიდა ვალის მოცულობა, % შესაბამისი პერიოდი მშპ მიმართ;
14. შიდა ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიმდინარე მოთხოვნილება, % ბიუჯეტში საგადასახადო შემოსულობების მიმართ;

15. საგარეო ვალის მოცულობა, % მშპ მიმართ;
16. საგარეო სესხების წილი საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვაზე;
17. ბიუჯეტის დეფიციტი, % მშპ მიმართ;
18. უცხოური ვალუტის მოცულობა ეროვნული ვალუტის მასის მიმართ ეროვნულ ვალუტაში;
19. ნაღდი უცხოური ვალუტის მოცულობა ნაღდი ეროვნული ვალუტის მიმართ;
20. ფულის მასა (მ 2), % მშპ მიმართ;
21. იმპორტის წილი მთლიან შიდა მოხმარებაში;
22. ფედერაციის სუბიექტების დიფერენციაცია საარსებო მინიმუმის მიხედვით.

შემდეგ ეტაპზე ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე ყალიბდება მათი ზღვრული მნიშვნელობების სისტემა. თუკი ამ მაჩვენებლების ფაქტობრივი სიდიდე დაბლაა (მაღლაა) ზღვრული მნიშვნელობებზე, მაშინ მდგომარეობა ითვლება კრიტიკულად და შესაბამისად აუცილებელია ღონისძიებების გატარება კრიზისის დასაძლევად.

ფაქტობრივი და ზღვრული მნიშვნელობის თანაფარდობა ნორმირებულია ზღვრული მნიშვნელობის მიმართ, რომელიც მიღებულია ერთად. ამასთან, ისინი გაიანგარიშება ფაქტობრივი მნიშვნელობის ზღვრულთან ფარდობით. თუკი სასურველია ეკონომიკური უსაფრთხოების შესაბამისი მაჩვენებლის ზრდა და პირიქით, თუკი სასურველია მისი შემცირება.

ზემო ჩამოთვლილი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი მაჩვენებლების მხრივ ქვეყანაში არცთუ სასარბიელო მდგომარეობა გვაქვს. ბევრი მაჩვენებელი კრიტიკულ ნიშნულს აღწევს. ეკონომიკის ასეთი მდგომარეობისას მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. ძალზე გართულებულია ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის საჭირო ღონის და ადეკვატური სოციალური გარანტიების შექმნა.

ჩვენი აზრით, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ღონის შეფასება უნდა მოხდეს კოპენჰაგენის კრიტერიუმებით, რომელიც მოიაზრებს ისეთ მნიშვნელოვან კრიტერიუმებს, როგორებიცაა:

1. ბოლო ოთხი წლის მშპ-ს საშუალო წლიური მატება;
2. მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითუნარიანი პარიტეტის გათვალისწინებით;
3. ინვესტიციების წილი მშპ-ში;
4. უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე;
5. საგადასახადო შემოსავალი მშპ-ს მიმართ;
6. ბიუჯეტის დეფიციტი;
7. საგარეო ვალი მშპ-ს მიმართ;
8. უმუშევრობის დონე მკაცრი კრიტერიუმებით;
9. საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მიმართ;
10. ინვესტიციები მრეწველობის სფეროში ინვესტიციების საერთო მოცულობის მიმართ;
11. სამრეწველო საქონლის წარმოების მიღება;
12. მრეწველობის წილი მშპ-ში;
13. საქონლის ექსპორტი მოსახლეობის ერთ სულზე;
14. საქონლის ექსპორტით გადაფარვა;
15. ექსპორტით იმპორტის გადაფარვა;
16. ევროკავშირთან საქონლის ვაჭრობის წილი ვაჭრობის საერთო მოცულობასთან.

რიგი ავტორები ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების შერჩევისას გვთავაზობენ ექსპერტების გამოყენებას. ამ შემთხვევაში ინდიკატორების შერჩევისას შეცდომების დაშვების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად ნაკლებია, ხოლო ეკონომიკური უსაფრთხოება განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების იერარქიის შესაბამისად. ჩვენი აზრით, ინდიკატორების შერჩევის მეთოდი ყველაზე ოპტიმალურია.

მოგაწვდით ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლების ჩამონათვალს თავიანთი შესაბამისი მნიშვნელობებით, გამოხატულს ბალებში:

1. საარსებო მინიმუმი, ერთი ლარი ერთ სულზე – 3 ბალი;
2. ხელფასი, ერთი ლარი ერთ სულზე – 2 ბალი;
3. დანაშაულის დონე (ჩადენილი დანაშაულების რიცხვი 100 000 მცხოვრებზე) – 3 ბალი;
4. დავალიანება მიმწოდებლისადმი. ერთი ლარი ერთ სულზე – 2 ბალი;
5. მყიდველების დავალიანება, ერთი ლარი ერთ სულზე – 2 ბალი;

6. ხელფასის ვადაგასული დავალიანება ერთ სულზე – 3 ბალი;
7. უმუშევრობის დონე (შრომით საქმიანობაში არჩართული მოქალაქეების, სამუშაოს მაძიებლების თა-
ნაფარდობა მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან) – 3 ბალი;
8. უმუშევრობის რიცხვის თანაფარდობა ვაკანსიების რიცხვთან – 3 ბალი;
9. განათლების დონე (უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე პირთა რიცხვი 1000 მცხოვრებზე) –
1 ბალი;

10. შემოსავლის დიფერენცია – 3 ბალი.

აღნიშნული მაჩვენებლები იერარქიულადაა განლაგებული ექსპერტული გზით მინიჭებული ბალის სი-
დიდის მიხედვით. მაჩვენებლების მნიშვნელობა ბალებში 1-დან 3-მდე (რაც უფრო მეტია, მით მეტია მნიშვნე-
ლობა). მაჩვენებლების იერარქიის საფუძველზე ფასდება ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური უსაფრთხოება.
ამასთან, მოცემული მეთოდის მიზანია კონკრეტული რეგიონის მდგომარეობის არა ანალიზი, არამედ ქვეყნის
რეგიონების მდგომარეობის შედარებით შეფასება, ამასთან ყველა რეგიონი კლასტერული ანალიზის საფუძ-
ველზე სეგმენტირდება ჯგუფების მიხედვით, ცალკეულ რეგიონში მაჩვენებლების შერეული ჩამონათვალის
მდგომარეობისგან დამოუკიდებლად.

Maia Chania

THE EVALUATION OF THE LEVEL OF THE REGIONAL ECONOMIC SAFETY AND INDICATORS

Annotation

A State's economic policy is generally revealed through the influence of the quality and methods on its regulating object, in
such case, the regulating object can be a field, a region, as well as the events and the social-economic conditions of the State wherein
the difficulties and problems emerge. These difficulties and problems are not automatically solved and there is a possibility that they
might be solved in the distant future. However, it can have a negative influence on the condition of the economic safety of the study-
ing object. Nevertheless, for the normal and stable function of economy as well as to maintain the social stability solving these prob-
lems fast is very essential. The government should avoid or at least weaken the negative processes in the social-economic develop-
ment and by all means support the development of the positive processes. The correct interconnection of the law, the organization
(among them administrative and indicative) as well as the economic methods, the government is able to stimulate or limit the devel-
opment of the separate fields, productions or manufactures, it is also able to solve the emerged social-economic difficulties and prob-
lems and to prevent the social-economic threats.

კონსტანტინე ხმალაძე

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის კომპლექსური შეფასებისათვის

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური შეფასების დროს ჩვენს მიზანს
წარმოადგენს განისაზღვროს განვითარების შიდა წყაროები და რეზერვები, აგრეთვე, ცენტრალური და
ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტიანობა. შეფასების დროს უნდა
ვიხელმძღვანელოთ შემდეგი პრინციპებით:

- რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ასპექტების გათვალისწინება;
- შეფასების სისტემურობა, რაც გულისხმობს საბაზო მაჩვენებელთა ურთიერთკავშირის გათვალისწინე-
ბასა და უზრუნველყოფას, აგრეთვე, რეგიონული განვითარების კერძო და ინტეგრალური მახასიათებლების
მოწესრიგებული სტრუქტურის გამოყენებას;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების რეპრეზენტაბელობის უზრუნველყოფა;
- ინდიკატორთა სისტემის მაქსიმალური ადაპტირება არსებული სტატისტიკური ანგარიშგების შესაძ-
ლებლობებთან;

- ინდიკატორთა სისტემის შესაბამისობა მონიტორინგის და რეგიონების ეკონომიკური და სოციალური
განვითარების პროგნოზირების ამოცანებთან.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის კომპლექსური შეფასების საბაზისო ინდიკა-
ტორთა შორის აღსანიშნავია:

1. მთლიანი რეგიონული პროდუქტი, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით, მოსახლეო-
ბის ერთ სულზე. იგი გაიანგარიშება მთლიანი რეგიონული პროდუქტის (მრპ) შეფარდებით მოსახლეობის
რიცხოვნობასთან, გაყოფილი მსყიდველობითი უნარის დონის განმსაზღვრელ კოეფიციენტზე. მთლიანი
რეგიონული პროდუქტი – ეს არის რეგიონის ეკონომიკური საქმიანობის განმაზოგადებელი მაჩვენებელი,
რომელიც ახასიათებს საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესს. იგი ზომავს მთლიან დამატებულ
ღირებულებას და გამოითვლება ჯამური მთლიანი პროდუქტიდან მისი შუალედური მოხმარების
მოცულობათა გამოკლებით. სხვაგვარად, ეს მაჩვენებელი განისაზღვრება, როგორც რეგიონის ეკონომიკის
ღირებულების მიერ ახლად შექმნილ ღირებულებათა ჯამი.

მრპ-ის გაანგარიშების რამდენიმე მეთოდი არსებობს. წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი
რეგიონული პროდუქტი წარმოების სტადიაზე, წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკურ ტერიტორიაზე ყველა
ინსტიტუციური ერთეულის – რეზიდენტის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამს (პროდუქტებზე
წმინდა გადასახადის გარეშე).

მთლიანი რეგიონული პროდუქტი გაიანგარიშება როგორც მიმდინარე საბაზრო ფასებში (ნომინალურ
ღირებულებაში), ისე შესადარ ფასებში (რეალურ ღირებულებაში).

თავისი ეკონომიკური შინაარსით, მთლიანი რეგიონული პროდუქტი ახლოსაა მთლიან შიდა პროდუქტ-
თან, თუმცა არ ემთხვევა მას. ჯამური მთლიანი რეგიონული პროდუქტი საქართველოს მასშტაბით ნაკლებია

ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტზე, რამდენადაც მასში არ არის გათვალისწინებული რიგი ელემენტები, როგორცაა:

- რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მიიმართება სახელმწიფოსა და ზოგადად საზოგადოების არასახარო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა, საერთაშორისო საქმიანობა და სხვა);

- ფინანსური შუამავლების (პირველ რიგში ბანკების) მომსახურების დამატებული ღირებულება. მათი საქმიანობა ძირითადად სცოდნება ცალკეული რეგიონის ფარგლებს;

- საგარეო ვაჭრობის მომსახურების დამატებული ღირებულება, რის შესახებაც ინფორმაციის მიღება უმთავრესად ცენტრალურ დონეზე შესაძლებელი;

- გადასახადების ნაწილი (გადასახადები იმპორტსა და ექსპორტზე), რომელთა გათვალისწინება შეუძლებელია რეგიონულ დონეზე.

რაც შეეხება ჩამოთვლილი ელემენტების პირველ პუნქტს, კონცეპტუალურად ამ მომსახურებათა აღრიცხვა უნდა მოხდეს მათი წარმოების (მიწოდების) ადგილის მიხედვით, ხოლო მათი მოცულობა უნდა შევიდეს შესაბამისი რეგიონის მრპ-ში.

აღნიშნულ მომსახურებათა მოცულობა განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი დანახარჯების მიხედვით, რომელიც აისახება ანგარიშში მისი შესრულების შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ყველა დანახარჯი რეგიონულ ჭრილში გათვალისწინებული და ასახული უნდა იქნეს რეგიონული სახაზინო სისტემის მიერ მოქმედი ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. მაგრამ, დღემდე შენარჩუნებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ბიუჯეტის რიგი დანახარჯები აღირიცხება მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ცალკეულ რეგიონებად ჩაშლის გარეშე.

ეს ძირითადად იმ გარემოებითაა განპირობებული, რომ აღრიცხვის დღევანდელი სისტემის პირობებში შეუძლებელია ცალკეულ დანახარჯთა რეგიონული კუთვნილების განსაზღვრა, ისეთების, როგორიცაა მაგალითად, საბიუჯეტო დანახარჯები საერთაშორისო თანამშრომლობაზე, სახელმწიფო ვალის მომსახურება, დანახარჯები თავდაცვაზე, შინაგან საქმეთა ორგანოებზე და სხვა.

ამრიგად, სახელმწიფო დანახარჯების რეგიონების მიხედვით განაწილებასა და რეგიონული აღრიცხვის ნაკლოვანებებთან დაკავშირებული პრობლემების გამო მოცემულ ეტაპზე მათი გათვალისწინება რეგიონულ დონეზე შეუძლებელია. გარდა ამისა, რეგიონულ გაანგარიშებებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების რეგიონთაშორისი გაცვლის აღრიცხვა, რაც ართულებს საგარეო ვაჭრობის დამატებული ღირებულების სწორად შეფასებას.

ცხადია, მოცემულ პირობებში, წმინდა გადასახადების მოცულობა იმპორტზე, შესაძლებელია შეფასდეს მხოლოდ მთლიანად, ეკონომიკის მასშტაბით, რეგიონების მიხედვით განაწილების გარეშე. პრაქტიკულად შეუძლებელია იმპორტის მიხედვით განისაზღვროს როგორც გადასახადების, ისე სუბსიდიების ტერიტორიული სტრუქტურა, რადგანაც პრაქტიკულად, ინფორმაცია თვით იმპორტის ტერიტორიული სტრუქტურის შესახებაც არ გაგვაჩნია.

გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული პროდუქტებზე წმინდა გადასახადების აღრიცხვა რეგიონულ ჭრილში. ეს განპირობებულია საბიუჯეტო ინფორმაციის ნაკლებობით. კერძოდ, იმისათვის, რომ გავიანგარიშოთ წმინდა გადასახადები რეგიონულ ჭრილში, უნდა გავგაანდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროდუქტებზე გადმორიცხული სუბსიდიების განაწილება რეგიონების მიხედვით. სრული მოცულობით ეს მონაცემები არ გავაჩნია არათუ რეგიონულ, არამედ ქვეყნის სტატისტიკის დონეზეც. ფინანსთა სამინისტროს მიერ პროდუქტებზე სუბსიდიების განსაზღვრული მოცულობა ნაწილდება არა რეგიონების, არამედ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით შესაბამისი დარგის განვითარებისათვის. ამის შემდეგ მხოლოდ უწყებრივი განაწილების მეშვეობით დებულებოვნად საწარმოები სუბსიდიებს. ამ პროცესის ეტაპობრივად, სრულად აღრიცხვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ, წმინდა გადასახადების განსაზღვრული რაოდენობის მიმართ შესაძლებელია გაკეთდეს მხოლოდ ზოგადი შეფასებები მთლიანად ეკონომიკის მასშტაბით.

2. ინვესტიციების მოცულობა ძირითად კაპიტალში მოსახლეობის ერთ სულზე. იგი განისაზღვრება დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე განხორციელებული ინვესტიციების შეფარდებით მოსახლეობის რაოდენობაზე, გაყოფილი კაპიტალური დანახარჯების გაძვირების კოეფიციენტზე.

ინვესტიციების მოცულობა ძირითად კაპიტალში მოსახლეობის ერთ სულზე ახასიათებს საინვესტიციო კლიმატს და რეგიონში საინვესტიციო აქტიურობის დონეს, ანუ რეგიონის ეკონომიკური განვითარების წანამდგრებობს.

3. საგარეო სავაჭრო ბრუნვის (ექსპორტისა და იმპორტის ჯამი) მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე.

4. რეგიონის ფინანსური უზრუნველყოფა (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით) მოსახლეობის ერთ სულზე. ფინანსური უზრუნველყოფა მოიცავს რეგიონის შემოსავლებს, სახელმწიფო ბიუჯეტთან და არასაბიუჯეტო ფონდებთან ურთიერთანგარიშსწორების გათვალისწინებით.

5. მცირე საწარმოებში დასაქმებულ მუშაკთა ხვედრითი წილი ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო სიობრივ რაოდენობაში.

6. უმუშევრობის დონე, ანუ რეგისტრირებულ უმუშევართა პროცენტული ფარდობა ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობასთან.

7. რეგიონის მოსახლეობის საშუალო სულადობრივი ფულადი შემოსავლების თანაფარდობა საშუალო სულადობრივ საარსებო მინიმუმთან.

8. საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ შემოსავლების მქონე მოსახლეობის (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა) ხვედრითი წილი რეგიონის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში.

9. საცალო ვაჭრობისა და ფასიანი მომსახურების ჯამი (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით) მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

10. ეკონომიკის დარგთა ძირითადი ფონდები (ნარჩენი საბალანსო ღირებულებით კაპიტალური დანახ- არჯების გაძივების ხარისხის გათვალისწინებით) მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

11. საავტომობილო გზების სიმჭიდროვის კოეფიციენტი (ენგელის კოეფიციენტი). იგი წარმოადგენს საავტომობილო გზების სიმჭიდროვის ფარდობას მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით გაანგარიშებული კვადრატული ფეხის სიდიდესთან. თავის მხრივ, მოსახლეობის სიმჭიდროვე იანგარიშება მოსახლეობის საშუ- ალო წლიური რაოდენობის გაყოფით ტერიტორიის ფართობზე, ხოლო საავტომობილო გზების სიმჭიდროვე – გზების სიგრძის გაყოფით ტერიტორიის ფართობზე.

12. სოციალური ინფრასტრუქტურის დარგთა განვითარების დონის კრებისითი მაჩვენებელი, რომელიც იანგარიშება შემდეგი ოთხი პირველადი ინდიკატორის ბაზაზე:

- სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადამიროვნო დაწესებულებებით უზრუნველყოფა (ადგილების რაოდენობა სკოლამდელი ასაკის 1000 ბავშვზე);

- სპეციალისტების მომზადება უმაღლესი და საშუალო სასწავლო დაწესებულებების მიერ (რაოდენობა მოსახლეობის 10 000 სულზე);

- მოსახლეობის უზრუნველყოფა ამულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებებით (ერთ ცვლაში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა მოსახლეობის 10 000 სულზე გაანგარიშებით);

- ექიმებთან და საშუალო სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა (რაოდენობა მოსახლეობის 10 000 სულზე).

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური (ინტეგრირებული) შეფასების მრავალი მეთოდიკა არსებობს. მათგან გამოყოფთ პრაქტიკული თვალსაზრისით მარტივად განსახორციელებელ შემ- დევ მიდგომებს:

პირველი მიდგომა ეფუძნება ზემო ჩამოთვლილი მაჩვენებლების დინამიურ ანალიზს დროის გარკვეულ მონაკვეთში (არანაკლებ 5 წელი), რის შედეგადაც განისაზღვრება საქმიანობის ძირითადი ფუნქციონალური სფეროების განვითარების ხარისხი. ანალიზის შედეგად აიკვება კრებისითი რეიტინგი, რომელიც ახასიათებს რეგიონის ფარდობით პოზიციას სხვა რეგიონებთან მიმართებით. რეიტინგი ასახავს რეგიონის განვითარების ხარისხს, საანალიზო მაჩვენებლების შემცირებას, გადიდებას ან ცვლილებას. საუკეთესო პოზიციად მიჩნეუ- ღია რიცხვი 1, ცუდ პოზიციას გამოხატავს რიცხვი 18.

მეორე მიდგომით, ინტეგრირებული მაჩვენებლის გაანგარიშება წარმოებს შემდეგი ეტაპების მიხედვით. პირველ ეტაპზე, თითოეული საბაზისო ინდიკატორის მიხედვით განისაზღვრება ცალკეული რეგიონის რანგი, აგრეთვე, საშუალო რეგიონული მნიშვნელობის რანგი, საუკეთესოთი (პირველი ადგილი) დაწყებული და უცუ- დესით (ბოლო ადგილი) დამთავრებული. რეგიონის სოციალური ინფრასტრუქტურის და საინჟინრო ინფრა- სტრუქტურის განვითარების დონის კრებისითი მაჩვენებლების მიხედვით თავდაპირველად ანალოგიურად განი- საზღვრება ცალკეული ინდიკატორის რანგი, ხოლო შემდგომ მიღებული რანგები ჯამდება და განისაზღვრება ინტეგრირებული რანგები სოციალური ინფრასტრუქტურის და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების დონის, აგრეთვე საშუალო რეგიონულ მნიშვნელობათა კრებისითი მაჩვენებლების მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე მაჩვენებლის მიხედვით ადგილი აქვს აბსოლუტურად იდენტურ მნიშვნელობებს ორი ან მეტი რეგიონის მიხედვით, მაშინ, წარმოებს მოცემულ ტერიტორიათა ლოკალური რანჟირება საკვანძო მაჩვენ- ებლის მნიშვნელობის შესაბამისად, როგორცაა წარმოების სფეროს დარგების განვითარების დონე.

მეორე ეტაპზე წარმოებს ბალური შეფასების გაანგარიშება თითოეული მაჩვენებლის მიხედვით და თი- თოეული რეგიონისათვის, შემდეგი ფორმულის თანახმად: ბალი (ინდიქსი) = რანგი (რეგ) – რანგი (ინდიქსი), სადაც რანგი (ინდიქსი) და რანგი (რეგ) – მაჩვენებელთა რანგებია; ბალი (ინდიქსი) – საშუალო რეგიონული დონის თანა- ზომადი ბალური შეფასების მნიშვნელობა.

მესამე ეტაპზე, თითოეული რეგიონისათვის ჯამდება ბალური შეფასებები ყველა 17 მაჩვენებლის მიხედ- ვით, შემდგომ მიღებული შედეგის 17-ზე გაყოფით, და ამგვარად განისაზღვრება თითოეული რეგიონის სო- ციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ინტეგრალური შეფასება:

$$\text{კომპლექს ბალი (ინდიქსი)} = \text{ჯამი} = 1 \dots 17 \text{ ბალი (ინდიქსი)} / 17$$

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის უფრო ობიექტური ანალიზის მიზნით ხორციელ- დება მათი დაყოფა საწარმოო სპეციალიზაციის მიხედვით: სამრეწველო; შერეული; სასოფლო-სამეურნეო. ამა თუ იმ რეგიონის მიკუთვნება რომელიმე ჯგუფისადმი განისაზღვრები მთლიან წარმოებაში სამრეწველო (სა- სოფლო-სამეურნეო) წარმოების ხვედრითი წილის მიხედვით. გაანგარიშება წარმოებს შემდეგი თანმიმდევრო- ბით:

1. რეგიონის სამრეწველო წარმოების ხვედრითი წონა ქვეყნის სამრეწველო წარმოებაში (მრ-რეგ).

2. რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხვედრითი წონა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოე- ბაში (ს/მ-რეგ).

3. სამრეწველო წარმოების ხვედრითი წონა რეგიონის ტერიტორიაზე წარმოებულ სამრეწველო და სა- სოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთლიან მოცულობაში (მრ-ტერ).

4. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხვედრითი წონა რეგიონის ტერიტორიაზე წარმოებულ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთლიან მოცულობაში (ს/მ-ტერ).

5. რეგიონის სამრეწველო წარმოების ხვედრითი წონა ქვეყნის სამრეწველო წარმოებაში გამრავლებუ- ღი სამრეწველო წარმოების ხვედრით წონაზე რეგიონის ტერიტორიაზე წარმოებულ სამრეწველო და სასოფ- ლო-სამეურნეო პროდუქციის მთლიან მოცულობაში (მრ = მრ-რეგ მრ-ტერ).

6. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხვედრითი წონა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გა- მრავლებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხვედრით წონაზე რეგიონის ტერიტორიაზე წარმოებულ სა- მრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთლიან მოცულობაში (ს/მ = ს/მ-რეგ ს/მ-ტერ).

7. მრ-ის და ს/მ-ის თანაფარდობით ხორციელდება ტერიტორიის მიკუთვნება ამა თუ იმ ჯგუფისათვის შემდეგი პროპორციით:

მრ > 2 ს/მ – სამრეწველო რეგიონი; 0,33 ს/მ < მრ < 3ს/მ – შერეული; ს/მ > 3 მრ – სასოფლო-სამეურნეო რეგიონი.

Konstantin Khmaladze

COMPLEX ASSESSMENT OF THE LEVEL OF SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT OF THE REGION Annotation

The guiding principles for the complex assessment of the regional development are: key aspects of the regional development, systemic approach of the evaluation, representativeness of the indicators, correlating development indicators to statistical reporting, relevance of the indicators with the monitoring and development forecasting tasks.

The general indicators for complex assessment of the level of the regional development: 1. Gross regional product per capita adjusted to the purchasing power parity. 2. Capital investments per capita. 3. Foreign trade turnover (export plus import) per capita. 4. Financial capabilities of the region (taking into consideration purchasing power parity). 5. Share of employees in the SME sector in the overall employment. 6. Level of unemployment. 7. The average income of the population in the region vis-à-vis the median minimum income. 8. The share of the population below the poverty line in the total number of the population in the region. 9. Total amount retail trade and financial services (taking into account purchasing power parity). 10. Total assets of the economy. 11. Density of the road infrastructure (Engel coefficient). 12. Aggregate indicator of the social infrastructure (pre-school and schooling facilities, public health and primary healthcare facilities).

The method of complex assessment of the regional development is based on dynamic analysis of indicators, assigning scales and defining ratings. Regions are also classified by the level of industrialization: industrial, mixed and rural ones.

ბადონა ხუსკივაძე

საქართველოში ხე-ტყის მრეწველობის მდგომარეობა და აწმყის წარმოების ბანკოტიარების სტრატეგია

დღეისათვის განუზომლად გაიზარდა ტყის როლი საზოგადოების ეკონომიკურ-ეკოლოგიურ და სოციალურ-კულტურულ სფეროში. თუ წარსულში ტყის სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა უმთავრესად მერქნული რესურსების წარმოებათა გამოყენებით განისაზღვრებოდა და მერქნისაგან დაახლოებით 4-5 ათასი დასახელების ნაკეთობა მზადდებოდა, ამჟამად მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენებით 20-25 ათასი დასახელების პროდუქცია იქმნება. ეი სახალხო მეურნეობაში უამრავი სახის ახალი მასალისა და ნედლეულის შემოჭრამ მერქანი ხმარებიდან ვერ განდევნა, პირიქით, გაიხსნა და გაფართოვდა მისი გამოყენების არეალი სხვადასხვა სფეროებშიც, რამაც იგი უფრო მეტად ძვირფას და უნივერსალურ რესურსად გადააქცია.

საქართველო ტყით მდიდარი ქვეყანაა. მისი ტერიტორიის მესამედი ტყეს უკავია. ტყის ფონდის საერთო ფართობი 3007,8 ათას ჰექტარს შეადგენს, ანუ ქვეყნის ტერიტორიის (6949,4 ათასი ჰა.) 43%-ს. ტყის ფონდის საერთო ფართობიდან საკუთრივ ტყეს (ტყით დაფარული მიწები) უკავია 2822,5 ათასი ჰა, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 40,6% (ტყიანობის %). ტყეების მერქნის სავარაუდო საერთო მარაგი შეადგენს 451,7 მლნ მ³-ს, ხოლო მერქნის მარაგის საშუალო წლიური შემატება შეადგენს 3,75-4,5 მლნ მ³-ს. ერთ სულ მოსახლეზე მოდის საშუალოდ 0,53 ჰა ტყე. დაახლოებით 80მ³ მერქანი, რაც 3-ჯერ აღემატება ევროპის საშუალო მაჩვენებელს. საშუალო ზეხემდგომი მოცულობა ჰექტარზე 176მ³-ია. საქართველოს ტყეების საშუალო ასაკი დაახლოებით 100-120 წელია. დომინირებს ფართოფოთლოვანი ტყე, რომელიც მოიცავს ტყის 80%-ს. აქედან 50%-მდე წიფელია. ტყეების უდიდესი ნაწილი გავრცელებულია ციცაბო ფერდობებზე, დღეისათვის მხოლოდ 600000 ჰა, ანუ სატყეო მიწის 21% არის მიწნეული კომერციული თვალსაზრისით საექსპლუატაციო ტყეებად.

საქართველოს გაანია ტყიანობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, რომლის მიხედვით იგი განეკუთვნება ტყით მდიდარი ქვეყნების რიცხვს.

ამჟამად საქართველოში, სახელმწიფოს გაანია უფლება, გაანაწილოს ტყეები სხვადასხვა გამოყენებისათვის ან მისცეს ტყეები მფლობელობისათვის და სამართავად სხვადასხვა დაწესებულებებს. 1990 წლიდან ხე-ტყის დამზადების უფლება მთლიანად დელეგირდა კერძო სექტორზე, რომლებზეც გაიცემოდა შესაბამისი ლიცენზიები. მაგრამ ეს ლიცენზიები იყო მოკლევადიანი (1 წლამდე), რაც ხელს უშლიდა კერძო სექტორის განვითარებას ამ დარგში, რადგან ის ხელს არ უწყობდა მათში გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბებას, უბიძგებდა საქმიანობის განხორციელების პროცესში დარღვევებისაკენ და ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს უკანონო ქმედებებისათვის.

ცენტრალური დაგეგმარების პერიოდში სატყეო სექტორის წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენდა 4-5%-ს. 1990 წლამდე მონაცემები შემდეგნაირი იყო: ტყეები – 14%, ხის გადამამუშავებელი მრეწველობა – 69%, მერქნისა და ქაღალდის მრეწველობა – 17%, ხოლო 1980 და 1990 წლებში ხის გადამამუშავებელ მრეწველობაში მონაცემები ასე ხასიათდებოდა: სახერხები 10,4% და 9,0%, ავეჯის მრეწველობა 55% და 60%, სამშენებლო დეტალები 12,1% და 11,0%, შესაფუთი მასალები 7,2% და 6,0%. სხვა სახის ხის მასალები 15,3% და 14,0% (URS corporation 2002).

დღეისათვის კი მდგომარეობა მკვეთრად რთულია. ისევე, როგორც მთელი საქართველოს ეკონომიკა, ასევე სატყეო კომპლექსის საწარმოები საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის მძიმე პროცესშია. ძირითადად ამ დარგში ხდება ხე-ტყის მასალის ექსპორტი. ქვეყნის ტერიტორიაზე ხდება ჭრა და მორების პირველადი დამუშავება და საზღვრებს გარეთ გასაყიდად გადის ხის მრგვალი მორები.

დღეისათვის მოთხოვნა შიდა და გარე ბაზარზე დაახლოებით 1,5-2,5 მილიონი მ³-ია. ამ რაოდენობიდან ოფიციალურად დაახლოებით 780 ათასი მ³ იჭრება, შესაბამისად ოფიციალური შემოსავლებიც ამ რაოდენობით იანგარიშება.

საქართველოს ტყეებს, სადაც ტყის მარაგების მთლიანი მოცულობა შეადგენს დაახლოებით 434 მლნ მ³, ხოლო ტყის ყოველწლიური შემატება დაახლოებით 4,0 მლნ მ³-ს უტოლდება, სწორი მენეჯმენტის შემთხვევა-

ში შეიძლება 1,5-2,5 მლნ მპ მერქნის (სამასალე და საშეშე) წარმოება. აღნიშნული რაოდენობის დასამზადებლად შეძლებისდაგვარად თანაბრად ქვეყნის რეგიონების მიხედვით უნდა შეირჩეს და გამოიყოს შესაბამისი დამზადების ადგილები. ამით რამდენჯერმე გაიზრდება ამ საქმიანობის წვლილი საქართველოს ეკონომიკაში და დასაქმების მაჩვენებელი, და თავიდან ავიცილებთ ეკოლოგიურ ზიანს.

მაგალითად, კახეთი საქართველოს ერთ-ერთი მდიდარი მხარეა ხე-ტყის მარაგების მხრივ. ამ კუთხეს სერიოზული პერსპექტივები გააჩნია ხე-ტყის წარმოება-გადამუშავებაში. კახეთის ტყეები მდიდარია ისეთი ძვირფასი სამრეწველო ხის ჯიშებით, როგორცაა წიფელი, წაბლი, მუხა და სხვა. მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვა შესაძლებელი ხე-ტყის წარმოებაში. მიუხედავად ამისა, ამ რეგიონში არსებული ხე-ტყის გადამამუშავებელი 12 საწარმოს გარდა, დარგი მხოლოდ ძირითადად მორების გატანაზე მუშაობს.

ხის დამამუშავებელ მრეწველობაში ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს სწორედ ხე-ტყის ნედლეულის ქვეყნის ფარგლებს გარეთ თავისუფალი, ფაქტობრივად შეუზღუდავი გატანა წარმოადგენს, რამდენადაც ეს გარემოება პოტენციურ მომხმარებელს (ინვესტორს) უკარგავს ადგილობრივი გადამამუშავებელი მრეწველობისათვის ხელშემწყობ ინტერესს.

დაუმუშავებელი ხე-ტყის ნედლეულის (მრგვალი მორის) ექსპორტის რეჟიმის დარეგულირება ლიბერალური სავაჭრო-სავაჭრო ურთიერთობების მოთხოვნებთან შესაბამისობაში შექმნის სათანადო წინაპირობას უცხოელი ინვესტორების მოსახიდად, რაც აგრეთვე განაპირობებს დარგის საწარმოთა ამოქმედებას, მათი დასაქმების სფეროს გაზრდას და ეფექტიანობის ამაღლებას.

სწორი დაგეგმვისა და მართვის პირობებში საქ. ტყეების ეკოლოგიური, ესთეტიკური ფასეულობების და ალტერნატიული ტყით სარგებლობის ეკონომიკური და ფისკალური სარგებელი გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ტრადიციული, მერქნით რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სატყეო მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები. საქ. სატყეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირი მომავალში სწორედ ამ ეკონომიკური მიმართულების განვითარება და მერქნით სარგებლობაზე თანდათანობით გადასვლა უნდა იყოს.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს განსაკუთრებული პრივილეგიები აქვს მრეწველობის ამ დარგის აღორძინებისა და განვითარებისათვის. ასეც რომ არ იყოს, მაინც მიზანშეწონილია დიდი ყურადღება მიექცეს მთავრობის მხრიდან ხის დამამუშავებელი მრეწველობის და ავეჯის წარმოების განვითარებას, რადგან არც ნედლეულის საკუთარი ბაზა წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს, რათა ამ დარგმა დიდი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და წინსვლაში. როგორც ვიცით იტალია მსოფლიოში ხის მასალებისაგან დამზადებული ავეჯის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ის ამასთანავე ამ დარგს ამუშავებს ხე-ტყის მასალების 100%-იანი იმპორტით. ასევე იაპონიასაც სამრეწველო ტყის 100% შე-მოაქვს.

განვიხილოთ პოსტსაბტოთა ქვეყნის, ყაზახეთის მაგალითი, რომელსაც ამ დარგში თითქმის არ გააჩნია საკუთარი ნედლეულის ბაზა, მაგრამ ეს დარგი მკვეთრად ვითარდება.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მთელი ყაზახეთის ეკონომიკას შეუძლია დაეყრდნოს ნედლეულით ვაჭრობას, რადგან ეს მიწა გულუხვად დააჯილდოვა დემერტმა ყოველგვარი ნედლეულით.

ყაზახური ავეჯის დღევანდელი პოტენციალი 3,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. საბტოთა პერიოდში მისი მოცულობა დაახლოებით 1,3 მლრდ დოლარს შეადგენდა წელიწადში. ამჟამად ყაზახეთის ერთ მცხოვრებზე დანახარჯი დარგის პროდუქციის შექმნაზე საშუალოდ შეადგენს დაახლოებით 10-15 დოლარს. განვითარებულ ქვეყნებში – 260 დოლარს, მაგრამ მიუხედავად ხის გადამამუშავებელი დარგის წარმოების მოცულობის 32-ჯერ შემცირებისა, ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს ბაზარი ახლაც ფართოა. ამასთან, დღეს იქმნება შესაძლებლობები მისი სწრაფი ზრდისა ყაზახეთის ნავთობმომპოვებელი ცენტრების, ყარანაგანაკის და პორტი აკტაუს ინფრასტრუქტურის განვითარების წყალობით; ყაზახეთის ახალი დედაქალაქის – ასტანას მშენებლობის ხარჯზე ტურისტული და საგზაო ინფრასტრუქტურების ზრდის მეშვეობით. ყველა ეს ობიექტი ამ დარგის დიდი მოცულობის პროდუქციას მოითხოვს. რა თქმა უნდა, ბაზრის ფაქტობრივი მოცულობა უფრო ნაკლებია, ვიდრე მისი პოტენციალი.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო ატარებდა იმპორტის სტიმულირების პოლიტიკას, მაგრამ ყაზახეთის ხის გადამამუშავებელი მრეწველობა გადარჩა და აღორძინდა. ამჟამად ყაზახეთში დარეგისტრირებულია დაახლოებით 2000 საწარმო, რომლებიც მუშაობენ ხის დამამუშავებასა და ავეჯის დამზადებაზე, აქედან 400 საწარმო აღმატაშია. ყაზახეთის საწარმოებმა 70-80%-ით შეზღუდეს და განდევნეს ბაზრიდან იმპორტული რბილი ავეჯი, აღმატაში – თითქმის 90% (რა თქმა უნდა ლაპარაკი არ არის ექსკლუზიურ და ხეძვირფას ავეჯზე) და ეს ტენდენციები შენარჩუნებულია.

ამასთან ერთად, შენარჩუნებულია, ოღონდ არა ისეთი მასშტაბით, ავეჯის იმპორტი სხვა ქვეყნებიდან, მათ შორის ისეთი ქვეყნიდანაც, რომელსაც თვითონ არ გააჩნია ხე-ტყის რესურსი – უზბეკეთიდან, მაგრამ ზუსტად შეიძლება ითქვას, რომ ყაზახეთში მიმდინარეობს ხე-ტყის დამამუშავებელი და საავეჯო მრეწველობის ძლიერი ბუმი. ბოლო წლებში, განსაკუთრებით 1999 წლიდან დაწყებული, შეიქმნა მთელი რიგი კომპანიები, რომლებიც უშვებენ მსოფლიო დონის პროდუქციას.

ნედლეულის ბაზას არ უჭირავს დიდი და გადამწყვეტი როლი. მხოლოდ ტერიტორიის 4%-ია დაფარულია ტყით და აქედან მხოლოდ 1,8%-ია ვარგისი სამრეწველო წარმოებისათვის. ტრადიციულად, საჭირო ნედლეულის 70% შემოდის ქვეყანაში. ნედლეულის ბაზა, როგორც ასეთი, ობიექტურად არ არსებობს, მაგრამ ამაზე არ არის დამოკიდებული ამ დარგის მრეწველობის განვითარება. დღეისათვის ავეჯის წარმოებას და ხის დამამუშავების მრეწველობას შეუძლია თავისი პროდუქციით სახელმწიფოს მოთხოვნა ავეჯზე და ხის ნაკეთობებზე 90%-ით გადაფაროს. ამასთან, სახ. შესყიდვებს შეუძლიათ გადაწყვიტონ საწარმოების საკუთარი საშუალებების პრობლემა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დარგისათვის კადრების მომზადების საკითხს. კიდევ ერთი სფერო, სადაც აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა, რითაც მთლიანად უნდა დაკავდეს განათლების სამინისტრო. ადრე იყო პროფესიული სასწავლებლები, ტექნიკუმები, ინსტიტუტები, სადაც ასწავლიდნენ ხის დამამუშავების ტექნოლო-

გიას და ავეჯის წარმოებას. ამჟამად დარგის ამ სფეროში განათლების მიღების მასშტაბები და დონე ძალზე დაბალია. უარესი მდგომარეობაა რეგიონებში. პრობლემა უდიდესია. ეს ეხება ყველა რეგონს წარმოებაში.

ნებისმიერი საწარმოს სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელია საკუთარი თავისუფალი საბრუნავი საშუალებები, რომლის შევსება, როგორც წესი, სამგვარად ხდება:

პირველი – საწარმოს აქციონირებით;

მეორე – საწარმოს კრედიტირება მეორე დონის ბანკების მიერ;

მესამე – (ყველაზე უფრო მიღებული და პერსპექტიული საშუალება) – შიგა და გარე (უცხოელი) ინვესტორების მოზიდვის გზით.

ხის დამამუშავებელი და ავეჯის ინდუსტრიის ყველა პრობლემა ჯამში დაკავშირებულია ქვეყანაში მიზანმიმართული ინდუსტრიული პოლიტიკის არარსებობასთან, ამასთან, შიგა ბაზრის დაცვისათვის საქონელმწარმოებლობის განვითარებისათვის პირობების შექმნასთან. იმპორტჩანაცვლებისას მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება არასაკმარისია და ის მალე ამოიწურება. უნდა მკვეთრად ჩამოყალიბდეს მთავრობის პოზიცია ყველა დარგთან მიმართებაში. არა ემოციური ან ადმინისტრაციული ზეწოლა, არამედ ჭკვიანური ეკონომიკური რეგულირება გადასახადებით, ტარიფებით, შეღავათებით. ძირითადად საწარმოების პრობლემა წარმოიქმნება საბაზო გადასახადების ტარიფებით. იმ მასალებით, რომლებიც ქვეყანაში არ იწარმოება განაკვეთი უნდა იყოს 0%. ამჟამად ის აღწევს 20%.

აუცილებელია მთავრობის ახალი დამოკიდებულება. მწარმოებლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, თავიანთი პროფესიული ასოციაციების საშუალებით გაეღწეონ მოახდინონ კანონშექმნის პროცესზე და წინადადებები შეიტანონ კანონპროექტებში.

დღეს საქართველოში, მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, დარგში არსებული მდგომარეობა კვლავ მეტად რთულია. ძირითადად, შიგა სამომხმარებლო ბაზრის უკიდურესი შეზღუდულობის გამო, არსებული საწარმოო პოტენციალის გამოყენების დონე უმნიშვნელოა (3-10%). ასევე საწარმოთა უაღრესად დაბალი ტექნიკური დონის მიზეზით შეუძლებელია მაღალხარისხიანი პროდუქციის დამზადება და იმპორტით შემოტანილი ნაწარმისათვის კონკურენციის გაწევა.

ხის დამამუშავებელი და ავეჯის მრეწველობის სტაბილური ფუნქციონირება და განვითარება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ადგილობრივი ხე-ტყის ნედლეულის დამზადების პერსპექტივასთან, ვინაიდან სამრეწველო დანიშნულების, უწყვეტი სარგებლობის სანედლეულო ბაზის არსებობის ფაქტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ამ დარგის მდგრადი განვითარებისათვის. ნიშანდობლივია, რომ ამავე ფაქტორმა განაპირობა დარგის პროფილის მდგრადი მცირე ბიზნესის კატეგორიის საწარმოთა ჩამოყალიბება.

სატყეო მრეწველობის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად მიჩნეულია ხე-ტყის ნედლეულის დამზადების ტექნოლოგიური სრულყოფა, ამ პროცესში ხის დამამუშავებელი საწარმოების ტექნიკური პოტენციალის აქტიური ჩართვა და ინდუსტრიული გადაამუშავების სფეროს გაფართოება.

ავეჯის მრეწველობაში ძირითად მიმართულებად განისაზღვრება მასიური მერქნის კონსტრუქციის ავეჯის ნაკეთობების უპირატესი განვითარება, შიდა ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად საყოფაცხოვრებო და სპეციალური დანიშნულების ფართო ასორტიმენტის ავეჯის ნაკეთობების ათვისება, ადგილობრივი ხის ნედლეულით, თავისუფალი საწარმოო ფართობებით და კვალიფიციური იაფი მუშახელით დაინტერესების საფუძველზე. უცხოელი ინვესტორების მოზიდვა ერთობლივი პროდუქციის გამოსაშვებად.

ხის დამამუშავებელ დარგში უპირველესად უნდა განვითარდნენ საწარმოები, რომლებიც ორიენტირებული არიან მერქნული ასორტიმენტებისა და ნახევარფაბრიკატების (დახერხილი ფიცარი, მაღალი კლასით დამამუშავებული ძეგლოვანი საავეჯო დეტალები, ფრიზები, ანათალი და ახდელი შპონი და სხვა) დამზადებაზე როგორც ადგილობრივი მოხმარების, ისე საექსპორტო დანიშნულებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. И. Родионова. Мировая экономика. Индустриальный сектор. Издат. Питер.
2. Алексеев Л.А. Отрасль на пути к рынку. журнал деревообрабатывающая промышленностью. Москва №6, 1992.
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატიური გეგმა. თბილისი, 2001.
4. რ. ნამიჭიშვილი. საბაზრო ეკონომიკა საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესებში, ქუთაისი, 2007.
5. საქართველოს სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია 2008. aarhus.dsl.ge
6. ჰელსინკიში შემდგარი ტყეების კონსერვაციასთან დაკავშირებით მინისტრთა მეორე კონფერენციის რეზოლუცია 1. 1993, ივნისი.
7. www.statistics.ge
8. www.government.gov.ge

Madona Khuskivadze

THE STATE OF TIMBER INDUSTRY AND STRATEGY OF DEVELOPMENT OF FURNITURE PRODUCTION IN GEORGIA Annotation

In the article there is discussed the role of wood in the economic-ecological and social-cultural field for the society. There is also reviewed state of wood resources and timber industry in Georgia. In the article there is provided the example of post-soviet countries and Kazakhstan and there are given advantages and perspectives of industry of the branch in Georgia, namely for the development of furniture industry. In the article there are also offered strategic directions of development.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების რეგიონული ტენდენციები

ტურიზმის ცნობილი სპეციალისტების (დ. უოკერი, ფ. კოტლერი, ჯ. საქსი, ე. ფორნერი, მ. ბირჟაკოვი, გ. კვარტლანოვი, ა. ალექსანდროვა, ვ. ვოსკრესენსკი, ა. კუსკოვი და სხვ. ნაშრომებში ჩამოყალიბებულია ძირითადი მიმართულებები საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციების შესახებ. ნაშრომში მოცემულია ამ ავტორთა შეხედულებების მიმოხილვა მცირედი კორექტივებით და ჩვენი რეკომენდაციები საქართველოში მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.

XX საუკუნის ბოლოს ტურიზმი მთლიანად საერთაშორისო და ინტერნაციონალური გახდა შემდეგი ორი ფაქტორის ხელშეწყობით: ტურისტული საწარმოები მეტი შემოსავლის მისაღებად აფართოებენ მოგზაურობის გეოგრაფიას მსოფლიოს მასშტაბით; რენტაბელობის გაზრდისთვის ტურისტულ ბიზნესს სჭირდება საერთაშორისო მასშტაბის ინვესტიციები.

ბოლო ათწლეულებში საერთაშორისო ტურიზმმა გიგანტური წინსვლა განახორციელა და იგი გადაიქცა მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ, მაღალგანვითარებულ და მაღალშემოსავლიან დარგად. ამჟამად ტურიზმის წილად მსოფლიოში მოდის ინვესტიციების 7%, საგადასახადო შემოსავლების 5%, საერთაშორისო ვაჭრობის და მომსახურების 1/3, მთლიანი შიდა პროდუქტის 10%, დასაქმების, ე. ი. მსოფლიოში დასაქმებულთა 8,2% ადამიანი ტურიზმის სფეროში მუშაობს. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებით, 2011 წელს საერთაშორისო ტურისტული მოგზაურობის რაოდენობა იყო 983 მლნ და მიმდები ქვეყნების შემოსავალმა შეადგინა 1,030 ტრლნ ამერიკული დოლარი. 2020 წლისთვის, პერსპექტიული მონაცემებით, მსოფლიოში შემოსული ტურისტების რაოდენობა იქნება 1,5 მლრდ ადამიანი, ხოლო საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავალი – 2 ტრლნ დოლარი.

ტურისტული ბიზნესის გრანდიოზული წინსვლა განპირობებულია საერთაშორისო და რეგიონული ტურისტული ეკვლებების ინტენსიური განვითარებით და ტურისტული მომსახურების მომხმარებლისა და მწარმოებლის მნიშვნელოვანი განცალკევებულობით დროსა და სივრცეში.

მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის (მტო) მონაცემებით, უკანასკნელ ათწლეულებში სისტემატიურად იზრდება საერთაშორისო ტურიზმის მოცულობა. საშუალოდ მსოფლიო ტურისტული ბიზნესი ყოველწლიურად 3-4%-ით იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ამ პროცესს ხელს უშლის მსოფლიოს და ცალკეული რეგიონების კრიზისები.

მთლიანად XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში ტურიზმის განვითარება მდგრადობით ხასიათდება. 1997-1998 წლების კრიზისებმა ნაწილობრივ შეუშალა ხელი ტურიზმის განვითარებას აზიის რეგიონში, თუმცა ყოველწლიური 4%-ით ზრდა მაინც დაფიქსირდა.

ბოლო წლებში ტურიზმი უპირატესი ტემპებით ვითარდება აფრიკაში – 9%, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში – 17,5%, აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი – 8,5%. ამავე დროს, ზოგიერთ რეგიონში განვითარების დაბალი ტემპებია, მაგალითად, 1999 წელს ევროპაში იყო 1%, თუმცა ევროპა პირველ ადგილზეა შემოსული ნაკადებით – 385,9 მლნ ტურისტი.

ასეთი ვითარება ხელს უწყობს რეგიონთაშორისი კონკურენციის განვითარებას, როდესაც მომსახურების მაღალი სტანდარტების ახალი ტურისტული რეგიონები იძულებული ხდებიან განახლონ ტურისტული მომსახურების ტექნოლოგიები მეტი ტურისტული ნაკადების მისაღებად.

რეგიონული მასშტაბით ტურიზმი არათანაბრად ვითარდება, ძირითადად გამოიყოფა შემდეგი ტურისტული რეგიონები: ევროპა, ამერიკა, აღმოსავლეთი აზია, წყნარი ოკეანის რაიონი, აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთი აზია. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ტურიზმის სწრაფი ზრდა, ტურისტული ნაკადების მოზღვაება დამახასიათებელია ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიისათვის. მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, მსოფლიოს მასშტაბით ტურისტული ბრუნვის მოცულობამ აქ მაღალ მანქანებულს მიაღწია, რაც ტურიზმის სპეციალისტების, მარკეტოლოგების და მეწარმეთა სპეციალური შესწავლის საგანი გახდა.

ტურისტული ინდუსტრიის განვითარების პროგნოზებზე ბრიტანეთის მსხვილი ტურისტული გამომცემლობა „ტურიზმის ინდუსტრია, დასვენება და ჯანმრთელობა №1(10)“ ჯერ კიდევ 1999 წელს იუწყებოდა, რომ 2010 წლამდე საერთაშორისო ტურიზმის ზრდის ტემპები გარკვეულწილად შემცირდებოდა და 2005 წელს იქნებოდა 4,4%, 2010 წელს – 4,3 %, მაშინ, როდესაც 1999-2000 წლებში ზრდის ტემპი 5%-ზე ცოტა მეტი იყო. პროგნოზებში მითითებული იყო აგრეთვე, რომ ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიდან გამსვლელი ტურისტული ნაკადები შემცირდებოდა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში პირიქით ზრდის ტემპები მაღალი დარჩებოდა. დიდი ცვლილებები იყო დაფიქსირებული შემომყვანი ტურიზმის მიმართულებითაც. შორ მანძილზე რეგიონთაშორისი მგზავრობების მატებამ 1995 წელს 15%-ის მაგიერ 25% შეადგინა. სპეციალისტების ასეთი პროგნოზირება იმასთან იყო დაკავშირებული, რომ თანამედროვე ტურისტული ინდუსტრია ტურისტებს სთავაზობს ახალ, მრავალფეროვან და საინტერესო ტურისტულ პროდუქტებს მოგზაურობის უსაფრთხოების მაღალი გარანტიებით.

მტო-ს პროგნოზით, რომელიც მოცემულია სპეციალურ გამოკვლევაში „Tourizm: 2020 vision“ განსაზღვრულია XXI საუკუნის ყველაზე პერსპექტიული და პოპულარული ტურიზმის სახეები: სათავგადასავლო, ეკოლოგიური, კულტურულ-შემეცნებითი, თემატიური, საქმიანი და საკრუიზო.

ბოლო ათწლეულები მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნება ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში. ამასთან, საერთაშორისო ტურიზმში შთამბეჭდავი მიღწევები, პირველ რიგში განაპირობა ტურისტულ მოთხოვნა-მიწოდებაში განხორციელებულმა ხარისხობრივმა ცვლილებებმა. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ტურისტული მოთხოვნის სფეროში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თავი იჩინა ახალმა ტენდენციებმა, რომლებიც გამოიწვია სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა და თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიაში მომხდარმა ცვლილებებმა. ტურისტული მომხმარებლის სტრუქტურის ცვლილებებზე გადაწყვეტი გავლენა მოახდინა ეკონო-

მიკური კონიუნქტურის გაუარესებამ. მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში 2008-2009 წლებში დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის მნიშვნელოვანი დაქვეითება. ეკონომიკური კონიუნქტურის დაქვეითებას მოჰყვა სოციალურ სფეროში ცვლილებები, რამაც გააღებინა მოახდინა ტურისტულ მოთხოვნაზე. ამ პროცესების შედეგი იყო საპენსიო ასაკის და სამუშაო კვირის შემცირება, გაიზარდა შვებულება, რასაც მოჰყვა სამუშაო გრაფიკის შემოღება. განხორციელებული ღონისძიებები მიმართული იყო შრომის ბაზარზე განვითარებული დისპროპორციების შემცირებისაკენ, თუმცა ერთდროულად მათ გამოიწვიეს მოსახლეობის თავისუფალი დროის ფონდის და ტურისტული მომსახურების პოტენციალური მომხმარებლების რაოდენობის გაზრდა.

განხილულმა ფაქტორებმა ღრმა ცვლილებები გამოიწვია ტურისტულ მოხმარებაში როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონული მასშტაბით. თავისუფალი დროის გაზრდამ, საერთო ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების ფონზე, მოსახლეობის რეკრეაციულ ქცევაში ორი ძირითადი ტენდენცია გამოიჩინა: შვებულების დანაწილება და ხანმოკლე მოგზაურობების სიხშირის გაზრდა.

ტურიზმი სულ უფრო მეტად გლობალური ხასიათისა ხდება. მსოფლიო ტურისტული ბაზრის ჩამოყალიბებას თან ახლავს ტრანსნაციონალიზაციის მძლავრი პროცესები, რომელიც გამოხატულებას პოულობს კერძო კაპიტალის საერთაშორისო კავშირების წარმოშობაში, სხვადასხვა ქვეყნების მონოპოლიებს შორის კავშირების გაძლიერებაში, ტრანსნაციონალური კომპანიების მძლავრ განვითარებაში ტურისტული ბიზნესის სფეროში. სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის ბევრი საწარმო ერთიანდება მსხვილ სამეურნეო კავშირებად და არღვევენ ცალკეული ქვეყნების სივრცის ჩარჩოებს, რის საშუალებითაც მათ ნაციონალურ ბარიერებსაც არღვევენ. მოკლე პერიოდში საერთაშორისო ცხოვრებაში ისინი მნიშვნელოვან მოვლენებად გადაიქცნენ. ასეთი ახალი ეკონომიკური წარმონაქმნები წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის მაღალ დონეებს შეესაბამებოდა და ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების შემოღებას და გავრცელებას უზრუნველყოფენ.

XX საუკუნის დასასრულს და XXI საუკუნის დასაწყისში დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ახალი ეპოქა დაიწყო. კაცობრიობა სამყაროს აღმოჩენებს ახდენს ტურიზმის ფორმით, რომელიც თანამედროვეობის დიდი მნიშვნელობის მასობრივ მოვლენას წარმოადგენს.

საზოგადოების ევოლუციამ, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ზრდამ, სოცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მომატებამ, ურბანიზაციის მსოფლიო პროცესის განვითარებამ და სხვა მნიშვნელოვანმა სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა გამოიწვია მსოფლიო მნიშვნელობის ცვლილებები, მათ შორის საერთაშორისო ტურიზმის დინამიური განვითარება.

საერთაშორისო ტურიზმის მუდმივი ზრდა-განვითარება საზოგადოების ცხოვრებაში განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, როგორცაა მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, თავისუფალი დროის რაოდენობის გაზრდა, რეგიონების ღიაობის ამაღლება და სხვა. ტურიზმი, როგორც დასვენება-გართობის სასიკეთო საქმიანობა, მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობს. უხსოვარი დროიდან, ყოველგვარი კონკრეტული მიზანდასახულობის გარეშე, ადამიანების ცნობისმოყვარეობას იზიდავდა მოგზაურობა, თანამედროვე პერიოდში კი ადამიანები მოგზაურობენ გარკვეული მიზნებით, როგორცაა საგანმანათლებლო, რელიგიური, რეკრეაციული, საქმიანი (ბიზნესი) და სხვა მრავალი მიზნის შესასრულებლად. მილიონობით ახალი ტიპის მოგზაურთა გამოჩენას ხელი შეუწყო ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებამ და თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობის გაფართოებამ. ტურიზმმა საზოგადოების ცხოვრებაში ახალი მნიშვნელოვანი ფუნქციები შეიძინა იმის შედეგად, რომ იგი გადაიქცა უნიკალურ მსხვილმასშტაბიან მსოფლიო ინდუსტრიად, ხოლო ტურისტული რესურსები თანდათან გახდა უმრავლესი ქვეყნების ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო ტურიზმი განიხილება, როგორც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ხარისხის პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ცხოვრების ხარისხში კი იგულისხმება ადამიანთა უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებების (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, დასვენება, დასაქმება, კულტურული განვითარება, ოჯახური კეთილდღეობა, ჯანმრთელი გარემო) დაკმაყოფილების რეალური უზრუნველყოფა. მაშასადამე, თანამედროვე საზოგადოებაში ტურიზმი განიხილება, როგორც ადამიანის მოთხოვნილებათა რეალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რომელიც სხვადასხვა სახის ტურიზმში პოულობს გამოხატულებას.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ძირითად სიმდიდრეს მხოლოდ ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს, ამიტომ ბევრი განვითარებადი ქვეყნის არსებობა დამოკიდებულია მინერალური ნედლეულის მოპოვებასა და ექსპორტზე. ბუნებრივი რესურსების გაუწონასწორებელ ექსპლუატაციას ამ ქვეყნებისთვის არ მოაქვს მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი გარანტიები. ბუნებრივი რესურსების სიმდიდრის მიუხედავად, განვითარებადი ქვეყნებში ადამიანები ცხოვრობენ სიღარიბეში, ამიტომ ამ ფენომენს ეკონომისტებმა „რესურსული საშინელება“ უწოდეს.

პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორებმა ჯ. საქსმა და ე. ფორნერმა შეისწავლეს 95 განვითარებადი ქვეყანა, რომელთაც 1970-1990 წწ. მაღალი რესურსდამოკიდებულების კოეფიციენტი გააჩნდათ (ბუნებრივი რესურსების ექსპორტის ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან).

გამოკვლევის შედეგებით მათ გააკეთეს დასკვნა რომ რაც უფრო მაღალია რესურსდამოკიდებულების კოეფიციენტი, მით დაბალია მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის დონე. საერთაშორისო ტურიზმი საშუალებას იძლევა, ბუნებრივი რესურსები უკეთესად იქნეს გამოყენებული. შემთხვევითი არაა, რომ ქვეყნებმა, სადაც „რესურსული საშინელებების“ პრინციპი მოქმედებს, დაიწყეს ეკონომიკისადმი დიფერენცირებული მიდგომა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას მოჰკიდეს ხელი. მაგალითად, ისეთი ქვეყნები, როგორცაა იამაიკა, ზამბია, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თავს ირჩენდნენ ბუნებრივი რესურსების ექსპორტით (იამაიკა ჯერ შაქრის ლერწმის სპეციალიზაციით, შემდეგ ბოქსიტების ექსპორტით, ხოლო ზამბია სპილენძის და კობალტის ექსპორტით). მსოფლიოს ეკონომიკური კონიუნქტურის შეცვლით ორივე ქვეყანა იძულებული გახდა, დაეწყო საერთაშორისო ტურიზმის და სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება. მაგალითად, ტუ-

რისტული ზონების და სასტუმროების პრივატიზაციით ზამბიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოელი ტურისტების შემოსვლა და, შესაბამისად, ტურიზმიდან შემოსავალიც. ტურისტების ძირითადი ნაკადები შემოვიდა ისეთი ქვეყნებიდან, როგორცაა ინგლისი, იტალია, გერმანია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

აღსანიშნავია, რომ ის ქვეყნებიც, რომლებსაც ახასიათებთ მაღალი საექსპორტო რესურსული დამოკიდებულება და ამავე დროს წარმოდგენენ ეკონომიკაში საკმაოდ წარმატებულს, დაინტერესებული არიან საერთაშორისო ტურიზმის განვითარებით და ახორციელებენ ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის დივერსიფიცირებას. ასეთი ქვეყნების წარმომადგენელია გაერთიანებული არაბული ემირატები. თავისი ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნით მათ დააკონსერვეს პერსპექტიული მდიდარი ნავთობის საბადოები მომავალი თაობების ცხოვრების ხელსაყრელი პირობების უზრუნველსაყოფად, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით გაერთიანებული არაბული ემირატები გახდა მრავალმხრივ წარმატებული ქვეყანა, ხოლო მისი დედაქალაქი აბუ-დაბი ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო ტურიზმის უმსხვილეს ცენტრს წარმოადგენს.

ტურიზმი საქართველოში ეკონომიკის დინამიურად განვითარებადი დარგია. ტურისტული საქმიანობის ყველა მიმართულებით ხდება ტურპროდუქტის მიწოდების სფეროს გაფართოება და მათი სპეციალიზაციის გაღრმავება. საქართველოს ტურიზმში მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც ემთხვევა მსოფლიო მიმართულებებს, თუმცა ისინი შენელებულია და მოითხოვს დაჩქარებულ განვითარებას.

ტურიზმის გლობალიზაციის ტენდენციები აისახება ტურისტული ბიზნესის წარმომადგენელთა მისწრაფებებში, რომ აღდგეს და განვითარდეს იქნეს სტუმარმასპინძლობის ქართული ტრადიციები.

საქართველოს გააჩნია მდიდარი ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული პოტენციალი, თუმცა დღეისათვის აუტსაიდერის მდგომარეობაში ვიმყოფებით საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე. ტურიზმის განვითარების სფეროში შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაში მდგომარეობს, რომლის საფუძვლები იქნება ტურიზმის დაჩქარებული განვითარებისათვის ორგანიზაციული, სამართლებრივი და ეკონომიკური პირობების შექმნა.

საერთაშორისო და რეგიონული ტურიზმის განვითარების გათვალისწინებით საჭიროა საქართველოს სანედლეულო სპეციალიზაციის შესწავლა, რათა ტურიზმის მდგრადი განვითარების განხორციელება მოხდეს ქვეყნის კვლავწარმოების პროცესში ბუნებრივი რესურსების გონივრული ჩართვით და არა მტაცებლური ექსპლუატაციით. ასეთი გამოკვლევები შესაძლებლობას მისცემს საქართველოს მთავრობას და ტურიზმის ორგანოებს, ოპტიმალურად განსაზღვრონ საქართველოს ადგილი და მონაწილეობა საერთაშორისო და რეგიონული ტურიზმის განვითარებაში, ოპტიმალურად შეაფასონ საქართველოს რესურსული პოტენციალი, ტურიზმის ნაკადების მოცულობა და მიმართულებები.

საქართველოში დაჩქარებული განვითარების სტრატეგიის ფორმირება უნდა განხორციელდეს უცხოეთის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, რომლის მთავარი ამოცანა იქნება საშინაო და საერთაშორისო ბაზრებზე ნაციონალური ტურისტული პროდუქტის წინ წაწევის მიზნით ყველა პირობის შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. T. Coles, M. Hall International and Regional Tourism: Global Issues: Contemporary interact actions, 2008.
2. Page St. Connell J. Tourism: A Modern Synthesis, second edition, 2009.
3. Александрова А. Междурядный туризм. М., Аспект-пресс, 2004.
4. Воскресенский В. Междурядный туризм. М., Юнити, 2013.
5. Зорин И., Каверина Т., Квартальнов В. Туризм вид деятельности. М., 2013.

*David Jangulashvili
Gaioz Nadirashvili*

REGIONAL TRENDS OF INTERNATIONAL TOURISM DEVELOPMENT Annotation

The work explores the peculiarities of international and regional tourism development during the last 20-30 years, given the main indicators of tourism destinations, financial incomes according to the regions and the world as a whole. Formation strategy of accelerated tourism development in Georgia should be based on the analyze of rich experiences of foreign countries. It is very important to create essential conditions for the national tourist product promotion in the international and domestic markets.

FINANCIAL SUSTAINABILITY OF THE BULGARIAN PUBLIC PENSION SYSTEM

Introduction

The aging of Europe's population poses serious challenges to governments with regard to the balancing of public pension systems and providing the necessary means of subsistence of the elderly now and in the future. Therefore in the last few decades, interest in the financial sustainability of pension systems has constituted the main reason for pension reforms in European countries [6] so that they can withstand the expected demographic changes.

The organization of a pension system can affect the operation of the related pension model, the supply of labor, the economic activity coefficient, etc. Therefore, frequent changes in the parameters, apart from the fact that they could create social tensions between working and contributing people and the beneficiaries of the system (the retired), they can also affect the delivery of the pension promises.

1. Challenges before the sustainability of the public pension systems

The question arises how to define sustainability. The difficulty stems from the fact that no precise definition has been formulated yet. The most cited definition of sustainability is the one put forward by the United Nations : "sustainable development is development, that meets the needs of the present, without compromising the ability of future generations to meet their own needs [9]. According to European commission there is no clear definition for sustainability, but it can be used for government's ability to service its own obligation through future revenues [7]. According to definition of Organization of Economic Co-operation and Development (OECD): „Fiscal policy can be thought of as a set of rules, as well, as an inherited level of debt. And a sustainable fiscal policy can be defined as a policy such that the ratio of debt to GNP eventually converges back to its initial level" [4 , 11]. The definition of the OECD can be interpreted in the following way: a pension system is sustainable when the established percentage of contributions is sufficient to finance the pensions paid and simultaneously the formed pension fund is constantly maintained at a reasonable level, depending on the size of the system. From here, however, we can go to a broader scope for discussion, depending on the perspective of the partners in the system. Contributors may consider it to be sustainable if the rules regarding the terms and amount of social security payments do not change, even if there are changes experienced by pensioners. On the other hand pensioners will consider it sustainable as long as they receive their expected pensions, even if it is associated with changes in the rules for the social security contributors. In both cases there is a risk that the system in its future development exerts an unexpected pressure on one or the other group. It is exactly the reduction of the possibility of such unexpected events occurring in the future that forms the foundations of the idea of sustainability.

Studies have shown that public pension expenditure as a percentage of GDP endure almost constant increase [10] and with some exceptions, they are expected to continue to increase in the future (Figure 1) [8, 328] .




Figure 1. Public pension expenditure as % of GDP

Within the EU the share of public pension expenditure in relation to GDP varied widely in 2010- from 6.8 % (the Netherlands) to 15.3 % (Italy) with a EU average of 11.3% . Forecasts of the European Commission are that in 2060 the share of pension expenditure in the GDP in the EU27 would be 12.9% on average. In Denmark, Estonia, Italy, Latvia and Poland a decrease in the index is expected, the most significant (-3.8%) to be in Latvia. In all other countries an increase is forecast in the share of pension costs. The most significant increase is expected in Luxembourg (9.4 %), followed by Cyprus (8.8 %) and Slovenia (7.1 %). The most stable situation is expected in Portugal (an increase of only 0.2%) , France (0.5 %) and Sweden (0.6 %).

Pension costs are an important factor for the current, medium and long-term equilibrium of the social security budget and the public fiscal program. Therefore, sustainability is bound both with the balancing of revenues and the implementation of the pension promises and with the ratio between the socially insured (contributors) and pensioners (beneficiaries). Therefore, the measures carried out in the system must correct also the negative impact of population aging on its balance.

In 2012, pensioners in the EU were 120 million or nearly 24% of the total population [5, 4]. The forecasts of the European Commission are that by 2060 the share of the EU population aged over 65 is expected to increase to almost one third of the entire population [8, 299]. A relative measure to determine the size of the aging population is old-age dependency ratio - the ratio between the number of people over 65 and those of persons between 15 and 64. Studies of the European Commission show that in most European countries this ratio is low [8]. This means that a significant proportion of adults, although not yet of retirement age, have already left the field of work. In this regard, the recommendations are related to events supporting employment and the continuation of active working life.

2. Problems before the sustainability of the Bulgarian public pension system

The sustainability of any public pension system depends on the extent to which it relies on the contributions and taxes accumulated by working people. The means of funding and eligibility conditions must be so organized as to achieve a balance both between contributions and pension rights, and between the number of contributors and those receiving pensions.

The balance of the Bulgarian pension system is negative. At present, it has a significant deficit to which the economic crisis largely contributes. Figure 2 shows the deficit of the Pensions fund after the 2000 pension reform.




Figure 2. Deficit of the Pensions fund, million BGN¹⁵⁵

Data show that the Bulgarian public pension system cannot be considered stable. It is strongly dependent on the state budget, relying on subsidies from it. In addition, it should be taken into account that in 2009 the state joined as an insurer with an additional 12% contribution for each insured person which actually represents further state funding. Despite the government intervention the long-term actuarial balance¹⁵⁶ for the period 2006 – 2050 of the State Public Social Security as a whole remains negative for the whole period: from -14,5% in 2007 to -3,5% in 2031 (when the best situation will be attained according to the actuarial forecasts), back to -8% in 2050. [1, 9]. Until that moment the public pension insurance system has to mobilise all its available reserves and possibly to undergo more reforms in order to be most adequate to the increasing payments to pensioners.

The number of pensioners is the main factor that determines the amount of the cost of the pension system. In combination with the number of insured persons it gives an idea about the financial burden on workers related to the subsistence of those unable to work. The number of Bulgarian pensioners is a function of several factors: the low birth rate, the aging population and the relieved conditions of retirement before the reform.

However, to determine the financial sustainability of the public pension scheme, it would be more correct to explore the dependency ratio, expressed by the ratio between the number of pensioners and the number of insured persons. It is an important indicator of the system due to the expected aging and the changes in the demographic structure.

Since 2000, insured persons whose social security contributions maintain the pension system have been fewer than the pensioners. The dependency ratio, which was 74.34% in 1997 (ie 74 pensioners per 100 insured people), became 108.02% in 2002 (more

¹⁵⁵ 1 Bulgarian lev (BGN) = 0.511 €.

¹⁵⁶ The long-term actuarial balance is defined as the difference between the summary rate of income (the ratio between the current rate of revenue and current rate of contribution base for the period) over the years and the summary rate of cost (the ratio between the present value of costs for the period plus the present value of planned level of State Public Social Security funds for the period minus the present value of the initial level of State Public Social Security funds for the period and the present value of the contribution base over the respective period).

pensioners than insured people). Since 2003, the number of insured persons has increased for the reasons mentioned above, while the number of pensioners has decreased. As a result, the ratio fell below 100 to reach 77.4% in 2010. However, the increased unemployment due to the economic crisis had an impact also in 2012, the ratio increased to 80.1%. [2, 178, 221; 3, 11]. The situation is influenced also by the substantial emigration of young people to other EU countries.

Currently the unused reserves to accumulate additional retirement resources are the unemployed, some adults (aged 15 - 64) who are out of work (as they are already receiving pension benefits) and those employed in the "gray" economy. In order for these reserves to be used, changes should be made not only in the pension system, but also in the overall regulatory environment (additional changes in tax legislation and the imposition of heavier penalties for established violations of the financial discipline).

Conclusion

One of the main aims of the Europe 2020 strategy is to achieve a target employment rate of 75% in the age group 20-64. This objective will result in a slower rate of increase in old-age dependency ratio. But the increase of the employment rate should not only be achieved among the adults group, but also among other groups traditionally characterized by lower levels of employment: women, migrants, people with disabilities, minorities, etc. It is obvious that besides following the strategy Bulgaria needs to do complementary reforms, since the financial crisis has delayed the addressing of the consequences of demographic changes and has highlighted the weaknesses in the current system organization. The slower economic growth, the budget deficit, the financial instability of the overall economy and the low employment definitely hamper the adequacy and sustainability of the Bulgarian pension system in relation to the implementation of the agreed rules. Therefore, it will be inevitable to take greater efforts to increase employment and labor productivity, to increase the legal retirement age and to introduce additional adjustments related to the rules for determining the cost. The challenges are significant, but can largely be overcome with a rapid response and implementation of appropriate action policies.

References

1. Митрева, Хр. (2006). *Демографските перспективи на населението в България за периода 2004-2050 г. и социалният статус на възрастните хора през призмата на пенсионната система*, Бюлетин на НОИ, бр. 3, 2006.
2. НОИ (2007), *Демография, икономика и социално осигуряване 1986-2006 г.*, Статистически справочник на Националния осигурителен институт. с. 178, 221.
3. НОИ (2013), *Статистически годишник. Пенсии 2012 г.*, С. 2013, с. 11.
4. Blanchard, O., Chouraqui, J., Hagemann, R., Sartor, N. (1990), *The Sustainability of Fiscal Policy: New Answers to an Old Question*, OECD Economic Studies 15: 7-36.
5. COM(2012) 55 final. *WHITE PAPER: An Agenda for Adequate, Safe and Sustainable Pensions*, Brussels: European Commission, 2012.
6. European commission (2010), *Towards Adequate, Sustainable and Safe European Pension Systems, Green Paper*, Luxembourg: Publications Office of the European Union.
7. The 2009 Ageing Report. *Economic and Budgetary Projections for the 27 EU Member States (2008-2060)*, European Economy 2/2009.
8. The 2012 Ageing Report. *Economic and Budgetary Projections for the 27 EU Member States (2010-2060)*, European Economy 2/2012.
9. United Nations (1987), *Report of the World Commission on Environment and Development: Our Common Future*, Report transmitted to the General Assembly as an Annex to document A/42/427 – Development and International Co-operation: Environment, New York.
10. Whitehouse, E., D'Addio, A., Chomik, R., Reilly, A. (2009). *Two Decades of Pension Reform: What has been Achieved and What Remains to be Done?* in The Geneva Papers, 34(4), pp. 515-535.

Hristina Vilhelm Blagoycheva

FINANSIAL SUSTAINABILITY OF THE BULGARIAN PUBLIC PENSION SYSTEM

Annotation

Public pension systems fulfill a long-term commitment - the subsistence of the adult population unable to work. In light of the demographic crisis, the lack of financial sustainability can lead to a future increased pressure on workers (social insurance and tax payers) or beneficiaries (pensioners). Therefore, it is necessary to constantly study and search measures both in order to achieve a balance whereby the rate of the social security contribution will be sufficient to finance the pensions paid and at the same time to maintain the established pension fund at a reasonable level depending on the size of the system.

*ნაზი გვარამია
ნაწილი ძიგეიშვილი*

სოციალური აუდიტის ევროპული პრაქტიკა და საქართველო

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში კარგად იკვეთება აუდიტორული საქმიანობის შემდგომი განვითარების აუცილებლობა და შესაბამისად აქტუალურია აუდიტის კონცეპტუალური საფუძვლების დამუშავება, საქართველოს სამეწარმეო სექტორში მსოფლიო პრაქტიკის დამკვიდრება. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება მართვის თანამედროვე მიდგომების, ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების ახალი ფორმებისა და მეთოდების შექმნისა და აპრობაციის მოთხოვნილება. სამეცნიერო ნაშრომში აუდიტს განვიხილავთ როგორც დიაგნოსტიკურ მეთოდს პერსონალის მართვის ეფექტურობის შეფასებაში.

აღსანიშნავია, რომ კომპანიების უმრავლესობა მთავარ ორიენტირს აკეთებს უპირველეს ყოვლისა, ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტურ, რაციონალურ გამოყენებაზე. ამასთან, ორგანიზაციის შრომითი პერსონალი განიხილება როგორც დანახარჯთა მუხლი, ხოლო პერსონალის მართვის ეფექტურობის შეფასება ხდება ორგანიზაციის ბიუჯეტის შესაძლო ეკონომიის პოზიციიდან, ცხადია, სახელფასო ფონდთან

მიმართებაში. აღნიშნული გარემოება კი, თავის მხრივ, იწვევს ადგილობრივ რესურსების როლის არასათანადო შეფასებას, ვინაიდან, სწორედ იგი წარმოადგენს კომპანიის მართვის სისტემის განუყოფელ ნაწილს და უმთავრეს ფაქტორს, რომელიც განაპირობებს ორგანიზაციის ეფექტურ ფუნქციონირებას მთლიანობაში.

თანამედროვე ეტაპზე საწარმოთა შემდგომი განვითარება აუცილებლად წარმოქმნის მათი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების აუცილებლობას, ორგანიზაციის პერსონალის მართვის თანამედროვე მიდგომებში ხარისხიანი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველზე. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების ახალი ფორმებისა და მეთოდების შექმნისა და აპრობაციის მოთხოვნილება, მათ შორის შრომითი ურთიერთობებისა და მახვევებლების ანალიზის ახალი ხერხების აუცილებლობა, რომლებიც არა მარტო ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი იქნება, არამედ უზრუნველყოფს რეკომენდაციების შემუშავებას შრომისა და წარმოების, პერსონალის მართვის ორგანიზაციის საკითხებში, ასევე პრაქტიკული დახმარების აღმოჩენას, რომელიც მიმართული იქნება ორგანიზაციის სოციალურ-შრომითი და ეკონომიკური საქმიანობის ამაღლებისაკენ, შრომითი და მენეჯმენტის სფეროს დამოუკიდებელი ექსპერტების (აუდიტორების) მიერ, ვინაიდან ამ კრიტერიუმების პერიოდული შესწავლის გარეშე შეუძლებელია ორგანიზაციის ეფექტური მართვა. განვიხილავთ აუდიტს, როგორც დიაგნოსტიკურ მეთოდს კომპანიის პერსონალის მართვის ორგანიზების ეფექტურობის შეფასებაში.

ყველა სახის აუდიტი წარმოადგენს დიაგნოსტიკური გამოკვლევის განხორციელების სპეციფიკურ სისტემას, რომელიც საშუალებას იძლევა, გააკეთდეს დასკვნა ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობის ხარისხსა და მისი სრულყოფის გზებზე. პ. ე. შენდლერის განმარტებით, “აუდიტის არსი მდგომარეობს იმ მიზეზების დიაგნოსტიკაში, რომლებიც წარმოქმნიან ორგანიზაციაში პრობლემებს; მათი არსებობის და აღმოფხვრის; შესაძლებლობების შეფასება და ორგანიზაციისათვის კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება. მთლიანობაში აუდიტის დიაგნოსტიკა წარმოადგენს ანომალიის გამოვლენის პროცედურას ან ზოგიერთი სისტემის რეალური მდგომარეობის მიკუთვნებას ერთი რომელიმე ცნობილი კლასისათვის, სხვადასხვა სიმპტომებისა და ნიშნების შერწყმის საფუძველზე, რამდენადაც, ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტი, ნებისმიერი ორგანიზაცია შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ღია სისტემა და დიაგნოსტიკური მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორგანიზაციის გამოსაკვლევად.

ორგანიზაციის მართვის სისტემის გამოკვლევის კონტექსტში დიაგნოსტიკური საქმიანობა მოიცავს:

- ❖ ორგანიზაციის შინაგანი და გარეგანი ფაქტორების, სიტუაციური პირობების და ამ პირობებში მისი საქმიანობისა და ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს დოკუმენტაციის შესწავლის გზით, გასაუბრების ჩატარებას ორგანიზაციის თანამშრომლებთან;

- ❖ დიაგნოსტიკური გამოკვლევის მიზნებისა და შეზღუდვების განსაზღვრას;

- ❖ კრიტერიუმების განსაზღვრას, რომელთა დახმარებითაც აუდიტორი განახორციელებს ორგანიზაციის ყველა ელემენტის, როგორც ერთი მთლიანი სისტემის შესაბამისობის შეფასებას რომელიმე ეტალონურ მდგომარეობასთან კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით და ასევე შეფასებას, თუ რამდენად არის მიღწეული ორგანიზაციის მიზნები;

- ❖ ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზებზე დასკვნების ფორმულირება, რეკომენდაციების შემუშავება გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და მართვის სისტემის სრულყოფისათვის.

რუსი მეცნიერები ტ. ვ. ნიკონოვი და ს. ა. სუხარევი განსაზღვრავენ დიაგნოსტიკის მიზანს, როგორც იმ პრობლემათა დეტალურ და სიღრმისეულ შესწავლას, რომელიც დგას ორგანიზაციის წინაშე, ფაქტორთა გამოვლენას, რომლებიც ზემოქმედებენ მოცემულ პრობლემებზე, ყველა აუცილებელი ინფორმაციის მომზადებას იმ გადაწყვეტილებების მიხედვით, თუ როგორ უნდა მომზადდეს ნიადაგი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

სმირ შემთხვევაში, აუდიტის დიაგნოსტიკა იძლევა საშუალებას, განისაზღვროს განსახილველი პრობლემის გადაჭრის გზები, ასევე დადგინდეს, ფლობს თუ არა ორგანიზაცია აუცილებელ მიმდინარე მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, ასევე ტექნიკურ კვალიფიკაციას პრობლემების გადასაწყვეტად.

აუდიტი პერსონალის მართვის სფეროში წარმოადგენს უკვე შემდგომ მოვლენას მსოფლიო პრაქტიკაში, მაგრამ პოსტსაბჭოური სივრცისათვის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკისათვის აბსოლუტურად ახალი მოვლენაა და მისი შესწავლა ჯერ არ განხორციელებულა. აუდიტის არსებული კონცეფციები ნათლად ცხადყოფს, რომ აღნიშნული ტერმინი ჯერ კიდევ განვითარების სტადიაზეა საქართველოში.

ევროპული ქვეყნების პრაქტიკიდან გამოდინარეობს, რომ აუდიტი შრომით სფეროში მოიაზრება როგორც “სოციალური აუდიტი”. ფრანგი მეცნიერის, სოციალური აუდიტის ინიციატორის და სოციალური აუდიტის საერთაშორისო ინსტიტუტის პრეზიდენტის რ. ვატიეს აზრით, “სოციალური აუდიტი” – არის დაკვირვების ხერხების, მართვისა და ხელმძღვანელობის ინსტრუმენტი, რომელიც ფინანსური ან ბუღალტრული რევიზიის ანალოგიურად იძლევა საშუალებას, შეფასდეს კომპანიის ან ორგანიზაციის შესაძლებლობები, წარმოქმნილი სოციალური პრობლემების მართვაში, რაც განპირობებულია პროფესიული საქმიანობით.

პიერ კანდუ სოციალურ აუდიტს განსაზღვრავს როგორც დამოუკიდებელ საქმიანობას კონტროლის, ანალიზის, შეფასების და რეკომენდაციების შემუშავების თვალსაზრისით; საქმიანობას, რომელიც ეფუძნება მეთოდოლოგიას და იყენებს იმ მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა რეალურ მონაცემებთან მიმართებაში გამოიკვლიოს საწარმო ეტაპზე ძლიერი მხარეები, შემდეგ კი პრობლემები პერსონალის გამოყენების სფეროში დანახარჯებისა და რისკების ფორმით, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დიაგნოსტიკის ჩატარების საფუძველია, რათა გამოვლინდეს პრობლემის გამომწვევი მიზეზები, შეფასდეს მათი მნიშვნელობა და დასკვნით ეტაპზე განხორციელდეს რეკომენდაციების ფორმულირება.

განსხვავებული მოსაზრება აქვთ მეცნიერებს აღენ კურეს და ჟაკ ივალენს. მათი შეხედულებით, სოციალური აუდიტი მიზნად ისახავს გაანალიზოს ყოველი რისკის ფაქტორი და წარმოადგინოს რეკომენდაციები მათ შესამცირებლად. ისინი გამოყოფენ სოციალური რისკების ოთხ კატეგორიას:

- ❖ კანონისა და შიდა წესების დარღვევის რისკი;

- ❖ ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკისა და პერსონალის მოლოდინის შეუსაბამობის რისკი;

❖ ადამიანური რესურსების არაადეკვატური მოთხოვნების რისკი;

❖ სოციალური პრობლემებისადმი უყურადღებობის რისკი.

წრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში გამოიყენება ტერმინი “ადამიანური რესურსების აუდიტი”, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის პერსონალის მართვის საკითხებში მომსახურების კომპლექსს ამ სისტემის ვრცლად გადახედვასა და შეფასებაში. თანამედროვე კონცეფციებში ფოკუსირებას ასევე ტერმინი “საკადრო აუდიტი”. საკადრო აუდიტის მიზანია, გამოავლინოს კოლექტივის სუსტი და ძლიერი მხარეები, განვითარების ტენდენციები და ქვეყნის შესაძლო ვარიანტები კომპანიებში შეცვლილი სიტუაციების დროს.

მეცნიერთა ნაწილი ხშირად იყენებს ტერმინს “პერსონალის აუდიტი”, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის საკადრო პოტენციალის დამოუკიდებელი ექსპერტიზის, ანალიტიკური შეფასებისა და საკონსულტაციო მხარდაჭერის სისტემას, რომელიც სამეურნეო-საფინანსო აუდიტთან ერთად შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს:

❖ ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკის შესაბამისობა მისი განვითარების მიზნებთან და სტრატეგიასთან;

❖ ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძველზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პერსონალის საქმიანობისა და მართვის სტრუქტურების შესაბამისობა;

❖ სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტის მიმართულებით საკადრო მუშაობის ეფექტურობა, რომელიც წარმოიქმნება ორგანიზაციის ხელმძღვანელობის, ცალკეული ქვედანაყოფების წინაშე, რაც, თავის მხრივ, სოციალური პრობლემების რისკს ზრდის.

პერსონალის აუდიტი განიხილება როგორც მმართველობითი მენეჯმენტის საკონსულტაციო სისტემის შემადგენელი ნაწილი. ჩვენი აზრით, ზღვარი ორგანიზაციის მთლიან მართვასა და პერსონალის მართვას შორის პირობითია, ვინაიდან ორივე შემთხვევაში ობიექტად გვევლინება ცალკეული მომუშავე, ჯგუფი ან შრომითი კოლექტივი, რაც საშუალებას იძლევა, გამოყენებულ იქნეს მეთოდოლოგიური მიდგომები საერთო მმართველობაში პერსონალის მართვის განხილვის პირობებში. პერსონალის აუდიტი მმართველობითი აუდიტის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მოიცავს მიზანმიმართულ და სისტემურ სამუშაოთა ციკლს პრობლემების დასაძლევად.

ჩვენი აზრით, ადამიანური რესურსების სფეროში აუდიტთან დაკავშირებულ განმარტებებში სრულად არ არის გამოკვეთილი აუდიტის დიაგნოსტიკური მეთოდის შესაძლო გამოყენების სივრცე, როგორც ორგანიზაციის პერსონალის კვლევის კომპლექსური სისტემის ეფექტური ინსტრუმენტი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პერსონალის აუდიტის მიზნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

❖ კომპანიის შრომითი რესურსების პოტენციალის სისტემის ფორმირებისა და გამოყენების ეფექტურობის ამაღლება;

❖ პერსონალის მართვის სისტემის ეფექტურობის ამაღლება;

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე კი შეიძლება წარმოვადგინოთ მისი ძირითადი ამოცანები:

❖ კომპანიის მიმდინარე სტრატეგიის შეფასება შრომით ბაზარზე არსებული მდგომარეობის, დასახული მიზნების ერთიანობისა და სისტემურობის გათვალისწინებით;

❖ პერსონალის მართვის ტექნოლოგიის შეფასება, პერსონალის შერჩევისა და მათი კომპანიაში მიღების ანალიზის, შრომითი ადაპტაციისა და გამოყენების, სწავლების სისტემის და პროფესიული წახალისების გათვალისწინებით;

❖ კომპანიებში მოქმედი შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შეფასება, რომლის საფუძველზე ხორციელდება მიღწეული შედეგების სტრატეგიული მიზნებიდან გადახრის შიდა მონიტორინგი, ასევე კომპანიის მოკლევადიანი გეგმების მონიტორინგი პერსონალის მართვის საკითხებში, რომელიც წარმოქმნის სხვადასხვა სახის ორგანიზაციულ პათოლოგიებს;

❖ კომპანიის სტრატეგიული მიზნებისა და საკადრო პოლიტიკის შესაბამისობის უზრუნველყოფა;

❖ ეფექტური სისტემის ფორმირება სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის, ასევე პერსონალის მოძრაობის აღრიცხვისა და კონტროლის მიმართულებით, საკადრო პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით;

❖ შრომის ეფექტურობის მაჩვენებლების შეფასება, შრომითი რესურსებისა და შრომითი დანახარჯების, მათი რიცხოვნობისა და შემადგენლობის ანალიზი;

❖ საინფორმაციო ნაკადების ეფექტურობის ამაღლება, საკადრო შემადგენლობის ოპტიმიზაცია და მართვის სტრუქტურების რეორგანიზაცია შედარებით ეფექტური მეთოდების დანერგვით, ოპტიმალური ორგანიზაციული გარემოს შექმნა;

❖ საკადრო სამსახურის მუშაობის შეფასება, მუშაკთა კონკრეტული მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ჩართვით და მათი ხვედრითი წილის განსაზღვრა კომპანიის საქმიანობის ეფექტურობაში;

❖ რეკომენდაციების შემუშავება პერსონალის მართვის პოლიტიკასა და სტრატეგიასთან მიმართებაში, კადრების ფორმირებისა და გამოყენების გაუმჯობესება.

საარსებო მინიმუმისა და ბიუჯეტის მახვენებლები სახელმწიფოს მიერ გამოიყენება სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტად. კერძოდ, ამ მახვენებლის მიხედვით ხორციელდება მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასება (განისაზღვრება იმ მოსახლეობის წილი, რომელთა ბიუჯეტის წილი ნაკლებია, ტოლია ან მეტია, ვიდრე საარსებო მინიმუმის ბიუჯეტი); საარსებო მინიმუმის ბიუჯეტი წარმოადგენს სოციალური პოლიტიკის ბაზას, რათა იგი მიმართული იყოს ყველაზე დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის მხარდასაჭერად; საარსებო მინიმუმის ბიუჯეტის მეშვეობით უნდა განისაზღვროს მინიმალური ხელფასი და მოხუცებულობის მინიმალური პენსია.

მე-20 საუკუნეში ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის საგანი გახდა ეკონომიკური ზრდის წახალისება, რომელიც, რა თქმა უნდა, კუმულაციური ეფექტის მქონე იყო. ამ პოლიტიკის გატარების შესაფასებლად საჭირო იყო მისი გაზომვა, რამაც გამოიწვია ისეთი ინდიკატორების შემოღება, როგორცაა: “უმუშევრობის დონე”, “მთლიანი შიდა პროდუქტი” და “ინფლაციის დონე”, რომლებიც ასახავს ცვლილებებს ეკონომიკაში.

¹⁵⁷ <http://esocio.narod.ru/lesson09.htm>

¹⁵⁸ <http://esocio.narod.ru/lesson09.htm>

ეკონომიკური ზრდა ხშირად განიხილება ცხოვრების ზრდის კონტექსტში, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საერთო ეფექტი მშპ ზრდაში, მაგრამ ჰქონდეს ცხოვრების დონის დაბალი სტანდარტები მოსახლეობის უმეტესობისთვის, რადგან ეს ზრდა წარმოიშობა მოსახლეობის უმცირესი ნაწილის შემოსავლების ზრდით.

ეკონომისტებისათვის კარგადაა ცნობილი მშპ-ის დეფინაციები, ის განიხილება, როგორც ინდიკატორი და არა როგორც აბსოლუტური მახასიათებელი. ამიტომ ეკონომისტებმა შეიმუშავეს უთანასწორობის მათემატიკური საზომი – ჯინის კოეფიციენტი¹⁵⁹. შემოღებულ იქნა ისეთი ინდიკატორებიც, რომლებშიც გათვალისწინებულია ისეთი ნეგატიური გავლენები, რომლებიც გარემოს დაბინძურების და რესურსების გამოფიტვის შედეგია. მაგალითად, მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც ეკონომიკური ზრდის თვისებრივად ახალი ინდექსია, მისი გამოთვლისას გათვალისწინება გარემოზე ის უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია¹⁶⁰.

ეკონომიკური კეთილდღეობის შეფასების ინდიკატორთა შორის არის მდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის ინდიკატორი, რომელიც გარდაიქმნა ჭეშმარიტი პროგრესის ინდიკატორად. ამ ინდიკატორის გამოთვლისას არ იკრიბება ყველა კომპონენტი, მომხმარებელთა დანახარჯები დაბალანსებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა შემოსავლის განაწილება, დანახარჯები, რომლებიც უკავშირდება გარემოს დაბინძურებას და სხვა ეკონომიკურ არამდგრადობას.

ქვეყნის კეთილდღეობის დონის შეძლებისდაგვარად ობიექტურად შეფასების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულია მრავალი სპეციალური მეთოდი, რომელთაგან ერთ-ერთი უახლესი და ჩვენი აზრით, საკმაოდ დახვეწილი, ეკუთვნის გაეროს ე.წ. ჰუმანური განვითარების ინდექსის ოფისს. ამავე სახელს ატარებს ინდექსიც: “ჰუმანური განვითარების ინდექსი” (HDI). გარემოს ჰუმანური განვითარების ინდექსი არის მცდელობა, შეიქმნას კომპოზიციური ცხოვრების სტანდარტების ინდექსი.¹⁶¹

ჰუმანური განვითარების კუთხით დაინტერესება წარმოიშვა და ჩამოყალიბდა 1980-იან წლებში, იმ პოზიციის პასუხად, რომელიც ეკონომიკურ ზრდასა და ადამიანის განვითარებას შორის ავტომატურ კავშირს აღიარებდა. პაკისტანელმა ეკონომისტმა დოქტორმა მავზუბ ალ შაქმა დაასაბუთა განვითარების ალტერნატიული მოდელის საჭიროება და შემოიღო ჰუმანური განვითარების ანგარიშები 1980-იან წლებში გავრცელებული მრავალი ფაქტორის გამო: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რწმენამ იმის შესახებ, რომ საბაზრო ძალების ზემოქმედება ბოლოს მოუღებდა სიღარიბეს, გვიჩვენა, რომ “ყოველისშემძლე”, საბაზრო ძალებსაც აქვს თავისი შეზღუდულობა. სულ უფრო აშკარა ხდებოდა სტრუქტურულ ცვლილებათა პრობლემების ჰუმანური დანახარჯები, სოციალური სენი (დანაშაული, სოციალური სტრუქტურის დასუსტება, გარემოს დაბინძურება და ა.შ.) ეკონომიკური ზრდის პირობებშიც კი ვრცელდებოდა, დემოკრატიზაციის ტალღამ ადამიანებზე ორიენტირებული განვითარების ახალ მისწრაფებებს დაუღო საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://esocio.narod.ru/lesson09.htm>
2. http://en.Wikipedia.org/wiki/Green_Gross_Domestic_Product#cite_note-o
3. Ерохина Е. А. Теория экономического развития. Системо-синергетический подход.
4. (<http://orel.rsl.vlm/nettext/economic/erohina/index.html>).
5. <http://hdr.undp.org/reports/global/2005/>

*Tamar Kajaia
Lamzira Koiava*

THE QUALITY OF LIFE – NEW CRITERIA Annotation

In this reference work is presented the author's vision of globalization as a result of the new challenges, also what new criteria should be evaluated in order to determine the quality of life in modern conditions.

შეშუშვართა სოციალური დაცვის პრობლემების შესახებ საქართველოში *ელენე ჩიქოვანი*

გარდამავალი პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა შორის ერთ-ერთ უმწვევარეს პრობლემად უმუშევრობა რჩება. უკვე თითქმის მეოთხედი საუკუნეა, ეკონომიკური რეფორმის ვერც ერთ ეტაპზე, სახელმწიფომ თავი ვერ გაართვა უმუშევრობის პრობლემის დაძლევისა და უმუშევრ მოქალაქეთა სოციალური დაცვის კონსტიტუციური ნორმებისა და გარანტიების დაცვას, რაც მოქმედი კანონმდებლობით არის განსაზღვრული. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, უმუშევარ მოქალაქეთა სოციალური დაცვის ძირითადი მიმართულებები მოიცავს ისეთ ნორმებს, როგორცაა ხელშეწყობა დასაქმებაში, მათი საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობების დაცვა, უმუშევრის სტატუსის განსაზღვრა, მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვა საზღვარგარეთ, რომ აღარაფერი ვთქვათ შრომის სამართლიანი ანაზღაურებისა და უსაფრთხო ჯანსაღი პირობების უზრუნველყოფაზე, რომელიც უნდა განისაზღვროს კანონით [1].

¹⁵⁹ შეიმუშავებულ იქნა 1910 წელს იტალიელი სტატისტიკოსის კორადო ჯინის მიერ. ეს კოეფიციენტი ხშირად გამოიყენება საზოგადოებაში შემოსავლის უთანასწორობის დასათვლელად.

¹⁶⁰ იხ. http://en.wikipedia.org/wiki/Green_Gross_Domestic_Product#cite_note-o

¹⁶¹ იხ. <http://hdr.undp.org/reports/global/2005/>

უმუშევართა სოციალური დაცვის ღონისძიებათა მთავარ მიზანს უმუშევართა დასაქმებაში ხელის შეწყობა წარმოადგენს, რაც, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან ერთად, უმუშევართა კვალიფიკაციისა და მომზადების ღონის არსებული სამუშაო ადგილებისა და ვაკანსიების სისტემასთან შესაბამისობას, ანუ უმუშევართა მომზადება/გადამზადების სისტემის ჩამოყალიბებას მოითხოვს, რაც მთლიანობაში აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის ღონისძიებათა სისტემას მოიცავს. “საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოს N199 დადგენილებით განსაზღვრულია შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ძირითადი ღონისძიებები, რომელიც ქვეყანაში შრომის ბაზრის ინსტიტუციური ჩამოყალიბების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ასევე უმუშევართა მომზადება-გადამზადების ღონისძიებათა გატარებისაკენ არის მიმართული [2]. თუმცა, ყურადღების მიღმა არის დარჩენილი დაუსაქმებელი მოსახლეობის სოციალური დაცვის ისეთი ასპექტები, როგორცაა უმუშევარი მოსახლეობის სოციალური დაცვის პასიური ღონისძიებების გატარება, რომელიც გარანტირებული უნდა იქნეს ქვეყანაში მოქმედი კონსტიტუციური ნორმების შესაბამისად.

უმუშევართა სოციალური დაცვის ღონისძიებები სამუშაოდან დათხოვნის დღიდან იწყება. დღეისათვის საქართველოს შრომის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებლის ვალდებულებები. კერძოდ, მოქმედი “შრომის კოდექსის” 38-ე მუხლის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამასთანავე, დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. დამსაქმებლის მიერ აღნიშნული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი უფლებამოსილია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში [3]. “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 109-ე მუხლის შესაბამისად, დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან დათხოვნილ მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა ორი თვის თანამდებობრივი სარგო [4].

მომუშავეთა სამსახურიდან გათავისუფლებისას კომპენსაციების გაცემის პრაქტიკა მიღებულია მსოფლიოს როგორც განვითარებულ ასევე განვითარებად ქვეყნებში. ხელმისაწვდომია ინფორმაცია, მაგალითად, შტატების შემცირების დროს გათავისუფლებული პირებისათვის ერთდროული დახმარების ოდენობისა და შევბუღების დღეების შესახებ. ეს მონაცემები თუმცა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით მაგრამ, ყველა მათგანი შეიცავს არსებით გარანტიებს დასაქმებულთა დაცულობის მიმართულებით, რომელთა მიხედვითაც ერთდროული დახმარების ოდენობა მიბმულია ხელფასის საშუალო თვიურ ოდენობასთან და იზრდება ნამუშევარი სტაჟის მიხედვით [6].

ბიზნესის შესახებ დაშვებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, რომელთა შრომის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ნორმებს მინიმალური ხელფასის, წინასწარი გაფრთხილების ვადებისა და ერთდროული დახმარების შესახებ. თუმცა აღნიშნული საკითხები რეგულირდება კოლექტიური შეთანხმებების საშუალებით. დანიაში, მაგალითად, შრომის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წინასწარი გაფრთხილების ვადას და ერთდროული დახმარების გაცემას შტატების შემცირების დროს მუშაკთა დათხოვნისას. ამ საკითხებს ითვალისწინებს კოლექტიური შეთანხმებები, რომელთა მიხედვითაც 20 წლიანი სტაჟის მომუშავესათვის 26 კვირიანი წინასწარი გაფრთხილება და სამთვიანი ერთდროული დახმარება არის გათვალისწინებული. ანალოგიურად, გერმანიის შრომის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მინიმალურ ხელფასს. ამის სანაცვლოდ, მეტალურგიაში კოლექტიური შეთანხმებები ითვალისწინებს მინიმალური შრომის ანაზღაურებას ერთ სამუშაო საათში. ეს წესი აპრობირებულია გერმანიაში, რადგან იქ კოლექტიურ შეთანხმებებს უკავია საწარმოო სექტორის ნახევარზე მეტი [6]. ამასთან, როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, უმუშევარს უფლება აქვს, უმუშევრობის დროს ისარგებლოს სახელმწიფო გარანტიებით.

დასაქმებულის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დამსაქმებელს შეუძლია მისცეს დასაქმებულს საკმარისი დრო ახალი სამუშაოს მოსაძიებლად შრომითი ხელშეკრულებით (კონტრაქტით) განსაზღვრული სამუშაო დროის ფარგლებში. ასეთი დროის ხანგრძლივობა, აგრეთვე აღნიშნული დროის განმავლობაში დასაქმებულის ხელფასის ოდენობა, შესაძლებელია განსაზღვრული იყოს შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) ან კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოშიც დაკანონდეს ასეთი სახის ვალდებულება დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის დათხოვნის (კონტრაქტის შეწყვეტის) დროს.

ეკონომიკური რეფორმის საწყის ეტაპებზე რეფორმა ითვალისწინებდა უმუშევართა სოციალური დაცვის ისეთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიების განხორციელებას, როგორცაა უმუშევრობის შემწეობა წარმოადგენს. მისი დაფინანსების წყაროს დასაქმების ფონდში დამსაქმებელთა 3%-იანი და დასაქმებულთა 1%-იანი შენატანები წარმოადგენდა, ხოლო გაცემის ვადა განისაზღვრებოდა 6 თვით, პირველ ორ თვეში გასაცემლის ოდენობა შეადგენდა მინიმალური ხელფასის 200%-ს, მესამე და მეოთხე თვეებში – 150% ხოლო მეხუთე და მეექვსე თვეებში 100%-ს. 2006 წლის “საქართველოს შრომის კოდექსის” მიღებამდე ასეთი შემწეობის არსებობა განსაზღვრული იყო “დასაქმების შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლით, რომლის შესაბამისადაც შემწეობა გაიცემოდა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან მთავრობის მიერ განსაზღვრული ოდენობითა და ვადით [5]; “დასაქმების შესახებ” საქართველოს კანონის გაუქმების შემდეგ, “საქართველოში უმუშევართა შემწეობის დანიშნის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, უმუშევრობის შემწეობა ენიშნებოდა რეგისტრირებულ ყველა უმუშევარს. უმუშევრობის შემწეობა თვეში მინიმალური პენსიის ოდენობით (55

ლარი), ხოლო გაცემის ხანგრძლივობა უმუშევრობის 6 თვის ვადით განისაზღვრა [8;9]. მომდევნო ეტაპებზე უმუშევართათვის შექმნის გაცემა საერთოდ იქნა შეჩერებული და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არ არის გათვალისწინებული, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება უმუშევართა სოციალური დაცვის საკონსტიტუციო ნორმებსა და მსოფლიო პრაქტიკას.

პირველი, რამაც ზემოაღნიშნული განაპირობა, იყო ის გარემოება, რომ ქვეყანაში თავიდანვე აქცენტი იქნა აღებული შრომის ბაზრის პასიური პოლიტიკის მიდგომებზე, რაც არასწორი ორიენტაციების (გასაცემლების გაცემის ხანგრძლივობა, დასაქმებულთა შენატანების სამუშაო სტაჟთან მიბმის არარსებობა), ზედმეტი ადმინისტრაციული ბარიერების და სუსტი რეგულაციების არსებობით იქნა განპირობებული. ნაკლები აქცენტი კეთდებოდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, უმუშევართა მომზადება/გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სამუშაო ადგილების რეკლამირებაზე, უმუშევრობის სწორი სეგმენტირების პრობლემებზე (იგულისხმება ახალგაზრდების უმუშევრობის, ქალთა უმუშევრობის, ინვალიდთა და დაბალკონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მაგ., ბავშვთა დასაქმების პრობლემები, ასევე თაობებს / გენერაციებს შორის თანაფარდობის საკითხებში დაშვებული შეცდომები და სხვა). სამწუხაროდ, საქართველოში უმუშევარი მოსახლეობის დასაქმების კუთხით თვითგადარჩენის სტიქიური მიდგომები უფრო იქნა გამოყენებული, რაც თვითდასაქმების მასშტაბების არნახულ ზრდაში გამოიხატა და შედეგად – დაუცველი (არა მარტო სოციალურად, არამედ ფიზიკურადაც) მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ჩამოყალიბება განაპირობა, რასაც, მცირე ბიზნესის რეგულირების სახელმწიფო მექანიზმების უქონლობის პირობებში, მნიშვნელოვანი შედეგი არ მოუტანია არათუ მოსახლეობის სოციალური დაცულობის, არამედ ბიზნესის ხელშეწყობისა და მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იძლეოდეს სწორი ადრესირების საშუალებას პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების გამოსაყენებლად სოციალური სფეროს (სოციალური პროგრამების) დაფინანსებაში უმუშევარი მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებების მიხედვით. ამ მხრივ თავისი კონკრეტული ადგილი უჭირავს როგორც დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებს, ასევე უმუშევრობის შემწეობის, ანუ ე.წ. ფულადი დახმარების პროგრამების განვითარებას და უმუშევართა მომზადება-გადამზადების მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებსაც. პირველ მათგანზე ქართული სახელმწიფო ამჟამად რეაგირებს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით, რაც, რა თქმა უნდა, დასაქმების ზრდის უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი ფაქტორია, თუმცა, სახელმწიფოს როლი მხოლოდ ამით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. უმუშევრობისაგან მოსახლეობის დაცვის გარანტიების შექმნის საქმეში სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობა იმაშიც გამოიხატება, რომ ხელი შეუწყოს მოსახლეობის სწორედ იმ ნაწილს, რომელიც ამა თუ იმ გარემოების გამო (ფიზიკური ნაკლი, არასაკმარისი კვალიფიკაცია, ქრონიკული უმუშევრობა და ა.შ.) ვერ პოულობს ადგილს შრომის ბაზარზე. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ დღეისათვის საქართველოში ჩამოყალიბებული ინსტიტუციური გარემო ვერ იძლევა უმუშევართა მიერ სოციალური დაცვისა და დასაქმების ზემოაღნიშნული სოციალური გარანტიების მიღების შესაძლებლობას. რაც, თავის მხრივ, იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ ქვეყანაში გაუქმებულია კანონი “დასაქმების შესახებ” [5] და ორგანიზაციულად არ არის ჩამოყალიბებული სამსახურები, რომელთა უშუალო მოვალეობასაც მოსახლეობის დასაქმებისათვის ხელშეწყობი სისტემის შექმნა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ბიუჯეტის ხარჯებით მიმართულებების საშუალოადიან სტრატეგიულ დოკუმენტებში მკვეთრად გამოხატული, სწორად სეგმენტირებული პრიორიტეტების უქონლობასა და შესაბამისად, უმუშევრობის დაზღვევის ქმედითი პროგრამების არ არსებობას, სახელმწიფო პროგრამების უსისტემობასა და კამპანიურ ხასიათს განაპირობებს.

ქვეყანაში უნდა აღდგეს კონსტიტუციური ნორმების დაცვის ის მექანიზმები, რომლებიც უმუშევრად დარჩენილი საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვის გარანტიებს იძლევა.

მოკლევადიან პერიოდში მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოში შენარჩუნდეს ძირითადად სამუშაოდან დათხოვნისას კომპენსაციის გაცემისა და სოციალურ დახმარებასთან ინტეგრირებული უმუშევრობის დაცვის მექანიზმები, რაც, პირველ რიგში, უმუშევრობის დაზღვევის სისტემის არსებობისათვის აუცილებელი ადმინისტრაციული ფაქტორების არარსებობითა და არაფორმალური ეკონომიკის მაღალი მასშტაბებით არის განპირობებული. როგორც შესაბამისი გამოკვლევები ადასტურებს, უმუშევრობის დახმარების პროგრამების ადმინისტრირება მარტვ ამოცანას არ წარმოადგენს განვითარებული ქვეყნებისთვისაც იმის გამო, რომ დასაქმების სამსახურებს არა აქვთ ავტომატური კავშირი სხვა პროგრამებთან მონაცემთა შეჯერების უზრუნველსაყოფად. დამატებით პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ უმუშევრად რეგისტრირდებიან არა მარტო ისინი, რომლებიც ნამდვილად ეძებენ სამუშაოს, არამედ ისინიც, ვინც ეკონომიკის ფორმალურ სექტორში არიან დასაქმებული. უმუშევრად რეგისტრირება ნიშნავს იმას, რომ პიროვნება იღებს მისაწვდომლობას დახმარების მიღების მომსახურებისადმი და ეძებს სამუშაოს. შედეგად, ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევრებს შორის ხვდებიან ისეთებიც, რომლებიც არც აპირებენ შრომის ბაზარზე გამოსვლას და, ბოლოს, დასაქმების ბიუროები არსებული ვაკანსიების შესახებ უფრო აქტიურად მძალდშემოსავლიან ქვეყნებში ერევიან სამუშაოს ძებნის პროცესში, აიძულებენ რა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მოახდინონ ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის ოპერატიული მიწოდება დასაქმების სამსახურებისათვის [7]. საქართველოში მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, ასეთი ვალდებულება არ არის გათვალისწინებული, რომლის შედეგადაც ოფიციალური არსების გვერდის ავლით დამსაქმებულებსა და მომუშავეებს შორის დაქირავებასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდა ან შეთანხმებები წარმოადგენს.

უმუშევრობის დახმარება კოორდინირებულ უნდა იქნეს სოციალური დახმარების პროგრამებსა და საზოგადოებრივ სამუშაოებთან, რომლებსაც უმუშევრებმა უნდა მიმართონ უმუშევრობის დახმარების ვადების ამოწურვის შემდეგ. ან, შესაძლოა, ცალკე უმუშევრობის არასადაზღვევო დახმარების ნაცვლად არსებობდეს სიღარიბის გამო ერთიანი დახმარება, რომელიც არ არის დამყარებული სადაზღვევო შენატანებზე, ბალური

სისტემის მეშვეობით უმუშევრობასთან ან სხვა მახასიათებლების არსებობასთან დაკავშირებით უფრო მაღალი რეიტინგული ქულების დაწესებით, რომელიც უკავშირდება სიღარიბეს.

საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში კი, ჩვენი აზრით, ქვეყანაში მიზანშეწონილია აღდგეს უმუშევრობის დაზღვევის მექანიზმები, თუმცა, მოდიფიცირებული სახით. აღნიშნულ პერიოდებში მას დასაქმებულთა და დამსაქმებელთა სავალდებულო დაზღვევის ფორმა უნდა ჰქონდეს, შენატანების შედარებით დიორე განაკვეთებით, რაც მძიმე ტვირთად არ დააწვება დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ბიუჯეტს. დახმარებაზე ზედა ზღვრის დაწესების ერთ-ერთ მიდგომას წარმოადგენს ანარიცხების დაბალი განაკვეთები 1 ან 2%-ის დონეზე, რაც შეესაბამება გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ქვეყნების განაკვეთების დიაპაზონს. გადასახადის ამოღება არა მხოლოდ დამსაქმებელიდან, არამედ დასაქმებულთაგანაც დააკავშირებს ანარიცხებს და გასაცემლებს. ამით პროგრამის შედეგებს უფრო თვალსაჩინოს გახდის მომუშავეთათვის. დახმარების გაცემის ხანგრძლივობა უნდა შემოიფარგლოს 6-9 თვით, რათა შემცირდეს შრომისაღმი უარყოფითი სტიმულები.

გრძელვადიან პერიოდებში კი სავალდებულო დაზღვევის პარალელურად უპირატესობა უნდა მიენიჭოს უმუშევრობის ნებაყოფლობითი დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ქვეყანაში უნდა დაინერგოს სადაზღვევო ბაზრის განვითარებისა და მასზე სახელმწიფო ზედამხედველობის ინსტიტუტების ჩამოყალიბების კვალდაკვალ. ამასთან, სავალდებულო დაზღვევის პირობებში გასაცემლის ოდენობა, ჩვენი აზრით, უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან: პირველი – გასაცემლის ერთიანი მინიმალური განაკვეთი და მასზე დანამატი შენატანების სტაჟის მიხედვით. ამასთან, ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობთ, თავიდან ორიენტირები უნდა იქნეს აღებული უმუშევრობის დახმარების შედარებით მოკლე პერიოდზე, რომელიც შესაძლებელია შემოიფარგლოს 6-9 თვით. ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს დათხოვნისას გაცემული ერთდროული კომპენსაციის გაცემის ვადებზე და გასაცემლის ოდენობაზე, რომელიც უნდა დაუკავშირდეს დასაქმებულის შრომით სტაჟს. მოკლევადიან პერიოდში შეიძლება მოხდეს კომპენსაციის გაცემის ვადის ზრდა 1-2 თვიდან 3-4 თვემდე. ეს მით უფრო მეტად არის გასათვალისწინებელი, რომ შრომის ბაზრის ნაკლებად მობილურობის პირობებში სამუშაო ადგილის შოვნა გართულებულია. ჩვენი აზრით, ქვეყანაში უნდა კეთდებოდეს გამოკვლევები უმუშევრობის სტატუსის, უმუშევრობის ხანგრძლივობის, დასაქმებისა და უმუშევართა კვალიფიკაციური სტრუქტურის და სხვა კრიტერიუმების მიხედვით, რაც ოპერატიულად უნდა ქვეყნდებოდეს შესაბამისი სამსახურების (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ასევე დასაქმების სამსახურების რეგულარული კვლევები და ინფორმაცია) მიერ, რაც დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების განუყოფელ ნაწილს უნდა შეადგენდეს.

უმუშევრობის დახმარების სისტემა დაკავშირებულ უნდა იყოს თანადაფინანსებასა და დახმარებისაღმი მისაწვდომობის შეზღუდვასთან. ისევე, როგორც ევროპის ქვეყნების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს დახმარების მიღებისათვის მოსაცდელი პერიოდი, აგრეთვე შეზღუდვა იმ მუშაკებისათვის, რომლებიც სამუშაოს ტოვებენ თავიანთი სურვილის მიხედვით. თუმცა ეს მიდგომა ფრთხილ გამოყენებას მოითხოვს საქართველოს შემთხვევაში სადაც, უმეტეს შემთხვევაში, დათხოვნის მიზნების შესანიშნავად მომუშავეებს იძულებით აწერინებენ განცხადებას სამუშაოდან დათხოვნის შესახებ და დათხოვნის პროცესი თანამშრომელთა მასიური დათხოვნის შემთხვევებიც კი არ არის შეთანხმებული პროფკავშირებთან. დახმარების დანიშნისას შეზღუდვა უნდა ვრცელდებოდეს იმ მუშაკთა მიმართაც, რომლებიც სამუშაოდან არიან წასული დისციპლინის დარღვევის ან საწარმოო კონფლიქტის გამო. ასევე გასათვალისწინებელია სანქციები დახმარებისაღმი არასწორი დამოკიდებულების, ორი ან მეტი შესაფერისი სამუშაოს შეთავაზების შემთხვევაში უარის თქმისას დახმარების შეწყვეტის სახით. ასეთმა მიდგომებმა შესაძლებელია შეამციროს დახმარების მიღების დაუსაბუთებელი შემთხვევები [10].

საქართველო ძირითადად, გრძელვადიანი, ქრონიკული უმუშევრობის ქვეყანას წარმოადგენს, რომელშიც უმუშევრების დიდი ნაწილი სწორედ ახალგაზრდებზე მოდის. მათ უდიდეს ნაწილს არ უმუშავია სასწავლებლის (ზოგადსაგანმანათლებლო თუ უმაღლესი სასწავლებლის) დამთავრებისა და ფორმალური განათლების მიღების შემდეგ. ეს გარემოება უმუშევართა მომზადება-გადამზადების დონისძიებათა ქმედითობის ამაღლების საჭიროებას განაპირობებს. ამავდროულად, ქვეყანაში ამ ფუნქციას სტიქიურად თავის თავზე იღებენ დამსაქმებლები, რომლებიც სტაჟირების ფორმით მოკლევადიან გადამზადებას სთავაზობენ ძირითადად ახალგაზრდებს, რაც შესაბამისი უწყებებისა და მათში არსებული სტაჟირების ინსტიტუტების (ძირითადად სასწავლო ცენტრების) შესახებ დებულებებით არის დარეგულირებული, თუმცა ქვეყანაში მთლიანად ზედამხედველობის გარეშე მიტოვებული მათში კადრების მომზადებისა და სწავლების ხარისხის კონტროლის მექანიზმები. ნორმალურ ვითარებაში ასეთი ფუნქცია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში დასაქმების სამსახურებს აკისრიათ, რომლებიც რეალურ პირობებში ოპერატიულ იმპულსებს უნდა იძლეოდნენ ქვეყნის შრომის ბაზარზე ჩამოყალიბებული სიტუაციის შესახებ და სხვა ზემოთ ჩამოთვლილ უწყებებთან ერთად თვითონ უნდა სთავაზობდნენ მექანიზმებს და მიდგომებს კადრების მომზადება - გადამზადების სისტემის ჩამოყალიბებისათვის, მოკლევადიანი გადამზადების პროგრამების ორგანიზებისა და სამუშაო ადგილების მოძიებისათვის. ასეთი სისტემის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობაში, რომელიც დასაქმების საკითხებს არეგულირებს, ჩაიდოს დამსაქმებლის ვალდებულებები ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობის შესახებ [10].

აუცილებელია დასაქმების კერძო სამსახურებისა და სხვა სახის საბაზრო ინსტიტუტების ხელშეწყობა, რომლებიც, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შრომის ბაზრის რეგულირებაში. კერძო სააგენტოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით საჭიროა სამუშაოს მოძიებისათვის ფართო შესაძლებლობებისა და საკონსულტაციო სამსახურების განვითარებული ქსელის ჩამოყალიბება. ამასთან, უნდა შეიქმნას ზედამხედველობის სახელმწიფო მექანიზმები, რათა ეფექტური კონტროლი განხორციელდეს მათ საქმიანობაზე. უნდა გამოიკვეთოს დროებითი საზოგადოებრივი დასაქმების პროგრამები. დასაქმების პროგრამები უნდა გახდეს ორიენტირებული

გრძელვადიანი, ქრონიკული უმუშევრობის დაძლევაზე. შესაბამისად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული უმუშევართა მომზადება - გადაამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია 1985 წლის 24 აგვისტო 786-რს, (მუხლი 30; მუხლი 31; მუხლი 32).
2. “საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლი 2 აგვისტოს N199 დადგენილება.
3. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში “საქართველოს შრომის კოდექსი” ცვლილებების შეტანის შესახებ. ქუთაისი, 12 ივნისი, 2013 წ. 729-III (მუხლი 37; მუხლი 38).
4. საქართველოს კანონი “საჯარო სამსახურის შესახებ”. თბილისი, 1022-IV. 1997 წლის 31 ოქტომბერი.
5. საქართველოს კანონი “დასაქმების შესახებ”. N1084-IV, 2001 წლის 28 სექტემბერი.
6. Juan Botero, Simeon Djankov, Rafael La Porta, Florencio Lopez-de-Silanes, and Andrei Shleifer in *The Regulation of Labor* (PDF, 270 KB), *Quarterly Journal of Economics*, 119, 1339-1382, Nov. 2004.
7. “Обратить Реформы на Благо Всех и Каждого. Бедность и Неравенство В странах Европы и Центральной Азии”. Всемирный Банк. Вашингтон, О.К. 2001 г.
8. საქართველოს კანონი “უმუშევრობის შემწეობის დანიშვნის შესახებ” თბილისი, 2010 წლის თებერვალი.
9. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N 66/6 ბრძანება “უმუშევრობის შემწეობის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ” ქ. თბილისი, 2005 წლის 4 მარტი.
10. ე. ჩიქოვანი, დ. ბასიაშვილი, ე. კაკულია, ზ. მურადაშვილი. სოციალური რეფორმები გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის საქართველოში. თბილისი, “ბარტონი”, 2009.

Elene Chikovani

ABOUT PROBLEMS OF SOCIAL PROTECTION OF UNEMPLOYED PERSONS IN GEORGIA

Annotation

Article focuses on problems of social protection system of unemployed persons in Georgia. Analyze main directions of the reform conducted in the field of employment and unemployment since gaining of independence. Evaluates direct and indirect, active and passive, policy measures performed by the government towards the realization of employment policy. The necessity of improvement of the policy instruments in the aim of further perfection of the social protection system of unemployed persons is substantiated. The ways of improvement of unemployment compensation system in short and long run in the country are given.

მერაბ ხმალაძე

საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები

საქართველომ თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ბევრი ჭირ-ვარამი და შესაბამისად დემოგრაფიული კრიზისი გადაიტანა. მაგრამ, მისი მოსახლეობის მცირერიცხოვნობის პირობებშიც კი არ დაუკარგავს თვითგამრავლების უნარი. ქართველების თვითგადარჩენის ინსტინქტმა, ბუნებრივ პირობებთან, სწრაფად აღდგენად მუერნობასა და ქართველი კაცის შრომისმოყვარეობასთან ერთად, უზრუნველყო ერის ფიზიკური არსებობა.

თუმცა მსოფლიოში XX საუკუნის დასასრული და XXI ს-ის დასაწყისი არაორდინარული დემოგრაფიული განვითარებით ხასიათდება. ქვეყნების ერთ ნაწილში ადგილი აქვს მოსახლეობის უზომოდ გაფართოებულ აღწარმოებას, მეორეგან – მარტივს, მესამეგან – შეკვეცილს და აღწარმოების სამივე ტიპის თანაარსებობის პირობებში ვარაუდობენ, რომ მომავალში დედამიწის მოსახლეობა შეწყვეტს ზრდას. ამასთან, არაა გამორიცხული, რომ დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობის უცვლელობის პირობებში ქვეყნების ერთ ნაწილში შესაძლებელია მოსახლეობის ზრდა, ხოლო მეორეში – შემცირება. პირველს მიეკუთვნება აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის, ხოლო მეორეს – ევროპისა და ამერიკის ქვეყნები.

როგორც ჩანს, აღნიშნულმა ტენდენციამ ფაქტობრივად შეუქცევადი ხასიათი მიიღო, რამდენადაც ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის კლება კომპენსირდება აზიიდან და აფრიკიდან, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მოსახლეობის მიგრაციით.

გაეროს პროგნოზების თანახმად, არცთუ შორეულ მომავალში დედამიწის ეთნო-დემოგრაფიული სურათი რადიკალურად შეიცვლება და არაა გამორიცხული მან ორი დემოგრაფიული სამყაროს შეჯახების სახე მიიღოს, რასაც არასასურველი შედეგები მოჰყვება მთლიანად დედამიწის ცივილიზაციისათვის.

ამას საზს იმიტომ ვუხვამთ, რომ, პირველ რიგში, დადგება მცირერიცხოვანი ერების ფიზიკური არსებობის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ხომ არ ჩაინთქმებიან ისინი მსოფლიოს მრავალრიცხოვან ერთიან დემოგრაფიულ ოკეანეში. მათთან ერთად ხომ არ გაქრება მათი ენა, დამწერლობა და კულტურა, რაც მთლიანობაში დედამიწის ცივილიზაციის გაღარბებას გამოიწვევს.

აღნიშნული საშიშროება საქართველოსთვის რეალობას უახლოვდება. საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილი ტიპი, რაც გამოიწვია საქართველოში 1990 წლებიდან გამეფებულმა საზოგადოების ღრმა საყოველთაო კრიზისმა. 1990-იანი წლებიდან სულ რამდენიმე წელიწადში დემოგრაფიულმა ვითარებამ საქართველოში განიცადა უდიდესი ძალის დამანგრეველი დარტყმა, რომელიც ფაქტობრივად კატასტროფის ტოლფასია, ხოლო მისი კომპენსაცია ძალიან გაჭირდება. მაგალითად, თუ 1990-იან წლებამდე საქართველოში დემოგრაფიული პოლიტიკის სტრატეგიულ ამოცანად მიჩნეული იყო მოსახლეობის

რიცხოვნობის სტაბილიზაციის მომენტის გადაწვევა რაც შეიძლება მეტი რიცხოვნობით, დღეს იგი ფაქტობრივად ოცნებად იქცა. ქვეყნის სადღესო და სამომავლო საზრუნავი უნდა იყოს, შევინარჩუნოთ არსებული მოსახლეობა, არ მოხდეს მისი დეპოპულაცია, მით უმეტეს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებიდან გამომდინარე გაეროს პროგნოზის თანახმად, საქართველოს მოსახლეობა 2050 წლისთვის სავარაუდოდ შემცირდება 3,3 მილიონამდე.

საქართველოს დემოგრაფიული პრობლემებიდან ძირითადია შობადობა, რამდენადაც ის გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსახლეობის აღწარმოებაში. შესაბამისად, აუცილებლად ვთვლით განვიხილოთ შობადობის დონის **ისტორიული ევოლუცია და მისი თანამდგომელი მდგომარეობა.**

შობადობის დონე საქართველოში ისტორიულად დაბალი იყო მეზობელ ქვეყნებთან და ევროპის მრავალ ქვეყანასთან შედარებით. XIX საუკუნის მეორე ნახევარში შობადობის დონით რუსეთი და კავკასიის მეზობელი ქვეყნები საქართველოს 1,3-1,5-ჯერ აღემატებოდნენ. მაგრამ, მოკვდაობის შედარებით დაბალი დონე საქართველოში უზრუნველყოფდა ამ ქვეყნებთან შედარებით მაღალ ბუნებრივ მატებას.

საქართველოში შობადობის დაბალ დონეს მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ძირითადად განსაზღვრავდა ორი გარემოება: საქართველოს მცირემიწიანობა და აგრარულ ურთიერთობათა ხასიათი. 1924-1925 წლების მონაცემებით საქართველოში ერთ მეურნეობაზე მოდიოდა 2,6 დესეტინა მიწა, სომხეთში – 3,2 დესეტინა, ხოლო აზერბაიჯანში – 5,6 დესეტინა. ამასთან ერთად, რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში გავრცელებული იყო სათემო მიწათსარგებლობა, რაც გულისხმობდა მიწის პერიოდულად გადანაწილებას ოჯახის წევრების რიცხვის პირდაპირპროპორციულად, რომელიც ოჯახის სიდიდის და შესაბამისად შობადობის ზრდის მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენდა. საქართველოში კი გავრცელებული იყო მიწათსარგებლობის კერძო მესაკუთრული (საეზოვე) სისტემა, რომელიც მიწის პერიოდულ გადანაწილებას გამორიცხავდა და ოჯახში შვილების რიცხვის შეზღუდვას იწვევდა. მიწათსარგებლობის აღნიშნული სისტემის გავრცელება საქართველოში ქართველი ისტორიკოსების აზრით, იწყება IV საუკუნიდან, რაც მრავალწლიანი ნარგავების მქონე ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი. მეურნეობის ასეთი ტიპი მიწის პერიოდულად გადანაწილებას, რა თქმა უნდა ვერ აიტანდა.

შობადობის შემცირება საქართველოში დაიწყო 1865 წლიდან. კერძოდ, 1865-1913 წლებში შობადობის კოეფიციენტი 401-დან 281-მდე შემცირდა. შობადობის დონის შემდგომი მნიშვნელოვანი შემცირება საქართველოში იწყება 1960 წლის შემდეგ. მაგალითად, 1960-1990 წლებში შობადობის დონე 241-დან 171-მდე დაეცა. ამის შემდეგ შობადობა კატასტროფულად მცირდება: 1991 წ. – 16,61-მდე, 1992 წ. – 14,9 1-მდე, 1993 წ. – 12,61-მდე, ხოლო 2012 წელს – 11,7 1-მდე.

როდესაც ვლაპარაკობთ საქართველოში შობადობის დონეზე წარსულში და დღეს, ინტერესს მოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებდნენ დღევანდელთან შედარებით შობადობის მაღალ დონეს წარსულში.

უპირველეს ყოვლისა, შობადობის მაღალი დონე წარმოადგენდა რეაქციას მოკვდაობის და კერძოდ ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის მაღალ დონეზე. შობადობის მაღალი დონის მიუხედავად, მოუსავლიანობა, ომები, შიმშილი, ეპიდემიები, იწვევდა ისეთ მაღალ მოკვდაობას, რომ შობადობის შედეგი მინიმუმამდე დაჰყავდა. განსაკუთრებით მრავალი ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა ეპიდემიებს. მთელი მოსახლეობის და განსაკუთრებით ერთ წლამდე ჩვილთა მოკვდაობა მაღალი რჩება მთელი XIX საუკუნის მანძილზე. მაგალითად, XIX საუკუნის მიწურულს ჩვილთა მოკვდაობა ნორვეგიაში შეადგენდა 1161, ბავარიაში – 3721, ხოლო თბილისის გუბერნიაში – 2211.

საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში მშობლების საშუალო ასაკი შვილის დაბადებისას აღწევდა 30 წელს (ახლა 25). იმისათვის, რომ მშობლების თაობა შეიცვალოს შვილების თაობით რაოდენობრივად, საჭიროა დაბადებულებმა მიაღწიონ მშობლების იმ ასაკს, რა ასაკშიც იყვნენ მშობლები მათი დაბადებისას, ე.ი. იმ პერიოდისათვის უნდა მიეღწიათ 30 წლისთვის. მაგრამ აღმოჩნდა, რომ 1875-1879 წლებში საქართველოში 30 წლის ასაკს ვერ აღწევდა დაბადებულთა 57%. აღნიშნული მაჩვენებელი რუსეთის ევროპულ ნაწილში აღწევდა 53%, საფრანგეთში, შვეიცარიაში, შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში, ირლანდიაში, ისლანდიაში – 40-45%, ხოლო ევროპის დანარჩენ ქვეყნებში ის 50-60% და ზოგად 65%-ს აღემატებოდა.

აქედან ჩანს, თუ მშობლებს უნდოდათ გაეზარდათ შვილების გარკვეული რაოდენობა, საჭირო იყო მასზე სულ ცოტა ორჯერ მეტი გაეჩინათ. დემოგრაფიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წარსულში ოჯახები იყვნენ არა იმდენად მრავალშვილიანები, რამდენსაც მეტს აჩვენებდნენ. არსებული სტატისტიკური მონაცემებით, ოჯახის საშუალო სიდიდე წარსულში დიდად არ განსხვავდებოდა თანამედროვე ოჯახისაგან, თუმცა საზოგადოებაში გაბატონებულია აზრი, რომ წარსულში მოსახლეობა ცხოვრობდა ოქროს დემოგრაფიულ საუკუნეში, ოჯახები იყვნენ მრავალშვილიანები და მხოლოდ ჩვენს დროში ადამიანები „გაფუჭდნენ“, რამაც მიგვიყვანა მცირე შვილიანობამდე. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ საქართველოში 1886 წლის მოსახლეობის აღწერით კომლის საშუალო სიდიდე 6,2 კაცს შეადგენდა. ახლა ოჯახის საშუალო სიდიდე საქართველოში 4 კაცს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ, რომ, როგორც წესი, კომლი ერთზე მეტი ოჯახისაგად შედგებოდა, ამ ორ მაჩვენებელს შორის არსებითი განსხვავება აღარ დარჩება.

შობადობის მაღალი დონე და შვილების დიდი რიცხვი იყო აგრეთვე მშობლების სიბერის უზრუნველსაყოფად. მაღალ შობადობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ოჯახის ეკონომიკური ფუნქცია. წარსულის ოჯახები წარმოადგენდნენ როგორც მომხმარებელ, ისე მწარმოებელ ოჯახებს. ამ პირობებში ბავშვების შრომა ფართოდ გამოიყენებოდა და ისინი მნიშვნელოვან სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ.

რამდენადაც შობადობის მაღალი დონე წარმოადგენდა რეაქციას მოკვდაობის მაღალ დონეზე, ამ უკანასკნელის შემცირებას მოჰყვა შობადობის დაცემა. მოკვდაობის დონის შემცირება კი შესაძლებელი გახდა ეკონომიკის განვითარებამ, რამაც საშუალება მისცა სახელმწიფოს, ჯანდაცვისათვის გამოეყო გარკვეული სახსრები. მთავარი ამ საქმეში იყო მასობრივი ეპიდემიების მოსპობა. უკვე 1890 წლიდან ევროპაში ყვავილის შემთხვევას აღვილი აღარ ჰქონია.

საწარმოო ძალების განვითარებამ სოფლის მეურნეობაში და მოსავლიანობის ზრდამ მოხსნა მასობრივი შიმშილობის საფრთხე. ამ საკითხში განსაკუთრებული როლი ითამაშა ევროპაში ამერიკიდან შემოტანილი მაღალმოსავლიანი კულტურების გავრცელებამ. ამერიკიდან შემოვიდა დაახლოებით 40-მდე სახეობის სასარგებლო მცენარეულობა, რამაც კვების საკითხში გამოიწვია ნამდვილი რევოლუცია. ივანე ჯავახიშვილს თავის მონოგრაფიაში – „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, გამოკვლეული აქვს საქართველოში აღნიშნული კულტურების გავრცელების საკითხი.

საზოგადოებრივმა პროგრესმა, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განვითარებამ, შვილების, როგორც მშობლების სიბერის უზრუნველყოფის გარანტის როლი მინიმუმამდე შეამცირა, თუ საერთოდ ზედმეტი არ გახადა.

შეიცვალა ოჯახის ფუნქცია. მისმა მწარმოებლურმა ფუნქციამ გარკვეულად დაკარგა მნიშვნელობა და გაიზარდა მომხმარებლის ფუნქცია. წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის ზრდამ შეზღუდა ბავშვთა არაკვალიციფიური შრომის გამოყენების სფერო და ბავშვი ოჯახში მწარმოებლიდან მომხმარებლად იქცა. ამის შედეგად ოჯახში მრავალშვილიანობის შეზღუდვამ ეკონომიკური გამართლებაც პოვა.

დემოგრაფიული განვითარების შედეგად მრავალშვილიანობიდან საშუალოშვილიანობაზე გადასვლა კანონზომიერი მოვლენაა, მაგრამ საქართველოში მოხდა გადასვლა მცირეშვილიან (1-2 შვილით) ოჯახზე, რაც უზრუნველყოფს მხოლოდ მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებას. შესაბამისად, დაბადებული შვილების თაობა ნაკლებია მშობლების თაობაზე.

საქმე ისაა, რომ მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას უზრუნველყოფს სამშვილიანი ოჯახი. დღეს საქართველოში პრობლემაა მეორე შვილი. „ბავშვების ყოლის მოთხოვნილებას“ სრულიად აკმაყოფილებს ოჯახში საშუალოდ ორი და ხშირად ერთი შვილიც კი. სწორედ აქ წამოიჭრება წინააღმდეგობა ოჯახსა და საზოგადოებას შორის, რამდენადაც საშუალოდ ერთ და ორ შვილიანი ოჯახი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას.

შესაბამისად, საქართველოში დღის წესრიგში დგას ერთიანი კომპლექსური, სტრატეგიული სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და ცხოვრებაში გატარება შობადობის სტიმულირების მიზნით, რაც აუცილებელია ქვეყნის რეგიონული, პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

Merab Khmaladze

DEMOGRAPHIC PROBLEMS OF GEORGIA

Annotation

Demographic crisis in Georgia began in 1990 as a result of common crisis. From this period to the present day, reproduction level is not capable to ensure expanded playback. There is expected a sharp decline in population, which possibly will lead to a Georgia's weakening in demographic, political and economic capacity.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სტატისტიკური მახასიათებლები

განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო ღრმავდება მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესი. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას ევროპის ფასეულობების გაზიარება და ევროკავშირთან გაერთიანება წარმოადგენს. მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებისა და ევროპასთან აქტიური ეკონომიკური ინტეგრაციის ფონზე განსაკუთრებით გაიზარდა სტატისტიკის როლი და მნიშვნელობა ეკონომიკურ პროცესებში გამოვლენილი ტენდენციების რეალური ასახვის, ანალიზისა და პროგნოზირების საკითხებში. ამიტომ მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების პარალელურად აუცილებელი გახდა ინტეგრაციული პროცესების ამსახველი სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის საკითხი, რაც გულისხმობს ამ მიმართულებით სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქმიანობის სრულყოფას და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურ კარმონიზაციას.

ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციის ახალ ეტაპს სათავე დაუდო საქართველოს ჩართვამ ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP). 2004 წლის 1 მაისს მომხდარმა ევროკავშირის გაფართოებამ კიდევ უფრო გააღრმავა პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ევროკავშირსა და საქართველოს შორის.

2006 წელს ნოემბერში დამტკიცებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით (ENP AP) თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად სავაჭრო ურთიერთობების განვითარება დაისახა. სამოქმედო გეგმაში გაიწერა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა აღნიშნულ სფეროში ქვეყნის მარეგულირებელი ჩარჩოს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას. თუმცა ევროკავშირის კანონმდებლობასთან კარმონიზაცია და შესაბამისი პრაქტიკის საქართველოში დამკვიდრების პროცესი რთული აღმოჩნდა, რის გამოც ეს პროცესი გაჭიანურდა.

უშუალოდ ვაჭრობასთან მიმართებაში ამ გეგმის შესაბამისი ამოცანები სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველს განეკუთვნება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების განმტკიცება, მათ შორის სარგებლის გაზრდა "პრეფერენციების ზოგადი სისტემიდან" (Generalised System of Preferences) და ამ გზით საქართველოს საექსპორტო საქმიანობის გაუმჯობესება; მეორე გულისხმობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესებთან შესაბამისობის მონიტორინგის განხორციელებას და შესაძლებლობების განვითარებას საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში; მესამე მოიცავს სავაჭრო და ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა შეთანხმებების დადებას, კერძოდ გეოგრაფიული წარმოშობის მანიფესტაციის შესახებ (დვინისა და სპირტიანი სასმელების სექტორის ჩათვლით) ორმხრივი შეთანხმების გაფორმებას და მოლაპარაკებათა გაგრძელებას მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების თაობაზე; მეოთხე ეხება ვაჭრობასთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ ცვლილებებს, მათ შორის ვაჭრობის სფეროს მუშაკებისათვის იმპორტის და ექსპორტის წესებისა და პროცედურების შესახებ რეგულარული კონსულტირების/ინფორმირების მექანიზმის შექმნას.

უკვე 2012 წელს ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ შეთანხმება. ცხადია, ევროკავშირის მიერ სულ უფრო მეტი ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის აღიარება ქართული აგრარული ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამავე დროს, დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ. 2013 წლის 22 ივლისს დასრულდა მოლაპარაკებები საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტზე. ხოლო 2013 წლის 29 ნოემბერს „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ვილინიუსის სამიტზე ასოცირებისა და მისი კომპონენტის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ყველა თავისი პოლიტიკის ინსტრუმენტით, რჩება იმ ჩარჩოდ, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირი მუშაობს პარტნიორობთან დემოკრატიის განმტკიცების, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების დამკვიდრების მიმართულებით.

2013 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში პარტნიორობის დახმარებამ მიაღწია ყველაზე მაღალ დონეს მთელი შეიდი წლის განმავლობაში და შეადგინა 2.65 მილიარდი ევრო. ორწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, დეკემბერში შედგა შეთანხმება 2014–2020წწ. ფინანსური ჩარჩოებისა და შესაბამისი ინსტრუმენტების, მათ შორის ახალი ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის (ENI) თაობაზე. ფინანსური კრიზისის მიუხედავად, სამეზობლოსათვის გათვალისწინებული დაფინანსების მოცულობა 15.4 მილიარდ ევროს შეადგენს, რაც კვლავ ადასტურებს სამეზობლოს მნიშვნელობასა და პრიორიტეტულობას ევროკავშირისათვის.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DC FTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV თავი – ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DC FTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DC FTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ., სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან [12].

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას, ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას – ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს საეიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი.

DC FTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეცხნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საქსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, DC FTA-ის ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საქსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ჯამში, პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე.

მნიშვნელოვნად გამარტივდება საქართველოდან მომსახურების ექსპორტი ევროკავშირში. ქართულ მომსახურების სფეროს, კომპანიებს მიეცემათ საშუალება:

- დააფუძნონ ფილიალები ევროკავშირის ქვეყნებში და მათი საშუალებით მიაწოდონ მომსახურება ევროპულ მომხმარებელს;

- თავიანთ ევროპულ ფილიალებში დაასაქმონ ქართველი მენეჯერები, სპეციალისტები და პრაქტიკა გაატარონ თავიანთ თანამშრომლებს;

- გაუშვან თავიანთი გაყიდვების წარმომადგენლები ევროკავშირში, მათი პროდუქციის გაყიდვის მიზნით მოლაპარაკებების საწარმოებლად;

- მიაწოდონ მომსახურება ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან, ევროკავშირში ფილიალების გახსნის გარეშე [12].

ქართველ სპეციალისტებს, ინდივიდუალურად თუ კომპანიებს შორის გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე, მიეცემათ საშუალება, გასწიონ მომსახურება ევროკავშირში. შეთანხმება ასევე მოიცავს პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმებს. ამის შემდეგ მნიშვნელოვნად გაადვილდება ქართველი სპეციალისტების მიერ მომსახურების გაწევა ევროკავშირის ქვეყნებში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქართული საქონელი და მომსახურება ეტაპობრივად მიიღებს დაშვებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვებში.

რეკომენდაციების მიხედვით, მოლაპარაკებების დაწყებისათვის ევროკომისიის მიერ პრიორიტეტულად დასახელდა შემდეგი 4 სფერო: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები (სურსათის უვნებლობა), ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და კონკურენცია.

აღნიშნულ სფეროებში (ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გარდა), ევროკომისიის მოთხოვნის თანახმად, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ყოვლისმომცველი სტრატეგიები:

- სურსათის უვნებლობის სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა;

- სტრატეგია სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში და შესაბამისი პროგრამა;

- კონკურენციის პოლიტიკის სტრატეგია [12].

მოლაპარაკებების დაწყებამდე საქართველოს მთავრობამ ასევე მიიღო სამრეწველო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგია.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია სავაჭრო სავაჭრო ოპერაციების სტატისტიკური, აგრეთვე ყოვლისმომცველი ანალიზი და ამის საფუძველზე საპროგნოზო მანეჯერების გამოთვლა.

დღეს სავაჭრო სავაჭრო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზა, რომელსაც სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველთვიურად იღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან. ამასთან, ინფორმაცია მსუბუქი ავტომობილებით ვაჭრობის შესახებ დამატებით მიიღება შს-ის მომსახურების სააგენტოდან, ხოლო ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტის შესახებ – შესაბამისი წყაროებიდან. საქსტატი შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს: სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზის კონტროლს ძირითადი ინფორმაციული ველების მიხედვით; ძირითადი საქონლის მიხედვით ზღვრული ფასის კონტროლს და შესაბამისად, რაოდენობის, ღირებულების ან დამატებითი ზომის ერთეულის კორექტირებას; იმ საქონლის ამოღებას შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან, რომელიც არ განეკუთვნება საქონლით სავაჭრო ვაჭრობას (მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდები, ბანკნოტები და მონეტები; დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი; დიპლომატიური და სხვა სახის ტვირთები, რომლებიც საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიხედვით არ შედის საქონლით სავაჭრო ვაჭრობაში). საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვისათვის გამოიყენება “სავაჭრო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (ses sn)” HS 2012, რომელიც აგებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის ბაზაზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2007–2013 წლებში საქართველოში სავაჭრო ვაჭრობის ბრუნვა მთლიანად 67,3%-ით გაიზარდა, ექსპორტი 2013 წელს 2007 წელთან შედარებით 136,1%-ით, ხოლო იმპორტის 51,1%-ით

გაიზარდა, საქართველოს მთავარი პრობლემა კვლავ უარყოფითი სავაჭრო ბალანსია. ამავე პერიოდისათვის ექსპორტისა და იმპორტისათვის საშუალო წლიური ზრდის ტემპებმა შესაბამისად 108% და 114% შეადგინა¹⁶².

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის საღლო 2013 წლის მონაცემებით—4965 მლრდ აშშ დოლარია, რაც 2007 წელთან შედარებით 24,7%-ითაა გაზრდილი. ეს კი ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

თუ გადავხედავთ 1995–2013 წლების ექსპორტისა და იმპორტის დინამიკას, თვალში საცემია იმპორტის ზრდის ტემპების მკვეთრი ზრდის ტენდენცია. ადვილი მისახვედრია, რომ ადგილობრივ ბაზარზეც კი ქართული პროდუქციის ადგილს უცხოური იაფფასიანი, ხშირ შემთხვევაში, უხარისხო პროდუქცია იკავებს. შედეგად, ვღებულობთ იმას, რომ საქართველოში სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული პროდუქციით. მიუხედავად იმისა, რომ იმპორტის პარალელურად შეინიშნება ექსპორტის ზრდის ტენდენცია, ჯერ კიდევ დაბალია ექსპორტის ზრდის ტემპები. ბოლო მონაცემებით იმპორტი 3-ჯერ აღემატება ექსპორტს.

მართალია 2007–2013 წლებში საქართველოს სავაჭრო ბრუნვა საშუალოდ თითქმის 10%-ით გაიზარდა, მაგრამ უფრო მაღალი ტემპით გაიზარდა სავაჭრო დეფიციტი და შესაბამისად არ მოხდა ექსპორტის იმპორტით გადაფარვის კოეფიციენტის ზრდა. მართალია გაიზარდა ვაჭრობის გეოგრაფია და სავაჭრო პერტნიორი ქვეყნების რაოდენობა, მაგრამ არა იმ ქვეყნების, რომელთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს. მთლიანობაში გაიზარდა წინა პერიოდთან შედარებით საექსპორტო მაჩვენებელი, მაგრამ არ შეცვლილა საექსპორტო სასაქონლო სტრუქტურა.

მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი -5465 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენდა ბოლო წლებში, 2012 წლისათვის მაინც მაღალია როგორც ექსპორტისა და იმპორტის წლიური მაჩვენებელი, ასევე მთლიანად სავაჭრო ბრუნვა, რომელმაც 10220 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. ამავე პერიოდში (2006 წლის შემდგომ) სისტემატიურად იზრდებოდა ექსპორტის წილი, რომელმაც 2012 წელს 23,3% შეადგინა (თუმცა წინა წელთან შედარებით ის მართალია უმნიშვნელოდ, მაგრამ 0,3%-ითაა შემცირებული) და მისი საშუალოდ წლიური მატების ტემპი 14%-ს გაუტოლდა.

2012 წელს ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით საქართველოს სავაჭრო ვაჭრობის ყველა მაჩვენებლის მიხედვით დაფიქსირებულია მატების ტემპები (იხ. ცხრილი 2), მაგრამ სახეხუა დინამიკაში მატების ტემპების შემცირების ტენდენცია, მაგალითად, თუ 2011 წელს წინა წელთან შედარებით სავაჭრო ვაჭრობის ბრუნვაში დაფიქსირებული ზრდის ტემპი შეადგენდა 333%-ს, 2012 წელს მისი მატების ტემპი წინა წელთან შედარებით მხოლოდ 10,5% იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს თითქმის 70%-ით ჩამორჩება. 2013 წელს კი 5,5%. თითქმის ანალოგიური სურათია ექსპორტის მაჩვენებლების მიხედვითაც. ამან კი საბოლოოდ საღლოს მაჩვენებელი -10%-მდე დაიყვანა.


ცხრილი 1

საქართველოს სავაჭრო ვაჭრობის მაჩვენებლების ცვლილება (%) (ცვლილება გაანგარიშებულია წინა წელთან შედარებით)

	2008	2009	2010	2011	2012	2013
ექსპორტი	21.4	-24.2	48.0	30.5	8.6	22,9
იმპორტი	20.9	-28.6	16.8	34.3	11.1	1,4
ბრუნვა	21.0	-27.7	23.1	33.3	10.5	5,8
საღლო	20.8	-30.0	6.3	36.0	12.2	-10.0

საქართველოს სავაჭრო ვაჭრობის ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს, მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები, მადნები და კონცენტრატები, თხილი, კაკალი და სხვა ახალი ან გამსმარი ხილი, სპილენძის მადნები, სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი და სხვა. საიმპორტო პროდუქციაში ჭარბობს ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ხორბალი, სამკურნალო საშუალებები, ნავთობის აირები და სხვ. (იხ. დიაგრამა 1,2)

უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში 2013 წელს



უმსხვილესი საიმპორტო პროდუქციის წილი მთლიან იმპორტში 2013 წელს





მიმდინარე პროცესების ფონზე უთუოდ საინტერესოა საქართველოს ევროინტეგრაციისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განვითარების სტატისტიკური სურათი.

¹⁶² გაანგარიშებულია წარმოებულია საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

რეტროსპექტიული ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველო-ევროკავშირის საგარეო ვაჭრობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

1995–2010 წლებში საგარეო ვაჭრობის ბრუნვა საშუალოდ 14,8%-ით გაიზარდა. ამასთან, იმპორტი – 14,6%-ით, ხოლო ექსპორტი – 15,5%-ით. 1995–2002 წლებში საგარეო ვაჭრობის ბრუნვა საშუალოდ გაიზარდა 14,8%-ით, იმპორტის საშუალო წლიურმა მატებამ 8,9%, ხოლო ევროკავშირ-საქართველოს ექსპორტის – 15,9% შეადგინა. 2003–2008 წლებში შესაბამისმა მაჩვენებელმა 28,1%, 34,4% და 34,8% შეადგინა. მაშინ, როცა აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ექსპორტი წლიურად საშუალოდ 27,1%-ით, ხოლო იმპორტი 40,5%-ით იზარდებოდა. მარტო 2008 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, მათ შორის ექსპორტი 335,2 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო იმპორტი 1756 მლნ აშშ დოლარს ანუ იმპორტის მოცულობა ექსპორტის მოცულობას 5-ჯერ აღემატებოდა. ევროკავშირის ქვეყნების წილად მოდიოდა სავაჭრო ბრუნვის 26,5%, მათ შორის ექსპორტის 22,4% და იმპორტის 27,5%.

2012 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 2008 წელთან შედარებით 13,2%-ით გაიზარდა და 2 780 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 27,2% დაიკავა. (წინა წელთან შედარებით 0,2%-ითაა გაზრდილი). ამასთან, ექსპორტი 5,4%-ით გაიზარდა, 353 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 14,9% დაიკავა, ხოლო იმპორტი 38,5%-ით გაიზარდა, 2427 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი იმპორტის 30,9% დაიკავა. რაც შეეხება 2013 წელს კიდევ უფრო გაიზარდა ევროკავშირის წილი მთლიან ექსპორტში (ბოლო მომაცემებით ის 21%-ია) და თითქმის უცვლელი დარჩა მისი წილი იმპორტის მთლიან მოცულობაში (იხ. დიაგრამა 3,4).



ევროკავშირის ქვეყნებთან ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს მსუბუქი ავტომობილები, მანქანები და კონცენტრატები, კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი, სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი და სხვა. საიმპორტო პროდუქციაში ჭარბობს ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, ტრანსფორმატორები ელექტრული, სტატიკური გარდაქმნელები და სხვ.

ამრიგად, ევროკავშირი მთლიანობაში საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც ორმხრივი ვაჭრობა საკმაოდ დინამიურად ვითარდება.

2012 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 9 ერთეულით გაიზარდა და 147 ქვეყნით განისაზღვრა. აქედან, 32 ქვეყანასთან დაფიქსირდა დადებითი სავაჭრო ბალანსი. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2012 წელს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა თურქეთია. 2012 წელს თურქეთიდან სავაჭრო ბრუნვა წინა წელთან შედარებით 27,6%-ით გაიზარდა და 1 535 აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 15,02%-ია. თურქეთის შემდეგ საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი (სავაჭრო ბრუნვის 12,3, რაც 1,1%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე), უკრაინა (7,4% შემცირებულია 1,8%-ით), ჩინეთი (5,8%), გერმანია (5,7%), რუსეთი (5,1%), აშშ (4,3%), ბულგარეთი (3,3%), სომხეთი (3,2%), იტალია (3,1%).

2013 წლის მიხედვით უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების სიას ლიდერობს აზერბაიჯანი (24% მთლიან ექსპორტში), შემდეგ მოდიან სომხეთი (11%), რუსეთი (7%), უკრაინა (7%), თურქეთი (6%), ხოლო უმსხვილეს საიმპორტო ქვეყნების ათეულის უპირობო ლიდერი კვლავ თურქეთია (17% მთლიან ექსპორტში), შემდეგ მოდიან აზერბაიჯანი (8%), უკრაინა (8%), რუსეთი (7%), ჩინეთი (7%) და ა.შ.

2012 წელს DCFTA-ის შესახებ მოლაპარაკებების ოთხი რაუნდი (27-29 მარტს, 26-28 ივნისსა და 24-28 სექტემბერს, 26-30 ნოემბერს) გაიმართა, რომლებზეც მხარეებმა შექმნეს სამუშაო ჯგუფები და დაიწეს მოლაპარაკებები შეთანხმების მთელ რიგ მუხლებზე, მათ შორის ისეთებზე, როგორცაა საქონლით ვაჭრობა, წარმოშობის წესები, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები (TBT), სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები (SPS), საბაჟო პროცედურები და ვაჭრობის ხელშეწყობა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვა (IPR) და სხვა. საქართველოს ევროპასთან დაახლოება, მათ შორის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფორმატში დღეს ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის. ცხადია საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს, რასაც სოციოლოგიური გამოკითხვებიც ადასტურებენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელიტაშვილი ნ., ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში, დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2011.
2. მარშავა ქ., სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის საკითხისათვის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები IX ტომი, გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი, 2011.
3. ყანდაშვილი თ., საქართველოს ექსპორტი და მისი სტიმულირება, დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2002.
4. ძეგისაური ლ., „საქართველო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ჟურნალი სოციალური ეკონომიკა, გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2011.
5. ძეგისაური ლ., „სტატისტიკა საქართველოს ეკონომიკის გლობალიზაციის კვლადაკვალ“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2012.
6. ხაღური ნ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, PMSG, თბილისი, 2010.
7. Carlo A. (2007), “Regional Economic Integration and the Location of Multinational Firms, Review of World Economics, Vol. 143, 277-303. doi: 10.1007/s10290-007-0108.x
8. R. Putkaradze(2010) Trade and economic relations between Georgia and the EU: problems and prospects. , 201-258. UDC 339.9(479.22.4)F-985
9. Is the EU regional policy the source of inspiration for the countries beyond the EU? (2009), Bulletin 4-15. doi: 102776/33209
10. www. geostat.ge
11. http://www.visegrad.info/statistics.html/
12. http://www.economy.ge/ge/dcfta

Otar Abesadze

THE STATISTICAL CHARACTERISTICS OF THE EUROPEAN NEIGHBOURHOOD POLICY

Annotation

In the paper there are discussed the agreement issues about the essence and action plan of the European neighbourhood policy and about the deep and comprehensive free trade area with the European Union. There are analyzed the main statistical characteristics of foreign trade, emphasized the quantitative analysis of the trade relations with the member countries of the European Union. There are revealed the main trends of the economic integration with the EU and the further perspectives of its improvement.

Рамила Валидовна Агазаде

ПРОБЛЕМЫ РАЗВИТИЯ НЕНЕФТЯНОГО СЕКТОРА ЭКОНОМИКИ РЕСПУБЛИКИ

Национальная модель развития экономики призвана мобилизовать силы всего общества для достижения передового уровня эффективности и конкурентоспособности экономики. Отказ от «сырьевой» модели развития потребовал модернизации экономики Азербайджана и перехода к инновационному развитию. Именно инновационный тип развития экономики определяет устойчивость ее функционирования. Сущность стратегии социально-экономического развития государства, ориентированной на инновационный и устойчивый характер функционирования экономики, состоит в том, что она оказывает непосредственное влияние на решение задач экономического развития государства: на достижение скоординированного роста, улучшение качества экономического потенциала, повышение благосостояния населения страны, благодаря чему увеличивается эффективность процесса общественного воспроизводства.

На современном этапе развития республики все более актуализируются проблемы устойчивого функционирования ненефтяного сектора экономики, как важного фактора перехода на инновационный путь развития. Опыт современного мирового развития показывает, что в странах, богатых энергоносителями, развитие ненефтяного сектора приобретает особое значение.

Как известно, в ускоренном экономическом развитии Азербайджане ведущую роль играл пока еще играет нефтяной сектор, добыча и переработка нефти и газа. Вместе с тем, начиная с 2003г. на передний план выходит ускоренное развитие в республике ненефтяного сектора. Президент Азербайджанской Республики Ильхам Алиев, подчеркивая важность данного курса, отмечал: «Мы не должны связывать свое будущее только с нефтяной промышленностью. Мы должны так вести свою политику, чтобы развивались все отрасли экономики, и в первую очередь нефтяная промышленность... Сегодня наша основная цель заключается в развитии и модернизации ненефтяного сектора».¹⁶³

В настоящее время, поддерживая добычу нефти на стабильном уровне, страна обеспечивает свой экономический рост, в основном, за счет ненефтяного сектора. Этот сектор за последние 8 лет увеличился в 2 раза. Хотя в прошлом году добыча нефти в республике по определенным причинам снизилась, а ВВП вырос лишь на 2,2%, ненефтяной сектор достиг 10%-ного роста.

Стратегия, рассчитанная на направление нефтяной прибыли на диверсификацию экономики, полностью оправдала себя. Как и любая страна, пережившая переходный период, для построения сильной экономики Азербайджан также воспользовался своими природными ресурсами. За счет доходов, полученных от продажи нефтяных ресурсов, республика добилась определенных успехов в диверсификации экономики и снижения до минимума её зависимости от нефти. В

¹⁶³ Официальный сайт Президента Азербайджанской Республики [http://www.president.az].

результате данной стратегии продолжает наблюдаться последовательная тенденция роста в химической и строительной индустрии, туристической, сельскохозяйственной, транспортной, машиностроительной сферах, а также в сфере информационно-коммуникационных технологий. В качестве наглядного примера можно привести создание за последние 8 лет более 1 млн новых рабочих мест, большая часть которых приходится на долю нефтегазового сектора.

Тенденция роста нефтегазового сектора продолжилась и в 2013 г. Его рост составил 9,7% (в том числе по его промышленным отраслям – на 11,7%), а удельный вес в ВВП повысился с 47,3% до 52,7%. В данном секторе произведено ВВП на 26,2 млрд манат, что составляет 48,5% совокупного ВВП. В результате, уже второй год подряд, объемы ВВП нефтегазового и нефтегазового секторов максимально приблизились. Из общего объема инвестиций в экономику Азербайджана свыше $\frac{3}{4}$ (19400 млн манат) было направлено в нефтегазовый сектор. Объем налоговых поступлений в Государственный бюджет, приходящийся на долю нефтегазового сектора, составил 2842,8 млн. манат, что составляет 47,2% их объема по всему народному хозяйству и превышает аналогичный показатель за 2003 год в 6,4 раза. Здесь занято около 97,5% общей численности работников по найму.¹⁶⁴ В отчете Международного Валютного Фонда отмечалось, что в 2013 г. нефтегазовая экономика в Азербайджане продолжала поддерживать высокий темп роста, и на ближайший период экономические перспективы в общем являются положительными.¹⁶⁵

В условиях глобализации мирового хозяйства возникают новые явления, видоизменяющие и усложняющие содержание и форму современных процессов развития отраслей нефтегазового сектора и в том числе отраслей промышленности, которые оказывают непосредственное влияние на экономическое развитие государства.

От развития промышленности во многом зависит, сможет ли Азербайджан войти в число государств, обладающих высокими технологиями и производящих продукцию, конкурентоспособную на мировых рынках, или наша страна окончательно превратится в сырьевой придаток для экономической развитых государств мира.

В этой связи отметим, что одним из важнейших достижений проводимых в Азербайджане широкомасштабных экономических преобразований является развитие современных отраслей промышленности. Неслучайно, что за последние 10 лет в развитии промышленности, как и во всех отраслях экономики Азербайджана, достигнуты значительные успехи, производство промышленной продукции возросло в 2,7 раза. Привлекает внимание, что важнейшим фактором явилось вложение инвестиций в промышленность страны в объеме более 40 млрд. манат. На данном этапе, с учетом современных вызовов и новых инициатив, реализуется ряд мероприятий по модернизации экономики и диверсификации нефтегазовой промышленности.

В этом направлении последовательно реализуются очень важные проекты. Создание и ввод в эксплуатацию современных производств, служит усилению экономического потенциала республики. Это, в свою очередь, создает благоприятные условия для производства в республике высококачественной и конкурентоспособной на мировом и региональном рынках продукции.

В соответствии с указаниями Президента Азербайджана, сделаны решительные шаги в направлении диверсификации экономики и развития нефтегазового сектора. Инвестиции, направляемые в данный сектор, всесторонне способствуют расширению местного производства товаров высокого качества. Во всех регионах создаются индустриальные зоны для оказания стимулирующего воздействия на производство, создания дополнительных рабочих мест, привлечения инвестиций.

В соответствии с этой политикой, особое внимание уделяется развитию отраслей промышленности, составляющих основу нефтегазового сектора. Вот уже несколько лет функционирует Сумгаитский Технопарк «Азерсун». В его составе функционируют 13 заводов, еще 5 заводов строятся. Ввод в действие завода по переработке меди в этом технопарке является составной частью проводимого в этом направлении комплекса работ.

В 2013 г. в гор. Сумгаите заложен фундамент Химического Промышленного Парка. В ближайшем будущем, на площади примерно в 200 га будет создан крупный промышленный город-центр. Производство промышленной продукции на уже действующих заводах расширится.

Создание при сумгаитском Технопарке «Азерсун» фабрики по производству масел можно считать серьезным вкладом в развитие в республике конкурентоспособной пищевой промышленности, отвечающей мировым стандартам. Реализация подобных проектов играет важную роль в обеспечении продовольственной безопасности страны и является свидетельством дальнейшего развития современных отраслей промышленности в Азербайджане. Другим примером может служить создание на базе технопарка «Азерсун» комбината по производству бумаги и картона. В целом, производственный процесс на данном комбинате осуществляется на основе мировых стандартов и опыта. Производственная мощность предприятия составляет 50 тыс. тонн продукции в год. Реализация этого проекта играет существенную роль в социально-экономическом развитии города и обеспечении занятости.

Начало функционирования предприятия, наряду с обеспечением повторного использования бумажных отходов, играет существенную роль в предотвращении загрязнения окружающей среды. По расчетам экономистов, в результате функционирования только этого предприятия, будет предотвращена вырубка 850 тыс. сосновых деревьев, а также будет сокращен выброс в атмосферу значительного количества токсичных веществ. При этом, около 90% потребности предприятия в исходном сырье будет обеспечиваться за счет заготовленной макулатуры. С этой целью, предполагается создание в регионах республики 30 пунктов по приему макулатуры, способных обеспечить ежедневную переработку 60-70 тонн сырья. К тому же, это позволит открыть тысячи рабочих мест в регионах республики.

«Азерсун Холдинг» располагает также картонной фабрикой в гор. Хырдалан. При технопарке «Азерсун» будут также созданы центр логистики, предприятия по производству пластмассы.

Такие предприятия будут способствовать дальнейшему развитию этой отрасли промышленности, что, в свою очередь, обусловит скорейшую реализацию экономической стратегии государства.

¹⁶⁴ Рассчитано на основе данных Госкомстата Азербайджанской Республики [<http://www.azstat.org>] и Центрального Банка Азербайджанской Республики [<http://www.cbar.az>].

¹⁶⁵ Republic of Azerbaijan—Concluding Statement of the 2013 Article IV Consultation Mission. March 12, 2014 [<http://www.imf.org>].

Необходимо добиваться, чтобы продукция, которая будет производиться на существующих и создаваемых заводах, была конкурентоспособной и могла экспортироваться в любую страну. Тогда мы сможем выйти на мировые рынки с еще большими объемами готовой высококачественной продукции.

Распоряжением Президента Азербайджанской Республики И.Алиева 2014-й год объявлен «Годом промышленности». Ввод в эксплуатацию таких предприятий именно в этом году является показателем успешности намечаемых планов. Данное предприятие построено за счет средств «Азерсун Холдинг» и благодаря льготному кредиту, выделенному Национальным Фондом Содействия Предпринимательству.

В этой связи необходимо отметить, что одним из важных факторов развития ненефтяного сектора служит внимание государства к частному сектору, отечественному предпринимательству. Поэтому не случайно, что одним из важнейших направлений государственной экономической политики является всесторонняя поддержка частного сектора, создание благоприятного делового климата для его функционирования, применение в этой сфере различных механизмов содействия. Все это в комплексе, позволило азербайджанской экономике динамично развиваться в условиях продолжения мирового финансового и экономического кризиса.

До недавнего времени, Национальным Фондом Содействия Предпринимательству, для 20 тыс. предпринимателей выделено льготных кредитов в размере 1 млрд. 200 млн. манат на реализацию инвестиционных проектов различной направленности. Благодаря этим проектам, создано 116 тыс. рабочих мест. В частности, по гор. Сумгаит, для финансирования 318 инвестиционных проектов выделен льготный кредит в объеме 89,8 млн. манат. В результате реализации проектов с использованием этих кредитов создано около 6 тыс. рабочих мест.

Процесс развития рыночных отношений в ненефтяном секторе происходит под непосредственным контролем государства посредством системы законодательных, экономических мер и механизмов по созданию необходимой комфортной среды для экономической и социальной активности хозяйствующих субъектов этого сектора.

Важнейшими из используемых в настоящее время в Азербайджане рычагов воздействия на ненефтяной сектор со стороны органов управления, которые в целом обеспечивают его развитие, являются программно-целевые методы. За годы независимости реализованы и реализуются целый ряд масштабных государственных целевых комплексных программ, в которых поставлены задачи развития отраслей ненефтяного сектора.

Это, в первую очередь, «Государственная Программа социально-экономического развития регионов на 2009-2013гг.» (продлена еще на 5 лет в 2013г), «Государственная Программа по сокращению бедности и устойчивому развитию на 2008-2015гг.» и, наконец, такой важнейший документ концептуального и стратегического характера как Концепция Развития «Азербайджан-2020: взгляд в будущее».

В этих и других программных документах приоритетами определены реформы ненефтяного сектора. Поставлена задача повысить эффективность мероприятий в области промышленной политики.

Среди других важных целевых программ, способствующих развитию отраслей ненефтяного сектора, можно назвать «Государственную программу по развитию предпринимательства в Азербайджанской Республике на 2008-2013 гг.», в соответствии с которой в республике осуществляется комплекс мероприятий по содействию предпринимательству со стороны государственных, общественных организаций и частного сектора, «Государственную программу по развитию связи и информационных технологий в Азербайджанской Республике на 2010-2014 гг. (Электронный Азербайджан)», «Государственную программу о создании в Азербайджанской Республике космической промышленности», Указ Президента Азербайджанской Республики от 05.11.2012г. "О создании Парка высоких технологий" и др.

Серьезному ускорению реформ в секторе транспортных услуг послужила реализация «Государственной программы по развитию транспорта Азербайджанской Республики на 2010-2014 гг.».

Важную роль в развитии туристической деятельности в республике сыграла «Государственная программа по развитию туризма на 2010-2013 гг.»

Активная реализация Концепции развития «Азербайджан-2020: взгляд в будущее», принятой в целях ускоренной диверсификации экономики и технологического развития страны, в рамках которой планируется внедрение крупных инвестиционных проектов в сфере высокого передела сырьевых ресурсов, промышленности и инфраструктуры, привела к индустриальному и инвестиционному прорыву в отраслях ненефтяного сектора.

Однако следует отметить, что анализ государственных программ, с точки зрения требований теории и практики программно-целевого управления, показывает, что эти проекты нуждаются в совершенствовании. По нашему мнению, необходимо повысить степень обоснованности и целевую направленность программ, осуществить глубокий расчет их экономической и социальной эффективности. Существуют еще нерешенные вопросы управления реализацией программ, концентрации управленческих функций в каком-либо специальном программном органе. Проблема заключается также и в том, что существующие программы имеют переходный характер, создаются на основе обобщенных экономических показателей и недостаточно учитывают конкретные проблемы отдельных регионов и отраслей республики.

Существенным недостатком госпрограмм является частое отсутствие в них четких ориентиров.

В результате, как показывает практика, многие программы реализуются не столь эффективно, как предполагалось их разработчиками и органами управления.

Анализ материалов по целевым программам, имеющимся в республиканской научной печати и в статистических отчетах, показывает, что ведется учет лишь затрат по программам. Немногочисленные несопоставимые показатели результативности не позволяют также оценить эффективность использования бюджетных ресурсов в отраслях и в регионах республики.

Кроме того, реализуемые в республике программы нередко не опираются на конкретные индикаторы и диагностику.

В развитых странах такого рода документы содержат, как правило, раздел «Мониторинг и оценка». Оценку программ государство берет на себя или привлекает к мониторингу специальные организации. Однако, к примеру, в «Государственной программе социально-экономического развития г. Баку и его поселков в 2011-2015 гг.» этого не было предусмотрено.

Кроме того, как показал анализ, насыщение рынка продукцией отраслей ненефтяного сектора за счет применяемых в настоящее время государством методов регулирования экономики в полном объеме пока не произошло. Одной из причин

этого является то, что государством не были созданы равноправные условия хозяйствования по всем аспектам деятельности: в материально-техническом обеспечении, принципах распределения дохода, регулировании трудовых отношений, финансово-кредитных расчетах, налоговых взаимоотношениях с бюджетом.

Вместе с тем, неоспоримо то, что широкое использование целевых про-грамм и других механизмов регулирования послужило серьезной модернизации азербайджанской экономики, обусловило повышение социально-экономической роли ненефтяного сектора, развитие его высокими темпами, радикальное преобразование многих его отраслей.

В то же время, наряду с развитием традиционных отраслей промышленности, созданием новых производств, технопарков, усилением промышленного потенциала регионов, не должно быть оставлено без внимания и вовлечение в хозяйственный оборот новых ресурсов для обеспечения инновационного развития экономики республики.

Это предполагает осуществление ряда институциональных преобразований, касающихся повышения инвестиционной привлекательности страны в целом, создания новых эффективных моделей взаимодействия власти и частного сектора, повышения качества человеческого капитала. Реализация в различных регионах республики крупных инвестиционных проектов в ненефтяном секторе позволит сформировать несколько зон опережающего развития, которые будут выступать в качестве локомотивов роста для окружающей их территории.

Ramilya Agazade

PROBLEMS OF DEVELOPMENT OF NON-OIL SECTOR OF ECONOMY OF THE REPUBLIC

Annotation

There are considered problems of the sustainable functioning of non-oil sector of economy in the article. There is noted the importance of consecutive realization of the strategy calculated on the direction of oil profit on diversification of economy of the republic. New trends of development of non-oil industries come to light. There is analyzed an experience of technoparks functioning in the republic. There are characterized actions of state regulation, and, in particular, such levers of influence, as the state target programs in which there are set the tasks of development of branches of non-oil sector.

დავით ასლანიშვილი

აშშ-ს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი: წარსული, აწმყო და მომავალი, როგორც ბაჰკვეთილი საქართველოსთვის

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მსოფლიოში ყველაზე დიდი მსესხებელია. განსაკუთრებით ბოლო 20 წელია აშშ-ს ფედერალური მთავრობის ხარჯი გასაოცარი სიდიდით აღემატება შემოსავალს. საკმაოდ შთამბეჭდავია ამ ვალის ზრდის დინამიკა და მასზე დარიცხული პროცენტიც.

აშშ-ს სახელმწიფო ვალის წარმოშობისა და განვითარების ისტორია

აშშ-ს სახელმწიფო ვალისა და ფასიანი ქაღალდების ემისიის ისტორია მისი დაარსებიდან მომდინარეობს, თუმცა მისი ოდენობა საწყის ეტაპზე საკმაოდ მცირე იყო. სახელმწიფოს სავალო დოკუმენტაციის (ანუ ფასიანი ქაღალდის) ემისია, როგორც წესი, საომარ მოქმედებებს უკავშირდებოდა.

ფაქტობრივად და დოკუმენტურად არის ცნობილი სახელმწიფო ხაზინის ვალის ციფრობრივი მოცულობა დამოუკიდებლობისა და სამოქალაქო ომის დასრულების დროს. მისი მოცულობა 75,463,476.52 დოლარს შეადგენდა და ეს ციფრი გამოქვეყნდა აშშ ხაზინის მიერ მის წლიურ ანგარიშში, რომელიც 1791 წლის 1 იანვრის თარიღით იქნა წარდგენილი ღია წესით კონტინენტური კონგრესის წინაშე.

1788 – 1917 წ.წ სახელმწიფო ვალის აღება (რაც სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების გამოშვების გზით ხორციელდებოდა) მთავრობას მხოლოდ კონგრესის ნებართვით შეეძლო. ანუ კონგრესი ნებას რთავდა აშშ ხაზინას, გამოეშვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და დაეფარა მიმდინარე დეფიციტი თუ ომის ხარჯი.

პირველი მსოფლიო ომის დროს – 1917 წელს – მთავრობას მიეცა უფლება, კონგრესის ნებართვის გარეშე გამოეშვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები ზედა ზღვრის დაწესებულ დონემდე. მისი ზედა ზღვრის ზრდა კი კვლავ საჭიროებს კონგრესის ნებართვას.

1941 წელს, ანუ მეორე მსოფლიო ომის დროს, აშშ მიიღო კანონი სახელმწიფო ვალის შესახებ. ამ კანონით მოხდა ყველა სახელმწიფო ვალის უნიფიკაცია ერთი კატეგორიის ქვეშ და ზედა ზღვარი დაწესდა 65 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით. ომის ხარჯებმა სახელმწიფო ვალი მკვეთრად გაზარდა:

1942 წელს ზედა ზღვარი 125 მილიარდი იყო;

1943 წელს – 210 მილიარდი;

1944 წელს – 260 მილიარდი;

1945 წელს – 300 მილიარდი აშშ დოლარი.

ომის დასრულებამ ვალის ზედა ზღვარი 275 მილიარდამდე დასწია, სანამ დაიწყო კონფლიქტი კორეაში 50-იან წლებში.

ფაქტობრივად აშშ-ს მთავრობამ პირველი და მეორე მსოფლიო ომის ხარჯის მნიშვნელოვანი ნაწილი დააფინანსა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით.

საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის საკითხი მომდევნო 20 წელს. 1945-დან – 1970 წლამდე ჯამური ვალი გაიზარდა მხოლოდ 100 მილიარდით და ის 400 მლრდ აშშ დოლარს აღწევდა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ენერგოკრიზისის გამო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა. ვალის ოდენობამ 1980 წლისათვის 1 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

ფინანსური რესურსების ბრძოლის ამ მწვავე პერიოდში აშშ ხაზინა იძულებული იყო ესესხა ფული წლიური 10-დან 15.75%-მდე. ამ პერიოდს დაემთხვა აშშ-ს პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ეკონომიკური სტიმულირებისა და ვალის მკვეთრი ზრდის პოლიტიკა, რის შედეგად 1989 წლისთვის სახელმწიფო ვალმა 3 ტრილიონ დოლარს გადააბიჯა.

1982 – 1991 წწ. ვალის ოდენობა საშუალოდ 200 – 250 მლრდ აშშ დოლარით იზრდებოდა და 1991 წლის აშშ საფინანსო წლის ბოლოს (30 სექტემბერი) ის უკვე 3,662 მლრდ აშშ დოლარს აღწევდა.

ასეთმა უკონტროლო ვალის ზრდის გამო შეშფოთებული აშშ კონგრესმა 1985 წელს მიიღო პრემ-რადმანის კანონი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება აშშ ბიუჯეტის ავტომატური შემცირება, თუ ვალის ოდენობა აჭარბებს დამტკიცებულ ფარგლებს. თუმცა ეს ნორმა 2007 წელს დაწესებული გლობალური ეკონომიკური კრიზისის პერიოდამდე ფაქტობრივად არ სრულდებოდა.


1992 – 2002 წწ. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიამ და სახელმწიფო ვალმა 6 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია და გადააჭარბა.

ყოველ მომდევნო წელს აშშ იმატებდა ასობით მილიარდ ახალ ვალს და 2007 წლის ბოლოს ვალის ოდენობამ 10 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

2007 – 2013 წწ გლობალური კრიზისისა და რაოდენობრივი შერბილების, ფაქტობრივად ათობით მილიარდი აშშ დოლარის ყოველთვიურად ბუჯტვის პერიოდში, სახელმწიფო ვალის ოდენობამ 16.7 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

თუ გავითვალისწინებთ რომ 2014 წლის აპრილის მდგომარეობით აშშ ამჟამინდელი მოსახლეობა 317.8 მლნ ადამიანს ითვლის (Estimated by extrapolation. According to [The U.S. Census Bureau's Population Clock](#)), გამოდის, რომ თითო ამერიკელს 52549 აშშ დოლარის ვალი ეკუთვნის.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის გრაფიკული სურათი 1981 წლიდან დღემდე:



წყარო: <http://www.treasury.gov/resource-center/data-chartcenter/tic/Documents/mfh.txt>

ინტერესსმოკლებული არ არის, თუ ვინ ფლობს ამ გასაოცარი ოდენობის აშშ სახელმწიფო ვალს. ამ მიზნით გამოკვლეულ იქნა ვალის სტრუქტურა და დაჯგუფებულ იქნა მისი ფლობელობა მსოფლიო ქვეყნების მიხედვით. ამ ანალიზმა ცხადყო, რომ ის შიშები, რომ აშშ მკვეთრად დამოკიდებულია რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაზე სახელმწიფო ვალის კუთხით, სიმართლეს არ შეესაბამება.

ყველაზე კუროზულია, რომ აშშ-ს ვალის ყველაზე მსხვილი მფლობელი თვით აშშ მთავრობაა – 2007 წლიდან მოყოლებული, რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკამ (ყოველთვიურად ეკონომიკაში მილიარდობით დოლარის ინექციამ) გამოიწვია რომ აშშ ხაზინის ხელში აღმოჩნდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების 1.7 ტრილიონი დოლარის ოდენობა.

სხვა მფლობელების სტრუქტურა კი შემდეგია:

მფლობელი ქვეყანა	თანხა მილიარდებში	შეფარდება ქვეყნის მშპ-თან	ცვლილება 2013 წლის 1 იანვართან %
ჩინეთი	1,273.5	10%	+4.9%
იაპონია	1,201.4	24%	+8.8%
ბელგია	310.3	61%	+67.2%
კარიბის ზღვის ქვეყნები	293.3	n/a	+6.8%
ნავთობმომპოვებელი ქვეყნები	246.4	n/a	-5.8%
ბრაზილია	246.0	11%	- 3.2%
ტაივანი	179.1	37%	-7.1%
შვეიცარია	173.7	27%	-8.6%
დიდი ბრიტანეთი	162.9	7%	+16.9%
ჰონკონგი	160.3	57%	+12.2%

ლუქსემბურგი	135.3	223%	-8.3%
რუსეთი	131.8	6%	-19.8%
ირლანდია	108.8	49%	+0.3%
ნორვეგია	88.2	17%	+15.3%
სინგაპური	85.9	30%	-17.2%
ინდოეთი	68.1	4%	+16.4%
მექსიკა	67.2	5%	+7.3%
გერმანია	63.9	2%	+5.6%
საფრანგეთი	57.5	2%	+10.2%
კორეა	55.6	5%	+15.6%
კანადა	55.3	3%	-10.4%
თურქეთი	48.9	6%	-15.3%
ტაილანდი	47.8	12%	-22.4%

საკმაოდ საინტერესოა, რომ რიგი ქვეყნის დაბანდება აშშ სახელმწიფო ფასიან ქაღალდში ბევრად აღემატება მათი ქვეყნის მშპ-ს (ლუქსემბურგი) ან მისი ოდენობის ძალიან მნიშვნელოვან ხვედრით წილს უტოლდება (იაპონია, ბელგია, ტაივანი, შვეიცარია, ჰონკონგი, ირლანდია, სინგაპური, ნორვეგია). ამასთანავე, მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა სხვა მსხვილი და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა თავის რესურსის დიდ ოდენობას ახმარს აშშ-ს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ინვესტირებას. ფაქტობრივად ყველა წამყვანი ქვეყნები ახორციელებენ ინვესტირებას აშშ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში. ანუ სურათი რეალურად სხვაგვარადაა – მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყანა დამოკიდებული აშშ-ს მიერ გატარებულ ფინანსურ პოლიტიკაზე და არა პირიქით.

აშშ-ს მთავრობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სახეები

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს რიგი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ემი-სიას:

სახაზინო ვალდებულებები (US TREASURY Bills) – ერთ წლამდე დაფარვის მქონე მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდი. როგორც წესი, ხორციელდება 3 თვიანი, 6 თვიანი და 1 წლიანი სახაზინო ვალდებულებათა ემისია (გამოშვება). ეს ფასიანი ქაღალდი მისი გრძელვადიანი ანალოგისგან განსხვავდება იმით, რომ მასზე არ ხორციელდება კუპონის დარიცხვა. ეს არის დისკონტიანი ფასიანი ქაღალდი, ანუ ის ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასში იყიდება. ეს ინსტრუმენტი განსაკუთრებით პოპულარული იყო გასული საუკუნის 70-იანი წლების ენერგოკრიზისის დროს, როდესაც ინვესტორი ინფლაციისა და არასტაბილურობის გამო მოკლევადიან ინსტრუმენტებში ახდენდა დაბანდებას. ამ ინსტრუმენტის გამოშვების დამკვიდრებული პერიოდულობა შემდეგია – ყოველ კვირას ხდება 91 დღიანი და 180 დღიანი სახაზინო ვალდებულებების ემისია, ხოლო თვეში ერთხელ ერთწლიანის ემისია. განთავსება ხორციელდება აუქციონის წესით. საინტერესოა, რომ მინიმალური ოდენობა ერთი განაცხადის 100 აშშ დოლარს შეადგენს და ის შემცირდა 1000 დოლარიდან, რათა კრიზისის პერიოდში გაიზარდოს მოსახლეობისა და ინვესტორების ინტერესი ამ ინსტრუმენტისადმი. ამ მხრივ ყოველად გაუგებარია ქართული სახაზინო ვალდებულებების სიტუაცია, როდესაც მინიმალური განაცხადი გაიზარდა 100 ლარიდან 50000 ლარამდე ოდენობის განაცხადზე. ეს სხვა დამატებით ფაქტორებთან მხოლოდ ასუსტებს კონკურენციას ქართულ ბაზარზე და ხელს უწყობს ბაზრის მონოპოლიზაციას. გარდა ამისა განაცხადების გაკეთება მსურველს ინტერნეტით შეუძლია, რასაც მოკლებულია ქართველი ინვესტორი საქართველოში.

საშუალოვადიანი სახაზინო ობლიგაციები, ანუ **Treasury notes (or T-notes)** – ეს საშუალოვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდია, რომლის ვადიანობა მერყეობს 2- დან 10 წლამდე. მისი ერთი ცალის ნომინალური ღირებულებაა 1000 აშშ დოლარი, საკუპონო გადახდა წარმოებს წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში ერთხელ. 1986 წლიდან მოყოლებული, მისი ფორმა დემატერიალიზებულია, ანუ ელექტრონული ჩანაწერის სახით არსებობს. წვრილი ინვესტორებისთვის, როგორც წესი, მინიმალური განაცხადი 5000 დოლარს უდრის. 10 წლიანი ობლიგაციის განაკვეთი და მასზე მოთხოვნა-მიწოდება მიჩნეულია აშშ ეკონომიკისა და მაკროეკონომიკური მოლოდინის ერთ ერთ მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორად.

გრძელვადიანი სახაზინო ობლიგაციები, ანუ **Treasury bonds (T-Bonds, or the long bond)** აშშ-ს ხაზინის ყველაზე გრძელვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდია. მისი ვადა 20-დან 30 წლამდეა, ხოლო კუპონის განაკვეთის გადახდა იწარმოებს ყოველ ექვს თვეში ერთხელ. საკმაოდ დიდია ამ ინსტრუმენტზე მეორადი ვაჭრობა, ხოლო დაფიქსირებული სარგებლიანობა გამოიყენება ეკონომიკაში გრძელვადიანი დაბანდების ინდიკატორად.

ამ სამ ინსტრუმენტს ემატება ინფლაციაზე ინდექსირებული სახაზინო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, ანუ **Treasury Inflation-Protected Securities (or TIPS)**. მათი გამოშვება ხორციელდება 5, 10 და 30 წლიანი კუპონიანი ფასიანი ქაღალდების სახით.

პირველადი დილერების ინსტიტუტი

აშშ-ს კანონმდებლობით, ქვეყნის ხაზინას აქვს შემოღებული პირველადი დილერების ინსტიტუტი, ანუ იმ კომპანიების სია, ვისაც აქვთ უფლება პირველად ბაზარზე, ანუ ხაზინიდან შეიძინონ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები მათი შემდგომი გადაყიდვის თუ ფლობის მიზნით.

ეს სისტემა 1960 წლიდან მოქმედებს და საწყის ეტაპზე პირველადი დილერების (ანუ მსხვილი საფინანსო-საბროკერო კომპანიების) რაოდენობა 18 უდრიდა, 1988 წელს ეს რაოდენობა 46-მდე გაიზარდა, ხოლო 2007 – 2011 წლებში 21-მდე დაეცა. ამჟამად პირველადი დილერი კვლავ 18 კომპანიაა. ამ ეტაპზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვის უფლება პირველად ბაზარზე შემდეგ კომპანიებს შეუძლიათ:

Bank of Nova Scotia, New York Agency; BMO Capital Markets Corp.; BNP Paribas Securities Corp.; Barclays Capital Inc. Cantor Fitzgerald & Co.; Citigroup Global Markets Inc.; Credit Suisse Securities (USA) LLC; Daiwa Capital Markets America Inc.; Deutsche Bank Securities Inc.; Goldman, Sachs & Co.; HSBC Securities (USA) Inc.; Jefferies LLC; J.P. Morgan Securities LLC; Merrill Lynch, Pierce, Fenner & Smith Incorporated; Mizuho Securities USA Inc.; Morgan Stanley & Co. LLC; Nomura Securities International, Inc.; RBC Capital Markets, LLC; RBS Securities Inc.; SG Americas Securities, LLC; UBS Securities LLC.

პირველადი დილერი წარმოადგენს ბანკს ან საბროკერო-სადილერო კომპანიას, რომელიც ფლობს ნე-ბარტვას, აშშ ფედერალური სარეზერვო ბანკიდან მიიღოს მონაწილეობა აუქციონებში და არის ვალდებული, გააკეთოს შექმნის განაცხადი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის დროს. ურთიერთობებს მხარეთა შორის აწესრიგებს 1988 წლის პირველადი დილერის შესახებ კანონი. ზემოთ ჩამოთვლილი კომპანიების ფინანსური გარიგებების ოდენობა შეადგენს მსოფლიო საფინანსო ბაზრების ბრუნვის 73%. მათი სხვადასხვა ქვეყნის კუთვნილება კი ხელს უწყობს აშშ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პოპულარიზაციას მსოფლიო მასშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აშშ სახინა - <http://www.treasury.gov>
2. ნიუ იორკის ფედერალური ბანკის პოლიტიკა პირველად დილერებთან მიმართებაში Federal Reserve Bank of New York: Primary Dealer Policies.
3. აშშ-ის ფედერალური სარეზერვო ბანკის საოპერაციო პოლიტიკა - Operating Policy, Federal Reserve, January 11, 2010.
4. The Stock Market, sixth edition, Richard J. Tewels, Edward S. Bradley, Ted M. Teweles, 1992

David Aslanishvili

US STATE SECURITIES MARKET: PAST, PRESENT AND FUTURE AS THE LESSON FOR GEORGIA

Annotation

This article describes United States treasury bills and bonds, its history, debt level and its historical performances, relationships between US state body and private financial entities, primary and secondary market, risks and advantages of the state debts and its circulation, management and structure.

გივი ბაქრაძე

მართვის ფორმების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები ჰოსპიტალურ სექტორში

ჯანდაცვაში, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლასთან ერთად, მნიშვნელოვნად იზრდება მენეჯმენტის როლი, რამდენადაც აქტუალურია მსოფლიო სამეცნიერო მიღწევების ადეკვატური მოსახლეობის ჯანდაცვის ეფექტური სისტემის ფორმირება, მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, აგრეთვე შეზღუდული რესურსების ეფექტური გამოყენების, დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვის, სადაზღვევო მექანიზმების სრულყოფის საკითხები.

ჰოსპიტალური სექტორი წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემის წამყვან ერთეულს, რომლის გარეშე შეუძლებელია ჯანდაცვის სისტემის რეფორმირება. ჰოსპიტალი განსაზღვრავს ხელმისაწვდომობის ხარისხს მაღალსპეციალიზებული ჯანდაცვის სერვისებზე და გადამწყვეტ გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მთლიანობაში. ამიტომ, სახელმწიფოს მთავარი გამოწვევაა ჯანდაცვის მიმართულებით არის ჰოსპიტალური სექტორის რეფორმირება და მენეჯმენტის სრულყოფა.

ჯანდაცვის სისტემა, როგორც ნებისმიერი სხვა დარგი, მოითხოვს მართვის ორგანოების სუბიექტზე ზემოქმედების რიგი მეთოდების გამოყენებას. ჯანდაცვის მართვის მეთოდები უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ საფუძველზე სისტემის მონაწილეების ურთიერთდამოკიდებულებას და უნდა ითვალისწინებდეს ამ სფეროში სუბიექტების ქცევის სპეციფიკურ თავისებურებებს. ზოგადად, შეიძლება გამოიყოს ჯანდაცვის დაწესებულების მართვის მეთოდების სამი ძირითადი ჯგუფი: ეკონომიკური მეთოდები; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მეთოდები; სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები.

ბოლო წლებში დამუშავებულია ჰოსპიტალის მართვის სპეციფიკური მიდგომებიც: სამედიცინო დაწესებულების საქმიანობის სისტემური ანალიზი, სამედიცინო დახმარების მართვა ინტეგრირებული სისტემების გამოყენებით, იმიტირებული მოდელირების მეთოდი გარდამავალი ეკონომიკის სისტემაში, ექსპერტული შეფასების მეთოდი და სხვა.

მართვის მეთოდოლოგიის სრულყოფის ძირითად მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს მართვის კლასიკური მეთოდების ინტეგრაცია და ორიენტაცია ობიექტზე, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის სამივე სექტორის ელემენტებს. ასეთ შემთხვევაში მენეჯმენტი იყენებს ისეთ ტექნოლოგიებს, რომლითაც შესაძლებელია შეზღუდული რესურსების რაციონალური გამოყენებისას წარმოქმნილი სირთულეების დაძლევა.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ჰოსპიტალის ეფექტური მართვის და შეზღუდული რესურსების ეფექტური გადანაწილების მიზნით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ავადობის და სიკვდილიანობის სტრუქტურის ანალიზი და შეფასება.

ჩვენ მიერ შესწავლილი და გაანალიზებულია ჰოსპიტალური სექტორის მდგომარეობის შეფასების მანუალებების დინამიკა 2001-2012 წლებში.

საქართველოში ჰოსპიტალების რიცხვი 2012 წელს შეადგენდა 221 ერთეულს, რაც 2001 წელთან შედარებით (251) შემცირებულია 30 ერთეულით. იმავე პერიოდში ჰოსპიტალებში საწოლების რიცხვი შემცირდა 19,6 ათასიდან 11,3 ათას ერთეულამდე. ექიმების რიცხვი თითქმის უცვლელი დარჩა, რაც შეეხება საშუალო სამედიცინო პერსონალს, მათი რიცხვი შემცირდა 23,3-დან 14,1 ათას ერთეულამდე.

ჰოსპიტალიზაციის მანუალებელი 100000 მოსახლეზე 2011-2012 წლებში, ქვეყანაშიც და ცალკეულ რეგიონებშიც, ხასიათდება შემცირების ტენდენციით, თუმცა განსხვავებული სურათია ქვეყნის რეგიონების მიხედვით.

საქართველოში ჰოსპიტალური სექტორის მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. მართვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს ჯანდაცვის დაწესებულებების განვითარების თავისებურებები.

სამედიცინო ბიზნესის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მენეჯმენტის გამართულ მუშაობაზე. მიუხედავად მართვის მეთოდებისა და ფორმების ცვლილებისა, მენეჯმენტის ამოცანა უცვლელია – მიზნის მიღწევა მაქსიმალურად ეფექტურად, არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტური გამოყენებით.

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია მენეჯმენტის იერარქიული სტრუქტურის სწორი განსაზღვრა. ჩვეულებრივ, მენეჯერების სამი იერარქიული დონე არსებობს: უმაღლესი, საშუალო და ქვედა. ეს დონეები ქმნიან ორგანიზაციულ იერარქიას და აყალიბებენ რანგებს მნიშვნელობის მიხედვით. მართვის ფუნქციის განხორციელება საჭიროა ორგანიზაციის თითოეულ დონეზე, სადაც დონე განხილულია ძირითადი პასუხისმგებლობების მიხედვით. ამასთან, მმართველობითი დონეები ერთმანეთისგან განსხვავდება იმ მოვალეობებით, რომლებიც მათ ეკისრებათ.

მართვის მეცნიერებამ და მარკეტინგის პრაქტიკამ გამოიმუშავა ბიზნესის მართვის ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნის რეკომენდაციები, რომელიც სამედიცინო ბიზნესის თავისებურებების გათვალისწინებით ასე ჩამოვაყალიბეთ:

1. მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა იყოს მაქსიმალურად მარტივი, ადვილად თვალმისაწვდომი და მთელი პერსონალისათვის ცნობილი. ჰოსპიტალის მართვის ორგანიზაციის რთული სისტემის გამოყენებისას იკარგება მართვის მოქნილობა, აგრეთვე ჰოსპიტალის შიდა და გარე გარემოს ცვლილებებზე ოპერატიული რეაგირების უნარი;

2. მართვის კონსტრუქცია უნდა იყოს ნაკლებად იერარქიული. მართვის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა ორგანიზაციული სტრუქტურის გაჯერებაზე, არამედ, უპირველესად, კარგად აწყობილ კომუნიკაციებზე;

3. ჰოსპიტალის ძირითად განყოფილებებსა და დამხმარე სამსახურებს შორის მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. დამხმარე სამსახურების (ლაბორატორია, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის და სხვა) წინაშე არ უნდა იყოს დასმული საწინააღმდეგო ამოცანები, არ უნდა იყოს დუბლირება საქმიანობაში;

4. საჭიროა ჰოსპიტალის განყოფილებების კოლექტიური მუშაობის ორგანიზაცია, ერთდროულად პროფესიონალი კადრების ინდივიდუალურობისა და პირადი სამეცნიერო მიღწევების წახალისება;


5. ჰოსპიტალის ძირითადი განყოფილებების ფუნქციები უნდა იყოს მკაფიოდ გამოიყვანილი და კოორდინირებული. სამედიცინო ბიზნესის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად ჰოსპიტალის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშაოს ურთიერთდაკავშირებული დონის დონეების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს მისი დასახული სტრატეგიის განხორციელებას. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს და ხელს უწყობს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე ჰოსპიტალის მოწინავე პოზიციის შენარჩუნებას.

ჩვენ შევიმუშავეთ ჰოსპიტალური დაწესებულების მართვის იერარქიული სტრუქტურის მოდელი და ჰოსპიტალური სექტორის ორგანიზაციული სტრუქტურის მოწყობის რეკომენდაციები (იხ. სურ. 1).

ქვეყანაში ჰოსპიტალური მომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ინდივიდუალური ჰოსპიტალური სამედიცინო მომსახურების მიწოდების ორგანიზაცია მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამ დონედ. ამ დონეებს შორის სათანადო კავშირების უზრუნველყოფით შესაძლებელია ჰოსპიტალურ სექტორში სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის უზრუნველყოფა.

რესურსების განაწილების არსებული სისტემა არ ასახავს ტერიტორიული ერთეულების რეალურ საჭიროებებს, არ არის დაკავშირებული ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის რაოდენობასა და სიღარიბის დონესთან. რესურსების უფრო სამართლიანი განაწილება შეიძლება იქნეს მიღწეული ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროების გათვალისწინებით.

მენეჯმენტის ფუნქციების განხორციელება (დაგეგმვა, ორგანიზაცია, მონიტორინგი, კონტროლი) ჰოსპიტალურ სექტორში და ამ ფუნქციებს შორის ურთიერთკავშირი სპეციფიკურია, რაც წარმოადგენს დარგის თავისებურებების ასახვას. ჩვენ შევიმუშავეთ აგრეთვე მმართველობითი ციკლის ალგორითმი, რომელიც ასახავს ჰოსპიტალური სექტორის მისიის თავისებურებებს და ზოგადად ჯანდაცვის სფეროს სოციალური და კომერციული ფუნქციების ურთიერთდაბალანსების მოთხოვნებს.



სურ 1. ჰოსპიტალის ორგანიზაციული სტრუქტურის მოწყობის სქემა

მსოფლიოში იცვლება სამედიცინო ტექნოლოგიები, მეურნეობის ფორმები და მეთოდები, იცვლება მოთხოვნები სამედიცინო მომსახურების მიმართ; ასევე იცვლება ეკოლოგიური პრობლემები და დაავადებათა სტრუქტურა. თუ ჰოსპიტალს სურს, ამ ცვლელად გარემოში თავისი ადგილის დამკვიდრება და გადარჩენა, მან უნდა მართოს არა მარტო გარე ცვლილებები, არამედ ცვლილებები შეიტანოს ორგანიზაციის შიგნითაც. ცვლილებების მართვა მენეჯმენტის მეცნიერების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

Givi Bakradze

MAIN APPROACHES OF IMPROVING THE MANAGEMENT FORMS IN HEALTH CARE SYSTEM

Annotation

The role of the management significantly increases in Health Care sector in accordance with the transition to market economy principles, as to what extent the formation of an effective public health care system adequate to world’s scientific achievements, the improvement of management forms and methods, and the efficient use of limited resources, the attraction of additional sources of financing, and the issues of improvement of insurance mechanisms are significant.

In the present thesis there is developed the model of hierarchical structure of hospital sector management in consideration of peculiarities of medical business and as well as the recommendations for the arrangement of the organizational structure of the hospital sector.

Implementation of management functions (planning, organization, motivation, control) in the hospital sector and relationship between these functions is quite specific, which is a reflection of the sector’s characteristics. We have proposed management cycle algorithm that exactly reflects characteristics of hospital sector mission and in general, mutual balancing requirements of social and commercial functions of health care sector.

ჯანა ბალახაშვილი

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა საქართველოში: მიზნუბი, შედეგები, გაუმჯობესების გზები

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა მოსახლეობის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით არსებულ ევროპულ სტანდარტებს – საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი ადამიანი, რომელსაც მეურნეობა ესაჭიროება, კვლავაც რჩება დახმარების გარეშე.

სხვადასხვა კვლევების თანახმად, საქართველოში საშუალო ოჯახი შემოსავლის 34%-ს ჯანდაცვაზე ხარჯავს [1, გვ. 21]. ამის მიუხედავად, ცხოვრების მძიმე პირობების გამო, სამედიცინო დაწესებულებებში ექიმთან მიმართების რიცხვი წლითიწლით იზრდება. ამ მაჩვენებელმა 2007 წელს შეადგინა 6961800, 2010 წელს კი – 7623100 [2, გვ. 82]. მეტად გაზრდილია პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა. 2006 წელს საქართველოში 761 ათასი ასეთი შემთხვევა იყო დაფიქსირებული, 2010 წელს კი – 1170,1 ათასი. განსაკუთრებით გაზრდილია სასუნთქი ორგანოების დაავადებები (313,8 ათასი

შემთხვევიდან 439,3 ათას შემთხვევამდე, ანუ თითქმის ორჯერ), საჭმლის მომწელებელი ორგანოების დაავადებები (56 ათასი შემთხვევიდან 151,8 ათასამდე), სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებები (9,4 ათასიდან 17,4 ათასამდე) და სხვა [2, გვ. 85].

განსაკუთრებით საგანგაშოა 0-დან 14 წლამდე ბავშვთა დაავადებების ზრდა. მოსახლეობის ამ ჯგუფში იმავე პერიოდში რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა 276,2 ათასიდან 387,1 ათასამდე არის გაზრდილი. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია სისხლისა და სისხლმზადი ორგანოებზე (4,4 ათასი შემთხვევიდან 10,1 ათას შემთხვევამდე), სასუნთქ ორგანოებზე (182,8 ათასი შემთხვევიდან 244,4 ათას შემთხვევამდე), ძვალკუნთოვან სისტემაზე (0,7 ათასიდან 1,9 ათასამდე), სმენის ორგანოებზე (5,9 ათასიდან 10,6 ათასამდე) და ა. შ. [2, გვ. 87].

კვლავაც ბევრია ინფექციური დაავადებები, ავადობა ტუბერკულოზით და შიდსით. 2010 წელს სტატისტიკის დეპარტამენტმა საქართველოში დააფიქსირა 23585 ინფექციური ავადობის, 5806 ტუბერკულოზის და 2609 შიდსით და აივ-ით ინფიცირების შემთხვევა. 1992 წელთან შედარებით 3-ჯერ არის გაზრდილი ფსიქიკური დარღვევების გავრცელების მაჩვენებელი [3].

2009 წელს საქართველოში გარდაცვლილია 46625 კაცი, ანუ გაცილებით მეტი 2006 წელს გარდაცვლილებთან შედარებით. ავადობა და სიკვდილიანობა საქართველოში მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანთა მანე ჩვევებთან – ალკოჰოლთან, ნარკოტიკთან, თამბაქოს წვესთან და საერთოდ არაჯანსაღ კვებასთან. სიკვდილიანობის ოთხ ძირითად მიზეზს შორის აღსანიშნავია [4, გვ. 9]: სისხლის მიმოქცევის დაავადებები (66,9%), ავთვისებიანი სიმსივნეები (10,9%), ტრავმები, სხეულის დაზიანება და მოწამვლა (3,2%) და სასუნთქი გზების დაავადებები (2,9%).

2009 წლის ივნისში ჩატარებული გამოკვლევით ცხადი გახდა, რომ საქართველოს მოსახლეობის 42,2% თამბაქოს ეწევა, 27,5% ალკოჰოლს მოიხმარს, ახალი ბოსტნეულით იკვებება მხოლოდ 31,5%, საშუალო დატვირთვით ვარჯიშობს 60,7%, 6 საათზე მეტს მჯდომარე მდგომარეობაში ატარებს 43,5%, ჭარბი წონა აქვს 34,9%-ს და ა. შ. [3, გვ. 14].

მოწვევა წარმოადგენს რისკფაქტორს გულ-სისხლძარღვთა დაავადებისთვის (გულის კორონარული დაავადება, პერიფერიული სისხლძარღვთა დაავადება), სხვადასხვა ტიპის კიბოსა (ფილტვების, სახმო სიმების, პირის ღრუს, ღვიძლის, კუჭის, თირკმელების და სხვ.) და რესპირატორული დაავადებისთვის.

სხვადასხვა დროს ჩატარებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ თამბაქოს მოხმარება ძალიან გავრცელებულია საქართველოში და წარმოადგენს უუნარობის მეორე დიდ მიზეზს მამაკაცებში, ხოლო მეშვიდეს ქალებში. მეცნიერული ფაქტები ადასტურებს, რომ მწვევლთა რაოდენობის შემცირება შესაძლებელია სხვადასხვა ღონისძიებებით, რომელთა შორისაა სადაზღვევო სქემებში, კერძოდ, თამბაქოს მოწვევის კონტროლის ღონისძიებების ინტეგრირების ხელშეწყობა.

არასრულფასოვანი კვება და სიმსუქნეც იწვევს გულსისხლძარღვთა დაავადებებს, დიაბეტს და კიბოს (სარძევე ჯირკვლის, ნაწლავის, თირკმელების და ა. შ.). ხილითა და ბოსტნეულით მდიდარი საკვები ადამიანს სხვადასხვა სახის კიბოსგან იცავს. ბავშვების ცუდად კვება სუსტი ჯანმრთელობის საწინდარია, ხოლო დედებისა – იწვევს უარყოფით შედეგებს ჩანასახისათვის. ჯანსაღი კვების ხელშესაწყობად საჭიროა საქართველოს ყველა მოქალაქემ დაიცვას ბალანსირებული დიეტა და ყველა ბავშვი და დედა იკვებოს ადეკვატურად. ამისთვის საჭიროა მედიის საშუალებით გაფართოვდეს ძუძუთი აღრეული კვების ინიციატივები, დაინერგოს კვების სტანდარტები, სასურსათო პროდუქტებს გაუკეთდეს იარლიყებზე ცხიმების, კალორიების და სხვა მაჩვენებლები, მოხდეს ჯანსაღი დიეტის პროპაგანდისკენ მიმართული პრევენციული ზომების ჩართვა დაზღვევის ყველა სქემაში და ა. შ.

უნდა გაძლიერდეს საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური აქტივობაც. ფიზიკური პასიურობა და ჭარბი წონა რისკფაქტორებს წარმოადგენს გულსისხლძარღვთა დაავადებებისთვის, დიაბეტისა და კიბოსთვის. არსებობს მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ ფიზიკური აქტივობის გაზრდის შედეგად უმჯობესდება ჯანმრთელობის მდგომარეობა და ზოგადი თვითშეგრძნება ბავშვებსა და ახალგაზრდებში. ყველაზე მნიშვნელოვან შედეგს იძლევა კვირაში ორჯერ ინტენსიური ვარჯიში და დღეში 60 წუთამდე ზომიერი დატვირთვა, მოზრდილებსა და მოხუცებში კი – კვირაში 5 დღის განმავლობაში დღეში 30 წუთით ზომიერი დატვირთვა.

ამის მიღწევა შეიძლება: ფიზიკური აქტივობის ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აქტივობის დანერგვით, ფეხითა და ველოსიპედით სიარულისთვის ინფრასტრუქტურის განვითარებით და ა. შ.

იგივე უნდა ვთქვათ ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარებაზე და მათი კონტროლის აუცილებლობაზე. ალკოჰოლის მოხმარება იწვევს გულსისხლძარღვთა დაავადებებს, ღვიძლის ციროზს, კიბოს, ჰეპატიტს და ა. შ. ალკოჰოლი საქართველოს მამაკაცებში მეტად გავრცელებულია და თანაც მზარდი პრობლემაა.

ამ პრობლემის მოხსნა შეიძლება:

1. თუ გაიზრდება ალკოჰოლური სასმელების ფასები;
2. მოხდება ალკოჰოლის მანე შედეგების პროპაგანდა;
3. შემცირდება მისი ხელმისაწვდომობა;
4. სახელმწიფო დონეზე შეიქმნება მისი პრევენციის და კონტროლის სტრუქტურა.

გარდა ამ ღონისძიებებისა, საჭიროა ღონისძიებების გატარება ინფექციების წინააღმდეგ (განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ტუბერკულოზის, აივ/შიდსის და ჰეპატიტების გავრცელებაში), ტრავმატიზმის შესამცირებლად და სხვ.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ძალზე მწვავედ დგება ჯანმრთელობის ხელშეწყობის ინტენსიური ზომების მიღების საკითხი, რომელიც მიმართული იქნება ცხოვრების წესის ძირითადი რისკფაქტორების კონტროლისა და დაავადებათა აღრეული იდენტიფიკაციისთვის.

საქართველოში, გარდა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსი, ამ საქმით სხვა მრავალი სტრუქტურაც არის დაკავებული (მაგალითად, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ა. შ.), მრავალი კანონი და კანონქვემდებარე აქტიც არის შექმნილი და მნიშვნელოვანი პროგრამებიც არის შემუშავებული და გატარებული. მაგალითად, 2009 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ოთხი ძირითადი პროგრამა განხორციელდა:

1. დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამა;
2. აივ/შიდსით დაავადებული პაციენტების ადრეულად გამოვლენისა და მკურნალობის ხელშეწყობის პროგრამა;
3. ეპიდემიების თავიდან აცილების პროგრამა;
4. მოსახლეობის ცოფის საწინააღმდეგო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა.

ეს პროგრამები სახელმწიფომ დააფინანსა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პროგრამებზე გამოყოფილი თანხები სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში 2009 წელს შეადგენდა – 2,3%-ს, მაშინ, როდესაც 2006 წელს იგი – 3,4% იყო. მაშასადამე, იმის მაგივრად, რომ იზრდებოდეს დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ზომებზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, იგი სულ უფრო მცირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს ამ პრობლემის მოწესრიგების სახელმწიფოს კეთილი ნება. ეს შეიძლება ქვეყნის მწვავე ეკონომიკური პრობლემებითაა გამოწვეული, რის გამოც სახელმწიფოს ხელში არსებული რესურსი ვერ სწვდება ეკონომიკის ყველა სფეროს სათანადო განვითარებას. მაგრამ ჯანმრთელობა სიცოცხლის წინაპირობაა, სიცოცხლე კი ადამიანისთვის მთავარია.

ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს ახალი მთავრობა, რომელმაც ერთ-ერთ პრიორიტეტად ჯანმრთელობის დაცვა აღიარა, რადიკალურად შეცვლის დარგში არსებულ სიტუაციას, ბიუჯეტიდან მნიშვნელოვან თანხებს გამოყოფს ამ მიმართულებით და რადიკალურად გააუმჯობესებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ტუხაშვილი, რატომ მოდის საქართველოში 1500 მოსახლეზე თითო ავთიაქი, გაზეთი „ეკონომიკური პალიტრა“, №41,მ 5-11 ნომბერი, გვ. 21.
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, თბ., 2011, გვ. 82, 85.
3. The Situation of People with Mental Health Problems and People with Intellectual Disabilities, Needs Assessment Report, Georgia. www.osmhi.org/contentpics.
4. ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგია საქართველოსთვის 2010-2015 წწ., თბ., 2009, გვ. 9.

Zhana Balakhashvili

POPULATION'S HEALTH SITUATION IN GEORGIA: THE REASONS, THE RESULTS AND THE WAYS OF IMPROVEMENT

Annotation

In the article there is discussed the situation of Georgian population health caused by different diseases, their dynamic and reasons. This main reason is alcohol, drug addict, smoking, fatness, wrong feeding etc.

It is said in this article that government must increase the amount of sum disbursed from the budget for providing healthcare and pay attention to develop healthy life in Georgian population. The author means physical activities, refuses alcohol, drugs and tobacco and considers the necessity of inputting some fruits and vegetables in everyday feeding ration.

ნინო ბიჭაძე

რეგიონული ეკონომიკური განვითარება

დღესდღეობით გლობალიზაციის პროცესები აქტიურად მიმდინარეობს არა მარტო ქვეყნის, არამედ თავად რეგიონების დონეზეც. ზოგიერთი რეგიონი ახერხებს რომ აჰყვეს ამ გლობალურ მოვლენებს და ცდილობს სარგებლის მიღებას ამ პროცესებიდან, მაგრამ არსებობს რეგიონები, რომელთაც ეს უჭირთ.

ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი და დაბალი განვითარების მქონე ქვეყნებში. აქ წარმოიშობა ისეთი პრობლემები, როგორცაა რეგიონული უთანასწორობა, მოსახლეობის მიგრაცია და რეგიონული ეკონომიკური სტაგნაცია. აქედან გამომდინარე, სტრუქტურულად განსხვავებულ რეგიონებში (განსხვავებუნი ფართობის, ინდუსტრიის, სოციალური სტრუქტურის და სხვა) მიდგომა განვითარების კუთხით უნდა იყოს სხვადასხვა და მორგებული მაკროეკონომიკურ პერსპექტივებზე [4].

რეგიონული განვითარების უამრავი სტრატეგია შეიძლება განვიხილოთ, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფიან მიზნებად და ქვემიზნებად. ამასთან, მნიშვნელოვანია მიღწეულ იქნას განვითარების ნეიტრალური ბალანსი, რომელიც ყველა რეგიონს თანაბრად შეეხება. მარტივი შაბლონების გამოყენებით, შესაძლებელია, სრულიად დაიკარგოს პრობლემის მთავარი არსი და სასურველისგან განსხვავებული შედეგი მივიღოთ, ამიტომ სტრატეგია გონივრულად უნდა იქნეს შემუშავებული.

რეგიონული განვითარების მთავარ მიზანს წარმოადგენს ადეკვატური სცენარისა და გეგმის შემუშავება, რეგიონების გრძელვადიანი პროგრესის მისაღწევად, ასევე გამოვავლინოთ მიმდინარე კომპლექსური და ინტეგრირებული პრობლემები.

რეგიონული ეკონომიკური განვითარების შესახებ მსჯელობა დავიწყოთ შევიცარიის მაგალითით. შევიცარია დასავლეთ ევროპის თითქმის ცენტრში მდებარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ ის არ წარმოადგენს ევროკავშირის წევრ ქვეყანას. ქვეყნის ფართობი შეადგენს 41,285 კვადრატულ კილომეტრს. მოსახლეობა 2012

წლის მონაცემებით – 8,014 მილიონია. მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 2012 წლის მონაცემებით შეადგენს 53,733 დოლარს, ხოლო მშპ-ს რეალური წლიური ზრდა – 1,0% [8].

1848 წელს მიღებული კონსტიტუციით, შვეიცარია ჩამოყალიბდა, როგორც ფედერალური საპარლამენტო რესპუბლიკა. შვეიცარია ფორმალურად კონფედერაციაა, თუმცა სტრუქტურულად ფედერაციას ჰგავს. იგი შედგება 26 კანტონისგან და ყველა კანტონს გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია, ხელისუფლება, პარლამენტი, სასამართლო და კანონები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კონფედერაციისას. კანტონებს გააჩნიათ ადმინისტრაციული თავისუფლება და შეუძლიათ ავტონომიურად მიიღონ გადაწყვეტილება. თითოეულ კანტონს შეუძლია, დამოუკიდებლად დაადგინოს საგადასახადო განაკვეთი [1].

იმ დროისთვის არსებობდნენ ამ იდეის მომხრე და მოწინააღმდეგე მხარეები. მომხრეები მიიხედუნიდნენ, რომ ფისკალური დეცენტრალიზაცია განავითარებდა ქვეყნის რეგიონებს და მთლიანობაში გამოიწვევდა ეკონომიკურ ზრდას. მოწინააღმდეგეები კი ხედავდნენ კორუფციის საფრთხეს.

ფისკალური ფედერალიზმის პირობებში გამოიყენება 3 ძირითადი ინსტრუმენტი: გრანტები, ფისკალური კონკურენცია და გადასახადები. გრანტები, რომლებიც ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს მიემართება შედარებით ღარიბი რეგიონებისაკენ. მისი მიზანია ინფრასტრუქტურული განვითარება და ახალი ინვესტიციების მოზიდვა, არსებულების შენარჩუნების კვალდაკვალ. ეს ფისკალური ტრანსფერი კი საბოლოოდ იწვევს მშპ-ს ზრდას მოსახლეობის ერთ სულზე.

ფისკალური კონკურენცია იწვევს კაპიტალისა და შრომის უფრო ეფექტიან გადანაწილებას რაც წარმოადგენს ეკონომიკის მთავარ ღერძს. საბოლოოდ კი რესურსები მაქსიმალურადაა გამოყენებული. რაც შეეხება გადასახადებს, თითოეული კანტონი მას დამოუკიდებლად აწესებს.

შვეიცარიელები ამაყობენ გადაწყვეტილებების კონსენსუსის გზით მიღების უნარით. გრძელი პროცესი მოსდევს ფედერალური საბჭოს წევრის მიერ შეთავაზებული კანონპროექტის მიღებას. სანამ ფედერალური საბჭოს მიერ შემოტანილი კანონპროექტი მიიღება, ის განიხილება ფედერალური ასამბლეის ერთ-ერთ პალატაში და განიხილება ამ საბჭოს კომიტეტში, მერე საბჭოში, როგორც ცალკე ორგანოში. თუ ეს წინადადება მიიღება, ის შედის მეორე საბჭოში და ტარდება იგივე პროცედურა. კანონპროექტი მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური ასამბლეის ორივე საბჭო დაეთანხმება ამ კანონპროექტს.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ორივე საბჭო დაეთანხმება ამ წინადადებას, სპეციალურმა დაინტერესებულმა ლობისტებმა შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიონ ამ კანონპროექტს და დაიმუქრონ, რომ ჩაატარებენ რეფერენდუმს. ამ მუქარის თავიდან ასაცილებლად მთავრობა კომპრომისზე წასვლას სთავაზობს მხარეებს იმისათვის, რომ არ ჩატარდეს რეფერენდუმი.

შვეიცარიის ტერიტორიის 11%-ზე (444 000 ჰა) სეზონურად ან პერმანენტულად სხვადასხვა კულტურებია დათესილი. ნიადაგი ცუდი ხარისხისაა, მაგრამ მიწის ნაყოფიერება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად შედარებით გაიზარდა. სოფლის მეურნეობის პროდუქცია ქვეყნის მოსახლეობის საკვების მოთხოვნის მხოლოდ 45%-ს (მცენარეულ პროდუქტებზე) და 95%-ს (ცხოველურ პროდუქტებზე) აკმაყოფილებს [7].

2007 წლამდე შვეიცარიის სოფლის მეურნეობის პოლიტიკა რეგულირებული იყო ფიქსირებული ფასებით და საკოტო შეზღუდვებით, რომელიც რამდენიმე პროდუქტზე ვრცელდებოდა. ადგილობრივი პროდუქციის წარმოება დღემდე წახალისებულია დამცავი საბაჟო ბარიერებით იმპორტირებულ საქონელზე.

შვეიცარიის სახელმწიფოს ფედერალური სტრუქტურის თავისებურება ასახულია ცენტრალური სახელმწიფო სექტორის მცირე ზომაში. სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში შეადგენს 10,8%-ს (2010 წლის მონაცემები), რომელიც ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელია OECD-ს ქვეყნებში. მეორე მხრივ, ზოგადად სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში შეადგენს 34,5%-ს, რაც უახლოვდება OECD-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს.

მიმდინარე პერიოდში შვეიცარია ორიენტირებულია ინოვაციებზე, განსაკუთრებით ტექნოლოგიური მიმართულებით. შვეიცარული კომპანიები არიან ლიდერები ფარმაციაში, ბიოტექნოლოგიაში, მედიცინაში. სახელმწიფო ცდილობს წახალისოს ინოვაციური პროექტები.

ახლა მიმოვიხილოთ საქართველო რეგიონულ ჭრილში. გარდამავალ ეტაპზე რეგიონებმა ღრმა სოციალ-ეკონომიკური კრიზისი განიცადეს, რომელმაც წარმოშვა რიგი ეკონომიკური პრობლემები. კერძოდ, შემცირდა სამეწარმეო აქტივობა, ტერიტორიების განვითარების დონეებს შორის წარმოიშვა მკვეთრი დისპროპორცია; შეფერხებულად ვითარდებოდა რეგიონული ბაზრები და რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირები. რეგიონების განვითარების საკითხში არსებული პრობლემების მაჩვენებელია, აგრეთვე, ადამიანთა მასობრივი მიგრაცია დიდ ქალაქებსა და უცხოეთში. ყოველივე ჩამოთვლილი რეგიონებისთვის და მთლიანად ქვეყნისთვის დიდ დანაკარგებს განაპირობებდა მაკროეკონომიკური კუთხით.

2012 წლის მონაცემებით, საქართველოს რეგიონებში შექმნილი მთლიანი დამატებითი ღირებულების წილი მოსახლეობის ერთ სულზე მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 9535 ლარი აქვს თბილისს, ხოლო დანარჩენ რეგიონებში თბილისთან შედარებით მკვეთრად დაბალია [5].

სოფლის მეურნეობა წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას. მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2013 წლის მონაცემებით შეადგენს 9,3%-ს, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 0,3%-ითაა გაზრდილი.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებების მცირე ნაკვეთებად დაყოფა: 1990-იანი წლების რეფორმის შედეგად ერთ საოჯახო მეურნეობაზე მოდის დაახლოებით 0,88 ჰა სახნავი მიწა. აგროსექტორში დღემდე მცირე ფერმერები დომინირებენ. ისინი ძირითადად საოჯახო მოხმარებისთვის აწარმოებენ პროდუქციას. მცირე მეურნეობები აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის 80%-ს, აქედან მხოლოდ 8%-10% აღწევს ადგილობრივ ბაზარზე, დანარჩენი მოდის თვითმოხმარებაზე. შესაბამისად, მიწის მცირე ნაკვეთებად დაყოფა ხელს არ უწყობს დარგის კომერციალიზაციას, ინვესტიციების მოზიდვას და შრომის მწარმოებლურობის ზრდას.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და ზოგადად რეგიონების წინსვლისთვის უმნიშვნელოვანესია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 2013 წლის პირველი 3 კვარტლის მონაცემებით, ქვეყანაში შემოსული

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან სოფლის მეურნეობის სექტორზე მხოლოდ 8% მოდიოდა, რაც ქვეყნის ეკონომიკის სხვა სექტორებში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან შედარებით მიხერხულად მცირეა [6].

არსებული პრობლემების მოწესრიგებისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირების მექანიზმების ძიება და სრულყოფა, რაც შესაძლებელს გახდის გამოვლენილი რეგიონების სრული საექსპორტო პოტენციალი. ქვეყნის რეგიონული განვითარების პრობლემა უპირველესად დაკავშირებულია ტერიტორიულ ერთეულთა სოციალური და ეკონომიკური მდგრადობის უთანაბრო განვითარებასთან. ასეთ პირობებში აუცილებელია ეკონომიკაზე ახალი, ეფექტიანი მეთოდების შემოქმედება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია პროგრამულ მიზნობრივი პროგნოზირება. იგი შესაძლებლობას იძლევა, კვალიფიციურად, სამედიდოდ, მოკლე ვადაში, სახელმწიფოს ერთიან პოლიტიკასთან კავშირში გადაწყვიტოს ცალკეული რეგიონის განვითარების სტრატეგიული პრობლემები და ცენტრალურ, რეგიონულ ხელისუფლებას შეუქმნას საქმიანობის მართვის პრიორიტეტები.

შვეიცარიის ეკონომიკა დღესდღეობით ითვლება ყველაზე სტაბილურ ეკონომიკად მსოფლიოში. ეს მოსახრება გამყარებულია თითქმის ყველა პრესტიჟული ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობის თუ ბიზნესგარემოს შეფასების ინდექსებში წამყვანი ადგილით. შვეიცარიის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები, პირველ რიგში, უნდა ვეძებოთ ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტში. ფედერალური სახელმწიფოებრივი მოწყობა პირდაპირი დემოკრატიის ელემენტებით ხელს უწყობდა დეცენტრალიზებული მმართველობის და, უპირველეს ყოვლისა, დეცენტრალიზებული ეკონომიკის განვითარებას. შვეიცარიის ეკონომიკური პოლიტიკა დაფუძნებულია თავისუფალი ბაზრის პრინციპების აღიარებაზე და, ამავდროულად, მიზანმიმართული სოციალური და რეგიონული პოლიტიკის აღიარებაზე. მისი ეკონომიკა ხასიათდება, ერთი მხრივ, ლიბერალური საფინანსო სექტორით და საინვესტიციო გარემოთი, მეორე მხრივ, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ხდება სოფლის მეურნეობის სექტორის სუბსიდირება და კონსენსუსზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის გატარება. რეგიონული განვითარების საწყის ეტაპზე პრიორიტეტულ დარგად სწორედ სოფლის მეურნეობა იქნა მიჩნეული. გრძელვადიან პერიოდში სოფლის მეურნეობაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა სასურველი შედეგი გამოიღო – ყველა რეგიონი დაახლოებით თანაბარი პროპორციით განვითარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ ჭრილში მკვეთრად განსხვავდებით შვეიცარიისგან, შესაძლებელია გარკვეულ კონტექსტში მათი რეგიონული განვითარების მიმართულების გადმოღება და საქართველოს რეალობაზე მორგება. კონკრეტულად, შეიძლება ავიღოთ ბიუჯეტის დეცენტრალიზაცია, რაც საშუალებას მისცემს რეგიონებს, დამოუკიდებლად განვითარდნენ. ასევე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის წახალისება, ახალი ინვესტიციების მოზიდვა რაც, საბოლოო ჯამში, რეგიონების განვითარებას გამოიწვევს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Lars P. Feld (2008) Fiscal Federalism and Economic Performance: Evidence from Swiss Cantons;
2. International Labour Office (2006) Guidelines for Development of Regional Model Competency Standards, pp 2-12;
3. Baldwin, R., Venables, A. (1995) Regional Economic Integration, pp.89-121;
4. OECD Regional OUTLOOK 2011: Building 20 Resilient Regions For Stronger Economies, PP 18-20;
5. <http://geostat.ge>
6. <http://www.economy.ge>
7. <http://www.oecd.org>
8. <http://data.worldbank.org/>

Nino Büsardze

REGIONAL ECONOMICAL DEVELOPMENT

Annotation

The present study focuses on the importance of regional economic development for developed and low developed countries. There can be considered lots of regional development strategy but it is important to achieve a neutral balance development in all regions. The main goal of adequate regional development scenarios and a plan for development is to achieve the long-term progress. An example is represented by the two countries: Swiss as a developed country and Georgia as a developing country.

Federal state structure with elements of direct democracy fostered decentralized governance and, above all, a decentralized economy. There are three main tools used for the fiscal federalism : state grants, fiscal competition and taxes. Switzerland in the early stages of the development was focused on agriculture. There were also developed highland regions. The largest part of the investments were going in this two directions.

In transition period Georgia's regions have suffered deep socio - economic crisis, which gave rise to a number of economic problems. In particular, the decline in entrepreneurial activity, emerged as a sharp disparities between the levels of development and other areas. Despite the fact that the historical context is clearly different from Switzerland, it is possible to promote regional development in the context of their transmission and the adjustment to reality.

ნინო გელაშვილი

კუმიანური ბანკითარების ინფორმაცია – ქვეყნის ბანკითარების ზოგადი ინფორმაცია

კუმიანური განვითარების ინდექსი (კვი) – მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის წარმოადგენს მისი განვითარების მნიშვნელოვან ინდიკატორს და ის აერთიანებს ისეთ საზომებს, ანუ სუბინდექსებს, როგორცაა: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების დონე და მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე (ძველი მეთოდოლოგიით, მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე) გაანგარიშებით. ეს

ინდექსი 1980 წელს ერთობლივად შეიმუშავეს პაკისტანელმა ეკონომისტმა მაჰზუბ ელ ჰაქმა და სერ რიჩარდ ჯოლიმ¹⁶⁶. ზოგიერთ პუბლიკაციაში ამ ინდექსს უწოდებენ ადამიანური განვითარების ინდექსსაც. ჰუმანური განვითარების ინდექსი გაეროს მიერ აღიარებულია ადამიანური განვითარების განსაზღვრის სტანდარტულ საშუალებად.

ჰუმანური განვითარების ინდექსის მთავარი დანიშნულებაა, განსაზღვროს ქვეყნის ადამიანური განვითარების დონე, რომელიც ასევე იმ ჯგუფს განსაზღვრავს, რომელსაც ეს ქვეყანა განეკუთვნება და განვითარებულ, განვითარებად თუ დაბალგანვითარებულ ქვეყანათა ჯგუფს. ზოგადად, „ჰუმანური განვითარება“ – ესაა კონცეფცია, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის“ (UNDP) მიხედვით, ეხება ადამიანთა შესაძლებლობების ზრდის პროცესს, შემოსავლების ზრდას, დასაქმებას, განათლების მიღებისთვის უკეთესი პირობების შექმნას, ჯანდაცვას და ა.შ. 1998 წლიდან, „გაეროს განვითარების პროგრამა“ თავის ყოველწლიურ „ადამიანური განვითარების ანგარიშში“ იყენებენ ამ ინდექსს.

2010 წელს ჰუმანური განვითარების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. განვიხილოთ როგორც ძველი, ისე ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ჰკი.

ძველი მეთოდოლოგიით, ჰუმანური განვითარების ინდექსის გასაანგარიშებლად გამოიყენება 3 ძირითადი მაჩვენებელი, კერძოდ:

- 1) დაბადებულთათვის სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა;
- 2) მოსახლეობის განათლების დონე;
- 3) მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ-ის) მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე.

თითოეული ამ მაჩვენებლის ინდექსის გამოთვლა ხდება შემდეგი ფორმულით:

$$I = \frac{x - \min(x)}{\max(x) - \min(x)}$$

სადაც – x ფაქტობრივი მნიშვნელობის მაჩვენებელია; ხოლო $\max(x)$ და $\min(x)$ - შესაბამისი მაჩვენებლის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობებია.

- 1) დაბადებულთა სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა გამოითვლება ფორმულით:

$$I_1 = \frac{X_1 - 25}{85 - 25};$$

სადაც X_1 არის დაბადებულთა სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის ფაქტობრივი სიდიდე. გაეროს ექსპერტების მიერ, დაბადებისას მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაქსიმალურ მნიშვნელობად მიჩნეული იყო 85 წელი, ხოლო მინიმალურ მნიშვნელობად – 25 წელი.

- 2) მოსახლეობის განათლების დონე იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$I_2 = 2/3i_1 + 1/3i_2;$$

სადაც i_1 15 წლისა და უფროსი ასაკის წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წონაა, i_2 - 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდების ხვედრითი წონა მთლიან მოსახლეობაში, რომელიც სწავლობს დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

- 3) მშპ-ის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$I_3 = \frac{X_3 - 100}{40000 - 100};$$

სადაც X_3 მშპ-ის ფაქტობრივი მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე, ხოლო გაეროს ექსპერტების მიერ მშპ-ის მიმართ თვეში მინიმალურ მნიშვნელობად დადგენილია 100 აშშ დოლარი, მაქსიმალურ მნიშვნელობად კი 40000 აშშ დოლარი.

ჰუმანური განვითარების ინდექსი ზემოთ განხილული სამი მაჩვენებლის ინდექსების საშუალო არითმეტიკულის ტოლია, ე. ი.:

$$I = \frac{I_1 + I_2 + I_3}{3}.$$

ჰუმანური განვითარების ინდექსი მოიცავს განსაზღვრულ კრიტერიუმებს და გვიჩვენებს, ამ კრიტერიუმების მიხედვით რა საფეხურზეა ესა თუ ის ქვეყანა. ეს ყველაფერი გამოსახულია მაჩვენებლით 0-დან 1-მდე.

ჰუმანური განვითარების ინდექსის ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებაში ცვლილებები განიცადა ზოგიერთმა მაჩვენებელმა. კერძოდ, სწავლების საშუალო ხანგრძლივობა იზომება არა 15 წლიდან, არამედ – 25 და ზევით ასაკის პირთა მიმართ. მეორე მაჩვენებელი, სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა გაიზომება სკოლაში შესვლის ოფიციალურად დადგენილი ასაკიდან სიცოცხლის ბოლომდე, თუ ქვეყანაში შენარჩუნდება განათლების მიღების გაეროცვლად ტენდენციები. ახალი მეთოდოლოგიით, შემოსავლების დონე იზომება არა მშპ-ის, არამედ მეშპ-ის საშუალებით ერთ სულ მოსახლეზე. ცვლილება ასევე ჰკი-ის კრებლის ინდექსში: აგრეგირების მიზნით, საშუალო არითმეტიკულის ნაცვლად გამოიყენება საშუალო გეომეტრიული.

ჰუმანური განვითარების ახალ ინდექსში თანაბარი წონები ენიჭება როგორც სამივე ინდიკატორს, ასევე განათლების ორივე სუბკომპონენტსაც, რაც ხაზს უსვამს სამივე კომპონენტის თანაბარ მნიშვნელობას

¹⁶⁶ მ. მინდორაშვილი. ჰუმანური განვითარების ინდექსი: ისტორია და რეალობა. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, №5, 2011.

ადამიანის განვითარებისათვის. საშუალო გეომეტრიული გამოყენების დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტორი, რომ ჰკი-ის ახალ ინდექსში მანველებლთა სრული ურთიერთშენაცვლება აღარ ხდება, ანუ ერთი მანველებლის დაბალი მნიშვნელობა წრფივად აღარ კომპენსირდება მეორე მანველებლის მნიშვნელობებით.

ახალი მეთოდოლოგიით, ჰუმანური განვითარების ინდექსი ასევე იყენებს სამ ძირითად მანველებელს¹⁶⁷:

1) სიცოცხლის ხანგრძლივობის ინდექსი, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$I_1 = \frac{x_1 - 20}{83.2 - 20};$$

სადაც x_1 არის სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა ახალშობილთათვის, თუ მათი სიცოცხლის განმავლობაში შენარჩუნებული იქნება დაბადებისას არსებული ასაკობრივი მოკვდაობის ტენდენციები. სიცოცხლის ხანგრძლივობის მინიმალური ზღვარი (20 წელი) ეფუძნება მედიონისა და რეილის გრძელვადიან ისტორიულ მტკიცებულებას, ხოლო მაქსიმალური ზღვარი დადგენილია 1980-2010 წლებში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე და შეესაბამება იაპონიის 2010 წლის მანველებელს.

2) განათლების ინდექსი: $I_2 = \frac{\sqrt{i_2 \cdot i_3}}{0.951}$

სადაც i_2 არის 25 წლის და ზევით ასაკის მოსახლეობის მიერ მიღებული სიცოცხლის განმავლობაში მიღებული განათლების ხანგრძლივობა განათლების თითოეული საფეხურის თეორიული ხანგრძლივობის გათვალისწინებით (წლებში); i_3 არის სასკოლო ასაკის ბავშვის სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, თუ მისი სიცოცხლის მანძილზე შენარჩუნდება განათლების მიღების მიმდინარე ტენდენციები.

3) შემოსავლების ინდექსი: $I_3 = \frac{x_3 - 163}{108211 - 163}$

სადაც x_3 არის ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით (აშშ დოლარი).

ჰუმანური განვითარების ინდექსის საბოლოო სახე სამივე მანველებლის საშუალო გეომეტრიული ტოლია და მისი ფორმალური გამოთვლა ასეთია:

$$HDI = \sqrt[3]{I_1 \cdot I_2 \cdot I_3}$$

არსებობს ზოგიერთი კრიტიკული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჰუმანური განვითარების ინდექსის მნიშვნელობა გადაჭარბებულია და მისი კომპონენტების რაოდენობრივი შეფასების შემოსაზღვრა 0-სა და 1-ს შორის უმართებელია, რადგან შედეგად, მიღებულ ქვეყნებს აღარ ეძლევათ საშუალება რეიტინგი გაიუმჯობესონ, როცა მათ საამისო რესურსები გააჩნიათ. აგრეთვე, ის გარკვეულწილად აძნელებს ქვეყნის პროგრესისა და რეგრესის დადგენას დინამიკაში, რადგან დამოკიდებულია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასა და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებულ ეროვნულ შემოსავალზე. მის ნაკლოვანებას წარმოადგენს ასევე ისიც, რომ ინდექსში უმეტესად მატერიალური ფასეულობებია ასახული და არ არის გათვალისწინებული სულიერი და მორალური ფასეულობები¹⁶⁸.

2010 წელს საქართველოს ჰუმანური განვითარების ინდექსი შეადგენდა 0,698-ს, ხოლო 2011 წლისათვის გაიზარდა და შეადგინა 0,733. ამ მანველებლით საქართველო მსოფლიოს 187 ქვეყნის რეიტინგში 75-ე ადგილზე იყო და მაღალგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში აღმოჩნდა. 2012 წელს საქართველოს ჰუმანური განვითარების ინდექსმა შეადგინა 0,745 და 75-ე ადგილიდან 72-ე ადგილზე გადაინაცვლა. რეიტინგის ათეულში მოხვდნენ: ნორვეგია, ავსტრალია, ჰოლანდია, აშშ, ახალი ზელანდია, კანადა, ირლანდია, ლიხტენშტეინი, გერმანია და შვედეთი.

ჰუმანური განვითარების ინდექსის გეოგრაფიული ნიშნით განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ ინდექსის მაღალი მანველებლობით გამოირჩევა დასავლეთ ევროპისა და სკანდინავიის ქვეყნები, ხოლო ყველაზე უარესი მანველებლები აქვს და მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგის ბოლო ადგილებზე აფრიკის ქვეყნები.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ჰუმანური განვითარების 2013 წლის ანგარიშის თანახმად, ნორვეგიას, ავსტრალიასა და აშშ-ს ჰუმანური განვითარების უმაღლესი ინდექსები მიენიჭათ და წამყვანი ადგილები დაიკავეს 187 ქვეყანას შორის. კონფლიქტის შედეგად გახლეჩილი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა და გვალვით დაზარალებული ნიგერია კი ამ რეიტინგის ბოლოს მოექცნენ ჯანდაცვის, განათლებისა და შემოსავლების მწირი მანველებლების გამო¹⁶⁹.

მოსახლეობის ჯანმრთელობა ნებისმიერი ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა, რის გარეშეც ქვეყანა სათანადოდ ვერ იფუნქციონირებს. ამას ნათლად ადასტურებს აფრიკის კონტინენტის მრავალი ქვეყნის მაგალითი და იქ არსებული უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. ადამიანის ჯანმრთელობისა და განვითარების საფუძველს, პირველ რიგში, ჯანსაღი კვება წარმოადგენს. ადამიანის მიერ მიღებული საკვების ოდენობა და მრავალფეროვნება, ხარისხი და უსაფრთხოება პირდაპირ გავლენას ახდენს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე და შესაბამისად, ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე.

ადამიანის განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანია განათლება, რომელიც მას აძლევს ცხოვრებისეულ შესაძლებლობებს და არჩევანის საშუალებას, ამცირებს სიღარიბისა და ავადობის დონეს და ინდივიდს საზოგადოებაში უფრო მყარ საფუძველს უქმნის კეთილდღეობის ამძღვრებისათვის. განათლება

¹⁶⁷ <http://www.ophi.org.uk/wp-content/uploads/OPHI-RP-29a.pdf-2011.pdf?cda6c1>


¹⁶⁸ <http://chartsbin.com/view/mu4>

¹⁶⁹ http://www.undp.org.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&info_id=11745

მაღალკვალიფიციურ და მაღალმწარმოებლურ სამუშაო ძალას ქმნის და კარგად ინფორმირებულ მოქალაქეებს გლობალური მასშტაბით კონკურენციისა და თანამშრომლობის უნარს ანიჭებს.

სოციალური და ეკონომიკური განვითარება, სიღარიბისა და შიმშილის დაძლევა ამ სამი ფაქტორის ერთობლივი პროგრესით მიიღწევა. აღნიშნული სამივე ფაქტორი მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული და ერთ-ერთი ფაქტორის დადებითი ეფექტი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ მას დანარჩენი ორი ფაქტორიც თან ახლავს. მაგალითად, მოსახლეობის ჯანმრთელობის გარეშე შეუძლებელია განათლების მაღალი დონის მიღწევა, ხოლო შესაბამისი განათლების გარეშე ჯანდაცვის სფეროც გაუმართავია.

სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელზეც დამყარებულია მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, შეიძლება შემდეგი დიაგრამით გამოვსახოთ:



ჰუმანური განვითარება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადამიანთა არჩევანის გამრავალფეროვნება და შესაძლებლობათა განვითარება (ანუ იმ ქმედებების სპექტრის გაფართოება, რისი გაკეთებაც ადამიანებს შეუძლიათ), რაც მათ: შეუქმნის ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრების შესაძლებლობას; უზრუნველყოფს ცოდნის მიღების შესაძლებლობით, ღირსეული ცხოვრებით და დაეხმარება იმ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც მათ ცხოვრებაზე მოახდენს ზეგავლენას.

მსოფლიოში დღემდე არ არსებობს ერთიანი პოზიცია და საბოლოო თანხმობა ჰუმანური განვითარების ძირითადი კრიტერიუმების განზომილებებთან დაკავშირებით; ისინი წარმოიქმნება დროთა განმავლობაში და განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. გარკვეული აზრით, ჰუმანური განვითარება განუსაზღვრელია, რადგან მას შეიძლება გააჩნდეს იმდენი განზომილება, რამდენი გზაც არსებობს ადამიანთა არჩევანის გამრავალფეროვნებისათვის.

Nino Gelashvili

HUMAN DEVELOPMENT INDEX - THE GENERAL INDICATOR OF COUNTRY DEVELOPMENT LEVEL
Annotation

The article presents the Human Development Index - one of the main criteria of country development level. The role of Human Development Index is also shown imposed by United Nations especially for various international comparisons to determine the rankings. The paper discusses the calculation of the Human Development Index, the old and the new, 2010, methodology versions and its specifics. A critical assessment of the possibilities of improving the Human Development Index is provided at the end.

ხათუნა გიორგაძე

ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის კვლევა

საქართველოში ბიზნესის სფეროს ძირითადად არეგულირებს ისეთი სამართლებრივი აქტები, როგორებიცაა: „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, კანონები: „მეწარმეთა შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ.“

2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი. მან შეინარჩუნა ძველი კანონების ძირითადი დებულებები და საქართველოს თანამედროვე საგადასახადო სისტემის ყველა მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც პირველად საქართველოს 1997 წლის საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა. ხეშოთ აღნიშნული წარმოადგენს კომპლექსურ ნორმატიულ აქტს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ პროცესუალურ ნორმებს. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ მისი პირველი მუხლი გვაძლევს ძირითად შინაარსს, რომლისგანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებს ადგენს და განსაზღვრავს მხოლოდ საგადასახადო კოდექსი.¹⁷⁰

¹⁷⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მუხლი 1: „ეს კოდექსი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, აწესრიგებს საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადახდელისა და“

უპირველეს ყოვლისა, ბიზნესის კანონმდებლობის კვლევისას, პასუხი უნდა გავცეს კითხვებს, რამდენად ხელმისაწვდომია კანონმდებლობა და მასში მიმდინარე ცვლილებები დაინტერესებული პირებისათვის, რამდენად საჯაროა იგი, არის თუ არა კანონმდებლობის შინაარსი მკაფიო და გასაგები და რამდენად აქვთ ბიზნესსაქმიანობით დაკავებულ ადამიანებს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მოახერხონ პრაქტიკაში მათი გამოყენება.

ბიზნესის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ნორმები საკმაოდ რთული, ბუნდოვანი და ორაზროვანია. ეს არის სამართლისა და ეკონომიკის სინთეზი. არ არსებობს ქვეყანა, სადაც არ არის მსგავსი ბუნდოვანი ნორმები, მათ შორის, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, თუმცა ყველა ამ ქვეყნის კანონმდებლობაში დევს ისეთი ნორმა, რომ ნებისმიერი ბუნდოვანი დებულება, რომელიც იძლევა ორაზროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას, წყდება გადასახადის გადამხდელის სასარგებლოდ.

საქართველოში ამგვარი მიდგომა არც საკანონმდებლო დონეზეა რეგულირებული და არც ერთგვაროვანი პრაქტიკა არსებობს ამ მიმართულებით. ასეთი ნორმის არსებობა კი, ძალიან ბევრ პრობლემას მოუხსნიდა გადასახადის გადამხდელს, ბიზნესის საქმიანობას საქართველოში უფრო გაამარტივებდა და გააუმჯობესებდა. ასევე აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსი ძნელად წაკითხვადია და ზოგჯერ ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა დაწერილია რთული ენით, რომლის აღქმა საკმაოდ უძნელდება მეწარმეთა უმრავლესობას. ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ კანონის ნორმების ინტერპრეტაცია ხდება სხვადასხვაგვარად. რაც მეწარმეებს ხშირ შემთხვევაში დოკუმენტაციის არასწორად წარმოებისა და დაჯარიმების საფრთხის წინაშე აყენებს.

საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლი გვაძლევს საგადასახადო კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებას. მოცემულ ცნებებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნიათ საგადასახადო კოდექსის მუხლების ახსნა-განმარტებისას. ამასთან, საგადასახადო კოდექსში გამოყენებულ ტერმინებსა და ცნებებს მათი გამოყენების მოხერხებულობის მიზნით ცალკეულ შემთხვევებში განმარტებული ხასიათით აქვს (მაგალითად, „პირი“). თუ სამართლის სხვა დარგების კანონმდებლობაში გამოყენებული ტერმინები გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის მკაფიოდ არ არის ფორმულირებული (მაგალითად, „მეწარმე ფიზიკური პირი“, „ორგანიზაცია“), საგადასახადო ტერმინებსა და ცნებებს დამაზუსტებელი ხასიათით აქვს. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში მათ ახლად განმარტავი ხასიათი გააჩნიათ (მაგალითად, „დანაკლისი“, „გადასახადების ადმინისტრირება“).

საგადასახადო ტერმინები და ცნებები საგადასახადო კოდექსის ამა თუ იმ დებულებათა ახსნა-განმარტებისას სწორედ იმ მნიშვნელობით უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც მათ მისცა საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლმა. ამასთან, კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში აუცილებელია, გამოყენებულ იქნეს იგივე ტერმინოლოგია, რაც საგადასახადო კოდექსში.

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში მიუღებელი სიხშირით ხდება, ხოლო მომხდარი ცვლილებების ძალაში შესვლის ვადები ძალიან მცირეა. სამწუხაროდ არ არსებობს ისეთი მექანიზმი, რომ კანონმდებლობაში შესული ცვლილებები დროულად მიეწოდოთ მეწარმეებს, რაც ხშირად ხდება იმის მიზეზით, რომ მეწარმე კანონში შესული ცვლილების არცოდნის გამო უნებლიედ არღვევს კანონს.

უპირველესი პრობლემა საგადასახადო დავების განხილვის თვალსაზრისით არის ის, რომ მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი დარღვეულია. საგადასახადო ორგანოები, გადასახადის გადამხდელისაგან განსხვავებით, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან და მას შეუძლია სამივე ინსტანციაში დავა აწარმოოს ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. ეს კი არღვევს მხარეთა თანასწორობას და შეჯიბრებითობას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მოქმედებს დავების განხილვის ორეტაპიანი სისტემა. პირველი ინსტანციაა შემოსავლების სამსახური, სადაც გადამხდელს შესაძლებლობა აქვს, თავდაპირველად გაასაჩივროს თავად შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება, ხოლო თუ მისი მოთხოვნა პირველ ინსტანციაში არ დაკმაყოფილდა, უფლება აქვს, გადაწყვეტილება გაასაჩივროს მეორე ინსტანციაში, სამინისტროსთან არსებულ დავების განმხილველ საბჭოში. ალტერნატიული დავების გადაჭრის მექანიზმს წარმოადგენს სასამართლო. გადამხდელს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭოსაგან დამოუკიდებლად დავის განხილვისათვის პირდაპირ შეუძლია მიმართოს სასამართლოს. მაგრამ, როგორც პრაქტიკა უჩვენებს, ხშირ შემთხვევაში გადამხდელი საწყის ეტაპზევე შემოსავლების სამსახურის გზით დავის გადაწყვეტას არჩევს.

სასამართლოების მიდგომა არაერთგვაროვანია კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანი ნორმების განმარტების კუთხითაც. ხშირად პირველი ინსტანციის სასამართლო ცდილობს გადასახადის გადამხდელის სასარგებლოდ გადაწყვიტოს დავა, თუმცა საგადასახადო ორგანოების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდგომ, უმეტეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციისაგან განსხვავებულ მიდგომას ირჩევს და აკმაყოფილებს საგადასახადო ორგანოების საჩივრებს.

სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს შორის შეინიშნება არაერთგვაროვანი მიდგომა სამეწარმეო დავებთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მიმართ, მაშინ, როდესაც ამ საკითხზე დადგენილია უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა. დავები სამეწარმეო სფეროში ინსტანციების მიხედვით თანდათან მცირდება, ამის მიზეზი შეიძლება იყოს მეწარმე სუბიექტის მიერ ბაჟის გადახდის შეუძლებლობა.

ასევე, პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს საგადასახადო დავების მაღალი პროფესიონალიზმით განხილვა. ამ პროცესში ორივე ინსტანციაში ჩართული არიან ადამიანები, რომელთაც სხვა სამსახურებრივი

უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.“

ვალდებულებებიც გააჩნიათ. ეს ნაწილობრივ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან დიდი და მრავალმხრივი სამუშაოს შესრულებისას მათ უნდა მოახდინონ სრული კონცენტრირება ძალიან რთულ და რიცხობრივად ბევრ საგადასახადო დავაზე. 2011 წელს შემოსავლების სამსახურში შეტანილ იქნა 7,900 საგადასახადო საჩივარი. 2012 წელს ეს რიცხვი თითქმის გაორმაგდა – 14,890. საკითხის ერთ-ერთი შესაძლო გადაწყვეტა შეიძლება იყოს ამ ადამიანებისათვის ყოველდღიური (მენჯემენტის) ფუნქციის ჩამოშორება როგორც შემოსავლების სამსახურის, ასევე ფინანსთა სამინისტროს შემთხვევაში. ეს კი ხელს შეუწყობს შიდა პროცესების განვითარებას, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას და სამუშაოს ზომიერად გადანაწილებას.

ამდენად, ბიზნესის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში, მართალია ხელს უწყობს ბიზნესის საქმიანობის გაუმჯობესებას და ლიბერალურადაც ითვლება, თუმცა პრაქტიკაში კვლავ რჩება რიგი პრობლემები მისი იმპლემენტაციის თვალსაზრისით. კანონები ბუნდოვანი და ორაზროვანია და ამ თვალსაზრისით წარმოშობილი დავები ხშირ შემთხვევაში არ წყდება გადასახადის გადამხდელის სასარგებლოდ, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია მიღებული. კანონმდებლობა ხშირად და მრავლად იცვლება, ხოლო მათი ძალაში შესვლის შემჭიდროვებული ვადები დაბრკოლებას ქმნის ბიზნესის განვითარებისათვის. აღნიშნულს კი ემატება კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების დროული ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის პრობლემა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, (2002) „მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი,“ მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი,“ თბილისი.
2. „საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა,“ საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო, 2010 წლის მისი.
3. „საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი“ – ლევან ნადარაია, ზვიად როგავა, კახა რუსაძე – თბილისი, 2012 წელი.
4. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია.
5. 2010 წლის 17 სექტემბრის საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
6. 1994 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“.
7. 2001 წლის 8 ივნისის საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“.
8. 2005 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“.
9. 1996 წლის 12 ნოემბრის საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“.
10. 2007 წლის 28 მარტის საქართველოს კანონი „გადახდის უზუნარობის საქმის წარმოების შესახებ“.

Khatuna Giorgadze

RESEARCH ON THE LEGISLATION REGULATING BUSINESS

Annotation

The article reviews a set of laws regulating business. It is true that it contributes to the improvement of business activities and is considered as liberal, although in practice it still remains a number of problems in terms of implementation. Sometimes laws are vague and ambiguous which creates frequent disputes, mostly not resolved in favor of the taxpayer, as it is the case in developed countries. Legislation is often and variously changing and the short delays of its implementation make often the obstacles of business development.

*მანია გოგიძე
თონა ანესაშვილი*

რისკები საქართველოს ეკონომიკაში

უცხოური ბიზნესკომპანიები ამა თუ იმ ქვეყანაში კაპიტალდაბანდებას არ გადაწყვეტენ, თუ ადგილობრივ ბაზარს, იქ არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ გარემოს კომპლექსურად არ შეისწავლიან. გაუმართლებელ და რისკიან ინვესტიციას არც ერთი ბიზნესმენი არ განახორციელებს. როდესაც კომპანია გაფართოებას ცდილობს და რომელიმე რეგიონში არსებულ რამდენიმე ქვეყანას შორის არჩევანს აკეთებს, პირველ ყოვლისა, ბიზნესრისკებს – წმინდა კომერციულ რისკებს სწავლობს. უკვე შემდეგ ცდილობს იგი იმის გარკვევას, პოლიტიკური რისკის მიხედვით რომელი ქვეყანაა მისთვის უფრო მიზანშეწონილი.

ქვეყნების პოლიტიკური რისკების ანალიზს არაერთი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი აკეთებს. ძირითადად, შესწავლილია ის ქვეყნები, რომლებიც ინვესტორების ინტერესის საგანს წარმოადგენს. განსაკუთრებული აქცენტი განვითარებად ქვეყნებზე კეთდება. კვლევების შედეგად, ქვეყნებს ენიჭება კატეგორიები. ასე იქცევიან ისინი მაღალი, საშუალო და დაბალი რისკის ქვეყნებად.

პოლიტიკური რისკები ზოგადი ბიზნესრისკებისგან განსხვავებული რისკებია. ეს რისკები, ძირითადად, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკიდან გამომდინარეობს და მათი ანალიზის დანიშნულება იმ სოციალ-პოლიტიკური მოვლენების განჭვრეტაა, რომელმაც შეიძლება ბიზნესს ფინანსური ზარალი მიაყენოს. პოლიტიკური რისკების კვლევის დროს შეისწავლება ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დინამიკა, ირკვევა თუ როგორია პოლიტიკური და სოციალური მოვლენებით გამოწვეული საფრთხეები. ეს ანალიზი კეთდება კონკრეტული ბიზნესისთვის, რათა გაირკვეს, რამდენად მიაყენებს ფინანსურ ზარალს ქვეყნის დინამიკური განვითარება მოცემულ კომპანიას.

არსებობს სხვადასხვა მოდელი, კვლევის რამდენიმე მეთოდი, თუმცა ტიპური მეთოდი მაინც ექსპერტების გამოყენებაა. ზოგიერთი სარეიტინგო კომპანია ამჯობინებს, რომ ექსპერტი, რომელიც ქვეყანას აფასებს, უცხოელი იყოს. ამას თავისი მიზეზი აქვს. უცხოელი, განსაკუთრებით ბიზნესსფეროს წარმომადგენელი, უფრო კარგად აკეთებს აქცენტებს იმ კონკრეტულ მომენტებზე, რომელიც მას ბიზნესის კეთებაში ხელს უშლიდა. ანუ, უცხოელისთვის პრობლემას შეიძლება ისეთი რამ ქმნიდეს, რომელიც ადგილობრივ ექსპერტს მეორეხარისხოვნად მიაჩნია. ან პირიქით – ადგილობრივი ექსპერტი ყურადღებას ანიჭებდეს მისთვის პრობლემურ ასპექტებს, რომელიც ბიზნესისთვის პრობლემური სულაც არ არის. ალბათ, ამიტომაც ამჯობინებენ, რომ ქვეყანა სწორედ გარეშე თვალმა შეაფასოს.

როგორია საქართველოს პოლიტიკური რისკები?

პოლიტიკური რისკის შემფასებელ სარეიტინგო კომპანიებს საქართველო შეფასებული ნაკლებად ჰყავთ. ძნელია იმის თქმა, რომ საქართველო ინტერესის საგანს არ წარმოადგენს, მაგრამ არის ქვეყნები, რომელთა მიმართაც მეტი დაინტერესებაა. ძირითადად, აქცენტი ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებზე კეთდება. მაგალითად, აზერბაიჯანის პოლიტიკური რისკების ანალიზი არსებობს, მაგრამ საქართველოსი არა, რადგან ამგვარი პირველადი ნედლეული ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია.

საქართველოს, უმთავრესად, საფინანსო მარეიტინგებელი კომპანიები აფასებენ. მათ სამი ძირითადი რეიტინგი აქვთ: საინვესტიციო ხარისხი, სავაჭრო ხარისხი და დეფოლტი, ანუ ბანკროტის ხარისხი.

საფინანსო მარეიტინგებელმა კომპანია Standard and Poor-მა საქართველოს სავაჭრო ხარისხის რეიტინგი მიანიჭა. ეს არის საქართველოს მთავრობის, როგორც მსესხებლის, რეიტინგი. იგი ნიშნავს, რომ ქვეყანასთან შესაძლებელია მოკლევადიანი და ფინანსური სახის ოპერაციების წარმატებით წარმოება.

სავაჭრო რეიტინგებში არის გრადაციები. BB ყველაზე მაღალია ამ გრადაციაში, C – ყველაზე დაბალი. C ნიშნავს, რომ მოვლენები ამ ქვეყნისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელად უნდა განვითარდეს, რომ მან ნაქისრი ვალდებულებების შესრულება შეძლოს. BB ნიშნავს, რომ მოვლენები ძალზე ნეგატიურად უნდა განვითარდეს, რათა ქვეყანამ ვალდებულებები ვერ შეასრულოს. საგულისხმოა, რომ საქართველოს BB აქვს მინიჭებული, ე.ი. სესხის ძირისა და პროცენტის დროულად დაბრუნების თვალსაზრისით, ქვეყანას კარგი მდგომარეობა აქვს.

საინვესტიციო ხარისხის რეიტინგის განსაზღვრის დროს, აქცენტი უკვე გრძელვადიან თანამშრომლობაზე კეთდება. მისი მინიჭება გულისხმობს, რომ უსაფრთხოა ქვეყანასთან გრძელვადიან ასპექტში თანამშრომლობა. ამ რეიტინგში საქართველო ჯერჯერობით არ არის, რაც საინვესტიციო გარემოს, გარკვეულწილად, აფერმკრთავს. თუმცა, Doing Business-ის ბოლო რეიტინგის მიხედვით, რომელსაც მსოფლიო ბანკი ქვეყნების საინვესტიციო გარემოს შემოწმების შემდეგ აქვეყნებს, საქართველომ 117-ე ადგილიდან მე-18 გადაინაცვლა.

სარეიტინგო კომპანიები საქართველოს პოლიტიკურ რისკრეიტინგებს მაინც და მაინც არ ადგენენ, Doing Business-ის მიერ საქართველოსთვის მაღალი რეიტინგის მინიჭების მიუხედავად, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს იმდენად მნიშვნელოვან ფინანსურ და სამომხმარებლო ბაზარს, რომ ამ მარეიტინგებელმა კომპანიებმა სერიოზული რესურსი გამოიყონ საქართველოსთვის სწორი და ზუსტი რეიტინგის გასაკეთებლად. მიუხედავად ამისა, საქართველოს პოლიტიკური რისკის რეიტინგი მაინც არსებობს. ერთ-ერთი მარეიტინგებელი კომპანია AON-ის რეიტინგის მიხედვით, საქართველო მაღალი რისკის ქვეყანას მიეკუთვნება. ის იმ 20 სახელმწიფოს შორის არის, სადაც ბიზნესის წარმოება რისკებთან არის დაკავშირებული. 10-ქულიან შეფასებაში საქართველოს 6.4 აქვს მინიჭებული და მე-19 ადგილია. უკრაინის შეფასებაც, ასევე, 6.4-ია, თუმცა იგი მე-20 პოზიციაზეა. საგულისხმოა, რომ ამ რეიტინგით აზერბაიჯანს უფრო კარგი შედეგები აქვს და ის საშუალოს მაღალი რისკის ქვეყანათა ჯგუფს მიეკუთვნება. საქართველოს წინ კი შემდეგი ქვეყნები არიან: ავღანეთი, ეკვატორული გვინეა, ტაჯიკეთი, სირია, ერაყი, სერბეთი, კოლუმბია, ანგოლა, ვენესუელა, ვიეტნამი, ლიბია, პანამა, ყაზახეთი, სუდანი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ბელორუსი და ეგვიპტე. ამ რეიტინგის მიხედვით შეფასებულია ბიზნესის პარტნიორობის რისკები.

რისკები სულ 9 სფეროს მოიცავს და აქედან საქართველოსთვის პრობლემატურად 8 სფეროა მინიჭებული. ესენია: ეკონომიკა; ვალუტის გაცვლის ტრანსფერი; გაფიცვები; გადასახადების გადაუხდელობა; სამართალი და ხელისუფლება; პოლიტიკური ჩარევა; ომი; ტერორიზმი. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში უცხოური ბიზნეს-კომპანიებისთვის პოლიტიკური რისკებით გამოწვეული ზარალის დაზღვევა საკმაოდ ძვირი ღირს. ფინანსური ინსტიტუტები პოლიტიკურ რისკებს, ძირითადად, აზღვევენ ექსპროპრიაციაზე, მთავრობის მიერ კონტრაქტის შეცვლასა და მსგავს მოვლენებზე. ამ რისკების მხრივ საქართველოს საკმაოდ ცუდი რეიტინგი ჰქონდა და ბუნდოვანი ქვეყნების რიგს მიეკუთვნებოდა. ასეთ ქვეყნებში დამზღვევი კომპანიების მომსახურების პროცენტი მაღალია. ორ ქვეყანაში – ერაყსა და ავღანეთში, პოლიტიკურ რისკებს ფინანსური ორგანიზაციები საერთოდ არ აზღვევენ.

კომპანიას, რომელიც უცხო ქვეყნის ბაზარზე შედის, აინტერესებს, რამდენად მდგრადია იქ საბაზრო ეკონომიკა და რამდენად ჯანსაღი მისი ხერხემალი – დემოკრატია (პირველ ყოვლისა, იგულისხმება საკანონმდებლო ბაზა და სამართლებრივი სიტუაცია). ქართველი ექსპერტები მიიხედევენ, რომ საფინანსო და ეკონომიკური რისკები საქართველოში მაღალია იმდენად, რამდენადაც ქვეყანაში იგნორირებულია ეკონომიკის ბაზისობისა და პოლიტიკის ზედნაშენობის პრინციპი.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის პოლიტიკურ პროცესებს ორმხრივი მნიშვნელობა აქვს: ერთი მხრივ – როგორც პოლიტიკური სტაბილურობის პერსპექტივას, რაც შეიძლება იყოს გარანტი მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობისთვის, მეორე მხრივ – როგორც ზეგავლენის ფაქტორს ეკონომიკურ პროცესებზე. ჩვენს მსგავს ქვეყნებში ძალიან სერიოზული ფაქტორია ინდივიდუალური ხელვა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებისა იმ პროექტზე, რომელიც მონაწილეობა სურს ამა თუ იმ ინვესტორს. შეზღუდული დემოკრატიის ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, ზარალს თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობა განიცდის. მით უმეტეს, უცხოეთიდან შემოტანილი კაპიტალის შემთხვევაში. ფორმულა მარტივია – კოჭლობს დემოკრატია –

ქვეყანა მაღალი რისკისაა, დემოკრატიის თვალსაზრისით, დასაწუნი არაფერია – იქ მშვიდად შეიძლება შევიდეს ნებისმიერი წარმოშობის კაპიტალი.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, ცივილიზებული სამყაროსთვის საქართველო შეიძლება მაღალი რისკის ზონად შეფასდეს. ექსპერტთა აზრით, ინვესტიციების ნაკლებობა განპირობებულია იმით, რომ უცხოურ ბიზნესს საქართველოში არასტაბილურობის განცდა აქვს. პარალელურად, ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ საქართველოს, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საკმაოდ ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობა აქვს, რაც ქვეყანაში ინვესტორის შემოსვლისთვის საუკეთესო გარანტიაა. ექსპერტები ამას საკმარის გარანტიად არ მიიჩნევენ.

საგადასახადო გარემო არ შედგება მხოლოდ გადასახადების განაკვეთებისგან. საგადასახადო გარემო, პირველ ყოვლისა, სამართლებრივი დაცვის მექანიზმისგან შედგება. დღეს კი გადამხდელი აბსოლუტურად დაუცველია. დავხედოთ საინვესტიციო რუკას და დავინახოთ, რა ტიპის კაპიტალი მოდის ქვეყანაში. ძირითადი ინვესტორები რუსები, ყაზახები, ახლა უკვე არაბები და ჩინელები არიან. ანუ ის ინვესტორები, ვისთვისაც პოლიტიკური რისკები პრობლემას არ წარმოადგენს. გარდა ამისა, ეს პოლიტიკურად მოტივირებული კაპიტალიცაა. ქვეყანაში ინვესტიციები იზრდება, მაგრამ არა ისეთი ტემპით, როგორც ამ პოტენციის ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს. საკმაოდ ლიბერალიზებულია ბევრი სფერო. მიუხედავად ამისა, ინვესტორების რაოდენობა ისეთი მაღალი მაინც არ არის, რაც არსებული საგადასახადო კანონმდებლობის პოტენციის შედეგად შეიძლება ყოფილიყო. შეიძლება, ქვეყანაში გადასახადი ნულის ტოლი იყოს, მაგრამ, თუ არ არსებობს გარანტია, რომ კერძო საკუთრება დაცული იქნება და მომდევნო მთავრობა საინვესტიციო ურთიერთობებს, საკუთრებასთან დაკავშირებით შემდგომ გარიგებებს არ გადახედავს, მაშინ ქვეყანაში ინვესტიციების ჩადებას აზრი არ აქვს. ბიზნესმენი გადაწყვეტილებას იღებს არა ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული გადასახადების მიხედვით, არამედ იმით, ექნება თუ არა იქ ქონების შენარჩუნების საშუალება. ბიზნეს-გარემო გადასახადებით რომ იზომებოდეს, სკანდინავიის ქვეყნებში, სადაც გადასახადები მაღალია, ბიზნესი საერთოდ არ იარსებებდა.

*Mania Gogidze
Teona Anesashvili*

THE RISKS IN THE ECONOMY OF GEORGIA

Annotation

Georgia's economy sustained GDP growth of more than 10% in 2006-07, based on strong inflows of foreign investment and robust government spending. However, GDP growth slowed to 2% in 2008 following the August 2008 conflict with Russia, and the economy contracted by nearly 5% in 2009 as foreign direct investment and workers' remittances declined in the wake of the global recession. Georgia's main economic activities include the cultivation of agricultural products such as grapes, citrus fruits, and hazelnuts; mining of manganese and copper; and output of a small industrial sector producing alcoholic and nonalcoholic beverages, metals, machinery, aircraft and chemicals. Areas of recent improvement include growth in the construction, banking services, and mining sectors, but reduced availability of external investment and the slowing regional economy are emerging risks.

Georgia has so far lost up to \$250 million due to reduced economic cooperation with Russia, but the country can survive the blow, the South Caucasus country's finance minister said Thursday. Russia's small, mountainous ex-Soviet neighbor has been subjected to an economic embargo by Moscow, since the two countries became caught up in an intense diplomatic row in September. Russia has cut off mail and transport links with Tbilisi, deported hundreds of Georgians, cracked down on 'illegal' Georgian businesses, and has threatened to halt natural gas supplies from 2007 if Georgia fails to agree to a major price hike.

თეიმურაზ გოგოხია

ფირმის რესურსული კონცეფციის არსი და მნიშვნელობა

ფირმის რესურსული კონცეფცია (resource-based view, resource-based approach) წარმოადგენს კონკურენტულ გარემო პირობებში მოქმედი ფირმის საქმიანობის მიმართ სტრატეგიული ანალიზის ისეთ მიდგომას და, შესაბამისად, სტრატეგიულ ხედვას, როდესაც ფირმის უნიკალურ და სპეციფიკურ რესურსებზე, უნარიანობებსა და კომპეტენციებზე მახედდება ყურადღება ეკონომიკური რენტისა და, შესაბამისად, კონკურენტული უპირატესობის შექმნისა და შენარჩუნებისათვის.

სწორად გამოთქვამენ ისეთ მოსაზრებასაც, რომ რესურსული კონცეფცია ნებისმიერ გარემო პირობებში ფუნქციონირებად ფირმას განიხილავს როგორც სხვადასხვა რესურსის, უნარიანობისა და კომპეტენციის ერთობლიობას.

ცნობილია, რომ ფირმის რესურსული კონცეფციის გარკვეული თეორიული წინამძღვრებისა და ფესვების მოპოვება და მოძიება შესაძლებელია ჯერ კიდევ ადრინდელ ცნობილ ეკონომისტთა (მაგალითად, დ. რიკარდოს, ე. ჩემპერლინის, ჯ. რობენსონის, ჯ. შუმპეტერის და განსაკუთრებით, ე. პენროუხის) შრომებში, დაფიქსირებული სხვადასხვა შეხედულების, მოსაზრებისა და მიგნების სახით.

მიუხედავად ამისა, საყოველთაო აღიარებით, ფირმის სტრატეგიული მართვის რესურსული კონცეფციის თანამედროვე საფუძვლიანი ჩამოყალიბება 1980-იანების შუა წლებში დაიწყო, როდესაც სტრატეგიული ანალიზის ფოკუსი ფირმის გარემო არეალიდან მის შიდა არეალზე გადავიდა [Kamukalo B.C., 2002]. სახელდობრ, კვლევის ამ მიმართულებას დასაწყისი ბ. ვერნერფელტმა მისცა, თავისი სტატიის ("რესურსებზე დაფუძნებული ფირმის ხედვა") გამოქვეყნებით, სადაც განაცხადა – მიუხედავად იმისა, რომ რესურსები და პროდუქცია ფირმისათვის "მონეტის" ორ მხარეს წარმოადგენს, ფირმის სტრატეგიული მართვისათვის რესურსების მხარის ანალიზს შეუძლია უფრო მეტი სარგებლობის მოტანა, ვიდრე პროდუქციის მხარის ანალიზს [Wernerfelt, B., 1984].

მიუხედავად გარკვეული კრიტიკისა, რესურსული კონცეფცია, მისი შემდგომი ინტენსიური განვითარებისა და პოპულარიზაციის შედეგად, უკვე 1990-იანი წლების ბოლოსთვის ფირმის სტრატეგიული მართვის თეორიაში წამყვან და დომინირებდა პარადიგმად იქცა [Kamukalo B.C., 2002].

ამ კონცეფციის პოპულარიზაციისა და მისი პოზიციების ფართოდ გავრცელებაში აღსანიშნავია კ. პრა-კალაისა და გ. პამელის ერთობლივი სტატიის (“კორპორაციის საკვანძო კომპეტენცია”) გადამწყვეტი მნიშვნელობა. ავტორებმა გარკვეულ სფეროში წამყვანი და წარმატებული ორი ამერიკული კორპორაციის მრავალწლიანი საქმიანობის სტრატეგიული ანალიზი ჩატარეს და მიღებული შედეგების საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კორპორაციის (ფირმის) წარმატებული სტრატეგიის მიზანდასახულობასა და რეალიზაციაში უმთავრესი როლი კორპორაციის საკვანძო კომპეტენციებს და, შესაბამისად, ამ უკანასკნელთა დაუფლებასა და განვითარებას უკავია [Praxialad K.K., Hamel G., 2003].

21-ე საუკუნის დასაწყისში ფირმის რესურსული კონცეფციის გაფართოებული და მოწინავე ვერსიები – მათ შორის, “ცოდნაზე დაფუძნებული კონცეფცია” (knowledge-based approach) და “დინამიური უნარების” კონცეფცია (dynamic capabilities approach) – უკვე შესაბამისი მეცნიერული კვლევების ეპიცენტრშია მოქცეული [Kamukalo B.C., 2003] და, შესაბამისად, მისი პოზიციები და დებულებები “სტრატეგიული მენეჯმენტისა” და “ორგანიზაციის თეორიის” სხვადასხვა სახელმძღვანელოშია შეტანილი [Фазй Л., Ренделл Р. (ред.), 2002; Гурков И.Б., 2004; Гурков И.Б., 2006; Дафт Р.Л., 2006; Грант Р.М., 2008; ხარებავა რ., 2012].

როგორც აღვნიშნეთ, ფირმის რესურსული კონცეფციის ჩამოყალიბება განაპირობა სტრატეგიული ანალიზის ფოკუსის გადატანამ ფირმის გარეშე არეალიდან მის შიდა არეალზე, იმისათვის რომ ერთი და იმავე პროდუქტის ბაზარზე მოქმედი სხვადასხვა ფირმის საქმიანობის განსხვავებული ეკონომიკური შედეგების მიზეზები გამოვლინდით.

შესაბამის ლიტერატურაში ხშირად გვხვდება რესურსებზე ორიენტირებული კონცეფციისათვის დამახასიათებელი ისეთი ცნებები, ტერმინები და გამოთქმები, როგორცაა “ფირმის რესურსები”, “ფირმის უნიკალური რესურსები”, “ფირმის ორგანიზაციული შესაძლებლობები”, “ფირმის უნარიანობები”, “ფირმის საწარმოო რესურსები”, “ფირმის ორგანიზაციული უნარიანობები”, “ფირმის ორგანიზაციული უნარ-ჩვევები”, “კორპორაციის საკვანძო კომპეტენციები”, “კორპორაციის საკვანძო პროდუქტი”, “ფირმა, როგორც რესურსებისა და უნარიანობების საცავი”, “ფირმა, როგორც რესურსებისა და უნარიანობების კონა”, “კომპანია, როგორც მატერიალური და არამატერიალური აქტივებისა და უნარიანობების ნაკრები”, “კორპორაცია, როგორც კომპეტენციების პორტფელი” და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ ფირმის რესურსული კონცეფციის არსის სათანადო გაგებისათვის, პირველ რიგში, საჭიროა ჯერ გავერკვეთ შესაბამის ძირითად ცნებებსა და ტერმინებს, შემდგომ კი გავეცნოთ მის ძირითად იდეას, დებულებებსა და პრინციპებს.

განვიხილოთ ამ კონცეფციის ძირითადი ცნებები: “ფირმის რესურსები”, “ფირმის უნარიანობები” და “ფირმის კომპეტენციები”, “კონკურენტული უპირატესობა” და “მდგრადი კონკურენტული უპირატესობა”. შესაბამის ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების მსგავსად, ჩვენს სტატიაში “ფირმის უნარიანობებისა” და “ფირმის კომპეტენციების” ცნებებს ვიყენებთ როგორც სინონიმებს.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის რესურსული კონცეფციის თემატიკაზე მომუშავე ყველა ავტორი თავის ნაშრომებში ცდილობს განმარტოს და დააზუსტოს, თუ რას გულისხმობს გამოყენებულ ამა თუ იმ ცნებაში, რა აზრით იყენებს მათ. განსაკუთრებით ეს ეხება “ფირმის რესურსების” ცნებას, რადგან ლიტერატურაში მისი გაგება მრავალმნიშვნელობით ხასიათდება სხვადასხვა კონტექსტიდან გამომდინარე, რამაც, თავის მხრივ, ფირმის რესურსების კლასიფიკაციის მრავალფეროვნება განაპირობა.

სხვადასხვა ენის განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით, **რესურსების ცნება ფართო გაგებით** მარაგებს, სახსრებს, წყაროს, შესაძლებლობას ნიშნავს; იმას, რასაც გამოიყენებენ რაიმე მიზნის მისაღწევად.

რაც შეეხება ამ ცნების ერთ-ერთ ვიწრო გაგებას, ანუ, ჩვენს შემთხვევაში, “ფირმის რესურსების” ცნებას რესურსული კონცეფციის მიხედვით – ბ. ვერნერფელტი, მაგალითად, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მოცემული ფირმის რესურსებში შეიძლება ვიგულისხმოთ ყველაფერი, რისი წარმოდგენა და აღქმა შესაძლებელია როგორც მისი საქმიანობის ძლიერი ან სუსტი მხარე ფირმის სტრატეგიული მენეჯმენტის განსახორციელებლად. ფირმის რესურსების ცნებას, უფრო ფორმალურად, ავტორი განმარტავს როგორც ისეთ (ხელშესახებ და არახელშესახებ) აქტივებს, რომელიც თითქმის პერმანენტულადაა დაკავშირებული ფირმასთან. მისი აზრით, რესურსებად შეიძლება მივიჩნიოთ საბრუნდო სახელი, ტექნოლოგიის შიდასაფირმო ცოდნა, კვალიფიციური და გამოცდილი პერსონალის გამოყენება, სავაჭრო კონტრაქტები, მანქანა-დანადგარები, ეფექტური პროცედურები, კაპიტალი და ა.შ. [Wernerfelt, B., 1984].

ჯ. ბარნეი თავის ცნობილ და ძალზე პოპულარულ სტატიაში (“ფირმის რესურსები და მდგრადი კონკურენტული უპირატესობა”) ეყრდნობა რა სტრატეგიული ანალიზის ტრადიციულ ენას, რესურსებში გულისხმობს ფირმის ისეთ ძლიერ მხარეს, რომლის სათანადო გამოყენებით ფირმის ხელმძღვანელობას ძალუძს წარმატებული სტრატეგიების ფორმულირება და განხორციელება. ავტორის თვალსაზრისით, ფირმის რესურსების გაგებაში შედის ფირმის ყველა აქტივი, ორგანიზაციული პროცესები, ფირმის ატრიბუტები, ინფორმაცია, ცოდნა და ა.შ., ანუ ყველაფერი, რასაც აკონტროლებს ფირმა და რომლის ხელშეწყობით ფირმას აქვს შესაძლებლობა შეიმუშაოს და ცხოვრებაში გაატაროს თავისი საქმიანობის ეფექტიანობისა და შედეგიანობის გაუმჯობესების სტრატეგიები. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ჯ. ბარნეი, სხვადასხვა ავტორის მიერ რესურსების ტიპების შესახებ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე, რესურსების კლასიფიკაციის შესახებ საკუთარ შეხედულებას აყალიბებს. ის რესურსებს სამ ჯგუფად მყოფს, სახელდობრ: ფიზიკური კაპიტალის, ადამიანური კაპიტალისა და ორგანიზაციული კაპიტალის რესურსებად [Barney, J.B., 1991].

ავტორთა ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების მიხედვით, რესურსებში ყველაფერი იგულისხმება, რისი გამოყენებაც შეუძლია ფირმას სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. თვალში საცემია ისიც, რომ ფირმის რესურსების ცნება ფირმის უნარიანობებისა და კომპეტენციების გაგებასაც მოიცავს.

რესურსული კონცეფციის ერთ-ერთი კლასიკური სტატიის (“კონკურენტული უპირატესობის რესურსული თეორია: დასკვნები სტრატეგიის ფორმულირებისათვის”) ავტორი *რ. გრანტი* რესურსების (firm resources) გაგებას ფირმის უნარიანობების (firm capabilities) გაგებისაგან ერთმანეთისაგან მკვეთრად განასხვავებს. მისი მსჯელობის მიხედვით, ინდივიდუალური რესურსი (მაგალითად, კაპიტალური აღჭურვილობის ელემენტები, ცალკეული მუშაკების უნარ-ჩვევები, პატენტები, საბრუნდო სახელები, ფინანსები და ა.შ.) თავისთავად, შესაძლოა, არ იყოს მწარმოებლური. ამდენად, ფირმის მწარმოებლური საქმიანობისათვის საჭიროა რესურსების კოორპორაცია, ჯგუფებად გაერთიანება და მათი სათანადო კოორდინაცია. აქედან გამომდინარე, ავტორი რესურსებისა და უნარიანობების ცნებებს ერთმანეთისაგან საზგასმით გამოიხსნავს. თუ რესურსებში *რ. გრანტი* საწარმოო პროცესში შესაყვან ფაქტორებს (inputs into the production process) გულისხმობს, უნარიანობაში – რესურსთა ჯგუფის პოტენციურ შესაძლებლობას, კომპეტენციას, შეასრულოს გარკვეული ამოცანა ან განახორციელოს გარკვეული სახის საქმიანობა (the capacity for a team of resources to perform some task or activity). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ სტატიაში ავტორი ლიტერატურაში უკვე ტრადიციულად ჩამოყალიბებულ რესურსთა 6 ჯგუფად კლასიფიკაციას ეყრდნობა, სახელდობრ: ფინანსური რესურსები, ფიზიკური რესურსები, ადამიანური რესურსები, ტექნოლოგიური რესურსები, რეპუტაცია და ორგანიზაციული რესურსები [Grant R.M., 1991].

ფართო გაგებით, “უნარიანობაში” სუბიექტის ან ობიექტის თვისება იგულისხმება, რომლის მეშვეობით მას გარკვეული სახის საქმიანობის ან მოქმედების განხორციელება შეუძლია.

რაც შეეხება ფირმის უნარიანობებს რესურსული კონცეფციის მიხედვით, – ეს ცნება გამოიყენება როგორც “ფირმის კომპეტენციებს” სინონიმ და იმას გულისხმობს, თუ რისი გაკეთება შეუძლია ფირმას [Grant P.M., 2008].

რ. გრანტი თავის “თანამედროვე სტრატეგიული ანალიზის” სახელმძღვანელოში საზგასმით აფიქსირებს, რომ ფირმის რესურსების (ანუ საწარმოო აქტივების) სათანადო და ერთდროული ამოქმედებით, ერთმანეთთან სათანადო დაკავშირებით ფირმის ორგანიზაციული უნარიანობა (ანუ “ფირმის უნარიანობა, განახორციელოს სპეციფიკური მწარმოებლური საქმიანობა”) ყალიბდება და ამ უკანასკნელს ფირმის ეფექტიანი საქმიანობის საფუძვლად მიიჩნევს. ავტორი სტრატეგიული ანალიზისა და მენეჯმენტის რამდენიმე სახელმძღვანელო სქემას გვთავაზობს. სახელდობრ:

1. რესურსების (სახელდობრ, მატერიალური, არამატერიალური და ადამიანური რესურსების) კლასიფიკაციისა და იდენტიფიკაციის სქემა;
2. ორგანიზაციული უნარიანობების ფუნქციონალური და იერარქიული კლასიფიკაციისა და იდენტიფიკაციის სქემა;
3. რესურსებისა და ორგანიზაციული უნარიანობების პოტენციურ მომგებიანობაში (ან კონკურენტული უპირატესობის მიღწევასა და შენარჩუნებაში) შეტანილი წვლილის შეფასების სქემა;
4. რესურსების, უნარიანობებისა და კონკურენტული უპირატესობის ურთიერთკავშირების დადგენის სქემა [Grant P.M., 2008].

აქედან გამომდინარე, საგულისხმოა *დ. ქოლიზისა* და *ს. მონტგომერის* შეხედულება, რომლის მიხედვით, კომპანიები ფიზიკური (მაგალითად, ელექტროგაყვანილობა) და არახელშესახები (მაგალითად, საბრუნდო სახელები ან ტექნოლოგიური “ნოუ-ჰაუ”) აქტივებისა და უნარიანობების ძალზე განსხვავებულ და უნიკალურ ნაკრებებს, ერთობლიობებს წარმოადგენენ [Collis, D.J., Montgomery, C.A., 1995].

აგრეთვე არსებობს უფრო ზოგადი მოსაზრება ერთმანეთისაგან გამოყოფილი და გამოიხსნევი ცნებების, სახელდობრ, რესურსებისა და უნარიანობების (კომპეტენციების) შესახებ. თუ რესურსები უფრო ფირმის აქტივებს უკავშირდება, უნარიანობები – მოქმედებების შესრულებას. თუ პირველი განიცდის ცვლას გამოყენების დროს, მეორე – დროთა განმავლობაში უფრო ვითარდება, უფრო კვალიფიციური, სრულყოფილი და, ამავე დროს, უფრო რთულად კოპირებადი ხდება [Гурков И.Б., 2006].

შესაბამის ლიტერატურაში არსებული “ფირმის რესურსებისა” და “ფირმის უნარიანობების” ცნებების ზემოთ აღწერილი გაგების შემდგომ, შესაძლოა გავცნოთ და გავერკვეთ ფირმის რესურსული კონცეფციის ძირითად იდეებსა და პრინციპებს.

საყოფლათო აღიარებით, რესურსული კონცეფციის ძირითადი წინამძღვრები მდგომარეობს შემდგომში:

1. მოცემული დარგის ფარგლებში ფირმები, მათ მიერ კონტროლირებადი სტრატეგიული რესურსებისა და სტრატეგიული მიზანდასახულობების თვალსაზრისით, იდენტური არ არიან და ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავდებიან;
2. მოცემული დარგის ფარგლებში რესურსები სრულად მობილური არ არიან, რის გამოც მათი განსხვავებულობა, სხვადასხვაგვარობა, უნიკალურობა შეიძლება საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენარჩუნდეს [Barney, J.B., 1991].

რესურსული კონცეფცია ფირმის კონკურენტული უპირატესობების შექმნისა და შენარჩუნების წყაროებს სწორედ ამ წინაპირობებზე დაყრდნობით განიხილავს.

თუ ფირმის რესურსული კონცეფცია ფირმის განსაკუთრებული უნარიანობების წყაროდ რესურსებს მიიჩნევს, კონკურენტული უპირატესობების შექმნისა და შენარჩუნების წყაროდ – ფირმის უნარიანობებს [Grant R.M., 1991]. ამავე დროს, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ კონკურენტული უპირატესობების შექმნისა და შენარჩუნების წყაროების მოძიება უნდა ხდებოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის უნარიანობაში, მოახდინოს საერთო კორპორაციული მნიშვნელობის ტექნოლოგიებისა და საწარმოო უნარ-ჩვევების კონსოლიდაცია, ფირმის სათანადო კომპეტენციის შექმნით [Прахаляд К.К., Хамел Г., 2003].

აქვე ხაზი უნდა გაუვსვთ იმას, რომ რესურსული კონცეფცია ერთმანეთისაგან ისეთ ცნებებს განასხვავებს, როგორც არის “კონკურენტული უპირატესობა” და “მდგრადი კონკურენტული უპირატესობა”.

ფირმა კონკურენტულ უპირატესობას მაშინ აღწევს, როდესაც მის მიერ განხორციელებული ფასეულობის შექმნის სტრატეგიას, ამავე დროს, ვერც ერთი მისი არსებული თუ პოტენციური კონკურენტი ვერ ასორციელებს [Barney, J.B., 1991].

ფირმა მდგრად კონკურენტულ უპირატესობას მაშინ აღწევს და ინარჩუნებს, როდესაც მის მიერ განხორციელებული ფასეულობის შექმნის სტრატეგიას, ამავე დროს, ვერც ერთი მისი არსებული თუ პოტენციური კონკურენტი ვერ ასორციელებს და როდესაც ამ უკანასკნელთ ამ სტრატეგიის უპირატესობების კოპირება არ შეუძლიათ [Barney, J.B., 1991].

საერთოდ უნდა ითქვას, რომ “ორგანიზაციის (ფირმის) რესურსებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მდგრად კონკურენტულ უპირატესობას, უწოდებენ სტრატეგიულ აქტივებს” [ხარუბაია რ., 2012, გვ. 81].

ზემოთ მოყვანილი სხვადასხვა ავტორის შეხედულებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფირმის რესურსული კონცეფციის მიხედვით, სტრატეგიულ ანალიზსა და მენეჯმენტში ხაზი ესმევა იმ სპეციფიკურ, სტრატეგიულად მნიშვნელოვან რესურსებსა და უნარიანობებს, მათ ურთიერთთავსებად ერთობლიობას, რომლის მეშვეობით ფირმა აღწევს და ინარჩუნებს წარმატებას ბაზარზე ხანგრძლივადიან პერსპექტივაში.

კ. პრაქალაძისა და გ. ჰამელის მიხედვით, ფირმის ამგვარ სტრატეგიულად მნიშვნელოვან, ანუ “საკვანძო” კომპეტენციაში იგულისხმება “ორგანიზაციის კოლექტიური სწავლების, შემეცნების შედეგი, განსაკუთრებით სხვადასხვა საწარმოო უნარ-ჩვევის კოორდინაციაში და სხვადასხვაგვარი ტექნოლოგიის ინტეგრაციაში”. ამგვარი კომპეტენცია ხშირი გამოყენების შედეგად უფრო ძლიერდება. იგი გულისხმობს ორგანიზაციის შიდა-საფირმო იერარქიის სხვადასხვა დონიდან და სხვადასხვა ფუნქციონალური სფეროდან თანამშრომელთა შორის კომუნიკაციას ყოველგვარი შემზღუდავი შიდაორგანიზაციული საზღვრების დადგენის გარეშე [Praxhalad K.K., Hamel G., 2003].

აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, საკვანძო კომპეტენციები სამი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისაგან შედგება. სახელდობრ:

1. “ნოუ-ჰაუ” (აქ კონკურენტებისათვის უცნობი ცოდნა და უნარ-ჩვევა იგულისხმება, რომელსაც ფირმა საკუთარი პროდუქციის წარმოება-გასაღების პროცესში იყენებს),
2. სისტემები, რომლებიც წარმოება-გასაღების პროცესის სიმძლავრეს უზრუნველყოფენ, და
3. განსაკუთრებული გარე კონტაქტები და კავშირები [Гурков И.Б., 2006].

ლიტერატურაში ფართოდ გაგრძელებულია ფირმისათვის რესურსების სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და ღირებული სტატუსის განმსაზღვრელი ოთხი კრიტერიუმი:

1. რესურსი უნდა იყოს ფასეული;
2. რესურსი უნდა იყოს იშვიათი;
3. რესურსი უნდა იყოს რთულად კოპირებადი და იმიტირებადი;
4. რესურსი უნდა იყოს რთულად ცვალებადი [Barney, J.B., 1991].

თუმცა არსებობს დ. კოლიზისა და ს. მონტგომერის ოდნავ განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვით რესურსების ამგვარი სტატუსის განსაზღვრად საჭიროა ჩატარდეს მათი ტესტირება შემდეგი ხუთი კრიტერიუმის საფუძველზე:

1. ტესტი იმიტირებადობაზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად რთულია რესურსის კოპირება;
2. ტესტი ვადიან გამძლეობაზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად დროში სწრაფად მიმდინარეობს რესურსის გაუფასურება;
3. ტესტი კუთვნილებაზე, ანუ იმაზე, თუ ვის მიეკუთვნება ის ფასეულობა, რომელსაც ქმნის რესურსი;
4. ტესტი ცვალებადობაზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია მოცემული უნიკალური რესურსის შეცვლა სხვა რესურსით;
5. ტესტი კონკურენტულ უპირატესობაზე, ანუ იმაზე, თუ რომელი რესურსია რეალურად უკეთესი [Collis, D.J., Montgomery, C.A., 1995].

აქვე აღსანიშნავია რესურსული კონცეფციის მიხედვით ის სამი გარემოება, რომლის დროსაც რესურსი რთულად კოპირებადობისა და იმიტირებადობის თვისებას ინარჩუნებს:

1. ფირმის განვითარების უნიკალური ისტორიული პირობები;
2. რესურსებისა და კონკურენტულ უპირატესობას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ერთმნიშვნელოვნად დადგენის სირთულე;
3. ფირმაში არსებული სოციალური მდგომარეობის (მათ შორის, ორგანიზაციული კულტურის, თანამშრომლებს შორის ურთიერთობის, რეპუტაციისა და ა.შ.) აღქმის სირთულე [Barney, J.B., 1991].

ფირმის რესურსული კონცეფციის ძირითადი იდეა და პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ფირმის ეფექტიანი ფუნქციონირების სტრატეგიის შემუშავებისა და გატარების პირველადი განმსაზღვრელია მისი რესურსებისა და უნარიანობების ერთობლიობა.

რესურსული მიდგომა ყველა ფირმის უნიკალურობას უსვამს ხაზს და წარმატების საწინდრად კონკურენტულ ბრძოლაში საკუთარი განსხვავებულობის გამოყენებას მიიჩნევს. რესურსებისა და უნარიანობების მოპოვებისა და დაგროვების სირთულიდან გამომდინარე, ფირმებს ძალუძთ დაეუფლონ მათ უნიკალურ ერთობლიობას.

აღსანიშნავია სტრატეგიული აზროვნებისათვის რესურსული კონცეფციის ორი უმთავრესი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი:

1. ფირმის მიერ ღირებულების შექმნის (და არა ხარჯების შემცირების) პრიორიტეტი;
2. კონკურენციაში გასამარჯვებლად ფირმის მიერ საკუთარი კომპეტენციების შექმნის (და არა ნებისმიერი გზით კონკურენტის დამარცხების) პრიორიტეტი [Катяло В.С., 2003].

რესურსული კონცეფცია, აკეთებს რა აქცენტს ფირმის საკუთარი რესურსების, შიდაორგანიზაციული შესაძლებლობებისა და უნარიანობების უნიკალური პორტფელის შექმნაზე, ან მოპოვებასა და განვითარებაზე,

ფირმას აძლევს სათანადო ორიენტაციას, მიაღწიოს და შეინარჩუნოს ხანგრძლივადიანი და მდგრადი კონკურენტული უპირატესობა მძაფრ კონკურენტულ გარემო პირობებში.

როგორც უკვე ითქვა, ფირმის რესურსული კონცეფცია ძალზე პოპულარული გახდა და მისი პოზიციები ფართოდ გავრცელდა სტრატეგიული აზროვნების როგორც აკადემიურ, ასევე საქმიან წრეებში.

მიუხედავად იმისა, რომ რესურსული მიდგომის კონცეპტუალურ ფუნდამენტზე დაყრდნობით განვითარდა თანამედროვე სტრატეგიული ანალიზის რამდენიმე მიმართულება, სახელდობრ, 1. ფირმის დინამიური უნარიანობების კონცეფციისა და 2. ცოდნაზე დაფუძნებული კონცეფციის, ანუ ფირმის ინტელექტუალური პოტენციალის კონცეფციის სახით, გვინდა მივუთითოთ იმაზეც, რომ ლიტერატურაში ცნობილია რესურსული კონცეფციის მიმართ განხორციელებული კრიტიკაც.

აქ გამოვეყოფთ არსებული კრიტიკისა და შენიშვნების რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას:

1. რესურსული კონცეფცია ფირმის აღმოცენების მიზეზებს არ ხსნის, ანუ ფირმის თეორიის საყოველთაოდ აღიარებულ ყველაზე მთავარ კითხვაზე ცალსახა პასუხს არ იძლევა [Тамбова В.Л., 2010];

2. რესურსული კონცეფცია გარკვეული სახის ტავტოლოგიით ხასიათდება – “წარმატებული ფირმები წარმატებულები არიან იმიტომ, რომ უნიკალური რესურსები გააჩნიათ, ასე რომ, ფირმებმა უნიკალური რესურსები უნდა მოიპოვონ და განავითარონ, რომ წარმატებული გახდნენ” [Тамбова В.Л., 2010];

3. რესურსული კონცეფცია მეცნიერეულობის ერთ-ერთ კრიტერიუმს არ პასუხობს, კერძოდ ე.წ. ფალსიფიცირებულობის კრიტერიუმს [Тамбова В.Л., 2010];

4. რესურსული კონცეფცია კონკურენტულ გარემოსაგან გარკვეული სახის “ჩაკეტილობით” ხასიათდება [Тамбова В.Л., 2010], ანუ ყურადღება ექცევა ფირმის განსხვავებულ რესურსებსა და უნარიანობებს დარგობრივი კონკურენციის ფაქტორთა გათვალისწინების გარეშე, რომლებიც, თავის მხრივ, ძალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ფირმის სტრატეგიაზე [Катаевский Д.Ю., 2008];

5. რესურსულ კონცეფციას არ ძალუძს დაადგინოს ის შემთხვევითი მექანიზმები, რომლებიც ხშირად ხანგრძლივადიანი კონკურენტული უპირატესობის შექმნის წყაროს როლში გამოდიან [Катаевский Д.Ю., 2008], და, აქედან გამომდინარე, რესურსებისა და კონკურენტულ უპირატესობას შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირების არაერთმნიშვნელოვანი გაგების აღიარებით რესურსული კონცეფცია ძნელად გადასაღას ბარიერებს ქმნის თეორიის ნორმატიულ ნაწილში და, ამდენად, მას რაიმე რეკომენდაციის შემუშავება ურთულდება [Тамбова В.Л., 2010] და სხვა.

კარგად რომ გავიგოთ ფირმის რესურსული კონცეფციის ადგილი, როლი და მნიშვნელობა სტრატეგიული მართვის სისტემაში, სტრატეგიული მართვის ერთ-ერთი პოპულარული სახელმძღვანელოდან მოვიყვანოთ საინტერესო არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გახდა ასე ძლიერ პოპულარული რესურსული მიდგომა და, შესაბამისად, რესურსებსა და უნარიანობებზე დაფუძნებული სტრატეგიის კონცეფცია და რატომ მოახდინა ასეთი სერიოზული ხეგაგლეხა სტრატეგიული მართვის კვლევების მიმართულებასა და პრაქტიკოს-მენეჯერთა სტრატეგიულ აზროვნებაზე, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული კრიტიკისა და შენიშვნებისა.

ამ სახელმძღვანელოს ავტორის თვალსაზრისით, ზემოთ დაფიქსირებულ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა, გავერკვეთ ფირმის იდენტობისა და მიზნების დადგენის საკითხში. ცნობილია, რომ, ტრადიციულად, ფირმების ხელმძღვანელები აზროვნებდნენ ბაზარზე ორიენტაციის საფუძველზე, ანუ იმ ბაზრის ხედვაზე დაყრდნობით, რომელზედაც მოქმედებენ, ორიენტირებული არიან რა თავისი პროდუქციის ან მომსახურების არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებზე. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებლების მოთხოვნილებები, ბაზრის კონიუნქტურა და საერთოდ ფირმის გარე არეალი, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება, მისი გარემო პირობები ხასიათდება მუდმივი ცვალებადობით და მერყეობით, ბაზარზე ორიენტირებულ სტრატეგიას არ ძალუძს უზრუნველყოს ფირმის მიმართულებისა და მიზანდასახულობის სტაბილურობა და უცვლელობა, განსაკუთრებით ხანგრძლივადიან პერსპექტივაში. ამ ვითარებაში ფირმის საკუთარი იდენტობის დადგენისათვის ბევრად უფრო სტაბილური საფუძვლის შექმნა შეუძლია რესურსებსა და უნარიანობებზე დაფუძნებულ სტრატეგიას [Grant P.M., 2008].

ასე რომ, ფირმის იდენტობის დადგენა, გამომდინარე იქიდან, თუ რისი კეთების უნარი გააჩნია მას, უზრუნველყოფს სტრატეგიისათვის უფრო ძლიერ ფუნდამენტს, ვიდრე ფირმის იდენტობის განსაზღვრება, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებლების მუდმივად ცვალებად მოთხოვნილებებზე, რომლის დაკმაყოფილებასაც ცდილობს ფირმა [Grant P.M., 2008].

ამავე დროს, სტრატეგიული მართვის სახელმძღვანელოებიდან ცნობილია, რომ, ერთი მხრივ, “სტრატეგიის შემუშავება უნდა ეფუძნებოდეს ბაზრის დრმა ცოდნას, საწარმოს პოზიციის ბაზარზე შეფასებას, საკუთარი კონკურენტული უპირატესობის გაცნობიერებას” [ხარება რ., 2012, გვ. 40], მეორე მხრივ კი, “სტრატეგია მიმართულია იმაზე, რომ ფირმის რესურსები და უნარიანობები შეეფერებოდნენ გარემოში აღმოცენებად შესაძლებლობებს” [Grant P.M., 2008].

რესურსული კონცეფციის ადგილის და როლის გასარკვევად, თავიდანვე აღსანიშნავია ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული სტრატეგიული ანალიზის ე.წ. SWOT-სქემა (Strengths – შიდასაფირმო სიძლიერე, Weakness – შიდასაფირმო სისუსტე, Opportunities – გარემოს შესაძლებლობები, Threats – გარემოს საფრთხეები), რომლის გამოყენების საფუძველზე შესაძლებელია ფირმის სტრატეგიული მართვა უწყვეტი და მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად ძლიერი შიდასაფირმო მხარეების ექსპლუატაციით, სუსტი შიდასაფირმო მხარეების დაძლევით, გარემოში აღმოცენებადი შესაძლებლობების გამოყენებით და გარემოდან მოსალოდნელი ხიფათების ნეიტრალიზაციით [Barney, J.B., 1991].

ნათელია, რომ ფირმის ყველა რესურსი და უნარიანობა არ შეიძლება იყოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ანუ ჩაითვალოს მის ძლიერ შიდასაფირმო მხარედ.

ამიტომ, რესურსული კონცეფციის მიხედვით, ფირმის ამოცანაა, დაადგინოს მისი საკვანძო რესურსები და კომპეტენციები, რომელიც შეიძლება მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მიღწევისა და შენარჩუნების

წყაროდ გამოვლინდეს ამა თუ იმ გარემო სიტუაციაში ან ამა თუ იმ გარემო პირობებში. როგორც წესი, “რესურსული სტრატეგია უპირატესობას ანიჭებს არამატერიალური რესურსების ანალიზს, ისეთებისა, როგორცაა ადამიანური რესურსები, ინტელექტუალური კაპიტალი და ცოდნა” [ხარებავა რ., 2012, გვ. 80].

ცნობილია ისიც, რომ ფირმები, რომელთა სტრატეგიები შიდასაფირმო უნარიანობების, როგორც შიდასაფირმო სიძლიერის (ანუ ფირმის ძლიერ შიდა მხარის), მოპოვებასა და განვითარებაზე იყენებენ ორიენტირებული, გარემოს ცვლილებებს წარმატებით ერგებოდნენ და ეწყობოდნენ, სახელდობრ, გარემოში აღმოცენებადი შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენებით და გარემოში წარმოქმნილი და მოსალოდნელი ხიფათების თავიდან აცილებით.

ამავე დროს, რესურსული მიდგომის მიხედვით, მიუხედავად რესურსებისა და უნარიანობების მოცემული დარგის ფარგლებში ნაკლებად (არასრულად) მობილურობისა, ფირმის ხელმძღვანელობას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ხანგრძლივადიან პერსპექტივაში ის რესურსი და კომპეტენცია, რომელიც დღეს მისთვის საკვანძოა, ანუ სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, და წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის წყაროს, ხვალ შესაძლოა დაკარგოს თავისი უნიკალური სტატუსი.

ფირმის რესურსული კონცეფციის ყველაზე ძლიერ მხარედ აღიარებულია უნიკალური, სხვა კომპანიების მიერ ძნელად კოპირებადი კომპეტენციების დაუფლების საფუძველზე მძაფრი კონკურენტული ბრძოლის პირობებში ფუნქციონირებადი ფირმის წარმატებული სტრატეგიის შემუშავებისა და პრაქტიკაში რეალიზაციის შესაძლებლობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ კონცეფციის ის პრინციპი, რომელიც გულისხმობს ნიჭიერი თანამშრომლების გადაადგილების შესაძლებლობასა და აუცილებლობას ფირმის შიგნით იმ ადგილას, სადაც მათი გამოყენება უფრო ეფექტიანი იქნება [Praxhalad K.K., Hamel G., 2003].

საერთოდ, “რესურსული თეორია მოწოდებულია, გამოავლინოს კავშირები და ახსნას კონკურენტული უპირატესობის ფაქტორები, მათი დინამიკა ფირმის რესურსების კატეგორიებში” [ხარებავა რ., 2012, გვ. 80].

სტრატეგიული მართვის თეორიისა და პრაქტიკისათვის რესურსული კონცეფციის როლი ძალზე მნიშვნელოვანია. ამ კონცეფციამ შემოიტანა რიგი სიახლე, სახელდობრ:

1. განისაზღვრა და განიმარტა ის პირობები, რომლის დროსაც ფირმები აღწევენ კონკურენტულ უპირატესობას ეკონომიკური წონასწორობის მდგომარეობაში [Kathykalo B.C., 2003];
2. ფირმების ეკონომიკური შედეგების განსხვავებულობის ახსნაში დადგინდა შიდაორგანიზაციული მიზეზების პრიორიტეტი, დარგობრივი მიზეზების მიმართ [Kathykalo B.C., 2003];
3. ორიგინალურად განიმარტა სტრატეგიული მართვისათვის უმნიშვნელოვანესი “კონკურენტული უპირატესობის” ცნება (რესურსული კონცეფციის მიხედვით კონკურენტული უპირატესობა მიიღწევა, როდესაც ფირმა თავისი უნიკალური ორგანიზაციული რესურსების გამოყენებით ახორციელებს ისეთ სტრატეგიას, რომლის ერთდროული რეალიზაცია აღარ ძალუძს მის არც ერთ არსებულ ან პოტენციურ კონკურენტს) [Kathykalo B.C., 2003];
4. შეიქმნა “მდგრადი კონკურენტული უპირატესობის” კონცეფცია და პირველად განხორციელდა მისი პრაქტიკულად ჩამოყალიბების მექანიზმში გარკვევის მცდელობა [Katalievskiy D.Yu., 2008];
5. განიმარტა, თუ ერთი ტიპის რესურსები, სხვებთან შედარებით, უფრო რატომ უწყობენ ხელს კონკურენტული უპირატესობის შექმნას [Katalievskiy D.Yu., 2008];
6. გასაგები გახდა, თუ რატომ არის შესაძლებელი რესურსული ასიმეტრია და კონკურენტული უპირატესობის მიღწევა და შენარჩუნება იმ ბაზრების პირობებშიც, რომლებიც სრულყოფილ კონკურენციას უახლოვდებიან [Katalievskiy D.Yu., 2008];
7. მოხდა მენეჯმენტის განსაკუთრებული როლის გაცნობიერება რესურსების სამომხმარებლო პროდუქციად გარდაქმნის საქმეში ფირმის რესურსული ბაზის დროული გამოვლენით, შემუშავებით და დაცვით, არაფერი რომ ითქვას პროფესიული ტომ-მენეჯმენტის როლის შესახებ, რომელიც ფირმაში თავისთავად წარმოადგენს ძალზე ფასეულ, საკვანძო და სტრატეგიულად მნიშვნელოვან რესურსს [Katalievskiy D.Yu., 2008];
8. თუ ადრე სტრატეგიული მართვის დედაბურს ხედავდნენ ფირმის ოპტიმალურ შეუღლებაში მის სპეციფიკურ გარემოსთან, ანუ, თუ ადრე სტრატეგიული მართვა იყო “რეაქტიური”, რესურსული კონცეფციის მიხედვით იგი გახდა “პროაქტიური”, რადგან საჭირო გახდა ფირმის უნიკალური რესურსებისა და უნარიანობების გარემოს მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ წინმსწრებად შექმნა და განვითარება [Kathykalo B.C., 2003] და ა.შ.

საერთოდ, რესურსული კონცეფცია მყარ საფუძველს ქმნის ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების თვისებრივი ანალიზისათვის, შესაძლებელს ხდის, დადგინდეს უნიკალური, საკვანძო და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რესურსები და უნარიანობები, რომლის ეფექტიანი მართვით ფირმა არა მხოლოდ მიადწევეს, არამედ კიდევაც შეინარჩუნებს კონკურენტულ უპირატესობას საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში [Katalievskiy D.Yu., 2008].

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმ წარმატებებისა, რომელსაც მიადწევა რესურსულმა მიდგომამ და, შესაბამისად, ძალზე პოპულარული გახდა სტრატეგიული მართვის თეორიასა და პრაქტიკაში, თვითონ რესურსული კონცეფციის მიმართულებით მომუშავე მკვლევართა და აპოლოგეტთა აღიარებით, ამ სფეროში ჯერ კიდევ რჩება ბევრი გადაუჭრელი პრობლემა და პასუხგასაცემი კითხვა, სახელდობრ:

1. ძალიან ცოტაა ცნობილი ორგანიზაციული უნარიანობების მიკროსტრუქტურის შესახებ, არ არის გარკვეული თუ როგორ წარმოიქმნება და ვითარდება ეს უნარიანობები [Грант Р.М., 2008];
2. არ არის ცალსახად გაცემული პასუხი შემდეგ კითხვაზე – ფირმებს შეუძლიათ თუ არა შექმნან სრულიად ახალი ორგანიზაციული უნარიანობები, თუ უნარიანობები წარმოადგენს ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლებისა და, შესაბამისად, ამ გზით დაგროვილი ცოდნის შედეგს? ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემით ფირმა მიიღებს გადაწყვეტილებას, ან გამოიყენოს, შეინარჩუნოს

და განავითაროს ფორმაში არსებული რესურსებისა და უნარიანობების ერთობლიობა, ან აიღოს ორიენტაცია ამ ერთობლიობის რადიკალურ შეცვლაზე [Grant P.M., 2008];

3. ძალზე სუსტადაა შემუშავებული რესურსებისა (განსაკუთრებით, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი არამატერიალური და ადამიანური რესურსების) და ორგანიზაციული უნარიანობების იდენტიფიკაციის, შეფასებისა და განვითარების მეთოდები [Grant P.M., 2008] და ა.შ.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებისა, რესურსული კონცეფცია იმიტომ გახდა დომინირებადი სტრატეგიული მართვის თეორიაში, რომ კონცეპტუალურად გამძლე, სიცოცხლისუნარიანი, რეალური ალტერნატივა შეიმუშავა, ამ სფეროში წამყვანი დაგეგმარებისა და პოზიციონირების სკოლების საპირისპიროდ [Kathyalo B.C., 2002].

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ სტრატეგიული მენეჯმენტისა და, განსაკუთრებით, მისი რესურსული კონცეფციის თანამედროვე მკვლევარის *გ. კატკალოს* ოპტიმისტური მოსაზრება რესურსული კონცეფციის პერსპექტივებთან დაკავშირებით, რომ მისი საბაზისო იდეებისა და ცნებების შემდგომი განვითარება რეალურად შეუწყობს ხელს ამ კონცეფციის ცენტრალური ამოცანის გადაწყვეტას, სახელდობრ, მდგრადი კონკურენტული უპირატესობის წყაროების დადგენას ფორმის თანამედროვე რადიკალურად და ფორსირებულად ტრანსფორმირებადი ბიზნესგარემო პირობებში [Kathyalo B.C., 2002].

ლიტერატურაში ფორმის რესურსული კონცეფციის არსისა და პრინციპების, როლისა და მნიშვნელობის შესახებ არსებული შეხედულებების გაცნობის საფუძველზე შესაძლებელია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ფორმის რესურსული კონცეფციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ, უპირველეს ყოვლისა, ფორმას განიხილავს როგორც სხვადასხვა რესურსის, უნარიანობისა და კომპეტენციის სინერგიულად ურთიერთთავსებად ნაკრებს და რომ კონკურენტული უპირატესობის შექმნისა და შენარჩუნებისათვის ფორმა ყურადღებას ამახვილებს საკუთარ განკარგულებაში მყოფ უნიკალურ და სპეციფიკურ რესურსებზე და ორიენტირებულია უნიკალური და სპეციფიკური ორგანიზაციული უნარიანობებისა და კომპეტენციების დაუფლებასა და განვითარებაზე;

2. ფორმის რესურსული კონცეფციის ძირითადი იდეა და პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ფორმის ეფექტიანი ფუნქციონირების სტრატეგიის შემუშავებისა და გატარების პირველადი განმსაზღვრელია მისი რესურსებისა და უნარიანობების ერთობლიობა;

3. რესურსული მდგომარეობა ფორმის სტრატეგიული მართვის მიმართ ხაზს უსვამს ყველა ფორმის უნიკალურობას და კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების საწინდრად მიიჩნევს საკუთარი განსხვავებულობის გამოყენებას;

4. რესურსული კონცეფცია აკეთებს რა აქცენტს ფორმის საკუთარი რესურსების, შიდაორგანიზაციული შესაძლებლობებისა და უნარიანობების უნიკალური პორტფელის შექმნაზე, აძლევს ფორმას სათანადო ორიენტაციას, მიაღწიოს და შეინარჩუნოს ხანგრძლივადიანი და მდგრადი კონკურენტული უპირატესობა მძაფრ კონკურენტულ გარემო პირობებში;

5. რესურსული კონცეფციის ყველაზე ძლიერ და მნიშვნელოვან მხარედ აღიარებულია სხვა კომპანიების მიერ ძნელად კოპირებადი ორგანიზაციული უნარიანობებისა და კომპეტენციების დაუფლების საფუძველზე კონკურენტულ გარემოში მოქმედი ფორმის წარმატებული სტრატეგიის შემუშავებისა და პრაქტიკაში რეალიზაციის შესაძლებლობა;

6. რესურსული კონცეფციის მიხედვით ფორმის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ამოცანაა, დაადგინოს მისი საკვანძო რესურსები და კომპეტენციები, რომელიც შეიძლება მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მიღწევისა და შენარჩუნების წყაროდ გამოვლინდეს ამა თუ იმ გარემო სიტუაციაში ან ამა თუ იმ გარემო პირობებში;

7. რესურსული კონცეფციის მნიშვნელოვანი ადგილი და როლი სტრატეგიულ აზროვნებაში მდგომარეობს იმაში, რომ მყარ საფუძველს უქმნის ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი შიდა მხარეების თვისებრივი ანალიზისათვის, შესაძლებელს ხდის, დადგინდეს უნიკალური, საკვანძო და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რესურსები და უნარიანობები, რომლის ეფექტიანი სტრატეგიული მართვით ფორმა არა მხოლოდ მიაღწევს, არამედ შეინარჩუნებს კიდევაც კონკურენტულ უპირატესობას საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მძაფრი კონკურენტული ბრძოლის პირობებში;

8. რესურსული კონცეფციის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს მდგრადი კონკურენტული უპირატესობის წყაროების დადგენა, განსაზღვრა და გამოყენება ფორმის თანამედროვე, ფორსირებულად ცვალებად გარემო პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხარებავა რ. (2012). *ფორმის ეკონომიკური სტრატეგიები*. თბილისი, გამომცემლობა “უნივერსალი”.
2. Barney, J.B., (1991). Firm Resources and Sustained Competitive Advantage. *Journal of Management*, 17, (1), pp.99–120.
3. Barney, J.B.; Wright, M.; Ketchen, Jr., D.J. (2001). The resource-based view of the firm: Ten years after 1991. *Journal of Management*, 27 (6), pp. 625–641.
4. Collis, D.J., Montgomery, C.A. (1995). Competing on Resources: Strategy for the 1990s. *Harvard Business Review*, 73 (July-August), pp.118-128.
5. Conner, K.R. (1991). A Historical Comparison of Resource-Based View and Five Schools of Thought within Industrial Organization Economics: Do We Have a New Theory of the Firm? *Journal of Management*, 17, (1), pp. 121–154.
6. Grant R.M. (1991). The Resource-Based Theory of Competitive Advantage: Implication for Strategy Formulation. // *California Management Review*, Vol. 33, # 3 (pp. 114-135)
7. Wernerfelt, B. (1984). A resource-based view of the firm. *Strategic Management Journal*, Vol.5, pp. 171–180.
8. Wernerfelt, B. (1995). The Resource-Based View of the Firm: Ten Years After. *Strategic Management Journal*, 16, (3), pp. 171–174.

9. Грант Р.М. (2003). Ресурсная теория конкурентных преимуществ: практические выводы для формулирования стратегии. // *Вестник С.-Петербургского ун-та*. Серия 8, Вып. 3 (№ 24).
10. Грант Р.М. (2008). *Современный стратегический анализ*. Санкт-Петербург, «Питер» (перевод с англ.).
11. Гурков И.Б. (2004). *Стратегический менеджмент организации*. Москва, «ТЕИС» (Глава 2. Корневые компетенции фирмы).
12. Гурков И.Б. (2006). *Стратегия и структура корпорации*. Москва, «Дело» (Глава 3. §3.2. Ресурсная теория стратегии корпорации: ресурсы и компетенции).
13. Дафт Р.Л. (2006). *Теория организации*. Москва, ЮНИТИ-ДАНА (перевод с англ.).
14. Каталевский Д.Ю. (2008). Эволюция концепций стратегического менеджмента: от Гарвардской школы внешней среды до ресурсного подхода к управлению. // *Государственное управление. Электронный вестник*, Выпуск № 16. Сентябрь.
15. Катъкало В.С. (2002). Ресурсная концепция стратегического управления: генезис основных идей и понятий. // *Вестник С.-Петербургского ун-та*. Серия 8, Вып. 4 (№ 32).
16. Катъкало В.С. (2003). Место и роль ресурсной концепции в развитии теории стратегического управления. (предисловие к разделу). // *Вестник С.-Петербургского ун-та*. Серия 8, Вып. 3 (№ 24).
17. Катъкало В.С. (2003). Исходные концепции стратегического управления и их современная оценка. // *Российский Журнал Менеджмента*, № 1.
18. Прахалад К.К., Хамел Г. (2003). Ключевая компетенция корпорации. // *Вестник С.-Петербургского ун-та*. Серия 8, Вып. 3 (№ 24).
19. Самосудов М.В. К вопросу о понятии «ресурс». // http://www.samosudov.ru/Articles_only_this_site.htm.
20. Самосудов М.В. Классификация ресурсов для бизнеса. // http://www.samosudov.ru/Articles_only_this_site.htm.
21. Тамбовцев В.Л. (2010). Стратегическая теория фирмы: состояние и возможное развитие. // *Российский Журнал Менеджмента*, Т. 8, № 1.
22. Фэй Л., Ренделл Р. (ред.) (2002). *Курс MBA по стратегическому менеджменту*. Москва, Альпина Паблишер (перевод с англ.).

Teimuraz Gogokhia

THE ESSENCE AND PRINCIPLES OF RESOURCE-BASED VIEW OF THE FIRM

Annotation

In the article the essence, role and significance of the resource-based view of the strategic management of a firm is considered on the basis of the corresponding literature review.

Aysel A.Guliyeva

CONSTRUCTION HUMAN CAPITAL INDICATOR OF SOCIAL GROUPS

Study of human capital and the development of measures to improve its level are key elements of the strategy for socio-economic development in the modern post-industrial society. In our reality, the key resource for socio-economic development is a human - his knowledge, skills, abilities, health and creative potential. So the problem of human capital development, including the development of measures to ensure its production capacity and is a key mark. This is indicated by numerous Investigations on the role of the human factor in economic development.

In a context where many of the key indicators of living conditions and demonstrate the dropdown dynamics, it is necessary to find out what happens to the social group's human capital.

My review has shown that an adequate study of the human capital social groups still not developed.

Formation and development of human capital theory

Human, his abilities and creative qualities with which he transforms himself and the world, have traditionally occupied a central place in the social and economic sciences. However, the intensive development of the material and technical base of production associated with the industrial revolution, overshadowed the problems of development of human and his productive capacity, creating the illusion of superiority of physical capital in economic growth. As a consequence - for many years the productive ability of the person examined and evaluated as one of the quantitative factors of production. The main objective was only to successfully combine work, fixed and circulating capital. Modern conditions of globalization of the world economy, information production processes once again drew the attention of economists to the internal capabilities of the individual - level of education, creativity, health, morals and general culture, etc. That is why in recent years research in the field of human capital become increasingly important.

The problem of human capital development has deep roots in the history of economic thought. The first attempt to estimate the monetary value of the productive qualities of man made V.Petty - founder of English classical political economy. He noted that the wealth of a society depends on the type of work people, distinguishing useless exercises and activities that "enhance the skills of people and have them to this or that kind of activity, which in itself is of great importance"

V. Petty also saw great benefit in public education. His view was that "schools and universities should be organized so as to prevent the possibility of the ambitions of parents preferred to flood these places blockheads, and that, as students can be elected are really capable of"

Later, the idea of human capital is reflected in the "Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations" Adam Smith . Productive qualities of the worker he saw as the main engine of economic progress before. Adam Smith wrote that "the increase in useful labor productivity depends only on increasing agility and skill work, and then on improving the machines and tools with which he worked."

The main idea of his study, which is one of the key human capital theory is that the costs associated with the productive investments in human, promote productivity growth and compensated with profits.

At the end of XIX - XX centuries . economists such as J.Makkulloh , J.B.Sey , J.Mill , N.Senior believed that man acquired the ability to work should be treated as capital in his "human" form. So, in 1870 J.R.Makkulloh clearly defined human as capital. According to him , rather than to understand capital as part of the production industry, unusual person who could be made applicable for its support and contribute to the production , it seems there are no valid reasons for which the person never could be considered , and a lot of reasons why it can be considered as formed part of the national wealth.

Important contribution to the understanding of the problem introduced by JB Sy. He argued that the skills and abilities acquired through costs , lead to increased productivity and therefore can be considered as capital. Assuming that a person's ability can accumulate , JB Say called them capital.

John Stuart Mill wrote: "The man himself ... I do not see how the wealth . But his acquired abilities that exist only as a means and generated work, with good reason , I believe , fall into this category " . And further: " The skill, energy and perseverance of working in the same country are considered as its wealth , as well as their tools and machines "

The founder of neo-classical economic theory A. Marshall (1842-1924 years) in their research on "Principles of economics " (1890) drew attention to the fact that " the motives that impel a man to accumulate personal capital in the form of investments in education, similar to those that motivate the material to accumulate capital. "

In the late 30-ies. The twentieth century. Nassau Senior, suggested that people can be successfully treated as capital . In most of his arguments on this subject, he took this as an acquired skill and ability, but not the man himself. Nevertheless, he treated the person as a capital maintenance costs , invest in with the expectation to benefit in the future. Aside from the terminology used by the author , his arguments resonate very closely with the theory of reproduction of labor power Marx . A key part of the definition of " labor " in Marx and theorists of human capital is one and the same component - human abilities . Their development and combined effectiveness of Marx repeatedly said , emphasizing the need to develop " individual."

Scientific studies of the classics of world economic thought , the development of market economy practices allowed in the 50s and 60s of the XX century formed the theory of human capital in a separate section of the economic analysis . Return economic theorists in the late 50 's and early 60's the idea of human capital and intensive development of this area in the western economic theory caused by objective reasons . It is an attempt to reflect the actual national economic shifts generated by the technological revolution and to express that in the present conditions of immaterial elements of wealth accumulation (scientific achievements , the level of education of the population , etc.) has become of paramount importance for the whole course of social reproduction. Merit of its nomination by the famous American economist and Nobel Prize in 1979 T.Shultsu and basic theoretical model was developed in the book of G.Becker (Nobel Prize 1992) "Human Capital : A Theoretical and Empirical Analysis ." This work became the basis for all subsequent research in this area and has been recognized as a classic of modern economics.

The analysis is based G.Bekker put ideas about human behavior as rational and appropriate, using concepts such as price , rare , opportunity costs , etc. , to a variety of aspects of human life . He formulated the concept became the basis for all subsequent research in this area .

Human capital, according to G.Becker - is available at each store of knowledge, skills and motivations. Investments it may be education, accumulation of professional experience, health, geographic mobility, information retrieval. "These investments will improve the skills, knowledge, or health and therefore contribute to the increase of cash or in-kind incomes."

Other researchers in the field of human capital (T.Shults, E.Denison, J.Kendrik) treated as capital formation of each person only.

T. Schultz for his work on the theory of "human capital" and " investing in people " gained fame father revolution investment in human capital . For him, these investments had " wide horizon ." These included investments in education in educational institutions , at home, at work, etc.

Investing in human capital (particularly in education) he believed the only way to overcome the country's poverty . Time and effort students T. Schultz assessed as more than half of the total cost in the education process . He spent assessing labor costs, including the costs of education and the "lost " human time spent in school. Important role T. Schultz averted improve the education of women and higher education of youth , considering " the three main functions of higher education" discovery of talent , training and research. " Investment in people not only increase the level of productivity , but also the economic value of his time." T. Schultz was the first to apply to it the same categories by which classical political economy analyzes capital in the usual sense : income , investment conditions , etc. (in the economic sense comparing with real human capital).

According to T. Schultz and his supporters :

between human capital and real no fundamental differences , as one and bring the other income;

increase investments in human capital significantly alters the structure of wages. The bulk of it - is the income from human capital;

investment in human capital investments in real ahead , so ownership of real capital gains of secondary importance ;

society , investing more in human can achieve not only the growth of the product , but also its distribution more uniform .

Summarizing, we can say that the evolutionary development of society is accompanied by the evolution of a person's status in the economic system of society.

All possible computerization of production processes , the interest in growth factors , commissioning of complex management mechanisms have resulted in the formation of an independent branch of economic analysis of the theory of human capital in the 60- ies of XX century . Her supporters (T.Shults , G. Becker , etc.) come from the existence of two factors of production :

physical capital , which brings together all the elements of the productive forces, except for the employee;

From this position , they argue that the investment in human capital made life and treat them spending on education, health maintenance , etc.

Thus , the most complete human capital can be described as follows: a congenital formed as a result of investment and savings certain level of health , education, skills, abilities , motivation , energy , cultural development, as a particular individual, group of people , and society as a whole that it is expedient to use in a particular sphere of social reproduction , contribute to economic growth and the impact on the revenues of their owner .

MOLDOVA'S AND GEORGIA'S ECONOMIC RELATIONS WITH THE EUROPEAN UNION¹⁷¹

The formation of the European Union (EU), by the signing of the Treaty of Maastricht on the 1st of November 1993, is one of the most important results of the peoples of Europe, the EU being a unique and unprecedented building of states, a union in which each European country wanted and wants to be part of. The EU currently comprises 28 European countries. The fact that the number of countries that joined after the first six (which had signed the Treaty of Rome) increased, proving the interest caused by the performance achieved by this integrationist form. According to World Bank statistics, in 2004 the EU is the most important global economic pole, defeating the United States (US) as the absolute size of Gross Domestic Product (GDP) by nearly 8% in that year. Subsequently the gap increased for EU in 2008 when it amounted nearly 25% of GDP in advance. With a population of over 500 million, representing 7,2% of the world population, the European Union generates a GDP of 16,67 trillion U.S. dollars in 2012 (more than any other country in the world), which represents 23% of estimated worldwide GDP.

Relations between the EU and Former Soviet Countries started just after the break-up of the Soviet Union and the fall of the communist regime. The EU was one of the first to assist these countries on their way to Europeanization. Former Soviet Countries saw in Europe values to which those who lived during the Iron Curtain and the Cold War, aspired to return. However, the natures of these relationships with the EU were quite different for different countries. Some of the former socialist countries such as Estonia, Latvia, Lithuania, Poland, Slovenia and Slovakia were the first to declare their desire to integrate into of the European Union, and this event happened sooner for them, on the 1st of May, 2004. Very soon these countries were followed by Romania and Bulgaria, which joined the European Union in 2007.




Fig. 1. GDP per capita growth in some EU countries compared with Georgia and Moldova

Source: Prepared by the authors based on the source [5]

The results of the accession of these countries to the EU are remarkable. Thus for example in Estonia in 2008 the GDP grew up by 72% compared to 2005, the unemployment rate fell from 7,9% in 2005 to 5,5% in 2008 and the human development index increased in the same period from 0,830 to 0,842. In Romania the GDP's growth by 72% was achieved in just two years after accession, while the unemployment rate was reduced during the nominated period from 7,3% to 5,8%, and the human development index increased from 0,763 in 2006 to 0,784 in 2008.

We believe that the analysis of these indicators in the coming years is not relevant, the economy of the EU countries, as well as other countries of the world economy being adversely affected by the global economic crisis. This, however, does not reduce the economic benefits of the EU integration. More than that, the benefits of the European course begin to appear much earlier than integration, the candidate countries to EU integration benefiting from financial support to achieve the necessary conditions for accession.

The European course of the Republic of Moldova and of Georgia is very alike, and it began on the 18th of December, 1989, when the Agreement on Trade and Economic Cooperation - Trade between the USSR and the European Communities was signed. Moldova and Georgia have become parties to this Agreement under the right of succession to treaties. Subsequently these relations have evolved in several stages such as the signing the Partnership and Cooperation Agreement; the European Union Action Plan within the European Neighborhood Policy; the Eastern Partnership and the Association Agreement. The relations between Moldova and the EU were formally launched on November 28, 1994 by signing the Partnership and Cooperation Agreement, which entered into force on the 1st of July 1998. Georgia signed such an agreement on the 22nd of April 1996 and it entered into force in 1999. Within this agreement, the EU provided Moldova and Georgia a general system of preferences (GSP) to facilitate the access for Moldovan and Georgian goods to the EU market. The year 2004 was marked by the most important wave of EU enlargement, when 10 European states joining this organization. This changed Moldova's and Georgia's perspectives on their European course because that year, the EU adopted the European Neighborhood Policy to support the Eastern European countries aspirations for integration as it meant, moving beyond cooperation to a significant degree of integration. The EU - Moldova Action Plan in the context of the European Neighborhood Policy was sign on February 22, 2005. More than that on March 24, 2005 a unanimous decision of the Parliament on our integration in the EU was approved. The European Neighborhood Policy Action Plan between the EU and the Government of Georgia was adopted on the 14 of November 2006. On May 7, 2008, in Prague, the Eastern Partnership, a cooperation framework with six ex-Soviet countries: Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova and Ukraine has officially been launched. Moldova's accession to the Eastern Partnership happened on 7 May 2009, and Georgia's on the 3rd of December 2008. During 2010 both the Republic of Moldova and Georgia had begun negotiations on visa liberalization and the signing of Association Agreements.

¹⁷¹ This article was prepared in the context of the program Marie Curie Action, EU-PREACC— Possibilities and limits, challenges and obstacles of transferring CEE EU pre-accession best practices and experience to Moldova's and Georgia's pre-accession process (2013-2017)

However, unlike the Association Agreements with countries from the Central Europe and Western Balkan the Association Agreements with the countries of Eastern Europe will not stipulate a definite prospect of their integration into the EU however it will recognize their aspirations and vocation for European Integration.

The relations between Moldova and the EU went further than in the case of Georgia, though Georgia is expecting to sign an Association Agreement in due time. At the Third Summit of Eastern Partnership held in Vilnius on 28 and 29 November 2013 Association Agreement with the Republic of Moldova, including the creation of a deep and comprehensive free trade area (DCFTA) and liberalization visa regime with the EU was signed. Since April 28, 2014 Moldovan citizens have the right to free travel in the EU [6,7,8].

The signing of the Association Agreement with the EU opens new opportunities for the Moldovan economy. As an associate member, Moldova will benefit from large opportunities, especially for the development of trade relations with the EU. In the 2000-2013 period some of the Commonwealth of Independent States (CIS) have become unpredictable, especially the Russian Federation. From this perspective, local producers incurred losses of tens of billions of lei.

In the context of this background a review of the foreign trade policy of the Republic of Moldova is required in order to ensure the economic security and the independence of the country. Analyzing the geography of exports, we find that compared with 2000, in 2012 the structure of Moldova's trade relations have suffered a radical qualitative change.




Fig. 2. Moldovan exports by groups of countries

Source: Prepared by the authors based on the source [9]

Thus we can conclude that in the field of commercial-economic relations, the EU has become the number one trading partner for Moldova, surpassing the CIS. So if in 2000 the share of Moldova's exports to CIS countries represented 58,6%, the main part of them being to Russia, with a share of 44,5% in total exports, in 2012 the share of exports to CIS zone was reduced to 43%, including the share of exports to Russia of 30,3% of total exports. On the other hand the statistical data denotes an increase of the share of Moldovan exports to EU countries from 35,1% in 2000 to 46,9% in 2012, the main partner of the Republic of Moldova in the EU being Romania, the share of Moldovan exports in this country being increased from 8% in 2000 to 16,5% in 2012. We believe that future exports to the EU will increase, due to the favorable conditions that were created for the stable trade relations with the West.

So, the repeated embargoes by Russia in 2005 and in 2007 to the production of wine and strong drinks have had a positive influence on the geography of trade, but also on the quality of Moldovan products and on the country's approached to European countries. Local exporters understood that there are and other doors that could be opened for foreign trade. Simultaneously they introduced European standards certification to Moldovan production, which also offers an opportunity to invest in competitive production. We believe that in the context of the Association Agreement the reshaping trend of exports to the EU ought to be maintained. Taking into consideration the fact that the dependence on the Russian market is still significant, the state, however, has to make all the necessary efforts for that, including the informational and financial support for those who wish to export to the European market




Fig. 3. Georgian exports by groups of countries

Source: Prepared by the authors based on the source [10]

Regarding Georgia, the situation is quite different. In 2012 most of the country's export were oriented to CIS countries, the share of the exports to these countries being of 52,4%, followed by exports to the EU, with a share of 14,9% in the country's exports. So compared to 2000, the share of exports to CIS, and therefore dependence on these countries, increased, however the share of exports to EU countries fell. The analysis of exports by country, however, shows that even if the CIS market dependency increases, however due to Russia's embargoes, the share of exports in this country went down from 20,72% in 2000 to 1,93% in 2012.

Through, compared with Moldova, Georgia is more independent in relation to the Russian market and has large opportunities for the exports' expansion on EU market.




Fig. 4. Moldovan imports by groups of countries

Source: Prepared by the authors based on the source [9]

Regarding the imports we can conclude that high quality goods and products from Western countries, which have a superior level of quality certification, make their way to the market of Moldova and Georgia. Trends in imports from the EU and other countries, shown in Figures 4 and 5 reflect an increasing dynamics, while those from the CIS reflect a decline in recent years. Regarding the economic relations with Russia, Moldova's imports from this country have a constant share of 15% in the analyzed period while in Georgia this indicator went down from 13,1% in 2000 to 6,0% in 2012.




Fig. 5. Georgian imports by groups of countries

Source: Prepared by the authors based on the source [10]

The arguments given above prove that the Association Agreement with the EU recognizes Moldova's and Georgia's European aspirations and covers a number of areas of cooperation aimed at the development of close political relations and economic integration with the EU, including the free movement of goods through the gradual establishment of the free trade area with the EU, the free movement of labor by ensuring non-discriminatory treatment for Moldovan and Georgian citizens legally employed in EU Member States and financial cooperation, which will outline the principles and criteria under which Moldova will benefit from financial assistance from EU to implement the objectives of the Association Agreement. Thus although the signing of this agreement does not give the countries the candidate status, as for the Baltic states and Central European states, however it involves a number of stimuli to boost economic life in relation to European countries and open new perspectives on economic development of the countries. That's why these efforts to reorient business to the European market must be sustained and by the state, by providing financial and informational support to increase the quality of products exported to the European market, to promote the agro food products on this market, where the degree of saturation is high and the competition is a fierce one.

Bibliography

1. Certan S., Certan I. Integrarea economică în Uniunea Europeană Chişinău: CEP USM, 2013. 347 p. ISBN 978-9975-71-323-8;
2. Patraş M. Consecinţele estimate ale aderării Republicii Moldova la Uniunea Europeană. In: Studia Universitatis, USM, Chişinău, 2008, nr.3(13), Seria „Ştiinţe exacte şi economice”, ISSN 1857-2073;
3. Josan I. Costuri si beneficii de integrare a RM in UE. In: Administrarea publică. AAP, Chişinău 2011, N.3.-P.92-94, ISSN 1813-8489;
4. Чеботарь С., Стеркул Н. Измерение отношений: Республика Молдова – Российская Федерация. In: Moldoscopie, USM, Chişinău, 2014, nr.1 (LXIV), p.192-199. ISSN 1812-2566;
5. www.worldbank.org
6. www.mfa.gov.md
7. eu-nato.gov.ge
8. www.eeas.europa.eu
9. www.statistica.md
10. www.geostat.ge

ორგანიზაციაში ინოვაციური პროცესების დანერგვა და სტრატეგიული მიმდინარეობის მართვის სრულყოფისათვის

შესავალი

საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკასა და ბიზნესში დამკვიდრებული სხვადასხვა ორგანიზაციული სისტემების საფუძვლიანი შესწავლა და მათში ყველაზე უფრო ქმედითი კომპონენტების გამოკვეთა. ორგანიზაციის მართვის, ორგანიზაციული ქცევის და შრომის ორგანიზაციის აპრობირებული, ეფექტიანი პრაქტიკა, რომელიც დამკვიდრებულია განვითარებულ ქვეყნებში, მრავალია, თუმცა მათ სიმრავლეში შეიძლება გამოიკვეთოს ძირითადი მიმართულებები.

ორგანიზაციაში მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, წარმოადგენს ყველაზე უფრო ადეკვატურ გზას განვითარებადი ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. ქცევის და ეფექტიანობის ამაღლებისთვის ხშირია ისეთი სახის ინოვაციების განხორციელება, რომლებიც არ ესადაგებიან არსებული ორგანიზაციული და ეროვნული კულტურის თავისებურებებს, რის შედეგადაც მათი ეფექტიანობის ამაღლება პრობლემატური ხდება.

ორგანიზაციის მართვაში განხორციელებული ცვლილებები თანამედროვე პირობებში

ორგანიზაციაში ცვლილებების წამოწყება ბევრი ადამიანისთვის გაიგივებულია საფრთხესთან, რადგან ეს გულისხმობს არსებულის შეცვლას. ცვლილებასთან დაკავშირებული შიში გასაგებია, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ დღევანდელ დინამიკურ სამყაროში ძალიან სწრაფად იცვლება გარემოებები, შესაბამისად ორგანიზაციული ცვლილებები გარდაუვალია. აქედან გამომდინარე, მენეჯერებს ეკისრებათ ეს ფუნქციაც – განახორციელონ ცვლილება ორგანიზაციაში და გაუმკლავდნენ წინააღმდეგობას ცვლილებების მიმართ, რადგან ეროვნული კულტურის განსხვავებებმა შესაძლოა, დიდი გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის ეფექტიანობაზე.

ნებისმიერი სტრუქტურული ცვლილება როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას ახდენს ორგანიზაციაზე, ცვლის ძალთა ბალანსს, ცვლის პროცესებს. როგორც ხადადაც არ უნდა ვხედავდეთ იმ დადებით ეფექტებს, რომელსაც ცვლილების იდეაში ვხედავთ, საგულისხმოა, რომ ამას სხვა ცვლილებებიც მოჰყვება. აქედან რაღაც ნაწილი, შესაძლოა ორგანიზაციისათვის ძალიან საზიანო აღმოჩნდეს. ამიტომ საჭიროა, ნებისმიერ ცვლილებას ბევრად უფრო სერიოზულად მოვეყვილოთ.

სტრატეგიული მენეჯმენტი მოწოდებულია, გაზარდოს ცვლილებებისადმი ორგანიზაციის ადაპტაციის უნარი. ცვლილებები, ერთი მხრივ, წარმოშობს საფრთხეებს, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ბიზნესისთვის ახალი შესაძლებლობების წყაროა. მაგალითად, ინტერნეტის გამოყენებამ საფუძველი დაუდო ელექტრონული კომერციის უსწრაფეს განვითარებას. თითქმის ყველა დარგში მოღვაწე კომპანიამ, მიუხედავად მათი სიდიდისა და განლაგებისა, მომხმარებელთან ახლებური ურთიერთობისა და ბაზრისათვის ახალი პროდუქციის შეთავაზების შეუძლებელი საშუალება მიიღო. ამასთან, მუდმივად გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწრაფად ცვალებადი კონკურენტული გარემოების პირობებში ინოვაცია დიდხანს არ ინარჩუნებს სიახლეს. სტრატეგია, რომელსაც იყენებს კომპანია, სწრაფად იქცევა ტიპურად, ანუ აღარ წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის წყაროს, ამიტომ აუცილებელია, დიდი ყურადღება დაეთმოს ცვლილებებს, რაც მათ არა მარტო შესწავლას და სწორ გაგებას მოითხოვს, არამედ მართებულ გამოყენებასაც. სწორედ აღნიშნულ საკითხს შევეხებით ქვემოთ, კერძოდ იმას, თუ როგორ უნდა მოახდინოს კომპანიამ გარემოში მიმდინარე ცვლილებებთან ადაპტირება, ანუ, უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, რა და როგორ უნდა შეიცვალოს საკუთრივ ორგანიზაციაში.

კომპანიის საქმიანი რეპუტაცია და კომერციული შეთავაზების იმიჯი განსაზღვრავს მის გარეგნობას. წარმატების მისაღწევად ნებისმიერი მეწარმე სუბიექტი უნდა ცდილობდეს, მისი გარეგნობა უნიკალური იყოს ბაზარზე. ამის მიღწევა დიფერენცირების მეშვეობით არის შესაძლებელი. **დიფერენცირება ნიშნავს კომპანიის იმიჯისა და კომერციული შეთავაზების განსხვავებით აღჭურვას კონკურენტი კომპანიის იმიჯისა და ანალოგიური კომერციული შეთავაზების მიმართ.** ის, თუ რამდენად აგრესიულად მოქმედებს კომპანია ბაზარზე მომხმარებლების მიზიდვის, მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის, დიდწილად განსაზღვრავს მისი სტრატეგიის ზოგად ხასიათს.

ორგანიზაციის გარეგნობის ცნება დაკავშირებულია საზოგადოების ცნობიერებაში მის შესახებ არსებულ წარმოდგენასთან. ამასთან, აუცილებელია, რომ მომხმარებელს ცალკეული კომპანიის შესახებ კონკურენტებისგან განსხვავებული აღქმა ჰქონდეს, რაც დიფერენცირების მეშვეობით მიიღწევა. დიფერენცირება არის მომხმარებლის მიერ მოცემული ფირმის საქონლის შექმნით მიღებული უნიკალურ ფასეულობათა წყარო. თუ ფირმამ არ განახორციელა დიფერენცირება, მაშინ მომხმარებელს არ გააჩნია განსაკუთრებული მიზეზი მაინცდამაინც აღნიშნული კომპანიის პროდუქციის შესაძენად. მაგალითად, რომელიმე ფირმის საქონლის ყიდვის დროს, სანამ მომხმარებელი არ დარწმუნდება, რომ მას კონკურენტებთან შედარებით უნიკალური თვისებები ან უფრო მაღალი ფასეულობა აქვს, მანამ არ გაუნდება აღნიშნული კომპანიის საქონლის შექმნის სურვილი. მაგრამ, თუ ფირმა მომხმარებელს შესთავაზებს დაბალ ფასს, მომხმარებლის უფრო სრულყოფილ კომპლექსს ან ნაკეთობის შეკვეთით დამზადებას, ამით მიიზიდავს მას. ამგვარად, სტრატეგიის ძირითადი დანიშნულებაა განსაზღვრული დიფერენცირების შექმნა და შემდგომი გაძლიერება.

იმისათვის რომ ზემოთ განხილული თეორიული ასპექტები თანხვედრაში მოგვეყვანა რეალობაში არსებულ საწარმოს სინამდვილესთან, ჩავატარეთ კვლევა გორის საკონსერვო ქარხანა „Kula“ - ში.

საწარმო საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა, მთიან რეგიონში მდებარეობს. მას საკუთარ ბაღებში მოჰყავს ხილი და ბოსტნეული, რომელიც ირწყვება მთის წყლებით. სწორედ ეს აძლევს საწარმოს საშუალებას აწარმოოს ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის პროდუქცია, კონსერვანტების, ემულგატორების და ქიმიური დანამატების გარეშე.

„გორის ბავშვთა კვების საკონსერვო ქარხანა“, ბრენდით - „Kula“ დაარსდა 2009 წელს. კომპანია თავდაპირველად ორ ბრენდს მოიცავდა – ხილის და ბოსტნეულის ეკოლოგიურად სუფთა წვენებს ბრენდ „Kula“-ს სახელით აწარმოებდა, ხოლო საბავშვო ნატურალურ წვენებს მეორე ბრენდის — „Kula baby“-ს სახელწოდებით. შემდგომი წლების განმავლობაში საწარმო ნელ-ნელა ფართოვდებოდა. ამჟამად, საწარმო უშვებს უკვე 240 დასახელების პროდუქციას. [5]. ალბათ საინტერესოა თუ რით მოახერხა ეს საწარმომ და როგორ შეინარჩუნა სტაბილურობა როგორც წარმოებაში, ასევე თანამშრომლებში.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე ჩვენ ვეცადეთ გამოგვევლინა ქართულ ორგანიზაციულ კულტურაში ორგანიზაციული მართვის, ორგანიზაციული ქცევის, მოტივაციის როლის და მენეჯერთა კადრების განვითარების რიგი ასპექტები, შრომის ორგანიზაციის ეფექტიანობის ამადლების გზები და მექანიზმები, ინოვაციური პროცესები და მათი გავლენა საწარმოს ეფექტიანობაზე.

საწარმო მუდმივად ცდილობს განვითარდეს, ცვლილებების და სიახლეების შემოღების არ ეშინია, ის მზადაა ორგანიზებულად შეხედეს ცვლილებებს, რათა ნაკლებად განიცადოს რყევა. ცდილობს, სწორად შერჩეული სტრატეგიის შენარჩუნებას. საწარმო ძირითადად ორიენტირებულია მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე:

- მუდმივად აკონტროლებს ხარისხს და მიწოდების როგორც სისწრაფეს, ასევე სიზუსტეს. ეს ხელს უწყობს მსოფლიოში არსებულ ხარისხის სტანდარტებთან („ISO“ და „HAACP“) შესაბამისობას;
- ზრუნავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამადლებაზე და წახალისებაზე, რაც მოტივაციის უმთავრესი ფაქტორია;
- ზრუნავს ხელფასის სტაბილურობაზე. აქვს წახალისების მრავალი ფორმა;
- აქვს კონტროლის სისტემის ეფექტური მექანიზმი;
- შემოაქვს ისეთი ინოვაციები ტექნოლოგიებში, რომლებიც ზაინს არ აყენებს პროდუქციას;
- დიდ ყურადღებას აქცევს პროდუქციის ასორტიმენტის მრავალფეროვნებას.

საწარმოს მიზანია ახალი ამოცანების, ახალი ცვლილებების წარმოშობამ საფუძველი შეუქმნას დამატებითი მოთხოვნების შექმნას პერსონალის მიმართ, ფორმირებული ჰყავდეს მაღალკვალიფიციური მმართველობითი გუნდი, რომელიც პროფესიულად გაუძღვება საწარმოს მართვას. ამისათვის აუცილებელია წარმატებით დამუშავდეს და დასანერგად გადაამზადდეს უმაღლესი მმართველობის მოტივაციის სქემები და პერსონალის კომპეტენციების მართვის პროგრამები, რაც უზრუნველყოფს საწარმოს მენეჯმენტის ეფექტიანობას. მართვაში დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრა ყოველთვის წინ წამოწევს ადამიანის ფაქტორს, რომელსაც განსაკუთრებული როლი ენიჭება მენეჯმენტში. საწარმოს მართვის ძირითადი საკითხები და ამოცანები შეხამებულია პერსონალის მენეჯმენტის განვითარებასთან, რამაც წარმატებული გახდა საწარმოს საქმიანობა. საწარმო დიდი მოწონებით სარგებლობს არა მარტო საქართველოში, არამედ მისი პროდუქციის ექსპორტირება ხდება რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ყაზახეთში, თურქმენეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ბალტიისპირეთში, ჩეხეთში, პოლონეთში, საბერძნეთში, ვერმანიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, ისრაელში, აშშ-ში, კანადაში. საწარმოს წარმატებას ეს ფაქტორიც ცხადყოფს.

საწარმოსთვის ასევე მნიშვნელოვანია მოტივაციის სისტემისა და პერსონალის კარიერის მართვის ამოცანების დამუშავება, მენეჯერთა კადრების განვითარების სისტემის ამოცანების დამუშავება, კერძოდ, მმართველობითი პოტენციალის განვითარება, ადამიანური რესურსების ინოვაციური პოტენციალის განვითარება, პერსონალის სწავლებისა და კვალიფიკაციის ამადლება.

საწარმო ზრუნავს აგრეთვე კონტროლის სისტემაზე, მის ორგანიზაციულ სტრუქტურაში ჩართული რამდენიმე კონტროლის სისტემა, რომელიც ემსახურება ხარისხის, მიწოდების, დიზაინის, განლაგების, უსაფრთხოების კონტროლს.

საწარმო „Kula“ სტაბილურობას ინარჩუნებს აგრეთვე ხარისხის საშუალებითაც, ის უშვებს ეკოლოგიურად სუფთა ქართულ პროდუქციას, რომელიც სლოგანს - „ხარისხი მეტია ვიდრე ფასი“ - ამართლებს. ხარისხი კონტროლდება მოსავლის აღებიდან, პროდუქციის რეალიზაციამდე. სწორედ ამან განაპირობა საწარმოს წარმატებაც.

დასკვნა

კომპანიის მიერ კონკურენტულ გარემოში მიმდინარე და მოსალოდნელ ცვლილებათა ცოდნის სიღრმე დიდწილად განსაზღვრავს ბაზარზე მის ქცევას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია აღნიშნული ცვლილებების წინასწარ განჭვრეტის უნარი, აგრეთვე, მათი გამოწვევა და საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება, იმის გაანალიზება, თუ რომელი ბერკეტები უნდა გამოიყენოს მან თავისი საქმიანობის მანევენებლების გასაუმჯობესებლად. თანამედროვე მენეჯერმა, რომელიც ზრუნავს ორგანიზაციის მუდმივ განვითარებაზე, ცვლილებების და ინოვაციების დანერგვაზე, სასურველია გააანალიზოს თუ რომელ გარემოებას შეუძლია მოახდინოს გავლენა ორგანიზაციის მიზნების ფორმირებასა და მიღწევაზე. რით შეიძლება აამაღლოს საკუთარი მიზნების მიღწევის ალბათობა და როგორ უნდა გააკეთოს ეს.

საწარმოსთვის მნიშვნელოვანია ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორებიცაა: ორგანიზაციული, პროცესების, პროექტების, ცოდნის მართვისა და ხარისხის მართვის ამოცანები, ასევე პერსონალის მოტივაციის, პერსონალის შეფასებისა და გადამზადების, პერსონალის განვითარებისა და საზოგადოების კორპორაციული კულტურის მართვის ამოცანები, პერსონალის ეფექტური მართვა, სწორი სტრატეგიის შერჩევა, მიზნის არსებობა და დაუდალავი შრომა მისი მიღწევისათვის, პროდუქციის დიფერენცირება, ხარისხის შენარჩუნება, კონტროლი, ახალი ინოვაციური პროცესების დანერგვა და განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://strategy.ge/2012/12/03/evolution-of-strucutur/>.
2. <http://old.press.tsu.ge/GEO/internet/internetgak/STRATEGIULI/Tavi%202.html>.

3. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., „უნივერსალი“, 2008.
4. სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ №3 (21). თბ., საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2012.
5. <http://www.kula.ge/news.php>.

Tamar Vanishvili

**IMPLEMENTATION OF ORGANIZATIONAL INNOVATIVE PROCESSES AND STRATEGY MANAGEMENT
FOR PERFECTION OF MANAGEMENT
Annotation**

Is considered the carrying out of changes in organization by innovative processes and the necessity of proper strategy selection for its further development and effective functioning.

ანნა თანდილაშვილი

ბიზნესიმიჯი და ეკონომიკური უსიქოლოგიის საკითხები

კონკურენტული ურთიერთობები და ბაზარზე დამკვიდრების სტრატეგია ფირმებს ავალდებულებს, მუდმივად იზრუნონ იმიჯის ამაღლებაზე, საზოგადოებაში რეპუტაციის გაუმჯობესებასა და ამ გზით ბაზარზე საკუთარი პოზიციონირების სრულყოფაზე. პროგრესი ბიზნესში შრომის, ცოდნის და კრეატივის შედეგია, ფირმის კომერციული წარმატების გასაღები კი ურთიერთობებია, რომლის ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური კაპიტალი იმიჯია. იმიჯირება თანამედროვეობის ყველაზე მძლავრი და გავლენიანი ინდუსტრიაა, რამდენადაც კომპანიის საბაზრო უფექტთან ერთად, იმიჯი მომხმარებელს ესმარება რაციონალური არჩევანის გაკეთებაში, სწორედ ამაშია იმიჯის სოციალურ-ეკონომიკური არსი, მისი საზოგადოებრივი ფუნქციონირება. ნებისმიერი ბიზნესის მიზანი ცნობილ ბრენდად ქცევაა, ძლიერი ბრენდი დიდი წარმატება და ის მუდმივი აქტივია, რომელიც ქმნის საზოგადოებრივ აღიარებას და სტაბილურ იმიჯს.

ფირმის ბრენდირებას ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ თუ ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად, დიდად განაპირობებს სუბიექტური ფაქტორებიც, ბიზნესს საქმე აქვს სოციალურად, რომლის გადახდისუნარიანი მოთხოვნა, გემოვნება და მენტალიტეტი სხვადასხვაგვარია ქვეყნების და კულტურების მიხედვით. საერთაშორისო სისტემაში ფირმების ადაპტაცია აუცილებლად მოითხოვს ადგილობრივი ინტერესების, ცხოვრებისა და საქმიანობის, წესჩვეულებების, ტრადიციების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებას, განსხვავებულ სხვადასხვა ხალხების ეთიკური ნორმები და საქმიანი ურთიერთობის ტრადიციებიც. დღეს წარმატებას ის ფირმები აღწევენ, რომლებიც თავიანთი განვითარების სტრატეგიაში აუცილებლად, ეკონომიკურთან ერთად, სოციალურ, პოლიტიკურ თუ უსიქოლოგიურ ფაქტორებს, თითოეული ქვეყნისათვის დამახასიათებელ სპეციფიკაციებს ითვალისწინებენ.

ეკონომიკის თანამედროვე ინტელექტუალიზაცია, მმართველობითი ინოვაციური სისტემები, სამეურნეო გარემოს ახლებური ორგანიზება გადაწყვეტილებების მიღების პროცესისადმი ინდივიდუალურ მიდგომებს ამკვიდრებს. ეკონომიკური განვითარების ტემპებზე დღეს, ძირითადად, გავლენას ახდენს. მისი გახსნილობა, საზოგადოების განათლების დონე და კომუნიკაციები. რაც უფრო ცივილიზებულია სისტემა, მით უფრო მაღალია ამ გავლენის ხარისხი, მით უფრო მეტად ხდება ბიზნესის სტრატეგიებში ქვეყნისათვის დამახასიათებელი სამეურნეო კულტურის და ქვეყნის სტანდარტების გათვალისწინება. მოგებაზე ორიენტირება და ახლებური ბიზნესგარემოს ფორმირება ავალდებულებს კომპანიებს, იზრუნონ თავიანთ პრესტიჟზე, საზოგადოებაში დადებითი იმიჯის ფორმირებაზე.

პოზიტიური იმიჯი ფირმას საშუალებას აძლევს, მოიპოვოს ბაზარზე სათანადო მდგომარეობა, აამაღლოს მომხმარებლის ნდობა, გაზარდოს პროდუქციის მიმზიდველობა და მოახდინოს ბაზარზე მისი მოქმედების კოორდინაცია, უკარნახოს ფასები და ჩამოაყალიბოს საზოგადოების დადებითი აზრი. ძლიერი კორპორაციული იმიჯი ხდება ფირმისათვის ხანგრძლივი მტკიცე წარმატების აუცილებელი პირობა, რაშიც ინტეგრირდება გაყიდვების მოცულობა, ბაზრის ფარდობითი წილი, ტექნოლოგიის ინოვაციურობა, მიზნობრივი პოლიტიკის მოქნილობა, გასაღების ქსელის ხელმისაწვდომობა და სხვა პარამეტრები.

იმიჯის მნიშვნელობა სწრაფად იზრდება, რაც გამოწვეულია ფართომასშტაბიანი კომუნიკაციური ნაკადების მოქმედებით. ადამიანებს უხდებათ დიდი რაოდენობის მასობრივი ინფორმაციის გადამუშავება, საიდანაც ისინი ირჩევენ მაღალი იმიჯის მქონე პარამეტრებს. რამდენადაც ადამიანები მაქსიმალური შინაგანი პარამონიულობის მიღწევას და მის მდგრადობას ცდილობენ, იმიჯს ახასიათებს შედარებითი სტაბილურობაც. კოგნიტიური დისონანსის თეორიის თანახმად [ფესტინგერი, 1957, (3. გვ.13)], – შეხედულებები, გრძნობები და იდეები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან ინდივიდის შეხედულებებთან, გრძნობებთან და იდეებთან, იწვევენ პიროვნების პარამონიის დარღვევას, მის უსიქოლოგიურ დისკომფორტს. ამის საპირისპიროდ, ადამიანი მზად არის განახორციელოს სხვადასხვა მოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს დარღვეული წონასწორობის აღდგენას. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იმიჯის სტრუქტურის თითოეული ელემენტი ინფორმაციულად სრულყოფილად იყოს შევსებული ორგანიზაციის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარკვეული სტრუქტურული შეგავლენით მასობრივი შეგნება თავად შეავსებს თავისუფალ ელემენტებს, რაც, ხშირად, შეიძლება ორგანიზაციისათვის სასიკეთო არ აღმოჩნდეს.

პოზიტიური იმიჯი ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნის მიღწევის ინსტრუმენტია, ამასთან, იგი არ არსებობს ობიექტურად, ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად და აუცილებლად მოითხოვს მიზანმიმართულ, სისტემატურ მუშაობას. კორპორაციული იმიჯის მართვის პროცესი იწყება ორგანიზაციის ვიზუალური ატრიბუტების დამუშავებამდე ბევრად ადრე (ლოგო, საფირმო ბლანკები, ინტერიერი, თანამშრომელთა გარეგნული

სახე და მანერები). ის იწყება ორგანიზაციის სოციალური მნიშვნელობის სტატუსის ფორმულირებით და ორგანიზაციის კორპორაციული ინდივიდუალურობის და „სასიცოცხლო სტილის“ განსაზღვრით, რის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება იმის თაობაზე, როგორ იქნეს მიტანილი ეფექტურად ეს ინფორმაცია მიზნობრივ ჯგუფებამდე, როგორ გახდეს კომპანიის რეალური ღირებულებები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. ამ ეტაპზე ფორმირდება კორპორაციული იდენტურობა, ეს არის კომუნიკაციური საშუალებების სისტემა, რომელიც უნდა ასახავდეს კომპანიის მისიას, სტრუქტურას და მიზნებს.

იმიჯი ხელოვნურად შექმნილი შეხედულებაა, რომელიც მასობრივ ცნობიერებაში ქმნის კეთილგანწყობას კომპანიის მიმართ. იმიჯის შექმნისას ყურადღება კომპანიის იმ მახასიათებლებზეა კონცენტრირებული, რომელთა მიმართ დადებითი დამოკიდებულება არსებობს, იმიჯის მართვა – მასობრივი ცნობიერების პირველადი ფორმირებაა. იმიჯის შექმნისა და დანერგვის ტექნოლოგია ნიშნების, სიმბოლოების ენაზე წარმართული კომუნიკაციაა ადამიანების ფსიქიკის ემოციურ სფეროზე ზემოქმედების მიზნით, ამ გზით ცნობიერებაში დანერგილი ვიზუალური, ხმოვანი თუ ტექსტობრივი ინფორმაცია ფიქსირდება ადამიანის ფასეულობათა სისტემაში და ზეგავლენას ახდენს მის სამომავლო აღქმაზე. იმიჯმა შეიძლება შეავსოს უკვე არსებული სტერეოტიპები, არქეტიპები, სიმბოლური რიგი, ან დამოუკიდებლად მოახდინოს მათი გენერირება. კომპანიის იმიჯის ფორმირება უნდა ფოკუსირდეს მის გარე იმიჯზე (განლაგება, შენობის სტილი და არქიტექტურა, დიზაინი, ფინანსური საიმედოობა, კლიენტთა კონტინგენტი, საზოგადოებაში აქტიურობა) და შიდა იმიჯის პარამეტრებში (პერსონალის მართვა, სოციალური ადაპტაცია, შიდა კომუნიკაციის სისტემა, პერსონალის მოტივაცია და იდენტიფიკაციის სისტემა განმასხვავებელი ნიშნების, სიმბოლოების და კორპორაციული კულტურის სხვა ატრიბუტების საშუალებით) [1. გვ.126].

თანამედროვე პერიოდში კომპანიები დიდ ადგილს უთმობენ კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხს. ისინი აცდილობენ სტრუქტურებს, რომლებიც საზოგადოებრივ კავშირებსა და გარემოსთან ურთიერთობაზე არიან პასუხისმგებელნი. ამ სტრუქტურების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ კორპორაციის ყველა ქმედება უნდა ემყარებოდეს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპს. მეწარმეობის ფილოსოფია გამოდის ბიზნესის საზოგადოებრივი ეფექტის აღიარებიდან, სადაც შრომა იღებს საზოგადოებრივი შრომის სტატუსს, მეწარმის მოგება – საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორის ფუნქციას. უპირატესობა ენიჭება საქმიან ეთიკას, პრინციპულად ახალ მიდგომებს საკომუნიკაციო სისტემებსა და შიდასაფორმო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ორგანიზაციებში იქმნება ახალი სოციალური კლიმატი და მზადდება პირობები ბიზნესის ჰუმანიზაციისათვის, ეს არის სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა, მეცნიერების პოტენციალის სამეწარმეო სექტორში ინტეგრირება, საზოგადოებრივი განწყობის გაჯანსაღება. თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში შეიცვალა თვით სამეწარმეო მსოფლმხედველობა და კულტურა, მეწარმის ინდივიდუალური არჩევანი, საბოლოო ანგარიშით, სოციალურ მნიშვნელობას იძენს, იგი საზოგადოების სამსახურში დგება. ცივილიზებულ სამყაროში სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურობის შეფასებისათვის, პროფესიული კმაყოფილების მიღებასთან ერთად, დღეს ბიზნესმენისათვის პირადი რეპუტაციის განმტკიცება და მისი საზოგადოებრივი აღიარება მიიჩნევა.

კომპანიის საქმიანობა გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ-კულტურულ გარემოში წარმართება, ბუნებრივია, მას არ შეუძლია საზოგადოების ინტერესების უგულვებლყოფა, კორპორაციების ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ პირობას საზოგადოების სტაბილურობა წარმოადგენს. სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების გამოყენება სამეწარმეო გარემოს სიცოცხლისუნარიანობას და ეფექტიანობას ამაღლებს.

თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში იცვლება თვით მეწარმის ფსიქოლოგია, მას უყალიბდება განსაკუთრებული ეთიკა და მსოფლმხედველობა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით. მისი ინდივიდუალური არჩევანი ვალდებდა საზოგადოებრივ ურთიერთკავშირებზე აპელირებით და იძენს სოციალურ მნიშვნელობას. საბოლოო ანგარიშით, იგი საზოგადოების სამსახურშია. მეწარმის მსოფლმხედველობის ამაღლებამ, წარმოების და საორგანიზაციო პროცესების დინამიურმა განვითარებამ, მართვის სისტემის დახვეწამ თავისებური გამოხატულება პოვა მეწარმეობის კულტურის ჩამოყალიბებაში.

საქმიანი ურთიერთობების კულტურა ემყარება სოციალურ ფილოსოფიასა და სოციალურ ფსიქოლოგიას, – ეს არის ღირებულებათა სისტემიდან აღებული სოციალური განწყობის სივრცითი მოცულობითი თემატიკა, იმ უმნიშვნელოვანესი აზრის აღიარებით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში და მათ შორის მეწარმეობაშიც, უმთავრესია კონკრეტული ადამიანი, მისი პირადი თუ შემოქმედებითი ცხოვრება, შესაბამისი საქმიანი ურთიერთობები, იმის მტკიცება, რომ ადამიანის წარმატებული საქმიანობის გარანტია მარადიული ღირებულებების ერთგულება და სამსახურია.

სოციალური პასუხისმგებლობების ამოსავალი პიროვნული ფასეულობებია მისი შეცნობა და საზოგადოების სასარგებლოდ წარმართვა. ადამიანური ურთიერთობების სისტემაში ინტეგრირება ბიზნესის წარმატების ძირითადი ფაქტორი ხდება. საერთო-საკაცობრიო ფასეულობათა საერთაშორისო ცენტრის (ხელმძღვანელი ამერიკელი ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე ნიგერედ მაკნაიერი) დევიზია “ყველაზე ხელსაყრელი – მორალური ბიზნესია”. ადამიანთა ქმედებას სამართლებრივი, სოციალური და პიროვნული ნორმები განაპირობებს. თუკი პირველი მათგანი საკანონდებლო სისტემას ემყრება, პიროვნული ნორმები თავისუფალი არჩევანის აღიარებას მოითხოვს, სოციალური ნორმები კი ეთიკური სისტემით განისაზღვრება. ბიზნესის ეთიკა პროფესიული ეთიკის სფეროს განეკუთვნება და სამეწარმეო სექტორის გარკვეულ მორალურ სტანდარტებს აერთიანებს, იგი პროფესიულ ბიზნესმენტთა ეთიკური ცნობიერების ამაღლებას ითვალისწინებს და მისი ამოსავალი თეზაა თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუძემდებლის პეტერ დრუკერის იდეა – “თუ გარკვეული მოქმედება ლეგალურია, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ის ეთიკურია”. გადაწყვეტილებათა ლეგალიზება სოციალური პასუხისმგებლობის ფუნდამენტური პრინციპია. მეწარმეობის სოციალური მხარე მოითხოვს, რომ კომპანია შემოსავლების მაქსიმიზაციის მცდელობისას არ უნდა არღვევდეს საქმიანობის სამართლებრივ მხარეს და, ამასთან, იგი ვალდებულია პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს მისი საქმიანობის ჰუმანიტარულ და სოციალურ ასპექტებსაც.

სამყაროში, სადაც ბრენდი და რეპუტაცია კომპანიის ყველაზე ღირებული სიმდიდრეა, სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიას მომხმარებლის ნდობას და ურთიერთგაგებას მოაპოვებინებს, რაც მისი წარმატებული მომავლის გარანტიაა. სოციალურ პრობლემებზე ორიენტირება აძლიერებს ბიზნესის მიზიდველობას, იწვევს კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდას, ხელს უწყობს კლიენტების შენარჩუნებას და პერსონალის მეტ ლოიალურობას. გარკვეული მასშტაბით, იგი ხელისუფლებასთან ურთიერთობასაც აუმჯობესებს, რაც, საბოლოო ჯამში, უფრო ხელშემწყობი ბიზნესგარემოს შექმნაში გამოვლინდება.

სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკის მართვის საკითხები მნიშვნელოვანია ყველა კომპანიისათვის. ეთიკური ორგანიზაცია აერთიანებს სამ სოციალურ სტატუსს: მაღალი მორალის ინდივიდებს, ეთიკურ ხელმძღვანელობას და შესაბამის ორგანიზაციულ სტრუქტურებს.

ჩ შ-ის (კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა) სისტემაში ჩართვის მიზანი კომპანიებისათვის მორალური კმაყოფილების და, ამავე დროს, ფინანსური სარგებლის მიღებაა. ამ ორ მხარეს შორის კავშირის დადგენის მიზნით ლონდონის ბიზნესსკოლის მიერ ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევებმა უჩვენა, რომ სოციალურად ორიენტირებულ კომპანიებს სხვა კომპანიებთან შედარებით საშუალოდ 18%-ით მაღალი მოგება აქვთ [4]. კვლევებმა ასევე დაადასტურა, რომ კორპორაციები, რომლებსაც საზოგადოებრივი ვალდებულება ეთიკის კოდებით აქვთ განმტკიცებული, სხვა ფირმებთან შედარებით 2-3-ჯერ უკეთესად მუშაობენ. [4]. Business Review, 1999 Fleishman Hillar-ის კვლევის მიხედვით გამოკითხული ექვსი მყიდველიდან ერთი თვლის, რომ გადაწყვეტილებას იღებს პროდუქტზე მისი მწარმოებლის რეპუტაციის გათვალისწინებით. დიდ ბრიტანეთში გათვითცნობიერებული, ანუ „ეთიკური“ მყიდველის ნავაჭრმა ერთი წლის განმავლობაში დაახლოებით 14 მლრდ ევრო შეადგინა.

საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრმა გამოიკვლია, თუ როგორ აფასებენ საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლს და მის ზეგავლენას კომპანიის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებაზე. კვლევამ უჩვენა, რომ გამოკითხულ ბიზნესმენთა მოსაზრებით, სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება პოზიტიურად აისახება კომპანიის დადებითი რეპუტაციის და იმიჯის შექმნაზე (9.3 ქულა 10 ქულიდან); ზრდის კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნას (8.9 ქულა); ხელს უწყობს კომპანიაში პერსონალის მოზიდვასა და შენარჩუნებას (8.5 ქულა); და ზრდის კომპანიის საინვესტიციო მიზიდველობას (8.5 ქულა). ათქულიან სკალაზე თითოეული დებულების მნიშვნელობა საშუალოზე ბევრად მაღალი ქულით შეფასდა. გამოკითხულთა აზრით, კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა გარკვეულწილად გავლენას ახდენს ადამიანთა ქცევაზე სამომხმარებლო სფეროში, ანუ მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს სოციალურად აქტიურ კომპანიას: სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ხელშემწყობი ფაქტორებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა: ქვეყანაში მსგავსი პრაქტიკის ნაკლებობა, ხელის შეშეშობი კანონმდებლობის არარსებობა, არაჯანსაღი ბიზნესგარემო, არასაკმარისი ფინანსები. უფრო დაბალი სიხშირით დასახელდა საზოგადოების პასიურობა, რეალურად რაიმეს შეცვლის შეუძლებლობა, არასაკმარისი პროპაგანდა და ა.შ.

დასავლეთში კორპორაციული პასუხისმგებლობა ბრენდის სიძლიერის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და საქართველოშიც ის, თანდათანობით, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამ პროცესის წარმატებულად განვითარებისთვის საჭიროა, მოიძებნოს კომუნიკაციის ოპტიმალური გზა, რომელიც დადებით ზეგავლენას მოახდენს საზოგადოებაზე და ხელს შეუწყობს უნდობლობის აღმოფხვრას. კვლევამ უჩვენა, რომ ბიზნესმენები ადეკვატურად აფასებენ საზოგადოებრივად პასუხისმგებელი კომპანიების უპირატესობებს და სოციალური ვალდებულებების განხორციელების დადებით ზეგავლენას კომპანიის საქმიანობაზე. ისინი ძირითად უპირატესობად კომპანიის დადებითი იმიჯის შექმნას და, შესაბამისად, ამ კომპანიის პროდუქციისათვის მომხმარებლის მხრიდან უპირატესობის მინიჭებას ასახელებენ.

სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ყველა სფეროს, მათ შორის საზოგადოებისა და კომპანიების მჭიდრო ურთიერთკავშირის აღიარებას და აქედან გამომდინარე, ითვალისწინებს ფართო სოციალური ვალდებულებების ბიზნესზე დაკისრებას. ფირმების სოციალური აქტიურობა აუმჯობესებს საზოგადოების ცხოვრებას, ზრდის კომპანიების პრესტიჟს და შესაბამისად, მათ ლეგიტიმურობას საზოგადოების აქმაში, გარდა ამისა, რაც უფრო უზრუნველყოფილია ქვეყანა სოციალური თვალსაზრისით, მით უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება ბიზნესის განვითარებისათვის, რამდენადაც სოციალური ვალდებულებები მოგების სტიმულირებას ახდენენ გრძელვადიან პერსპექტივაში.

ნებისმიერ ბიზნესის მიზანი ცნობილ ბრენდად ქცევაა, რასაც ემსახურება ბიზნესიმიჯი. იმიჯი ის ნდობაა, რომლის მოპოვება ძალიან რთულია, იმიჯი კეთილგანწყობაა, რომელიც ძნელად ემორჩილება გონებას და ლოგიკას, იმიჯი პატივისცემაა, რომელიც მოდის ყოველდღიური შრომით. პატივისცემა, – რომელიც ფირმისათვის უდიდესი კაპიტალია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამსტრონგი, კოტლერი. „მარკეტინგის საფუძვლები“. თბ., 2007.
2. ბარათაშვილი ე., მესტევილი ჯავახიძე მ. „მენეჯმენტის საფუძვლები“. თბ., 2000.
3. Алёшина И. Корпоративный имидж: стратегический аспект. М., 1998. www.cfin.ru/press/
4. Institute of Business Ethics, 2003 www.profile.com.ge/
5. CSB Europe/ MORI, 2000). www.PRGUIDE.GE

BUSINESS IMAGE AND ECONOMIC-PSYCHOLOGICAL ISSUES Annotation

The strategy of entering the market makes the firms to raise their image, to improve the reputation among the society and thus perfect their own positioning.

Image making is the strongest industry at contemporary stage as together with market efficiency of the company the image helps the consumer to make rational choice. The goal of any business is to become a famous brand. Strong brand is a great success and permanent active, creating social recognition and stable image.

ნინო ინასარიძე

სამეწარმეო ბიზნესის ფაზინანსება საქართველოში

საქართველოში სამეწარმეო ბიზნესი და მისი დაფინანსება ისევ ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხია. არადა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ხდებოდეს წარმოების დაწყების თუ გაფართოების წახალისება და ხელშეწყობა, რათა გადაიჭრას დასაქმების, ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ზრდის, ამასთან, ქართული პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრების პრობლემა. არსებობს წარმოების დაფინანსების სხვადასხვა წყარო, მათ შორის:

- ინვესტიცია;
- ბანკების და საფინანსო ორგანიზაციების კრედიტი;
- რისკის შემცველი ინვესტიცია (ვენტურე კაპიტალი);
- ლიზინგი;
- ფრანჩაიზინგი;
- სახელმწიფო შეკვეთა;
- გრანტები და სუბსიდიები...

ინვესტიცია

ინვესტიცია სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დარგის საწარმოში, საწარმო-საინვესტიციო პროგრამებსა და საწარმო-საინვესტიციო პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება. ამასთან, ინვესტიცია გულისხმობს ნებისმიერი სახის ფულადი, ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობის ან უფლების გრძელვადიან დაბანდებას საკუთარ ან უცხო ქვეყანაში სამეწარმეო და სხვა ობიექტებში, რომელიც გამოიყენება შესაძლო მოგების ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით.

წარმოების დასაწყებად კი გამოიყენება როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციები. იმისათვის, რომ ორიგინალური ბიზნესიდეის განხორციელება მოხდეს, აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვა, რაც არც ისე ადვილია. ვიდრე ინვესტორი ამა თუ იმ პროექტში, მათ შორის ახალ საწარმოში ფულს ჩადებს, აუცილებელია მისი დარწმუნება იმაში, რომ განსახორციელებელი ინვესტიცია იქნება მომგებიანი და პროექტი წარმატებული. ამასთან, მნიშვნელოვანია იმ პირების კვალიფიკაცია, რომლებმაც შეიმუშავეს დასაფინანსებელი პროექტი ან ბიზნესიდეა. ბიზნესიდეა უნდა იყოს ისეთი პროექტის სახით, სადაც აღწერილი იქნება იდეის აქტუალურობა, ჩამოყალიბებული იქნება სტრატეგიული მიზნები, მისაღები მოგების მასშტაბები და გზები. პროექტი ასევე უნდა მოიცავდეს ბაზრის ანალიზს, გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტების არსებობა, როგორ მოხდეს მათზე უპირატესობის მოპოვება და ბიზნესის განვითარება და გაფართოება. ასევე მნიშვნელოვანია, პროექტის მთავარი ეტაპების დროში განაწილება მისი რეალიზაციის კუთხით და კარგად შედგენილი ფინანსური გეგმა ინვესტიციის სტრუქტურის აღწერით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინვესტორის მოძებნა და მისი დარწმუნება არც ისე ადვილია. უმჯობესია, ინვესტორი ეძებო იმ სფეროში, რომელ სფეროსაც ეხება დასაფინანსებელი პროექტი. მნიშვნელოვანია ბიზნესიდეის ისე გაცნობა პოტენციური ინვესტორისთვის, რომ მან ვერ შეძლოს იდეის განხორციელება ავტორის გარეშე. დასაფინანსებელი პროექტის პოტენციური ინვესტორისთვის გაცნობის და დაინტერესებისთვის არსებობს რამდენიმე საშუალება: 1. ურთიერთობა და მოლაპარაკებების წარმოება პოტენციურ ინვესტორებთან ინფორმაციის გავრცელებისთვის და პროექტის დაინტერესებისთვის; 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით განცხადების და რეკლამის განთავსება; 3. საძიებო სისტემები ინტერნეტში; 4. სოციალური ქსელები და ფორუმები და სხვა.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა როგორც ქვეყნის შიგნიდან, ისე საზღვარგარეთიდან უცხოური ინვესტიციების სახით. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2013 წელს შეადგინა 914.4 მლნ აშშ დოლარი. ბოლო 8 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 2007 წელს, მაშინ უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2 მლრდ დოლარს გადააჭარბა და 2014.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ინვესტიციების მხრივ ყველაზე წარმატებული 2009 წელი იყო, მაშინ ქვეყანაში სულ რაღაც 658.4 მლნ აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია შემოვიდა. უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფაქტორები – ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, გამართული კანონმდებლობა, დაბალი გადასახადები და სხვა.

უცხოურ ინვესტიციებთან ერთად მნიშვნელოვანია შიდა ინვესტიციებიც და სახელმწიფოს მონაწილეობაც კონკრეტულ პროექტებში. მაგალითად, მთავრობის მიერ დაანონსებული „სახელმწიფო ბანკი“,

რომლის მიზანიც იქნება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიის მოგების ინვესტირება სახელმწიფოს მიერ სტრატეგიულად მინიჭებულ დარგებში (ენერჯეტიკა, ინფრასტრუქტურა, წარმოება და ა.შ.). „სახელმწიფო ბანკი“ პროექტებში მონაწილეობას მიიღებს როგორც კაპიტალში მონაწილეობით, ისე პროექტების დაკრედიტებით.

ცხრილი 1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)

2006	1 190.4
2007	2 014.8
2008	1 564.0
2009	658.4
2010	814.5
2011	1 117.2
2012	911.6
2013*	914.4

რისკის შემცველი ინვესტირება – ინვესტიცია ისეთი ბიზნესპარტნიორების მიერ, რომლებიც არ უფრთხიან მაღალ რისკს ბიზნესში, ბანკის კრედიტის გარდა, არსებობს საწარმოს დაფინანსების სხვა შესაძლებლობებიც. ახალი საწარმოს დაფინანსების მოპოვებისთვის ყველაზე გავრცელებულია „რისკის შემცველი ინვესტირება“. აღნიშნული სახის ინვესტიციას აქვს შემდეგი მახასიათებლები: ინვესტორები კაპიტალის დაბანდებისას თანახმა არიან მაღალ რისკზე შესაძლო მაღალი მოგების მიღების ხარჯზე. ხშირ შემთხვევაში ასეთი სახის ინვესტიციების დაბანდება საწარმოს წილის სანაცვლოდ ხდება. ინვესტორი ახორციელებს ინვესტირებული პროექტის რეალიზაციის მუდმივ კონტროლს. აღნიშნული ინვესტიცია გათვლილია რამდენიმე წელზე. მას შემდეგ, რაც ინვესტორი მის მიერ ინვესტირებული პროექტიდან მიიღებს დაგეგმილ მოგებას, იგი გამოდის ბიზნესიდან და ცდილობს მიყიდოს თავისი წილი ძირითად მფლობელს ან სხვა ინვესტორს.

შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით საქართველოში უმეტესი წილი ინვესტიციების მოდის ისეთი სახის ინვესტიციებზე, რომლებიც გათვლილია მაღალ რისკზე. ინვესტორები, რომლებიც საქართველოს საწარმოებში ახორციელებენ ინვესტირებას, ცდილობენ, მოკლე დროში მიიღონ მაქსიმალურად დიდი მოგება. აღნიშნული განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორიც პოლიტიკური არასტაბილურობით. საქართველოში ძალიან ხშირად არის პოლიტიკურად არასტაბილური სიტუაცია და უცხოელი ინვესტორების ნაწილი ერიდება გრძელვადიან დაბანდებას. მართალია, ჩვენთან მუშახელი იაფია, თუმცა კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა, ბიზნესის წამოწყება მარტივია, მაგრამ ბიზნესის განვითარება რთული, და ა.შ. – ეს ყველაფერი კი თავის მხრივ, უცხოური ინვესტიციების შემოსვლას აბრკოლებს. რისკის შემცველი ინვესტირება. (ინვესტიცია ისეთი ბიზნეს პარტნიორების მიერ, რომლებიც არ უფრთხიან მაღალ რისკს ბიზნესში) – ბანკის კრედიტის გარდა, არსებობს საწარმოს დაფინანსების სხვა შესაძლებლობებიც. ახალი საწარმოს დაფინანსების მოპოვებისთვის ყველაზე გავრცელებულია „რისკის შემცველი ინვესტირება“. აღნიშნული სახის ინვესტიციას აქვს შემდეგი მახასიათებლები: ინვესტორები კაპიტალის დაბანდებისას თანახმა არიან მაღალ რისკზე, შესაძლო მაღალი მოგების მიღების ხარჯზე. ხშირ შემთხვევაში ასეთი სახის ინვესტიციების დაბანდება საწარმოს წილის სანაცვლოდ ხდება. ინვესტორი ახორციელებს ინვესტირებული პროექტის რეალიზაციის მუდმივ კონტროლს. აღნიშნული ინვესტიცია გათვლილია რამდენიმე წელზე. მას შემდეგ, რაც ინვესტორი მის მიერ ინვესტირებული პროექტიდან მიიღებს დაგეგმილ მოგებას, იგი გამოდის ბიზნესიდან და ცდილობს მიყიდოს თავისი წილი ძირითად მფლობელს ან სხვა ინვესტორს.

შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეისობით საქართველოში უმეტესი წილი ინვესტიციების მოდის ისეთი სახის ინვესტიციებზე, რომლებიც გათვლილია მაღალ რისკზე. ინვესტორები, რომლებიც საქართველოს საწარმოებში ახორციელებენ ინვესტირებას, ცდილობენ, მოკლე დროში მიიღონ მაქსიმალურად დიდი მოგება. აღნიშნული განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორიც პოლიტიკური არასტაბილურობით. საქართველოში ძალიან ხშირად არის პოლიტიკურად არასტაბილური სიტუაცია და უცხოელი ინვესტორების ნაწილი ერიდება გრძელვადიან დაბანდებას. მართალია, ჩვენთან მუშახელი იაფია, თუმცა კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა, ბიზნესის წამოწყება მარტივია, მაგრამ ბიზნესის განვითარება რთული, და ა.შ. – ეს ყველაფერი კი თავის მხრივ, უცხოური ინვესტიციების შემოსვლას აბრკოლებს.

კრედიტი

ყველაზე გავრცელებული საშუალება წარმოების დაფინანსებისთვის არის ბანკის კრედიტი. თუმცა ბიზნესიდეის განსახორციელებლად კომერციული ბანკიდან კრედიტის მიღება ადვილი არ არის, განსაკუთრებით ბიზნესის საწყის ეტაპზე, ვინაიდან უმეტესწილად ბანკი ითხოვს შესაბამის გარანტიას ქონების სახით, დადებით საკრედიტო ისტორიას ბანკში, კარგ რეპუტაციას. თუ საწარმო ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, ბანკი კრედიტის გაცემაზე უარს ამბობს.

არსებობს ბანკის მიერ საწარმოს დაფინანსების რამდენიმე ვარიანტი: უნივერსალური კრედიტი, რომლის დროსაც რაიმე სპეციალური პირობა არ არის და საწარმოს შეუძლია ფული დახარჯოს ნებისმიერი მიზნისთვის; კრედიტი მიმდინარე საქმიანობისთვის, რომელიც გათვლილია საბრუნავი სახსრების შევსებისთვის ან ძირითადი საშუალებების შეძენისთვის; საინვესტიციო კრედიტი – გათვლილია ბიზნესგეგმის

მიხედვით, აღნიშნული სახის კრედიტი გაიცემა ახალი პროექტის განხორციელებისთვის ან საქმიანობის ახალი მიმართულებით განვითარებისთვის, რაც თავის მხრივ მოიცავს საწარმოს მოცულობის გაზრდას; კომერციული იპოთეკა – კრედიტი გაიცემა უძრავი ქონების შექმნისთვის, რომელი ქონებაც იქნება გარანტი კრედიტის არგადახდის შემთხვევაში. კომერციული იპოთეკა ითვალისწინებს აგრეთვე საწარმოს საკუთრებაში უკვე არსებული უძრავი ქონების გარანტიით კრედიტის მიღებასაც; საბანკო გარანტია – გარანტიის გაცემისას ბანკი იღებს პასუხისმგებლობას, გადაუხადოს მსესხებელის ვალი მესამე პირს; ფაქტორინგი ან ლიზინგი ბანკები ახორციელებენ თავისი შესაბამისი პროფილის კომპანიების მეშვეობით. ფაქტორინგი არის ისეთი დაფინანსება, როდესაც მიწოდებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ ხდება დაფინანსება. ფაქტორინგის დროს ხდება მოკლე პერიოდის დაფინანსება დებიტორული დავალიანების მოთხოვნის დათმობის ხარჯზე. ამ შემთხვევაში ბანკი ან მისი შვილობილი კომპანია მიწოდებული საქონლის ღირებულების ნაწილს მწარმოებელს უხდის საქონლის მიწოდებისას, ხოლო თითონ ბანკი შემდგომში მყიდველიდან იღებს მთლიანი ღირებულების თანხას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, საქართველოში 21 მოქმედი საბანკო დაწესებულებაა. ბიზნესის დაფინანსებაში აღნიშნული ბანკები დიდ როლს თამაშობენ. აღსანიშნავია, რომ ბიზნესისთვის კრედიტის ხელმისაწვდომობა იმდენად არ წარმოადგენს პრობლემას, რამდენადაც მისი სიძვირე. საქართველოში კრედიტზე გადასახდელი პროცენტი ძალიან მაღალია, განსაკუთრებით თუ შევადარებთ განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. ბიზნესის უმეტესი სექტორი არ ირის ისეთი მომგებიანი, რომ შეძლოს მაღალი საპროცენტო განაკვეთის დაფარვა. უმეტესწილად ბანკის კრედიტით სარგებლობენ არა ახალი საწარმოები, არამედ უკვე მოქმედი საწარმოები, რომლებსაც სურთ საქმიანობის მოცულობის გაზრდა. წარმოების დაფინანსებისთვის და ბიზნესის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ბანკებს შორის ჯანსაღი კონკურენცია, რაც გამოიწვევს საკრედიტო პროდუქტების გაიაფებას.

ლიზინგი

ლიზინგი (ფინანსური იჯარა), ლიზინგის დროს საწარმოს გადაეცემა ქონება, ხოლო მისი ღირებულების გადახდა ნაწილ-ნაწილ, გარკვეული დროის განმავლობაში ხდება. ქონების ღირებულების მთლიანად დაფარვის შემდეგ კი ქონების მიმღები ხდება ამ ქონების მფლობელი.

ფრანჩაიზინგი

ახალი ბიზნესის დაწყებაზე უფრო ადვილია უკვე არსებული და ცნობადი ბრენდის სახელით საქმიანობა. ფრანჩაიზერი ახალ ბიზნესწარმონაკმის აძლევს არა მარტო იმის საშუალებას, რომ გაყიდოს საქონელი თავისი სავაჭრო ბრენდის სახელით, არამედ უზრუნველყოფს მარკეტინგით, მიწოდების აწყობილი სისტემით, ინფორმაციული უზრუნველყოფით და სხვა. ამ მიზეზების გამო ბანკები შედარებით ადვილად გასცემენ სესხებს ასეთი სახის ბიზნესის წამოწყებისთვის.

გრანტი

გრანტი საწარმოს დაფინანსებისთვის ყველაზე საუკეთესო ვარიანტია, რადგან გრანტს არ ჭირდება დაბრუნება, მაგრამ გრანტს აქვს უარყოფითი მხარეც. გრანტი გაიცემა იმ კონკრეტული პროექტის განხორციელებისთვის, რომლითაც დაინტერესებულია გრანტის გამცემი. უმეტეს შემთხვევაში გრანტები გაიცემა ისეთი ინოვაციური პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერულ გამოგონებებთან ან ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვასთან.

ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. კარგი იქნება თუ სახელმწიფო შეამცირებს გადასახადებს, განსაკუთრებით საშემოსავლო გადასახადს, შეიმუშავებს უფრო მარტივ და მოქნილ კანონმდებლობას. თავის მხრივ, მეწარმეები და ბიზნესმენები უნდა შეეცადონ, რაც შეიძლება საინტერესო, ინოვაციური, მოგებაზე კარგად გათვლილი ბიზნესპროექტები შეიმუშაონ, რათა მოახერხონ ინვესტორების და დონორი ორგანიზაციების დარწმუნება თავიანთი პროექტების დაფინანსების ან გრანტის გაცემის მართებულობაში.

Nino Inasaridze

FINANCIAL PROBLEMS OF ENTREPRENEURIAL BUSINESSES IN GEORGIA

Annotation

In order to develop Georgia's entrepreneurial businesses it is essential to increase and to develop the value of the investment attraction. Recently there are noticeable improvements in this direction. For instance, partner and co-investment funds. Nevertheless, the bank interest is still very expensive, and the legal environment of business, taxation system, political instability, lowers investment process. In order to increase the interest of potential investors in entrepreneurial businesses, article discusses about the various types of investment and recommendations how to create a better business plan.

Самира Тарьел Исмаилова

GAP АНАЛИЗ И СТРЕСС-ТЕСТИРОВАНИЕ В ОЦЕНКЕ БАНКОВСКИХ РИСКОВ

Для банков Азербайджана инновационным является применение в анализе ликвидности GAP- анализа, стресс и бэк тестирования. Применение GAP анализа предусмотрено «Сборником сведений об организации управления рисками», в котором указано, что Система управления рисками в ОАО «Международный Банк Азербайджана» отвечает нормативно-правовым требованиям Центрального Банка Азербайджана и рекомендациям Базельского Комитета по Банковскому

Надзору и международной практике. (Сборник сведений об организации управления рисками www2.ibar.az/downloads/abbe_risklerin_idaresi_haqqinda_ru.pdf). Далее в том же документе указано, что «Для анализа риска ликвидности в Банке (имеется в виду МБА) проводятся следующие расчеты и анализы:

- расчет и анализ норматива мгновенной ликвидности;
- расчет и анализ норматива текущей ликвидности;
- расчет и анализ норматива долгосрочной ликвидности;
- расчет и анализ активов и обязательств по срокам погашения по методу GAP;
- проведение и анализ результатов стресс - тестирования по оценке ликвидности»

Однако практика показывает, что даже применение количественного GAP анализа на данный момент ограничено и нуждается в развитии, а качественный GAP и стресс тестирование, подразумевающие т.н. «сценарный» подход не развернуты во всех своих возможностях. Ниже раскрываются возможности качественного GAP анализа и стресс тестирования, а также показаны причины меньшей действенности БЭК – анализа в аспекте инновационного кредитования. Но раньше всего нужно позиционировать инновационные методы анализа в анализе ликвидности в целом, для чего предлагается несколько схем. Такой подход не противоречит Стандартам по управлению рисками ЦБ Азербайджанской Республики.

Место трех инновационных видов анализа отражено в следующей, разработанной нами схеме:




Схема 1

Инновационные методы не отменяют, а дополняют традиционные, поскольку исполняют специфические функции. В каждом из них присутствует элемент допущения, моделирования ситуации либо идеальной, либо стрессовой, а также элементы прогнозирования ситуации, хода развития событий. В частности GAP – анализ разрывов, который основан на сравнении смоделированного оптимального финансового состояния банка и реального. Оптимальное состояние складывается в результате запланированного исполнения сроков погашения задолженности по активам и пассивам. Реальное зависит от факторов отклонения сроков закрытия операций от предусмотренного. Слово гэп (gap) в переводе с английского в одном из своих смыслов означает качественный разрыв между явлениями. В стандартном ГЭП- анализе учитывается масштабно-временная структура активов и пассивов банка, реагирующих на изменение ставки процента и другие факторы, а также график-календарь платежей. Под «разрывом» подразумевается, прежде всего, различия в сроках погашения требований и обязательств, но, как будет видно из дальнейшего, могут рассматриваться не только эти различия. В противном случае достаточно было рассчитать разность между активами и пассивами, погашение и возврат которых приходится на определенный момент времени. Но цели разрыв-анализа глубже: дать заключение о соответствии или несоответствии объемов ресурсов объемам вложений в процессе поступательного развития банка. Не остаются без внимания и валюты, их соответствие по размерам вкладов и активов. Разрыв недостаточно только определить, его надо и лимитировать-то есть определить допустимую величину отклонения (возможно, плавающую, в пределах « коридора»)

В общем смысле стресс анализ противоположен GAP-анализу, потому что предлагает моделирование негативной ситуации, могущей возникнуть в силу какого-либо обстоятельства (например, одновременного негативного свершения нескольких крупных рисков) и разработку мероприятий, способных спасти ситуацию. Такой подход иногда называют методом сценарного анализа или имитационного моделирования.

В большинстве банков нашей республики такое моделирование либо не проводится, либо проводится упрощенно и спонтанно, без обозначения методов и научного их применения.

Гэп-анализ помогает правильно оценить изменения стоимости финансовых инструментов во временных периодах. Размеры обязательств могут корректировать ситуацию с возможным изменением активов. Если колебания ставок по кредитам, изменение в ранжировании кредитов приводят к образованию, как говорят специалисты, «дырки» (разрыва) между требованиями и обязательствами банка, между желаемым и действительным положением дел, то параллельно изыскивается способ эту «дырку» ликвидировать. Говоря о спонтанном применении подобного анализа в банках, мы имеем в виду, что сопоставление активов и пассивов естественно для ведения банковского дела, но специфика и практика GAP анализа требует синтеза логического, психологического, математического статистико-бухгалтерского подхода, чтобы проявиться в полном объеме. Активы и пассивы при этом классифицируются по так называемым временным горизонтам и на каждом из них определяется собственный GAP. Формула абсолютного GAP а проста:

$$GAP (abs) = \text{Активы, приносящие доход (в \%)} - \text{Пассивы, приносящие расход (в \%)}$$

Сравнения лежат в области определения и изменений процентных ставок, поскольку и доходные активы и платные пассивы чувствительны к этим изменениям. К чувствительным активам относятся: выданные кредиты банковской клиентуре, приобретенные банком ценные бумаги и долговые обязательства, обращающиеся на рынке, выданные межбанковские кредиты, покупка банком производных инструментов рынка ценных бумаг (процентные фьючерсы, опционы, контракты своп, репо и т.п.). К чувствительным пассивам относятся: привлеченные депозиты банковской клиентуры, эмиссия собственных ценных бумаг и долговых обязательств для обращения на рынке, привлеченные межбанковские кредиты, продажа банком производных инструментов рынка ценных бумаг (процентные фьючерсы, опционы, контракты своп, репо и т.п.)

Реактивность процентной маржи (M) на несбалансированность активов и пассивов по времени закрытия операции и времени пересмотра процентных ставок выражается также простой формулой (<http://www.reglament.net/bank/r/2012/2/3.jpg>)

$$\Delta M = GAP \times \Delta i,$$

где Δi – ожидаемое изменение процентных ставок, а дельта M – изменение процентной маржи.

Оценки процентного гэпа может производиться не только как разница между активами и пассивами, согласно приведенной нами выше формуле, но и по разрыву между средними датами пересмотра процентных ставок по кредитным, депозитным операциям и прочим финансовым инструментам. В этом случае GAP между средними датами пересмотра активов и пассивов покажет будет ли спрэд (разница) положительным или отрицательным. Наиболее удачное схематическое изображение приведено в следующем источнике: (<http://www.reglament.net/bank/r/2012/2/3.jpg>).

Влияние процентного гэпа между средними сроками пересмотра процентных ставок на процентную маржу



Вопросы, которые ставятся в процессе анализа это: что произойдет в определенный период времени, если ставка повысится или понизится? Как отреагирует ликвидность, если актив будет погашен или переоценен? Конечно, в первую очередь, имеется в виду ставка процентов по вкладам, поскольку она ближе к учетной и банк имеет меньше возможностей в ее отклонении от средне нормальной, нежели в процентах по кредиту. Таким образом значение абсолютного GAPа изменяется перманентно с каждым изменением процентной ставки, переоценкой ранга кредита или его погашением. Напряженность возникает при отрицательном абсолютном разрыве, поскольку в этом случае факторы складываются так, что платные пассивы могут возрасти до уровня выше платных активов. Чистый процентный доход в таком случае упадет и может перейти в убыток. И напротив, если факторы складываются в пользу превышения активов, чистый процентный доход приобретает более высокие значения. А чистый процентный доход, как известно, непосредственный источник банковской прибыли, то есть самоцели его коммерческой деятельности. Прогнозы изменения процентных ставок представляют собой неотъемлемую часть гэп –анализа. Отношение работающих активов к платным пассивам тоже дает представление о разрыве, причем, если это отношение больше единицы, то на данном временном горизонте банк будет иметь больший процентный доход при повышении ставок, если отношение меньше единицы, то желательнее снижение ставок.

GAP анализ может рассматриваться как в количественном, так и в качественном аспекте. Количественный ближе к традиционным сопоставлениям и точнее определяет возможные результаты деятельности банка по периодам, зато качественный лучше дает картину учета инновационных кредитов, поскольку способен отразить нестандартную ситуацию.

Гэп-анализ в количественном варианте позволяет оценку процентного риска баланса банка на определенную дату, то есть статично или «точно», в то время как происходит накопление факторов разрыва и параметров этого разрыва в динамике. Можно сказать, что статичность - это характерный для этого метода недостаток. Ведь ясно, что разрыв (гэп) ликвидности генерирует и аккумулирует процентный риск. «Контрмерой» является применение качественного и

кумулятивного ГЭПа. А в этом случае повышается значение качественной оценки факторов, что непосредственно связано с прогнозированием результативности операций, в частности, активных, в том числе и инновационных кредитов.

На основании обобщения материала о характеристиках GAP - анализа можно составить схему с целью определения роли подобного анализа в определении эффективности инновационных кредитов



Схема 2

Допустим, что объект нашего интереса – это инновационное венчурное кредитование, при котором такой принцип, как обеспеченность отступает на второй план, а эффективность проекта (даже на стадии «посева-seed» когда дело только разворачивается) – на первый. Как же модифицируется в этом случае анализ разрывов? С одной стороны оценка тенденций затрудняется, поскольку проектное кредитование связано с непредсказуемыми факторами. С другой стороны, доходность, а соответственно и количественный разрыв увеличивается. Статистического и динамического подхода оказывается недостаточно. Следовательно, для качественного GAPа на современном этапе *потребуется дополнительные звенья, которые обеспечат наиболее достоверный расчет эффективности проектов отдельных кредитов и влияние их результативности на деятельность банка на определенном временном горизонте.*

Математический аспект GAP анализа связан с применением VaR-метода (Value at Risk- стоимость под риском), формализованного и представленного специальными расчетами, в которых учитывается заданная вероятность (доверительный интервал), прогноз рынка и процентной ставки. В ходе применения этого метода может определиться контрольная сумма, больше которой при данных факторах убытки банка стать не могут. Однако этот метод несовершенен в том смысле, что если активы и пассивы имеют нелинейные данные и неопределенные факторы риска, определить развитие ситуации становится невозможным. Инновационное кредитование, от которого, по нашему мнению, зависит будущее развитие экономики АР, особенно нефтегазового сектора, является именно таким, подверженным неопределенным факторам риска. Некоторый уровень формализации в анализе необходим, но он должен отражать факторы реальности возврата кредитной суммы и выплаты процента на основе обоснования эффективности проекта.

Разрешение проблемы имеет два пути: создание при крупных банках комитетов по оценке и рисковому ранжированию проектов или создание специализированного банковского центра, в который могли бы обращаться банки для оценки риска по инновационным проектам .

В историческом развитии кредитного и банковского дела выделяются периоды, когда действуют *всеобщие факторы*, влияющие на ситуацию в целом. Так, например, в период экономического подъема (бума) даже небезопасные кредиты с высокой степенью вероятности могут быть возвращены. Особенностью современного периода развития Азербайджана является рыночный и технологический прорыв, который представляет собой не только результат объективных процессов, но и курируется государственными органами. Помимо заведомой перспективности проекта, под который может быть предоставлен кредит, вполне реальны такие моменты, как государственные гарантии, страхование, государственное венчурное и пилотное финансирование или инвестирование. Эти обстоятельства можно расценивать как всеобщие факторы, снижающие риски. Вместе с тем, циклическое развитие рыночной экономики и периодичность современных, составляющая примерно 2,5-3 года, должны найти отражение в характеристиках долгосрочных временных горизонтов.

Возможно представить другую ситуацию: одновременно проявляют себя несколько шоковых факторов, например, невозврат ключевых кредитов, падение доходности инвестиций в ценные бумаги, а возможности пополнить резервы за счет

межбанковского кредита или другого адекватного источника отсутствуют. Именно в таком случае применяется вариант анализа, который называется *стресс тестированием*. В общем смысле стресс анализ противоположен GAP-анализу, потому что предлагает моделирование негативной ситуации, могущей возникнуть в силу какого-либо обстоятельства (например, одновременного негативного свершения нескольких крупных рисков) и разработку мероприятий, способных спасти ситуацию. Стресс тестирование – более гибкая методика, поскольку позволяет проследить влияние нетипичных, исключительных событий, плохо поддающихся прогнозированию на основе имеющегося опыта. Даже такой анализ, требующий логического подхода приемлет некоторую формализацию схематически сценарный анализ можно представить так:



Схема 3

В зависимости от избранных допущений, сценарии, то есть ход развития событий можно дифференцировать:

- стандартный сценарий с учетом влияния негативного свершения крупного риска (одного или нескольких);
- сценарий коллапса данного банка - массированный отток клиентских средств, закрытие важнейших источников ликвидности;
- сценарий рыночного коллапса - падение цен на ключевые финансовые инструменты, падение индексов рынка ценных бумаг, отток клиентских средств, имеющий общий негативный фактор.

Как видно из этого короткого перечня, посредством одного из этих сценариев можно смоделировать практически любую ситуацию от циклического кризиса до нарастания техногенных рисков при реализации проектного кредитования.

Моделирование негативных явлений, которые могут повлиять на результативность банка, должно отражать реальные риски, в том числе и связанные с долей бланковых, венчурных инновационных кредитов. Методика оценки риска напрямую зависит от качества определения эффективности, окупаемости и доходности проектов. Это подсказывает, что *объединять проектное кредитование в общую группу риска* неверно. Степень риска зависит от предсказуемости успешности проекта. Конкретно: от качества и стоимости патента, адреса его происхождения, наличия технической базы, наличия кадров должной квалификации, качественного бизнес плана. А агрессия инновационных шоков зависит от наличия или отсутствия заинтересованности государства в продвижении инновационных проектов. Таким образом, сценарий, являющийся составляющим компонентом стресс тестирования должен учитывать эти моменты.

Из схемы 1 следует, что в практике оценки ликвидности используется и еще один вид анализа, «бэк-анализ». Однако сосредоточение внимания именно на GAP- анализе и стресс тестировании не случайно. Дело в том, что Бэк-тестирование – основано на ретроспективе, не только гипотетических, но и бывших ранее ситуациях. На них «оттачиваются», совершенствуются методы анализа ликвидности, она дают представление насколько действенен тот или иной метод в конкретной ситуации, поскольку ее результаты уже известны. Перед банками Азербайджанской Республики на современном этапе стоят совершенно новые задачи, не решив которые невозможно достигнуть соответствия банковского дела стратегии дальнейшего развития, а одновременно получать вполне вероятную прибыль, которую могут принести проектные кредиты. Прежде всего, успех в этом деле может принести коррекция общей стратегии деятельности банковской системы, которая будет учитывать растущую роль кредитов под патенты и лицензии, эффективные проекты. Но и впоследствии, при уже запущенном механизме венчурного, проектного кредитования каждый отдельный случай плохо поддается ретроспективному анализу вследствие отсутствия аналогов. Иными словами невозможность или трудность проведения аналогий в прошлой практике отодвигает бэк –тестирование на задний план.

Выводы из вышеприведенных рассуждений следующие:

GAP-анализ и стресс тестирование, особенно качественный их аспект, именно те методы, которые могут обосновать и контролировать новый подход к банковским рискам, придать уверенности в выдаче инновационных высокодоходных, но рискованных кредитов.

Новым словом, даже с сравнением с применением методов GAP-анализа и стресс тестирования в передовых странах мира, может явиться учет факторов технологической оценки эффективности проектов, под которые осуществляется венчурное и проектное кредитование.

„ლიტერატურა“

1. Законы Азербайджанской Республики "О Национальном банке Азербайджанской Республики", "О банках и банковской деятельности в Азербайджанской Республике" online.zakon.kz/Document/
2. Закон Азербайджанской Республики «О стимуляции роста уровня капитализации банков, страховых и перестраховочных компаний» было издано Распоряжение Президента Азербайджанской Республики от 11 ноября 2008-го года.
3. Постановление Правления Национального банка АР от 29 декабря 1999 года (Протокол № 12)Реестр № 137.)
4. Концепция развития «Азербайджан–2020: взгляд в будущее» president.az/files/future_ru.pdf
5. Chris Marrison "The fundamentals of risk measurement".-New York, Mc Graw Hill, 2002.
6. А.А.Лобанов, А.В.Чугунов «Энциклопедия финансового риск-менеджмента» - М.: 2008
7. <http://www.riskmetrics.com/>
8. <http://bis.org>
9. Azerbaijan Business Center- Центральный банк Азербайджана abc.az/rus/news/69286.html
10. Ликвидные активы банковского сектора Азербайджана–Trend www.trend.az Экономика
11. http://www.1news.az/economy/banks_n_finance/20100819042657986.html
12. <http://www.reglament.net/bank/r/2012/2/3.jpg>
13. Сборник сведений об организации управления рисками www2.ibar.az/downloads/abb-de_risklerin_idaresi_haqqinda_ru.pdf
14. 20 лет финансовой надежности от Центробанка Азербайджана - Trend.Az 30 декабря trend.az Экономика business/1975707.html
15. trend.az Экономика/business/2097445.html

ნანა მაისურაძე

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და კორპორაციის უსაფრთხო განვითარების სტრატეგიები (საქართველოს სამთო-მომპოვებელი ღარბის (RMG) კომპანიების მხატვრობა)

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს კომპანიის მუდმივ პასუხისმგებლობას გარემოზე, უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნაზე, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებაზე და იმის გაცნობიერებას ეფუძნება, რომ კომპანიის იმიჯი დამოკიდებულია არა მხოლოდ პროდუქციის ფასსა და ხარისხსზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ ურთიერთქმედებს კომპანია თავის თანამშრომლებთან, საზოგადოებასა და გარემოსთან. ამ პოზიციიდან იქნა შესწავლილი სამთო-მომპოვებელი ღარბის კომპანიები: სს "RMG Copper"-ის (მადნეული) და შპს "RMG Gold"-ის (კვარციტი) კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიები, გამოვლინდა ის პრობლემები, რომელიც აქტუალურს ხდის არა მარტო თემას, არამედ ამ კომპანიების ინტეგრირებას თანამედროვე საზოგადოებებში აზროვნებაში კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის პოზიციიდან.


ქართული და უცხოელი მეცნიერების შრომების [1; 3; 5] შესწავლისა და შედარებისას გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განსხვავებულ მიდგომებს იყენებენ. საქართველოში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გააზრების განსხვავებული მიდგომების გარდა, არსებობს ტერმინოლოგიური სირთულეებიც, სახელდობრ: ტერმინი "კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა" ვერ გადმოსცემს ზუსტად ინგლისურ ტერმინს "Corporate Social Responsibility" მნიშვნელობას, ვინაიდან ქართულ ენაზე "სოციალური პასუხისმგებლობა" შესაძლოა უფრო სოციალური პრობლემების გადაჭრისკენ მიმართულ ინიციატივებზე იყოს აღქმული და, შესაბამისად, ძალზე დავიწროვდეს ცნების მნიშვნელობა. მაგრამ, რადგანაც ტერმინი "სოციალური პასუხისმგებლობა" უკვე მეტ-ნაკლებად დამკვიდრებულია ქართულ რეალობაში, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, სტატიაში აღნიშნულ ტერმინს გამოვიყენებთ [2].

კვლევის მიზნიდან და საკვლევი ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, დავისახეთ კვლევის კონკრეტული მიმართულების პრიორიტეტები, სახელდობრ, საკვლევი ობიექტების ტოპმენეჯმენტის ინფორმირებულობის ხარისხის და ცნობიერების დონის გაზომვა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რაობის, განხორციელების ფორმების და მიმართულებების შესახებ; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულების შესწავლა; სამთო-მომპოვებელი ღარბის კომპანიების RMG ჯგუფის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება; RMG ჯგუფის მიერ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების მასშტაბის, პრიორიტეტული მიმართულებების ანალიზი; სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების სამომავლო, სტრატეგიული გეგმების პროექტების შეფასება [4].


კვლევის მეთოდოლოგიად ავირჩიეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები. ამ კვლევის პროცესში განვახორციელეთ კონფიდენციალური ინტერვიუები, რომლის მიზანი იყო კვლევის საკითხებთან დაკავშირებით რესპონდენტთა მოსაზრებების და დამოკიდებულების შესწავლა. 2013 წელს ჩატარდა 110 ინტერვიუ, 50% წარმოადგენდა RMG ჯგუფის პასუხისმგებელ პირს, 20 ადგილობრივ მცხოვრებს, ხოლო 40 მომსახურების სფეროში დასაქმებული ბიზნესმენი იყო, რომლებიც მუშაობდნენ RMG ჯგუფის პარტნიორ ორგანიზაციებში. 2014 წელს ჩატარდა 170 ინტერვიუ, აქედან 50% წარმოადგენდა RMG ჯგუფის პასუხისმგებელ პირს, 80% – ჩვეულებრივ მოქალაქეს, ხოლო 40% RMG ჯგუფის პარტნიორ ორგანიზაციებში მომუშავე ბიზნესმენები იყვნენ ჩატარებული ინტერვიუების დასრულების შემდეგ, აუდიონაწარმოების საშუალებით შეიქმნა ინტერვიუების ტრანსკრიპტი, რომელსაც თვისებრივი კვლევის საბოლოო ანგარიში დაეფუძნა.

2013 წელს, 110 რესპონდენტიდან კითხვაზე: "თუ როგორი უნდა იყოს სხვადასხვა სუბიექტების პასუხისმგებლობის ხარისხი ან/და დამოკიდებულება ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების მოგვარებაზე",


უმრავლესობამ მიიჩნია, რომ, პირველ რიგში, ყველაზე მეტად სახელმწიფო სტრუქტურები არიან ვალდებულნი, იზრუნონ ქვეყნის ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების მოგვარებაზე და მათ უნდა იტვირთონ ვალდებულებების 70%, საზოგადოებამ – 40, ხოლო, ბიზნესმა – 30. მათი ეს შეხედულება იქიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა აიძულოს საწარმო, დაიცვას სოციალური ვალდებულებები, რადგან მეწარმე ყოველთვის ცდილობს თავისი ხარჯების მინიმიზაციას და, შესაბამისად, გაურბის ვალდებულებებს. იმავე კითხვაზე მოქალაქეების გამოკითხვის შედეგი ასეთია: სახელმწიფო – 50%, საზოგადოება – 10%, კორპორაცია – 40%. სამთო-მომპოვებელი დარგის კომპანიების სს “RMG Copper”-ის და შპს “RMG Gold”-ის პარტნიორ ორგანიზაციებში დასაქმებულებს მიაჩნიათ, რომ საზოგადოებამ და სახელმწიფომ თანაბრად უნდა გადაინაწილონ ვალდებულებები და ყველაზე უფრო ნაკლებად ეს ვალდებულება ბიზნესს უნდა დაეკისროს. ანალოგიური სურათია 2014 წლის პირველ კვარტალშიც.



ნახ. 1. 2013 წლის ეკოლოგიურ და სოციალურ ვალდებულებათა განაწილების მაჩვენებლების დიაგრამა



ნახ. 2. 2014 წლის I კვარტლის ეკოლოგიურ და სოციალურ ვალდებულებათა განაწილების მაჩვენებლების დიაგრამა



ნახ. 3. სს “RMG Copper”-ი და შპს “RMG Gold”-ის მიერ სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების მნიშვნელობა ცალკეული მიმართულებების მიხედვით 2014 წლის I კვარტალი

ჩატარებული გამოკითხვისა და, შესაბამისად, ნახ. 3-ის საფუძველზე ვასკენით, რომ RMG ჯგუფი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და თვლის, რომ, გარკვეულწილად, ახორციელებს კიდევ მას. RMG ჯგუფის თანამშრომლების უმეტესობა ბიზნესის ფუნქციად, სოციალურ საკითხებთან ერთად, მოიაზრებს გარემოს დაცვას. კომპანიების ეს ჯგუფი, სოციალური საკითხებიდან, მაღალ საფეხურზე აყენებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: პრემიები, კვალიფიკაციის ამაღლება, თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევა, დეკრეტული შვებულების ანაზღაურება, ამ

უკანასკნელს RMG ჯგუფის კომპანიები ახორციელებენ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებს თანამშრომლების დეკრეტული შევებულების ანაზღაურებას. ამ მიმართულებით “კვარციტის” მიერ გაწეულმა ხარჯებმა 2012 წელს, ჯამში 203,443 ლარი შეადგინა. შემდგომ წლებში ეს მაჩვენებლები საშუალოდ 1.5%-ით გაიზარდა. რაც შეეხება “მადნეულს”, მსგავსმა მაჩვენებლებმა, 2012 წელს, 200,343 ლარი შეადგინა – იმავე ზრდის ტენდენციით.

2014 წელს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის და ცნობიერების დონის განსაზღვრის მიზნით ჩატარებული გამოკითხვით დადგინდა, რომ უმრავლესობის (75%) აზრით, ქველმოქმედება და სოციალური პასუხისმგებლობა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებებია; ამ ორ ცნებას შორის სხვაობას ვერ ხედავენ 25%.

კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობა ჩვენ გავანალიზებთ მდგრადი განვითარების სამ ძირითად ასპექტში, კერძოდ: ა) ეკონომიკური, ბ) ეკოლოგიური და გ) სოციალური მდგრადობის ხელშეწყობის კონტექსტში. ამასთანავე, შევისწავლეთ შიდა კორპორაციული პასუხისმგებლობა, ანუ ბიზნესკომპანიის პასუხისმგებლობა საკუთარი თანამშრომლების მიმართ, როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი მიმართულება. ცნობილია, რომ ამ მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობას ეკონომიკური და სოციალური მდგრადობის მიღწევაში შეაქვს არსებითი წვლილი, თუმცა, ხშირად იგი დამოუკიდებელ მიმართულებად გამოიყოფა, რომელიც ასახავს საკუთარ თანამშრომლებთან კომპანიის ურთიერთობის პრინციპებს [6; 7].

RMG ჯგუფის კომპანიებმა ბოლო 3 წლის განმავლობაში ეკოლოგიის მიმართულებით განახორციელეს შემდეგი სამუშაოები: სს “RMG Copper”: 2012 წელი – გარემოს დაცვისა და საკონსულტაციო ხარჯები – 15,000 ლარი; 2013 წელი – ეკოლოგიური უსაფრთხოების ზრდა – 10,000 ლარი; 2014 წელს მსგავსი დონისძიებები არ ჩატარებულა. შს “RMG Gold”: 2012 წელი გარემოს დაცვისა და საკონსულტაციო ხარჯები – 17,000 ლარი; 2013 წელი – ეკოლოგიური უსაფრთხოების ზრდა – 12,000 ლარი; 2014 წელს მსგავსი დონისძიებები არ განხორციელებულა. რაც შეეხება გარემოსდაცვით მიმართულებას, სხვა განხორციელებულ კონკრეტულ ინიციატივებს, განხორციელდა დასუფთავების შაბათობები და გამწვანების აქციები.

RMG ჯგუფმა საზოგადოებრივად სასიკეთო აქტივობები სოციალურ სექტორში განახორციელა: სახელმწიფოს მიერ ინიცირებული დასაქმების პროგრამაში მონაწილეობა; უმუშევრების დასაქმება; ობლების დასაქმების პროგრამა (10 ადამიანი); სტაჟიორების დასაქმება (15 სტაჟიორი); დეპორტირებულთა დასაქმება (32 ადამიანი).


RMG ჯგუფმა განახორციელა სოციალურად დაუცველი ჯგუფების დახმარების პროგრამები. ამ მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს შორისაა: ინვალიდ ბავშვთა სახლების დახმარება; მარტოხელა მოსულების დახმარება; მზრუნველობასმოკლებული ბავშვების დახმარება; უსინათლოთა საზოგადოების დახმარება; მიუსაფართათვის უფასო სადილების ორგანიზება; სოციალურად დაუცველი ჯგუფების საცხოვრებლის გარემონტება; ფონდ “იავანანას” დაფინანსება; ბავშვთა სახლების დახმარება; ფეხბურთის გუნდის დაფინანსება; ისტორიული ძეგლების აღდგენითი სამუშაოების დაფინანსება. ამ დონისძიებებზე დახარჯულმა თანხამ “მადნეულისათვის”: 2009 წელს – 121,453 ლარი; 2010 წელს – 293,369; 2011 წელს – 716,944 ლარი; 2012 წელს – 363,030 ლარი შეადგინა. “კვარციტმა” დახარჯა: 2009 წელს – 342,082 ლარი; 2010 წელს – 1,962,496; 2011 წელს – 1,021,168 ლარი; 2012 წელს – 625,078 ლარი.

RMG ჯგუფის კომპანიებმა ეკონომიკური მდგრადობის და განვითარების ხელშეწყობის მიზნით განაერთარეს შემდეგი პროგრამები: უპირატესობის მინიჭება ადგილობრივი მუშახელისათვის; წარმოების მოდერნიზაციის და ახალი ტექნოლოგიების შემუშავების ხელშეწყობა; წარმოების ხარისხის კონტროლი კომპანიის შიდა მექანიზმებით. დასახელებული პროგრამები აგებულია იმ ძირითადი მოტივების იდენტიფიცირებაზე, რაც კომპანიებს ადგილობრივ მუშახელს და ადგილობრივ მომწოდებლებს უპირატესობას ანიჭებს წარმოების მოდერნიზირებაზე; ეს მოტივებია: ახალი ტექნოლოგიების ხარჯზე პროდუქციის ეკოლოგიურად სუფთა წარმოება და დაბალი დანახარჯების მიღწევა; ადგილობრივი მუშახელის საკმარისი კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი.

როგორც ცნობილია, შიდა კორპორაციული პასუხისმგებლობა, სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და მას პასუხისმგებლობის განხორციელების მაღალი მაჩვენებელი ახასიათებს, რადგან პირდაპირ კავშირშია კომპანიის უშუალო ინტერესებთან, თუმცა არის ისეთი მიმართულებები, სადაც სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების აქტივობა დაბალია, კერძოდ დაინტერესებული მხარეების ტრანსპორტის ან შენობა-ნაგებობების დათმობა, ასევე თანამშრომლების დროის დათმობა.

RMG ჯგუფის სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 10 და 20 მარტის №53 დადგენილებებით; საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მაისის №95 დადგენილებით, საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრის 1997 წლის 4 აპრილის №39 ბრძანებით; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 17 სექტემბრის №259/6 ბრძანებით; საქართველოს შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 7 აპრილის №80/6 და 25 დეკემბრის №346/6 ბრძანებებით. ეს და სხვა ნორმატიული აქტები განსაზღვრავენ არა მარტო წარმოების უსაფრთხოებას, არამედ ისეთ ეკოლოგიურ საკითხებს, როგორცაა ვერცხლისწყლის ორთქლის ჰაერის დინებით გადატანის თავიდან ასაცილებელი, ტუტის კონცენტრაციის რეგულირების და ა.შ. დონისძიებები.

RMG ჯგუფის კომპანიების სტრატეგიული გეგმის შესწავლის საფუძველზე ამ კომპანიების სამომავლო საქმიანობის პრიორიტეტებში შემოთავაზებულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობის ზრდა (იხ. ნახ. 4). კერძოდ: 1. ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობა – გაუნაწილებელი მოგებიდან ყოველწლიურად 0,5%-ით ზრდა; 2. გარემოსდაცვითი საკითხები – 0,5%; 3. სოციალური პასუხისმგებლობა – 0,5%.



ნახ. 4. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის და უსაფრთხოების სამომავლო გეგმის პროექტი

ასევე მნიშვნელოვანია, რომ RMG ჯგუფის სამომავლო გარემოსდაცვით საქმიანობაში ჩართულია: ნარჩენების გადამუშავება; ბიომრავალფეროვნებაზე კომპანიის საქმიანობის მავნე ზეგავლენის შემცირება; ISO-ს სტანდარტების დაცვის კონტროლის გაძლიერება.

ამრიგად, კვლევის შედეგად შემოთავაზებულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიული გეგმის პროექტი. გაკეთებულია დასკვნა კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობის ზრდის სამომავლო ხედვის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ. მენეჯმენტის საფუძვლები. გამ., სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010.
2. კაკაბაძე ვ. ბიზნეს-ადმინისტრირება (სრულყოფის თორმეტი საფეხური). გამ., “მერიდიანი”, თბ., 2012.
3. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარაკვა ნ., ბერიშვილი ხ. კორპორაციული ფინანსები. ტომი II, გამ., “უნივერსალი”, თბ., 2013.
4. ჩინჩალაძე მ., დარსაველიძე ნ., მაისურაძე ნ. სამეურნეო საქმიანობის მართვის ორგანიზაცია. გამ., “მერიდიანი”, თბ., 2013. გვ. 186.
5. Hohnen P., Potts J., Corporate Social Responsibility: An Implementation Guide for Business, (ed) International Institute for Sustainable Development, 2007.
6. Margolis, J.D. and Walsh, J.P. Misery loves companies: Rethinking social initiatives by business. Administrative Science Quarterly, 2004.
7. Рогачева О. В. Корпоративная культура и внутрифирменная социальная политика, Журнал исследования соц. политики, т. 3, № 3, 2005 стр. 348.

Nana Maisuradze

BUSINESS SOCIAL RESPONSIBILITY AND CORPORATION SAFE DEVELOPMENT STRATEGIES (ON THE EXAMPLE OF GEORGIAN MINING (RMG) COMPANIES)

Annotation

Present work covers issues of social politics of business of Georgian mining corporation JSC RMG Copper (Madneuli) and RMG GOLD LLC (Quartzite). Namely: main principles of social responsibility of the Corporation are defined; Corporation policy regarding ecology and social obligation issues, social problems of the society and the company are defined, which are based on voluntary principles but are defined by the current legislation as well. Project of strategic plan of safe development and social responsibility of the Corporation is offered – regarding future visions of increase of social responsibility activity of the Company.

გიორგი მაჭარაშვილი

მრეწველობის ტექნიკური დონის ამაღლების პრობლემები საქართველოში

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკა, განსაკუთრებით კი მრეწველობა კრიზისს განიცდის. მრეწველობის ზოგიერთი დარგის უმოქმედობა და წარმოების ეფექტიანობის საკმაოდ დაბალი დონე დაჩქარებულ და მასშტაბურ ძვრებს მოითხოვს, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას. ამ მიზნის განსახორციელებლად უდიდესი ფინანსური და მატერიალური რესურსებია საჭირო, რაც საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან დარგში – მრეწველობაში წინა პლანზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემას დააყენებს.

ბოლო წლებში რეფორმების გატარების შედეგად მოხდა საგადასახადო კანონმდებლობის გამარტივება, უძრავი ქონების რეგისტრაციის მოქნილი სისტემის დანერგვა, ლიცენზიებისა და ნებართვების მაქსიმალური შემცირება, ასევე, ანტიმონოპოლიური რეგულირების ამოქმედება და მეწარმეების გათავისუფლება ბევრი

ბიუროკრატიული ბარიერისაგან. მიუხედავად ამისა, თუ არ იქნა კომპლექსურად, მეცნიერულ დონეზე შესწავლილი თითოეულ დარგში არსებული მდგომარეობა, არ გაკეთდა სიღრმისეული ანალიზი და მის საფუძველზე არ შემუშავდა სამომავლო გეგმები და ღონისძიებები და ყოველივე ამას არ მიეცა სისტემური ხასიათი, ძალზე რთული იქნება საბოლოოდ ეკონომიკაში მყარი და მაღალი შედეგების მიღწევა.

მრეწველობის განვითარების ტენდენციები და ფაქტორები საკმაოდ დეტალურად არის შესწავლილი მსოფლიო და ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, თუმცა განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე, ისევე, როგორც საქმიანობის ყველა სხვადასხვა სფეროში, მრავალი საკითხი მოითხოვს ახლებურად გაანალიზებას ახალი მეცნიერული და იმპერიული ცოდნის საფუძველზე. კლასიკური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ინოვაციური პოლიტიკის გარდა, გულისხმობს ქვეყანაში განხორციელებულ თუ განსახორციელებელ რეფორმებსა და ახალ მიმართულებებს. იგი ერთ მიზანს – ინოვაციური აქტივობის სტიმულირებას და ეკონომიკური პოტენციალის განვითარებას უნდა ემსახურებოდეს.

სამწუხაროდ, საქართველოში ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის რაიმე ღირებული მონახაზი არ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციების გარეშე წარმოების ნებისმიერი დარგის განვითარებაზე, მით უფრო მდგრად განვითარებაზე, არაფერს კამათობს, ინოვაციების წახალისების მექანიზმები არ არსებობს.

გასულ წლებში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომლის თეორიული ფუნქცია მაინც მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე ფიქრი უნდა ყოფილიყო, ეკონომიკის სამინისტროს შემადგენლობაში იყო, რაც, ალბათ, ლოგიკურია, რადგან სწორედ ეკონომიკა და მისი განვითარებაა მთავარი ამოსავალი პრინციპი. ამდენად, წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი არა განყენებული ამოცანა, არამედ ეკონომიკის განვითარების, ექსპორტის სტიმულირების, ცხოვრების დონის გაზრდის საუკეთესო ინსტრუმენტი. დღეისათვის კი მეცნიერების რეგულირება გადასულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურაში, ხოლო ინოვაციები „ჰაერშია გამოკიდებული“. ყოველივე აქედან გამომდინარე, საქართველოში ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაციის პროცესისა და მისი შედეგების შეფასება დამატებით კვლევას საჭიროებს [1, გვ. 241].

აუცილებელია, შესწავლილ და გაანალიზებულ იქნეს მისი შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშემშლელი ფაქტორები და შედეგები. ჯერჯერობით რჩება შთაბეჭდილება, რომ გადაწყვეტილების მიმღებთ ამისათვის ნაკლები დრო რჩებათ. მეცნიერულ-ტექნიკური პროცესი ტექნოლოგიებთან მიმართებაში მეცნიერული ცოდნის გარდაქმნის პროცესია, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მოვლენათა თანმიმდევრული ჯაჭვი, რომელთა მსვლელობაში ინოვაცია მწიფდება იდეიდან პროდუქტამდე, ტექნოლოგიამდე ან მომსახურებამდე და ვრცელდება წარმოებასა თუ მოხმარებაში.

სამწუხაროდ, ბიზნესის დაინტერესება ინოვაციური პროცესებით ძალიან შეზღუდულია, შეზღუდულია იმ დარგით, ქვედარგით ან კონკრეტული სფეროთი, რომელშიც ესა თუ ის კომპანია მუშაობს. ამდენად, აუცილებლობა ჩნდება, ინოვაციებით დაინტერესდეს სახელმწიფო. მან თავისი რესურსები და ბერკეტები უნდა მიმართოს სახსრების აკუმულაციაზე სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციური რეფორმებისათვის, ინოვაციების სტიმულირებისა და კოორდინაციის პროცესზე, ინოვაციების საკადრო უზრუნველყოფაზე, ინოვაციური პროცესების სამართლებრივი რეგულირების საკითხებზე და სხვა.

პრიორიტეტულია ინოვაციური პროცესების საერთაშორისო ასპექტთა რეგულირება და ინოვაციური საქმიანობის საზოგადოებრივი სტატუსის ამაღლება. განსაკუთრებით ევროინტეგრაციის ფონზე. ამასთან, სხვადასხვა სახის (ტექნიკური, ორგანიზაციულ-მმართველობითი, ინფორმაციული, სოციალური და სხვა) ინოვაცია მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან და სპეციფიკური მოთხოვნების წარმოქმნისას იყენებენ ინოვაციურ მექანიზმს.

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერების (მათ შორის, გამოყენებითის) განვითარებასა და მაღალკვალიფიციური კადრების (ინოვაციური იდეების ძირითადი წყარო) მომზადებას. სწორედ ის უნდა იყოს შუამავლის როლში ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების ეფექტური ურთიერთობის ორგანიზების საქმეში, სტიმულს აძლევდეს საწარმოებისა და უნივერსიტეტების თანამშრომლობას. დაფინანსების სისტემის ცვლილება, საბაზო დაფინანსების პარალელურად ინოვაციური პროექტების დაფინანსება ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა, რომელიც სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ინოვაციების წახალისებისათვის, ამასთან, ინოვაციების ხელშეწყობის მექანიზმია საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა, უცხო ქვეყნის გამოცდილების გაზიარება და მჭიდრო თანამშრომლობა, განსაკუთრებით საუნივერსიტეტო ცენტრებთან. [2, გვ. 351].

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სახსრების აკუმულაციაა სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციებზე, არა მხოლოდ საბიუჯეტო დაფინანსების სახით. ინოვაციების სტიმულირების მექანიზმია კონკურენციის დაცვა, როცა საწარმოები მხოლოდ ფასისმიერი კონკურენციით კონკურენტულ ბრძოლაში ვერ იმარჯვებენ, მათ დამატებითი სტიმული უნდა ექნებათ ინოვაციური პროექტები განახორციელონ და პირიქით, კონკურენციის გარეშე ინოვაციებში ფულის დახარჯვას ერიდებიან. ინოვაციების მნიშვნელოვანი ფაქტორია საგანმანათლებლო სფეროს რეფორმა და მისი დასაქმების ბაზარზე ორიენტაცია, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. და, ბოლოს, მნიშვნელოვანია, მკვეთრად ჩამოყალიბდეს და განისაზღვროს სახელმწიფოს როლი ინოვაციური და ინვესტიციური პოლიტიკის რეგულირების პროცესში.

თანამედროვე ეკონომიკური თუ ეკონომიკური სიტუაცია იძლევა საკმარის წინაპირობებს იმისათვის, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად გამოყენებულ იქნეს მოწინავე საზღვარგარეთული გამოცდილება როგორც გამოგონებებზე, ტექნოლოგიურ პროცესებზე, ახალ პროდუქტებზე ლიცენზიებისა და “ნოუ-ჰაუს” პირდაპირი შექმნის, ასევე საზღვარგარეთ შექმნილი უახლესი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების გამოყენების გზით. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ფაქტორს წარმოადგენს საზღვარგარეთ ახალი ტექნოლოგიების ლიცენზიების შექმნა, რაც საშუალებას იძლევა დროის ფაქტორის გათვალისწინებით რესურსების მნიშვნელოვანი ეკონომია იქნეს მიღწეული. დღეისათვის ლიცენზიების იმპორტს აქტიურად მიმართავენ ყველა განვითარებული ქვეყანა. მაგალითად იაპონიის, გერმანიის,

საფრანგეთის დანახარჯები ლიცენზიათა შექმნაზე 2–3-ჯერ აღემატება მათი გაყიდვით მიღებულ შემოსავლებს. ეს გზა აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ჩვენს ქვეყანაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, უშუალოდ და მეცნიერებატევად დარგებს შორის გაცვლების მეშვეობით, სტიმულს აძლევს ქვეყნებს შორის მომსახურების (როგორც საწარმოო, ასევე კომერციული და საფინანსო-საკრედიტო ხასიათის) გაცვლის პროცესის გაძლიერებას. თავის მხრივ, მომსახურების ექსპორტ-იმპორტი (განსაკუთრებით ინჟინერინგი, ლიზინგი, კონსალტინგი, საინფორმაციო-გამოთვლითი მომსახურება) ასტიმულირებს საწარმოო დანიშნულების საქონლით საერთაშორისო ვაჭრობას. უკვე გასული საუკუნის ბოლოს, კომპლექსური მოწყობილობების საგარეო შესყიდვების 80%-ზე მეტი უშუალოდ იყო დაკავშირებული საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევასთან, ხოლო ლიზინგური მიწოდებების წილად მოდიოდა სამრეწველო. განვითარებული ქვეყნებიდან ექსპორტირებული მსუბუქი მანქანებისა და კომპიუტერული ტექნიკის 20-30% [4, გვ. 33].

ტექნოლოგიური დონის განსხვავებანი, რომელიც არსებობს ქვეყნებს შორის, საშუალებას იძლევა, განხორციელდეს ტექნოლოგიური გაცვლა “მრავალ-საფეხურიანი” სცენარით. ეგრეთ წოდებული მაღალი ტექნოლოგიები მიმოიქცევა მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის. საშუალო და დაბალი ტექნოლოგია არ არის მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის იმდენად ფასეული, რომ ის განხილულ იქნეს როგორც საქონელი. მაგრამ ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ბაზრებისათვის ის შეიძლება ჩაითვალოს “ახალ ტექნოლოგიად”. უკანასკნელ ათწლეულებში ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ბაზარი აქტიურად მონაწილეობს სამრეწველო-განვითარებულ ქვეყნებთან ტექნოლოგიურ გაცვლებში. ამიტომ სამრეწველო-განვითარებულ ქვეყნებს შესაძლებლობა ეძლევათ დროში და სივრცეში გაწეონ ტექნოლოგიის “სასიცოცხლო ციკლი”, შესაბამისად გაზარდონ მოგებების მოცულობა.

ამგვარი გაცვლის პრინციპული თავისებურებაა განვითარებადი ქვეყნების მიერ განვითარებულ ქვეყნებში ლიცენზიების შექმნა და დიდი კორპორაციების მიერ წარმოების შედარებით მარტივი სტადიის გადატანა მესამე ქვეყნებში არსებულ საკუთარ ფილიალებში. როგორც ვხედავთ, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში, ტექნოლოგიის გადაცემა ხორციელდება ან ტექნოლოგიის “სასიცოცხლო ციკლის” ბოლო სტადიაზე, ან საერთოდ არ ღებულობს სასაქონლო სახეს და წარმოადგენს შიდა საფირმო ტრანსფერტს.

საქართველოს საერთაშორისო ტექნოლოგიური გაცვლის პროცესში ცივილური მონაწილეობის ძირითად წინააღმდეგობას წარმოშობს ეკონომიკური-სამართლებრივი საფუძვლების პრაქტიკული არარსებობა, კერძოდ ქაოსი, რომელიც არსებობს ინტელექტუალური საკუთრების, საზღვარგარეთ დაპატენტების უფლების სამართლებრივ რეგულაციასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში და ა.შ. აგრეთვე სამაშულო პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა, სერტიფიცირების სისტემის არარსებობა, რაც პრაქტიკულად მიუწვდომელს ხდის ქართული პროდუქციისათვის საერთაშორისო ბაზრებს [3].

სამწუხაროდ, არის მიმართულებები, რომლებშიც პრობლემატიკა მნიშვნელოვანია. ეს, უპირველეს ყოვლისა, განათლების და მეცნიერების დაფინანსების დაბალ ხვედრით წილს შეეხება. ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დაფინანსება მინიმალურია, რაც ამ მიმართულებით სერიოზულ პრობლემებს აჩენს. მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს მეცნიერთა და აკადემიური პერსონალის გადამზადება, მათი თანამედროვე ლიტერატურით, საკვლევი მასალით მომარაგება, დაწვეული ინფრასტრუქტურული გადაიარაღება ბოლომდე უნდა იქნეს მიყვანილი. ქვეყნის ეკონომიკის განვითარება დიდადა დამოკიდებული ცოდნის ტრანსფერზე წარმოებაში, უნივერსიტეტების ჩართულობაზე ინოვაციურ პროცესებში, ახალი ტექნოლოგიების შემუშავებაში, მათ შორის მმართველობით სფეროში. განათლებისა და მეცნიერების რეფორმირება პერმანენტული პროცესია, მაგრამ, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანია, რომ რეფორმირების პროცესმა არ დაახიანოს ის მიღწევები, რომლებიც ამა თუ იმ სფეროში იყო. მიუხედავად ბარიერებისა ევროპასა და საქართველოს შორის, იყო მეცნიერების დარგები, რომლებშიც მსოფლიო დონის მეცნიერები მოღვაწეობდნენ და მსოფლიო დონის მიღწევები იყო, სამწუხაროდ, დღეს მათი მდგომარეობაც საკამოდ მიძიმეა. ამდენად გადაუდებელია, რომ გამოიძებნოს რესურსი, რათა ასეთმა სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა გააგრძელონ ნორმალური და ნაყოფიერი ფუნქციონირება; მეცნიერების დაფინანსებისათვის მნიშვნელოვანია კერძო სექტორის გააქტიურება, ამ მხრივ სახელმწიფოს როლი უნდა გაიზარდოს, შესაძლებელია ეს იყოს საგადასახადო შეღავათები ან სხვა ტიპის მასტიმულირებელი პოლიტიკა, რომელიც კერძო ბიზნესს განათლებასა და მეცნიერებაში, მათ შორის როგორც გამოყენებით, ისე განსაკუთრებით ფუნდამენტური კვლევების დაფინანსების სტიმულს მისცემს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაბუნაშვილი თ. მრეწველობა საქართველოში. თბილისი, „მეცნიერება“, 2000.
2. პავლიაშვილი ს. მრეწველობის განვითარების საერთო კანონზომიერებანი. თბილისი, 2007.
3. ზუბიტაშვილი დ. საქართველოს მრეწველობა და მისი ენერგეტიკული პრობლემები. თბილისი, 2003.
4. მესხია ი., მურჯიკელი მ. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, 1996.
5. მრეწველობა საქართველოში XX საუკუნის დასაწყისსა და XXI საუკუნის დასაწყისში. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2002.
6. Народное хозяйство Грузинской ССР в 1987 г. Тбилиси, 1988.
7. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2012. თბილისი, 2013.

PROBLEMS OF RAISING THE TECHNICAL LEVEL OF THE INDUSTRY IN GEORGIA

Annotation

This abstract reviews the development dynamics of Georgian manufacturing and its present condition. Lack of development of Georgia's economy reveals in its industrial backwardness. Without the rapid development of this field it will not become an industrial country. This requires ensuring the competitiveness of industrial products, which is a necessary condition for raising the technical level of production problems; such as: commercial lending rate of the banking system and the drop in prices; creation of market infrastructure and commodity exchanges; staff training and education system reform.

Хатуна Тамазовна Нуцубидзе

РОЛЬ КОНКУРЕНЦИИ И МОНОПОЛИИ В СОВРЕМЕННОЙ РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКЕ

Господствующей формой экономической жизни современного общества является рыночный тип экономической деятельности. Формирование этого типа хозяйственной деятельности происходило на протяжении столетий, развиваясь естественным путем, приобретая цивилизованные формы рационального хозяйствования в интересах социально-экономического прогресса. История цивилизации подтверждает, что страны с развитыми рыночными механизмами наиболее промышленно развиты. Этим самым доказано, что рынок – система не искусственно созданная и насильственно внедренная, а проверенная временем и наиболее жизнеспособная форма экономической деятельности. Экономика рыночного типа – одно из важных достижений человеческой цивилизации.

Категория «рынок» в экономической теории является базисной. Рынок является одним из основных понятий хозяйственной практики экономики.

Безусловным основателем теории рынка является основоположник и представитель классической экономической школы - Адам Смит (1723-1790). Адам Смит был сторонником механизма рыночного саморегулирования на основе свободных цен, складывающихся в зависимости от спроса и предложения, он первым в истории экономической науки обратил внимание на причины развития товарного обмена, а, следовательно, рынка. Так как причиной развития товарного обмена А. Смит считал ограниченность производственных возможностей человека, то путь к его увеличению он увидел в развитии общественного разделения труда, что, в конечном счете, ведет к возникновению обмена и формированию рынка.

На протяжении многовекового эволюционирования рыночного хозяйства изменялось и само понимание рынка, его сущности. Эволюционировала и сама структура рынка и, безусловно, выросла роль рынка в экономике.

Если изначально термин «рынок» обозначал территорию (а именно, площадь), где производился обмен товарами и услугами, то сегодня, категория «рынок» обобщает общепризнанный в российской и другой постсоветской экономической литературе термин - «рыночная экономика».

В современном понимании рыночная экономика - это экономика, основанная на принципах свободного предпринимательства, многообразия форм собственности на средства производства, рыночного ценообразования, договорных отношений между хозяйствующими субъектами, ограниченного вмешательства государства в хозяйственную деятельность¹⁷².

В целом, в западной экономической литературе приводятся и описываются различные типы рыночной экономики, включая такие теоретические-гипотетические рынки, которые характеризуются невмешательством правительства в дела частного бизнеса и торговлю («laissez-faire» и «free market»), и рынки, которые более или менее активно регулируются государством, и могут характеризоваться определенной степенью государственного экономического планирования («regulated markets», «mixed economies»)¹⁷³. И, как описывается в современной западной литературе, в чистом виде рыночная экономика не существует нигде, ни в одной стране, поскольку в разных государствах общество и правительства регулируют рынки в той или иной степени¹⁷⁴.

Законы рыночной экономики являются едиными для всех стран, их универсальность проявляется на всех этапах развития хозяйственной деятельности человеческого общества. В зависимости от исторических условий, культурных, национальных особенностей стран, эти общие законы рыночных отношений проявляются различно в той или иной стране, в зависимости от всех вышеперечисленных факторов. Так, например, выделяют базовые рыночно-капиталистические экономические системы: англо-саксонская модель¹⁷⁵ и модель социально-ориентированной рыночной экономики ((Market Socialism¹⁷⁶), созданная во второй половине двадцатого века в Германии, Франции, Швеции. Также, выделяют такие страновые модели рынков как Американская (либеральная), Английская (европейско-кейнсианская), Германская, Шведская, Японская¹⁷⁷. Кроме этого, В.М. Кудров, анализируя историческое развитие мировой экономики, выделил также латиноамериканскую и африканскую модели капиталистической рыночной экономики. В то же время, В.М. Кудров отмечает тенденцию к усилению социальной направленности американской модели, в то время как европейские модели становятся «все более рыночными». Тем не менее, как отмечает автор, современная зрелая рыночная экономика присуща только странам со зрелым капитализмом, таким как США, Канада, Япония, Германия, Франция, а также другим развитым

¹⁷² Райзберг Б.А., Лозовский Л.Ш., Стародубцева Е.Б. Современный экономический словарь. — 2-е изд., испр. М.: ИНФРА-М. 479 с.. 1999.

¹⁷³ <http://www.wisegeek.com/what-is-the-role-of-competition-in-a-market-economy.htm>

¹⁷⁴ "market economy", Merriam-Webster Unabridged Dictionary; Altwater, E. (1993). The Future of the Market: An Essay on the Regulation of Money and Nature After the Collapse of "Actually Existing Socialism. Verso. pp. 237–238.; Tucker, Irvin B. p 491. Macroeconomics for Today. West Publishing. p. 491

¹⁷⁵ Anglo-Saxon capitalism, Business Dictionary on BusinessDictionary.com:<http://www.businessdictionary.com/definition/Anglo-Saxon-capitalism.html>

¹⁷⁶ McNally, David (1993). Against the Market: Political economy, market socialism and the Marxist critique. Verso. p. 44.

¹⁷⁷ <http://www.vsavm.by/wp-content/uploads/2013/02/Rynohnaya-ekonomikaee-modeli.Materialy-dlya-samostoyatelnoi-raboty.pdf>

странам - членам Организации Экономического Сотрудничества и Развития (ОЭСР), что обусловлено функционированием в этих странах активного механизма конкурентной борьбы и целенаправленностью на научно-технический прогресс¹⁷⁸.

Исторически подтверждается, что форма конкурентного поведения рыночного субъекта эволюционирует и находится в неразрывной связи с развитием рыночных отношений. Так, Кравцевич С.В. отмечает, что понятие «конкуренция» и «рынок» находятся в диалектическом единстве друг с другом, а именно развитие конкурентных отношений как среды, лежащей в основе рынка, способствует развитию самого рынка как механизма или общественной формации. Также исследователь приходит к выводу о наличии обратной связи между рынком и конкуренцией¹⁷⁹.

Конкуренция - (от лат. *conspicere* – сталкиваться) – это элемент рыночного механизма; многозначность этого понятия не поддается какому-либо одному определению: подразумевает соперничество на рынке, борьбу за получение максимальной прибыли в результате той или иной деятельности в условиях рыночных отношений. В основе своей это - совокупность сложных поведенческих процессов всех участников рынка, так называемая «невидимая рука», которая координирует их деятельность в достижении определенных целей, воплощая собой соотношение между частными и общественными интересами и благодаря которой экономические побуждения отдельных индивидов к получению собственной экономической выгоды обращаются на благо всего общества (как определил А.Смит в своем труде «Исследование о причинах и богатстве народов», 1776 г.)¹⁸⁰.

Особенностью рыночной экономики является ее основа - частная собственность. Защита частной собственности и, соответственно, экономической свободы предпринимательства составляет фундамент свобод гражданского общества. Свобода предпринимательства выражается в возможности предпринимателя самостоятельно распределять производственные и финансовые ресурсы в соответствии со своими интересами и предпочтениями. Кроме этого, рыночная экономика гарантирует свободу потребителя, что выражается в свободе потребительского выбора. В рыночной экономике свобода выбора становится основой конкуренции. Конкуренция является необходимым условием для осуществления всех рыночных функций, описанных в современной российской экономической литературе: ценообразующей, регулирующей, стимулирующей, информационной, посреднической, оздоровительной¹⁸¹.

Таким образом, конкуренция является определяющим признаком современной рыночной экономики и ее основным рычагом развития. Именно поэтому проблемы на пути развития конкуренции и создания необходимых институционально-правовых и экономических условий для ее поддержания особенно обострены в странах с развивающимися рыночными экономиками. Таким образом, в условиях развития рыночной модели экономики теоретическое осмысление условий формирования, механизма действия, защиты рыночной конкуренции, выявления и предотвращения антиконкурентного поведения является наиболее важным и актуальным.

В современной экономической литературе описано многообразие функций, которые выполняет конкуренция в рыночной экономике. Так, например, Девяткин Е.А. выделяет пять функций конкуренции: регулирование (производственных ресурсов), мотивация (стимулирования субъектов предпринимательства), распределение (и перераспределения дохода от предпринимательской деятельности), контроль (конкуренция ограничивает односторонние действия предпринимателей и предоставляет потребителю возможность выбора), а также обеспечение безопасности (конкуренция обеспечивает безопасность в противовес монополизму)¹⁸².

Стародубровская И.В. выделяет следующие три наиболее важные функции конкуренции: создание действенных стимулов для развития народного хозяйства, формирование механизма отбора наиболее эффективных решений и предоставление возможности свободного выбора для всех участников экономических отношений¹⁸³.

Кроме этого, Рольф Х. Хесс, Мартин Р. Вольбург, так раскрывают роль конкуренции: «Конкуренция является средством достижения следующих целей: удовлетворить желания потребителей; добиться эффективного распределения ресурсов; служить инструментом экономического регулирования; обеспечить справедливое распределение доходов; стимулировать инновации; ограничить экономическую и, следовательно, политическую власть (последнее - по порядку, но не по значимости)»¹⁸⁴.

В современной экономической литературе в основном описываются базовые типы конкуренции: совершенная и несовершенная конкуренция. Также важными видами конкуренции являются: ценовая и неценовая, отраслевая и межотраслевая, добросовестная и недобросовестная конкуренция. Кроме того, часто встречаются такие определения конкуренции как местная, национальная и международная конкуренция и др.

Однако, важно подчеркнуть, что в основе рыночного механизма лежит именно несовершенная конкуренция. Представители институционализма дали институционалисты. Представители институционализма считают, что цели и способы экономической деятельности у организации и индивидуума совершенно различны. Гэлбрэйт утверждает, что когда хозяйствующие субъекты являются крупными корпорациями, меняются цели их экономической деятельности. Максимизация прибыли, к которой стремится хозяйствующий субъект, замещается целью фирмы занять прочные позиции на рынке. Налицо замещение цели коммерческого характера целью, носящей некоммерческий характер. В результате этого создаются иные правила ведения конкуренции, что приводит к возникновению понятия «несовершенная конкуренция» с выделением ее типов (монополия, монополистическая конкуренция, олигополия, монополия). В данном случае, по мнению институционалистов, имеет место в качестве конкуренции борьба ассоциативных форм ведения предпринимательской деятельности, т.е. борьба корпорации за удовлетворение своих интересов.

¹⁷⁸ Мировая экономика: учебник / В.М. Кудров. – М.: Юстицинформ, 2009. – 2009. – 512 с. – (Серия «Образование»)

¹⁷⁹ Кравцевич С.В. Историко-экономические взгляды на формирование представлений о конкуренции. – Чита: ЧитГУ, 2011. – 146 с. http://vseup.ru/static/files/Kravtsevich_-_Monografiya_Istoriko-ekon_vzglyad_na_konkurenciyu.pdf

¹⁸⁰ http://usib.ru/files/USIB/download/adam_smit_issled_o_priode.pdf

¹⁸¹ <http://www.center-yf.ru/data/economy/Funkcii-rynochnoi-ekonomiki.php>

¹⁸² Девяткин Е.А. Теория и практика конкуренции: Учебно-методический комплекс. – М.: ЕАОИ, 2008. – 232 с.

¹⁸³ Стародубровская И.В. От монополизма к конкуренции. М.: Политиздат, 1990.-174 с.

¹⁸⁴ Рольф Х. Хесс, Мартин Р. Вольбург. Конкурентная политика и контроль за слиянием в Европейском Союзе // Вестник МАП России. - 1999.-№ 2-3.- С.83-93.

Основными видами несовершенной конкуренции являются: монополия, олигополия и монополистическая конкуренция. При этом, как отмечает Дж. Р. Хикс, «...самым крайним проявлением несовершенства конкуренции является монополия»¹⁸⁵.

Необходимо подчеркнуть, что теория монополии практически не существовала до 1838 года, до А. Курно, когда он опубликовал свою работу «Исследования математических принципов теории богатства» (1838). А. Курно не только разработал теорию монополии, но также уделил внимание случаю дуополии (двух конкурентных продавцов).

Также, важный вклад в развитие теоретических моделей внесли Ф. Эджуорт (математическое описание), А. Лернер (монополистическая власть и ее оценка), К. Виксель (конкуренция и ценовая дискриминация), М. И. Туган-Барановский (комплексный подход), Й. Шумпетер, Ф. Хайек, и др.

Можно сказать, что теория монополистической конкуренции – одно из важнейших достижений экономической мысли двадцатого века. О тесном взаимодействии монополии и конкуренции указывает Э. Чемберлин – создатель теории монополистической конкуренции¹⁸⁶. Тут же надо отметить, что он, как и Дж. Робинсон, разработчик концепции несовершенной конкуренции, рассматривал эту взаимосвязь преимущественно вне исторического контекста.

Термин «монополия» (от греч. *mono* - один, и *polo* - продаю) в экономике подразумевает абсолютное право производить или продавать (какой-либо продукт, услугу), занимать господствующее положение на рынке, влиять на процесс ценообразования, обладать исключительными правами, распоряжаться ресурсами, получать высокие (монопольные) прибыли. В экономике термин «монополия» применяют для обозначения особой структуры отрасли, рынка, или степени конкурентоспособности фирмы¹⁸⁷.

В современной экономической жизни термины «монополия», «монополизация», «монополизм» часто используются в широком смысле для описания рыночной власти и ее незаконного применения. Относительно термина «монополия» А.В. Бондарь, В.А. Воробьев, Н.Н. Сухарева отмечают, что в том случае, когда говорят об антимонопольной политике, имеют в виду государственное регулирование не только чистых, «стоцентных» монополистов, но и другие формы доминирования на рынке и влияния на рыночные цены¹⁸⁸. Однако, как отмечает Никитина Н.Н., при осуществлении антимонопольной политики необходимо учитывать специфические особенности понятий «монополия» и «монополизация», и разграничивать эти понятия. Так, например, Никитина Н.Н. отмечает, что «монополизация» - это действия хозяйствующих субъектов, органов управления, направленные на устранение конкуренции, установление доминирующего положения одного из участников рынка; процесс формирования монополии. Как известно, монополия сама по себе не является незаконной, так как фирма может завоевать монопольное положение на рынке легальным путем, например, за счет повышения производительности труда, используя нововведения и т.д. Никитина Н.Н. подчеркивает, что понятие «монополизм» шире и сложнее, поскольку включает в себя не только структуру отрасли, рынка, но и определенную систему отношений хозяйствующих субъектов. Автор отмечает, что монополизм рассматривается, как тип экономических отношений, при котором отдельные хозяйствующие субъекты могут проводить политику ограничения конкуренции в ее различных видах, навязывать собственные интересы своим контрагентам и обществу в целом, игнорируя их действительные потребности. Никитина Н.Н. поясняет, что сущность монополизма заключается в институционализации особых, специфических отношений между участниками экономической и политической жизни общества¹⁸⁹.

Кроме этого, учитываются и такие разновидности монополий как чистая монополия, естественная монополия, простая монополия, дискриминационная монополия (монополистическая ценовая дискриминация), монополия, открытая и закрытая монополия, простая монополия, двусторонняя (билатеральная) монополия.

Конкуренция и монополия выступают в неразрывной связи, несмотря на полную противоположность по своей сущности. Они – две основные составляющие одного понятия – рынок. Известно, что монополизация способна устранить любую конкуренцию, а конкуренция – это фактор, подрывающий чье-либо господство на рынке. Между тем, они находятся в сложной взаимосвязи друг с другом. В двадцатом веке монополия стала выступать, наряду с конкуренцией, дополнительным фактором развития рынка, играя определяющую роль в производстве и реализации товаров.

Внутренняя логика рыночной борьбы порождает конкуренцию, а это, в свою очередь, создает монополию, так как победивший конкурент начинает господствовать на рынке, став монополистом. Монополия становится препятствием для свободной конкуренции, что ведет к негативным последствиям на рынке. Однако, в экономической литературе зачастую доказывается прямо противоположная мысль: крупные объединения не уничтожают конкуренцию; существует крепкая взаимосвязь, противоречивая по смыслу, - конкуренция-монополия, что ведет к еще большему усилению соперничества – конкуренции. Создается так называемая ситуация «перетягивания каната».

В условиях же требующих необходимость вмешательства государства, короткое должно найти возможность ставить преграды монополистическому захвату рынков, основной задачей становится создание эффективных рыночных институтов, поощрение конкурентных отношений, что ведет к эффективному использованию научно-технических достижений, современной техники и технологий, современных методов организации производства и труда.

¹⁸⁵ Дж. Р. Хикс file:///D:/Kh%20Aspirantura_2014/materialy.ru/part.pdf

¹⁸⁶ Чемберлин Э., Теория монополистической конкуренции, М., 1996, с. 33

¹⁸⁷ Микроэкономика: учебное пособие/ А.В.Бондарь, В.А.Воробьев, Н.Н.Сухарева; под ред. А.В.Бондаря, В.А.Воробьева. – Мн.: БГЭУ, 2007. – С.88-114

¹⁸⁸ Микроэкономика: учебное пособие/ А.В.Бондарь, В.А.Воробьев, Н.Н.Сухарева; под ред. А.В.Бондаря, В.А.Воробьева. – Мн.: БГЭУ, 2007. – С.88-114

¹⁸⁹ Никитина Наталья Николаевна. Диалектика конкуренции и монополии : Дис. ... канд. экон. наук : 08.00.01 Уфа, 2005 190 с. РГБ ОД, 61:05-8/3842

THE ROLE OF COMPETITION AND MONOPOLY IN A MODERN MARKET ECONOMY

Annotation

A market economy is one where individuals and businesses operate within a legal framework set up by a government. The key factor here is that governments do not interact - or do not do so heavily - with the market. The role of competition in a modern market economy is often what makes this system work properly. In most cases, competition allows for more choices, improves the quality of products through the efficient use of resources, and enhances economic growth through increased investments. In most cases, the results of competition are almost always positive. In a market economy problems occur when the market structure becomes monopolistic. Monopolies and oligopolies can lead to market failure - particularly if there is evidence of collusive behavior by the dominant businesses. Therefore the regulation of monopoly and competition policy is necessary in a modern market economy. For complete Market economy development in a country it is necessary: to support development of free owners and protect competition; to promote and develop competition; and not allow the monopoly activity in a country, besides the cases foreseen by the law. So, the state appears to be the guarantee and supporting the rights of customers in the country. Mechanism of forming and supporting the competition environment is put in concrete sphere - antimonopoly regulating mechanisms.

ქრისტინე ნუტსუბიძე

ბიზნესის შეფასების თანამედროვე მეთოდი და ქართული სინამდვილე

საქართველოს სინამდვილეში არსებული საკანონმდებლო სივრცე და მოქმედი რეგულაციები ხელს უშლის საფონდო ბაზრისა და მისი მთავარი კომპონენტის – აქციაზე საბაზრო ფასის წარმოქმნას.

ასეთ პირობებში საქართველოს კანონმდებლობა ცდილობს რა ღაიცივას წვრილი მეწილეების ინტერესები და ხელი შეუწყოს ბიზნესის წინსვლას, აწესებს რიგ საკანონმდებლო რეგულაციას, რომლის მიზანია ამა თუ იმ ბიზნესის (კომპანიის და ერთი აქციის) სამართლიანი ფასის განსაზღვრა.

აღნიშნული სამართლიანი ფასი კი ეფუძნება საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში აღიარებული კომპანიის შეფასების რამდენიმე მიდგომას (საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 534, და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 30914 მთხოვნები). ამ მხრივ კანონმდებელმა განსაზღვრა, რომ მსოფლიოში მოქმედი შეფასების მრავალ მთვლელს შორის ამ მიზნებისთვის მხოლოდ განსაზღვრული მიდგომა უნდა იყოს გამოყენებული.

საწარმოს ფასის დადგენის მიზნით, საკანონმდებლო რეგულაციით შემფასებელმა უნდა განსაზღვროს სამართლიანი ფასი შემდეგი სამი მიდგომის საფუძველზე:

1. სამომავლო შემოსავლების დისკონტირების მეთოდი;
2. დანახარჯების მეთოდი;
3. შედარების (ანალოგიების) მეთოდი.

შემოსავლების მიდგომის მთავარი განმსაზღვრელი ელემენტია ობიექტის მიერ შემოტანილი შემოსავალი; რაც უფრო მეტი შემოსავალი მოაქვს ობიექტს, მით უფრო მეტია მისი სამართლიანი ღირებულება.

ამ ნაშრომში მიმოვიხილავ მხოლოდ სამომავლო შემოსავლების მიდგომას და მის შემადგენელ კომპონენტებს.

ეს მიდგომა ორ მეთოდს მოიცავს:

1. პირდაპირი კაპიტალიზაციის მეთოდი;
2. ფულადი (თავისუფალი) სახსრების დისკონტირების მეთოდი.

ეს მიდგომა ეფუძნება თავისუფალი ფულადი სახსრის დროში დისკონტირების დაჯამებით მიღებული არსებული ქონების (კომპანიის წილის, ბიზნესის, ერთეული აქციის და სხვა) შეფასებას.

ამ მხრივ კომპანიის ღირებულება ეფუძნება შემდეგ განტოლებას:

$$V_{\text{აპ}} = \sum_{t=1}^{\infty} \frac{FCF_t}{(1 + WACC)^t}$$

ანუ

კომპანიის ღირებულება = პირველი წლის თავისუფალი ფულადი სახსარი / 1+(კომპანიის კაპიტალის გასაშუალოებული ხარჯი) + მეორე წლის თავისუფალი ფულადი სახსარი / 1+(კომპანიის კაპიტალის გასაშუალოებული ხარჯი)² + მესამე წლის თავისუფალი ფულადი სახსარი / 1+(კომპანიის კაპიტალის გასაშუალოებული ხარჯი)³ და მომდევნო პერიოდები.

აღნიშნული მიდგომით ღირებულების განსაზღვრის მიზნით დასადგენია:

1. თავისუფალი ფულადი სახსარი და მისი კომპონენტები;
2. კომპანიის კაპიტალის გასაშუალოებული ხარჯი და მისი კომპონენტები.

თავისუფალი ფულადი სახსარი და მისი კომპონენტები

თავისუფალი ფულადი სახსარის (Free Cash Flow) გამოსათვლელად მიღებულია რიგი მეთოდი, რომლის ფორმულით გამოსახვა შემდეგია:

1.FCF (Free cash flow) = Sales (გაყიდვები) – Operating costs (საოპერაციო ხარჯი) – Operating taxes (საოპერაციო ბეგარა) – Required investments in operating capital (აუცილებელი ინვესტიცია საოპერაციო კაპიტალში)

2.FCF (Free cash flow) = Operating cash flow (ფულის მოძრაობის შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან) – Gross investment in operating capital (ნახარდი ინვესტიცია საოპერაციო კაპიტალში)

3.FCF (Free cash flow) = NOPAT (წმინდა საოპერაციო მოგება ბეგარის გადახდის შემდეგ) – Net investment in operating capital (წმინდა ინვესტიცია საოპერაციო კაპიტალში, ანუ CAPEX - კაპიტალიზირებადი ინვესტირება)

შინაარსობრივად ყველა ეს ფორმულა იდენტურია და მათი გამოყენება ამა თუ იმ ბიზნესისთვის კონკრეტული ბიზნესის ფინანსური ანგარიშგების მომზადების მოდელს ემყარება.

სანამ მოვახდენთ ბიზნესის ციფრობრივ შეფასებას, საჭიროა ამ ფორმულის შემადგენელი ერთეულების გათვლის დეტალური გაშიფვრა:

NOPAT (net operating profit after taxes, ანუ წმინდა საოპერაციო მოგება ბეგარის გადახდის შემდეგ) = EBIT* (1– TAX rate) (შემოსავალი საპროცენტო ხარჯის გაწვევამდე და ბეგარის გადახდამდე)

CAPEX (Net capital spending (net investment in capital) კაპიტალიზირებადი ინვესტირება) = Ending net fixed assets (ფიქსირებული აქტივები წლის ბოლოს) – Beginning net fixed assets (ფიქსირებული აქტივები წლის დასაწყისში) + Depreciation (წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა).

კომპანიის კაპიტალის გასაშუალოებული ხარჯი და მისი კომპონენტები

კომპანიის კაპიტალის საშუალო ღირებულების მანუვრების განსაზღვრის მიზნით თანამედროვე ფინანსურ ლიტერატურაში ყველაზე გავრცელებულია შემდეგი ხუთი მიდგომა:

1. კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელი (CAPM);
2. კომპანიის სადივიდენდო პოლიტიკის მეშვეობით ღირებულების განსაზღვრა (Gordon Growth Model);
3. ბონდის, ანუ ობლიგაციის მოსალოდნელი შემოსავლიანობა დამატებული საპრემიო განაკვეთი;
4. მოცემული კომპანიის (ბიზნესის) კაპიტალის ღირებულების გათვლა WACC მეთოდოლოგიით;
5. კუმულაციური მეთოდი (Build up method).

განვიხილოთ თითოეული მათგანის საქართველოში გამოყენების რეალობა:

1. კაპიტალური აქტივების შეფასების ფორმულა (CAPM) შემდეგია:

CAPM

(აქტივებზე ფასების ფორმირების მოდელი, გაწერილი ღირებულების სახით)

$$K_e = R_f + B (R_m - R_f)$$

სადაც

K_e – საპროცენტო განაკვეთი (მოსალოდნელი)

R_f – უსაფრთხო საპროცენტო განაკვეთი (მაგ., სახაზინო ობლიგაციებზე)

B – კომპანიის ბეტა

R_m – ბაზარზე არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთი

ჯამური საპროცენტო განაკვეთი უდრის შემდეგი კომპონენტების ჯამს:

1. ქვეყანაში არსებული სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე უსაფრთხო განაკვეთი - Risk Free;
2. საფონდო ბაზარზე ჩამოყალიბებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი – Market Rate
3. შესაფასებელი კომპანიის ბეტა კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს ისტორიულ ჭრილში შედარებას საბაზრო ფასის ცვლილების შესაფასებელი ობიექტის აქციის/წილის ფასის ცვლილებასთან – Beta.

ამ მხრივ:

$$CAPM = Risk Free + (Market Rate - Risk Free) * Beta$$

ვინაიდან საქართველოს სინამდვილეში არც ერთ კომპანიას არ გააჩნია ბეტა კოეფიციენტი, ასევე უცნობია კომპანიათა რეალური საბაზრო ფასი, საფონდო ბაზრის არსებული კანონმდებლობით დე ფაქტო ვერ ფუნქციონირების გამო, ამ ფორმულით საპროცენტო განაკვეთის გამოყვანა ვერ მოხერხდება. ანუ აღნიშნული მეთოდით საქართველოს სინამდვილეში ბიზნესის ღირებულების გათვლა აზრს მოკლებულია.

2. კომპანიის სადივიდენდო პოლიტიკის მეშვეობით ღირებულების განსაზღვრა (Gordon Growth Model)

Gordon Growth Model

(გორდონის ზრდის მოდელი, ამით გამოითვლება ჩვეულებრივი აქციის ფასი)

$$K_e = D_1 / P_0 + g,$$

ან

$$P_e = D_1 / (r_e - g)$$

ან

$$g = r_e - D_1 / P_e$$

სადაც,

K_e – საპროცენტო განაკვეთი (მოსალოდნელი)

D_1 – მომავალი წლის მოსალოდნელი ან ცნობილი დივიდენდის მოცულობა

P_0 – დღეის მდგომარეობით არსებული აქციის ღირებულება

g – დივიდენდის, ფასის მოსალოდნელი ზრდის ტემპი მომდევნო პერიოდებში (საუბარია უწყვეტ ზრდაზე)

ამ მეთოდით შესაძლებელია როგორც საპროცენტო განაკვეთის, ასევე კომპანიის ღირებულების დადგენა. მისი არსი შემდეგშია:

კომპანიის აქციის (ერთეული წილის) ღირებულება = მომავალი წლის დივიდენდი / (საბაზრო საპროცენტო განაკვეთი – კომპანიის მუდმივი ზრდის საშუალო საპროცენტო მაჩვენებელი)

$$\text{VALUE} = \text{Dividend 1} / (\text{Required rate} - \text{constant growth rate})$$

საქართველოში არსებული რეალიების გათვალისწინებით ამ მეთოდით კაპიტალის ღირებულების გამოთვლა შეუძლებელია, რადგან უცნობია კომპანიის გრძელვადიან პერიოდში მუდმივი ზრდის ტემპი, ასევე არ არის ცნობილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთი. გარდა ამისა, არც ერთ ქართულ კომპანიას არ გააჩნია წარსული “historical performance”, რაც სამომავლო პროგნოზირების საფუძველს არ იძლევა.

3. Bond Yield Plus Premium

(ბონდის, ანუ ობლიგაციის მოსალოდნელი შემოსავლიანობა დამატებული საპრემიო განაკვეთი)

$$K_c = K_d + R_p$$

K_c – საპროცენტო განაკვეთი (მოსალოდნელი)

R_p – რისკის პრემია კაპიტალში ინვესტირებისას

K_d – ბაზარზე არსებული სტანდარტული განაკვეთი სესხზე

ვინაიდან ამ მიდგომის გასაერცობად ჩვენ არ გავგაჩნია არც რისკის პრემიის ცნობილი განაკვეთი საქართველოსთვის, არც აღიარებული რაიმე სტანდარტული (ლიბორის მსგავსი) საერთო განაკვეთი სესხზე, ამ მიდგომით საპროცენტო განაკვეთის გამოყვანა ვერ მოხერხდება.

4. მოცემული კომპანიის (ბიზნესის) კაპიტალის არსებული კაპიტალის ღირებულების გათვლა WACC მეთოდოლოგიით

კომპანიის, ბიზნესის, ინვესტორის პორთფელის ღირებულების ყველაზე გავრცელებული და ძირითადი ფორმულა:

$$\text{WEIGHTED AVERAGE COST OF CAPITAL} = \text{WACC}$$

(კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი მაჩვენებელი)

კაპიტალი არის ყველა ის წყარო, რის მეშვეობით ხდება ნებისმიერი ბიზნესის, კომპანიის დაფინანსება. ანუ ბალანსის მარჯვენა მხარე სრულად - პასივები (ანუ სესხი და კაპიტალი ერთობლივად)

$$\text{WACC} = W_d K_d (1-T) + W_p K_p + W_e K_e$$

სადაც:

W_d = DEBT PORTION IN CAPITAL STRUCTURE;

(ვალდებულებების, სესხის ჯამური წილი კაპიტალის მთელ სტრუქტურაში)

K_d = COST OF DEBT;

(ვალდებულების, სესხის ღირებულება, ანუ რა პროცენტშია საშუალოდ ნასესხები)

W_p = PORTION OF PREFERRED STOCK IN CAPITAL STRUCTURE (IF ANY)

(პრივილეგირებული აქციების წილი კაპიტალის სტრუქტურაში (თუ არის))

K_p = COST OF PREFERRED STOCK

(პრივილეგირებული აქციის ღირებულება, ანუ რა დივიდენდების ხარჯია მოსალოდნელი % ში)

W_e = PORTION OF EQUITY (RETAINED EARNING) IN CAPITAL STRUCTURE

(გაუნაწილებელი მოგების/ჩვეულებრივი აქციის წილი საერთო კაპიტალში)

K_e = COST OF EQUITY (RETAINED EARNING)

(კაპიტალის ღირებულება (გაუნაწილებელი მოგების ღირებულება))

T = TAX RATE

(ბეგარის განაკვეთი)

რა თქმა უნდა, ყველა წილის ჯამი ($W_d + W_p + W_e$) = 100%

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – WACC წარმოადგენს კომპანიის მოთხოვნილ განაკვეთს (რა უჯდება მას პროცენტებში რესურსის მოზიდვა). ამ მეთოდით შესაძლებელია დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრა და მისი ცალკეულ შემთხვევებში გამოყენება. თუმცა, ქართული სინამდვილის გათვალისწინებით, ძნელია სტაბილური სადივიდენდო პოლიტიკის მქონე ბიზნესის მოძიება და ეს მეთოდი ვერ იქნება უნივერსალური მთელი რიგი ბიზნესის ღირებულების განსაზღვრის დროს.

კუმულაციური მეთოდი (Build up method)

კაპიტალიზაციის განაკვეთი არის პოტენციური ინვესტორის მიერ მოთხოვნილი მოგება, ამონაგების კოეფიციენტი ინვესტიციაზე. სხვადასხვა დარგში და ბაზრის განსხვავებულ პირობებში კაპიტალიზაციის განაკვეთი განსხვავებულია. გადაწყვეტილების მიღების დროს ინვესტორი მხედველობაში იღებს სხვადასხვა სახის რისკებს (და შესაბამისად ახორციელებს პრემიალურ დანამატს რისკზე), რომელიც თან სდევს კონკრეტულ ბიზნესინვესტირების პროცესში.

ზოგადად, საქართველოში კაპიტალიზაციის განაკვეთი ბიზნესში ინვესტირებისას მერყეობს 20 – 26% ფარგლებში. ამის საშუალო არითმეტიკული სიდიდე 23% ტოლფასია, თუმცა, უმჯობესია, უფრო ღრმად გავაანალიზოთ კაპიტალიზაციის განაკვეთი, რაშიც გამოვიყენოთ ე.წ. კუმულაციური მეთოდი. (Build-up method). ეს

მეთოდი გულისხმობს სხვადასხვა სახის რისკების და შესაბამისი პრემიალური განაკვეთების შეფასებას და დაჯამებას. მხედველობაში მიიღება უსაფრთხო (ურისკო) განაკვეთი. ზოგადად, ფულადი სახსრების ნებისმიერ განთავსებას ახასიათებს გარკვეული რისკი. თუმცა, ურისკოდ მიიჩნევა ფულადი სახსრების ისეთი განთავსება, რომელიც ყველაზე დაბალი რისკის მქონეა. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში უსაფრთხო განაკვეთად (რისკ ფრეე) მიიჩნევენ სახელმწიფო ობლიგაციებზე დასარიცხ პროცენტს (დისკონტს). ფართო გავრცელების, პრაქტიკაში გამოყენებისა და წვდომადობის გამო უსაფრთხო განაკვეთი საქართველოს კვალობაზე უპრიანი მივიჩნით საქართველოს კომერციული ბანკების მიერ მოკლევადიან დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი.

შემდეგი კომპონენტი პრემიალური განაკვეთი, გაწეულ რისკზე. ამ კომპონენტში შედის როგორც უშუალოდ კონკრეტული სფეროს და ბიზნესის რისკი, ასევე სისტემური რისკები, როგორცაა სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული რისკები.

მომდევნო კომპონენტი პრემიალური განაკვეთი დაბალი ლიკვიდურობისთვის. ყველაზე ლიკვიდურია ნაღდი ფული, შემდეგ მოდის დაღმავალი ლიკვიდობით მიმდინარე აქტივები და ფიქსირებული აქტივი (გრძელვადიანი ინვესტიცია) – მიწა, შენობა-ნაგებობა, მანქანა – დანადგარები და ა. შ.

კიდევ ერთი კომპონენტი პრემიალური განაკვეთი სადამბანდებლო მართვისთვის (ინვესტმენტ მანაგემენტ). ეს პრემიალური განაკვეთი თავის თავში ასახავს იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა სახის ინვესტირების დროს მოგების მიღებას განსხვავებული ძალისხმევა ესაჭიროება. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია განვიხილოთ დეპოზიტი. ინვესტორის მიერ დეპოზიტზე ფულის განთავსებას და წლიური მოგების მიღებას რაიმე განსაკუთრებული ძალისხმევა არ ესაჭიროება. მეორეს მხრივ, ბიზნესში ინვესტირების შედეგად მიღება (როგორც წესი) გაცილებით მეტი მოგება და მის მიღებას გაცილებით მეტი ჯაფა და მმართველობის განსაკუთრებული უნარ-ჩვევებია სჭირდება.

საერთაშორისო პრაქტიკაში, როგორც წესი, კონტროლის უკმარისობის აქციებზე ფასდაკლებას საზღვრავენ 25-30% დიაპაზონში, რადგან შესაფასებელი აქციები კონტროლის არანაირ უზრუნველყოფის საშუალებას არ იძლევა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ჩვენ მიერ შეფასებული კაპიტალიზაციის განაკვეთის ოდენობა:

კომპონენტი	საერთაშორისო დიაპაზონი (%)	გამოყენებული ფასდაკლება (%)
უსაფრთხო განაკვეთი	4-5	2.5
პრემია გაწეული რისკისთვის	7-10	3.0
პრემია დაბალი ლიკვიდურობისთვის	5-6	3.0
პრემია სადამბანდებლო მართვისთვის	3-4	2.5
ფასდაკლება კონტროლის უკმარისობისთვის	25-30	5.0
ჯამი	47-55	16

ამ მხრივ, როგორც ცხრილიდან ჩანს, კაპიტალიზაციის განაკვეთის არსებული განაკვეთი 16%-ის ოდენობის ფარგლებშია მოქცეული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი პლიუსის“ შეფასების მეთოდოლოგია სს „მეტეხის კერამიკა“, სს „ბორჯომის 1 ჩამომსხმელი ქარხანა“, სს „მერანი“ – www.investgroup.ge;
1. Fundamentals of Financial managements, 13th edition, James Van Horne, John Wachowicz;
2. Corporate Finance: Core Principles and Applications by S. Ross, R. Westerfield, J. Jaffe, and B. Jordan, Sixth Edition;
3. Eugene F. Brigham / Michael C.Ehrhardt: Financial Management. 12th edition

Kristine Omadze

BUSINESS VALUATION MODERN MODELS AND GEORGIAN REALITY

Annotation

In this article I have studied the law requirements and business demand on different valuation techniques in Georgia. I have observed Free Cash Flow approach, WACC model, CAPM, build up and Gordon dividend's growth model and its implementation in Georgia, peculiarities and differences between local industry and worldwide one.

ცოტნე კლენტი

კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში და მისი ბავშვანა ტრანსფორმაციის პერიოდზე

განსხვავებით დასავლეთ ევროპისა, სადაც კაპიტალიზმი იწყებს გავრცელებას მე-16 საუკუნიდან, საქართველოში ის ფეხს იკიდებს მე-19 საუკუნის შუა წლებიდან. მას, როგორც ფუნდამენტურად განსხვავებულ იდეოლოგიას, მანამდე არსებული ფეოდალური წესრიგისა, გარკვეული სპეციფიკური პირობები სჭირდებოდა აღმოცენებისათვის.

პირველ პირობად შეიძლება ჩაითვალოს სტაბილური პოლიტიკური გარემო: საქართველოს ტერიტორია საუკუნეების განმავლობაში იყო გაუთავებელი ომების ასპარეზი, განსაკუთრებით მწვავედ აისახებოდა ეს ქვეყნის განვითარებაზე ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, სადაც საგარეო ომს დაემატა შიდა დაქსაქსულობა. ბოლო ქართული აღმშენებლობა ემთხვეოდა “ოქროს ხანის” პერიოდს (მე-12, მე-13 საუკუნეები), როდესაც ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა ერთიანი დიდი ქვეყნის დაცულ გარემოში. რუსული ანექსიის შემდეგ მოხდა ქართული ტერიტორიების სამ რეგიონად შესვლა რუსეთის იმპერიაში (თბილისის, ქუთაისის

გუბერნიები და ბოლოს ყარსის ოლქი). რუსეთ-ირანის (1804-1813) და შემდეგ რუსეთ-ოსმალეთის (1868-1874; 1877-1878) ომებით მოხდა საზღვრების დადგენა ქართულ ტერიტორიებთან მიმართებაში. შედეგად, მე-19 საუკუნე გაცილებით მშვიდი იყო მოსახლეობისათვის და შესაძლებელი გახდა სტაბილურ გარემოში ქვეყნის მომავალი განვითარების წინაპირობების შექმნა.

კაპიტალიზმი მოითხოვს, რომ მასში მონაწილე სუბიექტები იყვნენ თავისუფლები, თავისუფლად იქნეს მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე საკუთრების დიდი ნაწილი იყოს კერძო. მანამდე არსებული აბსოლუტური მონარქია და ბატონყმური წყობილება ვერანაირად ვერ შეძლებდა რეალური კაპიტალიზმის შექმნას. ევროპაში წინა პლანზე დგებოდა მონარქის ძალაუფლების შეკვეცა კონსტიტუციური მონარქიების შემოღებით და კლასობრივი განსხვავებების მოშლა. ამ კუთხით, რუსეთის იმპერიაში დაწყებულმა ცვლილებებმა საქართველომდეც მოაღწია და 1864-1872 წლებში მოიტანა ბატონყმობის გაუქმება ეტაპობრივად საქართველოს ყველა კუთხეში. შედეგად გაჩნდა მოსახლეობის თავისუფალი კლასი, რომელსაც შეეძლო როგორც მეწარმეობა, ასევე საკუთარი თავისუფალი სამუშაო ძალის გამოყენება ანაზღაურების მიღების მიზნით. გლეხებს შორის გაჩნდა დიფერენციაცია: გლეხებს, რომელთაც ჰქონდათ გარკვეული კაპიტალი, გახდნენ შეძლებული გლეხები (მომავალი კაპიტალისტები), რომლებიც ქირაობდნენ სამუშაო ძალას, ხოლო გლეხების დანარჩენი ნაწილი თავს ირჩენდა მიღებული შრომის ანაზღაურებით. შედეგად, უკვე შესაძლებელი გახდა შიდა საბაზრო წარმოება და ვაჭრობის განვითარება.

ბატონყმობის გაუქმებამ ხელი შეუწყო ქალაქების განვითარებას, მათში მოსახლეობის მიგრაციას. ტრადიციული ეკონომიკისგან განსხვავებით, კაპიტალიზმში ეკონომიკის მთავარი დარგია წარმოება (შემდგომ უკვე მომსახურებაც), ნაცვლად სოფლის მეურნეობისა. გარდა შიდა მიგრაციისა, ქართულ ქალაქებში ხდებოდა რუსეთის ფედერაციაში არსებული სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა, ასევე სპარსელების და ოსმალების დასახლება, მათ შორის სამხედრო ნაწილების. ეს ზრდიდა მთლიანად ქვეყნის მოსახლეობას, ბუნებრივი მატების გაზრდილ ტემპთან ერთად (სიკვდილიანობის შემცირების გამო), 1821-1865 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში მოსახლეობა გაიზარდა 4-ჯერ, ხოლო 1886-1897 წლებში მოხდა ქალაქის მოსახლეობის 71%-იანი ზრდა. 1821 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ურბანიზაციის დონე იყო მხოლოდ 12%, 1868 წელს მიაღწია 18%-ს. სულ კი ქალაქებში 1897 წლისათვის 300 590 ადამიანი ცხოვრობდა. ქალაქები ხელს უწყობდა სხვადასხვა მცირე სახელოსნოების განვითარებას, რამაც შექმნა ბიზნესის კონკურენტუნარიანი გარემო. აღსანიშნავია, რომ ამ წლებში არ მომხდარა ახალი ქალაქის ან დაბის დარსება, მთელი განვითარება მოდიოდა უკვე არსებულ დასახლებებზე. შეიქმნა მისაღები დამოკიდებულება სოფელსა და ქალაქს შორის, სადაც სოფლები ახდენდნენ ქალაქებისთვის რესურსების მიწოდებას და ქალაქები გახდნენ სასოფლო პროდუქციის უმთავრესი მომხმარებლები და გამამუშავებლები [1].

საქართველოს თავისი ეკოპოლიტიკური და ფიზიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის ეკავა დერეფნის როლი ევროპასა და აზიას შორის, აქ გადიოდა “აბრეშუქის გზა”. ახალმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა გააჩინა შესაძლებლობები ამ კუთხით მომავალი განვითარებისათვის. 1872 წელი ითვლება რკინიგზის დაბადების დღის წლად, როდესაც შედგა რეისი თბილისსა და ფოთს შორის (თუმცა 1 წლით ადრე ფოთი-ყვირილას (ხესტაფონი) მონაკვეთზე გაიხსნა მოძრაობა). 1883 წელს თბილისი რკინიგზით დაუკავშირდა ბაქოს, ხოლო 1899 წელს სომხეთს. რკინიგზის მთავარი მნიშვნელობა იყო სატვირთო გადაზიდვები, გაიზარდა პროდუქციის ვაჭრობა და შემცირდა მათზე გაწეული დანახარჯები ტრანსპორტირებისას.

კაპიტალისტურ სისტემაში საქონელგაცვლის ხელშემწყობი ფაქტორი განვითარებული ფულადი სისტემაა, ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო 1843-1845 წლებში სახელმწიფო გადასახადების კომუტაცია, რის მიხედვითაც გადაამხდელი ანგარიშგაღებული იყო, ხაზინასთან ანგარიში გაესწორებინა მხოლოდ ფულადი საშუალებებით. 1919 წელს შეიქმნა პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში, რომელმაც ჩაანაცვლა რუსეთის საიმპერიო ბანკის განყოფილება და მას „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა, რომლის თავმჯდომარედ იასონ ლორთქიფანიძე აირჩიეს. ხანმოკლე ფუნქციონირების მიუხედავად, სახელმწიფო ბანკმა განახორციელა ფულის რეფორმა, შეიქმნა უცხოური სავალუტო რეზერვები, მიმოქცევიდან ამოღებულ იქნა ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები, რაც ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის სუვერინიტეტს. იგეგმებოდა სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის „მარჩილის“ შემოღება, რომლის ესკიზებიც უკვე არსებობდა და უნდა გასულიყო მიმოქცევაში პარიტეტული კურსით გერმანულ მარკასთან, თუმცა ანექსიის შემდეგ ბანკმა ფუნქციონირება შეწყვიტა და იგი ჩანაცვლდა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო ბანკით“, რომელიც რუსეთში დაარსებული ცენტრალური ბანკის ფილიალი იყო [3].

საუკუნეების განმავლობაში არსებული ტრადიციული ეკონომიკა გზას უთმობდა კაპიტალიზმს, სადაც გადამწყვეტი ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად არის წარმოება ბაზრისათვის. საქართველო იყო აგრარული ქვეყანა და მწარმოებელთა უმრავლესობა დასაქმებული იყო სოფლად. 1821 წელს პურის ფართობი თბილისის გუბერნიაში 47 308 დესეტინას (1.09 ჰექტარი) შეადგენდა, ხოლო 1861 წელს 157 340 დესეტინას. რაოდენობრივთან ერთად, ადგილი ჰქონდა თვისებრივ ცვლილებებს, გლეხები ცდილობდნენ უკვე მოეყვანათ სასოფლო პროდუქტი როგორც პირადი მოხმარებისათვის, ასევე ნამეტი პროდუქტი გაეტანათ ბაზარზე გასაყიდად. ძირითად სასოფლო-სამეურნეო დარგებში (მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა, მეძაბეობა და მეთამბაქოეობა) საბაზრო პროდუქციის წილი კახეთში 1830 წელს იყო 25%, ხოლო 1840 წელს კი უკვე 40%, 1864 წელს იმერეთში 75%, ხოლო თბილისის მაზრაში 67.5% 1859 წელს. ხორბლის ძირითადი მომხმარებელი ისევ შიდა მოსახლეობა იყო, საგარეო ვაჭრობაში კი უფრო აქტიურად სიმინდი გამოიყენებოდა. იზრდებოდა სასაქონლო წილი მეღვინეობასა და მეაბრეშუმეობაში, სადაც, პაატა გუგუშვილის გათვლებით, ამიერკავკასიაში ნაწარმოები აბრეშუქის 65%-70% შორეულ ბაზრებზე, ძირითადად რუსეთში იყიდებოდა. ასევე 1845 წელს თბილისში ნაწარმოები პურის უკვე 45% იყო საბაზრო წარმოების. დასავლეთ საქართველოში იყო მეფრინველეობის ბუმი, ქართული წარმოების კვერცხი გადიოდა უკრაინულ-ყირიმის და სევასტოპოლის პორტებში და იქიდან ნაწილი ევროპაშიც კი. 1890-1900 წლებში 1.2 მლნ მანეთის კვერცხი გადიოდა ექსპორტზე ქუთაისის გუბერნიიდან. ექპორტზე უარყოფითი გავლენა მოახდინა პირველმა მსოფლიო ომმა, 1914-1917 წლებში 73740

ფუთი კვერცხიდან ექსპორტის მოცულობა შემცირდა 5386 ფუთამდე (1 ფუთი – 16.38 კგ). გარდა საქონლისა, საბაზრო მიმოქცევა დაიწყო სამუშაო ძალამაც, მაგალითად თელავის მაზრაში გლეხთა 13.5%-ს არ ქონდა საკუთარი სახნავ-სათესი მიწა საერთოდ, ისინი მუშაობდნენ ან დღიური ქირით, ან იღებდნენ იჯარით მიწებს. ხსენებულ მდიდარ გლეხებს ჰქონდათ მიწის საკმოდ დიდი ფართობები, ქირაობდნენ სამუშაო ძალას და ემსგავსებოდა მათი წარმოება კაპიტალისტურ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციას [1].

წერილი მეწარმეობის განვითარებასთან ერთად მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისათვის იზრდებოდა მსხვილი კაპიტალისტური წარმოების რაოდენობაც, კაპიტალის დაგროვების შედეგად. მსხვილი კაპიტალისტური პროდუქციის წილი კაპიტალისტურ წარმოებაში 1865 წელს შეადგენდა 7.7%-ს, 1885 წელს უკვე 55.1%-ს. ხოლო 1900 წელს 78.3%-ს. დახლოებით 1960 წლისათვის არსებობდა უკვე ისეთი 495 წერილი კაპიტალისტური, მანუფაქტურული და ფაბრიკა-დამამუშავებელი საწარმო, რომელთა წარმოებული პროდუქტის საშუალო წლიური ღირებულება აღემატებოდა 1064 მანეთს. მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანად საქართველოში მოდიოდა 1 მანეთის მრეწველობის პროდუქტია. ხოლო მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მონაცემებით, 2 მანეთამდე. ეს არ იყო მაღალი რიცხვი ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ ჩვენ ვიყავით უფრო მეტად აგრარული ქვეყანა და თან განვითარების ბევრად დაბალ დონეზე დასავლეთთან შედარებით.

1921 წლის ოკუპაციამ რადიკალურად შეცვალა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულება, ევოლუციური განვითარება შეცვალა რევოლუციურმა. 70 წლის მანძილზე გეგმიურმა მბრძანებლურმა ეკონომიკამ, გარდა სტრუქტურული ცვლილებებისა, მოიტანა ცვლილებები ადამიანების ფსიქოლოგიაში. 1991 წლიდან საქართველოს მოუწია რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და ასევე დაბრუნება კაპიტალისტურ ეკონომიკურ წყობაზე, თუმცა ეს „დაბრუნება“ რეალურად ყველაფრის თავიდან დაწყება იყო შეცვლილი რეალობის ფონზე. ამ წლებში თითქმის ყველა პოსტკომუნისტურმა რესპუბლიკამ განიცადა რევცესია, მათ შორის ყველაზე მაღალი ეკონომიკის შემცირება დაფიქსირდა ჩვენთან, ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ საბჭოთა რესპუბლიკაში [1].

უმთავრესი სხვაობა საბაზრო და გეგმიურ ეკონომიკურ სისტემებს შორის არის სახელმწიფოს როლი და შესაძლებლობები ეკონომიკაში ჩასარევეად. საბჭოთა კავშირში მიწა და სხვა ყველა საწარმოო ფაქტორი იყო სახელმწიფოს განკარგულებაში, შესაბამისად, სახელმწიფო გეგმავდა წარმოების მოცულობას. დაიკარგა ბაზრის როლი, საბაზრო ურთიერთობები, რომელიც ისახებოდა 1921 წლამდე, ჩაანაცვლა ნატურალურმა ბარტერულმა გაცვლებმა სახელმწიფო საწარმოებს შორის.

საბჭოთა კავშირში არ არსებობდა კერძო ბიზნესი და შესაბამისად არც კერძო მეწარმის მოგება, ხელფასებს შორის დიფერენციაცია სხვადასხვა თანამდებობებს და რეგიონებს შორის მცირე იყო. ამიტომ ადამიანების პირადმა ფინანსურმა ინტერესებმა გადაინაცვლა ოფიციალური ეკონომიკის მიმართ და შეიქმნა ჩრდილოვანი ეკონომიკის საკმაოდ დიდი მოცულობა, საიდანაც მიიღებოდა არალეგალური შემოსავალი (ძირითადად ნატურალური ფორმით). თანდათანობით ეს შემოსავლის ძირითად წყაროდ იქცა. რაც სახელმწიფოსია, ის ყველასია და რადგან ყველასია რეალურად არავისი არაა. შედეგად სახელმწიფოსათვის რამის მოპარვა უკვე აღარ აღიქმებოდა ცუდ ტონად და მეტ-ნაკლებად ყველა იყო ჩართული ამ პროცესებში. ჩრდილოვანი ეკონომიკა წარმოიქმნა ორი კუთხით, არალეგალურად პროდუქციის წარმოება და ასევე ლეგალურ სფეროში სხვადასხვა კორუფციული ქმედებები. საჭირო გახდა შექმნილიყო არაფორმალური ინსტიტუტები, რომლებიც მოცემულ რეალობაში „საქმის კეთების“ საშუალებას იძლეოდნენ. ისინი, ტრანსფორმაციის პერიოდში, სახელმწიფოს შესუსტებული როლის ფონზე გახდნენ ქვეყნის ფუნქციონირების გარანტები. 70 წლის მანძილზე ცხოვრობს სამ თაობამდე, 90-იანების დასაწყისში შრომისუნარიანი ზრდასრული მოსახლეობა გაზრდილი იყო მთლიანად მსგავს გარემოში და არ გაანჩნდათ კერძო ბიზნესში მოღვაწეობის გამოცდილება, ანუ ძლიერი მე-ნეჯერების დეფიციტს განიცდიდა ქვეყანა. მოყოლებული მას შემდგომ, საქართველოში, მიუხედავად მაღალი უმუშევრობისა, არსებობს სხვადასხვა პროფესიების დეფიციტი, გამოძინარე იქიდან, რომ გეგმურ ეკონომიკაში მოსახლეობის პროფესიული განაწილება არ იყო ბაზრის ნაკარნახევი და ასევე მოსახლეობის მაღალი მოთხოვნა უმაღლესი განათლების მიმართ, რაც არ შეესაბამებოდა ბაზრის მოთხოვნებს [4].

მონეტარული პრობლემების ფონზე გამწვავდა არსებული ეკონომიკური კრიზისი. გეგმურ ეკონომიკაში საქონლის ფასი განისაზღვრებოდა ადმინისტრაციულად და არ შეესაბამებოდა მის ბუნებრივ ფასს, ანუ ადგილი ჰქონდა ფარულ ინფლაციას, რადგან ფასების მოუქნელობის გამო შეიქმნა საქონლის დეფიციტი და რიგები. პროდუქციის განაწილებისას ადგილი მიეცა არასაფასო ფაქტორებს, საქონელს იყიდოდა არა ის, ვინც მეტს გადაიხდიდა, არამედ ის, ვინც მეტხანს იდგებოდა რიგში ან ექნებოდა გარკვეული კავშირები. სისტემის დაშლის შემდეგ, გათავისუფლებულ ფასებს ჰქონდათ ზრდის ტენდენცია, რაც აისახებოდა ინფლაციის ტემპის ზრდაზე, თუმცა იყო ზღვაში წვეთი მთლიან ინფლაციაში, რისი განმსაზღვრელიც იყო ფულის მიწოდების უკონტროლო ზრდა, რამაც მიიღო ჰიპერინფლაციის სახე. სიტუაცია დასტაბილურდა 1995 წლიდან, როცა შემოდებულ იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი [6].

1921 წლამდე ეკონომიკაში წამყვანი როლი ეკონომიკის რეალურ სექტორს ეკავა, წამყვანი ფიგურებიც მეწარმეები იყვნენ. მეფასშობა და ფულის საშუალებით ფულის გაკეთება კი ყოველთვის უარყოფით ტონად ითვლებოდა. თუნდაც ილია ჭავჭავაძე „ჩარჩული ფულის“ შესახებ წერს: „ქურდობაცა, იქა იქის სადაც არ უთქნია“. განსხვავებული სიტუაციაა ტრანსფორმაციის პერიოდის დასაწყისში, როდესაც დაიწყო არსებული კაპიტალის თუ დანაზოგის მასიური ჩადება ფინანსურ სფეროში, რაც ფულის მაღე შოვნის მარტივ გზად მოჩანდა. 1994 წელს ბანკების რაოდენობამ 225-ს მიაღწია. საბოლოოდ, ყველაფერი ფინანსურ აფიორებში გადაიზარდა, გაუმართლებლად მაღალი მოგების განაკვეთებით, სამწუხაროა რომ ამ ფინანსურ აფიორაში სახელმწიფომაც მიიღო მონაწილეობა 100%-იანი საპროცენტო განაკვეთით. ამ პროცესების ხელშემწეობი იყო მაშინდელი კანონმდებლობა, რომელიც მინიმალურ მოთხოვნებს უწესებდა ბანკებს. საბაზრო სისტემის საფუძვლებში გაუთვითცნობიერებელი მოსახლეობა აქტიურად აჰყვა ამ პროცესებს და მაღალი მოგების მიზნით დაიწყო საკუთარი სახსრების განთავსება სხვადასხვა სარისკო ბანკებში. გამართულად ვერ იმუშავებდა

ფინანსური სისტემა, რომლის უკან ეკონომიკის რეალური სექტორი თითქმის აღარ არსებობდა. ამ ფინანსური პირამიდების დაშლის შემდეგ ეკონომიკურთან ერთად მიღებულმა ფსიქოლოგიურმა შოკმა და მოლოდინების გაცრუებამ დიდი გავლენა იქონია მოსახლეობის დამოკიდებულებაზე ეკონომიკური აქტივობის მიმართ მომდევნო წლების განმავლობაში. დღესაც კი საკმაოდ დაბალ დონეზეა დაზოგვის კულტურა და ნორმა საქართველოში, კვლავაც მაღალია უნდობლობა ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, თუმცა ნელ-ნელა „მუთაქებიდან ანაბრებზე“ გადადის დანაზოგები [5].

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაატა გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში.
2. ანთელავა, ა. ბენდიანიშვილი, მ. გაფრინდაშვილი და სხვ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი. ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები.
4. Vladimer Papava. The Georgian Economy: Problems of Reform.
5. Vladimer Papava. Marxist Points of View on the Soviet Communist Economic System and the Manifestation of Egalitarianism in Post-Communist Economic Reform.
6. IMF Staff Country Report No. 95/112 “Republic of Georgia – Recent Economic Developments”

Tsotne Zhghenti

DEVELOPMENT OF CAPITALISM IN GEORGIA AND ITS INFLUENCE ON TRANSFORMATION

Annotation

Capitalism, as mainstream economic direction in Georgia started growth from early 19th century. This ideology required some specific conditions: 1. Stable politic and military environment; which was after Russian-Turkish and Russian-Iran wars, when the territory of Georgia was not the epicenter of military actions. 2. Urbanization; when at 1821-1865 years, urban population grew 4 times. 3. Free labor force; after abolishment of Serfdom at 1864-1872. 4. Monetary relations; abolish taxes from natural forms and establish central bank in 1919. 5. Transformation of market economy; growing export and produce for market.

ნინო ქოქიაური


ინოვაციური განვითარების ციკლური ბუნების დასაბუთებისათვის

ინოვაციების განვითარების ციკლური ბუნება. მთლიანად საზოგადოებისათვის დამახასიათებელია აღმავალი ეკონომიკური განვითარება. ეს ფაქტი სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება. თანამედროვე პირობებში ეკონომიკური ზრდა მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალისა და სპეციალისტების, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის, ინოვაციების ათვისების ეფექტიანად გამოყენების ხარჯზე შესაძლებელი. მაგრამ რეალური ცხოვრება გვიჩვენებს, რომ სიახლეების გამოყენების და წინსვლის ფონზე შეინიშნება არსებითი გადახრა ერთი ან მეორე მიმართულებით ტალღური (ციკლური) რყევების სახით.

ციკლურობა გამოხატავს ეროვნული მეურნეობის ცალკეული ელემენტების (დარგების) ფუნქციონირების არათანაბრობას, მისი განვითარების ევოლუციური და რევოლუციური სტადიების მონაცვლეობას. ყოველ ციკლს აქვს თავისი ფაზები, ხანგრძლივობა. ფაზების მახასიათებლები არ მეორდება კონკრეტულ მანქანებში. ასევე არ მეორდება ფაზების ციკლები. მათ ისეთი ორიგინალური ხასიათი აქვთ, როგორც ისტორიულ, ასევე რეგიონალურ ასპექტში. აღნიშნული მსჯელობა შეიძლება გრაფიკულად იქნეს ილუსტრირებული საქართველოში სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მაგალითზე 1990 – 2010 წლებში (ნახ. 1).

CD წრფე ასახავს ეკონომიკის აღმავალ განვითარებას, მრუდი ABK ახასიათებს ეკონომიკის ტალღისებურ განვითარებას.

ამუამად, ეკონომისტების აზრით, ციკლების მიზეზის ახსნის სამი მიდგომა არსებობს. პირველი მიდგომა ციკლებს ხსნის გარეგანი (ეგზოგენური) ფაქტორებით; მეორე – შინაგანი (ენდოგენური) ფაქტორებით; ხოლო მესამე – ამ ორი მიდგომის სინთეზით.



ნახ. 1. ეკონომიკის აღმავალი და ტალღისებური განვითარების გრაფიკული ილუსტრაცია

პირველ მიდგომაში მთავარია გარეგანი ფაქტორების კვლევა. გარეგანი ფაქტორები ეკონომიკური სისტემის გარეთ მიმდინარე მოვლენებია. მათ მიეკუთვნება: მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება, გამოგონებები და ინოვაციები, ომები და სხვა პოლიტიკური მოვლენები. მოსახლეობის განათლებულობის დონის ამაღლება,

საერთოდ, ინტელექტუალური კაპიტალის განვითარება ხელს უწყობს ციკლის: „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“ განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ეკონომიკის აღმავლობას. ინოვაციური საქმიანობით განპირობებული წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის საფუძვლიანი შეცვლა იწვევს საქმიანი აქტივობის აღმავლობას და ინოვაციურ პროექტებში დიდი ინვესტიციების ჩადებას. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნასა და ეკონომიკის აღმავლობის დაწყებას. პოლიტიკური მოვლენები სხვადასხვაგვარად მოქმედებს საქმიან აქტივობაზე. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომმა ამერიკას უბიძგა გადაიარაღებისაკენ. შედეგად, XX ს. 30-იანი წლების დიდი დეპრესია შეიცვალა ომის შემდგომი აღმავლობით. პირიქით, ომის შემდგომ პერიოდში იაპონიისათვის საკუთარი შეიარაღებული ძალების აკრძალვის ფაქტმა ხელი შეუწყო ინვესტირებას ინოვაციებში და განაპირობა ე.წ. „იაპონური სასწაული“.

მეორე მდგომის მიხედვით მთავარია შიდა ფაქტორების შესწავლა. მას მიეკუთვნება: მოხმარება, ინოვაციების ინვესტირება წარმოების სტადიაზე და ხელისუფლების საქმიანობა.

მოხმარების გავლენა: ფირმები ცდილობენ მოხმარებლებს შეუქმნან ყველაფრის ყიდვის პირობები მათი სურვილის მიხედვით. შედეგად სამომხმარებლო ხარჯები იზრდება, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, ახალი პროდუქციის წარმოება, დასაქმება და გაყიდვების მოცულობა, ეკონომიკა შედის აღმავლობის ფაზაში. სამომხმარებლო ხარჯების და ინვესტიციების შემცირებისას ფიქსირდება შებრუნებული სიტუაცია და ამიტომაც დგება დაცემის პერიოდი.

ინოვაციურ საქმიანობაზე ინვესტირების გავლენა ასეთია: ძირითად კაპიტალში დაბანდლები ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საშუალებას ქმნის; განაპირობებს მოსახლეობის (მომხმარებლის) მყიდველუნარიანობის ზრდას, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს აღმავლობის სტადიის დადგომას. ინვესტიციების დონის დაცემისას ადგილი აქვს შებრუნებულ მოვლენას და იწვევს დაცემის პერიოდს.

ხელისუფლების საქმიანობის გავლენა ორი მიმართულებით, ორი მეთოდით იკვეთება: ფისკალური პოლიტიკით, ე.ი. გადასახადების ამოღებით და მათი ხარჯებით და **მონეტარული პოლიტიკით**, ე.ი. ფულის მიმოქცევის რეგულირებით.

ციკლების მიზეზის განმსაზღვრელი მესამე მდგომა შიდა და გარე ფაქტორების სინთეზირებაში მდგომარეობს. ამ კონცეფციის ავტორების აზრით, გარეგანი (ეგზოგენური) ფაქტორები პირველსაწყის ბიძგს აძლევენ ციკლს, ხოლო შიდა (ენდოგენური ფაქტორები) განაპირობებენ ფაზებისმიერ რყევებს. ეს მიმართულება უფრო პროდუქტიულია.

ეკონომიკურ მეცნიერებაში მოხერხდა პერიოდული რყევების გამოვლენა, რომლებიც სხვადასხვა დროით ინტერვალებს მოიცავენ. ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კიტჩინის ციკლი – 3-4 წელი, ჟიუგლერის ციკლი – 8-10 წელი, კონდრატიევის ციკლი – 50-55 წელი. ეს ციკლები განსაზღვრულ ურთიერთკავშირშია. კონდრატიევის ყოველი ციკლი შეიცავს ჟიუგლერის რამდენიმე ციკლს, ხოლო ჟიუგლერის ყოველი ციკლი – კიტჩინის რამდენიმე ციკლს.

კონდრატიევი იკვლევდა მრავალი ევროპული ქვეყნის განვითარების დინამიკას 100-150 წლის მანძილზე რიგი ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების მიხედვით. იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის განვითარება ხორციელდება ტალღისებურად დიდი ციკლების ჩარჩოებში.

1930 წელს კონდრატიევის თვალსაზრისი გაიზიარა გერმანელმა ეკონომისტმა ი. შუმპეტერმა. მისი თეორიის მიხედვით: 1. არსებობს კავშირი დასახელებულ სამ ციკლურ მოძრაობას შორის. მაგ., გამოცოცხლების ფაზაში კონდრატიევის ციკლში შეიძლება დაფიქსირდეს ჟიუგლერის ციკლის დაცემის ფაზა, ხოლო ჟიუგლერის ციკლის დაცემის ფაზაში – კიტჩინის ციკლის პიკი; 2. გრძელი ტალღების აღმოცენების მიზეზია მსხვილი სამეცნიერო – ტექნიკური სიახლეების არათანაბარი განაწილება დროში. მათი წარმოშობა არღვევს ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ წონასწორობას, იწვევს წარმოების ერთ დარგებში ზრდას და სხვა დარგებში დაცემას.

ი. შუმპეტერის იდეამ შემდგომი განვითარება პოვა გ. მენშის შრომებში. მან დაასაბუთა, რომ საბაზისო სიახლეების დიდი ნაწილი მოდის გრძელი ტალღების დეპრესიის ფაზაზე. ეს ხდება იმიტომ, რომ დაცემა ეკონომიკაში და ინვესტიციების დაბალი ეფექტიანობა მეწარმეებს წარმოების გადარჩენის არატრადიციული გზების ძიებას აიძულებს, კერძოდ – შექმნან და გამოიყენონ პირველი, ჯერ გამოუყენებელი ან მსხვილი ტექნიკური გადაწყვეტილებები. საბაზისო სიახლეების დიფუზიისა და გრძელი ტალღების დეპრესიის ფაზიდან აღმავლობის ფაზაში გადასახდის შემდეგ, ადგილი აქვს მათ მასიურ გამოყენებას ეკონომიკის ყველა დარგში. ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება სასაქონლო მოთხოვნა და არ ამოწურება ინოვაციის ეკონომიკური პოტენციალი. ინოვაციური აქტივობა თანდათან მცირდება, გრძელი ტალღა გადადის დაცემის ფაზაში. ინოვაციური საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული მსხვილი პროგრესული სიახლეები უმნიშვნელო ცვლილებებს განიცდიან. დგება ტექნიკურ-ეკონომიკური ჩიხი, რომლისაგანაც გამოსვლა სიახლეების ახალი მომდევნო კლასტერის დადგომის შემდეგაა შესაძლებელი.

შუმპეტერ-მენშის კონცეფციის თანახმად, ყოველი მომდევნო გრძელი ტალღა განაპირობებს ტექნიკისა და ტექნოლოგიების ახალი თაობის, ეკონომიკის ახალი დარგების შექმნას და განვითარებას, ანუ მთელი ტექნოლოგიური წყობის შეცვლას. **ტექნოლოგიური წყობა** წარმოების და მომსახურების ტექნიკური ხერხების და მათი შესაბამისი სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმების ერთიანობაა.

წარმოების ეკონომიკური წესების განვითარების ისტორია მეცნიერ-ეკონომისტების შეხედულებათა შესაბამისად ითვლის ხუთ ტექნოლოგიურ წყობას.

- **პირველი** ტექნოლოგიური წესი მოიცავს XVIII ს. 80-იან წლებს (დაახლოებით 1790-1840 წწ.) და მას უკავშირებენ საწარმოო მიზნებისათვის ენერჯის ბუნებრივი წყაროების გამოყენებას (მუშა პირუტყვი, ქარისა და წყლის ბორბალი, სართავი დაზვის გამოგონება);

- **მეორე** ტექნოლოგიური წესი XIX საუკუნის 30-60-იან წლებს (1840-1890 წწ.) მოიცავს და დაკავშირებულია პირველი ძრავის პრაქტიკულ გამოყენებასთან, ასევე მის საფუძველზე საწარმოო პროცესისა და ტრანსპორტის მექანიზაციასთან;

- **მესამე** ტექნოლოგიური წესი მოიცავს 1890-1940 წლებს. მისთვის დამახასიათებელია ელექტროენერგეტიკის განვითარება, მუშა მანქანების და მოწყობილობების ელექტროშიარაღება, ასევე შიდა წვის ძრავების გავრცელება და ქიმიის დარგის განვითარება;

- **მეოთხე** ტექნოლოგიური პროცესი ვრცელდება 1940-1980 წლებზე და დაკავშირებულია ატომური ენერჯის განვითარებასთან, პლასტმასების განხანასთან, კოსმოსის ათვისებასთან, ნახევარგამტარული ელექტრონიკისა და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებასთან;

- **მეხუთე** ტექნოლოგიური წესი ამერიკელი ეკონომისტის კ. ფრემენის აზრით, დაიწყო XX ს. 80-იანი წლებიდან, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ბიოტექნოლოგიების, მიკროელექტრონიკის, გენური ინჟინერიის, ენერჯის არატრადიციული სახეების გამოყენებით.

გრძელი ტალღების ყველა ზემოთ განხილულ მონაკვეთს წინ უძღვის ბაზისური სიახლეების საფუძველი – „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოების“ ჯაჭვი.

საქართველო XX ს. 90-იან წლებში იმყოფებოდა მეხუთე ტექნოლოგიური წესის დადგომის ეტაპზე. მაგრამ ეკონომიკურმა კრიზისმა ეკონომიკაში განაპირობა ნაწილობრივ მესამე, მეოთხე და მეხუთე ტექნოლოგიური წესების ერთობლივი არსებობა. ცხადია, აღნიშნულმა გარემომამ გამოიწვია სამრეწველო საწარმოებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ინოვაციური აქტივობის შემცირება. თუკი 10-15 წლის წინათ ქვეყნის სამრეწველო საწარმოთა 20-22%-მდე ახორციელებდნენ დამუშავებებისა და სიახლეების დანერგვას, გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა ასეთ საწარმოთა რიცხვი თითქმის ორჯერ შეამცირა. 1990 წლიდან 2000 წლამდე სამეცნიერო კვლევებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი 3,3-ჯერ შემცირდა.


მდგრადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სრულიად საპირისპირო სიტუაციაა. მეცნიერ მუშაკთა საერთო რიცხოვნობის ყოველწლიური ზრდა შეადგენს 3-5%-ს. აშშ-ში ეს მაჩვენებელი 3%-ის ტოლია; იაპონიაში - 5%, ევროპის ქვეყნებში - 4%. ეკონომიკური კრიზისი ნეგატიურად აისახა მეცნიერების სფეროს განვითარებაზე საქართველოში. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში და საკონსტრუქტორ ბიუროებში შემცირდა სამეცნიერო-კვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების რიცხვი. მათი თემატიკა ხშირ შემთხვევაში მოიცავს არა სტრატეგიულ, არამედ მეთრეხარისხოვან ამოცანებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ქვეყნის საინოვაციო პოტენციალს. დამუშავებები და ნოუ-ჰაუს სამეცნიერო დამუშავებათა ხვედრი წილი მთელი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების 25%-ს მოიცავს, ხოლო მათი უმეტესობა ინერგება მხოლოდ 1-2 საწარმოში.

საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, საქართველოს ინოვაციური საქმიანობის მსოფლიო გამოცდილების შესწავლის უნარის მქონე მაღალი სამეცნიერო-ტექნიკური და საკადრო პოტენციალი ჰყავს, რომელსაც შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ინტელექტუალური შრომის კომერციალიზაციაში.

ინოვაციური საქმიანობა ერთგვარი რეაქციაა ტალღისებურად განვითარებად ეკონომიკის განვითარებაზე. იგი განსაკუთრებით აქტუალური ხდება კრიზისულ სიტუაციაში, ვინაიდან ნებისმიერი ინოვაციური საწარმო დაინტერესებულია ბაზრებზე პროდუქციის გასაღებით სარგებლის მიღების მიზნით. აღნიშნული ამოცანის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ მომხმარებლისათვის აუცილებელი სიახლეების თავისდროული მიწოდებით. ამიტომ ინოვაციურ პროცესში მონაწილე სხვადასხვა სუბიექტები ერთდროულად ანდა მცირედი დროის ინტერვალით ითვისებენ რამდენიმე კონკურირებად ინოვაციას.

პროცესი „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“ შეიძლება ილუსტრირდეს ე.წ. S-მსგავსი მრუდების მეშვეობით. 2 ნახაზზე კარგად ჩანს დამოკიდებულება შედეგსა (შემოსავალი) და დანახარჯს (ინვესტიციები) შორის ნახტომისებური ზრდისა და ინოვაციის სრული სიმწიფის თანდათანობითი მიღწევის პროცესში.

სიახლეების სასიცოცხლო ციკლში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ფაზა (ნახ. 2) თავდაპირველად, დამუშავებებში სახსრების ჩადებისას, შედეგები უმნიშვნელოა, მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარების შემდეგ შედეგები ნახტომისებურად უმჯობესდება (II) და ბოლოს, პროცესში ინვესტირების ან დამატებითი სახსრების გამოყოფის კვალობაზე, შედეგი უფრო შრომატევადი ან ძვირადღირებული ხდება (III).




ნახ. 2. S-ისებური მრუდი
H – მეცნიერება, T – ტექნიკა, P – წარმოება

S-ისებური მრუდების (ნახ. 2) კორელაცია დანახარჯებისა და შემოსავლების დინამიკის მრუდებთან წარმოებს ინოვაციური პროცესის განხორციელების მსვლელობაში (ნახ. 3). პირველი ფაზა – ეს არის „მეცნიერების“ სტადია. მეორე ფაზა – „ტექნიკა“, მესამე ფაზა – „წარმოება“ და მისი დაცემა. საბაზრო ეკონომიკაში უპირატესობა იმ საზოგადოებებს აქვთ, რომლებიც უმცირესი დანახარჯებით მაღალი შედეგის მიღებას უზრუნველყოფენ.

პრაქტიკაში ხშირია სიტუაცია, როცა მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებით მიღებული პრაქტიკული შედეგი გაცილებით მაღალია სიახლეების ბაზაზე ანალოგიური საქონლის დამზადების პრაქტიკულ შედეგებზე.

ინოვაციების ცვლის გრაფიკული გამოსახულება გვიჩვენებს (ნახ. 3), რომ მწარმოებლის მიერ გადაბედილი ერთი და იმავე დანახარჯების შემთხვევაში A ($ab = cd$) ტექნოლოგია უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგებს B ($10 - 5 < 60 - 10$) ტექნოლოგიასთან შედარებით. თუმცა როცა ტექნოლოგიის ათვისების პროცესი გაცდა მკვეთრი მოსახვევის ნაწილს (II ფაზა), ამ ტექნოლოგიის ავტორთა შედგომი ძალისხმევა ნაკლებეფექტიანი იქნება (დაშტრისული I ფართობი). ამ დროს უკვე B ტექნოლოგია იმყოფება II ფაზაში. ამიტომ მისი ზრდის ტემპები გაასწრებს ტექნოლოგიის ზრდის ტემპს, რამდენადაც ინოვაციამ პრაქტიკულად ამოწურა თავისი შესაძლებლობები. მოცემულ სიტუაციაში მნიშვნელოვანია ძველი ინოვაციის ტექნიკური ზღვარის გააზრება და იმგვარ ინვესტირებაზე უარის თქმა, რისი სრულყოფაც უკვე აღარ შეიძლება.



ნახ. 3. ტექნოლოგიების ცვლა (ინოვაციები)

სიახლეების ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში გადასვლა იწოდება ტექნოლოგიურ წვევტად (ძვრად). S-ისებურ მრუდებს შორის შუალედი წარმოადგენს სივრცეს, ფართობს, სადაც ერთი ტექნოლოგია ცვლის მეორეს. ასეთი ტექნოლოგიური ძვრის (ინოვაციების ცვლა) დადგომის მომენტის სწორი პროგნოზირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის როგორც მაკრო, ისე მიკროდონეზე; ამ უკანასკნელზე დამოკიდებული ცალკეული მწარმოებლების, მრეწველობის დარგებისა და მთლიანად ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობა ბაზარზე.

ამრიგად, ტექნოლოგიური გარღვევა არის ერთი ინოვაციის მეორეზე, უფრო პროგრესულზე გაცვლის მიზანშეწონილობის ინდიკატორი. S-ისებური მრუდებს შორის ფართობი გვიჩვენებს ერთი ტექნოლოგიის პროგრესულობას მეორესთან შედარებით. ასე მაგალითად, მისი გაზრდის შემთხვევაში B ინოვაციის რენტაბელობა გაიზრდება. ე.ი. იგი უკეთესია, აქვს წარმოების უფრო დაბალი ხარჯები, გააჩნია უფრო მაღალი სამომხმარებლო თვისებები. ინოვაციის რენტაბელობის მაჩვენებელი შეიძლება გაითვალისწინოთ ფორმულით:

$$R_{IAB} = \frac{F_{AB} Q_{AB}}{I_{AB}} \times 100,$$

სადაც R_{IAB} A და B ინოვაციის რენტაბელობაა; $F_{A,B}$ A და B ინოვაციების საფუძველზე შექმნილი საქონლის სარეალიზაციო ფასი; $Q_{A,B}$ A და B საქონლის რეალიზაციის სიდიდე; $I_{A,B}$ A და B ინოვაციაზე გაწეული ინვესტიციები (დანახარჯები).

ტექნოლოგიური გარღვევის შემცირების შემთხვევაში იქმნება ფსევდოინოვაცია, რომელიც მიმართულია მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების ნაწილობრივ გაუმჯობესებაზე. ამ სიტუაციაში ჩასატარებელია ღრმა კონსტრუქციული კვლევა როგორც ტექნიკის დონის განსაზღვრის, ასევე შექმნილი საქონლის წარმოების და რეალიზაციის შესაძლებლობების მომავალი სიახლის დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ.

ინოვაციების თაობების ცვლის მახასიათებლად შეიძლება აღებულ იქნეს ეკონომიკური ეფექტის ზრდა. მისი ცვლილება შეიძლება გაითვალისწინოთ ფორმულით:

$$\Delta E = E_B - E_A$$

სადაც ΔE არის ეკონომიკური ეფექტის ცვლილება, E_B – B ინოვაციის ეკონომიკური ეფექტი, E_A – A ინოვაციის ეკონომიკური ეფექტი.


ეკონომიკური ეფექტის ΔE -ს ცვლილების ბუნების გათვლისას მნიშვნელოვანია საინვესტიციო ციკლში „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“ დროის ფაქტორის გათვალისწინება. ეფექტის ერთიანი მნიშვნელობა შეიძლება გაითვალისწინოთ განხორციელებული ინოვაციის მომგებიანობის მიხედვით. იგი განისაზღვრება როგორც სხვაობა

საწარმოს დისკონტირებული წლიური შემოსავლების ჯამის სხვადასხვა მნიშვნელობასა და ინვესტიციების ამოსავალ სიდიდეს შორის და გაითვლება ფორმულით:

$$E_{AB} = \sum_{k=1}^n \frac{P_{A,B} \cdot Q_{A,B}}{(1+r)^k} - I_{A,B}$$

სადაც $E_{A,B}$ – A და B ინოვაციების ეფექტის სიდიდეა; $P_{A,B}$ – A და B ინოვაციების საფუძველზე შექმნილი სარეალიზაციო საქონლის ფასი; $Q_{A,B}$ – A და B რეალიზებული საქონლის მოცულობა; n – ინვესტირების ობიექტის ფუნქციონირების წელთა ოდენობა; r – დისკონტირების კოეფიციენტი (გაითვლება ანალოგიური გზით A და B პროექტებზე ინვესტიციებიდან შემოსავლიანობისა და საბანკო საპროცენტო განაკვეთის გათვალსწინებით).

საინვესტიციო პროექტი შეიძლება იყოს მომგებიანი ანდა წამგებიანი. მისი მოგების დინამიკა შეიძლება გრაფიკულად ილუსტრირდეს „მეცნიერება - ტექნიკა - წარმოება“ ციკლის სტადიაზე უზარალობის წერტილის გათვლის საფუძველზე (TB) (ნახ. 4).



ნახ. 4. ინოვაციების მომგებიანობის დინამიკა სასიცოცხლო ციკლში „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“.

P – საქონლის ფასი; Q – რეალიზებული საქონლის მოცულობა; TB – უზარალობის წერტილი, $TB = 0$, როცა $P \cdot Q = TC$

გრაფიკი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ მხოლოდ „წარმოების“ სტადიაზე ხდება უზარალო ინოვაციური საწარმო. ამ შემთხვევაში დანახარჯები შემოსავლების ტოლია, წარმოების მასშტაბების შემდგომი გადიდების შემთხვევაში მისი საქმიანობა ხდება უპირატესი იმ მომენტამდე, როცა დანახარჯები იქნება მინიმალური (E წერტილი), ხოლო სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის მაქსიმალური, ე.ი. ინოვაციური საწარმოს მოგება იქნება მაქსიმუმზე.

ამრიგად, ინოვაციის ციკლური ხასიათი არის საწარმოს განვითარების თვით არსის გამოვლენა, მისი ბუნებრივი თვისება, მისი პროგრესული მოძრაობის უნარი. მაკროდონეზე ციკლურობა - ეს მოცემული საზოგადოებრივი წყობის სიცოცხლისუნარიანობის, მისი არსებობის უფლების დადასტურებაა.

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ კვლევებში, რომლებიც ინოვაციური პროცესების მართვის პრობლემატიკას ეხება, გამოიყოფა სამი, ერთმეორის თანმიმდევრულად ჩამნაცვლებელი მოდელი. ისინი ახასიათებენ ინოვაციური პროცესის, როგორც მართვის ობიექტის გაგების სპეციფიკას და წარმოების პერსპექტიული განვითარების საშუალებებს სხვადასხვა პერიოდში.

ასე მაგალითად, 1950-იან წლებში ინოვაციური პროცესი განიხილებოდა ტექნოლოგიური ბიძგის მოდელის მეშვეობით. ამ მოდელის მიხედვით, იგი მოიცავდა საქმიანობის ყველა სახეს, მეცნიერული კვლევებითა და დამუშავებებით დაწყებული და ახალი პროდუქტის მომხმარებელზე რეალიზაციით დამთავრებული. ამ მიდგომამ ასახა სიახლეების შექმნის გამოყენებითი და საწარმოო ეტაპების პრიორიტეტულობა და იყო იმ პერიოდში არსებული წარმოების განვითარების ტენდენციების დამახასიათებელი თავისებურება, პირველ რიგში, სამრეწველო განვითარებულ ქვეყნებში.

1960-იან წლებში წარმოების განვითარებაში გაძლიერდა მარკეტინგული ტენდენციები, შედეგად ცვლილებები მოხდა ინოვაციურ სფეროში. აქედან დაიწყო ინოვაციური პროცესის სხვა მოდელის – „ბაზარი (მოთხოვნები) – მამოძრავებელი ძალა (ბიძგი)“ – გამოყენება. მისი განმასხვავებელი თავისებურება იყო ძალისხმევის კონცენტრაცია სწორედ გასაღების ეტაპზე ახალი პროდუქტის დამუშავების, წარმოებისა და რეალიზაციის მსვლელობაში. მიუხედავად ამისა, სპეციალისტების აზრით, ინოვაციური პროცესის ორი აღნიშნული მოდელის საერთო მახასიათებელი არის ის, რომ მისი ძირითადი მამოძრავებელი იმპულსის როლში გამოდიოდა სამეცნიერო კვლევები და დამუშავებები, მაშინ, როცა საბაზრო ფაქტორები ამ პროცესზე ირიბად ზემოქმედებდა. წარმოებისა და მართვის განვითარებამ, შრომის თანდათანობითმა ინტელექტუალიზაციამ და ინოვაციურ გარემოში საბაზრო ფაქტორების როლის გაძლიერებამ განაპირობა 1970-იან წლებში ინოვაციური პროცესის საბაზო მოდელის მომდევნო ცვლილება.


ახალი მოდელი იწოდებოდა გამაერთიანებლად და წარმოადგენდა ადრე განხილული მოდელის განზოგადოებულ ვარიანტს. იმ პერიოდში მის უპირატესობას წარმოადგენდა ინოვაციური პროცესის ჩარჩოებში ბალანსის ურთიერთკავშირისა და ურთიერთშეგების უზრუნველყოფა სამეცნიერო და მარკეტინგულ საქმიან-

ნობას შორის. მოცემული მოდელის მიხედვით, ინოვაციური პროცესი – ეს არის ლოგიკურად თანმიმდევრული, თუმცა სავალდებულოდ არაა იყოს უწყვეტი. ის შედგება ფუნქციონალურად განსხვავებული, ერთიმეორეზე ზემოქმედების არმომხდენი და დამოუკიდებელი სტადიებისაგან. ინოვაციური პროცესი – ეს არის გარე და შიდაორგანიზაციული კავშირების რთული ერთობლიობა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ფუნქციონალურ ქვედანაყოფს დარგის შიგნით საწარმოებსა და ქვედანაყოფებში, სამეცნიერო-ტექნიკურ გაერთიანებებსა და მთლიანად ბაზართან მიმართებით.

შედგავდ მიდწვევა წარმოების ტექნოლოგიური შესაძლებლობებისა და ბაზრის მოთხოვნილებების შერწყმა. ამ მოდელში ტექნოლოგიები მთავარი ელემენტი არ არის: ტექნოლოგიური ინოვაცია უნდა მიმდინარეობდეს ორგანიზაციის, მართვის, წარმოების, მარკეტინგის სფეროში ინოვაციების პარალელურად. ინოვაციური პროცესის, როგორც თანმიმდევრული პროცესის, ასეთი გააზრება არის ყველა განხილული მოდელის სპეციფიკური მახასიათებელი.

სულ სხვანაირი მიდგომების საფუძველზეა აგებული სხვა (მეოთხე) მოდელი, რომელიც შემუშავდა 1980-იანი წლების ბოლოს. ეს ინტეგრირებული მოდელი გულისხმობს, რომ ინოვაციური პროცესი არის არა მარტო თანმიმდევრული, არამედ პარალელური ქმედებების ერთობლიობა, რომელიც პრაქტიკულად ერთდროულად ხორციელდება სხვადასხვა ეტაპზე, განსაკუთრებით გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო კვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების, პირველი სამრეწველო ნიმუშების შექმნის, მისი წარმოებისა და ტირაჟირების სტადიაზე. დიდ მნიშვნელობას იძენს აგრეთვე ვერტიკალური ურთიერთკავშირები ახალი პროდუქტის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს, საქმიან პარტნიორებს შორის, ასევე ინოვაციური პროცესის მონაწილეებს შორის პორიზონტალური ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმა (ვენჩურული შეთანხმებები და კონტრაქტები, გრძელვადიანი თანამშრომლობის ფორმები და ა.შ.).

მოწინავე დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ინოვაციური სფეროს განვითარების ტემპები პოსტ-კომუნისტურ სივრცეში არ შეესაბამება საერთო აღიარებულს. ეს, პირველ რიგში, დაკავშირებული და განპირობებულია სირთულეებით შიდა ინოვაციური ბაზრის ჩამოყალიბების საქმეში მისი მონაწილეების ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობით და ა.შ. ამიტომ დღეს პრაქტიკაში შედარებით გავრცელებულია მითითებული მოდელისგან პირველი – ტექნოლოგიური ბიძგის მოდელი.



ნახ. 5. ინოვაციური პროცესის განზოგადებული მოდელი

სამამულო კვლევებში გამოყენებული მოდელის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მათში საკმაოდ სრულადაა ასახული, ან საერთოდ, არ არის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტები, როგორებიცაა შებრუნებული კავშირები, მოთხოვნათა ფაქტორები და სახეები, რომლებიც განაპირობებს ინოვაციური იმპულსების წარმოქმნას. შემოთავაზებულ მოდელში, რომელიც ასახავს გავლენასა და ურთიერთკავშირს მეცნიერებას, წარმოებას, სოციალური სფეროს, ადამიანსა და ძირითად გარე და შიდა ფაქტორებს – ინფორმაციას, ინვესტიციებს, მატერიალურ და შრომით რესურსებს, საბაზრო ინფრასტრუქტურას შორის, ჩვენი აზრით, თავიდან იქნება აცილებული მითითებული ნაკლოვანებები (ნახ. 5). ინოვაციური პროცესის შემოთავაზებული განზოგადებული მოდელი, რომელიც ასახავს გავლენასა და ურთიერთკავშირს მეცნიერების, წარმოების, სოციალური სფეროს, ადამიანისა და ძირითად გარე და შიდა ფაქტორებს შორის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ინოვაცია პროდუქტებისათვის, ასევე ინოვაცია – პროცესებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. თბ., სტუ, 2009.
2. გ. ნაკაიძე. საინოვაციო მენეჯმენტი. თბ.: სტუ, 2004.
3. ლ. ჩიქავა. ინოვაციური ეკონომიკა. თბ., ფირმა „სიახლე“, 2006.
4. Porter M. E., Stern S. The New Challenge to America`s Prosperity: Findings from the innovation index. Washington, 1999. p. 3.
5. Innovation in Manufacturing (Australian Bureau of Statistics). Canberra. 2001.
6. Schumpeter J. A. Konjunkturzyklen. Bd. 1. Guttingen. 1961. p. 95.
7. Portep M.E., Stern S. The New Challenge to America`s Prosperity. 2001. p. 12.
8. Drucker P.F. The Discipline of Innovation //Harvard business review. 1998. Vol. 76. #6. p. 156.
9. Kim W.C., Mauborgne R. Straregy, Value Innovation and the Knowledge Economy // Sloan management review. 1999. Spring. p. 46.

Nino Kokiauri

PROVING OF CYCLIC NATURE OF INNOVATIVE DEVELOPMENT Annotation

Cyclic processes show the inequality of each branches in national economy, changes in stages of its evolutional and revolutional development. Each cycle has its phases, duration. Phase indicators are not repeated in specific indicators. Neither are phase cycles. They have original features in historic and regional aspects.

Nowadays, as economists consider, there are three approaches to the definition of cyclic reasons. The first approach explains cyclic by outer (exogenic) factors, the second one is inner (endogenic) factors, and the third one is the synthesis of these two ones.

In foreign researches that are related to the problems management of innovative processes, three models are distinguished that replace ones in order. They explain innovative processes as explanation of managing objects, specifics and means of perspective development in different periods.

The fourth model is based on different approaches that were made at the end of 1980s. This integrated model means that innovative process is not only successive but parallel actions in total that carries out in different stages especially for using features in scientific researches and experimental constructive works, on the stage of the first industrial samples, its producing and circulating stages.

In scientific researches the analysis of used models gives us possibility to sum up that it is completely shown or there are not shown such important elements as overturned connections, requirement factors and other kinds that are basic factors for creating innovative impulses. In the model shown below, that describes influence and interconnection within science, production, social spheres, humans and main inner and outer factors – information, investments, material and labor recourses, among marketing infrastructures, the above mentioned faults would be avoided, to our mind. The suggested generalizes model that shows influence and interrelation within science, industry, social sphere, humans and main inner and outer factors, can be used as an innovation for products, as well as innovation for processes.

კეა ლეინჯილია

ეკონომიკური ზრდის ტანდენციები საქართველოში

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება წარმოდგენილია ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის რეალური შესწავლის გარეშე, რომელიც, თავის მხრივ, ზუსტი ინფორმაციის არსებობას ემყარება. მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ზუსტ ანალიზს, ასევე ეკონომიკური მიზნების შესაძლო მიღწევების შემთხვევაში მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს. ამდენად, ინდიკატორებს, რომლებიც მაკროეკონომიკური პოლიტიკისათვის აუცილებელ ეკონომიკურ ინფორმაციას მოგვაწვდიან, ეფექტიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ. სწორედ, მაკროეკონომიკური ინდიკატორების შესწავლის საფუძველზე ხდება არსებული სიტუაციის შესწავლა, შემდგომი სტრატეგიების შემუშავება და მომავალი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება. ყველა ეკონომიკა განსხვავებულია და ქვეყნები ეკონომიკური ზრდის განსხვავებული ფაქტორებით ხასიათდებიან. სწორედ ამიტომ, საქართველოს ეკონომიკის კვლევა ეკონომიკური ზრდის ფაქტორების ანალიზით დაიწყეთ. მთლიანი შიდა პროდუქტის დანახარჯების მიხედვით განხილვა გვიჩვენებს, რომ 1997-2013 წწ. პერიოდისათვის ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის წამყვან როლს სახელმწიფო ხარჯები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასრულებენ. განსხვავებით განვითარებული ქვეყნებისგან, სადაც ეკონომიკურ განვითარებაში წამყვან ადგილს კერძო სექტორი იკავებს. სახელმწიფო ხარჯების დიდი წილი კი მთავრობის ინვესტიციებზე მოდის, რაც მოიცავს გზების, სკვერების მშენებლობას და ა.შ. ასევე, მაღალი იყო შრომის ანაზღაურების წილი, რაც შესაბამისად დადებითად მოქმედებდა მოხმარების მაჩვენებელზე. რაც შეეხება პირდაპირ უცხოური ინვესტიციებს, აღსანიშნავია, რომ მათი დადებითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკის მაღალი ზრდის ტემპზე შესამჩნევია, თუმცა მათი მცირედობით შემცირებაც კი, გაცილებით დიდ უარყოფით გავლენას ახდენდა ეკონომიკის ზრდის ტემპზე. ეს შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად ერთჯერადი პროექტების სახით ხორციელდებოდა და მათ მდგრადი გავლენა არ ჰქონდათ ეკონომიკაზე. ასევე, მიგვანიშნებს, რომ ქვეყნის ეკონომიკა მჭიდროდა და მოკიდებული უცხოურ კაპიტალზე.

ბოლო პერიოდში ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება (2012–2013) სწორედ სახელმწიფო ხარჯების, კერძოდ კი, კაპიტალური ხარჯების შემცირებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების შედეგია. კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2012 წელს წინა წელთან შედარებით 2.6%-ით შემცირდა,

ხოლო 2013 წელს 0.2%-ით გაიზარდა, შედეგად კი მთლიანი შიდა პროდუქტის 5% შეადგინა, თუმცა 2011 წლის მაჩვენებელს ვერ დაუბრუნდა. თუმცა, ცნობილი ფაქტია, რომ როდენობრივ შეფასებასთან ერთად მნიშვნელოვანია ხარისხობრივი შეფასებაც. ამიტომაც, თუ განვიხილავთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემადგენლობას, ენახავთ, რომ საკმაოდ მაღალი წილი (22%) ენერჯეტიკის სექტორში განხორციელებულ ინვესტიციებს უჭირავს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ სფეროს განვითარება (რაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია) მდგრადი ეკონომიკური შედეგის მომტანი შეიძლება იყოს ქვეყნისათვის.

საქართველოს ეკონომიკა რომ უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებული, მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ საკმაოდ მაღალია უცხოური ტრანსფერების წილი, განსაკუთრებით კი მთლიანი ეროვნული დანახოვის ფორმირებაში; რაც ეკონომიკური ზრდისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. თუ განვიხილავთ მთლიან ეროვნულ დანახოვებზე მოქმედ ფაქტორებს, ენახავთ, რომ გადასახადების ზრდა გაცილებით მეტ დადებით გავლენას ახდენს საქართველოში მთლიანი ეროვნული დანახოვების ფორმირებაზე, ვიდრე რეალური საპროცენტო განაკვეთი. მსგავსი შედეგი თითქოს ეწინააღმდეგება კლასიკურ ეკონომიკურ თეორიას, მაგრამ მრავალი ეკონომეტრიკული კვლევით დადასტურებულია გადასახადების არაერთგვაროვანი გავლენა მთლიან დანახოვებზე. რადგან, გადასახადების ზრდამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კერძო დანახოვებზე, ხოლო სახელმწიფო დანახოვებზე დადებითად, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში გადასახადების სახელმწიფო დანახოვებზე მოქმედების ეფექტი აჭარბებს კერძო დანახოვებზე გავლენის ეფექტს.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული დანახოვი განსაკუთრებით სენსიტიურია გაცვლითი კურსის მიმართ. რაც წინ წამოწევს მონეტარული პოლიტიკის როლს, როგორც ფინანსური სტაბილურობის გარანტს. ვინაიდან საქართველო იმპორტიორი ქვეყანაა, დანახოვების მაღალი დონის მისაღწევად საჭიროა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაღალი დონე. ასევე, ფინანსური სტაბილურობის მიღწევაც, რადგან განხილული მოდელიდან ნათლად ჩანს, რომ გაცვლითი კურსის მერყეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წმინდა დანახოვების მოცულობაზე. სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები კი ეკონომიკურ აგენტებს უბიძგებს, დანახოვები გაასესხონ, ხოლო დაბალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში კი მოხმარება აღებული სესხების ხარჯზე გაზარდონ. ასევე, აღსანიშნავია ეკონომიკური მოლოდინები და პოლიტიკური სტაბილურობა.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ბოლო წლებში ეკონომიკური ზრდა ძირითადად სახელმწიფო ხარჯებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხარჯზე ხდებოდა, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მთლიანი შიდა პროდუქტის რეგრესია გამოგვეთავალო საგადასახდელო ბალანსისა და ნაერთი ბიუჯეტის მიხედვით.

ანალიზმა აჩვენა, რომ ქვეყნის ეკონომიკა დიდწილად არის დამოკიდებული ექსპორტ-იმპორტის მოცულობასა და ტრანსფერებზე, თუმცა განსაკუთრებით მჭიდრო კავშირშია ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებსა და ხარჯებთან. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ეს დამოკიდებულება გრძელვადიანია. სწორედ ამიტომ, განვიხილოთ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და გადასახადები. თუ განვიხილავთ 2014 წლის მონაცემებს და შევადარებთ წინა ორი წლის მონაცემებს, დავინახავთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში ყველაზე დიდი წილი სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულ ხარჯებს (35%), შრომის ანაზღაურებასა (17%) და სხვა ხარჯებზე მოდის (15%). აღსანიშნავია, რომ შრომის ანაზღაურებაზე ხარჯები გაზრდილია (6%-ით), ასევე, გაზრდილია სოციალურ უზრუნველყოფასა (16%) და სუბსიდიებზე (22%) გამოყოფილი სახსრები. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სოციალურ უზრუნველყოფაზე გამოყოფილი თანხები გაიზარდა საქონლისა და მომსახურების თანხების შემცირების ხარჯზე. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეს იყო 2013 წლის ეკონომიკის ზრდის დაბალი ტემპის განმაპირობებელი მიზეზი და ეს შეიძლება ჩაითვალოს 2014 წლის პროგნოზირებული მაჩვენებლის შემცირების მიზეზადაც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებული მაჩვენებელი უკრაინასთან პოლიტიკური მიზეზების გამო შემცირებული ექსპორტის მოცულობის გამო შემცირდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებიც შემცირებულია (დღგ-დან, საშემოსავლო გადასახადიდან, მოგების გადასახადიდან), ეს კი მიგვითითებს ეკონომიკური აქტივობის შემცირებაზე. ასევე, როგორც ცნობილია, 2013 წლის ბიუჯეტიდან გაცემული ასიგნებების სრული ათვისება ვერ მოხდა ზოგიერთი პროგრამის განხორციელებისას, რაც მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია ბიუჯეტის კანონის მიხედვით შემუშავებული პროგრამები და ქვეპროგრამები სწორად დაიგეგმოს, რათა საჯარო ფინანსების რაციონალური განკარგვა მოხდეს. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საჯარო ფინანსების სწორად დაგეგმვას განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია წინასწარი სოციო-ეკონომიკური ანალიზი საკანონდებლო ცვლილებების, განსაკუთრებით საბიუჯეტო კანონპროექტის, რადგან საქართველოს ეკონომიკა განსაკუთრებით სენსიტიურია საჯარო სექტორში განხორციელებული ცვლილებების მიმართ. შესაბამისად, წინ გამოდის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის როლი, როგორც ეკონომიკური აქტიურობის ხელშეწყობის.

Eka Gvinjilia

ECONOMIC GROWTH TRENDS IN GEORGIA

Annotation

The thesis: "Economic Growth Trends in Georgia" describes economic growth features of Georgian economy, impact of the macroeconomic policy on the economic growth and generally, on the business enabling environment. During the recent years with several exemptions, economic growth rate was quite high. The objective of the thesis is to discuss and analyze the trend, reason of the Georgian economic growth and accordingly, provide recommendations for further improvement. Therefore, the thesis describes Georgian macroeconomic indicators, which at the same time represent economic growth factors. These are: Gross Domestic Product, Direct Foreign Investments, GDP regression by the data from the Balance of Payment and Consolidated Budget. In addition, there is analyzed Gross Savings. Econometrical analysis of the economic data revealed that main facilitator of the economic growth in Georgia was Foreign Direct Investments and Government Expenditure. It should be emphasized that increase of FDI has slight positive impact on the economic growth rate, while decrease of FDI dramatically deteriorated economic growth rates. Moreover, analysis of

Gross Savings confirms that Georgian Economy tends to be strongly dependent on foreign finances and accordingly to the exchange rate.

Analysis of the public finance confirms that main motivator of high economic growth rate was government investments for recent years. Accordingly, decreasing amount of the allocations for the capital expenditures in the Budget 2013 resulted in the low economic growth rate (3.2%). Significance of the public finance for the Georgian economy requires intensive and high quality socio-economic analysis of draft legal initiatives along with the deep analysis of Budget Code.

ვახტანგ ჩქარეული

საქართველოს ეკონომიკის ბანკითარება – დამოუკიდებლობის 20 წელი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, ცენტრალიზებულად გეგმური მიუზღვეობიდან გადასულიყო საბაზრო ეკონომიკაზე. საქართველოში ეკონომიკური განვითარება დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საკმაოდ რთული გზით წარიმართა და გარდაქმნის პროცესი ძირითადად ვერ უზრუნველყოფდა მნიშვნელოვან პროგრესს.

1990 წლიდან საქართველოში ეკონომიკის მკვეთრი დაცემა გრძელდებოდა დაახლოებით 5 წლის განმავლობაში, რაც დიდწილად გამოწვეული იყო პოლიტიკური დაპირისპირებებითა და ეთნოპოლიტიკური ომებით. შედეგად, 1993 წელს მთლიანმა შიდა პროდუქტმა (მშპ) 1990 წლის მშპ-ს 30,73% შეადგინა, 1994 წელს კი ინფლაციის წლიურმა დონემ 7 840%-ს უწია¹⁹⁰. ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია გეგმურობიდან ჰიპერინფლაციაზე გადასვლა იყო.

რეალურად, ახლადწამოყალიბებული სახელმწიფო ვერ ახერხებდა, უზრუნველყო სახელმწიფო ფინანსების ქმედითობა და ამოეღო გადასახადები. სახელმწიფოს გააჩნდა სუსტი ფინანსური, ეკონომიკური და ინსტიტუციური შესაძლებლობები საიმისოდ, რომ რაიმე სერიოზული ცვლილება მოეხდინა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში.

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან საქართველოში ყველაზე გვიან – 1995 წლიდან იწყება მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი მშენებლობა. 1994-1998 წლებში გატარდა რიგი რეფორმები ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ლიბერალიზაციის მიმართულებით.

1995 წელს წარმატებით განხორციელებულმა ფულის რეფორმამ მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევასა და 1996-1997 წლებში მშპ-ს თითქმის 24%-იან ზრდას შეუწყო ხელი. ეკონომიკის ზრდის პიკი იყო 1997 წელი, როდესაც მშპ-ს ზრდის ტემპმა 10.7% შეადგინა¹⁹¹.

საქართველოში 1990-1995 წლების ჰიპერინფლაციამ საშუალოდ შეადგინა 3310.6%, რის შედეგადაც ცხოვრების დონე ყველაზე დაეცა, შემოსავლების განაწილებამ სოციალურად უთანასწორო ხასიათი შეიძინა¹⁹². ჰიპერინფლაცია საქართველოში თითქმის სამჯერ აღემატებოდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ინფლაციის საშუალო მაჩვენებელს.

ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტი 1996 წლამდე, ფაქტობრივად, მხოლოდ დონორი ორგანიზაციებისაგან მიღებული დახმარებებით არსებობდა. ეკონომიკის გამოცოცხლებასთან ერთად, 1996 წელს, შემოსავლების წილმა მშპ-ში იმატა და 13.5%-ს მიაღწია¹⁹³. ამავე პერიოდში ბალტიისპირეთის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 35-37%-ს, ხოლო დსთ-ს საშუალო მაჩვენებელი – 25-30%-ს¹⁹⁴.

საქართველოში 1992 წელს დაწყებული პრივატიზების პროცესი მიმართული იყო იმისკენ, რომ სახელმწიფოსგან გათავისუფლებულიყო ის საწარმოები, რომელთა ეფექტიანი მართვის უნარი მას არ გააჩნდა. მათი შემდგომი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი იყო დამატებითი კაპიტალდაბანდებები. კანონმდებლობით განისაზღვრა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები, ხოლო ე.წ. არასტრატეგიული დანიშნულების ობიექტები დაექვემდებარა განსახელმწიფოებრიობას, რაც მიზნად ისახავდა კონკურენტული ბაზრის შექმნას. თუმცა ეს საწყის ეტაპზე ძირითადად განხორციელდა პოლიტიკური მიზნებით და მისი არსი, მოზიდული ყოფილიყო უცხოური ინვესტიციები, ნაკლებად შედეგიანი იყო. მიუხედავად საწარმოების განსახელმწიფოებრიობისა, პრივატიზების პროცესმა ვერ უზრუნველყო ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა, თუმცა ინსტიტუციურად საფუძველი ჩაუყარა საბაზრო ეკონომიკის დანერგვას.

საქართველოში ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ინსტიტუციური პირობა შექმნა საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანებამ. გატარდა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის კვოტირება და სხვ. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით გაუქმდა საბაჟო გადასახადი ექსპორტზე, დაწესდა რიგი შეღავათები საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტზე.

ძირითადი ბარიერი, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოს ეკონომიკის ზრდას, იყო ინვესტიციების დაბალი დონე და არასახარბიელო საინვესტიციო გარემო, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო კორუფციის მაღალი დონით, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებით გამოწვეული არასტაბილური გარემოთი, ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობით და სხვ.

1990-იან წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმნიშვნელო იყო იქამდე, ვიდრე დიდი საერთაშორისო ენერგეტიკული პროექტების განხორციელება არ დაიწყო. 1997-98 წლებში ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა შეადგინა მშპ-ს 6.9-7.3%, მაგრამ შემდგომ ინვესტიციების წილი მკვეთრად დაეცა 2 პროცენტამდე. ეს მაჩვენებელი მხოლოდ

¹⁹⁰ მსოფლიო ბანკის მონაცემები - <http://data.worldbank.org/country/georgia>
¹⁹¹; 3; 4; 5 მსოფლიო ბანკის მონაცემები - <http://data.worldbank.org/country/georgia>

2003 წელს გაიზარდა და მან 8.4% შეადგინა, რაც განპირობებული იყო ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობით¹⁹⁵.

ამდენად, საინვესტიციო გარემო საქართველოში მეტად მიმე იყო. ამ ვითარების დაძლევა მხოლოდ ჩრდილოეთ კონომიკასთან და კორუფციასთან ბრძოლით იყო შესაძლებელი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ყველაზე დრამატულ – 1990-1994 წლებში საქართველოში რეცესიას და პიპერინფლაციას დასაქმების მასობრივი შემცირება და უმუშევრობის შესაბამისი ზრდა არ მოჰყოლია, რადგან ადგილი ჰქონდა დასაქმების მასობრივ გადანაცვლებას შედარებით მაღალმწარმოებლური დარგებიდან დაბალმწარმოებლურ დარგში – აგრარულ სექტორში, სადაც დამატებული ღირებულების წარმოება ერთ დასაქმებულზე, მრეწველობასთან შედარებით 5-ჯერ დაბალი იყო. ამავე პერიოდში, ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობამ შეადგინა 11-14%¹⁹⁶. უმუშევრობის დონე ქალაქებში დაახლოებით 4-ჯერ აღემატებოდა ამავე მანქანებულს სოფლად.

2004 წლამდე კეთილდღეობის სფერო ფაქტობრივად “ამოვარდნილი” იყო რეფორმების პროცესიდან. ისედაც რთული სოციალური გარემო კიდევ უფრო დაიძაბა არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობით, რის შედეგად მოსახლეობის თითქმის 10% აღმოჩნდა დევნილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან.

1995 წელს, ოფიციალური მონაცემებით, სიღარიბის მაჩვენებელი 60% იყო, ხოლო 1997 წელს – დაახლოებით 46%¹⁹⁷. შემდგომ პერიოდში სიღარიბის დონე უმნიშვნელო ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ოფიციალური საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით, სიღარიბის დონემ 2002 წლის მონაცემებით დაახლოებით 52% შეადგინა¹⁹⁸.

2003 წლიდან ქვეყანაში შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, საქართველოს სათავეში მოვიდა ახალი ხელისუფლება ახალი გამოწვევებით.

“ვარდების რევოლუციის” შემდგომ, ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტად საგადასახადო გარემოს ლიბერალიზაცია გამოცხადდა, რომელიც უმთავრესად საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებულ ცვლილებებში გამოიხატა. 2004 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის ბაზას წარმოადგენდა 1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საგადასახადო კოდექსი, რომლის საფუძველზეც საქართველოში მოქმედებდა სულ 20 გადასახადი. ახალი საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა 5 საერთო-სახელმწიფოებრივი და 2 ადგილობრივი გადასახადი, რასაც ემატებოდა საბაჟო გადასახადი. 2005-2010 წლებში კვლავ მიმდინარეობდა ცვლილებების განხორციელება საგადასახადო კოდექსში. 2011 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლითაც დადგინდა 6 გადასახადი (5 საერთო-სახელმწიფოებრივი და ერთი ადგილობრივი).

2004 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა კანონი “საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ”, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ქვეყნის საბიუჯეტო მოწყობაში. შემოღებული იქნა უფრო დეტალური და ოპტიმალური საბიუჯეტო კალენდარი, ახლებურად განისაზღვრა ბიუჯეტის ანგარიშგების პროცედურები და წესები. შეიცვალა ბიუჯეტებიდან დაფინანსების მეთოდიკა, სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციული სტრუქტურა. 2004-2008 წლებში ბიუჯეტს ჰქონდა ორი მხარე: შემოსულობები და გადასახდლები. შემოსულობები მოიცავდა შემოსავლებს, გრანტებს და სესხებს. შემოსავლები, თავის მხრივ, მოიცავდა საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალურ შემოსავლებს. გადასახდლები მოიცავდა ხარჯებს, დაკრედიტებასა და ვალის ამორტიზაციას. ხარჯები, თავის მხრივ, მოიცავდა მიმდინარე ხარჯებს და კაპიტალურ ხარჯებს. 2009 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ბიუჯეტის ახალი ფორმაციის მიხედვით, შემოსულობები მოიცავს შემოსავლებს, არაფინანსური აქტივების კლებას, ვალდებულებების ზრდას. შემოსავლები, თავის მხრივ, მოიცავს გადასახადებს, გრანტებს და სხვა შემოსავლებს. ბიუჯეტის გადასახდლები მოიცავს ხარჯებს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდას და ვალდებულებების კლებას. ხარჯები, თავის მხრივ, მოიცავს შრომის ანაზღაურებას, საქონელს და მომსახურებას, პროცენტს, სუბსიდიებს, გრანტებს, სოციალურ უზრუნველყოფას, სხვა ხარჯებს.

2004 წლიდან ცვლილებები განიცადა საბიუჯეტო სისტემაშიც. 2004 წლის ჩათვლით საქართველოს ნაერთი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტი (რომელიც სხვადასხვა ბიუჯეტის ანალიტიკური ერთობაა და საკანონმდებლო წესით არ მტკიცდება) მოიცავდა სახელმწიფო, ადგილობრივ და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებს. სახელმწიფო ბიუჯეტი კი, თავის მხრივ, მოიცავდა ცენტრალურ ბიუჯეტს და სპეციალურ ფონდებს (სოციალური უზრუნველყოფის ფონდი, საგზაო ფონდი). 2005 წლიდან გაუქმდა სპეციალური ფონდები და მათთან ერთად – ცენტრალური ბიუჯეტის ცნებაც. შესაბამისად, ამჟამად ნაერთი ბიუჯეტი მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტს, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებს.

ვარდების რევოლუციის შემდგომ, ფუნდამენტურმა რეფორმებმა მოიცვა ფაქტობრივად ყველა სფერო, ძირეულად შეიცვალა მოქმედებული “საბჭოური” მიდგომები, ხდებოდა არსებული პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური სისტემის ძირეული ცვლილება. პოსტრევილუციური პერიოდის საწყისი წლები მართლაც რადიკალური ცვლილებების მომტანი გახდა საზოგადოების ფართო ფენებისათვის. თუმცა დროდადრო თავი იჩინა შეცდომებმა მრავალი მიმართულებით. უკვე 2008 წელს კი საქართველო ებრძოდა რუსულ ოკუპაციას და ჩათრეულ იქნა სამარ ვითარებაში. რაღა თქმა უნდა, აღნიშნულმა ფაქტმა საფუძვლიანად შეარყია ინვესტორთა ნდობა ჩვენი ქვეყნის მიმართ და საინვესტიციო გარემოც მკვეთრად გაუარესდა. ამას დაემატა მსოფ-

¹⁹⁵ <http://databank.worldbank.org/data/home.aspx>

¹⁹⁶ ამ მონაცემებში არ იგულისხმება სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, რომელიც მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს და არსებული კანონმდებლობით ისინი არ მიეკუთვნებიან უმუშევრებს მათ საკუთრებაში არსებული 0,8-1,0 ჰა მიწის ნაკვეთის გამო.

¹⁹⁷ ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა, თბილისი 2003.

¹⁹⁸ ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა, თბილისი 2003.

ლიო ფინანსური კრიზისი, რომლის გადატანაშიც საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა იქონია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გაღებული შემოწირულობებმა.

დროდადრო იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ციფრებში გამოხატული მკვეთრი პროგრესი ვერ ასახავდა საზოგადოების რეალურ ყოფას და ერთმნიშვნელოვნად უსწრებდა ცხოვრების არსებულ დონეს.

ძირითად პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის მოდელი, რომელიც, სამწუხაროდ, დაფუძნებულია არა იმდენად წარმოების ზრდაზე, რამდენადაც მოხმარების სტიმულირებაზე.

მოხმარების სტიმულირებამ ეკონომიკის რეალური სექტორის სათანადო განვითარების გარეშე, მოიტანა ის, რომ იმპორტი ექსპორტს თითქმის 4-ჯერ აღემატება¹⁹⁹; ექსპორტის სტრუქტურაში კი 22% მსუბუქ ავტომობილებზე, ხოლო 8% ჯართზე მოდის²⁰⁰. ცნობილია, რომ საქართველოში ავტომწარმოებლობა არ არსებობს, რაც იმას მეტყველებს, რომ ექსპორტის აღნიშნული 22% რეექსპორტირების ხარჯზე მიიღწევა. იმპორტისაგან ექსპორტის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა და ის, რომ ექსპორტის 30% საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორის პროდუქტს არ წარმოადგენს, საქართველოს ეკონომიკის შედარებითი ჩამორჩენილობის დასტურია.

ეკონომიკის რეალური სექტორის არასაკმარისად განვითარების გამო უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია. 13-15%-ის ფარგლებში მერყეობს, თუმცა ადგილობრივი და უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, გამოკითხულთა 70% თავს უმუშევრად მიიჩნევს, რაც იმით აიხსნება, რომ სამუშაო ძალის დაახლოებით 55% თვითდასაქმებულია და მათი შრომით მოპოვებული შემოსავალი ზედმეტად დაბალია.

საუკეთესო გამოსავალი არსებული სიტუაციიდან, ალბათ ევროკავშირთან თავისუფლების რეჟიმის მიღწევაში შეგვიძლია ვეძიოთ, რაც, თავის მხრივ, საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორში კერძო ინვესტიციების მოზიდვის პირობებს შექმნის. სამუშაო ძალის შედარებითი სიახვე, ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივებული სისტემა და ევროკავშირთან შედარებით არცთუ მაღალი გადასახადები, შესაძლოა, საქართველოს ეკონომიკაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მასტიმულირებელი ფაქტორი აღმოჩნდეს. თუკი საქართველოში ევროკავშირის ბაზრისთვის განკუთვნილი მაღალხარისხიანი პროდუქტის წარმოება დაიწყება, მაშინ 2008 წელს თურქეთთან მიღწეული თავისუფალი რეჟიმის გათვალისწინებით, წარმოებულ პროდუქტსაზე მოთხოვნა თურქულ ბაზარსაც გაუჩნდება.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების მოცემული სცენარი, რომელიც ეფუძნება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმსა და თურქეთში ექსპორტის ზრდას, საკმაოდ რეალისტურად გამოიყურება უახლოეს მომავალში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკური ზრდის თეორიები, ლექციების კურსი (რიდერი), ნ. ხაღური, ნ. კაკულია, მ. ჩიქობავა. თსუ – 2013.
2. V. Papava, Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. New York: Nova Science Publishers. 2013.
3. N. Khaduri. Economic System in Georgia. In *Moving Closer to Europe? Economic and Social Polities in Georgia, Armenia and Azerbaijan*. Tbilisi: Friedrich Ebert Stiftung, Centre for Economic Problem Research. 2010, p. 71.
4. N. Khaduri. Economic System in Georgia. In *Moving Closer to Europe? Economic and Social Polities in Georgia, Armenia and Azerbaijan*. Tbilisi: Friedrich Ebert Stiftung, Centre for Economic Problem Research. 2010, p. 71.

Vakhtang Chkareuli

DEVELOPMENT OF GEORGIAN ECONOMICS – 20 YEARS OF INDEPENDENCE

Annotation

The article discusses main problems of Georgia on the stage of post-communist transformation. Since independence in 1991, the Georgian economy has been in a severe decline. A break down in traditional trade, civil conflict and war in Abkhazia, and expansionary financial policies have combined to effect collapse in output, massive inflation and currency substitution.

Fortunately, the political and social situation in the country has improved considerably after Georgia's Rose Revolution. Though, in 2008 Georgia suffered from Russian aggression once more. Of course it had a big influence on sustainable development of the country.

The study focuses on the lack of progressive reforms and gives recommendations for future sustainable development.

გიორგი ხარშილაძე

ეკონომიკური ზრდის შემცირების ტენდენციები და მისი ურთიერთკავშირი უმუშევრობასთან საქართველოს მაგალითზე


2012 წლის ბოლო კვარტლიდან მოყოლებული, ეკონომიკური ზრდა შენედა, რაც გამოწვეული იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და არჩევნებით გამოწვეული დისბალანსის გამო. ოთხი ძირითადი მაჩვენებელიდან, სამი – ერთობლივი მოთხოვნა, ინვესტიციები და სამთავრობო ხარჯები – შემცირდა. მხოლოდ ერთ მაჩვენებელში – წმინდა ექსპორტში შეინიშნებოდა გარკვეული დადებითი ტენდენციები, მაგრამ არა ისეთი, რომ სხვა კატეგორიებში კლება გადაეფარა.

¹⁹⁹ http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo

²⁰⁰ http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo

2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული 6%-იანი ეკონომიკური ზრდა ვერ შესრულდა. ამავ დროს თვით სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ამგვარ მდგომარეობაში მთავრობას დიდი ძალისხმევა დასჭირდა ბიუჯეტით დაგეგმილი შემოსავლების ამოსაღებად. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ეკონომიკურმა ზრდამ მხოლოდ 3,2% შეადგინა. ქვეყნის ეკონომიკაში ზრდის შენელება, და უარყოფითი ზრდაც კი, ბოლოს გლობალური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეინიშნებოდა (გრაფიკი 1). მას შემდეგ, სამი წლის განმავლობაში, ეკონომიკური ზრდა საკმაოდ სტაბილური იყო. ორი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის – მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაანგარიშებით 2013 წელს საქართველოში ეკონომიკურმა ზრდამ 2,5-3% შეადგინა [1].

ზოგადად, გარდამავალ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის კლება აღინიშნება, განსაკუთრებით რუსეთსა და თურქეთში, რამაც ასევე, შესაძლოა, გააუარესა საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივა. გარდამავალი ქვეყნების საშუალო ეკონომიკური ზრდა 2,2%-ს შეადგენს 2013 წელს, რომლის მცირედი გაუმჯობესება 2014 წელს არის მოსალოდნელი. რეგიონში ეკონომიკური ზრდა სტაბილური რჩება ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებში, რასაც ვერ ვიტყვით ნავთობის იმპორტიორ ქვეყნებზე. რაც შეეხება რეგიონს, საქართველოს ჩათვლით, ეკონომიკური ზრდის კლება წელს ასევე მოსალოდნელია სომხეთში, სოფლის მეურნეობის სექტორის და საბიუჯეტო ხარჯების შემცირების გამო [3].



გრაფიკი 1. მშპ-ს რეალური ზრდა 2008-2013 წლებში [4].


საბიუჯეტო ხარჯების შემცირება ეკონომიკური ზრდის შენელების მთავარ წინაპირობად სახელდება საქართველოში. არსებობს სხვა ფაქტორებიც, ისეთები, როგორცაა კერძო ინვესტიციების კლება და საკრედიტო რესურსების შემცირება. საერთაშორისო სავალუტო ფონდი სახელმწიფოს მოუწოდებს, გაატაროს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომლებიც ითვალისწინებს პროდუქტიული ხარჯების გადიდებას, რაც მოთხოვნის ზრდას შეუწყობს ხელს. კლება აღინიშნა ბანკების საკრედიტო აქტივობაში, რაც ბიზნესსექტორში ბრუნვის შემცირებაში აისახა. ამის შედეგს წარმოადგენდა ის, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი 3,75%-მდე შეამცირა. თუმცა, დეფლაციის პირობებში რეალური საპროცენტო განაკვეთი ნომინალურზე მაღალია. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2014 წლის იანვარში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი 4%-მდე გაზარდა.

ეკონომიკური შენელების პირობებში სახელმწიფოს როლი მნიშვნელოვნად იზრდება. მას შეუძლია სწორი ფისკალური პოლიტიკის გატარებით ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, იმის გათვალისწინებით, რომ კერძო სექტორს, რომელიც ვერ ახერხებს ეკონომიკურ სტიმულირებას, სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა მიზნობრივი ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით მოახდინოს ეკონომიკის ზრდა. იმის გათვალისწინებით, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები ხარჯების ნაწილს წარმოადგენს, მიზანშეწონილი იქნებოდა ამგვარი პროექტების დაფინანსება. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა სამთავრობო აქტივობის შედეგს წარმოადგენდა.

2012 წლის მეოთხე კვარტლიდან მოყოლებული, საქართველოს ეკონომიკაში დეფლაციური პროცესები შეინიშნება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, ფასების ღონეზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ჯანმრთელობის უნივერსალური დახვეწის და მშობიარობის მომსახურების სუბსიდიამ. საზოგადოდ, ნებისმიერი ადამიანისთვის დეფლაცია კარგია, რადგან მას ფასების შემცირება და რეალური შემოსავლების და, შესაბამისად, მსყიდველობითი უნარის მატება მოაქვს. თუმცა იგი ვერ აცნობიერებს, რომ დეფლაციური პროცესები ვალის რეალურ ტვირთს ზრდის და წარმოებს ამცირებს, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობაზე.

საქართველოში დეფლაციური პროცესების გამომწვევე ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მოთხოვნის შემცირება უნდა დავასახელოთ. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ეკონომიკური ზრდის შენელების და უმუშევრობის შედეგს წარმოადგენს. საქართველოს შემთხვევაში მოთხოვნის ეს ვარდნა იმ პოლიტიკურ გაურკვევლობას მოჰყვა, რასაც ადგილი ჰქონდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში. ეს გაურკვევლობა 2013 წელსაც გაგრძელდა უკვე საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინში. დეფლაცია გაღრმავდა მთავრობის შემადგენლობის და საინვესტიციო ხარჯების შემცირებით, რაც, პრინციპში, 2013 წელს მოხდა, როდესაც მკვეთრად შემცირდა ინფრასტრუქტურული ხარჯები, შემცირდა რა 362 მლნ ლარით (24%-ით) 2012 წელთან შედარებით.

სამომხარულო ფასების ინდექსი
(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)



დეფლაციურმა პროცესებმა შეიძლება გამოიწვიოს ისეთი უარყოფითი შედეგები, როგორცაა საწარმოთა მოგების ვარდნა, დასაქმების და მოსახლეობის შემოსავლების შემცირება, რაც ზრდის სესხების რაღურ ღირებულებას კომპანიებისა და ინდივიდებისთვის. როგორც ინფლაცია, ისე დეფლაცია ეკონომიკის შეუფერხებელ მართვას ხელს უშლის, თუმცა ზომიერი დეფლაცია ეკონომიკისთვის შეიძლება უფრო საზიანო გამოდგეს, ვიდრე ზომიერი ინფლაცია. ამის მაგალითად უნდა მოვიყვანოთ იაპონიის ათწლიანი დეფლაცია, სადაც ინფლაციის სტიმულირებისთვის საპროცენტო განაკვეთები მუდმივად მცირდებოდა, რამაც ქვეყანა 1999 წელს ნულოვან საპროცენტო განაკვეთამდე მიიყვანა, რომელიც 2006 წლის ივლისში დასრულდა.

დეფლაციას, ჩვეულებრივ, მაღალი უმუშევრობა იწვევს, რასაც შედეგად მოთხოვნის კლება მოჰყვება და შესაბამისად, რეცესიის წინაპირობას აჩენს. უმუშევრობა, უფრო სწორად ფორმალური დასაქმება, ხანგრძლივი პრობლემაა საქართველოს რეალობაში (ცხრილი 1). მთლიანი სამუშაო ძალის მხოლოდ 32%-ია ფორმალურად დასაქმებული, ნახევარზე მეტი თვითდასაქმებულია, ხოლო უმუშევრობის მაჩვენებელი 15%-ს შეადგენს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის უკანასკნელი პროგნოზის თანახმად, ეს მაჩვენებელი 2014 წელს 17%-მდე გაიზრდება [3, გვ. 13].


ცხრილი 1

დასაქმება და უმუშევრობა [4]

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2023.9	2021.8	1965.3	1917.8	1991.8	1944.9	1959.3	2029.1
დასაქმებული, ათასი კაცი	1744.6	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1	1664.2	1724.0
უმუშევარი, ათასი კაცი	279.3	274.5	261.0	315.8	335.6	316.9	295.1	305.1
უმუშევრობის დონე %	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3	15.1	15.0

მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის უმუშევრობის მაჩვენებლები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, 2013 წელს, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 6%-ით არის შემცირებული. თუ ბიზნესსექტორში დასაქმებულებს საქმიანობის ტიპების მიხედვით გავაანალიზებთ, ყველაზე დიდი კლება სამშენებლო სექტორში მოხდა, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 34%-ით შემცირდა. დასაქმებულთა რაოდენობის კლება თითქმის ყველა სექტორში აღინიშნა გარდა სოფლის მეურნეობის სექტორისა, სადაც მთავრობა აქტიურად ახორციელებს პროგრამებს და რომლის ფორმალური დასაქმების ბაზა, სხვა სექტორებთან შედარებით, გაცილებით მცირეა.

უმუშევრობის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად უნდა დავასახელოთ მუშა-ხელის განათლების დაბალი დონე. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წარმოებულ 2013 წლის ადამიანური კაპიტალის ანგარიშში განხილულია ქვეყნების ადამიანური კაპიტალის შესაბამისობა კონკურენტული ეკონომიკების მოთხოვნებისადმი და მოყვანილია იმ ქვეყნების მაგალითები, რომლებმაც თავიანთი მოსახლეობის ჯანდაცვის, განათლების და უნარების განვითარებაში ინვესტირებით წარმატებას მიაღწიეს. შედეგად, ეს ინვესტიციები კი ეკონომიკის პროდუქტიულობაში აისახა. ადამიანური კაპიტალის ინდექსი მოიცავს განათლების კრიტერიუმს, რომლითაც ფასდება განათლების ხარისხი და მოცულობა საბაზისო, საშუალო და მესამე დონეებზე, რაც გავლენას ახდენს დღევანდელ და მომავალ სამუშაო ძალაზე; ინდექსი ასევე მოიცავს სამუშაო ძალისა და დასაქმების კრიტერიუმს, რომლითაც ხდება ქვეყნის სამუშაო ასაკის მოსახლეობაში არსებული გამოცდილების, უნარების, ცოდნის და მომზადების ხარისხის შეფასება. საქართველო ორივე კრიტერიუმით ჩამოუვარდება როგორც მეზობელ, ისე მთლიანად რეგიონის ქვეყნებს. განათლების მაჩვენებლით, საქართველოს 74-ე ადგილი უკავია 122 ქვეყანას შორის, ხოლო სამუშაო ძალისა და დასაქმების მაჩვენებლით – 102-ე.



სამწუხაროდ, მსოფლიო ბანკის სტატისტიკით, საქართველო გაცილებით ნაკლებს ხარჯავს საბაზისო განათლებაზე ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნები, მაგალითად, უკრაინა და სომხეთი. ბოლო წლებში განათლების სფეროსთვის გამოყოფილი თანხები გაიზარდა და 2013 წელს მშპ-ის 3.2% შეადგინა. მიზანშეწონილია, რომ მშპ-ის სულ ცოტა 4% უნდა იყოს გამოყოფილი განათლებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიკის თანმიმდევრული და ხარისხობრივი ზრდა, როგორც ეს ბევრი ქვეყნის ემპირიულმა გამოცდილებამ აჩვენა [3, გვ. 15].

გრძელვადიან პერსპექტივაში მთავრობის ძირითადი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ისეთი ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებაზე სადაც ნათლად იქნება გამოკვეთილი განვითარების სტრატეგიები და შეიქმნება პროგნოზირებადი გარემო, რაც იქნება იმის გარანტია, რომ მოხიდულ იქნება მეტი ინვესტიციები, რის შედეგადაც გადაიტანება უმუშევრობის პრობლემა. გლობალური ეკონომიკური კრიზისისა და სამომავლო არასახარბიელო პერსპექტივების გათვალისწინებით, მთავრობის ძირითად ამოცანად სწორი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარება უნდა იქცეს, რაც გამოიხატება ზომიერი სტიმულირებით და ისეთი საბიუჯეტო ხარჯების გაწევით, რომელიც დადებით ეფექტს მოახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ინფრასტრუქტურული პროექტების შეკვეცა, მანამ სანამ მათ განხორციელებას კერძო სექტორი საკუთარ ხელში აიღებს, წარმოადგენს გაუმართლებელ ნაბიჯს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კვლავ ესაჭიროება მსხვილი საბაზისო ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებსაც მხოლოდ კერძო სექტორი იშვიათად აფინანსებს. ამ თვალსაზრისით, შესაძლოა სასარგებლო იყოს საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობის სქემების შემუშავება და განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ქვეყნების სტრუქტურული ცვლილების ინდიკატორები. <http://www.ebrd.com/pages/research/economics/data/macro.shtml#structural>
2. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ქვეყნების რეგიონული ეკონომიკური პერსპექტივები. Regional Economic Prospects in EBRD Countries, May 2013. <http://www.ebrd.com/downloads/research/REP/rep-may-2013.pdf>
3. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის გამოცემა – არის თუ არა სტაგნაცია 2013 წლის ეკონომიკური მიმოხილვა, მე-7 ანგარიში.
4. [www. Geostat.ge](http://www.Geostat.ge)
5. www. Economy.ge

Giorgi Kharshiladze

THE TENDENCIES OF ECONOMIC GROWTH REDUCTION AND THEIR RELATIONSHIP WITH UNEMPLOYMENT (GEORGIAN CASE) Annotation

In this presented report is analyzed economical growth and unemployment relationship in Georgia in past two years. Also there is presented the main reasons of reduced economic growth, which in turn provides one of the preconditions of increasing the unemployment. In the above report, there is also presented the structure of unemployment in Georgia. There are also presented, the recommendations about the reducing the slowdown of economic growth and one of the main causes to eradicate unemployment.

დავით ხაყონია

ლოგისტიკური სატრანსპორტო-ინფორმაციული სისტემის ფორმირება, მისი როლი რეგიონულ განვითარებაში

„მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე და საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება პირდაპირ კავშირშია სატრანსპორტო სექტორების გამართულ და ეფექტურ მუშაობაზე“[1].

სატრანსპორტო ბაზარზე კონკურენტული ბრძოლის გამძაფრება ექსპედიტორი ფირმებისაგან ტვირთმფლობელების მიმართ, საჭიროებს კომპლექსურ ქმედებებს, რომელიც განკუთვნილია მათი საქმიანობის მართვის სრულყოფისათვის შემდეგი ლოგისტიკური პრინციპებით: ტვირთების ეკონომიური და რაციონალური გადატანის უზრუნველყოფა მოთხოვნილი რაოდენობით და დროის გარანტიით. ლოგისტიკური ინფორმაციული

ტექნოლოგიების ეფექტური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მწარმოებლების, ექსპედიტორების, ტრანსპორტის და ტვირთის მიმღების კომპიუტერიზაცია (გაუმჯობესებული კომუნიკაცია). ისინი გაერთიანებული უნდა იყვნენ ერთიან ინფორმაციულ ქსელში, რათა შეძლონ ელექტრონულად დოკუმენტების და ინფორმაციის გაცვლა, ამასთან, ერთიანი ოპერატიული გადაწყვეტილების მიღება.

აღნიშნული სისტემის მიზანს წარმოადგენს ცალკეული ელემენტების საქმიანობის შედეგების ოპტიმიზაცია, ამიტომ ლოგისტიკურ სისტემაში მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს შეფერხებების მიზეზების ინიცირება და ანალიზი, რომელიც წარმოიშობა ლოგისტიკურ ჯაჭვში ნედლეულის, პროდუქციის, საქონლის და მომსახურების მოძრაობისას.

ავტომატიზებული სატრანსპორტო-ინფორმაციული სისტემა მუშავდება სატრანსპორტო სისტემების ადმინისტრაციული მართვის დონისთვის. ავტომატიზების ობიექტებს წარმოადგენს ადმინისტრაციის ქვედანაყოფები, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო რეგიონული, ქალაქთშორისი, ქალაქის შიგნით, სატრანსპორტო მომსახურების გამართული ფუნქციონირებისთვის.

ერთიანი სატრანსპორტო-ინფორმაციული სისტემის ჩამოყალიბების ამოცანაა წარმოადგენს სატრანსპორტო პროცესების ეფექტურობის ამაღლება, მან ადმინისტრაცია უნდა უზრუნველყოს მაქსიმალურად სრულყოფილი ინფორმაციით მათი შესაძლებლობის გამოყენებისთვის, ყველა სახის სატრანსპორტო კომპლექსის მართვისთვის, კოორდინაციისთვის, ურთიერთსაქმიანობისთვის და განვითარებისთვის, რომლებიც ასრულებენ სატრანსპორტო, ექსპორტ-იმპორტის, შიდარეგიონული და რეგიონთშორის გადაზიდვებს.

სატრანსპორტო სისტემის უკეთ ფუნქციონირებისთვის ერთიან სატრანსპორტო-ინფორმაციულ სისტემაში უნდა ჩავრთოთ გამომთვლელი ტექნიკა, მონაცემთა შეკრებისა და გადაცემის საშუალებები, პროგრამული საშუალებები და მონაცემთა ბანკი. „ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგის რეგიონული განვითარების ანალიზი გვიჩვენებს უთანაბრობას მის განვითარებაში“ [2].

საქართველოს სატრანსპორტო სისტემა ახორციელებს ტრანზიტს, შიდარეგიონულ, რეგიონთშორის და ექსპორტ-იმპორტის გადაზიდვებს. სატრანსპორტო ორგანიზაციული დარგების მართვა ხორციელდება სატრანსპორტო კომპლექსის ელემენტებით. „ლოგისტიკური სერვისისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ რეგულაციური ცვლილებები გამოიწვია წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესებში, რამაც განაპირობა გლობალური ბაზრის ჩამოყალიბება. მზარდი კონკურენციის პირობებში აუცილებელი გახდა ლოგისტიკური სერვისის პროვაიდერების მიერ მაღალი ხარისხის ლოგისტიკური სერვისის უზრუნველყოფა, რომლის მთავარი ამოცანაა პროდუქტის მიწოდება განსაზღვრულ ადგილას, განსაზღვრულ დროს, განსაზღვრულ მდგომარეობაში, განსაზღვრულ ფასად“ [3].

ტრანსპორტის მართვის ამოცანა დამოკიდებულია შემდეგ ძირითად ამოცანათა კლასზე:

- ძირითადი სატრანსპორტო საქმიანობის მართვის ამოცანა (ტვირთების გადაზიდვა, გადატვირთვა და შენახვა; მგზავრთა გადაყვანა);
- სატრანსპორტო სისტემის თვითმყოფადობის და თვითუზრუნველყოფის ამოცანა (სარემონტო სამუშაოები, შესაძლებლობები, ენერგოუზრუნველყოფა და სხვ.);
- სატრანსპორტო სისტემის განვითარების ამოცანა.

ერთ-ერთ ეკონომიკურ პრობლემას არსებულ პირობებში წარმოადგენს ექსპორტის მოცულობის ზრდა, ამასთან, პროდუქციის, სატრანსპორტო მომსახურების, სატრანსპორტო სისტემის შიდა მომხმარებელთა წრის გაფართოება.

ამ პრობლემის გადაწყვეტა კი საჭიროებს:

ჯერ ერთი, სატრანსპორტო გადაზიდვებში ადგილობრივი და უცხოელი კლიენტების რაოდენობის ზრდას. სატრანსპორტო სისტემის კონკურენტუნარიანობამ აზია-ევროპის ტრანზიტში მრავალი პრობლემა წარმოშვა. კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება ღირებულებაში, გადაზიდვის სისწრაფეში, ტვირთისა და მომსახურების შენახვა-შენარჩუნებაში. ჩამოთვლილი ფაქტორები პირდაპირ არის დაკავშირებული საბაჟო-ფისკალური პოლიტიკის პრობლემებთან, სატრანსპორტო კომპლექსის ტექნოლოგიური ელემენტების არაადაპტაციული მართვასთან, სატრანსპორტო სისტემის ინფორმაციულ მომსახურებასთან.

მეორე, ტრანსპორტმა, როგორც ინფრასტრუქტურის ელემენტმა, მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რომ შეძლოს თავისი წვლილის შეტანა ეკონომიკურ ზრდაში. ეს დაკავშირებულია სატრანსპორტო სისტემის გადაზიდვისა და გამტარუნარიანობის შესაძლებლობების გაფართოებასთან. მათი მეშვეობით შესაძლებელია სატრანსპორტო გადაზიდვების, ასევე ექსპორტ-იმპორტის და შიდა გადაზიდვების მოცულობის ზრდა.

მესამე ამოცანაა ადგილობრივ გადაზიდვებში მონაწილეობის ამაღლება, შიდა სავაჭრო მოთხოვნის მომსახურება.

ყოველივე აღნიშნული მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული შიდა და ექსპორტ-იმპორტის გადაზიდვის განხორციელებისას სატრანსპორტო სისტემის ტექნიკურ და სატრანსპორტო ორგანიზაციების ინფორმაციული სისტემის განვითარებასთან.

საერთო გამოცდილება და პრაქტიკა გვკარნახობს, რომ სატრანსპორტო ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ინფორმაციული სისტემის განმტკიცებას, შეუძლიათ სატრანსპორტო კომპლექსის მართვის პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.

„ბაზრის სტრუქტურებიდან ჩანს, რომ საავტომობილო გადაზიდვებს საქართველოში მეტად მაღალი პროცენტული განაკვეთი უჭირავს, რაც, ერთი მხრივ, იმით არის განპირობებული, რომ სარკინიგზო გადაზიდვების როლი თანდათანობით მცირდება საქართველოში. ამის ძირითადი გამომწვევი მიზეზი გადაზიდვების მაღალი ტარიფები, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის არაეფექტურობა და ინტერმოდალური ტერმინალების დეფიციტია, რაც კიდევ უფრო მოუქნელს და არაკონკურენტულს ხდის ქართულ რკინიგზას საავტომობილო ტრანსპორტთან შედარებით“ [4].

სარკინიგზო ტრანსპორტზე ტრანსპორტირებაზე მეთვალყურეობის მიზნით ფუნქციონირებს ავტომატი-ზებული ინფორმაციული სისტემა, რომელსაც შეუძლია პროგნოზირება ტვირთგადაზიდვის შესახებ, მაგრამ ეს ნაწილია (უმნიშვნელო) იმ შესაძლებლობებისა, რომელიც შეუძლია ერთიან ინფორმაციულ სისტემას. აღსანიშნავია, რომ არსებული მოქმედი სისტემები არიან ლოკალური ხასიათის. „კონკურენტული სატრანსპორტ დერეფნის შესაქმნელად მხოლოდ ქვეყნის სახარბიელო გეოპოლიტიკური მდებარეობა არ კმარა, ტვირთების სწრაფად და შეუფერხებლად გადაადგილებისათვის საჭიროა თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა, ასევე, მიმზიდველი, მოქნილი სატარიფო პოლიტიკა და სტაბილური გარემო“ [5].

ქვეყნის სატრანსპორტო კომპლექსში მომწიფდა ერთიანი ავტომატიზებული ინფორმაციულ-მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა.

ინფორმაციულობის გაფართოება არ გულისხმობს არსებული პრობლემური სიტუაციის უსწრაფესად გადაწყვეტას, არამედ ერთიანი სატრანსპორტო-ინფორმაციული სისტემის ჩამოყალიბებას, რომელსაც შეუძლია ეფექტურად და ხარისხიანად მართოს სატრანსპორტო სისტემის საქმიანობა, მისი მდგომარეობის გაუმჯობესება და სისტემის მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების დონის ზრდა, შეძლოს პროგრამის განახლება და განვითარება, ანალიზის და პროგნოზის გაკეთება, სწრაფად მოახდინოს რეაგირება სიტუაციურად წარმოშობილ პრობლემებზე.

ერთიანი სატრანსპორტო-ინფორმაციული სისტემის კონცეფციის საფუძველში უნდა იყოს ჩადებული რეგიონული სატრანსპორტო მმართველობითი სისტემის სრულყოფა, რომელიც შეხამებული უნდა იყოს რეგიონებში მზარდ წარმოებით პროცესებთან, სატრანსპორტო კომპლექსის განვითარებასთან და უზრუნველყოფს ტვირთგადაზიდვის გაზრდას.

სატრანსპორტო მმართველობითი სისტემა, როგორც წესი, გულისხმობს ორი ქვესისტემის ერთობლიობას:

პირველი მოიცავს საკუთრივ მმართველობით სისტემას. ეს არის საშემსრულებლო და მმართველობითი ორგანოების ქვედანაყოფების ერთობლიობა, რომლებიც ასრულებენ დაკისრებულ ფუნქციებს და მათ წინაშე არსებულ ამოცანებს წყვეტენ, ამასთან, ეს არის მეთოდების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მმართველობითი საქმიანობა. მოცემული ქვესისტემა ახორციელებს ორგანიზაციის და ტექნოლოგიების მართვის მეთოდებს, რომელიც წარმოადგენს მმართველობითი სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ქვესისტემას.

მეორე ქვესისტემა მოიცავს შემდეგ ბლოკებს:

- მმართველობით სისტემაში იდეოლოგიური და კრიტერიალური (სტანდარტული) მიმართულებების მართვა;

- მმართველობითი პროცესების მონაწილეების ინტერესებისა და ქცევის ნორმების კონტროლი;

- მმართველობით სისტემაში ინფორმაციებისა და ინფორმაციული კომუნიკაციების ბლოკი.

სატრანსპორტო მართვის საერთო ამოცანის ფორმირება ხდება შემდეგი სახით – სისტემამ უნდა უზრუნველყოს ტვირთის გადაზიდვები და მგზავრების გადაყვანა განსაზღვრული ნორმატივების დაცვით და მოთხოვნის გათვალისწინებით, უზრუნველყოს კომპლექსური ამოცანების შესრულებასთან ერთად:

1. სატრანსპორტო სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებასა და განვითარებაზე დახმარება;

2. განვითარების მხრივ ტრანსპორტთან დაკავშირებული მიმდინარე პროგრამების, რეკომენდაციების და სხვა გადაწყვეტილებების ოპერატიული კონტროლი;

3. სატრანსპორტო სისტემის მდგომარეობის განსაზღვრა, გადახრებზე ოპერატიული რეაგირება, რეკომენდაციების გაანალიზება;

4. სატრანსპორტო და ექსპორტ-იმპორტის გადაზიდვების ხარისხიანი მომსახურების პროცესის ოპერატიული კონტროლი.

ავტომატიზებული სატრანსპორტო-ინფორმაციული სისტემის ჩამოყალიბების ძირითადი მიზანია სატრანსპორტო სისტემაში ინფორმაციის გამოყენების პროცესის ხარისხის გაუმჯობესება, მეთოდების და დაგეგმვის პროცესების სრულყოფა ყველა სახის ტრანსპორტზე, ამასთან, სატრანსპორტო და ექსპორტ-იმპორტის გადაზიდვების შესრულება სატრანსპორტო კვანძებიდან.

„საქართველოს ლოგისტიკის ბაზარი მეტად ფრაგმენტულია. მის უმნიშვნელოვანეს ნაწილს ექსპედიტორული კომპანიები წარმოადგენენ, რომელთაც ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ საკუთარი სატრანსპორტო საშუალება და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა. შეინიშნება აგრეთვე ტვირთმფლობელებს, ექსპედიტორებსა და გადაზიდვებს შორის ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინირების დეფიციტი, რაც განაპირობებს არაოპტიმალურ მიწოდების ქსელს, მაღალ ფასებს და ტვირთის გადაზიდვის მაღალ ხანგძლივობას“ [6].

ავტომატიზებულ სატრანსპორტო-ინფორმაციული სისტემის ფუნქციონირებამ მოთხოვნის შესატყვისად უნდა უზრუნველყოს შემდეგი კომპლექსური ამოცანების გადაჭრა:

- ტვირთების გადაზიდვის და მგზავრთა გადაყვანის პროცესთან დაკავშირებული ვითარების პროგნოზირება და შეფასება;

- სატრანსპორტო სისტემის მუშაობის მიმდინარე და პერიოდული ანალიზი შემდეგი მაჩვენებლებით: გადაზიდვების სისწრაფე და ღირებულება, ტვირთის გარანტიით გადაზიდვა, მგზავრების უსაფრთხოება და სხვ.

სისტემამ ასევე უნდა უზრუნველყოს შემდეგი ინფორმაციის გაცემა:

- კონკრეტული სატრანსპორტო ორგანიზაციის ან მისი ელემენტების მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მიღება;

- კონკრეტული სატრანსპორტო სახეობის მიხედვით კონკრეტული ტვირთის გადაზიდვის ტარიფების მონაცემების მიღება;

• ინფორმაციის მოპოვება ყოველი კონკრეტული ტვირთის გაგზავნის ვარიანტების შესაბამისი ფასის და დროის მახასიათებლებით და სხვ.

ავტომატიზებულ სატრანსპორტო-ინფორმაციული სისტემის ინფორმაციული ბაზა ჩამოთვლილი ამოცანების გადასაჭრელად უნდა შედგებოდეს შემდეგი ქვესისტემებისაგან:

- სატრანსპორტო ორგანიზაციების საცნობარო-ინფორმაციული ბაზა;
- ნორმატიულ-საცნობარო ბაზა;
- ტვირთების გამგზავნის და მიმღების ინფორმაციული ბაზა;
- სამგზავრო ტრანსპორტების გადაადგილების ინფორმაციული ბაზა;
- ქვეყნის და ცალკეული რეგიონების ელექტრონული რუკების ერთიანი ბაზა;
- ლოგისტიკური ანალიზის და იმიტაციური მოდელირების ბაზა;
- ანალიტიკური ქვესისტემის ინფორმაციული ბაზა;
- სატრანსპორტო სისტემის მონიტორინგის და პროგნოზირების ბაზა.

რეგიონული სატრანსპორტო-ინფორმაციული სისტემები უნდა განთავსდეს რეგიონული ლოგისტიკური ცენტრების ქსელში, რომლებიც ეხმარებიან ერთიანი სატრანსპორტო-ინფორმაციული სისტემის ლოგისტიკური დაგეგმვის პროცესს, ორგანიზებას და ტვირთის გადაზიდვის განხორციელებას, სატრანსპორტო ნაკადის კონტროლს, უზრუნველყოფს შესატყვისი ინფორმაციის გადაცემა სატრანსპორტო სისტემის მდგომარეობის შესახებ. სატრანსპორტო-ინფორმაციული ლოგისტიკა, როგორც ლოგისტიკის დარგი (ნაწილი) მოიცავს შემდეგ საქმიანობას:

➤ წარმოების ადგილიდან მომხმარებელამდე ტვირთების რაციონალურად და შეღავათიანად მიტანის (გადაზიდვის) პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება;

➤ ტვირთის გადაზიდვისა და სხვა მასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე კონტროლი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (ტელეკომუნიკაცია, ტელემატიკა, ინფორმატიკა და სხვა ინფორმაციული ტექნოლოგიები).

➤ საჭირო ინფორმაციის გაცემა ტვირთმფლობელებზე, ექსპედიტორებზე, ტვირთის მიმღებებზე, გადაზიდვის სხვა მონაწილეებზე.

სატრანსპორტო-ინფორმაციული ლოგისტიკა წარმოადგენს ახალ სფეროს ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიებით, რომელიც ხელს უწყობს ტვირთგადაზიდვის პროცესის ოპერატიულ მონაცემთა მიღებას, ასრულებს შეკვეთებთან დაკავშირებულ წინმსწრებ მოქმედებებს, საბაჟო მომსახურების გადახდას, საჭირო ნებართვების მიღებას. სატრანსპორტო ინფორმაციული ლოგისტიკის საფუძველს შეადგენს სატრანსპორტო ლოგისტიკური ცენტრების ქსელები.

სატრანსპორტო ლოგისტიკური ცენტრების მუშაობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის მხარდაჭერა უნდა შეძლოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სახელმწიფო საბაჟო ტვირთთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების შემსუბუქებით, ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარებით, ინტერმოდალური და მულტიმოდალური გადაზიდვების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნით. „საქართველოში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა იძლევა კარგ საფუძველს, რათა მოხდეს მისი, როგორც წარმატებული სატრანსპორტო და აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ქვეყნის განვითარება“[7].

ყოველივე ამას ხელს შეუწყობს ერთიანი სატრანსპორტო ინფორმაციული ქსელის ფორმირება, რომელიც საშუალებას იძლევა:

• ელექტრონულად უზრუნველყოფთ კონტროლი ტვირთის მიტანასა და წინასწარ დეკლარირებაზე, რომელიც დასტურდება ელექტრონულად დოკუმენტების კოპიოს გაგზავნით, სატრანსპორტო საშუალებებზე, ტვირთსა და საქონელზე მეთვალყურეობით – კონისამენტის, ინვოისის, ჩ დ-ის (საერთაშორისო სამანქანო გადაზიდვების ზედდებულები), სარკინიგზო გადაზიდვების ზედდებულების (ტვირთბარათი) სახით.

• გაცვლითი შეთანხმების საფუძველზე გადავიდეთ მასიურად ელექტრონული დოკუმენტების გამოყენებზე;

• უზრუნველყოფთ შიდა საბაჟო ტრანზიტის წესის დაცვით გამგზავნის მიერ დაპლომბილი ტვირთის მიტანა საბაჟო დოკუმენტაციის გაფორმების ტექნოლოგიების გამოყენებით;

• უზრუნველყოფთ მეთვალყურეობა ტვირთგადაზიდვაზე, რაც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობის, პლომბის და ტვირთის (საქონლის) მდგომარეობის კონტროლს სატელეფონური ელექტრონული შეტყობინებების მეშვეობით;

• სარკინიგზო ტვირთგადაზიდვებისას წინასწარ განვახორციელოთ მატარებლის დაკომპლექტება ელექტრონული განაცხადით, რომელიც ურთიერთდაკავშირებულია სარკინიგზო აგენტის ავტომატიზებულ სამუშაო ადგილთან;

• უზრუნველყოფთ სასწრაფო შეკვეთები მინიმალური შეფერხებებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „ტრანსპორტი“, 2013. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors/transport>
2. ი. მესხია, ე. გველეხიანი „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა“, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, 2010. 224 – 26 გვ.
3. დობორჯგინიძე გ., “ლოგისტიკის როლი ქართული ეკონომიკის განვითარებაში” 20-03-2014. <http://www.interpressnews.ge/>

4. დობორჯგინიძე გ. „ლოგისტიკა – დროსა და სივრცეში პროდუქციის გადაადგილების ხელოვნება“, ჟურნალი „ბანკები და ფინანსები“ თბილისი, 19.11.2012.
5. პავლიაშვილი ს. „ტრანსპორტი და კომუნიკაციები“, საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012. 308-246 გვ.
6. დობორჯგინიძე გ. „ლოგისტიკა – დროსა და სივრცეში პროდუქციის გადაადგილების ხელოვნება“, ჟურნალი „ბანკები და ფინანსები“, თბილისი, 19.11.2012 .
7. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. „ტრანსპორტი“, 2013.
http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=749

David Khazhomia

FORMATION OF LOGISTICAL TRANSPORT-INFORMATION SYSTEM AND ITS ROLE IN REGIONAL DEVELOPMENT

Annotation

Transportation-information logistics is a new field, with new information technology, which promotes the reception of operational data on the process of transportation of goods. The primary purpose of the united transportation-information system is to raise the efficiency of the transport process, the aim of the above mentioned system is to optimize productivity of separate elements.

ლევან ჯანგულაშვილი

ბანკების სტრატეგიის სისტემური ანალიზის მეთოდოლოგიურ-ინსტრუმენტული ასპექტები

ფინანსური გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე საბანკო სისტემა იმყოფება ტრანსფორმაციული პროცესების ზეგავლენის ქვეშ, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო ფინანსურ-საკრედიტო სისტემის მიერ შექმნილ მართვის მოდელის ცვლილებასთან, მზარდ კონკურენციასთან, საერთაშორისო და ნაციონალური ზედამხედველობის ორგანოების საბანკო საქმიანობის ნორმატიული მოთხოვნების გამკაცრებასთან, საბანკო რისკების რაოდენობის გაზრდასთან.

ბაზრის საკეთილდღეო კონიუნქტურის პერიოდში საქართველოს ეკონომიკამ ვერ შეძლო საკმარისი დივერსიფიცირება და სტრუქტურული ცვლილებების ჩატარება, რომლებიც საჭირო იყო კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად საერთაშორისო არენაზე. შედეგად, დღეს ფინანსური ინსტიტუტები, უპირველესად ბანკები განვითარების იმ დონეზე რჩება, როდესაც ეკონომიკა უფრო მეტად რეაგირებს სხვადასხვა სახის გარეშე იმპულსებზე, ვიდრე თვითონ გააჩნია მათი შექმნის უნარი.

ამით აიხსნება საქართველოს ფინანსური ბაზრის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების ცვალებადობის მაღალი ხარისხი განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ჩვენი თვალსაზრისით, საქართველოს ეკონომიკის დაბალი მონეტოზაცია, რომელიც შემცირდა 2008 წლის შედეგების მიხედვით, არ გადააჭარბებს 2007 წლის დონეს არც მიმდინარე, არც მომავალ წელს.

ამავე დროს, საბანკო სისტემის აქტივების წილი მშპ-ში არც ისე მაღალია, რაც ერთგვარი შეფერხებაა საბანკო სისტემის ზრდის გრძელვადიანი პოტენციალისთვის.

დაფინანსების წყაროების შეზღუდვასთან დაკავშირებით, რეფინანსირება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფაქტობრივად უაღტერნაციოა. მისი კრედიტების წილი ბანკების პასივებში გაიზარდა, რაც იმის პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ მოსახლეობის შენატანების მოცულობა 2014 წ. უმნიშვნელოდ გაიზარდება, კორპორაციული კლიენტების ანგარიშებისა და დეპოზიტების ზრდა კი შენელებს კომპანიების ეკონომიკური მდგომარეობების გაუარესების შედეგად.

ის ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საქართველოს საბანკო სისტემის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე, შესაბამისი მიზნების, ამოცანების, ნიშნების, ატრიბუტული თვისებებისა და ფუნქციების არსებობით ახდენს შესასწავლი ობიექტის იდენტიფიცირებას სისტემის სახით და ითვალისწინებს მისი, როგორც მთლიანი, რთული, სივრცისებური, განვითარებადი სისტემის გამოკვლევას.

კვლევის ობიექტის შესწავლის მეთოდოლოგია სისტემური მიდგომის საშუალებით შეიძლება დაიყოს რამდენიმე ეტაპად:

- ბანკის, როგორც სისტემის ალგორითმის შემუშავება;
- მოდელის უშუალო აგება და მათი გაერთიანება სისტემაში;
- აგებული მოდელისა და შერჩეული სისტემების თავისებურებების შესწავლა და სხვა.

უფრო დეტალურად, საბანკო სისტემის იდენტიფიკაცია, სპეციალისტების აზრით, გულისხმობს შემდეგი ეტაპების გავლას, კერძოდ:

პირველი ეტაპი ხასიათდება ზოგადი მიზნის, საბანკო სისტემის ძირითადი ფუნქციის პრობლემების გამოვლენითა და დეკომპოზიციით. მოცემულ ეტაპზე გამოიკვეთება საბანკო სისტემის მთავარი მიზანი, ტარდება მისი დეკომპოზიცია მოწესრიგებულად დაკავშირებული ქვემიზნების სისტემაზე და ფიქსირდება მოცემული ქვემიზნების მიღწევების თანმიმდევრობა. საბანკო სისტემების ქვემიზნების გამოყოფის საშუალებით მთავარი მიზნის დეკომპოზიციის შემდეგ ვლინდება სისტემის ფუნქციების გახსნის შესაძლებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მიღწევას. ქვემიზნების არსებობა განაპირობებს ფუნქციების არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული ქვემიზნების რეალიზაციას, რომლებიც გამოყოფაც იძლევა მათი მიზნობრივი მიმართულებით დაჯგუფებისა და ფუნქციების ზემოქმედების ხასიათის განსაზღვრის საშუალებას სისტემის ქვემიზნებზე.

მეორე ეტაპი ხასიათდება თვისებების, საბანკო სისტემის ფუნქციონალურ-მიზნობრივი ნიშნებისა და ურთიერთობების და მისი სტრუქტურის გამოვლინებით და შედეგად მისი პარამეტრული მახასიათებლების არგუმენტაციაში. ეს ეტაპი შეიძლება განიმარტოს, როგორც გენეტიკური ანალიზი (წინაისტორიის, ტენდენციის, პროგნოზირების) და მის პლატფორმაზე განხორციელებადი პარამეტრული სინთეზი.

მესამე ეტაპი ხასიათდება თითოეული ელემენტისა და საბანკო სისტემის შემადგენლობის სტრუქტურის ფიქსაციით, რომელიც ვარაუდობს არსებითი ურთიერთკავშირის, ატრიბუტული თვისებების, ნიშნებისა და ურთიერთობების პოვნას, რომლებიც ანალიზირებულია გამოკვლევის პირველ ეტაპზე. ეს ეტაპი წარმოადგენს კომპონენტების ურთიერთკავშირის ანალიზსა და მის საფუძველზე განხორციელებად სტრუქტურულ სინთეზს.

მეოთხე ეტაპი – ფუნქციონალური ანალიზია, რომელიც მიმართულია საბანკო სისტემებს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულების გამოვლენაზე.

მეხუთე ეტაპი მოიცავს ზემოქმედების ფაქტორების განსაზღვრას, შედეგობრივი კრიტერიუმებისა და საბანკო სისტემების თავისებურებებს, შეფასების შესაბამისი სკალის შედგენას.

მეექვსე ეტაპი შედგება გაანგარიშებებისა და მოდელირებისგან.

მეშვიდე ეტაპი მოიცავს ფუნქციონირების, ტენდენციებისა და საბანკო სისტემების განვითარების პერსპექტივების კანონზომიერების აღწერას. მოცემული ეტაპი ეყრდნობა საბანკო სისტემის ანალოგებისა და შეფასების ანალიზს და ეფუძნება ემპირიულ დაკვირვებებსა და მასალის სტატისტიკურ დამუშავებას.

მერვე ეტაპზე ხდება მიღებული შედეგების ანალიზი და სინთეზი, კვლევების შემდგომი გზების განსაზღვრა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება სხვადასხვა მიდგომა სისტემური ანალიზის წარმოშობის ეტაპების გამოყოფისადმი, რომლებიც მოყვანილია ცხრილში

ცხრილი 5

სისტემური ანალიზის წარმოშობის ეტაპები

ი.ი. ჩერნიაკის მიხედვით	მ.ი. ბაკანოვისა და ა.დ. შერემეტის მიხედვით
<ol style="list-style-type: none"> 1. ანალიზი 2. სისტემის განსაზღვრა 3. სისტემის ანალიზი 4. ზოგადი მიზნისა და სისტემის კრიტერიუმის ფორმულირება 5. მიზნის დეკომპოზიცია, მოთხოვნილებების გამოვლენა რესურსებსა და პროცესებში 6. რესურსებისა და პროცესების გამოვლინება, მიზნის კომპოზიცია 7. მომავალი პირობების პროგნოზი და ანალიზი 8. მიზნებისა და საშუალებების შეფასება 9. ვარიანტების შერჩევა 10. არსებული სისტემის დიაგნოზი 11. განვითარების კომპლექსური პროგრამის აგება 12. ორგანიზების აგება მიზნის მისაღწევად 	<ol style="list-style-type: none"> 1. მიზნობრივი ეტაპი – სისტემის, მისი მიზნებისა და ფუნქციონირების პირობების განსაზღვრა 2. პარამეტრული ეტაპი – სისტემის დამახასიათებელი მახვენებლების შერჩევა 3. მოდელური ეტაპი – სისტემისა და ქვესისტემების ზოგადი სქემის შედგენა 4. ფაქტორული ეტაპი – ძირითადი ურთიერთკავშირებისა და ფაქტორების განსაზღვრა 5. საანგარიშსწორებო-ანალიტიკური ეტაპი – ურთიერთკავშირის მახვენებლების ფაქტორული მოდელის გამოცდა 6. შეფასებითი ეტაპი – ანალიზის შედეგების განზოგადება, სამეურნეო საქმიანობისა და რეზერვების კომპლექსური შეფასება წარმოების ეფექტურობის ასამაღლებლად
ო.ნ. ჯარიკოვის, ვ.ი. კოროლევისკაიას, ს.ნ. ხოსლოვის მიხედვით	ლ.ტ. გილიაროვსკაიას, ს.ნ. პანეინას მიხედვით
<ol style="list-style-type: none"> 1. პრობლემის დაყენება 2. პრობლემატიკის გაფართოება, ე.ი. პრობლემათა სისტემის პოვნა, რომლების გათვალისწინების გარეშე საკვლევი პრობლემა არ შეიძლება გადაწყდეს 3. მიზნების გამოვლინება 4. მიზნების მიღწევის ხარისხის, ალტერნატივების რიგიდან ვარიანტების შერჩევის წესების რაოდენობრივი შეფასების ფორმირება 5. აგრეგირება 6. გენერირება 7. შესაძლებლობების გამოკვლევა 8. ფორმალისაციის შერჩევა (მოდელისა და შეზღუდვების) პრობლემის გადასაწყვეტად 9. იდეალური სისტემის აგება 10. კვლევების შედეგების გამოყენება 	<ol style="list-style-type: none"> 1. ანალიზის ამოცანის დასახვა 2. სისტემის ზოგადი მიზნის ფორმულირება 3. სისტემის მიზნის მიღწევის შეფასების კრიტერიუმის შემუშავება 4. სისტემის საზღვრების, მისი შინაარსის, ადგილისა და როლის განსაზღვრა უფრო მაღალი დონის სისტემებში 5. ფუნქციონირების ამოცანების სპეციფიკაცია 6. სისტემის სტრუქტურის ანალიზი 7. ქვესისტემების მიხედვით მიზნებისა და კრიტერიუმების დეკომპოზიცია 8. სისტემის განვითარების დამახასიათებელი მახვენებლების შერჩევა 9. ძირითადი ურთიერთკავშირების განსაზღვრა, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ სისტემის მახვენებლებზე 10. მახვენებლების, როგორც მრავალფაქტორული ანალიზის ბაზის, მოდელირება 11. ინფორმაციული და პროგრამული უზრუნველყოფისა და სისტემური ანალიზის შემუშავება 12. სისტემური ანალიზის საანგარიშსწორებო-ანალიტიკური ეტაპების ჩატარება 13. ანალიზის შედეგების განზოგადება, ეკონომიკური სუბიექტის განვითარების მდგრადობის ხარისხის, მისი საქმიანობის გაუმჯობესებისა და ინტენსიფიკაციის გამოვლინება; დონისიძიებათა კომპლექსის შემუშავება საკუთარი კაპიტალისა და ბანკის აქტივების რენტაბელურობის ზრდის ტემპების მომატებაზე შესაბამისი მართვითი გადაწყვეტილებების განზოგადებისთვის

წყარო: Бланк И.А. Основы финансового менеджмента. Т. 2. Киев: Ника-Центр, Эльга, 2007. *Волошин И.В.* Оценка банковских рисков: новые подходы. Киев: Ника-Центр, Эльга, 2008.; *Гуляровская Л.Т.* Комплексный анализ финансово-экономических результатов деятельности банка и его филиалов/Л.Т. Гуляровская, С.Н. Паневина. - СПб.: Питер, 2003. - с. 240.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოყოფილი ეტაპები, საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ოთხი სისტემური მიდგომა კვლევის ობიექტის მიმართ, როგორცაა: 1) დროებითი, 2) სტრატეგიციზირებული, 3)

ფუნქციონალური 4) კომუნიკაციური, რომლებიც თვალსაჩინოდ გამოხატავენ საბანკო სისტემის ანალიზის სისტემური მიდგომის გამოყენების აუცილებლობას.

დროებითი წარმოდგენა ახასიათებს საბანკო სისტემის მდგომარეობას დროში, თავისი განვითარების დინამიკაში. **სტრატეგიცენტრული** წარმოდგენა დაფუძნებულია საბანკო სისტემის მდგომარეობაზე დროში, როგორც ურთიერთდამოკიდებული ქვესისტემების (ბანკების, საკრედიტო ინსტიტუტებისა და ა.შ.) ერთობლიობის ორდონიანი წარმოშობის სივრცისებურ აღქმაზე.

ფუნქციონალური წარმოდგენა ფუძნდება საბანკო სისტემის, როგორც ფუნქციათა სიმრავლის ანალიზზე, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს მისი ფუნქციონირების მიზნების რეალიზაციას. **კომუნიკაციური** წარმოდგენა დაფუძნებულია სისტემის განხილვაზე სისტემის ზედა და ერთდონიან სისტემებთან ურთიერთკავშირსა და ურთიერთქმედებაში.

თანამედროვე ეტაპზე ფინანსური გლობალიზაციის პირობებში საბანკო სისტემის შესახებ თანამედროვე წარმოდგენა დაკავშირებულია სისტემური წარმოდგენების ყველა ოთხ ტიპთან და ამით საშუალებას იძლევა საკვლევი სისტემა განიხილებოდეს როგორც რთული, სერტიფიცირებული წარმონაქმნი, დინამიურად განვითარებადი თავის ინტეგრალურ დამოკიდებულებებსა და ურთიერთქმედებებში.

ერთობლივი საბანკო სისტემა ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, ამიტომ პრობლემების დროული გამოვლენა და აღმოფხვრა, რომლებიც ეწინააღმდეგება მის სტაბილურ ფუნქციონირებასა და განვითარებას, აქტუალური საკითხია, რომელიც მოითხოვს სისტემურ გადაწყვეტილებებს როგორც სახელმწიფო დონეზე, ისე ყველა მმართველი სუბიექტის დონეზე.

საქართველოს საბანკო სისტემის რთულმა წარსულმა განაპირობა პრობლემათა ის რაოდენობა, რომლებიც დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საბანკო სისტემებისთვის, კერძოდ:

1. ფულად-საკრედიტო და მონეტარული პოლიტიკის შექმნისა და რეალიზაციის ისტორიულად ფორმირებული პრინციპების არარსებობა;
2. სამამულო ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფებისგან დამოუკიდებელი ბანკების უკმარისობა;
3. უმრავლესობა საკრედიტო ორგანიზაციების დაბალი კაპიტალიზაცია და გაუმჭვირვალობა;
4. გრძელვადიანი ფინანსური რესურსების დეფიციტი;
5. სამართლებრივი ველის დაუბალანსება;
6. საბანკო სისტემის, ბანკის, საბანკო რისკების ადეკვატური კონცეფციების თანამედროვე რეალიზების მიმართ ნელი დანერგვა;

7. განვითარებული ქვეყნების ბანკებთან შედარებით უმეტესობა საქართველოს ბანკების დაბალი ტექნოლოგიური დონე;

8. საბანკო საქმიანობაში “ჩრდილოვანი” ბიზნესის მაღალი დონე;

9. რეგულაციის (რფ ცენტრალური ბანკის) უფლებამოსილების შეუსაბამობა ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებთან.

ამრიგად, საქართველოს საბანკო სისტემის ძირითადი პრობლემების განსაზღვრის შემდეგ, საბანკო სისტემის სისტემური ანალიზის მეთოდოლოგიის შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს შესასწავლი ობიექტის (სისტემის) არსებობის მთავარი ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ეს მიზანი რეალიზდება, შემდეგ კი განხორციელდეს ამ მიზნის დეკომპოზიცია ურთიერთდაკავშირებული ქვემიზნების ჯგუფზე და დაფიქსირდეს მოცემული ქვემიზნების მიღწევების თანმიმდევრობა.

შესაბამის მეთოდოლოგიურ ბაზაზე იქმნება სისტემის ფუნქციების კვლევის შესაძლებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მიღწევებს, ხდება საბანკო სისტემის მიერ შესასრულებელი ფუნქციების ერთობლიობის მოწესრიგების, მათი მიზნობრივი მიმართულების მიხედვით დაჯგუფების რეალიზება.

ფინანსური გლობალიზაციის შედეგად წარმოშობილ პრობლემათა შორის, საბანკო სექტორში შეიძლება გამოიყოს კონკურენციის პირობების პრობლემა, განსაკუთრებით ეროვნულ ბაზრებზე.

კონკურენტული ბაზრის ფორმირებისთვის საქართველოში უნდა იყოს როგორც მსხვილი ბანკები, დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, ისე საშუალო და მცირე რეგიონული ბანკები, რომლებიც შეასრულებენ უმნიშვნელოვანეს ამოცანას რეგიონებში ბიზნესის დაკრედიტების მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში“, 2013.
2. „კორპორაციული ფინანსები“, II ტომი. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ. სოსუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „უნივერსი“. თბილისი, 2013.
3. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ. რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი. თბილისი: გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“, 2007.
4. ხარებავა რ. ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები. თბ., 2012.
5. Джозеф Синки. Финансовый менеджмент в коммерческом банке и в индустрии финансовых услуг. Издательство Альпина Паблишер, 2007.

Levan Jangulashvili

METHODOLOGICAL AND INSTRUMENTAL ASPECTS OF SYSTEM ANALYSIS OF BANKS' STRATEGY

Annotation

Under the conditions of financial globalization the modern banking system is under the influence of transformational processes. The article deals with some problems which exert an influence over functioning and developing of the Georgia's banking system. According to the specialists, the identification of banking system implies to go through four different stages:

- 1) Temporary, 2) Stratified, 3) Functional, 4) Communicative.

კონფერენციის მონაწილეები

1. **აბუსაამ რამაზ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი
2. **აბუსაამ ოთარ** – თსუ დოქტორანტი
3. **აბრალაზა ანუორ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
4. **აბულაჰმ რატი** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
5. **АГАЗАДЕ РАМИЛЯ ВАЛИДОВНА** – Докторант Академии Государственного Управления при Президенте Азербайджанской Республики
6. **ათანელიშვილი თამარ** – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ ასისტენტ პროფესორი
7. **ანესაშვილი თეონა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
8. **არმეზამ ნანული** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
9. **არნანია-კაპულაჰმ თამილა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი (საქართველო); ტომას ბატას უნივერსიტეტის სრული პროფესორი (ჩეხეთი)
10. **АРЖЕНОВСКИЙ СЕРГЕЙ ВАЛЕНТИНОВИЧ** – Доктор экономических наук, профессор Ростовского Государственного Экономического Университета (РИНХ), Россия
11. **АРХАНГЕЛЬСКИЙ ВИТАЛИЙ ДМИТРИЕВИЧ** – Кандидат экономических наук, президент Группы Осло Марин (Россия)
12. **ასათიანი როზია** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი
13. **ასლანაშვილი დავით** – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი, თსუ ასისტენტ პროფესორი
14. **აჩუაშვილი ნუნუ** – ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
15. **ახალაია ნანა** – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
16. **ბაღარაჯიშვილი ივანე** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
17. **ბაღახაშვილი შანა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
18. **ბარათაშვილი ხათუნა** – თსუ დოქტორანტი
19. **ბასილია კობა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
20. **ბაჭრაძე ბივი** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
21. **БАХТЕЕВ АНДРЕЙ ВЛАДИМИРОВИЧ** – Кандидат экономических наук, доцент Южного федерального университета (Россия)
22. **ბედიანაშვილი ბივი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ მოწვეული პროფესორი
23. **БЕЛИНСКАЯ ЛАРИСА** – Доктор, Ассоциированный профессор Факультета Экономики Вильнюсского Университета (Литва)
24. **БЕЛЯЕВА ЕЛЕНА АЛЕКСАНДРОВНА** – Кандидат экономических наук, доцент Кубанского государственного университета (Россия)
25. **ბენაშვილი ციალა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ ასოცირებული პროფესორი
26. **ბენიძე ნანა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
27. **ბერიშვილი ხათუნა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
28. **ბერიძე ლამარა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ მოწვეული პროფესორი
29. **ბერულავა ბიორბი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
30. **ბიბილაშვილი ნანა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
31. **БИТАРОВА МАРИЯ АНАТОЛЬЕВНА** – директор научно-технологического парка «Университет» Кубанского государственного университета (Россия)
32. **ბიძინაშვილი დავით** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
33. **ბიწაძე ნინო** – თსუ მაკროეკონომიკის მიმართულების მაგისტრანტი
34. **ბიწაძე ჯამბუჯ** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
35. **ბიჭიკაშვილი თამარ** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
36. **БЛАГОУЧЕВА ХРИСТИНА ВИЛЬHELM** – PhD, Associated Professor of University of Economics (Varna, Bulgaria)
37. **ბოჭორიძე ლევა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
38. **ბრეზვამი ბიორბი** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

39. **გურღული ვახტანგ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
40. **ВЛАСЕНКО МАРИНА АЛЕКСАНДРОВНА** – Ассистент кафедры Днепропетровского национального университета имени Олесея Гончара (Украина)
41. **ბაბაღაძე ივოლა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
42. **ბამსახურია თამაზ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
43. **ბელაშვილი მაღონა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
44. **ბელაშვილი მანია** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
45. **ბელაშვილი ნინო** – თსუ ბაკალავრიატის სტუდენტი
46. **ბჰარაშია ნახი** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
47. **ბიორბაძე სათუნა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
48. **ბობელია მამუკა** – ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
49. **ბობიაშვილი შალვა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
50. **ბობინაშვილი ვახტანგ** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი
51. **ბობიძე მანია** – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი
52. **ბოგონია თინათინა** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
53. **ბოგეშაური ნინო** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
54. **ბორბასლიძე მუმი** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
55. **ГОРОБЧУК ТАТЬЯНА ТИМОФЕЕВНА** – Кандидат экономических наук, доцент Житомирского национального агроэкологического университета (Украина)
56. **ბრძელიშვილი ნოდარ** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს დაეთ აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
57. **ГРИНЬКО ТАТЬЯНА ВАЛЕРИЕВНА** – Доктор экономических наук, профессор Днепропетровского национального университета имени Олесея Гончара (Украина)
58. **ГРУЩИНСКАЯ НАТАЛИЯ НИКОЛАЕВНА** – Доктор экономических наук, доцент, профессор Дипломатической академии Украины при Министерстве иностранных дел Украины
59. **ბუბეღაძე დავით** – თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
60. **ГУЛИЕВА АИДА АЙДЫН КЫЗЫ** – доцент кафедры «Информационная экономика и технологии» Азербайджанского Государственного Экономического Университета (Азербайджан)
61. **ГУЛИЕВА АЙСЕЛ** – докторант кафедры «Информационная экономика и технологии» Азербайджанского Государственного Экономического Университета (Азербайджан)
62. **დავითაია ბაგრი** – აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
63. **დავლაშვილი ნატა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
